

اوقلا مائى
 ۱۳۳۷ مەر ۲۸ * پانزار پارسى * ۴ مەھرىن مەس ۱۳۳۶
 ۱۹۱۸

اۈچ پاشا دھا قاجدى

اوستريا - مجارستانده

اردو و دوغما دېالته ويزم تېلكىسى - آلتان
 آوسترياسى - آلماندا نە اولويور ؟

پرايى كوتەن بىرى آوستريامجارستان اموالە
 دىن كىك آۇ تىراف آيروز . بو جەلگەندە كىك
 مەر وىمار بىرون اىنگە . اوقىنى جالە تىراف
 آۇ تىراف كىك بوگ برىمە دە بىرى جوادىز بىراقىرى
 اىكە بىر سىمە سىلوف اولىن اىجاب ايدى .
 بىر مە بو سىمە سارخە چىكىن تىراف كىك لوت سىقى
 برىمە سىمە آندە بىر سىمە سارخە بىر مە سىمە
 بىر مە شىبە سىمە بوغدىر كىك بوگون اوستريا -
 مجارستانده بىر آلتاننى حاكم سويىيور .
 بىر مە سىمە سىمە بوغدىر كىك لوت سىقى
 برىمە سىمە آندە بىر سىمە سارخە بىر مە سىمە
 بىر مە شىبە سىمە بوغدىر كىك بوگون اوستريا -
 مجارستانده بىر آلتاننى حاكم سويىيور .

داخليه لافريك پيايى - تىرايى
 رىخا - تىقيات قانونه
 حاجت وارى ۲ -
 مسكان پىش پىك
 اهدق - كىلدى
 حكومته مراجعت -
 ديور ۲ - اسرار انكىز

قىديه اخناز اولشمى - قايمىتە
 ايجون مراجعت وقومته
 لوده لايى واپور ايدىم -
 ليرا - الكىر تىقار
 تخىقيات - آلمانيا
 (ودىچىن لود) نە
 بوليار كىلر ايدى ؟



صدر سابق ملت پاشا
 جىرە تىراف ساقى حال پاشا
 جىرە تىراف ساقى حال پاشا

بىر مە سىمە سىمە بوغدىر كىك لوت سىقى
 برىمە سىمە آندە بىر سىمە سارخە بىر مە سىمە
 بىر مە شىبە سىمە بوغدىر كىك بوگون اوستريا -
 مجارستانده بىر آلتاننى حاكم سويىيور .

اشغال اىستىمال
 لى اىستىمال
 كىلدى
 بىر مە سىمە سىمە بوغدىر كىك لوت سىقى
 برىمە سىمە آندە بىر سىمە سارخە بىر مە سىمە
 بىر مە شىبە سىمە بوغدىر كىك بوگون اوستريا -
 مجارستانده بىر آلتاننى حاكم سويىيور .


رۇسسا تي و لا تۇرپا تي :
 بولشەۋىك پۇر - ئىتىۋادىستۇر ئىنىڭ با (1920-1922)

كارىل رابىيانى

**رۇسسا تي و لا تۇرپا تي :
 بولشەۋىك پۇر - ئىتىۋادىستۇر ئىنىڭ با (1920-1922)**

۱۴/۷۱-۲۲۱, в ۱۶۴, ۱۷ мин.
 ۱۹۱۵



თბილისი
 2015

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა

საქართველოს შეიარაღებული ძალების
გენერალური შტაბის უფროსის
2015 წლის 14 მაისის №390 ბრძანებით



არჩილ ჩაჩხიანი



**რუსეთი და თურქეთი:
ბოლშევიკურ-იტალიანისტური
ენიგმა (1920-1922)**

თბილისი
2015

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

ავტორი: ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი **არჩილ ჩაჩხიანი**

სამეცნიერო რედაქტორები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პასტანო ბურული**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ივორ კვსელავა**

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ავთანდილ სონულაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **შოთა ვადაჭკორია**

წინამდებარე ნაშრომი სამეცნიერო ისტორიული ხასიათის გამოკვლევაა. მასში რუსული „რევოლუციური მესიანიზმისა“ და ბოლშევიკთა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფციების ფონზე ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა წარმოდგენილი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ოსმალთა იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის წევრებს შორის 1920-1922 წლებში არსებული ღრმად გასაიდუმლოებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები. მაშინ მოსკოვს ხშირად უწოდებდნენ მრავალრიცხოვანი „აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების მექას“. კრემლში კი ერებისა და სახელმწიფოების მოწყობის სრულიად წარმოდგენილი გეოპოლიტიკური პროექტები იბადებოდა, რომელიც დამყარებული იქნებოდა არა მარტო სისტემურ-პოლიტიკურ, არამედ იდეოლოგიურ, კონფესიურ და ეთნიკურ მახასიათებლებზე.

ნაშრომში მდიდარ წყაროთმცოდნეობის ბაზაზე დაყრდნობით, სხვადასხვა ავტორთა ნაშრომების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე განხილულია ის გეოპოლიტიკური ვითარება, რაც I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დამყარდა ოსმალეთისა და რუსეთის პოსტიმპერიალისტურ სივრცეებში. წიგნში რუსულ-ოსმალური ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ურთიერთობების ფონზე წარმოდგენილია მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ეგიდით დაწყებული რუსული ექსპანსიის პროცესები „აღმოსავლეთად“ წოდებულ ისლამურ ქვეყნებში.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ოპერატიული დონის ოფიცრებისა და მეცნიერ-ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე პოლიტიკური და სამხედრო ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა წრისათვის.

ავტორი დიდი ინტერესით მიიღებს მკითხველთა მიერ გამოთქმულ საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

გამოცემის რედაქტორი: **ქეთევან ოსეფაიშვილი**

ტექნიკური რედაქტორი: პოლიტოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი **ნოდარ ხორბალაძე**

სტილისტი: **თინათინ პავლიაშვილი**

დამკაბადონებელი: **სოფიო გოცაძე**

განხილული და მოწონებულია დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ.
სხდომის ოქმი № 3. 02.04. 2015 წელი.

© საავტორო უფლებები დაცულია. All rights reserved.

© არჩილ ჩაჩხიანი, 2015.

ISBN 978-9941-0-7497-4

*ედღვნება საქართველოს ტერიტორიული
მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ
გმირთა ხსოვნას*

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისგან.....7

თავი I. „მესამე რომი“ და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფცია13

§1.1. „მესამე რომის“ იდეოლოგემა.....15
§1.2. რუსული „რევოლუციური მესიანიზმი“ 23
§1.3. ბოლშევიკთა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფციისათვის...32
§1.4. „ცივი ომი“ – რუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკის ქვაკუთხედი 41
§1.5. კომინტერნი მოქმედებაში 49
 ფოტომასალა59

თავი II. კანთურანიზმი და „აღმოსავლეთის ხალხთა“ საკითხი71

§2.1. თურქიზმი და „დიდი თურანი“ 73
§2.2. „თურანიზმი“, როგორც პოლიტიზირებული ფენომენი..... 84
§2.3. „აღმოსავლეთის ხალხთა“ საკითხი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონტექსტში.....95
§2.4. რუსულ-თურქული რევოლუციური ურთიერთობების დასაწყისი.....103
 ფოტომასალა109

თავი III. ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმას დასაწყისი.....123

§3.1. მუდროსის ზავი – ოსმალთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი 125
§3.2. იტიჰადისტთა ნაციონალური ორგანიზაციები 132
§3.3. ანატოლიური გამბიტი – ქემალისტური მოძრაობის სათავეებთან141
§3.4. გაცოცხლებული ენვერი..... 150
§3.5. ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმას დასაწყისი – „ყარაქოლი“ და პირველი ქართველი..... 158
§3.6. „ალი ბეის მისია“164
§3.7. „აღმოსავლეთის ხალხთა“ I ყრილობა 169
 ფოტომასალა 181

თავი IV. ქემალისტურ-იტიჰადისტური დაპირისპირება199

§4.1. მწვანე ნახევარმთვარე წითელი ვარსკვლავის ორბიტაზე.....201
§4.2. კრემლი არჩევანის წინაშე – ენვერ ფაშა თუ მუსტაფა ქემალი?..... 208

§4.3. ანატოლიელი „პროტესტანტები“ – ნაციონალური თუ ნაციონალისტური მოძრაობა?	215
§4.4. ნაციონალური საკითხი ოსმალეთის იმპერიაში	221
§4.5. ანატოლიის „ნაციონალური ძალები“	230
§4.6. იღუმალი „მწვანე არმია“	230
§4.7. ორი ფაშას დაპირისპირება – ენვერი ქემალის წინააღმდეგ	242
ფოტომასალა	253

თავი V. შუააზიურ-ავღანური „თურქული მარში“ 263

§5.1. ენვერ ფაშა შუა აზიაში	265
§5.2. რუსული „პანდორას ყუთი“	277
§5.3. შუა აზიის გასაბჭოების ისტორიისათვის	284
§5.4. ავღანეთი – „კომუნისტური ინდოეთის“ გასაღები	296
§5.5. წითლების მარცხი	304
§5.6. კომინტერნის ავღანური პროექტის ალტერნატივა – გენერალი აჰმედ ჯემალ ფაშა	311
§5.7. ჯემალ ფაშა – ავღანეთის მარშალი	319
§5.8. მკვლევლობა თბილისში – ბოლშევიკურ-იტტიჰადისტური ენიგმას დასასრული	325
ფოტომასალა	337

თავი VI. ბასმაჩთა ლიდერი 353

§6.1. თურქესტანის ბოლშევიკური ინკვიზიცია	355
§6.2. ბასმაჩური მოძრაობის სათავეებთან	362
§6.3. ისმაილ ენვერ ფაშა – ღაზი თუ შაჰიდი?	367
§6.4. „ისლამის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ხალიფას სიძე და მუჰამედის ნაცვალი“	372
§6.5. თემურ ლენგის ახალი სახელმწიფოსაკენ	378
§6.6. ლეგენდის დასასრული	384
§6.7. უკვდავი „მარადიული მეომარი“	393
§6.8. საომარი მოქმედებების სტრატეგია და ზოგადი ტაქტიკური ანალიზი	406
ფოტომასალა	421

დასკვნა 437

ფოტომასალა	467
Summary	473
Резюме	487
დამოწმებული ქართულენოვანი ლიტერატურა და წყაროები	503
დამოწმებული უცხოენოვანი ლიტერატურა და წყაროები	507

რედაქტორისგან

ისტორიის დოქტორის, პოლკოვნიკ არჩილ ჩაჩხიანის მორიგი მონოგრაფიული ნაშრომი – „რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიპადისტური ენიგმა (1920-1922)“ – სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევაა, რომელიც, ეჭვს გარეშეა, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი შენაძენია. მასში რუსული „რევოლუციური მესიანიზმისა“ და ბოლშევიკთა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფციების ფონზე ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა წარმოდგენილი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ოსმალთა იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის წევრებს შორის 1920-1922 წლებში არსებული ღრმად გასაიდუმლოებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები. მაშინ მოსკოვს ხშირად ეძახდნენ მრავალრიცხოვანი „აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების მექას“. კრემლში კი ერებისა და სახელმწიფოების მოწყობის სრულიად წარმოუდგენელი გეოპოლიტიკური პროექტები მუშავდებოდა, რომელიც დამყარებული იყო არა მარტო სისტემურ-პოლიტიკურ, არამედ იდეოლოგიურ, კონფესიურ და ეთნიკურ მახასიათებლებზე.

ქართულ რეალობაში ამ ხასიათის ნაშრომების შექმნა საბჭოთა წყობილების პირობებში შეუძლებელი იყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი ჩვენს ისტორიოგრაფიას ამ თვალსაზრისით საყურადღებო არაფერი შეუქმნია. ასე რომ, ავტორი ამ დიდი პრობლემის პირველი მკვლევარია. ფაქტია, რომ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საქართველოსათვის უბრალოდ ორი მეზობელი სახელმწიფოს ურთიერთობა არ ყოფილა. რუსულ-ოსმალურ და რუსულ-თურქულ ურთიერთობებს საქართველოსათვის ხშირად საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა 1917-1918 წლებიდან დაწყებული, სულ მცირე, ათწლეულის განმავლობაში და მან მნიშვნელოვნად განსაზღვრა რეგიონის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის დღევანდელი სურათი.

პოლკოვნიკ არჩილ ჩაჩხიანის წარმოდგენილი მონოგრაფია საყურადღებოა მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზით, სტრუქტურით, ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ანალიზით, განზოგადებებითა და დასკვნებით. სამეცნიერო თვალსაზრისით აპარატი გამართული და დახვეწილია, ნაშრომის სტრუქტურა – სრულყოფილი, სქოლიოები – ინფორმაციული. ავტორის მიერ პრობლემების დასმა ნათელია, მათზე მსჯელობა – თანმიმდევრული და მწყობრი, დასკვნები – ლოგიკური და ზუსტი. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში უხვი მასალაა წარმოდგენილი,

რომელიც ქართულ, რუსულ, ინგლისურ, თურქულ, გერმანულ და ფრანგულ წყაროებსა და ლიტერატურას ემყარება, იგი თავისუფლად და საინტერესოდ იკითხება. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მონოგრაფია უხვადაა დასურათებული ისტორიული პერსონაჟებისა და მოვლენების ამსახველი ფოტომასალებით, რაც ერთიორად ზრდის ნაშრომის შემეცნებით ღირებულებას.

ავტორის მიერ წარმოდგენილი სქელტანიანი მონოგრაფია სტრუქტურულად სარჩევის, რედაქტორის სიტყვის, ექვსი თავის, ოცდაცხრამეტი პარაგრაფის, დასკვნითი ნაწილის, ინგლისურ და რუსულ ენებზე შესრულებული რეზიუმეებისა და დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის ვრცელი ჩამონათვლისაგან შედგება.

ნაშრომის პირველ თავში – „მესამე რომი“ და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფცია“ – ავტორი ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად იხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა „მესამე რომის“ იდეოლოგემა, რუსული „რევოლუციური მესიანიზმი“, ბოლშევიკთა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფცია, „ცივი ომი“ – რუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკის ქვაკუთხედი, და მესამე ინტერნაციონალი, როგორც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მომზადების მთავარი შტაბი. ისტორიულ კონტექსტში აქვეა განხილული რუსული აგრესიული საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ე.წ. „სტავლენიკების“ ინსტიტუტის ცნება და არსი. მართალია, ტერმინი „ცივი ომი“ პირველად მხოლოდ XX საუკუნის შუახანებში ჩნდება, მაგრამ ამ მეტად საინტერესო სამხედრო-პოლიტიკურ ფენომენს გაცილებით უფრო ღრმა ისტორია და ფესვები გააჩნია. ისტორიულადაც, განსაკუთრებით სრულად ამ ფენომენმა სწორედ რუსულ პოლიტიკურ სივრცეში ჰპოვა გამოხატულება. მართალია, ჩამოთვლილი პრობლემებიდან ზოგიერთის შესახებ მსჯელობა სხვა ქართველ ისტორიკოსთა კვლევებსა და ნაშრომებშიც გვხვდება, მაგრამ მათ მიერ საკითხები საბჭოთა ისტორიოგრაფიის გავლენითაა განხილული. პოლკოვნიკ არჩილ ჩაჩნიანის ნაშრომში კი ზემოხსენებული პრობლემების კვლევა თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მიღწევებისა და პრობლემების კრიტიკულად გააზრების ფონზე, ლოგიკური განსჯისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენით მიმდინარეობს.

ნაშრომის მეორე თავია „პანთურანიზმი და „აღმოსავლეთის ხალხთა“ საკითხი“. ამ თავში ავტორმა სრულყოფილად წარმოაჩინა პანთურქიზმისა და პანთურანიზმის გენეზისი, ამ მეტად საინტერესო კონცეფციების წარმოშობისა და შემდგომი განვითარების ისტორიული და სამხედრო-პოლიტიკური წინამძღვრები, გეოსტრატეგიული თვალსაზრისით იმდროინდელი რეგიონალური და გლობალური მასშტაბის მოვლენების ზეგავლენა ამ

მეტად საინტერესო ფენომენზე. ავტორის მიერ პანთურქიზმისა და პანთურანიზმის იდეოლოგია, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს ჩაისახა რუსეთის იმპერიაში და შემდეგ ოსმალთა იმპერიაშიც გავრცელდა, გლობალურად დაპირისპირებული მხარეების, „ანტანტისა“ და „ცენტრალური ბლოკის სახელმწიფოთა“, ანუ, „ოთხთა კავშირის“ იდეოლოგიური ჭიდილის ფონზეა წარმოდგენილი. „ახალგაზრდა თურქთა“ მმართველობის პერიოდში კი, პანთურანიზმი უკვე ოსმალთა იმპერიის სახელმწიფო იდეოლოგიად იქცა. აქ პანთურანიზმი დახასიათებულია როგორც იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის მიზანსაც ევრაზიის თურქული მოდემის ხალხების ყოველმხრივი ინტეგრაცია და ერთიანი თურქული სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა. ავტორის მიერ აქვეა განხილული ნაშრომის ცენტრალური საკითხიც – ე.წ. „აღმოსავლეთის ხალხთა“ საკითხი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონტექსტში. ფაქტი ისაა, რომ საკუთარი მიზნების განხორციელების გზაზე ბოლშევიკი ლიდერების მიერ „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ სცენარში, ევროპასთან ერთად აზიის დიდი ნაწილის ჩართვაც დაიგეგმა, „აღმოსავლეთად“ და „აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებად“ კი, კრემლის მესვეურები, უპირველეს ყოვლისა, ისლამურ ქვეყნებს და იქ მცხოვრებ ხალხებს მოიაზრებდნენ. ავტორმა მეტად საინტერესოდ დაუკავშირა ერთმანეთს პანთურანიზმისა და ბოლშევიკთა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეოლოგიები და ამ ფონზე შესანიშნავად წარმოაჩინა პანთურანიზმისა და ბოლშევიზმის საინტერესო ასპექტები.

ნაშრომის მესამე თავია – „**ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმას დასაწყისი**“. ამ თავში განხილულია პირველი მსოფლიო ომის დასრულება, მუდროსის ზავი და ოსმალთა იმპერიის კვდომის პროცესის დასაწყისი. განხილული და გაანალიზებულია ამ პროცესებთან დაკავშირებული მეტად საინტერესო მოვლენები – პოსტოსმალურ სივრცეში სხვადასხვა ტიპის საიდუმლო სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების აღმოცენებისა და ე.წ. „ეროვნული ისლამური საბჭოების“ შექმნის საკითხი. ამ მოვლენების ფონზე საინტერესოდაა წარმოდგენილი „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ (Ittihat ve Terakki) იტიჰადისტთა პარტიის ლიდერებისა და ოსმალთა იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის წევრების დაახლოების პროცესი საბჭოთა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. ოსმალთა მოღვაწეების ამ ჯგუფს იმპერიის ყოფილი სამხედრო მინისტრი და იმპერიის ფაქტობრივი მმართველი, გენერალი ისმაილ ენვერ ფაშა ედგა სათავეში. გაანალიზებულია ბოლშევიკებსა და იტიჰადისტებს შორის დაწყებული იმ ღრმად გასაიდუმლოებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების პოლიტიკური და იდეოლოგიური წანამძღვრები, რომელიც „აღმოსავლეთის ხალხთა რევოლუციური და ანტიიმპერიალისტური“

ბრძოლის მამოძრავებელი ძალა უნდა გამხდარიყო. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომინტერნის ეგიდით ბაქოში გამართული ე.წ. „აღმოსავლეთის ხალხთა“ I ყრილობის მასალების წარმოდგენა და მათი გაცნობაა, რაც ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ მკაცრად ტაბუდადებული თემა იყო. ფაქტი ისაა, რომ ყრილობის სტენოგრამები დიდი ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო კრემლისა და საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების სამსახურების მიერ. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან კრემლის იდეოლოგთა მიერ საქვეყნოდ დეკლარირებული „საბჭოთა მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის“ საპირისპიროდ, ამ ყრილობაზე ნათლად გამოიკვეთა ბოლშევიკთა ის აგრესიული ჩანაფიქრები და საომარი ტენდენციები, რომელიც კომინტერნს „მსოფლიო იმპერიალიზმთან“, და კერძოდ, აღმოსავლეთთან მიმართებაში ჰქონდა.

ნაშრომის მეოთხე თავი – **„ქემალისტურ-იტალიანისტური დაპირისპირება“** – ოსმალეთის სამხედრო და პოლიტიკურ ელიტაში მიმდინარე იმ ფარულ თუ აშკარა დაპირისპირებას ეძღვნება, რომელსაც უშუალოდ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი. ამ წინააღმდეგობას განსაზღვრავდა ორი პოლიტიკური მოღვაწის, ოსმალთა იმპერიის ყოფილი სამხედრო მინისტრის, გენერალ ისმაილ ენვერ ფაშასა და თურქ ნაციონალისტთა მიერ ანატოლიაში დაწყებული წინააღმდეგობის ახალი მოძრაობის ლიდერის, გენერალ მუსტაფა ქემალის დაპირისპირება, რასაც უნარიანად ხელმძღვანელობდნენ კრემლის მთავარი იდეოლოგები. კრემლში დაწერილი სცენარის მიხედვით ორივე ეს ოსმალთა ლიდერი „სტავლენიკებად“ და ახალი თურქული სახელმწიფოს ხელმძღვანელებად მზადდებოდნენ. დიდი სტრატეგიის თვალსაზრისით, ბოლშევიკებისათვის ეს იყო ძირითადი და სათადარიგო მოთამაშის თანაარსებობისა და მიზანშეწონილი მხარდაჭერის ტაქტიკა. მაგრამ 1921 წლის შემოდგომისათვის ანატოლიის საომარ მოქმედებათა თეატრზე მიმდინარე ბერძნულ-ქემალისტური სამხედრო კონფრონტაციის ფონზე, კრემლის საბოლოო გადაწყვეტილებით, ენვერ ფაშა ოსმალეთის გუშინდელ დღედ იქნა მიჩნეული, მუსტაფა ქემალი კი, „რევოლუციური“ თურქეთის ახალ ლიდერად და ოსმალეთის ხვალისდელ დღედ. ძალზე საინტერესოა აგრეთვე ავტორის მსჯელობა და დასკვნები ეროვნული საკითხის შესახებ ოსმალეთის იმპერიაში, სადაც ბევრი აქამდე უცნობი ფაქტია გამომზეურებული, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა წარმოდგენილი.

ნაშრომის მეხუთე თავი – **„შუაზიურ-ავღანური „თურქული მარში“** – ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე პირველი მეცნიერული გამოკვლევაა, რომელიც შუა აზიის ქვეყნების ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ეხება. წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ენვერ ფაშას სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობა შუა აზიაში და ბოლშევიკთა

მიერ შუა აზიის გასაბჭოება-ანექსიის ის მზაკვრული მეთოდოლოგია, რომელიც ოდნავ მოგვიანებით წარმატებით გამოიყენეს იგივე ბოლშევიკებმა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების დაპყრობის დროსაც. აქვე განხილული ანტირუსული და ანტიბოლშევიკური ბასმაჩური მოძრაობის წარმოშობისა და შემდგომი განვითარების პროცესები. წარმოდგენილია დიდი გეოსტრატეგიული დილემა – აზიის ფლობისათვის მიმდინარე რუსულ-ბრიტანული დაპირისპირება „დიდ თამაშში“ და ბოლშევიკთა მიერ მკაცრად გასაიდუმლოებული კიდევ ერთი სამხედრო-პოლიტიკური ენიგმა – ავღანეთის საკითხი, როგორც კომინტერნის ეგიდით დაგეგმილი „რევოლუციური“ შეჭრის პლაცდარმი ინდოეთში. ამ რთული მოზაიკური პანოს წარმოდგენისას განხილულია იტიჰადისტთა პარტიისა და ოსმალთა მმართველი ტრიუმვირატის კიდევ ერთი წევრის, სირიის ყოფილი გენერალ-გუბერნატორისა და იმპერიის სამხედრო-საზღვაო მინისტრის, გენერალ აჰმედ ჯემალ ფაშას როლი „დიდ თამაშში“ და საბოლოოდ, მისი მკვლელობის ამბავი თბილისში – ბოლშევიკთა „რევოლუციური“ გეგმების მარცხი ავღანეთსა და ინდოეთში.

ნაშრომის მეექვსე თავში – „**ბასმაჩთა ლიდერი**“ – ავტორი საინტერესო და ქართველი მკითხველისათვის აქამდე უცნობ საარქივო და მემუარულ წყაროებზე დაყრდნობით აღწერს ენვერ ფაშას, ამ „მარადიული მეომრის“ მოღვაწეობას შუა აზიაში, 1920-1922 წლებისათვის აქ არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას – საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პროცესს ცენტრალურ აზიაში და რეგიონში გატარებულ იმ რეპრესიულ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოური სპეცსამსახურები და წითელი არმია აწარმოებდა. განხილულია თურქესტანის ბასმაჩური მოძრაობის ჩასახვისა და შემდომი გენეზისის პროცესი, საბჭოთა ხელისუფლების დაუნდობელი ბრძოლა ბასმაჩთა წინააღმდეგ ცენტრალურ აზიაში და ენვერ ფაშას ხელმძღვანელობით „დიდი თურანის“ შექმნის მიზნით წარმოებული საომარი მოქმედებები. ამავე თავში, სამხედრო ხელოვნების კუთხით, ძალზე საინტერესოაა წარმოდგენილი ბოლშევიკთა სამხედრო-პოლიტიკური ლიდერების მიერ შემუშავებული და „მუშურ-გლეხური წითელი არმიის“ შენაერთების მიერ ცენტრალური აზიის საომარ მოქმედებათა თეატრზე გატარებული ზოგადი სამხედრო სტრატეგიები. ჩატარებულია დაპირისპირებულ მხარეთა საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკური ანალიზი.

მეტად საინტერესოაა დაწერილი ნაშრომის დასკვნითი ნაწილიც, სადაც ავტორის მიერ მონოგრაფიაში წამოჭრილი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური საკითხები ახლებურ რაკურსშია წარმოდგენილი, განხილული მოვლენები და პრობლემატიკა კი, კარგადაა განზოგადებული და გარკვეული ისტორიული პარალელებიცაა გავლენიანი დღევანდელ რეალობასთან.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიის დოქტორის, პოლკოვნიკ არჩილ ჩაჩხიანის ფუნდამენტური მონოგრაფიული ნაშრომი – „რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტალიანური ენიგმა (1920-1922)“ – ახალი სიტყვაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი სამაგიდო წიგნი გახდება არა მხოლოდ პროფესიონალი ისტორიკოსებისა და პოლიტიკური და სამხედრო ისტორიის მკვლევართათვის, არამედ საერთოდ, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ პოლკოვნიკ არჩილ ჩაჩხიანის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის გამოქვეყნება ქართულ ისტორიოგრაფიაში ბიძგს მისცემს ახალი პრობლემების კვლევის დაწყებას.

ვახტანგ გურული

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

თავი I

„მესამე რომი“ და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფცია

„...ბიზანტიის დაცემამ და მოსკოვის სამეფოს აღზევებამ დაარწმუნა რუსი ხალხი თავისი ზეციური მისიის არსში. ჩვენი ეროვნული თვითგამონათვის მწვერვალი „მოსკოვი მესამე რომია“-ს კონცეფცია გახდა... მსოფლიოში ჭეშმარიტად მართლმადიდებელ სახელმწიფოს მოსკოვის სამეფო წარმოადგენდა. რუსეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც სუფთად და ხელუხლებლად იყო შენარჩუნებული ჭეშმარიტი სარწმუნოება. არსებითად ეს იყო რელიგიური და ნაციონალური გამორჩეულობის გააზრება. ნებისმიერი უცხოელი, ურჯულო თუ ლათინურენოვანი, მოსკო-ველთა მიერ დაბალი რანგის არსებად განიხილებოდა ველიკოროსებთან შედარებით... მოსკოვის სამეფოს არსებობის პერიოდში ყველაზე უფრო მკაფიოდ იყო გამოხატული რუსული ეროვნული თვითშეგნების მესიანური ხასიათი...“

იაროსლავ ბუტაკოვი. 2006 წელი.

§1.1. „მესამე რომის“ იდეოლოგია

მხოლოდ სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი ყოფა არ არის ზოგადად ერის ყოფიერების განმსაზღვრელი ნიშანი, მაგრამ ყოველი ერისათვის ბუნებრივია სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოს შექმნის, განმტკიცებისა და გაძლიერებისაკენ. ეს ნებისმიერი ერის საღი ინსტინქტია და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი ყოფა ერის ნორმალურ ყოფად უნდა ჩაითვალოს. სახელმწიფოებრიობის დაკარგვა კი ერისათვის უდიდესი ტკივილი და ტრაგედიაა. მცირე და სუსტი ერებისათვის ეროვნული საკითხი არის საკითხი განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისა, საკითხი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის, შენარჩუნებისა და გაძლიერებისა.¹

დიდი ერები, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი მისია, ცდილობენ, შექმნან დიდი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ეროვნული ყოფიერების საზღვრებიდან გადიან. დიდი და ძლიერი ერებისათვის ეროვნული საკითხი არის საკითხი მსოფლიო მისიისა, ანუ იმპერიალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და გაფართოების საკითხი. ამ პროცესის ლოგიკური გზა და შედეგი კი ომია, რომელიც ზესახელმწიფოების იმპერიული ამბიციების დაკანონებას ემსახურება. ამავე დროს მიმდინარეობს ბრძოლა დიდი იმპერიალისტური გაერთიანებებისაკენ, დიდი ისტორიული წარმონაქმნების შექმნისაკენ. მამასადამე, ერის ძლევამოსილების გარკვეულ საფეხურზე დიდი ერების ეროვნული ცნობიერება იმპერიალისტურ ცნობიერებაში გადაიზრდება. მაგრამ ეროვნული ცნობიერების უმაღლეს მწვერვალს მესიანური ცნობიერება წარმოადგენს. ამავე დროს „მესიანიზმი ხალხის შემოქმედებული ცნობიერება“² – აღნიშნავდა თავის დროზე დიდი რუსი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, ნიკოლაი ბერდიაევი.³ მესიანიზმიდან ზვარაკად შეწირვამდე კი ერთი ნაბიჯია, ნაბიჯი, რომლის გადადგმითაც წყდება ამა თუ იმ დიდი თუ მცირე იმპერიის არსებობა-არარსებობის საკითხი. ბერდიაევი აქვე იძლევა განსხვავებას რუსულ და „კლასიკურ“, ებრაულ მესიანიზმებს შორის: „მესიანიზმის რელიგიური ფესვები ებრაელი ხალხის მესიანისტურ შეგნებაშია, რომლის მიხედვითაც იგია ღვთის რჩეული ერი, სადაც უნდა იშვას მესია, ყოველი ბოროტების დამთრგუნველი, ისრაელის ნეტარი სამეფოს შემქმნელი. ძველებრაული მესიანიზმი განსაკუთრებულია... მაგრამ რუსულ ცნობიერებაში მოხდა ქრისტიანული მესიანიზმისა

¹ არჩილ ჩაჩხანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გამომცემლობა არადანი. ISBN 999928-72-48-9. თბილისი. 2007. გვ. 7.

² ნ. ბერდიაევი. ერი და კაცობრიობა. თბილისი. „ლომისი“. 1993. გვ. 82.

³ ნიკოლაი ალექსანდროვიჩ ბერდიაევი (1874-1948) – ცნობილი რუსი და უკრაინელი რელიგიური და პოლიტიკური ფილოსოფოსი, ლიტერატორი და პუბლიცისტი, ეგზისტენციალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ სწავლობდა კიევის კადეტთა კორპუსში. მეექვსე კლასში ტოვებს სასწავლებელს და აბარებს მისაღებ გამოცდებს კიევის უნივერსიტეტის ჯერ საბუნებისმეტყველო, შემდეგ კი იურიდიულ ფაკულტეტზე. 1897 წელს სტუდენტურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისა და არეულობის მოწყობის გამო რიცხავენ უნივერსიტეტიდან, აპატიმრებენ და ასახლებენ ვოლოგდის გუბერნიაში. 1899 წელს ერთ-ერთ მარქსისტულ ჟურნალში მისი პირველი სტატია იბეჭდება. 1901 წლიდან სხვა თანამოაზრეებთან ერთად გამოდის რევოლუციური ინტელიგენციის მსოფლმხედველობის კრიტიკით. 1903-1904 წლებში მონაწილეობს „გათავისუფლების ჯგუფის“ ორგანიზებაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აცალიბებს „სულიერი კულტურის თავისუფალ აკადემიას“, რომელმაც სამი წელი იარსება. ამ პერიოდში კრიტიკით გამოდიოდა საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკთა მიერ გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ. მის მიერ დაბეჭდილი ანტიბოლშევიკური პუბლიკაციებისა და სტატიების გამო მოკლე დროში ორჯერ დააპატიმრეს, 1922 წლის 29 სექტემბერს კი საბჭოთა ხელისუფლებამ სამუდამოდ გააძევა რუსეთიდან. თავდაპირველად ცხოვრობდა ბერლინში, სადაც შემოქმედებითი კავშირები დაამყარა ევროპის მოწინავე ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლებთან. 1924 წელს საცხოვრებლად გადადის პარიზში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. პარიზში ცხოვრების პერიოდში ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1942-1948 წლებში შვიდჯერ იყო ნომინირებული ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში. გარდაიცვალა გულის უკმარისობით 1948 წელს, პარიზთან ახლოს.

და ებრაული მესიანიზმის შერევა, რომელმაც ნაციონალიზმის საფეხურს გადააბიჯა... ვფიქრობ, რომ რუსეთში, რუს ხალხში არის ზღვარგადასული ნაციონალიზმი და ებრაული მესიანიზმი, მაგრამ ამავე დროს არის ჭეშმარიტად ქრისტიანული, მსხვერპლის გამღები მესიანიზმი...“

რუსულ მესიანიზმსა და კაცობრიობისათვის მსხვერპლად შეწირვას შორის ბერდიაევი ტოლობის ნიშანსაც სვამს: „მესიანიზმი, რომელიც ყოველგვარი ნაციონალიზმის უარყოფაში გადადის, მოითხოვს, რომ რუსი ხალხი მსხვერპლად შეეწიროს სხვა ხალხების სამსახურს, რომ რუსმა ხალხმა თან მოიტანოს ყოველადამიანის (Всеchеловека – ა. ჩ.) სახება... და ეს მოვლენა რუსულია, ნაციონალურია, მის უკან კი ყოველადამიანის სახება დგას, რომელიც უნდა განვასხვავოთ კოსმოპოლიტის სახებისაგან“.⁴

მესიანიზმს ღრმა ფესვები აქვს გადგმული რუსეთის ისტორიაში. ყოველი იმპერია ძალმომრეობის უშუალო პროდუქტია და იგი გარემომცველ ხალხებთან შეტაკებებში, მუხობელ თუ შორეულ სახელმწიფოებთან ჭიდილსა და გამარჯვებებში იბადება. ასე შეიქმნა რუსეთის იმპერიაც.⁵

ისტორიული დოკუმენტების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა ისეთი წარმოდგენა, თითქოს XI-XVI საუკუნეების რუსეთი სიმართლეზე (Правда) დაფუძნებულ სამეფოს წარმოადგენდა. „ძველ დროში რუსმა ხალხმა თავისი სიმართლე იპოვა. ეს იყო რუსეთი. და ეს სიმართლე იმდროინდელმა მთელმა რუსმა ხალხმა შეითვისა განურჩევლად იმისა, მალალ ფენას წარმოადგენდა იგი თუ უბრალო ხალხს... რუსი ხალხის სული ერთიანი იყო... მათი მსოფლმხედველობა რუსეთი იყო... წმინდა რუსეთი არც ლეგენდაა და არც მეტაფორა...“⁶ სიმართლის (Правда) გაგება რუსი ხალხისათვის მიწიერ ცხოვრებაში ქრისტიანული ეთიკის ნორმებისა და ღირებულებების გატარება იყო, ხოლო ქრისტიანულ სიმართლესა (სოციალური მოწყობის იდეალური მოდელი) და სოციალურ ემპირიკას შორის შემაერთებელ რგოლს – მეფე (Царь) წარმოადგენდა.

იმპერია რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენია. როგორც წესი, ისინი არ იქმნებიან ერთბაშად და ერთი ხელის დაკვრით. რუსეთის იმპერიულობასაც საფუძველი გაცილებით ადრე ჩაეყარა. იმპერიული იდეოლოგემა – იდეა მართლმადიდებლური სამეფოს შექმნისა, მოსკოვის დიდმა მთავარმა ივანე III-მ (1456-1505 წწ.) დაცემული ბიზანტიისაგან იმემკვიდრა. რუსეთმა ბიზანტიის გერბის, ორთავიანი არწივის – ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმფონიის სიმბოლოს რუსეთში გადმოტანით თავი კონსტანტინოპოლის მემკვიდრედ გამოაცხადა და მესამე რომის ფუნქცია იტვირთა. იდეა – „მოსკოვი მესამე რომია“ არა მხოლოდ იდეოლოგიურ საფუძველად, არამედ თვით რუსული სახელმწიფოებრიობის არსებობის აზრადაც იქცა.⁷ ხოლო ქვეყნიერების აღმოსავლეთ-დასავლეთით მზირალი იგივე ფრთოსანი მუტანტის ყოველდამპყრობელური იდეის გამეორება ჯერ კიდევ X საუკუნეში სცადა სელჯუკიანთა თურქულმა იმპერიამ, როცა საკუთარი აგრესიული ექსპანსიური პოლიტიკის გზამკვლევად ისლამი და ორთავიანი არწივის შტანდარტი წაიმძვარა წინ.

ეს ისტორია არ დასრულებულა, მან დღევანდელ რუსეთში გადმონაცვლა. „მესამე რომისა“ და რუსული მესიანიზმის ეს იდეოლოგემა ისევ ცოცხალია. დღესაც ხომ რუსული და პანსლავისტური იმპერიული მესიანიზმის სული ბობოქრობს იქ და

⁴ Николай Бердяев. Судьба России. Проблема национальности. Национализм и мессианизм. 1918. http://krotov.info/library/02_b/berdyaev/1918_15_11.html.

⁵ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 112.

⁶ Муравьев В. Н. Рев племени/ В. Н. Муравьев// Из глубины. – М.: Правда, 1991. Стр. 402-403.

⁷ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 108.

ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეს მზირალი იგივე ფრთაგაშლილი ორთავიანი მონსტრი გამოხატავს რუსული ყოვლადმპყრობელობის იგივე დიად იდეას.⁸ მაგრამ ამჯერად არ ვაპირებთ რუსული ექსპანსიონიზმის პრობლემების სიღრმისეულ კვლევას. ეს საკითხები კარგად აქვს განხილული პროფესორ ვანტანგ გურულს თავისი აკადემიური დონის ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებში, პროფესორ ოთარ ჯანელიძეს სტატიაში „ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან“, ასევე სხვა ქართველ ავტორებს. რაც შეეხება „მესამე რომის“ იდეოლოგიის განხილვას, მას გავაგრძელებთ.

სწორედ ვლადიმირისა და მოსკოვის დიდი მთავრის, ივანე III-ის ძისა და ივანე IV მრისხანის მამის, ვასილი III-ის მმართველობის პერიოდს უკავშირდება ერთი მნიშვნელოვანი და ისტორიკოსებისათვის კარგად ცნობილი რუსული მანუსკრიპტი. ესაა 1515-1521 წლებში ფსკოვის სპასო-ელეაზარის მონასტრის ბერის, უხუცეს ფილოფეის წერილი დიდ მთავარ ვასილი III-თან, რომელშიც „მესამე რომზეა“ მსჯელობა. ამ წერილის მთავარი არსი ისაა, რომ რომაულ სამეფოს ამიერიდან წარმოადგენს რუსი ხელმწიფის სამეფო და ეს სამეფო მთელი მსოფლიოა. „ორი რომი დაეცა, მესამე დგას და მეოთხე რომი აღარ იქნება“, ანუ – „პირველი რომი იყო რომი, მეორე რომი – კონსტანტინოპოლი, მესამე რომი მოსკოვია, და მეოთხე რომი აღარ იქნება“. პავლე მოციქულის მიხედვით კი, „რომი – მთელი მსოფლიოა“: – Да веси, христороубче и боголюбче, яко вся христьянская царства приидоша в конец и снидошася во едино царство нашего государя, по пророческим книгам, то есть Ромейское царство: два убо Рима падоша, а третий стоит, а четвертому не быти. Многажды и апостоль Павел поминает Рима в посланиих, в толкованиих глаголет: „Рим – весь мир“.⁹

რუსი მეცნიერების, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლების, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორების, ლიდია ნოვიკოვასა და ირინა სიზემსკაიას შეფასებით, ამ მიმართვაში ფილოფეის მიერ ორი ფუნდამენტალური იდეა იყო გამოხატული, რომელიც ზუსტად ესადაგებოდა იმდროინდელ პოლიტიკურ რეალებს:

1. რუსი ერის ღვთისრჩეულობა, რომელზეც გადმოვიდა ღვთის მადლი; და
2. ბიზანტიისა და რუსეთის სამეფოების მემკვიდრეობითობა.¹⁰

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ რომის საღვთო იმპერიის იმპერატორთან, მაქსიმილიან I-თან 1514 წელს დადებულ ხელშეკრულებაში მოსკოვიტი მთავარი, ვასილი III პირველად იწოდა „Царь“-ად. თუმცა ფორმალურად ეს ტიტული უკვე ვასილი III-ის ძის, ივანე IV მრისხანის მეფობიდან დამკვიდრდა რუსულ ისტორიო-გრაფიაში. უფრო საინტერესო კი ისაა, რომ მოსკოვის რუსეთმა ბიზანტიისაგან მართლმადიდებლური სამყაროს წინამძღოლის როლი 1589 წლამდე, ე.ი. რუსული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მიღებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე იტვირთა, მას შემდეგ რაც მოსკოვის მიტროპოლიტი პატრიარქის რანგში იქნა აყვანილი და მას მოსკოვის ეკლესიის წინამძღოლის როლი დაეკისრა.¹¹ ნიშანდობლივია, რომ, მიუხედავად ავტოკეფალიის ფორმალური მოპოვებისა, მოსკოვის ეკლესიას ამ დროისათვის საეპისკოპოსო მმართველობის მთავარი ორგანო – სინოდი არ გააჩნდა. რუსული ეკლესიის სინამდვილეში იგი მხოლოდ 120 წლის შემდეგ, 1701 წლიდან ჩნდება.

⁸ არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გამოცემლობა არადანი. ISBN 999928-72-48-9. თბილისი. 2007. გვ. 486.

⁹ Резников Кирилл Юрьевич. Филофей, старец. Послание старца Филофея великому князю Василию. Памятники литературы Древней Руси: Конец XV - первая половина XVI века. Т. 6. М.: Худож. Лит., 1984. Стр. 441.

¹⁰ Лидия Новикова. Ирина Сиземская. Идеи мессианизма в русской философии и истории. Российская цивилизация. 1995. Стр. 70. http://ecsocman.hse.ru/data/310/863/1216/006_Novikova.pdf.

¹¹ Протоиерей Владислав Цыпин. Церковное право. Высшее управление Русской Церкви до конца XVII века. Русская Церковь как часть Константинопольского Патриархата. <http://www.sedmitza.ru/lib/text/432410/>.

თუმცა მესიანიზმს მტკიცება და დასაბუთება არ სჭირდება. ამისათვის მესიანური იდეის აღქმა, დაჯერება და მისი განსაკუთრებულობის უპირობო რწმენაა საჭირო, რაც რუსულ სახელმწიფოებრიობას საკმარისზე მეტი ჰქონდა წარსულშიც და საკმარისზე მეტი აქვს ახლაც. რუსული ყოვლადმპყრობელური სული და განწყობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის პირველი მეფის ივანე IV მრისხანის დროიდან გაცხადდა, როცა რეგალიებში ის იწოდებოდა აგრეთვე, როგორც „Царь Иверийский“ (Sic!).¹² რუსეთის სამეფოს უმაღლესი თვითმპყრობლის აღმნიშვნელი სიტყვის „Царь“ ეტიმოლოგია კი, რომის იმპერიის უმაღლესი მმართველის, კეისრის (Caesar) რუსიფიკატორული ვარიანტია. ამ ტიტულს ატარებდნენ რუსეთის სამეფოს მმართველი „სამოდერჯავეცები“ ივანე IV მრისხანეს დროიდან...

„მოსკოვი მესამე რომიას“ იდეოლოგიას თავის პირვანდელ ვარიანტში სრულიად განსაზღვრული თეოლოგიური აზრი ჰქონდა... მაგრამ ძალიან მალე მოსკოველმა მეფეებმა ფილოფეის სიტყვებში რაღაც უფრო ღიადი დაინახეს: მოსკოვის ახალი რელიგიური სტატუსი მას მთელი ქრისტიანული სამყაროს პოლიტიკურ ცენტრად აქცევდა.¹³

თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ მოვლენების შემდგომ განვითარებას, რუსეთმა ერთი დიდი ნაბიჯი მაშინ გადადგა, როცა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ თავი „მესამე რომად“ და მართლმადიდებლობის ბურჯად გამოაცხადა.¹⁴

XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებული კი, ველიკოროსებს უკვე ღვთის რჩეული ერისა და მართლმადიდებლურ სამყაროში ბატონობის ამბიციები გაუჩნდათ. აქ წინა პლანზე უკვე ღვთისმეტყველების ხილიასტური¹⁵ მსოფლმხედველობა გამოდის. რუსული მესიანიზმის კონცეფციით, რუსეთს მსოფლიოში განსაკუთრებული ამოცანა აკისრია. იგი უნდა იქცეს ქრისტიან ხალხთა სამყაროეული ძმობის „მიწიერ სამეფოდ“. რუსეთის მეფე წარმოგვესახება ღვთის რჩეულ მმართველად, რომელიც თავს ყოველთა ქრისტიანთა ხელმწიფედ მიიჩნევს და მიზნად ისახავს მსოფლიოს ქრისტიანი ხალხების გაერთიანებას, სამყაროს სხვა ბინადართა მონათვლას, – აღნიშნავს ინგლისელი მკვლევარი პ. დანკინი წიგნში „რუსული მესიანობა: მესამე რომი, რევოლუცია, კომუნიზმი და სხვა“.¹⁶

თანამედროვე რუსი ისტორიკოსი და პოლიტიკური ექსპერტი (ასეთია მისი ოფიციალური რეგალიები), იაროსლავ ბუტაკოვი კი თავის ნაშრომში „Священная миссия России“, ასე წარმოგვიდგენს ველიკოროსების „ზეციური დანიშნულების“ იდეას: „უკანასკნელი სამი ასეული წლის განმავლობაში, იდეის ძიების გზაზე ხან დასავლეთისაკენ, ხან აღმოსავლეთისაკენ თავიანთი ჩლუნგი თავების ტრიალში, რუსულმა ინტელიგენციამ დავიწყებას მისცა რუსული ნაციონალური სულის უდიდესი აღმადგენის ხანა... პეტრეს შემდგომი პერიოდის საზოგადოების მხოლოდ ზოგიერთმა წარმომადგენელმა, ისეთები, როგორც იყვნენ სლავოფილები, შეძლეს დაენახათ მოსკოვის რუსეთსა და „მესამე რომის“ ცნებაში ჩვენი ერის იდეური შემოქმედების მწვერვალი...“

¹² აკ. ბაქრაძე. რწმენა. „მერანი“. თბილისი. 1990 წ. გვ. 47.

¹³ Лидия Новикова. Ирина Сиземская. Идеи мессианизма в русской философии и истории. Российская цивилизация. 1995. Стр. 70. http://ecsocman.hse.ru/data/310/863/1216/006_Novikova.pdf.

¹⁴ Резников Кирилл Юрьевич. Гольдберг А.Л. К предистории идеи „Москва - Третий Рим“ // Культурное наследие Древней Руси (Истоки. Становление. Традиции). М.: Наука, 1976. Стр. 113.

¹⁵ ხილიაზმი (იგივე მილენარიზმი) – საღვთისმეტყველო თეორიაა, რომელიც დედამიწაზე ათასწლოვანი მეფობის მოლოდინს ქადაგებს, როდესაც იესო ქრისტე და ქრისტიანები მსოფლიოს მმართველები იქნებიან. იგი ნეტარების საუფლოა, რომელიც ზოგჯერ მომდევნო ეტაპზე გადასასვლელ გარდამავალ მდგომარეობად, ხანდახან კი აბსოლუტურ ნეტარებად მიიჩნევა. როგორც ხილიაზმის მიმდევრები თვლიან, ათასწლოვანი მეფობის შემდეგ დადგება დიდი განკითხვის დღე, ისტორიის დასასრული და ახალი მუდმივი მდგომარეობა ახალ მიწაზე, ახალი ზეცის ქვეშ.

¹⁶ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 108.

ჩვენ, ველიკოროსები უნდა ვამაყობდეთ ჩვენი შუა საუკუნეების ისტორიით. მოსკოვის სახელმწიფომ, რომელიც XIV საუკუნის შუახანებში პატარა სამთავროს წარმოადგენდა, სამი საუკუნის შემდეგ ხმელეთის 1/6 დაიკავა. გლობალური მასშტაბებით ამ მცირე ხანში მოსკოვის რუსეთმა საბოლოოდ დაამარცხა სტეპის ბარბაროსები, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში აონრებდნენ სლავებს, რითაც თავისდა სასარგებლოდ გადაწყვიტა მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი გეოპოლიტიკური დავა. მაგრამ არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ ძლიერებაში გამოიხატებოდა ძველი მოსკოვის დიდება. მოსკოვის რუსეთმა მკაფიოდ და მყარად გაიანჭრა თავისი ზეციური დანიშნულება – ყოფილიყო ჭეშმარიტი სარწმუნოების დამცველი დედამიწაზე. რუსეთს წმინდად სჯეროდა, რომ იგი ღვთისგან რჩეული ერი იყო...

ბიზანტიის დაცემამ და მოსკოვის სამეფოს აღზევებამ დაარწმუნა რუსი ხალხი თავისი ზეციური მისიის არსში. ჩვენი ეროვნული თვითგამოხატვის მწვერვალი „მოსკოვი მესამე რომია“-ს კონცეფცია გახდა... მსოფლიოში ჭეშმარიტად მართლმადიდებელ სახელმწიფოს მოსკოვის სამეფო წარმოადგენდა. რუსეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც სუფთად და ხელუხლებლად იყო შენარჩუნებული ჭეშმარიტი სარწმუნოება. არსებითად ეს იყო რელიგიური და ნაციონალური გამორჩეულობის გააზრება. ნებისმიერი უცხოელი, ურჯულო თუ ლათინურენოვანი, მოსკოველთა მიერ დაბალი რანგის არსებად განიხილებოდა ველიკოროსებთან შედარებით... მოსკოვის სამეფოს არსებობის პერიოდში ყველაზე უფრო მკაფიოდ იყო გამოხატული რუსული ეროვნული თვითშეგნების მესიანური ხასიათი...¹⁷ კომენტარების გაკეთება ზედმეტად მიგვაჩნია, იმდენად ცხადადაა წარმოდგენილი ამ „ჭეშმარიტად მართლმადიდებელი“ ველიკოროსის იმპერიული და მესიანური ფილოსოფია.

რუსი ერის ღვთისრჩეულობის კონცეფცია უცებ არ გაჩენილა. მან, ძველი დროიდან მოყოლებული, თანდათანობით დაიმკვიდრა ადგილი რუსულ ცნობიერებაში. უფრო მეტიც, მალე თავად მაცხოვარი, იესო ქრისტეც კი რუსი ერის ცნებასთან გაიგივდა. 1912 წლისათვის ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და სამართალმცოდნე, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ევგენი ტრუბეტკოი წერდა: „ცნობილ ხალხურ გადმოცემაში ქრისტეს საუბარი სამართლებელ ქალთან ასე არის გადმოცემული: „სამართლებელი ქალი ეუბნება მას: როგორ მოგაწვდი წყალს, როცა შენ ებრაელი ხარ; ქრისტე კი ასე პასუხობს: ცრუობ, მე სუფთა რუსი ვარ“. ეს თქმულება ყოველთვის შემწყნარებლურ ღიმილს იწვევს ბნელი, გაუნათლებელი უბრალო ხალხის მისამართით. ამავე დროს იგი იმ ნაციონალურ-მესიანისტური ფსიქოლოგიის მთელ არსს გამოხატავს, რაც შეიძლება უფრო მეტადაც კი იტაცებდა განათლებულ და კულტურულ ადამიანებს“.¹⁸

პირველი ნაბიჯი რუსეთის იმპერიის ჩამოყალიბების გზაზე მოსკოვის სამთავროს მიერ ყაზანის სახანოს დაპყრობა იყო 1552 წელს. მას მოჰყვა ჯერ ვოლგისპირეთისა და შემდეგ ციმბირის კოლონიზაცია, რამაც მოსკოვის დიდი სამთავრო პოლიეთნიკურ რუსეთის სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა. XVII საუკუნის შუა ხანებში რუსეთის კონტროლსა და გავლენას დაექვემდებარა უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი კიევითურთ. აღმოსავლეთის მიმართულებით რუსმა პირველმკვლევარებმა წყნარ ოკეანემდე მიაღწიეს და ალიასკის ათვისებასაც შეუდგნენ... XVIII პირველ მეოთხედში, ჩრდილოეთის ხანგრძლივ ომში წარმატებამ რუსეთს შესაძლებლობა მისცა, დაუფლებოდა ბალტიისპირეთს, მომდევნო პერიოდში კი ყირიმსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს. იმპერიის შემადგენლობაში მოექცა ევროპის ვრცელი ტერიტორიები, რომლებიც ადრე რეჩ

¹⁷ Ярослав Бутаков. Кандидат исторических наук, политический эксперт, публицист. Священная миссия России. <http://www.nationalism.org/rnsp/Nacia/Butakov1.htm>.

¹⁸ Е. Н. Трубеткой. Старый и новый национальный мессианизм. 1912. <http://folklorus.narod.ru/library/articles/trubetskoy1.html>.

პოსპოლიტასა და ოსმალეთის სულთანს ექვემდებარებოდა. ლომის წილი მიიღო რუსეთმა პოლონეთის სამეზის დანაწილებითაც.¹⁹

რუსეთის სახელმწიფოს იმპერიული წელთაღრიცხვა ოფიციალურად 1721 წლიდან იწყება. ამ წელს ჩრდილოეთის ომში გამარჯვების შემდეგ, პეტრე I-მა რუსული „Царь“-ის ტიტული უარყო და დასავლური იმპერატორის სტატუსი მიიღო. იგი რომანოვების დინასტიის უკანასკნელი მეფე და რუსეთის პირველი იმპერატორი გახდა. რუსეთიც იმპერიად იწოდა. მართლმადიდებლური იმპერიული იდეის განმსაზღვრელ ღერძად ამიერიდან ქრისტიანთა ძმობის, მართლმადიდებლური აღმსარებლობის ხალხთა ხსნისა და დაცვის იდეოლოგია გახდა. სწორედ ეს იდეოლოგია ეწინააღმდეგა რუსეთს, რომლის თანახმადაც, ახალი მიწების საკუთარ სახელმწიფოში მოქცევა მართლმადიდებელი სამყაროს საზღვრების გაფართოებასა და მართლმადიდებელი ხალხის რაოდენობრივ ზრდას ნიშნავდა.

პეტრე I არ იყო ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი. მას კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ მოსკოვის რუსეთის მიერ გაცხადებული დოქტრინის – „მოსკოვი – მესამე რომი, მეოთხე აღარ იქნება“ – მხოლოდ პოლიტიკური (უფრო ზუსტად, სამხედრო-პოლიტიკური) ასპექტი აინტერესებდა.²⁰

ამ მომენტიდან დაწყებული იმპერიის ესქატოლოგიურ²¹ მართლმადიდებლურ იდეას ეტატიზმი²² ჩაენაცვლა, ხოლო რელიგიური და სახელმწიფოებრივი პარადიგმები ერთმანეთს შეერწყა. იმპერიულობის სახელმწიფოებრივი გაგება სულ სხვა პრინციპებს, პირველ რიგში, გეოსტრატეგიულ მიზნებსა და ინტერესებს დაეფუძნა. სარწმუნოებრივმა მოტივმა კი უკანა პლანზე გადაინაცვლა და მართლმადიდებლობა იმპერიულობის ერთადერთი საფუძვლიდან მის ერთ-ერთ ნაწილად იქცა. თუ თავიდან რუსეთის სახელმწიფოებრივი ძლიერება მართლმადიდებლურ გავლენას უკავშირდებოდა, შემდგომ პერიოდში მართლმადიდებლობა სახელმწიფოს ძლიერებაში ჰპოვებდა გამოხატულებას. სახელმწიფო თანდათან საკრალიზებული, ხოლო რუსობა, ეთნიკურის ნაცვლად, სახელმწიფოებრივი მახასიათებელი ხდებოდა.²³

ზუსტად აღნიშნავს პროფესორი ვახტანგ გურული: „პეტრე I-მა რუსული სახელმწიფოებრიობა დაამკვიდრა, ამ სიტყვის ფართო გაგებით. განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების რეორგანიზაცია, მოწესრიგდა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, მკაცრად განისაზღვრა ყველა სახელმწიფო უწყების კომპეტენცია, დაკანონდა სახელმწიფო მოხელეთა შერჩევის კრიტერიუმები, მოწესრიგდა საგადასახადო სისტემა და სახელმწიფო ხაზინა უმკაცრეს კონტროლს დაექვემდებარა, შეიქმნა ძლიერი

¹⁹ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 108. გვ. 113.

²⁰ ვახტანგ გურული. საქართველო და რუსეთი (მფარველობიდან ანექსიამდე). თბილისი. 2009. გვ. 23.

²¹ ესქატოლოგია – მსოფლმხედველობისა და ღვთისმეტყველების ნაწილია. ესაა მოძღვრება კაცობრიობის უკანასკნელ მოვლენაზე, ცივილიზაციის დასასრულზე. მისტიკურ მოძღვრებებში ესქატოლოგია აღნიშნავს ორდინარული რეალობის დასასრულსა და ღმერთთან შეერთებას. ტრადიციულ რელიგიურ სისტემათა ესქატოლოგიაში განხილულია უკანასკნელი მოვლენები, რომლებიც ნაწინასწარმეტყველებია წმინდა წერილებში და საკრალურ ტექსტებში: მესიის მოსვლა, დიდი სამსჯავრო, ჯოჯოხეთი და სამთხე. ესქატოლოგია მსოფლიოს ყველა ცივილიზაციის რელიგიურ სისტემათა განუყოფელი ნაწილია, სადაც ოდითგანვე არსებობდა ერთმანეთის მსგავსი მოძღვრება უკანასკნელ, დამამთავრებელ მოვლენაზე, რაც ამკარად მიუთითებს ერთ პრეისტორიულ წყაროზე.

²² ეტატიზმი – მსოფლმხედველობა და იდეოლოგია, რომელიც აწესებს სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და ხედვის პრიმატს. ესაა სახელმწიფოს აბსოლუტუზირების იდეა საზოგადოებაში, სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, სამეცნიერო და სხვა საქმიანობაში. ეტატიზმი საზოგადოების პოლიტიზირების ერთ-ერთი გამოვლინებაა, როდესაც პოლიტიკა რაციონალური ურთიერთქმედების ზღვარს სცდება და ცდილობს განსაზღვროს საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეული სფეროს ფუნქციონირება, რის შედეგადაც ზღუდავს და აფერხებს მას. ეტატიზმი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც უმაღლეს ინსტიტუტს, რომელიც ყველა სხვა ინსტიტუტზე უფრო მაღლა დგას.

²³ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ.109. Андреас Каппелер. Россия-многонациональная империя. Возникновение. История. Распад. Пер. с нем. С. Червонной. - Москва : Прогресс-Традиция. 2000.

არმია და სამხედრო ფლოტი, დიდი ყურადღება მიექცა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. რუსეთი აზიური სამყაროდან ევროპული სამყაროსკენ დაიძრა, მაგრამ რუსეთის ევროპეიზაცია ვერ შედგა. პეტრე I უმკაცრესი მეთოდებით ცდილობდა რუსული სამყაროს ევროპულ სამყაროდ გადაქცევას. გაირკვა სავალალო ჭეშმარიტება: რუსული სამყაროს ევროპეიზაცია არ სურდა არც საერო და არც საეკლესიო ელიტას. პეტრე I-ს დაუპირისპირდნენ ძირძველი ფეოდალური საგვარეულოები და საეკლესიო იერარქები. რაც მთავარია, რუსული სამყარო არ ეთმობოდა მოსახლეობის უმრავლესობას – გლეხობას²⁴.

პროფესორ ოთარ ჯანელიძის მიხედვით კი: „პეტრე I-დან მოყოლებული, რუსეთი მუდმივად ცდილობდა ქცეულიყო ევროპულ ქვეყნად, ან არადა მიმსგავსებოდა მაინც დაწინაურებულ დასავლელ მეზობლებს. ამ გონიერი მმართველის არაერთი ღონისძიება მიზნად ისახავდა, დაეძლია რუსეთის ჩამორჩენა და იგი გვერდით ამოეყენებინა თავისი დროის ძლიერი და მოწინავე სახელმწიფოებისათვის. მიუხედავად ამისა, რუსეთი ვერ გახდა „დასავლეთი“. პეტრე I-ის რეფორმების შედეგად მხოლოდ ის გახდა შესაძლებელი, რომ „რუსეთი ტრანსფორმირებულ, მოდერნიზებულ აღმოსავლეთად გადაქცეულიყო“²⁵ პეტრე I-მა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა, რათა თავისი ქვეყნის გავლენა ჩინეთსა და ინდოეთამდე განეწირო, შთამომავლობას კი ანდერძად დაუტოვა: „მე რუსეთი ნაკადულად ვიხილე, მაგრამ მდინარედ დავტოვე; ჩემი მემკვიდრეები მას ზღვად გადააქცევენ, რომელიც გაანაყოფიერებს გადატაკებულ ევროპას“²⁶.

თუ რუსეთის ისტორიას დეტალურად გავაანალიზებთ, ნათლად გამოიკვეთება სახელმწიფოებრივი სტრატეგიების სამი ძირითადი პერიოდი: სამივე სახელმწიფოებრივ სტრატეგიას მკაფიოდ შემოსაზღვრული მისია აქვს და ბრძოლებისა და არეულობების ხანგრძლივი პერიოდით ხასიათდება. პირველი „რუსული მიწებისათვის თავის მოყრას“ ეძღვნება, რაც მოსკოვის მთავრებმა ოქროს ურდოს მეთოდებით და ამავე ოქროს ურდოს მფარველობით შეასრულეს კიდევ. ეს პერიოდი ივანე მრისხანეს ტახტზე ასვლით დასრულდა, რასაც სისხლისმღვრელი რეჟიმის დამყარება და რუსი ერის უბედურება მოჰყვა. მეორე პერიოდი, რომელიც ცარისტულ რეჟიმს მოიცავს, ლოკალურ დაპყრობით ომებს ეძღვნება. მესამე პერიოდში, დაპყრობითი ომების შემდეგ, დაიწყო ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის. შესაბამისად, ადგილობრივი სამხედრო კამპანიები მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტებში გადაიზარდა²⁷.

რუსული სამყაროს გაფართოებისათვის რუსი ერის მიერ წარმართულ ომებს კი, ზემოხსენებული ფილოფეის პოლიტიკური ფორმულა წარმართავდა... აგრესიული პოლიტიკის დაწყებიდან მთელი ცარისტული პერიოდის განმავლობაში რუსული საზოგადოების ყველა ელემენტი ეთანხმებოდა ამ იდეას და თუ ლიდერი მის განსახორციელებლად ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამდა წინ, მას ყველა სისუსტე, შეცდომა თუ ცოდვა მიეტყვებოდა. და, მიუხედავად ამისა, პეტრე I-ის მიერ ჩატარებული სახელმწიფოს სეკულარიზაცია ხალხის შეგნებაში დამკვიდრდა, როგორც სიმართლისაგან უკუსვლა, როგორც უსამართლობის – Кривда-ს გამეფება. ამ მომენტიდან დაწყებული, რუსეთის ისტორიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ რუსული ხილიასტური ინტუიციის დაბადება, რომელიც დედამიწაზე ღვთიური სიმართლის (Божья Правда) რეაბილიტაციისაკენ იყო მიმართული“ – აღნიშნავს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის

²⁴ ვახტანგ გურული. საქართველო და რუსეთი (მფარველობიდან ანექსიამდე). თბილისი. 2009. გვ. 13.

²⁵ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 170. მ. კალანდაძე. რუსეთის ისტორიის პერიოდიზაცია კრებულში – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბილისი. 2008. გვ. 200.

²⁶ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 113.

²⁷ ივანე ნანუაშვილი. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ. თბილისი. 2012. ISBN 978-9941-15-564-2. გვ. 140.

ფილოსოფიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიურ კვლევათა სექტორის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ივანე ჩინდინი.²⁸ დავამატებდით, რომ რუსული ხილიასტური ინტუიციის დაბადება არა მხოლოდ დედამიწაზე ღვთიური სიმართლის (Божья Правда) რეაბილიტაციისაკენ იყო მიმართული, არამედ, პირველ რიგში, თვით ამ Божья Правда-ს დიდი მოლოდინით იყო განპირობებული. ყოველივე ამან კი ძალიან მალე შვა რუსულ მართლმადიდებლურ სივრცეში ათასი ჯურისა და მიმდინარეობის ხილიასტური სექტების გაჩენა.

მალე „მოსკოვი – მესამე რომიას“-ს იდეამ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა და რუსმა ხალხმა იგი დაივიწყა. უზუცესი ფილოზოფის მოწოდება კი მხოლოდ ზოგიერთი რუსული სექტის, კერძოდ, „ხლისტებისა“²⁹ და „სტარობრიადცების“³⁰ ლიტერატურაში დარჩა. საერთო ჯამში, ოფიციალური რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ „წმინდა რუსეთზე“ ოცნებები ანათემას გადაეცა, ხოლო „სტარობრიადცები“ აკრძალულ სექტად გამოცხადდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში XVI საუკუნის ეს მითოლოგემა დაკონსერვდა და რუსული საზოგადოებრივი აზრი მას მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიუბრუნდა.³¹

²⁸ И. В. Чиндин. Доктор философских наук, профессор, заведующий сектором Истории антропологических учений. Революция от социализма или эволюция мессианизма? Институт философии РАН. УДК 24.00.00. Вестник ВГУ. Серия: Философия. 2010 г. Стр. 119. <http://www.vestnik.vsu.ru/pdf/phylosophy/2010/01/2010-01-09.pdf>.

²⁹ ხლისტები ან ხრისტოვოვერები (Хлысты́, или христововеры) – ერთ-ერთი უძველესი რუსული არაეკლესიური რელიგიური მიმდინარეობა, სექტა, სულიერი ქრისტიანების ექსტატიკური სახესხვაობა, რომელიც XVII საუკუნეში წარმოიშვა მართლმადიდებელ გლეხთა შორის. მათი თვითდასახელებაა „ღვთის ხალხი“ ან „ქრისტეს სარწმუნოება“. დასახელება „ხლისტები“ წარმოიშვა მათში გავრცელებული თვითგვემის რიტუალისაგან ან სახეშეცვლილი სიტყვისაგან – „ქრისტე“, იმდენად, რამდენადაც ოფიციალური სასულიერო პირები მიუღებლად თვლიდნენ სექტის დასახელებაში იესო ქრისტეს სახელის ხმარებას. „ხლისტთა“ სექტის წარმოშობის საკითხში არსებობს რამდენიმე მოსაზრება. პირველი – ესაა დასავლეთევროპული პროტესტანტული მისტიკური სექტების ზეგავლენა. მეორე – ბულგარელი ბოგომილოვების ზეგავლენა, მათი გავლით კი უფრო ძველი – მანიქეველების ზეგავლენა. მესამე – ხლისტობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც წმინდა რუსული მოვლენა, რომელიც გენეტიკურადაა დაკავშირებული სლავურ კერპთაყვანისმცემლობასა და ეზოთერიზმთან. და მეოთხე – ეს თვალთახედვაც იზიარებს ხლისტთა წარმოშობის თვითმყოფადობას, მაგრამ აკავშირებს მას XVII საუკუნის რუსული ქრისტიანული რელიგიური ცხოვრების ზოგიერთ მოვლენასთან. დღეისათვის რუსეთში ხლისტთა მცირერიცხოვანი საზოგადოებები არსებობს ტამბოვის, სამარისა და ორენბურგის ოლქებში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში.

³⁰ სტარობრიადობა (Старообрядчество) – რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობისა და ორგანიზაციის ერთობლიობა, რომელმაც უარყო 1650-1660 წლებში პატრიარქ ნიკონისა და მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის საეკლესიო რეფორმა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა რუსული ეკლესიის ღვთისმსახურებისა და ბერძნული ეკლესიის, პირველ რიგში კი კონსტანტინოპოლის ეკლესიის ღვთისმსახურების უნიფიკაცია. ღვთისმსახურების ამ რეფორმამ რუსული ეკლესიის განხეთქილება გამოიწვია. „ედინოვერცების“ გარდა, 1905 წლამდე „სტარობრიადცები“ რუსეთის იმპერიაში ოფიციალურად „რასკოლინიკებად“ იწოდებოდნენ. XX საუკუნეში მოსკოვის საპატრიარქოს დამოკიდებულება სტარობრიადცების საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შერბილდა. რუსეთის გარდა, დღეისათვის სტარობრიადცების საზოგადოებები არსებობენ ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში, მოლდოვაში, ყაზახეთში, პოლონეთში, ბელარუსში, რუმინეთში, ბულგარეთში, უკრაინაში, აშშ-ში, კანადასა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში, ასევე ავსტრალიაში.

³¹ Сиземская Ирина Николаевна. Доктор философских наук. Главный научный сотрудник Института философии Российской академии наук. Идеи национального мессианизма: ловушки и позитивные основания историософской рефлексии // Философская мысль. — 2013. - № 6. - С.388-421. DOI: 10.7256/2306-0174. 2013. 6. 642. URL: http://e-notabene.ru/fr/article_642.html.

§1.2. რუსული „რეპოლუციური მესიანიზმი“

პეტერბურგის პერიოდმა (XVIII საუკუნე) განამტკიცა რუსული სახელმწიფოებრიობის კულტურულ-ისტორიული, ცივილიზებული და არა ნაციონალურ-ეთნიკური ხასიათი, რასაც თან ახლდა რუსი ხალხის, როგორც ერთა „სულიერი წინამძღოლის“ გამაერთიანებელი როლი. ამ პერიოდის რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა ისტორიულად თავის თავში მოიცავდა მესიანისტურ და იმპერიულ საწყისებს. XIX საუკუნისათვის კონკრეტულ-ისტორიულ და იდეურ-რელიგიურ გარემოებს სლავური ერთიანობის პოლიტიკური ასპექტიც მიემატა.³²

„ისტორია მოუწოდებს რუსეთს, რომ მსოფლიოს იგი განმანათლებლის როლში მოეკლინოს. ისტორია რუსეთს ამის სრულ და ამომწურავ უფლებას აძლევს“³³ – უკვე XIX საუკუნის დასაწყისში ირწმუნებოდა ცნობილი რუსი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, პოეტი და პუბლიცისტი, სლავიანოფილობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ალექსეი ხომიაკოვი (1804-1860). ხომიაკოვის პუბლიცისტიკასა და ფილოსოფიურ-ისტორიულ კვლევებში («Записки о всемирной истории») რუსეთის ისტორიული განსაკუთრებულობის იდეას ცენტრალური ადგილი უკავია, ამასთან რელიგიური პროვიდენციალიზმი მასთან მნიშვნელოვნადაა შერბილებული და ხაზგასმულია ხალხთა ბედის ეთნოგრაფიული საწყისების მნიშვნელობა. ისტორიის ხომიაკოვისეულ ხედვაში, ისევე როგორც მთლიანად სლავიანოფიურ ფილოსოფიაში, მესიანიზმის იდეოლოგიის გარკვეული ძვრები შეინიშნება მისიონერობისაკენ. სლავიანოფილები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ როგორც ქრისტიანებმა შეიტანეს ახალი მუხტი დაფხავებული ანტიკური სამყაროს ისტორიაში, ასევე ახლაც, თანამედროვე ევროპის გადარჩენა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ისტორიულ ავანსცენაზე ახალი ძალებით აღსავსე ერი გამოვიდოდა. ასეთ ერად კი, სლავიანოფილები, რა თქმა უნდა, რუს ერს მიიჩნევდნენ. ევროპაში გამარჯვებულ რაციონალიზმსა და რუსი ერის მიერ დაცულ ჭეშმარიტ ქრისტიანობას შორის არსებულ პრინციპულ განსხვავებებს კი, ისინი განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს.³⁴

რუსული მესიანიზმის პრობლემების კვლევასა და ისტორიული განვითარების კანონზომიერებებს ეძღვნება ცნობილი ისტორიკოსისა და სოციოლოგის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის, მანუელ სარქისიანცის ნაშრომი. მისი მონოგრაფია „Россия и мессианизм“ ამ თემით დაინტერესებული მკითხველისათვის ნამდვილ გზამკვლევს წარმოადგენს. სარქისიანცი წერს: „სლავიანოფილების ყველაზე დიდ მოწინააღმდეგეს ალბათ ჩაადაევი წარმოადგენდა. მისი აზრით, ისტორიული პროცესების განვითარება ღვთის საუფლოს მოახლოებას ნიშნავდა. ამ პროცესის განხორციელებას იგი კათოლიკურ, შუასაუკუნეების დასავლეთევროპულ სინამდვილეში ხედავდა და შესაბამისად უარყოფდა რუსულ ისტორიულ და რელიგიურ ტრადიციებს. ყოველივე ამან კი იგი რუსული ვესტერნიზმის ფუძემდებლად აქცია. უარყოფდა რა რუსულ სინამდვილეს, ჩაადაემა რუსულ რევოლუციურ რადიკალიზმს ჩაუყარა საფუძველი. თუმცა, უარყოფდა რა რუსეთის წარსულსა და რუსულ ტრადიციებს, იგი მაინც რუსეთის მესიანური მომავლის გამარჯვების მოლოდინში რჩებოდა. მისი აზრით, რუსები იმ ერებს

³² В. А. Яицкий. Проблема выбора пути развития России и русская идея: современные аспекты проблемы. Вестник Нижегородского государственного университета им. Н. И. Лобачевского. Серия Социальные науки. 2008. №4 (12). Стр. 142.

³³ Хомяков А.С. По поводу Гумбольдта // Хомяков А.С. Соч. М., 1900. Т. 1. С. 174.

³⁴ Сиземская Ирина Николаевна. Доктор философских наук. Главный научный сотрудник Института философии Российской академии наук. Идеи национального мессианизма: ловушки и позитивные основания историософской рефлексии // Философская мысль. — 2013. - № 6. - С.388-421. DOI: 10.7256/2306-0174.2013. 6. 642. URL: http://e-notabene.ru/fr/article_642.html.

მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც როგორღაც არ შედიოდნენ კაცობრიობის შემადგენლობაში და მხოლოდ იმისათვის ცხოვრობდნენ, რომ ქვეყნიერებისათვის დიადი სიახლე ეხარებინათ – „Мы призваны решить большую часть проблем социального порядка... возникших в старых обществах... мы предназначены быть... совестным судом по многим тяжбам... перед великими трибуналами человеческого духа“. 1835 წელს ტურგენევისადმი გაგზავნილ წერილში იგი რუსეთზე, როგორც დასავლეთის მასწავლებელზე, ისე საუბრობდა. რუსეთი არა ეროვნულ პოლიტიკას, არამედ კაცობრიობის პოლიტიკას გაატარებს, უფრო მეტიც, იგი კაცობრიობის საიდუმლოებას ამოხსნის, – ამბობდა იგი. „რუსეთი სხვანაირად განვითარდება, ვიდრე ევროპა, ჩვენ განსაკუთრებული მსოფლიო-ისტორიული მისია გვაკისრია, ვასწავლოთ სხვებს“.³⁵

„საქმე იმაშია, რომ ჩვენ არასდროს არ მივაბიჯებდით სხვა ხალხებთან ერთად, – წერდა ჩაადაევი, – ჩვენ არ ვეკუთვნივთ ადამიანთა მოღმის აქამდე ცნობილ არც ერთ შტოს, არც აღმოსავლეთს, არც დასავლეთს. ჩვენ არც მათი ტრადიციები გაგვაჩნია. ჩვენ გარკვეულწილად დროის გარეთ ვდგავართ, ადამიანთა მოღმის მსოფლიო აღზრდა ჩვენზე არ ვრცელდება“.³⁶

რუსულმა შოვინისტურმა და იმპერიალისტურმა აზროვნებამ პიკს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიაღწია, რაც სრულყოფილადაა გამოცემული ცნობილი რუსი პოეტის, პუბლიცისტისა და დიპლომატის, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფილოლოგი ტიუტჩევის მიერ 1848 წელს დაწერილ ლექსში „რუსული გეოგრაფია“. სტრიქონები ამ ლექსიდან:

Москва и град Петров и Константинов град -
Вот царство русского... заветные столицы...
Но где предел ему? и где его границы -
На север, на восток, на юг и на закат?
Грядущим временем морей и сем великих рек...
От Нила до Невы, от Эльбы до Китая,
От Волги до Евфрата, от Ганга до Дуная...
Вот царство русское... и не придёт во век,
Как то провидел Дух и Даниил предрек.³⁷

კომენტატორების განმარტებით, „Град Петров“-ში არა პეტროგრადი, პეტრე I-ის ქალაქი, არამედ რომია ნაგულისხმევი – წმინდა პეტრე მოციქულის ქალაქი“.³⁸

რუსულ ოფიციალურ კი XX საუკუნის დასაწყისიდან კონსტანტინოპოლი „Царьград“-ად იწოდა. აი ასე – არც მეტი, არც ნაკლები. ცხადია, დანიელ წინასწარმეტყველთან არავითარ რუსეთზე ლაპარაკიც არ არის. არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ დავუშვათ, თითქოს ტიუტჩევი იცნობდა ზემოხსენებული ფილოლოგის „მოძღვრებას“. და, მიუხედავად ამისა, მათ ნააზრევებში მსგავსება გამაოგნებელია. ამასთან ერთად, „რუსულ გეოგრაფიაში“, რასაც ფილოლოგისთან არა აქვს ადგილი, უკვე შეიმჩნევა „ველიკოდერჟავული მესიანიზმის“ გეოპოლიტიკური და იმპერიალისტური შტრიხები.

ტიუტჩევის პარალელურად ვითარდებოდა გერცენის ფილოსოფიაც. გერცენი შეცდომით მიიჩნევდა ჩაადაევს რევოლუციონერად, ზოლო თავად მისი რადიკალური რევოლუციური ვესტერნიზმისა და სლავიანოფილური მესიანიზმის სინთეზი შემარცხნე

³⁵ Саркисянц, Мануэль. Россия и мессианизм. Глава 15. Универсалистские притязания русского мессианизма. 2009. http://russidea.rchgi.spb.ru/libruss/index.php?ELEMENT_ID=1728.

³⁶ Чаадаев П. Я. Философические письма. Письмо первое // Чаадаев П. Я. Сочинения. М., 1989. Стр. 18.

³⁷ Тютчев Ф. И. Русская география // Ф. И. Тютчев. Лирика: В 2 т. / АН СССР. М.: Наука, 1966. Т.2. 1966. Стр.118.

³⁸ აკ. ბაქრაძე. რწმენა. თბილისი. „მერანი“. 1990 წ. გვ. 47.

ნაროდნიკობას დაედო საფუძვლად. ამან კი ირიბი გავლენა იქონია ყველა მიმართულების რუსეთის რევოლუციურ აზრზე. 1854 წელს იგი წერდა:

„...Если социализм не в состоянии будет доконать вырождающийся общественный строй [Европы], его доконает Россия... Вопрос социальный, вопрос русский... сводится к одному“. გერცენისათვის რუსული მესიანიზმი რუსი გლეხისათვის დამახასიათებელ იდეას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით იგი თავის ახლო მეგობარს, მიხაილ ბაკუნინს³⁹ ეხმიანება.

ბაკუნინისათვის დამახასიათებელი სლავების რევოლუციური მისიის რწმენა, ბევრის აზრით, სლავიანოფილობის რევოლუციურ სახეცვლილებას წარმოადგენდა. ამავე დროს, საბჭოთა მკვლევარები ბაკუნინს ბოლშევიზმის წინამორბედადაც განიხილავდნენ, რომელიც უხვად იყო გაჯერებული ხილიასტური მოლოდინებით. ბაკუნინს „მსოფლიო რევოლუციის“ ხილიასტური იმედები ასულდგმულებდა, რომელიც აღმოსავლეთიდან მოვიდოდა და არა დასავლეთიდან. ბაკუნინი თვლიდა, რომ რუსი ხალხი დაბადებით რევოლუციონერი იყო – სოციალისტი „ინსტინქტით“ და რევოლუციონერი „ბუნებით“.⁴⁰

მაგრამ რუსული მესიანიზმის ყველაზე ცნობილი და ამავე დროს ყველაზე გენიალური აპოლოგეტი უდავოდ ფიოდორ დოსტოევსკი გახლდათ, პოლონური წარმომავლობის დიდი რუსი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, მწერალი და პუბლიცისტი. სწორედ დოსტოევსკისთან იღებს რუსული ნაციონალიზმი, ანუ მესიანიზმი, უნივერსალურ, თანამედროვე გაგებით, „ინტერნაციონალისტურ“ ჟღერადობას. იგი ამბობდა:

„ევროპაზე უარის თქმა არაფრით არ შეიძლება... ევროპა ჩვენთვის ისევე ძვირფასია, როგორც რუსეთი. მასშია იაფეტიის მთელი მოდგმა, ჩვენი იდეა კი არა მხოლოდ ამ ერების გაერთიანებაში მდგომარეობს, არამედ უფრო შორსაც მიდის – სემამდე და ქამამდე... თუ ზოგადკაცობრიული იდეა რუსული ნაციონალური იდეაა... მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ყველა რუსად უნდა იქცეს...“⁴¹ აი, ასე, არც მეტი, არც ნაკლები. XIX საუკუნის ბოლოდან რუსული მესიანიზმის იდეოლოგები და, პირველ რიგში, გენიალური დოსტოევსკი არა მარტო იაფეტიის ნაშიერთა გაერთიანების, არამედ სემისა და ქამის მთელი მოდგმის, ანუ მთელი კაცობრიობის „გადარჩენისა“ და ასიმილაციის აუცილებლობაზე ლაღალებდა.

დოსტოევსკის აზრით, რუსეთის ევროპეიზაცია, რომელსაც პეტრე I ახორციელებდა, ძველი მოსკოვის სახელმწიფო იდეა და მართლმადიდებლური ტრადიცია,

³⁹ მიხაილ ალექსანდროვიჩ ბაკუნინი (1814-1876) – რუსი მოაზროვნე, რევოლუციონერი, პანსლავისტი, ანარქისტი და ნაროდნიკული მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი. 1829 წელს ხდება პეტერბურგის საარტილერიო სასწავლებლის ოუნკერი, რომელსაც ამთავრებს 1933 წელს პრაპორშჩიკის ჩინით. 1835 წელს თავს ანებებს სამხედრო სამსახურს. ამ პერიოდთან დაწყებული ინტენსიურად სწავლობს გერმანულ ფილოსოფიას – კანტის, ფიხტეს, ჰეგელის ნაშრომებს. ახლო ურთიერთობებს ამყარებს პუშკინთან, ჩაადაევთან, ბელინსკისთან, ბოტკინთან, გერცენთან და სხვ. 1840 წლიდან ემიგრაციაშია, სადაც ინტენსიურადაა დაკავებული ჰეგელის ფილოსოფიის უფრო საფუძვლიანი შესწავლით. 1842 წლიდან გადაწყვიტა, სამუდამოდ დარჩენილიყო ემიგრაციაში და აღარ დაბრუნებულიყო რუსეთში. 1843 წლიდან გადადის შვეიცარიაში, სადაც უკავშირდება გერმანულ და შვეიცარიელ რევოლუციონერ-კომუნისტებს. 1844-1847 წლებში ცხოვრობდა პარიზში, შემდეგ – ბრიუსელში. აქვე ყალიბდება დაჯერებულ პანსლავისტად. ამავე დროს პირადად ეცნობა კარლ მარქსს და იზიარებს მის იდეებს. მონაწილეობდა 1848 წლის გერმანიის რევოლუციაში, რისთვისაც აპატიმრებენ და საქსონიის სასამართლო უსჯვის სიკვდილს. თუმცა მალევე გადასცემენ ავსტრიის სასამართლოს, რომელიც რევოლუციურ-ანარქისტული მოღვაწეობისათვის უსჯვის სამუდამო პატიმრობას. 1857 წელს მიიმე ავადმყოფობის საბაბითა და რუსეთის ხელისუფლების ჩარევით ბრუნდება სამშობლოში. სახლდება ციმბირში, ტომსკში. 1861 წელს ციმბირისა და იაპონიის გავლით გარბის ამერიკაში, საიდანაც გადადის ინგლისში და ფუნქციონირებს ლონდონში. ლონდონს უკავშირდება მისი ნაყოფიერი პანსლავისტური მოღვაწეობის პერიოდი. 1862-1863 წლებში მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყებაში. 1864-1868 წლებში ცხოვრობდა იტალიაში, 1872-1876 წლებში კი ლუგანოსა და ლოკარნოში. ამ პერიოდში ცდილობდა რევოლუციური მუშაობის ორგანიზებას იტალიაში, მაგრამ ვერცერთი მისი იდეის ბოლომდე რეალიზება ვერ მოხერხდა. გარდაიცვალა 1876 წელს შვეიცარიაში.

⁴⁰ Саркисянц, Мануэль. Россия и мессианизм. Глава 15. Универсалистские притязания русского мессианизма. 2009. http://russidea.rchgi.spb.ru/libruss/index.php?ELEMENT_ID=1728.

⁴¹ იქვე.

ყველაფერი, რაც მესამე რომის მისიას შეადგენდა – უნივერსალურ, ზოგადკაცობრიულ იდეას წარმოადგენდა: „Один лишь русский, даже в наше время, то есть гораздо еще раньше, чем будет подведен всеобщий итог, получил уже способность становиться наиболее русским именно лишь тогда, когда он наиболее европеец. Это и есть самое существенное национальное различие наше от всех, и у нас на этот счет — как нигде. Я во Франции — француз, с немцем — немец, с древним греком — грек и тем самым наиболее русский. Тем самым я — настоящий русский и наиболее служу для России, ибо выставляю ее главную мысль“.⁴²

და აქვე: „Православие и славянство. Константинополь как столица России немислим, а Константинополь как столица православия – должен. Православие и Россия как старший элемент его“.⁴³ ამ იდეებს დოსტოევსკი ჯერ კიდევ 1876 წელს ქადაგებდა.

სლავიანოფილობისა და ეკუმენიზმის გაერთიანებაზე საუბრობს „მესამე რომის“ კონცეფციის განხილვისას XIX საუკუნის მიწურულის ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და მისტიკოსი, პოეტი და პუბლიცისტი, რუსეთის მეცნიერებათა სამხედრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, სოლოვიოვიც. იგი XX საუკუნის დასაწყისის რუსული „სულიერი აღორძინების“ თეორიის ფუძემდებლად და ნ. ბერდიევის, ს. ბულგაკოვის, ე. ტრუბეცკოის, ს. ფრანკის, ა. ბელის, ა. ბლოკისა და სხვათა რელიგიური ფილოსოფიის ორიენტირად ითვლება:

Судьбою павшей Византии
Мы научиться не хотим,
И всё твердят льстецы России:
Ты -- третий Рим, ты -- третий Рим.

....
Смирится в трепете и страхе,
Кто мог завет любви забыть...
И третий Рим лежит во прахе,
А уж четвертому не быть.⁴⁴

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის დასასრულის რუსული საზოგადოების მოაზროვნე ფენა და მოწინავე ინტელიგენცია სრულად იზიარებდა „მესამე რომის“ კონცეპტუალურ ღირებულებებს.

ასეთივე წარმატებით მიმდინარეობდა ამ ღირებულებების გენერირება XX საუკუნის დასაწყისშიც. სოლოვიოვის მეგობარი, თავადი ნიკოლაი ტრუბეცკოი ცდებოდა, როცა XX საუკუნის პირველ დეკადაში ამბობდა, რომ რუსეთის ნაციონალურმა მესიანიზმმა 1912 წლისათვის თავისი დრო მოჰკამა. 1905 წლის „სისხლიანმა კვირამ“ ყველაფერი შეცვალა. მღვდელ გიორგი გაპონის წინამძღოლობით მოწყობილი დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ ხალხის წარმოდგენაში მეფე (Правда), როგორც სიმართლის სახეა, დაიმსხვრა. მეფის (Правда) პოზიციები შეირყა. რუსი ხალხის ხილიასტურმა მოლოდინებმა ძველი ფორმა დაკარგა და მათთვის აქტუალური ახალი ფორმების ძიება გახდა... და აი, „ცარისტული კენტოიკური ქარიზმა პროლეტარიატის მესიანურ მითში ტრანსფორმირდა“.⁴⁵ რუსი ხალხის ცნობიერებაში მეფე (Правда), როგორც

⁴² Саркисянц, Мануэль. Россия и мессианизм. Глава 15. Универсалистские притязания русского мессианизма. 2009. http://russidea.rchgi.spb.ru/libruss/index.php?ELEMENT_ID=1728.

⁴³ Достоевский Ф.М. Полное собрание сочинений в тридцати томах. Том XXIV. Ленинград, 1982. Стр. 216.

⁴⁴ Соловьев В.С. Панмонголизм / Поэзия Серебряного Века. М.: Художественная Литература, 1991. Стр. 43.

⁴⁵ Саркисянц М. Россия и мессианизм : к «русской идее» Н. А. Бердяева / М. Саркисянц. – СПб. : Изд-во С.-Петербург. ун-та, 2005. Стр. 50.

სიმაართლის სახება, მართალია, შეირყა, მაგრამ უსამართლობის (Кривда) ზეობაც ჯერ არ დაწყებულიყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური „მოდერნიზაციის“ რთული პროცესების დასაწყისად იქცა, რაც საერთო ჯამში თვითმპყრობელობის ლიკვიდაციით დასრულდა 1917 წელს. იმ წინააღმდეგობებმა, რაც არსებობდა იმპერიაში და ვერ გადაიჭრა ევოლუციურად (მიწის საკითხი, პოლიტიკური უფლებები, სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობის გარდაქმნის მეთოდები), საზოგადოება კრიზისამდე მიიყვანა, რისი გადაწყვეტაც საბოლოოდ რევოლუციის გზით მოხერხდა.

„ბევრ ისტორიულ მოვლენას არ მოუხდენია მსოფლიოზე ისეთი დიდი ზეგავლენა, როგორც ბოლშევიკურმა რევოლუციამ მოახდინა, – წერდა ამერიკელი ისტორიკოსი სამუელ ბეირონი (S. Baron) თავის ნაშრომში „Plekhanov: The Father of Russian Marxism“, – რომ გავიგოთ ამ უდიდესი მოვლენის არსი, ყურადღება უნდა მივაქციოთ მის წინმსწრებ პროცესებს, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მთელ საუკუნეს, იმ იდეას, რომლითაც სულდგმულობდა იგი და ინტელიგენციას, რომელიც ამ იდეებს ქმნიდა, ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდა.“⁴⁶

რუსულ ცნობიერებაში მეფე-Царь-ისა (Правда) და სამართლიანობის რწმენა კვდება და უსამართლობის (Кривда) ეპოქა იწყება. უსამართლობას კი უნდა ებრძოლო და ისევ სამართლიანობის აღდგენას უნდა შეეცადო. ასე აღზევდა რუსეთში ახალი მოძღვრება, რომლის მიხედვითაც რუსული სამართლიანობის დამყარების მძიმე ამოცანა პროლეტარ მისიონერებს უნდა ეტვირთათ თავს. ყოველივე ეს კი ძალიან კარგად მოერგო რუსულ მესიანისტურ იდეას. ამ ფენომენტთან დაკავშირებით პროფესორმა იგორ ჩინდინმა ზუსტად აღნიშნა, რომ „რუსული კულტურის ყველა მესიანური და ხილიასტური მოლოდინებიდან გამომდინარე, რომლის სულიერ მემკვიდრეობასაც მარქსიზმი წარმოადგენდა, შეიძლება ითქვას, რომ წითელმა ოქტომბერმა ბოლოს და ბოლოს ძალიან ბუნებრივად მოახდინა აღელვებული რუსი სიმაართლისმადიებლების სულიერი ანაორთქლის კრისტალიზაცია და გაფორმება“.⁴⁷

რუსი ხალხის ისტორიაში ახალი მეფის (Царь), ე.ი. სიმაართლის (Правда) ძიების ხანა იწყებოდა. ერთიც და მეორეც იმხანად ევროპაში მოღვაწეობდნენ. ერთი სხეულს მოცილებული პროლეტარული რევოლუციის გონი იყო, მეორე კი ამ გონის სიტყვიერი განსხეულება. ჯერჯერობით კი, შვეიცარიაში თავშეფარებული ახალი „მეფე“ და მისი „სიმაართლე“ ძალებს იკრებდნენ და ეპოქალური გარდაქმნებისათვის ემზადებოდნენ. კეითხველი, ალბათ ხვდება, რომ აქ ლენინსა და მის რევოლუციურ ფილოსოფიაზე საუბარი, „სულიერ სილატაკეში ამოზრდილ ბოლშევიზმზე“. ლენინმა საზოგადოებას ბოლშევიკთა მოქმედების იდეოლოგიად მარქსიზმი და ლენინიზმი, ხოლო იდეის ხორცშესხმის ინსტრუმენტად კლასთა ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის კონცეფციები შესთავაზა.

მართალი იყო ბერდიაევი, როდესაც 1916 წელს აცხადებდა, რომ ომი აუცილებლად წამოსწევდა წინა პლანზე რუსული მესიანისმის პრობლემას. იგი ამბობდა, რომ ევროპის დასასრულის დადგომასთან ერთად გადამწყვეტ სულიერ ძალად ისტორიულ ავანსცენაზე რუსეთი გამოვიდოდა, რომელიც კაცობრიობის გასაერთიანებლად გადამწყვეტ როლს ითამაშებდა. და მართლაც, ის, რომ მესიანური გრძნობა რუსული თვითშეგნების ღრმა არქეტიპს წარმოადგენს, კიდევ ერთხელ დაადასტურა XX

⁴⁶ Baron S. H. Plekhanov: The Father of Russian Marxism. Stanford University Press. 1963. Pg. 7.

⁴⁷ И. В. Чиндин. Доктор философских наук, профессор, заведующий сектором Истории антропологических учений. Революция от социализма или эволюция мессианизма? Институт философии РАН. УДК 24.00.00. Вестник ВГУ. Серия: Философия. 2010 г. Стр. 121. <http://www.vestnik.vsu.ru/pdf/philosophy/2010/01/2010-01-09.pdf>.

საუკუნემ. მაშინ ბოლშევიკები, საკუთარი პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ შეეცადნენ, მიეცათ კომუნისტური რევოლუციისათვის მესიანური ხასიათი... ეჭვგარეშეა, რომ რუსი ხალხის მიერ სოციალიზმი აღიქვეს, როგორც სიმართლისა და სამართლიანობის ნათელი სამეფო, რომლისკენ მიმავალ გზაზე გმირული წვა იყო საჭირო, რაც საბოლოოდ თავის ნაყოფს უკვე ამქვეყნიურ ცხოვრებაში გამოიღებდა. და უკანასკნელ დრომდე რუს ხალხს სჯეროდა, რომ სოციალისტური რევოლუციის გამოისობით, იგი კაცობრიობის პროგრესის ავანგარდში იმყოფებოდა.⁴⁸

თუმცა, ბერდიაევისეულ „კომუნისტური რევოლუციის მესიანურ ხასიათს“ ეწინააღმდეგებოდა მისივე თანამედროვე, ცნობილი რუსი ფილოსოფოსი, მწერალი და პუბლიცისტი, ივან ილინი, როცა წერდა, რომ „ხალხი ფიცისგან გათავისუფლდა და იგი ბედის ანაბარად დარჩა მიტოვებული. ღია კარში ისტორიაში ყველაზე უფრო წყვეული ცდუნება შემოვარდა... ისინი მზად იყვნენ, წაეკოთ ღიადი ომი, დაეწყოთ ტერორი, ემარცვათ ყველა და გაეწყვიტათ მმართველი დინასტია არა რაიმე „ბრალის“ გამო, არამედ იმისათვის, რომ მოესპოთ ქვეყანაში არსებული ყოველგვარი მონარქიული სამართლის გაგება“.⁴⁹

ისევ ბერდიაევი: „როგორ გასაკვირადაც არ უნდა ჟღერდეს, ბოლშევიზმი რუსული ველიკოდერჟავობის, რუსული იმპერიალიზმის მესამე გამოვლინებაა. პირველი გამოვლინება მოსკოვის სამეფო იყო, მეორისა – პეტრეს იმპერია. ბოლშევიზმი – ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრედ გამოდის. მოხდა ნებისა და სოციალური სიმართლის შეერთება ნებასა და სახელმწიფოებრივ ძლიერებასთან. მეორე ნება უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ბოლშევიზმი რუსეთის ცხოვრებაში როგორც უმაღლესი ხარისხის მილიტარიზებული ძალა, ისე შევიდა. მაგრამ ძველი რუსული სახელმწიფოც ყოველთვის მილიტარიზებული იყო... მათ პოლიციური სახელმწიფო შექმნეს, რომელიც თავისი მართვის საშუალებებით ძალიან ჰგავდა ძველ რუსულ სახელმწიფოს... მოსკოვის სამეფოში და იმპერიაში ხალხს რელიგიური რწმენა აერთიანებდა. ხალხთა მასებისათვის ახალი საერთო რწმენა კი ელემენტარულ სიმბოლოებში უნდა ყოფილიყო გამოხატული. რუსულად ტრანსფორმირებული მარქსიზმი ამისათვის სრულიად მისაღები აღმოჩნდა“.⁵⁰

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ პარადოქსს რუსეთისა და რუსული რევოლუციის ბედის შესახებ ბერდიაევისათვის წარმოადგენდა ის, რომ ლიბერალური იდეები და სამართლის საკითხები, ისევე როგორც სოციალური რეფორმიზმის იდეა, რუსეთის სინამდვილეში უტოპიური აღმოჩნდა. თავად „რუსულ მესიანიზმს“ კი ბერდიაევი გაუაზრებელ, ბნელ სტიქიად ნათლავდა: „რუსული სტიქია ბნელი რჩება, რომელიც გმირული შეგნებით არაა გაფორმებული. რუსული სული არც თუ ისე იშვიათად განიცდის გაუაზრებელ, ბნელ მესიანიზმს. ასე იყო ბაკუნინთან, რომელიც თავისებურად ხსნიდა სლავურ მესიანიზმს. ასე იყო ზოგიერთ რუს ანარქისტთან და რევოლუციონერთანაც, რომლებსაც სჯეროდათ მსოფლიო ხანძრისა, საიდანაც სასწაულებრივად უნდა დაბადებულიყო ახალი ცხოვრება და რუსი ხალხისაც, რომელიც ხედავდა იმ მესიას, რომელიც ამ ხანძარს ააგიზგიზებდა და მსოფლიოს ამ ახალ ცხოვრებას მოუტანდა... ყველაზე საოცარ და მრავალფეროვან ფორმებში რუსული სული გამოხატავს თავის სანუკვარ იდეას მთელი კაცობრიობის ახალი ცხოვრებისათვის. ამ იდეით, ჭეშმარიტად მესიანური იდეითაა შთაგონებული ბაკუნინი და ნ. ფ. ფიოდოროვი, რუსი სოციალისტი და დოსტოვესკი, რუსი სექტანტი და ვლ. სოლოვიოვი. მაგრამ ეს რუსული მესიანიზმი არაა გამსჭვალული შეგნების სინათლით, არაა

⁴⁸ Ярослав Бутаков. Кандидат исторических наук, политический эксперт, публицист. Священная миссия России. „НАЦИЯ“. Журнал новых правых. № 1. 1995. <http://www.nationalism.org/rnsp/Nacia/Butakov1.htm>.

⁴⁹ Юрий Лисица, Ольга Лисица. Учение Ильина о грядущей России. 2005. <http://www.pravoslavie.ru/jurnal/372.htm>.

⁵⁰ Виктор Аксютин, Бердяев о «русском коммунизме». Ошибки гения. <http://www.apn.ru/publications/article22426.htm>.

გაფორმებული მამაცური ნებით. უნდა ვაღიაროთ, რომ რუსული მესიანიზმი არ შეიძლება იყოს პრეტენზია თვითდამკვიდრებისათვის, იგი შეიძლება სულის წვა იყოს, დიდი სულიერი აღმაფრენა მთელი მსოფლიოს ახალი ცხოვრებისათვის“.⁵¹

ბერდიაევის მსგავსი პოზიციები ეკავა მეორე რუს ემიგრანტ ისტორიკოსსა და პუბლიცისტს, მარკ სლონიმსაც. თავის აკადემიურ კვლევაში „Русские предтечи большевизма“, რომელიც 1922 წელს, ბერლინშია გამოცემული, იგი წერს: „ჩვენთვის ნათელია, რომ რუსულ საზოგადოებაში ფართოდ იყო გავრცელებული სოციალური და ლოგიკური მაქსიმალიზმის ელემენტები, რუსული რევოლუციის სოციალური ხასიათისა და რუსული მესიანიზმის რწმენა. ეს უკანასკნელი სულ სხვადასხვა ფორმას იღებდა. ხანდახან იგი იღებდა რეაქციული მესიანიზმის ფორმას – მაგალითად, სლავიანო-ფილებსა და ნაციონალისტებში, დაწყებული ტიუტჩევიდან და დოსტოევსკიდან, და დამთავრებული მერეჟკოვსკით. ხანდახან იგი, გერცენითა და ალ. ბლოკით შთაგონებული, ანდრეი ბელის რევოლუციურ მესიანიზმად გარდაიქმნებოდა.

მეტად ნიშანდობლივია ისიც, რომ მოცემულ მომენტში ბოლშევიზმისადმი სიმპათიით არიან განწყობილნი ზოგიერთი რუსული, სუფთად ნაციონალისტურად განწყობილი დაჯგუფებები და არც სლავიანოფილური ბოლშევიზმის გამოვლინებებია იშვიათი: ყოველივე ეს რევოლუციური და ნაციონალური მესიანიზმის, ამ ორი მონათესავე იდეის დაახლოების შედეგია... დიდი ძალისხმევა არ არის იმისათვის საჭირო, რომ ბოლშევიკური იდეოლოგიის ფესვებს რუსული აზროვნების ისტორიაში მივაკვლიოთ“.⁵²

ბოლშევიკური იდეოლოგია კი რუსული აზროვნების დარად ვითარდებოდა – ტერიტორიული განფენილობით ბოლშევიკურ სამოთხეს ცარისტული იმპერიის „დაკარგული“ მიწები უნდა „აეკრიფა“ და შემდგომი ექსპანსია გაეგრძელებინა. ამ ამბებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ „მიწიერი საუფლო“, ანუ მოღერნიზებული, ბოლშევიკური რუსული იმპერიის გეოგრაფიული არეალები იზრდება და იგი უკვე „ოკეანიდან ოკეანემდე“ უნდა გავრცელებულიყო. ბოლშევიკური იმპერიის ერთგული შვილები კი მზადყოფნას აცხადებდნენ, რომ იმ „სამშობლოსათვის“ ბრძოლებში დაეღლიათ სული, რომელიც იაპონიიდან ინგლისამდე იქნებოდა გადაჭიმული. უსაზღვრო „დერჟავას“ ასე უძღეროდა საბჭოთა პოეზია:

Есть в наших днях такая точность,
Что мальчики иных веков,
Наверно, будут плакать ночью
О времени большевиков.

.....

Но мы еще дойдем до Ганга,
Но мы еще умрем в боях,
Чтоб от Японии до Англии
Сияла Родина моя.⁵³

საერთო ჯამში, მოსკოვის, როგორც მესამე რომის დოქტრინა, მოსკოვის სამეფოს იდეოლოგიურ ბაზისად იქცა. ეს სამეფო იკრიბებოდა და ფორმირდებოდა მესიანური იდეის სიმბოლიკის ქვეშ. ჭეშმარიტი სამეფოს ძიება დამახასიათებელ შტრიხად იქცა რუსი ხალხის მთელი ისტორიისათვის და რუსული სამეფოსადმი კუთვნილება ისაზღვრებოდა ჭეშმარიტი მართლმადიდებლური რწმენის ქადაგებით. ზუსტად ასევე,

⁵¹ Николай Бердяев. Судьба России. Проблема национальности. Национализм и мессианизм. 1918. http://krotov.info/library/02_b/berdyayev/1918_15_11.html.

⁵² Слоним М. Русские предтечи большевизма. М., 2000. Стр. 94.

⁵³ Коган П. Д. Лирическое отступление / Советские поэты, павшие на Великой Отечественной Войне, М.: Советский Писатель, 1965. Стр. 154.

საბჭოთა რუსეთთან მიმართებაშიც, რუსულ კომუნისტურ სამეფოსთან კუთვნილების საკითხი განისაზღვრებოდა ორთოდოქსალურ-კომუნისტური რწმენის ქადაგებით.⁵⁴

ბერდიაევი აღნიშნავდა, რომ თავისი წარმომავლობით არარუსულმა მარქსიზმმა რუსეთში რუსული და უფრო მეტიც, აღმოსავლური შტრიხები შეიძინა. იგი საბჭოთა იმპერიას „გაუკუღმართებულ თეოკრატიას“ (Извращенная теократия) უწოდებდა. თუმცა იგივე იდეასთან დაკავშირებით გერონტი ქიქოძე წერდა: „რუსული ნაციონალიზმისა და მესიანიზმის საფუძველი უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე ისტორიულ-ფილოსოფიური. მისტიკური ბუნების მიუხედავად, მას საგრძნობლად უდიოდა ყაზახური (აქ „კაზაკური“ უნდა წავიკითხოთ – ა. ჩ.) ჩექმების სუნი“.⁵⁵

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხილიაზმი რუსული არაკანონიკური რელიგიური აზროვნების განუყოფელ ნაწილს შეადგენდა („რუსული კომუნიზმი“), რითაც ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნიდა რუსეთში მარქსისტული იდეების გაძლიერებისა და შემდგომი განვითარებისათვის. „რუსეთის სიღრმეებში მილიონობით ადამიანია, რომლებიც სხვა სახის, კომუნისტური ცხოვრებისათვის არიან მზად. ამ ხალხს, რაოდენ გასაკვირი სახელითაც არ უნდა მოიხსენიებდნენ მათ, საშუალება უნდა მიეცეთ, რომ იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ. მაშინ ისინი თავის საკუთარ, დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებულ რუსულ კომუნიზმს ააშენებენ“.⁵⁶ – ბ. ბონჩ-ბრუევიჩის თეზისზე მითითებით წერს ა. ეტკინდი თავის ნაშრომში „Хлыст: секты, литература и революция“, რომელიც რუსული სექტანტური მოძრაობისადმი არის მიძღვნილი.

1925 წელს ჰანს მიულენშტეინი აღნიშნავდა, რომ დასავლური სოციალური თეორიები და, პირველ რიგში, მარქსიზმი, რუსული აზროვნების მიერ ხილიასტურ კონტექსტში იქნა შეთვისებული. ბოლშევიზმის იდეოლოგიური საფუძვლები რუსული სულიერი ისტორიის გაგრძელებად იქცა. ნიკოლაი ფონ ბუბნოვი კი, იმის შესახებ წერდა, რომ ლენინმა შეძლო და შესაბამის კალაპოტში მიმართა ხალხის ესქატოლოგიური მოლოდინები.⁵⁷ სწორედ ასეთი და ამის მსგავსი იდეების რეზიუმირების საფუძველზე ასკენის ბერდიაევი: „კომუნიზმი რუსული მოვლენაა, მიუხედავად მისი მარქსისტული იდეოლოგიისა... პროლეტარიატის მისიასთან დაკავშირებული მარქსიზმის მესიანიზტური იდეა რუსულ მესიანიზტურ იდეასთან შეერთდა და გაიგივდა“.⁵⁸

იდეოლოგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოდ ვითარდებოდა მოვლენები სიდიდით მეორე აზიურ იმპერიაში – ოსმალეთში. რუსული ცარიზტული იმპერიისაგან განსხვავებით, XX საუკუნის დასაწყისიდან ოსმალთა ისლამურმა იმპერიამ და სახალიფომ მსოფლიო ბატონობისათვის ისლამის როლი უკანა პლანზე გადასწია და თურქიზმისა და „დიდი თურანის“ იდეის წინ წამოწევით მსოფლიოს პანთურქისტულ იმპერიად გადაქცევას შეეცადა. აქ წინა პლანზე ეთნიკური და ეროვნული ერთიანობის იდეამ წამოიწია, რაც საერთო ჯამში ერთიანი თურქული და თურქულენოვანი სახელმწიფოს, ე.წ. „დიდი თურანის“ შექმნით უნდა დასრულებულიყო. მაგრამ შემდგომი მოვლენები ოსმალთა იმპერიისათვის უკიდურესად მძიმედ განვითარდა.

თურქულმა სახელმწიფოებრიობამ სიძლიერის პიკს ოსმალთა იმპერიის ზეობისას მიაღწია, რომელსაც პანისლამიზმის კონცეფცია, როგორც რელიგია და იდეოლოგიურ-პოლიტიკური იარაღი დაედო საფუძვლად. სწორედ ოსმალთა იმპერიამ და სულთანმა

⁵⁴ Виктор Аксучиц. Бердяев о «русском коммунизме». Ошибки гения. <http://www.apn.ru/publications/article/22426.htm>.

⁵⁵ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 173. გ. ქიქოძე. დასავლეთის კარები, გაზეტი „საქართველო“. 1916. №279, წიგნში – ვეროპა თუ აზია?, თბილისი. გვ. 331.

⁵⁶ Эткинд А. Хлыст: секты, литература и революция. – М.: Изд-во „Новое литературное обозрение“. Стр. 649.

⁵⁷ Bubnoff N. von. Der Geist der volkstümlichen russischen Sozialismus. Archiv für Sozialwissenschaft. 1926. Bd 55.

⁵⁸ Бердяев Н. Русская идея: судьба России. – М.: „Издательство В. Шевчук“. 2000. Стр. 215-216.

იკისრეს ისლამური სახალიფოს ძლიერებისა და ხალიფას ტვირთი. როგორც კი იმპერიას დამატებით თურანულ-პანთურქისტული ამბიციები გაუჩნდა, რაც ლამის მთელი ევრაზიის კონტინენტის უდიდესი ნაწილის კუთვნილებაზე პრეტენზიების გამოთქმის ტოლფასი იყო და იმპერიის ხელისუფლებაში „ახალგაზრდა თურქთა“ (Jön Türkler) ფაქტიური მოსვლით დაიწყო 1908 წელს, იმ მომენტიდან დაწყებული, ოსმალთა იმპერია განწირული აღმოჩნდა. XX საუკუნის პირველ მეოთხედში მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაადასტურეს ამ პროცესების გარდუვალობა.

თურანულ-პანთურქისტული იდეოლოგიის გენეზისსა და მის შემდგომ განვითარებაზე ქვემოთ, შესაბამის თავებში გვექნება უფრო დეტალური საუბარი. ამჯერად კი იმას დავამატებდით, რომ „დიად ომად“ წოდებულმა I მსოფლიო ომმა თავისი „კორექტივები“ შეიტანა ამ ორი აზიური ტიპის იმპერიის ამბიციებში. მან წერტილი დაუსვა უზარმაზარი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების – ცარისტული რუსეთისა და ოსმალთა სასულთნოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობილებების არსებობას. მაგრამ ოქტომბრის რუსეთმა დამატებით კიდევ ერთი ნაბიჯი მაშინ გადადგა წინ, როცა ბოლშევიკური იდეოლოგიით, ლენინიზმით აღჭურვილმა, სრულიად ახალი რამ – „რევოლუციური მესიანიზმი“ იტვირთა თავს. ამ მოძღვრების – „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ მთავარ აპოლოგეტებად ბოლშევიკი ლიდერები, ვლადიმერ ულიანოვ-ლენინი და ლევ ბრონშტეინ-ტროცკი⁵⁹ მოგვევლინნენ. ისინი ღრმად იყვნენ იმაში დარწმუნებულნი, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა პროლეტარი მისიონერები თავის საქმეს გააკეთებდნენ და პროლეტარული რევოლუცია მთელს პლანეტაზე გაიმარჯვებდა.

⁵⁹ ლევ დავიდოვიჩ ტროცკი (ნამდვილი გვარ-სახელი ლეიბა ბრონშტეინი) (1879-1940) – მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი, ლიტერატორი და კრიტიკოსი, პუბლიცისტი და რეპორტიორი, გაზეთ „Искра“-ს კორესპონდენტი და რედკოლეგიის წევრი. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის შესახებ გამოცემული კაპიტალური ნაშრომებისა და სტატიების ავტორი. კომინტერნის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი და ფუძემდებელი, საბჭოთა კავშირიდან გაძევების შემდეგ – IV ინტერნაციონალის მთავარი თეორეტიკოსი და შემქმნელი. ძველი რევოლუციონერი, რსდმპ წევრი – მენშევიკი. მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთ-ერთი შემქმნელი. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა პირველი სახალხო კომისარი, შემდეგ – სამხედრო და საზღვაო საქმეთა პირველი სახალხო კომისარი. მარქსიზმის ერთ-ერთი იდეოლოგიური მიმდინარეობის – ტროცკიზმის დამაარსებელი. 1905 წელს მის მიერ შექმნილი პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელი. 1908 წლიდან ემიგრაციაშია. 1908-1912 წლებში ვენაში გამოავალი გაზეთის „Правда“-ს გამომცემელი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება რუსეთში. 1917 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრია, საბჭოების მე-2 ყრილობისა და დამფუძნებელი კრების დელეგატი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის (კომინტერნი) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და იდეოლოგი, კომინტერნის აღმასკომის წევრი. საბჭოთა რუსეთის მთავრობის პირველი შემადგენლობის წევრი, 1918-1925 წლებში საბჭოთა რუსეთის, შემდგომ კი, საბჭოთა კავშირის საგარეო და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, რსფსრ სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე. 1923 წლიდან დაუპირისპირდა სტალინს – შიდა პარტიული მემარცხენე ოპოზიციის ლიდერი. 1919-1926 წლებში კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი. 1927 წელს მოიხსნა ყველა დაკავებული თანამდებობიდან და გაიგზავნა გადასახლებაში. 1929 წელს გააძევეს საბჭოთა კავშირიდან, 1932 წლიდან ჩამოერთვა საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა. ემიგრაციაში ყოფნისას ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1940 წლის 20 აგვისტოს მექსიკაში მოკლა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) აგენტმა.

§1.3. ბოლშევიკთა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფციისათვის

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებას ლენინსა და მის თანამებრძოლებს „ოქტომბრის მონაპოვრების“ განმტკიცებისა და განვრცობისათვის ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა მისცა. რუსეთი და მისი მოსახლეობა კი სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის ღრმა წყვედიადისათვის იქნა განწირული. მოგვიანებით, თავის მეშუარულ ნაშრომში “The World Crisis 1918-1925“, უინსტონ ჩერჩილი (Winston Churchill) რუსეთის სამოქალაქო ომის შესახებ წერდა: „მთელს რუსეთში უცნაური ომი მიმდინარეობდა ისეთ უზარმაზარ სივრცეებზე, რომ ასეულ ათასიანი არმიები მასში იკარგებოდნენ, დნებოდნენ, ორთქლდებოდნენ; ეს იყო ომი, სადაც ადგილი არ ჰქონდა ნამდვილ საბრძოლო მოქმედებებს, არამედ მხოლოდ შეტაკებები, თარეში, ხოცვა-ჟლეტა, რომლის შედეგად ხელიდან ხელში გადადიოდნენ ინგლისისა და საფრანგეთის ხელა ოლქები; ეს იყო რუკებზე ალმების ომი. ომი, რომელმაც არ იცოდა არც დანდობა და არც ღირსება. ქალაქზე ეს დიადი ომის (Great War – აქ I მსოფლიო ომზეა საუბარი – ა. ჩ.) დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე მოქმედებებს გავდა. ფაქტიურად კი, ეს იყო ამ ომის ანარეკლი, ცივი, სუსტი ომი, ჩრდილების ბრძოლა პლუტონის ბნელ სამყაროში... ხან ბოლშევიკები ურტყამდნენ რომელიმე პუნქტს, ხან თეთრები. და ალმებიც გადაადგილდებოდნენ, ქალაქები პატრონებს იცვლიდნენ, შესაბამისად – პოლიტიკურ სიმპათიებსაც. სასტიკი შურისძიებები კი თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა ინკვიზიტორულ მეთოდებთან სრულ შესაბამისობაში“.⁶⁰ თუმცა ბოლშევიკთა შეიარაღებული აქტივობისათვის იდეოლოგიური სამზადისი არც მხოლოდ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელმოწერით დაწყებულია და არც მისით დასრულებულია.

I მსოფლიო ომის დაწყებამ ერთი ხელის მოსმით დაამსხვრია მარქსისტული მოძღვრების ერთ-ერთი მთავარი დებულება კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის მშვიდობიანი გზის შესახებ. კაცობრიობამ შეძლო, თავი დაეღწია „მატერიალისტური წუმპისათვის“, როგორც ამას თავის დროზე დიდი პრუსიელი მოაზროვნე და სამხედრო სტრატეგოსი, ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე წინასწარმეტყველებდა... და მსოფლიოშიც „ახალი წესრიგი“ დამყარდა. დაიწყო I მსოფლიო ომი, რომლისკენაც განვითარებული ევროპა და მსოფლიო წლების განმავლობაში დაჟინებით და მეთოდურად მიიწვედა. აკი სწორედ ფონ მოლტკე შეიქნა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან I მსოფლიო ომის თეორიული და სტრატეგიული სამხედრო აზრის მთავარი აპოლოგეტი, როცა სტრატეგიული გარშემორტყმისა და გამანადგურებელი ომის თეორიულ კონცეფციას უყრიდა საფუძვლებს და ამავე დროს კაცთა მოღვმის ზნეობრივი ღირებულებების პრიმატს უსვამდა ხაზს: „ომი ღმერთისგან მართული სამყაროს წესრიგის განუყოფელი ნაწილია. ომში ადამიანის კეთილშობილური საწყისები წარმოჩნდებიან პირველ პლანზე. სიმამაცე და თავგანწირვა, მოვალეობის ერთგულება და მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა... ომის გარეშე მსოფლიო მატერიალისტურ წუმპედ გადაიქცევა“⁶¹ – აცხადებდა იგი.

⁶⁰ Черчилль В. Мировой кризис 1918-1925. / Пер. с англ.; с предисловием И. Минца. — М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. <http://militera.lib.ru/memo/0/one/english/churchill2.rar>.

⁶¹ Makers of Modern Strategy from Machiavelli to the Nuclear Age. By Peter Paret (Editor). Gordon A. Craig, Felix Gilbert. Hajo Holborn. Prussian- German School: Moltke and the Rise of the General Staff. Princeton University Press. New-Jersey. 1986. Pg. 256.

„ადამიანის კეთილშობილური საწყისების წარმოჩენისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ I მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის მოწყობის გზა კი ნამდვილად შეიცვალა. და ამ ცვლილებების პიონერებად რუსეთი და რუსი ბოლშევიკები იქცნენ. ევროპაში კი, ნაციონალური სიამაყის გრძობამ გვერდზე გადასწია მარქსისტული ინტერნაციონალიზმის იდეები, რომლისადმი ერთგულების შენარჩუნებაც რადიკალურად განწყობილი სოციალისტების მხოლოდ მცირე ჯგუფმა შეძლო. ევროპის მუშათა მოძრაობა კი II ინტერნაციონალის დაარსებიდან ყველაზე დიდი განხეთქილების ფაზაში შევიდა. II ინტერნაციონალი I მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად დაიშალა, როდესაც მასში გაერთიანებულმა ყველა წამყვანმა პარტიამ, ბოლშევიკების გამოკლებით, თავიანთი ქვეყნების მთავრობებს დაუჭირა მხარი. ასე გაჩნდა რუსულ პოლიტიკურ სივრცეში მარგინალური იდეოლოგიის განმსაზღვრელი ტერმინები – „პორაჟენცები“ და „ობორონცები“. „პორაჟენცებად“ რუსი ბოლშევიკები ჩამოყალიბდნენ, რომლებმაც I მსოფლიო ომში საკუთარი ქვეყნის დამარცხება და მსოფლიო ომის რუსეთის სამოქალაქო ომად გადაქცევა დაისახეს მიზნად. რუსეთის სხვა სოციალისტური ტიპის პარტიები, და, პირველ რიგში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) მენშევიკური ფრთის წევრები კი, რომლებიც ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანას უჭერდნენ მხარს, „ობორონცებად“ ჩამოყალიბდნენ. „პორაჟენცების“ ლიდერებს ვლადიმირ ლენინი და იოსებ სტალინი წარმოადგენდნენ, „ობორონცებისას“ კი – გიორგი პლენხანოვი⁶² და ქართველი ორთოდოქსი სოციალ-დემოკრატები.

I მსოფლიო ომთან დამოკიდებულება და რუსული სოციალ-დემოკრატიის სტრატეგიის შემუშავება ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა ჯერ კიდევ ომის მიმდინარეობის საწყის ეტაპზე დაიწყეს. რევოლუციური მარქსიზმი ბოლშევიკებს საერთაშორისო პრინციპებისადმი ერთგულებას ავალდებულებდა. რუსმა ბოლშევიკებმა, ვლადიმირ ლენინისა და იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით, ომში მონაწილე ყველა ქვეყნის „მუშათა ინტერნაციონალური გაერთიანების“ იდეა წამოაყენეს, რაც მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას გულისხმობდა. მსოფლიო ომში საკუთარი ქვეყნის მთავრობების დამარცხება კი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების წინაპირობად დასახეს.

I მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად, ლენინი უსაფრთხო ადგილას, შვეიცარიაში ფუძნდება, სადაც „ველკოდერჟავული შოვინიზმისა და ომის მძარცველური ბუნების“ გაშიშვლება დაიწყო. იგი თვლიდა, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში „შეძლო პროლეტარიატს ხალხთა ნამდვილი თავისუფლებისა და სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა“. უკვე სექტემბრის თვეში ბერნში გამართულ ბოლშევიკთა შეხვედრაზე, შემდეგ კი ცეკას ისტორიულ მანიფესტში „ომი და რუსული სოციალ-დემოკრატია“, რომელსაც საფუძვლად დაედო ლენინის ცნობილი „თეზისები ომის შესახებ“, ბოლშევიკებმა ნათლად ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები და მოქმედებების ტაქტიკა ომთან, მშვიდობასთან და რევოლუციასთან მიმართებაში:

⁶² გიორგი ვალენტინოვიჩ პლენხანოვი (1856-1918) – მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი, რუსი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი და სოციოლოგი. 1883 წელს რუსეთის პირველი მარქსისტული ორგანიზაციის, ხოლო 1894 წელს „რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის“ დამფუძნებელი. რუსეთისა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი იდეოლოგი. რსდმპ მენშევიკური ფრთის ლიდერი და გაზეთ „ისკრის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. რსდმპ მე-2 დამფუძნებელი ყრილობის ორგანიზატორი. I მსოფლიო ომის მსვლელობისას სოციალ-დემოკრატების „ობორონცული“ პოლიტიკის გამტარებელი და დროებითი მთავრობის კურსის მხარდამჭერი. ვ. ი. ლენინის ცნობილი „პარლის თეზისების“ მემოხელი, რომელსაც იგი „ბოდვას“ უწოდებდა. ბოლშევიკთა მიერ ხელისუფლების შეიარაღებული გზით მიტაცებისა და ოქტომბრის გადატრიალების ღია მოწინააღმდეგე. ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და იდეოლოგიური გზამკვლევი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ჩამოშორებულ იქნა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. გარდაიცვალა 1918 წლის 30 მაისს ფინეთში.

1. იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად და საკუთარი ქვეყნის მთავრობის დამხობა;
2. მუშათა ინტერნაციონალური გაერთიანება, შოვინიზმის ნებისმიერი სახის წინააღმდეგ გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადება, იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან კოლონიების ხალხების გათავისუფლება;

ევროპის რესპუბლიკური შეერთებული შტატების შექმნა და მისი ერთ-ერთი უახლოესი ლოზუნგის „გერმანული, პოლონური, რუსული და ა.შ. რესპუბლიკების პროპაგანდა. ამასთან ერთად, ევროპის თითოეული სახელმწიფოს გადაქცევა ევროპის რესპუბლიკურ შეერთებულ შტატებად“.⁶³

უკვე 1915 წელს, I მსოფლიო ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, ვ. ლენინმა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და სტრატეგიული ინტერესების არეალიც გააფართოვა. ამჯერად მის სამიზნეში არა მხოლოდ ევროპა, არამედ მთელი მსოფლიო მოექცა – „მსოფლიოს (და არა ევროპის) შეერთებული შტატები წარმოადგენს ერების სახელმწიფოებრივი მოწყობისა და თავისუფლების იმ ფორმას, რომელსაც ჩვენ სოციალიზმთან ვაკავშირებთ, სანამ კომუნიზმის სრული გამარჯვება არ მიგვიყვანს ყოველგვარი სახის, მათ შორის, დემოკრატიული სახელმწიფოს გაქრობამდე. როგორც დამოუკიდებელი ლოზუნგი, ლოზუნგი „მსოფლიოს შეერთებული შტატები“ მართალი იქნება იმიტომ, რომ, პირველ რიგში, ის სოციალიზმს ერწყმის; მეორე კი ისაა, რომ მან შეიძლება არასწორი წარმოდგენა შექმნას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და ამ ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ სხვა დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში“.⁶⁴

უშიძემესი და დამღლელი, გამანადგურებელი ომის მესამე წლისთავზე რუსი ჯარისკაცისათვის ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ომიდან რევოლუციური გამოსვლის პერსპექტივა რეალობად იქცა. ომის დამამთავრებელ ეტაპზე კი, ისარგებლა რა მემარცხენეთა გამოსვლებით, ლენინმა III სოციალისტური ინტერნაციონალის, კომუნისტური ინტერნაციონალის, ანუ „კომინტერნის“ შექმნა დაისახა მიზნად, რომლის ამოცანასაც მსოფლიოს ყველა სოციალისტური პარტიის გაერთიანება და რევოლუციური მოძრაობის განვრცობა წარმოადგენდა.⁶⁵

და მაინც, რა გზით უნდა ებრძოლათ ბოლშევიკებს „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ? როგორ ესმოდათ და რას წარმოადგენს ეს ყბადაღებული ცნება – რევოლუცია?

ახალი თეორიებისა და კონცეფციების ჩამოყალიბებას არ შეეუდგებოდა, რადგან ამ საკითხების შესახებ ათწლეულების განმავლობაში ასობით „ჭკვიან თავს“ უმუშავია და ველოსიპედის მეორედ გამოგონებაც არაა საჭირო. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ „მეცნიერული კომუნიზმის“ ერთ-ერთ ფუძემდებელს, ფრიდრიხ ენგელსს დავესესხებით.

მაშ ასე – რა არის რევოლუცია?

ენგელსისეული განმარტება ასეთია: „რევოლუცია, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, ყველაზე ავტორიტარული რამაა, რაც კი შესაძლებელია რომ წარმოვიდგინოთ. რევოლუცია აქტია, რომელშიც მოსახლეობის ნაწილი თავის ნებას ახვევს მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს თოფების, ზიშტებისა და ზარბაზნების, ანუ განსაკუთრებით ავტორიტეტული საშუალებების მეშვეობით. და თუ გამარჯვებულ პარტიას არ სურს დაკარგოს თავისი ძალისხმევის ნაყოფი, მან თავისი ბატონობა უნდა შეინარჩუნოს იმ შიშის დანერგვით, რომელსაც რეაქციონერებს ჩაუნერგავს ეს იარაღი“.⁶⁶

⁶³ В. И. Ленин. Полн. Собр. Соч., т.21. Стр. 4.

⁶⁴ В. И. Ленин. О лозунге Соединенные Штаты Европы. Социал-Демократ, № 44, 23 августа 1915 г. Печатается по тексту газеты „Социал-демократ“. <http://www.marxists.org/russkij/lenin/1915/08/10a.htm>.

⁶⁵ Резников А. Б. О восточной политике Коминтерна. — В кн.: Коминтерн и Восток. Критика критики. М., 1978.

⁶⁶ Маркс К., Энгельс Ф. Соч. Т. 18. Стр. 305.

ძალიან გაურანდავი და ზედმეტად პროზაული განმარტებაა, მაგრამ დედააზრი ნათლადაა ჩამოყალიბებული. უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ: „რევოლუცია საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ დანარჩენი ნაწილისათვის თავს მოხვეული ტერორი, ძალადობა და თვითნებობაა“. და აქ უკვე ყველაფერი ნათელია, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. დიას, ბოლშევიზმი და რევოლუცია სხვა არაფერია, თუ არა ძალადობის, ტერორისა და თვითნებობის იდეოლოგია, რომლის ერთგული მიმდევრებიც იყვნენ ლენინიც და მისი თანამებრძოლებიც. ხოლო რაც შეეხება იმპერიალიზმის განმარტებას, იგი ლენინის ცნობილ ნაშრომში – „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია“ – შეგვიძლია ამოვიკითხოთ – „პოლიტიკურად, იმპერიალიზმი არის ძალადობისა და რეაქციისაკენ სწრაფვა“.⁶⁷

ვერაფერს ვიტყვით, გულწრფელი აღიარებაა. ყოველივე ამას კი ძალიან საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ. ფაქტია, რომ, ერთის მხრივ, გვაქვს ტრიადა – „რევოლუცია, ბოლშევიზმი, იმპერიალიზმი“. და, მეორეს მხრივ, ისმება კითხვა – რა კავშირია ტრიადის ამ ელემენტებს შორის? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკებმა ცარისტული იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე სამოქალაქო ომის სისხლიანი კალო გალექეს, რასაც ათასობით და ათასობით თანამემამულის სიცოცხლე შეეწირა, საომარი მოქმედებები გააჩაღეს პოლონეთის წინააღმდეგ, ძალის გამოყენებით მოახდინეს უკრაინის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ტერიტორიების ოკუპაცია და ანექსია, მოამზადეს შეიარაღებული გამოსვლები დასავლეთსა და აღმოსავლეთში (უნგრეთი, ბავარია, სპარსეთი), მაშინ ძალიან სამართლიანი იქნება, თუ რევოლუციას, ბოლშევიზმსა და იმპერიალიზმს შორის ტოლობის ნიშანს დავსვამთ. მართებულად აღნიშნავდა ცნობილი ქართველი რევოლუციონერი და სოციალ-დემოკრატი, ორთოდოქსალური მარქსიზმის ერთ-ერთი უპირველესი აპოლოგეტი საქართველოში, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, ვალიკო ჯუღელი, რომ ბოლშევიზმი არა კომუნიზმი, არამედ XX საუკუნის განდალიზმი იყო.⁶⁸

ისტორია გვასწავლის, რომ ბოლშევიკებმა მიწაზე დაგდებული ხელისუფლება „აიტაცეს“. ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და ღვთისმსახური, სერგეი ბულგაკოვი თავის „დიადოგებში“, რომელიც 1918 წლის აპრილ-მაისით თარიღდება, წერდა: „საქმე იმაშია, რომ რევოლუცია ჩვენში არც არავის მოუხდენია და არც არავინ მოელოდა მის ასე სწრაფად დადგომას. იგი თავისთავად, სტიქიურად მოხდა. უკვე დიდი ხნის წინ მომპაალი ტახტი მოირყა და დაიშალა, მის ადგილას კი არაფერი, დიას, არაფერი აღარ დარჩა. ამაში მდგომარეობდა, ჩემის აზრით, თვითმპყრობელობის ფანატიკოსთა მთავარი ტრაგედია. რევოლუცია ომმა მოიტანა, მისით კი, ისარგებლეს როგორც ღირსეულმა, ასევე უღირსმა ხელისუფლებებმა, მოვლენები კი გაუთვალისწინებელი ლოგიკით განვითარდა“.⁶⁹

ივან ილინი კი წერდა: „რუსეთში სწრაფად, რამდენიმე დღეში და ისიც ძალიან ტრაგიკულად და ძალიან უმწეოდ ჩამოიშალა მონარქიული წყობა. ათასწლოვანი კოლოსი დაიშალა. გაქრა სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც ნაციონალურ რუსეთს აშენებდა... დინასტიამ კი არ დაიწყო ბრძოლა თავისი ტახტისათვის, ტახტი დაეცა და არავინ არ აიღო იგი ხელში, არ გაშალა გათელილი დროშა. არავინ არ ამოიღო ხმა, არავინ არ დადგა საჯაროდ მის დასაცავად... მონარქიის ნგრევა თავად რუსეთის ნგრევა იყო. ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის ფორმა გადავარდა და „რუსული რესპუბლიკის“ მაგივრად, როგორც ამაზე ოცნებობდა მემარცხენე პარტიების რევოლუციური ნახევრადინტელიგენცია, სრულიად რუსული უღირსობა და სულიერი

⁶⁷ Ленин В.И. ПСС. Т. 27. Стр. 388.

⁶⁸ Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Типографія Правительства. 1920 г. Стр. 80.

⁶⁹ Булгаков С. Н. На пиру богов / С. Н. Булгаков // Из глубины. – М.: Правда, 1991. – С. 91–157.

სილატაკე გაძევადა, როგორც ამას დოსტოევსკი წინასწარმეტყველებდა... ამ სულიერ სილატაკეში კი ბოლშევიზმი ამოიზარდა...“⁷⁰

იმავე 1918 წელს ბერდიაევმა რევოლუციის აპოკალიპტური მომავალი იწინასწარმეტყველა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ქრისტიანული რუსეთი თავის ძალას წარმოაჩენდა: „ძველი რუსეთი, რომელსაც მრავალ ბოროტებასა და სიმანხინჯესთან ერთად, ბევრი სიკეთე და სილამაზე ჰქონდა, კვდება. ახალი რუსეთი, რომელიც სასიკვდილო ტანჯვაში იბადება, ჯერ კიდევ გამოცანად რჩება. იგი არ იქნება ისეთი, როგორც იგი რევოლუციურ მოღვაწეებსა და იდეოლოგებს მიაჩნიათ. იგი არ იქნება მთლიანი თავისი სულიერებით. მასში ძალიან ძლიერად გაიყოფა და ერთმანეთს დაუპირისპირდება ქრისტიანული და ანტიქრისტიანული საწყისები. რევოლუციის ანტი-ქრისტიანული სულები თავის ბნელ სამეფოს შობენ. მაგრამ ქრისტიანულმა რუსეთმაც უნდა წარმოაჩინოს თავისი ძალა“.⁷¹ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა დიდი მოაზროვნის დასკვნები. რუსული რევოლუციის ანტიქრისტიანულმა სულებმა მართლაც შვეს თავიანთი ბნელი სამეფო და ეს ბნელეთი დღესაც არ გაფანტულა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ბოლშევიკებმა გლობალური პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა იგრძნეს. ბევრ მათგანს სჯეროდა, რომ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება უახლოესი მომავლის საკითხი იყო. ბოლშევიკური გადატრიალების მეორე დღესვე, 1917 წლის 26 ოქტომბერს გამართულ სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე, რევოლუციის „ბოროტი გენია“, ლევ ტროცკი დიდი შთაგონებით აცხადებდა, რომ „ევროპული რევოლუციის გაღვივების საქმეში ჩვენი რევოლუციის იმედები გვაქვს. თუ ევროპის აჯანყებული ხალხები არ გასრესენ იმპერიალიზმს, მაშინ ჩვენ თვითონ გაგვსრესენ – ეს უდავოა. ან რუსული რევოლუცია ააგორებს ბრძოლის ქარიშხალს დასავლეთში, ან თავად ჩვენ დაგვახრჩობენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები“.⁷² 1918 წლის 1 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში კი ლენინი სვერდლოვს⁷³ და ტროცკის სწერდა: „...საერთაშორისო რევოლუცია ისე მოგვი-ახლოვდა... რომ იგი უახლოესი დღეების საკითხია“.⁷⁴

ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ მცირე ხანში, კარგად გათამაშებული მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდიის შემდეგ, ბოლშევიკები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. უკვე 1918 წლის 7 მარტს რკპ(ბ) VII საგანგებო ყრილობაზე მოსვლისას ვლადიმერ ლენინი ცეკას მიერ ჩატარებული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების

⁷⁰ Юрий Лисица, Ольга Лисица. Учение Ильина о грядущей России. 2005. <http://www.pravoslavie.ru/jurnal/372.htm>.

⁷¹ Н. А. Бердяев. Духи русской революции. 1918. http://www1.lib.ru/HRISTIAN/BERDQEW/duhi.txt_with-big-pictures.html.

⁷² Соловьев О. Ф. Русские масоны. От Романовых до Березовского. — М.: Эксмо, Яуза, 2004. — С. 272. ISBN 5-699-07654-9 (со ссылкой на: Второй Всероссийский съезд Советов Р. И С. Д. М.; Л., 1928.). Стр. 272.

⁷³ იაკობ მიხაილოვიჩ სვერდლოვი (1885-1919) — რუსი ებრაელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პროფესიონალი რევოლუციონერი, ბოლშევიკი. რსდმ(ბ) და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტების წევრი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და რუსეთის სახელმწიფოსა და მთავრობის ფორმალური ხელმძღვანელი. ლენინთან ერთად რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის დახვრეტის სანქციის გამცემი. ადრევე ჩაერთო რევოლუციურ მოძრაობაში, რსდმ წევრი 1901 წლიდან, პარტიაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ, 1903 წელს ემხრობა ბოლშევიკებს. ჩამოყალიბდა, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერი. აქტიურად მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციაში. რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა გაქცევას. 1911 წელს ისევ აპატიმრებენ და უსჯიან გადასახლებაში ტომსკის მხარეში. აქვე ეცნობა სტალინს, რომელიც გადასახლებიდან აგვისტოში გაიქცა, ხოლო დეკემბერში — სვერდლოვიც. 1913 წელს ისევ აპატიმრებენ და სტალინთან ერთად ისევ ასახლებენ ტურუხანსკში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სვერდლოვი გადასახლებიდან ბრუნდება. მივლინებულია ეკატერინბურგის ცეკაში პარტიული კონფერენციის ორგანიზებისათვის. 1917 წლის 8 ნოემბერს ინიშნება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 1918 წლის თებერვალ-მარტში იყო პეტროგრადის რევოლუციური დაცვის კომიტეტის ბიუროს წევრი. კომინტერნის I-ლი კონგრესის ერთ-ერთი ორგანიზატორი. გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში 1919 წლის 16 მარტს.

⁷⁴ Ленин В. И. ПСС. Изд-е 5-е. — Т. 50. — М.: Политиздат, 1970. Стр. 185.

შესახებ პოლიტიკური ანგარიშით წარსდგა: „რადგან ჩვენი რევოლუცია მოხდა ამ ბედნიერ მომენტში, როდესაც მტაცებელთა ვერც ერთმა გიგანტურმა ჯგუფმა ვერ შეძლო ვერც დაუყოვნებლივ დასხმოდა ერთმანეთს თავს და ვერც ჩვენს წინააღმდეგ მოახერხეს გაერთიანება – მხოლოდ ამ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მომენტით შეძლო ესარგებლა და ისარგებლა კიდევ ჩვენმა რევოლუციამ, რათა განეხორციელებინა თავისი ბრწყინვალე ტრიუმფალური სვლა ევროპულ რუსეთში, გავრცელებულიყო ფინეთში, დაიწყო კავკასიის, რუმინეთის დაპყრობა“.⁷⁵ დიას, ზუსტად ეს სიტყვაა ნახმარი ტექსტში – „დაპყრობა“! (ЗАВОЁВЫВАТЬ – ა. ჩ.).

ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა არა მხოლოდ ომიდან გამოიყვანა რუსეთი, არამედ საშუალება მისცა მას, რომ საერთაშორისო იზოლაციისთვისაც დაეღწია თავი. და კრემლშიც იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რა მიმართულებით, რომელ ქვეყანაში და რა სქემით დაეწყო „პროლეტარული რევოლუციის“ ექსპორტი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას ღვინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები (ტროცკი, ზინოვიევი, სტალინი, განეცკი, სვერდლოვი, რადეკი, იოფე და ა.შ.) გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს უთმობდნენ. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1918 წლის მაისიდან, ბერლინში, ადოლფ იოფეს⁷⁶ ხელმძღვანელობით ფუნქციონირება დაიწყო რუსეთის სრულყოფილებიანმა წარმომადგენლობამ, რომელიც ბოლშევიკთა რევოლუციური გამოცდილების გაზიარებისა და პროპაგანდის მთავარ ცენტრად იქცა. ამ ცენტრის მუშაობაში ავსტრია-უნგრეთის ქალაქ ლემბერგში (დღევანდელი ლვოვი) დაბადებული ბოლშევიკი რევოლუციონერი, კაროლ სობელზონი – კარლ რადეკიც⁷⁷

⁷⁵ Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0. Ленин. В.И. ПСС. Т. 36. Стр. 9.

⁷⁶ ადოლფ აბრამოვიჩ იოფე (1883-1927) – რუსეთის რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, საბჭოთა დიპლომატი და პარტიული მოღვაწე. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი 1903 წლიდან, მენშევიკი. 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1906-1907 წლებში რსდმპ საზღვარგარეთული ბიუროს წევრი. 1908 წელს ლევ ბრონშტეინ-ტროცკისთან ერთად ვენაში გამოძავალი გაზეთის „Правда“-ს გამომცემელი. ტროცკის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი. 1917 წლიდან ბოლშევიკი, რუსეთის ბოლშევიკთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რსდმპ(ბ) წევრი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. 1917 წლის აგვისტოდან პეტროგრადის საქალაქო დუმის წევრი, ბოლშევიკური ფრაქციის თავმჯდომარე და პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების აქტიური მონაწილე და მისი ფორმალური ხელმძღვანელი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დიპლომატიურ სამუშაოზეა. 1918 წლის აპრილ-დეკემბრის პერიოდში საბჭოთა რუსეთის ელჩია გერმანიაში. მონაწილეობდა ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში. 1922 წლის დასაწყისში თურქეთის თავმჯდომარეა, ხოლო იმავე წლის 26 ივლისიდან რუსეთის მთავრობის წარმომადგენელია ჩინეთში, სადაც მძიმე დაავადდა. 1924 წლიდან რუსეთის სრულყოფილებიან წარმომადგენელი ვენაში. 1925 წელს ბრუნდება რუსეთში და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე. 1927 წელს, მძიმე ავადმყოფობით შეპყრობილი, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს.

⁷⁷ კარლ ბერნარდოვიჩ რადეკი (ნამდვილი გვარ-სახელი კაროლ სობელზონი) (1885-1939) – ძველი რევოლუციონერი, ცნობილი საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1902 წლიდან პოლონეთის კომუნისტური პარტიის წევრი, ხოლო 1903 წლიდან რსდმპ წევრი. 1904 წლიდან პოლონეთისა და ლიტვის სამეფოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1906 წელს რევოლუციური მოღვაწეობის გამო როზა ლუქსემბურგთან ერთად დააპატიმრა პოლონეთის პოლიციამ. 1907 წლიდან გაასახლეს ავსტრიაში. I მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად დაიკავა ინტერნაციონალისტური პოზიცია და იძულებული გახდა, გადასახლებულიყო შვეიცარიაში. ამ დროს ეცნობა ლენინს, რომელთანაც ამყარებს მჭიდრო ურთიერთობებს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ინიშნება რსდმპ საზღვარგარეთული წარმომადგენლობის წევრად სტოკჰოლმში. 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ბრუნდება რუსეთში. ინიშნება ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსად. 1918 წლიდან არალეგალურად იმყოფება გერმანიაში ბოლშევიკური რევოლუციის ორგანიზების ამოცანით. ანტისა-ხელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის გერმანიის პოლიცია აპატიმრებს, თუმცა მალევე ათავისუფლებენ. აქვე ეცნობა და ამყარებს ახლო ურთიერთობებს ოსმალეთის იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის ლიდერთან და ექსსამხედრო მინისტრთან, გენერალ ისმაილ ენვერ ფაშასთან. 1920 წელს ბრუნდება მოსკოვში. 1920-1924 წლებში რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრია. 1920 წლიდან კომინტერნის მდივანია, შემდეგ კი – კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1923 წლიდან ტროცკის აქტიური მომხრეა. 1927 წელს რიცხავენ პარტიიდან, თუმცა აგრძელებს პუბლიცისტურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. 1925-1927 წლებში იყო ი. ბ. სტალინის სახელობის „ადმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის“ რექტორი. 1930 წელს იხანებს იდეოლოგიურ გადახრებს. იმავე წელს აღადგინეს პარტიაში. 1936 წელს ისევ გარიცხეს პარტიიდან.

იქნა ჩართული. რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ამ წარმომადგენლობას მარტივი და ნათელი ამოცანა დაუსახა: „ჩვენებმა საზღვარგარეთ უნდა იბრძოლონ იმ მოსაზრებების წინააღმდეგ, რომ მხეცებად და ბოროტმოქმედებად არ ჩაგვთვალონ“.⁷⁸

ბერლინის, ბერნისა და ვენის წარმომადგენლობების მეშვეობით დაიწყო თანამოაზრეებთან ომის შედეგად დარღვეული პოლიტიკური კავშირების აღდგენა. რეალურად კი, მოსკოვის გათვლა შემდეგში მდგომარეობა: დაფუძნებულ რეზიდენტურებსა და დიპლომატიურ სტატუსს ამოფარებულ კრემლის ემისრებს, იოფესა და რადეკს, ავითაცხებიტა და პირდაპირი მოსყიდვებით „რევოლუციური კოცონი“ უნდა აეგვიზგიზებინათ გერმანიასა და ავსტრიაში. დიდი თანხები იხარჯებოდა „ოთხთა კავშირის“ ქვეყნებში საავითაცხო მასალების გასავრცელებლად, სადაც ამ ქვეყნების „მუშათა კლასს“ გადამჭრელი მოქმედებებისაკენ, საბჭოთა რუსეთის მიბაძვისა და ხელისუფლების ძალით მიტაცებისაკენ მოუწოდებდნენ. I მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში ამ ქვეყნებში ერთობ პოპულარული შეიქნა რევოლუციური ლოზუნგი – „გავაკეთოთ, როგორც რუსეთში!“ იოფესა და რადეკის „რევოლუციური მოღვაწეობა“ ფაქტობრივად სხვა არაფერი იყო, თუ არა მრავალჯერ ნაცადი რუსული „ცივი ომის“ სტრატეგიის გატარება გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან მიმართებაში. რუსული სახელმწიფოებრივი სტრატეგიის – „ცივი ომისა“ და ე.წ. „სტავლენიკების“ ინსტიტუტის შესახებ ქვემოთ გვექნება არსებითი საუბარი.

ზუსტად ასეთივე სქემით ხორციელდებოდა ოდნავ მოგვიანებით, უკვე 1920 წლიდან, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებებიც, როდესაც თბილისში დაფუძნებული 400-კაციანი, ე.წ. „საბჭოთა რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური წარმომადგენლობა“, რომელსაც ცნობილი ბოლშევიკი სერგეი კოსტრიკოვ-კიროვი⁷⁹ ჩაუდგა სათავეში, რეალურად ბოლშევიკთა სადაზვერვო-ძირგამომთხრელი მუშაობის ცენტრად და რუსეთის არმიის ГРУ-ს (Главное Разведывательное Управление – მთავარი სადაზვერვო სამმართველო) რეზიდენტურად იქცა.

გერმანიაში (ისევე როგორც შემდგომ საქართველოშიც) კრემლის ემისართა აგენტურული და ძირგამომთხრელი მუშაობა იმდენად აშკარად და ღიად მიმდინარეობდა, რომ მალე მათმა საქმიანობამ თვით გერმანიის საიმპერატორი ჯარების გენერალური

მავრამ იმავე წლის 16 ოქტომბერს დააპატიმრეს. 1937 წლის 30 იანვარს მიესაჯა 10 წლით პატიმრობა. 1939 წლის 19 მაისს დაუდგენელმა პირებმა მოკლეს პოლიტიზოლატორში.

⁷⁸ А. Ю. Ватлин. Архив внешней политики МИД РФ. Фонд 04, опись 13, папка 70, дело 993.

⁷⁹ სერგეი მირონიჩ კიროვი (ნამდვილი გვარი კოსტრიკოვი) (1886-1934) – პროფესიონალი რევოლუციონერი, რუსი და საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, წითელი ტერორის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1904 წლიდან რსდმპ წევრი. 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე. 1905 წელს რსდმპ ტომსკის კომიტეტის წევრი. 1917 წლის ბოლომდე მენშევიკური იდეოლოგიის მატარებელი და რუსეთის დროებითი მთავრობის პოლიტიკის მხარდამჭერი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ეკედლება ბოლშევიკებს. 1918 წლის ივლისში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს საბჭოების მე-5 ყრილობაში. 1919 წლის თებერვლიდან ასტრახანის დროებითი რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეა. ხელმძღვანელობს ანტიბოლშევიკურად განწყობილ მუშათა და სასულიერო პირთა დაზვერვებს. იმავე წელს ხდება მე-11 წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი, სერგო ორჯონიკიძის „მარჯვენა ხელი“. 1920 წლის დასაწყისიდან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრი. იმავე წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ინტერვენციისა და ოკუპაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1920 წლის ივნისიდან ინიშნება საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1920 წლის ოქტომბრიდან ხელმძღვანელობს რუსეთის დელეგაციას პოლონეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებებში. 1921 წელს, რკპ(ბ)-ს მე-10 ყრილობაზე ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. იმავე წელს ინიშნება აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად. 1923 წლიდან, რკპ(ბ) მე-12 ყრილობაზე ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანად. 1926 წლიდან პარტიის ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი და რკპ(ბ)-ს ჩრდილო-დასავლეთის ბიუროს მდივანია. იმავე წელს ირჩევენ რკპ(ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად. 1930 წლიდან საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია, ხოლო 1934 წლიდან – პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ცკკას საორგანიზაციო ბიუროს წევრი. თავში ერთი გასროლით მოკლა ვინმე ლეონიდ ნიკოლაევი სმოლნიში, 1934 წლის 1 დეკემბერს.

შტაბის ყოფილი უფროსის, გენერალ ერის ლუდენდორფის⁸⁰ (Erich Friedrich Wilhelm Ludendorff) ყურამდეც კი მიაღწია. გერმანიის ეროვნულმა გმირმა, ლუდენდორფმა მკაცრად გააკრიტიკა მთავრობა, რომელიც „მშვიდად უყურებდა იმას, თუ როგორ არიგებდა ბერლინში იოფე ფულეს და ავრცელებდა მოწოდებებს რევოლუციის მოსამზადებლად“.⁸¹

ბოლოს და ბოლოს, 1918 წლის ნოემბრისათვის, ანტისახელმწიფოებრივი და ძირგამომთხრელი აგენტურული მუშაობისათვის გერმანიის ხელისუფლებმა რადეკი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, ხოლო „დიპლომატი“ იოფე ქვეყნიდან გააძევეს. დავიძახსოვროთ ეს მომენტი – სწორედ ციხეში მყოფი კარლ რადეკი ითამაშებს გადამწყვეტ როლს ჩვენი კვლევის ძირითადი საკითხის გაშლაში.

რუს ბოლშევიკებსა და მათ თანამოაზრეებს აღაფრთოვანებდათ ის აზრი, რომ ომის დასრულებისთანავე იმპერიალიზმის კრახს თან მიჰყვებოდნენ ევროპის ზომიერი სოციალისტური პარტიების ლიდერებიც, რადგანაც ბოლშევიკები მათ მუშათა კლასში ბურჟუაზიის იდეების გამტარებელ ინსტრუმენტებად განიხილავდნენ. მაგრამ ბოლშევიკთა მოლოდინი არ გამართლდა. მათ მალე აღმოაჩინეს, რომ „II ინტერნაციონალის აყროლებულმა ლეშმა“ (Смердящий труп – ვ. ი. ლენინის ტერმინოლოგია – ა. ჩ.) ძალების მოკრება დაიწყო.

ციტატაში გამოყენებული და ლენინისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებულად მძაფრი და დახუნძლული ბილწი ლექსიკონი კი ალბათ საყოველთაოდაა ცნობილი. ხოლო მათ, ვისთვისაც ნაკლებადაა ცნობილი ლენინის პიროვნების ეს შტრიხი და მისი ბილწისიტყვაობა, კიდევ რამდენიმე „მარგალიტს“ შევთავაზებთ მისი მდიდარი ლექსიკიდან, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს „პროლეტარიატის დიდი ბელადის“ შინაგან „კულტურას“ – „Говно“, „Гад“, „Горлопан“, „Гнилое яйцо“, „Грязный натурашка“, „Зад“, „Лошадиный барышник“, „Мерзавец“, „Мещанская сволочь“,

⁸⁰ ერის ფრიდრიხ ვილჰელმ ლუდენდორფი (Erich Friedrich Wilhelm Ludendorff) (1865-1937) – გამოჩენილი გერმანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, „ტოტალური ომის“ კონცეფციის ავტორი, გერმანიის საიმპერატორო ჯარების ინფანტერიის გენერალი. I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. დაამთავრა კადეტთა სკოლა. სამხედრო სამსახური დაიწყო გენერალურ შტაბში. 1904-1913 წლებში მსახურობდა სამობლიზაციო განყოფილების ოფიცრად. მონაწილეობდა „შლიფენის კეგმის“ დეტალურ დამუშავებაში. 1913 წელს რაისსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მოხსნეს დააკავებული თანამდებობიდან და გადაიყვანეს დივიზიის მეთაურად. I მსოფლიო ომის დასაწყისში დაინიშნა მე-2 არმიის შტაბის უფროსად. იმავე წლის 5 აგვისტოს ინიშნება მე-5 კორპუსის სარდლად, შემდეგ კი მე-14 ბრიგადის მეთაურად, რომლის დროსაც წარმატებით განახორციელა ლიეჟის ალყა. ორ კვირაში გადაიყვანეს აღმოსავლეთის ფრონტზე, კენიგსბერგთან, მე-8 არმიის შტაბის უფროსად, რომლის სარდლადაც დაინიშნა თადარიგიდან გამოძახებული გენერალ-ფელდმარშალი პაულ ფონ ჰინდენბურგი. მე-8 არმიის მიერ ტანენბერგთან წარმატებით აღსრულებული საფრონტო ოპერაციის შემდეგ ფაქტიურად განადგურდა ორი რუსული, I-ლი და მე-2 არმიები. ამ გამარჯვების შემდეგ ფელდმარშალ პაულ ფონ ჰინდენბურგსა და გენერალ ერის ლუდენდორფს გერმანიის ეროვნული გმირების წოდებები მიენიჭათ. 1914 წლის ნოემბრიდან ინიშნება აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობის შტაბის უფროსად, ხოლო 1916 წლის აგვისტოდან – საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი – შტაბის უფროსად. გერმანული არმიების მიერ დასავლეთის ფრონტზე 1918 წლის გაზაფხულზე დაწყებული სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ, 1918 წლის 26 ოქტომბერს გადის თადარიგში. I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე თავი შეაფარა შვედეთს. 1919 წლის გაზაფხულზე ბრუნდება გერმანიაში და იწყებს პოლიტიკურ საქმიანობას, გამოდის ჰიტლერისა და გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის მხარდამჭერად. 1924 წელს ირჩევენ რაისსტაგის დეპუტატად. 1925 წელს კენჭს იყრიდა გერმანიის საპრეზიდენტო არჩევნებში. არჩევნებში დამარცხებისა და ფელდმარშალ პაულ ფონ ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, 1925 წლიდან პოლიტიკურ ოპოზიციაში უდგება ადოლფ ჰიტლერის ნაციონალურ-სოციალისტურ მუშათა პარტიასა და ფონ ჰინდენბურგის პოლიტიკურ პლატფორმას. იმავე წელს აარსებს ახალ პოლიტიკურ მოძრაობას „ტანენბერგის კავშირს“. 1928 წელს მიდის დიდი პოლიტიკიდან, თუმცა 1930 წელს აარსებს ახალ რელიგიურ კავშირს „გერმანელი ხალხი“. 1933 წელს გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ პოლიტიკური გაერთიანებები „ტანენბერგის კავშირი“ და „გერმანელი ხალხი“ აკრძალულად გამოცხადდა. 1935 წელს ჰიტლერმა პირადად მიიხანულა ლუდენდორფი და მას III რაიხის გენერალ-ფელდმარშლის წოდება შესთავაზა. ლუდენდორფმა ეს შეთავაზება უარყო და განაცხადა: „ფელდმარშლის წოდებას არ ანიჭებენ, ფელდმარშლებად იბადებიან“. გარდაიცვალა 1937 წელს, ბავარიაში. დაკრძალეს სრული სამხედრო პატივით.

⁸¹ Людendorff Э. Мои воспоминания о войне 1914-1918. М. 1924. Т. 2. Стр. 296.

„шарлатан“, „моськи“, „навозные кучи“, „олух“, „пакостник“, „паскуда“, „помойная яма“, „поганое стойло“, „проститутки“, „самодур“, „свинья“, „сволочь“, „тупоум“, „ученые дураки“, „шалолай“, „шуты гороховые“, „юдушка“, „навозные мухи“ და ა.შ. და ა.შ. და ა.შ.⁸²

ბოლშევიკებმაც არ მოადუნეს „რევოლუციური სიფხიზლე“ და შესაბამისი კონტრზომების გატარება დაიწყო. II ინტერნაციონალის რეანიმაციის პროცესებთან დასაპირისპირებლად და მემარცხენე ალტერნატივის ჩამოსაყალიბებლად 1918 წლის დეკემბრიდან მოსკოვში ახალი ინტერნაციონალური გაერთიანების – „III ინტერნაციონალის“, „კომუნისტური ინტერნაციონალის“, ანუ „კომინტერნის“ შექმნისაკენ მოწოდებები გაისმა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ 1917 წლის დასაწყისში საუბრობდა ლენინი თავის ცნობილ „პარტიის თეზისებში“: „ზუსტადაც ჩვენ, ზუსტადაც ახლა და დაყოვნებლივ უნდა ჩამოვაყალიბოთ ახალი, რევოლუციური, პროლეტარული ინტერნაციონალი“.⁸³

ზუსტად იმავე დროს ისევ ჩნდება რუსულ სინამდვილეში მესიანური იდეის მოდერნიზებული ვარიანტი და წინა პლანზე ისევ „მესამე რომის“ კონცეფცია გამოდის, ოღონდ უკვე სახეშეცვლილი და ეპოქას მისადაგებული. ცნობილმა რუსმა ფილოსოფოსმა და პუბლიცისტმა ივანოვ-რაზუმიკმა ძალიან ნათლად და მკაფიოდ გამოსახა რუსული რევოლუციური აზრის კავშირი მესამე რომის კონცეფციასთან. ყველაზე ორიგინალური იდეა კი მის მსჯელობაში ის იყო, რომ მან მესამე რომსა და III ინტერნაციონალს შორის ტოლობის ნიშანი დასვა – „მესამე რომის“ რუსული კონცეფცია III ინტერნაციონალში განსხეულდა. შესაბამისად, რუსულმა რევოლუციურმა მესიანიზმმა ახალი მასშტაბები შეიძინა: „პეტერბურგის პერიოდში მესამე რომი დავიწყებას მიეცა, მაგრამ თავად იდეა მართალი იყო, იგი არ მომკვდარა, იგი არსებობს. მესამე რომი, – ამტკიცებდა იგი, – ახალ ნიადაგზე აღმოცენდება. დიახ, ორი რომი დაეცა, მესამე რომი დგას და მეოთხე რომი აღარ იქნება. მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება შემდგომ გზას გაუხსნის კაცობრიობის გაერთიანებას ახალ სამყაროში – მესამე რომში. ეს ახალი მესამე რომი უკვე არსებობს და იგი III ინტერნაციონალში ისხამს ხორცს“.⁸⁴

ესეც ასე. 1917 წლისათვის რუსულ მესიანისტურ იდეოლოგიაში ახალი ფორმულა იბადება – „მესამე რომი III ინტერნაციონალია“... რუსი ხალხის ხილიასტურმა მოლოდინებმა მიზანმიმართული ხასიათი მიიღო და გამართლდა – მეფე (Царь) და სიმართლე (Правда) აღსდგა და ისიც ცხადი გახდა, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა ლენინის თეზისებში გაჟღერებული იდეები „ახალი, რევოლუციური პროლეტარული ინტერნაციონალის“ ჩამოყალიბების შესახებ რეალობად უნდა ქცეულიყო. რუსეთი და რუსი ხალხი კი ისევ ხილიასტურ მოლოდინებს მიეცა...

⁸² არჩილ ჩაჩხიანი. პოლიტიკური პორტრეტები რეტუშირების გარეშე – ვლადიმირ ლენინი და მუსტაფა ქემალის (ათათურქი). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ისტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 1(12) 2013. გვ. 367.

⁸³ Ленин В. И. Полн. Собр. Соч. Т. 31. Стр. 177.

⁸⁴ Саркисянц, Мануэль. Россия и мессианизм. Глава 15. Универсалистские притязания русского мессианизма. 2009. http://russidea.rchgi.spb.ru/libruss/index.php?ELEMENT_ID=1728.

§1.4. „ცივი ომი“ – რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის ძვაკუთხედი

წამოჭრილ პრობლემებში უფრო საფუძვლიანად გარკვევისათვის რუსული იდეისა და რუსული სახელმწიფოს განვითარების პროცესები ცოტა განსხვავებული რაკურსით უნდა განვიხილოთ. ამ პროცესების თანმდევი ფენომენი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა განვითარებული მოვლენების ხასიათს.

მოსკოვის რუსეთის ჩამოყალიბების პერიოდი (XIV-XV სს.) რუსეთში მონღოლთა ბატონობის პერიოდს ემთხვევა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მოსკოვის რუსეთი მონღოლთა ბატონობის პირობებში ყალიბდებოდა. მონღოლებმა რუსეთის ეს რეგიონები დაიპყრეს და საფუძვლიანად გაძარცვეს XIII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში (1237 წელს მონღოლებმა ქ. რიაზანი აიღეს, ხოლო 1238 წელს – ქ. ვლადიმირი).

კიევის რუსეთი ის სახელმწიფო იყო, სადაც ნორმანულ-ვიკინგური სული ბატონობდა. მოსკოვის რუსეთი კი იმ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სადაც უკვე მონღოლური სული გაბატონდა. მონღოლებთან ხანგრძლივი ურთიერთობის პერიოდში ადგილი ჰქონდა სისხლის აღრევას რუსთა და მონღოლთა შორის. მოსკოვის რუსეთის დიდი მთავრები (შემდგომში მეფეები) ტიპიური აზიელი ტირანები იყვნენ და არაფრით გამოირჩეოდნენ მონღოლი ყაენებისგან. მონღოლურმა წეს-ჩვეულებებმა დამკვიდრება იწყო რუსეთში, განსაკუთრებით, ფეოდალურ არისტოკრატიაში. მოსკოვის გარშემო რუსული მიწების გაერთიანების პროცესში აქტიურად ერეოდნენ მონღოლი ყაენები. პრაქტიკულად, მათზე იყო დამოკიდებული მოსკოვის მთავრის მიერ სხვა რუსული სამთავროების შემოერთება. „მოსკოვის რუსეთის ხასიათი არ შეცვლილა მონღოლთა ბატონობიდან განთავისუფლების (1480 წ.) შემდეგაც“⁸⁵ – ზუსტად აღნიშნავს პროფესორი ვახტანგ გურული.

რუსი ავტორები კი ასე ეხმიანებიან აღნიშნულ თემას – ეროვნული თვითშეგნების ჩასახვა და ჩამოყალიბება ერების ერთმანეთზე ზეგავლენით ხდება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს ხდება ომებით თუ სავაჭრო, კულტურული და პოლიტიკური კონტაქტების დამყარებით. რუსი ერისათვის პირველი ასეთი მნიშვნელოვანი კონტაქტი ბიზანტიასთან შეხვედრა იყო IV-V საუკუნეებში. რა თქმა უნდა, სხვა მეზობლების ზეგავლენაც იყო, როგორცაა, მაგალითად, სტეპის ხალხები, მონღოლები, ურალელ-ალტაელები. ეს კონტაქტები ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ისტორიკოსები და კულტუროლოგები წაახალისა, ეღიარებინათ დებულება, რომ „თათრობის გარეშე არ იარსებებდა რუსეთი“. თათრობამ იმდენად ღრმად შეაღწია რუსული კულტურის ქსოვილში, რომ უკვე ძნელია, გაარკვიო, სად არის სუფთა თათრული და სუფთა რუსული. თათრობა – „ნეიტრალური“ კულტურული გარემო, რომელიც „ყველანაირ ღმერთებსა“ და „ყველა კულტურას“ იტანდა, რუსეთს ღვთის რისხვად დაატყდა. რუსეთი რომ „ირანული ფანატიზმითა და ეგზალტაციით“ დაავადებულ თურქებს რგებოდათ, მისი ბედი გაცილებით მწარე იქნებოდა. რუსეთი დასავლეთს რომ რგებოდა, იგი მას სულს ამოაცლიდა...⁸⁶

ევგენი ტრუბეცკოი კი, ტავის ნაშრომში „О туранском элементе в русской культуре“, პირდაპირ აცხადებდა, რომ რუსი „Царь“-ი მონღოლი ყაენის მემკვიდრეს წარმოადგენდა: „თურანულმა ელემენტმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა რუსი ხალხის ფსიქოლოგიურ წყობასა და მისი ცხოვრების წესზე. ევგენი ტრუბეცკოი

⁸⁵ ვახტანგ გურული. საქართველო და რუსეთი (მფარველობიდან ანექსიამდე). თბილისი. 2009. გვ. 11-12.

⁸⁶ Савицкий П. Н. Степь и оседлость // Мир России – Евразия. Антология / Составители и авторы вводного очерка Л. И. Новикова, И. Н. Сиземская. М., 1995. Стр. 60.

ამბობდა: „მართალია, მართლმადიდებლობა რუსებმა არა თურანელებისგან, არამედ ბიზანტიისაგან მიიღეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს რწმენა გარკვეულწილად თურანულ ფსიქოლოგიაზე იყო დაფუძნებული“. და არა მხოლოდ სარწმუნოებასთან დამოკიდებულება, არამედ რუსული სახელმწიფოებრიობა ხელისუფლების თათრული ორგანიზაციის წესისაგან წარმოიშვა. ამ თვალსაზრისით კი, რუსი „Царь“-ი მონღოლი ყაენის მემკვიდრეს წარმოადგენდა“.⁸⁷

რუსეთის პოლიტიკურ ტრადიციებსა და მეთოდებზე სრული და ზუსტი წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა მის მიერ გასულ საუკუნეებში წარმოებული ომები და ამ ომების ხასიათი განვიხილოთ. ამ საკითხების კვლევისას კი, განსაკუთრებული ყურადღება ერთ მთავარ მომენტს უნდა მივაქციოთ. ისტორია გვასწავლის, რომ რუსეთის დაპყრობითი ომების დიდ სტრატეგიას ყოველთვის პოლიტიკური სახე ჰქონდა. ისტორია გვასწავლის, რომ რუსეთის მიერ ომების მომზადება საფუძვლიანად და მეთოდურად მიმდინარეობდა, რაშიც მთავარი როლი ე.წ. „ცივი ომს“ ჰქონდა მიკუთვნებული. რუსული „ცივი ომის“ ცნებასა და ფილოსოფიაში მთავარი თეზა ყოველთვის პოლიტიკური მომენტი იყო, რადგან, როცა კი რუსეთს სასწორზე შეუგდია გამარჯვების ბედი და მხოლოდ საკუთარ შეიარაღებულ ძალებს დაყრდნობია, ყოველთვის წაუგია.

პირველად ტერმინი „ცივი ომი“ ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა, ჟურნალისტმა და კრიტიკოსმა, ჯორჯ ორველმა (George Orwell) (ნამდვილი გვარ-სახელი ერიკ არტურ ბლერი – Eric Arthur Blair) იხმარა გაზეთ „Tribune“-ის 1945 წლის 19 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში “You and the Atom Bomb“ („თქვენ და ატომური ბომბი“).⁸⁸ რაც შეეხება „ცივი ომის“ ცნებას. ერთ-ერთი განმარტებით, „ცივი ომი არის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და იდეოლოგიური კონკურენცია ერებს შორის, რომელიც არ მიდის სამხედრო კონფლიქტამდე. ესაა დაპირისპირებულ სახელმწიფოთა შორის დაძაბულობის შექმნა და მტრული პოლიტიკის წარმოება“.⁸⁹ ბრიტანული კოლინზის ლექსიკონის მიხედვით კი, „ცივი ომი“ არის „ორ სახელმწიფოს ან ბლოკს შორის არსებული პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც მიმდინარეობს პოლიტიკური დაპირისპირებისა და სამხედრო დაძაბულობის ზრდით, სადაც ჩართულია პროპაგანდა, ძირგამომთხრელი საქმიანობა, მუქარა, ეკონომიკური სანქციები და სხვა ზომები, რომელიც არ მიდის ღია საომარ მოქმედებამდე“.⁹⁰

თითქოს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ არსებული საკითხის გნოსეოლოგია არსებითი თვალსაზრისით, გაცილებით რთულია. მართალია, მსოფლიო პოლიტიკის სფეროში ტერმინი „ცივი ომი“, როგორც ასეთი, XX საუკუნის შუა წლებში, II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გაჩნდა, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში მას გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს გადგმული და იგი სათავეს რომანული პერიოდიდან, ჰანიბალისა და რომის დაპირისპირების ეპოქიდან იღებს. „ცივი ომის“ დღეისათვის მიღებულ „კლასიკურ“ განმარტებას შემდეგი სახე აქვს – „ცივი ომი“ სახელმწიფოთა შორის არსებული კონფლიქტია, რომელიც არ მიმდინარეობს პირდაპირი სამხედრო მოქმედებების გზით, არამედ მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირებით, პროპაგანდის გაჩაღებით, ჯაშუშურ-სადაზვერვო მუშაობის გაძლიერებით, გამალებული შეიარაღებითა და არაპირდაპირი ომების წარმოებით სატელიტი

⁸⁷ Трубецкой Е. Н. О туранском элементе в русской культуре // Стр. 72.

⁸⁸ G. Orwell, 'You and the Atom Bomb', Tribune (19 October 1945) <http://historiana.eu/case-study/cold-war/george-orwell-and-origin-term-cold-war>.

⁸⁹ Based on the Random House Dictionary, © Random House, Inc. 2015. <http://dictionary.reference.com/browse/cold+war>.

⁹⁰ Collins English Dictionary - Complete & Unabridged 2012 Digital Edition. © William Collins Sons & Co. Ltd. 1979, 1986 © HarperCollins Publishers 1998, 2000, 2003, 2005, 2006, 2007, 2009, 2012. <http://dictionary.reference.com/browse/cold+war>.

ქვეყნების მეშვეობით“.⁹¹ ასეა განმარტებული „ცივი ომი“ ენციკლოპედიაში „ბრიტანიკა“. აქ ყველაფერი გასაგებია. მართალია, პირველად ეს ტერმინი მხოლოდ 1945 წელს გამოიყენა ჯორჯ ორვილმა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ სამხედრო-პოლიტიკურ ფენომენს გაცილებით ღრმა ფესვები და ისტორია აქვს და განსაკუთრებით სრულად მან სწორედ რუსულ პოლიტიკურ სივრცეში ჰპოვა გამოხატულება.

საზოგადოებრივი რუსული საგარეო პოლიტიკის დამახასიათებელ ფენომენს, „ცივი ომს“ ორი შემადგენელი ასპექტი აქვს – პოლიტიკური და სამხედრო. აქ უპირატესობა დაპირისპირების პოლიტიკურ ასპექტს ენიჭება და იგი შეიძლება ათეულობით ან ასეულობით წლებიც კი გაგრძელდეს. ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის წინააღმდეგ სათანადო პოლიტიკური და იდეოლოგიური საშუალების ჩატარების შემდეგ, ცივი ომი შესაძლებელია ჩვეულებრივი „ცხელი ომითაც“ დასრულდეს, თუმცა მოვლენების ამდაგვარი განვითარება სულაც არ წარმოადგენს აუცილებლობას. გარკვეულ შემთხვევებში ცივი ომის მსვლელობისას ნამდვილ სამხედრო დაპირისპირებებსაც აქვს ადგილი, თუმცა აქ ძირითადი აქცენტები მოწინააღმდეგე მხარის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დაუსტებისა და მოშლისაკენაა მიმართული. სამხედრო კონფრონტაციის შემთხვევაში კი, დაპირისპირებული მხარის დასასუსტებლად ე.წ. „დაუძლურების“ ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ფაბიუსის სტრატეგია“ გამოიყენება, რომელიც ძირითადად მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებისაკენ არის მიმართული. „ცივი ომის“ კლასიკურ მაგალითებად საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე რომისა და კართაგენის, რომისა და პართიის, ან თუნდაც, ჩრდილოეთ ამერიკაზე კონტროლის მოსაპოვებლად XVII-XVIII საუკუნეების ბრიტანულ-ფრანგული დაპირისპირებები შეგვიძლია განვიხილოთ.⁹²

არ ჩავუღრმავდებით ამ დაპირისპირებათა ქრონოლოგიებისა და მახასიათებლების განხილვას, მაგრამ ვიტყვით, რომ „ცივი ომის“ ათასწლოვან ისტორიაში გამორჩეული ადგილი სწორედ რუსეთს უკავია. წინ გავუსწრებთ მოვლენებს და იმასაც დავამატებთ, რომ რუსეთის სამეფოს მდიდარი გამოცდილება შემდგომში კიდევ უფრო დახვეწა რუსეთის ბოლშევიკურმა იმპერიამ. XX საუკუნის ბოლოდან კი, უკვე თანამედროვე რუსეთის ფედერაციამ. საკითხის არსში საფუძვლიანად გარკვევისათვის კი ისევ ისტორიას უნდა მივმართოთ და უფრო დეტალურად განვიხილოთ რუსული „ცივი ომის“ გენეზისი, მისი მახასიათებლები, შემდგომი განვითარება და შედეგები. ამ საკითხის განხილვისას ძირითადად ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ყოფილი იუნკრის, ივანე ნანუაშვილის ანალიტიკური ხასიათის ნაშრომს – „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ – დავყვარდებით.

რუსეთის ისტორიაში „ცივი ომს“ ფაქტობრივად 400-წლიანი ტრადიცია აქვს. საერთაშორისო პოლიტიკის ავანსცენაზე მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკური ხედვით რუსეთი პირველად ივანე IV მრისხანეს სტაბილურად მყარი თვითმმართველობის პერიოდში გამოვიდა. ივანე მრისხანე პირველი რუსი მმართველი იყო, რომელმაც ოფიციალურად იკურთხა თავი თვითმპყრობელ მეფედ. მან სრულად ჩამოაყალიბა შიდასახელმწიფოებრივი მმართველობის ოფიციალური პრინციპები და იგი პირველი მმართველი იყო, რომელიც რუსეთის ეთნოგრაფიულ საზღვრებს გასცდა. მუდმივი წარმატებების მისაღწევად ივანე მრისხანემ ექსპანსიის ძირითადი მიმართულებებისა და დასახულ მიზნებამდე მისვლის საკუთარი მეთოდები შეიმუშავა. ცხადია, ყველაფერი, რაც მისი მეფობის დროს ჩამოყალიბდა, გამოიკვეთა და ოფიციალური ფორმა მიიღო, მხოლოდ და მხოლოდ მისი პიროვნული ნიჭის დამსახურება არ იყო. ისინი რუსულ-

⁹¹ <http://global.britannica.com/EBchecked/topic/125110/Cold-War>.

⁹² Leebaert, Derek (2006). *The Fifty-year Wound: How America's Cold War Victory Shapes Our World*. Boston: Little, Brown and Company. ISBN 0-316-51847-6.

მონღოლური ერთიანი სახელმწიფოებრივი ყოფის საუკუნეობრივმა ტრადიციებმა ჩამოაყალიბა.

განუვითარებელი სახელმწიფოებრიობის პირობებში მონღოლთა შემოსავლის ერთადერთ წყაროს ლაშქრობებით მოპოვებული ნადავლი და დაპყრობილი ხალხებისა და სახელმწიფოებისაგან აკრეფილი ხარკი შეადგენდა. სახელმწიფოს არსებობის ასეთი წესი ძლიერი არმიის ორგანიზებასა და გამუდმებულ ომებს მოითხოვდა. სახელმწიფოს არსებობის მონღოლური წესი ზედმიწევნით ზუსტად გადმოიღეს მოსკოვის რუსეთის დიდმა მთავრებმა (მეფეებმა). ისინი სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებაზე დიდად არ ზრუნავდნენ, სამაგიეროდ, გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ არმიის გაძლიერებასა და მეზობელი ხალხებისა და სახელმწიფოების დაპყრობას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათლად გამოიხატა ივანე IV მრისხანის (1533-1584) მმართველობის წლებში. ივანე მრისხანე ცდილობდა, თავისი სახელმწიფოს საზღვრებში მოექცია ვოლგისპირეთი (ყაზანისა და ასტრახანის მონღოლური სახანოები), ბალტიისპირეთი (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), დასავლეთ ციმბირი (ციმბირის მონღოლური სახანო) და ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი (ყაბარდო, ჩერქეზეთი).⁹³

და მაინც, ოფიციალური სახელმწიფო აპარატი, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა ჩამოყალიბების პერიოდი და საერთაშორისო არენაზე გამოვიდა, როგორც ძალა, რომლის ხელშიც იყო მოქმედებისა და განვითარების მყარი პრინციპები, პირველად ივანე მრისხანემ წარუდგინა სამყაროს.

მისი პირველი მსხვერპლი ყაზანის სამთავრო გახდა, სახელმწიფო, რომელიც იმდროინდელი რუსეთისათვის საარსებოდ მნიშვნელოვანი ცენტრების სიახლოვეს მდებარეობდა. ყაზანის სახანო რუსეთს საფრთხეს უქმნიდა და აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ მიმავალ გზებზე ელობოდა. ამას გარდა, მორალური ფაქტორიც არსებობდა. სახანო ხომ ოქროს ურდოს მემკვიდრე და მუდმივი საფრთხე იყო რუსეთისათვის, რომელიც მისი უღლის ქვეშ 240 წელი იტანჯებოდა.

ყაზანზე ლაშქრობას წინ ხანგრძლივი და მძიმე პოლიტიკური მოღვაწეობა უძღოდა, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს გრძელდებოდა იმ დღემდე, სანამ მოსკოვიტების არმიამ ყაზანის კედლები საბოლოოდ სიმბოლურად არ ააფეთქა. 1521 წელს რუსეთმა თავისი აგენტი, შაჰ ალი დასვა ტახტზე, რომელიც თათრებმა თავიდან მოიშორეს, მაგრამ 1551 წელს რუსეთის ამ აგენტმა კვლავ დაიბრუნა ტახტი მოსკოვიტების არმიის დახმარებით. მოსკოვის მიერ პროვოცირებულმა და ხელოვნურად გაჭიანურებულმა ხანგრძლივმა შიდა არეულობამ იმდენად დაასუსტა სახანო, რომ მას საკუთარი დედაქალაქის დაცვა აღარ შეეძლო. მოსკოვის დესტრუქციულმა საქმიანობამ ისე დააუძღურა ქვეყანა, რომ მას თავდაცვის ყოველგვარი რაციონალური შესაძლებლობა წაართვა. საბოლოოდ, რუსეთმა 1552 წელს გაილაშქრა ყაზანზე და ხანგრძლივი ალყის შემდეგ ქალაქი რუსულმა არმიამ გაანადგურა. ასეთი შედეგებით დასრულდა მოსკოვიტების პირველი „ცივი ომი“.

მოსკოვის მეორე სამიზნე ასტრახანის სახანო იყო. ეს სახანო გზას კეტავდა ვოლგის შესართავისაკენ და ხელს უშლიდა რუსეთს, სრულად გამოეყენებინა ყაზანზე გამარჯვებით მოპოვებული საკუთარი შესაძლებლობები. ასტრახანი, ჩინგიზ ყანის მემკვიდრეების მიერ რუსეთის ჰორიზონტზე შექმნილი ეს ბარიერი, ბოლო და ყველაზე სუსტ სახანოს წარმოადგენდა.

მიუხედავად უსაზღვრო უპირატესობისა, მოსკოვს მაინც არ უცდია ღია სამხედრო ოპერაციების წარმოება ასტრახანის დასაპყრობად. „ცივი ომის“ სცენარის მიხედვით 1554 წელს მოსკოვმა თავისი კანდიდატი, დერბიმ ალი დასვა ტახტზე, რომელმაც სათანადო მეთოდებით დახვეწილად მიიყვანა სახელმწიფო განადგურებად.

⁹³ ვახტანგ გურული. საქართველო და რუსეთი (მფარველობიდან ანექსიამდე). თბილისი. 2009. გვ. 12.

სამხედრო ძალები კი მხოლოდ 1556 წელს შევიდნენ სახანოში და იგი საბოლოოდ მიუერთეს მოსკოვს. ეს იყო რუსეთის ეთნოგრაფიული საზღვრების პირველი ოფიციალური დარღვევა, რომელიც დაპყრობილი ტერიტორიის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. ამ მოვლენას ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის. რუსეთმა გზა გაითავისუფლა აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ. ამ ოპერაციის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტი ის გახლავთ, რომ იგი პოლიტიკური გზებით განხორციელდა. შეიძლება ითქვას, რომ ამით ჩაეყარა საფუძველი რუსეთის პოლიტიკურ ტრადიციას, რასაც რუსეთი დღესაც მისდევს და პატივს მიაგებს.⁹⁴

ასტრახანსა და ყაზანში მოსკოვმა თავისი ნდობით აღჭურვილი პირები დასვა. ოფიციალურ ისტორიაში მათ „სტავლენიკებად“ (Ставленник), ხელდასმულებად მოიხსენიებენ, დღევანდელი ტერმინოლოგიით კი – მარიონეტებად. რუსული ტერმინი „Ставленник“, რომელიც თარგმანში უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მარიონეტი, უკეთ აღწერს ამ ტიპაჟის როლსა და ფუნქციას. ესაა საზოგადოების წარმომადგენელი, რომელიც მოსკოვის ხელისუფლების გამოჩენამდე ელოლიაგება და აქტიურად ემსახურება რუსულ საქმეს. მას თავი მოსკოვის წარმომადგენლად მიაჩნია იმ ქვეყანაში, რომელშიც რუსეთი საბოლოოდ გაბატონდება. ამისათვის „სტავლენიკი“ დასაპყრობი ქვეყნის წარჩინებულ და ცნობილ ოჯახს უნდა წარმოადგენდეს, სასურველია, ქვეყნის მმართველ დინასტიასაც კი. აი ასე.

„სტავლენიკსა“ და მარიონეტს შორის ის განსხვავებაა, რომ მარიონეტი, როგორც წესი, არენაზე რუსული ჯარების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ გამოდის, ხოლო „სტავლენიკი“ საკუთარ სამშობლოში მოქმედებას მტრის შემოსვლამდე იწყებს. იგი ცდილობს, ისეთი ანარქია შექმნას ქვეყანაში, რომ რუსული ჯარები თოფის გასროლის გარეშე და მინიმალური დანაკარგებით შევიდნენ იქ და უფრო მეტიც – ქვეყნის მთავრობამ თავად მოითხოვოს ჯარების შეყვანა. როცა ეს ადამიანები ხელისუფლებაში მოჰყავს, მოსკოვს შეუძლია სახელმწიფოს საზღვრებთან ან სულაც შიდა ტერიტორიაზე განალაგოს არმია და იარაღი გვერდზე გადადოს. თავად ფაქტი, რომ ჯარი იქვეა, უკვე მაპროვოცირებელი ფაქტორია შიდა კონფლიქტისათვის და კანონიერი ხელისუფლების პარალიზებას იწვევს, რეალურ ძალაუფლებას კი მოსკოვის დესპანი იგდებს ხელში. „სტავლენიკი“ კი, რომელსაც დამოუკიდებელ პერსონად მოაქვს თავი, იმასაც კი ვერ გრძნობს, რომ, ფაქტობრივად, რუსი დესპანის ხელმძღვანელობით მოქმედებს. ჯარიც მხოლოდ იქ და მაშინ ჩნდება, სადაც საჭიროა და როცა საჭიროა.

გვესმის, თუ რამდენად ნაცნობი სურათია აქ წარმოდგენილი უკვე XXI საუკუნის ამიერკავკასიის, და განსაკუთრებით, საქართველოს რეალობიდან. ივანე მრისხანეს მეფობიდან 450 წელზე მეტია გასული, მაგრამ მოსკოვის გეგმები და მოქმედებების სტრატეგია, მის მიერ წარმოებული „ცივი ომი“ და ამ მარჯვე ბიჭების, „სტავლენიკების“ ინსტიტუტი ჩვენთვის ერთობ ნაცნობი და შეიძლება ითქვას „მშობლიური“ ცნებებიც კია. ფაქტია, რომ დღეისათვის საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა და მის ტერიტორიაზე რუსული საოკუპაციო ჯარების ყოფნა ძალიან წააგავს ზემოაღწერილ სურათს. თუმცა არა, ვცდებით... არა თუ ძალიან წააგავს, არამედ წყლის ორი წვეთივით ჰგავს. ფაქტი ისაა, რომ ისტორია ხშირად მეორდება, და მეორდება საზარელი გარდუვალობით...

ისიც ფაქტია, რომ XVI საუკუნის დასაწყისისათვის კაცობრიობამ არაფერი იცოდა ამგვარი დახვეწილი პოლიტიკური მანევრების შესახებ. ტერმინ „ცივი ომთან“ ერთად არც ისეთი ტერმინები არსებობდა მსოფლიო პოლიტიკის სფეროში, როგორცაა „მეხუთე კოლონა“, „ფსიქოლოგიური ომი“, „არც ომი, არც მშვიდობა“.

⁹⁴ ივანე ნანუაშვილი. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ. თბილისი. 2012. ISBN 978-9941-15-564-2. გვ. 111-112.

მიუხედავად იმისა, რომ ასტრახანის სახანო ყაზანის სახანოსთან შედარებით განუზომლად სუსტი იყო, კრემლი მაინც ისე მოიქცა, როგორც ეს ყაზანის შემთხვევაში მოხდა. თუმცა აქ 33-წლიანი მომქანცველი სამუშაოების ჩატარება არ გახდა საჭირო. ასტრახანისათვის სამწლიანი შხამის დოზაც საკმარისი აღმოჩნდა და 1556 წლისთვის ის მოსკოვის მფლობელობაში გადავიდა. ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობის შედეგები მალევე გამოჩნდა. მოსკოვმა ივანე მრისხანეს სიცოცხლეშივე დაიკავა დასავლეთ ციმბირი, საუკუნენახევრის შემდეგ კი კამჩატკაზეც გაბატონდა და მყარად მოიკიდა ფეხი წყნარი ოკეანის ნაპირებზეც. სამხრეთისაკენ წამოსული რუსული ურდოები კავკასიის საზღვრებთან მცხოვრებ ტომებსაც გადააწყდნენ. რუსეთის შემდგომი ტერიტორიული ექსპანსიის მიმართულებები წყნარი და ინდოეთის ოკეანეების სანაპიროებისაკენ უკვე ნათლად იყო განსაზღვრული.

მონღოლ-თათართა გამოცდილების გამოყენებამ სამხედრო საქმის, ადმინისტრაციული მოწყობის, საგადასახადო სისტემის, კომუნიკაციის, საერთაშორისო ვაჭრობისა და სხვა სფეროში რუსეთს შესაძლებლობა მისცა, შეექმნა ძლიერი არმია და მისი მეშვეობით საზღვრების მთელ პერიმეტრზე დაპყრობითი პოლიტიკა წარემართა.⁹⁵ და, მიუხედავად ამისა, სამხედრო კომპონენტი მეორეხარისხოვანი იყო. წარმატებული რუსული აგრესიული პოლიტიკის ქვაკუთხედს „ცივი ომის“ სტრატეგიის გატარება წარმოადგენდა მთელი მისი ამოუწურავი არსენალით. ივანე კალიტა ქვეყნის ცენტრალიზაციას ფულის ქისით აძლიერებდა, ივანე III – პოლიტიკის ხელოვნებით, ივანე მრისხანე – ჯალათის ნაჯახით. XVII საუკუნის ბოლოდან იმპერიის ხელისუფალნი ფართოდ მიმართავდნენ სახელმწიფოს დიპლომატიურ არსენალში დამკვიდრებულ ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, როგორც იყო შანტაჟი, გადაბირება, დაშინება, მოსყიდვა, მოტყუება და სხვ.⁹⁶

ივანე მრისხანეს ექსპანსიური პოლიტიკის მესამე მიმართულება დასავლეთი იყო. აქ დღის წესრიგში ბალტიის ზღვის ნაპირებზე პოზიციების განმტკიცება და დასავლეთისაკენ გზის გახსნა იდგა. ამ მიზნით პოლონეთთან დაწყებული ომი რუსეთისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა. წმინდა სამხედრო ხასიათის დაპირისპირება მოსკოვისათვის მარცხით დასრულდა. რუსული ჯარები პოლონელებმა გაანადგურეს. მიუხედავად ამისა, ივანე მრისხანეს გადაწყვეტილება არ შეუცვლია და არც რუსეთს შეუწყვეტია სვლა დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ.

ივანე მრისხანეს მეფობის ხანა დღეს იმიტომაცა ჩვენთვის საინტერესო, რომ თითქმის ყველა თვისება, რითაც თანამედროვე რუსეთი დანარჩენ მსოფლიოს აკვირვებს პოლიტიკურ არენაზე პრინციპებისა და ტრადიციების კონკრეტული ფორმებით, სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა. დროსთან ერთად მხოლოდ შესრულების ტექნიკა და გარეგანი ფორმა შეიცვალა, კონკრეტული მოვლენების განვითარების შესაბამისად, თუმცა პრინციპები და რუსეთის პოლიტიკური ტრადიციების შინაარსი არ შეცვლილა.

ივანე მრისხანეს მარცხმა პოლონეთის დაპყრობა გააჭიანურა. სხვა მხრივ მოსკოვს არასდროს არ უთქვამს ამ ქვეყანაზე უარი. მან გააანალიზა, რომ მას პოლონეთის ოკუპაციისათვის ხანგრძლივი პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „ცივი ომის“ სტრატეგიის გატარება დასჭირდებოდა. და რუსეთიც მოთმინებით ელოდა მისთვის ხელსაყრელი მომენტის დადგომას.

⁹⁵ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 109. Каппелер, А. Россия - многонациональная империя: Возникновение. История. Распад: монография / А. Каппелер; пер. с нем. С. Червоная. - М. : Традиция, 2000. - 344 с. - ISBN 5-89493-009-X. Стр. 43.

⁹⁶ О. Джанелидзе. Грузинский вопрос в Петербурге. „Литературная Грузия“. №1-3. 2003. Стр. 50.

ამასობაში მან ბრწყინვალედ გამოიყენა სხვადასხვა შესაძლებლობა – უბრძოლველად შევიდა უკრაინაში, დაიპყრო „მალოროსები“ და თავისი ძლევა მოსილების საყრდენად აქცია იგი. მოგვიანებით, შვედეთის ხარჯზე, მან „ფანჯარაც გაჭრა“ ბალტიის ზღვისკენ. საბოლოოდ, როცა რუსეთმა მყარად მოიკიდა ფეხი, პოლონეთის განადგურების ამოცანაც ეკატერინე II-ს (1762-1796) გადაეცა. 189 წლის შემდეგ ხელახლა წამოიჭრა ამ ქვეყნის განადგურების საკითხი. ამჯერად რუსეთს ივანე მრისხანეს მიერ დაშვებული შეცდომა აღარ გაუმეორებია. 1792 წელს რუსეთმა ახალი ომი წამოიწყო პოლონეთთან. თუ მხედველობაში არ მივიღებთ არაოფიციალურ ბრძოლებსა და პოლიტიკური ჯგუფების განადგურებას, ეს ერთადერთი ფორმალური და ოფიციალური ომი იყო რუსეთსა და პოლონეთს შორის მიმდინარე მთელი „ცივი ომის“ განმავლობაში. ეკატერინე II-მ ეს ომი პოლონეთის სახელმწიფოს შესამე გაყოფით დაასრულა.⁹⁷

რუსეთის ჯარი ისევ შევიდა პოლონეთში. მისი ოფიციალურად გამოცხადებული მიზანი და ლოზუნგი გახლდათ „პოლონეთის ალტრუისტული მიზნებით დაცვა გამეფებული უკანონობისა და უსამართლობისაგან“. დიახ, რუსეთი ყოველთვის კარგად ინიღბებოდა და თავისი აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამართლებას ყოველთვის რუსული „მესიანიზმის“ იდეით ცდილობდა. ასე იყო ადრეც და ამასვე ცდილობს ახლაც.

პოლონეთის შემთხვევაში, რუსეთმა პოლონელთა ერთი ჯგუფი დარაზმა და რუსეთი საშველად მოახმობინა ახალი რეჟიმის დასამყარებლად და ქვეყანაში კანონიერებისა და წესრიგის აღსადგენად. ეს უკვე რუსული „ცივი ომის“ ახალი კომპონენტის – „მეხუთე კოლონის“ გაჩენის პრეცედენტი იყო. ეს მანევრი კი რუსეთის მიერ წარმოებული თითქმის ყველა შემდგომი ომის აუცილებელი სვლა გახლდათ. რუსეთის არმია ყოველთვის „ჩაგრულებს“, ანუ დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობას უნდა მოეხმოს. ამ მანევრის გარეშე ძნელად იქნებოდა შესაძლებელი ფორმალური ომის შეცვლა „ცივი“ და სამოქალაქო ომით. ამიტომ არის, რომ რუსულ საოკუპაციო ჯარს, ჩვეულებრივ, თავის საფრონტო მარაგებთან ერთად, დაპყრობილი ქვეყნისათვის განკუთვნილი მთავრობაც თან დაჰყავს, რომლის ამოცანაც რუსეთის ნებისმიერი მოქმედების ლეგალიზება და გამართლება იქნება.⁹⁸

რუსული ექსპანსიონიზმის შემდეგი მსხვერპლნი კი იყვნენ ჩრდილოეთ კავკასია, ამიერკავკასია, ირანი, ყირიმის სახანო, შუა აზია, მანჯურია და ა.შ. ამ მოვლენების შესახებ დაწვრილებით მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ეს საკითხები სცილდება ჩვენი ნაშრომის თემას. იმას კი ვიტყვით, რომ მესიანიზმის იდეაზე დამყარებული რუსული სახელმწიფოს მიერ წარმოებული „ცივი ომების“ პროექტი და სტრატეგია თითქმის ყოველთვის გამართულად მუშაობდა. დიახ, ორსახოვანი პოლიტიკის წარმოებით – „Кнутом и Пряником“ შემოდიოდა მაშინაც, XIX საუკუნეში რუსული იმპერია ამიერკავკასიაში და შემოდის დღესაც, უკვე XXI საუკუნეში – მათრახითა და თაფლაკვერით, ტკბილი დაპირებებითა და იმედებით, ცეცხლითა და მახვილით, ფულითა და მოსყიდვებით, სისხლითა და ცრემლით, სიყვარულითა და თანაგრძნობით, სიძულვილითა და მტრობით... და ასე უსასრულოდ... ყოველივე ეს კი, მცოცავი ანექსია იყო მაშინაც და მცოცავი ანექსიაა დღესაც, სხვა არაფერი, რომელიც წარმატებით განხორციელდა XIX საუკუნეში და ჯერჯერობით წარმატებით ხორციელდება დღესაც.⁹⁹

⁹⁷ ივანე ნანუაშვილი. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ. თბილისი. 2012. ISBN 978-9941-15-564-2. გვ. 115.

⁹⁸ დასახელებული ნაშრომი. გვ. 120.

⁹⁹ არჩილ ჩაჩხაიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში. (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების

რუსული კოლონიალიზმის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე იმპერიის საზღვრების განვრცობა იყო. რუსეთიც აწარმოებდა დაპყრობით ომებს, იერთებდა ახალ მიწებს, ძლიერდებოდა, თავის ორბიტაზე აქცევდა სულ უფრო და უფრო მეტ ტერიტორიებსა და მოსახლეობას. ახალი სამფლობელოების შემოერთების ამ პროცესს, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა, ხან „Собирание земель“ ეწოდებოდა, ხანაც „Расширение границ“ ან კიდევ „Активная внешняя политика“, მაგრამ არა თავისი ნამდვილი სახელი – აგრესიული ექსპანსია. მაშინ როდესაც, სწორედ დაპყრობები, მასშტაბური ტერიტორიული ექსპანსია იყო რუსეთის ტოტალური სტრატეგია და სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მკვებავი წყარო. რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახალი მიწების ათვისებასთან, მიღწევებთან და წარუმატებლობებთან უცხოტომელთა ინტეგრაციისა და ასიმილაციის სფეროში, – აცხადებს პროფესორი ჯანელიძე.¹⁰⁰

სრულად ვეთანხმებით პროფესორ ჯანელიძის მოსაზრებას და აი, რატომ. თუ რუსეთის ისტორიას დეტალურად გავანალიზებთ, ნათლად გამოიკვეთება რუსული სახელმწიფო ექსპანსიონიზმისათვის დამახასიათებელი სამი ძირითადი პერიოდი. სამივე პერიოდს მკაფიოდ შემოსაზღვრული მისია გააჩნია და ბრძოლებისა და არეულობების ხანგრძლივი პერიოდით ხასიათდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი „რუსული მიწების თავმოყრას“, ანუ „Собирание земель“-ს ეძღვნებოდა, რაც მოსკოვის მთავრებმა ოქროს ურდოს მეთოდებით და ამავე ოქროს ურდოს მფარველობით აღასრულეს. ეს პერიოდი ივანე მრისხანეს ტახტზე ასვლით დასრულდა.

მეორე პერიოდი – „Расширение границ“, რომელიც ცარისტულ რეჟიმს მოიცავს, ლოკალურ დაპყრობით ომებს ეძღვნება და იგი XX საუკუნის 10-იან წლებამდე გაგრძელდა.

მესამე პერიოდში კი, დაპყრობითი ომების შემდეგ რუსეთმა აირჩია ე.წ. „Активная внешняя политика“, ანუ ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის, რომელიც რუსეთის ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკთა მოსვლით დაიწყო. შესაბამისად, ადგილობრივი და რეგიონალური სამხედრო კამპანიები გლობალური მასშტაბის კონფლიქტებში გადაიზარდა. რუსული ექსპანსიონიზმის ამ პერიოდის აქტივობა მხოლოდ XX საუკუნის 90-იან წლებში შეფერხდა, მაგრამ XXI საუკუნის დადგომასთან ერთად მან ისევ იჩინა თავი და დღეს იგი ისევ აქტიურ ფაზაში იმყოფება.

რუსეთის მიერ წარმოებული „ცივი ომის“ მეთოდოლოგია კი ოთხ საფეხურს მოიცავს.

პირველი – იზოლაციაში მოქცევა. მთელი ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ დასაპყრობი ქვეყანა გარე სამყაროსგან იზოლაციაში მოექცეს, რათა ამ ქვეყანამ არ მიიღოს დახმარება და არავინ ჩაერიოს რუსეთის საქმეებში.

მეორე – ქვეყანაში ღრმავდება შიდა დაპირისპირება, რომელსაც ხელს უწყობენ ამავე ქვეყნის მოქალაქეები, ე.წ. „სტავლენიკები“ (მეფე, პრეზიდენტი, ხანი, ამირა, გავლენიანი პოლიტიკური ლიდერი, მინისტრი და ა.შ.), რომელთაც რუსეთი დიდ დახმარებებს უწევს.

მესამე – სამოქალაქო ომის ინსპირირება. ღია თუ დახურული არხებით რუსეთი ხელს უწყობს ქვეყანაში დაპირისპირების ესკალაციას და ქვეყანას სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ხვევს. ამ დროს რუსეთი ერთ რომელიმე მხარეს კი არ უჭერს მხარს,

გენერალური შტაბის ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. ISBN 978-9941-0-5988-9. თბილისი. 2014. გვ. 24.

¹⁰⁰ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 111.

არამედ დაპირისპირებულ მხარეებს შორის უფრო სუსტებს ეხმარება. ეს პროცესი მონაცვლეობით ხორციელდება, რათა ასე დაასუსტოს ორივე მხარე.

მეთოხე – ქვეყნის ინტერვენცია. წინა სამი ფაზის განხორციელების შემდეგ ქვეყანაში იწყება რუსული ჯარების ინტერვენცია, რომელიც საზღვართან ახლოს არის გაშლილი. როგორც წესი, ჯარების შეყვანა დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთმა უნდა ითხოვოს. ჯარების შეყვანის შემდეგ კი ხდება ქვეყნის ტერიტორიების ნაწილობრივი ან სრული ოკუპაცია, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ ქვეყნის სრული ანექსიით სრულდება. ამ სქემით აღსრულებული „ცივი ომის“ მეთოდოლოგიის ისტორიული მაგალითები საკმარისზე მეტია.

უნდა ვაღიაროთ, რომ, ისტორიული თვალსაზრისით, მეფის რუსეთმა ჩინებულად შეასრულა ეროვნული იდეალებით შთაგონებული დავალებები. მან რეკორდულად მცირე დროში დაიპყრო ყველა იმ სახელმწიფოსა და ერის ტერიტორია, რომელთა დამორჩილებაც შეძლო. ამას გარდა, ყველაფერი ისე შეასრულა, როგორც თავად რუსი ერისათვის იყო ხელსაყრელი – მინიმალური დანაკარგებით, ფიზიკური ბრძოლების გარეშე და პოლიტიკური საშუალებების გამოყენებით. მოკლედ რომ ვთქვათ, „ცივი ომის“ სტრატეგიის დახვეწილი მეთოდებით.

რუსეთის მიერ წარმოებულმა „ცივმა ომებმა“ დაამტკიცა, რომ იგი იმპერიალისტური მიზნების განხორციელების გზაზე საიმედო და შეუმცდარი იარაღია. რუსეთმა თითქმის ყველა დიდი დამპყრობლური კამპანია მისი საშუალებით აღასრულა. მან მხოლოდ ორი ქვეყანა ვერ გაახვია თავისი პოლიტიკური ინტრიგების ბადეში – თურქეთი და ავღანეთი. არადა, სწორედ ეს ქვეყნები წარმოადგენდნენ მაშინაც და წარმოადგენენ ახლაც მთავარ დაბრკოლებებს რუსეთის სამხრეთული ექსპანსიის გზაზე. სწორედ ისინი უკეტავენ გზას რუსეთს ნანატრი „თბილი ზღვებისაკენ“. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა მის მიერ კარგად აპრობირებული „ცივი ომის“ სტრატეგიის ყველა ელემენტი სრულად გაატარა ამ ქვეყნებთან მიმართებაში, მან მაინც ვერ შეძლო მის წინაშე დასმული ამოცანის შესრულება. ამ საკითხებს დაწვრილებით განვიხილავთ წარმოდგენილი ნაშრომის შესაბამის თავებში. საქმის არსში ღრმად გარკვევისათვის კი უკვე XX საუკუნის 20-იან წლებში რუს ბოლშევიკთა მიერ „კომუნისტურ ინტერნაციონალად“ მონათლული რუსული მესიანისტური იდეა, მისი რეალიზაციის გეგმები და „ცივი ომის“ სტრატეგიაზე დაფუძნებული პროლეტარული ექსპანსიის პროცესები უნდა განვიხილოთ.

§1.5. კომინტერნი მოქმედებაში

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მის წინაშე მდგარი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრა მარქსისტულ-ლენინური სწავლების იდეოლოგიური ხაზის შესაბამისად წარიმართა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბოლშევიკები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთის რევოლუცია ბიძგს მისცემდა მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას, რომლის ალიც ჯერ ევროპას, შემდეგ კი, მთელ მსოფლიოს მოედებოდა.

ამ პროცესებზე გავლენის მოპოვებისა და მოქმედებების კოორდინირებისათვის კი სწორედ „კომინტერნის“ სასწრაფოდ შექმნა იყო საჭირო. რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის კონფერენციამ მოიწონა ლენინის ეს იდეა და დაავალა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, „დაუყოვნებლივ გადაედგა ნაბიჯები III ინტერნაციონალის დასაარსებლად“.¹⁰¹

სწორედ III ინტერნაციონალი, ანუ „კომუნისტური ინტერნაციონალი-კომინტერნი“ უნდა ქცეულიყო „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ რუსული მესიანური იდეის რეალიზაციის მაკოორდინირებელ გლობალურ შტაბად. ამ დიად თაოსნობაში გათვლები პირველ რიგში გერმანიის პროლეტარიატზე გაკეთდა, რადგან ბოლშევიკი ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ მათ დიდი საბრძოლო პოტენციალი გააჩნდათ, ამავე დროს, გერმანია განვითარებულ ქვეყანას წარმოადგენდა. ამ რეზოლუციამ რეალურად ფრთების შესხმა და მოქმედებების დაწყება მხოლოდ 1918 წლის ნოემბრის თვეში, გერმანიაში მომხდარი რევოლუციის შემდეგ შეძლო. თუმცა, ჯერ კიდევ ოქტომბერში, გერმანიაში დაწყებული მღელვარებებით აღტაცებული ბოლშევიკთა ლიდერი წერდა: „კრიზისი გერმანიაში სულ ახლახანს დაიწყო. და იგი გარდაუვლად გერმანიის პროლეტარიატის ხელში ხელისუფლების გადასვლით დასრულდება... ახლა სხვა ქვეყნების ყველაზე დაბრძანებული მუშებიც დაინახავენ, რა მართლები იყვნენ ბოლშევიკები, რომლებიც მთელ თავის ტაქტიკას მსოფლიოს მუშათა რევოლუციის მხარდაჭერაზე აგებდნენ და არ უშინდებოდნენ სხვადასხვა უმძიმესი მსხვერპლის გაღებას“.¹⁰²

კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი, დამფუძნებელი კონგრესი სასწრაფოდ მოიწვიეს მოსკოვში 1919 წლის 2 მარტს. ამ აჩქარებას თავისი მიზეზები ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკებს ხელში უნდა ეგდოთ ევროპელი სოციალ-დემოკრატების ინიციატივა, რომლებიც საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას თებერვალში აპირებდნენ ბერნში, რომლის ამოცანასაც ომის დროს დაშლილი II ინტერნაციონალის აღდგენა წარმოადგენდა. ანასტას მიქოიანი:¹⁰³ „1919 წლის მარტში იქმნება კომუნისტური ინტერნაციონალი, რომლის შესახებაც ლენინი ჯერ კიდევ თავის აპრილის თეზისებში აღნიშნავდა. ჩატარდა მისი I კონგრესი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ყველა ქვეყნის კომუნისტების იდეურ და ორგანიზაციულ გაერთიანებას პროლე-

¹⁰¹ 10 лет Коминтерна в решениях и цифрах. М.; Л.: Госиздат, 1929. Стр. 9.

¹⁰² Ленин В.И. Полн. Собр. Соч. Т. 37. Стр. 97-98.

¹⁰³ ანასტას ოვანესოვი მიქოიანი (1895-1978) – საბჭოთა სახელმწიფო, პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, დაშნაკი და ბოლშევიკი, პროფესიონალი რევოლუციონერი, საბჭოთა წითელი ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი. დაიბადა თბილისის გუბერნიაში, ბორჩალოს მაზრის სოფელ სანაინში. 1914 წლიდან ცნობილი ანდრანიკ ოზანიანის (ანდრანიკი) დაშნაკური, ე.წ. „პარტიზანული“ საბრძოლო რაზმის წევრი, რაზმის შემადგენლობაში იბრძოდა I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე 1915 წლის ზაფხულამდე. გენერალ იუდენიჩისა და კავკასიის არმიის სარდლობის მიერ დაშნაკური რაზმების დაშლის შემდეგ პრობოლშევიკურ პოზიციებზე დგება. აქტიურად ებმება რევოლუციურ საქმიანობაში, შემდგომში პროფესიონალი რევოლუციონერი. 1915 წლიდან თბილისშია, სადაც ხდება რსდმპ(ბ) წევრი. 1917 წლის თებერვლამდე იატაკქვეშეთშია, ატარებს სააგიტაციო მუშაობას. 1918 წლის გაზაფხულიდან ბაქოშია, ბაქოს ბოლშევიკურ-დაშნაკური კომუნის ერთ-ერთი აქტივისტი, ცნობილი ამაზასპის (ამაზასპ სრვანტციანი) დაშნაკურ-ბოლშევიკური საბრძოლო რაზმის პოლიტიკური კომისარი. ბაქოს კომუნის დამფუძნებელი და ბაქოს კომისრების დაპატიმრების შემდეგ, ცენტრალური კასპისპირეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებით მიადგინა მათ განთავისუფლებასა და კრასნოვოდსკისკენ გამგზავრებას, სადაც ბრიტანელებმა დააპატიმრეს და დახვრიტეს, მიქოიანი კი გაათავისუფლეს. 1919 წლის დასაწყისიდან ბაქოს რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიუროს ხელმძღვანელია. 1919 წლის ოქტომბრიდან პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1920 წლის აპრილში ბაქოს ბოლშევიკური ოკუპაციის მონაწილე და ოკუპაციის ერთ-ერთი იდეოლოგი, მე-11 წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს რწმუნებული. 1922 წელს სტალინის რეკომენდაციით ინიშნება რკპ(ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიუროს ხელმძღვანელად, შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი 1922 წლიდან, ხოლო 1923 წლიდან ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1926 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი და ვაჭრობის სახალხო კომისარი. გარდაიცვალა 1978 წელს. ანასტას მიქოიანი ერთადერთი მაღალი დონის საბჭოთა მოღვაწე იყო, რომელიც მოესწრო და მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ხელმძღვანელის მმართველობის პერიოდში, ლენინიდან დაწყებული, ბრეჟნევიტ დამთავრებული.

ტარიატის დიქტატურის ლოზუნგის ქვეშ. ამაში მდგომარეობდა სწორედ კომინტერნის ძირეული განსხვავება სოციალ-დემოკრატების საერთაშორისო გაერთიანებებისაგან. და კიდევ ერთი არსებითი განსხვავება არსებობდა: კომინტერნის კონგრესზე რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში პირველად გაერთიანდნენ გამარჯვებული სოციალისტური ქვეყნის კომუნისტები, ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატი და კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები. ცალკე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ კონტექსტში დიდ მნიშვნელობას იძენდნენ მაშინ ჩატარებული აღმოსავლეთის კომუნისტურ ორგანიზაციათა ყრილობები.¹⁰⁴

საბჭოთა ისტორიოგრაფიით, კომინტერნის დამფუძნებელი I კონგრესი საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთ გრანდიოზულ აქტადაა შეფასებული. რეალობაში კი ამ კონგრესის მასშტაბები ძალიან მოკრძალებული იყო. მასში სულ 52 დელეგატი მონაწილეობდა. ბუნებრივია, ყველაზე მეტი დელეგატი რსდმპ(ბ)-ის წევრებზე მოდიოდა. ჩვენთვის საინტერესო ქვეყნებთან მიმართებაში კი შემდეგი სურათი იყო: საქართველოს დელეგატი თენგიზ ჟღენტი იყო, სწორედ ის თენგიზ ჟღენტი, რომელიც ოდნავ მოგვიანებით, უკვე 1921 წლის მარტში, აჭარის რეგომის წევრად მოეკლინება საქართველოს, აზერბაიჯანისა – მირ ჯაფარ ბაგროვი, სომხეთისა – გურგენ აიკუნი, ხოლო თურქეთისა – მეჰმედ მუსტაფა სუფი, რუსეთში მოღვაწე თურქი კომუნისტების ლიდერი. უფრო დაწვრილებით მასზე ნაშრომის შესაბამის თავებში გვექნება საუბარი. კონგრესის მისასაღმებელი სიტყვა, ცხადია, ლენინმა წაიკითხა, აღმასკომის ბიურო კი შემდეგი შემადგენლობით დამტკიცდა: გრიგორი ზინოვიევი – თავმჯდომარე; ლენინი, ტროცკი, რაკოვსკი და პლატენი – წევრები.

კონგრესმა მიიღო ტროცკის მიერ დაწერილი მანიფესტი: „უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლის ეპოქა უფრო მოგვიანებით დადგა, ვიდრე ამას სოციალური რევოლუციის მოციქულები წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ იგი მაინც დადგა. ჩვენ, კომუნისტები, ევროპის, ამერიკისა და აზიის რევოლუციური პროლეტარიატის წარმომადგენლები, რომლებიც მოსკოვში შევიკრიბეთ, იმ საქმის მემკვიდრეებად და შემსრულებლებად ვთვლით თავს, რომლის პროგრამაც 72 წლის წინ გაცხადდა. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განვაზოგადოთ მუშათა კლასის რევოლუციური გამოცდილება, გავწმინდოთ მოძრაობა სოციალ-პატრიოტიზმისა და ოპორტუნიზმის ხრწნადი მინარევებისაგან, გავაერთიანოთ მსოფლიო პროლეტარიატის ჭეშმარიტად რევოლუციური პარტიები და ამით გავაიოლოთ და დავაჩქაროთ მთელს მსოფლიოში კომუნისტური რევოლუციის გამარჯვება. თუ I ინტერნაციონალი აღგვაფრთოვანებდა შემდგომი განვითარებით და ამის გზებს სახავდა, თუ II ინტერნაციონალი მილიონობით პროლეტარს კრებდა და ორგანიზებას უკეთებდა მათ, III ინტერნაციონალი ღია მასიური მოქმედების ინტერნაციონალია, რევოლუციური აღსრულების ინტერნაციონალია, საქმის კეთების ინტერნაციონალია“.¹⁰⁵

III ინტერნაციონალის უმაღლესი ორგანო, კონგრესი, ირჩევდა კონგრესებს შორის კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის პირველ თავმჯდომარედ გრიგორი ზინოვიევი¹⁰⁶ აირჩიეს. 1920 წლიდან აღმასკომის

¹⁰⁴ А. И. Микоян. Ленин на II Всероссийском съезде коммунистических организаций народов Востока: надо слиться в общей борьбе с пролетариями других стран.

¹⁰⁵ 10 лет Коминтерна в решениях и цифрах. С. 16. <http://magister.msk.ru/library/trotsky/trotl514.htm>.

¹⁰⁶ გრიგორი ევსევიჩი ზინოვიევი (ნამდვილი გვარ-სახელი – გერშონ აარონის ძე რადომისლსკი-აფელბაუმი). (1883-1936) – ლენინის თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი, ცნობილი რუსი ებრაელი რევოლუციონერი, ბოლშევიკი, „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ერთ-ერთი აპოლოგეტი და „კომინტერნის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საბჭოთა და სახელმწიფო მოღვაწე. რსდმპ წევრი 1903 წლიდან. 1907 წლიდან პეტერბურგის საქალაქო საბჭოს წევრი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1921-1926 წლებში საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. 1925 წლიდან საკავშირო კომუნისტური პარტიის XIV ყრილობაზე ზინოვიევი, რომელსაც მხარს ლევ კამენევიც უჭერდა,

წევრები იყვნენ ნ. ბუხარინი, კ. რადეკი, მ. კობეცკი, მ. ტომსკი, გ. ციპეროვიჩი, ხოლო კანდიდატები – ვ. ლენინი, ი. სტალინი, რ. ბერზინი და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად III ინტერნაციონალის ეროვნული სექციები თანაბარუფლებიანები იყვნენ, რეალურად, რუსეთის კომპარტიის წარმომადგენლები დომინირებდნენ ორგანიზაციის მუშაობაში და გადაწყვეტილებების მიღებაშიც მთავარ როლს ისინი ასრულებდნენ.

III ინტერნაციონალი ცენტრალიზებული ორგანიზაცია იყო, რომელიც ერთდროულად სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების კომუნისტური პარტიების გაერთიანებას და ამავე დროს ერთიან მსოფლიო კომუნისტურ პარტიას წარმოადგენდა, რომელთა ე.წ. „ნაციონალური სექციებიც“ ვალდებულნი იყვნენ, კომინტერნის უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებები შეესრულებინათ. სრულად რომ გავიაზროთ, თუ რას წარმოადგენდნენ ნაციონალური სექციები III ინტერნაციონალში და როგორი იყო ის როლი, რასაც მათ რუსი ბოლშევიკები ანიჭებდნენ, ბუხარინის¹⁰⁷ გამოსვლიდან მოვიშველიებთ სიტყვის ნაწყვეტს, რომელიც მან აღმასკომის III პლენუმზე წარმოთქვა: „ახალი ინტერნაციონალი უნდა წარმოადგენდეს ერთიან ორგანიზაციას, რომელშიც ნაციონალური მომენტი სრულად იქნება დამოკიდებული ინტერნაციონალურზე. აქედან გამომდინარე, ნაციონალური გადაწყვეტილებები სრულად დაემორჩილება პროლეტარიატის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო გადაწყვეტილებებს“¹⁰⁸

აქ უკვე „პარტიული დისციპლინის“ დაცვის საფარქვეშ ხავერდოვანი ფორმით, მთელი თავისი შუქ-ჩრდილებით შემოცურდა რუსული მესიანური, ანუ ნაციონალური იდეა და რუსული „მესამე რომის“ იდეოლოგემამაც ახალი ჰორიზონტების დალაშქრა დაიწყო. იდეოლოგემის რეალური არსი კი შეინიღბა. ზუსტად ახასიათებდა III ინტერნაციონალის შენიღბულ არსს ბერდიაევი: „წარმოდგენელი რამ მოხდა რუსი ხალხის ცხოვრებაში. მესამე რომის ნაცვლად რუსეთში მესამე ინტერნაციონალის განხორციელება მოხერხდა, რომელშიც მესამე რომის ბევრი შტრიხი გადავიდა. მესამე

„ახალი ოპოზიციის“ სახელით სტალინის ჯგუფისა (მოლოტოვი, რიკოვი, ბუხარინი) და პარტიული უმრავლესობის წინააღმდეგ გამოდის. 1927 წლიდან იგი გამოჰყავთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან, რიცხავენ პარტიიდან და ასახლებენ. 1928 წელს იგი ინანიებს დანაშაულს და მას აღადგენენ პარტიაში. იმავე წელს ინიშნება ყაზანის უნივერსიტეტის რექტორად. აგრძელებს ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1932 წელს ისევ რიცხავენ პარტიიდან, აპატიმრებენ და 4 წლით ასახლებენ კუსტანაიში. 1933 წელს პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით ისევ აღადგენენ პარტიაში, რის შემდეგაც მუშაობას იწყებს ცეკავშირში. 1934 წლის 16 დეკემბერს ისევ აპატიმრებენ, ისევ რიცხავენ პარტიიდან, ასამართლებენ და უსჯიან 10 წლით პატიმრობას. 1936 წლის 24 აგვისტოს ტროცკისტულ-ზინოვიევისეული ანტისაბჭოთა გაერთიანების წევრობის ბრალდებით ისევ ასამართლებენ და გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენი. დახვრიტეს იმავე წლის 25 აგვისტოს.

¹⁰⁷ ნიკოლაი ივანოვიჩ ბუხარინი (1888-1938) – ძველი რუსი რევოლუციონერი და ბოლშევიკი, პროფესიით იურისტი. საბჭოთა პოლიტიკური, სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. რსდმპ წევრი 1906 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. 1907 წელს აარსებს მოსკოვის ახალგაზრდულ კონფერენციას, რომელიც ითვლება ლენინური კომკავშირის წინამორბედ ორგანიზაციად. 1908-1910 წლებში რსდმპ მოსკოვის კომიტეტის წევრი. მეფის ოხრანკის მიერ დევნილი, 1911 წლიდან მიდის ემიგრაციაში და რევოლუციურ მოღვაწეობას აგრძელებს ავსტრია-უნგრეთში. 1912 წელს ემიგრაციაში ეცნობა ლენინს, რომელთანაც შემდგომშიც ინარჩუნებს ახლო მეგობრულ ურთიერთობებს. 1914 წელს ავსტრია-უნგრეთის პოლიციამ დააპატიმრა ჯამუშობის ბრალდებით და დეპორტით გაასახლა შვეიცარიაში. 1915 წლიდან შვედეთშია. 1916 წლის აპრილიდან ცხოვრობს ნორვეგიაში, ხოლო ოქტომბრიდან აშშ-ში, სადაც ეცნობა ლევ ტროცკისა და ალექსანდრა კოლონტაის. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება რუსეთში. მონაწილეობს ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების იდეოლოგიურ მომზადებაში. 1918 წლიდან გაზეთ „Правда“-ს რედაქტორი და ბოლშევიკთა მთავარი პარტიული იდეოლოგია. 1919 წლიდან III ინტერნაციონალის, ანუ კომინტერნის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრია. 1923 წლიდან უპირისპირდება ტროცკის და იკავებს პროსტალინურ პოზიციას. 1928 წლიდან სტალინსაც უპირისპირდება და ყალიბდება ე.წ. „მემარცხენე უკლონისტად“. 1929-1932 წლებში არის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის წევრი, 1934-1937 წლებში – გაზეთ „Известия“-ს მთავარი რედაქტორი. 1937 წლის 27 თებერვალს დააპატიმრეს „ანტისაბჭოთა მემარჯვენე ტროცკისტულ ბლოკში“ მონაწილეობის ბრალდებით. დახვრიტეს 1938 წლის 15 მარტს.

¹⁰⁸ Прокопов А. Ю. Коммунистический Интернационал в 1920-е годы: Британское направление деятельности. К 90-летию основания Коминтерна. Ундансынов И. Н. Яхимович З. П. Коммунистический Интернационал: достижения, просчёты, уроки, М. 1990. Стр. 55.

ინტერნაციონალი ასევე წარმოადგენს წმინდა საუფლოს და იგი ორთოდოქსალურ რწმენაზეა დაფუძნებული. დასავლეთში ძალიან ცუდად ესმით, რომ მესამე ინტერნაციონალი ინტერნაციონალი კი არაა, არამედ რუსული ნაციონალური იდეაა. იგი რუსული მესიანიზმის ტრანსფორმაციაა. დასავლელ კომუნისტებს, რომლებიც მესამე ინტერნაციონალს მიემხრნენ... არ ესმით, რომ ისინი რუს ხალხს უერთდებიან და მის მესიანურ მოწოდებას ავრცელებენ“.¹⁰⁹

ბოლშევიკური გადატრიალებისა და მათ მიერ ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ „პროლეტარიატის მსოფლიო ორგანიზაციის“ მიერ „საერთაშორისო გადაწყვეტილებების“ მიღების დროც დადგა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლშევიკთა მოლოდინები მართლდებოდა. მართლაც, 1918 წლის ნოემბერში რევოლუციები მოხდა გერმანიასა და ესტონეთში, იმავე წლის დეკემბერში – ლიტვასა და ლატვიაში. 1919 წლის მარტში – უნგრეთში, აპრილში – ბავარიაში, ხოლო ივნისში საბჭოთა რესპუბლიკები შეიქმნა ჩეხოსლოვაკიაში.

„პროლეტარული მსოფლიო რევოლუციისაკენ“ მიმავალ დიად გზაზე რუს ბოლშევიკებს, ცხადია, მხოლოდ აგიტაციასა და უხვ ფინანსებზე არ გაუკეთებიათ გათვლები. ბოლშევიკთა მიერ საქმეში უფრო წონადი არგუმენტიც – „ოქტომბრის რევოლუციის პირმო“ – „მუშურ-გლეხური წითელი არმია“ (PKKA – Рабоче-крестьянская Красная армия) ჩაერთო. ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ ევროპელ და სხვა ხალხებს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის არსში უფრო სწრაფად და ქმედითად სწორედ რუსული ხიშტები გაარკვევდნენ, ვიდრე მხოლოდ იდეოლოგიური და რევოლუციური პროპაგანდის წარმოება. აქედან გამომდინარე, ბოლშევიკი ინტერნაციონალისტები ისე იყვნენ აღტაცებულები და ისე ჩქარობდნენ დიადი მისიის აღსრულებას, რომ კომინტერნის ფორმალურ დაფუძნებასაც კი არ დალოდებიან, ისე გადავიდნენ აქტიურ მოქმედებებზე.

კომინტერნის დამფუძნებელი კონგრესი 1919 წლის 2-4 მარტს გაიმართა მოსკოვში, მაშინ, როცა „მუშურ-გლეხური წითელი არმიის“ შენაერთებმა შეტევითი სამხედრო მოქმედებები დასავლეთით, პოლონეთისა და გერმანიის მიმართულებით უკვე 1918 წლის ბოლოდან დაიწყეს. დაისახა სამხედრო-პოლიტიკური ამოცანაც – „პროლეტარული რევოლუციის ექსპორტის“ გზით „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნა. იდეა და ამოცანა, მართალია, ძალიან ბუნდოვანი, ძალიან სათუო და ამორფული იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან რევოლუციური და ძალიან გაბედული. კრემლის იდეოლოგთა აზრით, საერთო ჯამში, პოლონეთისა და გერმანიის გასაბჭოების შემდეგ, რუს ბოლშევიკთა მიერ დაწყებული შეიარაღებული ექსპანსია „მსოფლიო რევოლუციაში“ უნდა გადაზრდილიყო და სწორედ კომინტერნს უნდა ეტვირთა ამ დიადი მისიის დამგეგმავი და მმართველი ორგანოს როლი, იგი უნდა გამხდარიყო „მსოფლიო რევოლუციის გენერალური შტაბი“.

ლევ ტროცკიმ, „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა, ვორონეჟში გამოსვლისას თავის მოხსენებაში – „მსოფლიო რევოლუციის სადარაჯოზე“ – განაცხადა: „...თავისუფალი ლატვია, თავისუფალი პოლონეთი და ლიტვა, თავისუფალი ფინეთი, ისევე როგორც თავისუფალი უკრაინა, არ შეიქმნებიან დაბრკოლებად, არამედ შემაერთებელ რგოლად იქცევიან საბჭოთა რუსეთსა და მომავალ საბჭოთა გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის. ეს ფედერაციის, ევროპული კომუნისტური ფედერაციის, ევროპული პროლეტარული რესპუბლიკების კავშირის საწყისი იქნება“.¹¹⁰

¹⁰⁹ Виктор Аксютин. Бердяев о «русском коммунизме». Ошибки гения. <http://www.apn.ru/publications/article/22426.htm>.

¹¹⁰ И. И. Вацетис, Н. Е. Какурин. „Гражданская война 1918 – 1921“. Стр. 45.

ძალიან მალე ტროცკი თავისი იდეოლოგიის გავრცელებისა და რეალური ქმედებების არეალს აფართოებს და III ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას უკვე დასავლეთ ევროპასა და მთელ მსოფლიოშიც გეგმავს. იგი ღრმად იყო იმაში დარწმუნებული, რომ დადგებოდა დრო, როცა რევოლუცია მთელს პლანეტაზე გაიმარჯვებდა: „თუ დღეს III ინტერნაციონალის ცენტრს მოსკოვი წარმოადგენს, – ჩვენ ამაში ღრმად ვართ დარწმუნებულნი, – ხვალ ეს ცენტრი დასავლეთისაკენ გადაინაცვლებს: ბერლინში, პარიზში, ლონდონში... და საერთაშორისო კომუნისტური კონგრესის გამართვა ბერლინში ან პარიზში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების მაუწყებელი იქნება ევროპაში და ესე იგი მთელ მსოფლიოშიც“.¹¹¹

რკპ(ბ)-ს VIII ყრილობის პროტოკოლში, რომელიც 1919 წლის 18-23 მარტს მიმდინარეობდა, ვკითხულობთ: „მხოლოდ პროლეტარულ, კომუნისტურ რევოლუციას შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა იმ ჩიხიდან, რომელიც შექმნა იმპერიალიზმმა და იმპერიალისტურმა ომმა... პაციფიზმი, კაპიტალიზმის დროს საყოველთაო განიარაღებისა და მომრიგებელი სასამართლოების გამართვის ღონისძიებები წარმოადგენს არა მარტო რეაქციულ უტოპიას, არამედ მშრომელთა პირდაპირ მოტყუებას... საჭიროა პრინციპული, გადამწყვეტი გამიჯვნა და დაუნდობელი ბრძოლა სოციალიზმის იმ ბურჟუაზიულ გადამკვარებელთა (Извращенцы – ა. ჩ.) წინააღმდეგ, რომლებმაც ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების მმართველობაში მიაღწიეს გამარჯვებას“.¹¹²

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სოციალისტური პარტიის კომინტერნში მიღებისათვის 1920 წლის 30 ივლისს ლენინმა განსაზღვრა 21 აუცილებელი მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობები. ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა „თავიანთი იმპერიალისტების მიერ კოლონიებში განხორციელებული ქმედებების დაუნდობელი მხილება საქმით და არა სიტყვით, გამათავისუფლებელი ბრძოლების მხარდაჭერა და თავიანთი იმპერიალისტების გამოდევნა კოლონიური ქვეყნებიდან...“¹¹³

1921 წელს, როგორც კომინტერნის ერთ-ერთი სასწავლო დაწესებულება, ჩამოყალიბდა „აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტი“ (ამკუ) („Коммунистический университет трудящихся Востока“ (КУТВ)). მოგვიანებით მას ი. ბ. სტალინის სახელიც მიენიჭა. სხვადასხვა წლებში ამ უნივერსიტეტში სწავლობდნენ ათეულობით ქვეყნის 73 ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის დენ სიאו პინი და ხო ში მინი. საბოლოოდ, 1938 წელს, ახალი რეალობებიდან გამომდინარე, ეს უნივერსიტეტი დაიხურა.¹¹⁴

1919 წლის 13 აპრილს მიუნხენში კომუნისტმა ექსტრემისტებმა პუტჩი მოაწყვეს, ისარგებლეს ქალაქის ძალოვანი სტრუქტურების სისუსტით და ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადეს, ტროცკი ზეიმობდა. ბავარიის მოვლენებმა მას იმედი ჩაუსახა, რომ მსოფლიო რევოლუციის კოცონი უკვე აგიზგიზდა და მას ველარაფერი ველარ ჩააქრობდა. ბავარიიდან მოსულმა ამბებმა ტროცკიზე ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან ასეთი ნაჩქარევი პოლიტიკური პროგნოზიც გააჟღერა: „საბჭოთა გერმანია, – განაცხადა მან, – საბჭოთა რუსეთთან გაერთიანებული, ყველა

¹¹¹ Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0. Троцкий Л.Д. Пять лет Коминтерна. М.-Л. 1925. Стр. 39.

¹¹² Доктор экономических наук Г. Попов. Программа, которой руководствовался Сталин. Наука и жизнь. 1989. №7. VIII съезд РКП(б). Протоколы. Стр. 46.

¹¹³ Густерин П.В., научный сотрудник Института востоковедения РАН. Политика Советского государства на мусульманском Востоке в 1917-1921 гг. // Вопросы истории. № 1, Январь 2010. Цит. По кн.: Васильев А.М. Россия на Ближнем и Среднем Востоке: от мессианства к прагматизму. М., 1993. Стр. 14.

¹¹⁴ РГАСПИ (Российский государственный архив социально-политической истории), ф. 532. См. Также: Адибеков Г. М., Шахназарова Э. Н., Шириня К. К. Организационная структура Коминтерна. 1919–1943. М., 1997. Стр. 127-128.

ერთად აღებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოზე უფრო ძლიერი აღმოჩნდება“.¹¹⁵ ხოლო კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარე, გრიგორი ზინოვიევი, უკვე 1919 წლის ოქტომბერში აცხადებდა, რომ ერთი წლის განმავლობაში მსოფლიო რევოლუციამ მთელი ევროპა მოიცვა. II კონგრესზე მანვე განაცხადა, რომ „კომინტერნის III კონგრესი, რომელიც 1920 წლის აგვისტოში უნდა გაიმართოს, უკვე ბერლინში, შემდეგ კი პარიზსა და ლონდონში ჩატარდება...“¹¹⁶

მაგრამ კომინტერნის ხელმძღვანელთა წინასწარმეტყველება არ გამართლდა...

დღეს ალბათ ღიმილის მომგვრელია ამ მასალების გაცნობა. მსგავსი ჰიპერბოლების წარმოდგენა და გააზრება ალბათ ფერწერასა და პოეზიაშიც კი ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ბოლოდროინდელი იდეების რეალიზაციისათვის ბრძოლამ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და საბოლოოდ ისეთი მახინჯი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნით დასრულდა, როგორც საბჭოთა იმპერია იყო. ამ სახელმწიფომ 70 წელი იარსება, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ეპოქა და სულ სხვა ისტორიაა... მანამდე კი, ბოლშევიკთა სამხედრო შენაერთების დასავლეთის მიმართულებაზე შეიარაღებულ აგრესიას ახლადშექმნილი სახელმწიფო – „მეორე რენ პოსპოლიტა“, პოლონეთი აღუდგა წინ, ერთ დროს აღმოსავლეთ ევროპის უდიდესი ქვეყანა, რომელსაც თავისი სახელმწიფოებრიობა მთელი 123 წელი, 1795 წლიდან 1918 წლამდე ჰქონდა დაკარგული და მისი ტერიტორიები სამ იმპერიას – რუსეთს, პრუსია-გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის იყო განაწილებული...¹¹⁷

I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, 1918 წლის ნოემბრიდან, პოლონელმა ხალხმა იუზეფ პილსუდსკის¹¹⁸ დაუღალავი მეცადინეობის შედეგად შეძლო თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ახლა კი პოლონეთი და პოლონელი

¹¹⁵ Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0. Троицкий Л. Д. Пять лет Коминтерна. М.-Л. 1925. Стр. 90.

¹¹⁶ Платонов О. А. Под властью зверя. — М.: Алгоритм, 2004. — С. 249-253. ISBN 5-699-08264-6.

¹¹⁷ არჩილ ჩაჩხანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში. (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. ISBN 978-9941-0-5988-9. თბილისი. 2014. გვ. 24.

¹¹⁸ იუზეფ კლემენს პილსუდსკი (Józef Klemens Piłsudski) (1867-1935) – პოლონელი სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. რუსეთ-აპონიის, I მსოფლიო ომისა და საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომის აქტიური მონაწილე. ავსტრიის არმიის ოფიცერი და პოლონური ლეგიონის შემქმნელი, პოლონელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. პოლონეთის სახელმწიფოს მეთაური, პოლონეთის რესპუბლიკის არმიის დამაარსებელი, პოლონეთის რესპუბლიკის პირველი მარშალი, პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და სამხედრო მინისტრი. 1926-1928 და 1930 წლებში პოლონეთის პრემიერ-მინისტრი. მისი უშუალო ძალისხმევით და ბრძოლის შედეგად აღდგა პოლონური სახელმწიფო – „პოლონეთის მეორე რესპუბლიკა“, ანუ, „მეორე რენ პოსპოლიტა“, მას შემდეგ რაც 123 წლის განმავლობაში მისი ტერიტორიები განაწილებული იყო რუსეთს, ავსტრიასა და პრუსია-გერმანიას შორის. რუსეთის 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე და პოლონეთის სოციალისტური პარტიის პირველი ლიდერი. XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპული პოლიტიკური სცენის მნიშვნელოვანი ფიგურა. 1885 წელს ჩაირიცხა ხარკოვის სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, საიდანაც ერთ წელიწადში გაირიცხა სტუდენტური მოძრაობის წევრობისა და არეულობებში მონაწილეობისათვის. 1887 წელს რუსეთის მეფე ალექსანდრე III-ის მკვლელობის მცდელობისათვის თავის ძმასთან და ტერორისტული ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად აპატიმრებენ და 5 წლით ასახლებენ ციმბირში. სასჯელს იხდიდა ირკუტსკის ციხეში. სასჯელის მოხდის შემდეგ, 1896 წლიდან ლონდონშია, სადაც მონაწილეობს II ინტერნაციონალის IV კონგრესის მუშაობაში. 1899 წლიდან ცხოვრობს ვილნოში, შემდეგ ლოშში, სადაც აგრძელებს აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1900 წელს ისევ აპატიმრებენ და სვამენ ვარშავის ციხეში, საიდანაც ახერხებს გაქცევას. რუსეთის 1905 წლის რევოლუციის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა პოლონური ლეგიონის შემქმნისათვის. I მსოფლიო ომის წინ გალიციაში აყალიბებს პოლონელ პატრიოტთა გასამხედროებელ ჯგუფებს, ხოლო 1913 წელს ოფიცერთა კურსებს. I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914 წლის ოქტომბერში მისი ინიციატივით იქმნება პოლონეთის სამხედრო კონსპირაციული ორგანიზაცია, რომელიც დაუმორჩილებლობას უცხადებს გერმანიის ხელისუფალთ. გერმანულმა ხელისუფლებამ ორგანიზაცია დაშალა, ხოლო პილსუდსკის ისევ აპატიმრებენ და ამჯერად მაგდებურგის ციხეში სვამენ. ციხიდან თავისუფლდება 1918 წლის 8 ნოემბერს და ტრიუმფით ბრუნდება ვარშავაში. 22 ნოემბერს იქმნება დამოუკიდებელი პოლონეთის მთავრობა, ხოლო 1919 წლის იანვარში პილსუდსკის ირჩევენ სახელმწიფოს მეთაურად. საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომის მსვლელობისას, 1919-1921 წლებში, ეკავა პოლონეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა. 1926 წლის 31 მაისს არჩეულ იქნა პოლონეთის პრეზიდენტად, რაზეც უარი განაცხადა. დაწვებული 1934 წლიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. გარდაიცვალა 1935 წლის 12 მაისს ლვილის სიმსივნით. მისი გული დასაფლავებულ იქნა ვილნოში, ხოლო სხეული კრაკოვში.

ხალხი რუსულ ბოლშევიკურ აგრესიას უნდა აღდგომოდა წინ. შემდეგი იყო ამიერკავკასია და საქართველო...

არც მხოლოდ ყოფილი ცარიისტული იმპერიის ევროპული ნაწილი და არც მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპა წარმოადგენდა ბოლშევიკი იდეოლოგებისათვის „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ განვრცობის არეალსა და ასპარეზს. არც მხოლოდ დასავლეთ ევროპაში უნდა შექმნილიყო ლენინისეულ-ტროცკისტული „ევროპის შეერთებული შტატები“ თუ „ევროპული კომუნისტური ფედერაცია“. ბოლშევიკური რუსეთი ცარიისტული იმპერიის ყოფილ ტერიტორიებს ისევ თავის საკუთრებად მოიაზრებდა და, ჰუმანური იდეებით შენიღბულმა, ამიერკავკასიაშიც და აზიის დიდ ნაწილზეც „ხალხთა ძმობის, ერთობისა და თანასწორობის“ და „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით შენიღბულმა, პოლიტიკური აქტივობა გაზარდა. „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ სცენარში აზიის დიდი ნაწილის ჩართვაც დაიგეგმა.

ფაქტია, რომ ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობა კავკასიასა და მთელ მსოფლიოს სოციალისტური რევოლუციის პრიზმაში ჭვრეტდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში რევოლუციური ტალღა დაცხრა, აშკარა გახდა, რომ მსოფლიო რევოლუციის ქრონოლოგია აღარ ემთხვეოდა ამ იდეის ავტორთა წარმოდგენებს.¹¹⁹ იმით შეფიქრიანებულმა, რომ ევროპაში „პროლეტარული რევოლუციის“ საქმეები მაინცდამაინც ვერ მიდიოდა ისე კარგად, როგორც ამას კრემლის იდეოლოგები გეგმავდნენ, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარმა, „მსოფლიო რევოლუციის“ ერთ-ერთმა მგზნებარე მესოტბემ, ლევ ტროცკიმაც „აღმოსავლეთზე“ დაიწყო ფიქრი და „რევოლუციის მახვილიც“ იქითკენ მიმართა. ევროპასა და აღმოსავლეთში პოლიტიკური მდგომარეობისა და ძალთა ბალანსის გაანალიზებით, ტროცკი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „წითელი არმია მსოფლიო პოლიტიკური არენის ევროპულ გზებზე საკმაოდ მოკრძალებულ სიდიდედ ჩანს არა მხოლოდ შეტევისათვის, არამედ თავდაცვისათვისაც. სულ სხვანაირად წარმოგვიდგება ეს მდგომარეობა, თუ ჩვენ აღმოსავლეთისაკენ გავემართებით. ინდოეთისაკენ მიმავალი გზა მოცემულ მომენტში ჩვენთვის შეიძლება უფრო მოკლე და ადვილად გასავლელი აღმოჩნდეს, ვიდრე გზა საბჭოთა უნგრეთისაკენ“.¹²⁰

კავკასია, ოსმალეთი, არაბული მიწები, ირანი, ავღანეთი, თურქესტანი (ცენტრალური აზია), ინდოეთი, ეგვიპტე, ვოლგისპირეთი და ურალის მხარე, ალტაი, ჩინეთი და იაპონიაც კი – აი ის გეოგრაფიული არეალები, რომელთაც ლენინი და მისი თანაიდეოლოგები კრებითი სახელით – „აღმოსავლეთად“ მოიხსენიებდნენ, ხოლო იქ მცხოვრებ ეთნოსებს – „აღმოსავლეთის ხალხებად“. ამ ტერმინს სხვა, მთავარი დატვირთვაც ჰქონდა – ბოლშევიკებისათვის „აღმოსავლეთად“, პირველ რიგში, ისლამური ქვეყნები მოიაზრებოდნენ.

აღნიშნული იდეის ხორცშესხმისათვის ევროპულისაგან განსხვავებული შესაბამისი პოლიტიკური კონცეფციისა და დოქტრინის შემუშავება, დახვეწილი იდეოლოგიური და დიპლომატიური მოქმედებები იყო საჭირო და ბოლშევიკებმაც ადვილად გადაჭრეს მათ წინაშე მდგარი ეს რთული ამოცანა. „პროლეტარული რევოლუციის“ აზიისაკენ განვრცობისას ისინი „დიდი თურანის“ იდეიდან გამომავალ „კოლონიალური რევოლუციის“ იდეას დაეყრდნენ. ნაციონალურ საკითხებთან მიმართებაში, ბოლშევიკებმა

¹¹⁹ გიორგი კუჭავა. 1920-1921 წლები: საქართველო ლენინმა გაჰყიდა. ჟურნალი „პოლიტიკა“. №1-2. 1994წ. გვ. 12.

¹²⁰ Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0. ЦГАСА. Ф. 33987. Оп. 2. Д. 32. 279-279 об.

კიდევ ერთხელ გამოააშკარავეს საკუთარი თავი, როგორც ცარისტული იმპერიის „ღირსეულმა“ მემკვიდრებმა.

წინ გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ძალიან მზაკვრული იყო ბოლშევიკთა მიერ განხორციელებული გეგმები რუსეთის თურქულ ხალხებთან მიმართებაში. აქ სრულად ამუშავდა რუსული „ცივი ომის“ სტრატეგიის ელემენტები. მათ მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა – ეროვნული თვითგამორკვევის უფლების შეპირებებმა, ე.წ. „საბჭოთა ავტონომიების“ შექმნამ, ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის არსებულ დაპირისპირებებზე თამაშმა, და, რაც მთავარია, ამ ავტონომიებს შორის სრულიად ხელოვნურად საზღვრების გავლებამ ის შედეგი გამოიღო, რომ საბჭოთა კავშირის რუკაზე პატარა „თურქული რესპუბლიკები“ წარმოიქმნა. და, თავისთავად ცხადია, როგორც ყველგან საბჭოთა ავტონომიების შემთხვევაში, აქაც ჩაიღო შენელებული მოქმედების ნაღმები, რომლებმაც მხოლოდ ათწლეულების შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში იჩინეს თავი.

თურქიზმის იდეოლოგია და „ღიდი თურანის“ კონცეფცია კი, უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ. ასე უფრო გასაგები გახდება, თუ რა იდეებზე დაყრდნობით ცდილობდნენ რუსული რევოლუციური მესიანიზმის იდეოლოგები და ოსმალო პანთურანიზმის აპოლოგეტები ერთმანეთთან მისასვლელი გზების გაკვალვასა და საკუთარი მიზნების შესრულებას.



ვლადიმირისა და მოსკოვის
დიდი მთავარი ივანე III (1479-1533)




უხუცესი ფილოფეი (1465-1542)



იური კრიჟანიჩი (1617-1683)



ივანე IV მრისხანე
(1530-1584)



ივანე IV მრისხანე. მ. მ. გერსიმოვის მიერ
1964 წელს რეკონსტრუირებული გამოსახულება



ჩინგიზ ყანი (1162-1227)




პეტრე I (1672-1725)




პეტრე იაკობოვიჩ ჩადაევი
(1794-1856)



ალექსეი სტეპანოვიჩ ხომიაკოვი
(1804-1860)




ფიოდორ ივანოვიჩ ტიუტჩევი (1803-1873)



ნიკოლაი ბერდიაევი
(1874-1948)



მიხაილ ბაკუნინი
(1814-1876)




ვლადიმირ სოლოვიოვი
(1853-1900)



ივან ილინი
(1882-1954)




სერგეი ბულგაკოვი
(1871-1944)



ევგენი ტრუბეცკოი
(1863-1920)



ფიოდორ დოსტოევსკი (1821-1881)



გიორგი პლехანოვი (1856-1918)




ლენინი კომინტერნის კონგრესზე




კარლ რადეკი ((1885-1939)



„რევოლუციის ბოროტი გენია“ ლევ ტროცკი



„Коммунистический Интернационал“-ის პირველი ნომერი



ტროცკი და ლენინი



ლევ ტროცკი – რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე. 1920 წელი.



ჰელმუტ ფონ მოლტკე
(1800-1891)



ერის ვილჰელმ ლუდენდორფი
(1865-1937)



ოთხთა კავშირის დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკში. მარცხნიდან მარჯვნივ: დელეგაციის ხელმძღვანელი, გერმანელი გენერალი მაქს ჰოფმანი, ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ოტოკარ ჩერნინი, ოსმალთა იმპერიის დიდი ვეზირი მეჰმედ თალაათ ფაშა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი რიჰარდ ფონ კულმანი.



იოსებ სტალინი
1918 წელი



ადოლფ იოფე
(1882-1927)



გრიგორი რასკოლნიკოვი
(1888-1939)



ლევ კამენევი და ლევ კარახანი ბრესტ-ლიტოვსკის ვაგზალზე. 1918 წელი.



საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობა ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო კონფერენციაზე. სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: კამენევი, იოფე, ბიცენკო. დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: ლიპსკი, სტუჩკა, ტროცკი, კარახანი.



გრიგორი ზინოვიევი
(1883-1936)



ლევ კარახანი
(1889-1937)



ნიკოლაი ბუხარინი
(1888-1938)



იაკობ სვერდლოვი
(1885-1919)



სერგეი კიროვი
(1886-1934)



ანასტას მიქოიანი
(1895-1978)




მუსტაფა სუფი (1883-1921)



იუზეფ პილსუდსკი (1867- 1935)


რუსული სახელმწიფოს (წითელი ფერი) უმჯობესა და ტერიტორიული მსხვერპლის დინამიკა 1200-1900 წლებში




1200 წელი




1300 წელი




1415 წელი



1500 წელი




1600 წელი



1789 წელი



1870 წელი



1900 წელი

თავი II

კანთურანიზმი და „აღმოსავლეთის ხალხთა“ საკითხი

„...ჩემი შეხედულებები და მათი კვალი, რომელიც ჩემს სისხლში მიედინება, ჩემი ისტორიის ანარეკლია. ჩემი წინაპრების საგმირო საქმეების შესახებ მე ისტორიის მკვდარი და გაყვითლებული, მტვრიანი ფურცლებიდან კი არ ვკითხულობ, არამედ ჩემი გულიდან და ძარღვებიდან ვიგებ. ჩემი ატილა, ჩემი ჩინგიზი – ეს გმირული სახეებია, რომლებიც ჩემი ერის გმირულ დიდებას განასახიერებენ, ისტორიის გაყვითლებულ ფურცლებზე ჩნდებიან, რომელიც არაკეთილმოსურნეობითა და სიბილწითაა სავსე. და თვით გარემომ შეამკო ისინი სირცხვილითა და უღირსობით, თუმცა არაფრით არ ჩამოუვარდებიან ალექსანდრესა და იულიუს კეისარს. ჩემი გული უკეთესად იცნობს ოლუზ ხანს, რომელიც ისტორიისათვის ბნელ და შეუცნობელ სახედ რჩება. ჩემს გულში, ჩემს ძარღვებში იგი ისევ ცოცხალია თავისი სიდიადით. ოლუზ ხანი ალაფრთოვანებს ჩემს გულს, მხარს მიჭერს და საზეიმო განწყობას მმატებს: თურქთა სამშობლო არც თურქეთია და არც თურქესტანი, თურქთა სამშობლო მუდმივი და დიდებული ქვეყანა თურანია...“

მეჰმედ ზია გოკალფი. 1911 წელი.

§2.1. თურქიზმი და „დიდი თურანი“

ცნობილი ფაქტია – სხვადასხვა მიზეზთა გამო, პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები და ისტორიკოსები „თურქიზმის“ იდეოლოგიასა და „დიდი თურანის“ ცნებაში განსხვავებულ აზრს აქსოვენ – მკვეთრად ნეგატიურიდან დაწყებული, აპოლოგეტური აღმაფრენით დამთავრებული. საკითხი კი მართლაც მეტად საინტერესო და წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს აერთიანებს. მიზანშეწონილია, ისტორიულ ჭრილში განვიხილოთ ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფენომენის გენეზისი, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული ოსმალეთის იმპერიის ისტორიასთან. დაკავშირებული და არა გაიგივებული.

ისტორიულად ოსმალური სამხედრო პროპაგანდის იდეოლოგიური საფუძვლები ოთხი ძირითადი მიმდინარეობით იყო წარმოდგენილი – ოსმანიზმი, ისლამიზმი, ვესტერნიზმი და ახლად ჩასახული პანთურქიზმი. 1912-1913 წლების ბალკანეთის ომებში განცდილმა მარცხმა პანთურქიზმის შემდგომ განვითარებას შეუწყო ხელი. ისლამიზმი საერთო ისლამური სახელმწიფოს – მსოფლიო სასულთნოსა და სახალიფოს შექმნისკენ მოუწოდებდა ყველა მუსლიმანს, პანთურქიზმი კი თურქი ხალხების აღორძინებას ისახავდა მიზნად. მოგვიანებით პანთურქიზმისაგან კიდევ ერთი მიმდინარეობა – პანთურანიზმი წარმოიშვა, საოცნებო დიდი თურანის შექმნის იდეოლოგია. ცენტრალური აზიის სივრცეში კი პანთურქიზმმა კიდევ ერთი მიმდინარეობა – ჩალათაიზმი შვა. ამ საკითხებზე ქვემოთ გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

ცნობილი თურქი საზოგადო მოღვაწე და თურქული ნაციონალისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მეჰმედ ზია გოკალფი თავის ფილოსოფიაში სამ ძირითად მიმართულებას გამოყოფდა – ვესტერნიზმს, ისლამიზმსა და თურქიზმს: „ჩვენს ქვეყანაში აზრების სამი მიმდინარეობა არსებობს. თუ ისტორიას მივმართავთ, მაშინ დავინახავთ, რომ თავდაპირველად ჩვენმა იდეოლოგებმა მოდერნიზაციის აუცილებლობა გააცნობიერეს, რომელიც სათავეს სელიმ III-ის პერიოდიდან იღებს. ამას სხვა იდეები მოჰყვა, რომლებიც ისლამიზაციაზე იყვნენ დაფუძნებულნი. სულ ახლახანს კი იდეათა ძიების მესამე მიმდინარეობა გაჩნდა – თურქიზმი...“¹²¹

რატომღაც მიღებულია აზრი, რომ „თურქიზმის“ იდეოლოგიასა და „დიდი თურანის“ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ პროექტს, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა, თურქული წარმომავლობა, თურქული ფესვები აქვს. მაგრამ ეს მოსაზრება მცდარია, იგი სიმართლეს არ შეესაბამება. „თურქიზმი“, „დიდი თურანის“ კონცეფცია და „პანთურანიზმი“, როგორც იდეოლოგია, სულ სხვა სივრცესა და რეალობაში, სულ სხვა პოლიტიკურ გარემოში, კერძოდ, რუსეთის ცარისტულ იმპერიაში ჩაისახა.

თურქიზმის იდეის ფორმირება პირდაპირაა დაკავშირებული ოსმალურ და რუსულ იმპერიებში მცხოვრები თურქული მოდემის ხალხების ბედთან. ფაქტია, რომ XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ოსმალთა იმპერიის კრიზისმა მრავალ დაინტერესებულ პოლიტიკოსსა და მეცნიერს გაუჩინა სურვილი, საკუთარი იდეოლოგია შეემუშავებინა, რომელიც სახელმწიფოს გააძლიერებდა. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, თურქიზმი, როგორც იდეოლოგია, XIX საუკუნის ბოლოს ჩაისახა რუსეთის იმპერიაში, რომელიც შემდეგ ოსმალთა იმპერიაშიც გავრცელდა, „ახალგაზრდა თურქთა“ მმართველობის პერიოდში კი იგი სახელმწიფო იდეოლოგიად იქცა. პანთურქიზმი შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის

¹²¹ Gokalp Z. Turkish Nationalism and Western Civilization. Selected Essays of Ziya Gokalp. Transl- and ed. by N.Berkes. N.Y., 1959. S.71-74 (перевод М.С. Мейера) http://nisaal.narod.ru/History/Lectures/revoljucija_1908-1909_gg-v_turcii-politika_mladotu.pdf.

მიზანსაც ევრაზიის თურქული მოდემის ხალხების ყოველმხრივი ინტეგრაცია და ერთიანი თურქული სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა.¹²²

ამ იდეოლოგიას თეორიული საფუძვლები ვოლგისპირეთისა და ყირიმის მუსლიმანმა (თათარმა) ინტელექტუალებმა ჩაუყარეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს. მათ შორის გამოვყოფდით ყირიმელ თათარ განმანათლებელს, პოლიტიკოსსა და პუბლიცისტს, ისმაილ გასპრელს (გასპარლი, Гаспринский) (1851-1914), სიმბირსკელ თათარ განმანათლებელს, იუსუფ აქჩურასა (1876-1935) და აზერბაიჯანელ ინტელექტუალსა და ამიერკავკასიის მუსლიმანთა შეიხ-ულ-ისლამს¹²³, ალი ჰუსეინ-ზადეს (1864-1949). საერთო ჯამში, მათ მოძღვრებებში თურქული წარმომავლობის ხალხების ერთიანობის იდეა იყო წამოყენებული. თავად ამ იდეოლოგიამ კი „თურქიზმის“ სახელწოდება მიიღო.

ცნობილი თათარი ეროვნების საბჭოთა და რუსი ისტორიკოსის, თათრეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ისქანდერ გილიაზოვის¹²⁴ მიხედვით, ისმაილ გასპრელის იდეები სამი ძირითადი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ:

1. მუსლიმანი საზოგადოების მოდერნიზაცია განათლების მთელი სისტემის რეფორმის გზით;
2. რუსეთის იმპერიაში მცხოვრები თურქული მოსახლეობის სულიერი და პოლიტიკური ერთიანობა;
3. რუსეთში მცხოვრები მუსლიმანების დამოკიდებულების ფორმების მოძებნა რუსეთთან, ანუ რუსულ სამყაროსთან და დასავლეთთან;

ცნობილი ფრანგი ისლამისმცოდნის, ფრანგი მეცნიერის, ალექსანდრ ბენიგსენის სიტყვებით: „გასპრელმა შეაჯამა თავისი აზრები რუსეთის იმპერიის თურქი მუსლიმანების გაერთიანების აუცილებლობის შესახებ ერთ ფრაზაში – „ერთიანობა ენაში, აზრებსა და მოქმედებაში“ (Dible, fikirde, iste birlik). მისი აზრით, სრულიად თურქული და სრულიად მუსლიმანური ერთიანობა წარმოადგენდა ერთადერთ საშუალებას, რომელიც გადაარჩენდა არა მარტო მცირერიცხოვან ყირიმელ თათრებს, არამედ რუსეთის იმპერიის ყველა თურქ ხალხს გიგანტური რუსული მასის უკვე დაწყებული ასიმილაციისაგან“.¹²⁵

გასპრელის პროგრამის ყველაზე უფრო საკამათო საკითხს თურქებისა და მუსლიმანების რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობები წარმოადგენდა. იგი არასდროს არ იღებდა იმ იდეას, რომ მუსლიმანი ხალხების გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ ევროპული ცივილიზაციის პირდაპირ გადმოტანაში მდგომარეობდა. მას ღრმად ჰქონდა გააზრებული ისლამის პოტენციური ძალა და იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ მუსლიმანური სამყაროს დაცემა დროებითი მოვლენა იყო. ამავე დროს მას ისიც ესმოდა, რომ ნებისმიერი ნაადრევი კონფლიქტი რუსეთთან ყირიმელი და სხვა თურქული

¹²² Васильева Светлана Анатольевна. Челябинский государственный университет. Влияние Пантуркизма на идеологический процесс в Турецкой республике. http://www.teoria-practica.ru /rus/files/arhiv_zhurnala/2012/3/politika/vasilieva.pdf.

¹²³ შეიხ-ულ-ისლამი – ისლამურ ქვეყნებში ისლამის სფეროში უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული. ეს ტიტული იმ პირებს ენიჭებოდათ, რომლებიც სრულად ფლობდნენ ისლამის სამართლებრივ ტრადიციებს და შეეძლოთ რელიგიური ნორმების გამოყენება ყოველი ახალი რელიგიური მიმდინარეობის ასახსნელად. შეიხ-ულ-ისლამი ამავე დროს წარმოადგენდა უდიდეს მორალურ ავტორიტეტს მუსლიმანთა შორის, ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყნაში კი – უმაღლეს მოსამართლესაც. ოსმალეთის იმპერიაში შეიხ-ულ-ისლამი ითვლებოდა ყველა მუსლიმანი შიიტის სულიერ ლიდერად.

¹²⁴ ისქანდერ გილიაზოვი – თათარი ეროვნების საბჭოთა და რუსი ისტორიკოსი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ყაზანის უნივერსიტეტის თათრული ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტის დეკანი და თათარი ხალხის ისტორიის კათედრის გამგე. თათრეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

¹²⁵ Искандер Гилязов. Тюркизм: становление и развитие (характеристика основных этапов). Казанский государственный университет. Институт востоковедения. Факультет татарской филологии и истории. Казань. 2002. Стр. 18.

მოღვმის მუსლიმანებისათვის დიდი უბედურებით დასრულდებოდა. ამიტომ ისმაილ გასპრელი გარკვეული კომპრომისების დაშვებისა და საკუთარი მიზნების მიღწევის გზაზე მათი რუსულ მთავრობასთან გარკვეული თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა.

გასპრელის სწავლება ახალ სიმალეებამდე აიყვანა ცნობილმა სიმბირსკელმა თათარმა ისტორიკოსმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, შემდგომში სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორმა, იუსუფ აქჟურამ. მისი ნაშრომი – „პოლიტიკის სამი სახეობა“ თურქიზმის თავისებურ მანიფესტს წარმოადგენს. მოცემულ ნაშრომში ავტორი წარმოგვიდგენს ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების იმ სამ მთავარ მიმართულებას, რომლის განვითარებაც შემდგომშიც იქნებოდა შესაძლებელი:

1. ოსმალთა იმპერიაში მცხოვრები ხალხების ასიმილაცია და გაერთიანება, რომლებიც შემდგომში ოსმალურ ერად ჩამოყალიბდება;
2. ყველა მუსლიმანის პოლიტიკური გაერთიანება იმის გათვალისწინებით, რომ ოსმალთა იმპერიის სულთანს იქნებოდა ნომინალური ხელმძღვანელი – მთელი მუსლიმანური სამყაროს ხალიფა;
3. თურქი ერის პოლიტიკური ჩამოყალიბება, რაც ეთნიკურ ფაქტორებზე იქნება დაყრდნობილი.¹²⁶

იუსუფ აქჟურას მიერ 1908 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „პოლიტიკის სამი სისტემა“ იმდენად მნიშვნელოვანი იყო თავისი კვლევების სიღრმით, რომ, ზოგიერთი საზოგადო მოღვაწის სიტყვებით, „მას იგივე მნიშვნელობა ჰქონდა პანთურქისტებისათვის, რაც მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ კომუნისტებისათვის“.¹²⁷

თურქიზმისა და ოსმანიზმის იდეების ღრმად გააზრებისას აქჟურა იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ერთიანი ოსმალთა ერის შექმნა უაზრო მცდელობაა“. დიდ სიძნელეებს ხელადა იგი „ისლამური ერთიანობის“ იდეის ხორცშესხმაშიც. მისი აზრით, ასეთი პოლიტიკის გატარებას დაუყოვნებლივ მოყვებოდა გარესამყაროს რეაქცია. როგორც კი ოსმალთა იმპერია დაიწყებდა ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას, მას დაუყოვნებლივ მოყვებოდა ქრიასტიანული სამყაროს და, პირველ რიგში, რუსეთის წინააღმდეგობა. მისი აზრით, მხოლოდ „თურქული ერთიანობის“ იდეას გააჩნდა მომავალი. იგი წერდა: „თურქული ერთიანობის“ მთავარი და ყველაზე დიდი სარგებელი იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს თურქთა გაერთიანებას, რომელთა განსახლების ტერიტორიები აზიის დიდ ნაწილსა და აღმოსავლეთ ევროპას მოიცავს. მათ ერთნაირი ენა, ერთნაირი წარმომავლობა, ერთი და იგივე წეს-ჩვეულებები, უმრავლესობას კი ერთი რელიგიაც ექნება“.¹²⁸ ამრიგად, ამგვარი პოლიტიკის რეალიზაცია დიდი პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესს შეუწყობდა ხელს.

1908 წელს გამოქვეყნდა აზერბაიჯანელი ინტელექტუალისა და ამიერკავკასიის მუსლიმანთა შეიხ-ულ-ისლამის, ალი ჰუსეინ-ზადეს სტატია სათაურით „თურქიზმი, ისლამიზაცია, მოღერნიზაცია“ (Turkuleshmek, Islamlashmak, Zamanlashmak), სადაც თურქიზმის თეზისებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს. ალი ჰუსეინ-ზადე პირველი აზერბაიჯანელი ინტელექტუალი იყო, რომელიც აქტიურად დაინტერესდა თურქიზმის იდეებითა და თურქი ხალხებისათვის ამ მოძღვრების აქტუალობით. მისი სიტყვებით, „ეს გზა იმას ნიშნავს, რომ თურქული გრძნობებით უნდა ვიყოთ შთაგონებულნი, გვჯეროდეს

¹²⁶ Искандер Гилязов. Тюркизм: становление и развитие (характеристика основных этапов). Казаньский государственный университет. Институт востоковедения. Факультет татарской филологии и истории. Казань. 2002. Стр. 24.

¹²⁷ М. Э. Расул-Заде. О панттуризме. Оксфорд, 1985, стр.47.

¹²⁸ Искандер Гилязов. Тюркизм: становление и развитие (характеристика основных этапов). Казаньский государственный университет. Институт востоковедения. Факультет татарской филологии и истории. Казань. 2002. Стр. 25.

ისლამისა და თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის ნაყოფით გავამდიდროთ ჩვენი ყოველდღიურობა“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანელი ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის, დოქტორ როლფ ჰოსფელდის აზრით, „ისეთი იმპერიისათვის, როგორც ოსმალეთის იმპერია იყო, მოდერნიზაცია ამავე დროს თურქიზაციას ნიშნავდა. საკვანძო მომენტად ყოველთვის რჩებოდა ნაციონალიზმი, როგორც მისი უკიდურესი გამოხატულების ფორმა“.¹²⁹ სწორედ ალი ჰუსეინ-ზადემ წამოაყენა ის სამი განუყოფელი პრინციპი, რომელიც შემდგომში თურქმა ინტელექტუალმა და მოაზროვნემ, მეჰმედ ზია გოკალფმა განავითარა.

თურქ მოღვაწეთაგან თურქიზმის იდეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად სამართლიანად ითვლება XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მეჰმედ ზია გოკალფი (Mehmed Ziya Gökalp) (1876-1924). იგი „ახალგაზრდა თურქთა“ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, „ერთიანობისა და პროგრესის“ (Ittihat ve Terakki) პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო. თურქიზმის ნამდვილ თეორეტიკოსად კი ზია გოკალფი ბალკანური ომების მსვლელობისას, 1912-1913 წლებში ჩამოყალიბდა.

გოკალფის იდეოლოგიის ამოსავალ წერტილს ის დებულება წარმოადგენდა, რომ მრავალეროვანი ოსმალეთის იმპერიისათვის სწორედ ეს მრავალფეროვნება გამოიწვევდა იმპერიის გარდუვალ დაშლას. გოკალფი მიიჩნევდა, რომ საუკუნეების განმავლობაში თურქებმა თავიანთი ტრადიციები დაკარგეს და სხვა დაპყრობილი ხალხების ტრადიციები შეიძინეს. „სხვა ხალხების დაპყრობით ჩვენვე აღმოვჩნდით სულიერად დაპყრობილები“, – აცხადებდა იგი. ამიტომ საჭირო იყო საკუთარ ისტორიულ ფესვებთან დაბრუნება, „საკუთარი თავის ხელახლა შეცნობა“, „თურქული სულის“ აღორძინება. გოკალფი თურქული მოდემის ხალხების პრეისლამურ ყოფასა და წარმოშობას აიდეალებდა და თურქი ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ მიღწევებს, ატილას, ჩინგის ყაენის, თემურ ლენგის, ბაბურას, ოსმალთა სულთნების „საგმირო საქმეებს“ ადიდებდა.¹³⁰ აქედან გამომდინარე, ზია გოკალფი თურქული მოდემის ისტორიულ საცხოვრისს – „თურანს“ განადიდებდა და მისი „ხელახლა შექმნის“ აპოლოგეტად გამოდიოდა.

გოკალფი თავის იდეებსა და შეხედულებებს ხშირად პოეტურად, ლექსის სახით გადმოსცემდა, რათა ასე უფრო ადვილი ყოფილიყო მკითხველისთვის მისი გაგება. აი, ციტატა მისი ერთ-ერთი ცნობილი ლექსიდან სათაურით „თურანი“, რომელიც 1911 წელსაა დაწერილი:

„ჩემი შეხედულებები და მათი კვალი, რომელიც ჩემს სისხლში მიედინება, ჩემი ისტორიის ანარეკლია.

ჩემი წინაპრების საგმირო საქმეების შესახებ მე ისტორიის მკვდარი და გაყვითლებული, მტვრიანი ფურცლებიდან კი არ ვკითხულობ, არამედ ჩემი გულიდან და ძარღვებიდან ვიგებ.

ჩემი ატილა, ჩემი ჩინგიზი, ეს გმირული სახეები, რომლებიც ჩემი ერის გმირულ დიდებას განასახიერებენ, ისტორიის გაყვითლებულ ფურცლებზე ჩნდებიან, რომელიც არაკეთილმოსურნეობითა და სიბილწითაა სავსე.

თავად გარემომ შეამკო ისინი სირცხვილითა და უღირსობით, თუმცა არაფრით არ ჩამოუვარდებიან ალექსანდრესა და იულიუს კეისარს.

¹²⁹ „Гитлер воспринимал Энвера-пашу в качестве примера” - интервью с Рольфом ХОСФЕЛЬДОМ. <http://www.aniv.ru/archive/18/gitler-vosprinimal-envera-pashu-v-kachestve-primera-intervju-s-rolfom-hosfeldom/>.

¹³⁰ Искандер Гилязов. Тюркизм: становление и развитие (характеристика основных этапов). Казанский государственный университет. Институт востоковедения. Факультет татарской филологии и истории. Казань. 2002. Стр. 11.

ჩემი გული უკეთესად იცნობს ოლუზ ხანსაც, რომელიც ისტორიისათვის ბნელ და შეუცნობელ სახედ რჩება. ჩემს გულში, ჩემს ძარღვებში ის ისევ ცოცხალია თავისი სიდიადით.

ოლუზ ხანი აღაფრთოვანებს ჩემს გულს, მხარს მიჭერს და საზეიმო განწყობას მმატებს: თურქთა სამშობლო არც თურქეთია და არც თურქესტანი, თურქთა სამშობლო მუდმივი და დიდებული ქვეყანა – თურანია¹³¹.

თავის ცნობილ წიგნში „პანთურქიზმის საფუძვლები“ ზია გოკალფი საკუთარი იდეალის განსახორციელებლად სამ საფეხურს გამოყოფს:

1. თურქიზმი თავად თურქეთში – ეს ნიშნავს არათურქი ელემენტების ასიმილაციას, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში – მათ მოშორებას; ამასთან ერთად – თურქული ენის გაწმენდას არაბული მინარევებისაგან და მის დაახლოებას თურანულ ფესვებთან, ასევე თურქული ეროვნული კულტურის შექმნას. ამავე დროს, თურქიზმი ანტირელიგიური იდეოლოგიაა, იგი ებრძვის ისლამს და თურქს „მექადან ალტაისკენ“ აბრუნებს;
2. მეორე საფეხურს წარმოადგენს ე.წ. ოლუზიანიზმი, ანუ ოლუზის შთამომავალთა მიერ დასახლებული ქვეყნების, მათ შორის, თურქეთის გაერთიანება რუსეთისა და ირანის აზერბაიჯანთან;
3. დაბოლოს, რაც შეეხება სხვა თურქული მოდემის ხალხებს (თათრები, ყირგიზები, ბაშკირები, იაკუტები, ალტაელი თურქები და ა.შ.), აქ გოკალფი უშვებს, რომ, მართალია, ეს ხალხები ისწრაფვიან საკუთარი კულტურის შექმნისათვის, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ისინიც უნდა შევიდნენ საერთო თურანულ ფედერაციაში.¹³²

საკითხის არსში მეტი სიცხადის შესატანად მცირე გეოგრაფიული და ისტორიული რაკურსი უნდა გაგვაკეთოთ. პირველი ტერმინ „თურქესტანს“ ეხება, მეორე კი ოსმალთა იმპერიაში თურქიზმის კონცეფციის გენეზისს.

ტერმინი „თურქესტანი“ ცენტრალური აზიის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის დასახელებაა, რომელიც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში იხმარებოდა. პირველად ტოპონიმი „თურქესტანი“ დაფიქსირებულია სოგდიანურ ენაზე 639 წელს შედგენილ დოკუმენტში, რომელიც 1969 წელს აღმოაჩინეს.¹³³ XIII საუკუნიდან მოყოლებული, ამ რეგიონის შემადგენლობაში შედიოდნენ დღევანდელი სახელმწიფოები: უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და ყაზახეთი, აგრეთვე ჩინეთის კუთვნილი სინცზიან-უიღურის ავტონომიური რაიონი, სამხრეთ ციმბირის თურქულენოვანი რეგიონები, ასევე ირანისა და ავღანეთის ჩრდილოეთი ნაწილი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თურქესტანი პირობითად იყოფოდა დასავლეთ (რუსულ), აღმოსავლეთ (ჩინურ) და სამხრეთ (ირანისა და ავღანეთის ჩრდილოეთი ნაწილი) თურქესტანად. დასავლეთ და აღმოსავლეთ თურქესტანში უმეტესად თურქულენოვანი ხალხები ცხოვრობდნენ, ხოლო სამხრეთში – ირანულენოვანი. 1920-იანი წლებიდან მოყოლებული, ტერმინი „თურქესტანი“ ნელ-ნელა გამოდის ხმარებიდან და მას ტერმინი „შუა აზია“ ცვლის. დღეისათვის კი ამ რეგიონის დასახელებად უკვე მკვიდრდება ტერმინი „ცენტრალური აზია“. შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმოდგენილ ამ ნაშრომში გამოყენებულ

¹³¹ Искандер Гилязов. Тюркизм: становление и развитие (характеристика основных этапов). Казанский государственный университет. Институт востоковедения. Факультет татарской филологии и истории. Казань. 2002. Стр. 13.

¹³² ИСТОКИ ПАНТУРАНИЗМА. "Введение" Андрея Николаевича Мандельштама к книге Зареванда "Турция и пантуранизм" (Париж, 1930). <http://www.tatar-history.narod.ru/panturanizm.htm>.

¹³³ Султанов Т. И. Чингиз-хан и Чингизиды. Судьба и власть /Турсун Икрамович Султанов. — М.: АСТ МОСКВА, 2007. — 446,[2]с. — (Историческая библиотека). — ISBN 5-17-035804-0 — С. 123. (Перевод согдийского документа на русский язык с лингвистическим анализом осуществлен иранистом В. А. Лившицем // Петербургское востоковедение. — СПб., 1994. — Вып. 6, стр. 693.)

ტერმინებს „შუა აზია“ და „ცენტრალური აზია“ ერთი და იგივე აზრობრივი დატვირთვა აქვს.

რაც შეეხება თურქიზმის გენეზისს, 1876 წელს ოსმალთა იმპერიაში კონსტიტუცია მიიღეს, რომლის მიხედვითაც გამოცხადდა ყველა მოქალაქის თანასწორობა ეროვნების, რასისა და აღმსარებლობის მიუხედავად. კონსტიტუციის საფუძველს „ოსმანიზმის“ იდეოლოგია წარმოადგენდა. ოსმანიზმის იდეოლოგიის მიხედვით, იმპერიის ყველა მოქალაქე ოსმანის მოდემის, სულთნისა და ერთიანი სახელმწიფოს იდეის ერთგული უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმპერიის არათურქი მოსახლეობისათვის ეს იდეა უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომ მის ნაცვლად ოფიციალურმა ხელისუფლებამ მალე რელიგიური ერთიანობის იდეა – ისლამიზმი წამოაყენა, რასაც სულთან აბდულ ჰამიდ II-ის მიერ მიღებული 1876 წლის კონსტიტუციის შეცვლა მოჰყვა შედეგად. მაგრამ ისლამიზმიც არ აღმოჩნდა იმპერიის ყველა ქვეშევრდომისათვის მისაღები და გამაერთიანებელი იდეოლოგია. იმპერიის ქრისტიანულმა მოსახლეობამ არ მიიღო ისლამიზმის იდეა. სწორედ კონტიტუციის აღდგენისა და, შესაბამისად, ოსმანიზმის აღდგენის მცდელობად შეგვიძლია განვიხილოთ „ახალგაზრდა თურქთა“ 1908 წლის რევოლუცია. მაშინ ოსმანიზმის იდეებით აღტკინებული რევოლუციის ახალგაზრდა ლიდერი, 26 წლის ენვერ ფაშა საზეიმოდ აცხადებდა:

„ამიერიდან ჩვენ ყველანი ძმები ვართ. ამიერიდან აღარ არსებობენ ბულგარელები, ბერძნები, რუმინელები, ებრაელები, მაჰმადიანები... ამ ერთიანი ლურჯი ცის ქვეშ ყველანი თანასწორნი ვართ. ჩვენ ვზეიმობთ, რომ ოსმალები ვართ...“¹³⁴ მაგრამ სულ რამდენიმე წელიწადში იმპერიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას თავისი იდეოლოგიური ნიშნულების გადალაგება მოუხდა. 1912-1913 წლების ბალკანეთის ომებმა, რომლის შედეგადაც იმპერიამ თავისი ევროპული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი დაკარგა და, განსაკუთრებით, I მსოფლიო ომის დაწყებამ, ნათლად აჩვენა, რომ ოსმალების იმპერიაში მცხოვრები ხალხებისათვის არც ოსმანიზმის და, მით უმეტეს, არც ისლამიზმის იდეოლოგია ნამდვილად აღარ წარმოადგენდნენ მომხიბლავ მოძღვრებებს. ამ მომენტიდან დაწყებული, საზოგადოებაში მწიფდება თურქიზმის იდეა, რომელსაც უნდა გაეძლიერებინა სახელმწიფო და გაეზარდა თურქთა ეროვნული თვითშეგნება.¹³⁵

პანიისლამიზმის იდეოლოგიის საპირისპიროდ, ზია გოკალფი სეკულარიზმის გარკვეული ელემენტების მომხრედ გამოდიოდა. იგი იმის აუცილებლობას ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო საერო და სასულიერო ხელისუფლების გაყოფა და თურქი ერის განვითარება ევროპული ცივილიზაციის მიღწევების საფუძველზე. ამ გზაზე წარმატების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად იგი თურქულენოვანი ხალხების ერთ სახელმწიფოში გაერთიანებას თვლიდა. გოკალფის იდეები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ოსმალთა იმპერიაში და მალე იგი „ახალგაზრდა თურქთა“ წრეშიც მიიღეს. განსაკუთრებით შოვინისტურად განწყობილმა წარმომადგენლებმა კი გოკალფის იდეები პანთურქისტულ დოქტრინაში განავითარეს, რომელიც მოითხოვდა სულთნის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ყველა თურქული მოდემისა და თურქულენოვანი ხალხის გაერთიანებას, ამასთანავე იმპერიის ყველა ეროვნული უმცირესობისა თუ დიასპორის იძულებით გათურქებას ან მათ ლიკვიდაციას.

ამ დოქტრინის ძლიერ მხარდამჭერებად სწორედ ოსმალთა იმპერიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ელიტა და მმართველი ტრიუმვირატის წევრები, ისმაილ

¹³⁴ Enver Pasha. Soyilent Communications. <http://www.nndb.com/people/705/000113366/>.

¹³⁵ Искандер Гилязов. Тюркизм: становление и развитие (характеристика основных этапов). Казанский государственный университет. Институт востоковедения. Факультет татарской филологии и истории. Казань. 2002. Стр. 8-9.

ენვერ ფაშა, მეჰმედ თალაათ ფაშა¹³⁶ და აჰმედ ჯემალ ფაშა გამოდიოდნენ. I მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, უკვე 1916 წლის მაისისათვის ენვერ ფაშა აცხადებდა: „ოსმალეთის იმპერია უნდა გაიწმინდოს სომხებისა და ლიბანელებისაგან. თუ ადრე მათ ხმლით ვანადგურებდით, ახლა მათ შიმშილით დაეხრცავთ“.¹³⁷

საერთო ჯამში, ზია გოკალფმა შემდეგი მოკლე ფრაზით შეძლო თურქი ხალხის თვითიდენტიფიცირება: „...მოკლედ რომ ვთქვათ, თურქი ხალხი მიეკუთვნება ხალხთა ურალურ-ალტაურ ჯგუფს, ისლამური საზოგადოების ერთობასა და დასავლურ საერთაშორისო თანამეგობრობას“.¹³⁸

მიუხედავად ზემოთქმულისა, თურქიზმის იდეოლოგია, როგორც ასეთი, სულაც არ წარმოადგენდა თურქული მოდემის ხალხების ერთიან უნიფიცირებულ მოძღვრებას. ოსმალეთის იმპერიის თურქული მოდემის ხალხებისაგან განსხვავებით, მაგალითად, რუსეთის თათრები და შუაზიელები თურქიზმში განსხვავებული ღირებულებების გაგებას დებდნენ. შუა აზიაში თურქიზმის იდეურ პროდუქტს ჩალათაიზმის მოძღვრება წარმოადგენდა. სწორედ ამ ფორმით მოხდა თურქული მემკვიდრეობის რეალიზაცია შუაზიურ მოსახლეობაში, რაც არცთუ ისე იშვიათად ეწინააღმდეგებოდა თურქიზმის სხვა მიმდინარეობებს.

რევოლუციამდელ პერიოდში პირველები, ვინც ჩალათაიზმამდე მივიდნენ, შუაზიელი ინტელექტუალი-მოდერნისტები, ანუ ჯადიდები¹³⁹ იყვნენ. რუსეთის მიერ შუა აზიის დაპყრობის შემდეგ ადგილობრივი ინტელიგენცია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათი მიწების გადარჩენა სამუდამო იმპერიული კაბალისგან მხოლოდ რადიკალური თვითდაზვეწისა და ეროვნული მოდერნიზაციის გზით იყო შესაძლებელი. უზბეკური წარმომავლობის ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი და აღმოსავლეთმცოდნე, დოქტორი

¹³⁶ მეჰმედ თალაათ ფაშა (Mehmed Talat Paşa) (1874-1921) – ოსმალეთის იმპერიის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, 1913-1917 წლებში იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი, 1917-1918 წლებში იმპერიის დიდი ვეზირი, იმპერიის მმართველი. „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ლიდერი. სამსახურებრივი კარიერა დაიწყო ტელეგრაფისტობით. მონაწილეობდა სულთან აბდულ ჰამიდ II-ის წინააღმდეგ დაწყებულ გამოსვლებში. ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების გამო დააპატიმრეს 1893 წელს. „ახალგაზრდა თურქთა“ 1908 წლის რევოლუციის შემდეგ აირჩიეს მეჯლისის დეპუტატად. 1909-1912 წლებში იყო იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი, 1911 წლიდან იტიპადისტთა პარტიის წევრი. 1912 წელს ინიშნება ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრად, მონაწილეობდა 1912-1913 წლების ბალკანეთის ომში. 1913 წლიდან იტიპადისტთა პარტიის ცეკას წევრი და იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრია, 1914 წლიდან – მმართველი ტრიუმვირატის წევრი. 1917 წლიდან დიდი ვეზირია. I მსოფლიო ომში მას მიეწერება ოსმალთა იმპერიაში ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ ჩატარებული სისხლიანი რეპრესიები. 1918 წლის 7 ოქტომბერს გადადგა იმპერიის დიდი ვეზირის თანამდებობიდან, ხოლო I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, იმავე წლის ბოლოს ენვერ და ჯემალ ფაშებთან ერთად ფარულად დატოვა კონსტანტინოპოლი და კონსპირაციულად ჩავიდა ბერლინში, სადაც ერთი გასროლით მოკლა სომეხმა დაშნაკმა 1921 წლის 15 მარტს. დაკრძალულია კონსტანტინოპოლის მემორიალურ სასაფლაოზე.

¹³⁷ Enver Pasha. Soyent Communications. <http://www.nndb.com/people/705/000113366/>.

¹³⁸ Gokalp Z. Turkish Nationalism and Western Civilization. Selected Essays of Ziya Gokalp. Transl- and ed. by N.Berkes. N.Y., 1959. S.71-74 (перевод М.С. Мейера) http://nisaal.narod.ru/History/Lectures/revoljucija_1908-1909_gg-v_turcii-politika_mladotu.pdf.

¹³⁹ ჯადიდიზმი – წარმოდგება არაბული სიტყვიდან جادو, რაც „განახლებას“ ნიშნავს. მუსლიმანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ინტელექტუალური მოძრაობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ვოლგისპირეთისა და ყირიმელ თათართა შორის გაჩნდა XIX საუკუნის ბოლოდან. ჯადიდიზმი მუსლიმან რეფორმატორთა იდეოლოგიას წარმოადგენდა, რომლის ამოცანაც თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისა და პროგრესის სიკეთეების პოპულარიზაცია იყო მუსლიმანურ სამყაროში. ჯადიდები ევროპული პოლიტიკური აზრის, განსაკუთრებით, კონსტიტუციური იდეის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათი აზრით, ისლამი არ ეწინააღმდეგებოდა პარლამენტარიზმის იდეას. ჯადიდები თვლიდნენ, რომ ისლამი არ კრძალავდა მუსლიმანთა ისტორიის კრიტიკულ შესწავლას. ამავე დროს, იმდენად, რამდენადაც ისლამმა ვერ შეძლო იდეალური კულტურის შექმნა, მუსლიმანები სულაც არ იყვნენ მოვალენი, თავიანთი სულიერი წინამძღოლების აბსოლუტური ჭეშმარიტების მატარებლებად ჩათვლილიყვნენ. ისინი სოციალური მოწყობის იმ პრინციპების ძიებაში იყვნენ, რომელიც უფრო მისაღები იქნებოდა ამა თუ იმ ისტორიული პერიოდისათვის. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ჯადიდები შეადგენდნენ პარტია „მუსლიმანთა კავშირის“ ბირთვს, რომლებიც კონსტიტუციური მონარქიის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საყოველთაო არჩევნებისა და სხვა დემოკრატიული იდეების გასატარებლად იბრძოდნენ.

ადიფ ხალიდი (Adip Khalid), კარლტონის უნივერსიტეტის პროფესორი, თავის ნაშრომში „Узбекистан: рождение нации“, წერს: „იმდროინდელი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი დისკურსიდან შუაზიელმა ინტელიგენციამ მტკიცედ დაასკვნა, რომ მსოფლიო სხვადასხვა ხალხებისაგან შედგება, რომლებიც მუდმივად იბრძვიან არსებობისა და წინსვლისათვის. შესაბამისად, სიცოცხლის უფლების მოპოვებისათვის ერმა, პირველ რიგში, თავისი ეროვნული თვითშეგნება უნდა გაზარდოს, შემდეგ კი განვითარებისა და საკუთარი თავის გადარჩენისათვის იბრძოდეს. ამ ლოგიკამ ჯადიდები იდენტობის საკითხის ახალ გაგებად მიიყვანა, რომელმაც თანდათან მოიპოვა პოპულარობა როგორც რუსეთის, ასევე ოსმალეთის იმპერიებში. ორივე იმპერიის მუსლიმანმა ინტელიგენციამ უცებ „აღმოაჩინა“ თავისი თურქული ფესვები, რაც მათ სიამაყით მიიღეს. ეს ფენომენი თურქიზმის აღმავლობად უნდა ჩავთვალოთ, რამაც საგრძნობლად გახლიჩა მუსლიმანური ელიტის წარმოდგენები საზოგადოების შესახებ. ეთნიკურ წარმომავლობაზე გაკეთებული აქცენტები, რომლის უკანაც იდგა ახალი ეთნოგრაფიული წარმოდგენები, თურქოლოგიის მიღწევები და ლინგვისტიკა, თავისი არსით დამანგრეველი აღმოჩნდა კონფესიური და დინასტიური პრინციპებისათვის, რომლის მიხედვითაც ყალიბდებოდა აქამდე შუაზიური საზოგადოების ეროვნული იდენტობის საკითხები. ჩალათაიზმში, ისევე როგორც „კლასიკურ“ თურქიზმში, ისლამმა და რელიგიური საკითხმა უკანა პლანზე გადაიწია“.¹⁴⁰

ჩალათაიზმის კონცეფციის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდამჭერი ცნობილი უზბეკი ისტორიკოსი და თანამედროვე უზბეკური ლიტერატურის ფუძემდებელი აბდურაუფ ფიტრატი (1886-1938) (ნამდვილი გვარ-სახელი აბდულ რაუფ აბდურაჰიმ ოლლი) გახლდათ. ფიტრატი მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო. ფიტრატმა საწყისი განათლება ბუხარაში მიიღო, ოთხი წლის განმავლობაში (1909-1913) კი კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტში სწავლობდა, სადაც „ახალგაზრდა თურქთა“ იდეოლოგიასა და თურქიზმის იდეებს ეზიარა. აქვე ხდება იგი „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი, მალე კი პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრიც. 1913 წელს ფიტრატი ბუხარაში ბრუნდება და სათავეში უდგება ჯადიდების მემარცხენე, ყველაზე უფრო პროგრესულ ფრთას. ამავე დროს ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო, პუბლიცისტურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ფაიზულა ხოჯაევთან ერთად სათავეში უდგება „ახალგაზრდა ბუხარელთა“ პარტიას და „ახალგაზრდა თურქთა“ პროგრამის მიხედვით ამ პარტიის პროგრამას აყალიბებს. თავის ნაწარმოებებში იგი არაერთხელ აღნიშნავდა „დიდი თემურის“ – თემურ ლენგის ფიგურის მნიშვნელობას შუაზიელთა ეროვნული იდენტობისათვის. ფაქტია, რომ აბდურაუფ ფიტრატის ნაწარმოებებისა და სწავლებების შედეგად დიდი დამპყრობლისა და თემურიდების დინასტიის ფუძემდებლიდან, მონღოლთა ბარლასის ტომიდან გამოსული თემურ ლენგი მალე შუაზიელი თურქული წარმომავლობის ხალხების მამამთავრისა და დამფუძნებლის ინტერპრეტაციად იქცა.

XIX საუკუნის ბოლოდან ტაშკენტის სიმბოლურ ცენტრს ერთი დაბურული პარკი წარმოადგენდა, რომელიც დღეს მავერანაჰრის¹⁴¹, იგივე ტრანსოკსიანის ამირას –

¹⁴⁰ Адип Халид. Узбекистан: рождение нации. Новое Литературное Обозрение. Неприкосновенный запас. №78 (4/2011). <http://www.nlobooks.ru/node/1127>.

¹⁴¹ მავერანაჰრი, იგივე ტრანსოკსიანა – ისტორიული ოლქი ცენტრალურ აზიაში. ეს დასახელება არაბთა მიერ VII-VIII საუკუნეების დაპყრობების ხანაში ჩნდება და თავდაპირველად მდინარე ამუდარიის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ოლქებს აღნიშნავდა. მოგვიანებით ამ ტერიტორიით ამუდარიასა და სირდარიას შორის მდებარე ტერიტორიებს მოიხსენიებდნენ. შეესაბამებოდა სოვდინანეს ტერიტორიებს ფერღანისა და ჰამირის გამოკლებით. მავერანაჰრის ტერიტორიები მოიცავდნენ დღევანდელი უზბეკეთის ნაწილს, დასავლეთ ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს, აღმოსავლეთ თურქმენეთსა და ყაზახეთის სამხრეთ რეგიონებს. მავერანაჰრი აქიმენიდების სახელმწიფოს ერთ-ერთ სატრაპოს წარმოადგენდა. ტერიტორია „ტრანსოკსიანა“ კი, ძვ. წ. ადრიცხვის IV საუკუნიდან, ალექსანდრე მაკედონ-

თემურ ლენგის სახელს ატარებს, რომელმაც ყოფილი ჩალათაის ულუსის სახელმწიფოს ადგილას, XIV საუკუნეში უზარმაზარი შუააზიური იმპერია შექმნა დედაქალაქით სამარყანდი. თემურის სამფლობელოები გობიდან მარმარილოს ზღვამდე, ირტიშიდან განგამდე იყო გადაჭიმული. ოდესღაც ამ პარკში თურქესტანის პირველი გენერალ-გუბერნატორის, კონსტანტინ კაუფმანის (1818-1882) ძეგლი იდგა, შემდეგ კი, კარლ მარქსის. ამჟამად იქ თემურ ლენგის ცხენზე ამხედრებული ფიგურა დგას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თემურ ლენგმა ერის მამის სტატუსი მიიღო. მაგრამ ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ უკვე 1500 წლისათვის თემურ ლენგის შთამომავლები და მიმდევრები ტრანსოკსიანიდან მომთაბარე უზბეკურმა ტომებმა განდევნეს, რომლებიც ამ მიწებზე XIX საუკუნემდე, ე.ი. რუსეთის იმპერიის მიერ შუა აზიის დაპყრობამდე ბატონობდნენ, თუმცა დღეისათვის თემურ ლენგი უზბეკი ერის მამამთავრადაცაა აღიარებული. ფაქტი ისაა, რომ თემურისდროინდელი თურანი აზიაში ისლამის სიძლიერის უკანასკნელ გამოვლინებას წარმოადგენდა.¹⁴²

ახლა რაც შეეხება ცნებებს „თურანი“ და „თურანიზმის“ იდეოლოგია.

სიტყვა „თურანი“ – ძველი ირანული ტერმინია, რომელიც, როგორც წესი, უპირისპირდება ტერმინ „ირანს“ (თურანი – ირანი, თურანი vs. თურანი). ამ სიტყვით აღინიშნებოდა ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მომთაბარე თურქული ტომებით დასახლებული უკიდევანო ქვეყანა. მაღალი კულტურის მატარებელი ირანისათვის ეს ქვეყანა ტრადიციულად მტრულ, ბნელ, ველურ და ბარბაროსულ სამყაროს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ირანულ კულტურაში სიტყვა „თურანს“ აშკარად ნეგატიური დატვირთვა ჰქონდა: ასეთი მნიშვნელობითაა ნახმარი იგი, მაგალითად, აბულკასიმ ფირდოუსის ცნობილ პოემაში – „შაჰ-ნამე“. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ისტორიაში, მოგვიანებით ეს ტერმინი გაგებული იყო მეცნიერებისა და თავად თურქების მიერ როგორც თურქული და უზგურულ-ფინური მოდგმის ხალხების განზოგადებული დასახელება.

ფირდოუსის ნაწარმოებთა გეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფირდოუსთან თურანი წარმოადგენდა დღევანდელი შუა აზიის ტერიტორიებს – თურქესტანს.¹⁴³ უფრო ფართო გაგებით, „თურანის“ უზარმაზარი სივრცე, რომელიც გრძელდით მოიცავდა ირანიდან ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს, ხოლო განედით – კავკასიიდან საიანამდე არეალს, განიხილება, როგორც „თურანული მოდგმის ხალხების“ წინარე სამშობლო, რომელსაც მიეკუთვნება ურალურ-ალტაური ენის ყველა ეთნოსი. ამასთან ერთად, თურქული სამყარო განიხილება, როგორც მთავარი ღერძი ამ უკიდევანო „თურანისა“. შესაბამისად, პანთურქიზმი განიხილება როგორც „თურანიზმის“, ამ ძალიან ფართო და ამორფული ცნების უფრო კონცენტრირებული გაგება. სწორედ თურანიდან გამოვიდნენ თავის დროზე სამხედრო-პოლიტიკურ არენაზე ატილას, ალფ არსლანის, ჯალალ ად დინის, ჩინგიზ ყაენის, ერთოდრულის, თემურ ლენგისა და ალა მაჰმად ხან ყაჯარის ურდოები, რომლებმაც თავის დროზე ირანი, რუსეთი, ამიერკავკასია, ანატოლია, მთელი ახლო აღმოსავლეთი და აღმოსავლეთ

ნელის აღმოსავლური ლაშქრობების ეპოქიდან მკვიდრდება. ამ მომენტიდან დაწყებული ტრანსოკსიანა ელინისტური კულტურის გავრცელების უკიდურეს აღმოსავლეთ რეგიონს წარმოადგენდა აზიაში არაბული ექსპანსიის ეპოქამდე. ეს მიწები მორიგეობით შედიოდნენ სელეუკიდების სახელმწიფოს, ბაქტრიის, პართიისა და სასანიდური ირანის შემადგენლობებში, სადაც ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნის ბოლოდან მომთაბარე თურქული ტომები ჰეპტალები (თეთრი ჰუნები) გაბატონდნენ. VII საუკუნიდან რეგიონს არაბები იპყრობენ. 1219 წელს კი მას ჩინგიზ ყაენი ეუფლება. სიკვდილის წინ, 1227 წელს, აღნიშნული მიწები მან თავის მეორე ძეს, ჩალათაის გადასცა, რომელმაც აქ თავისი სახელმწიფო – ჩალათაის ულუსი დააარსა. 1370 წელს ამ ტერიტორიებს ამირა თემურ ლენგი იპყრობს.

¹⁴² История Ирана с древнейших времен до конца XVIII века. — Л.: Издательство Ленинградского университета, 1958. — 390 с.

¹⁴³ В. Шуховцов. Туран. (к вопросу о локализации и содержании топонима). http://www.tyurk.ru/file5_6.shtml.

ევროპა წააღიარეს. ამ ტომების შთამომავლები დღეს მთელს აზიასა და ევროპის ნაწილში არიან გაბნეულნი.

თურქიზმის შემდგომი განვითარების სტადიას შეიძლება მივაკუთვნოთ „მითი დიდი თურანის შესახებ“, ან უბრალოდ – თურანიზმი. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, თურანიზმი (პანთურანიზმი) – იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობაა, რომლის მთავარ ამოცანასაც თურანული ხალხების გაერთიანება წარმოადგენს. „ცნება „პანთურანიზმი“ უფრო ვრცელია, ვიდრე „პანთურქიზმი“, იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ორიენტირებულია მხოლოდ თურქულ ეთნოსზე, მაშინ როდესაც პირველი – „პანთურანიზმი“ პოლიტიკური ინტეგრაციის სუბიექტებად ყველა თურანულ ხალხს განიხილავს“¹⁴⁴ – აღნიშნავს რუსი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ს. ვასილიევა. ძალიან მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვათ, „დიდი თურანი – თურქთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის გეოპოლიტიკური იდეა“¹⁴⁵ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პანთურქიზმისა და პანთურანიზმის ცნებები ერთმანეთისაგან მკვეთრად არ არის გამიჯნული. თურანიზმს ან პანთურანიზმს სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც წესი, უწოდებენ თურქულენოვანი ხალხების პოლიტიკური, კულტურული და ეთნიკური ერთიანობის იდეას, სადაც ჩართული არიან აგრეთვე უნგრელები, ესტონელები და ფინელები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უნგრელ-ფინელებში ამ იდეებმა ვერ ჰპოვეს მხარდაჭერა. მიუხედავად ზემოთ მოყვანილი განსხვავებებისა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პანთურქიზმსა და პანთურანიზმს შორის მკვეთრი გამიჯვნა თვით ამ საკითხებით დაინტერესებულ სამეცნიერო წრეებშიც კი არ არის. ასე მაგალითად, თუ ცნობილ ამერიკელ აღმოსავლეთმცოდნესა და პოლიტოლოგს, ჩარლზ ჰოსტლერს¹⁴⁶ (Charles Warren Hostler) „პანთურქიზმის“ ცნების ქვეშ თურქულენოვანი ხალხების მოძრაობა ესმის, თურქი მკვლევარი, ზეჰრა ონდერი (Zehra Onder), ჰოსტლერის ციტირებისას, ტერმინ „პანთურქიზმს“ „პანთურანიზმით“ ცვლის.¹⁴⁷ ზუსტად ასე განსხვავებულად აღიქმებოდა მეცნიერთა და პოლიტიკოსთა მიერ ეს ტერმინები ათწლეულების განმავლობაში. ამავე დროს, თვით თურქული ერთიანობის იდეის მომხრენიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ხშირად ხმარობდნენ ამ ტერმინებს, როგორც სინონიმებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, პანთურანიზმის კონცეფცია თურქულენოვანი და თურქული წარმომავლობის ხალხების ეროვნული და სახელმწიფოებრივი გაერთიანების შექმნას ისახავდა მიზნად, რომელიც ბალკანეთიდან ლამის წყნარ ოკეანემდე იქნებოდა გადაჭიმული. ამ ზესახელმწიფოს საზღვრებს უნდა მოეცვა ყველა თურქული წარმომავლობისა და თურქულენოვანი ხალხების განსახლების არეალი, მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა და მდებარეობისა. ამ თვალსაზრისით, იგი თავიდანვე დაუპირისპირდა რუსული თვითმპყრობელობის პანსლავისტურ და იმპერიულ იდეოლოგიას. ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც XX საუკუნის დასაწყისიდან „დიდი თურანის“ იდეებმა ოსმალთა იმპერიაში შეაღწია. აქ მას მეტად ნოციერი ნიადაგი დახვდა შემდგომი განვითარებისათვის. განსაკუთრებით დიდი ენთუ-

¹⁴⁴ Васильева С. А. Роль идеологии пантюркизма в политических процессах республиканской Турции : Дисс. канд. ист. наук. Специальность 23.00.02 – Политические институты, процессы и технологии. — 2012.

¹⁴⁵ Дергачев В.А. Геополитика. Русская геополитическая энциклопедия. 2010 – 2014. <http://dergachev.ru/Russian-encyclopaedia/03/38.html>.

¹⁴⁶ ჩარლზ უორენ ჰოსტლერი (Charles Warren Hostler) – პოლიტოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. აშშ-ის არმიის გადამღარი პოლკოვნიკი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის, ბეირუთის ამერიკული უნივერსიტეტის, კოლუმბიის კოლეჯისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

¹⁴⁷ Hostler, Charles Warren. Turken und Sowjets. Die historische Lage und die politische Bedeutung der Turken und der Turkvolker in der heutigen Welt. Frankfurt/ Main; Berlin, 1960. S. 143; Onder, Zehra. Die turkische Au?enpolitik im Zweiten Weltkrieg. Munchen, 1977. S. 142.

ზიაზმით აიტაცეს იგი ოსმალთა იმპერიის პროგერმანულად განწყობილი ოფიცრებისა და ინტელიგენციის წრეში.

ამერიკელი მეცნიერის, პოლიტოლოგისა და ისტორიკოსის, ანთროპოლოგისა და ევგენისტის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, თეოდორ შტოდარდის (Theodore Lothrop Stoddard) განმარტებით, „თურანიზმი იყო თურქული შესახელმწიფოს შექმნის იდეოლოგია, სახელმწიფოსი, რომელიც ბალკანეთიდან ჩინეთამდე უნდა გადაჭიმულიყო. ეს უნდა ყოფილიყო რასობრივი ერთიანობის პრინციპზე დამყარებული „შესახელმწიფო“, რომელიც თავის საზღვრებში მოიცავდა ოტომან (ოსმალთა) თურქებს, ცენტრალური აზიისა და სპარსეთის თურქმანულ ტომებს, რუსეთისა და ამიერკავკასიის თათრებს, უნგრეთის მაღიარებს, ფინეთისა და ბალტიისპირეთის ფინელებს, ციმბირის აბორიგენებს, ძველ მონღოლებს, მანჯურიელებს, კორეელებსა და იაპონელებს.¹⁴⁸ (Sic!)

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პანთურანიზტებმა დიდი ენერჯითა და შემართებით დაიწყეს მუშაობა მოსაზღვრე და მეზობელი ტერიტორიების „დიდ თურანში“ ჩართვაზე. ეს განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებს შეეხებოდათ, სადაც თურანული მოდემის დინასტიები იყვნენ გამეფებულნი, მაგალითად, ყაჯართა ირანი, ანდა ავღანეთი.

„ჩვენ არ ვსაუბრობთ ენვერ ფაშასა და მის მსგავსთა შესახებ, – აღნიშნავს ინკოგნიტო ავტორი, ზარეევანდი¹⁴⁹, თავის ნაშრომში „Турция и пантуранизм“, – რადგან ენვერის პანთურანიზმი, მით უმეტეს, საწყის ეტაპზე, პანისლამისტურ ხასიათს ატარებდა“. ზარეევანდის აზრით, ენვერს არაბეთის ისლამური იმპერიის შექმნა ჰქონდა მიზნად დასახული, რომელიც თურქეთის ვასალი უნდა ყოფილიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას „თურანისათვის ყურანის გამოყენება“ სურდა.¹⁵⁰ აქ გარკვეული კომენტარი უნდა გავაკეთოთ ზარეევანდის დასკვნასთან დაკავშირებით „საწყის ეტაპზე ენვერ ფაშას პანთურანიზმის პანისლამისტური ხასიათის“ შესახებ. ზარეევანდი ამკარად ცდება. ენვერ ფაშა „დიდი თურანის“ შექმნას პანისლამისტური იდეოლოგიით არა საწყის, არამედ თავისი მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე აპირებდა, რაც შესაბამის თავში უფრო დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი.

¹⁴⁸ Stoddard, T. Lothrop. "Pan-Turanism". The American Political Science Review. Vol. 11, No. 1. (1917): 16. 1.

¹⁴⁹ ზარეევანდი – 1930 წელს პარიზში რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის ინკოგნიტო, სავარაუდოდ, სომეხი ავტორი. წიგნის სათაურია – Турция и Пантуранизм. Введение А. Н. Мандельштама (Члена института Международного Права). ავტორის შესახებ რელაქციის შენიშვნა – Сама личность Зареванда осталась для редакции неизвестной. К сожалению, в самой монографии мы не находим сведения о ее авторе. Ничего не удалось выяснить о Зареванде со слов тех, кто передал этот материал редакции. Однако знакомство с текстом позволяет предположить, что автор - ориенталист, бывший поданный Российской Империи и, вероятно, армянин по национальности. Скорее всего автор после Октябрьской Революции (1917 г.) года вместе с большой эмигрантской волной покинул большевистскую Россию и поселился где-нибудь в Западной Европе, возможно, во Франции. На все это свидетельствует в тексте монографии большое количество пассажей направленных как в защиту армянского сепаратизма в Османской Турции, так и против большевистской России.

¹⁵⁰ Али Албанви. Обыкновенный пантюркизм. Полная версия. Фонд «Лезгины». <http://www.proza.ru/2011/11/04/41>.

§2.2. „თურანიზმი“, როგორც პოლიტიზირებული ფენომენი

თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ თურანიზმის იდეოლოგიის შემდგომი განვითარება-ამუშავება, ისევე როგორც თავად ამ ცნების წარმოშობა, არა თურქულ და თურქულენოვან, არამედ დასავლეთევროპულ ძალებს და, პირველ რიგში, გერმანულ იმპერიალისტებს მიეწერებათ. ეს გასაგებიცაა – XIX საუკუნის ბოლოდან მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ძალთა ბალანსი ირღვევა. დიდ ავანსცენაზე ახალი ძალები და ახალი პოლიტიკური მოთამაშეები გამოდიან. აქ პირველ რიგში იმპერიალისტებზე, 1871 წელს შექმნილ ახალგაზრდა გერმანულ სახელმწიფოსა და II რაიხზე საუბარი, იმ იმპერიაზე, რომელიც ახლა იკრებდა ძალებს და დიდი ნახტომისათვის ემზადებოდა. თურქებზე მანიპულაციების გზით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, „დიდი თამაშის“ პერიოდში, ეს ძალები დაინტერესებულნი იყვნენ ბრიტანული ფაქტორის დასუსტებას, პანსლავიზმის ნეიტრალიზაციასა და ცარიული რუსეთის იმპერიის ზეგავლენის ჩახშობაში. საერთო ჯამში, XIX საუკუნის მიწურულიდან გერმანიის ახალგაზრდა იმპერიის სტრატეგიულ მიზანს ანტანტის ქვეყნებთან ოსმალთა იმპერიის დაპირისპირება წარმოადგენდა. აქ, პირველ ყოვლისა, დიდ ბრიტანეთსა და რუსეთის იმპერიებზეა საუბარი. XX საუკუნის დასაწყისიდან კი ამ პროცესებმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. ბოლოს და ბოლოს, მრავალმხრივი და დაჟინებული მუშაობის შედეგად გერმანელებმა მიზანს მიაღწიეს. ოსმალთა იმპერიამ I მსოფლიო ომში გერმანიის მხარე დაიკავა, იგი ცენტრალურ სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკში – „ოთხთა კავშირში“ გაერთიანდა.

ოსმალთა იმპერიაში პანთურქისტული იდეოლოგიის პოპულარიზაცია-გავრცელებისათვის 1911 წლის ივნისში იუსუფ აქჩურამმ ორგანიზაცია „Türk Ocağı“ (თურქული კერა) დააარსა, რომლის ბეჭდვითი ორგანოც ჟურნალი „Türk Yurdu“ (თურქთა სამშობლო) გახდა.¹⁵¹ ბალკანური ომების დაწყების წინ სწორედ ეს ორგანიზაცია იქცა ოსმალთა იმპერიაში ნაციონალური იდეების პროპაგანდის გაჩაღების ძირითად წყაროდ. 1914 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ზია გოკალფი წერდა: „როდესაც ერი უბედურებას ან სერიოზულ წინააღმდეგობას გადააწყდება, ინდივიდუალობა ქრება და იგი საზოგადოებაში იხსნება. ასეთ დროს თითოეულის სულში მხოლოდ ნაციონალური ერთიანობის იდეა ცოცხლობს. ნაციონალური იდეების გარეშე ერი ქრება, ნაციონალური იდეების მატარებელი ერი კი ყოველთვის აღორძინდება, მაშინაც კი, თუ იგი პოლიტიკურად უკვე მკვდარია“.¹⁵²

„თურქული კერის“ ოფიციალურ მიზანს წარმოადგენდა „თურქეთის მოქალაქეთა ეროვნული განათლებისათვის მუშაობა, მათი ინტელექტუალური, სოციალური და ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლება, თურქული ენისა და ერის სრულყოფა“.¹⁵³ ამ ამოცანის შესასრულებლად „თურქული კერა“ მთელს ქვეყანაში ახალი ფილიალების გახსნას იწყებს. მალე ასეთი ფილიალები ოსმალთა იმპერიის ყველა ქალაქში, დასახლებასა და დიდ სოფლებში, აგრეთვე სკოლებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ჩნდება. თუ 1914 წელს ოსმალთა იმპერიაში 16 „კერა“ არსებობდა, სადაც 3000 წევრი იყო გაერთიანებული, უკვე 1920 წლისათვის მათმა რაოდენობამ 30 ათასს მიაღწია. ამ „კერების“ მუშაობა მოიცავდა საგანმანათლებლო მუშაობის გაშლას,

¹⁵¹ «Очаги» являются проводниками идеи неопантюркизма...» http://www.archive.gov.tatarstan.ru/magazine /go/anonymous/main/? path=mg:/numbers/1996_3_4/03/03_2/.

¹⁵² <http://propaganda.history.ru/1931/Osmanskaya-imperiya-natsionalnaya-propaganda-v-Pervoy-mirovoy-voynе/>.

¹⁵³ Landau J. Pan-Turkism: from Irredentism to Cooperation. London, 1995. Pg. 41-42.

ლიტერატურული საღამოების გამართვას, ლექციების კითხვას, წიგნებისა და სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემასა და მრავალ სხვა ღონისძიებას. ამრიგად, „თურქული კერები“ იმ ახალ ინსტიტუტებად იქცნენ, რომლებიც უბრალო თურქი ხალხის იდეოლოგიურ ინტერპელაციას უწყობდნენ ხელს. ზუსტად ამ „კერების“ მეშვეობით გააცნობიერეს პირველად თურქებმა თურქული ერთიანობის იდეები. ანუ, პანთურქიზმის პრინციპების აღიარებით თურქი ხალხი თავადვე იქცა ამ იდეოლოგიის მატარებელ დამოუკიდებელ სუბიექტებად.

თავდაპირველად პანთურქიზმი მილიტარისტულად განწყობილი ახალგაზრდული დაჯგუფებების მთავარ იდეოლოგიას წარმოადგენდა. ასე წარმოიქმნა ორგანიზაცია „Türk Gücü“ (თურქთა ძალა), რომელიც ახალგაზრდობის ცხოვრების ჯანსაღ წესსა და ფიზიკურ ძალას უწევდა პროპაგანდას. ჟურნალ „Türk Yurdu“-ში სტატია დაიბეჭდა, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ჩვენმა ხალხმა უნდა იცოცხლოს! ამისთვის კი თურქებს ძალა სჭირდებათ. სიცოცხლე – ბრძოლაა, ფიზიკური ძალა კი – თვით-გადარჩენის საფუძველი“.¹⁵⁴

„თურქული კერების“ გარდა, სხვა პანთურქისტული ორგანიზაციებიც შეიქმნა: თურქული სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის ფუნქციებს ასრულებდა, მიზნად კი თურქული საზოგადოების განათლებას ისახავდა; „თურქთა სამშობლო“ – სტუდენტური ორგანიზაცია, რომელსაც თავისი ფილიალები ჰქონდა შვეიცარიაში, გერმანიაში და საფრანგეთში. მოგვიანებით იგი „თურქულ კერას“ შეუერთდა. ამ ორგანიზაციების წევრები იყვნენ პანთურქიზმის ცნობილი წარმომადგენლები, კერძოდ, იუსუფ აქჩურა, აჰმედ ალავეი, ომარ სეიფუტდინი, მეჰმედ ფუატ კეპრულუ, ალი ჰუსეინ-ზადე, მეჰმედ ემინ იურდაკუკლი, ზია გოკალფი და სხვები. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციებს უფრო ელიტარული კლუბების ხასიათი ჰქონდათ და თავიანთ წრეებში უბრალო ხალხს ძნელად იღებდნენ, ისე როგორც ეს „თურქული კერების“ პრაქტიკაში იყო მიღებული.¹⁵⁵

პანთურქიზმის განვითარებისა და გავრცელების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს მისი პოპულარობა წარმოადგენდა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში. ამავე დროს, პანთურქიზმის ოსმალთა იმპერიაში შეღწევით აქტიური მუშაობა დაიწყო მისი მომხრეების მოსაზიდად. სწორედ ამიტომაც კეთდებოდა აქცენტები ახალგაზრდობაზე, რადგან პანთურქიზმის იდეოლოგიების უმეტესობა (ა. ჰუსეინ-ზადე, ი. აქჩურა და სხვ.) ოსმალეთის იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდნენ მასწავლებლებად, სადაც თურქ ახალგაზრდობას პანთურქისტული სულისკვეთებით ზრდიდნენ.

თავის ზემოხსნებულ ნაშრომში „Турция и пантуранизм“ ზარევიანი აღნიშნავს, რომ „თურქულმა კერებმა“ განსაკუთრებით გაძლიერებული მუშაობა ღვთისმეტყველური ინსტიტუტების – „სოფტების“ სტუდენტებს შორის გაშალეს. ამ პროპაგანდის გამოისობით „სოფტები“, რომლებიც აბლულ ჰამიდ II-ის მმართველობის ეპოქაში პანისლამიზმის თავგამოდებულ დამცველებად გვევლინებოდნენ, ნელ-ნელა პანთურანიზმის იდეოლოგიისაკენ გადაიხარნენ, რომელმაც ამავე „სოფტების“ მეშვეობით გააძლიერა გავლენა სასულიერო მოღვაწეებზე, შემდეგ კი – უბრალო ხალხზეც.¹⁵⁶ ამ წიგნის რედაქტორი, ცნობილი რუსი მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი და დიპლომატი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ანდრეი მანდელშტამია¹⁵⁷, რომლის ხანგრძლივმა დიპლომატიურმა მოღვაწეობამ ოსმალთა

¹⁵⁴ <http://propagandahistory.ru/1931/Osmanskaya-imperiya-natsionalnaya-propaganda-v-Pervoy-mirovoy-voynе/>.

¹⁵⁵ Васильева Светлана Анатольевна. Челябинский государственный университет. Влияние Пантуркизма на идеологический процесс в Турецкой республике. http://www.teoria-practica.ru /rus/files/arhiv_zhurnala/2012/3/politika/vasilieva.pdf.

¹⁵⁶ Налбандян З. Турция и пантуранизм / Зареванд; введ. А.Н. Мандельштама. Ереван, 1991. Стр. 76.

¹⁵⁷ ანდრეი ნიკოლაევიჩი მანდელშტამი (1869-1949) – რუსი ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე, იურისტი და სამართალმცოდნე, ოსმალთა იმპერიის სახელმწიფო სამართლის სპეციალისტი, საერთაშორისო ურთიერთობების

იმპერიაში და მისმა აკადემიურმა ცენტრმა მნიშვნელოვნად განაპირობა აღნიშნული წიგნის დიდი წარმატება.

პანთურქიზმის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა მისი იდეოლოგიების პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ. პანთურქიზმის გენეზისის პირველი ეტაპი ისმაილ გასპირელის სახელსა და მის მიერ გამოცემულ ჟურნალ „თარჯიმანს“ უკავშირდება. თავდაპირველად (1883წ) „თარჯიმანი“ 300-იანი ტირაჟით გამოდიოდა, 1903 წლის ოქტომბრიდან – კვირაში ორჯერ, ხოლო 1912 წლიდან – ყოველდღიურად. ცალკეულ შემთხვევებში კონსტანტინოპოლში გამომაგალი ჟურნალის ტირაჟი 12-15 ათასს აღწევდა.¹⁵⁸ იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იაკობ ლანდაუს (Jakob Landau) ცნობით, 1900 წლისათვის ჟურნალ „თარჯიმანის“ ტირაჟმა 6 ათასი ეგზემპლარი შეადგინა.¹⁵⁹

ამ მრავალმხრივი და ინტენსიური მუშაობის შედეგად, I მსოფლიო ომის წინ პანთურქიზმის იდეოლოგიამ მკვეთრად განსაზღვრული პოლიტიკური ელფერი შეიძინა. „დიდი თურანის“ შექმნის დასახული პროექტი კი I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914 წლის შემოდგომაზე გააჟღერეს გენერალმა ენვერ ფაშამ და იტიჰადისტთა სხვა ლიდერებმა, როდესაც აღმოსავლეთ ანატოლიაში გაშლილი ოსმალთა მე-3 არმია რუსეთის კავკასიის არმიის წინააღმდეგ შეტევითი ოპერაციის დასაწყებად ემზადებოდა: „ჩვენი ჩართვა მსოფლიო ომში ადასტურებს ნაციონალური იდეალებისადმი ჩვენს ერთგულებას. ჩვენი ერისა და ხალხის იდეალი მოითხოვს მოსკოვიტი მტრების განადგურებას, რათა ჩვენი იმპერიისათვის მოვიპოვოთ ბუნებრივი საზღვრები, რომელშიც ჩვენი რასის ყველა შტო იქნება ჩართული“, – აცხადებდა მაშინ იმპერიის სამხედრო მინისტრი.¹⁶⁰

ნათელია, რომ „დიდი თურანის“ სახელმწიფო-პოლიტიკური პროექტის რეალიზაცია კავკასიიდან უნდა დაწყებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ კავკასია არანაირად არ განეკუთვნებოდა თურქულ, ან თუნდაც უპირატესად თურქულ რეგიონს, თავისი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო მან თავიდანვე მიიპყრო პანთურქისტთა და პირადად ენვერ ფაშას ყურადღება. ამ თვალსაზრისით, კავკასია „დიდი თურანის“ გეგმის ხერხემალს წარმოადგენდა, რომელსაც შემაერთებელი ხიდის როლი უნდა ეთამაშა ანატოლიასა და ცენტრალურ აზიას შორის. აქედან გამომდინარე, I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „კავკასიის განთავისუფლებისათვის“ შემუშავებული სამხედრო ოპერაციების გეგმების შედგენა ოსმალთა იმპერიის გენშტაბისა და გერმანული სარდლობის საქმიანობის პრიორიტეტებად დაისახა.¹⁶¹ მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ამ მომენტისათვის კავკასიაში გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიის სარდალი, გენერალი აჰმედ

დოქტორი, პეტროგრადის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი, დიპლომატი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი. 1898 წლიდან ინიშნება კონსტანტინოპოლში რუსეთის საელჩოს მთავარ დრაგომანად. 1903 წლიდან უკსიუბესა და მონასტირში რუსეთის საკონსულოების ხელმძღვანელია. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ემიგრაციაშია, ცხოვრობდა ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ – პარიზში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1949 წელს. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ 70 წლის განმავლობაში იგი მივიწყებული იყო, მისი სახელი კი – ამოშლილი ყველა სახის საცნობარო ლიტერატურიდან.

¹⁵⁸ İsmail Bey Gaspıralı Belgeseli [Elektronik kaynak]. Erişim modu. URL: <http://www.ismailgaspırali.org/ana.htm> (tedavinin tarihi: 18.05.2010).

¹⁵⁹ Васильева Светлана Анатольевна. Челябинский государственный университет. Влияние Пантуркизма на идеологический процесс в Турецкой республике. http://www.teoria-practica.ru/rus/files/arhiv_zhurnala/2012/3/politika/vasilieva.pdf.

¹⁶⁰ Caroline Cox and John Eibner. Ethnic Cleansing in Progress: War in Nagorno Karabakh. The Pincers of Pan Turkism. (Walker, 1980, p. 198). <http://sumgait.info/caroline-cox/ethnic-cleansing-in-progress/pincers-of-panturkism.htm>.

¹⁶¹ Георгий Чочиев. Кавказская ориентация в политической деятельности представителей северокавказской диаспоры в Турции в период Первой мировой войны. © Бюллетень ВИУ №15 2005 г. <http://www.aheku.org/articles/russian/hist/3645>.

იხეთ ფაშა¹⁶² გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან, სარდლობა კი უშუალოდ იმპერიის სამხედრო მინისტრმა, ისმაილ ენვერ ფაშამ ჩაიბარა.

მალე ამ იდეის არსებობის შესახებ გერმანელი სამხედროებისთვისაც გახდა ცნობილი. მოგვიანებით, გენერალი ოტო ლიმან ფონ სანდერსი¹⁶³ (Otto Liman von Sanders), გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი ოსმალეთის იმპერიაში, ოსმალეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და მთავარი სამხედრო ინსპექტორი, თავის მემუარებში წერდა: „ენვერი კავკასიასთან დაკავშირებით თავისი გეგმების შესახებ მესაუბრებოდა. საუბრის ბოლოს კი გრანდიოზული და მეტად უცნაური იდეა გამანდო. კავკასიის შემდეგ იგი აღმოსავლეთით წასვლასა და ავღანეთისა და ინდოეთის დაპყრობას აპირებდა“.¹⁶⁴

ენვერ ფაშას მხრიდან თურანული იდეისადმი ერთგულებას გენერალი ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინი (Friedrich Freiherr Kressen von Kressenstein) ადასტურებს. 1918 წლის ივნისიდან იგი გერმანიის საოკუპაციო ჯარების სარდალი და გერმანული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში: „1918 წლის ბოლოს თურქეთში ე.წ. თურანიზმი – რელიგიურ-დინასტიური პანისლამიზმის საპირისპირო, სისხლისა და რასობრივი პრობლემა, რომელიც აქამდე მხოლოდ აკადემიურ ჩარჩოებში ვითარდებოდა, – რეალური პოლიტიკის სტადიაში შევიდა. ეს იყო ენვერ ფაშა, რომელიც დესპოტური იდეების დასაცავად გამოდიოდა. მას სურდა, რომ თურქული მოდელი, რომელიც რასითა და სისხლით ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, პოლიტიკურადაც დაეკავშირებინა და,

¹⁶² აჰმედ იხეთ ფაშა (Ahmet İzzet Paşa) (1864-1937) – ალბანური წარმომავლობის ოსმალ სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი და მარშალი. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი. თურქეთ-საბერძნეთის, თურქეთ-იტალიის, ბალკანეთის ომებისა და I მსოფლიო ომის მონაწილე. 1887-1890 წლებში ასწავლიდა სტრატეგიასა და ოსმალეთის იმპერიის სამხედრო გეოგრაფიას ომის კოლეჯში. 1894 წლამდე იმყოფებოდა გერმანიაში, მსახურობდა ოსმალთა არმიის მთავარი სამხედრო მრჩეველის, ფელდმარშალ კოლმარ ფონ დერ გოლცის თანაშემწედ. საბერძნეთ-თურქეთის ომის პერიოდში იღებს პოლკოვნიკის წოდებას. 1908 წლის „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის შემდეგ ინიშნება ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად. I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე სარდლობდა კავკასიის ფრონტზე გაშლილ ოსმალთა მე-3 არმიას. ამ თანამდებობაზე, სარიყამიშის ოპერაციის წინ, იგი მალევე შეცვალა იმპერიის სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ისმაილ ენვერ ფაშამ. 1916 წლიდან სათავეში უდგება მე-2 არმიას. 1917 წელს ინიშნება ანატოლიის არმიების ჯგუფის სარდალად, რომელშიც მე-3 და მე-2 არმიები გაერთიანდა. I მსოფლიო ომის ბოლოს, 1918 წლის 14 ოქტომბერს ინიშნება იმპერიის დიდ ვეზირად. ამავე დროს ასრულებდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას. 1918 წლის 30 ოქტომბერს მონაწილეობდა მუდროსის ზავის დადებაში. ესპანური გრიპის მწვავე ფორმით დაავადების გამო მალევე, 1918 წლის 8 ნოემბერს ტოვებს დიდ ვეზირის თანამდებობას და გადის თადარიგში. მოგვიანებით, თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, დაადანაშაულებს კავკასიის ფრონტის წარუმატებელი სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობაში. გარდაიცვალა 1937 წელს.

¹⁶³ ოტო ლიმან ფონ სანდერსი (Otto Liman von Sanders) (1855-1929) – პრუსიული არისტოკრატიული წარმომავლობის გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, I მსოფლიო ომის პერიოდში ოსმალთა იმპერიაში გერმანული სამხედრო მისიის ხელმძღვანელი, იმპერიის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე და ფაქტობრივი მთავარსარდალი. გერმანელი გენერალ-ფელდმარშალების, ჰელმუტ ფონ მოლტკესა და ბარონ კოლმარ ფრაიერ ფონ დერ გოლცის (Wilhelm Leopold Colmar Freiherr von der Goltz) შემდეგ იგი იყო უკანასკნელი გერმანელი ოფიცერი, რომელსაც ეს თანამდებობა ეკავა და ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის მისია ჰქონდა დაკისრებული. უშუალოდ მისი წარმატებული ხელმძღვანელობით აღიკვეთა ბრიტანელთა ავსტრალია-ახალი ზელანდიის საარმიო კორპუსის (ANZAC – Australia New Zealand Army Corps) მიერ ჩატარებული საზღვაო დესანტირების ოპერაცია პალეოლინისზე, რომელიც 1915 აპრილ-ნოემბერში მიმდინარეობდა. 1917 წლის ბოლოდან სარდლობდა ოსმალთა არმიებს სინაის, პალესტინისა და მესოპოტამიის კამპანიებში და აწარმოებდა წარმატებულ თავდაცვით ბრძოლებს. თუმცა, საბოლოოდ, 1918 წლის შემოდგომაზე, ბრიტანელი გენერლის, ედმუნდ ალენბაის სარდლობით პალესტინის ფრონტზე, არმაგედონის შეტევით ოპერაციაში დამარცხდა, რასაც 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ზავის დადება და ოსმალეთის იმპერიის კაპიტულაცია მოჰყვა შედეგად. ბრიტანელებმა იგი 1919 წლის თებერვალში დააპატიმრეს კუნძულ მალტაზე სამხედრო დანაშაულების ჩადენაზე ბრალდების ეჭვით, თუმცა უდანაშაულობის გამო მალევე, ერთ თვეში გაათავისუფლეს. დაბრუნდა გერმანიაში, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1929 წელს, 74 წლის ასაკში, ქალაქ მიუნხენში.

¹⁶⁴ Şuhnaz Yılmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 47.

ადრინდელი ოსმალეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს ნაცვლად, შეექმნა დიდი თურქული ეროვნული სახელმწიფო. მას მხედველობაში ჰქონდა ყირიმში, ვოლგისპირეთში, კავკასიასა და რუსულ და სპარსულ აზერბაიჯანში მცხოვრები თათრებისა და, უპირველეს ყოვლისა, კასპიისა და არალის ზღვებს შორის მცხოვრები თურქულ-თათრული ერების გაერთიანება. გარდა იდეური მოტივებისა, ენვერი თავისი თურანული იდეების პროპაგანდირებისას, ეჭვგარეშეა, რეალისტური, პრაქტიკული თვალსაზრისითაც ხელმძღვანელობდა¹⁶⁵.

იგივეს აღნიშნავდა გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ერის ლუდენდორფიც. თავდაპირველად ლუდენდორფი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა იტიპადისტთა ჩანაფიქრისა და თურქეთის თურანული გაფართოების პროექტისადმი, შესაბამისად, არც დაბრკოლებებს ქმნიდა ამისათვის. პირიქით, ამ პროცესების განვითარებიდან იგი გერმანიისათვის გარკვეული სარგებლის მიღებასაც მოელოდა. ეს სარგებელი, პირველ რიგში, გერმანული გავლენის სფეროების გაფართოებაში გამოიხატებოდა აღმოსავლეთის მიმართულებაზე. 1918 წლის 15 მარტს ლუდენდორფი შემდეგი შინაარსის დეპეშას უგზავნის კონსტანტინოპოლში გენერალ ჰანს ფონ სექტს (Hans von Seeckt)¹⁶⁶: „თურქული შენადენის მთავარი არსი აღმოსავლეთში უნდა ვეძებოთ. აქ, მოხერხებული თურქული დიპლომატიისათვის ნიადაგის მოპოვების შესაძლებლობის გვერდით, არსებობს ასევე გავლენის სფეროს შექმნის შანსი ცენტრალურ აზიამდე“¹⁶⁷.

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ, იდეოლოგიური დაპირისპირების თვალსაზრისით, თურანიზმს მხარს უჭერდნენ გერმანელი იდეოლოგები, როგორც პანსლავიზმის საპირწონე და ცარისტული რუსეთის აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის კარგი გამანეიტრალებელი საშუალება სამხრეთის მიმართულებაზე. და ეს გასაგებიცაა – განსაკუთრებით დიდი ენთუზიაზმით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურანული იდეოლოგია სწორედ ოსმალთა იმპერიის პროგერმანულად განწყობილმა სამხედრო ელიტამ და „ახალგაზრდა თურქებმა“ აიტაცეს.

პირველი ქვეყანა, რომელმაც დოქტრინულად დაიწყო პანთურქიზმის პრობლემების დამუშავება, ისევ რუსეთის ცარისტული იმპერია იყო. თუ რუსეთის ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ რუსული სამეფოსა და იმპერიის მუსლიმანურ სამყაროში შეღწევა მთელი სამი საუკუნის განმავლობაში – XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა, რის შედეგადაც იმპერიის შემადგენლობაში

¹⁶⁵ General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. Bd 9.

¹⁶⁶ ჰანს ფონ სექტი (Hans von Seeckt) (1866-1936) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, რაიჰსვერის სახმელეთო ჯარების სარდალი, გენერალ-ობერსტი (გენერალ-პოლკოვნიკი). 1885 წელს დაამთავრა გიმნაზია და დაიწყო სამხედრო სამსახური ვერნადერთა გვარდიულ პოლკში. 1896 წელს ამთავრებს სამხედრო აკადემიას. 1897 წელს ინიშნება მე-3 საარმიო კორპუსის შტაბში. I მსოფლიო ომის წინ ეკავა ამ საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობა. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე იბრძოდა გენერალ ფონ კლაკის 1-ლი არმიის შემადგენლობაში დასავლეთის ფრონტზე. 1915 წლის მარტიდან ინიშნება აღმოსავლეთის ფრონტზე გენერალ ფონ მაკენზენის მე-11 არმიის შტაბის უფროსად. წარმატებით იბრძოდა სერბიის ფრონტზე, სადაც მისი ხელმძღვანელობით სრულად განადგურდა სერბეთის არმია. 1916 წლის ივნისში ინიშნება ავსტრიის მე-7 არმიის შტაბის უფროსად. 1917 წლის დეკემბრიდან კონსტანტინოპოლშია, სადაც იკავებს ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის თანამდებობას I მსოფლიო ომის დასრულებამდე. ოსმალთა იმპერიის დამარცხების შემდეგ, 1918 წლის 4 ნოემბერს ტოვებს კონსტანტინოპოლს და ბრუნდება გერმანიაში. 1919 წლის თებერვლიდან პარიზის სამშვიდობო კონფერენციის გერმანული დელეგაციის წევრია. 1919 წლის ბოლოს ინიშნება ე.წ. „ჯარების ოფისის“ (Truppenamt), ფაქტობრივად კი გენშტაბის უფროსად. 1920 წელს დაინიშნა რესპუბლიკის სახმელეთო ჯარების რაიჰსვერის სარდალად. უდიდესი მუშაობა ჩაატარა ვაიმარის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების – რაიჰსვერის აღმშენებლობისა და ორგანიზაციის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამყარდა საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა კავშირთან ღრმად გასაიდუმლოებული სამხედრო-ტექნიკური კავშირები, რაც გამოიხატებოდა ერთობლივი საომარი თამაშობებისა და წვრთნების ჩატარებაში, ასევე სამხედრო-ტექნოლოგიური სიახლეების დამუშავებასა და დანერგვაში. 1926 წლიდან თადარიგშია. გარდაიცვალა 1936 წელს.

¹⁶⁷ General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. Bd 10.

დაახლოებით 18 მილიონი მუსლიმანი შევიდა. ესენი ძირითადად ვოლგისპირეთის, ყირიმის, შუა აზიისა და კავკასიის მუსლიმანი ხალხები იყვნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იმპერიულმა იდეოლოგიამ კურსი რუსების უცხოტომელ „ინოროდცებთან“ „დაახლოების“, „შერწყმისა“ და „ერთიანი“ სახელმწიფოს შექმნაზე აიღო. რეალურად ეს იყო საყოველთაო „რუსიფიკაციის“ იდეოლოგია, რომელიც იმპერიის მოსახლეობის ადმინისტრაციულ, სოციალურ და კულტურულ გაერთიანებას, მის სრულ უნიფიკაციას ნიშნავდა. რუსიფიკატორული პოლიტიკის მიზანი იმპერიის არარუსი მოსახლეობის დამორჩილება, იმპერიული რეჟიმისადმი ლოიალობისა და რუსთხელმწიფისადმი ერთგულქვეშევრდომული სულისკვეთების ჩამოყალიბება-დამკვიდრება იყო. რუსიფიკაცია უცხოტომელთა ეთნიკურ რუსებად ქცევაზე მეტად არარუსთა მიერ იმპერიის ფასეულობებისა და ნორმების მიღება-გათავისებებას, იმპერიის პრინციპებისა და ცხოვრების დადგენილი წესებისადმი შეგუებას, მენტალურად რუსობას, „რუსულად ფიქრს, ლაპარაკსა და აზროვნებას“ გულისხმობდა.¹⁶⁸

„ერთიანი რუსეთის“ შექმნის პროექტი იმ დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა, რაც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომთა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნებით იყო განპირობებული. ამ წინააღმდეგობების გადალახვა შესაძლებელი იყო „ინოროდცების რუსებთან დაახლოების“ პოლიტიკის გატარებით. მთავარი როლი აქ რუს ხალხს მიეკუთვნებოდა, რომელიც „უცხოტომელთა“ (Иноплеменников) „დამცველი და განმანათლებელი“ უნდა გამხდარიყო, მას ასევე ხელი უნდა შეეწყო „იმპერიის სხვა ნაწილებთან“ კავშირების გამყარებისათვის.¹⁶⁹ ასე მაგალითად, ერთი რუსი მოხელე 1892 წელს აფხაზეთში რუსების ჩამოსახლების პროცესის შესახებ აღნიშნავდა:

„...ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვს, რომ ეს მხარე არა მხოლოდ სახელწოდებით, არამედ ნამდვილად იქცეს მალე რუსულ მხარედ, რათა აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დაიმედებული იყოს რუსი კაცი. ვისურვოთ, ბატონებო, რომ ეს მოხდეს ჩქარა და მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხარშოს მთელი აქაური სხვადასხვატომობრივი და სხვადასხვაეროვანი ნარევი და რომ ეს ცა და ზღვა ნამდვილად რუსული იყოს“.¹⁷⁰

მიუხედავად იმისა, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა არარუს ხალხში ეროვნული მოძრაობის აღმავლობა შეინიშნებოდა, ამ საკითხში მუსლიმანთა მონაწილეობა მაინც უმნიშვნელო იყო. შვეიცარიული წარმომავლობის გერმანელი მეცნიერი, ვენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ანდრეას კაპელერი (Andreas Kappeler) თავის მონოგრაფიაში „Russian Empire: A Multi-Ethnic History“, რომელიც ჩეხი მკვლევარის, მიროსლავ გროხის (Miroslav Hroch) სქემას ეყრდნობა,¹⁷¹ ადასტურებს, რომ რუსეთის იმპერიაში ჩართულ სხვადასხვა ხალხში ნაციონალური მოძრაობის ხარისხი განსხვავებული იყო. მისი აზრით, 1905 წლამდე მასიური ნაციონალური მოძრაობები შეინიშნებოდა პოლონეთში, ფინეთში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, საქართველოსა და სომხეთში, მაგრამ არა იმპერიის მუსლიმანურ ხალხებში.¹⁷²

¹⁶⁸ ოთარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 143-144.

¹⁶⁹ Департамент законов Государственного совета. Фонд 797. - Канцелярия обер-прокурора Св. Синода Фонд 796.-Канцелярия Св. Синода. <http://www.dissercat.com/content/musulmanskii-vopros-v-imperskoj-politike-rossiiskogo-samoderzhaviya-vtoraya-polovina-xix-vek#ixzz3Ft1gxAV8>.

¹⁷⁰ ავთანდილ სონღულაშვილი. აფხაზი თუ აფსუა? გამოქვეყნებულია „უნივერსალი“. თბილისი. 2007. ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბილისი. 1996. <http://iberiana.wordpress.com/abkhazia/>.

¹⁷¹ Hroch Miroslav. Die Vorkämpfer der nationalen Bewegung bei den Kleinen Völkern Europa. Eine vergleichende Analyse zur gesellschaftlichen Entwicklung der patriotischen Gruppen. Praha, 1968.

¹⁷² Андреас Каппелер. Россия-многонациональная империя. Возникновение. История. Распад. Перевод с немецкого С. Червонной. - Москва : Прогресс-Традиция. 2000. Стр. 180.

გასაგებია, რომ რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის ფონზე, სადაც მუსლიმანთა აქტივობა ფაქტიურად ნულოვანი იყო, ისინი ქართველებთან, სომხებთან, პოლონელებთან და ებრაელებთან შედარებით, იმპერიისადმი უფრო ლოიალურ და საიმედო ქვეშევრდომებად მოიაზრებოდნენ. შესაბამისად, ამ მომენტისათვისაც კი, მუსლიმანთა საკითხი მმართველ წრეებში დღის წესრიგშიც არ დამდგარა. გარდა ამისა, იმპერიის მმართველი წრეების აზრით, მუსლიმანთა „გამოღვიძება“ უფრო ლოკალური ხასიათის მოვლენა იყო და მას მთელ მუსლიმანურ მოსახლეობაზე დიდი გავლენა არ უნდა ჰქონოდა. ისინი მაინც ფიქრობდნენ, რომ რუსეთის მუსლიმანები რელიგიური საკითხებით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე პოლიტიკურით.¹⁷³ მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ მთლად ასეც არ იყო საქმე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მუსლიმანთა ნაწილმა ნელ-ნელა გამოღვიძება დაიწყო და ვოლგისპირელი თათრები პოლიტიკურად გააქტიურდნენ. მათ ჯადიდიზმის პროპაგანდას მიჰყვეს ხელი. მუსლიმანთა პოლიტიკური აქტივობის ზრდა მოულოდნელობად იქცა რუსეთის საზოგადოებისათვის, რომელიც თავიდან ინტერესითა და სიმპათიითაც კი შეხვდა მათ „გამოღვიძებას“.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პირველები, ვინც თათარ ინტელექტუალებს შორის ჯადიდიზმის იდეოლოგიის ჩასახვას მიაქცია ყურადღება, რუსი მისიონერები და თათართა სამასწავლებლო სემინარიების რუსი პედაგოგები იყვნენ. ერთი მხრივ, ისინი თითქოს სკეპტიკურად უყურებდნენ მუსლიმანთა მიერ ისლამის მოღერნიზაციის მცდელობას, რადგან თვლიდნენ, რომ ისლამი და პროგრესი არათავსებადი ცნებები იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ მოძრაობაში მისიონერები ეროვნული იდეების გამოღვიძების წინაპირობას ხედავდნენ, რაც, მათი აზრით, საშიში იქნებოდა იმპერიისათვის. თავის საქმიანობაში მართლმადიდებელი მისიონერები, უწმინდესი სინოდის ინსტრუქციების გარდა, იმპერატორების განკარგულებებითა და მთავრობის დადგენილებებით ხელმძღვანელობდნენ. წარმართთა, მუსლიმანთა თუ ბუდისტთა მართლმადიდებლურ რჯულზე გადმოყვანა მათი გარუსების მიზანს ემსახურებოდა.¹⁷⁴

გარდა ნაციონალური მოძრაობებისა, რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე ზეგავლენა ევროპაში გავრცელებული ნაციონალური სახელმწიფოების წარმოშობის მოდელმაც მოახდინა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში იტალიისა და გერმანიის სახელმწიფოების შექმნამ გამოააშკარავა ეროვნული იდეის გამაერთიანებელი ძალის მნიშვნელობა. ეს კი დიდ საფრთხედ აღიქვა რუსეთის თვითმპყრობელობამ.

მიუხედავად ყველაფრისა, პირველ ეტაპზე ამ მოვლენებს რუსეთის ხელისუფლების ყურადღება არ მიუქცევია. რუსეთში ძველებურად იყო გავრცელებული სტერეოტიპი მუსლიმანური სამყაროს „ჩაკეტილობის“ შესახებ, რომლისთვისაც ეროვნული იდეები უცხო იყო. იმპერიის ხელისუფალნი იმედოვნებდნენ, რომ „თათართა“ ჩართვა „ერთიან“ რუსულ სახელმწიფოში, ე.ი. მათი ასიმილაცია და გარუსება ადვილად მოხდებოდა, საჭირო იყო მხოლოდ მათი მართლმადიდებლებად მოქცევა, მისიონერთა მუშაობის გაძლიერება. თუმცა, რუსეთის მუსლიმანური მოსახლეობის კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, ეს პროცესები იმპერიისათვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

ფაქტია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ისლამი და მუსლიმანური კულტურა რუსული იმპერიული დისკურსის საგანი შეიქნა. „ისლამური სამყარო“,

¹⁷³ Воробьева Елена Ивановна. Доктор исторических наук. Мусульманский вопрос в имперской политике российской самодержавия: вторая половина XIX века - 1917 г. тема диссертации и автореферата по ВАК 07.00.02, Санкт-Петербург. 1999. Научная библиотека диссертаций и авторефератов disserCat <http://www.dissercat.com/content/musulmanskii-vopros-v-imperskoi-politike-rossiiskogo-samoderzhaviya-vtoraya-polovina-xix-vek#ixzz3FsrY9HnI>.

¹⁷⁴ თათარ ჯანელიძე. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში. თბილისი. 2013. გვ. 141.

რომელიც ძირითადად რელიგიური და ევროცენტრისტული თვალსაზრისით განიხილებოდა, „ჩაკეტილ“, „უნდო“ და „ფანატიკურ“ სამყაროდ აღიქმებოდა, მისი იდეოლოგია კი – მტრულ იდეოლოგიად. ამ თვალსაზრისით, ისლამის დოგმატები არ შეესაბამებოდა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ძირითად დოგმატებს და ამავე დროს იმ ევროპული ცივილიზაციის საფუძვლებს ეწინააღმდეგებოდა, რომლის წარმომადგენლაც თვლიდა საკუთარ თავს თავად რუსეთი.¹⁷⁵

რუსეთის ხელისუფლება მხოლოდ მაშინ დაინტერესდა ამ საკითხით, როდესაც ჯადიდიზმმა თანდათანობით პოლიტიკური ელფერი შეიძინა. უკვე XX საუკუნის დასაწყისში ცხადი გახდა, რომ რუსეთში „რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა“, ამ პროცესებმა კი იმპერიის თითქმის ყველა ხალხისა და ეთნოსის პოლიტიზირებას შეუწყო ხელი. მუსლიმანთა ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ორგანიზაციად პარტია „Иттифак-аль-муслимин“ (მუსლიმანთა კავშირი) ჩამოყალიბდა, რომელიც ჯადიდების ლიბერალური ფრთის წარმომადგენლებმა შექმნეს. პარტიის პროგრამა ერთმანეთს უკავშირებდა კადეტთა პარტიის ლოზუნგებსა და მუსლიმანურ რელიგიურ-კულტურულ მოთხოვნებს. ჩატარებული მუშაობის შედეგად რუსეთის მუსლიმანებმა იმას მიაღწიეს, რომ მათი წარმომადგენლები სახელმწიფო დუმის წევრებადც აირჩიეს, სადაც ისინი განსაკუთრებულ მუსლიმანურ ფრაქციაში გაერთიანდნენ. ამ ფრაქციის დეპუტაციის იდეოლოგია პარტია „Иттифак-аль-муслимин“-ის პლატფორმას ეყრდნობოდა.

ამ ეტაპზე იმპერიამ ჯადიდი განმანათლებლების მოღვაწეობაზე მეთვალყურეობის გაძლიერება დაისახა მიზნად და იმპერიის უსაფრთხოებისათვის გარკვეული ზომების გატარებაც მოითხოვა. ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა თურქესტანის საქმეთა სამმართველოს კანცელარიის უფროსის შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილი წერილი. ეს საარქივო დოკუმენტი უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, შერილ ტურდიევმა მოიპოვა. საქმის ვითარებაში უკეთ გასარკვევად სრულად მოვიყვანთ ამ დოკუმენტის ორიგინალს:

Управляющий Канцелярией Туркестанского. „Секретно“
Министерство Внутренних Дел. Копия
Департамент Полиции. Совершенно секретно
По 3 Делопроизводству
31 Декабря 1900 года.
№13444.
Господину Губернатору.

Из имеющихся в Департаменте Полиции сведений усматривается, что за последнее время в татарской литературе замечаются совершенно новые веяния, грозящие расшатать весь многовековой уклад жизни свыше 14-ти миллионного мусульманского населения русского государства и дающие возможность предполагать о готовящемся в жизни сего населения серьезном переломе.

Первоначально эти новые веяния проявились в совершенно, повидимому, невинной области нового метода обучения грамоте и вызваны были появлением, изданного в 1884 году Крымским мурзаком Исмаилом Гаспринским, учебника татарской грамоты, составленного по европейской звуковой системе, значительно облегчающей усвоение татарскими детьми татарской и арабской грамоты и

¹⁷⁵ Воробьева Елена Ивановна. Доктор исторических наук. Мусульманский вопрос в имперской политике российского самодержавия: вторая половина XIX века - 1917 г. тема диссертации и автореферата по ВАК 07.00.02, Санкт-Петербург. 1999. Научная библиотека диссертаций и авторефератов disserCat <http://www.dissercat.com/content/musulmanskii-vopros-v-imperskoj-politike-rossiiskogo-samoderzhaviya-vtoraya-polovina-xix-vek#ixzz3FsrY9HnI>.

сокращающей время обучения. Вскоре, благодаря означенным достоинствам, учебник Гаспринского завоевал себе среди татар все права гражданства, отодвинув на задний план мулл, в руках коих до того времени сосредоточилось обучение всего татарского населения; рядом с этим распространялись и новые прогрессистские веяния, незамедлившие превратиться в целое умственное и общественное движение, отразившееся в татарской литературе рождением двух новых течений: одного, - отстаивающего старые традиции, а другого, - служащего проводником в жизнь русского татарства новых идей прогресса и культуры.

Полемика между сторонниками этих двух течений сразу сильно обострилась и, вместе с тем, приняла национальный, общественный и культурный характер: стародумы магометанства, по большей части, муллы, выступили в защиту старых традиций с такой страстностью, какую можно объяснить лишь испытываемым ими страхом и смущением перед новым движением, грозящим отнять у них прежние влияние и силу; новометодничество понимается ими как нововерие, угрожающее отпадением от ислама и обращением в неверных, причем они помышляют даже о привлечении на свою сторону администрацию к делу распри с новаторами.

Сторонники-же новых веяний в своих сочинениях призывают татарское население России к образованию, к приобретению практических познаний как в области ремесел и промышленности, так и в изучении иностранных языков, дабы оно было культурно и богато. При этом новаторы приглашают своих единомышленников не в единую общеобразовательную школу, т.е. русские гимназии и высшие учебные заведения, а в особые татарские разсадники высшей мудрости, где европейская наука должна сочетаться с кораном и преподаваться на татарском языке. Они указывают на необходимость осмыслить свою веру, очистив ее от суеверий и невежественных толкований мулл и укрепив свою народность, расширяя область применения родного языка в литературной научной и религиозной среде и вообще хлопотать о прогрессе, на почве ислама и тюркской народности.

Ограничатся-ли прогрессисты в своих стремлениях вышеуказанными целями, или же, победив сторонников старых традиций, пойдут далее, предрешить в настоящее время не представляется возможным, как равно нет возможности предугадать какая из двух партий останется победительницей и какие будут, с точки зрения интересов русской государственности, результаты победы. С этой последней точки зрения, старотатарщина, держащаяся старых преданий, составляющих опору их благосостояния, не может быть признана надежной, причем не более надежна и партия прогрессистов, в виду одинакового с мусульманским духовенством отчуждения ее от России. Каковы бы однако ни были результаты торжества той или другой партии, опыт и недавние события в наших средне-Азиатских владениях /Андижанское восстание/ показали, с какой осторожностью и бдительностью следует относиться ко всяким движениям и настроениям в среде мусульманского населения России и насколько важно заблаговременное и возможно полное ознакомление с такими движениями.

Признавая, в виду сего, необходимым всесторонне осветить вышеуказанное начинающееся движение как для выяснения действительного характера и конечных его целей, так и его значение в общегосударственном смысле, Департамент полиции об изложенном имеет честь сообщить Вашему Превосходительству, покорнейше прося Вас, Милостивый Государь, не отказать в распоряжении: о

1) выяснении среди мусульманского населения вверенного Вам района лиц, выступающих в татарской литературе в качестве авторов новаторских сочинений;

- 2) собрании подробных сведений об их личности, общественном и имущественном положении, а также связях в мусульманской среде, как равно и о том, где они получили свое образование;
- 3) установлении существует ли связь между сторонниками нового движения и младотурками, и не вдохновляются ли они из Турции, или иного заграничного мусульманского центра; и
- 4) выяснении - где и кем основаны в пределах вверенного Вам района мусульманские школы с преподаванием по новым методам, кто состоит в них преподавателями и под чьим заведованием и контролем такие школы находятся.

О последующем благоволите, Милостивый Государь, уведомить в возможно непродолжительном времени, для доклада Господину Министру Внутренних Дел.

Подлинный за надлежащим подписом.

С подлинным верно:

Делопроизводитель /подпись/.¹⁷⁶

მდგომარეობა მკვეთრად იცვლება 1905 წლიდან. ეს მოვლენები რუსეთ-იაპონიის ომისა და 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდს განეკუთვნება. აქ უკვე აშკარად გამოიკვეთა მუსლიმანთა აქტივობის პოლიტიკური მომენტები. აქედან გამომდინარე, მუსლიმანებთან და პანისლამიზმის საკითხებით იმპერიის შესაბამისი სამსახურებიც დაინტერესდნენ. ამ იდეოლოგიით დაინტერესება პირველად პოლიციის დეპარტამენტმა გამოიჩინა, რომელიც ხშირად პანისლამიზმად განიხილავდა მუსლიმანთა ყოველგვარ აქტივობას. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის ადგილობრივი ჟანდარმერიის სამმართველოები დაუღალავად ეძებდნენ პანისლამიზმს რუსეთისა და შუა აზიის მუსლიმანებს შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმპერიის სამთავრობო წრეები პანისლამიზმის არსებობის შესაძლებლობას მაინც სკეპტიკურად უყურებდნენ.

ვიატსკის საგუბერნიო ჟანდარმერიის უფროსის მოადგილის პეტერბურგში გაგზავნილ იმდროინდელ მოხსენებაში ნათქვამი იყო: „ტოკიოში გამართულ სრულიად აზიის კონგრესზე გამოცხადდა ლოზუნგი – „აზია აზიელებს“. „ახალგაზრდა თურქებმა“ იმწამსვე მოიწვიეს კონგრესი და განაცხადეს, რომ თურქეთმა ენერგიული პანისლამისტური აგიტაცია უნდა დაიწყოს იმ ქვეყნებში, რომლებშიც მუსლიმანები ცხოვრობენ, სახელდობრ, რუსეთში, სპარსეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში. და არა კულტურულ-საგანმანათლებლო, არამედ წმინდა საბრძოლო, რისთვისაც აუცილებელია ისლამური ქვეყნების გაერთიანება თურქეთის ეგიდით, რომლის მიზანიც იქნება მათთვის საძულველი ქრისტიანი ევროპელების უღლის გადაგდება. ამავე კონგრესზე მიიღეს გადაწყვეტილება კონსტანტინოპოლში მუსლიმანური ქვეყნების ყოველწლიური კონგრესების გამართვის თაობაზე, რომლებზეც ამ საკითხების განხილვა მოხდება. აპირებენ ყველგან შექმნან შესაბამისი განყოფილებები, განსაკუთრებით, რუსეთში, სპარსეთსა და ინდოეთში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მუსლიმანურ ჯგუფს რუსეთში რიცხობრივად მესამე ადგილი უკავია ველიკოროსებისა და მალოროსების შემდეგ, მაშინ ნათლად იკვეთება პანისლამიზმის პროპაგანდის საშიშროება, რომელსაც შეუძლია დაანგრის რუსეთი.“¹⁷⁷

პეტერბურგის საპასუხო ნაბიჯებს პანისლამიზმის იდეების ეთნიკური ნიშნით გახლეჩა წარმოადგენდა. ასე უფრო ადვილად მოხდებოდა საფრთხეებზე მანიპულირება

¹⁷⁶ Шерали Турдиев. Старший научный сотрудник Института литературы им. Алишера Навои АН Узбекистана. РОЛЬ РОССИИ В ПОДАВЛЕНИИ ДЖАДИДСКОГО ДВИЖЕНИЯ (по материалам архива СНБ Узбекистана). Центральный Государственный Архив Республики Узбекистан: Фонд №1009, Оп.№1, Д. №175, Л. №30,30а, 30аод., 30б.) СА&СС Press. АВ. Издательский дом (Швеция). http://www.ca-c.org/journal/13-1998/st_15_turdiev.shtml.

¹⁷⁷ Станислав Тарасов. Мифы о Карабахском конфликте. Сборник статей. Международный институт новейших государств. Москва. 2012. Стр. 435.

და გართულებული პროცესების მართვა. ასე იბადება თურქიზმისა და პანთურქიზმის იდეოლოგიური მონახაზების წახალისების ტენდენციები, რასაც მომძლავრებული პანისლამიზმის იდეოლოგია უნდა გაენიჭრალეზინა. მეფის „ოხრანკის“ იგივე დოკუმენტებიდან ნათელი ხდება, რომ პეტერბურგის გარკვეული მონაწილეობით თურქიზმის დოქტრინების შემუშავებისა და ამ იდეოლოგიის წახალისებაზე მუშაობა ინტენსიურად დაიწყო, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უკვე შემდგომ, ოსმალთა იმპერიაში „ახალგაზრდა თურქთა“ 1908 წლის რევოლუციაში.

თურქესტანის ოხრანკის ორგანოები დიდ შემოფოთებას გამოთქვამდნენ თათარი, თურქი, აზერბაიჯანელი, სპარსი განმანათლებლების პროგრესული მოღვაწეობის გამო ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ლიტერატურის, თეატრალური ხელოვნების დარგებში. ისინი თვლიდნენ, რომ ყოველივე ეს ხელს უშლიდა რუსული ზეგავლენის გავრცელებასა და რუსეთის ინტერესების გატარებას რეგიონში. ასე მაგალითად, ფერდანის სამხედრო საგუბერნატოროს ჩინოვნიკის 1909 წლის 8 ნოემბრით დათარიღებულ ერთ-ერთ საიდუმლო წერილში ხივასა და ბუხარაში მოღვაწე თათარი განმანათლებლების შესახებ ვკითხულობთ: „ხივაში, ისევე როგორც ბუხარაში, თათრები ძალიან ბევრნი არიან. მათ ურგენჩიში ახალი ტიპის ვაჟთა და ქალთა სკოლები გახსნეს. ხივის სახანოს თათრები დიდ პროპაგანდას უწევენ თავიანთ ბეჭდურ გამოცემებს. თათრულ ენასთან ხიველი ხალხის ენის სიახლოვე საშუალებას აძლევს აქაურ ხალხებს, იკითხონ თათრული გაზეთები. აქ ძალიან გავრცელებულია ორენბურგული გაზეთი „Вакт“ (დრო). ამას გარდა, ისინი კითხულობენ თათრულ გაზეთებს, რომლებიც რუსეთშია გამოცემული, ისეთს, როგორცაა „Иттифок“ (კავშირი), „Юлдуз“ (ვარსკვლავი), აგრეთვე სტამბოლში გამოცემულ გაზეთს – „Вахдат“. ჩემი მოხსენების ბოლოს კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ რუსეთის სახელმწიფო აქამდე არ ზრუნავს ხივის თანამედროვე განვითარებისათვის... ამისათვის ჩვენ იქ უნდა გავხსნათ კარგი „რუსულ-ადგილობრივი სკოლები“ („русско-туземные школы“ – ა. ჩ.). უფრო მნიშვნელოვან ამოცანას კი წარმოადგენს ხივის სახანოში და კერძოდ, ურგენჩიში, თათართა მუშაობისათვის მეთვალყურეობის გაწევა. ახალი ტიპის სკოლების გახსნით ისინი ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენენ ხიველ ხალხზე“.¹⁷⁸

მეორე საიდუმლო მოხსენებით ბარათში, რომელიც 1913 წლით თარიღდება, ჩამოთვლილია უზბეკური და ყაზახური აულის სკოლების ის კონკრეტული თათარი მასწავლებლები, რომლებიც აწარმოებდნენ მუშაობას მუსლიმანი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების განვითარებისათვის რუსეთის სახელმწიფოს საზიანოდ: „თქვენნი უდიდებულესობის ინფორმირებისათვის გაწვდით საიდუმლო აგენტურულ მონაცემებს, რომ რუსეთიდან ჩამოსული თათარი მასწავლებლები ყაზახ და უზბეკ ხალხებში რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ ნამდვილად ასწავლიან ახალი მეთოდებით და მათი შვილების აღზრდას წარმართავენ პანისლამისტური სულისკვეთებით“.¹⁷⁹

საერთო ჯამში, I მსოფლიო ომის დასაწყისისთვის იმპერიის „ოხრანკის“ ანალიტიკურ დასკვნებსა და სადაზვერვო პატაკებში აღინიშნებოდა პანისლამიზმზე პანთურქიზმის გამარჯვების შესახებ, სადაც აგრეთვე ის მოსაზრებებიც გამოითქმებოდა, რომ ძალიან მალე მოსალოდნელი იყო ოსმალთა იმპერიის დაშლა, რაც რეალურადაც ასრულდა.

¹⁷⁸ Шерали Турдиев. Старший научный сотрудник Института литературы им.Алишера Навои АН Узбекистана. РОЛЬ РОССИИ В ПОДАВЛЕНИИ ДЖАДИДСКОГО ДВИЖЕНИЯ (по материалам архива СНБ Узбекистана). CA&CC Press. АВ. Издательский дом (Швеция). http://www.ca-c.org/journal/13-1998/st_15_turдиев.shtml.

¹⁷⁹ იქვე.

§2.3. „აღმოსავლეთის ხალხთა“ საკითხი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონტექსტში

ცარიზმის დამხობას რუსეთში დროებითი მთავრობის უსუსური და ხანმოკლე მმართველობის პერიოდი მოჰყვა. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კი, რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოდიან. „მესამე რომის“ კონცეფცია და რუსული რევოლუციური მესიანიზმის იდეოლოგია „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ იდეოლოგიად ტრანსფორმირდება. ამ კონტექსტში პანთურქიზმის იდეების წინა პლანზე წამოწევა ისევ აქტუალური ხდება. მოსკოვში იქმნება მუსლიმანთა ცენტრალური კომისარიატი. ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი, იოსებ სტალინი, რომელიც კომუნისტური პარტიის პრინციპების, თურქიზმის რევოლუციური ელემენტების ალიანსის მომხრე იყო, იმედოვნებდა, რომ მსგავსი გაერთიანება საშუალებას მისცემდა ბოლშევიკებს, „განევრცოთ სოციალიზმი თურქული ნაციონალიზმის საშუალებით და ხორცი შეესხათ კოლონიალური რევოლუციის კონცეფციისათვის“.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემულ პირველ დეკრეტს „მშვიდობის შესახებ“ 1917 წლის 8 ნოემბერს გამართულ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე მიღებული დეკრეტი წარმოადგენდა. იგი ემყარებოდა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს და საბჭოთა დიპლომატიის ფუნდამენტალურ პროგრამულ დოკუმენტს განასახიერებდა, რომელიც ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას ეყრდნობოდა. ეს იყო ახალი სიტყვა მსოფლიო პოლიტიკის სფეროში. იგი ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებას ითვალისწინებდა – ხალხთა თავისუფლებას, მონობისა და ჩაგვრის მოსპობას, ტერიტორიული დაპყრობებისა და საიდუმლო დიპლომატიის უარყოფას, რაც ხალხთა უფლებების პატივისცემასა და ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიულ პრინციპებზე იყო დაფუძნებული.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ასპარეზზე გადადგმული ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური ნაბიჯი 1917 წელს იმპერიალისტური ქვეყნების საიდუმლო დიპლომატიური მასალების გამოქვეყნება იყო. გამოქვეყნდა სულ შვიდი კრებული ასზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულებით და სხვა მასალებით, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის ქვეყნებთან დაკავშირებული მასალებიც იყო გამოძვეურებული. ამ საიდუმლო მასალების გამოქვეყნებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიოზე.¹⁸⁰

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ე.წ. „საიქს – ჟორჟ-პიკოს“ საიდუმლო შეთანხმება და მისი მასალების გამოქვეყნება, რომლის მიხედვითაც ოსმალთა იმპერია უნდა დაშლილიყო, იმპერიას არსებობა უნდა შეეწყვიტა. ხელშეკრულების საიდუმლო მუხლები ბრიტანეთს, საფრანგეთსა და იტალიას შორის ოსმალთა ტერიტორიების გადანაწილებას, ხოლო კონსტანტინოპოლისა და სრუტეების რაიონის რუსეთისათვის გადაცემას გულისხმობდა. ამ ხელშეკრულების შესახებ ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ უფრო დაწვრილებით, ახლა კი მის დასახელებასთან დაკავშირებული ერთი საკითხი უნდა დავაზუსტოთ. რატომღაც ქართულ, რუსულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ხსენებული ხელშეკრულება ხშირად „საიქს – პიკოს“ ხელშეკრულების სახელს ატარებს, რაც არასწორია. ფრანგი დიპლომატის გვარი ჟორჟ-პიკოა და არა უბრალოდ პიკო, სახელი კი – ფრანსუა (François Georges-Picot). ბრიტანელ დიპლომატს, საიქსს,

¹⁸⁰ Густерин П.В., научный сотрудник Института востоковедения РАН. Политика Советского государства на мусульманском Востоке в 1917-1921 гг. // Вопросы истории. № 1, Январь 2010. История дипломатии. Т. III, стр. 57-58. <http://islam-info.ru/obchestvo/page.7.1584-politika-sovetskogo-gosudarstva-na-musulmanskom.html>.

მარკი ერქვა – Mark Sykes. ამიტომ ამ ხელშეკრულების სწორი ფორმულირება იქნება: „საიქს – ჟორჟ-პიკოს შეთანხმება“. აქ დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, რაც დევიდ ლოიდ-ჯორჯის შემთხვევაში. მრავალ ავტორთან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯადა მოხსენიებული, სადაც სახელი ლოიდია, ხოლო გვარი – ჯორჯი, რაც ასევე არასწორია. ლოიდ-ჯორჯი გვარია. ამ პიროვნების შესახებ საუბრისას კი უნდა დაიწეროს ან ლოიდ-ჯორჯი, ან სრულად – დევიდ ლოიდ-ჯორჯი (David Lloyd-George).

თურქი მეცნიერის, ბილკენტის უნივერსიტეტის პროფესორის, ნერსინ ერსოი მაკმიკინის (Nersin Ersoy McMeekin) მიხედვით, ბოლშევიკთა მიერ „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსლიმანისადმი“ გაკეთებული პირველი მიმართვა 1917 წლის 3 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზეთებში „Правда“ და „Известия“: „რუსეთის მუსლიმანებო, ვოლგისა და ყირიმის თათრებო, თურქესტანისა და ციმბირის ყირგიზებო და სარტებო, ამიერკავკასიის თურქებო და თათრებო, ჩეჩნებო და მთიელო კაზაკებო!... ამიერიდან სარწმუნოება და წესები, თქვენი ნაციონალური და კულტურული ინსტიტუციები თავისუფლად და ხელუხლებლად ცხადდება!... ვაცხადებთ, რომ დამხობილი მეფის ეს საიდუმლო ხელშეკრულება კონსტანტინოპოლის ანექსიის შესახებ, რომელსაც გაძევებული კერენსკიც ეთანხმებოდა, ამიერიდან გაუქმებულია. კონსტანტინოპოლი უნდა დარჩეს მუსლიმანთა საკუთრებაში. ვაცხადებთ, რომ თურქეთის დანაწილების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თურქეთის ტერიტორიების ნაწილი სომხეთს უნდა გადასცემოდა, გაუქმებულია“.¹⁸¹

აქ აშკარა უზუსტობასა და ტენდენციურობასთან გვაქვს საქმე, ავტორი ცდება – „საიქს – ჟორჟ-პიკოს“ ხელშეკრულებაში ოსმალთა ტერიტორიების სომხეთისათვის გადაცემის საკითხი არ განიხილებოდა. უფრო მეტიც, სხვა რომ არაფერი, „საიქს – ჟორჟ-პიკოს“ ხელშეკრულების დადების მომენტში, 1916 წლისათვის, პოლიტიკური თვალსაზრისით სომხური სახელმწიფოს ცნება, როგორც ასეთი, უბრალოდ არ არსებობდა. არც ფორმალურად და არც ფაქტობრივად, არც „თურქეთის სომხეთისა“ და არც „რუსეთის სომხეთის“ სახელმწიფოებრივი ცნებები არ არსებობდა.

ბოლშევიკური რუსეთის მთავრობის მიერ ამ საიდუმლო საერთაშორისო დოკუმენტების გამოქვეყნებას იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა ოსმალთა იმპერიაში, რომ თურქულმა გაზეთმა „İkdam“ ამ მოვლენას დიდი მოწინავე სტატია მიუძღვნა სათაურით „Bravo Bolsheviks!“ ე.წ. „აღმოსავლეთის ხალხების“ დიდ ნაწილშიც ამ აქტმა საბჭოთა ხელისუფლებისადმი დიდი პატივისცემა და ნდობის გაჩენა გამოიწვია. საერთო ჯამში, ბოლშევიკთა ეს ქმედებები აღმოსავლეთის ქვეყნებში საბჭოური პოლიტიკისადმი სიმპათიის გამოხატულების მძლავრ წინაპირობად და მხარდამჭერ ფაქტორად იქცა.

რუსეთის ხალხთა უფლებების 1917 წლის 15 ნოემბრის დეკლარაციაში¹⁸² და „სოვნარკომის“ 1917 წლის 3 დეკემბრის მიმართვაში „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსლიმანისადმი“¹⁸³ საბჭოთა რუსეთმა იმ იმპერიალისტური პოლიტიკის უარყოფა გამოაცხადა, რასაც ცარიუსტული რუსეთი და ღრობითი მთავრობა ატარებდნენ. ბოლშევიკთა მიერ დაპყრობილ და დამოკიდებულ ხალხებთან ურთიერთობების აგება თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაყრდნობით იყო დეკლარირებული. ამ დოკუმენტებმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს ისლამურ სამყაროზე, როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე, ასევე სხვა,

¹⁸¹ Nersin Ersoy McMeekin. Turkey's relations with the bolsheviks (1919-1922). The department of internastional relations. Bilkent University. Ankara. 2007. Jane Degras. Soviet documents on foreign policy 1917-1924 (London: Geoffrey Cumberlege Oxford Univesity Press, 1955). Документы внешней политики СССР. М.: Госполитиздат, 1959, т. III. с. 670. Стр. 13.

¹⁸² История Советской Конституции: Сб. Док. 1917–1957. М., 1957. Стр. 19-20.

¹⁸³ Документы внешней политики СССР (далее — ДВП СССР). Т. I. М., 1957. Стр. 14.

ისლამურ ქვეყნებში მცხოვრებ მუსლიმან ხალხებზე. აქ უკვე რუსეთის დროებითი მთავრობისა და ბოლშევიკთა სახალხო კომისართა საბჭოს შორის არსებული მკვეთრი განსხვავებები გამოიკვეთა. მუსლიმანთა სიმპათიები აშკარად ბოლშევიკთა მხარეს გადაიხარა. „მუსლიმანებს აოცებდათ დროებითი მთავრობის მერყეობა, რომელმაც სრულიად რუსეთის მუსლიმანთა ყრილობის, მათთვის განათლების, რელიგიური და სამხედრო ინსტიტუტების შექმნის შესახებ მოთხოვნები უარყო. დროებითი მთავრობის ასეთი პოლიტიკის საპირისპიროდ, ბოლშევიკებმა თავიანთი აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელება შემდეგი დეკლარაციით დაიწყეს: „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელ მუსლიმანს...“¹⁸⁴

მუსლიმანებთან დაკავშირებით ბოლშევიკთა მიერ გაცხადებულ ზემოაღნიშნულ „სიკეთებს“ კიდევ ერთი „დიდი სიკეთეც“ დაემატა. 1917 წლის დეკემბერში პეტროგრადის მუსლიმანთა ყრილობაზე მუსლიმანებისათვის ხალიფა ოსმანის ყურანის, დღემდე შემონახული უძველესი ყურანის დაბრუნებამ, რომელიც თავის დროზე მეფის ხელისუფალთა მიერ იყო ჩამორთმეული, აგრეთვე მუსლიმანი საზოგადოებისათვის ორენბურგში ქარავან-სარაის მეჩეთისა და ყაზანში სუიუმბიკეს კოშკის გადაცემამ და მსგავსი აქტების ჩატარებამ კავკასიასა და შუა აზიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუსლიმანთა მერყევ ნაწილზე. იმართებოდა მუსლიმანთა ყრილობები, სადაც რევოლუციონერები – ბოლშევიკები, მემარცხენე ესერები, მემარცხენე ჯადიდები გვერდი-გვერდ ესხდნენ მოლებს. ჯადიდთა პროგრესულ-რეფორმისტული იდეების მსგავსად, იმდროინდელ ბოლშევიკურ პროპაგანდაშიც ხშირად გაისმოდა კომუნიზმისა და შარიათის თანაარსებობისა და ურთიერთშევესების თეზისები. ამის გამო, ზოგიერთმა მუსლიმანმა სასულიერო პირმა ასეთი ხასიათის მოწოდებებიც კი გააჟღერა: „საბჭოთა ხელისუფლებისთვის, შარიათისთვის!“¹⁸⁵

აქ ერთი საინტერესო ისტორიული პარალელის გავლება შეიძლება იგივე რუსეთს, ოღონდ უკვე სახემეცვლილ საბჭოთა იმპერიასა და ირანის სახით – „აღმოსავლეთს“ შორის არსებულ ურთიერთობებში. იგივე მდგომარეობა ათწლეულების შემდეგ, საბჭოთა იმპერიის ზეობის ხანაშიც განმეორდა. 70-იანი წლების ბოლოს კრემლის იდეოლოგები დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ ირანში შაჰის წინააღმდეგ დაწყებულ გამოსვლებს, ე.წ. „ისლამურ რევოლუციასა“ და ირანიდან აშშ-ის გამოძევების ფაქტს. საბჭოელებმა ეს ისტორიული კატაკლიზმი „აღმოსავლეთში“ თავისი დაკარგული პოზიციების დაბრუნების შანსად აღიქვეს და საბჭოთა ოფიციალის, ისევე გაზეთების – „Правда“-სა და „Известия“-ს პირველ გვერდებზე უმაღლესი განხილვა დაიწყო, თითქოსდა დაიწყებული, მაგრამ კარგად ნაცნობი ლოზუნგი: „ისლამი რევოლუციური რელიგიაა!“ საბჭოთა იდეოლოგები კიდევ ერთხელ შეეცადნენ, აღმოსავლურ პოლიტიკაში აქტიურად ჩარეულიყვნენ და ამჯერადაც მოესინჯათ ნიადაგი დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად. ნახევარი საუკუნის შემდეგ რუსული იმპერია კვლავ შეეცადა, ირანზე განევრცო თავისი ზეგავლენა. კრემლის იდეოლოგთა გათვლებით, ჩნდებოდა შანსი, რომ საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩაენაცვლებოდა და ირანი ისევე საბჭოურ ორბიტაზე დაბრუნდებოდა, როგორც ეს XX საუკუნის დასაწყისში იყო. მაგრამ საბჭოთა იმპერიის ეს ნოსტალგიური სწრაფვა ამჯერადაც ფუჭი გამოდგა, ისტორიული მოვლენების განვითარების დიალექტიკური ჯაჭვი არც ამჯერად დარღვეულია.

¹⁸⁴ Хоскинг Дж. История Советского Союза. 1917–1991. М., 1994, с. 112–113. См. Также: Очерки истории министерства иностранных дел России. Т. II. М., 2002, гл. I–II. Стр. 112–113.

¹⁸⁵ Густерин П.В., научный сотрудник Института востоковедения РАН. Политика Советского государства на мусульманском Востоке в 1917–1921 гг. // Вопросы истории. № 1, Январь 2010. История дипломатии. Т. III, стр. 57–58. <http://islam-info.ru/obchestvo/page,7,1584-politika-sovetskogo-gosudarstva-na-musulmanskom.html>.

დავუბრუნდეთ ისევ ლენინსა და „აღმოსავლეთს“... „კოლონიური და ნახევრად-კოლონიური ქვეყნების მშრომელი მასები, რომლებიც დედამიწის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ, პოლიტიკური ცხოვრებისათვის უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან არიან გამოღვიძებული, განსაკუთრებით, რუსეთის, სპარსეთისა და ჩინეთის რევოლუციების ზეგავლენით. 1914-1918 წლების იმპერიალისტური ომი და რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება საბოლოოდ აქცევენ ამ მასებს მსოფლიო პოლიტიკის აქტიურ ფაქტორად და იმპერიალიზმის დამამსხვრეველ რევოლუციურ ძალად!“ – მხურვალე ენთუზიაზმით აცხადებდა პროლეტარიატის დიდი ბელადი.¹⁸⁶ ფართოდ გავრცელდა ლენინისა და სტალინის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებიც, რომლის ტექსტიც ასე იწყებოდა:

„რუსეთის მუსლიმანებო! აღმოსავლეთის მუსლიმანებო! მსოფლიოს განახლების გზაზე ჩვენს სიმპათიასა და მხარდაჭერას გიცხადებთ!“.¹⁸⁷

საბჭოთა მთავრობის ამ პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ ინსინუაციებს ისლამურ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხებში იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებაც დაერთო ზედ. პანთურქიზმის იდეების წინა პლანზე წამოწევა ისევ აქტუალური ხდება. ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი ი. სტალინი, რომელიც კომუნისტური პარტიის პრინციპების, თურქიზმის რევოლუციური ელემენტების აღიანისის მომხრე იყო, იმედოვნებდა, რომ ეს საშუალებას მისცემდა ბოლშევიკებს, „განევრცოთ სოციალიზმი თურქული ნაციონალიზმის საშუალებით და ასე განეხორციელებინათ კოლონიალური რევოლუციის კონცეფცია“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყალიბდება რუსეთის ცენტრალური მუსლიმანური კომისარიატი, რომელმაც კომუნისტების იდეების გავრცელება მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში თავის პირველხარისხოვან ამოცანად დასახა. 1918 წლის გაზაფხულზე „ნარკომნაცის“ კოლეგიის წევრის, ცნობილი თათარი რევოლუციონერისა და პოლიტიკური მოღვაწის, მულანურ ვახიტოვის¹⁸⁸ ინიციატივით კომისარიატში შეიქმნა საგარეო პროპაგანდის განყოფილება. ამ განყოფილებას სათავეში ცნობილი თურქი კომუნისტი, მეჰმედ მუსტაფა სუფი¹⁸⁹ ჩაუდგა. განყოფილების მიზნებს შეადგენდა:

¹⁸⁶ Ленин, Соч., т. XXVI. Стр. 272.

¹⁸⁷ Richard G. Hovannisian. Armenia and the Caucasus in the Genesis of the Soviet-Turkish Entente. International Journal of the Middle East Studies, Cambridge University Press. Vol.4, No.2. (Apr., 1973), pp. 131. МИД СССР. Документы внешней политики СССР. Москва. 1957. Том I. <http://intersci.ss.uci.edu/wiki/eBooks/Articles/Armenia%20and%20Caucasus%20Hovannisian.pdf>.

¹⁸⁸ მულანურ ვახიტოვი (1885-1918) – თათარი რევოლუციონერი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, რსდმპ წევრი, ბოლშევიკი. ადრევე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე გახანში. ამავე პერიოდში ხდება მარქსისტული წრის წევრი. 1907 წელს შედის პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკურ განყოფილებაზე. 1912 წელს გადადის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც აყალიბებს სტუდენტ-მუსლიმანთა ბოლშევიკურ წრეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება გახანში, სადაც სათავეში უდგება მუსლიმანურ სოციალისტურ კომიტეტს. ეწევა ბოლშევიკთა აქტიურ ანტისამარ და რევოლუციურ პროპაგანდას. 1917 წლის ოქტომბერში ხდება გახანის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის წევრი და აქტიურად მონაწილეობს ქალაქ გახანში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებაში. 1918 წლის დასაწყისში ჩადის მოსკოვში, სადაც 17 იანვარს ხდება ლენინს. ინიშნება რუსეთის მუსლიმანთა საქმეების კომისარიატის ხელმძღვანელად, ამავე დროს – ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად. კომისარიატში მოღვაწეობის პერიოდში, 1918 წლის მარტში ხელი მოაწერა თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის დადგენილებას. 1918 წლის ივლისში ინიშნება ვოლგისპირეთში სურსათის საგანგებო კომისარად. 1918 წლის დეკემბრიდან იბრძვის თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრთა კომიტეტის КОМУЧ (КОМУЧ – КОМИТЕТ ЧЛЕНОВ Всероссийского Учредительного собрания) სახალხო არმიის მიერ გახანის აღების შემდეგ აპატიმრებენ და სვრეტენ სხვა ბოლშევიკ ლიდერებთან და კომისრებთან ერთად 1918 წლის 19 აგვისტოს.

¹⁸⁹ მეჰმედ მუსტაფა სუფი (Mehmed Mustafa Suphi) (1883-1921) – პროფესიით იურისტი თურქი პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. რუსეთში მოღვაწე რევოლუციონერი და მარქსისტი. უმაღლესი განათლება მიიღო პარიზში. აქვე ეზიარა მარქსიზმს. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 1914 წლიდან რუსეთშია. აქ მას აპატიმრებენ და როგორც სამხედრო ტყვეს, ასახლებენ ურალში, სადაც კავშირს ამყარებს ბოლშევიკებთან. 1915 წლიდან რსდმპ(ბ) წევრი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ აქტიურად მოღვაწეობს მოსკოვში, გახანში, ყირიმში, ტაშკენტში. რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული აღმოსავლეთის ხალხების კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს

1. ბროშურების, სააგიტაციო ფურცლებისა და მოწოდებების გამოქვეყნება არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებზე, ასევე, გაზეთ Yeni-Dunya-ს („ახალი გზა“) ბეჭდვა თურქულ ენაზე, რომლის პირველი ნომერიც 1918 წლის 27 აპრილს გამოვიდა.
2. მუსლიმანი აგიტატორების მომზადება და მათი გაგზავნა „აღმოსავლეთში“ რევოლუციური ჯგუფების ორგანიზების მიზნით.

და აქაც, ისევე როგორც ევროპაში, აღმოსავლეთში რევოლუციური იდეების გავრცელებისათვის ეფექტური ინსტრუმენტის, შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანა დგება. სრულიად რუსეთის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის, ლევ ტროცკის 1918 წლის 20 ნოემბრის №276 ბრძანებით იქმნება მუსლიმანთა ცენტრალური სამხედრო კოლეგია მირსაიდ სულთან-გალიევის თავმჯდომარეობით. კოლეგიამ დაუყოვნებლივ დაიწყო მოქმედება. 1918 წლის ბოლოსა და 1919 წლის დასაწყისში აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალურმა ბიურომ თურქი სამხედრო ტყვეების თავმოყრის ადგილებში მიაგვლინა წარმომადგენლები ბოლშევიკური აგიტაციის ჩატარების მიზნით. ეს სამუშაოები მიმდინარეობდა ლოზუნგით: „ჩამოაყალიბეთ ორგანიზაციები და ააგიზგიზეთ სოციალური რევოლუცია თურქეთში!“¹⁹⁰ უკვე 1919 წლის 20 თებერვალს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი¹⁹¹ მოხსენებით ბარათს უგზავნის რუსეთის სასკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ვლადიმერ ლენინს, რომ „საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა მოწოდებები არაბულ, სპარსულ და აზერბაიჯანულ ენებზე“.¹⁹²

1918 წლის 2 მაისს ეროვნებათა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა მუსლიმანთა მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის ინიციატივა, რომლის ორგანიზებაც თათრეთ-ბაშკირეთის ცენტრალურ კომიტეტს დაევალა. ეროვნებათა კომისარიატის ეს თაოსნობა სამხედროებმაც მოიწონეს.¹⁹³ იმავე 1918 წლის 17-18 ივლისს კი სულთან-გალიევის ინიციატივით მოსკოვში ჩატარდა თურქი მემარცხენე სოციალისტების კონფერენცია,

თავმჯდომარისა და რსფსრ ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის, მირსაიდ სულთან-გალიევის მდივანი. თურქეთის სახელით მონაწილეობს III ინტერნაციონალის პირველი კონგრესის მუშაობაში. „აღმოსავლეთის ხალხთა“ ბაქოს I ყრილობის დასრულების შემდეგ, 1920 წლის სექტემბრის ბოლოს რუსეთში მყოფი თურქული კომუნისტური ჯგუფებისა და I მსოფლიო ომის თურქი სამხედრო ტყვეების გაერთიანებით შექმნილი თურქეთის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი და მისი პირველი თავმჯდომარე. ამავე დროს რუსეთში მყოფი თურქი ტყვეების გაერთიანებით შექმნილი თურქული წითელი არმიის საბრძოლო ქვედანაყოფების წითელი კომისარი. 1921 წლის დასაწყისში მუსტაფა სუფი და თურქ კომუნისტთა ჯგუფი ბოლშევიკური პროპაგანდის ჩატარების მიზნით ვოიაჟს მართავს ანატოლიაში, რასაც ქემალისტი ლიდერები და ნაციონალისტები მწვავე პროტესტით ხვდებიან. 21 იანვარს ანატოლიიდან გაძევებული ეს ჯგუფი პატარა გემით ტოვებს ტრაპიზონს. იმავე დამეს მთელ ჯგუფს დაუდგენელ ვითარებაში ანადგურებენ.

¹⁹⁰ Станислав Тарасов. Мифы о Карабахском конфликте. Сборник статей. Международный институт новейших государств. Москва. 2012.

¹⁹¹ გიორგი (იური) ვასილევინ ჩიჩერინი (1872-1936) – ცნობილი რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. პოლიტოლოგი, ისტორიკოსი, მუსიკათმცოდნე, ლიტერატორი და კრიტიკოსი. 1896 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1897 წლიდან სამსახურს იწყებს საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილებაში მამამისთან, რომელიც ამ უწყებაში მსახურობდა. რსდმპ წევრი 1904 წლიდან – მენშევიკი. 1907 წელს აირჩიეს რსდმპ საზღვარგარეთული ბიუროს მდივნად. მონაწილეობდა პარტიის ლონდონის ყრილობის მუშაობაში. იმავე წელს გადადის გერმანიაში, სადაც აპატიმრებენ და გერმანიის პოლიცია მის დეპორტაციას ახდენს პასპორტის გაყალბების გამო. ბრუნდება დიდ ბრიტანეთში. I მსოფლიო ომის მსვლელობისას ცხოვრობდა ლონდონში. აქვე ხდება ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის წევრი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება რუსეთში და ემხრობა ბოლშევიკებს. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ინიშნება საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ჩინოფნიკად. 1918 წლის იანვრიდან რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის, ლევ ტროცკის მოადგილეა, შემდეგ კი, ტროცკის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარად გადასვლის შემდეგ – რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. 1922 წლის ბოლოდან საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი – მე-5 მოწვევების წევრი, 1925-1930 წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1930 წლიდან თავს ანებებს აქტიურ სახელმწიფო სამსახურს და გადის პენსიაში. გარდაიცვალა 1936 წელს.

¹⁹² Коминтерн и идея мировой революции: Сб. Док. М., 1998. Стр. 132.

¹⁹³ РЦХИДНИ, ф.558. оп.1. д.164. л.1. Просмотр темы - „Отец народов~ национальная политика • За Правду!.mht.

რომელსაც თურქი კომუნისტი მეჰმედ მუსტაფა სუფი ხელმძღვანელობდა. კონფერენციაზე აირჩიეს ცენტრალური ბიურო მუსტაფა სუფის თავმჯდომარეობით, რომელმაც აქტიური მუშაობა გააჩაღა თურქ სამხედრო ტყვეებში რევოლუციური და ბოლშევიკური აგიტაციის ჩატარების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, სამხედრო ტყვეებისა და თურქი იმიგრანტი მუშების წრიდან მუსტაფა სუფის ინიციატივით დაიწყო წითელი თურქული სამხედრო ქვედანაყოფების ჩამოყალიბება.

მუსტაფა სუფის ჯგუფის მიერ ტყვეთა შორის პროპაგანდისტული სამუშაოების ჩატარებისა და მათზე ბოლშევიკების მხრიდან დიდი ზეგავლენის მოხდენის შედეგად, ანკარაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომლის, ჰარვარდისა და ჰოპკინსის უნივერსიტეტების ახლო აღმოსავლეთისა და თურქეთის ისტორიის მკვლევარის, დოქტორ ჯორჯ ჰარისის (George S. Harris) მიხედვით, „ისინი ნელ-ნელა კომუნისტური ორგანიზაციების გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ“.¹⁹⁴ თურქი ტყვეებისაგან დაიწყო ორი თურქული ბატალიონის ჩამოყალიბებაზე მუშაობა. იგეგმებოდა ამ ბატალიონების ჩართვა ბოლშევიკთა სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფრონტების შემადგენლობაში. მათივე შემადგენლობიდან უნდა შერჩეულიყო აგრეთვე კადრები მომავალი „თურქეთის კომუნისტური პარტიის“ ჩამოსაყალიბებლად. ფაქტია, რომ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით თურქი ტყვეების არსებობა აღმოსავლეთში ბოლშევიკური რევოლუციის იდეების გავრცელებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა.

I მსოფლიო ომის მიწურულს, 1918 წლის 4-12 ნოემბერს, მოსკოვში ტარდება აღმოსავლეთის ხალხების კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის I ყრილობა, რომელზეც იქმნება ამ ორგანიზაციების ცენტრალური ბიურო. თავის გამოსვლაში სტალინმა განაცხადა: „ჩვენი ამოცანა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდების გადება და ერთიანი რევოლუციური ფრონტის ორგანიზებაა... თქვენთვის გახსნილია ინდოეთისა და სპარსეთის, ავღანეთისა და ჩინეთის კარი...“ მაგრამ ამავე დროს, მოსკოვი, ისევე როგორც თავის დროზე პეტერბურგი, კატეგორიული იყო იმ თვალსაზრისით, რომ მუსლიმან აქტივისტებთან მუშაობის პროცესში პანისლამისტურ იდეოლოგიას არ ემძლავრა. რუს ბოლშევიკთა ლიდერებს, ლენინსა და სტალინს მკაცრად ჩამოყალიბებული პოზიციები ეკავათ და ისინი აქტიურად გამოდიოდნენ პანისლამიზმის იდეების წინააღმდეგ. მათ შეცვლას კი ისინი ე.წ. „რევოლუციური ნაციონალიზმით“ ცდილობდნენ.¹⁹⁵

უკვე 1918 წლის 15 დეკემბერს, გაზეთ „Жизнь Национальностей“-ს მოწინავე სტატიაში „С Востока свет“ საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საბჭოს სახალხო კომისარი „მსოფლიო სოციალიზმისათვის“ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა „აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს“: „ამ უდიდესი მოვლენების ცენტრში დგას მსოფლიო რევოლუციის მედროშე – საბჭოთა რუსეთი, რომელიც ჩაგრული ხალხების მუშებსა და გლეხებს გამარჯვების რწმენით აღავსებს და მხარს უჭერს მათ განმათავისუფლებელ ბრძოლას მსოფლიო სოციალიზმის სასარგებლოდ. დასავლეთი მისი იმპერიალისტური კაციჭამიებით სიბნელისა და მონობის კერად გადაიქცა. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიხარულოდ და სანუგეშოდ დავამსხვრიოთ ეს კერა“.¹⁹⁶ ხოლო თავის ნაშრომში „Марксизм и национально-колониальный вопрос“ სტალინი მიუთითებდა, რომ ოქტომბრის გადატრიალებამ „სოციალისტურ დასავლეთსა და

¹⁹⁴ G. S. Harris. The Communists and the Kadro Movement: Shaping Ideology in Atatürk's Turkey. Istanbul. The ISIS Press. 2002, p. 45. Интернационалисты трудящиеся зарубежных стран - участники борьбы за власть советов. Том II // Часть II. Глава V. Интернационалисты в борьбе за власть советов в Закавказье. http://www.fedy-diary.ru/?page_id=4219.

¹⁹⁵ Станислав Тарасов. Мифы о Карабахском конфликте. Сборник статей. Международный институт новейших государств. Москва. 2012. Стр. 436.

¹⁹⁶ „Жизнь Национальностей“, № 6, 15 декабря 1918 г. Передовая. Подпись: И. Сталин.

დამონებულ აღმოსავლეთს შორის შემაერთებელი ხიდი გადო, რითაც, რუსული რევოლუციის გავლით, მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციის ახალი ფრონტი ააშენა დასავლეთის პროლეტარიატიდან აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებამდე.¹⁹⁷

1919 წლის 27 იანვარს მოსკოვში მუსლიმანთა დიდი კონფერენცია შეიკრიბა, რომლის 3000 დელეგატიდან 2000-ს თურქი ეროვნების ყოფილი ტყვე აღმოჩნდა. ამ უკანასკნელთა სახელით მირსაიდ სულთან-გალიევა კენჭისყრაზე შემდეგი რეზოლუცია შეიმუშავა: „ჩვენ, მუსლიმანი ტყვეები, ვაღიარებთ, რომ რუსული რევოლუციის განვითარება სწორი გზით მიმდინარეობს და მხარს ვუჭერთ საბჭოთა მთავრობას, მის საგარეო და საშინაო კურსს. ვდებთ პირობას, რომ მთელი ძალებითა და საშუალებებით მხარს დავუჭერთ საბჭოთა ხელისუფლებას და მოუწოდებთ სხვა ტყვეებს, შემოგვიერთდნენ ამ ბრძოლაში!“¹⁹⁸

პროლეტარიატის დიდი ბელადი, ვლადიმერ ლენინი კი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო იმაში, რომ „ინდოეთისაკენ მიმავალი გზაზე“ „აღმოსავლეთის ხალხების განთავისუფლება“ სრულიად გარდაუვალი მოვლენა იყო. ეს ბრძოლა, – აღნიშნავდა იგი, – „როგორი სუსტებიც არ უნდა იყვნენ აღმოსავლეთის ხალხები, როგორ დაუმარცხებლადაც არ უნდა ჩანდეს ევროპელ მჩაგვრელთა სამხედრო ძალა, რომლებიც ბრძოლაში ტექნიკისა და სამხედრო ხელოვნების ყველა მიღწევას იყენებენ, თავის თავში ისეთ შესაძლებლობებსა და ისეთ სასწაულებს მოიცავენ, რომ ამ ხალხების განთავისუფლება „სრულიად და პრაქტიკულად შესრულებად ამოცანას წარმოადგენს“, თუკი ეს ომი მილიონობით მშრომელსა და ექსპლუატირებულს გამოაღვიძებს.“¹⁹⁹

მუსლიმანი კომუნისტები კი თვლიდნენ, რომ მოსკოვის მიერ გამოცხადებულ აღმოსავლურ პოლიტიკაში მათი მისია მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას იძენდა. ასე მაგალითად, 1919 წლის მაისში გამართული კონფერენციის მიმართვას შემდეგი სახე ჰქონდა:

„თურქეთის, ინდოეთის, სპარსეთის, ავღანეთის, ხივის, ბუხარის, ჩინეთისა და აღმოსავლეთის რევოლუციური პროლეტარიატის სხვა წარმომადგენლებს!
ყველას! ყველას! ყველას!

ჩვენ, თურქესტანის მუსლიმანი კომუნისტები, რომლებიც ტაშკენტში მიმდინარე პირველ სამხარეო კონფერენციაზე შევიკრიბეთ, გიგზავნით ძმურ სალაშქარს. ჩვენ თავისუფლები ვართ, თქვენ კი დამონებულნი. მოუთმენლად ველოდებით იმ დროს, როდესაც თქვენც ჩვენს გზას დაადგებით და მართვის ორგანოებს საკუთარ ხელში აიღებთ – მუშათა და დეხკანთა²⁰⁰ დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ხელში. ვიმედოვნებთ, რომ მალე ერთად დავდგებით მსოფლიო კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში, რომელიც აღმოსავლეთის ხალხების ინგლისურ მოხრჩობაში გამოიხატება.“²⁰¹

1919 წლის სექტემბერში ტროცკი ყველანაირად ცდილობდა, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიეღო დადგენილება „თურქესტანში სერიოზული სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა სამხრეთისაკენ შეტევითი მოქმედებების დაწყებას“.²⁰² საარქივო დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მართლაც განაცხადა თანხმობა ტროცკის ამ

¹⁹⁷ И. Сталин. Марксизм и национально-колониальный вопрос. Партиздат ЦК ВКП(б), 1935г. Стр. 57.

¹⁹⁸ „Жизнь национальностей“, №2 (10), 29-1-1919. Стр. 16.

¹⁹⁹ Ленин, Соч., т. XXIV. Стр. 544.

²⁰⁰ დეხკანი – შუაზიელი გლეხი.

²⁰¹ ГАРФ. Ф. 1318. Оп. 1. Д. 441. Л. 29. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

²⁰² Юрий Тихонов. Афганская война Сталина. Битва за Центральную Азию. Письмо Л. Троцкого в ЦК РКП(б) от 20.09.1919 г. // С. 149. http://aleksandr-kommari.narod.ru/tihonov_afghanistan.htm.

მოთხოვნაზე და სექტემბერშივე გაიგზავნა იქ 25 ათასი შაშხანა... „მისი ავღანეთის მთავრობისათვის დაუყოვნებლივ გადასაცემად...“²⁰³ თუმცა, ავღანეთთან და იქ განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებულ ამ საკითხებს ნაშრომის შესაბამის თავში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით. მალე კი ისიც გაჟღერდა, რომ „ყველა მშრომელისა და აღმოსავლეთის ასეულობით მილიონი ექსპლუატირებული ხალხისათვის“ მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატი წარმოადგენდა ერთადერთ მოკავშირეს. 1919 წლის 7 დეკემბერს მოსკოვში იხსნება აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების II საკავშირო ყრილობა. თავის მისასალმებელ სიტყვაში ლენინმა აღნიშნა, რომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია აღმოსავლეთის ხალხების დამოკიდებულება იმპერიალიზმთან და ამ ხალხების რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა. კერძოდ, მან განაცხადა:

„ის გამარჯვებები, რომელსაც ჩვენ ვაღწევთ კოლჩაკის, იუდენიჩისა და დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნიშნავს ახალი ერისა და მსოფლიო იმპერიალიზმის ბრძოლის ისტორიის დადგომას იმ ხალხებისა და ქვეყნებისათვის, რომლებმაც თავიანთი განთავისუფლებისათვის დაიწყეს ბრძოლა...“ და შემდეგ: „...ვფიქრობ, რომ იმას, რასაც წითელი არმია ახლა აკეთებს, მის ბრძოლასა და გამარჯვებების ისტორიას აღმოსავლეთის ყველა ხალხისათვის გიგანტური, მსოფლიო მნიშვნელობა ექნება“.²⁰⁴ „აღმოსავლეთის ქვეყნების მშრომელთა მასებმა უნდა იცოდნენ, რომ „საერთაშორისო პროლეტარიატი წარმოადგენს ერთადერთ მოკავშირეს ყველა მშრომელისა და აღმოსავლეთის ასეულობით მილიონი ექსპლუატირებული ხალხებისათვის“.²⁰⁵

სწორედ აქ, „აღმოსავლეთში“, ისლამურ სამყაროში უნდა გახსნილიყო „საერთაშორისო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის მეორე და მთავარი ფრონტი, რასაც რუსეთიდან გატანილი „სოციალისტური რევოლუციის“ გზით „კოლონიალური რევოლუცია“ და ბურჟუაზიისაგან „აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების“ განთავისუფლება უნდა მოჰყოლოდა შედეგად. აკი ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული ვლადიმირ ლენინს ბოლშევიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი დასკვნა: „სოციალისტური რევოლუცია არ იქნება მხოლოდ რომელიმე ქვეყნის რევოლუციური პროლეტარიატის ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. არა! ეს იქნება იმპერიალიზმისაგან ჩაგრული კოლონიებისა და ქვეყნების, ყველა დამოკიდებული ქვეყნის ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ“.²⁰⁶ ხოლო იმავე 1919 წლის 7 დეკემბერს, აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობის გახსნაზე ი. სტალინმა მოხსენება გააკეთა, რომელშიც უკვე ღიად გაისმა მოწოდებები „კომუნისტური მუსლიმანური ორგანიზაციების მიერ იმპერიალიზმის განადგურებისაკენ“:

„ამხანაგებო! I ყრილობის დასრულებიდან ერთი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სოციალიზმის ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: პირველი – ესაა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის რევოლუციონიზაცია და იქ კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება და მეორე – აღმოსავლეთის ხალხების გამოღვივება, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებში. აქ, დასავლეთში, პროლეტარიატი იმუქრება, გაანადგუროს იმპერიალისტური ქვეყნების ავანგარდი და ხელში აიღოს ძალაუფლება. იქ, აღმოსავლეთში, პროლეტარიატი იმუქრება, გაანადგუროს იმპერიალიზმის ზურგი – აღმოსავლეთი, რომელიც დასავლეთისათვის სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს, რადგან აღმოსავლეთი – ესაა საფუძველი, რაზეც დასავლეთი

²⁰³ Письмо М. Баракатуллы Амануллы-хану от 26.05.1920 г. // АВП РФ. Ф. 090. Оп. 3. П. 1. Д. 3. Л. 11 (об).

²⁰⁴ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 39, стр. 321.

²⁰⁵ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 39, стр. 330.

²⁰⁶ დასახელებულ ნაშრომი. გვ. 327.

თავის სიმდიდრეს აშენებს. ეს ის წყაროა, საიდანაც დასავლეთი იღებს ძალებს და ის აღვილია, საიდანაც ის უკან დაიხევს განადგურების შემთხვევაში...

ერთი წლის წინ დასავლეთში მსოფლიო იმპერიალიზმი ემუქრებოდა საბჭოთა რუსეთს მჭიდრო რკალის შემორტყმით. ახლა კი აღმოჩნდა, რომ თვითონაა გარშემორტყმული, იმიტომ, რომ მას ურტყამენ ფლანგებზეც და ურტყამენ ზურგშიც...

და ამხანაგებო, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ყრილობა, II ყრილობა, რომელიც უფრო მდიდარია როგორც რიცხობრივად, ასევე თვისობრივად, ვიდრე I ყრილობა, შეძლებს, გააგრძელოს ჩვენ მიერ დაწყებული აღმოსავლეთის ხალხების გამოღვიძების საქმე, გააძლიეროს ის ხიდი, რომელიც გაჭიმულია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ეს ყრილობა გააგრძელებს იმპერიალიზმის საუკუნოვანი ჩაგვრისაგან მშრომელთა მასების განთავისუფლებისათვის მუშაობას...

იმედი ვიქონიოთ, რომ იმ დროშას, რომელიც ავწიეთ I ყრილობაზე, აღმოსავლეთის მშრომელთა მასების განთავისუფლების დროშას, იმპერიალიზმის განადგურების დროშას ბოლომდე ღირსეულად მიიტანენ კომუნისტური მუსლიმანური ორგანიზაციები (აპლოდისმენტები)“.²⁰⁷

კრემლის მესვეურებმა რევოლუციური ძალისხმევა ძირითადად თურქეთისაკენ მიმართეს. ამ ეტაპისათვის, ანუ I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისათვის, სწორედ ოსმალთა ყოფილ იმპერიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება ქმნიდა მეტად ნოყიერ ნიადაგს ბოლშევიკთა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ექსპორტირების საქმეში. ასეთი გათვლები ჰქონდა პროლეტარიატის დიდ ბელადს, ვლადიმერ ლენინს, ასეთი გათვლები ჰქონდა ეროვნებათა სახალხო კომისარს, იოსებ სტალინს და ასეთივე გათვლები ჰქონდა სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარს, „რევოლუციის ბოროტ გენიას“, ლევ ტროცკის. ასევე ფიქრობდა თვითონ მირსაიდ სულთან-გალიევიც, მუსლიმანთა ცენტრალური სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თურქეთში რევოლუციური აქტიურობის ზრდას, რასაც მან „ნარკომნაცის“ ბეჭდვით ორგანოში „Жизнь национальностей“, ორი ვრცელი სერიოზული სტატიაც მიუძღვნა: „მუსტაფა სუფი და მისი ნაშრომი“ და „ბოლო ხანს თურქეთში არსებული მდგომარეობა“ (№14 (71) 16. 05. 1920 წ. და №15 (72) 23. 05. 1920 წ.).

§2.4. რუსულ-თურქული რევოლუციური ურთიმართობების დასაწყისი

აღმოსავლეთის ქვეყნების ზემოთ წარმოდგენილ ფართო გეოგრაფიულ არეალში ჩვენი კვლევის სფეროს, გასაგები მიზეზების გამო, ამიერკავკასია და თურქეთი, უფრო ზუსტად კი, ამიერკავკასია და ანატოლია წარმოადგენს, სწორედ ის რეგიონი, სადაც 1919 წლიდან რუსმა ბოლშევიკებმა ფართო იდეოლოგიური, პოლიტიკური, დიპლომატიური, აგენტურული და სამხედრო საქმიანობა გააჩაღეს. ამიერკავკასიაში მათ

²⁰⁷ „Жизнь Национальностей“ № 46, 7 декабря 1919 г. <http://grache.v62.narod.ru/stalin/index.htm>.

ადგილობრივი ბოლშევიკებისა და სუსტი ეროვნული ხელისუფლებების გამოუცდლობის, ხოლო თურქეთში ახლადჩასახული, ანტანტას დაპირისპირებული „რევოლუციური“ მოძრაობის იმედი ჰქონდათ და არცთუ უსაფუძვლოდ. ბოლშევიკთა ინტერესები ამიერკავკასიის მიმართ სრულადაა ჩამოყალიბებული ი. სტალინის იმ ინტერვიუში, რომელიც მან გაზეთ „Правда“-ს კორესპონდენტს მისცა 1920 წელს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, აქ ახალი არაფერია – ამიერკავკასია და მისი მეტად მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობა, ევროპა-აზიის შემაერთებელი მთავარი მაგისტრალი, მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, განსაკუთრებით, ენერგომატარებლები, ამ რესურსების ტრანსპორტირების მოსახერხებელი დერეფანი და ა.შ. და ა.შ. ეს ის მახასიათებლები და ის კომპონენტებია, რომლის ფლობასა და კონტროლის მოპოვებასაც ესწრაფოდნენ მაშინაც და ესწრაფვიან დღესაც სხვადასხვა წარმომავლობისა თუ სიდიდის სახელმწიფო და პოლიტიკური ჯგუფები თუ საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტები:

„კავკასიის მნიშვნელობა რევოლუციისათვის განისაზღვრება არა მხოლოდ იმით, რომ იგი წარმოადგენს ნედლეულის, სავაჭრისა და სურსათის წყაროს, არამედ იმიტომაც, რომ იგი მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შორის. იგი მნიშვნელოვანია აგრეთვე იმიტაც, რომ აქ გადის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზები (ბათუმი-ბაქო, ბათუმი-თავრიზი, ბათუმი-თავრიზი-არზრუმი). ყველაფერ ამას ითვალისწინებს ანტანტა, რომელიც ახლა ფლობს კონსტანტინოპოლს – შავი ზღვის ამ გასაღებს და სურს, შეინარჩუნოს პირდაპირი გზა აღმოსავლეთისაკენ ამიერკავკასიის გავლით. ბოლოს და ბოლოს, ვინ დამკვიდრდება კავკასიაში, ვინ ისარგებლებს აზიის სიღრმეში მიმავალი ნავთობითა და უმნიშვნელოვანესი გზებით – რევოლუცია თუ ანტანტა? – ამაში მდგომარეობს საკითხის მთელი არსი“.²⁰⁸

თავად კავკასიის ხალხებს კი ასე უხსნიდა საბჭოთა ხელისუფლების არსს ლენინის „ნამესტნიკი კავკასიაში“ სერგო ორჯონიკიძე²⁰⁹ თავის სიტყვაში, რომელიც „თერგის რესპუბლიკის მშრომელი ხალხების V ყრილობაზე“ წარმოთქვა:

„ჩვენ არ წარმოვადგენთ არც ჩეჩნების, არც ინგუშების, არც რუსებისა და არც ქართველების ხელისუფლებას: ჩვენ შრომისა და სიღარიბის ხელისუფლებას წარმოვადგენთ სარწმუნოებისა და ეროვნების გარეშე. სიამაყით შეგვიძლია იმის კონსტატირება, რომ მთელი მუსლიმანური სამყარო, მთელი აღმოსავლეთი არა ინგლისს, არა საფრანგეთს, არამედ საბჭოთა რუსეთსა და მოსკოვს მიმართავს. (მხურვალე აპლოდის-

²⁰⁸ И. Сталин. Положение на Кавказе. Беседа с сотрудником газеты „Правда“. №269, 30 ноября 1920 г.

²⁰⁹ გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე (1886-1937) – ცნობილი ქართველი და რუსი პროფესიონალი რევოლუციონერი, ბოლშევიკი. საბჭოთა, პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, განათლებით ფერშალი. რსდმპ წევრი 1903 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა ამიერკავკასიაში, შავი ზღვისპირეთში. 1911 წელს საფრანგეთში ლონჟუმოს პარტიული სკოლის მსმენელი. იმავე წლის ივლისში ლენინის პირადი დავალებით ბრუნდება რუსეთში სრულიად რუსეთის პარტკონფერენციის რწმუნებულად. თბილისის ორგანიზაციის დელეგატი, რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1909 წელს სპარსეთის ე.წ. „საკონსტიტუციო რევოლუციის“ აქტიური მონაწილე. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების აქტიური მონაწილე. 1918 წლის დასაწყისიდან რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საგანგებო რწმუნებული უკრაინაში, იმავე წლის ზაფხულიდან – საგანგებო რწმუნებული ჩრდილოეთ კავკასიაში. კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე. 1920 წლის აპრილიდან ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ბოლშევიკური ოკუპაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, იდეური, იდეოლოგიური და სამხედრო ხელმძღვანელი. 1922 წლიდან ამიერკავკასიის, ხოლო 1926 წლიდან კომპარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტების პირველი მდივანი. 1912-1917, 1921-1927 წლებში და 1934 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1926-1930 წლებში კომპარტიის ცეკას ცენტრალური კონტროლის კომისიის წევრი და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1930 წელს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ კი – საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის მინისტრი. 1930-1937 წლებში საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრი. გარდაიცვალა 1937 წლის 18 თებერვალს. გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად ინფარქტი იქნა დასახელებული.

მენტები)...“²¹⁰ აი, ასე. ურწმუნო და უეროვნებო „შრომისა და სიღარიბის“ ბოლშევიკი ხელისუფალნი მთელი მუსლიმანური სამყაროს თავის მხარეზე გადაბირებისა და ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების გეგმას ამაყად და ხმამაღლა აცხადებდნენ. ამ ბრძოლის მთავარ დამგვემავ ორგანოდ, ასე ვთქვათ, „მთავარ შტაბად“ კი, „კავკასიის ბატონ-პატრონის“ განცხადებით, მოსკოვი და კრემლი სახელდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოპოვებული ხელისუფლებისა და საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის გაძლიერება-განმტკიცებისათვის, აგრეთვე ამ ხელისუფლების ექსპორტირებისათვის ბრძოლის საქმეში რუსული ბოლშევიზმის იდეოლოგიური მამები აქამდე გაუგონარი პოლიტიკური ლავირების, გარიგებებისა და თვალთმაქცობის გზას დაადგნენ. სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ფარისევლობის აღნიშნული ტაქტიკა ყველაზე უფრო კარგად სწორედ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან და თურქეთთან მიმართებაში გამოვლენდა, სადაც შემდგომში დატრიალებულმა მოვლენებმა სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით ლოგიკური განვითარება ჰპოვეს ამიერკავკასიის ახლადგაჩენილი რესპუბლიკების ცხოვრებაში. იგივე პროცესები დაიგეგმა კიდევ ორ აღმოსავლურ ქვეყანასთან, ავღანეთთან და ინდოეთთან მიმართებაში, თუმცა აქ ბოლშევიკმა ლიდერებმა საკუთარი ძალები და შესაძლებლობები ბოლომდე სწორად ვერ გათვალეს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებმა აქაც გაითამაშეს ანატოლიური „თურქული მარში“, ფაქტია, რომ ამ ქვეყნებთან მიმართებაში მათ თავისი ჩანაფიქრების განხორციელება მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ექსპორტსა და გასაბჭოებასთან დაკავშირებით ვერ შეძლეს. თუმცა, ამ საკითხებზე ოდნავ ქვემოთ გვექნება არგუმენტირებული და უფრო არსებითი საუბარი.

და რა ტიპის ურთიერთობებს შეიძლებოდა ჰქონებოდა ადგილი XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან რუსულ და თურქულ სახელმწიფოებს შორის, რომელთა საუკუნოვანი ურთიერთობები მხოლოდ და მხოლოდ მტრობისა და ომების ისტორიით იფარგლებოდა? ისიც ხომ ფაქტია, რომ მსოფლიოს არცერთ სხვა ქვეყანას არ უომია ერთმანეთთან იმდენი, რამდენიც რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს? ისტორიული გამოცდილებაც და წარსულის გაკვეთილებიც ხომ ამას გვასწავლის? ისიც ხომ ფაქტია, რომ სხვა ქვეყნებს შორის არასოდეს ყოფილა ისეთი ინტენსიური ხასიათის სამხედრო დაპირისპირებები, როგორც ამ ორი აზიური ტიპის იმპერიას შორის არსებობდა?

მართლაც, ისტორიას თუ გადავხედავთ, მხოლოდ XVIII საუკუნის განმავლობაში ოსმალთა იმპერიამ 8 ომი გადაინახა რუსეთთან, XIX საუკუნეში – 4, და XX საუკუნეშიც ერთმანეთის წინააღმდეგ გლობალურ კონფლიქტში – I მსოფლიო ომში ჩაებნენ. მაგრამ, როგორც იტყვიან, ეპოქა, დრო და დიდი პოლიტიკა განსაზღვრავს სახელმწიფოთა თანაარსებობის ხასიათს და არა მხოლოდ ისტორიული გამოცდილება. აქედან გამომდინარე, ამჯერად, XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან, რუსულ-თურქული ურთიერთობები თვისობრივად განსხვავებულ ეპოქასა და რეალობაში შედის, რეალობაში, რომელსაც თავს უკვე „დიდი აჩრდილი“ დასტრიალებს. ალბათ გასაგებია, რა აჩრდილზეცაა აქ საუბარი, რომლის „გავლენის ზონად“ მისი ავტორების, დიდი მარქსისა და ენგელსის მიერ XIX საუკუნის შუა ხნებისათვის მხოლოდ ევროპა იყო განსაზღვრული. „აჩრდილი დადის ევროპაში – აჩრდილი კომუნიზმისა“, – ასე იწყებოდა მარქსიზმის ფუძემდებლური ნაშრომი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, შემდეგ კი – „...დიდი ხანია დროა, რომ კომუნისტებმა მთელი მსოფლიოს წინაშე აშკარად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, თავიანთი მიზნები, თავიანთი მისწრაფებანი და კომუნიზმის აჩრდილის შესახებ არსებულ ზღაპრებს დაუპირისპირონ თვით პარტიის მანიფესტი“.²¹¹ და რადგან დიდი ხანია, დრო იყო, რომ კომუნისტებს მთელი მსოფლიო-

²¹⁰ Г. К. Орджоникидзе. Статьи и речи. В двух томах. Государственное издательство политической литературы. Москва. 1956. Том I. 1910-1926 гг. Стр. 71-72.

²¹¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი. სახელგამი. თბილისი. 1954. გვ. 35.

სათვის გაეგებინებინათ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის არსი“, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც, ამ მისიის აღსრულება მარქსის დიდმა მოწაფემ, ვლადიმერ ულიანოვ-ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა ითავეს. ხსენებული ნაშრომის შეფასებისას ლენინი წერდა: „ამ ნაწარმოებში გენიალური სიცხადითა და სიმკვეთრითაა გადმოცემული ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს, დიალექტიკა, როგორც უაღრესად ყოველმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარების შესახებ, თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის, როგორც ახალი კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლისა...“²¹²

მართალია, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 1954 წლის ამ ქართულ გამოცემაში ცოტა გაუმართავადაა ნათარგმნი ლენინის ნააზრევი, მაგრამ იდეა და ამოცანა გასაგებია – ისევე როგორც მარქსთან, აქაც, ლენინთან, საჭიროა „პროლეტარიატის, როგორც ახალი კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის როლში“ გავარკვეოთ მსოფლიო, პირველ რიგში კი, რუსეთის უახლოესი მეზობლები, სადაც უკვე „მომწიფებულია რევოლუციური სიტუაცია“. და რადგან დასავლეთით, ევროპელ მეზობლებთან ეს პროცესები სასურველი სიჩქარით ვერ ხორციელდება, ამიტომ შემდეგი მიმართულება სამხრეთი და ანატოლია უნდა იყოს. მაგრამ ანატოლია და ოსმალთა იმპერია?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტორიული რეალობაა, რომ არც ერთ სხვა სახელმწიფოსთან არ უწარმოებია რუსეთს იმდენი ომი, რამდენიც ოსმალთა იმპერიასთან. ეს ომები ფაქტიურად უწყვეტად მიმდინარეობდა მთელი 240 წლის განმავლობაში – 1676-1681, 1695-1700, 1710-1713, 1735-1739, 1768-1774, 1787-1791, 1806-1812, 1828-1829, 1853-1856, 1877-1878, 1914-1918 წლებში. ამ ომებს შორის არსებული ე.წ. „მშვიდობიანობის“ პერიოდები კი დროებითი დაზავება, რუსული „ცივი ომი“, ან მომავალი ომისათვის სამზადისი იყო. გამოდის, რომ რუსეთი, თუნდაც წითელი, თუნდაც ბოლშევიკური, თავის საუკუნეობრივ და დაუძინებელ მტერთან კრავდა მეტად გაუგებარ და ბუნდოვან ალიანსს.

დასახული ამოცანის გასაღები კი მეტად მარტივია – აქ საუბარია არა ოსმალეთის იმპერიას, სულთანსა და კონსტანტინოპოლზე, არამედ „ახალ თურქეთზე“, ე.წ. „თურქულ რევოლუციაზე“, მის ლიდერ, გენერალ მუსტაფა ქემალსა და ანგორაზე (ანკარა). თანამშრომლობის მეორე ვექტორი კი ყოფილი იმპერიის მმართველ ტრიუმვირატსა და „რევოლუციონერებად“ გარდაქმნილ იტიჰადისტ ლიდერებზე – ენვერ, თალათ და ჯემალ ფაშებზე გადიოდა. „თურქულმა რევოლუციამ მნიშვნელოვანი მოკავშირე შეგვიძინა“, – გვამცნობდა გაზეთ „Известия“-ს 1919 წლის 23 აპრილის მოწინავე სტატია.

თურქეთთან მიმართებაში საბჭოთა რუსეთის იდეოლოგიურმა ხელმძღვანელებმა თანამშრომლობის ორი ვექტორი აირჩიეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი ახალ თურქულ მოძრაობასა და დიდ ეროვნულ კრებას შეეხებოდა, ხოლო მეორე – მასთან დაპირისპირებულ ძალას – ოსმალთა იმპერიის მმართველი „ერთიანობისა და პროგრესის“ (იტიჰადისტ-იუნიუნისტები) „ახალგაზრდა თურქთა“ პარტიასა და მის ლიდერებს. დიდი სტრატეგიის თვალსაზრისით, ბოლშევიკებისათვის ეს იყო ძირითადი და სათადარიგო მოთამაშის თანაარსებობისა და მიზანშეწონილი მხარდაჭერის ტაქტიკა. ბოლშევიკთა მხრიდან პირველი მიმართულების კოორდინატორები, „ნარკომნაცი“ იოსებ სტალინი და „კავკასიის ბატონ-პატრონი“, სერგო ორჯონიკიძე იყვნენ, რომლებიც

²¹² კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი. სახელგამო. თბილისი. 1954. გვ. 35.


ძალიან კარგად ერკვეოდნენ „აღმოსავლეთის ხალხებში“, ხოლო მეორისა – საერთა-შორისო სოციალისტური მოძრაობის ლიდერები, კარლ რადეკი და გრიგორი ზინოვიევი.

ახალი თურქული მოძრაობის მხრიდან პირველ მიმართულებაზე იგივე როლის შესრულება ქემალისტურ ტანდემს, გენერალ ქიაზიმ ყარაბეკირ ფაშას²¹³ და გენერალ ჰალილ ფაშა ქუთის²¹⁴ ჰქონდათ დაკისრებული. ხოლო მეორე მიმართულებაზე, ანუ,

²¹³ მუსა ქიაზიმ ყარაბეკირი (Musa Kâzım Karabekir) (1882-1948) – ოსმალთა და თურქი სამხედრო, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორი (მირლივა) და ქემალისტთა არმიის გენერალ-ლეიტენანტი/პოლკოვნიკი (ფერიკი). ბალკანეთის, I მსოფლიო ომისა და თურქეთის დამოუკიდებლობის ომის აქტიური მონაწილე. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი. I მსოფლიო ომში ამიერკავკასიის ფრონტზე მოქმედი ქვეითი პოლკის მეთაური, ხოლო 1917 წლის ბოლოდან ამიერკავკასიაში გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიის დივიზიის მეთაური. I მსოფლიო ომის ბოლოს ოსმალთა აღმოსავლეთის არმიის სარდალი. 1919 წლის გაზაფხულიდან გენერალ მუსტაფა ქემალთან (შემდგომში – ათათურქი) ერთად სათავეში უდგება ანატოლიაში აგორებულ ანტისაოკუპაციო წინააღმდეგობის მოძრაობას. თურქეთის ნაციონალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, გენერალ მუსტაფა ქემალ ფაშას უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, 1919 წლიდან არზრუმის ვილაიეთში დისლოცირებული ოსმალთა მე-15 საარმიო კორპუსის სარდალი და რეგიონის ფაქტობრივი მმართველი, შემდეგ – ქემალისტთა შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი/პოლკოვნიკი (ფერიკი). ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა და ფაქტობრივი კოორდინატორი. 1920 წელს, სომხეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას, მისი სარდლობით განახორციელეს მე-15 საარმიო კორპუსის ქვედანაყოფებმა სომხეთის დასავლეთი ნაწილის (სარიყამიში, ყარსი, ალექსანდროპოლისი) ოკუპაცია. ასევე, 1921 წლის თებერვალში მისი არმიის ქვედანაყოფებმა მოახდინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არტანუჯის, ხოლო მარტში – ბათუმის ოლქების დაკავება. 1921 წლის ოქტომბერში იგი წარმოადგენდა თურქეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის დადებული ყარსის ისტორიული ხელშეკრულების სულისჩამდგმელსა და ქემალისტთა მხრიდან ცენტრალურ, სრული რწმუნებით აღჭურვილ პირს. თურქთა მხრიდან სწორედ მან მოაწერა ხელი ამ ხელშეკრულებას. აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1922 წლიდან თურქეთის დიდი ეროვნული კრების (პარლამენტის) წევრი და ქემალისტთა 1-ლი არმიის გენერალური ინსპექტორი. პარლამენტმა დააჯილდოვა თურქეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – „დამოუკიდებლობის ორდენით“. 1924 წლიდან ოპონიციამში უდგება მუსტაფა ქემალ ფაშას, თანამოაზრეებთან ერთად აფუძნებს „პროგრესულ რესპუბლიკურ პარტიას“ და მისი პირველი თავმჯდომარე ხდება. 1925 წელს დააპატიმრეს მუსტაფა ქემალის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით. 1938 წელს, მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ რეაბილიტირებულ იქნა. 1946 წელს აირჩიეს თურქეთის პარლამენტის სპიკერად. გარდაიცვალა 1948 წელს.

²¹⁴ ჰალილ ფაშა ქუთი (Halil Paşa Kut) (1882-1957) – ოსმალთა მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი (ფერიკი), ოსმალთა იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ენვერ და ნური ფაშების ბიძა. თურქეთ-იტალიის, ბალკანეთისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი. 1905 წელს ამთავრებს კონსტანტინოპოლის სამხედრო აკადემიას. მსახურობს მაკედონიაში დისლოცირებულ მე-3 არმიაში. 1908 წლის „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის მონაწილე. 1909 წლიდან იგზავნება ირანში აგენტურული და ძირგამომთხრელი მუშაობისთვის. 1910 წლიდან სათავეში უდგება იმპერიის გვარდიას. ბალკანეთის ომებში მეთაურობს მობილური ჟანდარმერიის ქვედანაყოფებს. I მსოფლიო ომის საწყის ფაზაში კავკასიის ფრონტზე დისლოცირებული მე-3 არმიის დივიზიის მეთაურია. 1915 წლიდან მესოპოტამიის ფრონტის სარდალია. მესოპოტამიიდან გენერალ თაუნშენდის ბრიტანელთა საქეპედიციო ძალების განდევნის შემდეგ, ბაღდადის ვილაიეთის გენერალ-გუბერნატორი და ჯარების სარდალი. 1916 წლიდან მესოპოტამიაში გაშლილი ოსმალთა მე-6 არმიის სარდალი. 1918 წლის 28 ივნისიდან არმიათა ჯგუფი „აღმოსავლეთის“ სარდალი. 1918 წლის აგვისტოდან I მსოფლიო ომის დასრულებამდე ოსმალეთის სახმელეთო ჯარების სარდალი. მუდროსის ზავის დადების შემდეგ ბრიტანელები აპატიმრებენ და ნური ფაშასთან ერთად სვამენ ბათუმის ციხეში. ციხიდან გაქცევის შემდეგ ემხრობა გენერალ მუსტაფა ქემალისა და მისი თანამოაზრეების მიერ ანატოლიაში აგორებულ წინააღმდეგობის ახალ თურქულ მოძრაობას. ინტენსიურ კონტაქტებს ამყარებს რუს ბოლშევიკებთან და წარმოადგენს შემაერთებელ რგოლს გენერალ მუსტაფა ქემალის მიერ ანატოლიაში ორგანიზებულ წინააღმდეგობის მოძრაობასა და ბოლშევიკებს შორის. პირადი და საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა ბოლშევიკთა პარტიის უმაღლეს ემელონებთან, ლენინისა და სტალინის ჩათვლით. მისი მეშვეობით ხდებოდა მოსკოვიდან ქემალისტებისათვის იარაღის, საბრძოლო მასალების, ტექნიკური საშუალებებისა და ოქროს მიწოდება. 1919-1921 წლებში ცხოვრობს ბაქოსა და მოსკოვში, შემდეგ – ბერლინში. ხშირად სტუმრობდა თბილისსაც. წარმოადგენდა ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურასა და ქემალისტთა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური დავალებების შემსრულებელს. 1920 წლის აპრილ-მაისში მისი უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით შეძლეს მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოება. ამავე დროს ინარჩუნებს კავშირებს გენერალ ენვერ ფაშასა და ექსიტრიპადისტთა სხვა ლიდერებთან. 1922 წელს ჯემალ ფაშასთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ცენტრალური აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თურქეთის ქემალისტური რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1923 წელს დიდი ეროვნული კრების მთავრობის სპეციალური ნებართვის საფუძველზე საცხოვრებლად ბრუნდება თურქეთის რესპუბლიკაში. ამის შემდგომ, ქვეყნის სამხედრო, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა აღარ მიუღია. ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში. გარდაიცვალა 1957 წელს.


იტვიჭადისტთა მხრიდან კი – ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატის ლიდერებს, იმპერიის ყოფილ სამხედრო მინისტრსა და იმპერიის ფაქტიურ მმართველს, გენერალ ისმაილ ენვერ ფაშას და სირიის ყოფილ გუბერნატორსა და იმპერიის ყოფილ სამხედრო-საზღვაო მინისტრს, გენერალ აჰმედ ჯემალ ფაშას. ცალსახად აღსანიშნავია, რომ ეს კონტაქტები სულაც არ იყო შემთხვევითი, ეპიზოდური და ტრივიალური. 1919-1920 წლებში დაწყებულმა ამ ურთიერთობებმა მალე გადამწყვეტი როლი ითამაშა რეგიონის ქვეყნების, თურქეთისა და მთლიანად ამიერკავკასიის ტერიტორიების ახალი გადანაწილების პროცესსა და მათი სახელმწიფოებრივი მოწყობის საქმეში.



ისტორიული და დღევანდელი ცენტრალური აზიის ფიზიკურ-ადმინისტრაციული რუკა:
 მავერანაჰრი (ტრანსოქსიანა – Transoxanien), სამხრეთით ზორასანი (Chorasana),
 დასავლეთით – ზორეზმი-ზვარაზმი (Choresmien)



ისტორიული თურანი



თურქულენოვანი ხალხების განსახლების არეალი




მარკ საიქსი
(1879-1919)




ფრანსუა ფორჟ-პიკო
(1870-1951)



სერგეი საზონოვი
(1860-1927)



„საიქს – ფორჟ-პიკოს“ შეთანხმებით განსაზღვრული
ოსმალთა იმპერიის ტერიტორიების დანაწილების რუკა. 1915 წლის ნოემბერი.



ოსმალთა იმპერიის აზიური ნაწილის დაყოფის სქემა 1916 წლის 16 მაისს დადებული „საიქს – ჟორჯ-პიკო – საზონოვის“ საიდუმლო შეთანხმების მიხედვით. გაყვანილი სფეროები – ლურჯი (ფრანგული ზონა), წითელი (ბრიტანული ზონა), მწვანე (რუსული ზონა).



მწვანე ზონა — „სენ-ჟან-დე მორიენის“ ხელშეკრულების თანახმად იტალიისათვის განსაზღვრული ოსმალთა იმპერიის ტერიტორიები. 1917 წლის 19 აპრილი.



მარცხნიდან მარჯვნივ: პრუსიის სამხედრო მინისტრი და საველე გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ერის ფონ ფალკენჰაიმი, აჰმედ ჯემალ ფაშა და ისმაილ ენვერ ფაშა.



მულანურ გაბიტოვი
(1885-1918)



სერგო ორჯონიკიძე
(1886-1937)



გიორგი ჩინგურინი
(1872-1936)



ჰანს ფონ სექტი
(1866-1936)



ოტო ლიმან ფონ სანდერსი
(1855-1929)



გენერალი ოტო ლიშან ფონ სანდერსი



ლენინი აღმოსავლეთის ხალხთა II კონგრესის მონაწილეთა შორის



საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ВЦИК) შვიდივე თავმჯდომარე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივან აბელ ენუქიძესთან ერთად (დგას). 1935 წელი. მარცხნიდან მარჯვნივ: ფაიზულა ხოჯაევი (უზბეკეთი), გაზინფარმ მაჰმუდ ოღლი მუსაბეკოვი (ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა), გრიგორი პეტროვსკი (უკრაინა), მიხაილ კალინინი (ცაკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე), ალექსანდრ ჩერვიაკოვი (ბელორუსია), აბდულო რახიმბაევი (ტაჯიკეთი) და ნადირბაი აიტაკოვი (თურქმენეთი). ხოჯაევი, აიტაკოვი და მუსაბეკოვი დახვრიტეს 1938 წელს. ჩერვიაკოვს 1937 წელს ბრალი დასდეს ჯაშუშობაში და მან პირდაპირ საკუთარ კაბინეტში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. რახიმბაევი 1937 წელს დააკავეს ალღუმის დროს და დახვრიტეს. პეტროვსკიმ და კალინინმა თავისი სიკვდილით დაასრულეს სიცოცხლე, მაგრამ მათი ოჯახის წევრებმა გადასახლებები და პოლიტმატიმართა ბანაკები გაიარეს. აბელ ენუქიძე 1935 წელს გარიცხეს პარტიიდან „პოლიტიკური და მორალური გახრწნისათვის“, 1937 წელს კი დახვრიტეს.



მირსაიდ სულთან-გალიევი ცოლთან,
ფ. ერზინასთან ერთად, 1919 წელი.



მირსაიდ სულთან-გალიევი (პატიმარი)



ისმაილ გასპრელი (გასპარლი)
(1876-1924)



იუსუფ აქჩურა



მეჰმედ ზია გოკალბი



ალი ჰუსეინ-ზადე
(1864-1949)



იუსუფ აქურა და ისმაილ გასპრელი
1900 წელი



თებურ ლენგი. XV საუკუნის მინიატურა



„წითელი სულთანი“ აბდულ-ჰამიდ II



„ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ლიდერები. ქველა რიგში მარცხნიდან მეორე – მეჰმედ თალაათ ფაშა. ზედა რიგში მარცხნიდან მეორე – ენვერ ფაშა. 1908 წელი.



ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატის ლიდერები. მარჯვნიდან პირველი – აჰმედ ჯემალ ფაშა, მეოთხე – მეჰმედ თალაათ ფაშა, დგას – ისმაილ ენვერ ფაშა.



იზმეთ იუნონუ და ქიაზიმ ყარაბეკირი




მეჰმედ თალაათ ფაშა



აჰმედ ჯემალ ფაშა




ისმაილ ენვერ ფაშა და მუსტაფა ქემალი. 1910 წლის სამხედრო სწავლებები. პიკარდია.



მეჰმედ თალათ ფაშა



„ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ცენტრალური კომიტეტი



ორგანიზაცია „ყარაქოლის“ წევრები



ჯემალ ფაშა ერაყელ ტომთა ბელადებთან ერთად აღნიშნავს მდინარე ევფრატზე ბაღდადის სამხრეთით მდებარე ალ-ჰინდიას დამბის მშენებლობის დასრულებას



გენერალი ჰალილ ფაშა ქუთი



ჰალილ ფაშა ქუთი მე-ნ არმიის შტაბთან ერთად.
მესოპოტამიის ფრონტი. 1916 წელი.



მუსტაფა ქემალი
(1881-1938)



მუსტაფა ქემალი და ქიაზიმ ყარაბეკირი

თავი III

ბოლშევიკურ-იტყადისტური ენიგმას დასაწყისი

– თავის დროზე პეტროგრადის მუშებმა აღმართეს კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ წითელი დროშა. ახლა აქ, აღმოსავლეთში, არა მხოლოდ ბაქოს პროლეტარიატი, არამედ ნახევრადფეოდალური თურქეთი, თავისი ფაშებითა და გენერლებით სათავეში, ასევე უწვდის ძმურ ხელს საბჭოთა წითელ რუსეთს. მუსლიმანური აღმოსავლეთი, რომელიც ოდესღაც მექასა და მუჰამედის საფლავთან მიდიოდა ქედის მოსახრელად, ახლა ხელს უწვდის რუსეთს და თავის მზერას ქვათეთრ მოსკოვს აპყრობს, რადგან იქ საბჭოთა ხელისუფლების აკვანი, მსოფლიო რევოლუციის კერაა...”

სერგო ორჯონიკიძე. 1920 წელი.

§3.1. მუდროსის ზავი – ოსმალთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი

მიუხედავად 1918 წლის ზაფხულის პერიოდში მიღწეული ოპერატიული უპირატესობისა, I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე მალე გერმანულ არმიებს სტრატეგიული შეტევითი მოქმედებების რესურსები ეწურებოდა და ისინი სტატიკურ თავდაცვაზე გადადიან. ოსმალური არმიების მდგომარეობა სირია-პალესტინისა და მესოპოტამიის ფრონტებზეც ნელ-ნელა მძიმდება და ისინიც კარგავენ იმ ოპერატიულ უპირატესობას, რაც 1916-1917 წლების საომარ კამპანიებში ჰქონდათ მოპოვებული.

მოკლედ, ქრონოლოგიურად განვიხილოთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ I მსოფლიო ომში აღსრულებული ძირითადი სამხედრო ოპერაციები და მნიშვნელოვანი მოვლენები:

- 11 მარტი – მესოპოტამიის ფრონტზე ბრიტანელების მიერ ბაღდადის დაკავება;
- 21 მარტი – დასავლეთის ფრონტზე გერმანელთა პირველი დიდი შეტევითი ოპერაცია ბრიტანელთა წინააღმდეგ;
- 9 აპრილი – გერმანელთა მეორე შეტევა ბრიტანულ სექტორზე;
- 27 მაისი – გერმანელთა შეტევის მესამე ფაზა;
- 9 ივნისი – შეტევის მეოთხე ფაზა;
- 15 ივლისი – გერმანელთა შეტევის ბოლო ფაზა (მეორე ბრძოლა მარნასთან);
- 8 აგვისტო – ამიენის ბრძოლა. ლუდენდორფის არმიის „შავი დღე“.
- 10 აგვისტო – ამერიკული საექსპედიციო არმიის ფორმირება გენერალ პერშინგის სარდლობით;
- 4 სექტემბერი – ამერიკელების გადმოსხდომა არხანგელსკში;
- 19 სექტემბერი – ბრიტანული ჯარების სრულმასშტაბიანი შეტევითი მოქმედებები პალესტინის ფრონტზე – „არმაგედონის ოპერაცია“;

29 სექტემბერს ბულგარეთი წყვეტს წინააღმდეგობას – „ოთხთა კავშირი“ იშლება. 1 ოქტომბერს სირია-პალესტინის ფრონტზე ბრიტანელები იკავებენ დამასკოს. 7 ოქტომბერს ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატი გადადგა. იმავე დღეს ოსმალეთის მთავრობის სათავეში მარშალი აჰმედ იზეთ ფაშა ინიშნება. იგი დიდი ვეზირის თანამდებობას იკავებს. 27 ოქტომბერს, ფრონტებზე შექმნილი კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, ოსმალთა იმპერია წყვეტს საომარ მოქმედებებს და ითხოვს ზავს. საზავო მოლაპარაკებები კუნძულ ლემნოსის პორტ მუდროსში შედგა, ამიტომაც იგი ისტორიაში მუდროსის ზავის სახელით შევიდა. საომარი მოქმედებები ოსმალთა სახელმწიფოსა და ანტანტის ქვეყნებს შორის ადგილობრივი დროით 1918 წლის 31 ოქტომბრის 24⁰⁰ საათზე შეწყდა.²¹⁵

მოლაპარაკებები ბრიტანულ სამხედრო ხომალდ “HMS Forsyth“-ის ბორტზე დაიწყო და “HMS Agamemnon“-ზე გაგრძელდა. ოსმალთა მხრიდან დელეგაციას ხელმძღვანელობდა ჰუსეინ რაუბ ორბეი²¹⁶ – იმპერიის იმჟამინდელი საზღვაო მინისტრი,

²¹⁵ Mondros Armistice. Turkish Greek relations. Istanbul. 2004 Pg. 11.

²¹⁶ ჰუსეინ რაუფ ორბეი (Hüseyin Rauf Orbay) (1881-1964) – აფხაზური წარმომავლობის თურქი სამხედრო, სახელმწიფო და დიპლომატიური მოღვაწე (ნამდვილი გვარი აშხარუა), აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავალი. ბალკანეთის ომებისა და I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი. კრეისერ „ჰამიდის“ კაპიტანი, შემდეგ ოსმალთა იმპერიის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსი და სამხედრო-საზღვაო საქმეთა მინისტრი. მუსტაფა ქემალ ათათურქის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, ქემალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. დაამთავრა კონსტანტინოპოლის სამხედრო-საზღვაო და საინჟინრო სასწავლებელი. 1918 წლის გაზაფხულზე ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე ოსმალთა დელეგაციის ხელმძღვანელი, რომლის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველომ დაკარგა თავისი სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი, აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და ბათუმის ოლქი. I მსოფლიო

ხოლო დიდი ბრიტანეთის მხარეს – ადმირალი სერ სომერსეტ არტურ კელტორფი (Sir Somerset Arthur Calthorpe), დიდი ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდალი.

მუდროსის ზავის ძირითადი პუნქტები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები იხსნება და მოკავშირეთა ქვეყნების გემებს ეძლევათ თავისუფალი მიმოსვლის საშუალება;
2. დაუყოვნებლივ დაიშალოს თურქეთის შეიარაღებული ძალები. დაშვებულია მხოლოდ სასაზღვრო ძალებისა და შიდა წესრიგის დაცვისთვის საჭირო ძალების არსებობა;
3. დაუყოვნებლივ გამოიყვანონ კავკასიისა და ირანის ტერიტორიებიდან თურქების საოკუპაციო ჯარები;
4. ანტანტის წევრი ქვეყნები იღებენ სრულ კონტროლს თურქეთის რადიოზე, ტელეგრაფზე, კომუნიკაციებზე, რკინიგზაზე, საზღვაო პორტებზე, სამხედრო გარნიზონებზე;
5. აუცილებლობის შემთხვევაში, ანტანტის წევრი ქვეყნები იტოვებენ თურქეთის ამა თუ იმ პროვინციის ოკუპირების უფლებას;
6. საომარი მოქმედებები ოსმალთა სახელმწიფოსა და ანტანტის ქვეყნებს შორის შეწყდეს 1918 წლის 31 ოქტომბრის 24⁰⁰ საათზე ადგილობრივი დროით.

არსებული ვალდებულებების გასაკონტროლებლად თურქეთის მთელ ტერიტორიაზე ანტანტის წევრი ქვეყნების სამხედრო მისიები და წარმომადგენლობები დაფუძნდნენ. დანიშნული ზედამხედველი ინსპექტორები პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლებამოსილებით აღიჭურვდნენ.

ზავის მე-11 და მე-15 მუხლები უშუალოდ კავკასიას ეხებოდა. ამ მუხლების მიხედვით, ოსმალურ შენაერთებს უნდა დაეტოვებინათ კავკასიის ოკუპირებული ტერიტორიები, ხოლო ამიერკავკასიაში ბრიტანული შენაერთები უნდა შემოსულიყვნენ, რომელთაც, პირველ რიგში, ბაქო და ბათუმი უნდა დაეკავებინათ. 1918 წლის 13 ნოემბერს მოკავშირეთა ფლოტილია კონსტანტინოპოლში შევიდა. მოკავშირეთა ჯარებმა, 2616 ბრიტანელი, 540 ფრანგი და 470 იტალიელი ჯარისკაცის შემადგენლობით, ყაზარმები, სასტუმროები, იტალიური და ფრანგული სკოლები, და ჰოსპიტლები დაიკავეს.²¹⁷

ბერძნები, სომხები, ებრაელები და სხვა ეროვნული უმცირესობები ზეიმობდნენ. თავის აღტაცებას განსაკუთრებული პომპეზურობით იმპერიის ბერძნული მოსახლეობა გამოხატავდა, რომელიც ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად მასიურ დემონსტრაციებს მართავდა. ინცინდენტებისა და მთავრობის საპასუხო რეაქციის თავიდან ასაცილებლად, ბრიტანულ-ფრანგულმა სარდლობამ ბერძნული ეკლესიის პატრიარქსაც კი მიმართა თხოვნით, შეეზღუდათ მსგავსი დემონსტრაციები.

იტიჰადისტ-იუნიონისტები დამარცხდნენ, იმპერიის მმართველი „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია დაიშალა, ხოლო მის ქონებას კონფისკაცია ჩაუტარდა... ახალმა სულთანმა, ვაჰიდდინმა, რომელმაც თავისი გარდაცვლილი ძმა, მეჰმედ V 1918 წლის 28 ივნისს შეცვალა, შესაბამისად, მეჰმედ VI-ის ზედსახელი მიიღო. ახალმა სულთანმა იტიჰადისტთა პარტიის ლიდერები კანონგარეშედ და დამნაშავეებად გამოაცხადა.

ომის დასრულებისას, 1918 წლის 30 ოქტომბერს ბრიტანულ მხარესთან ხელი მოაწერა ოსმალთა იმპერიისათვის კაპიტულანტურ მუდროსის ზავს. 1919 წლიდან მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით ანატოლიაში დაწყებული წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრი. ბრიტანელთა მიერ კონსტანტინოპოლის ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის მარტში, დააპატიმრეს და გადაასახლეს მალტაზე, საიდანაც დაბრუნდა 1921 წელს. თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1922-1923 წლებში თურქეთის დროებითი მთავრობის პირველი პრემიერ-მინისტრი. 1924 წელს აფუძნებს პროგრესულ რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც ოპოზიციაში უდგება მუსტაფა ქემალის რესპუბლიკური სახალხო პარტიის მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსს. 1926 წელს ბრალი დასდეს მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ შეთქმულებაში და გაასახლეს ქვეყნიდან 10 წლის ვადით. ცხოვრობდა ინგლისში. მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ ბრუნდება თურქეთში, სადაც ირჩევენ პარლამენტის წევრად. II მსოფლიო ომის დროს იყო თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში. გარდაიცვალა 1964 წელს.

²¹⁷ Nur Bilge Criss. Istanbul under Allied Occupation 1918-1923. Leiden; Boston; Köln: Brill, 1999. Pg. 99.

მუდროსის ზავმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა თურქული სახელმწიფო. იურიდიულად და შინაარსობრივად ეს იყო უსიტყვო კაპიტულაციის აქტი – ოსმალთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი. ამ აქტით წერტილი უნდა დასმოდა „ერთიანობისა და პროგრესის პარტიის“ „ახალგაზრდა თურქთა“ მმართველობის პერიოდსა და ოსმალთა იმპერიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მთელი ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული გავლენის ზონად გამოცხადდა და ბრიტანული ჯარების სარდლობაც რეგიონის მართვის შესაბამისი მანდატით აღიჭურვა.

რაც შეეხება ოსმალთა იმპერიასა და მის ტერიტორიებს – აქ „მოუნადირებელი ღათვის“ ტყავის განაწილება ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას დაიწყო. კერძოდ, 1916 წელს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებს შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ომის დასრულებისას ამ ქვეყნებს შორის ოსმალთა იმპერიის აზიური ტერიტორიები უნდა გადანაწილებულიყო. ხელშეკრულების პირობები 1915 წლის ბოლოს ფრანგმა დიპლომატმა ფრანსუა ჟორჟ-პიკომ (Francois Georges-Picot) და ბრიტანელმა დიპლომატმა მარკ საიქსმა (Mark Sykes) შეიმუშავეს. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებამაც „საიქს – ჟორჟ-პიკოს“ ხელშეკრულების სახელი მიიღო. ამ დიპლომატიურ გარიგებას გაეცნო რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი საზონოვი და შეთანხმებას რუსეთის იმპერიის მთავრობაც შეუერთდა. ამის გამო ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის დარგში, დევიდ ფრომკინი (David Fromkin) თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში “A Peace to End of All Peace: Creating the Modern Middle East 1914-1922“, ახსენებს „საიქს – ჟორჟ-პიკო – საზონოვის შეთანხმებას“, რასაც ჩვენც ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებით, თუმცა ამ ტერმინმა გავრცელება ვერ ჰპოვა.²¹⁸ საბოლოოდ, „საიქს – ჟორჟ-პიკოს“ ხელშეკრულებას ხელი 1916 წლის 16 მაისს მოეწერა.²¹⁹ საინტერესოა, რომ I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1919-20 წლებში, სწორედ ფრანსუა ჟორჟ-პიკო წარმოადგენდა საფრანგეთის უმაღლეს კომისარს სირიასა და სომხეთში.

1916 წლის 19 ნოემბერს ამ პოლიტიკურ გარიგებას იტალიაც შეუერთდა, რომელთანაც ხელშეკრულება 1917 წლის 19 აპრილს სენ-ჟან-დე მორიენის კონფერენციაზე გაფორმდა.²²⁰

ოსმალეთის იმპერიის აზიური ნაწილის მნიშვნელოვანი ტერიტორიები ე.წ. „ფერად ზონებად“ დაიყო და თითოეული ზონა ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებზე გადანაწილდა. ხელშეკრულების მიხედვით, ბრიტანეთი მიიღებდა ტერიტორიებს, რომელიც შეესაბამება დღევანდელ იორდანიას, ერაყსა და პალესტინის ნაწილს. საფრანგეთი იღებდა სამხრეთ და ცენტრალურ ანატოლიას, ჩრდილოეთ ერაყს, სირიასა და ლიბანს. რუსეთს უნდა გადასცემოდა კონსტანტინოპოლი და სრუტეების რაიონი, აგრეთვე აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიები – არზრუმის, ტრაპიზონის, ვანის, ბითლისის ვილაიეთები (პროვინციები) და ქურთისტანის ნაწილი; იტალიას კი –

²¹⁸ რევაზ გაჩეჩილაძე. „გეოგრაფიული შეცდომები“ დიპლომატიურ პრაქტიკაში (პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი. 2013 (2). გვ. 97.

²¹⁹ Martin Sicker. The Middle East in the twentieth century. Library of Congress Cataloging-in-Publication Data. Praeger Publishers, 88 Post Road West, Westport, CT 06881. An imprint of Greenwood Publishing Group, Inc. 2001. Pg. 15. <http://cosmos.ucc.ie/cs1064/jabowen/IPSC/php/authors.php?aid=56111>.

²²⁰ მიხეილ სვანიძე. ოსმალეთის ისტორია (1600-1923). ნაწილი II. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. თბილისი. 2002. გვ. 266.

დასავლეთი და ცენტრალური ანატოლიის ნაწილი.²²¹ აი, ასე უნდა განაწილებულიყო ჯერ კიდევ „მოუნადირებელი დათვის ტყავი“ დიდ მოკავშირეებს შორის და ამით ოსმალთა საუკუნოვან იმპერიასაც უნდა დასმოდა წერტილი.²²²

საიქს – ჟორჟ-პიკოს საიდუმლო ხელშეკრულების ტექსტი 1917 წლის ბოლოს გამოქვეყნდა უკვე საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ და ამის შემდეგ ანულირებულად გამოცხადდა. რუსეთის I მსოფლიო ომიდან გამოთიშვის შემდეგ, ანტანტის ქვეყნებს შორის ძალთა ახალი გადანაწილების შედეგად, საიქს – ჟორჟ-პიკოს ხელშეკრულებამ რევიზია განიცადა დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ.²²³ 1918 წლის 8 ნოემბერს ბრიტანელები იკავებენ მოსულს, შემდეგ კი – ურფას, მარაშს, ანტეკს. სამსუნი, ბაღდადი და სირია მათ უკვე დაკავებული ჰქონდათ I მსოფლიო ომის მსვლელობისას. ფრანგები ქილიკიასა და ადანაში 25 ნოემბერს გამოჩნდნენ, ხოლო 1918 წლის 17 დეკემბერს ფრანგული ქვედანაყოფები ვიცე-პოლკოვნიკ რომიოს მეთაურობით მერსინში შევიდნენ. 1500-კაციან შენაერთში მხოლოდ 150 მებრძოლი იყო ეროვნებით ფრანგი, დანარჩენები სომეხი ლეგიონერები იყვნენ. 1918 წლის 18 დეკემბერს კი გენერალი მორის გამელინი (Maurice Gamelin), სირიაში ფრანგული საოკუპაციო ჯარების სარდალი, დიდი პომპეზურობით შედის ადანაში. 1919 წლის 29 აპრილს მოკავშირეებთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულების საფუძველზე იტალიელები ანტალიასა და კონიას იკავებენ.

ფრანგულ ქვედანაყოფებთან ერთად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსულმა სომეხმა ლეგიონერებმა I მსოფლიო ომის დროს ამ ტერიტორიებიდან გასახლებული სომეხი მოსახლეობის დაბრუნებისათვის დაიწყეს ბრძოლა, რამაც ადგილობრივი მუსლიმანი და სომეხი მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირებები გამოიწვია. „ოკუპირებულ რაიონებში ტერორის რეჟიმი მყარდება. ფრანგების მიერ დაშნაკთა შემადგენლობიდან დგება ჟანდარმერიის რაზმები, რომლებიც თურქი მოსახლეობის მასიურ ჟლეტას აწარმოებენ... ზოგიერთ შემთხვევაში დაშნაკურმა რაზმებმა მთელი სოფლები გაწყვიტეს. თურქი მოსახლეობის ფიზიკური განადგურების ეს პროგრამა სრულიად შეგნებულად წარმოებდა ოკუპანტების ხელმძღვანელობით...“ – წერდა თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ცნობილი რუსი სპეციალისტი, ვლადიმირ ოსეტროვი „ირანდუსტის“ ფსევდონიმით.²²⁴

1918 წლის 8 დეკემბერს კონსტანტინოპოლში მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაცია ფუნდებდა. სულთანმა მეჰმედ VI-მ მეჯლისი (პარლამენტი) დაითხოვა, ხოლო დიდი ვეზირის თანამდებობაზე თავისი სიძე (ცოლისძმა) დამად ფერიდ ფაშა დანიშნა (ზედწოდება „დამად“ ოსმალთა იმპერიაში სულთნის ოჯახის სიძეებს ენიჭებოდათ). ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნისა და თურქოლოგის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის, მუსტაფა ქემალის ბიოგრაფის, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტის დირექტორის, ალექსანდრ ჟევასოვის (წარმოშობით ქართველი – ჯავახიშვილი) მიხედვით, „იგი ქელმალალი, სამოცი წლის კაცი იყო, „ინგლისელი

²²¹ Ключников Ю. В. И Сабанин А. В., Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. 2, М., 1926; Константинополь. По секретным документам бывшего Министерства иностранных дел, под ред. Е. А. Адамова, [т.] 1-2, М., 1925-26; Раздел Азиатской Турции по секретным документам бывшего Министерства иностранных дел, под ред. Е. А. Адамова, М., 1924. Г. Л. Бондаревский.

²²² არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. გამომცემლობა არადანი. ISBN 999928-72-48-9. 2007. გვ. 102.

²²³ Лазарев М. С., Крушение турецкого господства на Арабском Востоке (1914—1918), М., 1960; Киракосян Дж. С, Первая мировая война и Западная Армения, Е., 1971; «Հայաստանի ավտონომիան» և Անտանտის: Վավերագրերը իմպերիալիստական պատերազմի շրջանից, Ե., 1926: Հայաստանը միջազգային դիվանագիտության և սովետական արտաքին քաղաքականության փաստաթղթերում (1828—1923) Ե., 1977:

²²⁴ Перинчек Мехмет. Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов. — М.: Лаборатория Книги. 2011. — 256 с. ISBN 978-5-903271-73-3. Ирандуст. Движущие силы кемалистской революции. Москва-Ленинград. Государственное издательство. 1928. Стр. 167.

ჯენტლმენის კარგი ასლი“, – როგორც მას იტალიური საოკუპაციო ჯარების სარდალი, გრაფი სფორცა ახასიათებდა. იგი ძველი თაობისა და ძველი შეხედულებების წარმომადგენელი იყო, რომელიც შეეცადა, ერთი ათი წლით უკან დაებრუნებინა ქვეყანა. დამად ფერიდ ფაშა სულთნის ოჯახის სიძე იყო და, აქედან გამომდინარე, – სისტემასთან მყარად დაკავშირებული. იგი ჭკვიანი, მაგრამ უაღრესად კონსერვატიული შეხედულებების კაცი იყო, რომლისთვისაც იტიპადისტების ათწლიანი მმართველობა ოსმალთა იმპერიისათვის პოლიტიკურ გადახრას წარმოადგენდა და იგი უნდა დასრულებულიყო, სულთნის ძალაუფლება კი ისევ აბსოლუტური გამხდარიყო. და კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი შტრიხი – ამ ქედმაღალი ჩინოვნიკისათვის სამხედროთა კასტა მიუღებელი იყო.²²⁵

აქ მცირე შენიშვნას გავაკეთებთ ამონარიდთან დაკავშირებით. ცნობილი იტალიელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი კარლო სფორცა იმ პერიოდისათვის იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და არა „იტალიური საოკუპაციო ჯარების სარდალი“ ანატოლიაში – როგორც ამას ა. ჟევახოვი აღნიშნავს. სხვათა შორის, კარლო სფორცას იგივე თანამდებობა II მსოფლიო ომის შემდეგაც ეკავა, 1947-1951 წლებში.

კონსტანტინოპოლმა უმაღლესი შეიგროვო ახალი სიოს ქროლა. დამად ფერიდ ფაშას მთავრობა და სულთანი იმდენად მონდომებული იყვნენ პირველობის საქმეში პრეტენდენტების თავიდან მოშორებით, რომ ექსიტაპადისტების საწინააღმდეგო მოქმედებებში ბრიტანელთა ხელშეწყობებზე გამოვიდნენ. დადგა თუ არა თანამდებობაზე, დიდი ვეზირი მოკავშირეთა ქვეყნების სამხედრო კომენდანტებს შეხვდა. მან ბრალი დასდო იტიპადისტებს ოსმალთა იმპერიის ომში ჩათრევის გამო და განაცხადა, რომ „ეს ომი ერთი მუჭა დამნაშავეების ბრალი იყო, რომელშიც თურქეთი ყოველგვარი საჭიროების გარეშე ჩაერთო“. იგი შეპირდა მოკავშირეებს, რომ ყველა მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა და იტიპადისტების წინააღმდეგ საჭირო სადამსჯელო ღონისძიებებს გაატარებდა. სულთან-ხალიფას კი მხოლოდ ერთი სადარდებელი ჰქონდა: როგორმე მოეძებნა საშუალებები თავისი სიცოცხლის გადასარჩენად და უზრუნველყო საკუთარი სიმშვიდე.²²⁶ 1919 წლის დასაწყისში სულთნის განკარგულებით სამხედრო ტრიბუნალი დაინიშნა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ლიდერებისა და ექსმინისტრების გასასამართლებლად. სასამართლო მოსმენები 1919 წლის 27 თებერვალს დაიწყო. სულ 13 სხდომა ჩატარდა და იგი 26 ივნისს დასრულდა. სასამართლომ დაუსწრებლად გამოუტანა სასიკვდილო განაჩენები ტრიუმვირატის ლიდერებს – ენვერ, ჯემალ და თალათ ფაშებს, თუმცა ამ მომენტიისათვის მათ უკვე დიდი ხნის წინათ მალულად ჰქონდათ დატოვებული იმპერიის საზღვრები.

მუდროსის ზავის დადებასა და მოკავშირეთა ჯარების მიერ ოსმალთა ტერიტორიების ფაქტობრივ ოკუპაციას იმპერიის ტერიტორიაზე ანტანტის ზედამხედველი ინსპექტორების დანიშვნა მოჰყვა, რომლებიც ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებებით აღიჭურვნი. ოსმალთა იმპერია მხოლოდ ნომინალურად ინარჩუნებდა სახელმწიფოებრიობას, სულთანი და მისი კაბინეტი საოკუპაციო ჯარების სარდლობებთან მარიონეტულ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ.

1919 წლის 3 იანვარს ბრიტანელთა უმაღლესი სამხედრო კომისარი, ადმირალი კელტორფი შემდეგი შინაარსის მიწოდებამას აგზავნის დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (Foreign Office – საგარეო ოფისი): „ახლანდელი კაბინეტი

²²⁵ Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Жизнь замечательных людей. Перевод осуществлен по изданию: Alexandre Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999. http://www.e-reading.bz/chapter.php/1013613/63/Zhevahov_-_Kemal_Ataturk.html.

²²⁶ Мустафа Кемаль. Путь новой Турции. 1919-1927. Т. I. Первые шаги национально-освободительного движения. Государственное издательство Литиздат НКИД. 1929. Стр. 13.

ყველა ხელსაყრელ შემთხვევას იყენებს ჩვენდამი კეთილგანწყობის დემონსტრირებისათვის. მთავრობის მოქმედებების წინააღმდეგ პროტესტით გამოვლას ვთვლი მიუღებლად და დამამცირებლად... ჩემის აზრით, დაუყოვნებლივ არის საჭირო ჩემთვის შესაბამისი უფლებამოსილებების დელეგირება, რათა იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალეულობის შესახებაც ვფლობთ არგუმენტირებულ მტკიცებულებებს, მოვითხოვოთ დაპატიმრება და ისინი მოკავშირეთა სამხედრო ხელისუფალთ ჩავაბაროთ“.²²⁷ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც არ დააყოვნა და ადმირალი კელტორფი სრული უფლებამოსილებით აღჭურვა. მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ინგლისელთათვის საინტერესო ექსტიჰადისტი ლიდერები დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს. სულთანმა და მისი კაბინეტი კი იმდენად უსუსური და უუნარო იყო, რომ ინგლისელთა მიერ სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, სულთნისა და დიდი ვეზირის უტყვი თანხმობის გამო, მათი სიკვდილით დასჯაც კი იყო შესაძლებელი.

საგრძობლად შემცირდა ომის შემდგომი იმპერიის ტერიტორიებიც. თუ 1914 წლის მდგომარეობით ოსმალთა იმპერიის ტერიტორიები 1786716 კვ. კილომეტრს შეადგენდა 21-მილიონიანი მოსახლეობით, 1919 წლისათვის იმპერიის ფართობი 73200 კვ. კილომეტრამდე შემცირდა და მოსახლეობამაც მხოლოდ 13 მილიონი ადამიანი შეადგინა. ფაქტია, რომ I მსოფლიო ომის შედეგად ოსმალეთის იმპერიამ თავისი ტერიტორიების თითქმის 66 და მოსახლეობის 33% დაკარგა...²²⁸

ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატი (სამხედრო მინისტრი – ისმაილ ენვერ ფაშა, სირიის გუბერნატორი და სამხედრო-საზღვაო მინისტრი – აჰმედ ჯემალ ფაშა, შინაგან საქმეთა მინისტრი და დიდი ვეზირი – მეჰმედ თალაათ ფაშა) და ე.წ. „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ (Ittihat ve Terakki) პარტია დამარცხდა. პარტია ფორმალურად დაიშალა, ხოლო მის ქონებას კონფისკაცია ჩაუტარდა... სულთან მეჰმედ VI ვაჰიდედინმა პარტიის ლიდერები კანონგარეშედ და დამნაშავეებად გამოაცხადა.

იმპერიის სამხედრო ტრიუმვირატი ომის გაჩაღებასა და სამხედრო დანაშაულების ჩადენაში დაადანაშაულა: „1919 წლის 11 ივლისს ენვერ ფაშა, თალაათ ბეი და ჯემალ ფაშა სამხედრო ტრიუმვირატი გაასამართლა. მათ სიკვდილით დასჯა მიესაჯათ. ენვერ ფაშა და მისი ორი თანამებრძოლი „ახალგაზრდა თურქთა“ მოძრაობიდან რამდენიმე თვის წინ გაუჩინარდნენ. ჯავიდ ბეის, ფინანსთა ყოფილ მინისტრსა და აქუსა მუსა ქიაზიმს, ყოფილ ისლამურ ლიდერს, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და მძიმე სამუშაოები მიესაჯათ. რიფათ ბეი, სენატის ყოფილი თავმჯდომარე და ჰაქიმ ბეი, ფოსტისა და კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი, გამართლდნენ“ – იტყობინებოდა გაზეთი “New-York Times“.²²⁹

ტრიუმვირალის ერთ-ერთ სხდომაზე გამოსვლისას ოპოზიციონერმა გენერალმა, მუსტაფა ქემალმა განაცხადა: „ფაშებმა, რომლებმაც წარმოუდგენელი და გაუგონარი დანაშაულები ჩაიდინეს, არსებულ მდგომარეობამდე მიიყვანეს ჩვენი ქვეყანა და ხალხი. დღესაც, თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, იმავეს აგრძელებენ. მათ საფუძველი ჩაუყარეს ტირანიას, ორგანიზება გაუკეთეს გადასახლებებსა და დარბევებს. წვაგდნენ ჩვილებს, შეურაცხყოფას აყენებდნენ ქალებსა და გოგონებს, კონფისკაციას უკეთებდნენ უძრავ და მოძრავ ქონებას... ისინი აცხადებდნენ, რომ ოსმალთა იმპერიის არამუსლიმან ქვეშევრდომებს უნდა უარეყოთ თავიანთი მრწამსი და ისლამი მიეღოთ. მოხუცებს აიძულებდნენ, უჭმელ-უსმელებს ფეხით დაეფარათ თვალუწვდენელი მანძი-

²²⁷ Кямуран Гюрюн. Армянское досье. Перевод Искандера Ахундова. Язычы. Баку. 1993. Стр. 149. FO 371/4172, X/M 09394/2391.

²²⁸ Корсун Н. Г. Греко-турецкая война 1919–1922 гг. — М.: Воениздат НКО СССР, 1940. (Военно-историческая библиотека).

²²⁹ Turkey condemns it's War Leaders. The New York Times. July 13. 1919.

ლები, შეესრულებინათ კატორღული სამუშაოები“...²³⁰ – ამასვე აღნიშნავს თავის სქელ-ტანიან მონოგრაფიაში „Младотурки перед судом истории“ ცნობილი სომეხი საბჭოთა მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, 1975-1985 წლებში სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჯონ კირაკოსიანი.

ამ გამოსვლას მთელს იმპერიაში დიდი რეზონანსი მოჰყვა. მუსტაფა ქემალმა შური იძია იმ ხალხზე, რომლებთანაც მთელი ცხოვრება ორგანულად იყო დაკავშირებული. რა თქმა უნდა, მუსტაფა ქემალიც „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი იყო, რომელშიც იგი 1908 წლის თებერვალში გაერთიანდა (პარტიილეთი №322,²³¹), მაგრამ იგი არასდროს არ შედიოდა პარტიის სამხედრო ფრთის ელიტაში – აღნიშნავს ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორი, თურქეთის პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი, ერიკ იან ზიურხერი (Erik Jan Zürcher). წლების განმავლობაშიც იტიჰადისტთა სამხედრო ლიდერებთან სუბორდინაციას იგი ბოლომდე იცავდა. მათთან ურთიერთობები ნორმატიული იყო, მაგრამ არა – იდეალური. ამ მხრივ მუსტაფა ქემალი თავიდანვე გაემიჯნა „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ მოძრაობასა და მის ლიდერებს. ისიც ნიშანდობლივია, რომ მათზე მაინცდამაინც დადებითი შეხედულებისაც არ იყო. აკი ხშირად მოიხსენიებდა იგი ენვერ, ჯემალ და თალათ ფაშებს „პატარა კაცებად – კაცუნებად“. მიუხედავად ამისა, იგი შემდგომშიც აგრძელებდა იტიჰადისტებთან ურთიერთობას.²³²

მუსტაფა ქემალსა და ენვერ ფაშას შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი არმიის პოლიტიზირების საკითხი იყო. ეს დაპირისპირება ჯერ კიდევ 1909 წლიდან იღებდა სათავეს, როდესაც იტიჰადისტთა ყრილობაზე ამ საკითხთან დაკავშირებით სწორედ მუსტაფა ქემალი გამოვიდა მეტად კრიტიკული სიტყვით. იგი ენვერ ფაშას მკვეთრად პროგერმანულ ორიენტაციასაც აკრიტიკებდა. მიუხედავად იმისა, რომ მათი ცნობიერება და მსოფლმხედველობა მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, საერთოც ბევრი ჰქონდათ. და ეს მთავარი საერთო – განუსაზღვრელი ძალაუფლების წყურვილი და მათი მესიანისტური რწმენის ურყეობა იყო. დასახული მიზნის მისაღწევად არცერთი არ იყო უკან დამხვევი და მზად იყვნენ ყველაფერი გაეღოთ ამისათვის. აქ ნიშანდობლივია ენვერ ფაშას სიტყვები, რომელიც მან თურქ გენერალთა ჯგუფთან წარმოთქვა 1915 წელს, გენერალური შტაბის ოფიცერთა ერთ-ერთ შეხვედრაზე: „ეს ახალგაზრდა ოფიცერი მუსტაფა ქემალია, თქვენ კარგად არ იცნობთ მას. მისთვის ყველაფერი ცოტაა. თუ ის მიაღწევს გენერლის ერთ ვარსკვლავს, მას მოუნდება მეორე. თუ მიაღწევს მეორეს, ის მესამისათვის იბრძოლებს, და მას ამ გზაზე ვერაფერი ვერ შეაჩერებს“. და მუსტაფა ქემალი: „არ მეგონა, თუ ენვერ ფაშა ასეთი ჭკვიანი და წინდანეული კაცი ბრძანდებოდა“.²³³

მაშინ ენვერ ფაშამ გაიმარჯვა. იგი წარმატებული ოფიცერი, „თურქული რევოლუციის გმირი“ და „ახალგაზრდა თურქთა“ ერთ-ერთი ლიდერი იყო, მალე კი იმპერიის სამხედრო მინისტრი და სულთნის კარის სიძეც გახდა. მას შემდეგ, მთელი თავისი სამხედრო თუ პოლიტიკური კარიერის მანძილზე, ენვერ ფაშასა და მუსტაფა ქემალს შორის არსებული დაძაბული დამოკიდებულება აღარ გამქრალა, განხეთქილებისა და უნდობლობის ნაცრისფერი აჩრდილი მუდმივად თან სდევდა მათ ურთიერთობებს.

²³⁰ Дж. Киракосян. "Младотурки перед судом истории". Ереван, 1986г. Стр. 145.

²³¹ Erik Jan Zürcher. Atatürk as a Young Turk. Halil Erdoğan Cengiz, Enver Paşa'nın Anılan 1881-1908 (İstanbul: İletişim, 1991), 107-108.

²³² არჩილ ჩაჩხიანი. პოლიტიკური პორტრეტები რეტუსირების გარეშე – ვლადიმერ ლენინი და მუსტაფა ქემალი (ათათურქი). „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ისტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2013. 1(12). გვ. 345-346.

²³³ Founder and the first president of the Turkish Republic www.Turkish-media.com.

ტრიუმფირატისათვის გამოტანილი განაჩენის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა სომხურმა ნაციონალურ-სოციალისტურმა ორგანიზაციამ – „სომეხთა რევოლუციურმა ფედერაციამ“, დაშნაკთა პარტიამ ითავა. შურისძიების ეს ოპერაცია, რომელიც 1919 წლის სექტემბერში დაშნაკთა პარტიის მე-9 შეკრებაზე შემუშავდა და ოპერაცია „ნემეზისის“ (Némésis – ბერძნულ მითოლოგიაში შურისძიების ქალღმერთ ნემეზიდას სახელის მიხედვით) კოდური დასახელება მიიღო, მალე წარმატებით აღსრულდა. მაგრამ ამაზე ოდნავ ქვემოთ. „ნემეზისის“ ამოცანა კი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს – „სომეხი ხალხისთვის მიყენებული ტანჯვისათვის შურისძიება“.²³⁴

ალექსანდრ ჟევახოვის დახასიათებით, მუსტაფა ქემალის დამოკიდებულება იტიპა-დისტების მიმართ ასეთი მკვეთრი არ იყო. იგი ამბობდა – „შეიძლება ახალგაზრდა თურქებმა მრავალი შეცდომა დაუშვეს, მაგრამ მათი პატრიოტიზმი არავითარ განსჯას არ ექვემდებარებოდა“.²³⁵ ამ შეფასებას ჩვენც ვიზიარებთ.

I მსოფლიოს ომის შემდგომი ახალი ტერიტორიული გადანაწილებისა და პოლიტიკური წესრიგის აღდგენის საკითხი კი, პარიზის „მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას“ უნდა გადაეწყვიტა, რომელმაც მუშაობა 1919 წლის 12 იანვარს დაიწყო. საინტერესო ატმოსფერო სუფევდა კონფერენციაზე – ერთი მხრივ, იგი გარკვეულწილად იმ ტრიბუნალის როლს ასრულებდა, რომელსაც ოსმალთა იმპერია უნდა გაესამართლებინა „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისათვის“, მეორე მხრივ კი, მოძრიგებელ შუამავალს წარმოადგენდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის ახლადმოპოვებული ტერიტორიების გადანაწილების საქმეში.

თითქოს ყველაფერი დასრულდა, ოსმალთათვის შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა და მოვლენათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი იმაზე მიუთითებდა, რომ ოსმალთა თურქული სახელმწიფო უკანასკნელ დღეებს ითვლიდა... ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ იმპერიას არსებობა უნდა შეეწყვიტა, იგი უნდა დაშლილიყო... ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი ცხადზე უცხადესი იყო – თურქულ-ოსმალური იმპერია უნდა გამქრალიყო... მაგრამ მისმა უდიდებულესობა ისტორიამ სხვაგვარად განსაჯა და შემდგომი მოვლენებიც სულ სხვანაირად განვითარდა...

§3.2. იტიპადისტთა ნაციონალური ორგანიზაციები

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ზავის დადებამ და ანტანტის ქვეყნების მიერ ოსმალთა ტერიტორიების ოკუპაციის დაწყებამ ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესი იმპერიის მაჰმადიან მოსახლეობაში დიდი ძვლვარებები გამოიწვია. ანატოლიაში საპროტესტო მოძრაობის ტალღა აგორდა. კონსტანტინოპოლმა გამოსავლის ძიება დაიწყო. საჭირო იყო ქმედითი, ეფექტური წინააღმდეგობის ორგანიზება იმპერიაში,

²³⁴ Jamil HASANLI, doctor of historical sciences, professor. Nagorno-Karabakh: old misconceptions in new interpretation. <http://azerbaijanfoundation.az/en/karabakh/4545-voice-of-karabakh-1002.html>.

²³⁵ Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexander Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999. P. 397. Оп. 1. Д. 329. http://www.e-reading.bz/chapter.php/1013613/63/Zhevahov_-_Kemal_Ataturk.html.

რომელიც შექმნილ სიტუაციას გამოასწორებდა. ამისათვის შორს წასვლა და ახალი ვერსიების გამოგონება სულაც არ გახდა საჭირო. იმპერიის გავლენიანი წრეები მზად აღმოჩნდნენ ისტორიის მიერ შეთავაზებული ამ მძიმე გამოწვევის მისაღებად. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის მიერ კონტრმოქმედებების საიდუმლო გეგმა უკვე შემუშავებული იყო. საკითხის არსში უფრო საფუძვლიანად გარკვევისათვის მცირე რეტროსპექტული გადახვევის გაკეთება მოგვიწევს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში იმპერიის ევროპულ ნაწილში ტერიტორიების პერმანენტულმა დაკარგვამ, აგრეთვე პანთურქიზმისა და „დიდი თურანის“ იდეების ეფემერულობამ ოსმალთა ხელში მხოლოდ ანატოლია დატოვა, რომელმაც თურქულ ნაციონალურ ფსიქოლოგიაში ნელ-ნელა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ევროპიდან თურქთა დევნის ასწლიანმა პროცესმა XX საუკუნის დასაწყისიდან ანატოლიას თურქთათვის განსაკუთრებული სტატუსი შესძინა. ეს იყო ამ ხალხის გადარჩენისათვის საჭირო „საარსებო სივრცე“, თურქი ხალხის ბოლო თავშესაფარი.

თუ ოსმალთა ისტორიას გადავხედავთ, ამ ტერიტორიებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მინიჭება მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. მანამდე იმპერიის „გულს“ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი და კონსტანტინოპოლი წარმოადგენდა, ახლა კი თურქულ პრესაში შემდეგი მიმართვები გაჩნდა: „მამულიშვილნო, მოდიო, კარგად დაფიქრდეთ! თუ ჩვენ ახლაც არ მივაქცევთ ანატოლიის მოსახლეობის მოთხოვნებს ყურადღებას და მათ დანხარების ხელს არ გავუწვდით, ამით ჩვენს მარჯვენას მოვიკვეთავთ. ჩვენი არმიის ჯარისკაცთა უმეტესი ნაწილი ანატოლიელები არიან. ანატოლია ჩვენი მარჩენალი“.²³⁶

ჯერ კიდევ I მსოფლიო ომში ჩართვის წინ ოსმალთა იმპერიის გენერალურ შტაბში მუშავდებოდა გეგმები, რომელიც ომის მიმდინარეობის ყველა შესაძლო ვარიანტსა და შედეგებზე იყო გათვლილი. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და გენერალურმა შტაბმა ომის დასრულების ყველა შედეგი განსაჯა და ის შემთხვევაც გაითვალისწინა, თუ ომში ოსმალთა იმპერია დამარცხდებოდა. ასეთ შემთხვევაში შეირჩა ანატოლიის რეგიონში გამაგრებისა და ბრძოლის იქ გაგრძელების გრძელვადიანი სტრატეგია. შედგა საბრძოლო მოქმედებათა თანმიმდევრული გეგმაც“.²³⁷

გეგმის შესაბამისად, იმპერიის მმართველი ტრიუმვირატისა და გენშტაბის თაოსნობით შეიქმნა ე.წ. „სპეციალური ორგანიზაცია“ – Teşkilât-ı Mahsusa, რომელიც კონსტანტინოპოლისა და სრუტეების დაკარგვის შემთხვევაში წინააღმდეგობის მოძრაობას ჩაუდგებოდა სათავეში იმპერიის აღმოსავლეთ ვილაიეთებში. Teşkilât-ı Mahsusa წარმოადგენდა სამხედრო საიდუმლო სამსახურის ოსმალურ ვარიანტს, რომლის დანიშნულებასაც სადაზვერვო, საინფორმაციო და პროპაგანდისტული მუშაობის წარმოება და ე.წ. „პარტიზანული რაზმების“ შექმნა წარმოადგენდა. ენვერ ფაშასა და სამხედრო სამინისტროს სტრატეგიული გათვლა ისეთი იყო, რომ თუ I მსოფლიო ომის მსვლელობისას მოკავშირეები სრუტეებსა და კონსტანტინოპოლს დაიკავებდნენ, მაშინ საყოველთაო „პარტიზანული მოძრაობა“ უნდა დაწყებულიყო იმპერიის შიდა რეგიონებში და, უპირველეს ყოვლისა, ანატოლიაში. Teşkilât-ı Mahsusa არ წარმოადგენდა მხოლოდ სამხედრო სტრუქტურას. იგი ამავე დროს პოლიტიკური ორგანიზაცია იყო, რომლის იდეოლოგიური ღერძი პანისლამისტურ და, მოგვიანებით, პანთურანულ იდეებზე გადიოდა.

²³⁶ Kamuran Gürün. The War of Independence. Ankara. 1982. H. G. Armstrong. Pg. 80.

²³⁷ Basiret gazetesinden aktaran; David Kushner, a.g.e. Pg. 263.

ამ გეგმების დახვეწას გენერალურ შტაბსა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უკვე 1915 წლის დამდეგიდან, სარიყამიშის ოპერაციის დასრულებისთანავე მიუბრუნდნენ, რომელიც კავკასიის ფრონტზე გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიისათვის სრული კატასტროფით დასრულდა. Teşkilât-ı Mahsusa-ს გეგმის რეალური ამუშავება კი ბრიტანელთა მიერ უკვე ჰალიპოლისის ოპერაციის მიმდინარეობისას დაიწყო 1915 წლის ბოლოდან, როდესაც ბრიტანელებმა ANZAC – ავსტრალია ახალი ზელანდიის საარმიო კორპუსისა და ფრანგული კონტინგენტის (ANZAC – Australian and New Zealand Army Corps) დიდი საზღვაო დესანტი გადმოსხეს დარდანელზე და ოსმალთა იმპერიას აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში დიდი პრობლემები შეუქმნეს. ფრონტზე მიმდინარე ბრძოლების პარალელურად, თურქი ოფიცრები ადგილებზე იღებდნენ დავალებებს ორგანიზება გაეწიათ ანატოლიის წინააღმდეგობის მოძრაობისათვის, შეეიარაღებინათ ანატოლიელი ხალხი და მომზადებულიყვნენ ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლებისათვის. იმის ალბათობა, რომ ბრიტანული დესანტი ოსმალთა თავდაცვით ზღუდეს გაარღვევდა და ანატოლიაში შემოვიდოდა, დიდი იყო. წინააღმდეგობის ორგანიზებასთან ერთად, გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო მთავრობის ევაკუაცია კონსტანტინოპოლიდან ცენტრალურ ანატოლიაში, ესკიშეჰირში ან კონიაში. დარდანელის ოპერაციის მიმდინარეობისას ამ გეგმის ნაწილიც ამუშავდა – სახელმწიფო არქივისა და ხაზინის ნაწილი მართლაც ესკიშეჰირში გაიტანეს. და აი, ახლა, თურქებს შეიძლება თავიანთი ბოლო თავშესაფარი, თავისი ქვეყნის ბოლო კუთხე – ანატოლია დაეკარგათ. ერთის მხრივ, გრძელდებოდა დარდანელის ბრძოლები, ხოლო, მეორე მხრივ, – მუშაობა ანატოლიის უკანასკნელ თავშესაფრად გადაქცევისთვის.

ჰალიპოლისის ოპერაცია 259 დღე მიმდინარეობდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ოსმალთა იმპერიის ბედი ბეწვზე ეკიდა. ოსმალთათვის ეს მართლაც ნამდვილი „ცეცხლოვანი გენია“ იყო, როგორც ამას ამ ამბების თვითმხილველი, ცნობილი თურქი ისტორიკოსი, შევკეტ სურეია აიდემირი (Şevket Süreyya Aydamir) აღნიშნავდა.²³⁸ მაგრამ მაშინ იმპერია გადარჩა. გენერალ ლიმან ფონ სანდერსისა და „დარდანელის გმირის“, პოლკოვნიკ მუსტაფა ქემალის უნარიანი ხელმძღვანელობის წყალობით, ოსმალებმა შეძლეს თავდაცვითი პოზიციების შენარჩუნება, ბრიტანული დესანტის ნარჩენები კი დარდანელიდან ევაკუირებული იყო. სწორედ ამ წარუმატებელ ოპერაციას შეეწირა უინსტონ ჩერჩილის სამხედრო კარიერა, რომელსაც იმ დროისათვის დიდი ბრიტანეთის საადმირალოს პირველი ლორდის (სამხედრო-საზღვაო მინისტრი) პოსტი ეკავა.

საერთო ჯამში, დარდანელის ოპერაცია ორივე მხრიდან უმძიმესი მსხვერპლით დასრულდა. ინგლისელებმა მოკლულების, დაჭრილებისა და უგზოუკვლოდ დაკარგულების სახით დაახლოებით 120 ათასი კაცი დაკარგეს, ფრანგებმა – 26500, თურქებმა კი – 186 ათასი. ოსმალთა ამ დიდ გამარჯვებას კონსტანტინოპოლი დიდი ზემოთ შეხვდა. გენერალ ლიმან ფონ სანდერსს „აღმოსავლეთის ჰინდენბურგი“ უწოდეს, ხოლო სულთან მეჰმედ V-ს „ურჯულოებზე გამარჯვებულის“ – „ლაზის“²³⁹ ტიტული მიანიჭეს. სწორედ ჰალიპოლისის ოპერაციას უკავშირდება მუსტაფა ქემალისათვის

²³⁸ Şevket Süreyya Aydamira, Enver Paşa, Cilt III. Pg. 228.

²³⁹ ლაზი – ისლამურ სამყაროში მოხალისე მეომარი, რომელიც სარწმუნოების, სიმათლისა და სამართლიანობის დასაცავად იბრძვის. ისლამურ წყაროებში პირველად ეს ცნება X-XI საუკუნეებში ჩნდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ცნებამ მოგვიანებით, XI-XV საუკუნეებში, ბიზანტიურ-სელჯუკური და ბიზანტიურ-ოსმალური ომების პერიოდში შეიძინა. იგი განსხვავდებოდა იანიჩარის ცნებისაგან, რომელიც ლაზისგან განსხვავებით რეგულარული ჯარის მებრძოლს წარმოადგენდა. შემდგომში, ოსმალთა იმპერიაში ამ ტერმინის მნიშვნელობა უფრო დაკონკრეტდა და მან ურჯულოთა წინააღმდეგ ომში გამარჯვებულის მნიშვნელობა მიიღო. სულთან მეჰმედ II-ის პერიოდიდან დაწყებული კი, ამ ცნებამ განსაკუთრებით საპატიო ტიტულის მნიშვნელობაც შეიძინა, რომელიც ისლამური სახელმწიფოების იმ მონარქებსა და უმაღლეს მმართველებს (სულთანი, ამირა) ენიჭებოდათ, რომლებიც ურჯულოთა წინააღმდეგ ომებსა და დიდ ბრძოლებში გამარჯვებას მიაღწევდნენ. სარწმუნოებისათვის მებრძოლ უბრალო მოხალისე მეომრებს კი ბაშიბუზუკები ეწოდათ.

მიწერილი ცნობილი ფრაზაც: „მე შეტევის ბრძანებას არ ვიძლევი, მე სიკვდილის ბრძანებას ვიძლევი!“

ღარდანელის ოპერაციის ჩავარდნით ყველაზე მეტად მაინც რუსეთი დაზარალდა. ჩაკეტილი სრუტეების გამო რუსეთის იმპერია ბლოკირებული აღმოჩნდა შავი ზღვიდან, რის გამოც იგი იმ სატრანსპორტო კორიდორის გარეშე დარჩა, რომლის გავლითაც იგეგმებოდა მოკავშირეთა მხრიდან მიწოდებული სამხედრო-ტექნიკური დახმარებების გატარება. რაც მთავარია, რუსეთის იმპერიამ I მსოფლიო ომში თავისი მთავარი გეოპოლიტიკური პრიზი – კონსტანტინოპოლი და სრუტეების რაიონი დაკარგა.

ტრიუმვირატის წევრთა გაქცევისა და „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ფორმალური დაშლის შემდეგ, იტიჰადისტები ძალიან საინტერესო სიტუაციაში აღმოჩნდნენ. როგორც ინგლისელები აღნიშნავდნენ, ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერები იყვნენ ქვეყნის „ადმინისტრაციაში, არმიასა და პოლიციაში“. მათი გავლენა ქვეყანაში იმდენად დიდი იყო, რომ არსებულ სიტუაციაში ისინი პრობლემად რჩებოდნენ მოკავშირეებისათვის, განსაკუთრებით, ინგლისელებისათვის. გაზეთი “Times“ წერდა, რომ თავის დროზე „ახალგაზრდა თურქთა“ მიერ დაარსებული იტიჰადისტთა პარტია „ერთიანობა და პროგრესი“ „თურქეთში არსებული ერთადერთი ეფექტური პარტია იყო“.

ასეთ ვითარებაში ექსიტისტების სხვადასხვა საიდუმლო თუ ნახევრად საიდუმლო დიდ-პატარა ორგანიზაციებს ქმნიან – თადარიგის ოფიცერთა ასოციაციას, სხვადასხვა კორპორაციულ გილდიებს, ეროვნულ კონგრესს, თურქეთის სხვადასხვა ვილაიეთის მოსახლეობის უფლებათა დაცვის სხვადასხვა საზოგადოებას, „ეროვნულ ისლამურ საბჭოებს“ და ა.შ. კონსტანტინოპოლში განახლდა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, რომლებიც ცდილობდნენ, შეექმნათ ეროვნული ბლოკი თურქეთის ერთიანობის დასაცავად.²⁴⁰

1918 წლის ნოემბერში „უფლებათა დაცვის საზოგადოებები“ შეიქმნა ედირნეში, დასავლეთ თრაკიაში, ყარსსა და იზმირში, დეკემბერში – ურფაში, 1919 წლის თებერვალში კი – ტრაპიზონსა და არზრუმში.

წინააღმდეგობის მოძრაობის ახლადშექმნილ ორგანიზაციათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი „ყარაქოლი“ (Karakol) იყო, რომელიც 1918 წლის ოქტომბრის ბოლოს დაარსდა და ომის შემდგომი ოკუპაციის პერიოდის თურქული ნაციონალისტური მოძრაობის პირველ ცნობილ ასოციაციას წარმოადგენდა. მისი დაარსების იდეა მეჰმედ თალაათ ფაშას ეკუთვნოდა, რომელიც მან ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას წამოაყენა. საინტერესოა ამ ორგანიზაციის იდუმალი სახელწოდება, რომლის მნიშვნელობაც სიტყვათა გარკვეულ თამაშზე იყო აგებული. ერთი მხრივ, იგი „შავ ხელს“ (Kara kol) ნიშნავს, მეორე მხრივ – „გუშავს“ (Karakol). მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობას მესამე ინტერპრეტაციაც ჰქონდა. ორგანიზაციის უშუალო დამაარსებლები Teşkilât-ı Mahsusa-ს წევრი, პოლკოვნიკი ყარა ვაზიფი და კონსტანტინოპოლის იტიჰადისტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ყარა ქემალი იყვნენ. სწორედ ყარა ქემალმა და ყარა ვაზიფმა შეურჩიეს ორგანიზაციას ეს დასახელება, რომელიც ზემოთ მოყვანილ მნიშვნელობებთან ერთად, მათ საკუთარ სახელებსაც შეიცავდა. ასე რომ, ისედაც მკაცრად გასაიდუმლოებული ორგანიზაციის სახელწოდების მნიშვნელობაც ძალიან ჩახლართული და მრავალაზროვანი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ „ყარაქოლის“ შექმნის იდეა თალაათ ფაშას ეკუთვნოდა, ორიგინალობით ეს იდეა ნამდვილად არ გამოირჩეოდა. იგი ზემოხსენებული Teşkilât-ı Mahsusa-ს ბაზაზე შეიქმნა და გასაგებია, რომ დაარსების დღიდანვე ენვერ ფაშას დიდ გავლენას განიცდიდა. „ყარაქოლი“ მკაცრად ცენტრალიზებულ და გასაიდუმლოებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომლის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ვინაობა,

²⁴⁰ Şeref Cavuşoğlu, İttihat ve Terakki'nin Gizli Planı, Yakin Tarihimiz, Cilt I. 281-282.

რაოდენობა, შეხვედრის ადგილები, კონტაქტებზე გასვლის წესები და შიდა სუბორდინაციის სისტემა სრულიად დახურული იყო. ისევე როგორც სამხედრო დაზვერვის ბაზაზე შექმნილი ორგანიზაცია, მისი წევრების უმეტესობაც დაზვერვის სამსახურის ყოფილი წევრები და აგენტები იყვნენ. „ყარაქოლის“ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა კი ასეთი იყო: ბაჰა საიდი, ყარა ვაზიფი, რეფიკ ისმაილი, ჯემალედინ სამი, გალათალ შევკეტი, ედიპ სევკეტი და ალი რიზა ბეე.²⁴¹

მეტად საინტერესოა ამ ორგანიზაციის წესდების მე-3 მუხლი, სადაც სოციალისტური იდეოლოგიის გარკვეული შტრიხებიც კი შეიმჩნევა. თურქი მკვლევარის, პროფესორ ნერსინ ერსოი მაკმიკენის (Nersin Ersoy McMeekin) მიხედვით: „ყარაქოლი თავის ძალაუფლებას ახორციელებდა მშვიდობისმოყვარე დელეგატების, ყველა სოციალისტური და პროლეტარული ჯგუფების მიერ ინტერნაციონალური განხილვების მეშვეობით, თურქული მუსლიმანური ცენტრის, აგრეთვე თითოეული ადამიანისა და ორგანიზაციის მხრიდან, ვისთვისაც მისაღები იყო „ყარაქოლის“ მიზნები“.²⁴²

მუსტაფა ქემალ ათათურქის მიხედვით კი, „ყარაქოლის“ ინსტრუქციებში საუბარი შეეხებოდა „ნაციონალური არმიის“ ორგანიზებას. ინსტრუქციებში ნათქვამი იყო, რომ „ამ არმიის გენერალისიმუსი, მისი შტაბის პირადი შემადგენლობა, ასევე უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობა: არმიებისა და კორპუსების სარდლები, დივიზიის მეთაურები, მათი შტაბის ოფიცრები, ინიშნებიან არჩევითი წესით. ამავე დროს, მათი პერსონების იდენტიფიცირება არ ხდებოდა, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება კი ხორციელდებოდა საიდუმლო რეჟიმში“.²⁴³

თავდაპირველად ეს ორგანიზაცია დაკავებული იყო სადაზვერვო მუშაობის წარმოებით, აგრეთვე საოკუპაციო რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი კონსტანტინოპოლის ოფიციალური მთავრობის მხრიდან იტიჰადისტთა დევნის აღკვეთით. შემდგომში „ყარაქოლის“ აქტივობამ მოიცვა ანტანტის მიერ უკონტროლო ან ნაკლებად კონტროლირებად ტერიტორიებზე გავლენის გაზრდა, იქ იარაღის, საბრძოლო მასალებისა და აღჭურვილობის ფარულად გატანა და გადაძალვა. ამით ჯერ კიდევ Teşkilât-ı Mahsusa-ს მოქმედების პერიოდში შექმნილი იარაღის საიდუმლო საწყობების რაოდენობა ანატოლიაში კიდევ უფრო იზრდებოდა. ახალ ვითარებასთან შესაბამისობაში, „ყარაქოლმა“ შეძლო გაეჭრა ახალი საკომუნიკაციო და სატრანსპორტო არხები კონსტანტინოპოლსა და ანატოლიას შორის, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა გადაძალვითი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნელ-ნელა გატანა ანატოლიასა და ამიერკავკასიაში.

პრინსტონის უნივერსიტეტის დოქტორის, ახლო აღმოსავლეთისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემათა მკვლევარის, პროფესორ შუჰნაზ ილმაზის (Şuhnaz Yılmaz) მიხედვით, „ყარაქოლის“ მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას შეადგენდა აგრეთვე ექსიტიჰადისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტყვედ აყვანილი და პატიმრობაში მყოფი მნიშვნელოვანი პერსონების განთავისუფლება. მაგრამ „ყარაქოლის“ მთავარ დანიშნულებას ოსმალთა იმპერიაში ამ ორგანიზაციის განტოტვილი ქსელის შექმნა და წინააღმდეგობის ორგანიზება წარმოადგენდა.²⁴⁴

მეორე თურქი მეცნიერის, ჰულია ქუჩუკის (Hülya Küçük) მიხედვით, „ყარაქოლის“ მიზანი იყო იტიჰადისტებისა და თურქი მოსახლეობის დაცვა ომის

²⁴¹ Erik-Jan Zürcher. Atatürk as a Young Turk. Contemporary Turkish Studies. Pg. 25.

²⁴² Nersin Ersoy McMeekin. Turkey's relations with the Bolsheviks (1919-1922). The department of international relations. Bilkent University. Ankara. 2007. pg. 26. Fahri Can. "Karakol Cemiyeti Nasil Kurulmuştur?" Hartalar, Vesikalar, Resimlerle Yakın Tarihimiz. 1963.

²⁴³ Мустафа Кемаль. Путь новой Турции. 1919-1927. Т. I. Первые шаги национально-освободительного движения. Государственное издательство „Литиздат“ НКВД. 1929. Стр. 70.

²⁴⁴ Şuhnaz Yılmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 52. (Philip Hendrich Stoddard. The Ottoman Government and the Arabs, 1911-1918. A Preliminary Study of the Teşkilât-ı Mahsusa. Umpub. Ph.D. Princeton University. 1963.

შემდგომ პერიოდში ანტანტის, ლიბერალებისა და ქრისტიანი მოსახლეობის მხრიდან შესაძლო შურისძიების აღსაკვეთად“.²⁴⁵

სწორედ ამ საიდუმლო ორგანიზაციების – Teşkilât-ı Mahsusa-სა და მისი მემკვიდრე „ყარაქოლის“ ეგიდით მიმდინარეობდა აღმოსავლეთ ანატოლიისა და სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსლიმანური რეგიონების მომზადება შემდგომი ბრძოლების ჩასატარებლად – იარაღის შეტანა, განტოტვილი აგენტურული ქსელის შექმნა და ე.წ. „ეროვნული ისლამური საბჭოების“ დაარსება. მუდროსის ზავის დადებისა და თურქული ნაწილების ამიერკავკასიიდან გასვლისთანავე, პანისლამისტებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მუშაობა მუსლიმანებით დასახლებულ ტერიტორიებზე Teşkilât-ı Mahsusa-ს ახალი ტიპის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოების, ე.წ. „ისლამური საბჭოების“ ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც გარკვეულწილად შეინარჩუნებდნენ თურქთა მიერ ადრე ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მის მოსახლეობაზე ოსმალეთის კონტროლს.

ამ გეგმის შემუშავების აუცილებლობას ბოლო ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში იმპერიაში არსებული პოლიტიკური ვითარება და იმპერიის ხალხების ეთნიკური და კონფესიური სურათის სიჭრელე განაპირობებდა. ჩვენს ამ მოსაზრებებს თურქი ავტორებიც ადასტურებენ. ცნობილი თურქი მეცნიერი, ანკარის უნივერსიტეტის პროფესორი თურქულ პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში, ბასკინ ორანი (Baskin Oran) წერს: „ჩვენთან აქსიომადაა მიღებული ის დებულება, რომ „დამოუკიდებლობის“ ან სხვანაირად, „განმათავისუფლებელი“ ომი იმპერიალიზმის და უცხო ქვეყნების წინააღმდეგ მიმდინარეობდა, რომლებიც თურქეთის დანაწილებას ესწრაფვოდნენ. არადა, საკითხისადმი და ხელთ არსებული წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა ეჭვს არ ტოვებს იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს ომი არა ოკუპანტების, არამედ ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ წარმოებდა“.²⁴⁶ შემდეგ კი აგრძელებს: „როგორც ცნობილია, თურქეთის განმათავისუფლებელი ომის მამოძრავებელი ძალა „უფლებათა დაცვის საზოგადოება“ (Mudafaa-i hukuk dernekleri) იყო. ამ ორგანიზაციის საქმიანობისადმი თვალის ერთი გადავლევაც კი საკმარისია იმის დასანახად, რომ „ეს ორგანიზაციები იმ რაიონებში იქმნებოდნენ, სადაც სომხებისა და ბერძნების მხრიდან რეალური საფრთხე მომდინარეობდა“.²⁴⁷

როგორც ვხედავთ, საკმაოდ მკვეთრი და, ერთი შეხედვით, თითქოს არაორდინარული დასკვნაა.

იგივე მოტივები ამოძრავებდა თურქი ნაციონალისტების მიერ ორგანიზებულ „წინააღმდეგობის“ სხვა ჯგუფებსაც. თურქი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, 70-იანი წლების თურქეთის პარლამენტის წევრი საბაჰატინ სელეკი (Sabahattin Selek) თავის მონოგრაფიაში „ანატოლიური რევოლუცია“ წერს: „წინააღმდეგობის პირველი ხუთი ჯგუფი 1918 წლის ბოლოს შეიქმნა, მუდროსის ზავის დადებიდან სულ მცირე ხანში. სამი ამ ორგანიზაციის საქმიანობიდან მიმართული იყო სომხების, ხოლო ორი – ბერძნების წინააღმდეგ. ტრაპიზონში შექმნილი ამ ორგანიზაციის წესდების პირველ პუნქტში ნათქვამი იყო, რომ ორგანიზაციის მიზანს „ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა წარმოადგენდა“.²⁴⁸

ზემოთ ნათქვამი პირდაპირ ეხება გენერალ ქიაზიმ ყარაბეჟირ ფაშასაც. მე-15 საარმიო კორპუსის სარდლად დანიშნულმა ყარაბეჟირმა არზრუმში ჩასვლისთანავე

²⁴⁵ Hülya Küçük. The role of the Bektâshis in Turkey's national struggle. A historical and critical study. Center for Adult Education, Cambridge, MA, USA. Library of Congress Cataloging-Publication Data. 2001. Pg. 102.

²⁴⁶ Baskin Oran, Atatürk Milliyetçiliği, Resmi ideoloji Dişi Bir Inceleme, s.146, Ankara 1988. <http://armenianhouse.Org/akcam/genocide/book2.html>.

²⁴⁷ Sabahattin Selek, Anadolu İhtilali, İstanbul 1987; I. Cilt, s.100.

²⁴⁸ Doğan Avcıoğlu, Türklerin Tarihi, I. Cilt, s.1183. <http://armenianhouse.org/akcam/genocide/book2.html>.

მოიპოვა „აღმოსავლეთ ვილაიეთების ნაციონალურ უფლებათა დაცვის საზოგადოების“ (Vilayât-I Sarkiye Müdafaa-i Hukuk-u Milliye Cemiyeti) მხარდაჭერა. ეს ორგანიზაცია, ისევე როგორც სხვა ნაციონალური ორგანიზაციები, კონსტანტინოპოლში დაარსეს იტიჰადისტებმა 1918 წლის დეკემბერში. მის ამოცანას აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები თურქების დაცვა წარმოადგენდა სომეხთა სეპარატისტული გამოსვლებისაგან, რომლებიც თავიანთი ეფემერული სახელმწიფოს, „დიადი არმენის“ შექმნისათვის იბრძოდნენ.

მეორე მოტივი „უფლებათა დაცვის საზოგადოების“ შექმნისათვის შეიძლება განვიხილოთ არზრუმის მაგალითზე. ცნობილი თურქი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი დოგან ავჩიოღლი (Doğan Avcioğlu) წერს: „ამ ორგანიზაციის წევრები გახდნენ იტიჰადისტთა პარტიის ცეკას წევრი ჰილმი ბეი, რომელსაც დიდი ქონება ჰქონდა დაგროვებული ეროვნულ უმცირესობათა დარცვა-გლეჯით, ასევე იტიჰადისტთა პარტიის წევრი ებილჰინდილ ჯაფარი და „სპეციალური ორგანიზაცია“ Teşkilât-ı Mahsusa-ს წევრი პოლკოვნიკი დელი ჰალიდი, იგივე „გიჟი ჰალიდი“ (შემდგომში გენერალი, ტრაპიზონში დისლოცირებული მე-3 დივიზიის მეთაური, ფაშა – ა. ჩ.), რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა სომხებისა და ქართველების წინააღმდეგ განხორციელებულ დარბევებში“.²⁴⁹

სწორედ ამ ორგანიზაციების ინტენსიური მუშაობის შედეგი იყო სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში, ისტორიულ ქართულ მიწებზე ე.წ. „ყარსის ისლამური საბჭოსა“ და შემდგომ „ყარსის მთავრობის“ შექმნაც. ამ პროცესებს კი გარკვეულმა ისტორიულმა წანამძღვრებმა და ადგილზე არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველ მუსლიმანთა გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით, დიდგვაროვნები და მდიდარი მიწათმფლობელები, პროთურქულ და პანისლამისტურ ორიენტაციას ადგნენ და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი პოზიციები ეკავათ.²⁵⁰ აქ წინა პლანზე უკვე მათი სოციალური კეთილდღეობის საკითხებმა წამოიწია, რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკური და საშინაო კურსი მკვეთრად მარქსისტული და სოციალისტური იყო. გამაჰმადიანებულმა ქართველმა ბევრებმა კი ეს ახალი და უცნობი იდეოლოგია დიდ საფრთხედ აღიქვეს. საქართველოს მთავრობის მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ და შექმნილმა მდგომარეობამ ხელი შეუწყვეს ადგილებზე ისლამური და პროოსმალური ტენდენციების გაძლიერებას. სწორედ ამ გარემოებების ფონზე არსდება ოსმალთა იმპერიის ტერიტორიებზე 1918 წლის ბოლოდან ისლამური საბჭოები, რაც, საერთო ჯამში, 1919 წლის დასაწყისიდან ყარსის ოლქში „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“, ან სხვანაირად, „ყარსის რესპუბლიკის“ შექმნით სრულდება.²⁵¹

ამ პროცესებში მნიშვნელოვანი იყო ამიერკავკასიაში შეყვანილი ოსმალური სამხედრო შენაერთების როლი. „კავკასიაში ჩვენ ორი დივიზია გვყავდა. იარაღი დაურიგდა აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმან მოსახლეობას. ენვერ ფაშა კავკასიელი მოხალისეებით ჩვენი დივიზიების გაძლიერების შემდეგ გვემავდა ყარსში დროებითი მთავრობის შექმნასა და სომხეთის განადგურებას მანამ, სანამ ანტანტის

²⁴⁹ Yakin Tarih Ansiklopedisi, Cilt 12, s.27, Yeni Asya Dergisi Yayini, Istanbul 1990.<http://armenianhouse.org/akcam/genocide/book2.html>.

²⁵⁰ არჩილ ჩაჩხიანი. თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ სამხედრო ისტორიის საკითხები საარქივო მასალებსა და დოკუმენტებში. „ანალები“. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. თბილისი. 2013. გვ. 289.

²⁵¹ H. Pehlivanli. „The Post Armistice situation on South-West Caucasia“ in “Kars and Eastern Anatolia in the Recent History of Turkey”, Ankara, 1994.

ქვეყნები მოსვლას მოასწრებდნენ. შემდგომი პოლიტიკური სიტუაციის გარკვევამდე ის იქ დარჩენას აპირებდა“, – წერდა შემდგომში ცნობილი თურქი პოლიტიკური მოღვაწე, ჯალალ ბაიარი.²⁵²

საინტერესოა, გავეცნოთ იმ საარქივო დოკუმენტებს, სადაც ამ ფსევდოსახელმწიფოს, ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის“ მოწოდებაა გაჟღერებული კავკასიის მუსლიმანებისადმი:

„ყოველშემძლის დახმარებით ჩვენ დავაფუძნეთ და გავხსენით ყარსში პარლამენტი, შემდგარი კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის მუსლიმანებისაგან, რომლებიც 1919 (1335) წლის 18 იანვარს შეიკრიბნენ ყარსში. დავადგინეთ, რომ მომავალში პარლამენტში მიიღებინან არამუსლიმანებიც და ერთხმად გადავწყვიტეთ, გამოვაცხადოთ ქვემოთ მოყვანილი განცხადება.

ყარსის დროებითი მთავრობა და პარლამენტი მუსლიმანთა აზრის, სურვილისა და ბედის გაერთიანებისათვის სამხრეთ-დასავლეთის მუსლიმანთა ყურადღებას მიაპყრობს შემდეგზე: ამ ოლქების თავისუფლება და კეთილდღეობა მხოლოდ ჩვენს ერთიანობაში მდგომარეობს; წვრილი და ცალკეული ორგანიზაციები, რომლებიც მიმოფანტულნი არიან, უეჭველად წარმოადგენენ თავიანთი მეზობლების დამპყრობლური ზრახვებისა და დასჯის საგანს და საბოლოოდ მათ დაქუცმაცება, ჩაყლაპვა, დახრჩობა და სიკვდილი მოელოთ.

ყარსის ინგლისელმა სამხედრო გუბერნატორმა განაცხადა, რომ ის ძალას არ დაიშურებს ჩვენს დროებით მთავრობასთან მუშაობისთვის და შესაბამის დახმარებას გაუწევს მას. მოცემულ მომენტში, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსლიმანთათვის, რომლებიც 1 350 000 სულს შეადგენენ, კეთილდღეობისა და პროგრესისაკენ ერთადერთი გზა არსებობს – გაერთიანდნენ ერთიანი რწმენითა და ერთიანი სინდისით. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი, შევინარჩუნოთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი არსებობა და სიწმინდეები. მხოლოდ ასეა შესაძლებელი, დავიცვათ ჩვენი შვილები ამ ეპოქის ძალმომრეობისაგან და უზრუნველვყოთ ისინი ცოდნისა და კეთილდღეობის სხივებით...

ჩვენი ერთიანობა ჩვენი ძალაა, რომელსაც ვერაფერი შეარყევს. უფალი ღმერთია ჩვენი მფარველი.

გაუმარჯოს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობას!

გაუმარჯოს მუსლიმანთა ერთიანობას!

გაუმარჯოს პარლამენტს!“²⁵³

არანაკლებ საინტერესოა იგივე „პარლამენტის“ მიერ „ბათუმის ვილაიეთის მცხოვრებლებისადმი“ გაკეთებული მოწოდებაც:

„1919 წლის (1335) 18 იანვარს ჩვენი ვილაიეთის საუბნო წარმომადგენლები შევიკრიბეთ ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედის გადასაწყვეტად და საბოლოოდ დავადგინეთ შემდეგი: არსაიდან და არავისგან დახმარების მომლოდინე, ჩვენ ვკრებთ მთელ მუსლიმანურ მოსახლეობას, ქალაქისას და სოფლისას, მთელი სამხრეთ-დასავლეთ კავკასიისას და ვამტკიცებთ, რომ ძალა შეგვწევს თვითმმართველობის. ჩვენ ვაქვეყნებთ განცხადებას იმის თაობაზე, რომ მივალწევთ ავტონომიას.

ამ საფუძველზე მოვუწოდებთ ბათუმის ვილაიეთის მოსახლეობას, შეუერთდნენ ჩვენს ძმებს ყარსიდან, არდაგანიდან და სხვა მუსლიმანური ოლქებიდან, რათა ერთ გზას დავადგეთ ხელიხელჩაკიდებულები ჩვენი დეპუტატების ასარჩევად. ისინი უნდა გავამგზავროთ ყარსში, სადაც გავხსენით პარლამენტი, რათა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ყველა მუსლიმანს შეეძლოს საქვეყნოდ განაცხადოს თავისი დამოუკიდებლობის შესახებ.

²⁵² Грант Аветисян. К ВОПРОСУ О «КАВКАЗСКОМ ДОМЕ» И ПАНТЮРКИСТСКИХ УСТРЕМЛЕНИЯХ. Bayar C. Ben de yazdim. Milly mñladeleye girie. Istanbul, 1967.

²⁵³ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1976, აღწერა 1, საქმე 2, ფურც. 28-29.

ვაცნობებთ პატივცემულ მოსახლეობას, რომ ჩვენ, სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მუსლიმანებმა ყარსში მუსლიმანთა ეროვნული საბჭო დავაარსეთ, სადაც ყველა უნდა გავერთიანდეთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და ინტერესების დასაცავად. ჩვენ ნაციონალური საბჭოს დაქვემდებარებაში ვიმყოფებით და არც ახლა და არც მომავალში არ ვაღიარებთ სხვა რომელიმე ხელისუფლებას. და ეს ყველაფერი ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის კეთდება, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული.

ზოგიერთ საკითხში შესათანხმებლად აუცილებლად უნდა დავამყაროთ ურთიერთობები ინგლისელთა სარდლობასთან.

წარმომადგენლები:

არტანუჯის – თევფიკ ეფენდი ზადე;

შავშეთის – ალი ალა ემინ ალა ოლლი;

ქვემო აჭარის – ხუსული ალა აბდალ აზა ზადე;

ზემო აჭარის – ალი რიზა ეფენდი და რაშიდ ალა არიფ ემინ ოლლი;

გონიოსი – ალი ეფენდი აბდი ეფენდი ზადე;

ართვინის – აქიბ ბეი ათა ბეი ზადე;

ბათუმის – ჰუსეინ ბეი ბიდენ ზადე;

დამატება:

ჩვენ, ბათუმის უბნის არჩეულმა დეპუტატებმა ყარსის წარმომადგენელ სურუბამ ათა ბეისთან ერთად 20 იანვარს მივმართეთ ინგლისელ კომენდანტს და გავმართეთ მოლაპარაკებები ჩვენი საქმეების შესახებ. მისგან კეთილგანწყობილი პასუხი მივიღეთ. გენერალმა თქვა: „მე მუსლიმანთა ინტერესების შესაბამისად ვიმოქმედებ“.

ალი ეფენდი აბდი ალი ზადე;

ალი რიზა ეფენდი.²⁵⁴

მეტად მრავლისმეტყველი დოკუმენტებია, ვერაფერს ვიტყვით...

საკითხის სისრულისათვის კი იმასაც აღვნიშნავთ, რომ არა მხოლოდ ეს ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა“ წარმოადგენდა Teşkilât-ı Mahsusa-სა და „ყარაქოლის“ სტრატეგიისა და იდეოლოგიური აქტივობის პროდუქტს ამიერკავკასიაში. ჯერ კიდევ „ყარსის რესპუბლიკის“ შექმნამდე, მუდროსის ზავის ხელმოწერიდან სულ რამდენიმე დღეში, 1918 წლის 3 ნოემბერს დიარბექირ-ნახიჭევანის ტერიტორიაზე იტიპადისტთა მეცადინეობით შეიქმნა ისლამური ტიპის პირველი ფსევდოსახელმწიფო, ე.წ. „არაქსის რესპუბლიკა“, ან სხვანაირად, „არაზის თურქული რესპუბლიკა“, დედაქალაქით – იგდირი. ახლადშექმნილი რესპუბლიკის საქმეთა მმართველობისა და სამხედრო საქმეთა ძირითადი ორგანოები ნახიჭევანში იყო კონცენტრირებული.

„სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ უნდა ჩართულიყო ყარსისა და არტანის (არდაგანის) ოლქები, მათი მოსაზღვრე თბილისის გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და ბათუმის „ოკრუგი“. ამ ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიების გაერთიანებით და აქ მოსახლე მუსლიმანი მოსახლეობის კონსოლიდაციის გზით კი უნდა შექმნილიყო გარდამავალი ისლამური ტიპის პროთურქული სახელმწიფო. სახელმწიფო, რომელსაც ოსმალთა „სპეციალური ორგანიზაციისა“ (Teşkilât-ı Mahsusa) და „ყარაქოლის“ სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ახალი თურქული სახელმწიფოს მიერ ძალების მოკრებამდე, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რეგიონში უნდა უზრუნველყო პროთურქული და პანისლამური მუხტის შენარჩუნება. მომავალში კი იგეგმებოდა ამიერკავკასიის მთელი მუსლიმანი მოსახლეობის კონსოლიდაცია და მათ მიერ დასახლებული ტერიტორიების აღნიშნულ „სახელმწიფოებთან“

²⁵⁴ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 30.

შეერთება. მოკლედ რომ ვთქვათ, როგორც ერთი, ასევე მეორე ფსევდოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ე.წ. „არაქსისა“ და ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული“ რესპუბლიკები, იტიჰადისტთა ისლამისტური და თურანული იდეოლოგიის პროდუქტს, ოსმალთა იმპერიის მარიონეტულ წანაზარდებს წარმოადგენდნენ.

დიახ, სწორედ „არაქსისა“ და „ყარსის“ ისლამური ტიპის ეს ფსევდოსახელმწიფოები უნდა გამხდარიყვნენ „ისლამური კრისტალიზაციის“ ის ცენტრები, რომელთა გარშემოც მოხდებოდა კავკასიის მაჰმადიანი მოსახლეობის კონსოლიდაცია და გაერთიანება ენვერ ფაშასეული თურანული ამბიციების შემდგომი რეალიზაციის გზაზე. მით უმეტეს, ამის ისტორიული გამოცდილება უკვე არსებობდა. ეს ამბები 1918 წლის სექტემბერში მოხდა, როდესაც განჯაში შექმნილი ოსმალურ-აზერბაიჯანული შენაერთი, ე.წ. „კავკასიის ისლამური არმია“, ენვერ ფაშას უმცროსი ძმის, ნური ფაშას სარდლობით ბრძოლებით შევიდა ბაქოში, დაამხო რუსულ-სომხური დაშნაკურ-ესერული ე.წ. „ცენტრალური კასპისპირეთის დიქტატურა“ და აზერბაიჯანსა და დაღესტანში პროთურქული სახელმწიფოები შექმნა. მაგრამ ახლა, „ყარსის რესპუბლიკის“ შემთხვევაში თურქთათვის ამ ამოცანას ის მოსაზრება ართულებდა, რომ ახლადშექმნილი ქართული და სომხური სახელმწიფოები და, ბრიტანული საოკუპაციო მმართველობა, შესაძლოა, შეწინააღმდეგებოდნენ ამ პროცესებს, რაც რეალობად იქცა.

საბოლოოდ, 1919 წლის მაისის ბოლოს, თვითგამოცხადებულ „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიულ რესპუბლიკას“ საქართველოსა და სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკების შეიარაღებული ძალებმა უყვეს ლიკვიდაცია, მისი ე.წ. „მთავრობის“ წევრები კი ბრიტანულმა საოკუპაციო ძალებმა დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს.

ენვერ ფაშასა და იტიჰადისტების თურანული იდეა მაინც უცვლელი რჩებოდა – მთელი ამ სამხედრო-პოლიტიკური პროცესის საბოლოო მიზანს კავკასიის მუსლიმანი მოსახლეობის კონსოლიდაცია, ერთიანი მუსლიმანური სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მისი ისევ ოსმალურ სახელმწიფოსთან შეერთება წარმოადგენდა. ამ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შემადგენლობაში, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანისა და დაღესტნის ჩართვა მოიაზრებოდა.

§3.3. ანატოლიური ბამბიტი – ქმეალისტური მოძრაობის სათავეებთან

„ყარაქოლთან“ გარკვეული კავშირები, როგორც იტიჰადისტთა პარტიისა და მოძრაობის ყოფილ წევრს, გენერალ მუსტაფა ქემალსაც ჰქონდა. მუდროსის ზავის დადებისა და ოსმალეთის ფაქტობრივი კაპიტულაციის შემდეგ, პალესტინის ფრონტიდან კონსტანტინოპოლში იგი 1918 წლის 19 ნოემბერს ჩამოვიდა. რამდენჯერმე მიღებაზეც იყო სულთან მეჰმედ VI-სთან, სადაც მიმდინარე საკითხებზე ზოგადი მსჯელობა შედგა. მუსტაფა ქემალი ძალიან ამბიციური პიროვნება იყო და ღრმად სწამდა, რომ იგი თავისი ხალხის საკეთილდღეოდ დიადი საქმეების კეთებისათვის იყო მოწოდებული, რომ

მხოლოდ მას შეეძლო ქვეყნის დახსნა. როგორც ცნობილი თურქი ისტორიკოსი და აღმოსავლეთმცოდნე, სტამბოლის იედითეფეს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ფეროზ აჰმადი (Feroz Ahmad) აღნიშნავს, თავისი შესაფერისი ადგილის ძიებაში მუსტაფა ქემალს სულთნის მთავრობაში სამხედრო მინისტრის თანამდებობის დაკავება სურდა. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით მუსტაფა ქემალის კანდიდატურის განხილვა არ მომხდარა მისი სოციალური წარმომავლობის გამო.²⁵⁵

პატივმოყვარეობაშელახული დარდანელის გმირი სულთანსა და მის კაბინეტს გაემიჯნა და თავისი შემდგომი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის ახალი გზების ძიებას შეუდგა. თავისთავად ცხადია, რომ როგორც ქვეყნის პატრიოტმა და დამსახურებულმა გენერალმა, მან არ სცნო კონსტანტინოპოლის მთავრობის შემრიგებლური დამოკიდებულება ანტანტასთან და არ აღიარა მუდროსის ზავის პირობები. მან წინააღმდეგობისა და ბრძოლის სხვა, უფრო ქმედითი გზის ძიებაზე დაიწყო ფიქრი. ერთი შეხედვით, თითქოს ეს იყო გზა არსაით – იგი ყველას და ყველაფერს უნდა დაპირისპირებოდა. დარჩა მხოლოდ ერთი მუჭა თანამოაზრეებისა, რომლებიც ერთმა იდეამ შეკრა და გააერთიანა. სამშობლოს გადარჩენის გზაზე ის და მისი თანამოაზრეები „ყარაქოლიდან“ უკიდურესი ზომების მიღებასაც არ გამორიცხავდნენ. „ყარაქოლი“ და ზოგიერთი ექსიტიჰადისტი თვლიდა, რომ მოკავშირეთაგან თურქეთის დეოკუპაციის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს სულთანი ვაჰიდედინი და მისი კაპიტულანტურად განწყობილი მინისტრთა კაბინეტი წარმოადგენდა. 1918 წლის ბოლოდან თანამოაზრეთა საიდუმლო შეკრებებზე სტრატეგიული მონახაზები და სამოქმედო გეგმები განიხილებოდა, რომელთა მიხედვითაც საჭირო იყო საიმედო ოფიცრების მობილიზება და ხელისუფლებაში პატრიოტული ძალების მოსვლა.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ საიდუმლო შეხვედრაზე დაიბადა იდეა, შექმნილიყო წინააღმდეგობის კიდევ ერთი ორგანიზაცია – ე.წ. „რევოლუციური კომიტეტი“, რომლის მიზანსაც სულთნის გადაგდება ან სულაც ლიკვიდაცია და მთავრობის გარეკვა წარმოადგენდა. მუსტაფა ქემალის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის, ჰუსეინ რაუფ ორბეის მემუარების მიხედვით კი, „ყარაქოლის“ ხელმძღვანელი, ყარა ქემალი, მუსტაფა ქემალთან შეხვედრებზე სულთნის მოტაცებაზე მსჯელობდა.²⁵⁶ მაგრამ ხანგრძლივი განსჯის შემდეგ შეთქმულები ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ასეთი გადაწყვეტილი ზომების მიღებაც კი ვერ გადაარჩენდა იმპერიას. კომიტეტის შემდგომი მოქმედებების ჩანაფიქრი ჩაიშალა.

კონსტანტინოპოლში დაწყებული ექსიტიჰადისტთა ეს აქტიურობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ბრიტანული სადაზვერვო სამსახურებისათვის. უკვე 1918 წლის ნოემბრის ბოლოს აღმირალი კელტორფი აღნიშნავდა: „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია იმ ცენტრად იქცა, რომლის გარშემოც იკრიბებიან თურქ ნაციონალისტთა ძალები“. თუმცა, აქვე, ლონდონის დასამშვიდებლად დაამატა: „თუ გავითვალისწინებთ მოკავშირეთა კონტინგენტის რაოდენობას ქალაქსა და მის შემოგარენში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ თურქებმა შეძლონ შეიარაღებული აჯანყების ან მსგავსი რამის ორგანიზება“.²⁵⁷ ამ დასკვნაში კი, ნამდვილად მართალი იყო აღმირალი. ომში დამარცხებული იტიჰადისტები უკვე გაკოტრებულ სამხედრო-პოლიტიკურ მოძრაობას წარმოადგენდნენ, რომელთაც აღარც ძალა შესწევდათ მსგავსი აქტიურობისათვის და აღარც შესაბამისი ნდობა

²⁵⁵ Feroz Ahmad. The making of modern Turkey. Massachusetts University of Boston. London and New-York. 1993. Pg.49.

²⁵⁶ Orbay. (ed. Kutay), Yuzyihmizda Bir Insanimiz, III. S. 210-211.

²⁵⁷ Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexander Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999. http://www.e-reading.bz/chapter.php/1013613/63/Zhevahov_-_Kemal_Ataturk.html.

გაჩნდათ მოსახლეობაში რეალური მოქმედებების განსახორციელებლად. დროც მათ წინააღმდეგ მუშაობდა. ხალხი და პრესა ყველაფერში მათ ადანაშაულებდა, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ომის გაჩაღებაში, განცდილ მარცხსა და შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაში. თურქული საზოგადოება და პატრიოტულად განწყობილი ოფიცერთა ნაწილი ხვდებოდა, რომ სხვა გამოსავლის, სამშობლოს გადარჩენის სხვა გზების გამოძებნა იყო საჭირო... და ეს გზაც მოიძებნა.

გენერლები მუსტაფა ქემალი და ქიაზიმ ყარაბეკერი, ასევე რაუფ ორბეი, გენერალი ალი ფუატ ჯებესოი²⁵⁸ და ვიცე-პოლკოვნიკი რეფეტ ბელე²⁵⁹ იყვნენ ის პირები, რომლებმაც ახალი გზების ძიება და თურქეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაგეგმვა დაიწყეს. მათ მხარდაჭერას ზოგიერთი დიდი თანამდებობის სამხედრო პირიც უცხადებდა. პირველ რიგში, ესენი იყვნენ: გენერლები ჯევათ ჩობანლი²⁶⁰ და ფევზი ჩაქმაქი, რომლებსაც იმ დროისათვის ოსმალთა სამხედრო

²⁵⁸ ალი ფუატ ჯებესოი (Ali Fuat Cebesoy) (1882-1968) – ეროვნებით ჩერქეზი ოსმალ ოფიცერი და ქემალისტი გენერალი. თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ბალკანეთისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი. 1905 წელს ამთავრებს კონსტანტინოპოლის სამხედრო აკადემიას, იღებს შტაბის კაპიტნის ჩინს. ინიშნება ბეირუთში დისლოცირებული მე-5 არმიის 28-ე საკავალერიო პოლკის მეთაურის მოადგილედ. 1908 წლიდან ახალგაზრდა თურქთა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრია. 1909 წლიდან ოსმალთა იმპერიის სამხედრო ატაშეა იტალიაში, 1911 წლიდან – 1-ლი საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. ბალკანეთის ომში 23-ე დივიზიის მეთაურის მოადგილე, 1914 წლის 15 იანვრიდან მე-8 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. იმავე წლის აპრილიდან 25-ე დივიზიის მეთაური და ვიცე-პოლკოვნიკი. 1916 წლის 20 იანვრიდან მე-14 დივიზიის მეთაური. 1916 წლის 30 სექტემბრიდან ოსმალთა მე-2 არმიის შტაბის უფროსი და პოლკოვნიკი. 1917 წლის იანვრიდან სინაი-პალესტინის ფრონტის სარდლის მოადგილე, შემდეგ მე-20 კორპუსის სარდალი. აქვე იღებს გენერლის – ფაშას ჩინს. მუდროსის ზავის დადების შემდეგ მიემხრო გენერალ მუსტაფა ქემალსა და წინააღმდეგობის ნაციონალისტურ მოძრაობას. დამოუკიდებლობის ომის აქტიური მონაწილე. 1920 წლის პერიოდში ბერძნული საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ მებრძოლი ქემალისტური ჯარების დასაველეთის ფრონტის სარდალი. 1921 წლიდან მოსკოვში წარგზავნილი თურქეთის დიდი ეროვნული კრების სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელი. დიდი ეროვნული კრების მთავრობასა და საბჭოთა რუსეთის შორის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების ერთ-ერთი ავტორი და ხელის მომწერი. შემდეგ ანკარის მთავრობის პირველი ელჩი საბჭოთა რუსეთში. 1923 წლიდან თურქეთის დიდი ეროვნული კრების რიგით მეორე სპიკერი. 1924 წლიდან პროგრესული რესპუბლიკური პარტიის გენერალური მდივანი. მალე თანამთავრებთან ერთად ოპოზიციაში უდგება მუსტაფა ქემალს. ოპოზიციური საქმიანობისათვის აპატიმრებენ, სასჯელს იხდის 1931 წლამდე. პატიმრობიდან განთავისუფლებისა და რეაბილიტაციის შემდეგ ისევ უბრუნდება პოლიტიკას. 1939 წლამდე იყო თურქეთის პარლამენტის დეპუტატი კონიდან და ესკიშემპირიდან. 1939-1943 წლებში რესპუბლიკის შრომის მინისტრია, ხოლო 1943-1946 წლებში – ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი. შემდეგ ისევ პარლამენტის დეპუტატია. 1960 წელს, თურქეთში განხორციელებულ სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობის გამო ისევ აპატიმრებენ. პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ საბოლოოდ ანებებს თავს პოლიტიკას. გარდაიცვალა 1968 წელს.

²⁵⁹ რეფეტ ბელე (Refet Bele) (1877-1963) – ოსმალთა არმიის ვიცე-პოლკოვნიკი და ქემალისტური არმიის გენერალი, თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. თურქეთ-იტალიის (1911), ბალკანეთის (1912-1913), I მსოფლიო ომისა და თურქეთის დამოუკიდებლობის ომების აქტიური მონაწილე. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი 1908 წლიდან, ქემალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ლიდერი. I მსოფლიო ომში იბრძოდა პალესტინისა და სირიის ფრონტებზე, სადაც მიაღწია ვიცე-პოლკოვნიკის ჩინს. ომის დასრულების შემდეგ თურქ ნაციონალისტთა წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1919 წლის გაზაფხულზე, გენერალ მუსტაფა ქემალის ანატოლიაში დისლოცირებული არმიის მთავარ სამხედრო ინჟექტორად დანიშნის შემდეგ, მის ინსპექტორთა ჯგუფის შემადგენლობაში გადადის ანატოლიაში, სადაც მუსტაფა ქემალთან ერთად სათავეში უდგება წინააღმდეგობის მოძრაობას. „ამასიის პროტოკოლის“ ხელის მომწერი, არზრუმისა და სივასის კონგრესების ერთ-ერთი მონაწილე და ორგანიზატორი, თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრი. ანკარის მთავრობა მას გენერლის წოდებას ანიჭებს. რამდენიმე ხანს იყო ქემალისტთა დიდი ეროვნული კრების მთავრობის სამხედრო მინისტრი, შემდეგ – დასავლეთის ფრონტის სარდალი. ამავე დროს, ანტიქემალისტური გამოსვლების აქტიური ჩამშობი. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით, ქემალისტური მოძრაობის სხვა ლიდერების მსგავსად, მუსტაფა ქემალთან იდეური დაპირისპირების გამო გაასამართლეს 1926 წელს, თუმცა სხვა პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების მსგავსად სიკვდილით არ დაუსჯიათ. 1938 წელს, მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ ათავისუფლებენ და ისევ ერთვება პოლიტიკურ და სახელმწიფო ცხოვრებაში. ირჩევენ თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრად. გარდაიცვალა 1963 წელს სტამბოლში.

²⁶⁰ ისმაილ ჯევათ ჩობანლი (İsmail Cevat Çobanlı) (1870-1938) – ოსმალეთის იმპერიისა და თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწე, გენერალი, თურქეთ-იტალიის, ბალკანეთის ომებისა და I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. 1891 გალათასარაის სკოლის დასრულების შემდეგ შედის სამხედრო სასწავლებელში, რომელსაც ამთავრებს ქვეითი ჯარის უმცროსი ლეიტენანტის ჩინით. 1894 წელს ასრულებს სამხედრო აკადემიას და იღებს შტაბის კაპიტნის ჩინს. სამსახურს აგრძელებს გენერალურ შტაბში და ინიშნება სულთნის ამაღლაში უმცროს ადოუტანტად. 1912-1913 წლებში მონაწილეობს ბალკანეთის ომებში ასეულის მეთაურისა და ბატალიონის

მინისტრისა და გენშტაბის უფროსის თანამდებობები ეკავათ. ცხადია, ორივე კარგ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა სულთნის მთავრობასთან. ქემალის ჯგუფს მხარს უჭერდა აგრეთვე ქურთი ეროვნების პოლკოვნიკი, იზმეთ იუნონუ,²⁶¹ – ოსმალთა არმიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ინტელექტუალური ოფიცერი, რომელიც I მსოფლიო ომის დროს მუსტაფა ქემალის შენაერთში მსახურობდა აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე,²⁶² – აღნიშნავს ბრიტანელი მკვლევარი, მუსტაფა ქემალის ბიოგრაფი ენდრიუ მანგო (Andrew Mango).

იზმეთ იუნონუ, ექსოსმალის პოლკოვნიკი და ქიაზიმ ყარაბექირის სიყრმის მეგობარი, ამ დროისათვის მხოლოდ 34 წლის იყო. გერმანელი გენერალი ლიმან ფონ სანდერსი, I მსოფლიო ომში ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო ინსპექტორი, ასე ახასიათებდა იზმეთ იუნონუს პიროვნებას – „თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი გენერალი“. გენერალი ალი ფუატ ჯებესი და რაუფ ორბეიცი მუსტაფა ქემალის სიყრმის მეგობრები იყვნენ.

მუდროსის ზავის დადებასა და ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების კონსტანტინოპოლში შესვლას განსაკუთრებით მიიმედ იზმეთ იუნონუ განიცდიდა. იგი თავის მეგობარს, ყარაბექირს გულახდილად გამოუტყდა, რომ ყველაფრის იმედი დაკარგა და უმჯობესი იქნებოდა, თავი დაენებებინა სამხედრო კარიერისთვის და უბრალო გლეხი გამხდარიყო. ყარაბექირის პასუხი ასეთი იყო: „მე იმდენი ფული არა მაქვს, რომ მიწა შევიძინო, დავამუშავო და ასე ვირჩინო თავი. მე არ დავთმობ ჩემს მუნდირს და არც

შტაბის უფროსის თანამდებობებზე. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 1914 წლის დეკემბრიდან ინიშნება დარდანელის ფრონტზე. 1915 წლიდან ბრიტანელთა მიერ ჰალიპოლისზე გადმოსხმული საზღვაო დესანტირების ოპერაციის წინააღმდეგ ორგანიზებული თავდაცვითი ბრძოლების მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. პოლკის მეთაური. მე-19 დივიზიის მეთაურთან, მუსტაფა ქემალთან ერთად ასრულებს აღნიშნულ ოპერაციას. 1916-1917 წლებში მეთაურობდა ბატალიონს, პოლკს, ბრიგადას. 1917 წლის დასაწყისიდან ინიშნება დივიზიის მეთაურად და ენიჭება ბრიგადის გენერლის წოდება (მირლივა). 1918 წლიდან ინიშნება სირიაში მოქმედ „არმიითა დამრტყმელ ჯგუფში“ (Yıldırım Orduları Grubuna) მისი სარდლის, გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მოადგილედ. მუდროსის ზავის დადებისა და I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბრუნდება კონსტანტინოპოლში. 1918 წლის ბოლოს ინიშნება ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად. 1920 წლის 16 მარტს ბრიტანელთა მიერ კონსტანტინოპოლის სრული ოკუპაციის შემდეგ სხვა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეებთან ერთად აპატიმრებენ და ასახლებენ კუძულ მალტაზე, საიდანაც ბრუნდება 1922 წლის ბოლოს. გარდაიცვალა 1938 წელს, სტამბოლში.

²⁶¹ მუსტაფა იზმეთ იუნონუ (Mustafa İsmet İnönü) (1884-1973) – თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ეროვნებით ქურთი ოსმალ პოლკოვნიკი და ქემალისტური არმიის გენერალი. თურქ ნაციონალისტთა მიერ ანატოლიაში დაწყებული წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ლიდერი. თურქეთ-იტალიის, ბალკანეთის ომების, I მსოფლიო ომისა და დამოუკიდებლობის ომის აქტიური მონაწილე. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი. ქემალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ქემალისტთა შეიარაღებული ძალების გენშტაბის პირველი უფროსი. თურქეთის რესპუბლიკის რიგით პირველი პრემიერ-მინისტრი 1923-1924 და შემდგომ 1925-1937 და 1961-1965 წლებში, 1938 წლიდან რიგით მეორე პრეზიდენტი მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ. 1903 წელს ამთავრებს კონსტანტინოპოლის სამხედრო ინჟინრების საიმპერატორო სკოლას, შემდეგ კი საარტილერიო სასწავლებელს. სამხედრო სამსახურს იწყებს ბალკანეთში. 1908 წლიდან, „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის შემდეგ, „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრია. I მსოფლიო ომში იბრძოდა კავკასიისა და პალესტინის ფრონტებზე მუსტაფა ქემალის დაქვემდებარებაში, სადაც მიაღწია პოლკოვნიკის ჩინს. 1915 წლის ოქტომბრიდან მე-2 არმიის შტაბის უფროსია, შემდეგ – მე-20 და მე-3 საარმიო კორპუსების სარდალი. I მსოფლიო ომის ბოლოს მსახურობდა ოსმალთა იმპერიის სამხედრო მინისტრის სამდივნოში. ომის დასრულებისა და ბრიტანელთა მიერ კონსტანტინოპოლის ოკუპაციის შემდეგ ემხრობა მუსტაფა ქემალის მიერ ანატოლიაში დაწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობას. ინიშნება ანატოლიაში მოქმედი ე.წ. „ნაციონალური ძალების“ მეთაურად, შემდეგ კი დიდი ეროვნული კრების მთავრობის დასავლეთის ფრონტის სარდალად. მიენიჭა გენერლის ჩინი. 1922-1924 წლებში მსახურობდა თურქეთის გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე. დამოუკიდებლობის ომის დასრულებისას წარმატებით ხელმძღვანელობდა თურქულ დელეგაციას მუდანისა და ლოზანის კონფერენციებზე. თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ გახდა რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი, ხოლო მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ, 1938 წელს აირჩიეს თურქეთის რესპუბლიკის რიგით მეორე პრეზიდენტად. 1950 წელს ტოვებს პრეზიდენტის თანამდებობას და თავს ანებებს პოლიტიკურ ცხოვრებას. 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ისევ ბრუნდება პოლიტიკაში. 1961-1965 წლებში ისევ ქვეყნის პრემიერ-მინისტრია. პოლიტიკიდან საბოლოოდ მიდის 1972 წელს. გარდაიცვალა 1973 წელს.

²⁶² Andrew Mango. Atatürk. John Murray (Publishers). 338 Euston Road. London. 2004. Pg. 209.

ჩემს იარაღს არ ჩავაბარებ“.²⁶³ გასაგებია, რომ ყარაბეკერს „თავი ქულში ჰქონდა“, იგი ხომ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი კორპუსის სარდლად იყო დანიშნული, მაგრამ მხოლოდ ეს იყო ყარაბეკერის ოპტიმიზმის მიზეზი? მუსტაფა ქემალი შეეცადა, დაემშვიდებინა გულგატეხილი იზმეთი და იგი საბრძოლო მზადყოფნაში დაეტოვებინა. მან იზმეთს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მე შენ მჭირდები და შენ უნდა დამეხმარო მაშინ, როცა ნამდვილი საშუალო დაიწყება“.

1919 წლის 9 მარტს ბრიტანული ქვედანაყოფები სამსუნში გადასხდნენ, შემდეგ კი მერზიფონის ოკუპაციაც მოახდინეს. 1919 წლის 11 აპრილს არზრუმში დისლოცირებული კორპუსის ჩასაბარებლად თრაკიიდან გამგზავრებული გენერალი ქიაზიმ ყარაბეკერ ფაშა ანატოლიისაკენ მიმავალ გზაზე კონსტანტინოპოლში ჩამოდის და აქ მუსტაფა ქემალს ხვდება. ყარაბეკერის მემუარების მიხედვით, სწორედ მან შესთავაზა მუსტაფა ქემალს ნაციონალური დაუმორჩილებლობის მოძრაობის ორგანიზება ანატოლიაში, შემდეგ კი მისი თანდათანობითი განვრცობა მთელს თურქეთში. „ეს იდეა“, – უთქვამს მუსტაფა ქემალს, – „შევეცდები ჩამოსვლას, როგორც კი კარგად გავხდები“.²⁶⁴ (ყარაბეკერის მიხედვით, მუსტაფა ქემალს იმ მომენტისათვის ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა).

ყარაბეკერს სამხედრო კარიერის უდიდესი ნაწილი სწორედ ანატოლიაში ჰქონდა გატარებული. ხალხს იგი უყვარდა და პატივს სცემდა. საკმაოდ ძლიერი ჯარი ჰყავდა, რომელსაც ხალხიც უჭერდა მხარს. ერთადერთი, რაც აკლდა, თავდადებული და გამბედავი მეთაური იყო. ყარაბეკერი კი ასეთ ლიდერად მუსტაფა ქემალს მოიაზრებდა. ამიტომ, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, მუსტაფა ქემალს ანატოლიაში გადასვლა უნდა მოეხერხებინა, დანარჩენი პატრიოტი ოფიცრები კი მას უნდა გაჰყოლოდნენ. ყარაბეკერის გეგმის თანახმად, მუსტაფა ქემალი ეროვნულ ხელისუფლებას ჩაუყრიდა საფუძველს ანატოლიაში, საქმეებს არზრუმში ქიაზიმ ყარაბეკერს გადააბარებდა, თავად კი დასავლეთში გადაინაცვლებდა. თუ მუსტაფა ქემალი ანატოლიაში ვერ ჩავიდოდა, ქიაზიმ ყარაბეკერი მის გარეშე იმოქმედებდა. მუსტაფა ქემალმა გეგმა მოუწონა და შეპირდა, რომ ეცდებოდა, არზრუმში მასთან კავშირი ჰქონოდა, ქიაზიმ ფაშა კი მის ჩასვლამდე მოსამზადებელ სამუშაოებს მოაგვარებდა. ლორდ კინროსის მიხედვით, ქიაზიმ ყარაბეკერის სტუმრობამ მუსტაფა ქემალი არა მარტო შეაგულიანა, არამედ საბოლოო გადაწყვეტილებაც მიაღებინა. მას უკვე ორი არმიის იმედი ჰქონდა – ერთის – ცენტრალურ ანატოლიაში, ხოლო მეორისა – აღმოსავლეთით. თუმცა მთავარი მინც გაურკვეველი იყო – როგორ უნდა მოხვედრილიყო იგი ანატოლიაში.²⁶⁵

მიუხედავად ზემოთქმულისა, წინააღმდეგობის მოძრაობის ანატოლიაში დაწყების იდეა არც ყარაბეკერის ექსკლუზივი იყო და, მით უმეტეს, არც მუსტაფა ქემალისა. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ეს გადაწყვეტილება „ყარაქოლის“ ლიდერმა, ყარა ვაზიფმა და ექსიტიჰადისტებმა მიიღეს ჯერ კიდევ 1918 წლის ბოლოს.²⁶⁶ იგივე აზრს ემხრობა ნერსინ ერსოი მაკმიკენიც. ამ შეხედულებას ჩვენც ვიზიარებთ. საკითხის არსში ღრმად გარკვევისათვის კი უფრო დაწვრილებით უნდა შევაფასოთ და გავაანალიზოთ ოსმალეთის იმპერიაში იმ მომენტისათვის არსებული შიდა პოლიტიკური სიტუაცია.

და მართლაც, მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ პრინციპში ანატოლიაში გადასვლა და იქ დამოუკიდებლობის ომისა თუ დეოკუპაციისათვის ბრძოლის დაწყება იტიჰადისტებისა და „ყარაქოლის“ ჩანაფიქრი იყო, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ამ საქმის ინიციატორები. იტიჰადისტებმა

²⁶³ Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexander Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999. http://www.e-reading.bz/chapter.php/1013613/63/Zhevahov_-_Kemal_Atatyurk.html.

²⁶⁴ Kazim Karabekir, Istiklâl Harbinin Esasları. Istanbul. 1960. Pg. 43.

²⁶⁵ ლორდი კინროსი. ათათურქი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. თბილისი. 2011. გვ. 111.

²⁶⁶ Nur Bilge Criss. Istanbul under Allied Occupation 1918-1923. Leiden; Boston; Köln: Brill, 1999. Pg. 100.

ისიც კარგად იცოდნენ, რომ სულთანს მათ არ ენდობოდა, იგი მათ უფრთხოდა. ამ ეტაპზე სულთნის მთავარი საზრუნავი მხოლოდ ის იყო, რომ თავის მიმართ ლოიალურად განეწყო საოკუპაციო ჯარების სარდლობები, რათა როგორმე საკუთარი ტახტი და ძალაუფლება შეენარჩუნებინა. ამიტომ იტიჰადისტთა ლიდერებმა გადაწყვიტეს, რომ ამ საქმეს „არაიტიჰადისტი“ და „ზომიერი“ ოფიცრები ჩადგომოდნენ სათავეში. „ყარაქოლისა“ და ექსიტიჰადისტების ამოცანა კი იმაში მდგომარეობდა, რომ, სადაც კი შესაძლებელი იქნებოდა, არ დამორჩილებოდნენ ანტანტის კომისართა მოთხოვნებს, არ დაეშვათ ჯარების დემობილიზაცია და იარაღის ჩაბარება. უფრო მეტიც, შეძლებისდაგვარად შეეწყოთ ხელი „ეროვნული ძალების“ კონსოლიდაციის, მათი მობილიზაციისა და შეიარაღებისათვის. ასეთი მოქმედებისათვის პერსპექტიულ რაიონს კი მხოლოდ ანატოლია წარმოადგენდა.

უინსტონ ჩერჩილი, თავისი მემორუალური ხასიათის ისტორიულ ნაშრომში „The World Crisis 1918-1925“ აღნიშნავს: „ფერიდ ფაშა დიდი ვეზირის თანამდებობაზე მოღვაწეობას 1919 წლის 4 მარტს შეუდგა. სულთანთან მჭიდრო კავშირში მყოფმა, მან დიდი დათმობების პოლიტიკის გატარება დაიწყო. კონსტანტინოპოლში იგი მოკავშირეთა სამხედრო ხომალდებისა და ხიშტების გარემოცვაში აღმოჩნდა, მცირე აზიის მთებში კი „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ის ნარჩენები აფარებდნენ თავს, რომელთაც ყველა თავისი ლიდერი უკვე დაკარგული ჰყავდათ. ეს მტრულად განწყობილი ხალხი იყო, რომლებიც თითქმის მზად იყვნენ აჯანყების მოსაწყობად. ფერიდი ძლივს ახერხებდა ლავირებას ამ ორ ბანაკს შორის, რომლებიც ერთდროულ ზეწოლას ახდენდნენ მასზე. ფერიდ ფაშა იფიცებოდა და ბოდიშს იხდიდა მოკავშირეების წინაშე და ამავე დროს მეგობრულ ურთიერთობებს ინარჩუნებდა ნაციონალისტებთან“.²⁶⁷

ანატოლიაში წინააღმდეგობის მოძრაობის დასაწყებად კი ლიდერების, ხელმძღვანელების შერჩევა იყო საჭირო. საჭირო იყო ისეთი პიროვნებების პოვნა, რომელთა პოლიტიკური თუ სამხედრო წარსული არ იქნებოდა „მაინცდამაინც გასვრილი“ არც იტიჰადისტებთან მჭიდრო ურთიერთობებით და არც ომის დროს ჩადენილი მძიმე დანაშაულებით. ამავე დროს, მათ საკმარისი ავტორიტეტი უნდა ჰქონოდათ ხალხშიც და სამხედრო წრეებშიც. შესაბამისად, „ყარაქოლისა“ და ექსიტიჰადისტების მიერ ორი კანდიდატურაც შეირჩა – გენერლები მუსტაფა ქემალი და ქიაზიმ ყარაბეკირი. ისინი ყველაზე კარგად ერგებოდნენ ამ მონახაზს.

და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ დგებოდა პრობლემა – როგორ უნდა გადასულიყვნენ ახალი თურქული მოძრაობის ლიდერები ანატოლიაში? ყარაბეკირთან დაკავშირებით პრობლემები ნაკლებად იყო. მას სუფთა პოლიტიკური წარსული ჰქონდა. იგი პოლიტიკისაგან ყოველთვის შორს იდგა და „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრადაც არ ირიცხებოდა. აი, მუსტაფა ქემალთან მიმართებაში კი საკითხი ცოტა სხვანაირად იდგა. მიუხედავად იმისა, რომ იგი აქტიური იტიჰადისტი არასოდეს ყოფილა, ომის დროს დანაშაული არ ჩაუდენია და ენვერ ფაშასთანაც მუდმივად დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა, მისი პიროვნება სულთნის კაბინეტისა და ბრიტანელების თვალში მაინც ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა. როგორც სამხედრო, იგი გამორჩეული გენერალი იყო და ბრიტანელებისთვისაც კარგად ცნობილ პერსონას წარმოადგენდა. ბრიტანელთა მიერ დარღვეულზე განხორციელებული ჰალიპოლისის საზღვაო დესანტირების ოპერაციაში განცდილ სამარცხვინო მარცხში მუსტაფა ქემალსაც მიუძღვოდა მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც მაშინ მე-19 დივიზიას მეთაურობდა. საბოლოოდ, სწორედ გენერალ ლიმან ფონ სანდერსისა და პოლკოვნიკ

²⁶⁷ Черчилль В. Мировой кризис 1918-1925. Глава XVII. Живая Турция. / Пер. с англ.; с предисл. И. Минца. — М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. <http://militera.lib.ru/memo/0/one/english/churchill2.rar>.

მუსტაფა ქემალის, აგრეთვე გენერალ ჯევათ ჩობანლის უნარიანი მეთაურობით გახდა შესაძლებელი ამ ოპერაციის აღკვეთა.

საერთო ჯამში, ფორტუნამ მუსტაფა ქემალს გაუღიმა. მისმა უდიდებულესობა ისტორიამ სიურპრიზი შემოგვთავაზა. ალბათ ბედის ირონიაა, რომ ანატოლიაში გადასვლასა და ბრძოლის ორგანიზებულად დაწყების საქმეში მუსტაფა ქემალს თავად ბრიტანელები დაეხმარნენ. ისტორიის ბოროტ ხუმრობად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მუსტაფა ქემალის ანატოლიაში გამწესების გადაწყვეტილება დიდმა ვეზირმა დამად ფერიდ ფაშამ მიიღო, რასაც დასტური თვით სულთანმა მისცა. ყოველივე ამას კი იმ დროს ანატოლიაში არსებულმა გარემოებებმა შეუწყო ხელი.

ანატოლიის ის რეგიონები, რომლებიც ანტანტის ოკუპაციას გადაურჩნენ, ამ დროისათვის სრულ ანარქიას მოეცვა, ყველაფერი მოშლილი იყო – არავითარი კანონი, არავითარი მართლწესრიგი. ეს მდგომარეობა თანაბრად ეხებოდა როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ და კრიმინალურ სფეროს. უკეთესი მდგომარეობა არც ანტანტის მიერ ოკუპირებულ მიწებზე იყო მაგრამ მთელს ანატოლიაში სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა. იგი სხვადასხვა ბანდის სათარეშო ადგილად და ამავე დროს იმპერიის მუსლიმანი და ქრისტიანი ხალხების სისხლიანი დაპირისპირებების ასპარეზად იყო ქცეული. ცენტრალურ და ჩრდილოეთ ანატოლიაში ბერძნებსა და თურქებს შორის დაწყებულმა ეთნიკურმა დაპირისპირებამ მძიმე ფორმებს განსაკუთრებით გირესუნისა და სამსუნის რაიონებში მიიღწია. აღმოსავლეთ ვილაიეთებში კი მუსლიმანებთან სომხური მოსახლეობა იყო დაპირისპირებული. მაგრამ ყველაზე დიდ საფრთხეს ანტანტისათვის, ანატოლიაში არა კრიმინალური ბანდების თარეში, იქ გამეფებული განუკითხაობა და ეთნიკური დაპირისპირებები წარმოადგენდა, არამედ სულ სხვა რამ. და ეს სხვა რამ ახალი რევოლუციური იდეოლოგიის – ბოლშევიზმის გავრცელების საშიშროება იყო. ბოლშევიზმი კი, იმ საკითხს წარმოადგენდა, რასაც ბრიტანელები ყველაზე მეტად უფრთხოდნენ. მთავარი კი ის იყო, რომ ბოლშევიზმის სინდრომები უკვე ჯარებშიც შეიმჩნეოდა. ამ მომენტიანათვის თურქეთის რევულარულ ჯარში სამხედრო დისციპლინის მხრივ მძიმე მდგომარეობა იყო, მაღალი იყო დეზერტირობის მაჩვენებელიც, საბრძოლო სულისკვეთების დონე კი – ძალიან დაბალი. ფაქტია, რომ სისტემა მოშლილი იყო და ჯარებშიც ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ სწრაფად დაიწყო გავრცელება. გასაგებია, რომ ეს პროცესები რუსეთიდან და კრემლიდან იმართებოდა – ბოლშევიკთა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მანქანა კარგად მუშაობდა. ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბრის ბოლოს რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის ეროვნებათა საბჭოს ბეჭდვითი ორგანო „Жизнь Национальностей“ ალტაცებით წერდა: „თურქეთის არმიის ჯარისკაცებს მალულად მიეწოდებათ არალეგალური ლიტერატურა. დისციპლინა სრულიად მოშლილია. ბოლშევიზმს სწრაფად ითვისებენ თურქი ჯარისკაცები“.²⁶⁸

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამსუნის რეგიონში წესრიგის დასამყარებლად 1919 წლის 9 მარტს ბრიტანელთა მცირერიცხოვანი, 200-კაციანი ქვედანაყოფი გადმოსხდა. ცხადია, ასეთი მცირერიცხოვანი ქვედანაყოფი მის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად ქმედითუნარო იყო. ბრიტანელთა ამ მანევრს დემონსტრაციული ხასიათი უფრო ჰქონდა და იგი პრობლემის რეალურად გადაჭრისათვის არ იყო მოწოდებული. რეალობა ის იყო, რომ ვითარებიდან გამომდინარე, ბრიტანელებს ძალაუფლებურად თურქულ სახელმწიფო ინსტანციებთან უნდა ეთანამშრომლათ.

21 აპრილს ბრიტანეთის უმაღლესმა სამხედრო კომისარმა, აღმირალმა კელტორფმა დიდ ვეზირს, დამად ფერიდს შეატყობინა, რომ აღმოსავლეთ ანატოლიაში, სივასიდან არზრუმამდე დისლოცირებულ ოსმალთა არმიის ნაწილებში ბოლშევიკთა

²⁶⁸ Газета „Жизнь Национальностей“, 17 ноября 1918 г.

ზეგავლენით ჯარისკაცთა საბჭოები იქმნება და დაავალა, დაუყოვნებლივ მიელო შესაბამისი ზომები მათ განსაიარაღებლად.²⁶⁹

ოფიციალურმა კონსტანტინოპოლმა ეს დაავალა დიდ საფრთხედ აღიქვა. მათ ჩათვალეს, რომ ბრიტანელთა ეს დაავალა, ანუ ოსმალური არმიის განიარაღების მოთხოვნა თურქეთის სრული ოკუპაციის პრელუდიად უნდა ქცეულიყო. მაგრამ სულთნისა და მისი მთავრობის ეს შიში უნიადაგო იყო – დიდ ბრიტანეთს უკვე არც ამის დიდი სურვილი არ გააჩნდა და არც ამისათვის საკმარისი ძალები და საშუალებები. ალი ფუატ ჯებესოსი მემუარების მიხედვით, ოსმალთა იმპერიის დიდმა ვეზირმა, დამად ფერიდმა ამ საკითხის მოგვარება, ანუ აღმირალ კულტორფის მოთხოვნაზე ანატოლიაში დისლოცირებული ჯარების განიარაღების ამოცანის გადაჭრა შინაგან საქმეთა მინისტრს, მეჰმედ ალის დაავალა.²⁷⁰ მეჰმედ ალი კი ალი ფუატ ჯებესოსისა და მუსტაფა ქემალის ძველი ნაცნობი იყო.

დამად ფერიდმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა...

ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა, მეჰმედ ალის უნდა ემოქმედა. და მართლაც, მან სამსუნში წარსაგზავნი სამხედრო ინსპექტორის თანამდებობაზე სამხედრო მინისტრს, შაჰირ ფაშას (ეროვნებით ქართველს) მუსტაფა ქემალის კანდიდატურა წარუდგინა. შაჰირ ფაშა დათანხმდა და დამად ფერიდ ფაშასთან გამართული მოკლე კონსულტაციების შემდეგ მისი კანდიდატურა სულთანს წარუდგინა. გარკვეული განსჯის შემდეგ მუსტაფა ქემალის კანდიდატურა მიიღეს.

1919 წლის 5 მაისს მუსტაფა ქემალი მე-3 არმიის გენერალურ ინსპექტორად ინიშნება. ასევე ინიშნებიან სხვა სამხედრო ინსპექტორებიც – კონსტანტინოპოლში დისლოცირებული 1-ლი არმიის ინსპექტორის თანამდებობაზე – გენერალი ფევზი ჩაქმაქი,²⁷¹ ხოლო კონიის მე-2 არმიის ინსპექტორად – გენერალი ჯემალ მერსინლი. ეს დანიშვნა მუსტაფა ქემალისათვის მწვანე შუქის ანთებასა და მოქმედებების სრულ თავისუფლებას ნიშნავდა. მას ნება ეძლეოდა, თავის ოფიცერთა ჯგუფთან ერთად ანატოლიაში გადასულიყო და ბრძოლის ორგანიზებას შედგომოდა, ყოველივე ეს კი, ბრიტანელთაგან ნებადართული ლეგიტიმურობით შეენიღბა.

²⁶⁹ Andrew Mango. Atatürk. John Murray (Publishers). 338 Euston Road. London. 2004. Pg. 221.

²⁷⁰ Ali Fuat Cebesoy. Moskova Hatıraları. Milli Mücadele Bolşevik Rusya. İstanbul, 1995. S. 59.

²⁷¹ მუსტაფა ფევზი ჩაქმაქი (Mustafa Fevzi Çakmak) (1876-1950) – ცნობილი ოსმალ და თურქი სამხედრო მოღვაწე და პოლიტიკოსი, იტიჰადისტთა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი. თურქეთ-იტალიის, ბალკანეთის ომებისა და I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. ოსმალთა არმიის გენერალი და თურქეთის რესპუბლიკის მარშალი, მუსტაფა ქემალ ათათურქის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, თურქეთის დამოუკიდებლობის ომის აქტიური მონაწილე და ქემალისტური ჯარების მთავარსარდალი. თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირველი უფროსი. 1896 წლიდან ლეიტენანტის ჩინით სამსახურს იწყებს ოსმალეთის არმიაში. 1897 წლიდან უფროსი ლეიტენანტი, 1898 წლიდან შტაბის კაპიტანია. 1909 წლიდან მაიორი და 35-ე ბრიგადის მეთაური, 1910 წლიდან ვიცე-პოლკოვნიკი და კორპუსის შტაბის უფროსი. 1913 წელს ენიჭება ბრიგადის გენერლის წოდება და ინიშნება დივიზიის მეთაურად. I მსოფლიო ომში იბრძვის დარდანელის ფრონტზე. 1915 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1916 წლიდან კავკასიის ფრონტზეა. 1917 წელს გადაყავთ პალესტინის ფრონტზე და ინიშნება მე-7 არმიის სარდალად. 1918 წლის 28 ივლისიდან გენერალ-ლეიტენანტი. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1918 წლის 24 დეკემბერს ინიშნება ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად, ხოლო 1919 წლის 30 აპრილს – იმპერიის სამხედრო მინისტრად. 1920 წლიდან ემხრობა ქემალისტებსა და ანატოლიაში აგორებულ ნაციონალისტურ მოძრაობას. 1921 წლიდან ქემალისტთა დასავლეთის არმიის სარდალი და პარლამენტის წევრია. ბერძნებთან წარმატებული ბრძოლების შემდეგ, 1922 წლის 31 აგვისტოს დიდი ეროვნული კრების დადგენილებით ენიჭება ქვეყნის უმაღლესი სამხედრო წოდება – მარშალი. ამავე დროს, 1921 წლის 24 იანვრიდან 1922 წლამდე იყო ქემალისტთა დიდი ეროვნული კრების მთავრობის პრემიერ-მინისტრი. თურქეთის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1923 წლის 14 აგვისტოს პარლამენტის წევრია კონსტანტინოპოლიდან. 1924 წლის 3 მარტს ინიშნება თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად. იმავე წელს ტოვებს თანამდებობას, იხსნის პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილებებს და მიდის აქტიური პოლიტიკური ცხოვრებიდან. გარდაიცვალა 1950 წელს.

დახ, ისტორიის ბოროტ ხუმრობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ქემალისტური მოძრაობის გარიჟრაჟზევე ბოლშევიზმმა და ბრიტანელთათვის მისგან მომავალმა საფრთხეებმა მუსტაფა ქემალს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს. მაგრამ, ყოველივე ეს, ანუ წინააღმდეგობის მოძრაობის გაშლა ანატოლიაში ოდნავ მოგვიანებით, 1919 წლის ზაფხულიდან დაიწება. მანამდე კი, კონსტანტინოპოლიდან ანატოლიაში გამგზავრების წინ, 1919 წლის 16 მაისს, მუსტაფა ქემალს ოფიციალური აუდიენცია ჰქონდა სულთანთან დოღმაბახჩეს სასახლეში, რომლის ფანჯრებიც მოკავშირეთა ფლოტის მიერ ოკუპირებულ ბოსფორს გადაჰყურებდა. ძალიან ხატოვნადა აქვს აღწერილი ეს შეხვედრა ალექსანდრ ჟევახოვს:

„14 წლის შემდეგ, უკვე თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, მუსტაფა ქემალ ათათურქი, ფანქრით ხელში გრაფიკულად ასახავს ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის დეტალებს. ის დახაზავს მართკუთხედს, რომელიც ამ შეხვედრის სალონს გამოსახავს, შემდეგ ზემოთ მოხაზავს წითელ წრეს – ეს ის ადგილია, სადაც ვაჰიდელინი იჯდა; ფანჯრიდან სულთნის წინაშე იმ ყურის სურათი იშლებოდა, სადაც მოკავშირეთა ფლოტი იდგა, საგემბანო არტილერია კი მის სასახლეს ემუქრებოდა. წითელი წრის წინ ქემალი წითელი წერტილს დასვამს და გვერდით მიაწერს – „Moi“ (ფრანგულად – „მე“).

– „გენერალო, თქვენ უკვე ბევრი რამ გააკეთეთ ქვეყნისათვის. თქვენი გმირობების ამბავი ამ წიგნში შევა, – სულთანმა ქვეყნის ისტორიის წიგნი დაანახა, რომელიც უკვე დაესრულებინა.

– მაგრამ დაივიწყეთ ეს!... ის, რაც თქვენ ახლა უნდა გააკეთოთ, გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის... ფაშა! თქვენ შეგიძლიათ ქვეყანა გადაარჩინოთ...“ იღვა გასაგები იყო.

ვაჰიდელინი, რომელმაც ოქროს საათი აჩუქა მუსტაფა ქემალს თავისი მონოგრამით, ანატოლიაში იმ გენერალს აგზავნიდა, რომელსაც სულთნის იმპერიული ძალაუფლების, მისი ძალაუფლების გაძლიერება შეეძლო. ქემალმა სამხედრო წესით უპასუხა:

– მადლობას მოგახსენებთ კეთილგანწყობისა და მაღალი ნდობისათვის. გარწმუნებთ, რომ წარმატებით გავართმევ თავს დაკისრებულ მოვალეობას...

ვაჰიდელინი და ქემალი მეტად აღარასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს. ორი დამოუკიდებელი ხასიათის მამაკაცის განსხვავებული ურთიერთობები. შეგვიძლია კი წარმოვიდგინოთ ლუდოვიკო XVI და რობესპიერი, ან ნიკოლოზ II და ლენინი, რომლებმაც ერთმანეთთან დამოკიდებულებაში ის ნდობა მოიპოვეს, რაც ქემალსა და ვაჰიდელის ჰქონდათ?...

და, მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების მიღების მომენტში, ქემალის ნებით მათი მეგობრობა დასრულდება – მეჰმედ VI ვაჰიდელინი ოსმალთა უკანასკნელი სულთანი გახდება“...²⁷²

ანატოლიური გამბიტი და ქემალისტთა წინააღმდეგობის მოძრაობის დასაწყისის განხილვის შემდეგ, დავუბრუნდეთ ჩვენი ნაშრომის ძირითად თემას და იტიჰადისტთა პარტიის ლიდერების შემდგომი ცხოვრების გზას მივაღვენოთ თვალი.

²⁷² Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexander Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999. http://www.e-reading.bz/chapter.php/1013613/63/Zhevahov_-_Kemal_Ataturk.html.

§3.4. გაცოცხლებული ენკერი

„ახალგაზრდა თურქთა“ შემდგომი ბედი კი მეტად საინტერესოდ და არაორდინარულად წარიმართა. ალბათ ისტორიის ბოროტ ხუმრობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატისა და ომის პარტიის წევრები, I მსოფლიო ომში რუსეთთან დაპირისპირებული ძალა, ომის დასრულებისთანავე მსწრაფლ გარდაიქმნნენ რევოლუციონერებად, პრომარქსისტული იდეოლოგიის ახალ აპოლოგეტებად და მშრომელთა ინტერესების დამცველებად. ბოლშევიკურ-იტიპადისტური ურთიერთობები და მათ შორის დამყარებული იდეოლოგიური კავშირები ახალი და უახლესი ისტორიის ჩახლართულ ენიგმად გვეკლინება, რომლის ამოხსნაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამ რთული მოზაიკური პანოს აწყობა და აღნიშნული საკითხის შესახებ ერთიანი მწყობრი ლოგოსის ჩამოყალიბებაც ერთობ საშურ საქმედ გვესახება, რამეთუ ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხების შესახებ არანაირი სახის მეცნიერული ნაშრომი არ შექმნილა. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი კვლევის ჩასატარებლად საჭიროა გულდასმით გამოვავლინოთ და შევისწავლოთ ფაქტები და ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ განვითარებული მოვლენების დიალექტიკას.

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

ოსმალთა იმპერიის დამარცხებისა და მუდროსის ზავის დადებიდან მეორე დღეს, და I მსოფლიო ომის დასრულებამდე ათი დღით ადრე, 1918 წლის 1 ნოემბერს ტრიუმვირატი გერმანული წყალქვეშა ნავით საიდუმლოდ ტოვებს ოსმალთა დედაქალაქს. ბრიტანული საარქივო დოკუმენტების მიხედვით, მათი დანიშნულების ადგილს რუმინეთი, კონსტანცა წარმოადგენდა.²⁷³ თურქული წყაროების ცნობით კი ისინი ოდესაში ან ყირიმში, ევპატორიაში უნდა ჩასულიყვნენ.²⁷⁴ არც ოდესა და არც ევპატორია – საერთო ჯამში, ტრიუმვირატის წევრები სევასტოპოლში ჩადიან, რომელიც იმ დროისათვის თურქეთის მოკავშირე გერმანელთა საოკუპაციო ჯარებით იყო დაკავებული.

– „ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეობა დასრულდა“, – თქვა თალათ ფაშამ კონსტანტინოპოლის დატოვებისას.²⁷⁵ მაგრამ ენვერი არ დანებდა, იგი მარცხს ასე ადვილად ვერ ეგუებოდა. „მარადიული მეომარი“ სიტუაციას ასე აფასებდა: „ტაქტიკური უკან დახევა ხშირად საბოლოო გამარჯვების საწინდარია“. მეგალომანიით შეპყრობილ იტიპადისტთა ლიდერს სჯეროდა, რომ იგი დიდი საქმეების კეთებისათვის იყო დაბადებული და ჩათვალა, რომ სწორედ ახლა იწყებოდა „მისი ომის მეორე ფაზა“. ენვერ ფაშამ გაამხნევა თანამებრძოლები და მეტად ოპტიმისტურად გაიხსენა ის ფაქტი, რომ ოსმალთა იმპერიამ სწორედ მეორე ფაზაში მოიგო ბალკანეთის ომი. დიახ, ბალკანეთის მეორე ომში ოსმალურმა შენაერთებმა, რომელსაც ისმაილ ენვერ ფაშა სარდლობდა, ადრიანოპოლისი (დღევანდელი ედირნე – ა. ჩ.) და სხვა ტერიტორიები დაიბრუნეს. თუმცა, აქ საქმე ცოტა სხვანაირად იყო. თურქთა ეს გამარჯვება ბრძოლებით არ ყოფილა მოპოვებული. მაშინ ბულგარელებმა თვითონ დატოვეს ქალაქი, ვინაიდან ბულგარული შენაერთები სერბებისა და ბერძნების წინააღმდეგ გადაისროლეს, შემდეგ კი – რუმინელების წინააღმდეგაც. ამის გამო თურქები ფაქტიურად ბრძოლის გარეშე

²⁷³ Public Record Office, British FO documents, FO 371/3411/196725: British acting High Commissioner Admiral Webb to cipher telegram, Pera 26 Nov, 1918.

²⁷⁴ Şevket Süreyya Aydamira. Makedonya'dan Ortaasya'ya Enver paşa 1914-1922. Vol. III, (Istanbul, 1972). S. 494.

²⁷⁵ Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexander Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999. PFA BМФ. Ф. 397. Оп. 1. Д. 329. http://www.e-reading.bz/chapter.php/1013613/63/Zhevahov_-_Kemal_Ataturk.html.

შევიდნენ ქალაქში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მოვლენების შემდეგ ენვერ ფაშა ტრიუმფატორად და „ადრიანოპოლისის მხსნელად“ იქცა.²⁷⁶

I მსოფლიო ომის დასრულებიდან მეორე დღეს, 1918 წლის 12 ნოემბერს ენვერ ფაშამ ყირიმიდან წერილი მისწერა ბიძამისს, ქამილ ბეის: „ყველაფერი ნათელია, ჩვენ წავაგეთ ომი. საზავო პირობების თანახმად, ბრიტანელები უნდა შემოვიდნენ სტამბოლში. მაგრამ სტამბოლში მათ ხილვას კავკასიაში წასვლას და იქ ისლამის სამსახურს ვამჯობინებ“.²⁷⁷ საინტერესოა, რომ ენვერ ფაშა აქ ისლამის სამსახურზე საუბრობს და არა იმპერიის სამსახურზე. და ეს არცაა გასაკვირი. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დაწყების წინ ოსმალეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური ლიდერების მიერ ანტირუსული კონსოლიდაციის მთავარ იარაღად სწორედ ისლამი დასახელდა. 1913 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გამართული „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ყოველწლიურ შეკრებაზე იტიჰადისტთა სამოქმედო პროგრამად საზღვარგარეთ არსებულ თურქულ და ისლამურ ჯგუფებთან მჭიდრო კავშირების დამყარება დაისახა მიზნად. აგიტაციისა და პროპაგანდის ჩასატარებლად სპეციალური აგენტები დაიგზავნენ რუსეთში, ირანში, ინდოეთსა და ავღანეთში. მთავარი ამოცანა პარტიის საიდუმლო უჯრედების შექმნა იყო კავკასიისა და შუა აზიაში. ამ საქმეში იტიჰადისტთა დიდ მხარდამჭერად გერმანიის გენშტაბი გამოდიოდა, და ეს არცაა გასაკვირი. გერმანელები თავისი სტრატეგიული მოწინააღმდეგეების, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის პოზიციების დასუსტებას ისახავდნენ აზიაში. ამ მიზნების მისაღწევად კი, გერმანელი და ოსმალთა სამხედრო-პოლიტიკური ლიდერების მიერ სწორედ რელიგიური ფაქტორი იქნა წინა პლანზე წამოწეული. თუმცა, ამ საკითხების შესახებ ნაშრომის შესაბამის თავში გვექნება უფრო არსებითი საუბარი. ფაქტი ისაა, რომ I მსოფლიო ომის წინ „სწორედ პანთურქიზმი და პანისლამიზმი წარმოადგენდა გაძლიერებული და დაჟინებული გერმანული და ისლამური პროპაგანდის მთავარ თემას ცარისტული რუსეთის მაკჰადანი მოსახლეობასთან მიმართებაში“, – აღნიშნავს იაკობ ლანდაუ, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი.²⁷⁸

რაც შეეხება ტრიუმფირატის კავკასიაში გადასვლის გადაწყვეტილებას, აქ ყველაფერი ნათელია. დაღესტანსა და აზერბაიჯანში ხომ ოსმალთა ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი შენაერთი, ე. წ. „კავკასიის ისლამის არმია“ იყო გაშლილი და ენვერ ფაშას ძმაც და ბიძაც, გენერლები ნური²⁷⁹ და ჰალილ ფაშებიც ბაქოში იმყოფებოდნენ.

²⁷⁶ Михаил Калишевский. Кем был Энвер-паша для мусульманского Востока? К 130-летию со дня рождения. 2011. <http://www.milli-firka.org/content/DBAFJBAF>.

²⁷⁷ Şuhnaz Yilmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206. Pg. 49.

²⁷⁸ Jakob Landau. Pan-Turkism: From Irredentism to Cooperation. Bloomington. Indiana University Press. 1995. Pg. 50.

²⁷⁹ ნური ფაშა ქილიგილი (Nuri Paşa Killigil) (1881-1949) – ოსმალთა მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი (ფერიკი), ენვერ ფაშას უმცროსი ძმა. თურქეთ-იტალიის, ბალკანეთისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი. 1914-1915 წლებში ტრიპოლიში მოქმედი საარმიო ჯგუფის „აფრიკის“ სარდალი. 1918 წლის ზაფხულიდან განჯაში შემდგარი „კავკასიის ისლამური არმიის“ სარდალი, რომელმაც 15 სექტემბერს დაამხო ბაქოს რუსულ-სომხური ესერულ-დაშნაკური ე.წ. „ცენტრალური კასპიისპირეთის დიქტატურა“. 1919-1920 წლებში ხელმძღვანელობს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნას. I მსოფლიო ომში ოსმალთა იმპერიის დამარცხებისა და მუდროსის ზავის დადების შემდეგ იგი ტოვებს „კავკასიის ისლამური არმიის“ სარდალის თანამდებობას. ამიერკავკასიაში ბრიტანელთა შემოსვლის შემდეგ მას აპატიმრებენ და სვაჰენ ბათუმის ციხეში. ციხიდან გაქცევის შემდეგ ბიძამისთან, გენერალ ჰალილ ფაშასთან ერთად ეკიდება რუს ბოლშევიკებს. სწორედ ისინი წარმოადგენენ შემაერთებელ ხილს ახალ თურქულ მოძრაობას (ქემალისტებს) და ბოლშევიკებს შორის. 1920 წლის გაზაფხულიდან, ბოლშევიკთა ამიერკავკასიაში შემოსვლის შემდეგ, იგი უპირისპირდება ბოლშევიკებს და ხელმძღვანელობს ანტიბოლშევიკურ და ანტიდაშნაკურ შეიარაღებულ გამოსვლებს აზერბაიჯანში. თურქეთის რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ბრუნდება სამშობლოში. 30-იანი წლებიდან მოღვაწეობს სამხედრო მრეწველობის სფეროში. 1938 წელს თურქეთის რესპუბლიკაში აარსებს სამხედრო-სამრეწველო კომპანიას და აწარმოებს ასაფეთქებელ ნივთიერებებს, აირწინააღმდეგებს და ცეცხლსასროლ იარაღს. II მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1941 წლიდან იგი კავშირებს ამყარებს ანკარაში გერმანიის ელჩთან პანთურქისტული მოძრაობის მხარდასაჭერად. იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც ცდილობდა ნაცისტების მიერ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ცნობის მიღწევას. ნური ფაშას უშუალო

ისიც ფაქტია, რომ საქართველოშიც და მთლიანად კავკასიაშიც ჰალილ ფაშა დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. გენერალი ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინი, 1915-1917 წლებში პალესტინის ფრონტზე წარმატებით მებრძოლი გერმანელი ოფიცერი, 1918 წლის ივნისიდან კი, გერმანიის საოკუპაციო ჯარების სარდალი და გერმანული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თავის მემუარულ ნაშრომში „Meine Mission im Kaukasus“, აღნიშნავს: „4 აგვისტოს (1918 წლის – ა. ჩ.) თბილისში, საქართველოს მთავრობასთან სტუმრად ჩამოვიდა ჰალილ ფაშა, თურქეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი, რომელსაც უნდოდა, სავარაუდოდ, მომდევნო გაზაფხულზე ბაღდადის უკან დაბრუნება. მე მას სადგურზე ჩამოსვლის დროს დავხვდი... მისი შტაბის უფროსი, ძალიან უნარიანი ბავარიელი გენერალური შტაბის უფროსი ლეიტენანტი პარაქენი მისი ნდობით სარგებლობდა და დიდი გავლენაც ჰქონდა მასზე. როგორც საქართველოს მთავრობა, ასევე მე პატივმოყვარე ფაშას კარგად ვეცქეოდით. ის თავის თანმხლებ პირებთან ერთად ორჯერ იყო ჩემთან სადილზე, საქართველოს მთავრობა კი დიდ ზემოქმედებას აწყო მის პატივსაცემად“.²⁸⁰

ფაქტია, რომ ენვერ ფაშა კავკასიას თავის საიმედო პლაცდარმად მოიაზრებდა, სადაც მისი ერთგული არმია იყო გაშლილი. ამაზე ენვერ ფაშამ ადრევე იზრუნა. ნური ფაშასადმი 1918 წლის 15 ოქტომბერს გაგზავნილ თავის ბოლო ტელეგრამაში ენვერ ფაშა ურჩევდა ძმას, რომ კონსტანტინოპოლიდან ჯარების უკან გაწვევის ბრძანების მიღების შემთხვევაში, ისინი ფორმალურად უშუალოდ აზერბაიჯანისა და კავკასიის მთიელ ხალხთა რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში გადაეყვანა, რითაც იგი რეგიონზე ოსმალური სამხედრო კონტროლის შენარჩუნებას ვარაუდობდა. ენვერის მოთხოვნის შესაბამისად, ნური ფაშა და იუსუფ იხეთ ფაშა (ჩუნატუკო) ფორმალურად დაითხოვეს ოსმალეთის არმიიდან და მათ, შესაბამისად, აზერბაიჯანისა და კავკასიის მთიელ ხალხთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლების თანამდებობები დაიკავეს. როგორც ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის დოცენტი, გიორგი ჩოჩიევი აღნიშნავს, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ოფიცრებისა და ჯარების დიდმა ნაწილმაც გამოთქვა მზადყოფნა კავკასიაში დარჩენაზე და შესაბამისი სამსახურებრივი კონტრაქტებიც გააფორმეს შესაბამისი რესპუბლიკების მთავრობებთან.²⁸¹

მაგრამ ყირიმიდან კავკასიაში გადასვლა ენვერ ფაშამ ვერ მოახერხა. 1918 წლის ნოემბრის ბოლოს ჩრდილოეთ ირანიდან ბაქოში ბრიტანული ქვედანაყოფები შემოდიან. საექსპედიციო კორპუსის სარდლისა და ბაქოს სამხედრო კომენდანტის, გენერალ-მაიორ უილიამ მონტგომერი ტომსონის (William Montgomery Thomson) ბრძანებით „კავკასიის ისლამის არმია“ დაშალეს, ჰალილ და ნური ფაშები კი დააპატიმრეს. გასაგებია, რომ ტრიუმფირატისტების თავშესაფრის ერთადერთ ვარიანტად გერმანია რჩებოდა, ქვეყანა, რომელიც ოსმალთა იმპერიის სამხედრო სტრატეგიულ მოკავშირეს წარმოადგენდა I მსოფლიო ომში. მხოლოდ გერმანიაში შეეძლოთ თავი მშვიდად ეგრძნოთ იტიპადისტთა ლიდერებს. აქ მათ გერმანული გენერალიტეტისა და, პირველ რიგში, ენვერ ფაშას პირადი მეგობრის, გენერალ ჰანს ფონ სექტის მფარველობის იმედი ჰქონდათ. თუმცა

ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა III რაიხის “SS“-ის თურქესტანის ლეგიონი. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბრუნდება თურქეთის რესპუბლიკაში და აგრძელებს სამეწარმეო და კომერციულ საქმიანობას. დაიღუპა 1949 წელს, საკუთარ ქარხანა-ში მომხდარი აფეთქების შედეგად.

²⁸⁰ General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. Bd 27.

²⁸¹ Георгий Чочиев. Кавказская ориентация в политической деятельности представителей северокавказской диаспоры в Турции в период Первой мировой войны. © Бюллетень ВИУ №15 2005 г. <http://www.aheku.org/articles/russian/hist/3645>.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი, სტანისლავ ტარასოვი²⁸² თავის ნაშრომში – „Как большевики строили единую тюркскую федерацию“ – წერს: „თალაათმა მოსკოვში ჩასვლა შეძლო“, ხოლო „ენვერი დენიკინელი გენერლის, ივან ერდელის დახმარებით აზერბაიჯანში გაგზავნეს“.²⁸³ 1961 და 1973 წლებში გამოცემულ ორ ფრანგულ ენციკლოპედიაში,²⁸⁴ ასევე 1932 წელს გამოცემულ იტალიურ ენციკლოპედიაში²⁸⁵ იგივე ვერსიებია წარმოდგენილი იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს მუდროსის ზავის დადების შემდეგ ენვერ ფაშა კავკასიაში გაიქცა, სადაც კავშირები დაამყარა ბოლშევიკებთან, შემდეგ კი მათი დავალებით ბუხარაში ჩავიდა იქაურ კომუნისტებსა და ამბოხებულებს შორის შეთანხმების დასადავად.

აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. რეალობა სულ სხვაა. ვერც ტარასოვის, ვერც ფრანგული ენციკლოპედიებისა და ვერც იტალიური ენციკლოპედიის მიერ მოწოდებულ „კავკასიურ“ ვერსიებს ვერ გავიზიარებთ, აქ აშკარა უზუსტობასა და შეცდომასთან ვეაქვს საქმე. სხვა წყაროებითა და უტყუარი ფაქტოლოგიური მასალებით, მოცემული მომენტისათვის არც თალაათ ფაშას მოსკოვში და არც ენვერ ფაშას აზერბაიჯანში ჩასვლის ვერსიები, მით უმეტეს, დენიკინელი გენერლის, ამიერკავკასიაში გენერალ დენიკინის სპეციალური წარმომადგენლის, ივან ერდელის დახმარებით, არ დასტურდება. ამ ვერსიებში მითები სჭარბობენ რეალობას.

რეალობა კი ისაა, რომ ტრიუმფირატის წევრები გადაადგილების მარშრუტს ცვლიან და ყირიმიდან კონსპირაციულად ჩადიან გერმანიაში. 1918-1919 წლის ზამთრის განმავლობაში ენვერ ფაშა ოჯახთან ერთად ბერლინში იმყოფებოდა და ცდილობდა, ბრიტანელ აგენტებთან დაემყარებინა კონტაქტები საკუთარი თავისა და ოჯახის ბერლინში დასამკვიდრებლად. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ამბებიდან არაფერი გამოვიდა, მან თავისი მზერა კვლავ აღმოსავლეთისაკენ მიაპყრო.²⁸⁶

მალე ენვერ და თალაათ ფაშები შვეიცარიაში გადადიან, სადაც კავშირებს ამყარებენ პატიმრობაში მყოფ ცნობილ ბოლშევიკთან, მუშათა საერთაშორისო მოძრაობისა და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო აპოლოგეტთან, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ საერთაშორისო ავანტიურისტთან, კარლ რადეკთან.

ამ მომენტისათვის ენვერ და თალაათ ფაშებს უკვე მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ინგლისელთა წინააღმდეგ ბერლინიდან „ომის“ წამოწყება, ამისათვის კი მათ ბრიტანული საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად მოკავშირე სჭირდებოდათ, ძლიერი მოკავშირე. ასეთი მოკავშირეც გამოიძებნა. ეს რუსეთი იყო, საბჭოთა რუსეთი. ბოლშევიკთა სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან შემაერთებელი რგოლის ფუნქცია კი ციხეში მჯდომ ბოლშევიკთა წითელ ემისარს, კარლ რადეკს დაეკისრა. ენვერ და თალაათ ფაშებმა რამდენჯერმე მონიანხულებს მოაბიტის ციხის პატიმარი. საქმე იმაშია, რომ რადეკი და თალაათ ფაშა კარგად იცნობდნენ ერთმანეთს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციიდან. სწორედ თალაათ

²⁸² სტანისლავ ტარასოვი – ცნობილი რუსი მეცნიერი, ისტორიკოსი და პოლიტოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი. უახლეს სახელმწიფოთა საერთაშორისო ინსტიტუტის კვლევითი ცენტრის „ახლო აღმოსავლეთი – კავკასია“ დირექტორი. სსრ კავშირის ცენტრალური რადიოტელევიზიის საერთაშორისო პოლიტიკის თურქული რედაქციის კომენტატორი, ყოველკვირეული ფედერალური ჟურნალის „BEK“ საერთაშორისო განყოფილების უფროსი რედაქტორი, გაზეთ „Российские вести“-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე, სააგენტო „Регнум“-ის (ИА REX) პოლიტიკური მიმომხილველი, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზე დაწერილი მრავალი სამეცნიერო სტატიისა და მონოგრაფიის ავტორი.

²⁸³ Тарасов Станислав. „Как большевики строили единую тюркскую федерацию“. <http://www.iarex.ru/articles/4195.html>.

²⁸⁴ Grand Larousse Encyclopedique. P., 1961; da Dictionnaire Encyclopedique d'histoire. P., 1973.

²⁸⁵ Enciclopedia Italiana. Milano, 1932.

²⁸⁶ Masayuki Yamauchi – The Green Crescent Under the Red Star: Enver Pasha in Soviet Russia 1919-1922 (Tokyo: Institute for the Study of Language and Cultures of Asia and Africa, 1991. Pg. 13.

ფაშა გახლდათ ოსმალური დელეგაციის ხელმძღვანელი ბრესტ-ლიტოვსკში და ოსმალთა იმპერიის სახელით სწორედ მან მოაწერა ხელი ამ ხელშეკრულებას. კარლ რადეკი კი საბჭოთა დელეგაციის წევრი იყო. მაშინ ოსმალეთის იმპერია და თალაათ ფაშა გამარჯვებულები იყვნენ. ახლა კი როლები შეცვლილიყო – კარლ რადეკი ახალი, თუნდაც ბოლშევიკური, მაგრამ მაინც გამოცოცხლებული რუსეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელი იყო, თალაათ ფაშა კი – დამარცხებული და საკუთარი ქვეყნიდან დევნილი ექსპრემიერი. თალაათ და ენვერ ფაშები პირველი მაღალჩინოსნები იყვნენ, რომლებმაც გენერალ ჰანს ფონ სექტის შუამდგომლობითა და დახმარებით კარლ რადეკი მონიხულეს მოაბიტის ციხეში. ფაქტი ისაა, რომ კონტაქტები შედგა. კარლ რადეკის მემუარებიდან:

„ჩემი პირველი სტუმრები ყოფილი დიდი ვეზირი, „ახალგაზრდა თურქთა“ მთავრობის თავმჯდომარე თალაათ ფაშა და მისი სამხედრო მინისტრი, ტრიპოლის ბრძოლების გმირი, ენვერ ფაშა იყვნენ. თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ისინი ნახევრად-ლეგალურად ცხოვრობდნენ ბერლინში, რადგან ანტანტა მათ ექსტრადიციას ითხოვდა. მათი მთავარი საფიქრალი კი თურქეთის უსაფრთხოების დაცვა იყო. ენვერ ფაშა პირველი იყო გერმანელი მილიტარისტებისათვის, ვინც მათ ატყობინებდა, რომ საბჭოთა რუსეთი ახალ და მზარდ მსოფლიო ძალას წარმოადგენდა, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაეწიათ, თუ სურდათ ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლა. თალაათ ფაშას ბრესტ-ლიტოვსკიდან ვიცნობდი. მაშინ იგი გამარჯვებულთა მაგიდასთან იჯდა. აქ კი, ბერლინის ციხეში, მოტეხილ კაცს ვესაუბრებოდი. მან გაიხსენა, რომ იგი, უბრალო ტელეგრაფისტის შვილი, თვითონაც უბრალო ტელეგრაფისტი იყო. ახლა კი მუსლიმანური აღმოსავლეთის მონობისაგან დახსნას ხალხთა მასების მხარდაჭერითა და საბჭოთა რუსეთთან კავშირების დამყარებით ვარაუდობდა. მათ ისაუბრეს მუსტაფა ქემალთან ურთიერთობებზე, რომელიც თურქთა წინააღმდეგობის მოძრაობას ხელმძღვანელობდა ანატოლიაში... ენვერ და თალაათ ფაშები აპირებდნენ, დახმარება გაეწიათ მისთვის საზღვარგარეთიდან“.²⁸⁷

იტიჰადისტი ლიდერების საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ლიდერებთან კავშირების დამყარებას ალექსანდრ პარვუსის ფაქტორმაც შეუწყო ხელი. ეს უკანასკნელიც მეტად საინტერესო და ნახევრად ბურუსით მოცული პიროვნება გახლავთ. მისი ნამდვილი გვარ-სახელი იზრაილ ლაზარევიჩ გელფანდია – რუსეთში დაბადებული ინტელექტუალი, ფილოსოფიის დოქტორი, მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი, მკვლევარი და პუბლიცისტი, რუსული და გერმანული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, რევოლუციონერი და საერთაშორისო პოლიტიკური ავანტიურისტი. მეტად საინტერესოა ის აუხსნელი ფაქტიც, რომ „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის შემდეგ, 1910-იან წლებში, ოსმალთა იმპერიის მთავრობაში მას ეკონომიკის საკითხებში მრჩევლის პოსტი ეკავა. სწორედ მაშინ ჩაისახა იმდროინდელ დიდ ვეზირს, მეჰმედ თალაათ ფაშასა და ალექსანდრ პარვუსს შორის ახლო ურთიერთობები. ბედი ამკარად უდიმოდა ფაშებს და ურთიერთობებიც ნელ-ნელა აეწყო. ფაქტია, რომ ფორტუნა ტრიუმფირატის მხარეს იყო და მოვლენების განვითარების შემდგომი ტენდენციებიც ექსიტიჰადისტთა ლიდერებისათვის სასარგებლო მიმართულებას იძენდა.

ენვერ ფაშამ თავის ყოფილ მოკავშირეებთან, გერმანულ გენერალიტეტთან და რაიჰსვერის ოფიცრებთანაც აღადგინა ურთიერთობები. ეს ურთიერთობები პირველ რიგში გერმანული მხრიდან ენვერ ფაშას მფარველობაში გამოიხატებოდა. სწორედ ამიტომ, ბრიტანელთა მიერ გერმანიისადმი სამეზის გაგზავნილ მოთხოვნას ენვერ ფაშას

²⁸⁷ Karl Radek. A Political Salon. <https://www.marxists.org/archive/radek/1926/november/ch08.html>.

გადაცემის შესახებ შედეგი არ მოჰყოლია. ხოლო თავის მხრივ ციხიდან გამოსული რადეკი, გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის, ინფანტერიის გენერალ ერიხ ლუდენდორფისა და გერმანიის პოლიციის მხრიდან შემდგომი სამართლებრივი დევნისაგან თავის დაღწევას ენვერ ფაშას დახმარებით ახერხებდა. საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკთა რეზიდენტი ბერლინში, კარლ რადეკი, თვეების განმავლობაში კონსპირაციულად აფარებდა თავს თალაათ ფაშას ბერლინურ ბინას.

რადეკთან ურთიერთობებმა კარდინალურად შეცვალა ენვერ ფაშას ცხოვრების შემდგომი გზა. სწორედ აქ, გერმანიასა და შვეიცარიაში ყოფნისას იბადება მეტად ორიგინალური პოლიტიკური ერთიანობის იდეა. მაშინ, როცა თალაათ ფაშა ნელ-ნელა მუსტაფა ქემალისა და მისი იდეოლოგიისაკენ იხრებოდა, ენვერ ფაშა უფრო ავანტიურისტული გეგმების შედგენით იყო დაკავებული. ბერლინში თალაათი ცდილობდა, ბრიტანელებთან პოლიტიკური კომპრომისები მოეძებნა ანატოლიური წინააღმდეგობის მოძრაობის სასარგებლოდ, მაშინ როცა ენვერ ფაშა სულ უფრო და უფრო ეფემერულ წარმოსახვებში იძირებოდა. მან ბოლშევიკებთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირების დამყარებაზე დაიწყო ფიქრი. საჭირო იყო საკითხისადმი ინოვაციური მიდგომა, რუს ბოლშევიკთა დაინტერესება შესაბამისი იდეთ. და ეს იდეაც მოიძებნა – „ბრძოლა ბრიტანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ“. მხარეებმა შეხების წერტილები მოძებნეს.

ეს პოლიტიკური ინოვაცია კომუნიზმისა და პანისლამიზმის გარკვეული იდეოლოგიური გაერთიანებისა თუ სიმბიოზის შექმნას გულისხმობდა. და აქ ხდება საოცარი მეტამორფოზა – ენვერ ფაშა, ოსმალთა იმპერიის ყოფილი სამხედრო მინისტრი და ფაქტობრივი პირველი პირი, უმაღლეს პრობოლშევიკად და „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ მებრძოლ „რევოლუციონერად“ გარდაიქმნება (Sic!) მსგავსი მეტამორფოზა უკვე მოხდა გენერალ აჰმედ ჯემალ ფაშას შემთხვევაში. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, ენვერ და ჯემალ ფაშებისაგან განსხვავებით, ტრიუმფირატის მესამე წევრის, მეჰმედ თალაათ ფაშას შემთხვევაში, არ მომხდარა მისი აქტიურ „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ მებრძოლ „რევოლუციონერად“ გარდაქმნა. თალაათი ბერლინში უფრო „რეალისტურ“ პოზიციებზე იდგა. იგი აღმოსავლეთ ანატოლიაში აგორებულ თურქულ ნაციონალურ მოძრაობას უჭერდა მხარს. თავდაპირველად მას იმედი ჰქონდა, რომ ბერლინიდან გააკონტროლებდა ამ მოძრაობას, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, ელიარებინა მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელი როლი ამ მოძრაობაში. ისმის კითხვა, უჭერდნენ კი თალაათ ფაშას მხარს გერმანიის ოფიციალური პირები? როგორი იყო მათი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში? რეალობა გაცილებით პროზაული იყო. სინამდვილეში ოფიციალურმა ბერლინმა თითქმის არაფერი იცოდა მისი კონსპირაციული მოღვაწეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის „რევოლუციის“ შემდეგ გერმანია დემოკრატიულ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა, მისმა ხელმძღვანელობამ მაინც არ გადასცა თალაათ ფაშა მოკავშირეებს. გერმანელთა მხრიდან თალაათ ფაშას „მფარველობას“ ერთი უბრალო მიზეზი გააჩნდა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა თალაათ ფაშას პერსონასა და მის წარსულთან – ანტანტა ასევე ითხოვდა გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა გადაცემას, რაზეც ახალი გერმანიის ხელისუფლება უარს აცხადებდა. ასე, რომ თალაათ ფაშასთან დაკავშირებითაც არაფერი გამოვიდა.

ენვერ ფაშას მოსკოვთან დაახლოებას ოფიციალური გერმანია უჭერდა მხარს. ამ მხარდაჭერაზე გადამწყვეტი როლი საერთო ინტერესების პრიმატმა და მიზანშეწონილობის პრინციპმა იქონია.

I მსოფლიო ომის შედეგებით გერმანია, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფო, რეალური საშიშროების წინაშე დადგა. ვერსალის ზავით, რომელსაც 1919 წლის 29

ინვარს მოეწერა ხელი, გერმანიამ თავისი ტერიტორიების გარკვეული ნაწილი დაკარგა, მისი არმიის რიცხოვნობა სიმბოლური 100 ათასი კაცით განისაზღვრა. ამავე დროს, გერმანიას აკრძალა ყოველგვარი სამხედრო სწავლებებისა და წვრთნების ჩატარება, მძიმე არტილერიის, ჯავშანტექნიკის, წყალზედა და წყალქვეშა ფლოტის, სამხედრო ავიაციის ქონა. აკრძალა სამხედრო მისიების აკრედიტაცია სხვა ქვეყნებში და სამხედრო განათლების მიღება. გერმანია „დამცირებული და პატივყრილი“ იყო. იგი მესამე-ხარისხოვან სახელმწიფოდ უნდა ქცულიყო. ამ მიზეზების გამო, გენერალი ჰანს ფონ სექტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გერმანული არმიისა და გერმანული სახელმწიფოებრიობის გადარჩენის ერთადერთ გზას საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობა წარმოადგენდა. 1920 წლის დასაწყისში იგი მთავრობას წერდა: „ჩვენ მოგვიწევს საბჭოთა რუსეთთან შერიგება – სხვა გამოსავალი უბრალოდ არ გვაქვს. რუსეთთან მყარი კავშირები იმის პერსპექტივას გაგვიხსნის, რომ კვლავ მოვიპოვოთ დიადი სახელმწიფოს სტატუსი. ინგლისსა და საფრანგეთს ემინიათ ამ კონტინენტური კავშირის დამყარებისა, ამიტომაც ყოველმხრივ ცდილობენ, თავიდან აიცილონ იგი. ჩვენ ამოცანაა, მთელი ძალისხმევით ვიბრძოლოთ ამ კავშირების დასამყარებლად“.²⁸⁸

ფაქტია, რომ I მსოფლიო ომში ანტანტასთან დამარცხებულ და „პატივყრილ“ გერმანიას რუს ბოლშევიკებთან დასაახლოებლად თავისი მიზეზები ჰქონდა. მოტივაცია ნამდვილად არსებობდა. მთავარი იყო ვერსალის ზავის პირობების გადახედვის მხარდაჭერა და გერმანიისათვის სანქციების შემსუბუქება. კრემლის მესვეურთათვის კი ახალი „რესპუბლიკური გერმანია“ ანტანტის მიერ დაჩაგრულ და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ კიდეც ერთ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელიც მათი ჩანაფიქრით ევროპაში „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ფორპოსტად უნდა ქცულიყო. ამ ურთიერთობების დამყარებაში მთავარი როლი რაიჰსვერს ეკუთვნოდა გენერალ ჰანს ფონ სექტის სახით, რომელიც I მსოფლიო ომში თურქეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მრჩეველი, შემდეგ კი გენშტაბის მოქმედი უფროსი იყო, ხოლო ახლა, ახალი გერმანიის სინამდვილეში – გერმანიის შეიარაღებული ძალების, რაიჰსვერის გენშტაბის (Truppenamt) უფროსი. წინ გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ 20-იანი წლებიდან სწორედ გენერალი ფონ სექტი ხელმძღვანელობდა რაიჰსვერს საბჭოთა კავშირსა და ვაიმარის რესპუბლიკას შორის მკაცრად გასაიდუმლოებული სამხედრო ურთიერთობების დამყარების პერიოდში.²⁸⁹

I მსოფლიო ომში დამარცხებული და ვერსალის ზავის პირობებით შეზღუდული გერმანია ევროპული ქვეყნებისაგან იზოლაციაში მოექცა. თავის მხრივ, რუსეთის რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა საბჭოელებიც იმავე მდგომარეობაში ჩააყენა. შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ კი გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის ბუნებრივი დაახლოება გამოიწვია. ამ პროცესს პოლონეთის ფაქტორმაც, რუსეთ-პოლონეთის ომის დაწყებამაც შეუწყო ხელი.²⁹⁰

ცნობილი ინგლისელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის ისტორიის მკვლევარი, ბრიტანეთის აკადემიის წევრი, სერ ჯონ ვილერ-ბენეტი (Sir John Wheeler-Bennett) მოგვითხრობს: „ჰანს ფონ სექტმა კარგად გამოიყენა პოლონეთის მეორე რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული დაპირისპირება და საბჭოელებთან კავშირების დამყარებას შეეცადა. ლეონ ტროცკის ახლადშექმნილი სამხედრო კომისარიატის მიერ გაბედული ნაბიჯების გადადგმით შეგულიანებული სექტი,

²⁸⁸ [http://amnesia.pavelbers.com/Nesvoevremennie % 20misli % 2081.htm](http://amnesia.pavelbers.com/Nesvoevremennie%20misli%2081.htm).

²⁸⁹ Azade - Ayse Rorlich, “Fellow Travellers: Enver Pasha and the Bolshevik Government 1918-1920,” Asian Affairs 13, no.3 (October 1982). Pg. 289.

²⁹⁰ Gasiorowski, Zygmunt J. (1958). The Russian Overture to Germany of December 1924. The Journal of Modern History. Large, J. A. (1978). The Origins of Soviet Collective Security Policy, 1930-32. Soviet Studies 30 (2). Pg. 212-213.

ვაიმარის მთავრობისაგან დაფარულად, საიდუმლო სამხედრო ალიანსის დამყარებას შეეცადა საბჭოელებთან. 1919 წლის ოქტომბერში სექტმა თავისი ახლო მეგობარი, ენვერ ფაშა გააგზავნა საიდუმლო მისიით მოსკოვში საბჭოელებთან კონტაქტების დასამყარებლად.²⁹¹

ციტატაში მოყვანილ აზრს ძირითადად ვეთანხმებით, თუმცა ავტორი აქ ერთ შეცდომას უშვებს. 1919 წლისათვის საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არ არსებობდა. აქ ბოლშევიკურ რუსეთზე შეიძლება მხოლოდ საუბარი. „რა თქმა უნდა, გენერალი ჰანს ფონ სექტი სულაც არ ოცნებობდა იმაზე, რომ საბჭოელთა სამხედრო პოტენციალი გაზრდილიყო, მაგრამ იგი გარკვეულ გათვლებს იმ სარგებლის მიღებაზე აკეთებდა, რასაც მას საბჭოელთა უსაზღვრო ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით, ლითონებისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის გამოყენება მოუტანდა. ეს კი აუცილებელი იყო იმ ამოცანის გადასაწყვეტად, რაც ფონ სექტის მიერ იყო ჩაფიქრებული – ომის შემდგომი გერმანიისათვის შექმნილი თანამედროვე შეიარაღებული ძალების სისტემა – რაიჰსვერი“²⁹² – აღნიშნავს გერმანიის შეიარაღებული ძალების ისტორიის ამერიკელი მკვლევარი, ჯეისონ ფაიფსი (Jason Pipes). გარკვეულწილად ვეთანხმებით ავტორისეულ მოსაზრებას, თუმცა რეალურად გენერალ ფონ სექტის გათვლები გაცილებით უფრო შორს მიდიოდა, რაც ისტორიის შემდგომმა მსვლელობამაც დაადასტურა.

საუბარი საბჭოელებსა და გერმანელებს შორის 20-იანი წლებიდან დაწყებულ იმ საიდუმლო სამხედრო თანამშრომლობას ეხება, რომელიც მოიცავდა გერმანული ინტელექტუალური და სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის გადმოტანას რუსეთში (მესერ-შმიტი, იუნკერსი, კრუპი და სხვა) და საიდუმლო ქარხნებსა და საწარმოებში ახალი თაობის სატანკო, საავიაციო, საარტილერიო და ქიმიური იარაღის წარმოებასა და გამოცდას. წითელ არმიას კი საშუალება მიეცემოდა, გაცნობოდა ახალ სამხედრო ტექნოლოგიებსა და თეორიებს ვაიმარის გერმანიიდან და მონაწილეობა მიეღო იმ სწავლებებსა და წვრთნებში, რასაც გერმანელები ატარებდნენ რუსეთის საიდუმლო პოლიგონებზე (მოსკოვი, დონის როსტოვი, ლიპეცკი, ყაზანი, სამარა).

მოგვიანებით, 1923 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირში დაფუძნებული ეს საიდუმლო ცენტრები გამოიყენებოდა ქიმიური იარაღის შესაქმნელად, ასევე ჯავშანტექნიკისა და არტილერიის ერთობლივი საველე გამოცდებისათვის ბატალიონსა და ზედა დონეებზე. ამავე მიზანს ემსახურებოდა საჰაერო და ჯავშანტექნიკის სასწავლო სკოლების დაარსება, რომლებშიც გერმანელი და საბჭოთა ოფიცრების პერიოდული როტაცია ხდებოდა. ეს პროცესები მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რათა მხარეებს თავი დაეღწიათ ვერსალის ზავის აგენტის, ინტერსამოკავშირეო კომისიის მეთვალყურეობისათვის.

მოკლედ რომ ვთქვათ, ურთიერთობები აეწყო და სახეზე იყო გერმანულ-საბჭოური ურთიერთსასარგებლო სამეცნიერო-ტექნიკური და სამხედრო-ტექნოლოგიური თანამშრომლობის სრული სპექტრი. თუმცა, დავუბრუნდეთ ისევ გენერალ ენვერ ფაშას, იტიჰადისტებსა და ბოლშევიკებს...

²⁹¹ Wheeler-Bennett, John. *The Nemesis of Power*, London: Macmillan, 1967. P. 126.

²⁹² Avro Vercamer and Jason Pipes. *German Military in the Soviet Union 1918-1933*. Feldgrau.com - research on the German armed forces 1918-1945. [http:// www.German Military in the Soviet Union 1918-1933.mht](http://www.German Military in the Soviet Union 1918-1933.mht).

§3.5. ბოლშევიკურ-იტალიანური ენიგმას დასაწყისი – „ყარაქოლი“ და პირველი ქართველი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუდროსის ზავის დადებას 1918 წლის ბოლოდან მოკავშირეთა ჯარების მიერ კონსტანტინოპოლის ფაქტობრივი ოკუპაცია მოჰყვა შედეგად. გარდა ამისა, ანტანტის საოკუპაციო ჯარებმა იმპერიის გარკვეული ტერიტორიებიც დაიკავეს. ოსმალური მიწების ოკუპაციაში მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები არ მონაწილეობდა და ეს გასაგებიცაა. ოკეანისგალმა ახალგაზრდა მზარდ სახელმწიფოს ევრაზიული კოლონიზაციის პრეტენზიები არ ჰქონდა, მონროს დოქტრინა²⁹³ ამას არ ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, იმპერიის გარკვეულ სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მის პრეზიდენტთან, ვუდრო ვილსონთან მიმართებაში არსებული ნდობის მანდატი საკმაოდ მაღალი იყო. ამავე დროს ინტენსიურად მიდიოდა იმ საკითხებზე მუშაობა, მისაღები იქნებოდა თუ არა თურქეთისათვის რომელიმე გამარჯვებული ქვეყნის მანდატის მიღება ქვეყნის მართვაზე. მუსტაფა ქემალისა და მისი ჯგუფის ზოგიერთი წევრის მიერაც ასეთ ქვეყნად ამერიკის შეერთებული შტატები მოიაზრებოდა. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ თურქეთისათვის აშშ-ის მანდატის მისაღებად პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას, მის დამამთავრებელ ეტაპზე გადადგა იმპერიის დიდმა ვეზირმა, მეჰმედ თალაათ ფაშამ. 1918 წლის 8 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონისადმი გაგზავნილ წერილში იგი სთხოვდა პრეზიდენტს, „პასუხისმგებლობა აეღო მშვიდობის დამყარებაზე ომში დაპირისპირებულ სახელმწიფოთა შორის“.²⁹⁴

თალაათ ფაშა იმედოვნებდა, რომ აშშ მედიატორად გამოვიდოდა მშვიდობის საკითხებში და მისი მანდატის ქვეშ ყველაზე უკეთ იქნებოდა დაცული თურქული სახელმწიფოს ინტერესები. თალაათ ფაშას ფაქტორის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ამერიკულ მანდატს მის მიერ ხელდასმული ექსიტაჰადისტთა საიდუმლო ორგანიზაცია „ყარაქოლი“ (Karakol) ემხრობოდა. მისმა ლიდერმა, პოლკოვნიკმა ყარა ვაზიფმა წერილიც კი მისწერა მუსტაფა ქემალს ამერიკული მანდატის მიღების რჩევით. საბჭოთა ისტორიკოსის, თურქეთის ისტორიის ამ პერიოდის ცნობილი მკვლევარის, აბდულა შამსუტდინოვის აზრით, „ნაციონალისტთა გარკვეული ნაწილი ამერიკული მანდატის მომხრედ გამოდიოდა, რაც სახალხო მოძრაობის შემდგომ განვითარებას შეაჩერებდა“.²⁹⁵

და მართლაც, 1919 წლის ბოლოსათვის კონსტანტინოპოლში აქტიურად ამოქმედდნენ საკმაოდ მძლავრი ორგანიზაციები „ვილსონის ლიგა“ და „ეროვნული კონგრესი“, რომლებიც ამერიკულ მანდატს ემხრობოდნენ. „ეროვნული კონგრესი“ 53 კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას აერთიანებდა.

²⁹³ მონროს დოქტრინა (Monroe Doctrine) – წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების დეკლარაციას („ამერიკა ამერიკელებისათვის“), რომელიც გამოცხადებულ იქნა 1823 წლის 2 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯეიმს მონროს (James Monroe) მიერ. აშშ-ს კონგრესისადმი წარდგენილ გზავნილში წამოყენებულ იქნა მსოფლიოს დაყოფის ახალი სახელმწიფოებრივი პრინციპები ევროპულ და ამერიკულ სისტემებად დაყოფის შესახებ. დოქტრინა ითვალისწინებდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩაურევლობის კონცეფციას ევროპულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, და შესაბამისად – ევროპის ჩაურევლობას დასავლეთ ნახევარსფეროს (ამერიკის კონტინენტის) პოლიტიკაში; ასევე, განისაზღვრა ნებისმიერი გზებითა და მეთოდებით ევროპული სახელმწიფოების მხრიდან ამერიკის კონტინენტის კოლონიზაციის ყოველგვარი მცდელობის აღკვეთა. ეს დოქტრინა არა ზოგადად კოლონიზაციის, არამედ მხოლოდ ევროპული სახელმწიფოების მიერ ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოებში ევროპული კოლონიური ექსპანსიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

²⁹⁴ Emel Akal. Milli Mücadelenin Baçlangicinda Mustafa Kemal, Itihat Terakki ve Bolşevizm (Istanbul: TÜSTAV, 2002). S. 356.

²⁹⁵ Шамсутдинов А. М. Национально-освободительная борьба в Турции, 1918-1923. М., 1966. Стр. 190.

ამ ორგანიზაციების საერთო ხელმძღვანელობას კი ისევ და ისევ ყოფილი იტიჰადისტები, „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ყოფილი ხელმძღვანელები ახორციელებდნენ. სულთნისა და მისი კაბინეტის როლი კი ამ საქმეში სრულად იყო იგნორირებული.

როგორც ვხედავთ, ამერიკულ მანდატთან დაკავშირებით ქემალისტთა და იტიჰადისტთა მოსაზრებები გარკვეულწილად ერთმანეთს ემთხვეოდა. ყოველ შემთხვევაში, იმპერიის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და დიდი ვეზირი, მეჰმედ თალაათ ფაშა ასეთ პოზიციაზე იდგა.

იმპერიის გადარჩენისთვის თურქულ სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში სხვა ვარიანტებიც მუშავდებოდა. საუბარი რუსეთსა და ბოლშევიკებს ეხება. მუსტაფა ქემალის ჯგუფის პარალელურად, ბოლშევიკებთან ურთიერთობების დამყარებას სხვა თურქული ნაციონალისტური ჯგუფებიც ესწრაფოდნენ. პირველ რიგში, ჩვენთვის უკვე ცნობილი ექსიტიჰადისტთა გასაიდუმლოებული ორგანიზაცია „ყარაქოლი“. მუსტაფა ქემალის ანატოლიაში გადასვლისა და წინააღმდეგობის მოძრაობის დაწყების შემდეგ, „ყარაქოლმა“ დამოუკიდებელი თამაშები წამოიწყო. ამერიკული მანდატის მიღებაზე დადებითი განწყობის პარალელურად, „ყარაქოლი“, თავის მხრივ, ბოლშევიკებისაკენ მიმავალი გზების ძიებასაც შეუდგა. მუსტაფა ქემალმა რამდენჯერმე გააფრთხილა „ყარაქოლი“, რომ შეეწყვიტა დამოუკიდებლად მოქმედება და შეერთებოდა ნაციონალისტთა მოძრაობას, რადგან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელობას ქემალისტები საკუთარ პრეროგატივად თვლიდნენ. ქემალისტებმა ამაზე უარი მიიღეს. ეს გასაგებიცაა. „ყარაქოლი“ არ განიხილავდა ანკარას და იქ თავმოყრილ ნაციონალისტებს წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრად. ასეთი ქმედებები კი, საერთო ჯამში, ქსაქსავდა და ევექტს უკარგავდა თურქთა წინააღმდეგობის მოძრაობას.

იმდენად, რამდენადაც „ყარაქოლი“ ძირითადად ოსმალთა იმპერიის ყოფილი მმართველი პარტიის „ერთიანობისა და პროგრესის“ წევრებით იყო დაკომპლექტებული, ნაციონალური წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერებად ისინი საკუთარ თავს განიხილავდნენ და არა ვინმე სხვას. სწორედ ამიტომ, „ყარაქოლის“ ერთ-ერთი ლიდერი ბაჰა საიდი 1919 წლის ბოლოს ბაქოში მიემგზავრება და იქ იატაკქვეშეთში მოქმედ ბოლშევიკებთან ამყარებს საქმიან კონტაქტებს. 1920 წლის 11 იანვარს კი ბაჰა საიდსა და ბოლშევიკთა წარმომადგენელს შორის გარკვეული ხელშეკრულებაც იდება. „ყარაქოლის“ ხელმძღვანელმა, ყარა ვაზიფმა, ამ ხელშეკრულების შესახებ ინფორმაცია მუსტაფა ქემალს 1920 წლის 26 თებერვალს მიაწოდა, რომელიც ანგორამ არ აღიარა. მუსტაფა ქემალი მდგომარეობიდან გამოიყვანა იმ ფაქტმა, რომ ასეთი ტიპის ხელშეკრულებას მისი ნებართვისა და ანგორის მონაწილეობის გარეშე მოეწერა ხელი. მან შეატყობინა ყარა ვაზიფს, რომ ანგორა არ სცნობს არავითარ სეპარატისტულ ორგანიზაციას, ამავე დროს მოსთხოვა „ყარაქოლს“, რომ იტიჰადისტებს შეეწყვიტათ ყველა სახის აქტივობა და დამორჩილებოდნენ ანკარას.²⁹⁶

იმ ფაქტს, რომ თურქების მხრიდან პირველი ფორმალური კონტაქტი ბოლშევიკებთან სწორედ „ყარაქოლმა“ და არა ქემალისტებმა დაამყარეს, ცნობილი ამერიკელი აღმოსავლეთმცოდნე და თურქოლოგი, ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰასან ბიულენთ პაქსოი²⁹⁷ (Hasan Bülent Paksoy) ადასტურებს თავის ნაშრომში “US and Bolshevik relations with the TBMM government. The first contacts, 1919-1921“:

²⁹⁶ Nersin Ersoy McMeekin. Turkey's relations with the Bolsheviks (1919-1922). The department of international relations. Bilkent University. Ankara. 2007. s 284.

²⁹⁷ ჰასან ბიულენთ პაქსოი (Hasan Bülent Paksoy) – თურქული წარმომავლობის ამერიკელი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, შუა აზიის ისტორიისა და კულტურის სპეციალისტი, ისტორიის დოქტორი. ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, მასაჩუსეტისის ცენტრალური სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტეხასის, კონექტიკუტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების პროფესორი.

„ერთი მხრივ... „ყარაქოლ ჯემიეთის“ (Karakol Cemiyeti), ხოლო მეორე მხრივ, კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სრულყოფილი წარმომადგენელს (ვინაობა არ სახელდება) შორის, რომელიც რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის სახელით მოქმედებდა, შედგა მოლაპარაკება (დაიღო კონტრაქტი). შემდგომ მოხსენიებული იყო, რომ ხელშეკრულებას ბაჰა საიდ ბეი აწერდა ხელს „ყარაქოლის“ სახელით, როგორც კავკასიაში აკრედიტებული ორგანიზაციის სრულყოფილი წარმომადგენელი. ხელშეკრულებას ბაქოში მოეწერა ხელი 1920 წლის 11 იანვარს“.²⁹⁸

ზემოხსენებული თურქი მეცნიერები ვერ ახერხებენ „ყარაქოლთან“ და ბაჰა საიდთან რუსული მხრიდან ხელის მომწერი პირის, „კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სრულყოფილი წარმომადგენლის“ იდენტიფიცირებას. არადა, ეს პირი ცნობილი რუსი რევოლუციონერი და ბოლშევიკი, ეროვნებით ქართველი, ამხანაგი შალვა ელიავა²⁹⁹ იყო. დიახ, პირველი ოფიციალური პირი, ვინც საბჭოელთა მხრიდან პირველმა დაამყარა ოფიციალური ურთიერთობები თურქულ ჯგუფთან და ხელი მოაწერა ოფიციალურ ხელშეკრულებას, ეროვნებით ქართველი რუსი ბოლშევიკი, თურქკომისიის³⁰⁰ თავმჯდომარე, თურქესტანის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი და „აღმოსავლეთის საკითხებში“ კარგად გარკვეული პიროვნება,

²⁹⁸ H. B. Paksoy. US and Bolshevik relations with the TBMM government. The first contacts, 1919-1921. The Journal of Sophia Asian studies. No. 12 (1994). Pg. 13-14.

²⁹⁹ შალვა ელიავა (1883-1937) – ძველი რევოლუციონერი და ბოლშევიკი, ცნობილი საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. რსდმპ წევრი 1904 წლიდან. ვოლოგდის გუბერნიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საგუბერნიო საბჭოების პირველი თავმჯდომარე 1917 წლის მარტიდან დეკემბრამდე. 1918 წლის იანვარ-აპრილში ვოლოგდის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1919 წლის 10 აპრილიდან 11 აგვისტომდე ბოლშევიკთა აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთის დაჯგუფების სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი. 1919 წლის 15 აგვისტოდან 23 სექტემბრამდე თურქესტანის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის სამხედრო საბჭოს წევრი. 1919 წლის 8 ოქტომბრიდან 1922 წლის 30 აგვისტომდე მოსკოვის ცენტრალური მთავრობის მიერ თურქესტანის უმაღლესი საკანონმდებლო-მმართველობითი ორგანოს – თურქკომისიის თავმჯდომარე და რკპ(ბ) თურქესტანის ბიუროს წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის დროს მოვლინებული იყო მე-11 წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრად და ნაჩქარევად შექმნილი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის (რეევკომი) თავმჯდომარის მოადგილედ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ, 1921-1922 წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხედრო და სახლგო საქმეთა სახალხო კომისარი, ხოლო 1922-1923 წლებში იგივე თანამდებობა ეკავა უკვე ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობაში. 1923-1927 წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე. 1931-1936 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილე, ხოლო 1936-1937 წლებში მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და ცაკის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს ანტისაბჭოთა შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით.

³⁰⁰ თურქკომისია – თურქესტანის საქმეთა კომისია, თურქესტანის უმაღლესი საკანონმდებლო-მმართველობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იყო, წარმოედგინა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო თურქესტანის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. მისი შექმნის დადგენილება მიიღო 1919 წლის 8 ოქტომბერს სრულიად რუსეთის ცაკისა და რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ. თურქკომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა შალვა ელიავა, ხოლო წევრები იყვნენ: გ. ი. ბოკი, ფ. ი. გოლოშჩეკინი, ვ. ვ. კუიბიშვილი, ი. ე. რუშუტაკაი, მ. ვ. ფრუნზე. შემდგომში კომისიის შემადგენლობამ რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. ერთდროულად თურქკომისიას ევალებოდა უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციები შუა აზიაში რკპ(ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის სახელით. თურქკომისიის შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკისათვის დახმარების გაწევის საჭიროებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იზოლირებული აღმოჩნდა რსფსრ-დან ბლოკადის გამო რუსეთის სამოქალაქო ომის მსვლელობისას. თურქკომისია გადამჭრელ ზომებს ატარებდა ცენტრალურ აზიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, სამეურნეო მართვის საბჭოური სისტემის დანერგვის, ნაციონალისტების იზოლირება-ლიკვიდირებისა და ცენტრალური აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად. თურქკომისიის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღეს 1922 წლის 16 აგვისტოს რკპ(ბ)-ს გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც იურიდიულად აღსრულდა კიდევ სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით 1925 წლის 2 თებერვალს.

თურქესტანის კომპარტიის ცეკას ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, შალვა ელიავა იყო.

ამ საკითხთან დაკავშირებით გენერალი ალი ფუატ ჯებესოი თავის მემუარებში „მოსკოვური მოგონებები“ (Moskova Hatiralari) წერს: „სივასის კონგრესის დასრულებიდან „ერთ-ორ თვეში“ ბოლშევიკები, თავის მხრივ, აგზავნიან დელეგაციას ოსმალთა იმპერიაში, კერძოდ, კონსტანტინოპოლში პოლიტიკური სიტუაციის შეფასებისათვის... ბოლშევიკთა ამ ჯგუფს „კავკასიის არმიის გენერალური უფროსი“, (General Chief of the Caucasus Army – ა. ჩ.) ამხანაგი შალვა ელიავა ხელმძღვანელობდა. დელეგაცია შეპირდა თურქ ნაციონალისტებს, რომ ბოლშევიკები აღიარებენ მათ უფლებებს და ისინი მზად არიან დაუყოვნებლივ გაუწიონ დახმარება ნაციონალისტებს „იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში“.³⁰¹

გენერალ ალი ფუატ ჯებესოის ამ მემუარებშიც მცირე კორექტივებს შევიტანთ. ჯერ ერთი, ბოლშევიკთა შეიარაღებული ძალების – „მუშურ-გლეხური წითელი არმიის“ (РККА – Рабоче-крестьянская Красная армия) არსებობის სინამდვილეში ასეთი საჯარისო შენაერთი – „კავკასიის არმია“ არ არსებობდა. ასეთი დასახელების არმია I მსოფლიო ომის პერიოდში მოქმედებდა ცარისტული რუსეთის, „ოზაკომისა“ და ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდებში. ხოლო საბჭოთა რუსეთში ახალი ტიპის შეიარაღებული ძალების შექმნისთანავე, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის (სამხედრო სამინისტრო) მიერ წითელი საჯარისო გაერთიანებები (არმიები), შენაერთები (კორპუსები) თუ ნაწილები, (დივიზიები, პოლკები, ცალკეული ბატალიონები და ცალკეული ასეულები) აგრეთვე ქვედანაყოფები (ხაზოვანი ბატალიონები, ასეულები და ოცეულები) უკვე ციფრობრივი ფორმითა და ჯარების გვარეობებისა თუ დანიშნულების მიხედვით სახელდებოდა. მაგალითად, მე-10 არმია, მე-3 საკავალერიო კორპუსი, მე-7 მსროლელი დივიზია, მე-4 საარტილერიო პოლკი, მე-12 ქვეითი ბატალიონი, მე-2 სადაზვერვო ასეული და ა.შ. გამონაკლისს შეადგენდნენ წითელი არმიის ისეთი საჯარისო ფორმირებები, რომლებიც ადგილებზე იქმნებოდნენ სტიქიურად და რომელთა რაოდენობაც ძალიან შეზღუდული იყო, მაგალითად, ე.წ. „ტამანის არმია“, „ლატვიელი მსროლელები“ და სხვ. ამ დროისათვის, ე.ი. 1919 წლის ბოლოსათვის, წითელი არმიის სინამდვილეში სამხრეთის მიმართულებაზე არსებობდა უმაღლესი საჯარისო-ოპერატიული გაერთიანება სახელწოდებით „კავკასიის ფრონტი“ და არა „კავკასიის არმია“, თუმცა ამ მომენტისათვის შალვა ელიავას ამ ფრონტთანაც არ ჰქონია შეხება. წითელი არმიის კავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა ბოლშევიკთა მე-11 არმია, რომელიც ოდნავ მოგვიანებით, 1920 წლის გაზაფხულიდან შემოიყვანეს ამიერკავკასიაში. ცხადია, შალვა ელიავა ამ არმიის „გენერალური უფროსიც“ არ ყოფილა. მე-11 არმიას ამ მომენტისათვის თბილისში დაბადებული და გაზრდილი გარუსებული პოლონელი, მიხაილ ლევანდოვსკი სარდლობდა. შალვა ელიავა თურქკომისიის თავმჯდომარე, თურქესტანის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი და ამავე დროს, თურქესტანის კომპარტიის ცეკას ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე იყო. შესაბამისად, იგი კარგად ერკვეოდა „აღმოსავლურ საკითხებში“. მოგვიანებით, მე-11 წითელი არმიის ამიერკავკასიაში შემოსვლის შემდეგ, იგი კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს შემადგენლობაშიც შეიყვანეს.

საქართველოში მე-11 წითელი არმიის ინტერვენციის შემდეგ კი, 1921 წლის 16 თებერვალს კრემლმა შალვა ელიავა საქართველოს რევკომის თავმჯდომარის, ფილიპე მახარაძის მოადგილედ დანიშნა, თუმცა ფილიპე მახარაძის საქართველოში არყოფნის გამო სწორედ შალვა ელიავა ასრულებდა რეალურად საქართველოს რევკომის

³⁰¹ Ali Fuat Cebesoy. Moskova Hatiralari. Milli Mücadele Bolşevik Rusya. (Istanbul: Vatan Neşriyatı, 1955). Pg. 60.

თავმჯდომარის მოვალეობას. მოგვიანებით, საქართველოს სრული ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ხელისუფლებაში მას უმაღლესი სამთავრობო თანამდებობები ეკავა. იგი ჯერ საბჭოთა საქართველოს სამხედრო-სახლგაო საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა, შემდეგ კი, ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ალი ფუატ ჯეხესოი აგრძელებს: „ელიავა შეხვდა თურქ ნაციონალისტებს კონსტანტინოპოლში და განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი აღიარებს მათ უფლებებსა და მოთხოვნებს, და ბოლშევიკები მზად არიან, დაეხმარონ ქემალისტებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“.³⁰² მაგრამ ბოლშევიკებმა აქვე წამოაყენეს მოთხოვნები, რომ ეს დახმარება გამოიყოფოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თურქი ნაციონალისტები გაიზიარებდნენ ბოლშევიკურ იდეებსა და იდეოლოგიას.

პირველი ოფიციალური ფიგურა ბოლშევიკთა მხრიდან, რომლის თურქეთში ვიზიტიც შედგა, ისევე და ისევე შალვა ელიავა იყო. კონსტანტინოპოლში მის ვიზიტს ადასტურებს ცნობილი ამერიკელი მეცნიერი რიჩარდ ოვანესიანიც: „კონსტანტინოპოლში შალვა ელიავა ანატოლიის გავლით ჩავიდა, სადაც მას 1919 წლის ბოლოს შეხვედრები ჰქონდა საზოგადოება „ყარაქოლის“ ხელმძღვანელებთან, კონკრეტულად, მისი ცენტრალური კომიტეტის წევრთან, ბაჰა საიდთან. ძირითად პრინციპებზე შეთანხმების შემდეგ, სავარაუდოა, რომ ელიავამ იგი ბაქოში მიიწვია მოლაპარაკებების დასასრულებლად“.³⁰³

„ყარაქოლის“ წარმომადგენლების შეხვედრა ბოლშევიკებთან ბაქოში მართლაც შედგა 1920 წლის 11 იანვარს, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუალედური ხელშეკრულებაც დაიდო თანამშრომლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების მთავარი მიზანი ერთობ ზოგადი და დეკლარაციული ხასიათისა იყო – „მუსლიმანური ქვეყნების განთავისუფლება დასავლეთევროპელი იმპერიალისტების ჩაგვრისაგან“. ხელშეკრულება 15 სტატიისაგან შედგებოდა. აზერბაიჯანელი მკვლევარის, ვაზიფ გაფაროვის აზრით, რომელიც საარქივო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს, ყველაზე საინტერესოდ ხელშეკრულების მე-11 სტატიას მიიჩნევს. მასში ნათქვამი იყო:

„...რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა და თურქეთის რევოლუციური მთავრობა ვალდებული იქნებიან, მხარდაჭერა გაუწიონ კავკასიაში დაწყებულ საერთო მოძრაობას ინგლისური და რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ და იმოქმედონ ამ მოძრაობის დამამუხრუჭებელ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობების წინააღმდეგ, რომლებიც იმპერიალისტური ევროპის ზეგავლენით მოქმედებენ ამ ხელშეკრულების მიზნებისა და ამოცანების საწინააღმდეგოდ. რევოლუციური საზოგადოება „ყარაქოლის“ აღმასრულებელი ორგანოთი წარმოდგენილი თურქეთის დროებითი რევოლუციური მთავრობა ვალდებული იქნება, დაეხმაროს ყველა მთავრობას, რომელიც შეუერთდება ამ ხელშეკრულებას და, განსაკუთრებით, კავკასიის სამხარეო კომიტეტს, ზემოთ დასახელებული სამი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში...“³⁰⁴

„ყარაქოლის“ მიერ დადებული ეს ხელშეკრულება, ყარაბეჯირის რჩევით, მუსტაფა ქემალმა არ აღიარა. ამით ქემალისტები კიდევ ერთხელ გაემიჯნნენ ექსიტიჰადისტებს და მათ საიდუმლო ორგანიზაცია „ყარაქოლს“. მუსტაფა ქემალი და ქიაზიმ ყარაბეჯირი, ცხადია, არ დაუშვებდნენ ბოლშევიკებთან ურთიერთობების იტიჰადისტებზე დელეგირების უფლებას. ისინი თვლიდნენ, რომ თურქული სახელმწიფოს გადარჩენისათვის ბრძოლა

³⁰² Ali Fuat Cebesoy. Moskova Hatiralari. Milli Mücadele Bolşevik Rusya. (Istanbul: Vatan Neşriyatı, 1955). Pg. 60.

³⁰³ Richard G. Hovannisian. Armenia and the Caucasus in the Genesis of the Soviet-Turkish Entente. International Journal of Middle East Studies. Cambridge University Press. 1973. Pg. 142.

³⁰⁴ Вaсиф Гафаров. Русско-турецкое сближение и независимость Азербайджана. (1919-1921 гг.). ГААР, ф. 894, оп. 10, д. 145, л. 13—14; Карабекир К. Наша война за независимость. Т. II;

მხოლოდ და მხოლოდ მათი საქმე იყო და არა რომელიმე სხვა ორგანიზაციისა. ამ გზაზე ის და მხოლოდ ის, მუსტაფა ქემალი უნდა ყოფილიყო ქვეყნის ერთადერთი მხსნელი. იგი უნდა ყოფილიყო დეოკუპაციისა და დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი ლიდერი.

1920 წლის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ არ იყო დეკლარირებული ე.წ. „ახალი თურქული მოძრაობის“ თეზისები და, ცხადია, კრემლის ზოგიერთი მესვეურისათვის თურქი პოლიტიკური თუ სამხედრო მოღვაწეები ისევ იტიპადისტებად და ისლამისტებად მოიაზრებოდნენ. მათი ეს დასკვნა გარკვეულწილად გასაგებიცაა, რადგან ბაქოელი ბოლშევიკების საშუალებით მოსკოვთან კავშირების დამყარებას ისეთი პიროვნებები ცდილობდნენ, როგორც იყვნენ ყარაბეირი, ჰალილ და ნური ფაშები და მათი გუნდი, ანუ, ექსიტიპადისტები და ოსმალთა იმპერიის ყოფილი სამხედრო ელიტა. ამას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიც, სადაც ჩიჩერინი გარკვეულ შემოფოტებას გამოთქვამს „რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პროისლამური გატაცებების“ გამო.

№659-660. რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის

გ. ჩიჩერინის წერილი ვ. ლენინს, ნ. კრესტინსკის, ე. სტასოვას, ნ. ნარიშკინს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პროისლამური გატაცებების წინააღმდეგ.

1920 წლის 1 მარტი.

„ბოლშევიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგობრიობანი უკვე საერთაშორისო ფაქტი გახდა... ნათლად უნდა გავიაზროთ ეს მდგომარეობა და ანგარიში გავუწიოთ მას. ცხადია, ჩვენ ისევ უნდა წამოვაყენოთ იდეა ჩვენი როლის შესახებ ევროპული იმპერიალიზმისაგან აღმოსავლეთის განთავისუფლებაში, იმდენად, რამდენადაც ამ საქმეში არ ვიქნებით შეზღუდულები დიპლომატიური თვალსაზრისით. და ეს იდეა დაგვეხმარება, მოვიძნოთ მასები, მაგრამ პანისლამიზმთან უნდა ვიმოქმედოთ, როგორც მტრულ ძალასთან, რომელთანაც დასაშვები იქნება მხოლოდ დროებითი გარიგებები, როგორც რომელიმე ესტონურ ან პოლონურ ბურჟუაზიასთან და მეტი არაფერი. ჩვენს გამოვლენებში აბსოლუტურად დაუშვებელია ისეთი განცხადებების გაკეთება, როგორც მე შემხვდა – „ბოლშევიზმი ისლამის საუკეთესო მეგობარია“.

ჩვენს პოლიტიკაში დაუშვებელია ისეთი აქტები, როგორცაა კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოლაპარაკება „ახალგაზრდა თურქებთან“, სადაც აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ სამხარეო კომიტეტი მხარს უჭერს პანისლამისტური ხასიათის ლოზუნგებსა და მისწრაფებებს. ჩვენ არ უნდა გავაკეთოთ გათვლები გრძელვადიან კავშირებზე ჩვენთვის არსებითად მტრულ ძალასთან, რადგან ასეთი კავშირების დამყარებით მხოლოდ საკუთარი თავის პოლიტიკურად კომპრომეტირებას მოვახდენთ, რითაც ძალას მივცემთ რეაქციულ იდეოლოგიას. ერთი სიტყვით, დიდი სიფრთხილით უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი თითოეული ნაბიჯი, როდესაც საქმე გვაქვს მუსლიმანურ სამყაროსთან, კერძოდ, პანისლამიზმთან“.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი.³⁰⁵

ამ წერილის შინაარსიდან ნათლად ჩანს ამხანაგ ჩიჩერინის შეხედულებები პანისლამისტებთან დაკავშირებით, მათთვის ბოლშევიკების მხრიდან მხარდაჭერის შესახებ. მეტად ნიშანდობლივია წერილში აღნიშნული ლოზუნგიც: „ბოლშევიზმი ისლამის საუკეთესო მეგობარია!“ 1920 წლის გაზაფხულისათვის ჩიჩერინი თვლიდა, რომ კრემლს არ უნდა ჰქონოდა ურთიერთობები პანისლამისტებთან და მათთვის მხარი არ უნდა დაეჭირა კავკასიის სამხარეო კომიტეტის მსგავსად. თუმცა ამხანაგი ჩიჩერინი თავის დასკვნებში ცოტა აჩქარდა. იგი აშკარად ჩამორჩა კრემლის ბელადთა იდეოლოგიურ ტემპებს, მათი წარმოსახვის მასშტაბებს.

³⁰⁵ РГАСПИ. Ф. 5. Оп. I. Д. 2054. Лл. 5—5 об. Подлинник. Автограф.

დიახაც, ძალიან მჭიდრო კავშირები მყარდებოდა და ბოლოს დამყარდა კიდევ 1920 წლის ზაფხულიდან ბოლშევიკებსა და ისლამისტებს შორის „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისაკენ“ მიმავალ გზაზე. და რადგან ევროპის სოციალიზმისაკენ „მოქცევა“ ამ ეტაპზე გართულდა, ხოლო პოლონეთი სისხლისმღვრელ და ხანგრძლივ ომს აგრძელებდა რუსეთთან, კრემლის ინტერესთა ვექტორი ნელ-ნელა „აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხებისაკენ“ გადაიხარა. ამ მიმართულების „გასაღებს“ კი სწორედ ისლამი წარმოადგენდა, რაც კრემლის მესვეურებმა კარგად მოარგეს ბაქოს, ამიერკავკასიის ბოლშევიკური მოძრაობის ამ მექას.

§3.6. „ალი ბეის მისია“

მთელ 1919 წლის განმავლობაში და 1920 წლის პირველ ნახევარში ენვერ ფაშამ და რადეკმა რუსეთის საზღვრის გადაკვეთა ვერ შეძლეს. ამ საკითხთან დაკავშირებით სტანისლავ ტარასოვი წერს: „1919 წლის დეკემბერში მოსკოვში ჩამოდის ცნობილი ენვერ ფაშა“.³⁰⁶ სხვა წყაროზე დაყრდნობით (Е. Прудникова), ენვერ ფაშა მოსკოვში 1921 წლის 11 აგვისტოს ჩავიდა.³⁰⁷ თურქი მეცნიერის, შუჰნაზ ილმაზის მიხედვით, ენვერ ფაშა მოსკოვში 1920 წლის დასაწყისში ჩავიდა.³⁰⁸ მეორე თურქი მეცნიერი, ნერსინ ერსინ მაკმიკენი ენვერ ფაშას მოსკოვში ჩასვლის თარიღად 1920 წლის 14 აგვისტოს ასახელებს.³⁰⁹ ვერც ერთ თარიღს ვერ დავეთანხმებით, რადგან ენვერ ფაშას მოსკოვში ჩასვლის არც ტარასოვისეული, არც პრუდნიკოვასეული, არც ილმაზისეული და არც მაკმიკენისეული თარიღები სხვა დამაჯერებელი წყაროებით არ დასტურდება.

ქვემოთ მოყვანილი უტყუარი საარქივო მასალები კი გვამცნობენ, რომ ენვერ ფაშა და მისი თანმხლები პირნი მოსკოვში მხოლოდ 1920 წლის ზაფხულში ჩნდებიან. კერძოდ, რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, 1920 წლის 4 აგვისტოს, ენვერ ფაშა და კარლ რადეკი ახერხებენ და ფეხს ადგამენ რუსეთის მიწას. 11 აგვისტოსათვის კი, იგი უკვე ბელოსტოკში იმყოფებოდა. და მხოლოდ 15 აგვისტოს ჩადიან ენვერ ფაშა, ალი ბეის სახელზე გამოწერილი გერმანული პასპორტით ჯიბეში და მისი ორი თანმხლები პირი მოსკოვში. ფელიქს ძერჟინსკიმ,³¹⁰ რომელიც იმ პერი-

³⁰⁶ Тарасов Станислав. „Как большевики строили единую тюркскую федерацию“. <http://www.iarex.ru/articles/4195.html>.

³⁰⁷ Прудникова Е. Двойной заговор. Тайны сталинских репрессий: - М.: ЗАО „ОЛМА Медиа Групп“. 2006. Стр. 38.

³⁰⁸ Şuhnaz Yilmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 42.

³⁰⁹ Nersin Ersoy McMeeKin. Turkey's relations with the bolsheviks (1919-1922). The department of internastional relations. Bilkent University. Ankara. 2007. Pg. 85.

³¹⁰ ფელიქს ედმუნდოვიჩ ძერჟინსკი (1877-1926) – რუსეთში მოღვაწე ეროვნებით პოლონელი პროფესიონალი რევოლუციონერი და პოლიტიკოსი, საბჭოთა უშიშროების ორგანოების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პირველი ხელმძღვანელი. ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1895 წლიდან, რსდმპ წევრი 1900 წლიდან. ბოლშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების აქტიური მონაწილე და მოსკოვის წითელი გვარდიის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი. სრულიად რუსეთის საბჭოების მე-2

ოდისათვის დასავლეთის ფრონტზე, ქალაქ ბელოსტოკში იმყოფებოდა და ბოლშევიკთა მიერ რუსეთში შექმნილ ე.წ. „პოლრევკომის“ (პოლონეთის რევოლუციური კომიტეტი) წევრად ირიცხებოდა, დაუყოვნებლივ ჩააყენა ამ ამბების საქმის კურსში ლენინი.

შიფროგრამა №770. ძერჟინსკი ლენინს.

1920 წლის 11 აგვისტო. ბელოსტოკი.

„...დღეს ღამით გერმანიიდან ჩამოვიდა ენვერ ფაშა ორ სხვა თურქთან ერთად... მათ დღესვე ვაგზავნით სმილგასთან. ძერჟინსკი“.³¹¹ ცნობილი ბოლშევიკი, ეროვნებით ლატვიელი ივარ სმილგა იმ მომენტისათვის დასავლეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი იყო, მოგვიანებით კი – კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრიც.

ამ მომენტიდან დაწყებული, ენვერ ფაშა ბოლშევიკებთან მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს. მოსკოვში ჩამოსვლისთანავე იგი რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს, ლევ კარახანს³¹² (კარახანიანს) ხვდება, შემდეგ კი თვით სახალხო კომისარს – გიორგი ჩიჩერინსაც. ჩიჩერინთან შეხვედრისას ენვერ ფაშამ რუსეთს იარაღის მიწოდებისა და პოლონეთის წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეული ზომებიც შესთავაზა ფინანსური და იდეოლოგიური მხარდაჭერის საპასუხოდ. ჩიჩერინი შემდეგი შინაარსის მოხსენებას უგზავნის ლენინს:

№775. 1920 წლის 16 აგვისტო.

„ღრმად პატივცემულო ვლადიმირ ილიჩ, ენვერი ჩამოვიდა გერმანიის მთავრობის წინადადებით. კერძოდ, ყველაზე გავლენიანი პირის, გენერალ სექტის სახელით, რათა შეეპირდეთ მათ გერმანიის იმ საზღვრებში აღდგენას, რომელსაც იგი ფლობდა 1914 წლის მონაცემებით. ამის სანაცვლოდ გერმანია არაოფიციალურად დაგვეხმარება იარაღის მიწოდების საქმეში, ჩვენს სასარგებლოდ პოლონეთში აჯანყების ორგანიზებაში და ა.შ.

თურქებთან მოლაპარაკებები დაიწყო ზოგად შეთანხმებაზე. არსებული სუბსიდიების გარდა, ისინი მომავალშიც გვთხოვენ სუბსიდიებს. მე ვთვლი, რომ პრინციპში შეგვიძლია, დავეთანხმოთ სუბსიდიების გაცემას, რომლის მოცულობასაც ანტანტისაგან

ყრილობის დელეგატი, პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1917 წლის 6 (19) დეკემბრიდან სიცოცხლის ბოლომდე (მცირე ინტერვალით) კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ВЧК) თავმჯდომარე. რუსეთსა და შემდგომ საბჭოთა კავშირში წითელი ტერორის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი და იდეოლოგი. ბოლშევიკთა პარტიულ-იდეოლოგიური აპარატისა და სადამსჯელო რეპრესიული სისტემის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომის მსვლელობისას, 1920 წლის ზაფხულში ვერშემდგარი ე.წ. „პოლონეთის რევოლუციური კომიტეტის“ (პოლრევკომის) წევრი. გარდაიცვალა 1926 წელს.

³¹¹ РГАСПИ. Ф. 5. Оп. 1. Д. 995. Л. 2. Копия.

³¹² ლევ მიხაილოვიჩ ძე კარახანი (ლეონ კარახანიანი) (1889-1937) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი გარუსებული სომეხი პოლიტიკოსი და რევოლუციონერი. რსდმპ წევრი 1904 წლიდან, მენშევიკი. 1912 წლიდან პროფკავშირული მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1913 წლიდან პეტერბურგის გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციის წევრი, აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი. 1917 წელს პეტროგრადის რაიონის დუმისა და პეტროგრადის საბჭოს წევრი, 1918 წლის მარტიდან 1921 წლის ოქტომბრამდე რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. 1921 წლის ოქტომბრიდან დიპლომატიურ სამუშაოზეა. 1921-1922 წლებში რსფსრ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია პოლონეთში. 1922-1923 წლებში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის განყოფილების გამგე. შემდგომ წლებში სხვადასხვა ქვეყნებში საბჭოთა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი 1934 წლიდან. ამავე დროს, 1934 წლიდან არის საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში. 1937 წლის 3 მაისს უკან იწვევენ და აპატიმრებენ, ხოლო იმავე წლის 20 სექტემბერს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას გამოაქვს სასიკვდილო განაჩენი, რომელიც იმავე დღეს მოჰკავთ სისრულეში.

მცირე აზიის განთავისუფლებამდე უკეთესად განსაზღვრავს ნიკოლაი ნიკოლაევიჩი (აქ რკპ(ბ) ცეკას პასუხისმგებელ მდივანსა და ფინანსთა სახალხო კომისარზე, ნიკოლაი კრესტინსკიზე³¹³ საუბარი – ა. ჩ). ენვერმა განაცხადა, რომ ყველა მუსლიმანური ქვეყნის ეროვნულ-რევოლუციურ პარტიას, ეგვიპტის, ტუნისისა და ალჟირის ჩათვლით, ბერლინში აქვთ საერთო ცენტრი და სურთ ჩვენთან შეთანხმება ურთიერთმხარდაჭერის შესახებ, რათა დაგვეხმარონ ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკის გასატარებლად. ამავე დროს ისინი იმედოვნებენ, რომ დავეხმარებით ფულითა და სხვა საშუალებებით, მაგალითად, მომავალი ტერორისტებისათვის მოსკოვში სკოლის დაარსებაში და ა.შ. მე მივუთითე, რომ ჩვენი საერთო პრინციპია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მხარდაჭერა და თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ. ამისათვის ენვერი აქ ამ პარტიების სამ ან ოთხ წარმომადგენელს გამოიძახებს, რისთვისაც ისინი მოსკოვში კონსპირაციული წესით ჩამოვლენ.

თურქების დასამშვიდებლად საჭიროა, შეძლებისდაგვარად გაუუგოთ მათ მომავალში საერთო მოლაპარაკებების დაწყების, სუბსიდიების გაცემასა და სხვა საკითხებში.

კომუნისტური მოკითხვით ჩიჩერინი³¹⁴:

გერმანულ მხარეს კი, თავისი სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებდა. ენვერ და ჯემალ ფაშების საბჭოთა რუსეთში შეგზავნით გენერალი ფონ სექტი ერთდროულად სამ მიზანს აღწევდა:

1. ეხმარებოდა თავის ყოფილ მოკავშირეებს;
2. პანისლამისტი ლიდერების ბოლშევიკებისადმი გადაცემით იგი გერმანელთა ინდოეთზე ლაშქრობის იმ გეგმებსაც გადასცემდა ბოლშევიკებს, რაც I მსოფლიო ომის მსვლელობისას დაშუშავდა გერმანიის გენშტაბში. ამით გერმანელები უკვე სხვისი ხელით მიაღწევდნენ თავისი სტრატეგიული მოწინააღმდეგის, დიდი ბრიტანეთის პოზიციების დასუსტებას აზიაში;
3. დგამდა პირველ ნაბიჯებს საბჭოთა რუსეთ-გერმანიას შორის საიდუმლო კავშირების დამყარების გზაზე;

აქ ფონ სექტისა და ბოლშევიკთა სტრატეგიული ინტერესები და გეგმები ერთმანეთს დაემთხვა. ფონ სექტის აზიურ გეგმებში უფრო მნიშვნელოვანი წილი ენვერ ფაშაზე იყო გადანაწილებული, მაგრამ მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ჯემალ ფაშამ უფრო დიდი როლი ითამაშა საბჭოთა რუსეთსა და ავღანეთს შორის კავშირების განმტკიცების საქმესა და პუშტუნთა ტომებში ანტიბრიტანული განწყობების გაძლიერებაში, ვიდრე ენვერ ფაშამ. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

³¹³ ნიკოლაი ნიკოლაევიჩი კრესტინსკი (1883-1938) – საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ძველი ბოლშევიკი-რევოლუციონერი, პროფესიით იურისტი. 1901 წელს დაამთავრა ვილენსკის გიმნაზია, ხოლო 1907 წელს – პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. რსდმპ წევრი 1903 წლიდან, 1905 წლიდან – ბოლშევიკი. 1906 წლიდან რსდმპ(ბ) ჩრდილოეთ-დასავლეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ არჩეულ იქნა რსდმპ(ბ) ეკატერინბურგის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარედ. ოპოზიციაში ჩაუდგა პარტიის „მემარჯვენეთა“ კურსს, რომელსაც წარმოადგენდნენ ლევ კამენევი და სტალინი. რსდმპ(ბ) VI ყრილობაზე არჩეულ იქნა პარტიის ცეკას წევრად. 1918-1921 წლებში ეკავა რსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის თანამდებობა. 1919 წელს არჩეულ იქნა პარტიის პირველი პოლიტბიუროს შემადგენლობაში. ამავე დროს იყო ცეკას ორგბიუროს წევრი და ცეკას პასუხისმგებელი მდივანი, რომელიც არაოფიციალურად იწოდებოდა „გენერალურ მდივანად“. შიდა პარტიულ იდეოლოგიაში მხარს უჭერდა ტროცკის მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსს. პარტიის X ყრილობაზე გაათავისუფლეს გენერალური მდივნის თანამდებობიდან, რომელიც დაიკავა ჯერ მოლოტოვმა, შემდეგ კი, სტალინმა. 1921 წლის ოქტომბრიდან ინიშნება რსფსრ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გერმანიაში. 1930-1937 წლებში იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და პირველი მოადგილე. 1937 წლის მარტი-მაისში ეკავა სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის პირველი მოადგილის თანამდებობა. ამავე წელს დააპატიმრეს. დადანაშაულებულ იქნა „ანტისაბჭოთა მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის“ წევრობის ბრალდებით. 1938 წლის 12 მარტს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენი აღსრულებულ იქნა იმავე წლის 15 მარტს.

³¹⁴ АВПР. Ф. 04. Оп. 39. П. 232. Д. 52987. Л. 28. Копия.

რადეკის დახმარებით, რომელიც მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა კომინტერნში, ენვერმა საბჭოთა მთავრობისა და ბოლშევიკური პარტიის სხვა ლიდერებთანაც დაამყარა კავშირები. მას არაერთგზის შეხვედრები ჰქონდა ლენინთან, ტროცკისთან, ზინოვიევთან, ჩიჩერინთან, ტროცკის მოადგილე სკლიანსკისთან, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე კარახანთან. ენვერმა ახლო ურთიერთობები დაამყარა აგრეთვე უნგრელი კომუნისტების ლიდერთან, ბელა კუნთან.³¹⁵

26 სექტემბერს მიწერილ წერილში ენვერ ფაშა ფონ სექტს ატყობინებდა, რომ ტროცკის გარშემო არსებობდა გავლენიანი ჯგუფი, რომელიც გერმანიასთან თანამშრომლობის მომხრედ გამოდიოდა.

შემდგომში ენვერ ფაშას შეხვედრები ჰქონდა რუსეთის მუსლიმანთა წარმომადგენლებთან, ასევე ავღანეთის საელჩოს თანამშრომლებთან. ოფიციალურად იგი მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთისათვის გერმანული შეიარაღების მოწოდების თაობაზე, რეალურად კი რუსეთის იმ პოლიტიკის არსში გარკვევას ცდილობდა, რომელსაც ეს უკანასკნელი ატარებდა აღმოსავლეთთან მიმართებაში. მისი ჩანაფიქრი ამ პოლიტიკის თავისი მიზნების სასარგებლოდ გამოყენებაში მდგომარეობდა.

ენვერ ფაშას მოსკოვური მისია ოფიციალურად „ალი ბეის მისიად“ იწოდებოდა. მას დიპლომატიური სტატუსიც ჰქონდა მინიჭებული, თუმცა ცხადია, იგი არცერთ მთავრობას არ წარმოადგენდა. ენვერ ფაშა და მისი „ალი ბეის მისია“ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობასთან ახლოს, სპირიდონოვკის ქუჩაზე, მათთვის გამოყოფილ დიდ კეთილმოწყობილ აპარტამენტებში განთავსდა.³¹⁶ პერიოდულად ენვერს კრემლიდან გარკვეული თანხებიც გადაეცემოდა, რომელსაც იგი თავისი შტაბისა და „მისიის“ შესანახად ხარჯავდა, ნაწილს კი, კონსტანტინოპოლში აგზავნიდა საკუთარი თანამოაზრეებისა და „ყარაქოლის“ მხარდასაჭერად.³¹⁷

მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქართული პოლიტიკური წრეებისათვის თავიდანვე ცნობილი გახდა ენვერ ფაშასა და იტიჰადისტთა ლიდერების ბოლშევიკებთან და კერძოდ, ლენინთან დაახლოების პროცესი, რაც, მათი აზრით, კარგს არაფერს უქადდა ცარისტულ იმპერიას თავდაღწეულ პატარა ერებს. ამ კონტექსტში ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ ცნობებს ქართული მხარე ჯერ კიდევ ენვერ ფაშას მოსკოვში ჩამოსვლამდე ფლობდა. ინფორმაციის მოპოვების წყარო უცნობია. გაზეთი „სახალხო საქმე“, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო, 1920 წლის 5 მაისის ნომერში იტყობინებოდა: „...აღსრულდა ის, რაც საეჭვოდ მიგვაჩნდა, არა გვეჯეროდა: ლენინი და ენვერ ფაშა დაკავშირებულნი არიან, საბჭოთა რუსეთი გადაეჯაჭვა პანისლამისტ და პანთურქისტ ფაშებს... ერთიც და მეორეც არაფრად არ აგდებენ პატარა ერებს. თავისი მიზნის მისაღწევად, თუ მოახერხეს, სისხლში ჩაახრჩობენ მათ“.³¹⁸

გერმანიიდან ენვერ ფაშას მეშვეობით იარაღის მოწოდების პროცესი საკმაოდ სწრაფად დაიძრა. ამ პროცესების მართვაში დიდი ენთუზიაზმით ჩაერთო თვით ლენინიც.

დასავლეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრის, უნშლიხტის ტელეგრამა რკპ(ბ) ცეკას წევრს, ლ. ტროცკის.

³¹⁵ Вдовиченко Д.И. Энвер-паша: Исторический портрет. ВОПРОСЫ ИСТОРИИ. - [Б. м.], - № 8. - (Шифр В739790/1997/№ 8). 1997. Стр.42-56.

³¹⁶ Mikhail Volodarsky. The Soviet and its Southern Neighbours. Iran and Afghanistan 1917-1933. First published in Great Britain by Frank Cass & Co. LTD. Newbury House, 900 Eastern Avenue Ilford, Essex, IG2 7HH, England. 1994. Pg. 133.

³¹⁷ Вдовиченко Д.И. Энвер-паша: Исторический портрет. ВОПРОСЫ ИСТОРИИ. - [Б. м.], - № 8. - (Шифр В739790/1997/№ 8). 1997. Стр.42-56.

³¹⁸ გაზეთი „სახალხო საქმე“. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. №817. 1920 წ. ოთხშაბათი, მაისის 5. გვ. 3.

სრულიად საიდუმლოდ. მინსკი. №784.

1920 წლის 18 აგვისტო.

ჩამოვიდა სავაჭრო აგენტი ტიურინგენიდან (გერმანია) და გვთავაზობს, დაუყოვნებლივ მოგვაწოდოს 50000 გერმანული შაშხანა, 15 ბრაუნინგი (აქ ტყვიამფრქვევებზეა საუბარი – ა. ჩ.), 250 რევოლვერი „პარაბელუმი“, 10 000 000 შაშხანის ვაზნა და სხვა სამხედრო ქონება. ამისათვის საჭიროა 27 000 000 მარკა. თუ პრინციპში თანახმა ხართ, ფულის ნიშნების გადახდა მოხდება კოპის ან გუკოვსკის გავლით. ველი თქვენს სასწრაფო პასუხს. უნშლიხტი.

ამხ. ტროცკის რეზოლუცია: ამხანაგებს კრესტინსკის, ლეჟავას, რიკოვს, ლენინს – „სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს“.

ორიგინალთან სწორია: რუსეთის სამხედრო რევოლუციური საბჭოს კანცელარიის უფროსი, სერმუჟი. 20/8–20“.

ლოკუმენტზე ლენინის მინაწერია: „საიდუმლოდ და პირადად ჩიჩერინს“.

ამხ. ჩიჩერინ! როგორც ხედავთ, საქმე დაიდრა. დააჩქარეთ ენვერთან დღესვე (რადგან ტროცკი ხვალ მიემგზავრება); ვიპოვით (ამაზე უკვე ველაპარაკე ტროცკის) გენერალს, რომელიც ენვერს ყველაფერს შეპირდება, ოღონდ კი ვიყიდოთ იარაღი, შინელები, ჩექმები. თუ არადა – ეშმაკსაც წაუღია ენვერი. საჩქაროდ!!! (ტექსტში სამი ძახილის ნიშანია – ა. ჩ.) ლენინი“.³¹⁹ (Sic!) ამის შემდეგ, რადეკის რეკომენდაციით, ენვერ ფაშა და მისი გუნდი პირადად ხვდება ლენინს. ლენინს იგი „ისლამის რევოლუციური ორგანიზაციის“ ლიდერის სახელით წარუდგება. იგი მხარდაჭერას სთხოვს ლენინს ანტიბრიტანული პოლიტიკის გატარებაში, სამაგიეროდ კი თურქი ხალხის შეუპოვარ მხარდაჭერას ჰპირდება „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ენვერ ფაშას მიერ გაკეთებული ამ შემოთავაზებით, ბოლშევიკებსა და კომინტერნის ხელმძღვანელობას მისი სახით აღმო-სავლეთის მუსლიმანი ხალხების სიმპათიის მოპოვების იმედი მიეცათ, სადაც ენვერ ფაშას ზეგავლენა ისევ განუზომლად დიდი იყო.

მწვანე ნახევარმთვარე წითელი ვარსკვლავის ორბიტას დაუახლოვდა...

მიუხედავად იმისა, რომ ენვერ ფაშას უმწიკვლო რეპუტაცია არ ჰქონდა და კრემლი მას იმპერიალისტური ომის გაჩაღების ერთ-ერთ ინიციატორადაც განიხილავდა, ბოლშევიკებმა ის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სცენარში მაინც ჩართეს. ამ მომენტიდან დაწყებული, იგი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე გახდა. „1920 წლის ზაფხულში ენვერმა მოსკოვიდან წერილი გამოუგზავნა ფონ სექტს, რომლის მიხედვითაც საბჭოელები გერმანიას იარაღს თხოვდნენ ტროცკის იმ დაპირებით, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი რაიხთან ერთად გაიყოფნენ პოლონეთს. სექტი თავის არაფორმალურ ალიანსს საბჭოთა კავშირთან სრულიად არაიდეოლოგიურ საწყისებზე აშენებდა“ – აღნიშნავს ჯონ ვილერ-ბენეტი თავის ნაშრომში „Nemesis of Power“.³²⁰ ამ ამონარიდშიც იდეა სწორადაა გადმოცემული, თუმცა ავტორის მიერ ისევ არსებითი ხასიათის უზუსტობებია დაშვებული. 1920 წლისათვის II რაიხი უკვე აღარ, ხოლო III რაიხი ჯერ კიდევ არ არსებობდა, ასევე საბჭოთა კავშირიც ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. 1920 წლის მდგომარეობით საუბარი მხოლოდ გერმანიას, რაიჰსვერსა და ბოლშევიკურ რუსეთზე შესაძლებელი.

და იყო კიდევ ერთი რამ, რაც ალბათ გულის სიღრმეში ჰქონდა ჩაფიქრებული ექსოსმალო გენერალს. ენვერ ფაშას იმის იმედი ჰქონდა, რომ მოსკოვი მას სამხედრო ძალით დაეხმარებოდა თურქეთში შესვლისა და ხელისუფლების ხელმეორედ ხელში ჩაგდების საქმეში. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება და ენვერ ფაშას

³¹⁹ РГАСПИ. Ф. 2. Оп. 2. Д. 386. Л. 1. Автограф. Подлинник 2.

³²⁰ Wheeler-Bennett, John. The Nemesis of Power, London: Macmillan, 1967. Pg. 139.

თურქეთში დაბრუნება კი უკვე თავისთავად წარმოადგენდა დიდ საფრთხეს ანატოლიაში დაწყებული წინააღმდეგობის ახალი მოძრაობისა და მისი ლიდერის, გენერალ მუსტაფა ქემალისათვის. წერილში, რომელსაც ენვერი მოგვიანებით მისწერს მუსტაფა ქემალს მოსკოვიდან ანკარაში, ვკითხულობთ:

„ჩვენ გავაცნობიერეთ, რომ ანატოლიის მხარდაჭერა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთს შეუძლია. ვეთანხმები აქ მყოფ ხალხს (იგულისხმებიან გერმანიაში მყოფი იტიჰადისტთა ლიდერები – ა.ჩ.), რომ რუსეთში უნდა ჩავსულიყავი ბაჰა ბეისთან ერთად. მაგრამ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ დამაკავეს და ციხეში ხუთი თვე გავატარე, ხოლო ექვსჯერ ავიაკატასტროფაში გადავრჩი“. ამ მონაცემების უმნიშვნელოვანეს წყაროს იაპონელი ისტორიკოსისა და აღმოსავლეთმცოდნის, კაიროსა და ტოკიოს უნივერსიტეტების პროფესორის, მასაიუკი იამაუჩის (Masayuki Yamauchi) ნაშრომი – “The Green Crescent Under the Red Star: Enver Pasha in Soviet Russia 1919-1922“, წარმოადგენს, რომელიც ძირითადად სარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობითაა შექმნილი.³²¹

§3.7. „აღმოსავლეთის ხალხთა“ I ყრილობა

1920 წლის სექტემბერში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება ამიერკავკასიის პოლიტიკური ცხოვრების არენაზე. საუბარი ე.წ. „აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობას“ ეხება, რომელიც 1-10 სექტემბერს მიმდინარეობდა ბაქოში, კომუნისტური მოძრაობის ამ „მექაში“. ეს იყო აზიის ბოლშევიკთა და რევოლუციურად განწყობილ ხალხთა ძალიან მასშტაბური შეკრება, რომლის მსგავსიც ისტორიას ჯერ არ ახსოვდა. ყრილობის სტენოგრამები დიდი ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო კრემლისა და საბჭოთა უშიშროების სამსახურების მიერ. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყრილობის სულისკვეთება არაფრით არ შეესაბამებოდა საბჭოელთა მიერ შემდგომში არაერთგზის დეკლარირებულ „მშვიდობისმოყვარე საბჭოთა საგარეო პოლიტიკას“. ამ ყრილობაზე კარგად გამოიკვეთა ბოლშევიკთა ის აგრესიული ჩანაფიქრები და საომარი ტენდენციები, რომელიც კომინტერნს აღმოსავლეთთან მიმართებაში ჰქონდა.

რეალურად აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობა ის დიდი ტრიბუნა იყო, სადაც საქვეყნოდ გამოცხადდა პროლეტარული რევოლუციის გადაუდებელი და სასწრაფოდ მოხდენის გადაწყვეტილება აზიის ქვეყნებში. თუ აქამდე ბოლშევიკთა იდეოლოგიური ბელადები მხოლოდ წერილობითი ფორმით და ისიც ვიწრო წრეში მსჯელობდნენ მსოფლიო რევოლუციის საკითხებზე, ამ შემთხვევაში ეს მოწოდება უკვე ღიად გაცხადდა ყრილობის დელეგატების წინაშე. ამოცანა დღესავით ნათელი იყო – აზიის

³²¹ Masayuki Yamauchi – The Green Crescent Under the Red Star: Enver Pasha in Soviet Russia 1919-1922 (Tokyo: Institute for the Study of Language and Cultures of Asia and Africa, 1991). Pg. 229. (THAA. Klasör 7, Mustafa Kemal Dosyasi, Fihrist 5).

პროლეტარიატის მთავარ სამიზნეს ამ ეტაპზე ინგლისური ბურჟუაზია და „ინგლისური იმპერიალიზმი“ წარმოადგენდა.

და რატომ პირველი რიგში ინგლისი და „ინგლისური იმპერიალიზმი“? პასუხი მარტივია. 1918 წლის ბოლოდან დაწყებული, ტერიტორიული განფენილობით დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში უდიდეს სახელმწიფოდ იქცა. აქამდე არსებული იმპერიის ისედაც უზარმაზარ ტერიტორიებს კიდევ შეემატა ოსმალთა იმპერიისა და ყოფილი რუსეთის იმპერიის ის ტერიტორიები, რომლებიც მათში საოკუპაციო ჯარების შეყვანითა და ბრიტანული მანდატის გავრცელებით ბრიტანელთა კონტროლქვეშ აღმოჩნდა. საუბარი შეეხება ამიერკავკასიის, ირანის, ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის იმ ტერიტორიებს, რომლებიც I მსოფლიო ომამდე ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების შემადგენლობაში შედიოდნენ. „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონტექსტშიც სტრატეგიულ ინტერესთა მიმართულებად ბოლშევიკთა მიერ ინდოეთი და მისი გასაბჭოებაც დაისახა, რომელიც იმ დროისთვის დიდი ბრიტანეთის ყველაზე მნიშვნელოვან კოლონიას წარმოადგენდა.

სერგო ორჯონიკიძე: „ასეთი ყრილობის საჭიროება უკვე დიდი ხანია მომწიფდა. აღმოსავლეთმა დაიწყო გამოღვიძება ხანგრძლივი, საუკუნოვანი ძილიდან. ყრილობაზე პირველად მოხდება ახლო აღმოსავლეთის მშრომელი მასების წარმომადგენელთა შეხვედრა. III ინტერნაციონალის გადაწყვეტილებით ყრილობა მოწვეულ იქნება ბაქოში, 15 აგვისტოს. მისი ორგანიზება დაკისრებული მაქვს მე, ამხ. სტასოვს³²², რომელიც სპეციალურად ამ მისიით ჩამოვიდა მოსკოვიდან, ამხ. ნარიმანოვს, ამხ. მიქოიანს და ამხ. გაბიევს. ყრილობის მიზანი ახლო აღმოსავლეთის მშრომელთა მასების გაერთიანება და ანტანტის წინააღმდეგ მოქმედების საერთო გეგმის შემუშავებაა. ყრილობაზე ჩამოვლენ დასავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებიც, რომლებიც ამაჟამად III ინტერნაციონალის კონგრესზე იმყოფებიან. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ თურქეთის, სპარსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ავღანეთის, ხივის, ბუხარის, თურქესტანის, ინდოეთის, ჩინეთის, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა, ყირგიზების, ყალმუხებისა და ბაშკირების წარმომადგენლები“.³²³

ყრილობის მოწვევის ინიციატივაზე მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის სხვა წყარო. ყრილობის ჩატარების იდეა ბაშკირთა ეროვნული მოძრაობის პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერს, აჰმედ-ზაქი ვალიდი ტოვანს³²⁴ ეკუთვნოდა, რომელიც მან მოსკოვში

³²² ელენა დმიტრიენა სტასოვა (1873-1966) – რუსი და საბჭოთა რევოლუციონერი ქალი, რსდმპ წევრი, ძველი ბოლშევიკი, ტერორისტი და პროპაგანდისტი, რუსეთისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ლიდერი, ნადეჟდა კრუპსკაიას პირადი მეგობარი და ლენინის უახლოესი თანამებრძოლი, სრულიად რუსეთის განსაკუთრებული კომისიის (ВЧК) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1905-1906 წლებში ემიგრაციაშია, შვეიცარიაში, სადაც აქტიურად მონაწილეობს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობასა და გაზეთ „პროლატარიატის“ გამოცემაში. 1906 წლიდან ფინეთშია, სადაც დაკავებულია იარაღის, ფულისა და პარტიული მუშაკების სახლვარზე ტრანსპორტირების საკითხებით. 1907-1912 წლებში თბილისშია, რსდმპ(ბ)-ს წარმომადგენლად. 1917-1920 წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1918 წლიდან პეტროგრადის ВЧК-ს პრეზიდიუმის წევრი და რუსეთის კომუნისტური პარტიის რკპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის მდივანი. 1919 წლიდან კომინტერნის წევრია. 1920 წლის სექტემბრიდან პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრი და აღმოსავლეთის ხალხთა პროპაგანდისა და მოქმედების საბჭოს წევრი. 1921-1925 წლებში არალეგალურ სამუშაოზე გერმანიის კომპარტიაში და ამავე დროს კომინტერნის ბერლინის ბიუროს წარმომადგენელი. 1927-1937 წლებში რევოლუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. 1935-1943 წლებში კომინტერნის ინტერნაციონალური კონტროლის კომისიის წევრია. 1938-1946 წლებში ყურნალ «Интернациональная литература»-ს მთავარი რედაქტორია. 1946 წლიდან საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარქსის, ენგელსისა და ლენინის ინსტიტუტის კონსულტანტი. ამავე წლიდან გადის პენსიაში. გარდაიცვალა 1966 წლის 31 დეკემბერს.

³²³ „Коммунист“ (Баку). №65, 19 июля 1920 г. Г. К. Орджоникидзе. Статьи и речи. Том I. 1956. <http://bookre.org/reader?file=373994&pg=138>.

³²⁴ აჰმედ-ზაქი ვალიდი ტოვანი (1890-1970) – დიდი ბაშკირი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. განმანათლებელი, ბაშკირთა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ პრობოლშევიკურად განწყობილი ლიდერი. მოგვიანებით, 1920 წლიდან რუს ბოლშევიკთა

განდო ჯემალ და ჰალილ ფაშებს, ჯერ კიდევ 1919 წლის გაზაფხულზე, როდესაც ისინი ბაშკირეთის წარმომადგენლობას სტუმრობდნენ მოსკოვში. მაგრამ მალე ეს საკითხი ნარკომანაციისა და მუსლიმანი-კომუნისტების ცენტრალური ბიუროს ხელში გადავიდა. საბოლოოდ კი, ყრილობის ორგანიზაციაზე პასუხისმგებლობა ზინოვიევისა და რადეკს დაეკისრათ.³²⁵ მეტად საინტერესოა ის ვითარება, რომ ბაშკირთა და თათართა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლი და შემდეგ მათ მიერვე „შერისხული“ აჰმედ-ზაქი ვალიდი, „აღმოსავლეთის ხალხთა“ ბაქოს ყრილობაზე კონსპირაციულად, უბრალო თურქმენი გლეხის ტანსაცმელში გადაცმული ჩავიდა ბაქოში და ასე იღებდა ცნობებს ყრილობის მიმდინარეობის შესახებ.

1920 წლის 1 სექტემბერს, ნაცვლად 15 აგვისტოსი, ბაქოში, თეატრის შენობაში, პომპეზურ ვითარებაში ორჯონიკიძის, ზინოვიევის, რადეკისა და ბუხარინის ხელმძღვანელობით მუშაობას იწყებს ე.წ. „აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობა“. ყრილობის მუშაობაში 1891 დელეგატი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის, 1273 კომუნისტი. საინტერესოა, რომ საქართველოდან ყრილობაზე 85 კომუნისტი დელეგატი იყო წარგზავნილი.³²⁶

ყრილობის დელეგატთა გეოგრაფიის, მათი რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ უფრო დაწვრილებით ცნობებს სხვა წყაროები იძლევიან. აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობის მუშაობაში 1891 დელეგატი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის, 55 ქალი. კომუნისტი დელეგატების რიცხვი 1273 იყო. ეროვნული შემადგენლობით არნახულად ჭრელი საზოგადოება შეიკრიბა. არასრული მონაცემებით, იმდენად, რამდენადაც 266-მა დელეგატმა ვერ დაასახელა თავისი ნაციონალობა, 100-ზე მეტმა კი საერთოდ ვერ შეავსო თავისი ანკეტა, ბაქოს ყრილობაზე 38 ეროვნებისა და ნაციონალური ჯგუფების დელეგატი იყო წარმოდგენილი კაკასიიდან, თურქესტანიდან, ციმბირიდან, ვოლგისპირეთიდან და ურალიდან, ასევე ავღანეთიდან, ინდოეთიდან, ირანიდან, ეგვიპტიდან, ჩინეთიდან, კორეიდან, სირიიდან, თურქეთიდან, იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ყველაზე მეტნი თურქები და ირანელები იყვნენ – 235 და 192 დელეგატი. მაგრამ, სავარაუდოდ, თურქებზე აზერბაიჯანელთა გარკვეული ნაწილიც იყო მიწერილი. ყრილობაზე წარმოდგენილნი იყვნენ აგრეთვე ევროპული პროლეტარიატის წარმომადგენლებიც: 5 პოლონელი, 3 უნგრელი, 3 გერმანელი და 1 ხორვატი. ყრილობას 104 რუსი დელეგატი ესწრებოდა.

ყრილობაზე მრავლად იყვნენ კომინტერნის მე-2 კონგრესის დელეგატებიც, რომლებიც ბაქოში პირდაპირ კონგრესის მუშაობის დასრულების შემდეგ ჩავიდნენ. ამ უკანასკნელთაგან წარმოდგენილნი იყვნენ ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ევროპული ქვეყნების კომუნისტები.

ყრილობას გრიგორი ზინოვიევი (რადომისლსკი-აჰფელბაუმი) თავმჯდომარეობდა. პირველი სხდომა კი კარლ რადეკმა გახსნა 1 სექტემბერს, რომელმაც „იმპერიალიზმის წინააღმდეგ წმინდა ომის“ – „რევოლუციური ჯიჰადის“ დაწყება შემდეგი ფრაზით გამოაცხადა: „აღმოსავლეთის ხალხებო! ბევრჯერ გსმენიათ თქვენი მთავრობებისაგან წმინდა ომის დაწყების შესახებ და თქვენც ბევრჯერ მოგიწიათ ბრძოლამ, მაგრამ ყველა

კოლონიურ რეჟიმთან მებრძოლი თურქესტანის ბასმაჩთა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ერთიანი და დამოუკიდებელი თურქესტანისა და თათრეთის შექმნის მთავარი იდეოლოგი. პუბლიცისტი, ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე-თურქოლოგი, ისტორიის დოქტორი, სტამბოლის, ბონისა და გეტინგენის უნივერსიტეტების პროფესორი, მანჩესტერის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, II ენაზე გამოქვეყნებული 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

³²⁵ Заки Валиди Тоған. Воспоминания. Борьба народов Туркестана и других восточных мусульман-тюрков за национальное бытие и сохранение культуры. Книга II. Уфа. „Китап“. 1998. 14.

³²⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1970. გვ. 518.

ეს ომი მოტყუება იყო, რადგან ისინი თქვენი მთავრობების ბოროტ ზრახვებს ემსახურებოდა მხოლოდ. მაგრამ ახლა, კომუნისტური ინტერნაციონალის წითელი დროშის ქვეშ, ჩვენ პირველი ნამდვილი წმინდა ომისაკენ მოგიწოდებთ!...“³²⁷

„დიას, ჩვენ ინგლისური ბურჟუაზიის წინააღმდეგნი ვართ. ყელში უნდა ვწვდეთ ინგლისელ იმპერიალისტებს, მუხლი კი მკერდში უნდა ვურტყათ“, – მოუწოდებდა ყრილობის დელეგატებს მისი თავმჯდომარე, ცნობილი ბოლშევიკი ლიდერი გრიგორი ზინოვიევი. ამ მგზნებარე და საომარმა მოწოდებებმა შესაბამისი გამოხმაურება ჰპოვა ყრილობის დელეგატთა შორის. როგორც ყრილობის სტენოგრაფიული ჩანაწერები მოწმობენ, ზინოვიევის ამ მოწოდებას შემდეგი რეაქციები მოჰყვა: „გაისმა მხურვალე აპლოდისმენტები და ხანგრძლივი „ვამა!“ ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და იარაღს აჟღარუნებენ. ამ ჟღარუნის ფონზე ისმის ხმამაღალი შეძახილები – „ვეფიცავთ!““³²⁸

ყრილობის მუშაობის მეორე დღეს, 2 სექტემბერს, დელეგატებმა ერთობ მნიშვნელოვანი ცნობა მიიღეს. წითელი არმიის შენაერთებმა ბუხარა აიღეს. გამოცხადდა ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა. ამ ამბებს უფრო დაწვილებით ქვემოთ, ნაშრომის შესაბამის თავში განვიხილავთ, ამჯერად კი აღვნიშნავთ, რომ ამ სასინარულო ამბებმა კიდევ უფრო გაზარდა ყრილობის დელეგატთა მუშაობის რევოლუციური და საომარი სულისკვეთება. ისე ჩანდა, რომ ბოლშევიკთა მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია აღმოსავლეთშიც მძლავრი ნაბიჯებითა და დიდი გამარჯვებებით იკვლევდა გზას.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რამაც ყრილობის დელეგატთა ყურადღება მიიპყრო, ენვერ ფაშას პიროვნებას უკავშირდება. რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, რევოლუციონერთა ამ მეტად წარმომადგენლობითი თავყრილობის მუშაობაში ენვერ ფაშაც იღებდა მონაწილეობას სპეციალური სტუმრის სტატუსით, რომელიც მოსკოვიდან ბაქოში ზინოვიევთან და რადეკთან ერთად ჩამოვიდა ერთი მატარებლით. ენვერ ფაშას, ისლამის სამყაროში ამ მეტად გავლენიანი ფიგურის ფენომენს ბოლშევიკები თავის მთავარ კოზირად თვლიდნენ. ბოლშევიკთა გათვლით, ენვერ ფაშას ყრილობაზე წარდგენას დიდი ზეგავლენა უნდა მოეხდინა ყრილობის მუსლიმან დელეგატებზე, რადგან ახალ ამბულაში ექსოსმალე გენერალი „მაროკოს, ალჟირის, ტუნისის, ეგვიპტის, არაბეთისა და ინდოეთის რევოლუციურ ორგანიზაციებს“ წარმოადგენდა (Sic!)

ყრილობის ერთ-ერთი მონაწილის, მუსტაფა ჩოკაის³²⁹ მიხედვით, რადიოტელეგრაფის საშუალებით ქალაქის მოსახლეობამ წინასწარ გაიგო ენვერის ბაქოში ჩამოსვლის ამბავი, რამაც მათში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მატარებელს,

³²⁷ Арис Казанджян. Минотавр разбуженный большевиками. «Голос Армении». http://analitika.at.ua/news/minotavr_razbuzhenyj_bolshevikami_92godu_nazad_bolshevik_i_kemalisty_objavili_vojnu_armenii/2012-09-18-67249.

³²⁸ Первый съезд народов Востока: Баку 1-8 сентября 1920. Стенографический отчет. Издание Комитета интернациональной пропаганды. Петроград, 1920. СС.40-48.

³²⁹ მუსტაფა ჩოკაი (1890-1941) – ყაზახი ეროვნების ინტელექტუალი, პროფესიით იურისტი. საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი. თავისუფალი და ერთიანი თურქესტანის შექმნის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი. შუაზიური ჯადიდიზმის იდეოლოგიის ერთ-ერთი ლიდერი და აჰმედ-ზაქი ვალიდი ტოღანის თანამოაზრე. რუსეთის სახელმწიფო ღუმის წევრი. 1917 წლის ნოემბრიდან თურქესტანის ავტონომიის (კოკანდის რესპუბლიკა) საგარეო საქმეთა მინისტრი და მოგვიანებით, მთავრობის თავმჯდომარე. ბოლშევიკთა მიერ კოკანდის რესპუბლიკის ლიკვიდაციის შემდეგ, გაქცევით შვედის თავს და გადადის უფაში, სადაც აგრძელებს ბოლშევიკთა წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას. უფისა და ორენბურგის თეორგვარდიელთა მიერ დაკავების შემდეგ, ჩოკაი ისევ გაქცევით შვედის თავს. გადადის ბუხარაში, 1919 წლის გაზაფხულზე კი, ბაქოს გავლით თბილისში ჩამოდის, სადაც ცხოვრობს 1921 წლის მარტამდე, ბოლშევიკთა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციამდე. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ჩოკაი თურქეთში გადადის, შემდეგ კი ემიგრაციაში მიდის საფრანგეთში, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად გადადის ბერლინში. ევროპაში ცხოვრების პერიოდში იგი აგრძელებდა ანტისაბჭოთა მოღვაწეობას, 20-30-იან წლებში სხვადასხვა ევროპულ ენაზე აქვეყნებდა სტატიებსა და პუბლიკაციებს თურქესტანის ისტორიის საკითხებზე. გარდაიცვალა 1941 წელს, ბერლინში. დაკრძალულია ბერლინის მუსლიმანთა სასაფლაოზე.

რომლითაც ენვერ ფაშა, რადეკი და ზინოვიევი ერთად ჩამოვიდნენ ბაქოში, რამდენიმე ათასმა კაცმა მოუწყო საზეიმო დახვედრა. ბაქანზე გადმოსულ ენვერს ერთ-ერთმა მოხუცმა აკანკალებული ხმით მიმართა:

– შენმა არმიამ ბაქო გაათავისუფლა 1918 წლის სექტემბერში. მას შემდეგ არ გვინახინხართ. ამჟამად კი ისევ დაპყრობილები ვართ. რას იტყვი ამის შესახებ?

– აზერბაიჯანი აზერბაიჯანელებს უნდა ეკუთვნოდეს! – მტკიცედ უპასუხა ენვერმა.

ენვერის ამ ფრაზამ ბოლშევიკები დააფრთხო და მათ ყველა ზომას მიმართეს ენვერის იზოლაციაში მოსაქცევად. „უადგილო“ შეკითხვების თავიდან ასაცილებლად მათ ენვერს ყრილობაზე სიტყვით გამოსვლის საშუალებაც კი არ მისცეს, ხოლო მისი მოხსენება ენვერ ფაშასგან დაუსწრებლად, ყრილობის მდივანმა წაიკითხა. ეს გამოსვლა 4 სექტემბერს, ყრილობის მეოთხე სესიაზე შედგა, რომელიც მუშაობას საღამოს 8 საათზე შეუდგა, 11 საათზე კი, დასრულდა.

საინტერესოა ამ გამოსვლის ზოგიერთი პასაჟის გაცნობა. ენვერ ფაშამ განაცხადა, რომ „თურქეთისა და გერმანიის მოკავშირეობამ I მსოფლიო ომში დიდი უპირატესობა მისცა ჩაგრულ ხალხებს, რადგან თურქეთმა თავისი სრუტეების გადაკეტვით ხელი შეუწყო გაუმაძღარი რუსეთის იმპერიის დამხობას და ჩაგრულთა ნამდვილი მოკავშირის – საბჭოთა რუსეთის გაჩენას. ამრიგად, თურქეთმა დაიწყო საბჭოებთან თანამშრომლობა, რათა ახალი გზები დაესახათ მსოფლიოს გადასარჩენად...“.³³⁰ ვერაფერს ვიტყვით, საინტერესო ლოგიკაა. ამონარიდში ოსმალთა იმპერიის I მსოფლიო ომში ჩართვის ერთობ ორიგინალური ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი.

და შემდეგ: „ამხანაგებო! ხალხის ნებით ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა მისი უფლებების დაცვისა და თვითგამორკვევისთვის. ჩვენ მტკიცედ და დიდხანს ვიღებთ მასთან, ვინც ჩვენს პოზიციებს იზიარებს, სხვებს კი უფლებას ვუტოვებთ, თავად გადაწყვიტონ თავიანთი ბედი. ჩვენ ომის წინააღმდეგ გამოვდივართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების უზურპაციის მიზნით ჩვენ ადამიანთა მიერ ურთიერთგანადგურების წინააღმდეგი ვართ. საბოლოო მშვიდობის დასამყარებლად ჩვენ ხელიხელჩაკიდებულნი მივაბიჯებთ III ინტერნაციონალთან ერთად. ამ მიზნის მისაღწევად, მიუხედავად ყოველგვარი წინააღმდეგობისა, ბოლომდე უნდა მივიყვანოთ ის სისხლიანი ბრძოლა, რასაც ახლა ვაწარმოებთ. ჩვენ ხალხის კეთილდღეობისათვის ვიბრძვით, მაგრამ ჩვენ მათი მტრები ვართ, ვინც სხვისი შრომის ნაყოფით სარგებლობს. ასეთებთან გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო“.³³¹

ენვერ ფაშას გამოსვლა კი შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა:

ამხანაგებო! ვაცხადებ, რომ მაროკოს, ალჟირის, ტუნისის, ტრიპოლის, ეგვიპტის, არაბეთისა და ინდოეთის რევოლუციური ორგანიზაციების კავშირი, რომელმაც თავისი წარმომადგენლის სახით გამოძგზავნა აქ, თქვენთან, სრულ სოლიდარობას გიცხადებთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ რევოლუციის გზით მივალწევთ და კბილებს ჩავუმტკრევთ მტაცებლებს.

ამხანაგებო! ამისთვის ერთმანეთს უნდა გავუწოდოთ ხელი. მე ხელს ვართმევ ყველა თქვენგანს, ვინც მზადაა ჩვენთან ერთად ჩაერთოს ამ ბრძოლაში, რომელიც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, მაგრამ აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით დასრულდება. ყველას დიდ წარმატებებს გისურვებთ.

გაუმარჯოს ჩაგრულთა კავშირს!

³³⁰ Мустафа Чокай Оғлы. Энвер паша в Советской России и Туркестане. («Orient et Occident»). Paris. Перевод с французского языка и публикация принадлежат Бахыт Садыковой. <http://kh-davron.uz/kutubxona/tarix/mustafachokaj-enver-pasha-v-sovetskoy-rossii-i-turkeстане.html>.

³³¹ იქვე.

ძირს მხაგვრელები, რომლებიც ამ კავშირის წინაშე ცახცახებენ!“³³²

მიუხედავად ენვერ ფაშას სიტყვის რევოლუციური სულისკვეთებისა, მიუხედავად იმისა, რომ ენვერ ფაშას თხუთმეტწუთიან გამოსვლაში თხუთმეტჯერ იყო ნახმარი სიტყვა „ამხანაგებო!“, ამ გამოსვლამ მაინც ვერ გააძლიერა იმ უნდობლობის ყინული, რაც ყრილობის მონაწილეთა თვალეში ირეკლებოდა. სხდომის თავმჯდომარემ, უნგრელმა რევოლუციონერმა, ბელა კუნმა³³³ ენვერის სიტყვის საპასუხოდ, განაცხადა: „ყრილობა აუცილებლად თვლის, სიფრთხილე გამოვიჩინოთ მათთან დამოკიდებულებაში, ვინც წარსულში უცხოელი კაპიტალისტების ინტერესების შესაბამისად ხელმძღვანელობდა თურქ მუშებსა და გლეხებს და ამით ორმაგი საფრთხის წინაშე დააყენა ისინი, იცავდა რა ერთი მუჭა მდიდრებისა და მალაჩინოსან ოფიცერთა ინტერესებს. ყრილობა მოითხოვს, რომ ასეთმა „მებრძოლებმა“ საქმით დაამტკიცონ თავიანთი ერთგულება მშრომელი ხალხის წინაშე და ის შეცდომები გამოასწორონ, რაც მათ ადრე ჰქონდათ ჩადენილი“.³³⁴

როგორც ვხედავთ, ბოლშევიკებმა არ მიიღეს ენვერის თეორია, რომლის თანახმადაც თურქეთის I მსოფლიო ომში ჩართვამ, რომელიც ცარიტულ რუსეთზე გამარჯვებით იყო ნაკარნახევი, ახალი საბჭოთა რუსეთის დაბადებასა და „მსოფლიოს გადარჩენას“ შეუწყობდა ხელი. აღიარების ნაცვლად, ბოლშევიკებმა ენვერს წარსული ცოდვებისაგან განწმენდა მოსთხოვეს, რომლითაც მას თავისი ერთგულება უნდა დაემტკიცებინა „მშრომელი ხალხისათვის“.

ამ ამბების დაახლოებით იმავე ვერსიას გვთავაზობს ამერიკელი მეცნიერი ლორენ გოლდნერი (Loren Goldner). ბელა კუნის მაგივრად ენვერ ფაშას აქ გრიგორი ზინოვიევი „ტუქსავს“. ავტორი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ კომინტერნის ლიდერი, გრიგორი ზინოვიევი ბაქოს ყრილობის მონაწილეებს „ჯიჰადისაკენ“ მოუწოდებდა დასავლეთის წინააღმდეგ, ამავე დროს ცდილობდა, დელეგატების შეგნებად დაეყვანა ის მდგომარეობაც, რომ წინდახედულნი ყოფილიყვნენ „მოდრაობის იმ ლიდერებთან მიმართებაში, რომლებიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ხოცავდნენ მუშებსა და გლეხებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებისათვის. ყრილობამ უნდა შესთავაზოს მათ, გამოას-

³³² Baku Congress of the Peoples of the East. Fourth Session. September 4. <http://www.marxists.org/history/international/comintern/baku/ch04.htm>.

³³³ ბელა კუნი (1886-1938) – ებრაული წარმომავლობის უნგრელი რევოლუციონერი, საბჭოთა სამხედრო და კომუნისტური მოღვაწე, კომინტერნის ერთ-ერთი აქტივისტი და ხელმძღვანელი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი. 1902 წელს, 16 წლის ასაკში ხდება უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. მონაწილეობდა გაევკების ორგანიზებასა და მარქსისტული რევოლუციური ჯგუფების შექმნაში. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, იწვევენ ავსტრია-უნგრეთის არმიაში. რუსეთის წინააღმდეგ მონაწილეობს აღმოსავლეთის ფრონტის საომარ მოქმედებებში. 1916 წელს ტყვედ ვარდება. გადაგზავნეს ურალში, სადაც იგი მტკიცე კომუნისტად ჩამოყალიბდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხდება რსდმ(პ) წევრი. უნგრელი ტყვეებისაგან აქვე აყალიბებს უნგრეთის წითელ არმიას. მალე მოსკოვში ჩადის, სადაც პირადად ეცნობა ლენინს. მონაწილეობდა რუსეთის სამოქალაქო ომის საბრძოლო მოქმედებებში. 1918 წლის 17 ნოემბერს ბრუნდება უნგრეთში და აარსებს უნგრეთის კომუნისტურ პარტიას. 1919 წლის 21 მარტს გამოაცხადა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა, რომელმაც 133 დღე იარსება. ბელა კუნი ავსტრიაში გარბის, შემდეგ – რუსეთში. 1920 წლის ნოემბრიდან, ყირიმში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ინიშნება ყირიმის რევკომის თავმჯდომარედ. 1821 წელს ინიშნება კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. 1924 წლის ივლისში ბრუნდება უნგრეთში კომინტერნის ავტორიზაციის განყოფილების უფროსის რანგში. რევოლუციური მოღვაწეობისათვის აპატიმრებენ, მაგრამ მალევე ათავისუფლებენ. ბრუნდება მოსკოვში და იწყებს აქტიურ საგამომცემლო-პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1937 წელს ამჯერად საბჭოელები აპატიმრებენ და ბრალს დებენ კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში. მალევე ასამართლებენ. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით 1938 წლის 29 აგვისტოს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. დახვრიტეს იმავე დღეს.

³³⁴ Мустафа Чокай Оғлы. Энвер паша в Советской России и Туркестане. («Orient et Occident»). Paris. Перевод с французского языка и публикация принадлежат Бахыт Садыковой. <http://kh-davron.uz/kutubxona/tarix/mustafachokaj-enver-pasha-v-sovetskoj-rossii-i-turkestane.html>.

წორონ თავიანთი შეცდომები და ემსახურონ ხალხს, რითაც წინათ დაშვებულ შეცდომებსაც მონანიებენ“.³³⁵

თურქი მეცნიერის, პროფესორ შუჰნაზ ილმაზის (Şuhnaz Yılmaz) მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, მასაიუკი იამაუჩის მონოგრაფიასა და თურქულ საარქივო დოკუმენტებს (THAA. Klasör 32/Fihrist 1168), აგრეთვე გენერალ ალი ფუატ ჯებესლის მემუარებს ეყრდნობა, ენვერ ფაშა ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა. სხვა ავტორები კი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ენვერ ფაშას სიტყვით გამოსვლას არ ადასტურებენ და აღნიშნავენ, რომ ყრილობაზე მხოლოდ მისი მიმართვა წაიკითხეს. თუმცა ამ მომენტს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ ენვერის მოხსენება უხვად იყო შეზავებული ბოლშევიკურ-რევოლუციური ტერმინოლოგიითა და ფრაზებით: „ჩაგრული ხალხები“, „ეროვნული თვითგამორკვევა“, „მშრომელები“ და, რაც მთავარია, „ბრძოლა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ“. მან ოსმალთა იმპერიის I მსოფლიო ომში ჩაბმა გერმანიასა და იმპერიალიზმს დააბრალა, თუმცა აქვე ენამოსწრებულად აღნიშნა, რომ გერმანიის იმპერიალიზმი უფრო ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდა, ვიდრე „რუსული და ბრიტანული იმპერიალიზმები“. განსაკუთრებით აღნიშნავდა იმას, რომ იგი ყოველთვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძოდა და მის მიზანს ყოველთვის თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა წარმოადგენდა. ენვერ ფაშას მოხსენება რევოლუციური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. იგი უმაღლესად იქცა „ჩაგრული ხალხების ინტერესების დამცველად“, – „III ინტერნაციონალისადმი ჩვენს ლტოლვას განაპირობებს არა მარტო ბრძოლის დასაყრდენის ძიება, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, არამედ ამის მიზეზი ჩვენი პრინციპების სიახლოვეცაა. რევოლუციურ ძალას ყოველთვის ხალხიდან მოვიპოვებდით, ჩაგრული ხალხის ფენიდან, ანუ გლეხობიდან“, – აცხადებდა ის.³³⁶

მაგრამ ენვერ ფაშას ამ სიტყვებს აშკარად აკლდა დამაჯერებლობა. დელეგატთა უმეტესობა მას ბრალს სდებდა I მსოფლიო ომში ოსმალთა იმპერიის ჩართვაში და ომის პერიოდში ჩადენილ სამხედრო დანაშაულებში. ასეთი განწყობები განსაკუთრებით ყრილობის კომუნისტ დელეგატებს შორის აღინიშნებოდა.

ენვერის შემდეგ ყრილობაზე მოხსენებით კიდევ ერთი თურქი დელეგატი გამოვიდა. მაგრამ არა ექსიტიჰადისტთა ბანაკიდან, არამედ მასთან დაპირისპირებული ანატოლიელი ნაციონალისტებისაგან. ეს დელეგატიც სამხედრო პირი იყო, ექსოსმალ ოფიცერი, პოლკოვნიკი იბრაჰიმ თალი. იგი გენერალ ქიაზიმ ყარაბეჯირის შენაერთში მსახურობდა I მსოფლიო ომში, ახლა კი მისსავე სამხედრო-პოლიტიკურ ემისარს წარმოადგენდა ბაქოში. მართალია, იბრაჰიმ თალის გამოსვლებში ნაკლებად იყო ნახმარი სიტყვა „ამხანაგებო“, მაგრამ რევოლუციური სულისკვეთებით იგი ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა ენვერის სიტყვას. თავისი გამოსვლა იბრაჰიმ თალიმ შემდეგი სიტყვებით დაასრულა:

ამხანაგებო! [ანგორის] რევოლუციური სახალხო მთავრობა, იმპერიალისტების მიერ პარლამენტის გარეკვის შემდეგ,³³⁷ ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ეროვნული კონგრესის ორგანიზებულია, რასაც მოსკოვში გაგზავნილი ჩვენი დელეგაციაც ადასტურებს. ისინი ბედნიერები არიან, რომ ანატოლიიდან გაწვდილი გულწრფელი

³³⁵ Loren Goldner. “Socialism in One Country” Before Stalin, and the Origins of Reactionary “Anti-Imperialism”: The Case of Turkey, 1917-1925. Paul Dumont, Du socialisme ottoman a l'internationalisme anatolien. Istanbul 1997, p. 151.

³³⁶ Арис Казанджян. Минотавр разбуженный большевиками. «Голос Армении». http://analitika.at.ua/news/minotavr_razbuzhennyj_bolshevikami_92godu_nazad_bolshevik_i_kemalisty_objjavili_vojnu_armenii/2012-09-18-67249.

³³⁷ აქ ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის მიერ განხორციელებულ სადამსჯელო ღონისძიებებზეა საუბარი. 1920 წლის 21 მარტს ბრიტანელებმა კონსტანტინოპოლის პარლამენტი (მეჯლისი) გარეკეს, დეპუტატთა, მთავრობის წევრთა, სამხედროთა და ანტიბრიტანულად განწყობილ საზოგადო მოღვაწეთა დიდი ნაწილი დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადასახლეს. სულთანი მეჰმედ VI კი, ფაქტობრივ შინაპატიმრობაში იქნა აყვანილი. ამ საკითხებს უფრო დაწვრილებით ქვემოთ, ნაშრომის შესაბამის თავში განვიხილავთ.

მეგობრობის ხელი ასეთივე გულწრფელობით მიიღეს. ჩვენ მზად ვართ, ცხოვრებაში გავატაროთ რევოლუციის სოციალური და მორალური შედეგები, რომლის პრინციპებსაც კაცობრიობა აღიარებს.

ამხანაგებო! ნათელია, რომ ანატოლიის შვილები მისი გაბრწყინების გზაზე ბოლო ამოსუნთქვამდე დაიცავენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ისინი გულწრფელი მოლოდინით აღსავეს ელოდებიან საბჭოთა რუსეთიდან გამოწვედილ მეგობრულ ხელს.

გაუმარჯოს ამ გზაზე მდგარ რევოლუციურ რუსეთსა და რევოლუციური რუსეთის მომხრე რევოლუციურ აღმოსავლეთს!³³⁸

ყრილობის ფორმატთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოდ ყრილობაზე ერთობ საინტერესო და არაორდინარული ატმოსფერო სუფევდა. ბრიტანული დაზვერვის აგენტი, რომელიც ყრილობას კონსპირაციულად ესწრებოდა, თავის მოხსენებით ბარათში წერდა: „ბაქოს ყრილობაზე ჩამოსული 1500 დელეგატიდან უმეტესობა უწიგნური და გაუნათლებელი იყო... ყრილობის მიმდინარეობას კი მათი ველური გამოხდომები და ყიჟინა აფერხებდა. დელეგატთა ყურადღებას არა უამრავი გამომსვლელის მიერ წაკითხული ტექსტების შინაარსი, არამედ ერთმანეთის ხანჯლები და რევოლუციური იპყრობდა. ყრილობის მსვლელობისას დარბაზიდან განუწყვეტლივ გადიოდნენ და ისევ შემოდდიოდნენ დელეგატები, ხოლო ყრილობის მსვლელობას მორწმუნეთა მიერ „ნამაზთან“ დაკავშირებული რიტუალებისა და ლოცვების ჩატარება წყვეტდა“.³³⁹

აჰმედ-ზაქი ვალიდი კი აღნიშნავს, რომ „ბაქოში ჩატარებულმა აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობამ ნათლად აჩვენა, რომ თურქესტანელთა უფლებების შელახვა არა ადგილებზე მყოფი რუსი კომუნისტების ინიციატივას, არამედ საკუთრივ ცეკას პოლიტიკურ კურსს წარმოადგენდა. ცეკას სახელით ყრილობაზე წარმოდგენილი ზინოვიევი და რადეკი ისე ექცეოდნენ აღმოსავლეთის წარმომადგენლებს, როგორც კომისრები ექცეოდნენ ბნელ მასებს გლეხთა ყრილობებზე რევოლუციის საწყის ეტაპზე. ისინი არ სჯერდებოდნენ იმას, რომ ყვიროდნენ და არ აძლევდნენ საშუალებას გამომსვლელებს, ბოლომდე წაეკითხათ თავიანთი სიტყვები. მათთან მყოფი წითელგვარდიელები კი ხმას აწყვეტინებდნენ (Затыкали рты – ა. ჩ.) გამომსვლელებს და ყრილობის დელეგატებს აიძულებდნენ, ის გადაწყვეტილებები მიეღოთ, რასაც მათ მოსკოვიდან კარნახობდნენ“.³⁴⁰ აი ასე.

ყრილობამ ერთი კვირის განმავლობაში იმუშავა და მიიღო მთელი რიგი დადგენილებები ნაციონალურ და კოლონიალურ საკითხებზე. მოიწონეს და მიიღეს მოწოდება აღმოსავლეთის ხალხებთან დაკავშირებით კოლონიზატორების წინააღმდეგ ერთიან ბრძოლაზე. აგრეთვე მოწოდება ევროპელი, ამერიკელი და იაპონელი მშრომელებისადმი, მხარი დაეჭირათ აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისათვის. ბაქოს აღმოსავლეთის ხალხების I ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ ევროპისა და ამერიკის კომპარტიების წარმომადგენლები – ბელა კუნი (უნგრეთი), ჯონ რიდი (აშშ), თომას ქველჩი (ინგლისი), როსმერი (საფრანგეთი) და ა.შ. ყრილობის რეზოლუციაში ენვერ ფაშასა და მის ჯგუფს მოუწოდეს, „საქმით აჩვენონ, რომ ისინი ახლა მზად არიან, ემსახურონ მშრომელ ხალხს და გამოასწორონ თავიანთი წინანდელი მცდარი ნაბიჯები“.³⁴¹

³³⁸ Baku Congress of the Peoples of the East. Fourth Session. September 4. <http://www.marxists.org/history/international/comintern/baku/ch04.htm>.

³³⁹ Вячеслав Кузнецов. Доктор исторических наук. Институт Дальнего Востока РАН. Турецкий „Наполеон“ – Энвер-паша. Стр. 50.

³⁴⁰ Заки Валиди Тоган. Воспоминания. Борьба народов Туркестана и других восточных мусульман-тюрок на национальное бытие и сохранение культуры. Книга I. Уфа. „Китап“. 1994. Стр. 373.

³⁴¹ Первый съезд народов Востока в Баку. 1-8 сентября 1920 г. Стенографический отчет. С.118.

„აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობა“ 10 სექტემბერს დაიხურა, მიიღეს რეზოლუცია და შეიქმნა ყრილობებს შორის მომუშავე მუდმივმოქმედი ორგანო, ე.წ. „მოქმედებისა და პროპაგანდის საბჭო“. მოსკოვში დაბრუნებულმა ნიკოლაი ბუხარინმა კი, რომელიც ლენინის გამოთქმით, პარტიის თვალს წარმოადგენდა, პროლეტარიატის დიდ ბელადს ყრილობის მუშაობის შესახებ სრული ანგარიში ჩააბარა. თავისი მოხსენება მან შემდეგი ისტორიული ფრაზით დაასრულა: „ვლადიმირ ილიჩ, ჩვენ ურჩხული გავაღვიძეთ!“³⁴²

ამხანაგი ბუხარინი თავის შეფასებებში არ ცდებოდა, იგი მართალი იყო, რადგან კარგად უწყობდა, რომ შემდგომში „აღმოსავლეთის ხალხთა“ ე.წ. „რევოლუციური“ ალტკინების ჩაქრობა ურთულეს ამოცანად გადაიქცეოდა თავად რუსი ბოლშევიკებისათვის... ფაქტი ისაა, რომ ჯინი გამოშვებული იყო ბოთლიდან და მისი უკან შებრუნება ძალიან გართულდებოდა.

აღმოსავლეთის ხალხთა ბაქოს I ყრილობის დასრულება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენით აღინიშნა. ამ დღეს, 1920 წლის 10 სექტემბერს, ბაქოში დაარსდა ე.წ. „თურქეთის კომუნისტური პარტია“, რომელსაც სათავეში რუსეთში მოღვაწე, ცნობილი თურქი კომუნისტი მეჰმედ მუსტაფა სუფი ჩაუდგა.

ძალიან მოკლედ რომ მიმოვიხილოთ ამ ე.წ. „თურქეთის კომპარტიის“ შექმნის ისტორია, უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქული კომუნისტური ორგანიზაციების პირველი კონფერენცია 1918 წლის ივლისში ჩატარდა მოსკოვში, სადაც პროგრამის შემუშავებაზე სერიოზული უთანხმოებები წარმოიშვა. შემდგომში მუსტაფა სუფიმ იმის იმედით, რომ ეს წინააღმდეგობები მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, პარტია III ინტერნაციონალში გააერთიანა. საბოლოოდ, თურქეთის კომუნისტური პარტია ბაქოს „აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობის“ დასრულებისთანავე დაფუძნდა. დამფუძნებელი კონფერენციის მუშაობაში 74 დელეგატი იღებდა მონაწილეობას. ბაქოს ყრილობის სულისკვეთებიდან გამომდინარე, დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატები „კომუნიზმში სხვას ვერაფერს ხედავდნენ, თუ არა ისლამის სწავლებების ექსტრემისტულ ვარიანტს“, მაშინ როცა მხოლოდ ათიოდე დელეგატს თუ გააჩნდა ნამდვილი მარქსისტული წარსული.³⁴³

კონფერენციაზე მიმდინარე დებატებში დელეგატთა უმრავლესობა ისლამური ტრადიციების შენარჩუნების მომხრე იყო. ისინი პარტიის პროგრამის იმ ნაწილს ეწინააღმდეგებოდნენ, რომელშიც ნათლად იყო წარმოდგენილი სეკულარიზმის პრინციპები. დელეგატებმა ძირითადად მოიწონეს სახალიფოს გაუქმების იდეა, მაგრამ სხვა ანტირელიგიური მოთხოვნებისაგან თავი შეიკავეს. დელეგატებმა კომინტერნის II კონგრესის გადაწყვეტილებაც მოიწონეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მხარდაჭერის შესახებ, რაშიც ჩართულნი იქნებოდნენ ბურჟუაზიული ელემენტებიც. გარდა ამისა, განიხილეს გარკვეული პოლიტიკური და სოციალური მომენტების სოციალიზმთან მისადაგების საკითხი რადიკალური სოციალური გარდაქმნების გარეშე.

„აღმოსავლეთის ხალხთა მოქმედებისა და პროპაგანდის საბჭომ“ დაუყოვნებლივ დაიწყო იდეოლოგიური მუშაობა „აღმოსავლური რევოლუციის“ კოცონის ასაგიზგიზებლად. უკვე 17 სექტემბერს პრეზიდენტმა მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამი იყო:

„...იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული საბჭოთა რუსეთისა და მსოფლიო რევოლუციისათვის დამღუპველი შედეგები, აუცილებელია:

ა) რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, უსწრაფესად უნდა მოხდეს დასუსტებული თურქეთის ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა;

³⁴² Вячеслав Кузнецов. Доктор исторических наук. Институт Дальнего Востока РАН. Турецкий „Наполеон- _ Энвер-паша.

³⁴³ Loren Goldner. “Socialism in One Country” Before Stalin, and the Origins of Reactionary “Anti-Imperialism”: The Case of Turkey, 1917-1925. Paul Dumont, Du socialisme ottoman a l’internationale anatolien. Istanbul 1997, p. 272.

ბ) არ უნდა დაუშვათ ინგლისურ-შაჰური ჯარების, სომხეთისა და საქართველოს გაერთიანება;

...ჩვენი მდგომარეობა აღმოსავლეთში ეხლა ისეთია, რომ ადგილზე დგომა არ შეიძლება. და უკან რომ არ გავიქცეთ, ამისათვის საჭიროა წინ წავიდეთ. უნდა წავიდეთ დაუყოვნებლივ, რამეთუ კიდევ ერთი თვით დაყოვნება აღმოსავლეთში რევოლუციის სრული ჩავარდნის ტოლფასია...“³⁴⁴

ენვერ ფაშასა და ექსიტიჰადისტების პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა არც ბრიტანული და არც ამერიკული სადაზვერვო სამსახურებისათვის არ ყოფილა დაფარული. მათ შესაბამისი შეფასებებიც გააკეთეს ამ პროცესებთან დაკავშირებით. აშშ-ის უმაღლესი კომისარი კონსტანტინოპოლში, ადმირალი მარკ ბრისტოლი (Mark Lambert Bristol) აშშ-ის სახელმწიფო მდივნისადმი 1920 წლის 7 სექტემბრის საიდუმლო შეტყობინებაში იუწყებოდა, რომ ენვერი, რომელიც არ იმყოფებოდა თურქეთში, იბრუნებდა და ზრდიდა თავის გავლენებსა და პრესტიჟს.³⁴⁵ ხოლო ბრიტანელები თვლიდნენ, რომ ენვერ ფაშა და მისი მომხრეები უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ მოკავშირეებისათვის, ვიდრე ქემალისტები. ბრიტანეთის საიდუმლო სადაზვერვო სამსახურის, SIS-ის (Secret Intelligence Service) სამხედრო დაზვერვა I6-ის (Military Intelligence, Section 6) მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში ვკითხულობთ: „ანატოლიაში ორი პარტია მოქმედებს და არა ერთი. უფრო სუსტები მუსტაფა ქემალი და ნაციონალისტები არიან... უფრო საშიშ პარტიას ენვერი, თალაათი და „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია და მათი ებრაულ-გერმანულ-ბოლშევიკური კომბინაცია წარმოადგენს“.³⁴⁶

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მკაცრად გასაიდუმლოებული ბოლშევიკური იტიჰადისტური და ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების შესახებ არა თუ ამერიკული და ბრიტანული სადაზვერვო სამსახურები, არამედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურებიც ფლობდნენ ინფორმაციებს. საუბარი საქართველოს სამხედრო სამინისტროს შეეხება. ისევე, როგორც იტიჰადისტების შემთხვევაში, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ ქართულ საგაზეთო სტატიაში იყო წარმოდგენილი, აქაც, ჯერ კიდევ ამ ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების გაცხადებამდე, 1920 წლის გაზაფხულისათვის გაზეთ „სახალხო საქმის“ 6 მაისის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, გრიგოლ ლორთქიფანიძის ბრძანება №88 რესპუბლიკის ჯარებისადმი, სადაც ნათქვამი იყო:

„ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

მაისის 4, 1920 წ. თფილისი. №88.

საქართველოს მხედრობავ, კომანდირებო, ჯარისკაცნო და გვარდიელებო!

მთელი ქვეყნიერება, მტერი და მოყვარე სულგანაბლნი შემოგყურებთ თქვენ. ველურობისა და ბარბაროსობის ორმა დიდმა ნაკადმა – თურქთა ფანატიზმმა და რუსთა ბოლშევიზმმა კავშირი შეკრეს. მოოხრებული ოსმალეთი და განადგურებული რუსეთი ერთი მეორეს კავშირის ხელს უწვდის და ვინაიდან მათ შუაში საქართველო სდგას, ისინიც ჩვენს განადგურებას აპირებენ. ამ გავლურებულ ურდოებს უნდათ საქართველოს გვამზე სამეზობლო ხიდი გასდონ. დაბეჩავებული თათარი და გამურტალებული რუსი ბოლშევიკი ცდილობს, ლახვარი ჩასცეს ქართველი ერის თავისუფლებას, ისინი ქართველ ხალხს დაპყრობით ეშუქრებიან. ეს შავი ძალები ვერ ეგუებიან, მათი თვალის

³⁴⁴ Перинчек Мехмет. Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов. __ М.: Лаборатория Книги. 2011. __ 256 с. ISBN 978-5-903271-73-3. Стр. 212-214. (РГАСПИ. Ф. 5. Оп. 2. Д. 92. Л. 31, 31 об., 32).

³⁴⁵ Bristol to Secretary of State, Constantinople, 7 September, 1920. National Archives, Records of the Department of Navy, Record Group 45, Box. 831.

³⁴⁶ S.I.S. 2 September, 1920. No.CX/676/v, PRO FO 371/5178 (E 11702/345/44).

ეკლად გადაიქცა, სიხარბისა და შურის საგნად შეექმნათ საქართველო, რომელმაც შეძლო მტკიცე ხალხური რესპუბლიკის შექმნა.

ორი პოლიტიკური კოტორი ერთი მეორეს დაუძმობილდა. ევროპიდან გაძევებული და წყალწადებული ბოლშევიზმი თურქთა ფანატიზმს ეპოტინება. უკვე განწირული პანისლამიზმი უდღეურ კომუნიზმს დაუკავშირდა. ორი წყალწადებული ერთი მეორეს აეკიდა. მოსკოვის კომისრები და ოსმალეთის ფაშები, ლენინი და ქემალ ფაშა შეერთდნენ ევროპისა და კულტურის წინააღმდეგ და მათი განზრახვაა პირველ ყოვლისა გაანადგურონ ევროპის ის ნაწილი, რომელიც შეჭრილია აზიაში საქართველოს სახით...“

რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე³⁴⁷.

„მეორე ქართველი“, სერგო ორჯონიკიძე კი, აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობის დასრულების შემდეგ აცხადებდა: „...თავის დროზე პეტროგრადის მუშებმა აღმართეს კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ წითელი დროშა. ახლა აქ, აღმოსავლეთში, არა მხოლოდ ბაქოს პროლეტარიატი, არამედ ნახევრადფეოდალური თურქეთი, თავისი ფაშებითა და გენერლებით სათავეში, ასევე უწვდის ძმურ ხელს წითელ საბჭოთა რუსეთს. მუსლიმანური აღმოსავლეთი, რომელიც ოდესღაც მექასა და მუჰამედის საფლავთან მიდიოდა ქედის მოსახრელად, ახლა ხელს უწვდის რუსეთს და თავის მზერას ქვათეთრ მოსკოვს აპყრობს, რადგან იქ საბჭოთა ხელისუფლების აკვანი, მსოფლიო რევოლუციის კერაა...“³⁴⁸

ლენინმა უაღრესად მაღალი შეფასება მისცა ბაქოში ჩატარებულ „აღმოსავლეთის ხალხთა“ ყრილობას. 1920 წლის 15 ოქტომბერს იგი აღნიშნავდა, რომ „ეს ის საერთაშორისო ყრილობებია, რომლებმაც შეადუღაბეს კომუნისტები და აჩვენეს, რომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში და დანარჩენ ყველა აღმოსავლურ ქვეყანაში, ბოლშევიკური დროშა, ბოლშევიზმის პროგრამა, ბოლშევიკთა მოქმედებები არის ყველა ცივილიზებული ქვეყნის მუშების, ყველა ჩამორჩენილი კოლონიალური ქვეყნის გლეხებისათვის გადარჩენის დროშა, ბრძოლის დროშა... საბჭოთა რუსეთმა ამ სამი წლის განმავლობაში არა მარტო მოიგერია ისინი, ვინც თავს გვესხმოდა რათა დავეხრჩვეთ, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელებში თანაგრძნობაც მოიპოვეს. ჩვენ არა მხოლოდ დავამარცხეთ ჩვენი მტრები, არამედ შევიძინეთ და ეხლაც ვიძენთ მოკავშირეებს საათების და არა დღეების განმავლობაში“³⁴⁹

ხოლო ბაქოში ჩასულმა „პირველმა ქართველმა“, იოსებ სტალინმა ასეთი შეფასება მისცა ყრილობის მუშაობას და მის შედეგებს:

„ამხანაგებო! მანამ, სანამ ჩემს მოხსენებაზე გადავალ, მინდა გადმოგცეთ ჩემი სალამი თქვენ, ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს, აზერბაიჯანის რეკომსა და მის თავმჯდომარეს, ამხ. ნარიმანოვს. ხოლო რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის სახელით მხურვალე სალამს გადავცემ მე-11 წითელ არმიას, რომელმაც გაანთავისუფლა აზერბაიჯანი და მის თავისუფლებას საკუთარი მკერდით იცავს. (აპლოდისმენტები).

...თუ სამი წლის წინ აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა ქვეყნებში ვხვდებოდით მხოლოდ რევოლუციისადმი გულგრილობას, ახლა აღმოსავლეთი ამოძრავდა და სახეზე გვაქვს მთელი რიგი განმათავისუფლებელი მოძრაობები, რომლებიც ანტანტისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ არიან მიმართული. ახლა ჩვენ გვყავს რევოლუციური

³⁴⁷ გაზეთი „სახალხო საქმე“. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. №818. 1920 წ. ხუთშაბათი, მაისის 6. გვ. 4.

³⁴⁸ Газ. „Коммунист“ (Баку). №181, 6 декабря. 1920 г. Г. К. Орджоникидзе. Статьи и речи. Том I. 1956. Стр. 139-140. <http://bookre.org/reader?file=373994&pg=138>.

³⁴⁹ В. И. Ленин. Полн. Собр. соч., т. 41. стр. 357.

ბირთვი, ქემალის მთავრობის სახით, რომელსაც თავის გარშემო შემოკრებილი აქვს დანარჩენი კოლონიები და ნახევრადკოლონიები. მართალია ქემალის მთავრობა ბურჟუაზიულ-რევოლუციურია, მაგრამ ის მაინც იარაღით ხელში ებრძვის ანტანტას.

თუ სამი წლის წინ ჩვენ ვერც კი გავივლებდით გულში, რომ აღმოსავლეთი ამოძრავდებოდა, ახლა ჩვენ არა მხოლოდ აღმოსავლეთის რევოლუციური ბირთვი გვყავს ბურჟუაზიულ-რევოლუციური თურქეთის სახით, არამედ ასევე ხელთა გვაქვს აღმოსავლეთის სოციალისტური ორგანო: „მოქმედებისა და პროპაგანდის კომიტეტი (ასეა ტექსტში – კომიტეტი და არა საბჭო – ა. ჩ)“³⁵⁰


სტალინის ეს მოხსენება 1920 წლის 6 ნოემბერს წაიკითხეს ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომაზე, ხოლო პრესაში იგი ორჯერ, 7 და 11 ნოემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „Коммунист“-ში, ბაქოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში.

ფაქტი ისაა, რომ რუსეთის ახალმა პოზიციამ, სახელმწიფოსი, რომელიც თურქეთის საუკუნეობრივ დაუძინებელ მტერს წარმოადგენდა, ამჯერად რადიკალურად შეცვალა თავისი საგარეო ინტერესთა ვექტორების მიმართულება და პოლიტიკურ არენაზე ახალი რეალობა შვა. „აღმოსავლეთის ხალხთა“ I ყრილობაზე ერთმანეთის გვერდით „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ იდეებით შთაგონებული კომინტერნის ისეთი ბელადების გვერდით, როგორებიც იყვნენ კარლ რადეკი, ბელა კუნი, გრიგორი ზინოვიევი, ნიკოლაი ბუხარინი, ნარიმან ნარიმანოვი, ანასტას მიქოიანი, ისეთი ოდიოზური პიროვნება იდგა, როგორიც ისმაილ ენვერ ფაშა იყო, ანდა ქემალისტთა ემისარი, პოლკოვნიკი იბრაჰიმ თალი. მათთან ხელიხელჩაკიდებული ფერდანელი ბასმაჩები, თურქესტანელი ჯადიდები, კავკასიელი ამბოხებულები, ქემალისტთა სხვა წარმომადგენლები და საომრად განწყობილი თურქი სამხედრო ტყვედყოფილები კი, ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან რევოლუციის იდეალებისადმი ერთგულების ფიცს სდებდნენ და იარაღსაც ხმამაღლა აჟღარუნებდნენ.

³⁵⁰ „Коммунист“ (Баку) №№ 157 и 160; 7 и 11 ноября 1920 г.



კაიზერი ვილჰელმ II, ოსმალთა იმპერიის სულთანი მეჰმედ V, იმპერიის დიდი ვეზირი მეჰმედ თალათ ფაშა, სამხედრო მინისტრი ისმაილ ენვერ ფაშა, სულთნის ძმა და მომავალი სულთანი ვაკიდედინი (მეჰმედ VI) და სხვა ოფიციალური პირები



ოსმალთა არმიის ახალგაზრდა მაიორი და „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის გმირი – ენვერ ფაშა




კაიზერი ვილჰელმ II, სულთანი მეჰმედ V, გენერალი ისმაილ ენვერ ფაშა და გენერალი ჰალილ ფაშა ქუთი.



ენვერ ფაშა ოსმალთა მიერ ოკუპირებულ ბათუმში, 1918 წლის გაზაფხული. მის გვერდით, მანქანის უკანა საფარძელში – ოსმალთა მე-3 არმიის სარდალი, გენერალი მეჰმედ ვეჰიბ ფაშა.



ოსმალთა იმპერიის სამხედრო სამინისტრო



ოსმალთა იმპერიის სამხედრო-საზღვაო სამინისტრო



I მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის ჩართვა – წმინდა ომის, „ჯიჰადის“ გამოცხადება



Enver Pasha visiting the Mosque accompanied by Jamal Pasha.

ენვერ და ჯემალ ფაშები იერუსალიმში.
1916 წელი.



გენერალი მუსტაფა ქემალი
Yıldırım-ის არმიითა ჯგუფის სარდალი



AUSTRALIAN WAR MEMORIAL

P01141.001

პოლკოვნიკი მუსტაფა ქემალი – მე-19 დივიზიის მეთაური.
ჰალიპოლისის ნახევარკუნძული. 1915 წელი.



ოსმალთა საარტილერიო ბატარეა ჰალიპოლისზე




უინსტონ ჩერჩილი — საადმირალოს პირველი ლორდი (სამხედრო-საზღვაო მინისტრი)



მუსტაფა ჩოკაი



ფატალი ზან ყოელი



აჰმელ-ზაქი ვალიდი ტოგანი



მამულ ამინ რასულ-ზადე



ყარა ვაზიფი



ყარა ქემალი



ჰუსეინ რაუფ ორბეი (აშზარუა),
კრეისერ „ჰამიდიეს“ კაპიტანი



სულთანი მეჰმედ V



სულთანი მეჰმედ VI



დიდი ვეზირი დამად ფერიდ ფაშა



ჯეკათ ჩობანლი (1870-1938)



იზმეთ იუნონუ
(1884-1973)



რეფეზ ბელე
(1877-1963)



ალი ფუატ ჯეპესოი
(1882-1968)




დამად ფერიდ ფაშა (შუაში)



საადმირალოს პირველი ლორდი
(საზღვაო მინისტრი) უინსტონ ჩერჩილი



დიდი ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის
სარდალი, ადმირალი სომერსეტ არტურ კელტორფი



ბრიტანული სამხედრო ხომალდი „HMS Agamemnon“



ქიაზიმ ყარაბეკირი (1882-1948)



ფეჰზი ჩაქმაქი (1876-1950)




რეფეზ ბელე და მუსტაფა
ქემალი. 1921 წელი.



მარცხნიდან მარჯვნივ: ფეჰზი ჩაქმაქი, მუსტაფა
ქემალი და ქიაზიმ ყარაბეკირი.



მე-15 საარმიო კორპუსის შტაბი. წინა რიგში, შუაში, ქიაზიმ ყარაბეკირ ფაშა



კაიზერი ვილჰელმ II და ენვერ ფაშა
კრეისერ „გებენის“ ბორტზე



ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ
კრესენშტაინი



იუსუფ იზეთ ფაშა



ჯემალ მერსინლი



შუაში აჰმედ ფაშა და შვილები – ენვერ და ნური ფაშები



ნური ფაშა ქილიგილი



ნური ფაშა და მისი ადიუტანტი ბაქოში. 1919 წელი.



აჰმედ იზეთ ფაშა



ენვერ ფაშა გერმანულ ოფიცერთან ერთად



Izzat Pasha and Jamal Pasha.

აჰმედ იზეთ ფაშა და აჰმედ ჯემალ ფაშა. სირია 1916 წელი.



აჰმედ ჯემალ ფაშა და გენერალი ერის ფონ ფალკენჰაიმი




ჯემალ ფაშა სირიის
გენერალ-გუბერნატორი



ჯემალ ფაშა ოფიცერთა ჯგუფთან ერთად.
იერუსალიმი, 1917.



აჰმედ ჯემალ ფაშა – ოსმალეთის იმპერიის
სამხედრო-საზღვაო მინისტრი



შალვა ელიავა
(1885-1937)

accompanied by Jamal Vasha.



Front row:- Von Schellendorf
Enver and Jamal, at the Salahiye School.

წინა რიგში დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: ბრონზარტ ფონ შელენდორფი,
ენვერ ფაშა და ჯემალ ფაშა



ბერძნული შენაერთების სპირანაში (იზმირი) შესვლა. 1919 წლის მაისი.



ბელა კუნი (1886-1938)



უნგრეთის წითელი არმია. 1919 წელი.



ბელა კუნი – უნგრეთის რევოლუციის ლიდერი. 1919 წელი.



აღმოსავლეთის ხალხთა 1-ლი ყრილობის დელეგატები.
ცენტრში კარლ რადეკი, ორატორი გრიგორი ზინოვიევი.
1920 წლის სექტემბერი




ელენა დმიტრიევნა სტასოვა
(1873-1966)



ადმოსავლეთის ხალხთა 1-ლი ყრილობის დელეგატები.
ცენტრში, თეთრ ხალათში ანასტას მიქოიანი.
1920 წლის სექტემბერი



ძერჟინსკის დაკრძალვის ცერემონიალი. 1926 წელი.
კუბო მიაქვთ კალინინს, იაგოდას, სტალინს, ლევ კამენევსა
და ტროცკის.



ალექსანდრ პარვუსი
(1867-1924)

თავი IV

ქემალისტურ-იტიკადისტური დაპირისპირება

– ენვერ ფაშა და ქემალ ფაშა ერთ მიმართულებას ადგანან. მათი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა. მათ შორის დაპირისპირების არსი იმაში მდგომარეობს, თუ ვინ მიიღებს „პირველობის პალმას“ – ენვერი თუ ქემალი. მასებში, ულაპარაკოდ, ენვერი უფრო პოპულარულია. მას მთელი თურქული მასა უჭერს მხარს. ენვერი თურქეთში თუ გამოჩნდება, მაშინ ქემალი იძულებული იქნება, გაიქცეს ან დიდი ხოცვა-ჟლეტა ატყდება მათი ერთმანეთთან დაპირისპირების გამო. ისინი მუსლიმანურ მასებში ბელადის როლის გამო ვერასდროს ვერ შეურიგდებიან ერთმანეთს. ამავე დროს, რაიმე სახის კომპრომისის მიღწევა მათ შორის შეუძლებელია – ასეთია თურქული მაღალი წრეების ფსიქოლოგია...

ნესტორ ლაკობა. 1921 წელი.

§4.1. მწვანე ნახევარმთვარე წითელი ვარსკვლავის ორბიტაზე

1920 წლის 10 სექტემბერს ბაქოში გამართულმა „აღმოსაღეთის ხალხთა“ I ყრილობამ მუშაობა დაასრულა. კომინტერნის ბელადებმა რადეკმა, ზინოვიევმა და ბუხარინმა ენვერ ფაშა ბაქოდან თითქმის ძალით წამოიყვანეს, რადგან ბოლშევიკებმა ჩათვალეს, რომ მუსლიმანური მასებისათვის მისი მოღვაწეობა მხოლოდ ენვერის მოსკოვში ყოფნის შემთხვევაში იქნებოდა სასარგებლო. ფაქტი ისაა, რომ ბაქოს ყრილობაზე ენვერ ფაშას მონაწილეობამ და მისმა ინტენსიურმა ურთიერთობებმა ყრილობის მუსლიმან წარმომადგენლებთან ნათლად გამოკვეთა ის რეალობა, რომ ენვერსა და რუს ბოლშევიკებს ამ ეტაპზე განსხვავებული ინტერესები ჰქონდათ და მათი იდეოლოგიური გზები არ იკვეთებოდა. კრემლის მესვეურთა „რჩევა“ ენვერ ფაშასადმი კი მისი მოსკოვში დაბრუნება იყო, სადაც ენვერის შემდგომი „რევოლუციური მოღვაწეობის“ ახალი სცენარები იწერებოდა...

საქმე იმაშია, რომ ბაქოში ყოფნისას ენვერ ფაშამ კონტაქტები დაამყარა სხვადასხვა ისლამურ ჯგუფებთან, განსაკუთრებით, ვოლგისპირეთის თათრებთან და მათ კომუნისტ ლიდერთან, ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრთან, მირსაიდ სულთან-გალიევთან, რომელიც ამავე დროს მუსლიმანთა ცენტრალური სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარეც იყო. სულთან-გალიევის მიერ მიწოდებულმა იდეამ „მუსლიმანი ეროვნული კომუნისტების“ შესახებ, აგრეთვე ტურარ რისკულოვისა³⁵¹ და ფაიზულა ხოჯაევის³⁵² მიერ შეთავაზებულმა აზრმა, რომ ყველა კოლონიური ქვეყნის რევოლუციური და კომუნისტური მოძრაობები უნდა გაერთიანებულიყვნენ ნაციონალური და ისლამური დროშის ქვეშ, დიდი ზეგავლენა იქონია იტიჰადისტთა ლიდერზე. სულთან-გალიევი ამბობდა: „ყველა კოლონიური მუსლიმანი ხალხი პროლეტარია და რადგან მუსლიმანური საზოგადოების თითქმის ყველა კლასი კოლონიალისტების მიერ განიცდის ჩაგვრას, ამიტომ ყველა კლასს აქვს უფლება, რომ მათ

³⁵¹ ტურარ რისკულოვი (1894-1938) – ყაზახი ეროვნების საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე. თურქესტანის კომუნისტური პარტიის მუსლიმანური ბიუროს თავმჯდომარე 1919 წელს. 1921 წელს რსფსრ ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარიატის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აზერბაიჯანში. 1921-1922 წლებში რსფსრ ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე. 1922-1924 წლებში მუშაობდა კომინტერნის სრულუფლებიან წარმომადგენლად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. 1926-1937 წლებში რსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ხალხთა თვითმმართველის დემოკრატიული პრინციპებისათვის ბრძოლის მოძრაობის ხელმძღვანელი, პარტიულ თანამდებობებზე ეროვნული კადრების მოზიდვის აპოლოგეტი და ინიციატორი. პარტიის ე.წ. „მემარჯვენე ფრთის“ ლიდერი. დაადანაშაულეს მარქსიზმისა და ლენინიზმის ძირითადი პრინციპებიდან და პარტიის გენერალური ხაზიდან გადახვევაში. 1937 წელს დააპატიმრეს და გამოაცხადეს ხალხის მტრად. დახვრიტეს 1938 წლის 10 თებერვალს ანტისაბჭოთა შეთქმულებაში მონაწილეობისა და ჯაშუშობის ბრალდებით.

³⁵² ფაიზულა ხოჯაევი (1896-1938) – უზბეკი საბჭოთა და პარტიული მოღვაწე, რევოლუციონერი. ბუხარის საამიროს მონარქისტული რეჟიმის მოწინააღმდეგე, „ახალგაზრდა ბუხარელთა“ პარტიის წევრი. 1917 წლიდან პარტიის ცეკას წევრი. ტაშკენტში გამოძავალი რევოლუციური გაზეთი „უჩკუნის“ რედაქტორი. 1920 წლიდან აღიანსში შედის ბოლშევიკებთან. რკპ(ბ) პარტიის წევრი და ბუხარის რეკომის თავმჯდომარე. 1920-1924 წლებში ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. 1922 წლიდან საკავშირო კომუნისტური პარტიის შუა აზიის ბიუროს წევრი. უზბეკეთის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე. 1925 წლიდან უზბეკეთის სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე და უზბეკეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1937 წელს, უზბეკეთის სსრ კომპარტიის VII ყრილობაზე გადააყენეს ყველა სახელმწიფო და პარტიული თანამდებობიდან. ამავე ყრილობაზე გარიცხეს კომუნისტური პარტიის რიგებიდან. იმავე წლის 9 ივლისს აპატიმრებენ და მოსკოვის მესამე პროცესზე ასამართლებენ ნიკოლაი ბუხარინთან, ალექსეი რიკოვთან, ჰენრიხ იაგოლასთან, ნიკოლაი კრესტინსკისთან და სხვებთან ერთად ტროცკისტული ჯგუფის წევრობის, შეთქმულების მოწყობისა და გერმანიის, იაპონიის, პოლონეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით. დახვრიტეს 1938 წლის 13 მარტს.

პროლეტარები ვუწოდოთ... აქედან გამომდინარე, ლეგიტიმურია ის დასკვნაც, რომ მუსლიმანურ ქვეყნებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს სოციალისტური რევოლუციის ხასიათი აქვს“.³⁵³

ყოველივე ამან ენვერ ფაშა ძალიან ორიგინალურ იდეამდე მიიყვანა, რათა თავისი ადრინდელი პანისლამური და პანთურქული იდეები ცალკეული კომუნისტური ტერმინოლოგიით შეეზავებინა და გაეერთიანებინა კომუნისტური, ნაციონალისტური და ისლამისტური იდეოლოგიის ელემენტები.

ენვერ ფაშას ინტენსიურმა კონტაქტებმა მირსაიდ სულთან-გალიევთან და თურქესტანელ დელეგატებთან მოსკოვი დააფრთხო. წინ გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვი, რომ რკპ(ბ) ცეკასთან არსებული აღმოსავლეთის ხალხების კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარისა და რსფსრ ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის, მირსაიდ სულთან-გალიევის იდეებში, სტალინის ხედვით, უკვე მაშინ შეინიშნებოდა ისლამის აპოლოგეტობა და „ნაციონალ-უკლონიზმი“. მალე სტალინმა მიერ სულთან-გალიევი „ისლამური მარქსიზმის“ იდეოლოგიის დამფუძნებლად მიიჩნია. ეს კი იმ მომენტისათვის უკვე ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკური პარტიის გენერალურ ხაზს. ამ ამბებიდან ძალიან მალე, 1923 წელს სულთან-გალიევი დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს. ბრიტანელი მეცნიერი, რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის სპეციალისტი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯოფრი ჰოსკინგი (Geoffrey Hosking) წერს, რომ „1928 წელს იგი ხელმეორედ დააპატიმრეს და სიკვდილითაც დასაჯეს. მოგვიანებით ტროცკი და ლევ კამენევი³⁵⁴ აღნიშნავენ, რომ მირსაიდ სულთან-გალიევი „გენსეკის პირველ მსხვერპლს წარმოადგენდა“...³⁵⁵ აქ ავტორი უხეშად ცდება. სულთან-გალიევი 1928 წელს არ დაუხვრებიათ. ეს ისტორიული ფაქტია. იგი მართლაც დააპატიმრეს 1928 წელს და სიკვდილიც მიუსაჯეს, მაგრამ 1931 წლის იანვარში სასჯელი შეუმსუბუქეს და დახვრეტის განაჩენი ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს. 1934 წელს მას ვადაზე ადრე ათავისუფლებენ და ნებას რთავენ, იცხოვროს სარატოვის ოლქში. 1939 წელს მირსაიდ სულთან-გალიევს ხელმეორედ აპატიმრებენ და მისთვის ისევ გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენი, რაც აღსრულდა კიდევ 1940 წლის 2 იანვარს.³⁵⁶

გარდა წმინდა თურქული და პანთურქული პროგრამისა, ენვერ ფაშამ უფრო ფართო, პანისლამისტურ პლატფორმაზეც დაიწყო ფიქრი. მისი იდეოლოგიური ჩანაფიქრი ე.წ. „ისლამური ერთიანობის ლიგის“ (Islam Cemiyetleri ittihadi), სხვანაირად, „ისლამური რევოლუციური საზოგადოებების ლიგის“ შექმნაში მდგომარეობდა, რევოლუციურ-პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომელსაც ახლო და შუა აღმოსავლეთის,

³⁵³ Şuhnaz Yılmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206. Pg. 110-111. Public Records Office FO 371/5178 (13412/345/44).

³⁵⁴ ლევ ბორისოვიჩ კამენევი (ნამდვილი გვარი – როზენფელდი) (1883-1936) – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ბოლშევიკი, რევოლუციონერი, ლენინის თანამებრძოლი. მისი ახალგაზრდობა და რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი თბილისს უკავშირდება. 1901 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია. 1903 წელს ამზადებდა თბილისის რკინიგზელთა გაფიცვას. 1903 წლიდან პარიზშია, სადაც ეცნობა ლენინს. 1904 წელს ლენინის დავალებით ისევ თბილისში ჩამოდის და ამირკაკასიის მსშტაბით ეწევა აგიტაციას პარტიის ახალი ყრილობის მოსაწვევად. 1907 წელს, რსდმპ მე-5 ყრილობაზე ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ირჩევენ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ) პირველ თავმჯდომარედ. მონაწილეობდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებებში. 1919 წლის მარტიდან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია. 1922 წლის 3 აპრილს სწორედ ლევ კამენევის რეკომენდაციით დაინიშნა ი. სტალინის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. 1922 წლის 14 სექტემბერს ინიშნება რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და რსფსრ შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1922 წლის დეკემბრიდან სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

³⁵⁵ Geoffrey Hosking. The first Socialist Society: A history of the Soviet Union from within. Second edition. Cambridge. 1993. Pg. 21.

³⁵⁶ Ланда Р.Г. Мирсаид Султан-Галиев <http://historystudies.org/2012/07/landa-r-g-mirsaid-sultan-galiev/>.

ასევე სამხრეთ და შუა აზიის ანტიიმპერიალისტურ ძალებთან უნდა ეთანაშრომლა. ამავე ორგანიზაციის ფილიალი გახდა უკვე თურქეთში შექმნილი „სახალხო საბჭოთა პარტიაც“ (Halk Suralari Firkasi).

ენვერმა ინტენსიური მუშაობა დაიწყო იმისათვის, რომ მჭიდრო კავშირები დამყარებულიყო ამ ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე ანატოლიაში მყოფ იტიჰადისტთა ჯგუფებთან, რომლებიც მას უჭერდნენ მხარს. და რაც მთავარია, „ლიგას“ თავისი შეიარაღებული ძალები უნდა ჰყოლებოდა. ასეთ სამხედრო-პოლიტიკურ პროექტს, გარკვეულწილად რაღაც „ისლამურ კომუნისტურ ინტერნაციონალს“, „ისლამურ კომინტერნს“ თუ „ისლამინტერნს“ ყველა მისმა ძველმა თანაპარტიელმა დაუჭირა მხარი. ფაქტია, რომ ენვერ ფაშა და მისი ჯგუფი რევოლუციური ორგანიზაციების გაერთიანებას გეგმავდნენ მალრიბიდან სინცზიანამდე. ამ იდეაზე ფიქრი ენვერ ფაშამ დიდი ხნის წინათ დაიწყო. ჯერ კიდევ 1920 წლის 26 თებერვალს ჯემალ ფაშასადმი „ალი ბეის“ ფსევდონიმით გაგზავნილ წერილში ენვერ ფაშა დარწმუნებული იყო, რომ „იგი, ენვერ ფაშა გადაარჩენდა თურქულ და მუსლიმანურ სამყაროს“.³⁵⁷

მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ამ ე.წ. „ლიგის“ მსგავს პროექტს ენვერის მოსკოვში ჩამოსვლისთანავე, მთელი 1920 წლის ზაფხულის განმავლობაში განიხილავდნენ ბუხარინი, ჩიჩერინი და კარახანი. აქ ენვერ ფაშასა და კრემლის მესვეურთა ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა.

ენვერ ფაშას იდეოლოგიური მეტამორფოზები, ერთი შეხედვით, ძნელად წარმოსადგენია, თუმცა შავ პოლიტიკაში ზნეობრივი ღირებულებებით აპელირება ნამდვილად უმაღური საქმეა. იმის თქმაც არ შეიძლება, რომ მოსკოვი ბოლომდე ენდობოდა ენვერ ფაშას აღმოსავლეთში „წმინდა ომის“ გაჩაღების კონტექსტში. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ახალგაზრდა თურქთა“ ყოფილი ლიდერი და ოსმალთა ყოფილი სამხედრო მინისტრი ჯერ კიდევ დიდი პოპულარობით სარგებლობდა აღმოსავლეთის ხალხებში. ამიტომ მოსკოვმა იგი არ უარყო და გარკვეული სიახლოვე შეინარჩუნა მასთან. კრემლის მიერ დაწერილ დიდ პოლიტიკურ სცენარში ენვერ ფაშასათვის ჯერჯერობით სათადარიგო მოთამაშის ადგილი გამოიძებნა. ენვერ ფაშა მუსტაფა ქემალის გარკვეული საპირწონე უნდა გამხდარიყო, შესაძლოა, მისი შემცველიც. გააჩნია შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას და იმ გარემოებას, თუ რომელი უფრო წარმატებით გაართმევდა თავს დასმული ამოცანის შესრულებას.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ენვერ ფაშა კონტაქტებს ინარჩუნებდა ბოლშევიკთა ლიდერებთან და ლენინთან. არსებობს ცნობები, თითქოს მან კავშირები დაამყარა ბექირ სამი კუნდუხის³⁵⁸ (ოსური წარმომავლობის მუჰაჯირთა შთამომავალი) ხელმძღვა-

³⁵⁷ Şevket Süreyya Aydamira. Makedonya'dan Ortaasya'ya Enver paşa 1914-1922. Vol. III, (Istanbul, 1972). S 531.

³⁵⁸ ბექირ სამი კუნდუხი (Bekir Sami Kunduh) (1864-1932) – ოსური წარმომავლობის ოსმალ და თურქი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრი და მუსტაფა ქემალის (ათათურქი) მთავრობაში საგარეო საქმეთა პირველი მინისტრი 1920 წლის 3 მაისიდან 1921 წლის 8 მაისამდე. დაიბადა ჩრდილოეთ ოსეთში მეფის ოფიცრის, ეროვნებით ოსი და სარწმუნოებით მუსლიმანის, გენერალ-მაიორ მუსა კუნდუხოვის ოჯახში. რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, მუჰაჯირების სახით ოჯახი მალე გადასახლდა ოსმალეთის იმპერიაში. დაამთავრა გალათასარაის ლიცეუმი, შემდეგ – პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა პარიზში. ოსმალთა იმპერიის პერიოდში იყო სირიის გუბერნატორი. თავიდანვე მიემხრო ქემალისტურ მოძრაობას. იყო სივასის კონგრესის მონაწილე, ემხრობოდა ამერიკული მანდატის მიღებას. 1920 წელს დაინიშნა ანკარის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრად. წარმოადგენდა ქემალისტთა მიერ მოსკოვში გაგზავნილი პირველი დელეგაციის ხელმძღვანელს. დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოსკოვმა მნიშვნელოვანი ფინანსური, სამხედრო და ტექნიკური დახმარებები გაუწია მუსტაფა ქემალის ანკარის მთავრობას. 1921 წელს ხელმძღვანელობდა ანკარის სამთავრობო დელეგაციას ლონდონში, ასევე აწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკებებს ლოიდ-ჯორჯთან სევრის ხელშეკრულების პირობების შემსუბუქების მოთხოვნით. მანვე მოაწერა ხელი იმავე წლის 9 და 11 მარტს საფრანგეთსა და იტალიასთან დადებულ ხელშეკრულებებს. 1922 წლიდან ოპოზიციაში უდგება მუსტაფა ქემალს. 1924-1925 წლებში იყო ოპოზიციური „პროგრესულ-რესპუბლიკური პარტიის“ წევრი. მუსტაფა ქემალის მიერ ოპოზიციის წინააღმდეგ გატარებული რეპრესიების შემდეგ, ბექირ სამი კუნდუხი თავს ანებებს პოლიტიკურ მოღვაწეობას. გარდაიცვალა 1932 წელს.

ნელობით ანკარიდან მოსკოვში ჩასულ ქემალისტთა პირველ დელეგაციასთანაც. პირველი თურქული დელეგაცია კი ბექირ სამის ხელმძღვანელობით ანკარიდან 1920 წლის 11 მაისს გაემგზავრა და მოსკოვში მხოლოდ 19 ივლისს ჩააღწია. ამ შეხვედრაზე ბექირ სამი პირადად შეხვდა ლენინს. მოსკოვში გამართულმა მოლაპარაკებებმა ნიადაგი მოამზადა წინასწარი შეთანხმებისათვის, რომელიც 24 აგვისტოს შედგა.³⁵⁹

ენვერ ფაშა გარკვეულწილად შუამავლადაც კი გამოდიოდა თურქეთის დიდ ეროვნულ კრებასა და კრემლს შორის 1921 წლის 16 მარტის „მეგობრობისა და ძმობის“ ხელშეკრულების დადებისას. თუმცა დოკუმენტალურად ენვერ ფაშას როლზე ბოლშევიკებსა და ქემალისტებს შორის მოსკოვის შეთანხმების მიღწევაში არაფერი არაა ცნობილი. მუსტაფა ქემალისადმი გაგზავნილ წერილში ენვერი დიდი ენთუზიაზმით აღნიშნავდა, რომ ამ შეთანხმების დადების საქმეში გადამწყვეტი როლი მისი იყო. მუსტაფა ქემალის საპასუხო წერილში კი, რომელიც საერთოდ დაცლილი იყო ენთუზიაზმისაგან, სულაც არ იგრძნობოდა ენვერის პიროვნებისადმი პატივისცემა. დადებითი ემოციების ნაცვლად, ენვერ ფაშას გამოჩენამ და მისმა პოლიტიკაში აქტიურად ჩართვამ მუსტაფა ქემალი დააფრთხო. იგი შიშობდა, რომ ენვერ ფაშას პანისლამისტური მისწრაფებები ბოლშევიკებზე ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა და ნაციონალისტების საქმეს ავნებდა ანატოლიაში. რაც მთავარია, რევოლუციურ ასპარეზზე ენვერ ფაშას გამოჩენა დიდ საშიშროებას უქმნიდა თვით მუსტაფა ქემალის პოლიტიკურ კარიერას. გენერალ ალი ფუატ ჯეპესოის მეშუარების მიხედვით, მუსტაფა ქემალი ენვერ ფაშასადმი გაგზავნილ ჯერ კიდევ 1920 წლის 4 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში აღნიშნავდა, რომ მთავარ იდეად ბოლშევიკებთან ერთად ბრძოლას ისახავდა ბრიტანელთა ჩაგვრის წინააღმდეგ, „რომლებიც ცდილობენ, აღმოსავლეთის მუსლიმანი და არამუსლიმანი მოსახლეობა ცხოველზე უფრო დაბლა მდგომებლად წარმოაჩინონ“.³⁶⁰

თუმცა მუსტაფა ქემალის შიში ენვერ ფაშას პანისლამისტური გადახრების გამო უსაფუძვლო იყო. კრემლი სულ სხვანაირად მიუდგა აღნიშნულ საკითხს. ამ ეტაპზე ბოლშევიკთა ლიდერებმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს ენვერის პანისლამისტური იდეოლოგია, ოღონდ ცოტა შეცვალეს მისი „ელფერი“ – იგი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონტექსტში ჩასვეს, გაითვალისწინეს რა ენვერ ფაშას პიროვნების უდიდესი ზეგავლენა ისლამურ სამყაროზე. კრემლმა ორ პუნქტად გადაწყვიტა „აღმოსავლური საკითხის“ გადაჭრა:

1. ბოლშევიკთა მიერ ისლამური სამყაროს გაერთიანებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
2. ბრიტანული ჩაგვრის წინააღმდეგ ისლამური ქვეყნების ბრძოლის წახალისება;

ბოლშევიკთა მხარდაჭერით აღფრთოვანებული ენვერ ფაშა ქმნის ორგანიზაციას, ე.წ. „ისლამური რევოლუციური საზოგადოებების ლიგას“. ეს იყო „მაროკოს, ალჟირის, ტუნისის, ტრიპოლის, ეგვიპტის, არაბეთისა და ინდოეთის რევოლუციური ორგანიზაციების კავშირი“. ჯერ დასახელება რად ღირს. კომინტერნის III კონგრესზე კი გაჟღერდა, რომ ლიგა მყარ კონტაქტებს დაამყარებდა მთელ რიგ რელიგიურ-ნაციონალისტურ ორგანიზაციებთან „მაროკოდან იავამდე“.³⁶¹

³⁵⁹ Мустафа Озтюрк. Советско-Турецкие отношения на Кавказе в 1919-1923 г.г. Санкт-Петербургский государственный университет. 2010. Стр. 20.

³⁶⁰ Ланда Р. Г. Мирсайд Султан-Галиев. Мухамедьяров Ш. Первая жертва генсека. – Исламский вестник, 1992, N 10, с. 56; BENNIGSEN A., LEMERCIER-QUELQUEJAY Ch. Sultan Galiev, le pere de la revolution tiers- mondiste. P. 1986, p. 7 – 8; Мухамедьяров Ш. УК. соч., с. 21; Тайны национальной политики ЦК РКП. Стенографический отчет секретного IV совещания ЦК РКП, 1923. М. 1992, с. 6. <http://historystudies.org/2012/07/landa-r-g-mirsaid-sultan-galiev/>.

³⁶¹ Ali Fuat Cebesoy. Moskova Hatiralan (21/11/1920—2/6/1922). «Vatan» Ne – riyati. Istanbul, 1955. Vol. II. Pg. 72.

მეტად საინტერესოა ამ ორგანიზაციის წევრთა ფიცის ტექსტი, რომელსაც შემდეგი სახე ჰქონდა: „ღმერთის წინაშე ვფიცავ და ვიძლევი ღირსეულ სიტყვას, რომ ჩვენი ჩაგრული ძმების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში არ დავიშურო არც სული და არც ქონება, მხარი დავუჭირო მათ სულიერად და მატერიალურად. ასევე ფიცს ვდებ, რომ დავიცვა ჩვენი საზოგადოების საიდუმლოება. უფალო, დაგვიფარე...“.³⁶²

საბჭოთა მთავრობის გულის მოგების მიზნით ლიგის კომიტეტის წევრებმა დეკლარაციულად გამოხატეს პროკომუნისტური იდეოლოგიისადმი ერთგულება, თუმცა კომუნისტური დოქტრინებისა და სწავლებების გავრცელებისადმი დამოკიდებულებას ერთობ თავშეკავებულად მოეკიდნენ. „ნათელია, რომ რეალობაში ორივე მხარე ერთმანეთს საკუთარი მიზნების მიღწევის ინსტრუმენტად მოიაზრებდა“,³⁶³ – აღნიშნავს ბრიტანელი ისტორიკოსი და მკვლევარი სალაჰი რ. სონიელი (Salahi R. Soniel), რასაც ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებით.

„ისლამური რევოლუციური საზოგადოებების ლიგა“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაქტიურად „კომინტერნის“ გარდასახული ვარიანტი იყო ისლამური ქვეყნებისათვის, ასე ვთქვათ, მუსლიმანთა რევოლუციური ინტერნაციონალი, ისლამური ინტერნაციონალი ან მოკლედ – „ისლამინტერნი“. ამ ფსევდოორგანიზაციის – ისლამინტერნის ეგიდით ენვერ ფაშამ კიდევ უფრო ეფემერული პოლიტიკური ორგანიზაცია თუ პარტია „სახალხო საბჭოთა პარტია“ (Halk Şularalı Fırkası) ჩამოაყალიბა (Sic!). ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსისა და აღმოსავლეთმცოდნის, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ მარტინ კრამერის (Martin Kramer) მიხედვით, შესაბამისად განისაზღვრა იტიჰადისტ ლიდერთა მოქმედებების არეალებიც – ენვერ ფაშა თურქესტანში, ჯემალ ფაშა ავღანეთსა და ინდოეთში, ხოლო ჰალილ ფაშა – ირანში.³⁶⁴

„ისლამური რევოლუციური საზოგადოებების ლიგის“ ეგიდით ექსოსმალო გენერლების, ენვერ, ჯემალ და ჰალილ ფაშების აღმოსავლეთის ქვეყნებში გადანაწილებისა და ბოლშევიკური რეზიდენტურების შექმნის პროცესი, რა თქმა უნდა, კრემლის მიერ იყო ვიზირებული. თუმცა ამ სამეულს გენერალი ჰალილ ფაშა გამოაკლდა, მან თურქული სახელმწიფოს გადარჩენის სულ სხვა გზა აირჩია და ანატოლიაში, გენერალ მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით დაწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობას შეუერთდა, რითაც იტიჰადისტებს გაემიჯნა, ამავე დროს კრემლთან არსებული ახლო კავშირები კიდევ უფრო გააღრმავა. „ისლამინტერნმა“ კონტაქტები დაამყარა ეგვიპტის პარტია „ვატანთან“, მის წევრებს შეხვედრები ჰქონდათ აგრეთვე ევროპაში გადახვეწილ სირიელებსა და ინდოელებთან. კომინტერნის ტრადიციების შესაბამისად, „ლიგამაც“ ჩაატარა თავისი ყრილობები ბერლინსა და რომში 1920 წლის ბოლოს. მის სტრუქტურაში დაუსწრებლად ჩაერთო აღმოსავლეთ თურქესტანი (თავმჯდომარე ჰალილ ფაშა) და ავღანეთი (ჯემალ ფაშა). მათ შორის პასუხისმგებლობის ზონებიც კი განაწილდა და გაფართოვდა. შუჰნაზ ილმაზის მიხედვით, „ჯემალ ფაშას ინიციატივით იგი პასუხს აგებდა ინდოეთზე, ავღანეთზე, ფერღანასა და თურქესტანზე. ენვერ ფაშა – ირანზე, ხივასა და თურქმენეთზე“.³⁶⁵ ამ ქიშკრიანი ორგანიზაციის ხელმძღვანელები თავიანთ გეგმებში ისე შორს წავიდნენ, რომ მის რიგებში თვით მუსტაფა ქემალიც

³⁶² Martin Kramer. Islam Assembled. The Advent of the Muslim Congresses. New York. Columbia University Press. 1986. Pg. 72. Protokoll des III Kongresses der Kommunistischen Internationale, 103-10. <http://www.martinkramer.org/sandbox/wp-content/uploads/2012/02/Six.pdf>.

³⁶³ Salahi R. Soniel. Mustafa Kemal and Enver in Conflict, 1919-1922. Middle Eastern Studies, Vol. 25, No.4 (Oct., 1989), Published by Taylor and Francis, Ltd. <http://www.jstor.org/stable/4283334>. pg. 512.

³⁶⁴ Martin Kramer. Islam Assembled. The Advent of the Muslim Congresses. New York. Columbia University Press. 1986. Pg. 72. Protokoll des III Kongresses der Kommunistischen Internationale, 103-10. <http://www.martinkramer.org/sandbox/wp-content/uploads/2012/02/Six.pdf>.

³⁶⁵ Şuhnaz Yılmaz. In pursuit of elisive glory: Enver Pash's role in the Pan-Islamic and Basmachi movements. International journal of Turkish studies. Volume 13, №1-2. 2007. Pg. 40.

ჩართეს. (Sic!) მუსტაფა ქემალი კი ამ იდეას სერიოზულად არ აღიქვამდა, თავისი ყოფილი მეთაურებისა და ენვერ ფაშას მიმართ მას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ჩამოყალიბებული – იგი ენვერ ფაშას რუსეთისა და გერმანიის აგენტად მიიჩნევდა. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ „ლიგას“ არ გააჩნდა კონკრეტული რევოლუციური პროგრამა და სტრატეგია, მის მოწოდებებს იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლების შესახებ და ისლამური ერთიანობის ლოზუნგს, შესაძლებელია, სერიოზული გამოხმაურება მოჰყოლოდა შუა აზიაში, ავღანეთსა და ინდოეთში.

კომინტერნის III კონგრესის შემდეგ ენვერმა და მისმა თანამოაზრეებმა აქტიური მოქმედების გეგმა შეიმუშავეს. ეს გეგმა ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა:

I – ისლამური რევოლუციების ხელმძღვანელობა და ბრიტანული მმართველობის დასრულება ინდოეთსა და სხვა ბრიტანულ კოლონიებში;

II – რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება ჩრდილოეთ აფრიკაში ფრანგული და ესპანური კოლონიური რეჟიმების გადაგდების მიზნით;

„ისლამური კომიტეტის“ განყოფილებები ევროპაშიც დაარსდა – ბერლინში, რომში, ლოზანასა და პარიზში. ასევე თურქეთში, ავღანეთსა და სპარსეთში.³⁶⁶

მწვანე ნახევარმთვარემ წითელი ვარსკვლავის ორბიტაზე დაიწყო ბრუნვა...

1921 წლის 4 თებერვალს გაზეთ „ИЗВЕСТИЯ“-ში გამოქვეყნებულ მოწინავე სტატიასში „კიდევ ერთხელ აღმოსავლური კვანძის შესახებ“ ავტორი, კრემლის იმდროინდელი იდეოლოგიური რუპორი, იური სტეკლოვი (ნამდვილი გვარ-სახელი ოვში მოისევიჩ ნახამკისი), წერდა: „ანგლო-ფრანგული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირე ძალა აღმოსავლეთში, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა სპარსეთი, თურქეთი და ა.შ. შეგვიძლია მოვძებნოთ არა მარტო რევოლუციურად განწყობილ მასებში, არამედ რევოლუციურ ნაციონალურ ელემენტებშიც. მათი უკუგდება ტაქტიკურად გაუმართლებელი ქმედებებით, თუ ეს გადაუდებელი აუცილებლობით არაა გამოწვეული, გამოიწვევს მათ ანტანტასთან დაახლოებას. ეს კი, ჩვენი მსხვილი პოლიტიკური შეცდომა იქნება“.³⁶⁷

აი ასე – „რევოლუციური ნაციონალური ელემენტები“. მთავარია იდეა და ამ იდეის რეალიზება, მიზნის მიღწევა კი ნებისმიერი გზებითა და საშუალებებითაა დასაშვები, ისტორიული მეხსიერება და ისტორიის მწარე გაკვეთილების გათვალისწინება მეორეხარისხოვანი, უმნიშვნელო საკითხია.

ასეთი იყო XX საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიზმის რევოლუციონერი მამების იდეოლოგიური და სახელმწიფოებრივი სტრატეგია ახალ თურქულ სახელმწიფოსთან და ახალ თუ ძველ თურქ სამხედრო მოღვაწეებთან მიმართებაში. ამ ურთიერთობებში ენვერ ფაშამ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა და ისიც ფაქტია, რომ მას გარკვეული ფინანსური დახმარებებიც გაეწია კრემლიდან. ასე მაგალითად, 1921 წლის დასაწყისში მან საკუთარი ხარჯების დასაფარად, „ალი ბეის მისიის“ შესანახად და პოლიტიკური აქტივობის შესანარჩუნებლად კრემლისგან 400000 გერმანული მარკა მიიღო. დამატებით, „ენვერის ჯგუფის სუბსიდირების საკითხი“ დადებითად გადაწყდა 1921 წლის 22 აპრილს გამართულ რკპ(ბ) ცეკას პოლიტიბიუროს სხდომაზე, რომელსაც ლენინი, სტალინი, კამენევი, რადეკი და სხვები ესწრებოდნენ. ენვერისა და მისი ჯგუფის სუბსიდირება შემდეგშიც გრძელდებოდა.

³⁶⁶ Martin Kramer. Islam Assembled. The Advent of the Muslim Congresses. New York. Columbia University Press. 1986. Pg. 506-507. Protokoll des III Kongresses der Kommunistischen Internationale, 103-10. <http://www.martinkramer.org/sandbox/wp-content/uploads/2012/02/Six.pdf>.

³⁶⁷ Станислав Тарасов. Как большевики и кемалисты делили Закавказье. Аналитика, обзоры, интервью. REGNUM. RLI. <http://www.regnum.ru/news/polit/1429045.html>.

ჩიხერიანის წერილი რკპ(ბ)-ს ცეკას.

1921 წლის 22 აპრილი.

„ენვერის ჯგუფის სუბსიდირების საკითხი ცალკე დგას მათ მიერ მოსკოვში გაზეთის გამოცემის საკითხისგან. სუბსიდირება იმიტომაა საჭირო, რომ თურქი ნაციონალისტების – არაქემალისტების ორგანიზაციამ შეძლოს არსებობა. ეს ის ელემენტებია, რაც დარჩა „ახალგაზრდა თურქების“ ხელმძღვანელთა ძველი ჯგუფიდან, რომლებსაც დიდი კავშირები აქვთ ცენტრალურ ევროპაში, ასევე კავშირები და აქტიური ჯგუფები ეგვიპტეში, ალჟირში, მაროკოსა და ა.შ. მათ წელიწადში საკმაოდ მცირე თანხა, სულ რაღაც 150000 ლირა სჭირდებათ. ჩვენ ვთვლით, რომ ეს უნდა გაკეთდეს. მათ ისეთი კავშირები და სამუშაო სფეროები აქვთ, რაც ქემალისტებს არა აქვთ. ქემალისტების გარდა, სასარგებლოა, კონტაქტები შევინარჩუნოთ პარალელურ თურქულ ცენტრთან. თვითონ ენვერი, მართალია, უფრო იმპერიალისტურ დაჯგუფებას განეკუთვნება, მაგრამ როგორც დახვეწილი პოლიტიკოსი, ქემალისტებზე უკეთესად ორიენტირდება დღევანდელ სინამდვილეში და ჩვენი როლიც კარგად ესმის. ჩვენ უეჭველად მოგვიწევს, კიდევ ვისარგებლოთ მისი პოლიტიკური სამსახურითა და მოქმედებებით“.³⁶⁸

შუჰნაზ ილმაზის მიხედვით 1920 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის თებერვლამდე ენვერ ფაშა ევროპაში იმყოფებოდა, სადაც იგი ისლამური რევოლუციური საზოგადოებების შექმნით იყო დაკავებული. ამავე დროს, მან კონტაქტები დაამყარა გერმანელებთან და იტალიელებთან იმ მიზნით, რომ იარაღი ემოვა საბჭოელებისათვის. ამ ეპიზოდში ილმაზი აშკარად ცდება. ენვერ ფაშამ გერმანიაში პირველი ჩასვლისთანავე, 1918 წლის ბოლოდან დაამყარა კონტაქტები გენერალ ჰანს ფონ სექტთან და მოსკოვში იგი „ცარიელი ხელებით“ არ ჩამოსულა. მან ლენინს თავიდანვე შესთავაზა გერმანიიდან იარაღის მიწოდების ორგანიზება. ეს უკვე ჩვენთვის ცნობილი ამბავია.

კრემლთან დაახლოებასა და საქმიანი ურთიერთობების დამყარებაში ენვერ ფაშას საკუთარი ეგო და მერკანტილური მიზნები ამოძრავებდა. მისთვის მიუღებელი იყო მუსტაფა ქემალის პოზიციების განმტკიცება ანატოლიაში და ფიქრობდა, რომ საბჭოთა ფულითა და იარაღით იგი ისევ ძლევამოსილად შევიდოდა აღმოსავლეთ ანატოლიაში და სათავეში ჩაუდგებოდა წინააღმდეგობის მოძრაობას, შემდეგ კი დანარჩენ თურქეთსაც გადასწვდებოდა. ენვერ ფაშა იმედოვნებდა, რომ ანატოლიის არმიის სარდლობას ჩაიბარებდა და ამგვარად, ბერძნებსაც დაამარცხებდა. ენვერის ამ მოლოდინს ნამდვილად ჰქონდა საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ენვერ ფაშას ხელმძღვანელობით ოსმალთა იმპერია I მსოფლიო ომში დამარცხდა, იგი მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობდა თურქ სამხედროთა წრეში. ისიც ფაქტია, რომ მას ისევ ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა პოლიტიკოსთა შორისაც. ანკარის მთავრობის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი, ბექირ სამი კუნდუხი კი ალბათ მუსტაფა ქემალის დავალებით ურჩევდა ენვერ ფაშას, რომ თავისი პოლიტიკური აქტივობა და კავშირები ახალი თურქეთის სასარგებლოდ გამოეყენებინა, რისთვისაც უმჯობესი იქნებოდა მისი საზღვარგარეთ ყოფნა.

³⁶⁸ Русско-армянское содружество. Они ответят перед судом Истории. „Новое время“, Источник: vaug.ucoz.

§4.2. კრემლი არჩევანის წინაშე – ენკერ ფაშა თუ მუსტაფა ქემალი?

1920-1921 წლების ზამთარი მოსკოვისა და რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს მოქმედებების აქტივიზაციის პერიოდი. თურქეთში იწყება აფხაზი „ბოევიკებისა“ და პროპაგანდისტების (ე. ეშბა, ნ. ლაკობა, კ. ინალიფა) შეგზავნა იატაკქვეშა საქმიანობისათვის, კერძოდ, თურქეთის კომპარტიის მუშაობის არეალის გაფართოებისთვის, აფხაზურ დიასპორასთან კავშირების გამყარებისა და მათი მხრიდან საბჭოთა რუსეთისთვის პოლიტიკური მხარდაჭერისთვის – აღნიშნავს რუსი მეცნიერი სვეტლანა ჩერვონაია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის საეროვნებათაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ვაშინგტონის ვუდრო ვილსონის სახელობის სამეცნიერო ცენტრთან არსებული რუსული კვლევების ქენანის ინსტიტუტის მიწვეული პროფესორი.³⁶⁹

კრემლს ზუსტად უნდა შეეფასებინა კონკურენტები. საკითხი კი ასე იდგა – ვინ უფრო პერსპექტიულია „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა“ და „რევოლუციური ჯიჰადის“ სცენარში ჩასასმელად, ენკერ ფაშა თუ მუსტაფა ქემალი?

სწორედ ამ მისიით იქნენ წარგზავნილნი ანატოლიაში აფხაზი ემისრები. აფხაზეთის ე.წ. „რეკომის“ თავმჯდომარის, ეფრემ ეშბასა და მისი მოადგილის, ნესტორ ლაკობას მისიას დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. ამ მისიის მთავარი დანიშნულება ანატოლიაში არსებული ძალთა ბალანსის დადგენა, მუსტაფა ქემალისა და ანატოლიის წინააღმდეგობის მოძრაობის სხვა ლიდერთა შესწავლა, ვითარების შეფასება და შესაბამისი მოხსენებითი ბარათების შემუშავება იყო.

საბჭოთა და რუსული ისტორიოგრაფიისათვის ათწლეულების განმავლობაში აფხაზ ბოლშევიკთა ანატოლიური ვოიაჟები ღრმად გასაიდუმლოებული და ისტორიის ფურცლებიდან ამოშლილი იყო. მხოლოდ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ 2012 წლის 21 აგვისტოს მოსკოველმა პოლიტოლოგმა ვლადიმერ ნოვიკოვმა, რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში (РГАСПИ – Российский Государственный Архив Социально-политической Истории) აღმოაჩინა ამ მივლინების ანგარიშები. მისი ყურადღება ოთხმა დოკუმენტმა მიიპყრო: ნესტორ ლაკობას 1921 წლის 8 მაისის მოხსენებამ აღმოსავლეთის ხალხთა პოლიტიკური საბჭოსადმი თურქეთში არსებული მდგომარეობის შესახებ; ეფრემ ეშბას 1921 წლის 20 აპრილის მოხსენებამ იგივე საბჭოს თურქეთში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ; ამხანაგ ეფრემ ეშბას 1921 წლის იანვრის საუბრების სტენოგრამებმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ბექირ სამისთან და მისივე საუბრის სტენოგრამა მუსტაფა ქემალთან. „დოკუმენტებიდან ჩანს, რომ საბჭოელებისა და თურქეთის პოლიტიკა განსხვავებულია. თავის ანგარიშებში ნესტორ ლაკობა წერდა, რომ საჭიროა საფუძველშივე იქნას გადახედული თურქეთთან წარმოებული საბჭოური პოლიტიკა. ბექირ სამისთან საუბრებიდან კი ჩანს, რომ იგი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკას. ასეთივე პოზიციებზე იდგა მუსტაფა ქემალიც. სტენოგრამიდან ისიც ჩანს, რომ ათათურქს ეჭვი ეპარებოდა საბჭოთა პოლიტიკის გულწრფელობაში. თუმცა, თავის მხრივ ლაკობაც და ეშბაც ეჭვით ეკიდებოდნენ თურქეთის პოლიტიკას“...³⁷⁰

³⁶⁹ Светлана Червонная. Абхазы – 1992: Посткоммунистическая вандея. Хроника основных событий в политической жизни Абхазии (1917-1992) (Москва /«Мосгорпечать»: 1993).

³⁷⁰ <http://apsnypress.info/news/7029.html>.

აქ მცირე დაზუსტებაა საჭირო. 1921 წლისათვის ახალი თურქული წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი და თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე მუსტაფა ქემალი „ათათურქის“ ზედწოდება-გვარს ჯერ კიდევ არ ატარებდა. ეს გვარი მან მხოლოდ 1934 წლიდან აიღო თურქი ხალხის მოთხოვნის შემდეგ. და საერთოდ, თურქეთის რესპუბლიკაში გვარებმა მხოლოდ 1934 წლიდან დაიწყეს დამკვიდრება, მანამდე კი, ოსმალურ და ზოგადად, მუსლიმანურ სამყაროში, გვარის ცნება, უბრალოდ, არ არსებობდა.

აფხაზეთის რეგკომის თავმჯდომარის მოადგილის ნესტორ ლაკობას
მოხსენებითი ბარათი

აღმოსავლეთის ხალხების პროპაგანდისა და მოქმედების საბჭოს.

1921 წლის 8 მაისი.

„ჩვენი ჯგუფის გადაწყვეტილებით გავედი ტრაპიზონიდან და ჩავედი კონსტანტინოპოლში 1920 წლის 17 დეკემბერს. აქ მე ვიმყოფებოდი 1 თვისა და 10 დღის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ჩავატარე მთელი ძველი თურქეთის კონტრდაზვერვა...“

ენვერ ფაშა და ქემალ ფაშა.

ეს ხალხი ერთი მიმართულებისაა. მათი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა. მათ შორის დაპირისპირების არსი იმაში მდგომარეობს, თუ ვინ მიიღებს „პირველობის პალმას“ – ენვერი თუ ქემალი. მასებში ულაპარაკოდ ენვერი უფრო პოპულარულია. მას მხარს უჭერს მთელი თურქული მასა. ენვერი თურქეთში თუ გამოჩნდება, მაშინ ქემალი იძულებული იქნება გაიქცეს, ან დიდი ხოცვა-ჟლეტა ატყდება ერთმანეთთან დაპირისპირების გამო. ისინი მუსლიმანურ მასებში ბელადის როლისთვის ვერასდროს ვერ შეურიგდებიან ერთმანეთს (რამე კომპრომისის მიღწევა მათ შორის შეუძლებელია – ასეთია თურქული მაღალი წრეების ფსიქოლოგია).

ენვერ ფაშას ყოლა საბჭოთა რუსეთში შეიძლება როგორც ქემალის წინააღმდეგ არსებული საფრთხე. თუ საჭირო იქნება შესაძლებელია მისი ამ მიზნით გამოყენებაც. თუ ახლა ასეთი პერსპექტივა არაა, შეიძლება ის მომავალში გაჩნდეს. ჩემის აზრით, საჭიროა საფუძველშივე გადაიხედოს ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკა და ჩვენი დამოკიდებულება თურქეთთან... ჩვენს მორალურ, იდეურ და მატერიალურ მხარდაჭერას ქემალისადმი, ეს უკანასკნელი აშკარად იყენებს თავისი ბინძური, ვიწრონაციონალური მიზნებისათვის...

1921 წლის 8 მაისი. სოხუმი. ლაკობა³⁷¹.

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის 16 მარტს საბჭოთა მთავრობასა და მუსტაფა ქემალის „თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობას“ შორის ე.წ. „მშობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება იდება, მალე ქემალისტთა და ბოლშევიკთა შორის ურთიერთობები იძაბება. მათ შორის უნდობლობის შავმა კატამ გაირბინა. ქემალისტთა მიერ ფრანგებთან და ინგლისელებთან დაწყებულმა პოლიტიკურმა მოლაპარაკებებმა საბჭოელები გააღიზიანა. ქემალისტებმაც ზედმეტად ფრთხილი პოზიციები დაიკავეს კრემლთან მიმართებაში. საქმე იმაშია, რომ ზუსტად ამ დროს ლონდონში სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულება დაიდო ინგლისსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ასე, რომ, არსებული რეალობის გათვალისწინებით, ბოლშევიკთა „მსოფლიო იმპერიალიზმის რუკაზე“ „ბრიტანული იმპერიალიზმის“ შავმა აჩრდილმა გაფერმკრთალება დაიწყო.

ქემალისტებისათვის განგაშის უფრო მყარ საფუძველს კი ამიერკავკასიის სუვერენული რესპუბლიკების იძულებითი სისხლიანი გასაბჭოება და ბოლშევიკებისაგან

³⁷¹ Станислав Тарасов. Мифы о Карабахском конфликте. Сборник статей. Международный институт новейших государств. Москва. 2012. РГАСПИ. Ф.544. оп.3. д. 46. лл. 1, 4, 6.

მომავალი პოტენციური საფრთხეები წარმოადგენდა. მუსტაფა ქემალი და „დიდი ეროვნული კრების“ დეპუტატების დიდი ნაწილი არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა იმაზე, რომ რუსული გასაბჭოების შემდეგი ეტაპი წითელი არმიის ანატოლიაში შესვლა იქნებოდა. გენერალი ალი ფუატ ჯებესოი, ქემალისტა დიპლომატიური მისიის პირველი ხელმძღვანელი მოსკოვში, 1921 წლის მაისის ბოლოს აღნიშნავდა: „დარწმუნებული ვარ, რომ რუსები დიდ პრობლემებს შეგვიქმნიან აღმოსავლეთის რეგიონებში, ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მას...“³⁷² დიდი ეროვნული კრების მთავრობის განათლების მინისტრი, დოქტორი რიზა ნური ასევე ადასტურებს ალი ფუატ ჯებესოის ამ მოსაზრებას. იგი უფრო შორსაც წავიდა და განაცხადა, რომ მალე რუსეთი ომს გამოუცხადებდა თურქეთს.³⁷³

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა სალაჰი რ. სონიერის მოსაზრებები ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების შესახებ 1921 წლის ზაფხულისათვის. სონიერის მიხედვით, „ბერძენთა მიერ ანატოლიაში შეტევითი მოქმედებების დაწყებისთანავე რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა შესთავაზა კავკასიაში საბჭოთა არმიების მთავარსარდალს, გენერალ ორჯონიკიძეს, მოეხდინა წითელი არმიის კონცენტრაცია ანატოლიის საზღვრებთან“.³⁷⁴ ეს მონაცემები დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს (War Office – ომის ოფისი) საარქივო დოკუმენტებზე (FO 371/6473/E 8147: General Harington to War Office, cipher telegram, Istanbul, 13 July 1921) დაყრდნობითაა მოყვანილი.

იდეა გასაგებია, მას ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებით, მაგრამ, ვილერ-ბენეტის მსგავსად, სონიერიც გარკვეულ უზუსტობებს უშვებს დეტალებთან დაკავშირებით. „კავკასიის ბატონ-პატრონი“, ამხანაგი სერგო, სამხედრო პირი და მით უმეტეს, გენერალი არ ყოფილა, შესაბამისად, არც „კავკასიის საბჭოთა არმიების მთავარსარდალი“. სერგო ორჯონიკიძე კავკასიის ფრონტის მმართველი სამხედრო-პოლიტიკური ორგანოს – ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი და თავმჯდომარე გახლდათ.

არზრუმში დისლოცირებული ქემალისტა მე-15 საარმიო კორპუსისა და აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა, გენერალმა ქიაზიმ ყარაბეკირ ფაშამ კი შემდეგი ინფორმაცია მიაწოდა მუსტაფა ქემალს: „რუსი ლიდერები ფიქრობენ კომუნიზმის დამყარებას ანატოლიაში, დიდი ეროვნული კრების დაშლას და „სისხლიანი რევოლუციის“ მოხდენას. ისინი მსუყე დაპირებებითა და დიდი ფულის მეშვეობით აპირებენ ამის განხორციელებას“. ყარაბეკირი აფრთხილებდა: „თუ ისინი [რუსები] დაინახავდნენ, რომ თურქულ არმიას არ შესწევდა წინააღმდეგობის გაწევის უნარი, ისინი ზუსტად ისევე მოიქცეოდნენ თურქეთთან მიმართებაში, როგორც მოიქცნენ აზერბაიჯანსა და სომხეთში“.³⁷⁵ ამ ამონარიდში კი ცოტა გაუგებარია, ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებულ აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად რატომ არაა მოხსენიებული საქართველო.

ამ ეტაპზე კრემლმა დაბალანსების პოლიტიკა აირჩია, ჯერჯერობით მაინც. ფაქტია, რომ, თავის მხრივ, ბოლშევიკებიც საჭიროებდნენ გარკვეული ტიპის ორგანიზაციის არსებობას, რომელიც ისლამურ სამყაროს ბრიტანელების წინააღმდეგ ომში დააკავშირებდა. სწორედ ამიტომ უჭერდნენ ისინი მხარს ენვერის „ლიგას“ როგორც მორალურად, ისე მატერიალურად. „ლიგის“ II ყრილობა 1921 წლის 27 ივნისს გაიმართა მოსკოვში. მასზე სიტყვით ჩიჩერინი გამოვიდა, რომელიც აღმოსავლ-

³⁷² Kazim karabekir. Istiklala Harbimiz. Istanbul. 1960. Pg. 972. Fethi Tevetoglu. Turkiy’de Sosyalist ve Komunist Faaliyetler, 1910-1960. Ankara. 1967. Pg. 315-318. Ali Fuat to Ankara, cipher telegram, moscow, 26 May 1921.

³⁷³ Kazim karabekir. Istiklala Harbimiz. Istanbul. 1960. Pg. 970. _ Karabekir to Kemal, cipher telegram. Kars, 31 May 1921.

³⁷⁴ FO 371/6473/E 8147: General Harington to War Office, cipher telegram, Istanbul, 13 July 1921.

³⁷⁵ Kazim Karabekir. Istiklal Harbimizde Envr Paşa Ittihat ve Terraki Erkanı (Enver Pasha and the Committee of Union and Progress Leaders in our War of Liberation). Istanbul. 1967. Pg. 144.

თის რევოლუციონერებს ყოველმხრივ დახმარებას შეჰპირდა. მისი ინტერესების სფეროში ავღანური ტომების ბრძოლა მოექცა ბრიტანელების წინააღმდეგ. ამ კონტექსტი განსაკუთრებით ჯემალ ფაშას ის როლი გამოიკვეთა, რომელსაც იგი ავღანეთში ასრულებდა. ყრილობაზე თურქ რევოლუციონერებსა და არაბებს შორის კამათი დაიწყო, რომელიც ბოლშევიკთა მიერ იყო ინსპირირებული. არაბებმა ლიგიდან გასვლა გადაწყვიტეს თურქი დელეგატების პანთურქისტული გადახრების გამო. მათ ენვერ ფაშას ის ნაციონალისტური გამონათქვამები აღიზიანებდათ, თითქოს თურქები იყვნენ ის ხალხი, რომლებიც მუსლიმანებს გადაარჩინდნენ და არა პირიქით. უფრო მეტიც, ენვერ ფაშამ რამდენჯერმე გაიმეორა, რომ „ყველაზე კარგი არათურქი გაცილებით დაბლა დგას, ვიდრე ყველაზე ახალგაზრდა და გამოუცდელი თურქი“.³⁷⁶

არაბთა აზრით, ასეთი განცხადებები „ლიგის“ პანისლამისტურ იდეალებს ეწინააღმდეგებოდა და თავიანთ დასკვნებში მართლებიც იყვნენ. ენვერ ფაშასათვის კი ამ ეტაპზე უკვე ანტიიმპერიალიზმი და თურქული ნაციონალიზმი წარმოადგენდა უპირველეს ღირებულებას და არა პანისლამიზმი. იგი იმისაც უწევდა ანგარიშს, რომ პანისლამისტური იდეოლოგიით მეტისმეტი გატაცება საბჭოელების გაღიზიანებას გამოიწვევდა. ძალიან მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, იდეაში იგი არ იყო „მუსლიმანური სამყაროს“ მომხრე. მთელი ცხოვრების მანძილზე, თავისი მოღვაწეობისა და ბრძოლის გზაზე, იგი დაჯერებული ნაციონალისტი იყო და მისი ცხოვრების მთავარ ამოცანასაც არა ეფემერული რაღაც „ევრაზიული სახალიფოს“, არამედ არანაკლებ ეფემერული „დიდი თურანის“ შექმნა წარმოადგენდა. ამ ეტაპზე კი ენვერ ფაშას მთავარი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ თურქეთში დაბრუნება იყო გამარჯვებულის სტატუსით. „ახალგაზრდა თურქების“ საქმე მას დამარცხებულად არ მიაჩნდა. ისიც და სხვა ექსიტიჰადისტებიც „ისლამური ერთიანობის ლიგას“ მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად მოიაზრებდნენ.³⁷⁷

1921 წლის დასაწყისიდან ენვერ ფაშა აქტიურ მოქმედებებზე გადადის. ამ ეტაპზე მის მთავარ ამოცანას ისლამური კომიტეტის განყოფილებების დაარსება და მათ შორის კოორდინაციის დამყარება წამოადგენდა. საჭირო იყო ერთიანი შეთანხმებული მოქმედებების ორგანიზება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად, კავაკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ისლამური კომიტეტის განყოფილებების სათავეში 150-ზე მეტი ყოფილი ოსმალთა ოფიცერი დააყენა. ეს განყოფილებები მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებდნენ ანატოლიაში მოქმედი „ერთიანობისა და პროგრესის“ ადგილობრივ ორგანიზაციებთან.³⁷⁸ მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მუსტაფა ქემალის მიერ ანკარაში ჩატარებულ კონგრესზე სახალხო დეპუტატთა ერთი მესამედი ენვერ ფაშას პირდაპირი მხარდამჭერი იყო და ანატოლიელ „ნაციონალისტებშიც“ ეს მხარდაჭერა თანდათან იზრდებოდა. 1921 წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე ნათელი, თუ ვინ წარმოადგენდა ანატოლიაში რეალურ ძალასა და ნაციონალისტთა ლიდერს – ენვერ ფაშა თუ მუსტაფა ქემალი. ფაქტია, რომ მოსკოვი ორმაგ თამაშებს თამაშობდა და ერთნაირად ეხმარებოდა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. მუსტაფა ქემალის შიში ენვერ ფაშას ანატოლიაში შესაძლო დაბრუნების გამო იმდენად დიდი იყო, რომ 1921 წლის 12 მარტს დიდმა ეროვნულმა კრებამ სპეციალური დეკრეტიც კი მიიღო ენვერ და ჰალილ ფაშების ანატოლიაში დაბრუნების აკრძალვის შესახებ, რადგან „სამინაო პოლიტიკისა და საგარეო ურთიერთობების წარმართვას ანკარის მთავრობა განსაზღვრავდა“.³⁷⁹

³⁷⁶ Şuhnaz Yilmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 53. Turkish Republic archives, Decree of the Parliament concerning Enver and Halil Paşa, 3 December, 1921, No.731/385.

³⁷⁷ АВПР. Ф. 04. Он. 39. П. 232. Д. 52987. Л. 28. Копия.

³⁷⁸ Pan-Islamic Movement _ Enver Pasha and the Russian Bolsheviks. Doc. No.435, dated 15 Nov. 1921; FO 371/6531/E 11086: Secret British Intelligence Report. W/23, Geneva, 22 Oct. 1921.

³⁷⁹ Kamuran Gürün. Türk-Sovyet İlişkileri (1920-1953). Ankara. 1991, p.46-47. Ali Fuat Cebesoy. Moskova Hatıraları.

ბერძენთა მიერ 1921 წლის 11 ივლისს წარმატებულად დაწყებული შეტევითი ოპერაციის ფონზე ბოლშევიკურ რუსეთსა და დიდ ეროვნულ კრებას შორის არსებულმა დაძაბულმა მდგომარეობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ამ ეტაპზე კრემლში სულ უფრო ხშირად გაისმოდა ის აზრი, რომ მუსტაფა ქემალმა და ქემალისტებმა თავიანთი დრო მოჭამეს და თურქთა ნაციონალისტური მოძრაობა კოლაფსის წინაშე იმყოფებოდა. შექმნილი სიტუაცია სწრაფი და გადამწყვეტი ზომების გატარებას მოითხოვდა. კრემლის მესვეურთა აზრით, მუსტაფა ქემალი ხელისუფლებას უნდა ჩამოშორებოდა, რომელიც, ბოლშევიკების აზრით, უძლური აღმოჩნდა, წინ აღდგომოდა ბერძენთა მძლავრ შემოტევას. კრემლის გეგმებში გარკვეული კორექტივები იქნა შეტანილი. მუსტაფა ქემალს ენვერ ფაშა უნდა ჩანაცვლებოდა. სწორედ ამიტომ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ენვერ ფაშა ანატოლიის საზღვართან გადმოყვანის შესახებ, სადაც იგი „რევოლუციურ არმიას“ უნდა ჩადგომოდა სათავეში.³⁸⁰

ამ გეგმის ავტორები ჩიჩერინი და კარახანი იყვნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ გარკვეულწილად ასე მოხერხდებოდა ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელება თურქეთის ტერიტორიაზე.³⁸¹

მეტად საინტერესოა 1921 წლის 16 ივლისს ენვერ ფაშას მიერ მუსტაფა ქემალისადმი გაგზავნილი წერილის შინაარსი: „თუ მოწინააღმდეგეებად მოგვიაზრებ, ამ შემთხვევაში დიდ შეცდომას უშვებ... ჩვენ არ ვეძებთ რაიმე ტიტულებსა და თანამდებობებს. როგორც ადრე აღვნიშნავდი, ჩემი იდეალების ერთგული ვრჩები. ეს ნიშნავს მუსლიმანთა ბრძოლას ევროპელი მტაცებლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ, ფეხქვეშ გათელონ ისლამი... იმ შეტყობინებებიდან, რაც ჩემმა მეგობრებმა გამაგებინეს, ვხვდები, რომ შენ არ გსურს ჩვენი დაბრუნება... მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ მოსკოვში ვიმყოფებოდით და დახმარებას ვუწევდით სამშობლოს, ჩვენ არ დავბრუნებულვართ უკან, მიუხედავად იმისა, რომ ვგრძნობდით, ჩვენი საზღვარგარეთ ყოფნა უსარგებლო და უფრო მეტიც, საშიში იყო თურქეთისათვის და მთელი მუსლიმანური სამყაროსათვის... ახლა კი, ჩვენ ვბრუნდებით ანატოლიაში“.³⁸²

აქ ყველაფერი გასაგებია. კრემლის მხარდაჭერით, ენვერ ფაშამაც მტკიცედ გადაწყვიტა ანატოლიაში შესვლა და ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობა. იგი ისევ ლიდერი უნდა გამხარიყო, ისევ მას უნდა ეხსნა სამშობლო და თურქი ხალხი. ასეთი იყო ენვერ ფაშას ჩანაფიქრი. მისმა მოლოდინებმა პიკს 1921 წლის ზაფხულისათვის მიაღწია. მოსკოვში ყოფნისას სასტუმროში ენვერ ფაშას მოულოდნელად ასეთი კითხვა დაუსვეს: „შემთხვევითია კი ის ამბავი, რომ იგი იმპერიალისტია?“... ენვერ ფაშამ მოწყენილად უპასუხა, რომ იგი იმპერიალისტია, მაგრამ საკითხის მთელი არსი იმპერიის სიდიდეში მდგომარეობს.³⁸³

1921 წლის ივლისში ენვერ ფაშა მეორედ ჩადის გერმანიასა და შვეიცარიაში. შემდეგ გადადის იტალიაში, სადაც, დასახული ამოცანების კოორდინირების მიზნით, ხვდება გენერალ მეჰმედ ვეჰიბ ფაშას,³⁸⁴ თავის ყოფილ ხელქვეითსა და თანაპარტიულს,

³⁸⁰ FO 371/647/E 8417: Harington to War Office, cipher telegram. Istanbul, 13 July 1921.

³⁸¹ FO 371/6473/E 9074: Secret British Intelligence Report. 28 July 1921.

³⁸² Şuhnaz Yılmaz. In pursuit of elusive glory: Enver Pash's role in the Pan-Islamic and Basmachi movements. International journal of Turkish studies. Volume 13, №1-2. 2007. s. 192.

³⁸³ Джамил Гасанлы: Программа Халил-паши _ „ Доктрина Монро" для Азии. (Артур Рансом. Встреча с Энвер-пашой в Москве. 25.07.1921 г. // Из коллекции документов РГАСПИ).

³⁸⁴ მეჰმედ ვეჰიბ ფაშა (Mehmed Vehib Paşa) (1877-1940) – ალბანური წარმომავლობის ოსმალ სამხედრო მოღვაწე და სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი (ფერიკი), იტალია-თურქეთის (1911), ბალკანური ომების (1912-1913), I მსოფლიო ომისა და იტალია-აბისინიის (1935-1936) ომის აქტიური მონაწილე, იტიპადისტთა პარტიის წევრი. 1899 წელს ამთავრებს სმხედრო-საინჟინრო სკოლას, შემდეგ იმპერიის სამხედრო კოლეჯს. კაპიტნის ჩინით სამსახურს იწყებს იემენში დისლოცირებულ ოსმალთა მე-4 არმიაში. 1909 წელს სამსახურს აგრძელებს იმპერიის სამხედრო სამინისტროში. იმავე წელს იღებს მაიორის წოდებას და ინიშნება კადეტთა სკოლის უფროსად. ბალკანური ომების დროს მსახურობს თავისი უფროსი ძმის, გენერალ ესად ფაშას საარმიო კორპუსის შტაბდგენლობაში. 1913 წლის 20 თებერვალს ბერძენებთან ბრძოლის დროს ტყვედ ვარდება. ტყვეობიდან

1918 წლისათვის სამხრეთ კავკასიაში გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიის ყოფილ სარდალს. ეს კონტაქტები ქემალისტებისათვისაც ცნობილი გახდა. ქემალისტთა წარმომადგენელი იტალიაში, ქამი ბეი, 1921 წლის 23 აგვისტოს შემდეგი შინაარსის ტელეგრამას აგზავნის ანკარაში: „მოსკოვიდან რომში ბერლინის გავლით ჩამოვიდა ყოფილი სამხედრო მინისტრი, ენვერ ფაშა და შეხვდა ვეჰიბ ფაშას. ენვერ ფაშა დიდი მხარდაჭერითა და პატივისცემით სარგებლობს საბჭოელებს შორის. მისი აქტივობის სფეროს წარმოადგენს ევროპის ისლამური საზოგადოებების კოოპერაცია. ამ საქმეში მის დასახმარებლად საბჭოელთა მიერ გაწეული დახმარებები იმდენია, რამდენსაც ითხოვს ენვერი...“³⁸⁵

ამ მომენტისათვის თურქეთი და ანატოლიაში დაწყებული წინააღმდეგობის მოძრაობა მართლაც კრიტიკულ სიტუაციაში იმყოფებოდა. ისე ჩანდა, თითქოს ბერძნები ეს-ესაა დაამარცხებდნენ ქემალისტებს და ფრონტებზეც ხმა გავარდა იმის შესახებ, რომ თურქულ არმიას მალე ენვერ ფაშა ჩაუდგებოდა სათავეში, რომელიც ბოლშევიკების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. შემდგომი მოვლენები კი მეტად საინტერესოდ განვი-თარდა.

ამ მოლოდინით, 30 ივლისს, კონსპირაციის მკაცრი დაცვით, ენვერ ფაშა მოსკოვიდან თბილისში და შემდეგ ბათუმში ჩამოდის, სადაც მთელი ორი თვეს ჩერდება. მოსკოვიდან წამოსვლის წინა დღეს მას ჩიჩერინთან ჰქონდა შეხვედრა, სადაც მისი აზრი გაიზიარეს იმის შესახებ, რომ ბერძნებთან დამარცხების შემთხვევაში მუსტაფა ქემალი ბრიტანელებს სთხოვდა დახმარებას. ამ კონტექსტში ენვერ ფაშა მუსტაფა ქემალის სათადარიგო შემცვლელად მოიაზრებოდა მოსკოვში. ენვერთან ერთად ბათუმში ჩამოვიდნენ აგრეთვე ცნობილი იტიჰადისტები – დოქტორი ნაზიმ ბეი, ნაიმ ჯევათი და კაპიტანი ფაიკი. უფრო ადრე კი ბოლშევიკებმა ბათუმში ჰალილ ფაშაც გაგზავნეს.

თავის მეტუარებში ჰალილ ფაშა წერს: „ბათუმში, ზღვასთან ახლოს ჩვენთვის სახლი იყო მომზადებული. პირველივე დღეს ამხანაგი გოლცმანი გავიცანით, რომელიც აქ მოსკოვის წარმომადგენლად მუშაობდა. ერთხელ იგი მოვიდა და მითხრა: „ენვერ ფაშა ჩამოვიდა ჩუმი ბათუმში და ამ დამით ყველასგან მალულად გნახათ“.³⁸⁶

სხვათა შორის, სტანისლავ ტარასოვი ენვერ ფაშას ბათუმში ჩასვლის თარიღად 1921 წლის ოქტომბერს ასახელებს, რათა „ქემალის დასავლეთის ფრონტზე

გათავისუფლების შემდეგ იგზავნება ჰიჯაზის არმიაში, სადაც იღებს პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას. I მსოფლიო ომში მონაწილეობდა ჰალიპოლისის ოპერაციაში, სადაც სარდლობდა XV საარმიო კორპუსს, შემდეგ – მე-2 არმიას. აქვე იღებს ბრიგადის გენერლის წოდებას. 1917 წლისათვის ოსმალთა კავკასიის ფრონტის სარდალი და გენერალ-ლეიტენანტი. კავკასიის არმიითა ჯგუფში გაერთიანდა მე-9 (გენერალი იაყუბ შეჰქი ფაშა), მე-3 (გენერალი ესად ფაშა) და მე-6 (ჰალილ ფაშა ქუთი) არმიები. 1918 წლის თებერვალ-მარტში წარმატებული შეტევითი კამპანიის შედეგად იღებს I მსოფლიო ომის მსვლელობაში რუსული შენაერთების მიერ დაკავებულ ერზინჯანს, არზრუმსა და ტრაპიზონს. იმავე წლის აპრილ-მაისში მისი არმიების შენაერთები ახდენენ არდაგანის, ყარსის, ბათუმისა და ალექსანდროპოლისის ოლქებისა და ახალციხისა და ახალქალაქის მარტების ოკუპაციას. 1918 წლის ოქტომბრიდან ინიშნება სრუტეების რაიონში გაშლილი ოსმალთა 1-ლი არმიის სარდალად. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბრიტანელები აპატიმრებენ, მაგრამ ახერხებს ციხიდან გაქცევას და ემიგრაციაში მიდის საზღვარგარეთ. თავს აფარებს ჯერ იტალიას, შემდეგ გადადის გერმანიაში, რუმინეთში, საბერძნეთსა და ეგვიპტეში. ოპოზიციაში უდგება გენერალ მუსტაფა ქემალის მიერ ანატოლიაში დაწყებულ წინააღმდეგობის ახალ თურქულ მოძრაობას, რის გამოც იძულებულია წავიდეს ემიგრაციაში. აქტიურად მონაწილეობს 1935-1936 წლების იტალია-აბისინიის ომში აბისინიელთა მხარეს სამხრეთის ფრონტის შტაბის უფროსის თანამდებობაზე. ხელმძღვანელობს მძლავრი თავდაცვითი ზღუდის, აბისინიური ე.წ. „ჰინდენბურგის ხაზის“ ორგანიზებას. ომის დასრულებისა და იტალიური ოკუპაციის შემდეგ ტოვებს ეთიოპიას და გადადის ეგვიპტეში. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ, 1938 წლიდან ბრუნდება თურქეთის რესპუბლიკაში და ფუნქციონირებს კონსტანტინოპოლში. გარდაიცვალა 1940 წელს.

³⁸⁵ FO 371/ 6535/E 12660: Pan-Islamic Movement _ Enver Pasha and the Russian Bolsheviks. Doc. No.435, dated 15 Nov. 1921; FO 371/6531/E 11086: Secret British Intelligence Report. Geneva, 27 Sept. 1921.

³⁸⁶ Михаил Калишевский. «Наполеон» - «Летучий голландец Востока». <http://www.fergana news.com/ article.php?id=7190>.

დამარცხების შემთხვევაში“ ანატოლიაში შესულიყო. აქ აშკარა უზუსტობასთან გვაქვს საქმე-დასახელებული თარიღი არც ფაქტობრივად და არც დიალექტიკურად არ შეესაბამება რეალობას. ბათუმში ენვერ ფაშა კონსპირაციულ ვითარებაში ხვდება ექსიტიჰადისტებს და მათთან ერთად ანატოლიაში შესვლის გეგმის დამუშავებას იწყებს. წყაროები მიგვითითებენ 1921 წლის 5-8 სექტემბერს ბათუმში ჩატარებულ ე.წ. „სახალხო საბჭოთა პარტიის“ თავყრილობის შესახებაც. ენვერ ფაშას სიტყვებით, ეს პარტია უნდა ჩამდგარიყო „სოციალისტური რევოლუციის ავანგარდში, რომლის შედეგიც საბჭოთა თურქეთის შექმნა იქნებოდა“.³⁸⁷ (Sic!)

მოკლედ რომ ვთქვათ, „ახალგაზრდა თურქთა“ მოდერნიზებული „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია თავისი იდეოლოგიითა და მოწოდებებით ერთობ მრავალფეროვან პოლიტიკურ სპექტრს მოიცავდა: პანთურქისტულს, პანისლამისტურს, „ისლამინტერ-ნულს“, დაბოლოს – „ბოლშევიკურ-საბჭოურ-კომუნისტურს“. (Sic!) აი, ასეთი იყო 1919-1921 წლებში არსებული ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმას სპექტრი და ენვერ ფაშას ნეოიტიჰადისტური მოძრაობის ჰორიზონტები თუ პოლიტიკური ამბიციები – არც მეტი, არც ნაკლები.

ბათუმში ყოფნისას ენვერი არა მარტო ემიგრანტი იტიჰადისტების მხარდაჭერით სარგებლობდა, არამედ მან მჭიდრო კავშირები დაამყარა ანატოლიის წინააღმდეგობის მოძრაობის გავლენიან პირებთანაც. ეს კი, ცხადია, დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მუსტაფა ქემალისათვის.

ჯერ კიდევ 1920 წლის 17 თებერვალს კონსტანტინოპოლში განლაგებული ბრიტანული საოკუპაციო ჯარების მთავარი შტაბი ატყობინებდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს, რომ „ანატოლიაში ნაციონალისტთა მიერ დიდი პროპაგანდაა გაჩაღებული იმასთან დაკავშირებით, რომ ენვერ ფაშა სათავეში უდგება დიდ მუს-ლიმანურ-ბოლშევიკურ არმიას, რომელიც „სპარსეთიდან მარაშამდეა გაშლილი“. იგივეს ადასტურებდნენ სხვა „კარგად ინფორმირებული“ წყაროებიც, კერძოდ: ბრიტანული მისიის ხელმძღვანელი თბილისში, სერ ჰარი ლუკი,³⁸⁸ ბრიტანელთა უმაღლესი კომისარი კონსტანტინოპოლში; ფრენკ რატიგანი,³⁸⁹ ბრიტანელთა საიმპერიო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე 1918-1920 წლებში, ხოლო 1921 წლიდან ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდალი შავ ზღვაზე და ანატოლიაში; გენერალი ჩარლზ ჰარინგტონი, რომელმაც ამ თანამდებობაზე გენერალი ჯორჯ მილნი შეცვალა, ასევე ბრიტანელთა კომისარი კონსტანტინოპოლში, სერ ჰორაციო რუმბოლდი.³⁹⁰

5 სექტემბრის სხდომაზე „სახალხო საბჭოთა პარტიას“ სახელი გადაერქვა და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, „ერთიანობისა და პროგრესის პარტია“ ეწოდა(!)... (Sic!) აღსრულდა – იტიჰადისტები მკვდრებით აღსდგნენ. კონგრესმა მიმართვა გაუგზავნა ანკარის მთავრობას, სადაც მოითხოვეს, რომ ქემალისტებს დაევიწყებინათ მტრული ურთიერთობები ემიგრაციაში მყოფ იტიჰადისტებთან. თავად ენვერ ფაშამ კი ინტენსიური მზადება დაიწყო ანატოლიაში შესასვლელად. თურქი ავტორის, შეკვეტ სურეია აიღამირას (Şevket Süreyya Aydamira) მიხედვით, ენვერ ფაშას მოლოდინი ანატოლიის სამხედრო ექსპედიციის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ კონსტანტი-

³⁸⁷ Джамиль Гасанлы: Фактор Энвер-паши в осложнении российско-турецких отношений накануне Карсской конференции (Halil Paşa. Bitmeyen Savaş. İstanbul, 1972, S.358).

³⁸⁸ FO 371/4946/E 11431: Harry Luke to Lord Curzon, cipher telegram. Tiflis. 15 Sept. 1920).

³⁸⁹ (FO 371/6473/E 8417: Harington to War Office, cipher telegram. Istabbul. 13 July 1921. See also minute by D. G. Osborne, dated 25 July 1921. Secret British Intelligence reports. Istanbul 15 and 26 July in FO 371/6472/E 9074 and FO 371/6473/E 8417),

³⁹⁰ (FO 371/5178/E 11702: Intelligence report on Asia Minor, entitled “Affairs in Anatolia”, dated, Istanbul 12 august. 1920, tracing the development of Bolshevism in Anatolia. See also FO 371/5171/E 12803: Sir John de Robeck to Lord Curzon. Secret despatch. Istanbul, 5 Oct. 1920).

ნოპოლიდან თავისი სამხედრო ფორმა, ხმალი და აღჭურვილობის დეკორაციებიც კი გამოითხოვა.³⁹¹

აქ ისმის კითხვა: ვისი ან რისი იმედით აპირებდა ენვერ ფაშა ანატოლიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და ბერძენი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლას? რა ძალებზე აკეთებდა იგი გათვლებს? აღნიშნული საკითხი კომპლექსურია, იგი მნიშვნელოვნად სცილდება ზემოაღწერილ ამბებს სივრცესა და დროში, ამიტომ აუცილებელია, გარკვეული სიცხადე შევიტანოთ მასში. ამისათვის კი, XX საუკუნის დასაწყისისათვის ანატოლიის მოსახლეობის ეროვნული, კონფესიური და სოციალური საკითხები უნდა განვიხილოთ და 1918 წლის ბოლოდან რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს მივაღვივოთ თვალი.

§4.3. ანატოლიელი „პროტესტანტები“ – ნაციონალური თუ ნაციონალისტური მოძრაობა?

მუდროსის ზავის პირობების შესრულებისა და ანატოლიაში დაწყებული ანტიანტანტური მოძრაობის ნეიტრალიზებისათვის 1919 წლიდან მოკავშირეებს აღარც საკმარისი ძალები გააჩნდათ და მაინცდამაინც არც ამის დიდი სურვილი. ამ ეტაპზე, ბრიტანელთა ინტერესების მთავარი ვექტორი არაბული მიწებისაკენ იქნა გადატანილი, ჯარების დიდ ნაწილს კი, დემობილიზაცია უნდა ჩატარებოდა. ასეთ ვითარებაში საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ელეფთერიოს ვენიზელოსმა „კეთილი ფერიის“ როლის თამაში გადაწყვიტა. მოკავშირეთა გადასარჩენად ანტანტის უმაღლესი საბჭოს წინაშე მან განაცხადა, რომ ანატოლიაში აგორებული წინააღმდეგობის მოძრაობის ჩასაქრობად ბერძნული არმია გამოვიდოდა. აქ ორივე მხარის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ბუნებრივია, ბერძნებს საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ ანატოლიასთან დაკავშირებით, სადაც ბრძნული მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. საბოლოოდ, ბერძნული საჯარისო კონტინგენტის სძირნაში გადასხმის გადაწყვეტილება მოკავშირეთა ლიდერებმა – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, დევიდ ლოიდ-ჯორჯმა, აშშ-ის პრეზიდენტმა, ვუდრო ვილსონმა და საფრანგეთის პრემიერმა, ჟორჟ კლემანსომ პარიზში, 6 მაისს მიიღეს.

1919 წლის 15 მაისს გენერალი მუსტაფა ქემალი და მისი 20-კაციანი „პროტესტანტთა“ ჯგუფი ძველი სატვირთო გემით „Bandirma“ კონსტანტინოპოლის პორტს ტოვებს და, ახალი დანიშნულების შესაბამისად, ცენტრალურ ანატოლიაში მიემგზავრება მე-3 არმიის სამხედრო ინსპექტორის რანგში. იმავე დღეს ბერძნებმა მცირე აზიაში გადმოსხეს დესანტი და ქალაქი სძირნა დაიკავეს. ეს ფაქტი თურქულ-ოსმალური საზოგადოების მიერ ანატოლიის სრული და ფაქტობრივი ოკუპაციის პრელუდიად აღიქვს. ოკუპაციას თან სდევდა ჯარისკაცთა მიერ ადგილობრივი მუსლიმანი

³⁹¹ Şevket Süreyya Aydamira. Makedonya'dan Ortaasya'ya Enver paşa 1914-1922. Vol. III, (Istanbul, 1972). S. 586.

მოსახლეობის დარბევები, მასობრივი ღევნა და სისხლიანი ანგარიშსწორებები. იგივე სურათი შეიქმნა ქილიკიაშიც, სადაც ფრანგული უცხოური ლეგიონის სომხურმა ქვედანაყოფებმა და ადგილობრივმა სომხურმა რაზმებმა მუსლიმან მოსახლეობასთან სისხლიანი ანგარიშსწორებები დაიწყეს. როგორც უინსტონ ჩერჩილი აღნიშნავდა, „ოსმალეთის საქმეებში საბერძნეთის ჩარევამ – იმ საბერძნეთისა, რომელიც თურქთა ცნობიერებაში მხოლოდ და მხოლოდ ამბოხებულ და არაერთხელ დამარცხებულ პროვინციას წარმოადგენდა, თურქეთი მდგომარეობიდან გამოიყვანა და იგი დაქვემდებარებიდან გავიდა“.³⁹²

რუსი ბოლშევიკების მხრიდან ბერძნებთან დამოკიდებულებასა და თურქული ნაციონალური მოძრაობისადმი დაინტერესების საქმეში კი ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო მოვლენამ ითამაშა როლი. 1919 წელს თურქული სახელმწიფოსათვის, რა თქმა უნდა, უმთავრეს საფრთხეს საბერძნეთი და სმირნაში დაწყებული ბერძნული ოკუპაცია წარმოადგენდა. ბერძნებთან და ზოგადად, საბერძნეთთან მიმართებაში კი რუს ბოლშევიკებს ამ მომენტისათვის უკვე განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ჩამოყალიბებული. საქმე იმაშია, რომ 1919 წლის იანვარში, ოდესაში გაგზავნილი ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში ორი ბერძნული დივიზიაც ჩაერთო, რომლებიც გენერალ დენიკინის „მოხალისეთა არმიასთან“ ერთად იბრძოდნენ ბოლშევიკთა წითელი არმიის წინააღმდეგ. ფრანგული ექსპედიცია და მასთან ერთად ბერძნული დივიზიებიც მალე ისევ უკან გამოიწვიეს, მაგრამ ამ საბედისწერო ფაქტმა საბერძნეთის პრემიერის, ვენიზელოსის მთავრობა ბოლშევიკთა თვალში „რევოლუციის მტრების“ რიგებში ჩააყენა...³⁹³ – აღნიშნავს ბრიტანელი მკვლევარი, ენდრიუ მანგო. ეს ფაქტორი კიდევ უფრო ამყარებდა მუსტაფა ქემალის ხედვას იმის შესახებ, რომ სწორედ ბოლშევიკები უნდა გამხდარიყვნენ შესაბამის საპირწონედ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და მათი პროტექტის, საბერძნეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ისევ უინსტონ ჩერჩილი: „სამშვიდობო კონფერენციის საერთო დამოკიდებულება თურქეთთან მიმართებაში ერთობ პირქუში იყო, მაგრამ ამჯერად სიმართლე თურქეთის მხარეს აღმოჩნდა. სამართლიანობა, რომელსაც არასდროს არა აქვს ადგილი გამარჯვებულთა რჩევებსა და გადაწყვეტილებებში, მოპირდაპირე ბანაკში გადაბარგდა. მარცხი, – ამბობდნენ თურქები, – იძულებულნი ვართ, მივიღოთ, მისი შედეგები კი გადავიტანოთ. მაგრამ ბერძნული არმიის მცირე აზიაში გამოჩენა სწორედ იმ მომენტში, როცა თურქეთს ანაირალებდნენ, თურქი ერის მოკვდინებასა და მის ჩაგრულ და დამონებულ რასად გადაქცევას ნიშნავდა“.³⁹⁴

საომარი მოქმედებების დაწყებამდე ბერძნული არმია ორ ჯგუფად გაიყო. მარჯვენა, ანუ სამხრეთის ჯგუფი, 7 დივიზიისა და საკავალერიო ბრიგადის შემადგენლობით (32 ათასი ხიშტი და 1000 ხმალი) უშაკის მახლობლად, რკინიგზის ხაზთან იყო დისლოცირებული. მარცხენა, ან ჩრდილოეთის ჯგუფი 4 დივიზიის შემადგენლობით (დაახლოებით 18000 ხიშტი) ბურსასთან იყო თავმოყრილი. ამ არმიებს შორის არსებული ორმოცმილიანი შუალედი დაფარული იყო სამხედრო საგუშაგოებით მარმარილოს ზღვის სანაპიროდან სამხრეთისაკენ. თურქული არმიაც ორ ჯგუფად იყო გაყოფილი. ჩრდილოეთის ჯგუფი, ექვსი ქვეითი და სამი საკავალერიო დივიზიის შემადგენლობით – 23 ათასი ხიშტი (კავალერია კი რეალურად წარმოადგენდა ცხენოსან

³⁹² Черчилль В. Мировой кризис 1918-1925. Глава XVII. Живая Турция. / Пер. с англ.; с предисл. И. Минца. — М.: Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. <http://militera.lib.ru/memo/0/one/english/churchill2.rar>.

³⁹³ Andrew Mango. Atatürk. John Murray (Publishers). 338 Euston Road. London. 2004. pg. 287.

³⁹⁴ Черчилль В. Мировой кризис 1918-1925. Глава XVII. Живая Турция. / Пер. с англ.; с предисл. И. Минца. — М.: Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. <http://militera.lib.ru/memo/0/one/english/churchill2.rar>.

ქვეითებს) კონცენტრირებული იყო რკინიგზის სადგურ ესკიშეპირსა და მარმარილოს ზღვას შორის.³⁹⁵

ბერძნული ოკუპაციის სქემა კი შედგება იყო: სმირნაში განთავსებული ხუთი ბერძნული დივიზიიდან ორი ჩრდილოეთით უნდა გადაადგილებულიყო, გაეკლო ძნელად მისადგომი ტერიტორიები, იზმიითის ნახევარკუნძულზე უნდა გასულიყო და იქიდან გაეყარა თურქები. მარშალმა ფოშმა, რომელსაც მხარს გენერალური შტაბიც უჭერდა, განაცხადა, რომ ეს ძალიან რთულად განსახორციელებელ ამოცანას წარმოადგენდა და იგი წარუმატებელი იქნებოდა. მაგრამ ლოიდ-ჯორჯმა ვენიზელოსის ეს გეგმა მოიწონა და 22 ივნისს ბერძნულმა არმიამ შეტევითი მოქმედებები დაიწყო. პირველ ხანებში იგი საკმაოდ წარმატებულად მოქმედებდა. ბერძნული კოლონები მშვიდობიანად მიიწვედნენ წინ. მათი მიახლოებისას თურქები, მამაცი და უნარიანი მეთაურების ხელმძღვანელობით, ანატოლიის სიღრმეში უჩინარდებოდნენ. ივლისის დასაწყისში ბერძნები ბურსაში შევიდნენ.

იმავე თვეში მეორე ბერძნულმა არმიამ სწრაფად გაიარა აღმოსავლეთ თრაკია, გატეხა თურქთა სუსტი წინააღმდეგობა და ადრიანოპოლისი დაიკავა.

მოკავშირეები სიხარულით შეხვდნენ ბერძნული სამხედრო მანქანის ამ შესანიშნავ და სრულიად მოულოდნელ წარმატებებს. მოკავშირეთა გენერლები გააკვირვებით იფშვნიდნენ თვალებს, ლოიდ-ჯორჯი კი ენთუზიაზმით იყო სავსე. მას მიაჩნდა, რომ იგი ისევ მართალი აღმოჩნდა, სამხედრო ექსპერტები კი ისევ ცდებოდნენ, როგორც ეს ხალხთა არმაგედონის დიდი ბრძოლის დროს.

მაშინ, I მსოფლიო ომის დაწყების წინ, საბერძნეთში ომთან დაკავშირებული ერთიანი პოზიცია არ არსებობდა. საბერძნეთის მეფე კონსტანტინე, რომელსაც ცოლად კაიზერის და ჰყავდა, დარწმუნებული იყო, რომ მომავალ ომში გერმანია გაიმარჯვებდა. საბერძნეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბიც იზიარებდა მის მოსაზრებას. პრემიერ-მინისტრ ელეფთერიოს ვენიზელოსს კი ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები ჰქონდა. იგი მოკავშირეთა სიძლიერეს ითვალისწინებდა და მათ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. „ყველა ომში, რომელიც კი ინგლისს უწარმოებია წარსულში, – თქვა მან ერთხელ, მოკავშირეთათვის ყველაზე მძიმე მომენტში, – ინგლისი ყოველთვის ერთ ბრძოლას იგებდა, – ბოლო ბრძოლას“. სწორედ ამ მოსაზრებების შესაბამისად მოქმედებდა იგი.³⁹⁶

ბერძნული ოკუპაციის ფონზე ანატოლიაში ჩასული მუსტაფა ქემალი წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზებას იწყებს ანატოლიაში. და ისმის კითხვა – წინააღმდეგობის მოძრაობა ვის და რის წინააღმდეგ? წინ გაუუსწრებთ მოვლენებს და აქვე აღვნიშნავთ, რომ წინააღმდეგობის ეს მოძრაობა მუსტაფა ქემალის მიერ თავიდანვე იყო ჩაფიქრებული ანტანტისა და საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ. და კიდევ – ყველა იმ ძალისა და დაჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ აღმოჩნდებოდნენ დაპირისპირებულნი თურქული სახელმწიფოს გადარჩენის იდეასთან.

ქემალისტური მოძრაობის ერთ-ერთი საინტერესო და ნაკლებად გახმაურებული საკითხი ისაა, რომ „ანატოლიელი პროტესტანტების“ მოღვაწეობაში შენიღბულად იდგა ნაციონალისტური საკითხი, ხაზს ვუსვამთ – ნაციონალისტური და არა ნაციონალური საკითხი. საუბარი იმპერიაში, და ამ შემთხვევაში, ანატოლიის ტერიტორიებზე მცხოვრებ „ეროვნულ უმცირესობებს“ ეხებათ. პირდაპირ ვიტყვით, რომ რეალობაში ქემალისტური მოძრაობის იდეოლოგია ეროვნულ საკითხებთან მიმართებაში არსებითად არ განსხვავდებოდა იტიჰადისტთა მიდგომებისგან, სხვათა შორის, ისევე, როგორც ბოლშევიკებისა.

³⁹⁵ Черчилль В. Мировой кризис 1918-1925. Глава XVII. Живая Турция. / Пер. с англ.; с предисл. И. Минца. — М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. <http://militera.lib.ru/memo/0/one/english/churchill2.rar>.

³⁹⁶ იქვე.

ბოლშევიკთა „ნაციონალური პოლიტიკა“ კი, თავის მხრივ, არსით, არაფრით არ განსხვავდებოდა ცარისტული ნაციონალური პოლიტიკისაგან და ბევრ საკითხში აჭარბებდა კიდევ მას თავისი „ველიკორუსულ-დერჟავული“ სულიკვეთებით. ორივე ეს იდეოლოგია, როგორც ბოლშევიზმი, ასევე ქემალიზმი, რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლოზუნგებით იყო შენიღბული. საუბარი გვაქვს იმ დიდ პოლიტიკურ აფიორაზე, რომელსაც ბოლშევიკთათვის ლენინური „ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიული პრინციპი“ ერქვა სახელად, ქემალისტებისათვის კი – „თურქი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“.

საინტერესოა ის მომენტიც, რომ თუ ლენინის უახლოესი თანამებრძოლები ძირითადად არარუსები, კერძოდ, ქართველები (ი. სტალინი, გ. ორჯონიკიძე, შ. ელიავა, ნ. ბუაჩიძე, ფ. მახარაძე, პ. მდივანი, ა. გეგეჭკორი, მ. ორახელაშვილი, ა. ენუქიძე და სხვა), ებრაელები (ლ. ტროცკი, გ. ბუხარინი, გრ. ზინოვიევი, ლ. კამენევი, ი. სვერდლოვი, გრ. სოკოლნიკოვი, კ. რადეკი, ა. იოფე და სხვა) და სომხები (ს. შაუმიანი, ლ. კარახანი, ა. მიქოიანი, გ. ათარბეგოვი, ი. ლაზიანი და სხვა) იყვნენ, მუსტაფა ქემალის უახლოეს თანამებრძოლებსაც ეთნიკურად არათურქები წარმოადგენდნენ. როგორც ბოლშევიკური, ასევე ქემალისტური მოძრაობის ავანგარდში კავკასიელები სჭარბობდნენ. მუსტაფა ქემალთან ასეთ პიროვნებებს წარმოადგენდნენ ჩერქეზულ-ადიღეური წარმომავლობის ალი ფუატ ჯებესოი, აჰმედ იზეთ ფაშა, ჰუსეინ რაუფ ორბეი, ფევზი ჩაქმაქი, ქიაზიმ ბეი დირიქი, ეთჰემ ჩერქეზი, ნაზიმ ბეი, აგრეთვე ქართული წარმომავლობის შაქირ ფაშა, ოსური წარმომავლობის ბექირ სამი კუნდუხი, ქურთი იზმეთ იუნონუ და სხვა.

ოსმალთა იმპერიაში დომინანტ მოსახლეობას იმ ეთნიკური თურქული ჯგუფების შთამომავლები წარმოადგენდნენ, რომლებმაც შუა აზია შორეულ XI საუკუნეში დატოვეს და ბიზანტიის ქრისტიანული იმპერია დაამხეს. საუკუნეების განმავლობაში 1870-იან წლებამდე თურქებში ძლივსღა ფეთქავდა „თურქული“ ეროვნული თვითშეგნების გრძნობა. და მართლაც, ვინც რა არ უნდა თქვას, ოსმალთა იმპერია მართლაც მულტიეთნიკურ სამყაროს წარმოადგენდა, სადაც ებრაელები, სომხები, უნგრელები, არაბები, სლავები, ბერძნები, ალბანელები, ქურთები, ჩერქეზები და სხვა მრავალი მცირე ეთნიკური ჯგუფი, თურქთა დომინანტური მდგომარეობის ქვეშ, როგორც მეორე კლასის მოქალაქენი, ისე ცხოვრობდნენ. მაგრამ ადგილებზე ისინი ერთგვარად ავტონომიურად გრძნობდნენ თავს, რადგან გადასახადებს იხდიდნენ და სახელმწიფოს წინაშე სხვა ვალდებულებებსაც ასრულებდნენ.³⁹⁷

ფაქტია, რომ საუკუნეების განმავლობაში იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს შორის ურთიერთდამოკიდებულება მშვიდობიანი თანაარსებობის სახეს ატარებდა და მათ შორის წარმოქმნილ ცალკეულ უთანხმოებებს მცირე კონფლიქტების სახე ჰქონდა. დანამდვილებით და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ 80-იან წლებამდე თავად ე.წ. „თურქეთის სომხეთშიც“ კი, ე.წ. „სომხური საკითხის“ ცნება, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა, ან უკიდურეს შემთხვევაში, მას სულ სხვა ელფერი ჰქონდა. თურქები, სომხები, ბერძნები და ქურთები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ მშვიდობიანად გვერდიგვერდ და მათ შორის წარმოქმნილი უთანხმოებანი ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კონფლიქტის საზღვრებს არ სცილდებოდა.³⁹⁸

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ოსმალთა იმპერია ევროპის მოწინავე ქვეყნების პირველი რიგის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში

³⁹⁷ Cf. M. Mazower. *Salonica. City of Ghosts. Christians, Muslims and Jews 1430-1950*. New York 2004. An excellent historical view of the Salonica working class before World War II is in A. Stinas, *Memoires* (Paris 1990). Excerpts in English are available at <http://www.geocities.com/antagonism1/stinas/index.html>.

³⁹⁸ არჩილ ჩაჩხანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გამომცემლობა არადანი. ISBN 999928-72-48-9. თბილისი. 2007. გვ. 68.

აღმოჩნდა მოქცეული – ერთი მხრივ, როგორც აზიის კარიბჭე და გასაღების მდიდარი ბაზარი და, მეორე მხრივ, როგორც რუსეთის იმპერიის სამხრეთისაკენ საუკუნოვანი ექსპანსიური ზრახვების წინააღმდეგ მოაზრებული მძლავრი ბუფერი. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ მიძინებული ბუფერის გააქტიურებისათვის ახალი იდეა და რუსულ-თურქული ახალი დაპირისპირების ესკალაცია იყო საჭირო. XIX საუკუნის ბოლოსათვის ეპოქის შესაბამის ყველაზე ხელსაყრელ იდეას მოსახლეობის რევოლუციური სულისკვეთების გაღვივება და ნაციონალურ გრძნობებზე თამაში წარმოადგენდა...

და ამუშავდა დიდი სახელმწიფოების დიდი დიპლომატიური მანქანა ანატოლიასა და ამიერკავკასიაში... და სომხებიც და ბერძნებიც, როგორც ყველაზე ხელსაყრელი ინსტრუმენტი, თავისდაუნებურად აღმოჩნდნენ ჩართულნი დიდი იმპერიების დიდ პოლიტიკურ თამაშებში.³⁹⁹

I მსოფლიო ომში განცდილი კატასტროფის შემდეგ კი მდგომარეობა კარდინალურად იცვლება და იმპერიის ცალკეულ ეთნოსებში სეპარატისტული განწყობები იზრდება. ამჯერად იმპერიის დანაწილება და მის ტერიტორიებზე ცალკეული ეროვნული სახელმწიფოების შექმნა უკვე ისე ეფემერულად აღარ ჩანდა, როგორც ეს I მსოფლიო ომამდე იყო. შექმნილი გამოწვევების ფონზე, სულთანთან დაპირისპირებული „ანატოლიელი პროტესტანტების“ წინაშე დასახულ პირველხარისხოვან ამოცანას თურქული ეთნოსის კონსოლიდაცია და გაძლიერება, დეოკუპაციისათვის ბრძოლის მომზადება და ამავდროულად, ქვეყანაში დაწყებული ნაციონალური სეპარატისტული მოძრაობების ლიკვიდაცია წარმოადგენდა. ფაქტობრივად ეს სხვა არაფერი არ იყო, თუ არა ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას იტიჰადისტთა მიერ დაარსებული „სპეციალური ორგანიზაცია“ Teşkilât-ı Mahsusa-ს ფუნქციების გააქტიურება და რეალიზაცია.

იგივე ამოცანები იდგა უკვე მუდროსის ზავის შემდეგ Teşkilât-ı Mahsusa-ს ბაზაზე შექმნილი სხვადასხვა ტიპის „უფლებათა დაცვის საზოგადოებების“ – Mudafaa-i hukuk dernekleri–ს წინაშეც. ამ გეგმის შემუშავების აუცილებლობას ბოლო ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში იმპერიაში არსებული პოლიტიკური ვითარება, იმპერიის ხალხების ეთნიკური და კონფესიური სურათის სიჭრელე განაპირობებდა. ჩვენს ამ მოსაზრებებს თურქი ავტორებიც ადასტურებენ. ბასკინ ორანი (Baskin Oran), ცნობილი თურქი მეცნიერი, ანკარის უნივერსიტეტის პროფესორი თურქულ პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში, წერს: „ჩვენთან აქსიომადაა მიღებული ის დებულება, რომ „დამოუკიდებლობის“ ან სხვანაირად „განმათავისუფლებელი“ ომი იმპერიალიზმის, უცხო ქვეყნების წინააღმდეგ მიმდინარეობდა, რომლებიც თურქეთის დანაწილებას ესწრაფვოდნენ. არადა საკითხისადმი და ხელთ არსებული წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა ეჭვს არ ტოვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ომი არა ოკუპანტების, არამედ ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ მიმდინარეობდა“.⁴⁰⁰ შემდეგ კი აგრძელებს, – „როგორც ცნობილია, თურქეთის განმათავისუფლებელი ომის მამოძრავებელი ძალა „უფლებათა დაცვის საზოგადოება“ (Mudafaa-i hukuk dernekleri) იყო. ამ ორგანიზაციის საქმიანობისადმი თვალის ერთი გადავლევაც კი საკმარისია იმის დასაბუთება, რომ „ეს ორგანიზაციები იმ რაიონებში იქმნებოდნენ, სადაც სომხებისა და ბერძნების მხრიდან რეალური საფრთხე მომდინარეობდა“.⁴⁰¹ როგორც ვხედავთ, საკმაოდ მკვეთრი და თითქოსდა არაორდინარული დასკვნაა.

³⁹⁹ არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გამომცემლობა არადანი. ISBN 999928-72-48-9. თბილისი. 2007. გვ. 67.

⁴⁰⁰ Baskin Oran, Atatürk Milliyetçiliği, Resmi ideoloji Dişi Bir Inceleme, s.146, Ankara 1988. <http://armenianhouse.Org/akcam/genocide/book2.html>.

⁴⁰¹ იქვე.

იგივე მოტივები ამოძრავებდა თურქი ნაციონალისტების „წინააღმდეგობის“ სხვა ჯგუფებსაც. თურქი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, 70-იანი წლების თურქეთის პარლამენტის წევრი, საბაჰატინ სელეკი (Sabahattin Selek) თავის მონოგრაფიაში – „ანატოლიური რევოლუცია“ – წერს: „წინააღმდეგობის პირველი ხუთი ჯგუფი 1918 წლის ბოლოს შეიქმნა, მუდროსის ზავის დადებიდან სულ მცირე ხანში. აქედან სამი ორგანიზაციის საქმიანობა მიმართული იყო სომხების, ხოლო ორი – ბერძნების წინააღმდეგ. ტრაპიზონში შექმნილი ორგანიზაციის პირველ პუნქტში ნათქვამი იყო, რომ ორგანიზაციის მიზანს „ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა წარმოადგენდა“.⁴⁰²

ზემოთ ნათქვამი პირდაპირ ეხება გენერალ ქიაზიმ ყარაბეკირ ფაშასაც. მე-15 საარმიო კორპუსის სარდლად დანიშნულმა ყარაბეკირმა არზრუმში ჩასვლისთანავე მოიპოვა „აღმოსავლეთ ვილაიეთების ნაციონალურ უფლებათა დაცვის საზოგადოების“ (Vilayât-I Sarkiye Müdafaa-i Hukuk-u Milliye Cemiyeti) მხარდაჭერა. ეს ორგანიზაცია, ისევე როგორც სხვა ნაციონალური ორგანიზაციები, კონსტანტინოპოლში დააარსეს იტიჰადისტებმა 1918 წლის დეკემბერში. მის ამოცანას აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები თურქების დაცვა წარმოადგენდა სომეხთა სეპარატისტული გამოსვლებისაგან, რომლებიც თავიანთი ეფემერული სახელმწიფოს, „დიადი არმენიის“ შექმნისათვის იბრძოდნენ. იმ რეალობას, რომ ქემალისტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას ეკავა, თვით მუსტაფა ქემალის 1919 წლის 8 ივლისის გამოსვლაც ადასტურებს: „ჩემი ოფიციალური სამხედრო სტატუსი ხელს მიშლის, მონაწილეობა მივიღო ჩემი ხალხის ბრძოლაში, რომელიც მიმართულია ჩემი სამშობლოს ერთიანობის დაცვისაკენ და არ დავუშვია, რომ იგი სომეხთა და ბერძენთა მსხვერპლი გახდეს“.⁴⁰³

მოკლედ რომ ვთქვათ, მუსტაფა ქემალმა თავისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, ერთი მხრივ, ანატოლიელი წარჩინებულების მხარდაჭერით დაიწყო, რომლებიც სომეხებისა და ბერძნების შურისძიებას გაურბოდნენ, მეორე მხრივ კი, „ახალგაზრდა თურქთა“ დახმარებით, რომლებიც ასევე ჩართულნი იყვნენ ბერძნებისა და სომეხების მასიურ ჟლეტაში“.⁴⁰⁴

შექმნილი პრობლემა სულაც არ წარმოადგენდა ადვილად გადასაჭრელ ამოცანას, რადგან ანატოლიის ძირითადი მოსახლეობა, გლეხები და უბრალო ხალხი, რომლებიც დაღლილნი და გაწამებულნი იყვნენ ომის უბედურებებით, ომის მსვლელობისას გაჩენილი ნაციონალური დაპირისპირებებითა და განუკითხავი ძარცვა-გლეჯით, ყოველთვის ენთუზიაზმით როდი ეკიდებოდნენ ნაციონალისტთა პატრიოტულ მოწოდებებს. ფაქტია, რომ გლეხების მობილიზაცია ხალხისა და სამშობლოს დასაცავად საკმაოდ რთულად გადასაჭრელი ამოცანა აღმოჩნდა. ისეთი სიტყვები, როგორცაა „ერი“, „ღირსება“, „სამშობლო“, „თავისუფლება“ – ეს კონსტანტინოპოლელი ინტელექტუალებისათვის გასაგები ცნებები იყო, რომლებიც გლეხთა ყოველდღიური პრობლემებისაგან ძალიან შორს იდგნენ. ანატოლიელი გლეხისათვის კი გარე სამყაროს გაგება ასეთი იყო – სადღაც კონსტანტინოპოლში არსებული მითიური სულთანი, რა თქმა უნდა, ალაჰი და წინასწარმეტყველი მუჰამედი, მათ გვერდით მცხოვრები ბერძნები, სომხები, ქურთები,

⁴⁰² Sabahattin Selek, Anadolu İhtilali, İstanbul 1987; 1. Cilt, s.100.

⁴⁰³ Yakin Tarih Ansiklopedisi, Cilt 12, s.27, Yeni Asya Dergisi Yayini, İstanbul 1990.<http://armenianhouse.org/akcam/genocide/book2.html>.

⁴⁰⁴ Александр Ушаков. Феномен Ататюрка. Турецкий правитель, творец и диктатор. Москва. Центрполиграф. 2002. Стр. 123.

აგრეთვე ჟანდარმები და მიწათმფლობელები. ესაა და ეს. სხვა, უფრო მაღალი მატერი-
ები და იდეები კი უმრავლესობისათვის უცნობი და გაუგებარი იყო.⁴⁰⁵

გარდა ზემოთქმულისა, ანატოლიაში სხვა მძლავრი ფაქტორებიც არსებობდა, რომლებიც ხელს უშლიდნენ თურქული ეთნოსის კონსოლიდაციის პროცესს. საუბარი იმპერიაში არსებულ ნაციონალურ საკითხს შეეხება. საკითხის არსში გარკვევისათვის კი უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ ანატოლიაში იმ დროისათვის არსებული სოციოლოგიური ბალანსი, XX საუკუნის პირველი ათწლეულისათვის იქ არსებული ნაციონალური და კონფესიური სურათი.

§4.4. ნაციონალური საკითხი ოსმალეთის იმპერიაში

მართალია, ოსმალებმა იმპერიის სტრატეგიულ რეგიონად ანატოლია ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის წინ გამოაცხადეს, მაგრამ აქ პრობლემები ნამდვილად იყო. ოსმალთა სტრატეგიული ინტერესების ვექტორის შეცვლას ანატოლიისაკენ დიდი სირთულეები ელოებოდა წინ – იქ არსებული პოლიტიკური და კრიმინალური მდგომარეობა, ანატოლიის მოსახლეობის ეთნიკური, კულტურული და კონფესიური სიჭრელე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალთა იმპერიის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, ანატოლიის მოსახლეობა არასდროს არ ყოფილა ეთნიკურად და კონფესიურად ჰომოგენური. მისი ტერიტორიების დიდი ნაწილი არათურქი ხალხებით იყო დასახლებული – სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, ანუ ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიის ზღვის ზოლი – პონტო, როგორც მას ბერძნები უწოდებდნენ, ძირითადად მართლმადიდებელი ბერძნებით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლია და მთიანი დიარბექირი – სუნიტი და ალევითი⁴⁰⁶ ქურთებით.

⁴⁰⁵ Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexandre Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999.

⁴⁰⁶ ალევითები – რამდენიმე მილიონიანი სუბეთნიკური, რელიგიური და კულტურული თემი თურქეთში, ალბანეთსა და ბულგარეთში. ზოგიერთი მკვლევარი ალევითებს ისლამის ერთ-ერთ სახეობად თვლის. ისინი შიიტების მსგავსად ეთაფვანებიან ალისა და თორმეტ იმამს. იგი ისლამის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლიბერალური სახესხვაობაა. რელიგიურ ღვთისმსახურებას ატარებენ არა მეჩეთებში, არამედ სახლებში. მათ ცერემონიებზე, რომელსაც ესწრებიან როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, სრულდება მისტიკური მუსიკა და სარიტუალო სიმღერები. ალევითები სვამენ ალკოჰოლურ სასმელებს, არ მარხულობენ და არ მოილოცავენ მექას. ღვთისმსახურების ენა ქურთული და თურქულია და არა არაბული. ალევითები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ბექთაშთა სუნიტურ ორდენთან, რომელიც დაარსებულია ჰავი ბექთაშის მიერ XIII საუკუნეში. ახლოს დგას შიზმთან (ალისადმი თავყანისცემის გამო). შეიცავს ქრისტიანობის გარკვეულ ელემენტებს, მაგალითად, ნათლობა. გავრცელებული იყო ოსმალთა იმპერიაში, ალბანეთსა და ბოსნიაში, ძირითადად, გაშუქლიმანებულ ქრისტიანებში. სამყარო აღიქმებოდა ტრადიციის მეშვეობით – ალაჰი, მუჰამედი, ალი. რიტუალური საკვები – ღვინო, პური, ყველი. ბექთაშის ორდენის წევრები წარმოადგენდნენ თავისუფლად მოაზროვნეთა კასტას, რომელიც ტრადიციული ისლამის საყოველთაო წესებს გარეთ იყო გასული. ოსმალთა იმპერიაში ბექთაშის ორდენის წევრებს განეკუთვნებოდნენ ოსმალთა ჯარის ელიტარული ნაწილის – მეომარ იანიჩართა კორპუსის წევრები. 1826 წლიდან, იანიჩართა კასტის გაუქმებასთან ერთად ბექთაშები კარგავენ პრივილეგიებულთა სტატუსს. 1925 წლიდან კი, პრეზიდენტ მუსტაფა ქემალის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში გატარებული სახელმწიფო რეფორმებისა და ალევითებისა და ბექთაშის ორდენის

ალევიტები არ უნდა ავურიოთ ალავიტებში,⁴⁰⁷ რომლებიც უკიდურეს შიიზმთან დგანან ახლოს.

დასავლეთ ანატოლიასა და შავი ზღვის მიმდებარე ზოლში მნიშვნელოვანი იყო ბერძნული მოსახლეობის წილი, ხოლო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში რეგიონის ავტოქტონი ქართველი მოსახლეობა – გამაჰმადიანებული აჭარლები და ლაზები ცხოვრობდნენ, უფრო აღმოსავლეთით, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში კი – გამაჰმადიანებული და კათოლიკე მესხები. აქვე ცხოვრობდა რუსი სექტანტების, ე.წ. „მალაენებისა“ და „დუხობორების“ გარკვეული რაოდენობაც. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში წარმოებული დაპყრობითი ომების შემდეგ, ანატოლიის მოსახლეობას რუსულ ცარიზმს გამოქცეული „მუჰაჯირები“ დაემატნენ – დასავლეთ კავკასიიდან ემიგრირებული ადიღურ-ჩერქეზული, ხოლო აღმოსავლეთ კავკასიიდან – დაღესტნურ-ჩერქეზული ტომები. აღმოსავლეთ ანატოლიაში საგრძნობი იყო გრეგორიანელი სომხური მოსახლეობის წილი, აქვე ცხოვრობდნენ წარმართი ქურთული ტომებიც – იეზიდები. მნიშვნელოვანი იყო სომხური მოსახლეობის წილი სამხრეთ ანატოლიაშიც, ქილიკიაში. გარდა ამისა, გარკვეული რაოდენობის ებრაული მოსახლეობა ცხოვრობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. აქვე სახლობდა გამაჰმადიანებულ სომეხთა (ჰემშინთა) მცირე რაოდენობაც.

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის დასაწყისისათვის ანატოლიის ტერიტორიები მოსახლეობის დიდი ეთნიკური და კონფესიური სიჭრელით გამოირჩეოდა. მეტ-ნაკლებად ჰომოგენური სურათი მხოლოდ ცენტრალურ ანატოლიაში იყო, რომელიც ეთნიკური თურქებით იყო დასახლებული.

იმპერიის არსებობის ხანაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ხალხების თანაცხოვრება მეტ-ნაკლებად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და მათ შორის არსებული დაპირისპირებები ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კონფლიქტების საზღვრებს არ სცილდებოდა. მაგრამ ახლა, როცა I მსოფლიო ომში დამარცხებულ იმპერიას ფაქტობრივი დაქუცმაცების საფრთხე დაემუქრა, ანატოლიის პროვინციებში სეპარატისტული მოძრაობები გამძაფრდა. ყოფილი იმპერიის ტერიტორიებზე ახალი სახელმწიფოების შექმნის პროცესი დაიწყო – აქ მცხოვრებ ხალხებს ეროვნული დამოუკიდებლობისა და საკუთარი ეთნიკური სახელმწიფოების შექმნის იმედი მიეცათ. ჩვენი ეს მოსაზრება ანატოლიის ტერიტორიაზე მცხოვრებ თითქმის ყველა არათურქ ხალხს – სომეხებს, ქურთებს, ბერძნებსა და ჩერქეზებს ეხებათ. საკითხის არსში სრულყოფილად გარკვე-

დენის გამო, მის წევრთა დიდი ნაწილი იძულებული გახდა, დაეტოვებინა თურქეთი და ალბანეთსა და ბულგარეთში გადასულიყო.

⁴⁰⁷ ალავიტები – იგივე ნუსაირიტები, ისლამის შიიტური მიმართულების ეზოთერული მიმდინარეობის – ალავიზმის მიმდევრები. ალავიზმი ისლამური რელიგიური მიმდინარეობებისა და სექტების დასახელებაა, რომელიც დგას უკიდურესი შიიზმისა და ცალკე არსებულ რელიგიას შორის. ზოგიერთი მუსლიმი თეოლოგის მიხედვით, ალავიტები ისე შორს დგანან შიიზმისა და დომინანტური ისლამური მიმდინარეობებისაგან, რომ ალავიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც ცალკე მდგომი რელიგია – ისლამის, ქრისტიანობისა და წარმართული აღმოსავლური რელიგიების ნაზავი. მიღებულია, რომ ალავიზმი დააარსა აბუ შაუბ იბნ ნუსაირმა IX საუკუნეში. ფართოდ იყო გავრცელებული ოსმალთა იმპერიაში. იმპერიის გაუქმებისა და თურქეთის რესპუბლიკის შექმნისთანავე, უქმდება სახალიფოს ცნებაც, ხალიფა კი, გაძევებულ იქნა ქვეყნიდან. ამავე დროს, ქვეყნის პრეზიდენტმა, მუსტაფა ქემალმა დაიწყო ალავიტთა დენა, რომლებმაც საფრანგეთის მანდატით დაცულ სირიაში დაიწყეს გადასვლა. 1970 წელს, საბჭოთა სპეცსამსახურების მხარდაჭერითა და დახმარებით, სირიის არმიის ე.წ. „ახალგაზრდა ოფიცერთა“ ჯგუფი სირიაში აწყო საშხედრო გადატრიალებას და მონარქიის ლიკვიდაციას. ხელისუფლების სათავეში პროსაბჭოური ორიენტაციის ალავიტი ლიდერი, გენერალი ჰაფეზ ალ ასადი მოდის, რომელიც მალე სირიის პრეზიდენტი ხდება. დღეს სირიას მისი შვილი, ბაშარ ალ ასადი მართავს. უკანასკნელ ხანს შეინიშნება ალავიტების დაახლოება შიიტებთან, რაც ინიცირებული იყო ჰაფეზ ალ ასადის მიერ. ეს პროცესები კიდევ უფრო გაძლიერდა ბაშარ ალ ასადის მმართველობის პერიოდში. ამჟამად ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომის, მწვავე სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირების ფონზე ძლიერდება ირანის შიიტურ რეჟიმთან სირიის ალავიტური რეჟიმის დაახლოების პროცესი.

ვისათვის რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით და გარკვეული სიცხადეც შევიტანოთ მასში.

ოსმალთა იმპერიაში ჩერქეზი მოსახლეობისა და ჩერქეზული დიასპორების გაჩენა ცარიზმის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებულ მრავალწლიან ომს უკავშირდება, რომელიც ფორმალურად 1864 წლისთვის დასრულდა. კავკასიელი ხალხების ამ დიდ ტრაგედიას მათი ოსმალეთში მასიური გადასახლების პროცესი მოჰყვა, რომელიც ისტორიაში მუჰაჯირობის სახელით შევიდა.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ თავისი სისხლიანი მმართველობით ცნობილი „წითელი სულთნის“, აბდულ-ჰამიდ II-ის მმართველობის პერიოდი ჩერქეზი მოახალშენებისათვის ერთობ წარმატებული აღმოჩნდა. მიუხედავად აბდულ-ჰამიდის ზოგადად დესპოტური მმართველობის ფორმისა და ისტორიის მიერ ამ პიროვნების არაერთმნიშვნელოვანი შეფასებისა, სწორედ აბდულ-ჰამიდ II-ის მმართველობის ხანას უკავშირდება ოსმალეთში გადახვეწილ ჩერქეზ მუჰაჯირთა თემების გაფურჩქვნის პერიოდი. ფაქტია, რომ არა მხოლოდ ჩერქეზები, არამედ ოსმალთა იმპერიაში გადასახლებული ყველა კავკასიელი ხალხი წარმატებით ადაპტირდა ახალ გარემოში. როგორც წესი, ისინი ფლობდნენ საუკეთესო მიწებს ბალკანეთზე, ანატოლიასა და სირიაში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია, გამომდინარე მისი იდეოლოგიური მიზანდასახულობიდან, მუჰაჯირებს ჩაგრულ და დამონებულ ხალხებად წარმოაჩენდა ოსმალთა იმპერიაში, რეალობა განსხვავებული იყო, სრულიად განსხვავებული. ფაქტია, რომ იმ მძიმე გაჭირვებამ და განსაცდელმა, რაც კავკასიელ ხალხებს მოუტანა ცარიზმმა, სულიერად და მორალურად მაინც ვერ გატეხა ეს ამაყი ხალხი. აღსანიშნავია, რომ ის მიწები, რომლებზეც ახლა, დღეს მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ, გადასასახლებულთა პირველმა და მეორე თაობებმა მოიპოვეს. ფორმალურად ეს მიწები ოსმალთა მთავრობის მიერ იყო გამოყოფილი, მაგრამ რეალობაში ძალით მოიპოვეს ადგილობრივ ხალხებთან ბრძოლაში. ესენი იყვნენ: ბოლგარები, სერბები, სომხები, ქურთები, დრუზები, ბელუინები და თავად თურქები. 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის თანახმად, ოსმალეთის მთავრობა ვალდებული იქნა იღებდა, ბალკანეთის ჩერქეზები იმპერიის აზიურ ნაწილში გადაესახლებინა, მაგრამ ამავე დროს არ დაესახლებინა ისინი რუსეთის ამიერკავკასიის ტერიტორიებთან ახლოს. თავის მხრივ, საბერძნეთმაც მიმართა ოსმალეთის მთავრობას, რომ მის საზღვრებთან არ დაესახლებინათ ჩერქეზები.⁴⁰⁸

ევროპულ პრესაში კი რუსეთის საელჩოების ჩარევით ანტიჩერქეზული კამპანია გაჩაღდა, სადაც სხვა თემებთან მცირე საყოფაცხოვრებო შეტაკებები საერთაშორისო კონფლიქტების ზომამდე იბერებოდა.⁴⁰⁹

იმ დიდმა საბრძოლო და საომარმა გამოცდილებამ, რაც ჩერქეზებს – ადიღეელებს, ნატუხაელებს, შაფსულებს, აბაძეებს, უბიზებს, თემირგოელებს, აგრეთვე ყარაჩაელებსა და ყუბანელ ყაბარდოელებს ჰქონდათ მიღებული რუსულ თვითმპყრობელობასთან ბრძოლებში კავკასიის ომის დროს, ძალიან გააადვილა ახალ პირობებთან მათი ადაპტირების პროცესი. ოსმალთა იმპერიაში გადასახლებიდან სულ მცირე ხანში მათ მატერიალური კეთილდღეობა მოიპოვეს. სიტუაცია ნათელი იყო, ჩერქეზებს არაფერი არ ჰქონდათ დასაკარგავი – მათ ან უნდა გაემარჯვათ, ან უნდა გადაშენებულიყვნენ. თავზეხელაღებული დარცვა-გლეჯის უნარი, სამხედრო სამსახურისადმი

⁴⁰⁸ У. Н. Бэрэддж. Изгнания черкесов: Причины и последствия. Пер. Н. Хуажева, М. Губжоков. Майкоп. Республиканское издательско-полиграфическое объединение Адыгея министерства национальной политики. 1996. Стр. 152.

⁴⁰⁹ დასახელებული ნაშრომი. გვ. 143.

მიდრეკილება და თვითგადარჩენის კარგად განვითარებული ინსტიტუტი – აი, ის სამი მთავარი ელემენტი, რამაც ხელი შეუწყო მათ ახალ ადგილებში დამკვიდრებას.⁴¹⁰

ზემოთ თქმული, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითოეულმა ჩერქეზულმა ოჯახმა თუ თემმა შეძლო, უცხო მიწაზე მოეძებნა თავისი „ადგილი მზის ქვეშ“, მაგრამ ჩერქეზთა განსახლების ძირითადი ტენდენციები ამ ხალხისათვის მართლაც კეთილისმყოფელი იყო. ერთი რამ უდავოა – მიუხედავად ისტორიული სამშობლოდან მათი განდევნისა, ჩერქეზ ხალხს 1864 წლის შემდეგ არსებობა არ შეუწყვეტია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მუჰაჯირობამ გააძლიერა ჩერქეზული ელიტის პოზიციები ოსმალთა იმპერიაში, სადაც მათ განსაკუთრებულ წარმატებას იმპერიის ადმინისტრაციულ აპარატში სამსახურით მიაღწიეს. არაბული ვილაიეთების ოსმალური ისთებლიშმენთი და სამხედრო-პოლიციური აპარატი თითქმის მთლიანად ჩერქეზებით იყო წარმოდგენილი და ეს ტენდენციები იმდენად აშკარა იყო, რომ არაბთა მიერ ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, ცენტრალური ხელისუფლებისა და კონსტანტინოპოლის წარმომადგენლებად აღიქმებოდნენ.⁴¹¹

ასე რომ, რუსულ და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მითი ჩერქეზთა დამონებული მდგომარეობის შესახებ თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში მორიგი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მონაგონია, რომელსაც არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია.

რაც შეეხება ქართველებს, ეროვნული თვითშეგნებისა და თვითიდენტიფიკაციის თვალსაზრისით, რეგიონის ქართულ მაჰმადიანურ მოსახლეობაში არაერთგვაროვან სურათს ვაწყდებით. მიუხედავად იმისა, რომ მრავალსაუკუნოვანი ოსმალური ოკუპაციის შემდეგ, 1878 წლიდან აჭარა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის ნაწილი ისევ დედამშობლოს დაუბრუნდა, გამაჰმადიანებული მოსახლეობის ერთ ნაწილში ისევ შეიმჩნეოდა პროოსმალური ტენდენციები. ლაზებში ასეთი ტენდენციები კიდევ უფრო მკვეთრად იყო გამოხატული. ქართველი ლაზების დიდი ნაწილი ისევ იმპერიის ერთგულ მსახურად რჩებოდა და ახლადდაწყებული ქემალისტური მოძრაობის სამსახურშიც ლაზები განსაკუთრებულად თავდადებულები აღმოჩნდნენ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საკუთარ პირად დაცვაში მუსტაფა ქემალს ლაზები ჰყავდა დაყენებული... და მას შემთხვევით არ ჰყავდა ისინი შერჩეული. როგორც ცნობილი რუსი თურქოლოგი, ათათურქის ბიოგრაფი, ალექსანდრ უშაკოვი აღნიშნავს, „ეს დაუნდობელი და მეომარი ხალხი ამავე დროს წარმოუდგენელი ერთგულებით გამოირჩეოდა. ისინი მზად იყვნენ, დაეცვათ თავისი პატრონი და მისი გულისათვის სისხლის უკანასკნელი წვეთიც კი დაედვარათ“.⁴¹²

რაც შეეხება I მსოფლიო ომის შემდგომ ოსმალთა იმპერიაში არსებულ ზოგად პოლიტიკურ სურათსა და ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებულ ტერიტორიულ და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის პროექტებს, განაჩენი უკვე გამოტანილი იყო – ოსმალთა იმპერია უნდა დაშლილიყო, ხოლო მისი ტერიტორიების დიდი ნაწილი „საიქს – ჟორჟ-პიკოს“ შეთანხმების საფუძველზე სხვა სახელმწიფოებსა და ხალხებს უნდა გადაეწილებულიყო. ოსმალთა იმპერიის არაბული ნაწილის პოლიტიკური მომავლის ბედიც 1918 წლის ბოლოსათვის ანტანტის მიერ უკვე გადაწყვეტილი იყო – ისტორიულ არაბულ მიწებზე ახალი არაბული სახელმწიფოები უნდა შექმნილიყო. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიაში კი მდგომარეობა

⁴¹⁰ Адыги в политической истории Турции 1878-1922 гг. <http://adygi.ru/1211-adygi-v-politicheskoy-istorii-turcii-1878-1922-gg.html>.

⁴¹¹ Доктор исторических наук Анзор Кушхабиев. Черкесская диаспора в арабских странах (XIX—XX вв.). Нальчик, 1997. Стр. 119.

⁴¹² Александр Ушаков. Феномен Ататюрка. Турецкий правитель, творец и диктатор. Москва. Центрполиграф. 2002. Стр. 178.

გაცილებით ბუნდოვანი და გაურკვეველი ჩანდა. აქ მცხოვრები ხალხების სოციალური მდგომარეობის კონტრასტულობა, პოლიტიკური ორიენტაციების სიმრავლე, ისტორიული მეტკვიდრეობითობის, ტერიტორიული განსახლებისა და კონფესიური აღმსარებლობის სიჭრელე გადაულახავ სიძნელეებს ქმნიდა.

ამ სიტუაციაში ანატოლიის თვითოეულმა ეთნოსმა ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლის საკუთარი გზა აირჩია. სომხები თავიანთი ეფემერული სახელმწიფოს – „დიადი არმენიის“ შექმნას ანტანტის და, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით აპირებდნენ. ბერძნები კი „პონტოს სახელმწიფოს“ დაარსებას ასევე ანტანტისა და, პირველ რიგში, თვით საბერძნეთის, მისი არმიის მხარდაჭერით ფიქრობდნენ. განიხილებოდა კომბინირებული ვარიანტიც. ასე მაგალითად, 1919 წლის დასაწყისისათვის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაიტანეს საკითხი სომხეთის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნისა მასში შემავალი ბერძნული ავტონომიით. საბოლოოდ, კომპრომისული ვარიანტის სახით სომხეთის პრემიერ-მინისტრის, ალექსანდრ ნატისიანისა და ტრაპიზონის მიტროპოლიტის, ქრიზანფის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, შექმნილიყო პონტოურ-სომხური კონფედერაცია.⁴¹³

ქურთებსა და ჩერქეზებს კი მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდათ. მაგრამ, ჩერქეზებისაგან განსხვავებით, რომლებიც პოლიტიკური თვალსაზრისით არ იყვნენ ბოლომდე ჩამოყალიბებულნი, მომავალი ქურთისტანის შექმნის საკითხი, ისევე, როგორც „დიადი არმენიისა“, პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის მიერ განიხილებოდა. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სომხური ნაციონალისტური პრესა წერდა: „...ისტორიის განაჩენი უღმობელია: თურქეთს არ შეუძლია, იარსებოს როგორც შემდგარმა, დამოუკიდებელმა ორგანიზმმა. იგი უნდა მოკვდეს და დაიშალოს, ხოლო მის ნარჩენებზე ახალი სახელმწიფოები უნდა გაჩნდნენ, რომლებიც დაიწყებენ დამოუკიდებელ, თავისუფალ და ცივილიზებულ ცხოვრებას. თურქეთი ნაწილებად უნდა დაიყოს – ამას ითხოვს უღმობელი ისტორია და მოვლენების განვითარების ლოგიკა“.⁴¹⁴

ადიდებლები, უბიხები, აბაზები და აფხაზები, რომლებიც მათთვის უცხო ეთნოკულტურულ სივრცეში მოხვდნენ და რომლებმაც ამავე დროს მათთვის მშობლიური განსახლების ლანდშაფტური და კულტურული არეალი დაკარგეს, საკმაოდ ლაბილური აღმოჩნდნენ სხვადასხვა პოლიტიკური თუ იდეოლოგიური დინებების მიმართ. XX საუკუნის დასაწყისისათვის ჩერქეზული თემი, რომელშიც აგრეთვე აფხაზები იყვნენ ჩართულნი, ორ პარტიად გაიყო: პირველი მათგანი არსებული რეჟიმის, სულთან-ხალიფასა და იმპერიის უერთგულესი მომხრეები იყვნენ, მეორე მიმდინარეობის წარმომადგენლებმა კი მხარი იტიპადისტებსა და შემდგომ, ქემალისტებს დაუჭირეს. ამ ფრთას, პირობითად, დემოკრატიული ან რესპუბლიკური მიმდინარეობა შეგვიძლია ვუწოდოთ.

ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, რომ იმ ჩერქეზებმა, რომლებმაც იტიპადისტური და მოგვიანებით, ქემალისტური პოზიციები დაიკავეს, საბედისწერო, თავიანთი ერისათვის მომაკვდინებელი შეცდომა დაუშვეს. მუსტაფა ქემალმა და გამარჯვებულმა ქემალისტებმა ძალიან მალე დაივიწყეს „რევოლუციური დემოკრატიის“ იდეები და პანთურქისტული დროშა ააფრიალეს. გამარჯვების მოპოვებისა და თურქული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე მათ ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს. სადამსჯელო და დისკრიმინაციული პოლიტიკა კი პირველ რიგში ჩერქეზებისა და ქურთების – იმ არათურქი ხალხების წინააღმდეგ გაიშალა, რომლებიც ყველაზე მეტად უჭერდნენ მხარს და ყველაზე თავდადებულად

⁴¹³ <http://www.agionoros.ru/docs/1198.html>.

⁴¹⁴ Джон Киракосян. Западная Армения в годы Первой мировой войны. Ереван. Издательство Ереванского университета. 1974. Стр.212. „Мшак“. 1914. 20 сентября. №208.

იბრძოდნენ ახალი თურქული სახელმწიფოს შექმნისათვის. რუსი ავტორი, მაქსიმ ლებსკი, თავის სტატიაში „Трагедия турецкого социализма“, წერს: „ათათურქის კონცეფცია, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის იდეოლოგიური არსენალის საფუძველს წარმოადგენდა, თურქთა ნაციონალური უნიტარული სახელმწიფოს შექმნას გულისხმობდა. თავდაპირველად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ეტაპზე, ნაციონალურ საკითხებში ქემალისტების მიერ გარკვეული დაპირებები ეძლეოდათ ქურთებსაც, რათა მათ მხარი დაეჭირათ ქემალისტური მოძრაობისათვის“.⁴¹⁵

ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი, ისტორიის დოქტორი, ლონდონის სახელმწიფოებრივი მართვის დეპარტამენტის ეკონომიკის სკოლის რუსეთის სახელმწიფოებრივი მართვის ფაკულტეტის პროფესორი, დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივ და ჰუმანიტარული მეცნიერებათა აკადემიის წევრი, დომინიკ ლივენი (Dominic Lieven) აღნიშნავს: „რეჟიმის თვალში ქურთები თურქული რასის ჩამორჩენილ და იზოლირებულ განშტოებას წარმოადგენდნენ, რომლებიც მათთა საუბედუროდ, სპარსელთა საუკუნოვანი ზეგავლენის შედეგად მნიშვნელოვნად დამახინჯებულიყვნენ. თურქულ სახელმწიფოს უნდა დაებრუნებინა მათთვის ნამდვილი თურქული იდენტობა, მაგრამ უფრო თანამედროვე ცივილური სახით. ქურთთა მნიშვნელოვანი ნაწილი ალევიტები იყვნენ, და აქედან გამომდინარე, რელიგიურ დისიდენტებს წარმოადგენდნენ. ალევითი ქურთები კი, რელიგიას უფრო დიდი მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე თავის ეთნიკურ წარმომავლობას. მეორეს მხრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის მთიან და ძნელადმისადგომ რაიონებში მაცხოვრებელ ქურთთა შორის ძლიერმა ქურთული თვითიდენტობის გრძნობამ იმპლავრა, რადგან იმპერიას არ გააჩნდა საკმარისი რესურსები ამ დაშორებულ რეგიონში თურქული ნაციონალური მუხტის შეტანისა და გაძლიერებისათვის.“⁴¹⁶

აბდულა ოჯალანი: „ანატოლიაში დაწყებული ნაციონალური მოძრაობა არ წარმოადგენდა მხოლოდ თურქი ხალხის მიერ წარმოებულ წინააღმდეგობის მოძრაობას. მასში გარკვეული როლი ქურთ ხალხსაც მიუძღვის. კერძოდ, სამხრეთში, საფრანგეთის საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ქურთმა ხალხმა ითამაშა... აქედან გამომდინარე, თავდაპირველად ქურთი ხალხი იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ თურქმა ნაციონალისტებმა დასაწყისიდანვე შეძლეს ამ პოტენციალის თავის სასარგებლოდ გამოყენება. საბოლოოდ, ანატოლიური წინააღმდეგობის მოძრაობაში ქურთი ხალხის მონაწილეობა თურქი ნაციონალისტებისათვის მეტად სარგებლიანი აღმოჩნდა“.⁴¹⁷

რაც შეეხება ჩერქეზთა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს, იმ მძიმე დროში მხოლოდ ჩერქეზთა მცირე რაოდენობამ შეძლო იმ სოციალური დემაგოგიის წინააღმდეგ გამოსვლა, როდესაც I მსოფლიო ომის შემდგომ კრიზისზე მთელი პასუხისმგებლობა სულთანსა და ძველ მმართველობით ელიტას დაეკისრა. როგორც ე. ვეიტი აღნიშნავს – „იტიჰადისტთა მმართველობით უკმაყოფილებამ თავის პიკს მუდროსის ზავის დადების შემდეგ მიაღწია, როდესაც ოსმალთა სასახლის კარს დაახლოებულ ზოგიერთ ჩერქეზულ წრეებში ანტანტის მფარველობაში მყოფი ჩერქეზთა ავტონომიური სახელმწიფოს შექმნის იდეა იბადება“.⁴¹⁸ ხოლო სან დიეგოსა და ტორონტოს უნივერსიტეტების პროფესორი, რაიენ ჯინჯერასი (Ryan Gingeras) თავის ნაშრომში – “The Sons of Two

⁴¹⁵ Максим Лебский. Трагедия турецкого социализма. <http://socialistic.ru/publications/articles/tragediya-tureckogo-socializma/>.

⁴¹⁶ Доминик Ливен. РОССИЙСКАЯ ИМПЕРИЯ И ЕЁ ВРАГИ . Часть четвертая. После империи. Стр. 553-554. http://www.krotov.info/lib_sec/12_1/iv/en_9.htm.

⁴¹⁷ Оджалан А. «Курдистанская действительность с XIX века по настоящее время и движение РПК.» М.: «Ахйна Welat», 1998 г. Стр. 157.

⁴¹⁸ Адыги в политической истории Турции 1878-1922 гг. <http://adygi.ru/1211-adygi-v-politicheskoy-istorii-turcii-1878-1922-gg.html>.

Fatherlands: Turkey and the North Caucasian Diaspora, 1914-1923“, – წერს: „მუდროსის ზავის დადებიდან ერთ თვეში, ისტანბულის ჩერქეზმა მოსახლეობამ გარკვეული კონტაქტები დაამყარა ჩრდილო-კავკასიურ რესპუბლიკასთან. 1919 წელს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის დელეგაცია, პრემიერ-მინისტრ აბდულმეჯიდ ჩერმოევისა და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჰაიდარ ბამატის ხელმძღვანელობით, ხვდება ისტანბულელ ჩერქეზებს მათი მხრიდან ჩერქეზთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად“.⁴¹⁹

1920 წლის ზაფხულში, ბერძნების მიერ სმირნას დაკავების შემდეგ, ჩერქეზთა ეროვნული ყრილობა იმართება, რომელზეც დასავლეთ ანატოლიაში, ბერძნების მფარველობის ქვეშ ჩერქეზული რესპუბლიკის შექმნის შესახებ იღებენ გადაწყვეტილებას. დემოკრატიულად განწყობილ ანატოლიელ ჩერქეზებს შორის ეს იდეა მხარდაჭერას ვერ პოულობს. ბედის ირონია იყო ის მდგომარეობა, რომ ანატოლიელმა ჩერქეზებმა, ისევე როგორც თურქმა გლეხებმა, მხარი თურქთა ნაციონალურ მოძრაობას დაუჭირეს. ფაქტია, რომ ანატოლიელ ჩერქეზთა დიდი ნაწილისათვის ჩერქეზული სახელმწიფოს შექმნის იდეა ერთობ ეფემერული და მიუღებელი აღმოჩნდა. ამ პოლიტიკური ინერტულობის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ოსმალთა იმპერიაში მოსახლე ჩერქეზი და ზოგადად, კავკასიელი მუჰაჯირებისა და მათი შთამომავლებისათვის ეროვნული სახელმწიფოს ცნება საკუთარ მამულთან, სამშობლოსთან, ე.ი. თავის ისტორიულ საცხოვრისთან – კავკასიასთან ასოცირდებოდა. გასათვალისწინებელია ის პოლიტიკური რეალობაც, რაც I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა ოსმალთა იმპერიის სამეზობლოში, კერძოდ, რუსეთში. ამ პერიოდისათვის ჩერქეზები დიდ იმედებს ამყარებდნენ თავად რუსეთში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებზეც, იქ დაწყებულ სამოქალაქო ომსა და მის შედეგებზე. მოხერხებული პროპაგანდისტული მუშაობისა და დეკლარირებული ლოზუნგების ფონზე, ბოლშევიკებსა და მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს ჩაგრულთა და ეროვნულ უმცირესობათა დამცველების ცრუ იმიჯი ჰქონდათ მოპოვებული. ოსმალეთში მცხოვრები მუჰაჯირი ჩერქეზები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთში პოლიტიკური წყობის შეცვლა მიმდინარეობდა და ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათი შანსები გაიზრდებოდა – ისინიც მალე დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს. მაგრამ აქაც მწარედ ცდებოდნენ ჩერქეზული დიასპორის წარმომადგენლები – ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ ლენინისეული დემოკრატიისა და ე.წ. „ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიული პრინციპი“ ბოლშევიკთა მიერ შემოგდებული მორიგი იდეოლოგიური სატყუარა და დიდი პოლიტიკური ფარსი იყო. ფაქტია, რომ ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ძალიან მალე დაასრულეს მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდია და ყოფილი ცარისტული იმპერიის მთელ ტერიტორიაზე პროლეტარული ნეოკოლონიალიზმის სისხლიანი პროცესი დაიწყო.

მეორე საკითხი, რომელზეც ჩერქეზები ამყარებდნენ თავიანთი ეროვნული გადარჩენისა და ისტორიულ სამშობლოსთან გაერთიანების იმედებს, ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ ე.წ. „მთიელ ხალხთა რესპუბლიკის“ შექმნას უკავშირდება. ქემალისტური მოძრაობის კავკასიური წარმომავლობის ისეთი ლიდერები, როგორც ჰუსეინ რაუფ ორბეი და ბექირ სამი კუნდუხი იყვნენ, ძალას არ იმურებდნენ იმისათვის, რომ ახალ თურქულ მოძრაობასა და დიდი ეროვნული კრების მთავრობას მთიელთა

⁴¹⁹ Ryan Gingeras. The Sons of Two Fatherlands: Turkey and the North Caucasian Diaspora, 1914-1923. European Journal of Turkish Studies [Online], Complete List, 2011, Online since 30 November 2011. Butbay, Kafkasya Hatıraları 19-23; Sefer Berzeg, Kuzey Kafkasya Cumhuriyeti, 1917-1922:II Cilt, Bağımsızlık Mücadelesi (Istanbul, Birleşik Kafkasya Derneği, 2004), p. 279. <http://ejts.revues.org/4424#ftn53>.

რესპუბლიკა ეცნო. ისინი იმასაც იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ ახალი თურქული სახელმწიფოსა და მთიელთა რესპუბლიკის გარკვეული ტიპის კონფედერაციის შექმნას. მოსკოვში წარგზავნილი ქემალისტთა პირველი დელეგაციის ხელმძღვანელი და ანგორის მთავრობის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი, ბექირ სამი კუნდუნი, მოსკოვიდან ანკარისაკენ მომავალ უკანა გზაზე ჩრდილოეთ კავკასიაში შეჩერდა და დიდი სააგიტაციო მუშაობა გააჩადა ადგილობრივ მოსახლეობაში იმ თემაზე, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან ერთად გარკვეული „კავკასიური ზღუდე“ შექმნილიყო რუსეთის, თუნდაც უკვე ბოლშევიკურის წინააღმდეგ. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ჩერქეზ მუჰაჯირთა შთამომავლები, პირველ რიგში, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ და ანატოლიაში ჩერქეზული სახელმწიფოს შექმნა მათ არა იმდენად ქიშკირულ, რამდენადაც არაეთიკურ და უღირს იდეად ეჩვენებოდათ.

გარდა ზემოთქმულისა, არსებობდა ჩერქეზული დიასპორის კიდევ ერთი და აღვნიშნავდით – ალბათ ყველაზე უფრო ძლიერი, ისლამისტური და პრომონარქისტული ფრთა. ამ ფრთის წარმომადგენლები ძველი ყაიდის ოსმალური სახელმწიფოს, იმპერიისა და სულთან-ხალიფას ინსტიტუტის უერთგულეს დამცველებს წარმოადგენდნენ. მათი საქმიანობის ძირითადი სფერო სამხედრო და სასულიერო საქმიანობა გახლდათ, სულთან-ხალიფას დაცვა კი თავის პირდაპირ და ყველაზე მთავარ დანიშნულებად მიაჩნდათ.

როგორც ვხედავთ, იმპერიაში მცხოვრები სხვა ეროვნული უმცირესობებისაგან განსხვავებით, ჩერქეზებს მკვეთრად გამოხატული ეროვნული ერთიანობის იდეოლოგია არ გააჩნდათ და მეტად დაქსაქსულები იყვნენ. დაქსაქსული სისტემის მართვა და მისით მანიპულირება კი ერთობ მარტივ ამოცანას წარმოადგენს, რაც ადვილად მოახერხეს კიდევ დაინტერესებულმა ძალებმა. დაწყებული 1919 ზაფხულიდან, ქემალისტური მოძრაობის ჩასახვის მომენტიდან, ჩერქეზთა ეროვნული ცნობიერების ამ გაორებით თუ გასამებით კარგად ისარგებლეს ახალი თურქული მოძრაობის ლიდერებმა. მუსტაფა ქემალმა და ქემალისტებმა შეძლეს ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ ორი იდეოლოგიური მიმდინარეობის ჩერქეზული ჯგუფი – ერთი მხრივ, ისლამისტურ-მონარქისტული, ხოლო მეორე მხრივ – ქემალისტურ-რესპუბლიკური.

აქვე მოვიყვანო ჩერქეზთა ერთ-ერთი ლიდერის, ანჩოკთა მოდემის აბაძეხის, აჰმედ ანზაურის 1919 წლის ოქტომბრით დათარიღებულ წერილს, სადაც კარგად ჩანს იმ პოლიტიკური განხეთქილების ელემენტები, რომელიც არსებობდა სხვადასხვა რელიგიური თუ პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევარ ჩერქეზ წარმომადგენლებში: „ჩვენს საყვარელ შვილს, ყარა ჰასანს... როდესაც ერთად ვმონაწილეობდით სივამ თეფეს ალყის მოწყობაში, კარგად შევნიშნეთ, რომ ბევრი ჩერქეზი არაფრად არ ავდებდა პარასკევის ლოცვების შესრულებას. აი, სადამდე მივიდნენ სულეიმანის შთამომავლები... მითხარი ერთი, ვინ არიან ეს წყეული ახალგაზრდა თურქები, რომლებმაც ჩვენ ქააბა წაგვართვეს?... რომლებმაც აიძულეს მუსლიმანები, დაღუპულიყვნენ დარდანელის ნაპირებთან, კავკასიის მთებში, არაბეთისა და იემენის უდაბნოებში, რუმინეთის მინდვრებში და რომლებმაც ყვითელი ბილეთები მისცეს ათასობით მუსლიმან ქალსა და ქალიშვილს კონსტანტინოპოლში? ვინ არიან ისინი, გეკითხები მე შენ, თუ არა საძულველი ფრანკმასონები? ჩერქეზთა შორისაც არიან იტიჰადისტები, მოერიდე მათ და ნუ დაიჯერებ მათ მაცდურ დაპირებებს, რომლებსაც ისინი მოგცემენ...“⁴²⁰

საერთო ჯამში, ოსმალთა იმპერიის ჩერქეზულ საზოგადოებაში არსებულმა იდეოლოგიურმა განხეთქილებამ საბოლოოდ დაამსხვრია ჩერქეზთა ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ყოველგვარი იმედი. წინ გავეუსწრებთ მოვლენებს და აღვნიშნავთ, რომ

⁴²⁰ Мустафа Кемаль. Путь новой Турции. 1919-1927. Т. III. Интервенция союзников, Греко-Турецкая война и консолидация национального фронта 1920-1921. Государственное социально-экономическое издательство. 1934 г. Стр. 260-261.

1920 წელი ჩერქეზული ელიტის არსებობის უკანასკნელი წელი აღმოჩნდა კონსტანტინოპოლსა და ანატოლიაში. მისი ფორმირება და არსებობა მთლიანადაა დაკავშირებული ოსმალთა იმპერიის ისტორიასთან. ჩერქეზთა ოსმალური ელიტის ჩასახვა კი ცარისტული რუსეთის მიერ კავკასიაში გაჩაღებულ სისხლიან ომებსა და საბოლოოდ, 1864 წელს მის დაპყრობას უკავშირდება, როდესაც კავკასიელი ხალხების დიდი ნაწილი ოსმალეთის იმპერიაში გადაიხვეწა. ჩერქეზული ელიტის კვლევა 1920 წლიდან, ქემალისტური მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად დაიწყო, რაც საბოლოოდ 1923 წელს სახალიფოს გაუქმებითა და თურქეთის ქემალისტური რესპუბლიკის შექმნით დასრულდა. ამავე წელს შემუშავდა დასავლეთ ანატოლიიდან აღმოსავლეთ ანატოლიის მთიან და ხრიოკ, ქურთებითა და სომხებით დასახლებულ ადგილებში ჩერქეზთა დეპორტაციის გეგმაც.

საბოლოოდ, ისტორიის განაჩენი უღმობელი აღმოჩნდა. მიუხედავად ჩერქეზული ელიტის მრავალწლიანი დომინირებისა, 1923 წლისთვის ყველაფერს წერტილი დაესვა. სამშობლოსა და ისტორიულ ფესვებს მოწყვეტილმა ხალხმა არა მხოლოდ საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეა, არამედ ის პრივილეგიებული მდგომარეობაც დაკარგა, რაც უმძიმესი ბრძოლების, თავგანწირვისა და დიდი ძალისხმევის ფასად ჰქონდა მოპოვებული. დღეს თურქულ სახელმწიფოში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლები მხოლოდ კულტურული თვითმყოფადობის გადარჩენაზე ოცნებობენ.

დავუბრუნდეთ ისევ ანატოლიას, „ანატოლიელ პროტესტანტებსა“ და 1919 წლისთვის აქ არსებულ რთულ ნაციონალურ და პოლიტიკურ სურათს. მუდროსის ზავის პირობების გათვალისწინებითა და პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის მიმდინარეობის ფონზე, ანატოლიაში მცხოვრები სხვადასხვა არათურქი ხალხები იმპერიასა და თურქულ ეთნოსთან დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ. ცნობილი გერმანელი მკვლევარი და ისტორიკოსი გერჰარდ ვეიგანი (Gerhard Wiegand) აღნიშნავდა: „ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სხვა ხალხების ბრძოლა თვითგამორკვევისათვის თავად თურქი ხალხის არსებობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ანატოლიის არათურქი ხალხები – აღმოსავლეთით სომხები და ქურთები, ხოლო დასავლეთით ბერძნები, ნებისმიერ მომენტში მზად იყვნენ იმისათვის, რომ ამ ამაყი ხალხის უკანასკნელი სიმაგრე აეფეთქებინათ“.⁴²¹ ხოლო ჰამიდ ბოზარსლანი, პარიზის სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის (EHESS – Ecole des Hautes Etudes en Sciences Sociales in Paris) დირექტორი, ქემალისტური მოძრაობის შესახებ აღნიშნავს, რომ „ეს ომი დამოუკიდებლობის ომის სახელით შევიდა ისტორიაში. იგი უმთავრესად უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ მიმდინარეობდა, მაგრამ ამავე დროს ხდებოდა თავდასხმები სომხებზე ქილიკიაში, სადაც სომხური რაზმები ჩართულნი იყვნენ ფრანგულ კონტინგენტში და კავკასიაშიც, სადაც სომხეთის რესპუბლიკა შეიქმნა, ასევე – პონტოელი ბერძნების წინააღმდეგ. თურქების მიერ იზმირის დაკავების შემდეგ კი ამ მნიშვნელოვან ქალაქში ბერძნული მოსახლეობის ტოტალური განადგურება მოხდა. გარკვეულწილად, ქემალისტური ძალების მირ დაწყებული დამოუკიდებლობის ომი შეგვიძლია განვიხილოთ ასევე, როგორც თურქული მუსლიმანური მოსახლეობის წინააღმდეგობის მოძრაობა ანატოლიის სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ...“⁴²²

⁴²¹ Gerhard Wiegand (Hrsg.): Halbmond im letzten Viertel, s.130-131, München 1970. <http://armenianhouse.Org/akcam/genocide/book2.html>.

⁴²² Hamit Bozarslan, The General Ottoman and Turkish Contexts, From the Tanzimat (1838) to the Suppression of the Dersim Rebellion (1938), Online Encyclopedia of Mass Violence, [online], published on 15 March 2008, accessed 15 February 2014, URL : <http://www.massviolence.org/The-General-Ottoman-and-Turkish-Contexts-From-the-Tanzimat>, ISSN 1961-9898. <http://www.massviolence.org/The-General-Ottoman-and-Turkish-Contexts-From-the-Tanzimat?artpage=3-4>.

ბუნებრივია, რომ მუსტაფა ქემალისა და მისი თანამოაზრეების მიერ ფართო-მასშტაბიანი ნაციონალური მოძრაობის ორგანიზება ანატოლიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუ მისი მოსახლეობა ეთნიკურად, რელიგიურად და, რაც მთავარია, იდეოლოგიურად, ჰომოგენური იქნებოდა. თურქ ნაციონალისტთა მიერ იმპერიაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე იმპერიასთან და თურქ ხალხთან დაპირისპირებულ ძალად მოიაზრებოდა. თავის მემუარულ ნაშრომში “Ambassador Morgenthau’s Story“, ჰენრი მორგენტაუ (Henry Morgenthau), აშშ-ის ელჩი ოსმალთა იმპერიაში, წერდა: „აკი ხშირად ამბობდნენ თავის დროზე თალათ და ენვერ ფაშები: „იმპერიის მოსახლე სხვადასხვა ნაციონალური უმცირესობები ყოველთვის თურქეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ... მათი მტრული დამოკიდებულების გამო ჩვენ მუდმივად განვიციდით ტერიტორიულ დანაკარგებს... დაკარგეთ საბერძნეთი, სერბია, რუმინეთი, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ეგვიპტე და ლიბია. ამის შედეგად, იმპერიის საზღვრების შემცირებამ საშიშ ზღვარს მიაღწია. თუ გვსურს დარჩენილ ტერიტორიებზე ჩვენი არსებობის შენარჩუნება, მაშინ ამ უცხო ელემენტებისაგან უნდა განვთავისუფლდეთ“.⁴²³

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთავარი ფაქტორი, რამაც მუსტაფა ქემალსა და მის თანამოაზრეებს ცენტრალური ანატოლია აარჩევინათ შემდგომი ბრძოლის გასაგრძელებლად და არა ანატოლიის სხვა ნაწილი, ის იყო, რომ მხოლოდ ეს ტერიტორიები იყო დასახლებული ძირითადად ეთნიკური თურქებით – თავის დროზე შუა აზიის ტრამალებიდან მოსული ოღუზთა თურქული ტომების შთამომავლებით. მუსტაფა ქემალისა და მისი თანამოაზრეების გათვლებით სწორედ აქ, ცენტრალურ ანატოლიაში მცხოვრები თურქი ხალხი, აქ დისლოცირებული თურქეთის რეგულარული ჯარის ნაწილები და ე.წ. „ნაციონალური ძალები“ (Kuva-yi Milliye) უნდა გამხდარიყვნენ ქემალისტთა წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი წარმმართველი ძალა. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩა ქემალისტთა მიერ ცენტრალური ანატოლია ახალი თურქული მოძრაობის დაწყების ასპარეზად.

§4.5. ანატოლიის „ნაციონალური ძალები“

მეტად საინტერესოა ის საკითხიც, თუ რას წარმოადგენდნენ ამ მომენტისათვის ანატოლიაში მოქმედი ე.წ. „ნაციონალური ძალები“, აქ არსებული თურქული საჯარისო შენაერთები და ნაწილები, როგორი იყო მათი შემადგენლობა, დისლოკაციები, შეიარაღება და პირადი შემადგენლობის რაოდენობა, მათი საბრძოლო სულისკვეთება, გამოცდილება და პოტენციალი.

⁴²³ Henry Morgenthau, Ambassador Morgenthau’s Story, s.51’den aktaran Heath W. Lowry, Büyükelçi Morgenthau’nun Öyküsünün Perde Arkası, s.32-33, İstanbul 1991. aSS-s elCi osmalTa imperiaSi _ henri morgentau.

1919 წლისთვის თურქეთის არმიის აღმოსავლეთის ფრონტის შენაერთებისა და სამხედრო ნაწილების დისლოკაციაზე ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის თვით მუსტაფა ქემალი:

„1918 წლის ბოლოდან მე-3 არმიის მთავარ ინსპექტორად დავინიშნე და უშუალოდ მეგალებოდა ორი საარმიო კორპუსის ინსპექტირება. ერთ-ერთი მათგანი იყო მე-3 საარმიო კორპუსი, დისლოკაციით სივასში... ამ კორპუსის მე-3 (კავკასიის) დივიზია ამასიაში იყო განლაგებული, ხოლო მე-5 დივიზია – სამსუნში. მეორე საარმიო კორპუსი – დისლოკაციით არზრუმში, მე-15 კორპუსი იყო... მისი მე-19 დივიზია აქვე იყო დისლოცირებული, ხოლო მე-3 დივიზია – ტრაპიზონში. კორპუსის მე-12 დივიზია ჰასანყალაში იდგა, ხოლო მე-13 – ბაიაზეთში. მე-15 საარმიო კორპუსს ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა სარდლობდა და კორპუსის პირადი შემადგენლობა 17860 კაცს შეადგენდა“.⁴²⁴ მე-15 კორპუსის შესახებ განსხვავებულ ციფრებს გვაძლევს სხვა წყარო, ბრიტანელი მკვლევარი ენდრიუ მანგო, რომელიც თავის მხრივ თურქი ავტორის, ჯელალ ერიკანის (Celal Erikan) მონაცემებს ეყრდნობა. კერძოდ, „ყარაბექირ ფაშას სარდლობის ქვეშ მყოფი მე-15 კორპუსის პირადი შემადგენლობა 12000 კაცს და 40 ქვემეხს შეადგენდა“.⁴²⁵ იმჟამად არსებული ჯარების საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურით თურქული საარმიო კორპუსის შემადგენლობაში სამი ქვეითი დივიზია იყო გათვალისწინებული. გამონაკლისს მხოლოდ ყარაბექირ ფაშას მე-15 საარმიო კორპუსი შეადგენდა ოთხი დივიზიის შემადგენლობით. ეს ფაქტი კარგად მიგვითითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიის სტრატეგიულ მიმართულებას. ეს მიმართულება კიდევ ერთი, მე-3 საარმიო კორპუსის მე-5 დივიზიით იყო გამაგრებული. საერთო ჯამში, კავკასიის მიმართულებაზე სულ ხუთი, მე-15 კორპუსის ოთხი და მე-3 კორპუსის ერთი დივიზია იყო დისლოცირებული.

1919 წლისათვის კი მთლიანად თურქეთის შეიარაღებული ძალების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის “New-York Times“-ის 19 ივლისის ნომერი. კერძოდ:

„ქემალ ფაშამ, რომლის დაქვემდებარებაშიცაა 40000 ჯარისკაცი, 47 მძიმე საარტილერიო დანადგარი და მრავალი ტყვიამფრქვევი, უარი განაცხადა დამორჩილებოდა კონსტანტინოპოლის ოფიციალურ მთავრობას“.⁴²⁶ მაგრამ ყველა ეს მონაცემი ქალაქზე იყო – ოფიციალურ ანგარიშებსა და საშტატო დოკუმენტებში არსებულ ჩანაწერებში. რეალური სურათი კი თურქეთის მძიმე იყო, გაცილებით მძიმე. უკვე შემდეგ, 1922 წელს, საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან ელჩთან ანკარის მთავრობაში, სემიონ არალოვთან⁴²⁷ საუბარში მუსტაფა ქემალი მის დაქვემდებარებაში

⁴²⁴ Kamuran Gurun. The War of Independence. Ankara. 1982. Pg. 32.

⁴²⁵ Andrew Mango. Atatürk. John Murray (Publishers). 338 Euston Road. London. 2004. Pg. 288.

⁴²⁶ May break from Turkey. The New York Times. July 19, 1919.

⁴²⁷ სემიონ ივანოვიჩ არალოვი (1880-1969) – ცარისტი ოფიცერი, მეფის არმიის შტაბს-კაპიტანი და წითელი არმიის პოლკოვნიკი, ცნობილი საბჭოთა სამხედრო, სახელმწიფო და დიპლომატიური მოღვაწე, რევოლუციონერი. რუსეთ-იაპონიისა და I – II მსოფლიო ომების მონაწილე. წითელის არმიის ოპერატიული სამმართველოს უფროსი, არმიის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (ГПВ) დამაარსებელი და მისი პირველი ხელმძღვანელი. 1902 წლიდან რსდმპ წევრი, მენშევიკი. 1905 წლის გაზაფხულიდან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში როსტოვის მე-2 გრენადერთა პოლკის პრაპორშიკად. რუსეთ-იაპონიის ომის დროს იბრძოდა ხარბინში, მანჯურიაში. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში დეზერტირობს და ბრუნდება მოსკოვში. ხდება რსდმპ მოსკოვის სამხედრო ორგანიზაციის წევრი – მენშევიკი. შემდგომ სამოქალაქო სამსახურშია. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ისევ იწვევენ სამხედრო სამსახურში. მსახურობდა მე-7 გრენადერთა პოლკში, შემდეგ – 54-ე ქვეით დივიზიაში. იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, პრუსიაში, წოდებით – შტაბს-კაპიტანი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას. მენშევიკთა პარტიის წარმომადგენლის სახით აირჩიეს მე-3 არმიის პოლკის, დივიზიის, შემდეგ კი – არმიის რევოლუციური კომიტეტის წევრად. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების II ყრილობის დელეგატი დასავლეთის ფრონტიდან. 1918 წლის დასაწყისში ბრუნდება მოსკოვში და მსახურობს მოსკოვის სამხედრო ოლქში ოპერატიული განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 1918 წლის მარტიდან რსდმპ ბოლშევიკთა პარტიის წევრი. აქვე ინიშნება რსფსრ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის ოპერატიული განყოფილების უფროსად. 1928 წლის სექტემბრიდან რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური

არსებული ჯარების პირადი შემადგენლობის რაოდენობის შესახებ გულწრფელად ამბობდა: „თქვენ კარგად იცით, თუ რა რაოდენობის ჯარი მყავდა თავდაპირველად – 5 ათასი...“.⁴²⁸

რაც შეეხება პირადი შემადგენლობის პროფესიონალიზმსა და მათი კომპეტენციის საკითხს. თურქ ნაციონალისტთა არმია ოფიცერთა მაღალპროფესიონალური კადრებით იყო დაკომპლექტებული. ყველა მათგანი შესაბამის ნაწილებსა თუ შენაერთებს ხელმძღვანელობდა I მსოფლიო ომში და საკმაო წარმატებითაც. სუსტი წერტილი, რაც არმიას გააჩნდა, პირველ რიგში იარაღისა და საბრძოლო მასალების სიმცირე იყო. ეს განსაკუთრებით ავტომატურ იარაღსა და საბრძოლო ვაზნებს შეეხება, აგრეთვე არტილერიასა და საარტილერიო ჭურვებს. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ რეგულარული ჯარის პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი დემორალიზებული და ბრძოლისუუნარო, ხოლო მათი საბრძოლო სულისკვეთების დონე – დაბალი იყო. მნიშვნელოვანი იყო დეზერტირობის მაჩვენებელიც.

საერთო ჯამში, 1919 წლისათვის თურქეთის შეიარაღებული ძალები თითქმის არც ერთი პარამეტრით არ წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას და მას სიმბოლური დატვირთვა უფრო ჰქონდა, ვიდრე რეალური საბრძოლო პოტენციალი. მით უმეტეს, მძიმე მდგომარეობა იყო ცენტრალურ და დასავლეთ ანატოლიაში. საერთო სიტუაციას და აქ მიმდინარე პროცესებს სულ სხვა ძალები და სულ სხვა პიროვნებები აკონტროლებდნენ. საუბარი ე.წ. „ნაციონალურ ძალებსა“ და „პარტიზანულ რაზმებს“, რეალობაში კი შეიარაღებულ ბანდებსა და მათ მოქმედებებს ეხება. ფაქტია, რომ რეგიონში არსებული სოციალური და კრიმინოგენული მდგომარეობა უმძიმესი იყო – ცენტრალური ანატოლია სხვადასხვა ბანდებისა და კრიმინალური დაჯგუფებების სათარეშო ადგილად იყო ქცეული.

რას წარმოადგენდა ეს ე.წ. „ნაციონალური ძალები“ თუ „პარტიზანული რაზმები“? როგორი იყო მათი საბრძოლო აქტივობა და რა მიზნებს ისახავდნენ ისინი?

აქ მოქმედი ბანდებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და დაუნდობელი თოფალ ოსმანის „კოკლი“ ოსმანის ბანდა იყო, რომლის სახელიც ადგილობრივ მოსახლეობაში „დაუნდობელთან“ ასოცირდებოდა. წარსულში იგი პროფესიონალი სამხედრო იყო, მოხალისეთა ე.წ. „ჩეთეს“ ესკადრონს მეთაურობდა. იგი ბალკანეთის ომებსა და I მსოფლიო ომში იბრძოდა, სადაც ვიცე-პოლკოვნიკის ჩინსაც მიაღწია. ამჯამად კი მისი რაზმი დემობილიზებული და დეზერტირი ჯარისკაცების, სხვადასხვა ჯურის ბანდიტებისა და კრიმინალებისაგან შედგებოდა. მისი რაზმი ყველას ატერორებდა, პირველ რიგში კი ბერძნებსა და სომხებს, აგრეთვე იმ თურქებსაც, ვინც მის წინააღმდეგ წასვლას გაბედავდა. თავად ოსმანი თავის თავსა და საკუთარ ბანდას „ნაციონალურ ძალებად“ მოიხსენიებდა.⁴²⁹

საბჭოს წევრია. 1918 წლის ოქტომბრიდან ინიშნება რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალის წევრად. 1919 წლის ივნისიდან 1921 წლის ნოემბრამდე მე-12 არმიის სამხედრო საბჭოს წევრია, შემდეგ – მე-14 არმიის სამხედრო საბჭოს წევრი. 1921 წლის ბოლოდან დიპლომატიურ სამსახურშია – ლიტვაში რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი. 1922 წლის 5 იანვრიდან 1923 წლის აპრილამდე რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობაში. 1923 წლიდან სსრ კავშირის სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში, 1927 წლიდან კი – ჩინეთში. 1936 წელს დააბათმირეს და მიუსაჯეს დახვრეტა. საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად ბერიას დანიშვნის შემდეგ, მისი საქმე გადაიხედა. პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1939 წელს. II მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 60 წლის ასაკში მოხალისედ მიდის ფრონტზე, ირიცხება სახალხო ლაშქრის 21-ე დივიზიაში, დივიზიის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსად. 1946 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა. გარდაიცვალა 1969 წელს.

⁴²⁸ С. И. Аралов. Воспоминания советского дипломата 1922-1923. Издательство института международных отношений. Москва. 1960. Стр. 118-119.

⁴²⁹ Topal Osman olarak da bilinen ve Rumlara yapılan zulümlerin (özellikle de Karadeniz'i terk ederken) çoğundan sorumlu tutulan Osman Ağa üzerine Yunanca'da geniş bir yazın vardır.”, Onur Yıldırım, Diploması ve Göç, İstanbul

ზოგიერთი წყაროს მონაცემებით, თოფალ ოსმანი ლაზი იყო. სემიონ არალოვი: „სამსუნის, სინოპისა და ამასიის სანჯაყებში მრავალი ბანდა დათარეშობდა. თავისი მხეცობებით განსაკუთრებული გაითქვა სახელი ლაზების თავკაცმა ოსმან-ალამ. მან ცეცხლითა და მახვილით გაიარა მთელი ეს რაიონი. ადგილობრივი თურქები ძრწოლით ლაპარაკობდნენ მისი დაუნდობლობის შესახებ“.⁴³⁰

თოფალ ოსმანის ბანდის გარდა, არსებობდნენ სხვებიც – უფრო ძლიერნი, უფრო დაუნდობელნი, თითქოს უფრო მოტივირებულნიც, რომლებიც ძირითადად ოკუპირებული მიწებიდან გამოქცეული ადგილობრივი გლეხებისაგან შედგებოდნენ. ამ რაზმების შევსების ძირითად წყაროსაც დემობილიზებული თუ გადებრტყილი ჯარისკაცები წარმოადგენდნენ, რომელთა რიცხვიც ძალიან დიდი იყო. ზოგადად, ოსმალეთის არმიაში არსებული დებრტირობის მაღალ მაჩვენებელს გენერალი ოტო ლიმან ფონ სანდერსიც აღნიშნავდა 1918 წლის შემოდგომის მდგომარეობით: „თურქები დაიღალნენ ომისაგან და აღარ სურთ მისი გაგრძელება. ეს ფაქტი თურქი ჯარისკაცების მასიური დებრტირობიდანაც ჩანს. დებრტირებს თან მიაქვთ არა მარტო შაშხანები და ყუმბარები... არამედ ტყვიამფრქვევებიც“.⁴³¹ გლეხები შეიარაღებულ ბანდებს სხვადასხვა მიზნებით ქმნიდნენ: ბერძნების მიმართ ზიზღი, სომხებისაგან მომავალი საფრთხეების აღკვეთა, სულთნისა და ხალიფას დაცვა, იმ „ქონების“ უსაფრთხოება, რომელიც მათ ომის დროს ჰქონდათ „მოპოვებული“, აგრეთვე მიწათმფლობელებზე ზეწოლა, ძარცვა-გლეჯა, მაროდობა და ა.შ.

ასეთი ბანდების საველე მეთაურები იყვნენ, მაგალითად, სრულიად ახალგაზრდა ალი იორუქი, აგრეთვე მამაცი და დაუნდობელი მეჰმედ-მჰედელი – ისიც ყოფილი დებრტირი. მაგრამ ამ ბანდებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი, ეროვნებით ჩერქეზი, დიფშოუთა მოღმის შაფსულის, ეთჰემის ბანდა იყო, რომელიც შიშის ზარს სცემდა ყველას. თავად ეთჰემ ჩერქეზიც დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე ყოფილი ოფიცერი იყო, მაგრამ ახლა, დემობილიზაციით ანატოლიაში დაბრუნებული, აღარავის აღარ ემორჩილებოდა, ხოლო მისი ე.წ. „მფრინავი საკავალერიო რაზმი“ უამრავ პრობლემას უქმნიდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. ეს ძალები უაღრესად არადისციპლინირებულნი და არაპროგნოზირებადნი იყვნენ, არ სცნობდნენ კანონს, არ აღიარებდნენ სუბორდინაციის ნორმებს და თავი ქვეყნის ბატონ-პატრონებად მიაჩნდათ. მათ შეეძლოთ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ, მაგალითად, უბრალო სამოქალაქო პირი ან ჩინოვნიკი, რომელიც მათ არ დაემორჩილებოდა. სწორედ ეს ყაჩაღური ბანდები შეადგენდნენ რეალურად დასავლეთ და ცენტრალურ ანატოლიაში მოქმედ ე.წ. „ნაციონალურ ძალებს“, ვისზე გათვლითაც აპირებდა მუსტაფა ქემალი თავისი ბრძოლის ორგანიზებას. ამისათვის კი საჭირო იყო ამ ე.წ. „ნაციონალური ძალებისა“ და მუსტაფა ქემალის ერთგული მცირერიცხოვანი საარმიო კორპუსების პირადი შემადგენლობის საერთო ძალისხმევა, მათი საბრძოლო საშუალებებისა და პოტენციალის კონსოლიდაცია. გასაგებია, თუ რამდენად რთული ამოცანის გადაჭრაზე მოუწევდა მას მუშაობა.

დაახლოებით იმავე პრობლემებს აწყდებოდა მუსტაფა ქემალი აღმოსავლეთშიც, სადაც ქემალის ერთგული რეგულარული ჯარის ნაწილები იყვნენ დისლოცირებულნი. საუბარი, პირველ რიგში, მე-15 საარმიო კორპუსსა და მის სარდალს, გენერალ ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას შეეხება. აქაური ბანდების მოქმედებებიც გარკვეულ კონტროლს

Bilgi Üniversitesi Yayınları, 2006, ISBN 97897561766720, (Turkish).

⁴³⁰ С. И. Аралов. Воспоминания советского дипломата 1922-1923. Издательство института международных отношений. Москва. 1960. Стр. 54.

⁴³¹ Е. Саркисян. Из истории турецкой интервенции в Закавказье в 1918г. Известия академии наук Армянской ССР. Общественные науки №7, 1958. Liman von Sanders, Fünf Jahre in Türkei. Berlin, 1919. Стр. 41.

ექვემდებარებოდა. დასავლეთში კი არავითარი საერთო ხელმძღვანელობა, არავითარი კოორდინაცია არ არსებობდა.

ეთჰემ ჩარქეხის „მფრინავი საკავალერიო რაზმი“ თითქმის მთლიანად ჩერქეზებისაგან შედგებოდა და იგი არა მხოლოდ ბერძნული ოკუპაციის, არამედ სხვა ბანდების წინააღმდეგაც გამოდიოდა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეთჰემ ჩერქეზი და არა მუსტაფა ქემალი იყო ის პიროვნება, რომელმაც პირველად ასწია ანატოლიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, მაგრამ მის ბრძოლას ორგანიზებულობა და დისციპლინა აკლდა. როგორც ჰაროლდ არმსტრონგი (H. C. Armstrong.) აღნიშნავს: „მაშინ როცა მუსტაფა ქემალი სულთნისა და ხალიფას წინააღმდეგ შეთქმულებებს ხლართავდა, რათა ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო და დაეკმაყოფილებინა თავისი დიქტატორული მისწრაფებები, მეორე ადამიანი კი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ თურქეთი გადაერჩინა... ეს ადამიანი ეთჰემ ჩერქეზი იყო“.⁴³²

დაწყებული 1919 წლის 15 მაისიდან, მას შემდეგ, რაც ბერძნები იზმირში გადმოსხდნენ, დასავლეთ ანატოლიის რეგიონი საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩართული. ბერძნული კონტინგენტი კი თანდათან იზრდებოდა და მისმა რაოდენობამ ივლისის დასაწყისისათვის 35 ათასს მიაღწია, ხოლო ზაფხულის ბოლოს – უკვე 75 ათასს, რაც ერთნახევარჯერ მეტი იყო, ვიდრე მთლიანად თურქეთის რეგულარული ჯარი და აქ მოქმედი ყველა ბანდა ერთად აღებული. პატრიოტულად განწყობილი თურქები ცდილობდნენ მტრის შეჩერებას, მაგრამ მათი სუსტი და დაქსაქსული ძალები არ იყო ისე ორგანიზებული, როგორც აღმოსავლეთ ანატოლიაში. დასავლეთში დისლოცირებული რეგულარული არმიის პირადი შემადგენლობა კი სულ 3 ათას კაცს ითვლიდა, რომელიც იზმირის ყოფილ კორპუსში იყო განაწილებული. თავისთავად ცხადია, ისინი ბერძნების წინსვლას წინ ვერ აღუდგებოდნენ. რეგიონში მოქმედი ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა, ეთჰემ ჩერქეზი, რომელმაც საკუთარ მხარდამჭერებს „განთავისუფლების არმია“ უწოდა, დამოუკიდებლად მოქმედებდა. „განთავისუფლების არმია“ ცალკეული ჩერქეზული რაზმების, რამდენიმე რეგულარული ქვედანაყოფისა და სხვადასხვა მუსლიმან ფანატიკოსთა ჯგუფისაგან შედგებოდა, რომელთაც არც რეგულარული ბრძოლების გამოცდილება გააჩნდათ, არც შესაბამისი შეიარაღება და არც სამხედრო აღჭურვილობა. მათ მიერ ჩატარებული საბრძოლო მოქმედებების ძირითად ფორმას კი სწრაფი და მოულოდნელი რეიდები წარმოადგენდა და ბრძოლებსაც პარტიზანული ტაქტიკის შესაბამისად ატარებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოქმედებები ხშირად საკმაოდ წარმატებული იყო, ისინი გადამწყვეტი გამარჯვების მიღწევას მაინც ვერ ასწრებდნენ. აქ ახალი არაფერია – საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ მოკლე დროში მხოლოდ დაქსაქსული პარტიზანული რაზმების მოქმედებებით რიცხობრივად აღმატებულ რეგულარულ ჯართან გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია.

ეს მდგომარეობა კარგად ესმოდა მუსტაფა ქემალსაც, რომელიც ანატოლიური წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერობაზე აცხადებდა ხმამაღალ პრეტენზიას. როგორც ალექსანდრ ჟევახოვი აღნიშნავს, ქემალი აღარ იყო ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც აფრიკის უდაბნოებში იბრძოდა და მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდა. დიდი ხანია, მან უკვე დატოვა პიროვნული ავანტიურების სამყარო. მას მყარად სჯეროდა: შეუძლებელი იყო სამშობლოს გათავისუფლება და სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ პარტიზანული რაზმების მეშვეობით.⁴³³

⁴³² H. C. Armstrong. The Grey Wolf. Capricorn Books, New York. 1961. Pg. 223.

⁴³³ Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexander Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier. 1999. http://www.ereading.bz/chapter.php/1013613/63/Zhevahov_-_Kemal_Ataturk.html.

ეთჰემ ჩერქეზს ორი ძმა ჰყავდა – რაშიდი და ტევეფიკი. სამივე ძმა იტიჰადისტთა „სპეციალური ორგანიზაცია“ Teşkilât-ı Mahsusa-ს წევრები იყვნენ. ტევეფიკი ამავე დროს პარლამენტის დეპუტატიც იყო, ასე რომ, ეთჰემ ჩერქეზის ეს დაჯგუფება საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენდა. თავისუფლებისმოყვარე, ამაყ და მამაც ჩერქეზ ძმებს დამოუკიდებლობისათვის მიმავალ გზაზე საკუთარი, მაგრამ ძალზე ბუნდოვანი შეხედულებები გააჩნდათ. შესაბამისად, ბრძოლის საკუთარი გზები და საშუალებებიც ჰქონდათ არჩეული. ამ გზაზე ისინი შეურიგებელნი იყვნენ და არ აპირებდნენ, ვინმესთვის დაეთმოთ რამე.

§4.6. იღუმალი „მწვანე არმია“

ანატოლიელი „პროტესტანტების“ მიერ „ეროვნული პაქტის“ მიღება ანტანტის ქვეყნებისა და, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთისათვის, არასასურველ ქმედებას წარმოადგენდა. ბრიტანელებისათვის ისიც არ დარჩენილა შეუმჩნეველი, რომ ანატოლიის მოძრაობის წევრთა შორის ბოლშევიზმისადმი სიმპათიების გავრცელება იგრძნობოდა და მათი მხრიდან რუსეთში მოქმედ ბოლშევიკებთანაც გარკვეული კავშირების დამყარების მცდელობებს ჰქონდა ადგილი. ბოლშევიზმი კი იმ იდეოლოგიას წარმოადგენდა ბრიტანელებისათვის, რასაც ისინი ყველაზე მეტად უფროთხოვდნენ. ბრიტანელებმა ჩათვალეს, რომ კონსტანტინოპოლის პარლამენტი და „ბრწყინვალე პორტა“ მათი მორჩილების სფეროდან გადიოდნენ. ყოველივე ამას კი ბრიტანელთა მხრიდან გადამჭრელი მოქმედებების გატარება მოჰყვა შედეგად.

შემდგომი მოვლენები კი ოსმალთა იმპერიისათვის კიდევ უფრო მძიმედ განვითარდა. ანატოლიისა და კავკასიაში ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლის, გენერალ ჯორჯ მილნის (George Milne) ბრძანებით, 1920 წლის 16 მარტს მოკავშირეებმა შეძლეს კონსტანტინოპოლის სრული ოკუპაცია და ქალაქის სტრატეგიული ობიექტების დაკავება – „დრედნოუტების ქვემეხთა გრიალით მოკავშირეთა ჯარებმა მოახდინეს კონსტანტინოპოლის ოკუპაცია“, – იტყობინებოდა გაზეთ „New York Times“-ის 19 მარტის ნომერი.⁴³⁴

ბრიტანელებმა გენერალ-ლეიტენანტ სერ ჰენრი ვილსონის მეთაურობით თურქული გარნიზონი განაიარაღეს, პარლამენტი გარეკეს, მთავრობის წევრები, ქემალისტთა მიმართ სიმპათიით განწყობილი პარლამენტის დეპუტატთა და საზოგადო მოღვაწეთა ნაწილი, აგრეთვე კომუნისტი აქტივისტები დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს.⁴³⁵

დააპატიმრეს თვით სულთნის მემკვიდრე, მისი ბიძაშვილი, პრინცი აბდულ მეჯიდ II, ხოლო სულთანის ფაქტობრივ შინაპატიმრობაში აიყვანეს. დააპატიმრეს და მალტაზე

⁴³⁴ Constantinople. The New York Times. March 19. 1920.

⁴³⁵ Bülent Gökay. The Illicit Adventure of Rawlinson. British Intelligence in the Final Phase of the Ottoman Empire. 1993. Pg. 97. Cambridge, Churghill College Center. De Robeck Papers, DRBK London, PRO; E 2805/37/44 and E 4395/37/44.

გადასახლეს აგრეთვე მუსტაფა ქემალის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ჰუსეინ რაუფ ორბეი, აგრეთვე პოლკოვნიკი ყარა ვაზიფი, „ყარაქოლის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

ოსმალთა პარლამენტის დაშლას, სამხედრო-პოლიტიკური ელიტის დაპატიმრებასა და მათ მალტაზე გადასახლებას უინსტონ ჩერჩილი იმით ამართლებდა, რომ ასეთი ზომების გატარება „მოსალოდნელ აჯანყებას“ ააცილებდა თავიდან კონსტანტინოპოლს. იგი წერდა: „1920 წლის 12 იანვარს კონსტანტინოპოლში თურქეთის დეპუტატთა ახალი პალატა შეიკრიბა. მოკავშირეები ლოიალურად იყვნენ განწყობილნი წარმომადგენლობითი მმართველობის მიმართ და ამიტომ ნება დართეს თურქებს, არჩევნები ჩაეტარებინათ. საუბედუროდ, არჩევნების შედეგები ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც საჭირო იყო. ახალ პალატაში ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა ნაციონალურმა ძალებმა, ან, მარტივად რომ ვთქვათ, ქემალისტებმა მოიპოვეს. იმდენად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რომ 21 იანვარს, უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, მოკავშირეებმა მოითხოვეს თურქეთის სამხედრო მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის გადადგომა. 28 იანვარს ახალმა პალატამ დაამტკიცა „ეროვნული პაქტი“. კონსტანტინოპოლი აჯანყების დაწყების წინაშე დადგა, რომელსაც ხოცვა-ჟლეტა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ამიტომ მოკავშირეები იძულებულნი გახდნენ, გარკვეული ზომები მიეღოთ. 16 მარტს კონსტანტინოპოლი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის ჯარებმა დაიკავეს. ჩვენ კი ფერიდს მინისტრთა კაბინეტის სასწრაფო გადაწყენბა მოეთხოვეთ“.⁴³⁶

ბრიტანელთა მიერ კონსტანტინოპოლის ოკუპაციის, პარლამენტის გარეკვისა და მისი წევრების დაპატიმრების შემდეგ, საიდუმლო ორგანიზაცია „ყარაქოლიც“ ძალიან დასუსტდა. გადარჩენილმა იტიჰადისტებმა თავიანთი მოქმედებების ტაქტიკა შეცვალეს. ბევრმა მათგანმა დატოვა კონსტანტინოპოლი, ანატოლიაში გადავიდა და ნაციონალისტებს შეუერთდა. ამავე დროს ანატოლიაში დაიწყო სხვა იატაკქვეშა ორგანიზაციების ჩამოყალიბებაც. ერთ-ერთ ასეთ საიდუმლო ორგანიზაციას „მწვანე არმია“ (Yeşil Ordu) წარმოადგენდა.

პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ამ ორგანიზაციის შექმნის დეტალები და მიზნები დღესაც ბურუსითაა მოცული. თემაზე საუბრისას კი ერთმანეთის გამომრიცხავ მოსაზრებებთან და დასკვნებთან გვაქვს საქმე. ამ საკითხთან დაკავშირებით თვით თურქულ ისტორიოგრაფიაშიც არ არსებობს ნათელი და ცალსახა, ერთიანი აზრი. დღესაც არაა ბოლომდე ცნობილი ამ ორგანიზაციის დამფუძნებლების, მისი ნამდვილი მიზნებისა და ამოცანების შესახებ. თურქი ავტორის, პროფესორ მეთე თუნჩაის (Mete Tunçay) მონაცემებით, „მწვანე არმია“ კონსტანტინოპოლელი კონსერვატორების წინააღმდეგ შეიქმნა, რომლებიც ბრალს სდებდნენ ნაციონალურ მოძრაობას ბოლშევიზაციასა და რჯულის ღალატში. ამ ბრალდებების თავიდან ასაცილებლად, ზოგიერთი გენერალი, ჯარისკაცი და ანატოლიელი მოსახლეობა „მწვანე არმიას“ შეუერთდა, რითაც თითქოს იმის დემონსტრირებას ახდენდნენ, რომ ბოლშევიზმი პატივს სცემდა ისლამს და ამიტომ ბოლშევიკებთან ურთიერთობების დამყარება უსაფრთხო და აუცილებელი იყო.⁴³⁷

დიდი ეროვნული კრების ერთ-ერთი დეპუტატის, ნაზიმ ბეის მიხედვით კი, „მწვანე არმია“ ჩამოყალიბდა დიდი ეროვნული კრების 14 დეპუტატის მიერ და მის მიზანს დასავლელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. იგი აქვე ამტკიცებს, რომ მუსტაფა ქემალისათვის ამ ორგანიზაციის შესახებ არაფერი არ იყო

⁴³⁶ Черчилль В. Мировой кризис 1918-1925. Глава XVII. Живая Турция. / Пер. с англ.; с предисл. И. Минца. — М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. — 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. — London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. <http://militera.lib.ru/memo/0/one/english/churchill2.rar>.

⁴³⁷ Mete Tunçay. Türkiye'de Sol Akımlar (1908-1925), vol.I (Istanbul: BDS Yayınları, 1991), p. 84-85.

ცნობილი. მეთე თუნჩაი აღნიშნავს, რომ „მწვანე არმიის“ ხელმძღვანელი თავად ნაზიმ ბეი იყო, ტრაპიზონის დეპუტატი. თუმცა დოქტორ ემელ აკალის მიხედვით, „მწვანე არმიას“ სათავეში ეროვნული კრების დეპუტატი და მუსტაფა ქემალის მთავრობის ეკონომიკის მინისტრი, ჰაკი ბეჰინი ედგა.

ეროვნებით თურქი მეცნიერი, ნიაზ ბერკესი (Niyazi Berkes), კანადის მაკგილის უნივერსიტეტის ისლამური კვლევების ცენტრის პროფესორი, თავის ნაშრომში “The development of secularism in Turkey. The struggle for national liberation”, წერს, რომ „საბჭოთა და მათი მიმდევარი დასავლელი ავტორების მიხედვით, „მწვანე არმია“ წარმოადგენდა ანატოლიაში ფართოდ გავრცელებულ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას. რეალობა კი სხვანაირი იყო. სინამდვილეში „მწვანე არმია“ ორგანიზებული იყო არა როგორც გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, არამედ როგორც ნახევრადფეოდალების რეაქცია ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. ამ გამოსვლებს არაფერი საერთო არ ჰქონდათ რევოლუციურ მოძრაობასთან“.⁴³⁸ აქ საუბარი „მწვანე არმიის“ მიერ სულთნის პოზიციების დაცვაზე, შარიათის კანონების უზენაესობასა და ქემალისტთა ანტიხალიფური პოლიტიკის მიუღებლობაზეა.

თურქული წარმომავლობის ბრიტანელი მეცნიერი, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი, სტეფორდშიარის კილის უნივერსიტეტის პოლიტიკის, ფილოსოფიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის უფროსი, ბიულენტ გოკაი (Bülent Gökay) თავის ნაშრომში “Soviet Eastern Policy and Turkey, 1920-1991. Soviet Foreign Policy, Turkey and Communism” აღნიშნავს, რომ 1920 წლის გაზაფხულზე „მწვანე არმია“ ანატოლიაში ნაციონალური მოძრაობის მემარცხენე ფრთის აქტივისტებმა ჩამოაყალიბეს. მის მიზანს 1919 წელს დაწყებული ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების გაძლიერება და ევროპული იმპერიალიზმის ექსპანსიისაგან აზიის დაცვა წარმოადგენდა. წესდების მიხედვით, „მწვანე არმია“ ანტიკაპიტალისტური, ანტიიმპერიალისტური და ანტიმილიტარისტული ორგანიზაცია იყო და ის მიზნად ისლამურ სამყაროში რუსული რევოლუციის მოდიფიცირებით სოციალიზმის დამკვიდრებას ისახავდა.⁴³⁹

დოქტორი ჯორჯ ჰარისი კი „მწვანე არმიის“ შექმნას ანატოლიელ ისლამისტებს მიაწერს. იგი აღნიშნავს, რომ 1920 წლის გაზაფხულზე „მწვანე არმიის“ შექმნა „ისლამის ძლიერების ერთ-ერთი გამოვლინება“ იყო.⁴⁴⁰ როგორც ვხედავთ, „მწვანე არმიის“ შესახებ ერთობ განსხვავებული და ერთმანეთის გამომრიცხავი ცნობები არსებობს.

და მაინც, რა ორგანიზაცია იყო ეს ყბადალებული მწვანე არმია? როგორი იყო მისი მიზნები და ამოცანები? საიდან გაჩნდა ეს ტერმინი და როგორია ამ ტერმინის ეტიმოლოგია, გენეზისი და შემდგომი ინტერპრეტაციები? აქ მცირე ისტორიული ექსკურსის ჩატარებაა საჭირო. ამისათვის კი ერთი წლით უკან უნდა დავიხიოთ და რუსეთის სამოქალაქო ომის ზოგიერთი მომენტი უნდა განვიხილოთ.

„მწვანე არმიის“ ცნება სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, შავიზღვისპირეთში გაჩნდა რუსეთის სამოქალაქო ომის პერიოდში. იგი კრებითი სახელია არარეგულარული, ძირითადად, გლეხთა და კაზაკთა შეიარაღებული ფორმირებებისა, რომლებიც, განურჩევლად იდეოლოგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა, ებრძოდნენ ყველას – ბოლშევიკებს, თეთრგვარდიელებს, ინტერვენტებს. უფრო ფართო გაგებით, „მწვანე არმიას“ უწოდებდნენ ნებისმიერ „მესამე ძალას“ სამოქალაქო ომში. მათ ძირითადად

⁴³⁸ Niyazi Berkes. The development of secularism in Turkey. The struggle for national liberation. Hurst & Company. London. Pg. 441.
⁴³⁹ Bülent Gökay. Soviet Eastern Policy and Turkey, 1920-1991. Soviet Foreign Policy, Turkey and Communism. Routledge 270 Madison Ave, New Yirk, NY 10016. 2006. Pg. 20.
⁴⁴⁰ G. S. Harris. The Communists and the Kadro Movement: Shaping Ideology in Atatürk's Turkey. Istanbul. The ISIS Press. 2002, p.45.

ქონდათ სოციალისტ-რევოლუციური (ესერული), ანარქისტული, ასევე, განსაკუთრებით ამ მოძრაობის ადრეულ პერიოდში, ბოლშევიზმთან ახლოს მდგარი ამოცანები. პირველები დამფუძნებელი კრების მოწვევის მომხრენი იყვნენ, მეორენი – ყოველგვარი ხელისუფლების არსებობას ეწინააღმდეგებოდნენ, ხოლო მესამენი – თავისუფალი საბჭოებისათვის გამოდიოდნენ. არსებობდა აგრეთვე ისეთი გაგება, როგორცაა „წითელ-მწვანეები“, რომლებიც უფრო წითლებისაკენ იყვნენ განწყობილნი და „თეთრ-მწვანეები“.⁴⁴¹ „მწვანე არმიის“ ამ განსაზღვრებას იძლევა ნიკოლაი ვორონოვიჩი⁴⁴², ციმბირელ ესერთა ლიდერი, მეფის არმიის ყოფილი როტმისტრი. სწორედ ნიკოლაი ვორონოვიჩი ჩაუდგა სათავეში სოჭის ოლქისა და შავიზღვისპირეთის „მწვანე არმიას“ 1919 წლიდან, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გენერალ დენიკინის სამხრეთული ექსპანსიის აღკვეთაში.

1919 წლის დასაწყისში გენერალ ანტონ დენიკინის ე.წ. „მოხალისეთა არმიამ“ სოჭის ოლქისა და სოხუმის ოლქის ტერიტორიის ნაწილობრივი ოკუპაცია მოახდინა და დაუყოვნებლივ დაიწყო მონარქისტული წყობის აღდგენაზე მუშაობა. დენიკინის საოკუპაციო რეჟიმს ადგილობრივი ქართველი და არაქართველი მოსახლეობის ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუარესება მოჰყვა. ძალადობა, განუკითხაობა და ძარცვა-გლეჯა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამას არ შეიძლება მოსახლეობის პროტესტი და საპასუხო ქმედებები არ მოჰყოლოდა შედეგად. საერთო ჯამში, გლეხებმა და კაზაკების უმრავლესობამ არ მიიღო მონარქიის აღდგენის იდეა, აკრძალა რა როგორც მისი, ასევე ბოლშევიზმის პროპაგანდა.⁴⁴³

ასე დაიწყო სისხლიანი ვანდია შავიზღვისპირეთსა და აფხაზეთში, რომლის პირველი ნაბიჯები „მწვანეების“ – გლეხთა ადგილობრივი პარტიზანული მოძრაობის ორგანიზება იყო. სოჭის ოლქში იქმნება სხვადასხვა პარტიზანული რაზმები, სადაც ძირითადად იმ სოფლების მოსახლეობა ერთიანდებოდა, რომლებმაც თავი აარიდეს დენიკინისეულ გაწვევას – პლასტუნკა, ორეზოვო-პოლიანა, ნავაგინკა, მამაიკა, აუეკი და სხვა. პარტიზანთა უმეტესობას ქართველი და რუსი გლეხები შეადგენდნენ.⁴⁴⁴

ოკუპანტებთან დაპირისპირებული გლეხები ტყეებში გავიდნენ და იქ დაიწყეს წინააღმდეგობის პარტიზანული რაზმების ორგანიზება. სწორედ აქედან იღებს დასახელება „მწვანე არია“ სათავეს. ტყეებში გასულ გლეხებს „მწვანეები“ დაერქვათ, ხოლო მათ მიერ ორგანიზებულ სამხედრო ძალას – „მწვანე არმია“.

⁴⁴¹ Н. В. Воронович. «Меж двух огней». // Архив русской революции В 22 томах, Издательство: М.: Политиздат, 7098 страниц; 1991—1993 г. ISBN 5-250-01774-6.

⁴⁴² ნიკოლაი ვლადიმეროვიჩ ვორონოვიჩი (1887-1967) – რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის წევრი, მეფის არმიის როტმისტრი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. რუსეთის სამოქალაქო ომში შავიზღვისპირეთში მოქმედ „მწვანეთა“ მოძრაობის ლიდერი და სამხედრო მეთაური. 1909 წლიდან ცხენოსან გრენადერთა პოლკის კორნეტი. 1913 წლიდან პოლკის კვარტერმეისტერი და სამწყობრო ნაწილის უფროსი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლიდან ლუჟსკის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე. 1918 წლიდან საქართველოშია და ცხოვრობს სოჭსა და გაგრამი. 1918 წლის ბოლოდან, გენერალ დენიკინის მიერ სოჭის ოლქის ოკუპაციის შემდეგ, ოლქის მოსახლეობამ აირჩია სოჭისა და შავიზღვისპირეთის გლეხთა ლაშქრის, ე.წ. „მწვანეების“ უფროსად. 1920 წლის გაზაფხულიდან ვორონოვიჩი და მისი „მწვანეები“ აწარმოებდნენ წარმატებულ სამხედრო მოქმედებებს თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. შავიზღვისპირეთიდან დენიკინელთა განდევნის შემდეგ, 1920 წლის ბოლოდან ცხოვრობს საქართველოში, შემდეგ კი გადადის ემიგრაციაში. ცხოვრობდა ჯერ ჩეხოსლოვაკიაში, შემდეგ საფრანგეთში. აქვეყნებდა პუბლიკაციებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ თემებზე. 1950-იანი წლების დასაწყისიდან საცხოვრებლად გადადის აშშ-ში. გარდაიცვალა 1967 წელს.

⁴⁴³ ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг (НА МАТЕРИАЛАХ ДОНА И КУБАНО-ЧЕРНОМОРЬЯ). АВТОРЕФЕРАТ. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. <http://oldvak.ed.gov.ru/common/img/uploaded/files/vak/announcements/istorich/2009/009/Zaytsev AA. doc. ГАКК. Ф.Р-6. Оп.1. Д. 127. Л.24 об.>

⁴⁴⁴ Н. Е. Герасимова. Гражданская война. 1918-1920 гг. Сочи: Страницы прошлого и настоящего. Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirrovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66.

დავუბრუნდეთ ანატოლიასა და აქაურ „მწვანე არმიას“. ფაქტია, რომ ეს ორი სიტყვა – „მწვანე არმია“ გახვეული იყო საიდუმლოების იმ ბურუსში, რაც დღესაც კი არაა ბოლომდე ნათელი. ფაქტი ისაა, რომ რუსული და ანატოლიური „მწვანე არმიების“ ცნებები ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული იყო.

ალექსანდრ ჟევახოვის აზრით, რუსულიდან ნასესხები რეალობა – „მწვანე არმია“ და მისი დასახელება ქიაზიმ ყარაბეჯირის მიერ იყო მოფიქრებული. აქაც მითები სჭარბობენ რეალობას. ბრიტანელთა მიერ კონსტანტინოპოლის ოკუპაციიდან რამდენიმე დღეში ყარაბეჯირი არზრუმიდან შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის მუსტაფა ქემალს: „მე გთავაზობთ, რომ ამ ორგანიზაციას „მწვანე არმია“ დაერქვას. ცნობილია, რომ „მწვანე არმიამ“ რუსეთში სერიოზული ზიანი მიაყენა ლენინის ზურგს. გარდა ამისა, მწვანე ფერი ჩვენს ხალხზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. სიტყვამ „წითელი“ შეიძლება უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვიოს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. და მწვანე არმია? მაინც რა არის ეს? არავინ არ იცის, მაგრამ ყველა პატივს სცემს ამ ფერს“.⁴⁴⁵ ეს ამონარიდი ამავე დროს ნათლად აჩვენებს იმ ფაქტს, რომ, ზემოთ მოყვანილ ავტორთა მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, მუსტაფა ქემალმა არათუ იცოდა ანატოლიური „მწვანე არმიის“ არსებობის შესახებ, არამედ მონაწილეობდა კიდევ მის დაფუძნებაში.

საინტერესოა თავად მუსტაფა ქემალის დამოკიდებულება „მწვანე არმიისადმი“. აქაც კარდინალურად განსხვავებული მიდგომებია. ემელ აკალი აღნიშნავს, რომ გენერალ იზმეთ იუნონუს მიხედვით, მუსტაფა ქემალმა არ იცოდა „მწვანე არმიის“ არსებობის შესახებ და ცხადია, არც მისი წევრი ყოფილა.⁴⁴⁶ ლორდი კინროსი აღნიშნავს, რომ თავის დროზე, აჯანყებების პერიოდში, მუსტაფა ქემალის თანხმობით „მწვანე არმიად“ წოდებული საიდუმლო ორგანიზაცია შეიქმნა, რომელიც ეროვნული იდეალების დამცველ კარგად ორგანიზებულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა... დროთა განმავლობაში „მწვანე არმიამ“ ორი საშიში მიმდინარეობა წარმოშვა – ერთის მხრივ, სამხედრო რაზმების შექმნა დაიწყო, რომლებიც რეალურად ბანდფორმირებებს წარმოადგენდნენ, მეორეს მხრივ კი, ნებისთნეულ უნებლიეთ, კომუნისტებისა და განსაკუთრებით, ეთჰემ ჩერქეზის იარაღად იქცა.⁴⁴⁷

და მართლაც, „მწვანე არმიას“ მალე „ნაციონალური ძალების“ ლიდერი, ეთჰემ ჩერქეზიც უერთდება. ეს კიდევ უფრო ზრდის ამ ორგანიზაციის ზეგავლენას როგორც ანატოლიაში, ასევე მის გარეთ. საქმე იმაშია, რომ ეთჰემთან ერთად „მწვანე არმია“ იძენს დიდ და ეფექტურ სამხედრო ძალას ეთჰემის პარტიზანული რაზმების სახით. მოგვიანებით ეთჰემმა შეძლო „მწვანე არმიის“ კიდევ უფრო გაძლიერება და არტილერიითა და ტყვიამფრქვევებით მისი შეიარაღება. ეთჰემ ჩერქეზის შტაბი ქუთაიაში განთავსდა.

ენდრიუ მანგო აღნიშნავს, რომ კომუნისტებისადმი სიმპათიას განსაკუთრებით ექსიტეიზაციისტები გამოხატავდნენ. მათ მოღვაწეობა რევოლუციურ ნაციონალისტებად დაიწყო, ახლა კი, ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით, პარტიის ინტელექტუალური ნაწილი, რევოლუციურ ინტერნაციონალიზმს ეპოტინებოდა. ენდრიუ მანგო წერს: „ლენინის დაპირებამ ცარისტული იმპერიის ხალხების ემანსიპაციის შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თურქეთის ჩერქეზ მოსახლეობაზე. ჩერქეზი პარტიზანების ლიდერი ეთჰემი, როგორც თვითონ აღნიშნავს თავის მემუარებში, „გულწრფელი ენთუზიაზმით აღსავსე საბჭოთა პარტიზანი იყო იმ დღემდე, სანამ ერების გათავისუფ-

⁴⁴⁵ Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexandre Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999.

⁴⁴⁶ Emel Akal. Milli Mücadelenin Baçlangicinda Mustafa Kemal, Itihat Terakki ve Bolşevizm (Istanbul: TÜSTAV, 2002). Pg. 314.

⁴⁴⁷ ლორდი კინროსი. ათათურქი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. თბილისი 2011. გვ. 174.

ლების უხადო და მიმზიდველი პრინციპები, რომლებიც ლენინმა გამოაცხადა, თავად საბჭოელებმა არ დაარღვიეს“. ეთჰემს ეგონა, რომ თურქ რევოლუციონერ ლიდერებს შორის მოსკოვი ყველაზე მეტად მას ენდობოდა. 1920 წლის მაისში ნახევრად ფარული ორგანიზაცია „მწვანე არმია“ შეიქმნა ანკარაში. მის პროგრამაში შერწყმული იყო ისლამისტური საბრძოლო განწყობები და სოციალისტური იდეოლოგიის გარკვეული ელემენტები. მან მუსტაფა ქემალის ზოგიერთი თანამებრძოლიც მიიზიდა.⁴⁴⁸

ამ მომენტისათვის მუსტაფა ქემალი იძულებული იყო, ელიარებინა, რომ ეთჰემი დიდების ზენიტში იყო და ძალიან მალე პროცესებმა უკვე მუსტაფა ქემალისათვის არასასურველი მიმართულებით დაიწყეს განვითარება, რადგან „მწვანე არმია“ თანდათან გავიდა კონტროლის სფეროდან და იგი ნაციონალისტებისათვის საშიშ ძალად იქცა. ასეთმა მდგომარეობამ აიძულა მუსტაფა ქემალი, როგორმე შეეზღუდა ამ ორგანიზაციის აქტივობა და ნელ-ნელა საერთოდ გაეუქმებინა იგი. მაგრამ პირველი ცდები უშედეგო აღმოჩნდა, რადგან „მწვანე არმიამ“ მოქმედებების არეალი შეიცვალა და იგი ესკიშეჭირში გადავიდა, სადაც ეთჰემ ჩერქეზი ფაქტობრივად ერთპიროვნულ მმართველს წარმოადგენდა.

„მწვანე არმიის“ პროგრამაში კი უცნაურად იყო შეზავებული ბოლშევიზმისა და ისლამის დებულებები. „მწვანე არმია – ორგანიზაციაა, რომელიც ხალხის კეთილდღეობისთვისაა შექმნილი... იგი შედგება მორჩილი უმრავლესობისაგან, რომელიც დომინანტურ უმცირესობაზე მუშაობს...“. მის საფუძვლებში ჩადებული იყო მუსლიმანური კანონის პრინციპები, თავისი აღსარებებით, მარხვებითა და მსხვერპლთშეწირვებით. მოგვიანებით, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი ერთ-ერთი ინტელექტუალი ლიდერი, ჰალიდე ედიპი, აღნიშნავდა რა „მწვანე არმიის“ წარმატებებს, წერდა: „სიმბათიური იდეების ამორფული კოლექცია, რომელიც დაუკმაყოფილებელი სურვილებით იყო შობილი“.

თუ შევადარებთ შავიზღვისპირეთის „მწვანე არმიას“ ანატოლიურ „მწვანე არმიასთან“, მეტად საინტერესო დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ. „სოჭის ოკრუგის მწვანე არმია, – წერდა სერგო ორჯონიკიძე, – უბრალო ხალხია, რომლებსაც არ სურთ მობილიზაცია და არ აღიარებენ დენიკინის ხელისუფლებას“.⁴⁴⁹ ნამდვილად მართალი იყო ამხანაგი სერგო ამ შემთხვევაში – „მწვანე არმიის“ სახით სოჭისა და სოხუმის ოლქებში აგორებული წინააღმდეგობის სახალხო მოძრაობა შეიარაღებული პროტესტის იმ ფორმას წარმოადგენდა, რომელიც ერთნაირად ებრძოდა როგორც მონარქიზმის აღდგენის იდეას, ასევე ბოლშევიზმის პროპაგანდას. მოკლედ რომ ვთქვათ, შავიზღვისპირეთის „მწვანე მოძრაობა“ თავისი გამომწვევი მიზეზებითა და შინაარსით მართლაც სახალხო მოძრაობას წარმოადგენდა, რომელიც შეიარაღებული გზით ებრძოდა ძალაუფლების უზურპაციის ნებისმიერ ფორმას. ამ ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიშან-წყალიც კი არ ჰქონდა.

რუსეთისაგან განსხვავებით, ანატოლიაში მოქმედი ე.წ. „ნაციონალური ძალები“ და „მწვანე არმია“ კი ანტანტასა და ბერძნულ საოკუპაციო ჯარებს ებრძოდა. ამ თვალსაზრისით მას, როგორც წმინდა ანტისაოკუპაციო ძალას, კონცეპტუალურადაც არაფერი არ ჰქონდა საერთო „მწვანე მოძრაობის“ იდეასთან. მაგრამ ამ თეორიებს არც ანატოლიელი ნაციონალისტები აგდებდნენ არაფრად და არც კონსტანტინოპოლელი იტიჰადისტები. უფრო მეტიც, ანატოლიური „მწვანე არმია“ გარკვეული პოლიტიკური საბურვლითაც იყო შენიღბული. და აქ ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ იმძლავრა.

⁴⁴⁸ Andrew Mango. Atatürk. John Murray (Publishers). 338 Euston Road. London. 2004. pg. 143.

⁴⁴⁹ Г. К. Орджоникидзе. Год гражданской войны на Северном Кавказе. Статьи и речи. В двух томах. Государственное издательство политической литературы. Москва. 1956. Том I. 1910-1926 гг, стр. 104.

თავის მოგონებებში „მწვანე არმიასთან“ დაკავშირებით მუსტაფა ქემალი საკმაოდ ბუნდოვან განსაზღვრებებს იძლევა: „ანკარაში დიდი ეროვნული კრების გახსნის შემდეგ შეიქმნა ორგანიზაცია „მწვანე არმია“. მე ძალიან კარგად ვიცნობდი მის დამაარსებლებს, ჩემს ახლობელ ხალხს. მაგრამ ამ ორგანიზაციამ შემდგომში გადააჭარბა თავის უფლებამოსილებებს და უფრო ფართო ამოცანები დაისახა მიზნად“.450 აქ ისმის კითხვა – რა მიზნები ჰქონდა მას? ისევ არ არის ცნობილი. ფაქტია, რომ მუსტაფა ქემალისათვის ეს საილუმლო საზოგადოება მეტად სახიფათო გახდა და საჭირო იყო მისი დაშლა. თან რაც შეიძლება ჩქარა.

თუ ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებს გავაანალიზებთ, შემდეგი დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ. არსებობს თეორიები იმის შესახებ, რომ „მწვანე არმია“ იმისათვის იყო შექმნილი, რომ მოსკოვისათვის ეჩვენებინათ, თითქოს რევოლუციური იდეები ანატოლიაშიც პოპულარობით სარგებლობდა და იგი მოსკოვურ მოდელს ეფუძნებოდა. ეს აქტი რუსეთის წინაშე გარკვეული ხარკის მოხდად უნდა შეფასდეს. ფაქტი ისაა, რომ „მწვანე არმია“ საილუმლო ორგანიზაციად რჩებოდა და დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე, მუსტაფა ქემალიც მისგან თავს შორს იჭერდა. ესეც მუსტაფა ქემალის ტაქტიკური სვლა იყო, რათა ასეთი ქმედებებით ერთგვარად დაძაბულ მდგომარეობაში ჰყოლოდა ანტანტა. მუსტაფა ქემალი იმის დემონსტრირებასაც ცდილობდა, რომ თითქოს ანატოლიაში საკმაოდ დიდი იყო ბოლშევიზმის ზეგავლენა. ამით იგი ანტანტის მხრიდან ზეწოლის გარკვეულ შემცირებასა და მასთან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარებას იმედოვნებდა. ისე გამოდის, თითქოს „მწვანე არმია“ ანტანტის წინააღმდეგ არსებული გარკვეული „საფრთხობელას“ როლს ასრულებდა ქემალისტებისათვის. ასეთ მდგომარეობას კი ანტანტისათვის უნდა ებიძგა, თანამშრომლობაზე წასულიყვნენ ქემალისტებთან. ფაქტი ისაა, რომ ამ ახალი საფრთხის – „მწვანე არმიის“ გაჩენა ქემალისტებისათვის ტაქტიკურად მეტად კარგად მოფიქრებული და გათამაშებული სვლა იყო. მაგრამ შემდგომი მოვლენები სხვანაირად განვითარდა.

ნელ-ნელა „მწვანე არმია“ და მასში ინტეგრირებულმა „ნაციონალურმა ძალებმა“ ენვერ ფაშასადმი ერთგულების დემონსტრირება დაიწყეს და ანატოლიაშიც გავრცელდა ხმები, რომ თითქოს სწორედ ეს ორგანიზაცია იქნებოდა იმ შეიარაღებული ძალების ბირთვი, რომელზე დაყრდნობითაც აპირებდა ამიერკავკასიიდან ანატოლიაში ენვერ ფაშა შემოსვლასა და თავისი დიდების დაბრუნებას.

„მწვანე არმიისა“ და კავკასიაში მოქმედი ყოფილ იტიჰადისტების ურთიერთობები ნახევრად ლეგენდარული ხასიათისაა, თუმცა არსებობს ამ მოსაზრების საწინააღმდეგო არგუმენტიც. „მწვანე არმიის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჰაკი ბეჰინი ჰუსეინ რაუფ ორბეის გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ წერს, რომ მათ მიერ შექმნილია საილუმლო ორგანიზაცია, რომლის მიზანიცაა ქვეყნის ბოლშევიზაციისაკენ წაყვანა, რაც მისი და მუსტაფა ქემალის ერთობლივ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. ამ ორგანიზაციის დასახელება „მწვანე არმია“ და ისინი კონტაქტში იმყოფებიან თავიანთ მეგობრებთან თურქესტანში, ირანსა და აზერბაიჯანში, რომელთაგან იღებენ რჩევებსა და ინსტრუქციებს გარეთ მყოფი ორგანიზაციების „მწვანე არმიაში“ ასიმილაციის შესახებ.451 ნერსინ ერსოი მაკმიკენი კი ამჯერად პირდაპირ ასახელებს ენვერ ფაშას პიროვნებას: „ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს იმაში, რომ ჰაკი ბეჰინის ეს „მეგობრები“ კავკასიაში მოქმედი იტიჰადისტები იყვნენ, და კერძოდ – ენვერ ფაშა“.452

450 Мустафа Кемаль. Путь новой Турции. 1919-1927. Т. I. Первые шаги национально-освободительного движения. Государственное издательство Литиздат НКВД. 1929. Стр. 176.

451 Mete Tunçay. Türkiye'de Sol Akımlar (1908-1925), vol.II (Istanbul: BDS Yayinlari, 1991). Pg. 232-233.

452 Nersin Ersoy McMeekin. Turkey's relations with the bolsheviks (1919-1922). The department of internastional relations. Bilkent University. Ankara. 2007. Pg. 55.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ენვერ ფაშას მხარდამჭერებს თავიდანვე ორგანიზაცია „ყარაქოლი“ და ექსიტიჰადისტები წარმოადგენდნენ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იგი მხოლოდ ამ ძალის იმედად არ იყო. მას მხარს უჭერდნენ აგრეთვე ანატოლიის გავლენიანი წრეები და ფიგურები. ნათლად იკვეთება ის აზრიც, რომ ენვერ ფაშას „მწვანე არმიის“ მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მუსტაფა ქემალისათვის. ისიც ცნობილი ფაქტია, რომ ენვერ ფაშას „ტრაპიზონის უფლებათა დაცვის საზოგადოება“ ემხრობოდა, მის ღია მხარდამჭერად კი ანკარის დიდი ეროვნული კრების 40 დეპუტატი გამოდიოდა. პარლამენტართა ეს ჯგუფი საიდუმლო მუშაობას აგრძელებდა მუსტაფა ქემალის დასამხობად.⁴⁵³

§4.7. ორი ფაშას დაპირისპირება – მემური ქემალის წინააღმდეგ

ჩიჩერინის „გეგმის“ შესაბამისად, ენვერ ფაშა კონსპირაციის ისეთი მკაცრი ზომების დაცვით ჩამოვიდა ბათუმში, რომ ამის შესახებ მხოლოდ საბჭოთა რუსეთის უმაღლესმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ იცოდა. უფრო ადრე კი ბათუმში ჰალილ ფაშა ჩამოვიდა. ენვერ და ჰალილ ფაშების ამ ვოიაჟის შესახებ ინფორმაციას თვით კავკასიის „ბატონ-პატრონი“, სერგო ორჯონიკიძეც კი არ ფლობდა. მან ტელეგრამა მისწერა სტალინს, სადაც დიდი შეშფოთება გამოთქვა ჩიჩერინის მხრიდან ენვერ ფაშასთან დამყარებული „მჭიდრო ურთიერთობების“ გამო. ორჯონიკიძე ეკითხებოდა სტალინს, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ენვერ და ჰალილ ფაშების ჩამოსვლა ბათუმში მაშინ, როცა ბერძნებსა და ქემალისტებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები მიმდინარეობდა და ქემალისტთა ბედიც ბეწვზე ეკიდა.⁴⁵⁴ მაგრამ უკვე 26 აგვისტოს ლენინის, სტალინისა და ჩიჩერინის სახელზე გაგზავნილ ტელეგრამაში სერგო ორჯონიკიძე აღიარებდა ენვერ ფაშას ფიგურის პოლიტიკურ მნიშვნელობას, თუმცა თვლიდა, რომ ბათუმში მისი ყოფნა გარდაუვალს ხდიდა ქემალისტებთან ურთიერთობების გაფუჭებას. იგი წერდა: „ამ დღეებში ენვერთან თურქეთიდან ჩამოვიდა ხალხი და მისივე სიტყვებით, ჰკითხეს: „რადგან მოდიხარ, ესე იგი რუსეთი გიჭერს მხარს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან კომუნისტები გაბატონდებიან? მხარს დაგიჭერთ, მაგრამ კომუნისტებთან შეურიგებელი ბრძოლა გვექნება“.⁴⁵⁵

⁴⁵³ Şuhnaz Yılmaz. In pursuit of elusive glory: Enver Pash's role in the Pan-Islamic and Basmachi movements. International journal of Turkish studies. Volume 13, №1-2. 2007. Pg. 193. 3.12.1921. №731/385.

⁴⁵⁴ Джамиль Гасанлы: Фактор Энвер-паши в осложнении российско-турецких отношений накануне Карсской конференции (шифрованная телеграмма Г. Орджоникидзе И. Сталину. 18.08.1921 // коллекция документов РГАСПИ).

⁴⁵⁵ Джамиль Гасанлы: Фактор Энвер-паши в осложнении российско-турецких отношений накануне Карсской конференции (телеграмма Г. Орджоникидзе В. Ленину, И. Сталину и Г. Чичерину. 26.08.1921 // коллекция документов РГАСПИ).

ორჯონიკიძის ტელეგრამის გაცნობის შემდეგ სტალინმა მისწერა ჩიჩერინს: „წავიკითხე ორჯონიკიძის ტელეგრამა, სადაც იგი ენვერ ფაშას არწმუნებდა, რომ მასთან ერთად ჩამოსულიყო მოსკოვში, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დათანხმდა. ძალიან დასაშვებია, რომ თქვენ მართალი ხართ და ენვერის ყოფნა იქ უფრო საჭიროა. რას ვიზამთ... მაშ იყოს მზადყოფნაში“.⁴⁵⁶

1920 წლიდან, მას შემდეგ, რაც ენვერ ფაშა რუსეთში ჩავიდა, მისი გავლენა „ყარაქოლზე“, თავისთავად ცხადია, გაიზარდა. მან თავიდანვე დაამყარა „ყარაქოლთან“ და ექსიტიპადისტებთან კონტაქტები ანატოლიაში, რომლებიც მას უჭერდნენ მხარს. ამ ეტაპზე მუსტაფა ქემალის პოზიციები საკმაოდ სუსტი იყო და გარკვეულწილად მისი უსაფრთხოებაც არ იყო ბოლომდე დაცული. მუსტაფა ქემალი გრძნობდა იმ საფრთხეებს, რაც ენვერ ფაშას პიროვნებიდან და თვით ანატოლიაში მყოფი ექსიტიპადისტებისაგან მოდიოდა. მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი პარლამენტის წევრიც იყო. იგი ნაკლებად ენდობოდა ვინმეს და სწორედ ამიტომ ჰყავდა თავის პირად დაცვაში აყვანილი მხოლოდ და მხოლოდ ლაზები, რომლებიც მისდამი ფანატიკური ერთგულებით გამოირჩეოდნენ.

მუსტაფა ქემალისათვის არანაკლები საფრთხეებით გამოირჩეოდა კავკასია და ბაქოც, ექსიტიპადისტთა ეს „საყრდენი პუნქტი“. აშშ-ის უმაღლესი კომისარი კონსტანტინოპოლში, აღმირალი ბრისტოლი 1920 წლის 7 სექტემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივნისადმი გაგზავნილ საიდუმლო შეტყობინებაში იუწყებოდა, რომ ენვერი, რომელიც არ იმყოფება თურქეთში, იბრუნებს და ზრდის თავის გავლენებსა და პრესტიჟს.⁴⁵⁷ ხოლო ბრიტანელები თვლიდნენ, რომ ენვერ ფაშა და მისი მომხრეები უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ მოკავშირეებისათვის, ვიდრე ქემალისტები. „ანატოლიაში ორი პარტია მოქმედებს და არა ერთი. უფრო სუსტები მუსტაფა ქემალი და ნაციონალისტები არიან... უფრო საშიშ პარტიას ენვერი, თალათი და „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია და მათი ებრაულ-გერმანულ-ბოლშევიკური კომბინაცია წარმოადგენს“⁴⁵⁸, – ნათქვამი იყო ბრიტანული დაზვერვის საიდუმლო შეტყობინებაში.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანკარაში ჩატარებულ კონგრესზე დეპუტატთა ერთი მესამედი ენვერ ფაშას პირდაპირი მხარდამჭერი იყო. ფაქტია, რომ ანატოლიელ „ნაციონალისტებშიც“ ენვერ ფაშა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა და ეს მხარდაჭერაც თანდათან იზრდებოდა. 1921 წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო ნათელი, თუ ვინ წარმოადგენდა ანატოლიაში რეალურ ძალასა და ნაციონალისტების ლიდერს, ენვერ ფაშა თუ მუსტაფა ქემალი. ისიც ფაქტია, რომ მოსკოვი ორმაგ თამაშს ეწეოდა და იგი ერთნაირად ეხმარებოდა როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს. მუსტაფა ქემალის შიში ენვერ ფაშას შესაძლო დაბრუნებაზე ანატოლიაში კი იმდენად დიდი იყო, რომ 1921 წლის 12 მარტს დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო დეკრეტი ენვერ და ჰალილ ფაშების ანატოლიაში დაბრუნების აკრძალვის შესახებ, რადგან „საშინაო პოლიტიკისა და საგარეო ურთიერთობების განსაზღვრა ანკარის მთავრობის პრეროგატივა იყო“.⁴⁵⁹

მიუხედავად მკაცრი კონსპირაციული ზომებისა, ენვერ და ჰალილ ფაშების ბათუმში ყოფნა არც ქემალისტებს და არც ინგლისის სადაზვერვო სამსახურებს არ გამოჰპარვიათ. პრესაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ენვერ ფაშამ თავისი საქმიანობის ცენტრი ბაქოდან ბათუმში გადაიტანა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი

⁴⁵⁶ Джамиль Гасанлы: Фактор Энвер-паши в осложнении российско-турецких отношений накануне Карсской конференции. Ali Fuat Cebesoy. Moskova Hatıraları. Milli Mücadele ve Bolşevik Rusya. İstanbul, 2002, S.25.

⁴⁵⁷ Bristol to Secretary of State, Constantinople, 7 September, 1920. National Archives, Records of the Department of Navy, Record Group 45, Box. 831.

⁴⁵⁸ S.I.S. 2 September, 1920. No.CX/676/v, PRO FO 371/5178 (E 11702/345/44).

⁴⁵⁹ Şuhnaz Yılmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 53. Turkish Republic archives, Decree of the Parliament concerning Enver and Halil Paşa, 3 December, 1921, No.731/385.

„Times“-ი წერდა, რომ ანკარის წინააღმდეგ მიმართული ენვერ ფაშას ამ მოქმედებების უკან საბჭოთა რუსეთი იდგა.⁴⁶⁰

მუსტაფა ქემალი ძალიან შემფოთებული იყო რუსული მხარის ორმაგი თამაშებით და მასში პროვოკაციულ ელემენტებს ხედავდა. მან ღიად განუცხადა ბოლშევიკთა სრულუფლებიან წარმომადგენელს ანკარაში, სერგეი ნაცარენუსს: „თუ რუსეთს სურს თურქეთის სოვეტიზაცია, მაშინ უფრო ადვილია ამის გაკეთება ჩემი და არა ენვერის მეშვეობით“.⁴⁶¹ (Sic!) თუმცა მანამდე, პარლამენტის სხდომაზე ერთ-ერთი გამოსვლისას, მუსტაფა ქემალმა ხაზი გაავლო ბოლშევიზმის მიღებასა და ბოლშევიკურ რუსეთთან კავშირების დამყარებაზე: „ჩვენ არ ვსაუბრობთ ბოლშევიკებად გახდომაზე. ჩვენ, მინისტრთა კაბინეტი, ვსაუბრობთ ბოლშევიკურ რუსეთთან კავშირის დამყარებაზე. ბოლშევიკად გახდომა სულ სხვა რამეს ნიშნავს“.⁴⁶² ამის თქმის საშუალებას მუსტაფა ქემალს ანატოლიაში შექმნილი რეალური სიტუაცია აძლევდა. მაშინ, როცა ენვერის მიერ ანატოლიაში შეგზავნილი ოფიცერი, მაიორი ნაიმ ჯევადი დააკავეს ქემალისტებმა „სახალხო საბჭოთა პარტიის“ პროპაგანდისტული მასალებით, ცხადი გახდა, რომ ენვერი თავის გეგმებზე უარს არ იტყვოდა.⁴⁶³

მუსტაფა ქემალმა მოსკოვური გეგმების ჩასაშლელად კონტრზომების გატარება დაიწყო – გენერალ ქიაზიმ ყარაბეჯირის მეშვეობით ყოველმხრივ შეეცადა, დაებლოკა ენვერ ფაშასა და ნეოიტჩადისტების თურქეთში შესაძლო შესვლის ყველა გზა და საშუალება. მთელი აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში, მაშინ როცა ანატოლიის ზეგანზე ქემალისტებსა და ბერძენ ოკუპანტებს შორის დაუნდობელი ბრძოლები მიმდინარეობდა, ენვერ ფაშა ბათუმში იმყოფებოდა და სულმოუთქმელად ელოდებოდა მუსტაფა ქემალის დამარცხების ამბავს... და მაშინ ის და მისი გუნდი შევიდოდა თურქეთში „ან მოხალისეთა კონტინგენტთან ერთად ან ინკოგნიტოდ, ჩვეულებრივი ჯარისკაცების სახით“.⁴⁶⁴

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ 1921 წლის აგვისტო-სექტემბერი წარმოადგენდა მუსტაფა ქემალის პოლიტიკური მდგომარეობისათვის ყველაზე საშიშ პერიოდს. ამ პერიოდში ენვერ ფაშა არა მარტო საზღვარგარეთ მყოფი ექსიტჩადისტების მხარდაჭერით სარგებლობდა, არამედ მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებდა ანატოლიური მოძრაობის გავლენიან პირებთანაც. უმნიშვნელოვანესი იყო ბოლშევიკთა მხარდაჭერაც. ფაქტია, რომ ამ მომენტისათვის ბოლშევიკები ენვერ ფაშას უფრო თვლიდნენ „თავის კაცად“, ვიდრე მუსტაფა ქემალს. ბოლშევიკებს არც ის ჰქონდათ დავიწყებული, თუ როგორ მოექცა მუსტაფა ქემალი თურქ კომუნისტებს და გაანადგურა მუსტაფა სუფის ჯგუფი 1921 წლის 21 იანვარს.

ეს მოვლენები შემდეგი თანმიმდევრობით განვითარდა: 1920 წლის ბოლოს მუსტაფა სუფი, თურქეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ეთჰემ ნეჯათი და თურქ კომუნისტთა 15-კაციანი ჯგუფი რევოლუციური და ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელების მიზნით ანატოლიაში მართავს ვოიაჟს, რასაც ქემალისტებისა და სხვა ნაციონალისტური დაჯგუფებების მწვავე წინააღმდეგობა ხვდება. ყარსისა და არზრუმის ვილაიეტებში მათზე განხორციელებული თავდასხმების გამო, ქიაზიმ ყარაბეჯირის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, მათ იძულებით ატოვებინებენ ანატოლიას. 1921 წლის 21 იანვრის ღამეს ტრაპიზონიდან პატარა ხომალდით გასული მუსტაფა

⁴⁶⁰ Джамиль Гасанлы: Фактор Энвер-паши в осложнении российско-турецких отношений накануне Карсской конференции (записка И. Сталина Г. Чичерину. 13.09.1921 // коллекция документов РГАСПИ).

⁴⁶¹ Джамиль Гасанлы: Фактор Энвер-паши в осложнении российско-турецких отношений накануне Карсской конференции (главнейшие моменты в политической жизни Турции // коллекция документов РГАСПИ).

⁴⁶² Sinan Ciddi. *Kemalism in Turkish Politics. The Republican People's Party, secularism and nationalism*. Routledge Studies in Middle Eastern Politics. New York, NY 10016. 2009. pg. 18.

⁴⁶³ Dan Rustow. `Enver pasha. *The Encyclopaedia of Islam*. Pg. 700.

⁴⁶⁴ РГАСПИ. Ф. 2. Он. 2. Д. 386. Л. 1. Автограф. Подлинник 2.

სუფისა და თურქ კომუნისტთა ჯგუფს გემის ეკიპაჟი ესხმის თავს. ისინი ლიკვიდირებულნი არიან, თუმცა ამ ჯგუფურ მკვლელობაზე პასუხისმგებლობა არცერთ პიროვნებას და არცერთ ჯგუფს არ აუღია. ამ ფაქტთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ქართველი სამხედრო მოღვაწის, ქემალისტთა მთავრობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრის, კაპიტან დიმიტრი შალიკაშვილის⁴⁶⁵ მოგონებები: „1 მარტი... ჩვენთან ისაუბმეს ლაზისტანის დეპუტატებმა ოსმან-ბეიმ და ნაილ-ბეიმ. მან მოგვითხრო, რომ აბდულ-სუფი (მუსტაფა სუფი – ა. ჩ.), რომელიც ერზერუმში (არზრუმი – ა. ჩ.) დაატუსადეს, ტრაპეზუნდიდან გადავასახლეთ ტუაპსეშიო. გავაგზავნეთ მოტორიანი ნავით. ნავი დაიღუპაო. ჩვენი ბრალი ხომ არ არის – ზამთარია და მღელვარე ზღვაა. მერე არავითარი ცნობა არა გვაქვს. შეიძლება მატროსები – კარგი მცურავენი, გადარჩნენ“.⁴⁶⁶

ერთობ ცინიკური პასუხია, ვერაფერს ვიტყვით.

ამ აქტის უშუალო განმხორციელებელი, ცხადია, ხომალდის კაპიტანი და მისი ეკიპაჟი იყო, თუმცა ეს არ არის არსებითი. ისინი მხოლოდ ბრძანების შემსრულებლები იყვნენ. მთავარი საკითხი ისაა, თუ ვინ გასცა ეს ბრძანება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძნელია ამ მკვლელობაზე ერთმნიშვნელოვნად პასუხისმგებელი პირის დასახელება, ერთი რამ ცხადია – უშუალოდ მუსტაფა ქემალის, ან უკიდურეს შემთხვევაში, ყარაბეჟირ ფაშას ბრძანების გარეშე (რაზედაც, ცხადია მუსტაფა ქემალის იქნებოდა ინფორმირებული) მსგავსი დონის პოლიტიკური ტერორისტული აქტის განხორციელება ძნელად წარმოსადგენია, უფრო ზუსტად, წარმოუდგენელია. ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ამ ტერაქტსა და თურქი კომუნისტების სკანდალური მკვლელობის ფაქტზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია. ეს პოლიტიკური ტერაქტი ფორმალურად დღესაც გაუხსნელად ითვლება. თუმცა მაშინ კრემლმა ეს მწარე ლუკმა გადაყლაპა და მუსტაფა ქემალთან ურთიერთობები არ გაუფუჭებია.

ენვერ ფაშას პოზიცია და მისი მხრიდან მუსტაფა ქემალის მარცხის მოლოდინი ფაქტობრივად შეთქმულება იყო, შეთქმულება დიდი ეროვნული კრების, მისი თავმჯდომარისა და ნაციონალისტური მოძრაობის წინააღმდეგ. როგორც თურქი მკვლევარი, მუსტაფა ოზთურქი (Mustafa Öztürk) აღნიშნავს, ქემალისტებს დიდი საფრთხე მოელოდათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმატებას ვერ მიაღწევდნენ ბერძნებთან ომში. მოვლენათა ასეთი განვითარების ფონზე ენვერ ფაშა შეეცდებოდა, დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები, რაც ორხელისუფლებიანობის წინაშე დააყენებდა თურქეთს. მაგრამ ორხელისუფლებიანობა არა ენვერსა და სულთნის მთავრობას შორის, არამედ ენვერსა და დიდი ეროვნული კრების მთავრობას შორის.

⁴⁶⁵ დიმიტრი შალიკაშვილი (1896-1978) – ქართველი ოფიცერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოდპოლკოვნიკი. I და II მსოფლიო ომების მონაწილე. დაიბადა 1896 წელს თბილისში. 1914 წელს დაამთავრა ვაჟთა პირველი გიმნაზია, შემდეგ ჩაირიცხა პაჟთა კორპუსში. I მსოფლიო ომის დროს იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე. მიაღწია კაპიტანის ჩინს. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და სამსახურს იწყებს ქართულ არმიაში. 1920 წლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობასთან ერთად იგზავნება დიპლომატიური მისიით თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობასთან ანკარაში. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ რჩება თურქეთში, 1922 წლიდან სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად გადადის პოლონეთში, სადაც აგრძელებს სამხედრო სამსახურს. II მსოფლიო ომში ნაცისტთა მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ სამსახურს აგრძელებს ქართულ ლეგიონში. ომის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა გერმანიაში, 1952 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1978 წელს. დიმიტრი შალიკაშვილის შვილი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი მსახურობდა აშშ-ის არმიაში, ოთხვარსკვლავიანი გენერალი. 1993-1997 წლებში იყო ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე. გარდაიცვალა 1978 წელს.

⁴⁶⁶ დიმიტრი შალიკაშვილი. საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში. თეატრი და ცხოვრება. 1991. №1. გვ. 70.

1921 წლის გაზაფხულზე ქემალისტებმა გენერალ იზმეთ იუნონუს სარდლობით სოფელ იუნონუსთან ორჯერ მიაღწიეს ბერძნებთან ომში ტაქტიკურ წარმატებას და დაიცივეს ქალაქი ესკიშეჰირი. მაგრამ რეალურად ქემალისტთა ეს წარმატება ეთჰემ ჩერქეზის დამსახურება იყო. ამ ბრძოლებში სწორედ „მწვანე არმიამ“ შეძლო ბერძენტთა შეჩერება და ანკარის მთავრობის გაძლიერება. ეთჰემ ჩერქეზის პოპულარობა და, შესაბამისად, მისი ძალებიც კიდევ უფრო გაიზარდა, რის გამოც იგი თანდათან გამოვიდა ანკარის მთავრობის დაქვემდებარებიდან, რომლის გავლენაც იმ დროისათვის წმინდა სიმბოლური იყო. მთელი ძალაუფლება კი რეალურად ეთჰემის ხელში იყო – 1921 წლის განმავლობაში იგი კრეფდა გადასახადებს, გამოსცემდა ბრძანებებს, სჯიდა მეამბოხეებსა და დამნაშავეებს. ანკარის სუსტი ხელისუფლება კი მის ასეთ ქმედებებზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა.

მიუხედავად ამისა, იმავე წლის ზაფხულიდან მსოფლიო პრესაში მუსტაფა ქემალის ხოტბაშემსხმელი სტატიები გამოჩნდა. ამერიკულმა გაზეთმა “Philadelphia Public” იგი ჯორჯ ვაშინგტონსაც კი შეადარა. საგაზეთო სტატიებში მუსტაფა ქემალის ფოტოს ქვეშ ასეთი წარწერა იყო – „ეს თურქთა ჯორჯ ვაშინგტონია“.⁴⁶⁷

მიუხედავად ქემალისტთა მიერ იუნონუსთან ბრძოლებში მიღწეული მცირე ტაქტიკური წარმატებებისა, ზაფხულში ბერძნების არმია შეტევაზე გადავიდა და უმძიმესი მარცხების სერია განაცდევინა ქემალისტთა არმიას. ბერძნულმა შენაერთებმა დასავლეთ ანატოლიის უმნიშვნელოვანესი ქალაქები აფიონ-ყარაისარი, ქუთაია და ესკიშეჰირი დაიკავეს. მუსტაფა ქემალისათვის ეს უმძიმესი, კრიტიკული პერიოდი იყო. 1921 წლის შემოდგომისათვის ბერძენტთა არმია უკვე 224 კილომეტრზე იმყოფებოდა ანკარიდან. ამავე დროს ბერძნებმა ტყვედ აიყვანეს 4500 თურქი, ხელთ იგდეს ათეულობით საარტილერიო დანადგარი და დიდი საბრძოლო ალაფი.⁴⁶⁸ ამ დროისათვის ანატოლიაში უკვე ინტენსიურად მუხირებდა ის აზრი, რომ ამიერკავკასია-თურქეთის საზღვარზე მყოფი ენვერ ფაშა ქვეყანაში შესვლის ბრძანებას ელოდებოდა.⁴⁶⁹

ენვერ ფაშასა და ექსიტიჰადისტების პოლიტიკური ფლირტი ბოლშევიკებთან ცალსახად მიგვანიშნებს იმაზე, რომ 1921 წლის ზაფხულისათვის ანატოლიისა და თურქეთის პოლიტიკური მომავლის გეგმა-სცენარი კრემლის მიერ უკვე შედგენილი იყო. ცხადი ხდება, რომ ამიერკავკასიის სრული ოკუპაციის შემდეგ, რუსეთის სამხრეთული ექსპანსიის გზაზე თურქეთი მოსკოვის პირველი რიგის სამიზნეს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, ამ დიდ პოლიტიკურ თამაშში ცალკეული მოთამაშეების როლებიც იყო განაწილებული. ამ იერარქიაში უმაღლესი პოზიცია ენვერ ფაშას ერგო. ამკარაა, რომ კრემლის მიერ იგი „სტავლენიკად“ მზადდებოდა. „სტავლენიკის“ როლში სწორედ მას უნდა ეკისრა ჯერ ანატოლიაში და შემდეგ მთელ თურქეთში პრომოსკოვური და პრობოლშევიკური ფონის შექმნა. როგორც ვხედავთ, ლენინი ჯერჯერობით წარმატებით ახორციელებდა ივანე მრისხანისდროინდელი რუსული სახელმწიფოს მიერ წარმოებული „ცივი ომის“ შენიღბულ სტრატეგიას.

ქაბულში გამომავალი გაზეთი „აღმოსავლეთის ერთიანობა“ წერდა: „საბჭოთა პოლიტიკის საკვირველი ფარისევლობის განსაკუთრებით ნათელი მაგალითია ენვერ ფაშასა და ჯემალ ფაშას შერჩევა მოსკოვის ჩანაფიქრების განსახორციელებლად... ენვერ ფაშა... ბაქოში გამოჩნდა, საიდანაც ის თურქი ნაციონალისტების შტაბ-ბინაში გაემართა, რათა წაექეზებინა მუსტაფა ქემალი უფრო გაბედული მოქმედებებისაკენ. მუსტაფა

⁴⁶⁷ Справка отдела информации НКВД Азербайджана. 25.07.1921 // Коллекция документов ГААР.

⁴⁶⁸ Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexandre Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999.

⁴⁶⁹ М. Озтюрк. Взаимные сомнения и недоверие между большевиками и кемалистами в период становления советско-турецких отношений в 1920-1922 годы. [http://proceedings.usu.ru/?base=mag/0084\(03_05-2010\)&xsl=showArticle.xslt&id=a25&doc=../content.jsp](http://proceedings.usu.ru/?base=mag/0084(03_05-2010)&xsl=showArticle.xslt&id=a25&doc=../content.jsp).

ქემალის უმოქმედობით თავმოებრებული ბოლშევიკები ცდილობენ მის შეცვლას ენვერით, რომელიც მათ სხეულითა და სულით მიეყიდა...“⁴⁷⁰

ამ მომენტისათვის ენვერ ფაშა მზად იყო, ბათუმიდან თუნდაც მოტორიანი ნავით გადასულიყო ანატოლიის სანაპირომდე და სათავეში ჩადგომოდა „ნაციონალურ ძალებსა“ და „მწვანე არმიას“. მაგრამ უკანასკნელ წამს ეს ჩანაფიქრი მას ბიძამისმა, გენერალმა ჰალილ ფაშამ გადაათქმევინა: „მე არ ვთვლი სწორ გადაწყვეტილებად შენს თურქეთში დაბრუნებას. სიძარტლე თუ გინდა იცოდე, ანატოლიაში შესვლისთანავე, შენი და მუსტაფა ქემალის მომხრეები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. საბერძნეთის ფრონტზე ხალხი დაიქსაქსება და შენი პირადი ინტერესების გამო სამშობლოს გამოუსწორებელი დარტყმა მიადგება“.⁴⁷¹ მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სწორედ ამ დროს მოხდა ბაქოში წითელი არმიის მუსლიმანური ნაწილების თავმოყრაც 10-15 ათასი კაცის შემადგენლობით.⁴⁷² უმეტესობა მათგანი ე.წ. „თურქი კომუნისტები“ იყვნენ. საინტერესოა, რას წარმოადგენდნენ ეს შენაერთები, როგორი იყო მათი გენეზისი და ამოცანები? უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეს ე.წ. „თურქი კომუნისტები“ I მსოფლიო ომის ყოფილი სამხედრო ტყვეები იყვნენ. დაწყებული 1915 წლიდან, სამხედრო ტყვეთა დიდი ბანაკი კასპიის ზღვაში, პატარა კუნძულ ნარგინზე მდებარეობდა, ბაქოსთან ახლოს. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ტყვეთა რაოდენობა აქ რამდენიმე ათეულ ათასს შეადგენდა.⁴⁷³ ტყვეთა ზუსტი რიცხვის დადგენა კი შეუძლებელია, რადგან მათი რაოდენობის აღრიცხვის დამადასტურებელი ზუსტი დოკუმენტაცია არ არსებობს. უმძიმეს პირობებში იყვნენ აქ თავმოყრილი თურქი, გერმანელი, ავსტრიელი და უნგრელი ტყვეები. მცირე რაოდენობით თურქი ტყვეები იმყოფებოდნენ აგრეთვე მოსკოვში, ბაქოში, ყაზანში, ტამპენტში, ყირიმსა და ასტრახანში.

რუსი ავტორის, ს. დმიტრიევის (С. Н. Дмитриев) ცნობით: „I მსოფლიო ომის მსვლელობაში 1917 წლის მდგომარეობით რუსეთში 2,8 მილიონი ლტოლვილი და 2,2 მილიონი ტყვე იმყოფებოდა: გერმანელები – 190 ათასი, ავსტრიელები – 450 ათასი, უნგრელები – 500 ათასი, ჩეხები და სლოვაკები – 250 ათასი, იუგოსლავები – 200 ათასი, რუმინელები – 120 ათასი, თურქები 63 ათასი და ა.შ. ადამიანთა ეს კოლოსალური მასა ჩათრეული აღმოჩნდა რუსული რევოლუციის ქარიშხალში და ისიც ფაქტია, რომ რევოლუციის მსვლელობაში მათ არცთუ უკანასკნელი როლი ითამაშეს. ოქტომბრის გადატრიალებისთანავე ქვეყანაში დაიწყო ე.წ. „სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალისტ ტყვეთა კომიტეტების“ შექმნა, რომლის ამოცანასაც საბჭოთა ხელი-სუფლების მხარდაჭერა წარმოადგენდა. 1918 წლის აპრილში მოსკოვში ჩატარდა ასეთი ტყვეების სრულიად რუსეთის ყრილობა, რომელზეც წარმოდგენილი იყო დაახლოებით 80 ადგილობრივი ორგანიზაცია წევრთა საერთო რიცხვით – 500000. მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით 1918 წელს წითელი არმიების შემადგენლობაში 250-300 ათასი ინტერნაციონალისტი ტყვე იბრძოდა“.⁴⁷⁴

იმავე 1918 წლის 17-18 ივლისს მოსკოვში ჩატარდა თურქი მემარცხენე სოციალისტების კონფერენცია, რომელსაც თურქი კომუნისტი მეჰმედ მუსტაფა სუფი ხელმძღვანელობდა. კონფერენციაზე აირჩიეს ცენტრალური ბიურო მუსტაფა სუფის

⁴⁷⁰ В. М. Гиленсен. Сотрудничество красной Москвы с Энвер-пашой и Джемаль-пашой. „Восток“. 1996. №3. Стр. 45-63. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

⁴⁷¹ Kazim karabekir. Istiklala Harbimiz. Istanbul. 1960. Pg. 970. _ Karabekir to Kemal, cipher telegram. Kars, 31 May 1921. S. 266-267.

⁴⁷² Ali Fuat Cebesoy. Moskova Hatiralari. Milli Mücadele Bolşevik Rusya (Istanbul: Vatan Neşriyatı, 1955). Pg. 227.

⁴⁷³ Интернационалисты трудящиеся зарубежных стран _ участники борьбы за власть советов. Том II // Часть II. Глава V. Интернационалисты в борьбе за власть советов в Закавказье. http://www.fedy-diary.ru/?page_id=4219.

⁴⁷⁴ С. Н. Дмитриев. Таинственный Альянс. <http://www.e-reading-lib.com/chapter.php/38442/74/Mel%27gunov-Sud%27ba-impertora-Nikolaya-II-posle-otrencheniya.html>.

თავმჯდომარეობით, რომელმაც აქტიური მუშაობა გააჩაღა თურქ სამხედრო ტყვეებში რევოლუციური და ბოლშევიკური აგიტაციის ჩატარების კუთხით. უფრო მეტიც, სამხედრო ტყვეებისა და თურქი იმიგრანტი მუშების წრიდან მუსტაფა სუფიმ დაიწყო წითელი თურქული სამხედრო ქვედანაყოფების ჩამოყალიბება.

თურქი სამხედრო ტყვეებისა და თურქი მუშებისაგან ინტერნაციონალისტთა ჯგუფები იქმნებოდა აგრეთვე რიგ ქალაქებსა და ადგილებში, ისეთი, როგორიც იყო მოსკოვი, ბაქო, ყაზანი, სამარა, ტაშკენტი, ყირიმი, ასტრახანი. თურქი ტყვეების „კომუნისტებად მოქცევის“ საქმეში დიდ პროპაგანდისტულ სამუშაოებს აწარმოებდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტთან არსებული მუსლიმანური კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროც. 1919 წლის ნოემბერში თურქი რევოლუციონერის ნასიმ ნეჯათის, ასევე აზერბაიჯანელი ბოლშევიკების ნარიმან ნარიმანოვის, დადამ ბუნიატ-ზადეს, ჰამიდ სულთანოვისა და სხვათა დახმარებით, ასტრახანში რევოლუციურად განწყობილი თურქი ტყვეებისა და მუშების რიგებში ჩამოყალიბდა კომუნისტური უჯრედი. ამ ორგანიზაციამ მალე დაიწყო ზრდა და კონტაქტები დაამყარა ვოლგისპირეთში, შუა აზიაში, აზერბაიჯანსა და კავკასიაში არსებულ თურქულ კომუნისტურ ჯგუფებთან.⁴⁷⁵

1920 წლის გაზაფხულიდან, აზერბაიჯანის გასაბჭოებისთანავე, აზერბაიჯანელი ბოლშევიკების აქტიური მხარდაჭერით თურქი კომუნისტები დაუყოვნებლივ შეუდგნენ თურქული საბრძოლო რაზმების შექმნას, რომელშიც ყოფილი თურქი სამხედრო ტყვეები გაერთიანდნენ. ბაქოს საბჭოთა ოკუპაციიდან სულ რამდენიმე დღეში, 1920 წლის 3 მაისს, ბაქოში გამოძავალ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა „მოწოდება ბაქოსა და აზერბაიჯანში მცხოვრებ ოსმალო თურქებს“, სადაც მოწოდებდნენ, ეთანამშრომლათ თურქ კომუნისტთა ჯგუფთან და შესულიყვნენ კომუნისტთა რიგებში.⁴⁷⁶ უკვე 14 მაისს კომუნისტთა ჯგუფმა (ც. ზარქი, იაყუბი, ა. ალიმოვი, ს. ნური და სხვა) აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალურ ორგანოში გამოაქვეყნა მოწოდება თურქი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მიმართ, სადაც განმარტებული იყო ამ ფორმირებების შექმნის მიზნები. მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ საბრძოლო რაზმებში მიიღებოდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც იზიარებდნენ კომუნისტურ პროგრამასა და პარტიულ დისციპლინას. ხოლო, 1920 წლის ზაფხულში შეიქმნა სპეციალური პოლიტიკური სკოლები თურქი პარტიული მუშაკების მოსამზადებლად. პირველი ასეთი სკოლა 1920 წლის 17 ივლისს გაიხსნა, სადაც პირველ ნაკადში 199 თურქი ეროვნების პარტიულმა მუშაკმა დაიწყო სწავლა.

საერთო ჯამში, თურქული საბრძოლო რაზმები მე-11 წითელი არმიის მე-2 მსროლელი პოლკის შემადგენლობაში შეიყვანეს, 1920 წლის სექტემბრიდან კი დაიწყო მეორე თურქული მსროლელი პოლკის ფორმირებაც, რომელშიც 700-ზე მეტი თურქი სამხედრო ტყვედყოფილი გაერთიანდა. რუსი ბოლშევიკებისა და თურქი კომუნისტების გათვლით, საერთო ჯამში, ეს თურქული პოლკები აღმოსავლეთ ანატოლიაში უნდა გაგზავნილიყვნენ, სადაც ისინი სწორედ ენვერ ფაშას საერთო სარდლობით ანატოლიაში მოქმედ „ნაციონალურ ძალებთან“ და „მწვანე არმიასთან“ ერთად მონაწილეობას მიიღებდნენ კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების ძალოვან მხარდაჭერაში.

ბერძენთა წინსვლის გამო დიდი ეროვნული კრების დეპუტატებიც შემფოთებულნი იყვნენ. ისინი აკრიტიკებდნენ ქემალისტთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, გენერალ ფევეზი ჩაქმაქსა და დასავლეთის ფრონტის სარდალს, იზმეთ იუნონუს უკან დახვევის გამო. დეპუტატები მუსტაფა ქემალის დანიშვნას ითხოვდნენ მთავარსარდალად. დეპუტატთა დიდ ნაწილს სჯეროდა, რომ I მსოფლიო ომის წარმატებული ოსმალო

⁴⁷⁵ Интернационалисты трудящихся зарубежных стран - участники борьбы за власть советов. Том II // Часть II. Глава V. Интернационалисты в борьбе за власть советов в Закавказье. http://www.fedy-diary.ru/?page_id=4219.

⁴⁷⁶ Газета „Комунист“. «Османским туркам, проживающим в Баку и Азербайджане». Баку. 3 мая 1920 г.

გენერალი, „დარდნელის გმირი“ მუსტაფა ქემალი შეძლებდა ომის ხასიათისა და მიმდინარეობის შეცვლას. მაგრამ არსებობდა დეპუტატთა ის ნაწილიც, რომელიც ფიქრობდა, რომ მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ვერც მუსტაფა ქემალი კვლავ გააწყობდა ვერაფერს ბერძენთა წინააღმდეგ ომში. მათთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საუკეთესო ლიდერს ენვერ ფაშა წარმოადგენდა, რომელიც შეძლებდა მთელი ერის კონსოლიდაციასა და გამარჯვების მიღწევას.⁴⁷⁷

1921 წლის 4 აგვისტოს, დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებით, გენერალი მუსტაფა ქემალი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ინიშნება. ამ აქტით დიდი მერყეობისა და მოლოდინის ფაზაც დასრულდა.

ჩიხური მდგომარეობა კი მალე განიმუხტა, კვანძი გაიხსნა, ბერძნული შენაერთების შეტევითმა ოპერაციამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. 1921 წლის 13 სექტემბერს მუსტაფა ქემალის სარდლობით მდინარე საქარიასთან გამართულ ბრძოლაში თურქებმა გაიმარჯვეს. ამით ყველაფერს წერტილი დაესვა. თურქთა ამ გამარჯვებამ სრულიად შეცვალა თურქეთ-საბერძენეთის ომის შემდგომი მსვლელობა და ხასიათი. ძალთა ბალანსი აშკარად ქემალისტთა მხარეს გადაიხარა. ენვერ ფაშასათვის კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. ეს გამარჯვება მუსტაფა ქემალის სრული ტრიუმფი იყო, რამაც თურქთათვის ახალი გმირი შექმნა. მან, მუსტაფა ქემალმა იხსნა თურქეთი ბერძნული ოკუპაციისა და სრული განადგურებისაგან. მუსტაფა ქემალს უმაღლესი მიენიჭა „ლაზის⁴⁷⁸ – გამარჯვებულის“ საპატიო ტიტული, მალე კი არმიის უმაღლესი სამხედრო წოდებაც – მარშალი.

მუსტაფა ქემალის ამ დიდმა წარმატებამ თვით ენვერ ფაშას დიდებაც კი დაჩრდილა. საბჭოელებისათვის კი ნათელი გახდა, რომ ბრიტანელთა და „დასავლელ იმპერიალისტთა“ წინააღმდეგ ბრძოლის სცენარში როლების გადანაწილება იყო საჭირო. ამიერიდან სწორედ თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე და ექსონმალო გენერალი და „ახალი თურქეთის“ მარშალი, მუსტაფა ქემალი იქცა რუსულ-თურქულ ურთიერთობებში ცენტრალურ ფიგურად და სავარაუდო „სტავლენიკად“. და საბჭოელებისათვისაც სწორედ ქემალისტები წარმოადგენდნენ მთავარ მოკავშირეებს და არა ენვერ ფაშა და ექსიტეჩადისტები. ენვერ ფაშამ კი თავისი მისია ამოწურა, მისი გამარჯვებულის სახით თურქეთში შესვლის იდეა საბოლოოდ დასამარდა... „მაგრამ თავისი საქმე გააკეთა, მავრი უნდა წავიდეს“...

ს. ნაცარენუსი გ. ჩიჩერინს. 1921 წლის 16 ოქტომბერი:

„...მე ძალიან მადელებს ის საკითხი, რომ მ. ქემალს დაწვრილებითი ინფორმაციები აქვს ენვერის შესახებ... გოლცმანის მიერ ენვერისათვის მიცემული თავშესაფარი (მ. ქემალისათვის ისიც კი ცნობილია, რომ ენვერი ბაგიროვის გვარით ცხოვრობს), გოლცმანის დახმარებით ენვერის ურთიერთობები ანატოლიასთან, თავად ენვერის ჩამოსვლა ბათუმში ასეთ პოლიტიკურ მომენტში, მისი ჩანაფიქრი ანატოლიაში გადასვლაზე – ყველაფერმა ამან შეიძლება იმ ცეცხლზე დაასხას ნავთი, რომელიც ეხლა ემუქრება რუსულ-თურქულ ურთიერთობებს... ჩემი საერთო შთაბეჭდილებები უკანასკნელი მოვლენების შესახებ შემდეგია: რუსულ-თურქული ურთიერთობები და მთლიანად

⁴⁷⁷ Selek Sabahattin. Anadolu İhtilali. Vol. 2. İstanbul: Kastaş A. Ş. Yayınları. 1987. Pg. 606.

⁴⁷⁸ ლაზი – ისლამურ სამყაროში – მოხალისე მეომარი, რომელიც სარწმუნოების, სიძარტლისა და სამართლიანობის დასაცავად იბრძვის. ისლამურ წყაროებში პირველად ეს ცნება X-XI საუკუნეებში ჩნდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ცნებამ მოგვიანებით, XI-XV საუკუნეებში, ბიზანტიურ-სელჯუკური და ბიზანტიურ-ოსმალური ომების პერიოდში შეიძინა. იგი განსხვავდებოდა იანიჩარის ცნებისაგან, რომელიც, ლაზისგან განსხვავებით, რეგულარული ჯარის მებრძოლს წარმოადგენდა. შემდგომში, ოსმალთა იმპერიაში ამ ტერმინის მნიშვნელობა უფრო დაკონკრეტდა და მან ურჯულოთა წინააღმდეგ ომში გამარჯვებულის მნიშვნელობა მიიღო. სულთან მეჰმედ II-ის ეპოქიდან მოყოლებული კი ამ ცნებამ განსაკუთრებით საპატიო ტიტულის მნიშვნელობაც შეიძინა, რომელიც ისლამური სახელმწიფოების იმ მონარქებსა და უმაღლეს მმართველებს (სულთანი, ამირა) ენიჭებოდათ, რომლებიც ურჯულოთა წინააღმდეგ ომებსა და დიდ ბრძოლებში გამარჯვებას მიაღწევდნენ. სარწმუნოებისათვის მებრძოლ უბრალო მოხალისე მეომრებს კი ბაშიბუზუკები ეწოდათ.

ჩვენი აღმოსავლური საქმეები დიდი საშიშროების წინაშე დგას. მომენტი გაცილებით უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს ლონდონის კონფერენციის დროს იყო. სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედებებით უნდა გადავარჩინოთ ყველაფერი, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევაა შესაძლებელი. დღე-დღეზე ველოდები თქვენს მითითებებს.

კომუნისტური საღმით ს. ნაცარენუსი⁴⁷⁹

ალი ფუატ ჯებესოიმ კი 1921 წლის აგვისტოს ჩიჩერინთან მოსკოვში შეხვედრის დროს ღიად ჩამოაყალიბა ანკარის პოზიცია. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, იუსუფ ქემალის მიერ ხელმოწერილი, 4 აგვისტოთი დათარიღებული მემორანდუმის გადაცემისას მან თქვა: „როდესაც ივლისში ბერძენთა არმიის გამარჯვება მწიფდებოდა, თქვენ ენვერ ფაშა გამოავაზენეთ ამხანაგებთან ერთად, რომელთაც მხარს უჭერდით ყველა საშუალებით. ამის მიზანი ის იყო, რომ ანატოლიაში ახალი მთავრობა შექმნილიყო ნაცვლად დიდი ეროვნული კრებისა, რომელსაც, თქვენი აზრით, სრული კრახი ელოდა. და ყველაფერი ეს ჩვენგან საიდუმლოდ ხდებოდა. რას ფიქრობდით მაშინ ენვერ ფაშასთან დაკავშირებით?“

თავიდან ჩიჩერინი უარყოფდა ენვერ ფაშასა და საბჭოთა მთავრობის ყოველგვარ ერთობლივ მოქმედებებს ქემალისტური თურქეთის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ, უტყუარი მტკიცებულებების ფონზე, მან უკან დაიხია. მოსკოვის ქმედებებს იგი იმით ამართლებდა, რომ ენვერ ფაშა იმ პარტიის სათავეში იდგა, რომელიც თურქეთში დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, ამიტომ მოსკოვსაც არ შეეძლო, თავი შეეკავებინა მათთან კონტაქტისაგან. ჩიჩერინი იმასაც კი უშვებდა, რომ ენვერი შეიძლება ხელისუფლებაში მოსულიყო. ეს გარემოება კი მისდამი უფრო პატივისცემლურ დამოკიდებულებას მოითხოვდა. მან თქვა: „ენვერ ფაშა იმ ხალხის სათავეში იდგა, რომლებმაც თურქულ-რუსულ მეგობრულ ურთიერთობებს ჩაუყარეს საფუძველი“. ამაზე ალი ფუატმა შენიშნა: „ჯერ კიდევ არაა ცნობილი, თუ რა ელოდება ენვერს მისი თურქეთში ჩამოსვლის შემთხვევაში. ენვერ ფაშა სამხედრო მინისტრი და მთავარსარდლის მოადგილე იყო⁴⁸⁰, რომელიც მსოფლიო ომში დამარცხდა. მე კარგად ვიცნობ ენვერ ფაშას პიროვნებას. არა მგონია, რომ იგი ისევ დაუბრუნდეს პოლიტიკას, სანამ წარსულ ცოდვებზე არ აგებს პასუხს“. თავისი გამოსვლის ბოლოს ალი ფუატ ჯებესოიმ კიდევ ერთხელ მოუწოდა მოსკოვს, პატივისცემით მოპყრობოდა 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებას⁴⁸¹

ფაქტია, რომ ქემალისტების მიერ მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებებმა და 1921 წლის 20 ოქტომბერს საფრანგეთის მიერ ქემალისტური თურქეთის ოფიციალურმა ცნობამ საგრძნობად გააძლიერა მუსტაფა ქემალის პოზიციები. ამ მდგომარეობას ეთქვამ ჩერქეზის პოზიციების დასუსტებამაც შეუწყო ხელი – პირველი დიდი წარუმატებლობა, რომელიც მან განიცადა ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლაში, მყისვე გამოიყენა მუსტაფა ქემალმა. ანკარის არმიამ, რომელსაც ეროვნებით ქურთი, მუსტაფა ქემალის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, გენერალი იზმეთ იუნონუ მეთაურობდა, ეთქვამ ჩერქეზს აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენა. მან ზურგში დაარტყა ბერძნებთან ბრძოლაში ჩაბმულ „მწვანე არმიას“ და ქუთაია დაიკავა...

ყოველივე ამან კარდინალურად შეცვალა როგორც მოსკოვის, ისე ენვერის გეგმები. ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ ამ გეგმებში მნიშვნელოვანი კორექტივები იყო შეტანილი. ახალი რეალობა უღმობელი იყო. ფაქტია, რომ მოსკოვისათვის ახალი

⁴⁷⁹ Станислав Тарасов. Большевики в Турции и Закавказье: "Изменил нам Кемаль или нет"? (АВІР. ф. 04. оп. 39. п. 232. д. 52992. лл. 37-37 об, 39 об.). <http://www.regnum.ru/news/1433780.html>.

⁴⁸⁰ მიუხედავად იმისა, რომ I მსოფლიო ომის მსვლელობისას ისმაილ ენვერ ფაშა ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ფაქტობრივი უფროსი იყო, კონსტიტუციის მიხედვით, იმპერიის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალად სულთანი ითვლებოდა, თუმცა – მხოლოდ ნომინალურად.

⁴⁸¹ Ali Fuat Cebesoy. Moskova Hatıraları. Milli Mücadele ve Bolşevik Rusya. İstanbul, 2002, S.257-259.

„სტავლენიკი“ დაიბადა. ეს ახალი „სტავლენიკი“ თურქეთის დიდი ეროვნული კრების თაემჯდომარე, ღაზი მუსტაფა ქემალი იყო. და ისიც ფაქტია, რომ კრემლის შემდგომი მოქმედებების სტრატეგია უკვე ამ ახალი „სტავლენიკის“ პოზიციების გაძლიერებისაკენ იქნებოდა მიმართული.

შექმნილი მდგომარეობიდან ენვერ ფაშამაც სწორი დასკვნები გამოიტანა. მან საღად შეაფასა ის სიტუაცია, რომ ასეთ ვითარებაში მისი თურქეთში შესვლა აღარ მოხერხდებოდა. იგი ბათუმიდან თბილისში ბრუნდება და გარკვეული ხნის განმავლობაში აქვე სახლდება. თბილისში იგი „ამიერკავკასიის ბატონ-პატრონს“, სერგო ორჯონიკიძეს ხვდება. ზუსტად არაა ცნობილი, თუ რა სახის მოლაპარაკებები გაიმართა მათ შორის, მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარების ფონზე ძნელი მისახვედრი არაა, რომ ორჯონიკიძის „რჩევით“ ენვერ ფაშამ ხელი აიღო თურქულ ავანტიურაზე და ბოლშევიკთათვის სხვა საინტერესო მიმართულებაზე გადაერთო.

მწვანე ნახევარმთვარე წითელი ვარსკვლავის ორბიტას დასცილდა...



ტურარ რისკულოვი
(1894-1938)



ფაიზულა ხოჯაევი
(1896-1938)



ბექირ სამი კუნდუზი
(1864-1932)



სემიონ არალოვი
(1880-1969)



ლევ კამენევი (1883-1936)



გრიგორი სოკოლნიკოვი (1888-1939)



შუაში ეთჰემ ნეჯათი, მარჯვნივ მუსტაფა სუფი



ნიკოლაი ვორონოვიჩი
(1887-1967)



მე-19 დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი მუსტაფა ქემალი ჰალიპოლისზე



გენერალი მეჰმედ ვეჰიბ ფაშა



მარცხნიდან მარჯვნივ: ქემალისტთა დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროსი ასიმ ბეი გუნდუზი, დასავლეთის ფრონტის სარდალი იზმეთ იუნონუ, უცნობი, საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე კონსტანტინ ზვონარიოვი, საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობაში სემიონ არალოვი, მუსტაფა ქემალი, საბჭოთა აზერბაიჯანის ელჩი დიდი ეროვნული კრების მთავრობაში იბრაჰიმ აბილოვი, 1-ლი არმიის სარდალი ალი ისჰან ფაშა. 1922 წლის 31 მაისი.



მუსტაფა ქემალი (შუაში), სემიონ არალოვი (მარცხნივ)
და იბრაჰიმ აბილოვი (მარჯვნივ).



მარცხნიდან მარჯვნივ: რაუფ ორბეი, მუსტაფა ქემალი და ბექირ სამი კუნდუხი.




ეთჰებ ჩერქეზი



აკმედ ანზავური





თოფალ ოსმანი



პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის მონაწილე „დიდი ოთხეულის“ წევრი ქვეყნების ლიდერები. მარცხნიდან მარჯვნივ: დევიდ ლოიდ-ჯორჯი (დიდი ბრიტანეთი), ვიტორიო ორლანდო (იტალია), ჟორჟ კლემანსო (საფრანგეთი) და ვუდრო ვილსონი (აშშ).

Proportions des populations musulmanes, grecques et arméniennes en Asie-Mineure d'après la statistique officielle de 1914.



მცირე აზიაში მცხოვრებ ხალხთა რაოდენობრივი შეფარდება ოსმალეთის მთავრობის მიერ ჩატარებული აღწერის მასალებით.



ალექსანდრ ზატისიანი
(1874-1945)



ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრიზანფი
(1881-1949)




პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე სომხური დელეგაციის მიერ
წარდგენილი „ღიადი სომხეთის“ რუკა. 1919 წელი.



პონტოს სახელმწიფოს პროექტი



პონტოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი



1917 წელს საფრანგეთის მთავრობის მიერ წამოყენებული „პონტოს რესპუბლიკის“ პროექტი



„დიდი ქურთისტანის“ პროექტი



გენერალი ანასტასიოს პაპულასი
(1859-1935)



ელეფთერიოს ვენიზელოსი
(1864-1936)



ბერძნული სამხედრო კონტინგენტის შესვლა სმირნაში, 1919 წლის მაისი.



მარცხნიდან მარჯვნივ: ადნან ადივარი, ალი ფუათ ჯეპესოი, მუსა ქიაზიმ ყარაბექირი, ჰუსეინ რაუფ ორბეი და რეფეტ ბელე.

თავი V

უზაზიურ-ავღანური „თურქული მარში“

„...როდესაც ბუხარაში ჩამოვედი, კარგად დავინახე, თუ რაში იყო საქმე. ბოლშევიკები ძველ რუსულ კოლონიებში ძალითა და მოტყუებით ცდილობენ, გაიმაგრონ პოზიციები. რუსეთში მათ მუშათა და გლეხთა ნაწილი ემხრობა, აქ კი მხოლოდ ზოგიერთი ავანტიურისტია მათ მხარეს... თუ ჩვეულ დაპყრობით პოლიტიკას გააგრძელებთ, მაშინ თქვენს წინააღმდეგ მაჰმადიან ხალხებს ავამხედრებ. ჩემი ბოლო სიტყვები კი ასეთია: დაელაპარაკეთ ამხანაგებს – ლენინს, ტროცკის და ა.შ. თუ ისინი მიიღებენ ჩემს შემოთავაზებას, იმ შემთხვევაში მე ყველა საშუალებით გპირდებით დახმარებას...“

ისმაილ ენვერ ფაშა. 1922 წელი.

§5.1. ენაზე და მისი როლი

1921 წლის ბოლოდან ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობები კიდევ უფრო მყარდება. საბჭოთა უკრაინის წარმომადგენლის სახით ანკარაში წითელი არმიის ლეგენდარული მეთაური, მიხაილ ფრუნზე⁴⁸² ჩადის. მისია ფორმალურად უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით წარიგზავნა, სადაც მას უკრაინის მუშურ-გლეხური წითელი არმიის (РККА) (Рабоче-крестьянская Красная Армия) მთავარ-სარდლის თანამდებობა ეკავა. ამავე დროს იგი უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრიც იყო. დელეგაციაში შედიოდნენ აგრეთვე წითელი არმიის მეთაურები ალექსანდრ ანდერსი და პიოტრ კარატიგინი. ვიზიტის მიზანი იყო თურქეთში არსებული საერთო სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესწავლა, აგრეთვე იმის დემონსტრირება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამყარებულიყო რუსეთსა და ახალ თურქულ მოძრაობას შორის ურთიერთობები, პირველ რიგში – სამხედრო თანამშრომლობა. ბიულენტ გოკაის მიხედვით, ვიზიტს მოლოტოვმა,⁴⁸³ რომელიც იმ დრო-

⁴⁸² მიხაილ ვასილევჩი ფრუნზე (1885-1925) – მოღვაწეობის ცნობილი რუსი პროფესიონალი რევოლუციონერი და ტერორისტი, საბჭოთა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, „მუშურ-გლეხური წითელი არმიის“ ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი და სამხედრო თეორეტიკოსი. რსდმპ წევრი 1904 წლიდან. 1905 წლის 9 იანვრის „სისხლიანი კვირის“ მანიფესტაციისა და 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. სტოკჰოლმში ჩატარებული რსდმპ მე-4 ყრილობის დელეგატი. I მსოფლიო ომის დროს ძირითადად იმყოფებოდა გადასახლებებში, სადაც ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდასა და აგიტაციას. 1917 წლიდან მინსკის გუბერნიის გლეხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მინსკის რსდმპ ქალაქკომის ორგანიზატორია, ამავე დროს – დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცთა საბჭოების აღმასკომის წევრი. რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წლის აგვისტოდან იაროსლავლის სამხედრო ოლქის სამხედრო კომისარია. 1919 წლის თებერვლიდან კოლჩაკის მიერ განადგურებული ბოლშევიკთა მე-4 არმიის სარდალია, მის-ივნისში – თურქესტანის არმიის სარდალი. 1919 წლის 15 აგვისტოდან 1920 წლის 10 სექტემბრამდე პერიოდში მისი სარდლობისას მოახდინეს თურქეთის ჯარებმა ბუხარის საამიროს ლიკვიდაცია და იძულებითი გასახლება. შემდეგ სამხრეთის ფრონტის სარდალი. 1920 წლის 3 დეკემბრიდან სამხედრო რევოლუციური საბჭოს რწმუნებული უკრაინაში, უკრაინისა და ყირიმის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ამავე დროს უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1922 წლიდან უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1924 წლის მარტიდან საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარისა და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე. იმავე წლის აპრილიდან წითელი არმიის მთავარი შტაბის უფროსი და ერთდროულად მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის უფროსი. 1925 წლის იანვრიდან, ტროცკის გადაყენების შემდეგ, ინიშნება საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარედ და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარად. საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, 1921 წლიდან რკპ(ბ) ცეკას წევრი, ხოლო 1924 წლიდან – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი. გარდაიცვალა საოპერაციო მაგიდაზე 1925 წლის 31 ოქტომბერს.

⁴⁸³ ვიზიტს მიხაილ ვასილევჩი მოლოტოვი (ნამდვილი გვარი სკრიპინი) (1890-1986) – საბჭოთა პარტიული პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. 1921-1957 წლებში რკპ(ბ) და სკკპ-ს ერთ-ერთი უმაღლესი პირი. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს I-IV მოწვევების დეპუტატი. 1902 წლიდან სწავლობდა ყაზანის რეალურ სასწავლებელში. აქვე ეცნობა მარქსიზმის იდეოლოგიას. რსდმპ წევრი 1906 წლიდან და სასწავლებლის არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1909 წელს აპატიმრებენ და ასახლებენ ვოლოგდაში. 1911 წელს ათავისუფლებენ. იმავე წელს სასწავლებლად შედის სანკტ-პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1912-1913 წლებში მუშაობდა გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში მდივნად. 1915 წელს ისევ აპატიმრებენ და ასახლებენ ირკუტსკის გუბერნიაში, საიდანაც გაიქცა 1916 წელს. იმავე წელს ხდება რსდმპ ცეკას რუსული ბიუროს წევრი. I მსოფლიო ომის მსვლელობისას ყოველნაირად არიდებდა თავს სამხედრო სამსახურს. 1915 წლიდან იღებს პარტიულ მეტსახელს „МОЛОТОВ“ (სხვათა შორის, იგივე პარტიული მეტსახელი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისის საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ცნობილ მოღვაწეს, გაზეთების „პრავდისა“ და „ზარისა“ თანამშრომელს, ალექსანდრ პარუხსაც). ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ინიშნება სახალხო მეურნეობის ჩრდილოეთის ოლქის საბჭოს თავმჯდომარედ. 1919 წლიდან მუშაობდა რკპ(ბ) ცეკას რწმუნებულად ვოლოგისპირეთში. 1920 წლის სექტემბრიდან მუშაობდა რკპ(ბ) ღონეცკის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად. 1920 წლის ნოემბრიდან 1921 წლის მარტამდე უკრაინის კომპარტიის ცეკას მდივანი. 1921 წლის მარტიდან 1930 წლის 31 დეკემბრამდე საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას მდივანია. 1921-1927 წლებში სსრკ ცეკას პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, ხოლო 1929-1931 წლებში – წევრი. 1928-1929 წლებში მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივანი. 1920-იანი წლების დასაწყისიდან 1940 წლამდე თავდაცვის კომიტეტის წევრი. 1930 წლის 19 დეკემბრიდან სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს

სათვის ცეკას წევრიც იყო, ასეთი ინსტრუქციები მისცა ფრუნზეს 1921 წლის 3 ოქტომბერში:

„მიუხედავად იმისა, რომ ანკარაში ოფიციალურად უკრაინის სახელით მიემგზავრებით, პოლიტიკურად თქვენი ვიზიტი მთლიანად რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მეგობრობის გამოხატულებაც უნდა იყოს... ამიტომ თქვენმა ვიზიტმა დაბალანსების როლი უნდა ითამაშოს, რათა თურქეთი არ მოექცეს ანტანტის გავლენის სფეროში... ეცადეთ, დეტალურად შეისწავლოთ თურქეთის არმიის მდგომარეობა... ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა შესაძლებლობები დარჩა თურქეთის არმიას და რამდენად ეფექტურ ძალას წარმოადგენს იგი... ჩვენ უნდა ვიცოდეთ, გველოდება თუ არა რაიმე მოულოდნელი სიურპრიზი... ჩვენ არა მხოლოდ ის უნდა ვიცოდეთ, თუ როგორია თურქული არმიის რეალური სიძლიერე და ეფექტურობა, არამედ ისიც, რეალურად მიაჩნიათ თუ არა მოკავშირეებს (აქ ანტანტაზეა საუბარი – ა. ჩ.) ის მოსაზრება, რომ თურქები ჩვენს წინააღმდეგ წამოვლენ...“⁴⁸⁴

ამ ამონარიდთან დაკავშირებით გარკვეული კომენტარია გასაკეთებელი. ავტორი არ აზუსტებს, პარტიის რომელ ცეკაზეა საუბარი – რუსეთის თუ უკრაინისა. გარდა ამისა, პროფესორი გოკაი აქ მცირე უზუსტობასაც უშვებს. 1921 წლის ოქტომბრისათვის ვიანის მთავრობის მოლოტოვი არა თუ ცეკას წევრი, არამედ ცეკას მდივანიც იყო – რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი.⁴⁸⁵ 1922 წლის 3 აპრილიდან ამ თანამდებობაზე მას „ნარკომნაცი“ იოსებ სტალინი ჩაენაცვლება, მაგრამ არა მდივნის, არამედ უკვე პარტიის „გენერალური მდივნის“ სტატუსით, რომლის რეკომენდატორებადაც გრიგორი ზინოვიევი და ლევ კამენევი გამოვლენ.

ბუნებრივია, მიხაილ ვასილიჩს და საბჭოთა დელეგაციის წევრებს მუსტაფა ქემალისათვის იმის ახსნაც მოუწევდათ, თუ რა თამაშებს აწარმოებდა მოსკოვი, რა ხდებოდა ენვერ ფაშასთან დაკავშირებით, რატომ უჭერდა მას მხარს კრემლი. ამ საკითხთან დაკავშირებით, წითელი მეთაური, მოლოტოვის გარდა ჩიჩერინმაც საგულდაგულოდ დამოძღვრა. ფაქტია, რომ ფრუნზე კარგად იყო ინსტრუქტირებული. „ჩვენი ე.წ. დახმარება ენვერისადმი, მოგონილი ამბავია. ერთადერთი გზა, რომ თავიდან აგვეცილებინა ენვერის ბათუმში ჩასვლა, – მისი დაპატიმრება იყო. მაგრამ თავი ავარიდეთ განთქმული მუსლიმანი გმირის მიმართ ასეთი ზომების გატარებას“, – განაცხადა ფრუნზემ.⁴⁸⁶ (Sic!)

ენვერ ფაშა მისი პიროვნების მიმართ ასეთ დამოკიდებულებას საბჭოელებს არ აპატიებს. ბოლშევიკთა მხრიდან ეს გამცემლობა იყო – ნამდვილი გამცემლობა და ღალატი, თუმცა დიდ პოლიტიკაში მეგობრობა და მეგობრები არ არსებობენ. აღმოსავლეთის საკითხთან მიმართებაში, მუსტაფა ქემალის მიერ საქარიასთან მიღწეული გამარჯვების შემდეგ, მოსკოვმა უფრო დაბალანსებული პოლიტიკის გატარება დაიწყო. საბჭოელები არ შევიდნენ ღია კონფლიქტში მუსტაფა ქემალთან. საბოლოოდ, კრემლში გადაწყვიტეს, რომ, მიუხედავად მუსტაფა ქემალის „ნაციონალისტური გადახრებისა“,

თავმჯდომარე. 1937-1938 წლების მასობრივი ტერორის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და დასახვრეტა სიების შემდგენი. 1939 წლის 3 მაისიდან სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. 1946 წლის 19 მარტიდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. 1949 წელს მოხსნილ იქნა ყველა თანამდებობიდან. მისი ოჯახი რეპრესირებულ იქნა, თუმცა თვითონ არ დაუპატიმრებიათ. სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წლიდან, ისევ ინიშნება სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად. 1957 წელს ინიშნება საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად მონღოლეთის რესპუბლიკაში. 1963 წელს გადის პენსიაში. გარდაიცვალა 1986 წელს. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის განმავლობაში შეიძვერ ჰქონდა გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი, მაინც ღრმა მოხუცებულობამდე, 96 წლის ასაკამდე იცხოვრა.

⁴⁸⁴ Bülent Gökay. A Clash of Empires: Turkey Between Russian Bolshevism and British Imperialism 1918-1923. Pg. 113.

⁴⁸⁵ Хронос. Всемирная история в Интернете. Биографический справочник. Вячеслав Михайлович Молотов (Скрябин).

⁴⁸⁶ РГАСПИ. Ф. 2. Оп. 2. Д. 386. Л. 1. Автограф. Подлинник 2.

ეთანამშრომლათ თურქეთში მუსტაფა ქემალის, ირანში შაჰ რეზას,⁴⁸⁷ ხოლო ავღანეთში – ამანულა ხანის⁴⁸⁸ „ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ“ მთავრობებთან. კავკასიასა და შუა აზიაში თავისი პოლიტიკის გატარების გზაზე მოსკოვმა უმჯობესად ჩათვალა, რომ მხოლოდ საკუთარ წითელ არმიას დაყრდნობდა და აღარ შეექმნა ამ ქვეყნებში სპეციალური მუსლიმანური სამხედრო ნაწილები, რისი იმედიც ენვერ ფაშას ჰქონდა. კრემლმა საბოლოოდ ისიც გადაწყვიტა, რომ უარი ეთქვა ენვერ ფაშას „ანატოლიურ პროექტზე“. სამაგიეროდ, მიიღეს გადაწყვეტილება, მუსლიმანურ სამყაროში ენვერ ფაშას სახელი და ავტორიტეტი გამოეყენებინათ და მისი მუშაობა სულ სხვა მიმართულებით, შუა აზიისა და ავღანეთისაკენ გადაერთოთ. მამ ასე, ბოლშევიკთა შემდეგი სამიზნე თურქესტანი გახდა.

ბოლშევიკთა მიერ ენვერის თურქესტანში გაგზავნას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა:

1. ისლამურ სამყაროში თავისი გავლენისა და ავტორიტეტის გამოყენებით ენვერს უნდა შეემცირებინა ბოლშევიკებისადმი ბასმაჩთა წინააღმდეგობა;

2. ენვერი წინ უნდა აღდგომოდა ავღანელთა შესაძლო ჩარევასა და ბასმაჩური მოძრაობის დახმარებას ცენტრალური აზიის საქმეებში.

⁴⁸⁷ შაჰ რეზა ფეჰლევი (1878-1944) – ქართული წარმომავლობის სპარსეთისა და ირანის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, სპარსი გენერალი და ირანის 34-ე შაჰი. ალა მაჰმად ხან ყაჯარის მიერ 1794 წელს დაფუძნებული სპარსეთის თურქული წარმომავლობის ყაჯართა დინასტიის დამამხობელი და ფეჰლევიდთა ახალი მონარქიული დინასტიის დამარსებელი. სამხედრო კარიერა დაიწყო სპარსეთის კაზაკთა ბრიგადაში რიგითად. წარმატებული სამხედრო სამსახურის განმავლობაში მიაღწია გენერლის ჩინს. 1921 წელს მეთაურობდა კაზაკთა ბრიგადას, შემდეგ – დივიზიას. 1921 წელს ქვეყანაში არსებული შინაგანი არეულობებისა და უცხოური ინტერვენციის დროს თავისი დივიზიის ძალებითა და მომხრეების, ძირითადად, რუსული ბოლშევიკური ძალების მხარდაჭერით, ბრძოლებით იკავებს სპარსეთის დედაქალაქ თეირანს. სპარსეთის შაჰის, აჰმედ შაჰ ყაჯარის მიერ ინიშნება თეირანის სამხედრო გუბერნატორად და ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად, მცირე ხნის შემდეგ კი – ქვეყნის სამხედრო მინისტრად. 1923 წელს ინიშნება პრემიერ-მინისტრად. ისარგებლა რა თავისი გავლენებითა და სახელმწიფოებრივი თანამდებობით, 1925 წლის 31 ოქტომბერს დაამხო მონარქი, ხოლო 1925 წლის 12 დეკემბერს დაბრუნებულმა ასამბლეამ ის ირანის ახალ შაჰად გამოაცხადა. ამავე წლის 15 დეკემბერს დაღო ფიცი და საფუძველი ჩაუყარა ირანის მონარქთა ახალ, ფეჰლევიდთა დინასტიას. თავისი მმართველობის პერიოდში ჩაატარა გარკვეული პროგრესული რეფორმები პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებში. 1935 წელს ქვეყანას მოძველებული სახელწოდების – „სპარსეთის“ ნაცვლად ოფიციალურად ეწოდა ახალი დასახელება „ირანი“. გაიყვანეს ტრანსირანული რკინიგზის ხაზი, დაარსდა თეირანის უნივერსიტეტი, აშენდა ფაბრიკა-ქარხნები. 1941 წელს შეეცადა, წინააღმდეგობა გაეწია დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირისათვის მათი ჯარების ირანის ტერიტორიაზე განთავსების თაობაზე, რის გამოც ინტერვენციისა და სამხედრო ძალის ჩარევით ჩამოაგდეს შაჰის ტახტიდან და გააძევეს ირანიდან. გარდაიცვალა ემიგრაციაში, 1944 წელს, სამხრეთ აფრიკაში, იოჰანესბურგში. 1950 წელს მისმა შვილმა, მუჰამედ რეზა შაჰ ფეჰლევიმ სამშობლოში გადმოსვენა მამის ცხედარი და დაკრძალა სპეციალურად მისთვის აგებულ გრანდიოზულ მავზოლეუმში. 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, აიათოლა ჰომეინის ბრძანებით შაჰ რეზა ფეჰლევის მავზოლეუმი დაანგრიეს.

⁴⁸⁸ ამანულა ხანი (1892-1960) – ავღანეთის მეფე, ამირა საბიბულა ხანის შვილი. „ახალგაზრდა ავღანელთა“ იდეების მიმდევარი და გამტარებელი. ავღანეთის ტახტზე ადის მამის მოკვლის შემდეგ, 1919 წლის 28 თებერვალს. აცხადებს ავღანეთის სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რასაც შედეგად მოსდევს ინგლის-ავღანეთის ახალი, რიგით მესამე ომის დაწყება, რომელიც ავღანელთა გამარჯვებით დასრულდა. ხანმოკლე ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა, ელიარებინა ავღანეთის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1919 წელს ცდილობს, დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობები საბჭოთა რუსეთთან, თუმცა ამავე დროს ეხმარება ფერღანელ ამბოხებულებს ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ავღანეთთან შეერთებით ჩაფიქრებული ჰქონდა ცენტრალური აზიის ისლამური ფედერაციის შექმნა. ამავე დროს, თვით საბჭოელები მუშაობდნენ ავღანეთის გასაბჭოებისათვის, რაც მათ ვერ მოახერხეს. საბოლოოდ, 1926 წელს ავღანეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის იდგა ხელშეკრულება ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის შესახებ. „ახალგაზრდა ავღანელთა“ იდეების საფუძველზე, ამანულა ხანმა გაატარა გარკვეული ლიბერალური რეფორმები – 1923 წელს მიიღეს ქვეყნის კონსტიტუცია, დაუშვეს ქვეყანაში თავისუფალი ვაჭრობის უფლება, შეიცვალა საგადასახადო სისტემა, გაიხსნა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები. რეფორმების გამო გაზრდილ ხარჯებსა და გადასახადებს მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა, რაც საერთო აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყებას ავღანეთის სამხედრო მინისტრი, მუჰამედ ნადირ ხანი და ბაჩაი საკო ჩაუდგნენ სათავეში. ამანულა ხანი სამშობლოდან განდევნეს. იგი იტალიაში სახლდება. ავღანეთის ახალი მონარქი მუჰამედ ნადირ ხანი ხდება. მას მუჰამედ ნადირ შაჰი ეწოდა. 1948 წელს ამანულა ხანმა ავღანეთის მონარქად სცნო ნადირ შაჰის ძე, მუჰამედ ზაქირ შაჰი და მისი დინასტია. გარდაიცვალა 1960 წელს, დაკრძალულია ჯვალაბადში.

ამრიგად, საბჭოურ-თურქული ურთიერთობების ამ ეტაპზე ენვერ ფაშასათვის შესაბამისი როლი და ადგილი ვერ გამოიძებნა. და ენვერ ფაშა დიდი არჩევანის წინაშე დადგა – ან ხელი უნდა აეღო თავისი დიადი მიზნების განხორციელებაზე, დაბრუნებულიყო გერმანიაში და მშვიდად ეცხოვრა თავის ოჯახთან ერთად, ან გაეგრძელებინა თავისი სამხედრო და პოლიტიკური კარიერა, მაგრამ უკვე ძალიან სახიფათო და სარისკო. რა თქმა უნდა, ბოლშევიკების შემოთავაზება დიდი შანსი იყო, რასაც ენვერი ხელიდან არ გაუშვებდა. და როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ენვერიც, ეს „მარადიული მეომარი“, თავისი მოუსვენარი და ავანტიურისტული ბუნებიდან გამომდინარე, მეორე გზას ირჩევს.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ნათლად აჩვენა, რომ ენვერ ფაშას შუაზიურ სწრაფვებს უკვე სულ სხვა, საკუთარი, ბოლშევიკებისაგან ფრიალ განსხვავებული მოტივები ამოძრავებდა, რაც მოგვიანებით გამჟღავნდება. ამჯერად კი, იგი თანხმდება ბოლშევიკთა მიერ შეთავაზებულ წინადადებას და წერილობით ახსენებს ჩიჩერინს, რომ ბუხარასა და ავღანეთში მიემგზავრება.⁴⁸⁹

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1921 წლის ოქტომბერში იგი ბათუმიდან თბილისში ბრუნდება. ანკარის მთავრობაში რუსეთის სრულუფლებიანი ელჩის, სემიონ არალოვის მეშუარებიდან: „1921 წლის დეკემბრის ბოლოს ჩვენი წარმომადგენლობის მთელი შემადგენლობა დაიძრა (ანკარისაკენ – ა. ჩ.). იმ დროისათვის საქართველოში იმყოფებოდა რუსეთის წარმომადგენლობა. თბილისში ცხოვრობდა აგრეთვე იტიჰადისტების ცნობილი ბელადი ენვერ ფაშა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ადიუტანტი დაჟინებით გვთხოვდა შეხვედრას, ჩვენ უარი განვაცხადეთ ამ ვიზიტზე. ჩემი უარის მიზეზი ნათელი იყო. ენვერ ფაშა ძალიან დიდ როლს თამაშობდა ძველ, ოსმალურ მთავრობაში. ამავე დროს იგი ანატოლიის ნაციონალური მოძრაობისა და მუსტაფა ქემალ ფაშას ღია მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. ჩვენი შეხვედრა რომ შემდგარიყო, რუსეთის მთავრობისა და პირადად ჩემს მიმართ თავიდანვე ეჭვი გაუჩნდებოდა ანკარის დიდი ეროვნული კრების მთავრობას. ენვერიც, როგორც ჩანს, სწორედ ამას ცდილობდა“.⁴⁹⁰ არალოვის მეშუარებიდან ნათლად ჩანს, რომ ოფიციალური საბჭოთა სტრუქტურები ენვერთან მიმართებაში უკვე გარკვეულ დისტანციას იკავებდნენ. საკითხი გადაწყვეტილი იყო – „ახალი თურქული სახელმწიფოს“ „სტავკენიკად“ გენერალი მუსტაფა ქემალი იყო შერჩეული.

ენვერ ფაშა მალე ტოვებს თბილისს და ბაქოს, კრასნოვოდსკის, აშხაბადის, მერვის, ბაირამლისა და ჩარჯოუს გავლით ბუხარაში ჩადის. წითელი მეთაურის, იაკობ მელქუმოვის (აკოფ მელქუმიანი) ცნობით, რომელიც მაშინ, 1921 წლის ბოლოსათვის თურქესტანის 1-ლ ცალკეულ საკავალერიო ბრიგადას მეთაურობდა, თურქესტანის ხელისუფლებამ გრანდიოზული შეხვედრა მოუწყო ბუხარაში ჩასულ ენვერ ფაშას, რომელმაც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ნაზირის (მინისტრის), იაყუბ ზადეს სახლში დაიდო ბინა...⁴⁹¹

აქედან ენვერ ფაშას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი ეტაპი იწყება...

ზოგადად, ოსმალთა თურქებს, რომელთაც ენვერ ფაშაც მიეკუთვნებოდა, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ თურქესტანსა და ბუხარაზე. შუა აზიას ისინი ძალიან ჩამორჩენილ რეგიონად თვლიდნენ, რომელიც თურქულმა ტომებმა შორეულ წარსულში დატოვეს. მას შემდეგ ოსმალთა თურქები არასდროს აღარ დაინტერესებულან ცენტრა-

⁴⁸⁹ РГВА, ф. 110, оп.3, д.1102, л.51.

⁴⁹⁰ С. И. Аралов. Воспоминания советского дипломата 1922-1923. Издательство института международных отношений. Москва. 1960. Стр. 39.

⁴⁹¹ В. М. Гиленсен. Сотрудничество красной Москвы с Энвер-пашой и Джемаль-пашой. „Восток“. 1996. №3. Стр. 45-63. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

ლური აზიით. ოსმალთა იმპერიის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ისტორიაში მხოლოდ ერთი შემთხვევაა ცნობილი, როცა თურქები ცენტრალური აზიით დაინტერესდნენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თურქებმა, რომლებიც ეკატერინე II-ის რუსეთს ეომებოდნენ, ბუხარის ამირას შუამდგომლობით, ყირგიზებს მიმართეს დახმარებისათვის. ბუხარა, თურქესტანი და ყირგიზები აენტნენ. ბუხარის ამირას, შაჰ მურადისაგან გაჟღერებულმა მოწოდებამ – ხელში აეღოთ იარაღი, ყირგიზთა ბელადის, სირიმ ბათირის ყურამდე მიაღწია. მან განაცხადა, რომ მზად იყო დამორჩილებოდა წინასწარმეტყველის წარმომადგენელს. მაგრამ ეს ყველაფერი შორეულ 1788 წელს იყო... მას შემდეგ თურქები აღარც ცენტრალური აზიით დაინტერესებულან და აღარც იქ მცხოვრები ხალხებით... ამით ყველაფერი დასრულდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ოსმალთა თურქებს თავისი წინარე სამშობლო აღარც გახსენებიათ. ფაქტია, რომ ამ თურქული მხარის ისტორია და იქ მცხოვრები ხალხების კულტურა, უმეტეს შემთხვევაში, ოსმალთათვის „ტერა ინკოგნიტას“ წარმოადგენდა.⁴⁹²

ამჟამად კი, ცენტრალურ აზიაში ძალიან რთული და არასტაბილური პოლიტიკური გარემო იყო შექმნილი. სწორედ ამის გამო შეეწინააღმდეგა იტიჰადისტთა ზოგიერთი წარმომადგენელი თავისი ლიდერის ჩასვლას ამ „პოლიტიკურად რეაქციულ რეგიონში“.⁴⁹³

ენვერ ფაშასა და ექსიტიჰადისტი გენერალიტეტის ამ პერიოდის მოღვაწეობის შესახებ ადრე ძალიან ცოტა რამ იყო ცნობილი, მაგრამ უკანასკნელ ხანს გამოძეული საარქივო დოკუმენტებისა და სხვადასხვა მასალების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ენვერ ფაშას ცხოვრების შუააზიური პერიოდის გაცნობა. ბუხარაში ჩასულ ენვერ ფაშას შეხვედრები ჰქონდა რუსეთის კონსულთან, იურენეთან⁴⁹⁴, აგრეთვე ანტიბოლშევიკურ პოზიციაზე მდგარ თურქესტანის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარესთან, აჰმედ-ზაქი ვალიდო ტოგანთან (რუსიფიკატორული ტრანსკრიფციით – АХМЕД-Заки Валидов).

ამ პიროვნებაზე უნდა შევჩერდეთ და მოკლედ განვიხილოთ მისი პოლიტიკური წარსული, რადგან იგი ერთ-ერთ ცენტრალური ფიგურა გახლდათ იმდროინდელ შუააზიურ პოლიტიკაში და არა მხოლოდ. თურქესტანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ბაშკირული წარმომავლობის ინტელექტუალი

⁴⁹² Мустафа Чокай Оғлы. Энвер паша в Советской России и Туркестане. («Orient et Occident»). Paris. Перевод с французского языка и публикация принадлежат Бахыт Садыковой. <http://kh-davron.uz/kutubxona/tarix/mustafachokaj-enver-pasha-v-sovetskoj-rossii-i-turkeстане.html>.

⁴⁹³ РГАСПИ. Ф. 2. Оп. 2. Д. 386. Л. 1. Автограф. Подлинник 2.

⁴⁹⁴ კონსტანტინე კონსტანტინოვიჩ იურენევი (ნამდვილი გვარი – კროტოვსკი) (1888-1938) – ძველი რევოლუციონერი, საბჭოთა სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი. დაამთავრა დვინის რეალური სასწავლებელი. 1905 წლიდან რსდმპ-ს წევრი, თავიდანვე მიემხრო ბოლშევიკურ ფრთას. 1906 წელს ხდება რსდმპ(ბ) დვინის კომიტეტის წევრი, ხოლო 1908 წელს რსდმპ ჩრდილო-დასავლეთის ბიუროს ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1908 წელს დააპატიმრეს და გადასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ბრუნდება პეტერბურგში, სადაც 1911 წლიდან თანამშრომლობს გაზეთ „პრავდასა“ და ჟურნალ „პროსვეშჩენიეში“. 1912 წელს ისევ დააპატიმრეს და გაასახლეს პეტერბურგიდან. პეტერბურგში ბრუნდება 1913 წელს. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 1915 წელს იწვევენ სამხედრო სამსახურში, სადაც თვითნებურად ტოვებს სამსახურის ადგილს. 1916 წელს გაასამართლეს დეზერტირობის მუხლით. 1917 წლის რევოლუციის აქტიურ მონაწილეს ირჩევენ პეტროგრადის საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. იყო სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობის დელეგატი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში – ცენტრალური კომუნისტურის წევრი და წითელი არმიის მთავარი შტაბის ბიუროს თავმჯდომარე პეტროგრადში. მონაწილეობდა წითელი არმიის დაკომპლექტების პროცესში. 1917 წლის ნოემბრიდან პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი. 1919 წლის აპრილ-აგვისტოში წითელი არმიის აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი, შემდეგ – დასავლეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი. 1921 წლიდან დიპლომატიურ სამსახურშია. 1921-1937 წლებში რუსეთის სრულყოფილი წარმომადგენელია ბუხარაში, ლატვიაში, ჩეხოსლოვაკიაში, იტალიაში, სპარსეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, გერმანიაში. 1937 წელს დააპატიმრეს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით. დახვრიტეს 1938 წელს.

აჰმედ-ზაქი ვალიდი, თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის საწყის ეტაპზე თავგამოდებული რევოლუციონერი და პრობოლშევიკურად განწყობილი ეროვნული ლიდერი იყო. 1917 წლიდან მოყოლებული, იგი რუსეთის მუსლიმანთა დროებითი ცენტრალური ბიუროს წევრი და სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრია უფის გუბერნიიდან, ხოლო უკვე 1919 წლის დასაწყისიდან – ბაშკირეთის რევკომის თავმჯდომარე და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის – ВЦИК-ის წევრი.

კრემლის მესვეურთათვისაც აჰმედ-ზაქი ვალიდი და მისი ჯგუფი იმდენად მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენდნენ, რომ 1919 წელს მოსკოვში პირველად ჩასულ ბაშკირთა ლიდერებს საპატიო დახვედრა ბოლშევიკთა 1-ლი არმიის სარდალმა, გაიმ⁴⁹⁵ მოუწყო. ამ მნიშვნელოვან ვიზიტთან დაკავშირებით სტალინმა გაზეთ „პრავდის“ 1919 წლის 2 მარტის ნომერში სტატია გამოაქვეყნა სათაურით „ჩვენი ამოცანები აღმოსავლეთში“. სტალინის სიტყვებით, საბჭოელებთან თათრების, ბაშკირების, ყირგიზების, უზბეკების, თურქმენების, ტაჯიკებისა და შუასაუკუნეობრივი კულტურის სხვა მატარებლების შემოერთებასთან ერთად, რაც ოცდაათმილიონიან მასას შეადგენდა, საჭირო იყო იმ პრობლემებზე მსჯელობაც, რომლებიც მთლიან ისლამურ სამყაროსა და აღმოსავლეთს მოიცავდა.⁴⁹⁶ მაშინ, 1919 წლის მარტში, მოსკოვმა ოფიციალურად სცნო ბაშკირეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და მის წარმომადგენლებთან შესაბამისი ხელშეკრულებაც დადო. შეთანხმებას ხელი, ერთი მხრივ, ლენინმა და მეორე მხრივ, აჰმედ-ზაქი ვალიდიმ მოაწერეს. კრემლის გულთბილი დამოკიდებულება აჰმედ-ზაქი ვალიდისთან მიმართებაში თითქოს შემდეგშიც გაგრძელდა და ის აზრიც იკვეთება, რომ ბაშკირეთში სწორედ აჰმედ-ზაქი ვალიდიზე კეთდებოდა „სტავლენიკობის“ გათვლა. თუმცა, ვალიდისათვის ძალიან მალე გახდა ნათელი, რომ ბოლშევიკთა მიერ დეკლარირებული ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიული პრინციპები ლენინის მიერ კარგად შენიღბული და გათამაშებული მორიგი პოლიტიკური ფარსი იყო. ბოლშევიკებს მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდია უკვე დაესრულებინათ, ახალი ბოლშევიკური იმპერიის შეკოწიწების სისხლიანი პროცესი კი ეს-ესაა, იწყებოდა... ამ მშვიდობიანმა თანაარსებობამ მხოლოდ 14 თვე გასტანა და 1920 წლის მაისში ბოლშევიკთა წითელი

⁴⁹⁵ გაი (ჰაიაკ დმიტრიევიჩ ბუიშკიანი) (1887-1937) – ეროვნებით სომეხი საბჭოთა მხედართმთავარი, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. დაიბადა თავრიზში, 1901 წლიდან ოჯახი ირანიდან ჩადმოსახლდა თბილისში, სადაც დაამთავრა სასულიერო სემინარია. 1903 წლიდან რევოლუციურ მოღვაწეობაშია ჩართული. იყო სომეხთა სოციალ-დემოკრატიული პარტია „ჰუნჩაკისა“ და ფედაისტების საბრძოლო რაზმის წევრი. თბილისის ოფიცერთა სკოლის დასრულების შემდეგ მონაწილეობს I მსოფლიო ომში დაშნაკთა საბრძოლო რაზმის შემადგენლობაში კავკასიის ფრონტზე. I მსოფლიო ომის დასრულებისას მიადწია შტაბს-კაპიტნის ჩინს. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შედის რკპ(ბ) რიგებში. მონაწილეობს რუსეთის სამოქალაქო ომში. 1918 წლის ივლის-ნოემბერში მეთაურობდა სიმბირსკის 1-ლ ქვეით დივიზიას, სადაც მის დაქვემდებარებაში მსახურობდა გიორგი ჟუკოვი, შემდგომში ლეგენდარული საბჭოთა მხედართმთავარი. 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის ივნისამდე სარდლობდა ბოლშევიკთა აღმოსავლეთის ფრონტის 1-ლ არმიას, სადაც ამ თანამდებობაზე შეცვალა ასევე ლეგენდარული საბჭოთა მხედართმთავარი, მიხაილ ტუხაჩევსკი. 1919 წლის აგვისტო-სექტემბერში სამხრეთის ფრონტის 42-ე დივიზიის მეთაურია, 1919 წლის 25 სექტემბრიდან 1920 წლის 3 მარტამდე – სამხრეთის ფრონტის კავკასიის 1-ლი „ველური დივიზიის“ მეთაური. რუსეთ-პოლონეთის ომის პერიოდში სარდლობდა დასავლეთის ფრონტის მე-3 საკავალერიო კორპუსს. ვარშავასთან საბჭოელების გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ თავისი კორპუსის ნარჩენებთან ერთად გადადის პრუსიაში, სადაც ინტერნირებულია. 1922 წლიდან საბჭოთა სომხეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარია, 1924-1925 წლებში – მინსკის გარნიზონის უფროსი. 1927 წელს ამთავრებს ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიას, აქვე რჩება და ხდება კათედრის გამგე. იქვე იცავს დისერტაციას. 1933 წლიდან პროფესორია და 1933-1935 წლებში ხელმძღვანელობს ნ. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის კათედრას. 1935 წელს გაათავისუფლეს ყველა თანამდებობიდან და დააპატიმრეს „წითელ არმიაში სამხედრო-ფაშისტური ორგანიზაციის“ შექმნის ბრალდებით. მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. იაროსლავლის ციხეში გადაყვანისას, 1935 წლის 22 ოქტომბერს, მოახერხა გაქცევა, თუმცა ორ დღეში დააკავა НКВД-მ. დახვრიტეს 1937 წლის 11 დეკემბერს.

⁴⁹⁶ Заки Валиди Тоған. Воспоминания. Борьба народов Туркестана и других восточных мусульман-тюрок в национальное бытие и сохранение культуры. Книга I. Уфа. „Китап“. 1994. Стр. 287.

არმია ბაშკი-რეთში შევიდა. აჰმედ-ზაქი ვალიდი კი მოსკოვში გამოიძახეს პარტიის ცენტრალურ აპარატში „დაწინაურების“ საბაბით.

როდესაც 1919 წლის მარტში საბჭოთა რუსეთმა ოფიციალური ხელშეკრულებით სცნო ბაშკირეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რომელიც, ერთი მხრივ, ლენინისა და, მეორე მხრივ, ვალიდის ხელმოწერებით იყო გამყარებული, ხოლო 1920 წლის მაისში წითელი არმიის შენაერთების ბაშკირეთში შესვლით ყველაფერი წყალში გადაიყარა, აჰმედ-ზაქი ვალიდიმ ვლადიმირ ლენინთან შეხვედრისას პროლეტარიატის დიდი ბელადის უზნეობის საკითხს გაუსვა ხაზი. ვალიდის ამ განცხადების პასუხად ლენინმა გულწრფელად გაიკვირვა:

„რის საფუძველზე სწევთ ასე მალლა ზნეობრივ პრობლემებს? როგორი რევოლუციონერი ხართ? რის გამო ებლაუჭებით ამ ხელშეკრულებას? მე და თქვენი შეთანხმება მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის ნაგლეჯია, რომელიც არავის არაფერზე არ ავალდებულებს“.⁴⁹⁷ მოსკოვში გამართული კომინტერნის კონგრესის მუშაობისას კიდევ ერთ საგულისხმო ფაქტი მოხდა. კონგრესის დასრულების შემდეგ ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში მუშაობისათვის განაწილებულ პოლიტმუშაკებს საინფორმაციო ფურცელი-ინსტრუქციები დაურიგდათ, რომელიც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლის, პავლოვიჩის მიერ იყო შედგენილი. ინსტრუქციები მუსლიმან კომუნისტებს არ დარიგებიათ. მიუხედავად ამისა, ერთმა პოლონელმა კომუნისტმა ეს ქალაქი საიდუმლოდ გადასცა ვალიდის თანამოაზრეებს. ქალაქში ნათქვამი იყო:

„იმდენად, რამდენადაც აღმოსავლეთის ხალხებში, როგორც არიან არაბები, თურქები, ირანელები, ავღანელები, არ არის განვითარებული კაპიტალიზმი და კლასობრივი შეგნებაც სუსტია, აუცილებელია, გავაღრმავოთ საზოგადოებრივი წინააღმდეგობები – მაგალითად, რელიგიური, ან მოვაცხრეებსა და შეიხებს შორის არსებული პირადი დაპირისპირებები. ამ ხალხთა ენები ჯერ კიდევ არ არის გაფორმებული და დამკვიდრებული, ამიტომ საჭიროა, ხელი შევეშალოთ მათი ძლიერი გამაერთიანებელი ლიტერატურული ენის შექმნას“.⁴⁹⁸

ამ ინსტრუქციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ:

- 1) იგი მუსლიმან დელეგატებს არ დარიგებიათ;
- 2) ბოლშევიკთა მიერ დაგეგმილი იყო ზუსტად იმ ტაქტიკის გამოყენება, რასაც იყენებდნენ ისინი ცარიზმთან ბრძოლაში;
- 3) განსაზღვრული იყო თურქესტანზე კონტროლის დამყარება.

აქ კი ყველაფერს საკუთარი სახელი დაერქვა და ყველაფერიც ნათელი გახდა. აჰმედ-ზაქი ვალიდიმ სწორი დასკვნები გამოიტანა. შედეგმაც არ დააყოვნა – მისი პრობოლშევიკური სიმპათიები გაქრა და იგი ბაშკირეთისა და თურქესტანის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში, ხოლო ლენინისეული „ქალაქის ნაგლეჯი“ რუსული იმპერიის დიპლომატიისა და საგარეო ურთიერთობების განუყოფელ ფენომენად გარდაიქმნა. მას შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში „ფარაჯინა ქალაქის ნაგლეჯი“ რუსეთის პოლიტიკის პარადიგმად იქცა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ არცერთ ეპოქასა და არცერთ გარემოებაში, არავითარ შეთანხმებას, – არც პოლიტიკურს და არც დიპლომატიურს, არც სამთავრობოს და არც უწყებრივს, არც ზეპირს და არც წერილობითს, – რუსული მხარისათვის არასდროს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. ასე იყო მოსკოვიტური მონღოლური სამთავროს არსებობის

⁴⁹⁷ Заки Валиди Тоган. Воспоминания. Борьба народов Туркестана и других восточных мусульман-тюрок за национальное бытие и сохранение культуры. Книга I. Уфа. „Китап“. 1994. Стр. 365.

⁴⁹⁸ Paksoy H.B. Basmachi Movement From Within: Account of Zeki Velidi Togan // Nationalities Papers. 1995. Vol. 23. No 2. P.373-399.

პერიოდში, ასე იყო ივანე მრისხანის დროსაც და ასე გრძელდება დღესაც. რუსეთი-სათვის ნებისმიერ საერთაშორისო შეთანხმებასა თუ დოკუმენტს მხოლოდ და მხოლოდ იმ ფარატიანა ქალაქის ნაგლეჯისა და მეღვინის ფასი აქვს, რაზეც და რითაც თავად ეს დოკუმენტია დაწერილი. რუსული მხარისათვის მისი დარღვევა არასდროს არ წარმოადგენდა დიდ პრობლემას. ისტორიული მაგალითები საკმარისზე გაცილებით მეტია...⁴⁹⁹

ღიახ, სიტყვის გატეხა რუსული პოლიტიკისა და დიპლომატიის განუყოფელი ნაწილია, რაც საუკუნეების წინ იღებს სათავეს. ამისათვის გავიხსენოთ რუსეთის პირველი **Царь**-ი ივანე IV (მრისხანე) და მოსკოვის სამთავროს დასავლური ექსპანსია, კერძოდ, ლივონიის 1558-1583 წლების ომის მეოთხე პერიოდი – რუსეთ-პოლონეთის (1577-1582) ომი. თავიდან მოსკოვი თითქოს იმარჯვებდა, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ივანე მრისხანემ სიტუაცია პოლიტიკურად სათანადოდ ვერ გათვალა. პოლონელებმა თავდაცვითი ქალაქების მთელი სისტემა ჩაიგდეს ხელში და რამდენიმე იერიში მოსკოვზეც მიიტანეს. განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ივანე მრისხანემ გადაწყვიტა, რომ ომი წააგო და იგი სასწრაფოდ უნდა დაემთავრებინა. ამიტომ ვატიკანს თხოვნით მიმართა, პოლონეთთან ზავის დადების თაობაზე ეშუამდგომლა. მან პირობა მისცა პაპს (გრეგორი XIII), რომ თუ ზავი მისთვის ხელსაყრელი პირობებით გაფორმდებოდა, რუსეთი კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანდებოდა და თურქეთის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ვატიკანი მოტყუვდა, ივანე მრისხანეს წინააღმდეგობით მოიხიბლა და სამშვიდობო მოლაპარაკებები მოსკოვის სასარგებლოდ დაასრულა. პაპის ლეგატის, პოსევინის დიდი მცდელობის შედეგად, ზავი პოლონეთსა და რუსეთს შორის 1583 წელს დაიდო. რა თქმა უნდა, რუსეთს ვატიკანისათვის მიცემული პირობა არ შეუსრულებია.⁵⁰⁰

ასე შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში რუსული მზაკვრული დიპლომატიის პარადიგმა. სიტყვის გატეხისა და დიპლომატიური ვალდებულებების არშესრულების მიზეზად ხან რუსული „**Великое княжество**“-სა და „**Царство**“-ს ინტერესები სახელდებოდა, ხან კი – „**Империя**“-ისა და „**Держава**“-სი. ფაქტი ისაა, რომ რუსეთის მიერ წარმატებით დასრულებული ნებისმიერი სამშვიდობო მოლაპარაკების ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა ყოველთვის გულისხმობს უცხო სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩარევის უფლების მოპოვებას. რუსეთს ნებისმიერ წუთს შეუძლია ამ მუხლის თავისთვის ხელსაყრელად განმარტება და უსასრულობამდე განვრცობაც. ეს უფლება ტროას ცხენად და სიკვდილის სტიგმად გვევლინება ხოლმე.⁵⁰¹

დავუბრუნდეთ ისევ აჰმედ-ზაქი ვალიდი ტოგანსა და ჩვენ განსახილველ თემას. **ЛИКОЕ КНЯЖЕСТВО**

თურქი მკვლევარი მურატ ჩალიშკანი (Murat Çalıřkan) თავის ნაშრომში „ბასმაჩური მოძრაობა“, წერს: „კრემლისგან განდგომილი აჰმედ-ზაქი ვალიდი შუა აზიაში ჩადის და ბუხარაში საიდუმლო ნაციონალისტურ ორგანიზაციას „თურქესტანის ეროვნულ კავშირს“ აყალიბებს. ორგანიზაციის მიზანს სხვადასხვა ფრაქციებისა და პიროვნებების გაერთიანება წარმოადგენდა ჯადიდების, ქადიმისტების⁵⁰², სოციალისტების,

⁴⁹⁹ არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავი ზღვისპირეთში (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. ISBN 978-9941-0-5988-9. თბილისი. 2014. გვ. 252.

⁵⁰⁰ ივანე ნანუაშვილი. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ. თბილისი. 2012. ISBN 978-9941-15-564-2. გვ. 115.

⁵⁰¹ დასახელებული ნაშრომი. გვ. 130.

⁵⁰² ქადიმში – XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თათარ საზოგადოებასა და რუსეთის მუსლიმანებში არსებული კონსერვატიული რელიგიური მოძრაობა. ქადიმშიზმის მომხრეები იცავდნენ ცხოვრების პატრიარქალურ წესს. ეწეოდნენ აქტიურ ბრძოლას რელიგიური რეფორმატორების, ჯადიდშიზმის წინააღმდეგ, ემხრობოდნენ სქოლასტიკურ სისტემას განათლებისა და აღზრდის საქმეში. ქადიმშიზმი მიმართული იყო ისლამის

თათრების, ყაზახებისა და ბასმაჩების შემადგენლობით, საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი ამბობდა: „ჩვენი მიზანი ნამდვილი ეროვნული მოძრაობის ორგანიზებაა, რომელიც განახლებული ორგანიზაციის სულისკვეთებით იქნება აღსავსე. ასევე სამხედრო შენაერთების შექმნა, რომლებსაც პროგრესულად მოაზროვნე და განსწავლული მეთაურები ჩაუდგებიან სათავეში“.⁵⁰³

ამონარიდთან დაკავშირებით მცირე შენიშვნას გავაკეთებთ. აჰმედ-ზაქი ვალიდისა და მისი თანამოაზრეების მიერ თურქესტანში ჩამოყალიბებულ ნაციონალისტურ ორგანიზაციას „თურქესტანის ეროვნული ერთიანობის კომიტეტი“ ერქვა და არა „თურქესტანის ეროვნული კავშირი“.

პირველი კონტაქტები კი „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ელიტასა და თურქესტანის ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს შორის ჯერ კიდევ ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების დამყარების გარიჟრაჟზე, 1920 წლის გაზაფხულზე შედგა, მაშინ, როცა მოსკოვში პირველად ჩავიდნენ ჰალილ და ჯემალ ფაშები. აჰმედ-ზაქი ვალიდი: „მაისის ბოლოს თურქეთის საზოგადო მოღვაწეები, ჯემალ ფაშა, ჰალილ ფაშა, ჰაჯი სამი და „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის რამდენიმე ხელმძღვანელი ჩამოვიდნენ... ამ მოვლენას ბიძგი მუსტაფა ქემალის იმ ტელეგრამამ მისცა, რომელიც არზრუმიდან იყო გამოგზავნილი. ეს ტელეგრამა, რომლის ადრესატსაც „ორენბურგის ისლამური მთავრობის თავმჯდომარე“ წარმოადგენდა, პირველად ორენბურგში მიიღეს, შემდეგ სტერლიტამაკში და ბოლოს, მოსკოვში. ჰალილ ფაშამ თქვა, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის პირდაპირი დიპლომატიური კავშირების დამყარებამ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დაკარგვა გამოიწვია. ჯემალმა თავისი გეგმები გავაცნო, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იყო, ერთი მხრივ, ჩვენი შეერთებით ანატოლიის განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი დახმარება და, მეორე მხრივ – საბჭოების დახმარებით ინდოსტანში ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება ავღანეთის საგზაო სისტემის გამოყენებით. თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეთა აზრები უალრესად წინააღმდეგობრივად მოგვეჩვენა და იმ ადამიანთა უსაფუძვლო ფანტაზიას გვაგონებდა, რომლებსაც წარმოადგენდა კი არ ჰქონდათ საბჭოებზე“.⁵⁰⁴

რაც შეეხება თურქთა ნაციონალური მოძრაობის ლიდერის, მუსტაფა ქემალის მიერ რუსეთში გაგზავნილ ტელეგრამას. ეს საკითხი ცალკე დიდი თემა და იგი უფრო საფუძვლიანად უნდა განვიხილოთ. მუსტაფა ქემალის მხრიდან ეს მართლაც გაბედული ნაბიჯი იყო – ისტორიისათვის ნასროლი თეთრი ხელთათმანი. დიდი გამოწვევა, რომელიც დიალექტიკას არ დაემორჩილა და მისი კანონები დაარღვია. ეს იყო გამოწვევა, რომელმაც არა სცნო ისტორიის ლოგიკური მსვლელობა, მას გადააბიჯა და ოსმალთა იმპერიის, თურქული სახელმწიფოს შემდგომი ბედი გადაწყვიტა. აღნიშნულ ტელეგრამას შემდეგი სახე ჰქონდა:

თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველი წინადადება
რუსეთის საბჭოთა მთავრობას.
ანგორა, 1920 წლის 26 აპრილი.

სულიერი ღირებულებებისა და ინსტიტუტების ხელუხლებლად შენარჩუნებისაკენ. ქადიმისტები უარყოფდნენ ყურანისა და სუნის თანამედროვე გაგებას, ეწინააღმდეგებოდნენ სასკოლო და საგანმანათლებლო რეფორმების გატარებას, არ აღიარებდნენ ქალთა უფლებრივ პრინციპებს. ისინი თურქულ-მუსლიმანური საზოგადოების განვითარების ერთადერთ გზად შარიათის კანონების უპირობოდ შესრულებას მიიჩნევდნენ.

⁵⁰³ Murat Çalışkan. Basmachi Movement. Pg. 9. Academia.edu. http://www.academia.edu/492602/Basmachi_Movement.

⁵⁰⁴ Заки Валиди Тоған. Воспоминания. Борьба народов Туркестана и других восточных мусульман-тюрок за национальное бытие и сохранение культуры. Книга I. Уфа. „Китап“. 1994. Стр. 369.

1. ვიღებთ ჩვენს თავზე ვალდებულებას, შევაერთოთ ჩვენი მუშაობა და ჩვენი ყველა სამხედრო ოპერაცია რუს ბოლშევიკებთან, რომელთა მიზანს წარმოადგენს იმპერიალისტურ მთავრობებთან ბრძოლა და ყველა ჩაგრულის განთავისუფლება მათი ბატონობიდან.
2. თუ საბჭოელები აპირებენ საქართველოს წინააღმდეგ წასვლას საომარი მოქმედებების დაწყებით ან ბოლშევიკები დიპლომატიური გზებით შეეცდებიან, აიძულონ საქართველო, შევიდეს კავშირის შემაღენლობაში და განდევნონ ინგლისელები კავკასიიდან, ამ შემთხვევაში თურქეთის მთავრობა თავის თავზე იღებს ვალდებულებას, დაიწყოს საომარი მოქმედებები „იმპერიალისტური სომხეთის“ წინააღმდეგ და აიძულოს აზერბაიჯანის რესპუბლიკა, შევიდეს საბჭოთა სახელმწიფოების კავშირში.
3. იმისათვის, რომ პირველ რიგში განვდევნოთ იმპერიალისტური ძალები, რომლებსაც დაკავებული აქვთ ჩვენი ხალხის მიწა და მეორეც – რომ გავაძლიეროთ ჩვენი შინაგანი ძალები და გავაგრძელოთ ერთობლივი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ვთხოვთ საბჭოთა მთავრობას, პირველადი დახმარების სახით გადმოგვცეს ხუთი მილიონი თურქული ლირა ოქროთი, იარაღი და საბრძოლო მასალები, რომლის რაოდენობაც დადგინდება მოლაპარაკებების პროცესში. გარდა ამისა – ზოგიერთი სამხედრო-ტექნიკური საშუალება და სანიტარული მასალები, ასევე სურსათი ჩვენი ჯარებისათვის, რომლებიც საბჭოელებთან შეთანხმებით იმოქმედებენ აღმოსავლეთში.

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი განსაკუთრებული სალამი და ყველაზე გულწრფელი გრძნობები.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდენტი მუსტაფა ქემალი.⁵⁰⁵

მუსტაფა ქემალის ეს წერილი პრაგმატიზმისა და პოლიტიკური ოპორტუნიზმის პატარა შედეგად შეგვიძლია განვიხილოთ. რა თქმა უნდა, მუსტაფა ქემალი თავისი იდეოლოგიით არც მარქსისტი ყოფილა და, მით უმეტეს, არც ბოლშევიკი. რა თქმა უნდა, მისთვის გაუგებარი და მიუღებელი იყო ბოლშევიკური იდეოლოგიის თეორიები, დებულებები და კონცეფციები. მაგრამ მან საფუძვლიანად გაიაზრა ყველა ის სარგებელი, რასაც ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების დამყარება მოუტანდა თურქ ნაციონალისტებს. და ამ ურთიერთობების მთავარ სტრატეგიულ ხაზად „მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ კონცეფცია უნდა ქცეულიყო.⁵⁰⁶

საერთო ჯამში, თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის, მუსტაფა ქემალის მიერ 1920 წლის 26 აპრილს კრებულში ლენინისადმი გაგზავნილი წერილის მოსკოვამდე ჩასვლას ერთ თვეზე მეტი დრო დასჭირდა. 1 ივნისს კრებულში წარდგენილ წერილზე პასუხი მეორე დღესვე, 2 ივნისს გაიგზავნა ანგორაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გ. ჩინერინის მიერ. აღფრთოვანებულმა კრებულმა დიდი აღტაცებით მიიღო მუსტაფა ქემალის ეს შემოთავაზება და საპასუხო წერილში მოითხოვა, სასწრაფოდ დამყარებულიყო ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობები, რისთვისაც შესთავაზეს, დაუყოვნებლივ შემდგარიყო რწმუნებებით აღჭურვილი დელეგაციების შეზვედრები და ორივე ქვეყანაში გახსნილიყო დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები, რადგან „საბჭოთა მთავრობა დიდი ინტერესით აკვირდება თურქი ხალხის გმირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. და მიესალმება ამ მძიმე დღეებში რუსი და თურქი ხალხების ურთიერთობებში მყარი საფუძვლების ჩაყრას“.

⁵⁰⁵ АВПР. Ф. 04. Оп. 39. П. 262. Д. 52987. Л. 1. Копия; Ф. 132. Оп. 4. П. 104. Д. 40. Л. 13. Копия.

⁵⁰⁶ Александр Жевахов. Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexandre Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999.

დავუბრუნდეთ ისევ თურქესტანსა და ექსიტიჰადისტებს. ავღანეთისაკენ მიმავალი ჯემალ ფაშა ბუხარაში კონსპირაციულად შეხვდა აჰმედ-ზაქი ვალიდისა და თურქესტანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ლიდერებს. ვალიდისთან საუბარში ჯემალ ფაშამ განაცხადა: „ევროპა ჩვენში დიდ ძალას ხედავს. საბჭოების მხარდაჭერით ეს მდგომარეობა მოკავშირეთა (აქ ანტანტაზეა საუბარი – ა. ჩ.) წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ“. ჯემალ ფაშას ამ პოლიტიკურ გათვლებსა და კომბინაციებზე ვალიდი ასეთ კომენტარს აკეთებს: „ჯემალ ფაშამ თავი მოატყუებინა ცბიერ ჩიჩერინს, დაუჯერა მის დაპირებებს, რომ საბჭოები შუა აზიის ხალხებს თითქოსდა საშუალებას მისცემდნენ შეექმნათ ნაციონალური ჯარები, რომლებსაც მოკავშირეების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნიდნენ. რეალურად კი საბჭოებს იმის ემინოდათ, რომ თუ რამენაირად შუა აზიის ხალხები თურქეთთან გაერთიანებას შეძლებდნენ, ისინი საბჭოებისთვის მოკავშირეებზე უფრო სახიფათონი გახდებოდნენ“.⁵⁰⁷

ენვერ ფაშას ჩასვლის მომენტში თურქესტანში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და იქ მოქმედი საზოგადოებრივი თუ ნაციონალური ძალების სპექტრი მართლაც ერთობ ჭრელი და წარმომადგენლობითი იყო: ამირა და მისი მომხრე მონარქისტები, ზომიერ პოზიციაზე მდგარი მოდერნისტი-ჯადიდები, აშკარად პრობოლშევიკურად და პროსოციალისტურად განწყობილი რეგიონის რუსი მოსახლეობა, წითელი არმიის პირადი შემადგენლობა და კრემლის აგენტურა, მათთან დაპირისპირებული თურქესტანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული ერთიანობის ორგანიზაციები და, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიმდინარეობისა და ინტერესების მქონე ბასმაჩური რაზმები, შენაერთები თუ დაჯგუფებები. ყოველივე ამას კი ახალი მოთამაშეები, ექსიტიჰადისტი ოსმალო გენერლები და მათი იდეები ემატებოდნენ. რაც შეეხება ბასმაჩებს. ჰასან პაქსოის მიხედვით, „სამი ტიპის ბასმაჩები არსებობდნენ: ამირას მომხრეები, მათი მსგავსნი და ამირას მოწინააღმდეგენი. თუმცა ბასმაჩობა მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. ჯემალ ფაშას თურქესტანისა და ბასმაჩების პრობლემების გადაწყვეტა ქაბულში ჯდომით სურდა. ენვერ ფაშა პრობოლშევიკურ „ისლამისტთა კავშირს“ მოსკოვიდან ღირიჟორობდა. ეს კი არავითარ ეფექტს არ იძლეოდა“.⁵⁰⁸

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ბასმაჩები განსხვავებული იდეებისა და მიზნებისათვის იბრძოდნენ. აქედან გამომდინარე, ენვერისათვის ძალიან რთული ამოცანა იქნებოდა ბასმაჩური რაზმების კონსოლიდაცია და მათი დარაზმვა საბჭოელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრიტანული სადაზვერვო სამსახურის პატაკში ვკითხულობთ: „ფერღანის ბასმაჩურ მოძრაობაში ორი დიდი ჯგუფი უნდა გამოვეყოთ. პირველები ნამდვილი პოლიტიკური ბასმაჩები არიან, რომლებიც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ იბრძვიან. ეს რაზმი 5000-6000 კაცს შეადგენს და მას შერ მუჰამედი (შირა მუჰამედ ყურშირმატი – ა. ჩ.) მეთაურობს... მოცემულ მომენტში იგი ბრძოლისუუნაროა, რადგან აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალების დიდ ნაკლებობას განიცდის, მაგრამ ისინი არ ძარცვავენ მოსახლეობას, ამიტომ დიდი პოპულარობით სარგებლობენ ხალხში, რომელიც კვებას და თავშესაფარს აძლევს მათ. მეორეს მხრივ, არიან აგრეთვე ნამდვილი ბანდიტი ბასმაჩები, დაახლოებით 2000 კაცი, რომელსაც აჰმედ ფეჰლივანი მეთაურობს. ისინი ატერორებენ მოსახლეობას. თავდაპირველად ბასმაჩურ რაზმში ისინიც ბოლშევიკთა მიმართ ზიზღმა მოიყვანა, მაგრამ საკვებისა და სხვა საჭიროებებით უზუნველყოფილი

⁵⁰⁷ Заки Валиди Тоган. Воспоминания. Борьба народов Туркестана и других восточных мусульман-тюрок за национальное бытие и сохранение культуры. Книга I. Уфа. „Китап“. 1994. Стр. 369.

⁵⁰⁸ Paksoy H.B. Basmachi Movement From Within: Account of Zeki Velidi Togan // Nationalities Papers. 1995. Vol. 23. No 2. Pg. 371.

ცხოვრება მათთვის არ აღმოჩნდა საკმარისი და ეს პატრიოტები ნელ-ნელა ბანდიტებად გადაიქცნენ... ეს უკანასკნელნი ხალხს ეზიზღება...“⁵⁰⁹

ამერიკელი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ინდიანას უნივერსიტეტის ცენტრალური ევრაზიული კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ედუარდ ლაზერინის (Edward Lazzerini) მიხედვით კი, სოციალისტებთან ერთად ცენტრალურ აზიაში ასევე მუშაობდნენ „მოდერნისტები“. ეს უკანასკნელნი ჯადილისტების მიმდევრებს წარმოადგენდნენ შიხაბუდინ მარჯანისა (1815-1889) და კაიუმა ნასირიდან (1825-1902) დაწყებული, ისმაილ გასპრელით დამთავრებული (1854-1914). გასპრელი ჯადილიზმს საკუთარი გაზეთისა და მის მიერ გახსნილი სკოლების საშუალებით ავრცელებდა.⁵¹⁰

ზოგადად, აჰმედ-ზაჰი ვალიდის მეშუარები უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენს იმდროინდელ თურქესტანში მიმდინარე მოვლენების გასაშუქებლად. აჰმედ-ზაჰი ვალიდის მეშუარებზე დაყრდნობით, ჰასან პაქსოი ექსიტიჰადისტ ოსმალო გენერლებსა და თურქესტანის ეროვნული ერთიანობის ორგანიზაციას შორის არსებული ურთიერთობების შესახებ წერს:

„თურქესტანის ეროვნული ერთიანობის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ ჩემს არჩევამდე, ამ ორგანიზაციის წევრი ვიყავი. ამიტომ მოგიყვებით ენვერ ფაშას, ჯემალ ფაშასა და ჩვენს ორგანიზაციას შორის არსებულ ურთიერთობებზე. ორივე ეს ადამიანი ბოლშევიკებთან ერთიანი ძალისხმევით შექმნილი „ისლამური რევოლუციური საზოგადოების“ მეშვეობით აპირებდა ევროპული იმპერიალიზმისაგან ისლამური სამყაროს განთავისუფლებას. ამ მიზნით ჰალილ ფაშა და ჯემალ ფაშა, შემდეგ კი ენვერ ფაშა მოსკოვში იმყოფებოდნენ და თავიანთ პროპაგანდას ეწეოდნენ. ჰალილ და ჯემალ ფაშებს ჩვენ 1920 წლის ივნისში ვესაუბრეთ. ჯემალ ფაშამ თავისი იდეები გაგვაცნო და მოგვიწოდა, რომ მასთან გავერთიანებულიყავით, მაგრამ ჩვენ მოსკოვიდან წამოვედით. 20 აგვისტოს ტაშკენტში ჯემალი ჩამოვიდა. მის მიზანს ფენჯაბის შემოგარენის დაუფლება და იქ ისლამური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა. ამ ამოცანისათვის მომზადებას იგი ავღანეთში აპირებდა, სადაც გაემგზავრა კიდევ თავის 15-20 თურქ ოფიცერთან ერთად. ამასობაში ჰალილ ფაშამ და ჰაჯი სამიმ გადაწყვიტეს, შერიგებოდნენ ბოლშევიკებს. ისინი აღმოსავლეთ თურქესტანში გადავიდნენ მდინარეების, ედისისა და ნარინის გადავლით. მაგრამ არც ისინი არ ენდობოდნენ ბოლომდე ბოლშევიკებს და არც თავად ბოლშევიკები მათ. ბოლოს და ბოლოს, ისინი მოსკოვში დაბრუნდნენ.

ჯემალ ფაშამ აცნობა ბოლშევიკებს, რომ მას ბასმაჩების გამოყენებით შეეძლო ინდოეთში ბრიტანელთა ბატონყმობის გადაგდება, მაგრამ ბოლშევიკებს დიდად არ სჯეროდათ მათი. ამ ამბებისა და რუსების ნამდვილი გამზრახვების შესახებ ჩვენ ვფლობდით ინფორმაციებს, რომელსაც გვაწვდიდნენ პარტიის მოსკოვისა და ტაშკენტის ცენტრალურ კომიტეტებში მომუშავე ჩვენი მეგობრები. რუსები ფიქრობდნენ, რომ სინამდვილეში ჯემალ ფაშას თურქესტანზე კონტროლის მოპოვება სურდა, ხოლო რუსები თავად ფაშას გამოყენებას ინდოეთსა და ავღანეთში აპირებდნენ საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად“.⁵¹¹

ამონარიდთან დაკავშირებით ერთი არსებითი ხასიათის შენიშვნა გვაქვს. მეშუარებში ნათქვამია, რომ „ამასობაში ჰალილ ფაშამ და ჰაჯი სამიმ გადაწყვიტეს, შერიგე-

⁵⁰⁹ Şuhnaz Yilmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 57. PRO FO 371/8075 (N 10281/6/97).

⁵¹⁰ Lazzerini E. Ismail Bey Gasprinskii's Perevodchik/Tercman: A Clarion of Modernism // Central Asian Monuments.

⁵¹¹ Paksoy H. B. Basmachi Movement From Within: Account of Zeki Velidi Togan // Nationalities Papers. 1995. Vol. 23. No 2. Pg. 374.

ბოდნენ ბოლშევიკებს“. აქ ან თავათ აჰმედ-ზაქი ვალიდი ცდება, ან ჰასან პაქსოი. უდავო ფაქტია და ამაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი, რომ ექსოსმლო გენერალმა, ჰალილ ფაშა ქუთმა და მისმა ძმისშვილმა, გენერალმა ნური ფაშა ქილიგილმა, I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე პრორუსული და პრობოლშევიკური პოზიციები დაიკავეს. უფრო მეტიც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 1919 წლის სექტემბრიდან ქემალისტთა ნაციონალური მოძრაობის პირველ ემისრებად ბოლშევიკთა ბანაკში სწორედ ეს ოსმლო გენერლები, ჰალილ და ნური ფაშები მოგვევლინნენ.⁵¹² უფრო მეტიც, ბაქოს და შემდგომ, მთლიანად აზერბაიჯანის საბჭოურ ოკუპაციაში, 1920 წლის აპრილში, ლომის წილი სწორედ ქემალისტურ პოზიციებზე დამდგარ ჰალილ და ნური ფაშებსა და სხვა თურქ ოფიცრებს მიუძღვოდათ, რის გამოც ზოგიერთ მათგანს საბჭოთა მთავრობისაგან საბრძოლო ჯილდოც კი გადაეცა. უფრო მეტიც, 1920 წლის ივლისში ჰალილ ფაშა მოსკოვში ჩადის და კრემლში თვით ლენინსაც კი ხვდება. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ჰალილ ფაშა იყო ის პირველი თურქი მაღალჩინოსანი, ვინც მოსკოვში ჩავიდა და პირადად შეხვდა ლენინს. ესეც ისტორიული რეალობაა. თუმცა კი, სულ სხვა ისტორია... ასე, რომ აჰმედ-ზაქი ვალიდი ტოგანის მემუარებთან დაკავშირებით ცალსახად უნდა აღვნიშნოთ, რომ 1920 წლის აგვისტოსთვის გენერალ ჰალილ ფაშას ბოლშევიკებთან „შესარიგებელი“ ნამდვილად არაფერი სჭირდა.

§5.2. რუსული „კანდორას ყუთი“

შუა აზიაში ჩასულმა ენვერ ფაშამ მორიგი იდეოლოგიური მეტამორფოზა განიცადა. წილი ნაყარი იყო და რუბიკონიც გადალახული. ახლა ენვერ ფაშას მზერა იქითკენ იყო მიმართული, სადაც იგი „დიდი თემურის“ – თემურ ლენგის სახელმწიფოს „ხელმეორედ შექმნას“ აპირებდა ავღანეთის, აღმოსავლეთ თურქესტანისა და ყაზახეთის გაერთიანებით. თავის საბოლოო მიზნად კი ინდოეთზე ლაშქრობა ჰქონდა დასახული, სადაც დამანგრეველ დარტყმას მიაყენებდა ბრიტანულ იმპერიალიზმს და ამით ანგარიშს გაუსწორებდა თავის მოსისხლე მტერს I მსოფლიო ომში დამარცხებისათვის. ისქანდერ გილიაზოვის მიხედვით, „ენვერ ფაშა დიადი თურქული სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდა, დედაქალაქით სამარყანდი“.⁵¹³ (Sic!) აი ასე – არც მეტი, არც ნაკლები. ამ გრანდიოზული გეგმების რეალიზაციის პირველ ეტაპზე კი, ბასმაჩურ რაზმებში ნდობის მოპოვება, ბასმაჩური მოძრაობის გაერთიანება და დიადი მიზნისათვის მათი დარაზმვა იყო საჭირო.

⁵¹² არჩილ ჩაჩხიანი. ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების დასაწყისი და პირველი კონტაქტები 1919 წელს. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ისტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2013. 1(12). გვ. 389.

⁵¹³ Искандер Гилязов. Тюркизм: становление и развитие (характеристика основных этапов). Казаньский государственный университет. Институт востоковедения. Факультет татарской филологии и истории. Казань. 2002. Стр. 40.

აჰმედ-ზაქი ვალიდის მემუარებიდან: „ენვერ ფაშას პირველად 1921 წლის 2 ოქტომბერს შევხვდი ბუხარაში. პირველად მაშინ ვნახე იგი. მან მოხოვა, რომ მისთვის თურქესტანში არსებული სიტუაცია გამეცნო“. შემდეგ თავად ენვერ ფაშა ესაუბრა ვალიდის საკუთარ გეგმებზე, აცნობა მას, რომ აპირებდა ბასმაჩური მოძრაობებისა და ჯგუფების გაერთიანებას და ერთობლივი ძალებით ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას. ენვერ ფაშას ამ გადაწყვეტილებამ ვალიდი და მისი თანამოაზრეები საგონებელში ჩააგდო. ვალიდი წერს: „რამდენიმე თვით ადრე ეს ადამიანი ბროშურებში „ისლამურ კავშირსა“ და სხვა ორგანიზაციებს უწევდა პროპაგანდას, ჯემალ ფაშასთან ერთად თანამშრომლობდა ბოლშევიკებთან და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას აპირებდა. ახლა კი იგი არა მხოლოდ კიცხავდა ბოლშევიკებს, არამედ, ფაქტობრივად, მათ წინააღმდეგ ბრძოლას გვთავაზობდა... ენვერ ფაშამ მითხრა, რომ საბჭოთა რუსეთში წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა და კარგად დაინახა, თუ რამდენად საშინელები არიან ბოლშევიკები. იგი იმ დასკვნამდე მისულა, რომ მუსლიმანები პირველ რიგში წითელი იმპერიალიზმისაგან უნდა გათავისუფლდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ – სხვა იმპერიალიზმებისაგან... მისი ბასმაჩებთან გაერთიანება და აღმოსავლეთ ბუხარაში გადასვლა ჩვენთვის არასასურველი იქნებოდა... იმ დღეს მე მივხვდი, რომ ენვერი დიდი იდეალისტი იყო, რომელიც კარგად ვერ ერკვეოდა ცხოვრებაში. მისთვის უცნობი იყო თურქესტანის გეოგრაფია და სტატისტიკა თუნდაც რუსული და ევროპული პუბლიკაციების მიხედვით...“⁵¹⁴

ცალსახად ვეთანხმებით ვალიდის დასკვნას. იგი მართალი იყო. ენვერ ფაშას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმ სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებსა და მოვლენებზე, რაც უკანასკნელი ათწლეულების, და თუნდაც უკანასკნელი წლების მანძილზე ვითარდებოდა შუა აზიაში, რამდენად რთული მდგომარეობა იყო შექმნილი თუნდაც 1921 წლის მდგომარეობით. ამ საკითხს ნათელი რომ მოეფინოთ, სასურველია, მოკლედ მიმოვიხილოთ იმ პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური კატაკლიზმების დინამიკა, რაც XIX საუკუნის უკანასკნელ დეკადასა და შემდგომ წლებში განვითარდა თურქესტანში. უფრო დეტალურად უნდა განვიხილოთ ცარიტული რუსეთის მიერ ცენტრალური აზიის დაპყრობის პროცესი და იმპერიის მიერ გატარებული ის პოლიტიკური და სოციალური კურსი, რომელიც ნამდვილ „პანდორას ყუთად“ იქცა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ნათლად უნდა წარმოვადგინოთ ის სურათი, რაც ენვერ ფაშას დახვდა შუა აზიაში მისი ჩასვლისას. ამისათვის კი რამდენიმე წლით უკან უნდა დავიხილოთ.

იური კაპრამანოვის – აზერბაიჯანში დაბადებული და ამჟამად მოსკოვში მცხოვრები მკვლევარის, პუბლიცისტის, კულტუროლოგისა და ისტორიკოსის განმარტებით, გიორგი საფაროვის წიგნში – „Колониальная революция. Опыт Туркестана“ – ამოვიკითხავთ იმ ძირითად აზრს, რომ რუსეთმა შუა აზიის დაპყრობა „ჭეშმარიტად რუსული მზაკვრობით“ განახორციელა.⁵¹⁵ მართალია, 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა თურქესტანის საზოგადოებაში განვითარებული მრავალრიცხოვანი კონფლიქტების რაობა, თუმცა, რეგიონალური თავისებურებებიდან გამომდინარე, აქ მიმდინარე პროცესებს ძალიან განსხვავებული ხასიათი ჰქონდა იმასთან შედარებით, რაც ამ მომენტისთვის მოსკოვსა და პეტროგრადში ხდებოდა. 1917 წლისთვის თურქესტანი, რომლის დაპყრობაც რუსეთის იმპერიამ მხოლოდ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში შეძლო, მრავალი განზო-

⁵¹⁴ Заки Валиди Тоған. Воспоминания. Борьба народов Туркестана и других восточных мусульман-тюрок за национальное бытие и сохранение культуры. Книга I. Уфа. „Китап“. 1994. Стр. 385.

⁵¹⁵ Каграманов Ю. Империя и ойкумена // Новый мир. — 1995. — № 1. http://magazines.russ.ru/novyi_mi/1995/1/kagram.html.

მიღებით იმპერიის ერთადერთ ნამდვილ რუსულ კოლონიად რჩებოდა⁵¹⁶, სადაც ცენტრალურ ადმინისტრაციასა და მოსახლეობას შორის დაშორება გაცილებით დიდი იყო, ვიდრე სადმე სხვაგან იმპერიაში. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები აჩვენებენ, რომ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ინტეგრირების პროცესები საერთო-სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებში ძალიან ნელა და მძიმედ მიმდინარეობდა, ხოლო იმპერია თურქესტანელთა უმეტესობას უცხო ხალხად, ე.წ. „Инородц“–ებად იხსენიებდა. უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ადგილებზე რეგიონის ძირძველ მოსახლეობას „Туземец“–ებად თვლიდნენ და მკვეთრად მიჯნავდნენ მოსული ევროპელი მოსახლეობისაგან.⁵¹⁷ რუსი კოლონიზატორები თავის თავს, რა თქმა უნდა, ევროპელებად მიიჩნევდნენ და მკვეთრად ემიჯნებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ეს განსხვავებები მას შემდეგ გახდა უფრო თვალსაჩინო, რაც რეგიონის „ძველი“ ქალაქების მახლობლად კარგად დაგეგმარებული „ახალი“ ქალაქების აშენების პროცესი დაიწყო. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ქალაქები არ იყო იზოლირებული ძველი ქალაქებისაგან და თურქესტანელებს, პრინციპში, უფლებაც ჰქონდათ, იქ ჩასახლებულიყვნენ. მიუხედავად ამისა, ეს „ახალი“ ქალაქები მაინც იმ „ევროპულ სივრცეს“ ქმნიდნენ, რომლებიც თავისი სტილით მკვეთრად განსხვავდებოდნენ ტრადიციული ვიწროქუჩებიანი და უსისტემოდ გაშენებული შუაზიური ძველი ქალაქებისაგან.⁵¹⁸

რეგიონის ეს ე.წ. „ევროპული რუსი“ მოსახლეობა სამ ძირითად ჯგუფად იყოფოდა. პირველ ჯგუფში ის მოქალაქეები შედიოდნენ, რომლებიც ძირითადად მხარის ადმინისტრაციაში, უფრო მცირე რაოდენობით კი სამრეწველო და ეკონომიკის სფეროში იყვნენ დასაქმებულნი. კვალიფიციურ მუშათა აბსოლუტურ უმეტესობას რუსები წარმოადგენდნენ. ძველი ბოლშევიკის, ცნობილი რევოლუციონერისა და კომინტერნის აქტივისტის, გიორგი საფაროვის⁵¹⁹ შეფასებით, „ცარისტულ კოლონიებში სამრეწველო

⁵¹⁶ Brower D. *Turkestan and the Fate of the Russian Empire*. L., 2002.

⁵¹⁷ Khalid A. *The Politics of Muslim Cultural Reform: Jadidism in Central Asia*. Berkeley, 1998; Он же. *Society and Politics in Bukhara // Central Asian Survey*. 2000. Vol. 19. P. 367-396; Он же. *Tashkent 1917: Muslim Politics in Revolutionary Turkestan // Slavic Review*. 1996. Vol. 55. P. 270-296; Айзенер Р. *Бухара в 1917 году // Восток*. 1994. №4. С. 131-144, №5. С. 75-92; Комацу Х. *Революционная Центральная Азия: портрет Абдурауфа Фитрата*. Токио, 1996 (на яп. яз.); Он же. *The Evolution of Group Identity among Bukharan Intellectuals in 1911-1928 // Memoirs of the Research Department of the Toyo Bunko*. 1989. №47. P. 115-144; Dudoignon S.A. *Le Question scolaire à Boukara et au Turkestan russe, du «premier renouveau» à la soviétisation (fin du XVIIIe siècle—1937) // Cahiers du monde russe*. T. 37. 1996. P. 133-210; Дюдуаньон С. *Кадимизм: элементы социологии мусульманского традиционализма в татарском мире и в Мавераннахре (конец XVIII – нач. XX вв.) // Ислам в татарском мире: история и современность*. Казань, 1997. С. 57-69. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁵¹⁸ А. Халид. *Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России*. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁵¹⁹ გიორგი ივანოვიჩ საფაროვი (1891-1942) – სომხური წარმომავლობის ცნობილი რუსი რევოლუციონერი და ტერორისტი, ძველი ბოლშევიკი, კომინტერნის აქტივისტი, საბჭოთა, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, მკვლევარი და პუბლიცისტი. მეფე ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის ლიკვიდაციის ერთ-ერთი ინიციატორი. 1926 წლიდან „სტალინური პოლიტიბუროს“ შეურიგებელი მოწინააღმდეგე. რსდმ(ბ) წევრი 1908 წლიდან. ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა პოლიტემიგრაციაში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლენინთან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლენინთან და ემიგრაციაში მყოფ სხვა რევოლუციონერებთან ერთად ბრუნდება რუსეთში გერმანიის ხელისუფლების მიერ სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი მატარებლის „დალუქული შემაღველობით“. 1918 წელს, ბოლშევიკთა მიერ მეფის ოჯახის ამოწყვეტის შემდეგ, გაზეთ „Уральский рабочий“-ში გამოაქვეყნა სტატია, სადაც შეგნებულად ამტკიცებდა იმას, თითქოს მეფის ოჯახი ეკატერინბურგში იყო ევაკუირებული. 1920 წლის დასაწყისიდან ერთ-ერთი მთავარი პარტიული ფიგურაა „ნაციონალურ საკითხებში“. თავის შრომებში ეხებოდა ახლო და შუა აღმოსავლეთში, შუა აზიაში, ჩინეთსა და ინდოეთში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს. 1921 წლიდან კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი და კომინტერნის აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი, გრიგორი ზინოვიევის ფაქტობრივი. 1922 წლიდან გაზეთ „Ленинградская правда“-ს მთავარი რედაქტორი. 1926 წლიდან ე.წ. „გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრია, მკაცრად აკრიტიკებს სტალინის მიერ გატარებულ კურსს. იმავე წლის მაისიდან გავზავნეს „პარტიულ გადასახლებაში“ – დაინიშნა ჩინეთში საბჭოთა კავშირის დიპლომატიური მისიის პირველ მდივნად, ერთი წლის შემდეგ კი – კონსტანტინოპოლში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის წევრად. ამ დანიშვნაზე უარის თქმის გამო, 1927 წლის დეკემბერში გარიცხეს პარტიიდან და გადასახლეს აზინსკში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, როგორც აღმოსავლეთმცოდნე, ეწეოდა კვლევით და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. კურიერება

პროლეტარიატისადმი კუთვნილება რუსების ნაციონალურ პრივილეგიას წარმოადგენდა.⁵²⁰

რეგიონის ევროპული მოსახლეობის მეორე ჯგუფს სოფლის რუსი მოსახლეობა და კაზაკები შეადგენდნენ, რომელთა ინტენსიური გადასახლების პროცესები იმპერიის შიდა რეგიონებიდან შესაბამისი უწყებების მიერ აქ 1890-იანი წლებიდან დაიწყო. მათი უმეტესი ნაწილი სემირეჩიეში ცხოვრობდა, თუმცა დიდი რუსული თემები თურქესტანის სხვა ოლქებშიც არსებობდა. რუსი კოლონისტები ადგილობრივი მოსახლეობისაგან ძალით ჩამორთმეული მიწების დიდ ნაკვეთებს ფლობდნენ და საკმაოდ შეძლებულადაც ცხოვრობდნენ. სწორედ რუსების ჩამოსახლების ამ პროცესებმა და ადგილობრივი ყაზახებისათვის მიწების კონფისკაციამ გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება, რომელიც 1917 წლამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო რეგიონში. სახელმწიფო კი თვლიდა, რომ ცენტრალური აზიის მკვიდრი მომთაბარე ყაზახები მეორეხარისხოვანი ადამიანები იყვნენ და მათ მიწებიც არ სჭირდებოდათ. ეს ფაქტია. ამიტომ, სულაც არაა გასაკვირი, რომ იმპერიის შიდა რეგიონებიდან რუსთა ჩამოსახლების ეს პროცესები მძლავრ ტრიგერად შეიქმნა ყაზახთა საპროტესტო საზოგადოებრივი მოძრაობის ასაგორებლად.

დაბოლოს, ცენტრალურ აზიაში მცხოვრები „ევროპელი რუსი“ მოსახლეობის მესამე ჯგუფს რუსი ჯარისკაცები წარმოადგენდნენ, რომელთა რაოდენობა 1916 წლისთვის რეგიონში ძალიან გაიზარდა. წინა ორ ჯგუფთან შედარებით, ჯარისკაცთა ეს მასა რეგიონის მუდმივ მოსახლეობას არ შეადგენდა, ხოლო მათი კავშირები თურქესტანთან სუსტი იყო და ისინი დროებით იყვნენ იქ განლაგებულნი.⁵²¹

თურქესტანის ავტოქტონი მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა კი გლეხობა იყო, რომლის დიდი ნაწილი მომთაბარე ცხოვრების წესს მისდევდა. ეს ხალხი, ან რუსულ-იმპერიული ტერმინით რომ ვთქვათ, „ტუზემცები“, პირველ რიგში, „თურქესტანელ მუსლიმანებად“ იდენტიფიცირდებოდნენ. ეს კონცეფცია კი მჭიდროდ ხლართავდა ერთმანეთში რელიგიურ, რეგიონალურ და ეთნიკურ ასპექტებს. ამასთან ერთად, „ტუზემცებსა“ და „ევროპელებს“ შორის არსებული ეს განსხვავებები ამ უკანასკნელთათვის მნიშვნელოვანი პრივილეგიების მინიჭებაში მდგომარეობდა. ეს პრივილეგიები, პირველ ყოვლისა, სოციალური კეთილდღეობის ხარისხში გამოიხატებოდა. პირველხარისხოვანი ამოცანა კი მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის საკითხი იყო.

ფერღანის ველზე პურის დეფიციტმა უკვე 1913 წლისთვის 30 მილიონი ფუთი შეადგინა.⁵²² ეკონომიკურმა კატასტროფამ I მსოფლიო ომის წლებში და შემდგომ პერიოდში თურქესტანში მკვეთრად გამოხატული ეთნიკური ხასიათი მიიღო და უკვე 1915-1916 წლებში ტაშკენტში ადგილი ჰქონდა „პურის ბუნტებს“, რომლის დროსაც რუსები მუსლიმან მოვაჭრეებს სურსათის გადამალვასა და „სპეკულანტობაში“ დებდნენ ბრალს,⁵²³ – აღნიშნავს ჯეფ საჰადეო (Jeff sahadeo) – ამერიკელი ისტორიკოსი, ევრო-

კომინტერნის აფრიკულ მიმართულებას. 1929-1934 წლებში იყო კომინტერნის აღმოსავლეთის სამდივნოს გამგის მოადგილე. 1935 წლის 16 იანვარს აპატიმრებენ და ისევ უსჯიან გადასახლებას. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობს მოსკოვში. 1942 წლის 27 ივნისს ისევ აპატიმრებენ და უსჯიან სასჯელის უმაღლეს ზომას. დახვრიტეს იმავე წლის 16 ივლისს.

⁵²⁰ Сафаров Г. Колониальная революция: опыт Туркестана. М., 1921; книга была переиздана в Оксфорде в 1985 г. Ссылки приводятся по оксфордскому изданию.

⁵²¹ А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁵²² Buttino M. Economic Relations between Russia and Turkestan, 1914-18, or How to Start a Famine // Transforming Peasants: Society, State and the Peasantry, 1861-1930. L., 1998. P. 199.

⁵²³ Sahadeo J.F. Creating a Russian Colonial Community: City, Nation, and Empire in Tashkent, 1865-1923. PhD diss. University of Illinois at Urbana-Champaign, 2000; Cavanaugh C.M. Backwardness and Biology: Medicine and Power in Russian and Soviet Central Asia, 1868-1934. PhD diss. Columbia University, 2001.

პული, რუსული და ევრაზიული კვლევების სპეციალისტი, ილინოისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მეორე უცხოელმა ავტორმა, ტურინის უნივერსიტეტის პროფესორმა, მარკო ბუტინომ (Marco Buttino) თურქესტანზე თავსდამტყდარი კატასტროფის შესახებ საინტერესო სტატისტიკური კვლევები ჩაატარა. ამ კვლევების მონაცემების საფუძველზე, კერძოდ, 1915-1920 წლებში დამუშავებული მიწების რაოდენობა განახევრდა, შინაური პირუტყვის რაოდენობა 75%-ით შემცირდა, ბამბის წარმოება კი პრაქტიკულად შეწყდა. მაგრამ აქ ერთი საინტერესო მომენტია ხაზგასასმელი. საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა ეთნიკური და სოციალური ჯგუფების დანაკარგები სხვადასხვა იყო. მაგალითად, თურქი გლეხობის კუთვნილი დამუშავებული მიწების რაოდენობა შემცირდა 28%-ით, ხოლო პირუტყვისა – 6,5%-ით, ადგილობრივი გლეხი-დეხკანისა, შესაბამისად – 39% და 48%-ით, ხოლო მომთაბარეებისა – 46% და 63,4%-ით. ამავე პერიოდში მხარის მთელი მოსახლეობის რაოდენობა 25%-ით შემცირდა, აქედან სოფლის მოსახლეობისა – 30%-ით.⁵²⁴

როგორც ვხედავთ, მეტად შთაბეჭდავი ციფრებია. ეს სტატისტიკური მონაცემები კი თავისთავად მეტყველებენ იმაზე, თუ რა საშინელ დღეში ჩაცვივდნენ მაშინ თურქესტანელები. რუსული „პანდორას ყუთი“ გაიხსნა და მისი შედეგები დამანგრეველი აღმოჩნდა რეგიონის მკვიდრი მოსახლეობისათვის. 1917-1918 წლების სუსხიან ზამთარში შიმშილით დაოსებული ყაზახთა მასა ტაშკენტისაკენ დაიძრა, რათა როგორმე თავი დაეღწიათ შიმშილით სიკვდილისათვის. ქალაქში ჩასულები ისინი საწარმოებისა და მალაზიების წინ ირეოდნენ, რათა როგორმე საკუთარი თავისა და ოჯახების გამოსაკვებად სურსათი და სამუშაო ეშოვათ, მაგრამ ამოდ. ქალაქის ქუჩები დახოცილთა გვაძებთ გაივსო. ბევრი მათგანი კი ისე დაიღუპა გზაში, რომ ტაშკენტამდეც ვერ ჩააღწია. საარქივო დოკუმენტები ცხადად მეტყველებენ იმაზე, თუ რა ხდებოდა ამ დროს თურქესტანის სხვადასხვა ოლქში. უზბეკეთის რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო საარქივო ფონდებში დაცულია საქმეები, სადაც, მაგალითად, ვკითხულობთ – „ჯიზაკის ოლქში მცხოვრებლები ბუზებივით იხოცებოდნენ... გვაძებთ გამტანიც კი არავინ იყო. ძაღლებისა და ტურებისაგან ნახევრადშეჭმული დარჩენილი გვაძებთისა და ძვლების გატანა მხოლოდ 1919 წლისათვის მოხერხდა“.⁵²⁵ და ასეთი ამბები ყოველი ფენის ნაბიჯზე ხდებოდა.

ამ პერიოდში მძვინვარე საყოველთაო შიმშილს, სიდუხჭირესა და მასთან ერთად ტიფისა და ქოლერის ეპიდემიებს აშკარად ეთნიკური შეფერილობა ჰქონდა, თუმცა საბჭოთა ლიტერატურაში ეს ამბები I მსოფლიო ომისა და შემდგომი რევოლუციის თანმდევ მოვლენებად განიხილებოდა, რაც ძალიან შორს დგას სინამდვილისაგან. მარკო ბუტინომ აჩვენა, რომ სწორედ შიმშილი წარმოადგენდა იმ მთავარ ფაქტორს, რამაც თურქესტანში განვითარებული პოლიტიკური და სამხედრო ბრძოლის მთავარი კონტურები განსაზღვრა. საბჭოების მიერ ხელისუფლების მიტაცება და უარი მათ გაყოფაზე „ტუნემცებთან“ რუსული მოსახლეობის მიერ თავიანთი პრივილეგიების შენარჩუნებისა და სასურსათო რესურსების შენარჩუნება-კონტროლის საშუალებას წარმოადგენდა. შესაბამისად, მხარეში დატრიალებულ კატასტროფულ პროცესებს არ შეიძლება მხარის ავტოქტონი მოსახლეობის რუსული ხელისუფლებისადმი მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის არ შეეწყოს ხელი, რაც რეალურადაც ასე მოხდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან, წლების განმავლობაში რეგიონში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა ფორმალურად თითქოს სტაბილურიც კი იყო, მაგრამ ეს

⁵²⁴ Buttino M. Study of the Economic Crisis and Depopulation in Turkestan, 1917-1920 // Central Asian Survey. 1990. Vol. 9/4. P. 61-69.

⁵²⁵ Центральный государственный архив Республики Узбекистан (далее: ЦГА РУз). Ф. 17. Оп. 1. Д. 34. Л. 41. А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

„კოლონიური მშვიდობა“ 1916 წელს უეცრად დაინგრა, როდესაც, I მსოფლიო ომის მიმდინარეობის ფონზე, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაციის განკარგულება გამოიცა ზურგის სამუშაოებში მათი ჩართვის მიზნით. ამ განკარგულებას დაუყოვნებლივ მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის ძლევაკრებები, „ბუნტი“ და დაპირისპირება რეგიონის ადმინისტრაციასთან. დაიწყო მოსახლეობის ამბოხი და თავდასხმები, რომლის ძირითად ობიექტებად რუსი ჩინოვნიკები და ის ადმინისტრაციული დაწესებულებები იქცნენ, სადაც სამობილიზაციო სიები ინახებოდა. თავდასხმის ობიექტი ის რუსი მოსახლეობაც გახდა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის წართმეულ მიწებზე ცხოვრობდნენ.

„ბუნტის“ ჩასაქრობად მეფის მთავრობამ რეგიონის ახალ გენერალ-გუბერნატორად თურქესტანის საქმეების „დიდი სპეციალისტი“, ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, იმპერიის ყოფილი სამხედრო მინისტრი, გენერალი ალექსეი კუროპატკინი⁵²⁶ დანიშნა, რომელიც ცნობილი იყო 1898 წლის ანდიჟანის ამბოხის სასტიკი ჩახშობით. კუროპატკინმა ადგილობრივი რუსი მოსახლეობა შეაიარაღა, რომელიც დამხმარე ძალად იქცა რუსეთის სიღრმიდან რეგიონში გადმოსროლილი სამთავრობო ჯარებისათვის.

საბოლოოდ, 1916 წლის ზაფხულის ბოლოსათვის სემირეჩიესა და სირ-დარიის ოლქები ადგილობრივ მუსლიმან მოსახლეობასა და რუს კოლონისტებს შორის მწვავე ეთნიკური შეიარაღებული დაპირისპირებისა და ომის ასპარეზად იქცა. რუსული თვითმპყრობელობა ჩვეული სისხლიანი მეთოდებით მიუდგა „ბუნტის“ ჩაქრობას. ამაზე ცალსახად მეტყველებენ საარქივო დოკუმენტები. დოკუმენტი უამრავია, ჩვენ ერთ-ერთს მოვიყვანთ ორიგინალში.

№429.

1916 г. Июля 16.

Телеграмма начальника Закаспийской области Н. К. Калмакова
начальнику Красноводского уезда М. А. Шалашникову с приказом
распространить среди населения о массовом расстреле
участников восстания в Самаркандской области.

⁵²⁶ ალექსეი ნიკოლაევიჩ კუროპატკინი (1848-1925) – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, 1898-1904 წლებში რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. დაამთავრა კადეტთა კორპუსი. 1866 წელს ამთავრებს სამხედრო სასწავლებელს და იღებს პორუჩიკის წოდებას. იმავე წლის 8 აგვისტოდან სამსახურს იწყებს თურქესტანის I-ლ მსროლელ პოლკში. 1870 წლიდან შტაბს-კაპიტანია. 1871 წელს ამთავრებს გენშტაბის აკადემიას. 1874 წელს იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში გერმანიაში, საფრანგეთსა და ალჟირში. ფრანგული კორპუსის შემადგენლობაში მონაწილეობდა საჰარის ექსპედიციაში. რუსეთში დაბრუნების შემდეგ, 1875 წლის ბოლოდან სამსახურს აგრძელებს თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბში. მონაწილეობდა კოკანდის ალების ოპერაციაში. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში მსახურობდა მე-16 ქვეითი დივიზიის შტაბის ოფიცრად. 1879 წლის 14 აგვისტოდან თურქესტანის მსროლელი ბრიგადის მეთაურია. 1882 წლის 29 იანვარს ენიჭება გენერალ-მაიორის, ხოლო 1890 წელს გენერალ-ლეიტენანტის წოდებები. 1890-1898 წლებში იმიერკასპიისპირეთის სამხედრო ოლქის უფროსია. 1898-1904 წლებში იმპერიის სამხედრო მინისტრი. 1900 წელს ენიჭება ინფანტერიის გენერლის წოდება. 1902 წლიდან გენერალ-ადიუტანტია. რუსეთ-იაპონიის ომში, 1904 წლის 7 თებერვლიდან 13 ოქტომბრამდე მანჯურიის არმიის სარდალია, შემდეგ კი – იაპონიის წინააღმდეგ მოქმედი რუსული არმიების მთავარსარდალი. 1906 წლიდან სახელმწიფო საბჭოს წევრია. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 1915 წლის 12 სექტემბერს ინიშნება გრენადერთა კორპუსის სარდალად, 1916 წლის იანვრის ბოლოს – ჩრდილოეთის ფრონტის მე-5 არმიის, შემდეგ კი – ჩრდილოეთის ფრონტის სარდალად. 1916 წლის 22 ივლისს ინიშნება თურქესტანის გენერალ-გუბერნატორად და თურქესტანის სამხედრო ოლქის სარდალად, ამავე დროს – სემირეჩინსკის კაზაკთა ჯარების ატამანად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და მეფის გადადგომის შემდეგ დააპატიმრა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ტაშკენტის საბჭომ და გაგზავნა პეტროგრადში, სადაც გაათავისუფლა დროებითმა მთავრობამ. 1917 წლის 5 ივნისს ინიშნება დაჭრილთა კომიტეტის წევრად. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მუშაობდა მასწავლებლად ტვერის ოლქში მის მიერვე დაარსებულ სოფლის სკოლაში. გარდაიცვალა 1925 წელს.

Из Ашхабада в Красноводск.

В Самаркандской области расстреляно несколько тысяч туземцев, неповинующихся повелению и производящих бунт. Земли их будут отобраны в казну, жилища сравнены с землею. Проводите эти сведения через встреченных людей среди населения. 1995. Калмаков.⁵²⁷

საერთო ჯამში, თავისთავად ცხადია, ცენტრალური აზიის ადგილობრივმა მოსახლეობამ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია კარგად შეიარაღებულ და გაწვრთნილ რუსულ რეგულარულ ჯარს და იგი დამარცხდა. ყაზახებისა და ყირგიზების დიდმა ნაწილმა კი, რომლებმაც ქონებასთან ერთად დიდი ადამიანური დანაკარგებიც განიცადეს, აღმოსავლეთ თურქესტანს, ანუ ჩინეთის ტერიტორიებს შეაფარეს თავი. იმპერიამ მსწრაფლ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიიღო. საუბარი ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიწების ჩამორთმევასა და ამ მიწების რუსებით დასახლების საკითხს შეეხება. კიდევ ერთი დოკუმენტი:

№488

1916 г. Октября 16.

Протокол совещания под председательством генерал-губернатора Туркестанского края А. Н. Куропаткина о переселении киргизов и казахов принимавших участие в восстании 1916 г. в Нарынский край и о передаче их земель русским переселенцам.

1. О выселении бунтовавших киргизов из района оз. Иссык-Куля Пржевальского уезда долины Кебина и части Чуйской долины Пишпекского уезда, долины Текеса и Чолкуде-су Джаркендского уезда.

2. О водворении бунтовавших киргизов в Нарынский край с образованием там самостоятельного Нарынского уезда.

3. О заселении земель остающихся по водворению бунтующих киргизов и образовании Пржевальского уезда с чисто русским населением.

4. О землеустройстве казаков Верненского уезда.⁵²⁸

1917 წლის გაზაფხულზე უკან დაბრუნებულ მკვიდრ მოსახლეობას უკვე მათ საცხოვრებელ ადგილებსა და ტერიტორიებზე ჩასახლებული ახალი რუსი კოლონისტები დახვდნენ, რასაც ახალი სისხლიანი დაპირისპირებები მოჰყვა შედეგად.

⁵²⁷ Восстание 1916 года в Туркмении. Документы и материалы. Ашхабад, 1938 г. Стр. 39.

⁵²⁸ ЦГИА КазССР. Ф. Семиреченское областное правление. Оп. 2. Д. 16920. Л. 106-108. Подлинник. Восстание 1916 года в Киргизстане. Документы и материалы. М., 1937. Стр. 85-86. <http://myaktobe.kz/wp-content/uploads/2013/09/%D0%92%D0%BE%D1%81%D1%81%D1%A7.3.pdf>.

§5.3. შუა აზიის გასაბჭოების ისტორიისათვის

ცენტრალურ აზიაში ბოლშევიკთა დამკვიდრების პროცესი აბსოლუტურად არ ესადაგებოდა ყბადაღებულ თეორიებს, რომლებიც იმ აზრის დამკვიდრებას ემსახურებოდნენ, თითქოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლება და მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია ტრიუმფალური ნაბიჯებით მიიწევედა წინ. რეალურად ამ წლებში რეგიონში დაწყებულ გააფთრებულ პოლიტიკურ ბრძოლას მნიშვნელოვანწილად კოლონიური ფაქტორი განსაზღვრავდა. არ უნდა დაგვაიწყდეს ისიც, რომ თურქესტანი ტიპიურ კოლონიურ და აპარტიდულ საზოგადოებას წარმოადგენდა, სადაც რუსი გადმოსახლებულები არათანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით, ხოლო კლასობრივი დაპირისპირება მნიშვნელოვნად უთმობდა ადგილს ეთნიკურ დაპირისპირებას, რომელიც, ადიფ ხალიდის თქმისა არ იყოს, ე.წ. „ვეროპელებსა“ და ადგილობრივ მოსახლეობას, ანუ „Туземли“-ებს შორის არსებობდა.⁵²⁹

1917 წლის 28 თებერვალს რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა, რუსული თვითმპყრობელობა დაემხო. ამ მოვლენებს შუა აზიაში, ისევე როგორც მთელს ყოფილ იმპერიაში, დიდი ალტაცებით შეხვდნენ. განსაკუთრებულ კმაყოფილებას თურქესტანელი ჯადიდები გამოთქვამდნენ, რომლებმაც მეფის რეჟიმის დამხობა სახალხო მმართველობის დამყარების წინაპირობად, ხალხთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შანსად და კოლონიური ჩაგვრის დასასრულად მიიჩნიეს. საკითხის სრულფასოვნად წარმოდგენისათვის აქ ორიოდ სიტყვა კიდევ უნდა ითქვას ჯადიდიზმის იდეოლოგიასა და შუა-აზიელი ჯადიდების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ, ნაშრომის შესაბამის თავში, ამ თემას უკვე შევეხეთ.

ამ მოვლენებიდან ჯერ კიდევ ათი წლით ადრე, 1905-1907 წლების რუსეთისა და 1908 წლის „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციების ზეგავლენის ქვეშ, თურქესტანის, ხივის სახანოსა და ბუხარის საამიროს პოლიტიკურ ავანსცენაზე ახალი ძალები გამოდიან. მათ, მართალია, ჯერ კიდევ გაუბედავად, მაგრამ უკვე მაშინ განაცხადეს თავიანთი რეფორმისტული შეხედულებების შესახებ. ეს ახალი ძალები ჯადიდები იყვნენ. ბუხარისა და ხივის ჯადიდიზმმა, რომელიც თურქესტანის ჯადიდიზმთან ერთად შეიქმნა, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო და რეფორმისტულმა მიმდინარეობა, ამ დროისათვის ნელ-ნელა პოლიტიკური ელფერი შეიძინა.

რევოლუციამდელ პერიოდში, თავისი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე, ჯადიდები ძირითადად საგანმანათლებლო მოღვაწეობით იყვნენ დაკავებულნი – ხსნიდნენ სკოლებს, ეწეოდნენ პროპაგანდას, რომელიც რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, დღის სინათლეზე გამოჰქონდათ ამირასა და მისი ჩინოვნიკების უკანონო საქმიანობა, მათი განუკითხაობა, გამოჰქონდათ ახალი საგადასახადო სისტემის შექმნის საკითხი, მოითხოვდნენ ხელისუფლების მხრიდან თავნებობისა და უკანონობის აღკვეთას. ისინი თუნდაც იმ მინიმალური სამართლებრივი გარანტიების მისაღებად იბრძოდნენ, რაც აუცილებელი იყო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირებისა და წინსვლისათვის. ასევე ითხოვდნენ ცენზურის გაუქმებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას ჯადიდები კადრების მომზადებას უთმობდნენ. ისინი მოწინავე მუსლიმანურ ცენტრებში, როგორც იყო ორენბურგი, ყაზანი, უფა, კონსტანტინოპოლი, ახალგაზრდებს აგზავნიდნენ ცოდნის შესაძენად. ჯადიდების მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას მათი იდეების ბეჭდური პროპაგანდა წარმოადგენდა.

⁵²⁹ А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

იხსნებოდა წიგნის მაღაზიები, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები და ა.შ., მაგრამ თებერვლის რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა.

რევოლუციის პირველსავე დღეებში მთელ რუსეთში დაიწყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნა, რამაც შემდგომში დიდი როლი ითამაშა შუა აზიასა და თურქესტანში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე ჯადიდების აქტივობამ აშკარად პოლიტიკური ელფერი მიიღო. მათ პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს. როგორც ჯადიდების, ასევე თურქესტანის მთელი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების მთავარ საკითხად მხარის ავტონომიური მოწყობის საკითხი დადგა.

1917 წლის 7-11 სექტემბერს ტაშკენტში გამართულ მუსლიმანთა II სამხარეო ყრილობაზე ნაციონალურმა დემოკრატიამ პირველად გააჟღერა თავისი მოთხოვნები: ყრილობა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისათვის ხელისუფლების გადაცემის წინააღმდეგი გამოდიოდა, რადგან ამ საბჭოებში ძირითადად რუსი ეროვნების დეპუტატები გაერთიანდნენ, რომელთა უმეტესობას ბოლშევიკები წარმოადგენდნენ. ყრილობა კი აცხადებდა, რომ ხელისუფლება უნდა იყოს კოალიციური და იგი უნდა ემყარებოდეს მთელი მოსახლეობის ნებას. ასე შეიქმნა თურქესტანის ავტონომია, თუმცა მისი არსებობის ისტორია ერთობ ხანმოკლე გამოდგა. ამ რეზოლუციის პასუხად ბოლშევიკებმა კონფრონტაციის გზა აირჩიეს. მეორე დღეს ტაშკენტში, ალექსანდრეს ბაღში, ბოლშევიკები მართავენ მიტინგს (საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება თბილისში ამ დროისათვის განვითარებულ ამებთან დაკავშირებით), რომელშიც 1-ლი და მე-2 ციმბირის პოლკის ჯარისკაცები და რკინიგზის მუშები, ე.ი. ძირითადად რუსი ეროვნების მოქალაქეები მონაწილეობდნენ. ბოლშევიკთა წინადადებით, მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ჩართეს მოთხოვნა ხელისუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. იმავე დღეს აირჩიეს ტაშკენტის საბჭოების ახალი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც ძირითადად ესერები და ბოლშევიკები შევიდნენ. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ბოლშევიკები, ისევე როგორც მთელს რუსეთში, აქაც შეიარაღებული გამოსვლების გზით ემზადებოდნენ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ამის საპასუხოდ, ეროვნული ძალები ითხოვდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევას და ავტონომიის გამოცხადებას.

მდგომარეობა მალე განიძუმტა. პეტერბურგის ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ტაშკენტში განვითარებულ შემდგომ მოვლენებზე. 1917 წლის 28 ოქტომბერს ტაშკენტში იქმნება რეგკომი და იწყება ბოლშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა, რომელიც წარმატებით სრულდება.⁵³⁰ ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს და ხელისუფლების სადავეები იგდეს ხელთ. თურქესტანის ავტონომია ლიკვიდირებული იქნა. ბოლშევიკებმა თურქესტანში ადვილად დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. რესპუბლიკის მთავრობა – საბჭოთა თურქესტანის სახალხო კომისართა საბჭო ძირითადად რუსი ბოლშევიკებით დაკომპლექტდა. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ კი ტაშკენტის რკინიგზის ყოფილი მუშა და რეგკომის აქტიური წევრი, რუსი ეროვნების ფიოდორ კოლესოვი⁵³¹ დაინიშნა.

⁵³⁰ Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499>.

⁵³¹ ფიოდორ ივანოვიჩ კოლესოვი (1891-1940) – რუსი ბოლშევიკი, რევოლუციონერი. საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, თურქესტანის გასაბჭოების ერთ-ერთი ორგანიზატორი და უშუალო შემსრულებელი, რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო ორენბურგის რკინიგზის დეპოს მუშის რანგში. 1916 წლიდან საბუხარად გადადის ტაშკენტის რკინიგზაზე. იმავე წელს ხდება რკპ(ბ) წევრი და აქტიურად ებმება რევოლუციურ საქმიანობაში. 1917 წლის სექტემბრიდან ტაშკენტის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ბოლშევიკთა მიერ ორგანიზებული ტაშკენტის საყოველთაო გაფიცვის მთავარი ორგანიზატორი. იმავე წლის ოქტომბერში აირჩიეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. თურქესტანის გასაბჭოების შემდეგ, 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის ნოემბრამდე თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო რთულად წარიმართა საქმეები თურქესტანის მოსაზღვრე ხივის სახანოსა და ბუხარის საამიროში.

თებერვლის რევოლუციამდე ბუხარელი და ხიველი ჯადიდების რადიკალური მემარცხენე მიმართულების წარმომადგენლები საკუთარ თავს, „ახალგაზრდა თურქების“ ანალოგიით, „ახალგაზრდა ბუხარელებსა“ და „ახალგაზრდა ხიველებს“ უწოდებდნენ. მათ პოლიტიკურ იდეალს ოსმალთა იმპერია, მისი კონსტიტუცია და განათლების სისტემა წარმოადგენდა. მათი საბოლოო მიზანი კონსტიტუციური მონარქიის დამყარება იყო, რეფორმების გატარებას კი არსებული წყობილების ჩარჩოებში აპირებდნენ. ამ ზომიერ მოთხოვნებს ძალიან სასტიკად ახშობდნენ, ამიტომ ახალგაზრდა ბუხარელები და ხიველები იძულებულნი გახდნენ, იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ და იქიდან ეწარმოებინათ თავისი ბრძოლა.

მეფის ჩამოგდების ამბავმა ბუხარაში 1917 წლის 6 მარტს ჩამოაღწია. მეორე დღეს, 7 მარტს ბუხარაში ხალხმრავალი შეკრებები გაიმართა, რომელზედაც დროებით მთავრობას მოსთხოვეს შემდგომი მოქმედებების გეგმა, საერთო ნგრევასა და შიმშილთან ბრძოლის ღონისძიებები. თურქესტანის მსგავსად, თებერვლის რევოლუციამ შესაბამისი გამოძახილი ჰპოვა ახალი ბუხარის, ჩარჯოუს, თერმეზისა და კერკის მუშებში. მოსკოვისა და პეტერბურგის მსგავსად, ბუხარის სახანოს რკინიგზის სახელოსნოების, რძის კომბინატების, ბამბის გადასამუშავებელი საწარმოების მუშებმა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები შექმნეს. ამავე დროს ახალგაზრდა ბუხარელები იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ და ღიად დაიწყეს ამირას შეუზღუდავი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მომენტისათვის მათი პოლიტიკური პროგრამა შემდეგში მდგომარეობდა: ამირასა და ბეგებთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა, რომელიც ადმინისტრირებას გაუწევდა ამირას ხელისუფლებას, ასევე გადასახადების შემცირება, თავისუფალი ბეჭდვის დაშვება და სკოლების გახსნა, კორუმპირებული ჩინოვნიკების განთავისუფლება დაკავებული თანამდებობებიდან. მიუხედავად ამირას მიერ გაძლიერებული რეპრესიებისა, ახალგაზრდა ბუხარელები მაინც არ თმობდნენ პოზიციებს და აგრძელებდნენ თავიანთი მოთხოვნების წაყენებას.

1917 წლის მარტშივე ბუხარის ამირამ ხელი მოაწერა მანიფესტს რეფორმების შესახებ. მანიფესტის მიხედვით, უნდა მოწესრიგებულიყო საგადასახადო სისტემა, დაფუძნებულიყო სახელმწიფო ხაზინა, დამყარებულიყო სამართლიანი სასამართლო, შემდგარიყო რეალური ბიუჯეტი, არჩეულიყო ქალაქების თვითმმართველობის ორგანოები, წახალისებულიყო მრეწველობა, ვაჭრობა, მეცნიერება, განათლება და ა.შ. აღფრთოვანებულმა ჯადიდებმა მანიფესტის მხარდასაჭერად დემონსტრაციის ჩატარება გადაწყვიტეს. მაგრამ კონსერვატორული ძალები ჯერ კიდევ იმდენად ძლიერები იყვნენ, რომ, მიუხედავად დროებითი მთავრობისა და ამირას მიერ გატარებული პოლიტიკისა, დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ამ წამოწყებებს. დემონსტრაცია დაარბიეს, ხოლო ჯადიდებმა თავი ტაშკენტსა და სამარყანდს შეაფარეს. სასულიერო პირების ზეგავლენით ამირამ მანიფესტის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.

მსგავსი სცენარით განვითარდა პოლიტიკური მოვლენები ხივის სახანოშიც. უკვე აპრილის თვეში ხივის სახანოში მანიფესტი გამოქვეყნდა. მანიფესტის თანახმად, უნდა არჩეულიყო მეჯლისი (პარლამენტი), ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება ნაზირთა (მინისტრთა) საბჭოთი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ყველაზე მთავარი კი

კომუნისტური პარტიის თურქესტანის სამხარეო კომიტეტის წევრი. კოკანდის ავტონომიის წინააღმდეგ განხორციელებული ბოლშევიკური სამხედრო აგრესიის ერთ-ერთი იდეოლოგი და წითელგვარდიული რაზმის მეთაური. 1919 წელს გამართული რკპ(ბ) VIII ყრილობის დელეგატი. 1923-1928 წლებში სახალხო მეურნეობის შორეული აღმოსავლეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე და რევკომის წევრი, შემდეგ – გომელის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. მალე თავს ანებებს აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. 1929-1933 წლებში სწავლობს მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტში და არქიტექტურის აკადემიის ასპირანტურაში. შემდგომ წლებში მუშაობდა არქიტექტორად. გარდაიცვალა 1940 წლის 29 ივლისს, მოსკოვში.

ისაა, რომ პარლამენტშიც და მთავრობაშიც უმრავლესობას ახალგაზრდა ხიველები წარმოადგენდნენ.

მოგვიანებით, 1917 წლის ივნისში ხიველმა ჯადიდებმაც განიცადეს მარცხი. ხივის სახანოს მონარქის, ასფადიარ ხანის ბრძანებით დააპატიმრეს პარლამენტის ყველაზე უფრო ცნობილი ჯადიდები, მათ კი გავლენიანი ფეოდალები ჩაენაცვლნენ. უკვე ნოემბერში ხანმა საერთოდ გააუქმა პარლამენტი.

ამ მოვლენებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ბუხარის საამიროსა და ხივის სახანოში განვითარებულ შემდგომ პოლიტიკურ მოვლენებში. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ძალთა მარგინალიზაცია დაიწყო. ერთი მხრივ, მოხდა იმ ძალების გააქტიურება და კონსოლიდაცია, რომლებიც აბსოლუტურ მონარქიას უჭერდნენ მხარს და რეჟიმის გამკაცრებას მოითხოვდნენ. მეორე მხრივ კი, შეიცვალა თვით ოპოზიციური მოძრაობის ხასიათი. ოპოზიცია ორ ნაწილად გაიყო. ერთმა ჯგუფმა, განსაკუთრებით, ჯადიდთა ლიბერალურმა ფრთამ, საბოლოოდ დაკარგა რეფორმების გატარების იმედი და პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოშორდა, ხოლო მეორე ფრთამ, „ახალგაზრდა ბუხარელებმა და ხიველებმა“, თავიანთი მოქმედებების ტაქტიკა შეცვალეს – გარე პოლიტიკური ძალების მხარდაჭერის იმედით, ისინი შეიარაღებული ბრძოლის გზას ირჩევენ.

1918 წლის ნოემბრიდან, ოსმალთა იმპერიის ფაქტობრივმა კაპიტულაციამ, რომელიც იმ დროისათვის მსოფლიოში ერთადერთ დამოუკიდებელ თურქულ-მუსლიმანურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ჯადიდებში არა მარტო დიდი სასოწარკვეთილება, არამედ ძლიერი ანტიკოლონიური და, რაც მთავარია, ანტიბრიტანული განწყობების ზრდა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ისინი ძალიან მოიხიბლნენ საბჭოთა რეჟიმის რევოლუციური და დემოკრატიული რიტორიკით. ჯადიდებმა საბჭოელების „აღმოსავლურ“ პოლიტიკაში ხსნის ერთადერთი გზა დაინახეს ბრიტანული იმპერიალიზმის აღმოსავლური ექსპანსიის აღსაკვეთად. ფიტრატი წერდა: „საბჭოთა რუსეთის მთავრობა ევროპელი იმპერიალისტების წინააღმდეგ იბრძოდა. მისი დევიზი იყო „გამარჯვება ან სიკვდილი“. ეს წარმატებისა და იმ კეთილშობილების ნიშანია, რომელიც აღმოსავლეთის გაერთიანებას ისახავს მიზნად“.⁵³² ჯადიდები თვლიდნენ, რომ იმდენად, რამდენადაც ევროპულმა პროლეტარიატმა ვერ შეძლო საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერა, ამ უკანასკნელს სხვა გზა არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ აღმოსავლეთთან შეკრას კავშირი. მუსლიმანი კომუნისტებიც დაახლოებით იმავეს ამბობდნენ, თუმცა ოდნავ განსხვავებული ტონით და საბჭოთა ხელისუფლებას აღმოსავლეთის ხალხთა რევოლუციონიზირებაში ჰპირდებოდნენ დახმარებას.⁵³³

მოკლედ რომ ვთქვათ, თავისი არსით „ახალგაზრდა ბუხარელები“ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიას წარმოადგენდნენ, რომლის წევრებიც ჯადიდიზმის მიმდევრები იყვნენ. მათ იდეალებს არა მარტო ბრძოლა წარმოადგენდა ცარიზმის წინააღმდეგ, არამედ რეფორმების გატარებაც. ფაქტობრივად ჯადიდები პანთურქისტულ იდეოლოგიას იზიარებდნენ. როგორც ბევრი იმ დროს მოქმედი პარტია, მოგვიანებით ახალგაზრდა ბუხარელებიც ორ შეურიგებელ ბანაკად გაიყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, „ემმარცხენები“, ბოლოს და ბოლოს, ბუხარის კომუნისტურ პარტიას შეუერთდნენ, მათი ოპონენტები კი ბასმაჩთა ლიდერები გახდნენ.⁵³⁴

⁵³² Фитрат. Шарк сиёсати. Ташкент, 1919. С. 40. Подробнее об этом см.: Khalid A. Nationalizing the Revolution in Central Asia: The Transformation of Jadidism, 1917-1920 // A State of Nations: Empire and Nation-Making in the Age of Lenin and Stalin. New York, 2001. Pg. 145-162.

⁵³³ А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁵³⁴ Что делал в ЧК бывший правитель Османской империи Энвер Паша. <http://ya-turk.ru/interesnye-fakty/chto-delal-v-chk-byvshii-pravitel-osmanskoi-imperi-yenver-pasha.html>.

ამ ორ სახანოში მიმდინარე საშინაო და საგარეო მოვლენების შემდგომ განვითარებაზე გადამწყვეტი როლი, ისევე როგორც თურქესტანში, ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ითამაშა.

თავად თურქესტანის გასაბჭოებამ მკვეთრად შეცვალა ძალთა ბალანსი შუა აზიაში. ორივე სახანომ უარი თქვა, ეცნოთ თურქესტანის საბჭოთა ხელისუფლებას და გეზი ავღანეთთან, ირანთან და ინგლისთან დაახლოებაზე აიღეს. თავის მხრივ, საბჭოთა რუსეთისა და თურქესტანის დამოკიდებულებამ ბუხარის საამიროსა და ხივის სახანოსთან მიმართებაშიც აშკარად კონფრონტაციული ხასიათი მიიღო. ამ ორმა სახანომ საომარი სამზადისი დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ, რაც გამოიხატებოდა მობილიზაციების ჩატარებაში, იარაღის შესყიდვაში, სამხედრო ხარჯებისათვის ახალი გადასახადების დაწესებაში. უკვე 1918 წლის მარტისათვის მხოლოდ ბუხარის საამიროს 40000-იანი კარგად მომზადებული ჯარი ჰყავდა.

საომარ სამზადისზე გაწეულმა დიდმა ფინანსურმა დანახარჯებმა და გადასახადებისა და ფასების ზრდამ, სურსათისა და პირველადი მოთხოვნილების საგნების დეფიციტმა სახანოების შიდა პოლიტიკური არასტაბილურობის ზრდას შეუწყო ხელი. დაიწყო მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები. დამატებით, ხივის სახანოში მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ სოციალური გაჭირვების ფონზე გამძაფრდა ეროვნებათაშორისი დაპირისპირებებიც. ამით ისარგებლეს თურქმენული ტომების ბელადებმა და სახანოში ბატონობისათვის დაიწყეს ბრძოლა.

შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად ხივის სახანოს მონარქმა ასფადიარ ხანმა კომპრომისების ძებნა დაიწყო. თურქმენთა ლიდერს, ჯუნაიდ ხანს, მან ქვეყნის ერთობლივ მმართველობასა და ბოლშევიკთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დაწყება შესთავაზა. მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო. ჯუნაიდ ხანმა ერთგულების ფიცი დასდო და იგი ხივის სახანოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ასფადიარ ხანმა შეინარჩუნა მონარქის ტიტული, რეალური ხელისუფლება ჯუნაიდ ხანის ხელში აღმოჩნდა კონცენტრირებული. მალე ასფადიარ ხანი მოკლეს და მის ადგილას მოკლულის ბიძა, საიდ აბდულა ხანი დასვეს, რომელიც მარიონეტულ დამოკიდებულებაში იყო ჯუნაიდ ხანთან. ჯუნაიდ ხანი ფაქტობრივად ხივის სახანოს ერთპიროვნული მმართველი გახდა. როგორც საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, მანაც გამალბული საომარი სამზადისი დაიწყო საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა თურქესტანის წინააღმდეგ.

თავის მხრივ, საბჭოელებსაც ჰქონდათ გააზრებული ის დიდი საშიშროება, რაც ამ ორი სახანოდან მოდიოდა. იმდენად, რამდენადაც მათი დამოუკიდებულება და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი თავის დროზე რუსეთის დროებითმა მთავრობამ აღიარა, ბოლშევიკებმა ჩათვალეს, რომ ამ ორი სახელმწიფოს ლიკვიდაციისათვის მხოლოდ შეიარაღებულ ინტერვენციის გზა არსებობდა. და აქ ისევ ამუშავდა რუსული საბჭოური ინტერვენციის ჩვეული სქემა. თურქესტანის მთავრობამ, იმ მიზეზით, თითქოსდა სახანოებიდან დევნილი ოპოზიციონერების უფლებების დამცველი ყოფილიყო, უხეშად დაიწყო საამიროს საშინაო საქმეებში ჩარევა.

საქმე იმაშია, რომ განდევნილმა ახალგაზრდა ბუხარელებმა ე.წ. „სამხედრო კომიტეტი“ ჩამოაყალიბეს და ტაშკენტში დელეგაცია გააგზავნეს, რომლის წევრებიც არწმუნებდნენ თურქესტანის სახალხო კომისართა საბჭოს, რომ ბუხარაში საყოველთაო აჯანყება მზადდებოდა, მასში მონაწილეობას კი 30 ათასი კაცი მიიღებდა. დელეგაციის წევრები ტაშკენტისაგან შეიარაღებულ მხარდაჭერას ითხოვდნენ.

თურქესტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ, ფიოდორ კოლესოვმა დაიჯერა ეს და 1918 წლის 28 თებერვალს წითელგვარდიულ რაზმთან ერთად რკინიგზის სადგური „ახალი ბუხარა“ დაიკავა. მარტის დასაწყისში ბუხარის ამირას ულტიმატუმში წაუყენეს

დემოკრატიული რეფორმების გატარების მოთხოვნით. ამირამ ულტიმატუმი არ მიიღო. საპასუხოდ, 2 მარტს კოლესოვმა ბრძანება გასცა, წითელგვარდიულ რაზმებს შეტევითი მოქმედებები დაეწყოთ ძველ ბუხარაზე. ბუხარის დასაცავად ამირას ჯვართან ერთად მთელი მოსახლეობა გამოვიდა. მართალია, ბოლშევიკებმა მოახერხეს ქალაქში შესვლა, მაგრამ, საერთო ჯამში, საბრძოლო მოქმედებები ბოლშევიკთა სრული მარცხით დასრულდა. წითელგვარდიელებმა გაქცევით უშველეს თავს. მხოლოდ ტაშკენტიდან და სამარყანდიდან გამოგზავნილი დამატებითი ძლების ჩართვამ გადაარჩინა კოლესოვის რაზმები სრულ განადგურებას.

ამ ამბების უშუალო თვითმხილველი, ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცერი და „დიდი თამაშის“ ერთ-ერთი უკანასკნელი პროტაგონისტი, ვიცე-პოლკოვნიკი ფრედერიკ მარშამ ბეილი (Frederick Marsham Bailey) 1922 წელს გამოცემულ თავის წიგნში „My Mission to Tashkent“ („ჩემი მისია ტაშკენტში“) აღნიშნავდა: „ტაშკენტის მთავრობამ, რომელიც არმიას, სურსათსა და სხვა რესურსებს აკონტროლებდა, კოკანდის სარტებზე მიიტანა იერში, დაამარცხა ისინი და ქალაქი გამარცხა“.⁵³⁵

1918 წლის 25 მარტს ყიზილ-თეფეში ამირა იძულებული გახდა, ხელი მოეწერა სამშვიდობო ზავზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სახანოს ჯარის შემცირებას 12000 კაცამდე, ყველა კონტრრევოლუციონერისა და თეთრგვარდიელის გადაცემას ბოლშევიკებისათვის, რომლებიც ბუხარის საამიროს აფარებდნენ თავს, აგრეთვე რკინიგზის ხაზისა და სატელეგრაფო შეტყობინების გამართულად მუშაობას. ცხადია, რომ ეს ზავი ძალიან მომგებიანი იყო ბოლშევიკებისათვის. მან ნათლად აჩვენა ის სურათი, რომ რეალურად ბოლშევიკთა მიზანს არა საამიროში ჯვადილთა ინტერესების დაცვა და ლიბერალური რეფორმების გატარება წარმოადგენდა, არამედ ბუხარის შემდგომი ბოლშევიკური ინტერვენციისათვის ხელსაყრელი წინაპირობების შექმნა. იგივე ხასიათის შეთანხმება დაიდო ხივის სახანოსთანაც 1919 წლის აპრილში.

მიუხედავად დადებული ხელშეკრულებებისა, საბჭოთა ხელისუფლება, ცხადია, არ აპირებდა, ხელი აეღო სახანოების გასაბჭოების ჩანაფიქრზე. ამ გეგმის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ღონისძიებები გატარდა. 1919 წლის ივლისში თურქესტანის ფრონტი იქმნება. მის სარდლად თურქკომისიის ერთ-ერთი წევრი, მიხაილ ფრუნზე ინიშნება. იგი მოლდოვური წარმომავლობისა იყო, ცენტრალური აზიის პატარა ქალაქ პიშპეკის (ყირგიზეთის დღევანდელი დედაქალაქი ბიშკეკი, კომუნისტური ეპოქის ქალაქი ფრუნზე) მკვიდრი. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიხაილ ფრუნზეს სპეციალური სამხედრო ან რაიმე სახის უმაღლესი განათლება არ ჰქონდა მიღებული. სწავლობდა ქალაქ ვერნის, დღევანდელი ალმა-ათის გიმნაზიაში და რევოლუციურ-ტერორისტული „მოღვაწეობა“ ახალგაზრდობის ასაკშივე დაიწყო. რევოლუციური მოღვაწეობისა და გადასახლებების გამო I მსოფლიო ომში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ უკვე 1917 წლისათვის აქტიურად ჩაერთო ჯარისკაცთა საბჭოების მუშაობაში, სადაც, ლენინისეული ბოლშევიკურ-პორაჟენცული აგიტაცია-პროპაგანდით, წითელგვარდიული რაზმებისა და წითელი მილიციის ორგანიზებით იყო დაკავებული. 1918 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის საქმეში და 1919 წლისთვის წითელი არმიის მე-4 არმიის სარდლადაც დაინიშნა, თუმცა მის სამხედრო კარიერაში ეს ყველაზე უიღბლო დანიშვნა იყო. მე-4 წითელი არმია კოლჩაკმა გაანადგურა.

ამ მოვლენებიდან ფრუნზემ შესაბამისი დასკვნები გამოიტანა. ბევრი სხვა ბოლშევიკისაგან განსხვავებით, „კონსპეცებთან“ მიმართებაში ლოიალური იყო და მათ დიდი პატივისცემითაც ეპყრობოდა. მათ ცოდნას აფასებდა და ცდილობდა, რომ საკუ-

⁵³⁵ Frederick Marsham Bailey. My Mission to Tashkent. Oxford University Press. 1922. Reissued 2002. Pg. 37.

თარი განათლების ხარვეზები, უფრო სწორად, გაუნათლებლობა, შეძლებისდაგვარად სწრაფად აღმოეფხვრა. ამ მიზნით ინტენსიურად ეწეოდა თვითგანათლებას, განსაკუთრებით, სამხედრო საქმეში და საბოლოოდ, სულ ახალგაზრდა ასაკში წარმატებულ სამხედრო მეთაურად და სამხედრო საქმის თეორეტიკოსად გამოყალიბდა. თავის სამხედრო ფილოსოფიას იგი მარქსიზმის იდეებზე დაყრდნობით აგებდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს კი პროლეტარიატისა და მუშათა კლასის წარმმართველ როლს ანიჭებდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნისა და აღმშენებლობის საქმეში.

მუსლიმანური სამხედრო ნაწილების გამოყალიბების შესახებ თურქესტანელი კომუნისტების მიერ დასმული საკითხი ძალიან გართულდა. საქმე იმაშია, რომ მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შესაბამისად ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობა სამხედრო სამსახურს არ ექვემდებარებოდა და მათ არმიაში არ იწვევდნენ. ამ მომენტისათვის აქტიურ სამხედრო სამსახურში მყოფ მუსლიმანურ კონტინგენტს მხოლოდ თათარ-ბაშკირული ქვედანაყოფების ჯარისკაცები შეადგენდნენ, გარდა ამისა, „ბოლშევიკებად მოქცეული“ ტყვედყოფილი თურქი ოფიცრები და ჯარისკაცები. ამ „არმიის“ რიცხოვნობა უცნობია, თუმცა გაზეთ „Улуг Туркистон“-ის 1918 წლის 21 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, ძველ კოკანდში 9 იანვარს გამართულ ავტონომიის ერთგული „ჯარების“ აღლუმში 1000 ჯარისკაცი მონაწილეობდა.⁵³⁶ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად მუსლიმანურმა ბიურომ გადაწყვეტილება მიიღო, შექმნილიყო მძლავრი 200-ათასიანი მუსლიმანური წითელი არმია. თურქესტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამ იდეის მხარდაჭერის შემდგომ, შესაბამის დადგენილებაზე ნებართვის გაცემის თხოვნა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და პირადად ლენინს გაეგზავნა.⁵³⁷

მაგრამ რუსების მიერ ამ „ჯარებისადმი“ გამოხატული ნდობის ხარისხი მინიმალური და თითქმის ნულოვანი იყო. საბჭოთა ხელისუფლება, პირველ რიგში, თავის საკუთარ შეიარაღებულ ძალებს ეყრდნობოდა, რომელიც სრულად რუსი ჯარისკაცებითა და წითელი კომისრებით იყო დაკომპლექტებული. სწორედ ამ ძალებზე დაყრდნობითა და მათი მეშვეობით ხორციელდებოდა საბჭოელების მიერ რეგიონში ჩატარებული რეკვიზიციებისა და კონფისკაციების პერიოდული პროცესები.

ფრუნზემ თავიდანვე შეურიგებელი პოზიცია დაიკავა მუსლიმან კომუნისტებთან დამოკიდებულებაში და უარი განაცხადა ადგილობრივი მოსახლეობით წითელარმიული ნაწილების დაკომპლექტებაზე. აპელირებას აკეთებდა რა მუსლიმანი კომუნისტების „ვიწრობურჟუაზიულ ნაციონალიზმზე“, ფრუნზემ განაცხადა: „Туземное население в классовом отношении не расслоено, их нужно воспитать коммунистически и это возможно; в этом наша задача“.⁵³⁸ მაგრამ, მისი აზრით, ასეთი „აღზრდა“ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. ნათელია, რომ „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისაკენ“ მიმავალ დიად გზაზე რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ არგუმენტიც – უკვე „ოქტომბრის რევოლუციის პირმშო“ – „მუშურ-გლეხური წითელი არმია“ (РККА) ჩაერთო.⁵³⁹ მიხაილ ფრუნზემ დარწმუნებული იყო, რომ ბუხარისა და ხივის სახანოების მოსახლეობას პროლეტარული რევოლუციის არსში უფრო ქმედითად რუსული ზიშტები გაარკვევდნენ. ამ საკითხში მისი პოზიციები,

⁵³⁶ А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁵³⁷ ГАРФ. Ф. 1235. Оп. 93. Д. 582. Л. 152. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁵³⁸ РГАСПИ. Ф. 5. Оп. 1. Д. 2920. Л. 80-81; Ф. 122. Оп. 1. Д. 44. Л. 21 об. <http://rudocs.exdat.com/docs/index-182294.html?page=3>.

⁵³⁹ არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. ISBN 978-9941-0-5988-9. თბილისი. 2014. გვ. 21.

როგორც ეს „ნამდვილ“ ბოლშევიკს შეეფერება, მკაცრი და შეუვალი იყო, ხოლო ბასმაჩთა „კლასიფიცირება“ შემდეგნაირად გამოხატა: „ბასმაჩთა რიგებში გაერთიანდნენ ისინი, – აცხადებდა ფრუნზე, – რომლებიც ველარ დაუბრუნდებიან მშრომელთა რიგებს, ისინი, ვინც მიეჩვივნენ სხვათა დარცვა-გლეჯასა და ძალადობას, ისინი, ვინც მოსახლეობის ხარჯზე იწყობდნენ საკუთარ ბედნიერ ცხოვრებას, და ბოლოს ისინი, ვინც თავიანთი ბანდების მეშვეობით ცდილობენ ძალაუფლების მოპოვებას“.⁵⁴⁰

თურქეთის შენაერთებისა და ნაწილების სამხედრო სამზადისთან ერთად თურქესტანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ხივის ყველა ოპოზიციური ძალის კონსოლიდაციისათვის დაიწყო მუშაობა. ყველა დონისა და რგოლის კომუნისტს მიეცა დავალება, მჭიდრო კავშირები დაემყარებინა ახალგაზრდა ხიველებთან და ჯუნაიდ ხანთან ოპოზიციაში მყოფ სხვა თურქმენული ტომების ბელადებთან ერთობლივი ბრძოლის გასაჩაღებლად. 1919 წლის ნოემბერში ამ ძალების კავშირი შედგა. ჯუნაიდ ხანთან დაპირისპირებულმა თურქმენმა ბელადებმა კომუნისტებთან და ახალგაზრდა ხიველებთან ერთად ხივის რევოლუციური ცენტრი შექმნეს, რომლის ამოცანასაც ხანის ჩამოგდება და ხელისუფლების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. რეალურად ამ საორგანიზაციო-პოლიტიკურმა აქტივობებმა ხივაში „მეხუთე კოლონის“ შექმნას ჩაუყარა საფუძველი.

ხივის სახანოში განვითარებული შემდგომი მოვლენები ღიად აჩვენებენ ტაშკენტისა და მოსკოვის წარმმართველ როლს ამ ამბებში. 4 ნოემბერს თურქესტანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, კომპარტიის მუსლიმანური ბიუროს სამხარეო კომიტეტს, თურქესტანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სამხედრო რევოლუციურ საბჭოს დაეგზავნათ ტელეგრამა ხივაში აჯანყების დაწყების შესახებ. ამ ტელეგრამის შინაარსში კარგად ჩანს მიმდინარე მოვლენების მთელი არსი: „ჩვენი გაძლიერებული აგიტაციის შემდეგ ხივის პროლეტარიატი ჯუნაიდ ხანის წინააღმდეგ აღსდგა. ყველგან მიმდინარეობს ბრძოლები. მათგან მოსული დელეგაცია გვთხოვს, აღმოვუჩინოთ დახმარება. თუ ხელიდან გაუშვებთ ამ მომენტს, მაშინ ჩვენს მიერ ჩატარებული ექვსთვიანი მუშაობა წყალში ჩაიყრება“.⁵⁴¹

1919 წლის 21 დეკემბერს ბოლშევიკები ქმნიან საჯარისო დაჯგუფებას, რომელსაც „ამუ-დარიის საარმიო ჯგუფი“ ეწოდა. ორი დღის შემდეგ, 23 დეკემბერს მას ამოცანად დაუსახეს „ხივის მშრომელთა დახმარება ჯუნაიდ ხანის თავნებობის აღსაკვეთად“, თუმცა ამ ამოცანის დასამძღვე წითელ არმიას საომარი მოქმედებები უკვე დაწყებული ჰქონდა. 22 დეკემბერს ამუ-დარიის ჩრდილოეთის დაჯგუფების ჩრდილოურმა შენაერთმა მოახდინა მდ. ამუ-დარიის ფორსირება და ხივის სახანოს ტერიტორიაზე შევიდა. აღნიშნულმა შენაერთებმა ბრძოლებით დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. პარალელურად, სამხრეთიდან დაიწყო სამხრეთის შენაერთის შეტევითი მოქმედებები, რომელმაც 24 დეკემბერს მოახდინა მდინარე ამუ-დარიის ფორსირება. ჯუნაიდ ხანის ძალებმა უკან დაიხიეს. 20 იანვარს წითელმა არმიამ ქალაქი ტახატა დაიკავა, ჯუნაიდ ხანის ბოლო საყრდენი პუნქტი, ხოლო 1 თებერვალს ბოლშევიკები ხივაში შევიდნენ. საიდ აბდულა ხანმა თავისი უფლებამოსილებები მოიხსნა და მთელი ძალაუფლება რევოლუციურ მთავრობას გადასცა.

რეალური სურათის დასამალად და ხივის საბჭოთა ოკუპაციის შესანიღბად, ბოლშევიკებმა უმაღლეს ხარტეს საქმეში თავიანთი პროპაგანდისტული მანქანა. ბოლშევიკმა პროპაგანდისტებმა ეს ამბები უმაღლეს ხალხის მიერ მოწყობილ რევოლუციურ გადატრი-

⁵⁴⁰ М: В. Фрунзе, Избранные произведения, М., 1950. Стр. 132.

⁵⁴¹ Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond.ru/view.vaspx?id=531499>.

ალეხანდრე მონათლეს. 1920 წლის 26 აპრილს სასწრაფოდ მოიწვიეს ხორეზმის სახალხო წარმომადგენლობითი ყრილობა, რომელზეც ხორეზმის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. აქვე მიიღეს ქვეყნის კონსტიტუცია. შეიქმნა რესპუბლიკის მთავრობა, რომლის თავმჯდომარეც ახალგაზრდა ხიველთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ფალვან ნიაზ იუსუფოვი გახდა. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ კომუნისტები, ახალგაზრდა ხიველები და ერთ-ერთი თურქმენული ტომის ბელადი.

ამრიგად, საბჭოთა ჯარების დახმარებით „ახალგაზრდა ხიველებმა“ და ზოგიერთი თურქმენული ტომის ბელადმა ჩამოაგდეს მონარქიული რეჟიმი და ამ გზით ხელისუფლებაში მოვიდნენ.

მსგავსი სცენარით განვითარდა მოვლენები ბუხარის საამიროშიც. 1920 წლის 30 მარტს, ბუხარაში მოლაპარაკებების მიმდინარეობისას, რომელსაც საბჭოელთა ოფიციალური დელეგაცია აწარმოებდა მიხაილ ფრუნზეს ხელმძღვანელობით, ამირას კიდევ ერთხელ წაუყენეს ულტიმატუმი. ეს ულტიმატუმი გაცილებით მძიმე იყო პირველთან შედარებით. ახალი ულტიმატუმის პირობების მიხედვით, მას რუსული ფული უნდა შემოეტანა ბრუნვაში, ბუხარის ტერიტორიაზე წითელი არმიის ნაწილების განთავსებისთვის შეეწყო ხელი და უზრუნველყო საამიროს ტერიტორიაზე გავლით „კაგანი-თერმეზის“ რკინიგზის ხაზის გამართული მუშაობა, რაც რუსეთთან უწყვეტი კომუნიკაციის არსებობას უზრუნველყოფდა. რეალურად ეს ულტიმატუმი სხვა არაფერი იყო, თუ არა ნებაყოფლობითი გასაბჭოების მოთხოვნა. ბუნებრივია, ამირამ ამ ულტიმატუმის მოთხოვნები უარყო. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ შექმნილი დაპირისპირების გადაჭრის ერთადერთ გზად შეიარაღებული კონფრონტაცია რჩებოდა.

თურქესტანის დარჩენილი ნაწილის გასაბჭოებასთან დაკავშირებული შემდგომი მოვლენები კი, უფრო დრამატულად განვითარდა.

ფრუნზე, ისევე როგორც მისი თანამებრძოლი სხვა ბოლშევიკი მოღვაწეები, რომლებსაც უსაზღვროდ სჯეროდათ მუსლიმანური აღმოსავლეთის გარეკოლუციონერების პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტისა, თვლიდნენ, რომ ეს პროცესები ძალიან ნელა მიმდინარეობდა. ფრუნზე დაჟინებით მოითხოვდა, რომ მეზობელი ქვეყნების სოვეტიზაციის საქმეში სასწრაფოდ ჩართულიყვნენ რუსული და არა ნაციონალური წითელი არმიის ნაწილები. მსჯელობდა რა ბუხარის სახანოსთან დაკავშირებულ სტრატეგიასთან მიმართებაში, მან განაცხადა: „იმისათვის, რომ ბუხარაში შეექმნათ შინაგანი რევოლუციური სიტუაცია, ჩვენ არა თვეობით, არამედ წლებით მოგვიწევს მოცდა“. ფრუნზე და თურქკომისიის სხვა წევრები იმ დებულებიდან გამოდიოდნენ, რომ „ბუხარის ამბები ბიძგი უნდა იყოს, დანარჩენი საქმე კი, ასე, 9/10, რუსულმა წითელმა არმიამ უნდა შეასრულოს“.⁵⁴² დიახ, სწორედ რუსული წითელი არმია უნდა გამხდარიყო თურქესტანსა და მის მეზობელ ქვეყნებში რევოლუციის მამოძრავებელი ძალა და არა ადგილობრივი მოსახლეობის ნება ან თუნდაც ადგილობრივი კომუნისტების „რევოლუციური აქტივობა“.

ავვისტოს პირველ რიცხვებში ლენინისადმი გაგზავნილ წერილში მიხაილ ფრუნზე იტყობინებოდა, რომ ბუხარასთან მიმართებაში ორი ხაზი უნდა გატარებულიყო:

1. ქვეყანაში რევოლუციური პროცესების განვითარება და შესაბამის მომენტამდე მოცდა;
2. რევოლუციის ორგანიზება გარედან ჩარევით.

⁵⁴² Генис В. Л. Красная Персия. Большевики в Гиляне, 1920-1921. М., 2000; <http://rudocs.exdat.com/docs/index-182294.html?page=3>.

პირველი ვარიანტი ფრუნზემ მალევე უკუაგლო, რადგან „შინაგანი რევოლუციის განვითარების პროცესები ბუნარაში ერთობ ნელა ვითარდებოდა და შედეგს ძალიან გვიან მოგვცემდა, თუ მოგვცემდა საერთოდ...“.⁵⁴³ ამიტომაც, ფრუნზეს აზრით, „რევოლუციის ორგანიზებისათვის“ საჭირო იყო უშუალოდ წითელი არმიის ჩარევა.

საბოლოოდ, ყველაფერი ფრუნზეს „რევოლუციური სქემის“ მიხედვით წარიმართა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1920 წლის 10 აგვისტოს რკპ(ბ)-ის პოლიტიბიურომ მიიღო სპეციალური დირექტივები თურქეთის შექმნასა და სამხედრო რევოლუციური საბჭოსათვის უფლებამოსილებების მინიჭებაზე ბუნარის საკითხთან დაკავშირებით. თურქეთის რევოლუციური კომპარტიამ ბუნარის ოკუპაციისათვის დაიწყო მზადება. გავრცელდა მოწოდებები ბუნარის ამირას დამხობის შესახებ. ცხადია, ამ მოწოდებებს გამოხმაურებაც დიდი მოჰყვა. პირველ რიგში, ბუნარიდან ემიგრირებული ოპოზიციის მხრიდან. აქ საუბარი „ახალგაზრდა ბუნარელებსა“ და კომუნისტებს შეეხებოდა. მართალია, ზოგიერთ ტაქტიკურ საკითხში მათი ხედვები განსხვავებული იყო, თუმცა ერთ რამეში ნამდვილად თანხმდებოდნენ – მათ საერთო მტერს ამირას მონარქიული რეჟიმი წარმოადგენდა და საჭირო იყო მისი დამხობა, თან რაც შეიძლება ჩქარა. აქედან გამომდინარე, თურქეთის კომუნისტებმა 3 აგვისტოს შემდგარ სხდომაზე ბლოკი შეკრა თურქესტანელ კომუნისტებთან და „ახალგაზრდა ბუნარელთა“ რევოლუციური ორგანიზაციებთან იმ პირობით, რომ ისინი „ბუნარაში განხორციელებული გადატრიალების შემდეგ მეორე დღესვე ოფიციალურად შევიდოდნენ კომუნისტური პარტიის რიგებში“.

უკვე 16 აგვისტოს ბუნარის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ჩარჯოუში მუშაობდა, მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ ბუნარის საამიროში „რევოლუციური სიტუაცია მომწიფებულია“, უნდა დამხობილიყო ამირას ხელისუფლება და თურქეთის საამიროს მიმართა თხოვნით, „გაენთავისუფლებინა ბუნარის მშრომელთა მასები მრავალსაუკუნოვანი ფეოდალური ჩაგვრისა და ამირას დესპოტიისაგან“. ბუნარის „რევოლუციის“ ხელმძღვანელობისათვის სასწრაფოდ ყალიბდება პოლიტიკური ცენტრი ვ. კუბიშევის,⁵⁴⁴ „ახალგაზრდა ბუნარელების“ ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარის ფ. ხოჯაევისა და ბუნარის კომპარტიის ცეკას თავმჯდომარის, ჰ. ჰუსეინოვის ხელმძღვანელობით. რუსული „ცივი ომის“ სცენარით შედგენილი ბუნარის ახალი „მთავრობა“ ფაქტობრივად მზად იყო მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად. ახლა ჯერი უკვე წითელ არმიას მიეცა. და როდესაც 29 აგვისტოს ჩარჯოუში მოხერხდა მოხალისე ბუნარელი კომუნისტებისაგან მცირერიცხოვანი დემონსტრაციის ორგანიზება, ბოლშევიკური იდეო-

⁵⁴³ Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. [http:// bibliofond.ru/view.aspx?id=531499](http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499).

⁵⁴⁴ ვალერიან ვლადიმეროვიჩი კუბიშევი (1888-1935) – რუსი რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე. 1898 წელს ჩაირიცხა ომსკის კადეტთა კორპუსში. მალევე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. რსდმპ წევრი 1904 წლიდან. 1905 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები სანკტ-პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. რევოლუციური მოღვაწეობის გამო მალევე გარიცხეს აკადემიიდან. 1906 წელს აპატიმრებენ. მალევე ათავისუფლებენ. 1906-1907 წლებში ეწევა პარტიულ აგიტაციას. 1908 წელს ისევ აპატიმრებენ. სასჯელის მოხდის შემდეგ, 1913-1914 წლებში ეწევა რევოლუციურ მოღვაწეობას სანკტ-პეტერბურგში, ვოლოგდაში, ხარკოვში. 1914 წელს აპატიმრებენ და ასახლებენ ირკუტსკის გუბერნიაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოდის სამარაში, სადაც ირჩევენ სამარის რსდმპ ორგანიზაციის თავმჯდომარედ. სამოქალაქო ომის წლებში იყო საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიის 1-ლი და მე-4 არმიების სამხედრო რევოლუციური საბჭოების წევრი. 1919-1920 წლებში იბრძოდა ადგილობრივ კოლჩაკის წინააღმდეგ, ხელმძღვანელობდა ასტრახანის დაცვას. იყო თურქესტანის ფრონტისა და თურქეთის კომისიის წევრი, მონაწილეობდა შუა აზიის გასაბჭოების ოპერაციებში. 1920 წლის ბოლოს აირჩიეს პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ, 1921 წელს – სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. 1923-1926 წლებში იყო მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარი. 1927 წლიდან ირჩევენ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. 1930 წლიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტის თავმჯდომარეა. 1934 წლის ნოემბრიდან უზბეკეთში მოქმედი პარტიის ცეკას პოლიტკომისიის წევრია. გარდაიცვალა 1935 წლის 25 იანვარს.

ლოგის მიერ ეს ამბავი უმაღლეს მონათლა მშრომელი მასების აჯანყებად და პროლეტარული რევოლუციის დასაწყისად. შესაბამისად, თურქკომისიისაც უმაღლეს გაეგზავნა თხოვნა დახმარების შესახებ.

ამ დროისათვის თურქფრონტის ჯარები უკვე სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ მოყვანილნი. ჯერ კიდევ ამ ამბების განვითარებამდე ოთხი დღით ადრე, 1920 წლის 25 აგვისტოს, 16 საათსა და 40 წუთზე, მიხაილ ფრუნზემ შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალს, სერგეი კამენევს⁵⁴⁵: „საკითხის გადაწყვეტისათვის ხელსაყრელი მომენტი გაშვებულია. შესაბამისი ენერგიული ზომების გატარების შედეგად შესაძლებელია საკითხის გადაწყვეტა ორკვირიან ვადაში. ჯარების მზადება მიმდინარეობს გაძლიერებული ტემპებით. ვვარაუდობ, რომ მოვლენების განვითარებას უნდა ველოდოთ 25 აგვისტოსათვის“. ტელეგრამა შემდეგი ფრაზით მთავრდებოდა: „ველი შემდგომ განკარგულებებს“. თუმცა „შემდგომი განკარგულებების“ გაცემა სულაც აღარ იყო საჭირო, რადგან ამ ტელეგრამის გაგზავნამდე 3 საათით ადრე, 13 საათისათვის თურქფრონტის ჯარებს ზუსტი დირექტივა გაეცათ: „ბუნარელი ხალხი აღდგა თავისი მხაგრელების წინააღ-მდეგ... ბუნარელი ხალხისათვის რევოლუციური ძმური დახმარების აღმოჩენის მიზნით... 29 აგვისტოს გამთენიიდან დაწყებულ იქნას აქტიური მოქმედებები“.

როგორც ვხედავთ, 1920 წლის 28 აპრილის ბაქოს ბოლშევიკური ოკუპაციის სქემის შესაბამისად, აქაც, ბუნარაშიც წარმატებით იყო ინსცენირებული „მშრომელთა აჯანყება“ და რევკომის ფორმალურ მოთხოვნამდე წითელი არმიის შენაერთებმა აქტიური საომარი მოქმედებები დაიწყეს. მოგვიანებით, 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაშიც იგივე სცენარით განხორციელდა წითელი მე-11 არმიის სამხედრო ინტერვენცია და პირველი ქართული რესპუბლიკის ლიკვიდაცია.

ფრუნზეს ბრძანების შესაბამისად, ყველა საჯარისო შენაერთისაგან ჩამოყალიბდა რამდენიმე მძლავრი დაჯგუფება: სამარყანდის, კატა-ყურგანის, ყიზილ-თეფეს, კაგანასა და ჩარჯოუსი. ბუნარის ოპერაციის შესაბამისად, თითოეულ დაჯგუფებას მიეცა კონკრეტული დეტალურად გაწერილი საბრძოლო მოქმედებების გეგმა. ბოლშევიკებმა საქმეში ჯავშანმატარებლები და საავიაციო რაზმებიც ჩართეს.

1920 წლის 29 აგვისტოს, თურქფრონტის სარდლობის დირექტივის შესაბამისად საომარი მოქმედებები დაიწყო. განსაკუთრებით მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლები ძველი ბუნარის ალებისას მიმდინარეობდა. სამი დღე-ღამის განმავლობაში ქალაქი მძიმე

⁵⁴⁵ სერგეი სერგეევიჩი კამენევი (1881-1936) – მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი და საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალი, „კოუნსპეცი“, I რანგის კომანდარი. რუსეთ-იაპონიის, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. I მსოფლიო ომში 1914 წლის სექტემბრიდან 1-ლი დასავლეთის ფრონტის არმიის შტაბის კვარტერმეისტერის უფროსი ადიუტანტი, შემდეგ – არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსი. 1917 წლის აპრილიდან პოლკოვნიკი, პოლტავის 30-ე პოლკის მეთაური. 1917 წლის ნოემბრიდან მე-15 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ემხრობა ბოლშევიკებს. 1918 წლის აპრილიდან მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემადგენლობაშია. 1918 წლის ივნისიდან ვიტებსკის წითელი ქვეითი პოლკის მეთაური, 1918 წლის აგვისტოდან – სმოლენსკის რაიონის სამხედრო ხელმძღვანელი, 1919 წლის აგვისტოდან აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალი. 1924 წლის აპრილიდან წითელი არმიის მთავარი სამხედრო ინსპექტორი, 1925 წლიდან – შტაბის უფროსი. 1926 წლის აგვისტოდან წითელი არმიის მთავარი სამმართველოს უფროსი, ამავე დროს მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის ტაქტიკის ციკლის უფროსი. 1927 წლიდან სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისიის მოადგილე და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. 1935 წლიდან ენიჭება I რანგის კომანდარმის სამხედრო წოდება, მაშინ როცა სამოქალაქო ომში მისდამი დაქვემდებარებულ ხუთ მხედართმთავარს (კ. ვოროშილოვი, ს. ბუდინი, ვ. ბლოხერი, ალ. ეგოროვი და მ. ტუხაჩევსკი) მიენიჭათ უმაღლესი სამხედრო წოდება – საბჭოთა კავშირის მარშალი. გარდაიცვალა 1936 წლის 25 წელს გულის შეტევით. 1937-1939 წლების დიდი წმენდების დროს იგი „სამხედრო-ფაშისტური შეთქმულების“ მონაწილედ გამოცხადდა. კამენევის სახელი ამოშალეს რუსეთის სამოქალაქო ომის ოფიციალური ისტორიიდან, მისი სამხედრო ხასიათის შრომები კი დავიწყებას მიეცა.

არტილერიით იბომბებოდა. მეოთხე დღეს კი ბუხარის შტურმი დაიწყო. ქალაქში მიმდინარე ბრძოლების გამო, მსხვერპლთა შორის ძალიან დიდი იყო მშვიდობიანი მოსახლეობის წილი. ქუჩები მათი გვაშებით იყო მოფენილი. ერთ-ერთი ტყვის ჩვენებით, „დახოცილები იმდენად ბევრი იყო, რომ ქუჩებიდან მათ გატანას ვერ ასწრებდნენ“. შემდგომი ნგრევისა და მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით, ამირამ ქალაქი დატოვა და 1920 წლის 2 სექტემბერს თურქფრონტის ჯარები ბუხარაში შევიდნენ. როგორც ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში აღვნიშნეთ, ბუხარის აღება ბაქოში მიმდინარე „აღმოსავლეთის ხალხთა“ I ყრილობის მიმდინარეობისას მოხდა. ეს სასიხარულო ამბავი ყრილობის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს. ისე ჩანდა, რომ ლენინისა და ტროცკის იდეები იმარჯვებდა – ბოლშევიკთა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია“ მართლაც გიგანტური ნაბიჯებით მიიწევდა წინ.

ბუხარასთან დაკავშირებული შემდგომი მოვლენები კი ძალიან სწრაფად განვითარდა. უკვე სექტემბრის შუა რიცხვებში შეიქმნა სრულიად ბუხარის რეკომი აბდუკადირ მუხიდინოვის თავმჯდომარეობით. ჩამოყალიბდა მთავრობაც. მთავრობის თავმჯდომარედ ფაიზულა ხოჯაევი დაინიშნა, მასვე დაეკისრა საგარეო საქმეთა ნაზირის (მინისტრის) მოვალეობის შესრულება. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობის შემადგენლობის დიდი ნაწილი კომუნისტებისა და „ახალგაზრდა ბუხარელი“ – ჯადიდებისაგან დაკომპლექტდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მინისტრთა (ნაზირთა) კაბინეტის წევრთა საშუალო ასაკი 29 წელს შეადგენდა.

ზემოთ აღწერილი სისხლიანი ამბებიდან ერთი თვის თავზე, 1920 წლის ოქტომბერში მოიწვიეს სახალხო წარმომადგენელთა I ყრილობა, რომელზეც ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. II ყრილობაზე კი რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღეს.⁵⁴⁶ საბოლოოდ, 1921 წლის 11 აპრილს, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა თურქესტანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც ერთიანი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული გახდა. ახალმა რესპუბლიკამ შუა აზიის ნაწილი დაიკავა, რომელიც კასპიის ზღვიდან სინცზიანამდე გადაიჭიმა. მას სამხრეთით სპარსეთი და ავღანეთი ესაზღვრებოდა, ხოლო ჩრდილოეთიდან – ყაზახეთი. რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ „მუშების, დეხკანების, წითელარმიელებისა და კაზაკთა საბჭოების ყრილობა“ იქცა. აპრილშივე შეიქმნა ხორეზმის საბჭოთა რესპუბლიკაც.⁵⁴⁷

⁵⁴⁶ Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. [http:// bibliofond. ru/ view.aspx?id=531499](http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499).

⁵⁴⁷ Что делал в ЧК бывший правитель Османской империи Энвер Паша. <http://ya-turk.ru/interesnye-fakty/chto-delal-v-chk-byvshii-pravitel-osmanskoi-imperi-yenver-pasha.html>.

§5.4. ავღანეთი – „კომუნისტური ინდოეთის“ ბასალაბი

თურქესტანში განვითარებულ „რევოლუციურ პროცესებთან“ ორგანულადაა დაკავშირებული ავღანეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესები. თუმცა, ცენტრალურ აზიასთან შედარებით, აქ არსებული პოლიტიკური მდგომარეობა გაცილებით უფრო რთული და მრავალწახნაგოვანი იყო. უპირველეს ყოვლისა, ის გარემოება უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური სცენის აქტიურ მოთამაშეს აქ მსოფლიოს ნომერ პირველი იმპერია – დიდი ბრიტანეთი წარმოადგენდა. მასთან ჭიდილის პროცესში კი რუსმა ბოლშევიკებმა ავღანეთი ინტრიგების, ერთობ დახვეწილი პოლიტიკური თამაშებისა და აგენტურული მუშაობის პოლიგონად აქციეს. ამ პოლიტიკურ ინსინუაციებში რუსი ბოლშევიკები ანტიბრიტანული ძალების მხარდაჭერაზე აკეთებდნენ გარკვეულ გათვლებს.

ავღანეთის ანტიბრიტანული პოლიტიკური და რელიგიური წრეებისა და ბოლშევიკების თანამშრომლობის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში საბჭოელთა შუაზიური დიპლომატიის დიდ საიდუმლოს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობის მიერ აღმოსავლელი ნაციონალისტების მხარდაჭერა რევოლუციურად ხვდებოდა მსოფლიო საზოგადოებისა და უცხოელ მკვლევართა ყურადღების ცენტრში. უკანასკნელ წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყებებისა და სპეცსამსახურების ფონდების გახსნამ სამეცნიერო წრეებს საშუალება მისცათ, შეესწავლათ დახურული თემები და პასუხები გაეცათ აქამდე უპასუხო კითხვებისათვის. პირველ რიგში, ეს დიდი სახელმწიფოების მიერ XX საუკუნის პირველ მეოთხედში შუა აზიაში გატარებულ პოლიტიკას ეხება.

როგორც არაერთხელ ვახსენეთ ზემოთ, შუა აზიის „სოვეტიზაციის“ შემდეგ რუსეთის სამხრეთული ექსპანსიის მორიგ სამიზნეს ინდოეთი წარმოადგენდა. სწორედ ინდოეთის დაპყრობით უნდა აღსრულებულიყო „რევოლუციურ მესიანიზმზე“ დაფუძნებული რუსულ-ბოლშევიკური იდეის ალბათ ყველაზე უფრო სანუკვარი ოცნება – „თბილ ზღვებზე“, ანუ ინდოეთის ოკეანეზე გასასვლელის მოპოვება. მაგრამ „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ იდეით შენიღბულ პროლეტარ მისიონერებს ამ გზაზე ორი დიდი დაბრკოლება ელობებოდათ წინ. პირველი – ავღანეთი და მეორე – ბრიტანული ინდოეთის კოლონიალური ხელისუფლება. მაშინდელი „ბრიტანული ინდოეთი“ კი გაცილებით დიდ ტერიტორიებს მოიცავდა, ვიდრე დღევანდელი ინდოეთია. „ბრიტანულ ინდოეთში“ დღევანდელი ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, შრი-ლანკა, ბუტანი, ნეპალი, ბირმა (მიანმა) და ტაილანდის ნაწილი შედიოდა. თუმცა იმპერია ამაზე გაჩერებას არ აპირებდა. მისი სტრატეგიულ ინტერესთა სფერო ავღანეთზეც ვრცელდებოდა. XIX საუკუნეში იმპერიამ ორჯერ სცადა თავისი აზიური კოლონიების გაფართოება ავღანეთის ხარჯზე, თუმც უშედეგოდ. ბრიტანეთ-ავღანეთის I ომი მთელი ათი წლის განმავლობაში, 1838-1848 წლებში მიმდინარეობდა, მაგრამ ბრიტანეთის იმპერიამ ვერ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა – იგი დამარცხდა, რამაც ძალიან დასცა მისი საერთაშორისო პრესტიჟი. მეორე ომი უფრო ხანმოკლე გამოდგა. იგი 1878-1881 წლებში მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ომსაც არ მოუტანია იმპერიისათვის სასურველი შედეგები. დიდი ბრიტანეთი აქაც იძულებული გახდა უარი ეთქვა ავღანეთის გეგმიურ ოკუპაციაზე და გარკვეულ კომპრომისებზე წასულიყო ამირა აბდურაჰმანთან, რომელმაც შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება საშინაო საქმეებში, თუმც კი სცნო ინგლისის კონტროლის უფლება ავღანეთის საგარეო პოლიტიკაზე.

ცხადია, კრემლის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ არც ავღანეთი და არც „ბრიტანული ინდოეთი“ ადვილად არ აღმოჩნდებოდნენ საბჭოურ ორბიტაზე. ცენტრა-

ლური აზრისაგან განსხვავებით, სადაც ბოლშევიკთა მძლავრს საყრდენს რეგიონის რუსი მოსახლეობა წარმოადგენდა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ მათი და „მუშურ-გლეხური წითელი არმიის“ იმედად ყოფნა ნამდვილად ვერ იქნებოდა სასურველი შედეგების მომტანი. აქ გაცილებით უფრო ფრთხილი მოქმედებები და დახვეწილი პოლიტიკური თამაშების წამოწყება იყო საჭირო.

ბოლშევიკებმა ამ ორი დაბრკოლების, ავღანეთისა და ბრიტანული ინდოეთის კოლონიური ხელისუფლების ერთმანეთთან დაპირისპირებით კარგად ისარგებლეს და რუსული „ცივი ომის“ ნაცადი სტრატეგიის დახვეწილი მეთოდებით ამ დაპირისპირების გაღრმავებას შეუდგნენ. მათ ჩანაფიქრს ე.წ. „წინააღმდეგობათა ერთიანობის“ თეორიის გათამაშება წარმოადგენდა. ეს თეორია ძველი ჩინური ტრაქტატებიდან მოდის და სხვანაირად მას „ინისა“ და „იანის“ თეორია ეწოდება. ამ ფილოსოფიის მიხედვით, „ინი“ და „იანი“ მთელის ნაწილებია, ისინი ყოვლისმომცველი, საწინააღმდეგო პოლუსებია. ესაა ქალი და მამაკაცი, სინათლე და სიბნელე, სიცხე და სიცივე, მშვიდობა და აგრესია. მათი ურთიერთქმედება უსასრულოა. ესაა თეზა და ანტითეზა, საიდანაც წარმოიქმნება სინთეზი. ამ თეორიის უმნიშვნელოვანესი პოსტულატი კი შემდეგ ერთ ფრაზაში შეგვიძლია წარმოვადგინოთ – „სადაც ძლიერებაა, იქვეა სისუსტე და პირიქით“. მათი ძე-დუნმა მოგვიანებით კიდევ უფრო დააკონკრეტა ეს თეორია და იგი პარტიზანული ბრძოლის მეთოდის სახელით შეუხამა. მათ ამბობდა: „პარტიზანული მოძრაობის სისუსტეა ის, რომ ისინი მცირე ჯგუფებად მოქმედებენ. მაგრამ ამავე დროს, იმის გამო, რომ პარტიზანების რიცხვი მცირეა, ისინი სწრაფად და შეუმჩნევლად გადაადგილდებიან მტრის ზურგში... შესაბამისად, მათი მოქმედებებიც ძალიან ეფექტურია“.⁵⁴⁸

ავღანეთთან და ინდოეთთან მიმართებაში ბოლშევიკებმაც სწორედ „დაპირისპირებული ერთიანობის“ დიდი სტრატეგიის გატარება ჩაიფიქრეს, რომელიც რუსული „ცივი ომის“ სცენარით უნდა წარმართულიყო. კრემლის მესვეურთა ამ ჩანაფიქრის განხორციელება კი 1919 წლის დასაწყისისათვის ავღანეთში განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა. 21 თებერვლის ღამეს, ჯელალაბადთან ახლოს, დაუდგენელმა პირებმა ავღანეთის ამირა, ხაბიბულა ხანი მოკლეს. ავღანეთში დროებითი ორხელისუფლებიანობა დამყარდა – ჯელალაბადში ახალ მმართველად მოკლულის ძმა, სარდალი ნასრულა ხანი გამოცხადდა, დედაქალაქში კი ტახტის ფლობაზე პრეტენზიები ამირას შვილმა, 26 წლის ამანულა ხანმა განაცხადა. ხელისუფლებისათვის ხანმოკლე ბრძოლაში გამარჯვება ამანულა ხანმა მოიპოვა, მას ქაბულის სამხედრო გარნიზონმა და ქვეყნის ყველაზე გავლენიანმა პუშტუნთა ტომების ბელადებმა დაუჭირეს მხარი. ამგვარად, ამანულა ხანი ავღანეთის ახალი ამირა გახდა, ხოლო ბიძამისი, ნასრულა ხანი, ჩამოახრჩვეს.

27 თებერვალს ახალმა ამირამ ხალხისადმი მიმართვაში შემდეგ ძირითად მომენტს გაუსვა ხაზი: „ავღანეთი თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს. იგი ყველა იმ უფლებით უნდა სარგებლობდეს, რითაც სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოები სარგებლობენ“. და უკვე 3 მარტს ამანულა ხანმა, ლორდ ჩელმსფორდს, ინდოეთის ვიცე-მეფეს ნოტა გაუგზავნა, რომლითაც მას ატყობინებდა ავღანეთში მომხდარი მოვლენების შესახებ, ბოლოს კი მოახსენებდა, რომ „ავღანეთის დამოუკიდებელი და თავისუფალი მთავრობა“ მზად იყო, ინგლისთან დაედო ისეთი ტიპის ხელშეკრულება, რომელიც ორივე მხარისათვის იქნებოდა სასარგებლო.⁵⁴⁹ ამ დოკუმენტში გარკვეული სახის „ეშმაკობები“ იყო ჩადებული. მიმართვაში საუბარი იყო „ავღანეთის დამოუკიდებელ და თავისუფალ მთავრობაზე“ და არა „დამოუკიდებელ და თავისუფალ ავღანეთზე“.

⁵⁴⁸ მათი ძე-დუნის პარტიზანული ბრძოლა. სამხედრო ბიბლიოთეკა. თბილისი. 2007. გვ. 61.

⁵⁴⁹ Станислав Тарасов, Дмитрий Ермолаев. Как Троицкий в Афганистан ходил. Забытые страницы истории „Большой Игры“. Малоизвестные страницы внешней политики первых лет советской власти. Российские вести, №13 за 1-8 апреля 2009.

თუმცა ეს „ეშმაკობა“ ლორდ ჩელმსფორდისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ხოლო როდესაც ლონდონისთვის ცნობილი გახდა ამანულა ხანის მიმართვა ავღანელი ხალხისადმი, რომელშიც იგი „თავისუფალ და დამოუკიდებელ“ ავღანეთზე საუბრობდა, ლონდონი გადამწყვეტი ზომების გატარებას შეუდგა.

1919 წლის 3 მაისს ინგლის-ავღანეთის ახალი, უკვე მესამე ომი დაიწყო.

ხელისუფლების სათავეში მოსული ახალგაზრდა ამანულა ხანი არ იყო მზად სახელმწიფოს მართვისათვის, თუმცა მონდომებით მიისწრაფოდა ამისაკენ თავისი ამბიციური ხასიათიდან გამომდინარე. მას გულწრფელად სურდა, რომ ქვეყნის სასიკეთოდ შეეცვალა რამე, მაგრამ ეს გზა ნამდვილად არ იყო ია-ვარდით მოფენილი. ახალი იდეების გენერატორი კი, მისი სიმამრი, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, მაჰმუდ ბეგ თარზი⁵⁵⁰ იყო, ცნობილი ინტელიქტუალი, განმანათლებელი და რევორმატორი, „ახალგაზრდა თურქთა“ იდეების დიდი პროპაგანდისტი. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ამირამ ვერ შეძლო, უნარიანად გამოეყენებინა თავისი ძალაუფლება და ავღანეთი თანამედროვე, მოდერნისტულ ქვეყნად გარდაექმნა. კომენტატორების აზრით, ამანულა ხანის სერიოზულ შეცდომას, განსაკუთრებით, მმართველობის პირველ წლებში, მის მიერ ტომობრივი ფაქტორის გაუთვალისწინებლობა და ზოგადად ქვეყნის მართვისადმი გულუბრყვილო და რომანტიკული მიდგომა წარმოადგენდა.⁵⁵¹

ამანულა ხანის ამბიციური და წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, მისთვის უცხო არ იყო სხვისი აზრებისა და არგუმენტების იგნორირება, თუმცა მან შეგნებულად თუ შეუგნებლად სწორად განსაზღვრა თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ამანულა ხანის ხელისუფლებაში მოსვლის გარემოებებმა და I მსოფლიო ომის ექიმ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ავღანეთის ამირას საგარეო პოლიტიკური პრობლემების მიმართ პრიორიტეტული ხედვების ჩამოყალიბებაში.⁵⁵²

საბჭოთა და მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ავღანეთის 20-იანი წლების ისტორია, როცა სახელმწიფოს სათავეში ახალგაზრდა ამირა, ამანულა ხანი იდგა, უკიდურესად წინააღმდეგობრივად ფასდება. არავინ არ დაობს ამანულა ხანის რევორმატორული პოტენციალის შესახებ, მაგრამ ბევრი მკვლევარი მიუთითებს იმ ზიგზაგებისა და ჩავარ-

⁵⁵⁰ მაჰმუდ ბეგ თარზი (1865-1933) – ავღანელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, „ახალგაზრდა ავღანელთა“ იდეოლოგიური ლიდერი. პოლიელოტი. ფლობდა პუშტუს, ფარსის, თურქულ, არაბულ, ურდუს და ფრანგულ ენებს. დაიბადა პუშტუნ სარდლის ოჯახში. თავისი ანტიმონარქისტული შეხედულებების გამო 1881 წელს ავღანეთიდან გააძევა ამირა აბდურახმანმა. თავი შეაფარა ოსმალეთის იმპერიას, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1901 წლამდე. ამირას გარდაცვალების შემდეგ, 1902 წელს, ბრუნდება ავღანეთში და აგრძელებს აქტიურ პუბლიცისტურ და ჟურნალისტურ მოღვაწეობას. 1908 წელს ოსმალეთის იმპერიაში მომხდარი ე.წ. „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის შემდეგ იზიარებს იტიჰადისტთა იდეოლოგიას. ახლოს იყო ამირა ხაბიბულას კართან. მისი ქალიშვილი ცოლად მოიყვანა ამირას ვაჟმა, პრინცმა ამანულამ. მისი რედაქტორობით ავღანეთში დასაბამი მიეცა გაზეთ „ახალი ამების“ გამოცემას, რომელიც „ახალგაზრდა ავღანელთა“ იდეებისა და მოძრაობის პოპულარიზაციას ეწეოდა. ხაბიბულა ხანის მოკვლის შემდეგ ავღანეთის ხელისუფლების სათავეში ამანულა ხანი მოდის, თარზის სიძე. თარზი ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრად ინიშნება. ეს თანამდებობა მას 1919-1921 და 1924-1927 წლებში ეკავა. მისი მინისტრობისას საბჭოთა რუსეთმა სცნო ავღანეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1921 წლის თებერვალში. იგი ხელმძღვანელობდა ავღანეთის დელეგაციას სამშვიდობო მოლაპარაკებებზე დიდ ბრიტანეთთან, რომელიც 1920 წელს მისურში და 1921 წელს ქაბულში გაიმართა. მაჰმუდ ბეგ თარზის თაოსნობით გაიხსნა ავღანეთის საელჩოები ლონდონში, პარიზსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. 1922-1924 წლებში იყო ავღანეთის ელჩი საფრანგეთში. ამანულა ხანის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, ისევე როგორც ამანულა ხანის ოჯახი, 1929 წელს იძულებული გახდა დაეტოვებინა ავღანეთი და ემიგრაციაში წასულიყო. თავს აფარებდა თურქეთს. გარდაიცვალა 1933 წელს. დაკრძალულია სტამბოლში.

⁵⁵¹ В. С. Бойко. Внешнеполитический курс Амманула-хана в Афганистане в начале 1920-х годов - среднеазиатское направление. Барнаульский государственный университет. Стр. 108-109. <http://new.hist.asu.ru/biblio/vost/12.pdf>.

⁵⁵² В. С. Бойко. Внешнеполитический курс Амманула-хана в Афганистане в начале 1920-х годов - среднеазиатское направление. Барнаульский государственный университет. Стр. 108-109. <http://new.hist.asu.ru/biblio/vost/12.pdf>.

დნების შესახებ, რაც იმდროინდელი ავღანეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში შეინიშნებოდა.⁵⁵³

თავისი მმართველობის საწყის ეტაპზე ამანულა ხანის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას პანისლამიზმი წარმოადგენდა ცენტრალური აზიის სხვადასხვა ეთნო-პოლიტიკური და რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობების მხარდაჭერის ფორმით, რომელიც შუააზიური კონფედერაციის შექმნით უნდა დასრულებულიყო. ამ მიმართებაში ცალსახად იკვეთება მისი სიმამრის, მაჰმუდ ბეგ თარზისა და „ახალგაზრდა თურქთა“ იდეოლოგიის ზეგავლენა. ამ კონფედერაციაში მოიაზრებოდა ხივისა და კოკანდის სახანოების, ბუხარის საამიროსა და საკუთრივ ავღანეთის ჩართვა. უკვე 1919 წლის დეკემბერში ავღანეთის ახალმა ხელისუფლებამ კავშირები დაამყარა ფერღანელი ბასმაჩების ლიდერთან, მადამინ ბეგთან, ანუ კურსი ანტისაბჭოთა ოპოზიციის მხარდაჭერაზე აიღო. ამავე დროს (ძირითადად, კულუარულად) ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა რუსეთს, რაც სხვა არაფერს წარმოადგენდა, თუ არა ავღანეთის ჩრდილოეთ საზღვრის გადაწევას რკინიგზის ხაზის გასწვრივ.⁵⁵⁴ ეს კი ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენდა რუსი ბოლშევიკებისათვის. საქმე იმაშია, რომ თურქესტანის საბჭოთა რესპუბლიკის საფუძველსა და ხერხემალს, რომელიც გეოპოლიტიკურად კრავდა რუსეთის ერთიანობის მომხრე ელემენტებს, თურქესტანის სარკინიგზო მაგისტრალი წარმოადგენდა, რომლის გასწვრივაც განლაგებული იყო მრავალრიცხოვანი რუსული მოსახლეობით დასახლებული ქალაქები.

თუმცა მანამდე, ჯერ კიდევ 1919 წლის 7 აპრილს, ამანულა ხანი წერილს უგზავნის ლენინს, სადაც გამოთქვამს სურვილს ავღანეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის „კავშირისა და მეგობრობის“ დამყარების შესახებ. წერილში ნათქვამი იყო: „მიუხედავად იმისა, რომ დღიდან გაჩენისა, თავისი სულითა და ბუნებით ავღანეთი ყოველთვის იყო თავისუფლებისა და თანასწორობის მომხრე, მაგრამ იმის გამო, რომ სხვა სახელმწიფოებთან და ხალხებთან არ ჰქონია ურთიერთობები, განზე რჩებოდა. იმდენად, რამდენადაც თქვენ და კაცობრიობის მეგობარი სხვა ამხანაგები, საყოველთაო მშვიდობისათვის ზრუნავთ და გამოაცხადეთ მსოფლიოს ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპი, პირველად თავისუფლებისათვის მებრძოლი ავღანელი ხალხის სახელით, ბედნიერი ვარ გამოვიგზავნოთ ეს მეგობრული შემოთავაზება“.⁵⁵⁵

ამანულა ხანის ეს გზავნილი დიდი სიხარულით მიიღეს კრემლში. მით უმეტეს, რომ ინგლის-ავღანეთის ახალი ომის დაწყება ბოლშევიკთათვის დიდი შანსი იყო ავღანეთის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, რომლის ხელიდან გაშვებაც არ შეიძლებოდა. მოსკოვმაც არ დააყოვნა. სასწრაფოდ გადაწყდა, ქაბულში შესაბამისი რწმუნებებით აღჭურვილი საბჭოთა წარმომადგენლობა გაგზავნილიყო, რომელიც ინტენსიურად იმუშავებდა ამანულა ხანთან და მის მთავრობასთან ანტიბრიტანული პოლიტიკის განსახორციელებლად. ამავე დროს, საქმეში „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ მთავარი შტაბი – „კომინტერნიც“ ჩაერთო. როგორც ლიპეცკის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, იური ტიხონოვი აღნიშნავს, „ავღანეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ და პუშტუნთა ტომების შეიარაღებულმა გამოსვლებმა ნოყიერი ნიადაგი შექმნა იმისათვის, რომ სხვადასხვა ანტიბრიტანული აქციები დაწყებულიყო ქაბულში და ავღანეთ-

⁵⁵³ В. С. Бойко. Афганистан на начальном этапе независимого развития (1920-е годы): центрально-азиатский контекст внутренней и внешней политики// Афганистан и безопасность Центральной Азии. Вып. 1, Бишкек, 2004. Стр. 108. <http://uni-altai.ru/Res/orient/proj/knyasev.html>.

⁵⁵⁴ დასახელებული ნაშრომი. გვ. 111.

⁵⁵⁵ Станислав Тарасов, Дмитрий Ермолаев. Как Троцкий в Афганистан ходил. Забытые страницы истории „Большой Игры“. История: факты и документы. 2009. Источник: Российские вести, №13 за 1-8 апреля 2009. <http://pda.warandpeace.ru/ru/news/view/34183/>.

ინდოეთის საზღვრებზე. საბჭოთა რუსეთი შეეცადა, გამოეყენებინა ეს მდგომარეობა და ავღანეთის დახმარებით ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში „რევოლუციური ბაზა“ შეექმნა. ფაქტიურად, საუბარი მიდიოდა პუშტუნთა ტომების პროვოცირებაზე ბრიტანელთა წინააღმდეგ მათი მძლავრი შეიარაღებული გამოსვლებისათვის“.⁵⁵⁶

ნათელია, რომ ავღანეთთან მიმართებაში კრემლში მჯდომ ლენინსა და „საყოველთაო მშვიდობისათვის მზრუნველ და კაცობრიობის მეგობარ სხვა ამხანაგებს“ სულ სხვა მიზნები და სულ გეგმები ჰქონდათ დასახული. რეალობა ისაა, რომ 1919 წლიდან ცენტრალურ აზიაში „დიდი თამაშის“ ახალი ტალღა აგორდა, ოღონდ უკვე სხვა, რევოლუციური ლოზუნგით. ამავე დროს კომინტერნმა საბჭოთა მთავრობის დახმარებით დიდი მუშაობა გააჩაღა ავღანეთსა და ინდოეთში „რევოლუციების“ ორგანიზების მიზნით, რაც მსოფლიო რევოლუციის „აღმოსავლეთის ფრონტის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალა“.

ფაქტია, რომ საბჭოთა რუსეთი შეეცადა, გამოეყენებინა ავღანეთ-ინდოეთის საზღვარზე არსებული ფეთქებადსაშიში მდგომარეობა და ამ მიზნით პუშტუნთა ტომების შეიარაღებული აჯანყების მოწყობას შეეცადა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. აქ საერთო ინტერესები გამოიკვეთა. 1919 წელს ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სამხედრო ხასიათის ხელშეკრულება დაედო ავღანეთთან ინგლისის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ, ამანულა ხანს ესაჭიროებოდა მოკავშირეების მოძებნა ბრიტანული იმპერიის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, 1919 წლის დასაწყისში ამანულა ხანმა მოსკოვში თავისი პირადი წარმომადგენელი, მუჰამედ ბარაკატულა⁵⁵⁷ გააგზავნა. ამავე დროს, ტაშკენტში ავღანეთის პირველი საბჭოთა წარმომადგენლობა ჩამოვიდა ნიკოლაი ბრავინის ხელმძღვანელობით.

ბარაკატულა და ბრავინი თავის პირველხარისხოვან ამოცანად ბრიტანეთისათვის ინდოეთში მძლავრი დარტყმის მიყენებას ისახავდნენ. მომავალ საბჭოურ-ავღანური ხელშეკრულების დადებას ისინი განიხილავდნენ, როგორც „დიდი თამაშის“ შემდგომ ეტაპს ცენტრალურ აზიაში. ასე მაგალითად, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ბრავინი წერდა: „რუსეთის ისტორია ნათელი დადასტურებაა რუსეთის აღმოსავლეთისაკენ, და კერძოდ, შუა აზიისა და ინდოეთისაკენ სწრაფვისა. ბელისწერა ინდოეთისაკენ იზიდავდა ცარისტულ რუსეთს, იგივე მდგომარეობაა ახლაც. ზუსტად ინდოეთში უნდა გადაწყდეს მსოფლიო საკითხები, რაც რუსეთისა და ინდოეთის შეტაკებით გადაწყდება“.⁵⁵⁸ ნათლად იკვეთება ის აზრიც, რომ მოსკოვმა „სტავლენიკის“ მოსამზადებლად შესაბამისი სამუშაოების ჩატარება დაიწყო. ამ ეტაპზე

⁵⁵⁶ Тихонов Юрий Николаевич. Политика великих держав в Афганистане и пуштунские племена (1919-1945). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Отдел Ближнего и Среднего востока Института востоковедения Российской Академии наук. Москва. 2008. <http://referatnote.ru/vneklassnaya-rabota/obrazovanie/politika-velikih-derzhav-v-afganistane-i-pushtunskie-plemena-1919/>.

⁵⁵⁷ მუჰამედ ბარაკატულა (1868-1927) – ინდოელი რევოლუციონერი, ინდოეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პანისლამისტი. განათლება მიიღო ბომბეისა და ლონდონში. 1907 წლიდან ემიგრაციაშია. 1909-1914 წლებში ტოკოს უნივერსიტეტის პროფესორი. I მსოფლიო ომის დროს ინდოეთში მოქმედი რევოლუციური პარტია „გადრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1915 წლიდან ქაბულში განთავსებული „ინდოეთის დროებითი მთავრობის“ თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი. 1919 წელს ამანულა ხანმა გაგზავნა მოსკოვში ლენინთან ბრიტანელების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების მიღების მიზნით. მისმა რევოლუციურმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერის ჯავაჰარლალ ნერუს რევოლუციური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. 1927 წელს მონაწილეობას იღებს ბრიუსელში გამართულ ინდური ლიგის კონფერენციაში. იმავე წელს რევოლუციური აგიტაციების ჩასატარებლად მაჰანდრა პრატაბთან ერთად მიემგზავრება აშშ-ში. გარდაიცვალა 1927 წლის 20 სექტემბერს, სან-ფრანცისკოში. მოგვიანებით მისი ცხედარი გადაასვენეს საკრამენტოში.

⁵⁵⁸ Тихонов Юрий Николаевич. Политика великих держав в Афганистане и пуштунские племена (1919-1945). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Отдел Ближнего и Среднего востока Института востоковедения Российской Академии наук. Москва. 2008. <http://referatnote.ru/vneklassnaya-rabota/obrazovanie/politika-velikih-derzhav-v-afganistane-i-pushtunskie-plemena-1919/>.

„სტავლენიკად“ სწორედ ამანულა ხანი მოიაზრებოდა – ავღანეთის ახალგაზრდა, ამბიციური, მაგრამ პოლიტიკურად გამოუცდელი მონარქი.

ბარაკატულა ლენინს სთავაზობდა, შეეკრა ამანულა ხანთან კავშირი „ინდოეთში ბრიტანელთა ბატონობის წინააღმდეგ“. ამ მიზნით მან სთხოვა, ქაბულისათვის გამოეყოთ მილიონი ფუნტი სტერლინგი ინგლისელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი აზრით, ავღანეთს შეუერთდებოდნენ მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრები პუშტუნთა ტომებიც, რაც გარდაუვალს გახდიდა ინდოეთში რევოლუციის მოხდენას. იმ მომენტისათვის, რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის პირობებში ლენინმა ვერ შეძლო აღნიშნული დახმარების გაწევა. თუმცა ბარაკატულას გეგმებმა ძალიან აღაფრთოვანა ტროცკი, რომელმაც დაუყოვნებლივ მოითხოვა აზიაში მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ახალი „ფრონტის“ გახსნა.

1919 წელს საბჭოთა რუსეთმა და კომინტერნმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს მსოფლიო რევოლუციის „აღმოსავლეთის ფრონტის“ გახსნის თაობაზე. ამ გეგმის შემადგენელ ნაწილს ინდოეთში წითელი არმიის შეჭრა წარმოადგენდა.

მაგრამ ამასობაში თვით ავღანეთში სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. ეს თანაბრად ეხებოდა როგორც ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, ასევე ქვეყნის მიერ გატარებულ საგარეო კურსს. 1919 წლის ივლისში ინგლის-ავღანეთის უკვე მესამე, ამ ქვეყნებს შორის არსებულ შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის ყველაზე ხანმოკლე ომი დასრულდა. დიდი ბრიტანეთი ისევ დამარცხდა და 8 აკვისტოს სამშვიდობო ხელშეკრულებასაც მოეწერა ხელი. ამით ავღანეთსა და ინგლისს შორის არსებული თითქმის საუკუნოვანი სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტების სერია დასრულდა. ინგლისი იძულებული გახდა, ავღანეთის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ელიარებინა. ავღანეთ-ინგლისის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები დასტაბილურდა. შესაბამისად, ამანულა ხანის ანგლოფობიური საომარი განწყობებიც გაქრა. ახალგაზრდა ამირამ შემდეგი ხასიათის მიმართვა გაუგზავნა საზღვრისპირა ზოლში მცხოვრებ პუშტუნთა ტომებს:

ავღანეთის ამირას, ამანულა ხანის მოწოდება
საზღვრისპირა ტომებს

ო, ჩემო გმირო, მამაცო, სასიქადულო და სახელოვანო საზღვრისპირას მცხოვრებო ძმებო. ჩვენი რელიგიისა და ქვეყნის მტრებთან ბრძოლის სახელოვანი საქმეები კიდევ ცოცხლობენ ჩემში. თქვენს ფიცს საკუთარი ღირსებისა და ქვეყნის ღირსების დასაცავად, რომელსაც მთელი სიცოცხლე მიუძღვენი, აღფრთოვანებაში მოგყავარ. ჩემსა და სხვა ქვეყანას (ინგლისს – ა. ჩ.) შორის განხეთქილების ვაშლს სასაზღვრო საკითხის გადაჭრა წარმოადგენდა. დიდი ფიქრის მერე ჩვენ დავდეთ დროებითი სამწლიანი ზავი. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარე იძულებული გახდა, ელიარებინა ჩემი უპირატესობა. მე ძალიან ნათლად და არაორაზროვნად გავაგებინე მოწინააღმდეგეს, რომ ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ სასაზღვრო ზოლში, ჩემს სისხლისმიერ ნათესავებს წარმოადგენენ. მათი ჩვენგან მოწყვეტა არაფრით არ შეიძლება. და მანამ, სანამ ისინი არ დაკმაყოფილდებიან მოწინააღმდეგე მხარის კარგი ქცევით, მშვიდობა აზრს კარგავს. შემდგომმა სამმა წელმა უნდა დაგვანახოს, სურს და შეუძლია თუ არა მოწინააღმდეგე მხარეს ჩემთან მშვიდობიანი თანაარსებობა. თუ მტერი არ გატეხს თავის სიტყვას და ნამდვილად უნდა მშვიდობიანი ცხოვრება, მაშინ მშვიდობა ხანგრძლივი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ისევ მოგვიწევს კონფერენციის მოწვევა ჩვენი შემდგომი მოქმედებების დასაგეგმად.

ამიტომ გთხოვთ, დაამყაროთ მტერთან მშვიდობიანი ურთიერთობები ამ სამი წლის განმავლობაში. თავად თქვენ კი ერთმანეთს ისე მოექცით, როგორც ეს მოსი-

ყვარულე ძმებს შეეფერებათ. მე შევთხოვ ალაჰს თქვენს კეთილდღეობასა და უკეთეს მომავალს. ჩემი ცხოვრების არსსა და ამოცანას კი თქვენი ყოფითი პირობების გაუმჯობესებაში ვხედავ.

გაუმარჯოს ავღანეთის შავ დროშას!⁵⁵⁹

როგორც წარმოდგენილი მიმართვის ტექსტიდან ჩანს, ამანულა ხანის ომის შემდგომი დამოკიდებულება ინგლისთან მიმართებაში და მისი საგარეო კურსი სრულიად პაციფისტური იყო. თუმცა ლენინისა და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის სხვა ბელადების საბრძოლო შემართებაზე ინგლის-ავღანეთის მესამე ომის დასრულებასა და მეომარ მხარეთა შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას დიდი გავლენა არ მოუხდენია. ისინი წინანდებურად იმედოვნებდნენ, რომ ინგლის-ავღანეთის ახალი ომის პროვოცირებას შეძლებდნენ, რასაც დაუყოვნებლივ მოყვებოდა წითელი არმიის შენაერთების ინდოეთში შეჭრა. კრემლის მესვეურები მაინც არ კარგავდნენ იმედს, რომ შეძლებდნენ ავღანეთის ჩათრევას ბრიტანელებთან ახალ ომში. დასახული გეგმის შესაბამისად, 1919 წლის 14 ოქტომბერს ქაბულში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენელი იაკობ სურიცი⁵⁶⁰ და მისი თანმხლები პირები ჩამოდიან, კერძოდ, ინდოელ ნაციონალისტთა ლიდერები – „ინდოეთის დროებითი მთავრობის პრეზიდენტი“ მაჰენდრა პრატაპი⁵⁶¹, და ე.წ. „მთავრობის წევრები“ – აბდურ რაბი და აჩარია. მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ინდოელ რევოლუციონერთა ორგანიზება ავღანეთში და პუშტუნთა ტომების წაქეზება ბრიტანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.⁵⁶²

ისევე, როგორც ყველგან, აქაც, ავღანეთის შემთხვევაშიც, მოსკოვის „დიპლომატიურ ბარგში“ ინდოეთის „დროებითი მთავრობის“ წევრებიც იყვნენ გამწვებულნი. იმავე წლის 16 ოქტომბერს კი ლენინმა ტაშკენტში დირექტივა გააგზავნა, რომლის მიხედვითაც თურქესტანის საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას დაევალა, „სასწრაფოდ შეემნათ თუნდაც მცირე, მაგრამ დამოუკიდებელი ბაზა, მოეგვარებინათ ვაზნების დამზადების საქმე, გაერემონტებინათ იარაღი და საბრძოლო აღჭურვილობა, მოეპოვებინათ ქვანახშირი, ნავთობი და რკინა“. გარდა ამისა, თურქესტანის ფრონტის

⁵⁵⁹ РГАСПИ. Ф.544. Оп. 4. Д. 8. Л. 128. Машинописная заверенная копия. http://book.e-reading-lib.org/chapter.php/90908/91/Tihonov_Afganskaya_voina_Stalina_Bitva_za_Central%27.nuyu_Aziyu.html.

⁵⁶⁰ იაკობ ზახაროვიჩ სურიცი (1882-1952) – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აქტიური მონაწილე, საბჭოთა დიპლომატი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. 1902 წლიდან რევოლუციურ მოღვაწეობაში ერთვება. რსდმპ წევრი 1903 წლიდან. 1907 წელს აპატიმრებენ და ასახლებენ ტობოლსკის გუბერნიაში, საიდანაც ბრუნდება 1910 წელს. რსდმპ(ბ)-ის წევრი 1917 წლიდან. სწავლობდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სახელმწიფო-საზოგადოებრივ განყოფილებაზე. ბერლინის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს სახელმწიფო სამართალში. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ბრუნდება რუსეთში და იწყებს აქტიურ პარტიულ და დიპლომატიურ მოღვაწეობას. 1918 წლიდან აქტიურ დიპლომატიურ სამსახურშია. 1918-1947 წლებში იყო რუსეთის ფედერაციის, შემდეგ კი – საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დანიაში, ავღანეთში, ნორვეგიაში, თურქეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ერთა ლიგაში, ბრაზილიაში. 1940 წლის 19 მარტს საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადა „პერსონა ნონ-გრატად“. 1948 წლიდან პენსიაშია. გარდაიცვალა 1952 წელს. დაკრძალულია მოსკოვში.

⁵⁶¹ მაჰენდრა პრატაპი (1886-1976) – ინდოელი რევოლუციური და პოლიტიკური მოღვაწე, ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1914 წლიდან ემიგრაციაშია. ანტიბრიტანული მოძრაობის ორგანიზების მიზნით იმავე წელს რამდენჯერმე შეხვდა კაიხერ ვილჰელმ II-ს, ხოლო შემდეგ წელს – სულთან მეჰმედ V-ს. 1915 წლიდან „ინდოეთის დროებითი მთავრობის“ პრეზიდენტი. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1918-1919 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საბჭოთა რუსეთში. ინდოეთში რევოლუციის ორგანიზების მიზნით ცდილობდა მოეპოვებინა საბჭოთა პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერა. რევოლუციურად ხვდებოდა ლენინს და ბოლშევიკთა სხვა ლიდერებს. 1921 წლიდან იმყოფებოდა ავღანეთში. II მსოფლიო ომის დასრულებისა და ინდოეთის დამოუკიდებლის მოპოვების შემდეგ შემდეგ ბრუნდება სამშობლოში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1976 წელს.

⁵⁶² Докладная записка «Революционно-индийская ассоциация» (без подписи) // АПВ РФ. Ф. 090. 1921. Оп. 4. П. 2. Д. 4. Л. 9.

სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრსა და თურქკომისიის თავმჯდომარეს, შალვა ელიაშვილს ებრძანა, „ინდოეთის გავლით“ დაემყარებინა „არქი-კონსპირაციული“ (ლენინის საყვარელი გამოთქმა) კავშირები სამხრეთის ქვეყნებთან. თავად ამანულა ხანთან კი ლენინი შემდეგი შინაარსის წერილს აგზავნის:

ავღანეთის ამირას, ამანულა ხანს

1919 წლის 27 ნოემბერი

„მის აღმატებულებას, ავღანეთის ამირას

მივიღე თქვენი აღმატებულების ძვირფასი წერილი თქვენი საგანგებო ელჩის, ღრმად პატივცემული მუჰამედ ვალი ხანისაგან. ვჩქარობ მადლობა მოგახსენოთ სალამისა და იმ სურვილისათვის, რომ დამყარდეს მეგობრობა დიდ რუს და ავღანელ ხალხებს შორის.

ავღანელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის სახელოვანი ბრძოლის პირველივე დღეებში რუსეთის მუშურ-გლეხურმა მთავრობამ დაუყოვნებლივ აღიარა ავღანეთში დამყარებული ახალი წესრიგი, მისი სრული დამოუკიდებლობა და გამოგზავნა თავისი საელჩო მოსკოვსა და ქაბულს შორის მუდმივი და ძლიერი კავშირების დასამყარებლად. ამჟამად აყვავებული ავღანეთი წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ დამოუკიდებელ მუსლიმანურ სახელმწიფოს, რომელიც ასრულებს დიდ ისტორიულ ამოცანას, თავის გარშემო შემოიკრიბოს ყველა დამონებული მუსლიმანური ხალხები და დააყენოს ისინი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე.

რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობა ავალებს თავის საელჩოს, მოლაპარაკებები აწარმოოს ავღანელ ხალხთან სავაჭრო და სხვა ურთიერთობების დასამყარებლად, რომლის მიზანს არა მარტო კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება წარმოადგენს ორ ხალხს შორის, არამედ ავღანეთთან ერთობლივი ბრძოლის წარმოება მსოფლიოს ყველაზე უფრო მტაცებელ მთავრობასთან, დიდ ბრიტანეთთან, რომლის ინტრიგებიც, როგორც სამართლიანად აღნიშნეთ თქვენს წერილში, აქამდე ხელს უშლიდა ავღანელი ხალხის მშვიდობიან და თავისუფალ განვითარებას.

თქვენს სრულუფლებიან ელჩთან, ღრმადპატივცემულ მუჰამედ ვალი ხანთან საუბრისას შევიტყვე, რომ მზად ხართ, დავიწყოთ მოლაპარაკებები სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ და ასევე ავღანელი ხალხის სურვილზე, მიიღოს რუსი ხალხისაგან სამხედრო დახმარება ინგლისის წინააღმდეგ. მუშურ-გლეხური მთავრობა მზადაა, ეს დახმარება აღმოუჩინოს ავღანელ ხალხს და ამით აღადგინოს სამართლიანობა, რომელიც რუს მეფეთა მთავრობების მიერ იყო გაფუჭებული...“

სოვნარკომის თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი).

1919 წლის 27 ნოემბერი. კრემლი, მოსკოვი.

გამოქვეყნებულია გაზეთ „პრავდაში“ №100, 1928 წლის 29 აპრილი.⁵⁶³

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ არა თუ ამ წერილის შინაარსი, არამედ თავად წერილის არსებობის ფაქტი თითქმის მთელი 10 წლის განმავლობაში იყო დამალული და მკაცრად გასაიდუმლოებული. და აქ გასაკვირიც არაფერია. ხსენებული წერილის შინაარსიც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ნაშრომში, არაფრით არ შეესაბამებოდა საბჭოელთა მიერ შემდგომში არაერთგზის დეკლარირებულ „მშვიდობისმოყვარე საბჭოთა საგარეო პოლიტიკას“. წარმოდგენილ წერილში დაუფარავად და ხმამაღლა ჟღერს ის საომარი ნოტები, რომელიც საბჭოელებისათვის „ბრიტანეთის ინდოეთში“ წამოწყებული ახალი ომისა და ბოლშევიკური ინტერვენციის

⁵⁶³ РГАСПИ. Фонд 2, оп. 1, д. 11873, л 5-6. <http://leninism.su/works/99-v-i-lenin-neizvestnye-dokumenty-1891-1922/3649-pismo-emiru-afganistana-amanulla-xanu.html>.

წინაპირობად უნდა ქცეულიყო, რაზედაც ასე დაულაღავედ ოცნებობდნენ მაშინ ლენინი და მისი თანამოაზრეები.

ფაქტია, რომ ლენინმა ამანულა ხანს შესთავაზა ინგლისის, ამ „მსოფლიოს ყველაზე უფრო მტაცებელი მთავრობის“ წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დაწყება. ავლანეთს კი ამ ბრძოლაში ყოველმხრივ სამხედრო დახმარებას საბჭოთა რუსეთი გაუწევდა. ლენინის აზრით, ამანულა ხანისადმი გაკეთებული შეთავაზება ახალი ავლანურ-ბრიტანული ომის წინაპირობად იქცეოდა, სადაც რუსეთის ჩარევით შესაძლებელი გახდებოდა რევოლუციური ზეგავლენის გაზრდა ინდოეთსა და თავად ავლანეთზე, რაც საბოლოოდ მოაქცევდა მათ საბჭოურ ორბიტაზე. აქედან კი „თბილ ზღვებამდე“, ანუ რუსული იმპერიის საუკუნოვანი ოცნების ასრულებამდე ერთი ნაბიჯი რჩებოდა. ყოველივე ზემოთქმული ნათლად მიუთითებს იმაზეც, რომ ავლანეთის ახალგაზრდა ამირაც არ იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საქმეში.

§5.5. წითლების მარცხი

თავისთავად ცხადია, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ ამანულა ხანმა უარი განაცხადა ბრიტანელებთან ღია კონფრონტაციაზე წასვლაზე და უფრო მოქნილი პოლიტიკური თამაშების გზა აირჩია. მართალია, საბჭოელებთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკებების პროცესი თითქოს ადგილიდან დაიძრა, მაგრამ იგი უსასრულოდ დიდხანს გაგრძელდა. შექმნილ სიტუაციას ამკარად პოლიტიკური მანევრებისა და ინსინუაციების სუნი უდიოდა. ფაქტია, რომ ამანულა ხანსა და მის პოლიტიკურ გუნდს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობებში დროის გაყვანის ტაქტიკა ჰქონდათ არჩეული. უფრო მეტიც, ამ პერიოდში ავლანეთის მონარქი საკუთარი სიმამრის, მუჰამედ თარზისა და „ახალგაზრდა ავლანელთა პარტიის“ ზეგავლენით, ავლანეთის ტერიტორიული ექსპანსიის პროექტსაც არ ივიწყებდა ჩრდილოეთის მიმართულებებზე. და ეს არცაა გასაკვირი. ინგლისელებთან ომში გამარჯვებამ ახალგაზრდა ამბიციურ მონარქს კიდევ უფრო დიდი ამბიციები შესძინა. ამანულა ხანის ეს გეგმები საბჭოელთათვისაც ცნობილი იყო, მაგრამ კრემლის ლიდერები არცთუ უსაფუძვლოდ თვლიდნენ, რომ მოცემული მომენტი სათავის ავლანეთიდან მომდინარე საფრთხეები მინიმალური იყო და არ ღირდა მდგომარეობის შემდგომი დაძაბვა. უმჯობესი იქნებოდა, თუ შექმნილ პრობლემებს შემოვლითი გზებით მოაგვარებდნენ.

„ამანულა ხანის თვითმპყრობელობის იდეა და საშინაო იმპერიალიზმი, რომელიც გულისხმობს ბუხარის, ფერღანისა და თურქესტანის გაერთიანებას ავლანეთის ხელმძღვანელობით, ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამს წყალს. სამხედრო თვალსაზრისით ეს კომბინაცია სახიფათო არ არის – დარწმუნებულნი ვართ, რომ შევძლებთ ეს გეგმები ჩავშალოთ. მაგრამ ეს კომბინაცია თურქესტანსა და მეზობელ ქვეყნებში ჩვენს დეზორგანიზაციას ახდენს“, – ნათქვამი იყო თურქკომისიის მიერ რკპ(ბ) ცეკასადმი

1920 წლის იანვარში გაგზავნილ წერილში.⁵⁶⁴ შალვა ელიავა და თურქკომისიის წევრები თვლიდნენ, რომ ავღანეთის ამ გეგმის ჩასამღებლად საჭირო იყო ჩამოთვლილი ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების იზოლაცია ავღანეთისაგან – ბუხარისათვის „დამოუკიდებლობის“, თურქმენეთისათვის კი – ავტონომიის და ა.შ. მინიჭებით.

მაღე სიტუაცია იცვლება. ამანულა ხანის განწყობებში მეომრულმა ტონებმა იმძლავრეს. შესაბამისად, ავღანეთის საგარეო ურთიერთობების ვექტორებმაც აშკარად აგრესიული ხასიათი მიიღო. კარდინალურად შეიცვალა რუსეთთან დამოკიდებულებაც. 1920 წლის მარტისათვის ავღანეთის მთავრობამ სურიცს ინდოეთზე თავდასხმის გეგმა წარუდგინა. ამ გეგმაში პუშტუნთა ტომებს მთავარი როლი მიეკუთვნათ. ავღანეთის სამხედრო მინისტრი და შემდგომში, 1929 წლიდან ავღანეთის მეფე, მუჰამედ ნადირ ხანი,⁵⁶⁵ პუშტუნთა ტომების კონსოლიდაციის პროცესიდან გამომდინარე, თვლიდა, რომ სწორედ ახლა დადგა ინდოეთისთვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენებისათვის ხელსაყრელი მომენტი. ამ გეგმაში საბჭოელებს შესაბამისი როლი განესაზღვრათ. ნადირ ხანი ითხოვდა, რომ ინდოეთისათვის ავღანეთიდან მიყენებული დარტყმის პარალელურად წითელ არმიას შეტევითი მოქმედებები დაეწყო ხორასნიდან.

თავის მხრივ, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ავღანეთის მთავრობისადმი გასაწევი სამხედრო დახმარების კონკრეტული პუნქტები შეიმუშავა:

რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის
აღმოსავლეთის განყოფილების უფროსის, ა. ნ. ვოზნესენსკის
ცნობა. 20. 05. 1920.

ახლა, როცა დამდგარია ჩვენთვის ხელსაყრელი მომენტი და ქაბულის განწყობები მკვეთრად შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ, მაშინ, როცა ჩვენმა პრესტიჟმა უმაღლეს დონეს მიაღწია, ჩვენს მიერ მიცემული დაპირებების არშესრულებამ კი შეიძლება დაანგრის მთელი ერთი წლის განმავლობაში ჩვენს მიერ წარმოებული მუშაობა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი თვლის, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ ავღანეთსა და საზღვრისპირა ტომებს ქვემოთ მოყვანილი ნუსხით, რომელიც შემუშავებულია ამხ. სურიცის მიერ, ამირა ამანულ ხანისა და საგარეო საქმეთა მინისტრის, მაჰმუდ თარზისთან ერთად.

ჩვენ ვაძლევთ:

⁵⁶⁴ Российский центр хранения и исследования документов новейшей истории (далее — РЦХИДНИ). Ф. 17. Оп. 84. Д. 80. Л. 14–15. <http://new.hist.asu.ru/biblio/vost/12.pdf>.

⁵⁶⁵ მუჰამედ ნადირ ხანი (მოგვიანებით, ავღანეთის მეფედ გახდომის შემდეგ – მუჰამედ ნადირ შაჰი) (1883-1933) – პუშტუნთა ტომის წარმომადგენელი, ავღანეთის სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ამანულა ხანის მმართველობის პერიოდში სამხედრო მინისტრი და შემდგომ, 1929-1933 წლებში ავღანეთის მეფე, ავღანეთის მომდევნო მეფის, მუჰამედ ზაჰირ შაჰის მამა. 1919 წლიდან, ამანულა ხანის ავღანეთის ტახტზე ასვლის შემდეგ – გენერალი. ინგლის-ავღანეთის III ომში ავღანეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, შემდეგ – ავღანეთის სამხედრო მინისტრი. 20-იანი წლების დასაწყისში ავღანეთის ელჩი საფრანგეთში. ამანულა ხანის წინააღმდეგ მოწყობილი წარუმატებელი აჯანყების შემდეგ მდის ემიგრაციაში, ინდოეთში. აქ იგი ინგლისელების მხარდაჭერას მოიპოვებს და ბრუნდება ავღანეთში, სათავეში უდგება პუშტუნთა ტომებს და იწყებს ბრძოლას აჯანყებულების წინააღმდეგ. აჯანყების ჩაქრობისა და ამანულა ხანის ქვეყნიდან გაძევების შემდეგ, 1929 წლის 13 ოქტომბერს თავს აცხადებს ავღანეთის მეფედ. ქვეყანაში იწყება გარკვეული დემოკრატიული რეფორმების გატარება. მისი მეფობის პერიოდში, 1931 წელს, მიიღეს ავღანეთის ახალი კონსტიტუცია, სადაც გათვალისწინებული იყო ადგილობრივი ტომების უფლებები. გამოაცხადა სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტი, თუმცა რეალურად ეკავა პრობრიტანული პოზიციები. თავისი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში დაამყარა მკაცრი მმართველობითი ფორმა, რამაც მკვეთრად გაზარდა მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება. მოკლეს 1933 წელს, ერთ-ერთი საზეიმო ცერემონიის დროს. ნადირ შაჰის მოკვლის შემდეგ ავღანეთის მეფის ტახტზე მისი შვილი, მუჰამედ ზაჰირ შაჰი ავიდა.

1. 1 000 000 მანეთს ოქროთი;
2. 12 აეროპლანს;
3. რადიოსადგურს, რომელიც ჩვენი კონტროლის ქვეშ დარჩება;
4. კუმკა-გერათი-ყანდაარი-ქაბულის სატელეგრაფო ხაზის აღჭურვას სამი წლის განმავლობაში;
5. საზენიტო საშუალებებს;
6. ქაბულის საწარმოებში უკვამლო დენტის წარმოებისათვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობას;
7. საჭირო სამხედრო ტექნიკოსებსა და სპეცებს;
8. 5000 შაშხანას ავღანეთისათვის და 10000 შაშხანას საზღვრისპირა ტომებისათვის;
9. სათათბირო ხმის უფლებით ვუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ ავღანეთის წარმომადგენლებმა განიხილონ ბუხარისათვის კერკი-თერმეზის რკინიგზის სასაზღვრო ხაზის დათმობა;

ჩვენ ვითხოვთ:

1. ინდოეთის საზღვრებთან და დამოუკიდებელი ტომების ტერიტორიებზე ტრანზიტის ხელშეწყობას და ჩვენი ლიტერატურის, აღჭურვილობისა და სხვა მასალების თავისუფალ გაშვებას;
2. ტვირთების თავისუფალ გაშვებასა და ტრანზიტს სპარსეთის საზღვრებისაკენ და იგივეს ვითხოვთ გერათისა და ყანდაარის გავლით ბელუჯისტანში;
3. უკვე არსებული საკონსულოების გარდა, დამატებითი საკონსულოების გახსნას (ინდოეთისკენ მიმავალ გზაზე) მაზარი-შარიფში, მეიმანსა და გერათში, ყანდაარში, ჯელალაბადსა და დაკაში;
4. საკუთარი ტიპოგრაფიის გახსნას ჩვენი გამოცემლობისათვის;
5. საზღვრისპირა ავღანური ტომების მომარაგებას იარაღით არა ავღანეთის შუამდგომლობით, არამედ უშუალოდ ჩვენ მიერ;
6. იმის ოფიციალურ გარანტიებს, რომ ავღანეთი არ მიიღებს ჩვენ წინააღმდეგ მიმართულ არავითარ კომბინაციაში მონაწილეობას.⁵⁶⁶

საბჭოელთა მიერ „ინდური რევოლუციის“ ორგანიზების საქმეში მალე აქტიურად ჩაება კომინტერნიც. ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალთან ერთად საბჭოელების მიერ უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარებაც დაიგეგმა. 1920 წლის ზაფხულისათვის ბოლშევიკების დიდი მხარდაჭერით კომინტერნის მიერ ავღანეთში სამხედრო ოპერაციის ჩატარება დაიგეგმა. ამ გეგმის ხელმძღვანელები კომინტერნის აგენტი მიხაილ ბოროდინი⁵⁶⁷ და ინდოელი კომუნისტი მანაბენდრა როი⁵⁶⁸ იყვნენ. ეს საომარი სამზა-

⁵⁶⁶ Справка Заведующего восточным отделом НКВД А. Н. Вознесенского [1]. 20. 05. 1920 г. РГАСПИ. Ф. 495. Оп. 154. Д. 26. Л. 188—189. Машинописный текст. Подпись в виде инициалов – автограф. http://book-e-reading-lib.org/chapter.php/90908/91/Tihonov_Afganskaya_voينا_Stalina_Bitva_za_Central%27.nuyu_Aziyu.html.

⁵⁶⁷ მიხაილ მარკოვიჩ ბოროდინი (ნამდვილი გვარი – გრუზენბერგი) (1884-1951) – რუსი რევოლუციონერი, ბოლშევიკი, საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, კომინტერნის აგენტი. რსდმ(ბ) წევრი 1903 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის დროს ეწეოდა იატაკქვეშა რევოლუციურ მუშაობას რიგაში. ტამპერფორსის კონფერენციის მონაწილე და რსდმ IV ყრილობის დელეგატი. 1906 წლიდან ემიგრაციაშია, ჯერ ინგლისში, შემდეგ კი – ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1918 წლიდან ლენინის მითითებით იმყოფებოდა შვედეთში. 1919 წელს ინიშნება საბჭოთა რუსეთის კონსულად მექსიკაში. ინდოელ კომუნისტ მანაბენდრა როისთან ერთად მონაწილეობდა მექსიკის კომუნისტური პარტიისა და III ინტერნაციონალის ლათინოამერიკული ბიუროს დაარსებაში. 1919-1922 წლებში მუშაობდა კომინტერნში, იმყოფებოდა საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებში შოტლანდიასა და თურქეთში. 1923 წლის სექტემბრიდან 1927 წლის ივლისამდე გომინდანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკური მრჩეველია ჩინეთში. მისი მეშვეობით დამყარდა კავშირები გომინდანის პარტიასა და ჩინეთის კომუნისტური პარტიებს შორის. 1927 წლიდან საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისიის მოადგილე, 1932-1934 წლებში – ТАСС-ის დირექტორის მოადგილე, 1932 წლიდან – გაზეთ “Moscow News”-ის მთავარი რედაქტორი. 1941-1949 წლებში – Совинформбюро-ს მთავარი რედაქტორი. დააპატიმრეს 1949 წელს „კოსმოპოლიტებთან“ ბრძოლის კამპანიის მსვლელობისას. გარდაიცვალა ლეფორტოვის ციხეში 1951 წელს.

დისი როის მიერ შემუშავებული „ინდოეთის საზღვრებთან სამხედრო ოპერაციების გეგმის“ შესაბამისად წარიმართა. როი იმედოვნებდა, რომ ავღანეთიდან ფენჯაბში შეიჭრებოდა 25-ათასიანი არმიით, რომლის პირადი შემადგენლობა ძირითადად პუშტუნ მებრძოლებით იქნებოდა დაკომპლექტებული. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ თვითმფრინავების საშუალებით ინდოეთის საზღვრებთან საბჭოთა შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების გადასროლა იგეგმებოდა.⁵⁶⁹

მოსკოვმა ეს გეგმები უკუაგდო. მან ჩათვალა, რომ ამ მომენტისათვის საბჭო-ელებს ბრიტანელებთან საბრძოლველად საკმარისი ძალები არ გაჩნდათ. ეს გასაგებიცაა. სწორედ 1920 წლის მარტ-აპრილისათვის ბოლშევიკთა მდგომარეობა რუსეთის სამოქალაქო ომში დამძიმდა. უცხოეთში ემიგრირებული გენერალ დენიკინის საქმე რუსეთის თეთრი მოძრაობის ახალმა ლიდერმა, გენერალმა, ბარონმა პიოტრ ვრანგელმა⁵⁷⁰ გადაიბარა, რომელიც კონსტანტინოპოლიდან ყირიმში ინგლისური სახაზო გემით „Emperor of India“ 4 აპრილს ჩავიდა. მან ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად ყირიმში დაუწყო ძალებს თავმოყრა. გენერალმა ვრანგელმა სწრაფად და ეფექტურად ჩაატარა ჯარების რეორგანიზაცია და 1920 წლის 28 აპრილს სახელიც გადაარქვა მას. ამიერიდან გენერალ დენიკინის „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალები“ „რუსულ არმიად“ იწოდებოდა. „რუსულმა არმიამ“ წარმატებით მოიგერია წითლების შეტევა და კონტრშეტევაზეც გადავიდა. მალე კი მცირე დესანტიც გადასხა პერეკოპზე.⁵⁷¹ შემდგომი მოქმედებებიც „რუსული არმიისათვის“ წარმატებით ვითარდე-

⁵⁶⁸ მანაბენდრა როი (ნამდვილი გვარ-სახელი – პარენდრანატჰ ბჰატაჩარია) (1887-1954) – ინდოელი კომუნისტი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე, კომინტერნის აგენტი და აქტივისტი, რევოლუციური მოღვაწე. I მსოფლიო ომამდე ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა იატაკქვეშა ორგანიზაციების მუშაობაში. 1915 წელს გაემგზავრა ჯერ ბატავიაში, შემდეგ – შანხაიში. 1916-1917 წლებში ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1917-1919 წლებში – მექსიკაში. შედიოდა ადგილობრივი სოციალისტური მოძრაობის ლიდერთა შემადგენლობაში. 1919 წლის შემოდგომაზე მიხაილ ბოროდინთან ერთად აარსებს მექსიკის კომუნისტურ პარტიას. 1919 წლის ბოლოდან მოსკოვშია, მუშაობს კომინტერნში. 1920 წელს ტაშკენტში მონაწილეობს ინდოეთის კომუნისტური პარტიის დაარსებაში. 1922 წლიდან კომინტერნის აღმასკომის წევრია. დაამთავრა ი. სტალინის სახელობის „აღმოსავლეთის შრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტი“. 1927 წლიდან კომინტერნის წარმომადგენელია ჩინეთში. ჩან კაი-შის მიერ ჩინეთში კომუნისტური მოძრაობის სასტიკად ჩახშობის შემდეგ ბრუნდება მოსკოვში. 1928 წლიდან ჩამოსცილდა კომინტერნს და დაუპირისპირდა სტალინს. ბრუნდება ინდოეთში, სადაც მას აპატიმრებს ბრიტანული ხელისუფლება. 1931-1936 წლებში საპატიმროშია. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ აგრძელებდა სტალინური კურსისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის კრიტიკას. გარდაიცვალა 1954 წელს.

⁵⁶⁹ Тихонов Юрий Николаевич. Политика великих держав в Афганистане и пуштунские племена (1919-1945). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Отдел Ближнего и Среднего востока Института востоковедения Российской Академии наук. Москва. 2008. <http://referatnote.ru/vneklassnaya-rabota/obrazovanie/politika-velikikh-derzhav-v-afganistane-i-pushtunskie-plemena-1919/>.

⁵⁷⁰ პიოტრ ნიკოლაევიჩ ვრანგელი (1878-1928) – რუსი მხედართმთავარი, ბარონი, გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე, თეთრგვარდიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1917 წლის იანვრიდან უსურიის ცხენოსანი დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაური, 1917 წლის ივლისიდან მე-7 საკავალერიო დივიზიის მეთაური, შემდეგ – შერეული საკავალერიო კორპუსის სარდალი. 1918 წლის დასაწყისიდან მოხალისეთა არმიაში ცხენოსანი დივიზიის მეთაური. გენერალ დენიკინთან უთანხმოების გამო ტოვებს „მოხალისეთა არმიას“ და საცხოვრებლად გადადის კონსტანტინოპოლში. 1919 წლის ნოემბრიდან ისევ უერთდება თეთრგვარდიულ მოძრაობას, ბრუნდება რუსეთში და აგრძელებს აქტიურ მოღვაწეობას. 1919 წლის დეკემბრიდან მოხალისეთა არმიის სარდალია ყირიმში, 1920 წლის აპრილიდან გენერალ დენიკინისაგან იბარებს თეთრგვარდიული მოძრაობის ხელმძღვანელობას. იმავე თვიდან მან სახელი გადაარქვა „სამხრეთ რუსეთის არმიას“ და მას „რუსული არმია“ უწოდა. 1920 წლის აპრილის ბოლოდან იგი „რუსული არმიის“ უმაღლესი მთავარსარდალი და სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი მმართველია. წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი. თეთრგვარდიული მოძრაობის დამარცხებისა და წითელი არმიის შენაერთების მიერ ყირიმის დაკავების შემდეგ, 1920 წლის შემოდგომიდან ემიგრაციაში მიდის მოკავშირეთა მიერ ოკუპირებულ კონსტანტინოპოლში. 1922 წელს საცხოვრებლად გადადის სერბიის, ხორვატიისა და სლოვენების სამეფოში. 1927 წლიდან ბრიუსელშია, სადაც უეცრად გარდაიცვალა კიდევ 1928 წელს. ზოგიერთი გაზრცელებული ვერსიით იგი НКВД-ს აგენტმა მოწამლა. დაკრძალეს ბრიუსელში, 1929 წელს კი, ბელგრადში გადაასვენეს.

⁵⁷¹ Шамбаров В. Е. Белогвардейщина. — М.: Изд-во ЭКСМО-Пресс, 2002. 640 стр. (Серия „История России. Современный взгляд“). ISBN 5-04-009519-8. <http://militera.lib.ru/research/shambarov1/index.html>.

ბოლა: „უნიონის“ სააგენტო სევასტოპოლიდან იუწყება, რომ აზოვისა და ყუბანის ფრონტზე ვრანგელის ჯარის მდგომარეობა არ შეცვლილა. ტამანის ნახევარკუნძულზე ალექსანდროვსკის მიმართულებით ბრძოლები მიმდინარეობს. ვრანგელის ჯარი შეტევას აწარმოებს ამ მიმართულებით და ტყვეები მოჰყავს,“ – იტყობინებოდა იმდროინდელი ქართული პრესა.⁵⁷²

ვრანგელის ფაქტორთან ერთად, ბოლშევიკთათვის ოპერატიული ვითარება რუსეთ-პოლონეთის ფრონტზეც დამძიმდა. მცირე შესვენების შემდეგ, 1920 წლის აპრილში რუსეთ-პოლონეთის ომი ახალ ფაზაში შედის. აქ, მარშალ იუზეფ პილსუდსკისა და უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ლიდერის, გენერალ სემიონ პეტლიურას⁵⁷³ დირექტორიის შენაერთები ერთობლივ სტრატეგიულ შეტევით ოპერაციას იწყებენ კიევის მიმართულებაზე.⁵⁷⁴ ამავე დროს, 1920 წლის 1 მაისს, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისთანავე ბოლშევიკთა კავკასიის ფრონტის მე-11 არმიის შენაერთები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში შეიჭრნენ და ღია საომარი მოქმედებები დაიწყეს. ასე რომ, 1920 წლის აპრილ-მაისისათვის ბოლშევიკებს არც იმის ძალები გააჩნდათ და არც იმის საშუალებები, რომ „ინდოეთის რევოლუციის“ ორგანიზებისათვის გაეგრძელებინათ აქტიური მუშაობა.

ივნისის თვეში ბარაკატულამ კიდევ ერთხელ მიმართა „საყოველთაო მშვიდობისათვის მზრუნველ ამხანაგსა და კაცობრიობის მეგობარს“, ლენინს, საბჭოთა დახმარებების აღმოჩენის შესახებ. წერილში ბარაკატულა ძირითადად ფინანსურ დახმარებებზე აკეთებდა აქცენტებს და ლენინს თანხების განაწილების საკუთარ სქემასაც სთავაზობდა.

ბარაკატულას წერილი ლენინს.

10. 06. 1920. ტაშკენტი.

ძვირფასო ამხანაგო ლენინ!

გვჯერა, რომ თქვენმა პირადმა ჩარევამ შეიძლება გადაარჩინოს საბჭოთა რუსეთსა და ავღანეთს შორის არსებული მეგობრობის რღვევა...

თუ გამოუყოფთ 10 მილიონ ფუნტ სტერლინგს საბჭოთა რუსეთის მეგობრებს, რომლებიც იმყოფებიან ინდოეთში, ავღანეთსა და ინდოეთს შორის არსებულ

⁵⁷² ჟურნალი „მხედარი“. სამხედრო სამინისტროს კულტგანათლების სექციის ორგანო. სამხედრო სამინისტროს სტამბა. №15. 1920 წლის 12 სექტემბერი. გვ. 12.

⁵⁷³ სემიონ ვასილევჩი პეტლიურა (1879-1926) – უკრაინელი პოლიტიკური, სახელმწიფო და ეროვნული მოღვაწე, პროფესიით ჟურნალისტი. მასწავლებელი, ისტორიკოსი, მკვლევარი და მეცნიერი, პუბლიცისტი. სწავლობდა პოლტავის სასულიერო სემინარიაში. 1900 წლიდან უკრაინის რევოლუციური პარტიის წევრია, შემარცხენე ნაციონალისტი. 1902 წლიდან იწყებს ჟურნალისტურ მოღვაწეობას. იმავე წელს საცხოვრებლად გადადის ყუბანში. 1912 წლიდან ჟურნალ „Українская жизнь“-ის რედაქტორია. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, უკრაინის საფრონტო რადას ხელმძღვანელი, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დირექტორიის მეთაური, უკრაინის ჯარებისა და ფლოტის მთავარი ატამანი და გენერალია. ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. 1920 წლის 21 აპრილს უკრაინის სახალხო რესპუბლიკის სახელით სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს კრავს პოლონეთთან ბოლშევიკურ რუსეთთან ერთობლივი ბრძოლის საწარმოებლად. 1920 წლის 7 მაისს გენერალ პილსუდსკისა და პეტლიურას გაერთიანებული უკრაინულ-პოლონური ძალები ათავისუფლებენ კიევს ბოლშევიკებისაგან. უკრაინის ბოლშევიკური ოკუპაციის გამო, 1922 წლიდან ემიგრაციაში მიდის. ჯერ პოლონეთშია, შემდეგ კი – ავსტრიასა და შვეიცარიაში. 1924 წლის ოქტომბრიდან ცხოვრობს საფრანგეთში. 1926 წლის 25 მარტს სემიონ პეტლიურა პარიზში მოკლა ანარქისტმა ს. შვარცბარდმა. დაკრძალულია პარიზში, მონპარნასის სასაფლაოზე. 1927 წელს გამართული პარიზის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მკვლეელი გამართლებულ იქნა.

⁵⁷⁴ არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონისა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. ISBN 978-9941-0-5988-9. თბილისი. 2014. გვ. 349.

სასაზღვრო ზოლში, აგრეთვე სპარსეთსა და თურქეთში, მაშინ ერთდროულად აღსდგებიან ინგლისური იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები ანატოლიიდან განგამდე, რომლებიც დაანგრევენ ინგლისელთა გეგმებს, გააკოტრებენ მათ ფინანსურად და დაასრულებენ მათ ბატონობას აღმოსავლეთში...

ასეთ შემთხვევაში მათ არ ექნებათ იმის დრო, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აამხედრონ პოლონეთი და სხვები. ისინი მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე იფიქრებენ, თქვენ კი საჭიროა რადიოთი მიმართოთ ამირა ამანულა ხანს, დაარწმუნოთ იგი კეთილ მეგობრობაში, მისწეროთ ამხ. სურიცს, რომ დადოს ხელშეკრულება ავღანეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის და მისცეთ ამანულა ხანს ორი მილიონი ფუნტი სტერლინგი იმ არმიის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ინდოეთში იბრძოდეს ინგლისელების წინააღმდეგ.

ორი მილიონი ფუნტი სტერლინგი საჭიროა გადასცეთ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ამხ. სურიცი, მაჰმუდ ხან თარზი, რაჯი მაჰანდრა პრატაპი, მოლულავი ობეიდულა და ხოჯა აბდულ რაზაკი. თავად ავღანეთის ამირას მფარველობით ეს კომიტეტი გაუკეთებს ორგანიზებას საზღვრისპირა ტომების პარტიზანულ ბრძოლას ინგლისელების წინააღმდეგ.

ორი მილიონი ფუნტი სტერლინგი უნდა შესწიროთ ინდოელ ჯარისკაცთა შორის რევოლუციური პროპაგანდის წარმოებასა და ამბოხის მოწყობას, ასევე ფერმერთა მიერ გადასახადებზე უარის თქმასა და საჭირო მომენტში მუშების მიერ გაფიცვებისა და აჯანყების მოწყობას. ეს სამუშაოები ბრწყინვალედ შეუძლიათ შეასრულონ ამხ. პრატაპმა ინდოელთა შორის, ხოლო ობეიდულამ – ინდოეთის მთელ მუსლიმანთა შორის. ზემოთ მოყვანილი ინსტრუქციების შესასრულებლად ამხ. სურიცს დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს ფული, რადგან ახლა ამისათვის ყველაზე ხელსაყრელი სიტუაციაა⁵⁷⁵.

როგორც წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, XX საუკუნის 20-იან წლებში ცენტრალურ აზიასა და ავღანეთში აგორებული „დიდი თამაშის“ ახალ სცენარში, ე.წ. დიდი მოთამაშეების გარდა, საბჭოელებს ჩაფიქრებული ჰქონდათ აგრეთვე მცირე მოთამაშეების – სპარსეთის, თურქეთისა და ინდოეთის ჩართვა.

1920 წლის ზაფხულისათვის ლენინსა და ბოლშევიკებს ავღანეთისა და ინდოეთისათვის არა სცხელოდათ. რუსეთ-პოლონეთის ომის გადამწყვეტი ბრძოლა – 1920 წლის 12 აგვისტოს დაწყებული ვარშავის შეტევითი ოპერაცია წითელი არმიის სრული კატასტროფით დასრულდა. ვარშავის დაცვის ოპერაციაში, რომელიც ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში „ვისლაზე სასწაულის“ სახელით შევიდა, მარშალ იუზეფ პილსუდსკის ხელმძღვანელობით პოლონელებმა მიხაილ ტუხაჩევსკის⁵⁷⁶

⁵⁷⁵ РГАСПИ. Ф. 2. Оп. 1. Д. 24418. Л. 1—3(об). Машинописный текст. Перевод с английского. На документе резолюция В. И. Ленина: «Г. Чичерину на отзыв». http://book.e-reading-lib.org/chapter.php/90908/94/Tihonov_-_Afganskaya_voina_Stalina_Bitva_za_Central%27nuyu_Aziyu.html.

⁵⁷⁶ მიხაილ ნიკოლაევიჩ ტუხაჩევსკი (1893-1936) – რუსი და საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, I მსოფლიო ომის მონაწილე, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, პოდპორუჩიკი, „კოენსპეცი“. რუსეთის სამოქალაქო ომის გმირი, წითელი არმიებისა და სხვადასხვა ფრონტების სარდალი. სამხედრო თეორეტიკოსი და პუბლიცისტი, სტრატეგიული „სიღრმისეული შეტევითი ოპერაციის“ კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი და აპოლოგეტი. შემდგომში ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის მარშალი. I მსოფლიო ომში იბრძოდა დასავლეთის ფრონტის 1-ლი გვარდიული დივიზიის შემადგენლობაში. 1915 წელს გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს. გაგზავნეს ინგოლშტადტის ციხეში, სადაც მასთან ერთად იჯდა შარლ დე გოლი. 1917 წლის სექტემბერში ახერხებს გაქცევას და გადადის შვეიცარიაში. იმავე წლის ოქტომბერში ბრუნდება რუსეთში. დაინიშნა ასეულის მეთაურად სემინოვსკის პოლკში. 1918 წლის გაზაფხულიდან გადადის ბოლშევიკთა მხარეზე, არის რკპ(ბ) წევრი 1918 წლიდან, მუშაობს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო განყოფილებაში, შემდეგ ინიშნება მოსკოვის რაიონის სამხედრო კომისრად. 1918 წლის ივნისიდან ბოლშევიკთა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთ-ერთი მეთაური და არმიების სარდალია, თავდაპირველად – ფორმირების პროცესში მყოფი აღმოსავლეთის ფრონტის 1-ლი არმიის სარდალი. 1918 წლის დეკემბერში სამხრეთის ფრონტის სარდლის თანაშემწე, 1919 წლის 24 იანვრიდან 15 მარტამდე – სამხრეთის ფრონტის მე-8 არმიის სარდალი, შემდეგ, 1919 წლის 5

საბჭოელთა დასავლეთის ფრონტის შენაერთები სასტიკად დაამარცხეს, მალე კი სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია დაიწყო აღმოსავლეთის მიმართულებით. წითელი არმიის დასავლეთის ფრონტის გადარჩენილმა რუსული შენაერთების ნარჩენებმა პანიკური გაქცევით უშველეს თავს. 21 სექტემბრისათვის კი პოლონელებმა სრულად გაანადგურეს ბოლშევიკთა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამივე არმია, რითაც ბოლშევიკთა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტმა ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა. საბჭოთა რუსეთმა სასწრაფო სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვა ითხოვა. საომარი მოქმედებები შეწყდა. 1920 წლის 12 ოქტომბერს მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო, ხოლო 18 ოქტომბერს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგი იყო ის, რომ ბოლშევიკთათვის „ავღანური კორიდორი“ ჩაიკეტა. ამავე დროს ამანულა ხანი ცდილობდა, ხელი შეეშალა პუშტუნთა ტომებისათვის, რათა მათ პირდაპირი კონტაქტები დაემყარებინათ საბჭოთა მთავრობასთან. ამით იგი ინგლისელებთან შესაძლო ახალ კონფლიქტს აიცილებდა თავიდან. განხილული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ 1919-1921 წლებში ქაბულში ხანგრძლივად მიმდინარე ავღანეთ-საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკებები ფაქტიურად იმ ვაჭრობის საგნად გადაიქცა, რომლის დროსაც ავღანეთი დიდი ოდენობით ოქროსა და იარაღს ითხოვდა პროპაგანდისტული ლიტერატურისა და იარაღის ტრანზიტული შეტანის სანაცვლოდ პუშტუნთა ტომებთან, ანუ, ე.წ. „ჩრდილო-დასავლეთ სასაზღვრო ზოლში“. ამ მოთხოვნების შესრულება საბჭოელებმა ვერ შეძლეს, შესაბამისად, ავღანურ-საბჭოური ურთიერთობებიც გაცივდა, ხოლო მოსკოვის მიერ შემუშავებული „ინდური რევოლუციის“ პროექტიც ამ ეტაპისათვის ვერ შესრულდა.

საბჭოთა რუსეთსა და ავღანეთს შორის ურთიერთობების გაფუჭებაზე დიდი როლი ბუხარის საამიროს „სოვეტიზაციამაც“ ითამაშა 1920 წლის სექტემბერში, რომელსაც მალე კოკანდის სახანოც მიჰყვა. ამ ორმა მნიშვნელოვანმა ფაქტმა აშკარად გაზარდა ავღანეთის საზოგადოებაში ისლამისტური და რუსოფობიული მუხტი. ავღანური საზოგადოების ამ განწყობებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ავღანეთის ოფიციალურმა იქონია. ასე მაგალითად, 1920 წლის 25 ოქტომბერს, ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა აბდულ კუდუს ხანმა ყანდაარში წაიკითხა ამირას ფირმანი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რუსები ყოველთვის ისლამის მტრები იყვნენ.⁵⁷⁷

თუმცა, საერთო ჯამში, ბუხარის ამირას ჩამოგდებამ ხელი ვერ შეუშალა საბჭოთა რუსეთ-ავღანეთის პირველი ხელშეკრულების დადებას. მაგრამ ამ ფაქტმა საბჭოელებისათვის უფრო მძიმე შედეგები გამოიღო. საბჭოელებისათვის საბოლოოდ დაიხურა „ავღანური კორიდორი“. ხელშეკრულებაში აღარაფერი არ იყო ნათქვამი ანტი-

აპრილიდან – აღმოსავლეთის ფრონტის მე-5 არმიის წარმატებული სარდალი. 1919 წლის ბოლოს კოლჩაკის წინააღმდეგ მებრძოლი აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი, 1920 წლის 4 თებერვლიდან კავკასიის ფრონტის სარდალი, ხოლო იმავე წლის აპრილიდან – საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომის დასავლეთის ფრონტის სარდალი. ზედმეტად დაჯერებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების გამო, 1920 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომი წითელი არმიის სრული კატასტროფით დასრულდა. 1921 წლის 25 ივლისს ინიშნება მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის უფროსად. 1924 წლიდან წითელი არმიის შტაბის უფროსის, მიხაილ ფრუნზეს მოადგილეა, ხოლო ფრუნზეს გარდაცვალების შემდეგ შტაბის უფროსად ინიშნება. 1926 წლის 26 დეკემბრიდან საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეა, 1931 წლიდან – ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალი. 1935 წელს, წითელი არმიის სხვა ოთხ წარმატებულ მეთაურთან ერთად (ს. ბუდიონი, ალ. ეგოროვი, კ. ვოროშილოვი, ვ. ბლიუხერი), იღებს საბჭოთა კავშირის მარშლის უმაღლეს სამხედრო წოდებას. 1936 წელს ინიშნება სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ. იმავე წლის 22 მაისს დააპატიმრეს ჯაშუშობისა და საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული გზით ჩამოგდების მცდელობის ბრალდებით. წითელი არმიის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად დახვრიტეს 1936 წლის 11 ივნისს.

⁵⁷⁷ В. С. Бойко. Афганистан на начальном этапе независимого развития (1920-е годы): центрально-азиатский контекст внутренней и внешней политики// Афганистан и безопасность Центральной Азии. Вып. 1, Бишкек, 2004. Стр. 112. <http://uni-altai.ru/Res/orient/proj/knyasev.html>.

ბრიტანული პროპაგანდის შესახებ. აქვე კრემლისათვის ერთი რამ გახდა ცხადი – ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო ინდოეთში იარაღის სატრანზიტო გადაზიდვაზე ავღანეთის გავლით.

შემდგომში, მიღწეული შეთანხმების რატიფიცირებისას, ბოლშევიკებს უარის თქმა მოუწიათ საბჭოთა საკონსულოების გახსნაზეც აღმოსავლეთ ავღანეთში. ამრიგად, ამ ეტაპზე ბოლშევიკები დამარცხდნენ. კრემლის მესვეურთა ჩანაფიქრი, შექმნილიყო პლაცდარმი, სადაც აღმოსავლეთ ავღანეთის პუშტუნთა ტომები ჩაერთვებოდნენ ბრიტანელების წინააღმდეგ ომში, ჩაიშალა.

§5.6. კომინტერნის ავღანური პროექტის ალტერნატივა – გენერალი აჰმედ ჯამალ ფაშა

რუსეთ-პოლონეთის ომში ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დადების შემდეგ მოსკოვმა ისევ გაააქტიურა „ავღანურ-ინდური რევოლუციის“ პროექტი. მიუხედავად ამანულა ხანის მოზომილი პოზიციისა და უარისა საბჭოთა რუსეთისათვის იარაღის ინდოეთში გადაზიდვის ხელშეწყობის თაობაზე, ბოლშევიკებმა შექმნილი მდგომარეობა დიდ ტრაგედიად მაინც არ აღიქვეს. მოსკოვსა და ტაშკენტში იმედოვნებდნენ, რომ ეს დროებითი მარცხი იყო და მისი გამოსწორება სწორი მუშაობის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი. ასე მაგალითად, დავიდ ჰოპნერი, რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი შუა აზიაში, ჩიჩერინს სწერდა: „შუა აზიაში უკანასკნელ ხანს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ავღანელთა მტრული განწყობებისა და ხელშეკრულების ტექსტში ანტიბრიტანული პროპაგანდის პუნქტის ამოღების მიუხედავად, შესაბამისი პოლიტიკის გატარებით ჩვენ მაინც შევძლებთ ავღანეთში ინდუსური მუშაობის დაწყებას“.⁵⁷⁸ საბჭოთა დიპლომატებმა სწორი ტაქტიკური გადაწყვეტილებები მიიღეს. ავღანეთთან მიმართებაში საბჭოთა დიპლომატთა ვალდებულებები გაიყო: მოსკოვსა და ქაბულს შორის სამთავრობათაშორისო ურთიერთობებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი კურირებდა, ანტიბრიტანელებთან არალეგალური კავშირების დამყარებას კი – კომინტერნი.⁵⁷⁹ ფუნქციებისა და ინტერესების ასეთი გადანაწილება რეალობაში იმას ნიშნავდა, რომ „ავღანურ რევოლუციაზე“ პასუხისმგებლობას საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი იღებდა, ხოლო „ინდურ რევოლუციაზე“ – კომინტერნი.

საარქივო დოკუმენტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კომინტერნის მიერ „ავღანურ კორილორში“ „ინდოეთის რევოლუციური

⁵⁷⁸ Доклад Д.Ю. Гопнера в НКВД «Наши очередные задачи в Средней Азии» от 18.10. 1920 г. // АВП РФ. Ф. 04. 1920. Оп. 51. П. 327. Д. 55030. Л. 8.

⁵⁷⁹ Тихонов Юрий Николаевич. Политика великих держав в Афганистане и пуштунские племена (1919-1945). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Отдел Ближнего и Среднего востока Института востоковедения Российской Академии наук. Москва. 2008. <http://referatnote.ru/vneklassnaya-rabota/obrazovanie/politika-velikikh-derzhav-v-afganistane-i-pushtunskie-plemena-1919/>.

ბაზის“ შექმნა დიდ სიძნელებს წააწყდა. ფაქტია, რომ ტაშკენტიდან რევოლუციის ექსპორტი აზიის ქვეყნებში შეუძლებელი გახდა. ამიტომ ერთადერთ გზას კომინტერნისათვის ამ მიმართულებით აზიის ქვეყნებში დიპლომატიური და საელჩოების არსების გამოყენება წარმოადგენდა, რომლებიც გარკვეულ საყრდენ პუნქტებად იყო ჩაფიქრებული. კომინტერნის მიერ სრულმასშტაბიანი მუშაობის დაწყება ქაბულში საბჭოთა რუსეთის ელჩის, იაკობ სურიცის მივლინებით დაიწყო, რომელიც ამავე დროს კომინტერნის წარმომადგენელი იყო ცენტრალური აზიის ქვეყნებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მალე საბჭოთა დიპლომატებს შორის უფლებამოსილებების ლოგიკური დანაწილება მოხდა: მოსკოვსა და ქაბულს შორის სამთავრობათაშორისო ურთიერთობების კურატორობა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალა, ხოლო ანტიბრიტანულ ძალებთან კავშირების დამყარება – კომინტერნს.

სურიცის, როგორც კომინტერნის რეზიდენტის პირველ წარმატებად უნდა ჩაითვალოს 1920 წლის ბოლოს ქაბულში „ინდოეთის რევოლუციური ასოციაციის“ შექმნა, რომელშიც სხვადასხვა ინდური ნაციონალისტური ჯგუფები გაერთიანდნენ. სწორედ ამ ორგანიზაციის ეგიდით დაიწყო თავისი მუშაობა კომინტერნმა პუშტუნ ტომებში. ამ მიმართულებით მოსკოვის პროგრამა-მინიმუმს „ავღანურ კორილორში“ ანტიბრიტანული „მეზუთე კოლონის“ შექმნა წარმოადგენდა, ხოლო პროგრამა-მაქსიმუმს – ინდოეთში რევოლუციის ორგანიზება. ამ გეგმების რეალიზაციისათვის საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობისა და კომინტერნის მეშვეობით ბრიტანული ინდოეთის საზღვრებთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ინდური რევოლუციური ბაზა“ უნდა შექმნილიყო. პუშტუნ ტომებში დაიგეგმა აგრეთვე „100 რევოლუციონერი ოფიცრის“ შეგზავნა, რომლებიც იქ „ინდურ ბრიგადას“ შექმნიდნენ. მაგრამ სამოქალაქო ომისა და რუსეთ-პოლონეთის ომის, ასევე ამიერკავკასიაში დაწყებული ბოლშევიკური ოკუპაციის გამო ეს გეგმა ბოლომდე ვერ შესრულდა.⁵⁸⁰ ფაქტია, რომ ავღანეთში კომინტერნის ქსელისა და რევოლუციური ბაზის შექმნა ძალიან დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ამ ეტაპზე საბჭოთა მთავრობამ მანაბენდრა როის 2 მილიონი ინდური რუპია მაინც გადასცა. მიუხედავად ასეთი დიდი ფინანსური დანახარჯებისა, მან მაინც ვერ მოახერხა შესაბამისი კავშირები დამყარებინა პუშტუნთა ტომებთან. პრობლემას დუალური ხასიათი ჰქონდა – რეალობა ის იყო, რომ, ერთი მხრივ, პუშტუნთა ტომები თითქოს მზად იყვნენ მიეღოთ იარაღი და ებრძოლათ ინგლისელთა წინააღმდეგ, მაგრამ არა კომინტერნის ეგიდის ქვეშ. ხოლო მეორე მხრივ, ავღანეთის მთავრობა ასევე თანხმობას აცხადებდა როის ქაბულში ჩასვლასა და იარაღის მიღებაზე, მაგრამ არა მის „კორილორში“ შეტანაზე.

აქ კი საბჭოთა მხარე დაფიქრდა, მათ ვერ გარისკეს ესოდენ სახიფათო გადაწყვეტილების მიღება – ავღანეთის მთავრობისათვის იარაღის მიწოდება. საბჭოელები არ ივიწყებდნენ ამანულა ხანის ისლამისტურ გადახრებსა და შუააზიური ექსპანსიის ჩანაფიქრებს. ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს სერიოზული მიზეზები ჰქონდათ იმისათვის, რომ ბოლომდე არ ნდობოდნენ ავღანეთის ახალ ხელისუფალთ. უფრო მეტიც, იყო იმის საშიშროებაც, რომ ავღანეთის მმართველს ანტისაბჭოთა აქციები დაეწყო თურქესტანში. ბოლშევიკებს ისიც კარგად ახსოვდათ, რომ თავისი მმართველობის დასაწყისში ამანულა ხანი ოცნებობდა ავღანეთისათვის არა მარტო პუშტუნებით დასახლებული მიწების, არამედ ბუხარის, ხივის, ფერღანისა და

⁵⁸⁰ Тихонов Юрий Николаевич. Политика великих держав в Афганистане и пуштунские племена (1919-1945). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Отдел Ближнего и Среднего востока Института востоковедения Российской Академии наук. Москва. 2008. <http://referatnote.ru/vneklassnaya-rabota/obrazovanie/politika-velikikh-derzhav-v-afganistane-i-pushtunskie-plemena-1919/>.

კუშკასთან ერთად, პენდეს ოაზისის შემოერთებაზეც. რეალობა ის იყო, რომ ბოლშევიკთა ჩანაფიქრი „ინდური რევოლუციის“ დეტალების ორგანიზების თაობაზე, დაგეგმვის, დანიშნულებისა და აღსრულების თვალსაზრისით, ნამდვილად აღარ ემთხვეოდა ერთმანეთს.

„აღმოსავლეთის საკითხითა“ და ავღანეთით დაინტერესება ბოლშევიკთა მიერ იქ არც აგენტურის შეგზავნით დაწყებულა და არც კომინტერნის გააქტიურებით დასრულებულა. დაინტერესებულ მხარეთა მიერ ავღანეთით დაინტერესება იყო, ნამდვილად იყო. აქ მხოლოდ რუსეთსა და დიდ ბრიტანეთზე არაა საუბარი. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ინდოეთისაკენ მიმავალი გზა გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სწორედ ავღანეთზე გადიოდა. საქმე იმაშია, რომ ამ საკითხით დაინტერესება თავის დროზე გერმანიამაც გამოიჩინა. გასაგებია, რომ ავღანეთში თავისი გავლენების გაზრდით გერმანია ინგლისური პოზიციების შესუსტებისაკენ ისწრაფვოდა. ისტორიული რეალობა კი ისაა, რომ თავისი აგენტურული მუშაობის გაძლიერება ავღანეთში გერმანიამ ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას სცადა. ავღანეთის გერმანულ პროექტს გერმანული დაზვერვის ოფიცერი, ოსკარ ფონ ნიდერმაიერი⁵⁸¹ ხელმძღვანელობდა, მიუნხენის უნივერსიტეტის გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და გეოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი და პოლიგლოტი. 1915 წლისათვის იგი გერმანიის საიმპერატორო ჯარების მაიორი იყო, შემდგომში – ვერმახტის გენერალ-მაიორი, ფლობდა რამდენიმე ევროპულ და აღმოსავლურ ენას: ინგლისურს, რუსულს, ფრანგულს, არაბულს, თურქულსა და სპარსულს.

1914 წლის ნოემბრიდან 1916 წლის ბოლომდე სწორედ მაიორი ოსკარ ნიდერმაიერი ხელმძღვანელობდა გერმანიის გენშტაბის მიერ ორგანიზებულ 350-კაციან სპეციალურ ექსპედიციას ირანსა და ავღანეთში, რომლის მიზანსაც ადგილობრივი მოსახლეობის ინგლისელთა წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების ორგანიზება და აღნიშნულ ქვეყნებში გერმანული ფაქტორის გაძლიერება წარმოადგენდა. II მსოფლიო ომის დასრულებისას ნიდერმაიერი საბჭოელებმა ტყვედ აიყვანეს. საბჭოთა უშიშროების ორგანოებისათვის მიცემულ ჩვენებებში ნიდერმაიერი აღნიშნავდა: „ახლო აღმოსავლეთში მოწყობილი სამხედრო ექსპედიცია თურქეთის სამხედრო მინისტრის, ენვერ ფაშასა და გერმანიისა და თურქეთის გენშტაბების ინიციატივით მოეწყო. მის მიზანს წარმოადგენდა

⁵⁸¹ ოსკარ რიტერ ფონ ნიდერმაიერი (Oskar Ritter von Niedermayer) (1885-1948) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე და მეცნიერი, მოგზაური და სამხედრო მწერალი. 1905 წელს შევიდა სავლელ არტილერიის ოუნკერთა სასწავლებელში. 1910 წელს დაამთავრა ოფიცერთა საარტილერიო სასწავლებელი. სწავლობდა ბუნებისმეტყველებას, გეოგრაფიასა და აღმოსავლურ ენებს. 1912-1914 წლებში მონაწილეობდა სპარსეთისა და ინდოეთის სამეცნიერო ექსპედიციებში. იმოგზაურა აგრეთვე ეგვიპტეში, არაბეთსა და პალესტინაში. I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, 1914 წლის დეკემბერში დაინიშნა ოსმალეთისა და გერმანიის გენშტაბების მიერ ავღანეთში ორგანიზებული ექსპედიციის ხელმძღვანელად. ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის სამხედრო სტრატეგიული შესწავლა და ანტიბრიტანული აჯანყების ორგანიზება – I მსოფლიო ომში ავღანეთის გერმანიის მხარეზე ჩართვა. ექსპედიცია უშედეგოდ დასრულდა. 1916 წლის I სექტემბერს ბრუნდება ოსმალეთში. შემდგომში მონაწილეობს დასავლეთის ფრონტის საომარ მოქმედებებში. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სწავლას აგრძელებს მიუნხენის უნივერსიტეტში. აქვე იცავს საკანდიდატო დისერტაციას. 1919 წლიდან მსახურობს რაიჰსვერში. მსახურობს სპეცგუფ „R“-ში, რომელიც ხელმძღვანელობდა 1920-იან წლებში საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის არსებულ საიდუმლო სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას, ცხოვრობდა და მუშაობდა საბჭოთა კავშირში. გერმანიის ხელისუფლებაში ნაცისტთა მოსვლის შემდეგ გერმანიის ნაციონალისტურ-სოციალისტური მუშათა პარტიის წევრი 1933 წლიდან. იმავე წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას. 1939 წლიდან ვერმახტის პოლკოვნიკია. 1942 წლიდან „აღმოსავლური ლეგიონების“ თურქესტანის 162-ე ქვეითი დივიზიის მეთაური. მონაწილეობდა ანტიპარტიზანულ საომარ მოქმედებებში ბალკანეთში, შემდეგ – იტალიაში. ენიჭება ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება. 1944 წლის მაისიდან სამხედრო მრჩეველია საფრანგეთში. იმავე წლის აგვისტოში დააპატიმრეს პიტლერის აღმოსავლური პოლიტიკის კრიტიკის გამო. 1945 წლის აპრილში ათავისუფლებენ ამერიკელები. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ცხოვრობს რეგენსბურგში, სადაც საბჭოთა უშიშროების აგენტები იტაცებენ და გადაჰყავთ საბჭოთა კავშირში. 1948 წლის 10 ივლისს მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. გარდაიცვალა იმავე წლის 25 სექტემბერს ციხეში.

ასლო აღმოსავლეთის, კერძოდ, ავღანეთის მსოფლიო ომში ჩართვა გერმანიის მხარეზე, ინგლისელთა წინააღმდეგ აჯანყებების ორგანიზება ირანში, ავღანეთში, ბელუჯისტანსა და ინდოეთში, რითაც ჩაფიქრებული იყო მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ძალების გადმოსროლა შუა აღმოსავლეთში I მსოფლიო ომის მთავარი ფრონტებიდან. მე დავინიშნე ექსპედიციის ხელმძღვანელად იმიტომ, რომ კარგად მქონდა შესწავლილი იქ არსებული პოლიტიკური სიტუაცია და ირანის გეოგრაფია. ექსპედიციის პირადი შემადგენლობა 350 კაცს შეადგენდა. მათ შორის 40 გერმანელი ოფიცერიც იყო. წევრებს კი წარმოადგენდნენ სპარსელები, ავღანელები და ინდუსები, რომლებიც არჩეულნი იქნენ ტყვეებიდან, ასევე – თურქი ჯარისკაცები.

ექსპედიცია სამი ჯგუფისაგან შედგებოდა, რომლებსაც განსხვავებული ამოცანები და დასახელებები ჰქონდათ – ბელუჯისტანის, სპარსეთის და ავღანეთის... ავღანეთის ჯგუფის წინაშე, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, შემდეგი ამოცანა იქნა დასმული: უნდა შეგვეღწია ავღანეთში, მოსყიდვებისა და ტერიტორიული ექსპანსიის დაპირებებით ჩვენს მხარეს მიგვემხრო ამირა (აქ ამირა ხაბიბულა ხანზეა საუბარი – ა. ჩ.), რომელსაც ომი უნდა გამოეცხადებინა მოკავშირეებისათვის. ომის გამოცხადებასთან ერთად, ავღანეთსა და დასავლეთ ინდოეთში ხელი უნდა შეგვეწყო ინგლისელთა წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების ორგანიზებისათვის⁵⁸². მეტად საინტერესო და ყურადსაღები ცნობებია... თუმცა, მაშინ გერმანიამ ვერ შეძლო თავისი მიზნების მიღწევა. ანტიბრიტანული კოალიცია არ შედგა – ავღანეთისა და ირანის ჩართვა I მსოფლიო ომში ვერ მოხერხდა.

1920 წლის ზაფხულში, „ავღანური კორიდორის“ დახურვის წინ, სურციის მდგომარეობა ქაბულში სულ უფრო და უფრო გაუსაძლისი გახდა. ერთი მხრივ, იგი ვერაფრით ვერ შეეგუა აღმოსავლური დიპლომატიის ნორმებსა და სპეციფიკურ ეტიკეტს. მეორე მხრივ, მოსკოვიდან გამოგზავნილი ნათელი დირექტივებისა და მითითებების გარეშე მას საკუთარი გადაწყვეტილებისა და რისკების ფასად უხდებოდა მუშაობის წარმართვა, ყოველივე ეს კი უარყოფითად მოქმედებდა შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ბოლშევიკთა მიერ ავღანეთში დიპლომატიური საქმიანობის ჩაგდების ფონზე სურციი სულ უფრო და უფრო დაჟინებით ითხოვდა მისიის შეწყვეტასა და ქაბულიდან გაწვევას.

სურციის მხარდაჭერის აუცილებლობის გაცნობიერების შემდეგ კრემლი მეტად ეფექტური და ამავე დროს სარისკო ნაბიჯების გადადგმას იწყებს. საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად და რევოლუციური პოლიტიკური ხაზის გასატარებლად მოსკოვი ავღანეთში მეტად მნიშვნელოვან საერთაშორისო პოლიტიკურ ფიგურასა და მოთამაშეს, ექსოსმალო გენერალსა და იტიჰადისტთა ერთ-ერთ ლიდერს, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ აჰმედ ჯემალ ფაშას აგზავნის. აქ კი როგორც ბოლშევიკთა, ისე ჯემალ ფაშას ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა.

ქაბულში გამოცდილი სამხედრო სპეციალისტის ყოფნა, რომელიც შეძლებდა ავღანეთის არმიის რეორგანიზაციასა და ამით ბრიტანეთის ინდოეთზე დაწოლას გააძლიერებდა, საბჭოელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უფრო რთულ ამოცანას კი ამანულა ხანის პრობოლშევიკურ პოზიციაზე დაყენება და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონტექსტში მისი ჩართვა წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, კრემლში სულაც არ ვარაუდობდნენ იმას, რომ ავღანეთის ამირა დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვებოდა ამ თამაშებში, მაგრამ იმაში კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იგი ბრიტანელთა

⁵⁸² Протокол допроса генерал-майора О. фон Нидермайера. 28 августа 1945 г. Воспроизводится по изданию: Вермахт на советско-германском фронте. Следственные и судебные материалы из архивных уголовных дел немецких военнопленных 1944-1952. (Сост. В.С. Христофоров, В.Г. Макаров). М., 2011. С. 314-345. Документ № 89. Стр. 316-317.

წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით საბჭოელთა სამხედრო და პოლიტიკურ მხარდაჭერას მიიღებდა, რაც ბრიტანული პოზიციების შესუსტებას გამოიწვევდა ინდოეთში. ამავე დროს, ეს მდგომარეობა საბჭოელებს ინდოეთისაკენ რევოლუციური სვლის დიდ შანსს მისცემდა. სწორედ ამ გათვლებით მოიაზრებოდა ავღანეთი კომუნისტური ინდოეთის „გასაღებად“. ამ „გასაღების“ მორგება კი იტიპადისტთა ცნობილ ლიდერსა და ექსოსმალო გენერალს, აჰმედ ჯემალ ფაშას დაევალა.

ჯემალ ფაშა კარგად იყო ცნობილი მთელს ისლამურ სამყაროში, როგორც ინგლისელთა დაუძინებელი მტერი და გამოცდილი მხედართმთავარი. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ ჯემალ ფაშა თავგამოდებული ისლამისტი გახლდათ, რაც მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარ განმსაზღვრელ კრედოს წარმოადგენდა. ამის გამო ისლამურ სამყაროში მას „ისლამის ლომად“ მოიხსენიებდნენ.⁵⁸³

ლენინმა და საბჭოთა პარტიულმა მოღვაწეებმა სათანადოდ შეაფასეს ჯემალ ფაშას პიროვნება, მისი პროფესიონალიზმი და გავლენა ისლამურ სამყაროში, მისი დიდი პოლიტიკური, დიპლომატიური და სამხედრო გამოცდილება, თუმცა იყო აქ გარკვეული რისკის ფაქტორიც. რა თქმა უნდა, ჯემალ ფაშას პანისლამისტური გეგმები მოსკოვისათვის კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ამ ეტაპზე კრემლმა ჩათვალა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ჯემალ ფაშა რუსულ-ავღანური ურთიერთობების დათბობისათვის საუკეთესო კანდიდატურა იქნებოდა. მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ ჯემალ ფაშას ბოლშევიკებთან თანამშრომლობის მოტივად მისი შეურიგებელი ანტიბრიტანული პოზიციები ითვლებოდა.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა და 1920 წლის 4 ივლისს კარახანი სურიცს შემდეგი შინაარსის სასწრაფო ტელეგრამას უგზავნის: „ამ დღეებში ინგლისელების წინააღმდეგ ავღანეთში ვაგზავნით ცნობილ თურქ მოღვაწეს – ყოფილ სამხედრო-საზღვაო მინისტრს, შემდეგ კი – სირიის არმიის სარდალს, ჯემალ ფაშას. მას თან ახლავს 10 რჩეული თურქი ოფიცერი. ამავე დროს ვგეგმავთ მუსტაფა ქემალ ფაშას თურქულ მთავრობასთან კომბინირებულ მოქმედებებს. ყოველივე ამის შემდეგ ავღანეთის მთავრობა უნდა დარწმუნდეს ჩვენს რეალურ დახმარებაში ინგლისელების წინააღმდეგ, რასაც არაფრით არ უშლის ხელს ლონდონში მიმდინარე კრასინის⁵⁸⁴ მოლაპარაკებები.

⁵⁸³ Юрий Тихонов. Афганская война Сталина. Битва за Центральную Азию. Эксмо, Яуза; Москва; ISBN 978-5-699-25203-9. 2008. http://aleksandr.kommari.narod.ru/tihonov_afganistan.htm.

⁵⁸⁴ ლეონიდ ბორისოვიჩ კრასინი (1870-1926) – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აქტიური მონაწილე, საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი და ექსპროპრიატორი, რსდმპ ცეკას წევრი 1903-1907 წლებში, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი 1924-1926 წლებში, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი – მე-3 მოწვევების წევრი. დაიბადა ტობოლსკის გუბერნიის ქალაქ კურგანში. 1887 წელს დაამთავრა ალექსანდრეს სახელობის რეალური სასწავლებელი. 1887-1891 წლებში სწავლობდა სანკტ-პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. აქვე ჩაერთო აქტიურად სტუდენტთა მარქსისტულ მოძრაობაში. 1891 წელს დააპატიმრეს და გაასახლეს ქალაქიდან. 1892 წელს ისევ აპატიმრებენ. 1893 წელს ათავისუფლებენ და ცხოვრობს ყირიმში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 1895 წელს ისევ აპატიმრებენ და ამჯერად ასახლებენ ირკუტსკში. გადასახლებიდან ბრუნდება 1897 წელს და სასწავლებლად შედის ხარკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც ასრულებს 1900 წელს. იმავე წელს საცხოვრებლად გადადის ბაქოში, სადაც აქტიურად ერთვება რევოლუციურ-საგამომცემლო საქმიანობაში. აარსებს არალეგალურ სტამბას, სადაც ბეჭდავდა გაზეთ „ისკრას“. 1903 წელს ირჩევენ ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1905 წლის მაისში მონაწილეობდა ლონდონში გამართულ ბოლშევიკთა ყრილობის მუშაობაში. იმავე წელს ბრუნდება რუსეთში და აქტიურად მონაწილეობს ბოლშევიკური ექსპროპრიაციების ორგანიზებაში. 1907 წელს უკვე თბილისშია. 1907 წლის 13 ივნისს მისი ხელმძღვანელობითა და ცნობილი კამოს უშუალო შესრულებით განხორციელდა თბილისის სახელმწიფო ბანკის ცნობილი მარცვა-ყაჩაღობის ოპერაცია. 1908 წლიდან ემიგრაციაშია. ცხოვრობს ჯერ ფინეთში, შემდეგ იტალიაში. მალე გადადის გერმანიაში, სადაც ინჟინრად იწყებს მუშაობას კომპანია „სიმენსში“. 1911 წელს ინიშნება კომპანიის ბერლინის ფილიალის დირექტორის მოადგილედ, 1912 წელს – მოსკოვის ფილიალის დირექტორად, ხოლო 1913 წლიდან კომპანიის გენერალური წარმომადგენელია რუსეთში. I მსოფლიო ომის დროს სანკტ-პეტერბურგის დენტის ქარხნის დირექტორია. 1917 წლის დეკემბრიდან ისევ ერთვება აქტიურ ბოლშევიკურ საქმიანობაში. 1918 წლის მარტში მონაწილეობდა ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის მუშაობაში. 1918 წლის

ინგლისის პრესა სპარსეთის ამბებს განიხილავს, როგორც ბელუჯისტანსა და ინდოეთში ცეცხლის გაჩენის წინაპირობას. ავღანელთა შესაბამისმა დივერსიამ შეიძლება ბიძგი მისცეს ინდოეთში აჯანყების დაწყებას. უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რას ფიქრობს ყოველივე ამაზე ავღანეთის მთავრობა“.⁵⁸⁵

მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება ავღანეთის მთავრობისთვისაც მისაღები იყო. მართლაც, ბრიტანეთის იმპერიის პოზიციების შესუსტება აღმოსავლეთში ავტომატურად ასუსტებდა ამ მრისხანე იმპერიის დაწოლას ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოზე და ამგვარად ზრდიდა ავღანეთის უსაფრთხოების ხარისხს. გარდა ამისა, ავღანეთსა და ინგლისელებს შორის ისტორიული ურთიერთობების გამოცდილებიდან გამომდინარე, ბოლშევიკთათვის ნამდვილად არსებობდა წარმატების შანსი. ფაქტია, რომ ამანულა ხანმა თანხმობა განაცხადა ჯემალ ფაშას ავღანეთში ჩასვლაზე, რადგან ექსოსმალო გენერალს თავისი დიდი გამოცდილებითა და ცოდნით შეეძლო მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია ავღანეთისათვის არა მხოლოდ ბრძოლისუნარიანი არმიის ჩამოყალიბების, არამედ საერთოდ, სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განმტკიცების საქმეში.

თავად ჯემალ ფაშა კი, თავდაჯერებული პანთურქისტი და პანისლამისტი, აჰმედ ზაქი ვალიდი ტოგანისა არ იყოს, იმედოვნებდა, რომ ბოლშევიკების დახმარებით შუა აზიაში შექმნიდა ინდოეთზე მოლაშქრე „თურქესტანელი თურქი ამბოხებულების საკუთარ არმიას“.⁵⁸⁶ მაგრამ მისი მოლოდინები არ გამართლდა. ჯემალ ფაშა ტაშკენტში 1920 წლის 28 ივლისს ჩავიდა. ძალიან მალე კი იმაში დარწმუნდა, რომ მისი გეგმების რეალიზაცია აქ შეუძლებელი იყო. პირველივე მცდელობა, ჩაერთო ფერღანელი ბასმაჩები ინდოეთზე ლაშქრობაში, ჩაიშალა. ჯემალ ფაშა ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა მოქცეული – ერთი მხრივ, თურქესტანელმა ამბოხებულებმა უარი განაცხადეს ამ ავანტიურისტულ ჩანაფიქრში მონაწილეობის მიღებაზე და ამავე დროს ბოლშევიკები დიდი ეჭვით შეხვდნენ ჯემალ ფაშას ბასმაჩთა ლიდერებთან დაახლოებას. მან დროზე გაიაზრა, რომ ერთადერთ რეალურ ძალას, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლებოდა ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება, ავღანეთი და მოსაზღვრე ტერიტორიებზე მცხოვრები ბრიტანეთის ინდოეთის პუშტუნთა ტომები წარმოადგენდნენ.

1920 წლისთვის საბჭოთა რუსეთისა და თურქი ნაციონალისტების ინტერესები ავღანეთთან მიმართებაში ერთმანეთს ემთხვეოდა: ორივე მხარე დაინტერესებული იყო ინგლისელების დასუსტებითა და ავღანეთის პლაცდარმად გადაქცევით ინდოეთზე მომავალი ლაშქრობის მოსამზადებლად. ამ ეტაპზე ჯემალ ფაშა მზად იყო, ყველაზე გადაამჭრელი ზომები მიეღო და დაყრდნობოდა არა თავის პანისლამისტურ იდეოლოგიას, არამედ გაეთვალისწინებინა თურქესტანში არსებული რეალური სამხედრო ვითარება. თურქესტანში ჩამოსული ჯემალ ფაშა თურქკომისიის წევრებსა და ფრუნზეს შეხვდა, რომლებსაც პირდაპირ განუცხადა: „ბუხარასთან საქმე უნდა მოვამთავროთ ერთი დარტყმით ან დავუთმოთ მთელი ხაზი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იქ ჩვენი გავლენა უნდა შევინარჩუნოთ“.⁵⁸⁷ რა თქმა უნდა, ჯემალ ფაშას კარგად ესმოდა, თუ რა

ნოემბრიდან 1920 წლის ივნისამდე საბჭოთა რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისარია. ამავე დროს, 1919 წლის მარტიდან 1920 წლის დეკემბრამდე – გზათა შეტყობინების სახალხო კომისარია. 1920 წლის დასაწყისიდან ინიშნება ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად გაგზავნილი დელეგაციის ხელმძღვანელად. 1920 წლის მაისიდან ლონდონში ბრიტანეთის მთავრობასთან აწარმოებდა სანგრძლივ სავაჭრო მოლაპარაკებებს. 1920-1923 წლებში საბჭოელთა სავაჭრო წარმომადგენელია დიდ ბრიტანეთში. 1923 წელს ინიშნება საბჭოთა კავშირის სავარეო ვაჭრობის პირველ სახალხო კომისარად. 1924 წელს საბჭოთა კავშირის დიპლომატიური წარმომადგენელია საფრანგეთში, 1925 წლიდან ისევ დიდ ბრიტანეთშია, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1926 წელს, ლონდონში.

⁵⁸⁵ АВП РФ. Ф. 071. 1920. Оп. 4. П. 101. Д. 5. Л. 18.

⁵⁸⁶ Заки Валиди Тоған (Ахмет-Заки Валидов) . Воспоминания. М., 1997. С. 298.

⁵⁸⁷ Юрий Тихонов. Афганская война Сталина. Битва за Центральную Азию. Эксмо, Яуза; Москва; ISBN 978-5-

გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ბოლშევიკები, მაგრამ იგი მზად იყო, ხელი აელო საამიროზე, ოღონდაც კი უზრუნველყო იარაღით დატვირთული ქარავნების გატარება ავღანეთისაკენ და მათი პუშტუნთა ტომებისათვის გადაცემა.

1920 წლის ოქტომბრისათვის „დიდი თამაშის“ ახალი ციკლი დაიწყო. ჯემალ ფაშა თავის ოფიცერთა ჯგუფით ქაბულში ჩადის, სადაც ქალაქის მთელმა მოსახლეობამ მას გრანდიოზული დახვედრა მოუწყო. მის პატივსაცემად მოეწყო ქაბულის სამხედრო გარნიზონი და საარტილერიო ზალპიც შესრულდა. „ისლამის ლომს“ მხურვალედ მიესალმნენ უმაღლესი სასულიერო იერარქებიც. ამ საზეიმო შეხვედრაში, მოსკოვიდან გაგზავნილი დირექტივის შესაბამისად, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც სამხედრო აღლუმის დაწყების შემდეგ ჯემალ ფაშას ამაღლას შეუერთდნენ.

ინგლისურმა პრესამაც დიდი ადგილი დაუთმო „ოსმალთა იმპერიის განთქმული მინისტრის“ ქაბულში ჩასვლას. ჯერ კიდევ მის ქაბულში ჩასვლამდე გაზეთი „პიონერი“ წერდა:

„ჯემალ ფაშას ავღანეთში ჩასვლა, როგორც ჩანს, ბოლშევიკების ორგანიზებულია, რათა ავღანეთმა ბოლო შტრიხი შემატოს საბჭოელების ბრწყინვალე გამარჯვებებს საგარეო და საშინაო ფრონტებზე. მოსალოდნელია, რომ ჯემალ ფაშას ქაბულში ჩასვლის მომენტში წითელი არმია დაასრულებს პოლონეთის დაპყრობას, გაანადგურებს ვრანგელს და კონტაქტებს დაამყარებს გერმანიასთან... შეუერთდება მუსტაფა ქემალის ძალებს კავკასიის გავლით, დაიკავებს ჩრდილოეთ ირანს და ბუხარის იზოლაციაში მოქცევით ზეგავლენას მოახდენს ავღანეთზე. ასეთ ვითარებაში ოსმალთა იმპერიის განთქმული მინისტრის ქაბულში ჩასვლა შეიძლება უკანასკნელ ბიძგად იქცეს ავღანეთისთვის და იგი გრანდიოზულ ანტიბრიტანულ კამპანიას შეუერთდეს“.⁵⁸⁸ ხოლო ქაბულში გამომავალი გაზეთი, „აღმოსავლეთის ერთიანობა“ წერდა: „საბჭოთა პოლიტიკის საკვირველი ფარისევლობის განსაკუთრებით ნათელი მაგალითია ენვერ ფაშასა და ჯემალ ფაშას შერჩევა მოსკოვის ჩანაფიქრების განსახორციელებლად... ჯემალ ფაშა, რომელსაც ენვერის პოპულარობისა შურს, ასევე თანამშრომლობს ბოლშევიკებთან და ახლა ავღანეთში იმყოფება, რათა ეს სახელმწიფო ბოლშევიკურ ორბიტაზე მოაქციოს“.⁵⁸⁹

ჯემალ ფაშას ქაბულში ჩასვლას ავღანეთის ამირა, ამანულა ხანიც დიდი სიხარულით შეხვდა და იგი დაუყოვნებლივ აიყვანა თავის მრჩეველად, მალე კი მას ავღანეთის არმიის მარშლის წოდებაც მიანიჭა და ინდოეთთან მოსაზღვრე ჯარების გარნიზონის სარდლადაც დანიშნა. ჯემალ ფაშამ ავღანეთის მონარქს თავისი გეგმები გააცნო. ამ გეგმის რეალიზებისათვის რამდენიმე დღის განმავლობაში, სრულიად საიდუმლო ვითარებაში, თურქ სამხედროებთან ერთად მიმდინარეობდა იმ ღონისძიებების განხილვა, რაც ბრიტანელებთან მოსალოდნელ ომში უნდა განხორციელებულიყო. როგორც ჩანს, ამ განხილვების შედეგები ბოლშევიკთათვის წარმატებული გამოდგა, რადგან ამ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, მოსკოვში გაგზავნილ პირველ ტელეგრამაში გრიფით „სრულიად საიდუმლო, რიგგარეშე, გაიშიფროს უშუალოდ

699-25203-9. 2008. Равич Н. Молодость века. М., 1960. С. 274. http://aleksandr-kommari.narod.ru/tihonov_afghanistan.htm.

⁵⁸⁸ Юрий Тихонов. Афганская война Сталина. Битва за Центральную Азию. Эксмо, Яуза; Москва; ISBN 978-5-699-25203-9. 2008. Цит. по: Гиленсен В.М. Энвер-паша и Джемаль-паша в Советской России // Восток. 1996. № 3. Стр. 49. http://aleksandr-kommari.narod.ru/tihonov_afghanistan.htm.

⁵⁸⁹ В. М. Гиленсен. Сотрудничество красной Москвы с Энвер-пашой и Джемаль-пашой. `Восток~. 1996. №3. Стр. 45-63. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

ადრესატის მიერ“, ჯემალ ფაშა „მოსკოვის გეგმების შესაძლო შესრულების შესახებ“ იტყობინებოდა.⁵⁹⁰

ჯემალ ფაშას მიერ გამოგზავნილი ტელეგრამის საფუძველზე, 1920 წლის 10 ნოემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი შემდეგი შინაარსის სრულიად საიდუმლო წერილს უგზავნის რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს:

„1920 წლის აგვისტოში ჩვენს მიერ ავღანეთში სადაზვერვო მიზნით გაიგზავნა ცნობილი „ახალგაზრდა თურქი“ მოღვაწე, ჯემალ ფაშა. მის ამოცანას წარმოადგენდა ავღანეთის ამირას ნდობის მოპოვება და საპასუხისმგებლო თანამდებობის მიღება. მოცემულ მომენტში ჯემალ ფაშას დავალებული აქვს ავღანეთის არმიის რეორგანიზაცია და აღმოსავლეთის არმიის სარდლობა, რომელიც ამჟამად ინდოეთის საზღვარზე დგას. ჯემალ ფაშა წერდა, რომ... არმიის რეორგანიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავღანეთის მთავრობას გაეწევა სამხედრო დახმარება... ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, ავღანეთში გავაგზავნოთ რიგი წითელი სპეცებისა⁵⁹¹ (Спецов – ა. ჩ.) ამ არმიაში საპასუხისმგებლო თანამდებობების დასაკავებლად. ვანიჭებთ რა დიდ მნიშვნელობას, ერთი მხრივ, ავღანეთის არმიაში ჩვენი ამხანაგების ჩანერგვას და, მეორე მხრივ, ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნას, რომელიც შეძლებს წინ აღუდგეს ინგლისურ ინდოეთს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი გთავაზობთ, აღმოვეჩინოთ სამხედრო დახმარება და გამოვეყოთ ამხანაგთა ჯგუფი ავღანეთის არმიისათვის... წარმოდგენილი წინადადების მიღების შემთხვევაში დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატსა და სამხედრო რევოლუციურ საბჭოს, მოკლე დროში მოილაპარაკონ ამ გადაწყვეტილების რეალიზაციის შესახებ“.⁵⁹²

ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, მოსკოვის სახელმწიფო საოლქო უნივერსიტეტის (МГОУ) იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიქტორ გილენსენი თვლის, რომ ამ წინადადების პოლიტიკურს მიერ მოწონების ირიბ დადასტურებად უნდა ჩაითვალოს 1921 წლის 29 თებერვალს რსფსრ-სა და ავღანეთს შორის ხელშეკრულების დადება, რომელიც „არ ექვემდებარებოდა განსაჯარობას“. სხვა პუნქტებთან ერთად, ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყო ავღანეთისათვის სამხედრო ქონების მიწოდებაც.⁵⁹³

⁵⁹⁰ Телеграмма № 249 Я. Сурица в НКВД // АВП РФ. Ф. 071. 1920. Оп. 2. П. 102. Д. 2. Л. 221.

⁵⁹¹ სპეცი – აქ საუბარია ე.წ. Спец-ებზე, ანუ, Военспец-ებზე, სამხედრო სპეციალისტებზე. რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ კრემლის მესვეურების წინაშე სასწრაფოდ დადგა დღის წესრიგში მუშურ-გლეხური წითელი არმიის (РККА – Рабоче-крестьянская Красная армия) შექმნის ამოცანა. რუსეთის სამოქალაქო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს ყოფილი ცარისტული იმპერიული არმიის პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეები – გენერლები, აღმირალები, ოფიცრები და სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური იდეოლოგიის მიხედვით военспец-ები კლასობრივ მტრებს წარმოადგენდნენ, ლენინი და ტროცკი მაინც წავიდნენ ამ სარისკო ნაბიჯზე. აღსანიშნავია, რომ военспец-ების დიდმა ნაწილმა მოგვიანებით წითელი არმიის მაღალი და უმაღლესი სამეთაურო და სამტაბო თანამდებობებიც დაიკავა. Военспец-ების გარკვეული ნაწილი სხვა ქვეყნებშიც იგზავნებოდა ამ ქვეყნების შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საქმეში დახმარების გაწევისა და შეიარაღებისა და ტექნიკის ექსპლუატაცია-მოსამსახურების მიზნით.

⁵⁹² РЦХИДНИ, ფ. 17, оп. 84, д. 240, л. 1. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

⁵⁹³ В. М. Гиленсен. Сотрудничество красной Москвы с Энвер-пашой и Джемаль-пашой. „Восток“. 1996. №3. Стр. 45-63. РЦХИДНИ, ფ. 17, оп. 84, д. 240, л. 3; Документы внешней политики СССР. Т. III. М., 1959, с. 552. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

§5.7. ჯემალ ფაშა – ავღანეთის მარშალი

საერთო ჯამში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯემალ ფაშამ მოახერხა ავღანური მხარის დათანხმება იმ საკითხზე, რომ მას ეხელმძღვანელა ავღანეთ-ინდოეთის საზღვრის უსაფრთხოებისათვის. ამავე დროს, მას საშუალება მიეცა, პირდაპირი კონტაქტები დაემყარებინა საზღვარზე მცხოვრებ პუშტუნთა ტომებთან. სამხედრო საქმეების ორგანიზების მიზნით ამანულა ხანმა თანხმობა განუცხადა ჯემალ ფაშას „განსაკუთრებული კონსპირაციული კომისიის“ შექმნაზე, რომელშიც თურქი ოფიცრის სახით საბჭოთა წარმომადგენელიც იქნებოდა ჩართული. ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიუთითებდა, თუ რამდენად დიდი იყო ამანულა ხანისა და სასახლის კარის მიერ ექსოსმალო გენერლისადმი გამოჩენილი ნდობა. ამ დიდი ნდობის გამოვლინების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნათელი მაგალითი ამანულა ხანის მხრიდან ჯემალ ფაშას მიერ ე.წ. „საჩვენებელი დამრტყმელი ბრიგადის“ ჩამოყალიბებაზე თანხმობა იყო. ჯემალ ფაშა დაუყოვნებლივ შეუდგა დასახული ამოცანის შესრულებას, რადგან შტაბის დასაკომპლექტებლად პროფესიონალ ოფიცერთა საკმარისი რაოდენობაც გააჩნდა და საბჭოელთა მიერ მიცემული დიდი თანხებიც. ასე რომ, სულ მოკლე ხანში შეიქმნა შენაერთი სამი ქვეითი ბატალიონისა და ერთი ესკადრონის შემადგენლობით. ამ ნაწილებში დიდი ენთუზიაზმით გაერთიანდნენ საზღვრისპირა ტომების წარმომადგენლებიც. 1921 წლის თებერვლისათვის ამ „დამრტყმელი ბრიგადის“ პირადი შემადგენლობის რიცხოვნობამ უკვე 3000 კაცს მიაღწია. ახლადშექმნილი სამხედრო ნაწილის შესანახად ყოველთვიურად საბჭოელების მიერ 20 ათასი რუპია იხარჯებოდა.⁵⁹⁴ სურცი ამ დანახარჯებს მისაღებად თვლიდა, რადგან, მისივე სიტყვებით, ეს „სანიშნო პოლკები“ იმ „ხიდს წარმოადგენდა, რომელიც გააადვილებდა ჩვენს შეღწევას ავღანეთის არმიის სხვა ნაწილებში“.⁵⁹⁵

ჯემალ ფაშა არ ძალავდა, რომ თავის ნაწილებს იგი ინგლისელებთან ხანგრძლივი ომისათვის ამზადებდა. იგი სამართლიანად თვლიდა იმ მოსაზრებასაც, რომ ინგლისელები არ დაუშვებდნენ ავღანეთის გადაქცევას „ინდური რევოლუციის“ პლაცდარმად. ოსმალთა გენერალი საბჭოელებისაგან მოითხოვდა „ავღანეთის საკითხის დაყენებას იმ სიმალღეზე, რომ გადამწყვეტი ბრძოლის დროს იგი ჩვენთვის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო“.⁵⁹⁶ ჯემალ ფაშა საბჭოთა რუსეთ-ავღანეთს შორის დადებული ხელშეკრულების სასწრაფო რატიფიკაციასა და ავღანეთისათვის მაქსიმალური სამხედრო დახმარების გაწევას მოითხოვდა. ამავე დროს იგი ეფექტურად ბლოკავდა ბრიტანელთა ყოველგვარ ცდას, ჩაემალათ ამ ხელშეკრულების რატიფიცირება. მის მიერ მიწოდებული ინფორმაციების მეშვეობით სურცი ბრიტანელთა ყველაზე უფრო საშიში ინტრიგების საქმის კურსში იყო. ჯემალ ფაშას უდიდესმა ზეგავლენამ ამანულა ხანზე და მისმა ანტიბრიტანულმა მოღვაწეობამ იგი ბრიტანელების ნომერ პირველ მტრად აქცია.

ბრიტანულმა დაზვერვამ საპასუხო ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. იმისათვის, რომ რამენაირად გაენეიტრალებინათ ჯემალ ფაშას მოქმედებები, ბრიტანულმა აგენტურამ ყველა ღონეზე ხმები გაავრცელა ქაბულში, თითქოს ბოლშევიკური გადატრიალება მზადდებოდა და ამ გადატრიალებაში მთავარი წვლილი ჯემალ ფაშას „სანიშნო ბრიგადას“ უნდა შეეტანა. მიუხედავად ამისა, „ისლამის ლომის“ ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო ავღანურ საზოგადოებაში, რომ ამ დეზინფორმაციას არავინ დაუჯერა. ჯემალ ფაშას განეიტრალება ვერც ბრიტანელმა აგენტმა აბდულ ჰაკმა მოახერხა,

⁵⁹⁴ Телеграмма Я. Сурица в НКВД от 28.02. 1921 г. // РГАСПИ. Ф. 5. Оп. 1. Д. 2179. Л. 35. http://aleksandr-kommari.narod.ru/tihonov_afghanistan.htm.

⁵⁹⁵ Докладная записка Я. Сурица в НКВД от 6.04. 1921 // АВП РФ. Ф. 090. 1921. Оп. 4. П. 2. Д. 1. Л. 16.

⁵⁹⁶ Письмо Джемал-паши Д. Гопнеру от 8.03.1921 г. // АВП РФ. Ф. 090. 1921. Оп. 4. П. 2. Д. 1. Л. 5.

რომელმაც პირადად მოახსენა ამანულა ხანს, თითქოს ტაშკენტში თავისი თვალთ
ჰქონდა ნანახი დოკუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ „გაზაფხულისათვის
ავღანეთში დაგეგმილი იყო სამხედრო გადატრიალება, მისი მომზადება კი ჯემალ ფაშას
ჰქონდა დავალებული“.⁵⁹⁷ თუმცა, ძალიან მალე თავად აბდულ ჰაკი გამოააშკარავეს,
როგორც ბრიტანელთა აგენტი და ჯემალ ფაშას მდგომარეობა ამირას სასახლის კარზე
კიდევ უფრო განმტკიცდა. მოკლედ რომ ვთქვათ, საშიში მოწინააღმდეგის „ავღანური
ხელით“ მოშორება განთქმულმა ბრიტანულმა დაზვერვამ ვერ მოახერხა.

თავის მთავარ ამოცანად ჯემალ ფაშა, რა თქმა უნდა, „ინდურ რევოლუციას“
მიიჩნევდა. ამასთან დაკავშირებით, 1921 წლის მარტის დასაწყისში იგი ავღანეთის
სამხედრო მინისტრთან, მუჰამედ ნადირ ხანთან ერთად ხანგრძლივ მივლინებაში
იმყოფებოდა ბრიტანული ინდოეთის საზღვრების დასათვალისწინებლად. „ისლამის ლომის“
გამოჩენას დიდი ალტაცებით შეხვდნენ პუშტუნთა ტომები, რომლებიც იმედოვნებდნენ
ჯემალ ფაშას დახმარებით რუსეთიდან იარაღისა და ფულის მიღებას. ამავე დროს დიდი
სააგიტაციო მუშაობა გაჩაღდა ბრიტანელთა წინააღმდეგ „ჯიჰადის“ საწარმოებლად.
ფაქტია, რომ ჯემალ ფაშასთან თანამშრომლობაზე დიდი ხალისით წავიდნენ პუშტუნთა
ტომების ბელადები და რელიგიური ლიდერები, მათ შორის, ისინიც, ვინც სხვა
შემთხვევაში არაფრით არ წავიდოდა „ურჯულო ბოლშევიკებთან“ კონტაქტზე. ამ
შემთხვევაში კი ბოლშევიკებსა და მათ შორის სახელგანთქმული ოსმალთა გენერალი და
„ისლამის ლომი“ – ჯემალ ფაშა იდგა. ასე მაგალითად, ვაზირისტანის სულიერმა
ლიდერმა აბდულ რაზაკმა, რომლის ხელმძღვანელობითაც ბრიტანელთა წინააღმდეგ 12
ათასი კაცი იბრძოდა, თანხმობა განუცხადა ჯემალ ფაშას მისი გეგმების აღსრულებაში.
ამისათვის მან სასწრაფოდ მოითხოვა 800 ათასი რუპიისა და იარაღის საკუთარი
მებრძოლებისათვის გადაცემა. ერთ-ერთ თავის კორესპონდენტიაში იგი ჯემალ ფაშას
სწერდა: „აუცილებელია, დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ საბრძოლო მასალები, ვაზნები,
შაშხანები და სხვა იარაღი... მე მაქვს ყველა იმ იარაღის ავღანეთის, ბელუჯისტანისა და
ინდოეთის საზღვრებისაკენ გადაზიდვის საშუალება, რასაც კი რუსეთის რესპუბლიკა
მოგვაწვდის პამირის საზღვრებამდე“.⁵⁹⁸

მოკლედ რომ ვთქვათ, ჯემალ ფაშას გეგმებმა თითქოს დაიწყო კიდევ მუშაობა –
ახლა ყველაფერი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებდა იგი
პუშტუნთა ტომების უზრუნველყოფას საკმარისი რაოდენობის იარაღითა და ფულით.
აქედან გამომდინარე, ჯემალ ფაშა დაჟინებით მოითხოვდა მოსკოვისაგან თანხებისა და
იარაღის პარტიების გამოგზავნას. თუმცა, ამ მომენტისათვის, 1921 წლის დასაწყისისათ-
ვის, საბჭოთა ხელისუფლებას უკვე ახალი „პრობლემები“ გაუჩნდა ამიერკავკასიაში –
იგი საქართველოსთან საოკუპაციო ომითა და სომხეთთან ანტიბოლშევიკური აჯანყების
ჩახშობით იყო დაკავებული. ამავე დროს ბოლშევიკთა ყურადღება ანატოლიისაკენ იყო
მიპყრობილი, სადაც ბერძნული საოკუპაციო შენაერთები დიდი წარმატებით მიიწვედნენ
ანკარისაკენ. ასე რომ, მოცემული მომენტისათვის მოსკოვს ისევ არ ძალუძდა ასეთი
რაოდენობის ფინანსებისა და იარაღის ავღანეთში გაგზავნა. ჯემალ ფაშას წერილებზე
მოსკოვი პასუხს აგვიანებდა.

1921 წლის 3 მარტს ჯემალ ფაშა ტელეგრამას უგზავნის ჩიჩერინს, სადაც
გაკვირვებას გამოხატავს მოსკოვის სიჩუმის გამო. იგი აღნიშნავდა, რომ ბოლო ორი
თვის განმავლობაში შექმნა დამრტყმელი შენაერთები და დაიწყო მუშაობა საზღვრისპირა
რაიონებში მოსახლე პუშტუნთა ტომებთან. და აქვე ჯემალ ფაშამ პირველი მუქარაც
გაუგზავნა მოსკოვს, რომ მისი მოთხოვნების შეუსრულებლობისა და ორ კვირაში

⁵⁹⁷ Телеграмма Я. Сурица в НКВД от 4.03. 1921 г. // РГАСПИ. Ф. 5. Оп. 1. Д. 2179. Л. 36.

⁵⁹⁸ АВП РФ. Ф.090.1921. Оп. 4. П. 2. Д. 1. Л. 23. http://aleksandr-kommari.narod.ru/tihonov_afganistan.htm.

პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში ქაბულს დატოვებდა. სურიცს კარგად ესმოდა ჯემალ ფაშას მიერ გაწეული სამუშაოების მნიშვნელობა, ამიტომ უკვე 6 მარტს იგი შემდეგი შინაარსის მოხსენებით ბარათს აგზავნის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში:

ავღანეთში სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ი. ზ. სურიცის
მოხსენებითი ბარათი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს

„ძვირფასი ამხანაგო,

ჩვენს ავღანეთთან ურთიერთობებში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ჯემალ ფაშამ. უფროსი თაობის გამოცდილი პოლიტიკური მოთამაშის საერთო ენამ, თურქულმა წარმომავლობამ, ჭკუამ და ტაქტმა, ყოველივე ამან დღიდან ჩვენი ჩამოსვლისა, განსაზღვრა ჩვენი კეთილგანწყობილი მიღება ქაბულში. ამირა, რომელიც პირველად შეხვდა მსგავსი გაქანების მუსლიმან მოღვაწეს, გააოგნა მისი ხედვების მასშტაბებმა, ხოლო ჯემალ ფაშას სხარტმა აზროვნებამ საბოლოოდ მოიპოვა მისი სიმპათიები, რამაც მათ ურთიერთობებს პირადი მეგობრობისა და ნდობის ელფერი შესძინა. სასახლის კარის რთული ინტრიგებისა და ურთიერთობების ატმოსფეროში, სადაც ყველა შეპყრობილი იყო ერთადერთი ამაზრზენი სურვილით, – დაემსახურებინა მონარქის წყალობა, – ახალი ფავორიტის გამოჩენას დაუფარავი შურისა და უკმაყოფილების ტალღა მოჰყვა. ამაში არანაკლებ როლს ანგლოფილურად განწყობილი სარდლები თამაშობდნენ, რომლებიც შესაბამისი სუბსიდიებითა და ქრთამებით იყვნენ მოწყიდულნი. ასეთ არაკეთილმოსურნე გარემოში ფაშას წარმატებები მნიშვნელოვანწილად აიხსნება მისი მოხერხებულობით, ადგილობრივი ცხოვრების წესთან შეგუების სწრაფი უნარით, მის მიერ შეთავაზებული პოლიტიკის ხერხებისა და ფორმების შერჩევით... ღიად უნდა ვაღიარო, რომ ჯემალის მიერ მიღწეული წარმატებები განსაკუთრებული იყო.

მის პოლიტიკურ პლატფორმაში სრულად იყო წარმოდგენილი ნაციონალური ეგოიზმის არგუმენტები და პანისლამიზმის ბუნდოვანი რომანტიკა, რომლებიც სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს, შექმნილი მდგომარეობისა და არსებული აუდიტორიის შესაბამისად...

ჯემალ ფაშას განცხადებების მიხედვით, მის მიერ დასახულ მიზნებს პირდაპირი კავშირი არა აქვთ ანგორის მთავრობასთან. მისი სიტყვებით, „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, ქემალის გავლენის სფერო თურქეთით შემოიფარგლება, მაშინ როცა ფართო პოლიტიკის წარმოება დაგალებული აქვთ თალაათ ფაშას, ენვერ ფაშასა და თვითონ მას. ამასთანავე, საკუთარ ამოცანად მან ინგლისურ იმპერიალიზმთან ბრძოლა დაისახა მთელს აღმოსავლეთში...“ – შემდეგ სურიცი ჯემალ ფაშას მიერ ჩამოყალიბებული სანიმუშო შენაერთის საბრძოლო თვისებებსა და ამ შენაერთში განსახორციელებელი საშტატო ცვლილებების შესახებ საუბრობს:

„ჯემალ ფაშას მიერ ავღანეთის არმიის რეორგანიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. ჯემალმა, რომელსაც თავის განკარგულებაში 40 საშტატო ოფიცერი ჰყავს და რომლებმაც იციან ადგილობრივი ენის კილოები, შეძლო გაეწვრთნა სამი ბატალიონი და ერთი ესკადრონი, რომელსაც ჩვენ ვერაფრით ვერ შევძლებდით ჩვენგან გაგზავნილი ინსტრუქტორების ადგილებზე ხანგრძლივი მომზადების გარეშე. ახლადშექმნილი სანიმუშო პოლკები იმ ხიდად გადაიქცევიან, რომელიც დაგვეზმარება, შევალწიოთ ავღანეთის არმიის სხვა ნაწილებში. ფაშას მიერ ჩამოყალიბებული ახალი ფორმირებების სახით ჩვენ ხელსაყრელი შუალედური საფეხური მოვიპოვეთ, რომლის თურქული შტატის ჩანაცვლებასაც თანდათანობით რუსეთიდან გაგზავნილი ინსტრუქტორები შეძლებენ. თავდაპირველად უნდა გავაგზავნოთ ამხანაგი თურქმენები, თათრები და ა.შ., რომლებიც მშვენივრად ჩანაცვლებენ სუფთა სისხლის ოსმალებს. ტექნიკურ

დანაყოფებში – საჰაერო ფლოტი, საინჟინრო ნაწილები – შეიძლება პირდაპირ შევიყვანოთ რუსი ინსტრუქტორები... მაგრამ იმისათვის რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქმეები უშუალოდ ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოვიდეს, ახლავეა საჭირო შესაბამისი ზომების გატარება. ინსტრუქტორთა კადრების შემადგენლობაში უნდა შევიყვანოთ რაც შეიძლება მეტი ჩვენი აღმოსავლელი ამხანაგი. ქაბულში გასაგზავნი თურქი ტყვედყოფილები ძალიან გულდასმით უნდა შეირჩნენ. წარმომადგენლობაში უნდა გამოავზავნოთ აღმოსავლური ენების მცოდნე გენშტაბის რამდენიმე საიმედო ოფიცერი, რაც მიახლოებით მაინც მომცემს იმის საშუალებას, რომ წარმომადგენლობამ ჯემალის მიერ ადგილზე თანხების გაცემა გააკონტროლოს...

ფაშას მიერ არმიის რეორგანიზაციის დროებითი ხელმძღვანელობა ჩვენთვის ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც ამით შევძლებთ ავღანეთის არმიაში შეღწევას...“ – შემდეგ კი ყველაზე საინტერესო ამბავია, რომელსაც ორიგინალში წარმოგიდგენთ:

„Вступая на путь общей работы с турецкими националистами, всегда следует помнить, что она носит лишь временный характер, и они рано или поздно станут регрессивным элементом наших отношений с Афганистаном; к этому надо готовиться, чтобы в назревший момент без затруднения изжить их удаление“.

ქაბული, 1921 წლის 6 მარტი.⁵⁹⁹

მოხსენებითი ბარათის ბოლო აბზაცის შინაარსი მეტად მნიშვნელოვანია. იგი ცალსახად გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ჯემალ ფაშას პიროვნებით დიდი აღტაცებისა, სურიცი არ კარგავდა რეალობის შეგრძნებას. მას, როგორც ნამდვილ ბოლშევიკს, კარგად ესმოდა, რომ დიდი საქმეების კეთებაში ყველას თავისი როლი ჰქონდა შესასრულებელი და ისინი „დროებით დაქირავებულებს“ წარმოადგენდნენ. მისი დასრულების შემდეგ კი, მიუხედავად მათი პოლიტიკური წონისა, მოქმედი პირები უმტკივნეულოდ უნდა მოეშორებინათ თავიდან. დიახ, ამხანაგი სურიცი, როგორც ნამდვილი ბოლშევიკი, პირდაპირ აცხადებდა თურქ ნაციონალისტებთან მიმართებაში, რომ „В назревший момент без затруднения надо изжить их удаление“.

ამასობაში გლობალური და რეგიონალური გეოპოლიტიკური კონფიგურაცია საგრძნობლად შეიცვალა. ბოლშევიკთა მიერ სამოქალაქო ომში მოპოვებულმა გამარჯვებამ 1921 წელს აიძულა დევიდ ლოიდ-ჯორჯის მთავრობა, დე-ფაქტო ეცნო რუსეთი. ამავე დროს, 16 მარტს, მოსკოვში, საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის დელეგაციებს შორის ხელი მოეწერა ე.წ. „ძმობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულებას. იმავე რიცხვში მოეწერა ხელი რუსეთსა და ინგლისს შორის სავაჭრო ხელშეკრულებასაც ლონდონში. ხელშეკრულების პრეამბულაში დიდი ადგილი ეკავა საბჭოთა რუსეთ-ინგლისის ურთიერთობების პოლიტიკურ ასპექტებს. პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე მთავარი აზიაში „რევოლუციის ექსპორტის“ აკრძალვა იყო. ხელშეკრულების შესავალი ნაწილის პირველ პუნქტში კი ნათქვამი იყო, რომ „საბჭოთა მთავრობა უარს ამბობდა სამხედრო, დიპლომატიური ან ნებისმიერი სხვა ფორმითა და საშუალებით აზიის ხალხების წახალისებაზე ბრიტანელთა მიმართ მტრული მოქმედებების განხორციელებაში, განსაკუთრებით, ინდოეთსა და ავღანეთში“.⁶⁰⁰

ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა და, შესაბამისად, 1921 წლის 16 მარტს, რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შემდეგ, მოსკოვსა და ლონდონს

⁵⁹⁹ Ю. Н. Тихонов. Джемаль-паша в Афганистане и Советской России в 1921-1922 гг. Новые архивные документы. ЦА ФСБ. Ф. 1. Оп. 5. Д. 377. Л. 365369 об. Машинописная копия. <http://cyberleninka.ru/article/n/dzhemal-pasha-v-afganistane-i-sovetskoy-rossii-v-1921-1922-gg-novye-arhivnye-dokumenty>.

⁶⁰⁰ Тихонов Юрий Николаевич. Политика великих держав в Афганистане и пуштунские племена (1919-1945). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Отдел Ближнего и Среднего востока Института востоковедения Российской Академии наук. <http://referatnote.ru/vneklassnayarabota/ obrazovanie / politika- velikikh-derzhav-v-afganistane-i-pushtunskie-plemena-1919/>.

შორის ურთიერთობების დათბობის პროცესი იწყება. ასეთ ვითარებაში სურიცისა და ჯემალ ფაშას საქმიანობა ავღანეთში თავის აქტუალობას კარგავს. მიუხედავად ამისა, 1921 წლის გაზაფხულისათვის ჯემალ ფაშა ყოველნაირად ცდილობდა თავისი გეგმების შესრულებას და დაჟინებით მოითხოვდა მოსკოვისაგან პუშტუნთა ტომებისათვის იარაღისა და ფულის გაგზავნას. ასე მაგალითად, 1921 წლის აპრილისათვის იგი 10 ათას ხელყუმბარასა და სხვადასხვა დასახელების ასაფეთქებელ მოწყობილობებს ითხოვდა. ეს საბრძოლო მასალა განსაზღვრული იყო ბრიტანელთა წინააღმდეგ დივერსიული მოქმედებების წარმოებისათვის, რაზეც მისი შემდეგი ფრაზა მეტყველებს: „დაუყოვნებლივ უნდა გამოგვიგზავნოთ ათი ათასი ხელყუმბარა. უმჯობესად ვთვლი ინგლისური წარმოების ხელყუმბარების გამოგზავნას, რათა არ გამოძვლავნდეს მათი წარმომავლობა“. მაგრამ ეს მოთხოვნა, ისევე როგორც მრავალი სხვა, უპასუხოდ დარჩა, მოსკოვი ისევ დუმდა. 1921 წლის ზაფხულში ჯემალ ფაშა გადამწყვეტ მოქმედებებზე გადადის. იგი გაუფრთხილებლად ტოვებს ქაბულს და ტაშკენტის გავლით მოსკოვში ჩადის.

აღსანიშნავია, რომ სურიცი წინააღმდეგი იყო ჯემალ ფაშას ქაბულიდან წასვლისა, რადგან სამართლიანად თვლიდა, რომ მხოლოდ თურქ მალაჩინოსნებს შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ ბრიტანულ ინტრიგებს და ამანულა ხანზეც მოეხდინათ სასურველი ზეგავლენა. საბჭოთა დიპლომატი თვლიდა, რომ ჯემალ ფაშას ავღანეთში ყოფნა „უეჭველად გააუმჯობესებდა ქაბულის სასახლის კარზე ჩვენს ურთიერთობებს“.⁶⁰¹ ამასთანავე, იგი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ჯემალ ფაშას პიროვნების მნიშვნელობას პუშტუნ ტომებთან მიმართებაში: „ისეთი დიდებული ვოენსპეცი, როგორც ჯემალია, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, შეეცდება, გეგმურად ჩაატაროს დაზვერვა, იგი მოაწესრიგებს ტომებთან კავშირებს, გააფართოებს ინლოეთთან უკვე არსებულ ურთიერთობებს. ერთი სიტყვით, ავღანეთის მთელ საბრძოლო აპარატს აიძულებს, უფრო ქმედითად ამუშავდეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე. ერთდროულად მასთან მივა ინფორმაციები ინგლისელთა ჯარების დისლოკაციების შესახებ, ტომთა განწყობებსა და შემადგენლობაზე, მათ სოციალურ და სამართლებრივ მოწყობაზე. ადრე თუ გვიან ჩვენ თვითონვე მოგვიწევდა იმავე საშუალოს ჩატარება და ყოველივე ის, რაც ახლა თურქების ხელით კეთდება, მნიშვნელოვნად შეგვიმსუბუქებს და დააჩქარებს საქმეს“.⁶⁰² თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის მოხსენებით ბარათში სურიცი არ იყო იმის მომხრე, რომ „ისლამის ლომის“ გეგმების რეალიზებისათვის დიდი თანხები დახარჯულიყო.

საერთო ჯამში, ავღანეთში ჯემალ ფაშამ ერთი წელი დაჰყო – 1921 წლის სექტემბრამდე. იგი მოსკოვში ბრუნდება, ხვდება ჩიჩერინს და ლენინთან პირადი აუდიენციის მოწყობას ითხოვს. ჯემალ ფაშას მოსკოვში ჩამოსვლა სრული მოულოდნელობა იყო თვით ჩიჩერინისთვისაც კი. მიუხედავად ამისა, მან მაინც გადაწყვიტა, დახმარებოდა „მუსლიმანური სამყაროს ერთ-ერთ გამოჩენილ წარმომადგენელს“. 14 ოქტომბერს ჩიჩერინმა ჯემალ ფაშას მიღებაზე წერილი მისწერა ლენინს. მეტად საინტერესოა ამ საიდუმლო წერილის შინაარსი: „ავღანეთიდან დაბრუნდა სახელგანთქმული ჯემალ ფაშა და თქვენთან შეხვედრის დიდი სურვილი გამოთქვა. ავღანეთში ჩვენ იგი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, ინგლისელებთან ხელშეკრულების დადებამდე გავაგზავნეთ. მან იქ უაღრესად დიდი ზეგავლენა მოახდინა. როგორც მუსლიმანური სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენელს, ყველგან მეფური დახვედრა მოუწყვეს. თვით ამირაზეც კი, რომელიც ჭკვიანი და პროგრესული იდეების მატარებელია და დიდი ეჭვით უყურებს საკუთარ მინისტრებსაც კი, ჯემალ ფაშამ

⁶⁰¹ Юрий Тихонов. Афганская война Сталина. Битва за Центральную Азию. Эксмо, Яуза; Москва; ISBN 978-5-699-25203-9. 2008. АВП РФ. Ф.090.1921. Оп. 4. П. 2. Д. 1. Л. 23. http://aleksandr-kommari.narod.ru/tihonov_afghanistan.htm.

⁶⁰² Докладная записка Я. Сурица в НКВД от 6.04.1921 // АВП РФ. Ф. 090. 1921. Оп. 4. П. 2. Д. 1. Л. 15.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა... მისი ჩანაფიქრებისა და მოქმედებების მთავარი მამოძრავებელი ძალა ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაა და მთელი თავისი გავლენა ქაბულში იმას მოახმარა, რომ შეინარჩუნოს ავღანეთის ორიენტაცია ჩვენზე. მოცემული მომენტისათვის ამირა ამ კურსს სრულიად განსაზღვრულად და თანმიმდევრობით ატარებს“.

ეს ის გენერალი აჰმედ ჯემალ ფაშაა, რომელიც სულ რაღაც ორიოდ წლის წინ, 1918 წელს, ამიერკავკასიის ახლადშექმნილ რესპუბლიკებთან სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში კავკასიის ანტირუსული და ანტიბოლშევიკური ბარიერის შექმნის მებაირახტრეს წარმოადგენდა, ახლა კი რუს ბოლშევიკთა მოკავშირედ, „მგზნებარე რევოლუციონერად“ და „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლად მოგვევლინა. 1918 წელს ჯემალ ფაშა წერდა:

„მოცემულ მომენტში ოსმალთა იმპერიისა და სამი ამიერკავკასიური სახელმწიფოს წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა: ერთმანეთის დახმარება და ძალების სრული დახარჯვა საკუთარი გაჩანაგებული მიწების აღსადგენად. მათი არსებობისათვის საჭირო მეორე ამოცანა ასეთია: მთელი ძალისხმევა უნდა მივმართოთ იქით, რომ არ დავეუშვათ რუსული ნაკადის შემოსვლა კავკასიის ქედს აქეთ. ამ ამოცანის შესასრულებლად და მოსკოვიტების შესაძლო შემოჭრის აღსაკვეთად საჭიროა, რომ ამ ოთხმა სახელმწიფომ ერთმანეთთან თავდაცვითი კავშირი დაამყაროს...“

როგორც უკვე აღვნიშნე, თუ ჩვენ ოთხივე – ოსმალთა იმპერია, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკები, საკუთარი დაცვისათვის არ დავდებთ ახლო აღმოსავლეთის ხალხების ხელშეკრულებას რუსებისაგან თავის დასაცავად, თუ ჩვენ არ ვიმოქმედებთ ერთად და არ შევუწყობთ ხელს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის შექმნას, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ ჩვენ ისევ რუსთა მსხვერპლნი შევიქმნებით, რომელიც ყოველთვის ესწრაფვოდა დაედგა ჩვენთვის თავისი მონობის უღელი“.⁶⁰³

ახლა, 1921 წლის ოქტომბრისათვის, ავღანეთიდან დაბრუნებულ ჯემალ ფაშას უკვე საშუალოდ ჰქონდა დავიწყებული „ანტირუსული კავკასიური ბარიერის“ შექმნის მასშტაბური პროექტი და თავისი რუსოფობიური იდეები. და, მიუხედავად ამისა, პრობოლშევიკად გარდაქმნილი ჯემალ ფაშა ლენინმა მაინც არ მიიღო, მან ვერ გაბედა ესოდენ რისკიანი ნაბიჯის გადადგმა – „ამხანაგო ჩიჩერინ! მე შეხვედრის წინააღმდეგი ვარ... ბოლომდე ვერ გპირდებით. ეს შეხვედრა საზიანო იქნება. უარის თქმაც ზიანს მოგვიტანს. ჯობია მოძებნოთ შესაბამისი საბაბი და ფორმა, რომ ეს შეხვედრა როგორმე თავიდან ავიცილო“⁶⁰⁴ – ასეთი იყო „პროლეტარიატის დიდი ბელადის“ განაჩენი.

ყველაფერი ნათელი იყო... ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა – „ახალგაზრდა თურქებმა“ დაიგვიანეს, ისინი ვერ აჰყვნენ ისტორიის მსვლელობის ტემპს, მათ ფეხი ვერ აუწყვეს მსოფლიოში მომხდარ პოლიტიკური ცვლილებების დინამიკას. საბჭოელთა პოლიტიკური ინტერესების სტრატეგიულ ვექტორებს უკვე შეცვლილი ჰქონდათ მიმართულება. ამ ეტაპისათვის დიდი ბრიტანეთი უკვე აღარ წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკებისათვის ნომერ პირველ მოწინააღმდეგეს, შესაბამისად – ანტანტაც აღარ წარმოადგენდა ბოლშევიკებთან დაპირისპირებულ მთავარ ძალას. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულება უკვე დადებული იყო...

ფაქტი ისაა, რომ 1919-1921 წლებში საბჭოელებსა და ავღანეთს ნამდვილად არ ჰქონდათ იმის ძალები და საშუალებები, რომ ომი დაეწყოთ ინგლისის წინააღმდეგ, ამიტომ ისინი საიდუმლო მუშაობას ეწეოდნენ პუშტუნთა ტომებთან ინდოეთში განლაგებული ბრიტანული საჯარისო ფორმირებების სტრატეგიული მოქანცვის მიზნით.

⁶⁰³ Джемаль Паша. Записки Джемаль Паши 1913-1919 г.г. Перевод с английского Б. Т. Руденко. С предисловием Сим. Такоева. Тифлиси. 1923 г. Стр. 84.

⁶⁰⁴ «Новое время», Источник: vauг.ucoz.

ჯემალ ფაშას ავღანეთიდან წამოსვლის შემდეგ, თავად ავღანეთშიც მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების დადების ფონზე, ამანულა ხანმა საბოლოო არჩევანი ქვეყანაში მშვიდობის დამყარებასა და ინგლისელებთან მშვიდობიან თანაარსებობაზე გააკეთა.

ფაქტია, რომ საბჭოთა მთავრობისა და კომინტერნის აგენტურის მუშაობამ ავღანეთში სერიოზული სირთულეები შექმნა ქაბულსა და ლონდონს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის. ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, 1922 წელს ამანულა ხანის ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა კომინტერნის რუსულ-ინდური აგენტურა, რითაც ქაბულის კომინტერნის ცენტრმა თავისი არსებობა შეწყვიტა.⁶⁰⁵ ბოლშევიკთა მიერ ორგანიზებული ავღანეთის „თურქული მარში“ დასრულდა...

§5.8. მკვლელობა თბილისში – ბოლშევიკური- იტიჰადისტური მნიშვნას დასასრული

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცენტრალურ აზიაში ჩასულმა ენვერ ფაშამ თემურის ახალი სახელმწიფოს შექმნაზე დაიწყო ფიქრი. ამ ეტაპზე მისი პოლიტიკური აქტივობის მთავარ მამოძრავებელ იდეოლოგიურ ინსტრუმენტად პანისლამიზმი (Ittihad Islami) იქცა. მოკლედ მიმოვიხილოთ ამ რელიგიური ფენომენის ზოგიერთი პოლიტიკური ასპექტი.

პანისლამიზმი, როგორც პოლიტიკური ფენომენი, XIX საუკუნის ბოლოს ჩაისახა ახლო და შუა აღმოსავლეთში მცხოვრებ მუსლიმან მოსახლეობაში როგორც ანტიბრიტანული და, აქედან გამომდინარე, პროგერმანული ოდეოლოგია. ამიტომაც XX საუკუნის 20-იან წლებში, I მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანელებისა და საბჭოელების მიერ იგი ნაწილობრივ მოკავშირე იდეოლოგიად განიხილებოდა და ხშირად მისი წახალისებაც ხდებოდა. ამისათვის ზემოხსენებული „აღმოსავლეთის ხალხთა“ ბაქოს I ყრილობის მასალების გაცნობაც საკმარისია. ამ კონტექსტში პანისლამიზმი, სოციალ-დემოკრატიას, ბოლშევიზმს, პანსლავიზმსა და სხვა მსგავსი ტიპის დოქტრინებთან ერთად, თანამედროვე პოლიტიკის ფენომენად გვევლინება, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა ოსმალთა იმპერიის დასუსტების პერიოდში, რომელიც აქამდე სასულთნოსთან ერთად სახალიფოსაც წარმოადგენდა. ამიტომ პანისლამიზმი გლობალიზაციისა და დასავლური გავლენის პროდუქტად უნდა იყოს მიჩნეული და არა წმინდა რელიგიურ მოძრაობად. რა თქმა უნდა, პანისლამიზმის იდეოლოგია მიერ სხვა ქვეყნებში მცხოვრები მუსლიმანების დაცვა და მხარდაჭერა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა, მაგრამ როგორც წმინდა პოლიტიკური დოქტრინა, პანისლამიზმი ტრიაბალიზ-

⁶⁰⁵ Тихонов Юрий Николаевич. Политика великих держав в Афганистане и пуштунские племена (1919-1945). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Отдел Ближнего и Среднего востока Института востоковедения Российской Академии наук. Москва. 2008. <http://referatnote.ru/vneklassnaya-rabota/obrazovanie/politika-velikikh-derzhav-v-afganistane-i-pushtunskie-plemena-1919/>.

მთან⁶⁰⁶, სახელმწიფო და ეთნიკურ ნაციონალიზმთან ერთად უახლესი ისტორიის პროდუქტი უფროა, ვიდრე წმინდად რელიგიური ფენომენი.

XX საუკუნის დასაწყისის თურქული სახალიფო მუსლიმანთათვის „ისლამური სახელმწიფოს“ (Dar ul Islam) იდეალურ მაგალითს წარმოადგენდა. თურქეთის მთავრობისათვის, რომლის ამოცანაც ოსმალთა იმპერიის დაცემის შემდეგ ნებისმიერი გზებითა და უმცირესი დანაკარგებით თურქული სახელმწიფოს შენარჩუნება იყო, პანისლამიზმი უკვე პანთურქიზმის ადექვატურ დოქტრინად გადაიქცა. სხვა ქვეყნებში მცხოვრებ მუსლიმანებთან მიმართებაში ისინი ცდილობდნენ, ისე წარმოედგინათ სურათი, თითქოს თურქეთზე დაწოლა ისლამზე დაწოლის ტოლფასი იყო, ხოლო თურქეთის დაცემა ისლამის მარცხს მოასწავებდა.

ამრიგად, ენვერ ფაშამ ამ ეტაპზე თავისი მიზნების მისაღწევად ერთდროულად აირჩია პანთურქიზმის, პანთურანიზმისა და პანისლამიზმის იდეოლოგიები. ფართო და დაქსაქსული მეამბოხური მოძრაობის არსებობა ბუხარაში და ბასმაჩების გამოსვლები თურქესტანსა და ფერდანაში მას იმედს უსახავდა, რომ შეძლებდა პანისლამისტური სახელმწიფოს ან ამ ტიპის კონფედერაციის შექმნას. ასეთი კონფედერაციის სათავეში, რა თქმა უნდა, თავის თურქეთს ხედავდა, რომლის ინტერესებიც მისთვის უზენაესი იყო და რომლის ინტერესების გამტარებელიც იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. ცხოვრების ბოლომდე იგი არ წყვეტდა კავშირს თანამოაზრეებთან კონსტანტინოპოლსა და ანკარაში და ნიადაგს ამზადებდა სამშობლოში ტრიუმფალური დაბრუნებისათვის. მიუხედავად მუსტაფა ქემალთან ანატოლიაში განცდილი მწარე მარცხისა, იგი მაინც იმ დღეზე ოცნებობდა, როცა გამარჯვებულის დაფნის გვირგვინით შევიდოდა თურქეთში და ანგარიშს გაუსწორებდა მუსტაფა ქემალს.

მიუხედავად დიდი პოპულარობისა და ქარიზმისა, ენვერ ფაშას ამ გრანდიოზულ მიზნებს ასრულება არ ეწერა. ენვერ ფაშა ისევ იდეალისტად რჩებოდა. შანსები ძალიან მცირე იყო. „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიას ბელისწერა სდევდა უკან, მიუხედავად იმისა, რომ მათი „რევოლუციური“ მოღვაწეობა თითქოს საკმაო წარმატებით მიმდინარეობდა. ჩვენი ეს მოსაზრება პირველ რიგში იტიპადისტთა მეორე ლიდერს, გენერალ აჰმედ ჯემალ ფაშას ეხება. მასთან დაკავშირებული შემდგომი მოვლენები კი ასე განვითარდა.

მოსკოვში განცდილმა პირველმა წარუმატებლობამ ჯემალ ფაშა არ გატეხა. ლენინთან არშემდგარი ვიზიტის შემდეგ, 1921 წლის 18 ოქტომბერს, იგი ჩიჩერინს უგზავნის მემორანდუმს, სადაც ავღანეთთან მიმართებაში საკუთარი გეგმების მართებულობას ამტკიცებს. „ჩვენ სერიოზულად უნდა განვეწყოთ საზღვრისპირა ტომების მიმართ, რომლებმაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოგვცენ შეიარაღებული რევოლუციური ძალები 150-დან 200 ათას კაცამდე. ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა... თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რამდენად უმნიშვნელოა ჩემი მოთხოვნები, მათზე უარის თქმა შემდეგში ღრმა სინანულის მიზეზი იქნება“.⁶⁰⁷

მემორანდუმის დანართებში ჯემალ ფაშა პუშტუნთა ბელადის, აბდულ რაზაკისათვის ითხოვდა 2 მილიონი რუპიის (დაახლოებით 700 ათასი რუბლი ოქროთი), 5

⁶⁰⁶ ტრაიბალიზმი – ტომობრივი დაპირისპირება, ტომთა შორის შუღლი. ტომთა მისწრაფება საზოგადოებრივ-პოლიტიკური განცალკევებისაკენ, რომელიც გამოიხატება ტომობრივი კუთვნილების პრინციპით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში. ტრაიბალიზმის პრაქტიკა მდგომარეობს ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისათვის პრივილეგიების მინიჭებაში სახელმწიფო აპარატისათვის კადრების შერჩევისა და დანიშვნის საქმეში. ტრაიბალიზმი ხელს უშლის დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობას და დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპებისათვის. ტრაიბალიზმი ხშირად გადაიზრდება ეთნიკურ დაპირისპირებასა და სამოქალაქო ომში. დღეისათვის ამ ფენომენს იშვიათად ვხვდებით, ძირითადად გავრცელებულია ზოგიერთ ჩამორჩენილ აფრიკულ ქვეყანაში.

⁶⁰⁷ РГАСПИ. Ф. 5. Оп. 3. Д. 577. Л. 27.

ათასი ბრიტანული წარმოების ხელყუმბარისა და 20 მილიონი ვაზნის მიწოდებას. პუშტუნთა სხვა ტომებისა და ინდოელი ნაციონალისტებისათვის იგი დამატებით 5 ათას ინგლისურ რევოლვერსა და 500 ათას ვაზნას ითხოვდა. გარდა ამისა, იგი აუცილებლად მიიჩნევდა, რომ ჩატარებული სამუშაოებისათვის მისთვის არანაკლებ 10 ათასი რუბლი ოქროთი მიეცათ.

1921 წლის 20 ოქტომბერს ჩიჩერინმა ლენინსა და ტროცკის ჯემალ ფაშას მემორანდუმის ასლი გაუგზავნა. შემდეგ კი ამ დოკუმენტს სხვა „ხელმძღვანელი ამხანაგებიც“ გაეცნენ. როგორც ჩანს, ტროცკისა და მსოფლიო რევოლუციის „აღმოსავლეთის ფრონტის“ ორგანიზების სხვა მომხრეებისათვის ჯემალ ფაშას დასკვნები დამაჯერებელი აღმოჩნდა. იმავე პოზიციაზე დადგა სტალინიც, თუმცა მან მოითხოვა ოსმალთა გენერლის მოთხოვნების ორჯერ შემცირება, ხოლო პუშტუნთა ტომებისათვის – 80%-ით.⁶⁰⁸ სტალინი ტროცკის წერდა: „ჩემთვის ნათელია, რომ მუსლიმანური ტომების სახით, რომლებიც უძრავლესობას წარმოადგენენ ინდის დაბლობსა და ფენჯაბის რაიონში და რომელთათვისაც ჯემალი დიდ ავტორიტეტს წარმოადგენს, ჩვენ ვფლობთ გარკვეულ ბაზას, საიდანაც შესაძლებელია სერიოზული ზიანი მივაყენოთ ინგლისს, თუ ეს უკანასკნელი დაგვარტყამს 1922 წლის გაზაფხულზე ან ზაფხულში.⁶⁰⁹ სტალინი შესაძლებლად თვლიდა თურქი პოლიტიკოსისათვის 100 ათასი რუბლის გადაცემას ოქროთი „ამბოხებულთა ბელადებისათვის“. გარდა ამისა, სტალინი თანახმა იყო, ავღანეთში გაეგზავნათ 6 ათასი შაშხანა, რამდენიმე მილიონი ვაზნა, 12 „მაქსიმის“ ტყვიამფრქვევი, 12 ქვემეხი და ტიპოგრაფია. ამ შეიარაღების დიდი ნაწილი განსაზღვრული იყო ჯემალ ფაშას „საჩვენებელი დამრტყმელი ბრიგადისათვის“, რომელიც ბრიტანელთა წინააღმდეგ საბრძოლო მომზადების ცენტრად უნდა ქცულიყო.

საბოლოოდ, 1921 წლის 3 ნოემბერს რკპ(ბ) ცეკას პოლიტბიუროს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, ჯემალ ფაშას გადასცემოდა 200 ათასი რუბლი ოქროთი და მის განკარგულებაში მიეკლინათ „ორი საიმედო ამხანაგი, რომლებიც უცხო ენებს ფლობდნენ, ასევე ხუთი თანაშემწე“. როგორც ვხედავთ, ჯემალ ფაშამ მაინც მიაღწია იმას, რომ ბოლშევიკებისაგან ფინანსური დახმარება მიეღო, თუმცა ეს თანხები რამდენჯერმე ნაკლები იყო მოთხოვნილ რაოდენობაზე.

წითელი არმიის სადაზვერვო უწყება (ГРУ), წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, ჯემალ ფაშას მისიის შედეგებს დადებითად აფასებდა. თურქესტანის ფრონტის შტაბის დაზვერვის განყოფილების 1922 წლის ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ „ჯემალ ფაშას გავლენა იგრძნობა ორგანიზაციისათვის გაწეულ ყოველ ქმედებაში. მას საქმიანობისათვის გააჩნია ფრიად ხელსაყრელი პირობები, მაგრამ არმიის ძირითადი გარდაქმნის პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის მთელი პოლიტიკური წყობის რეფორმასთან, საბოლოო სახით ჯერ კიდევ არაა დასრულებული. ინტელიგენტებისა და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების უკმარისობა, ფულადი თანხების უქონლობა და ავღანეთისათვის დამახასიათებელი ინერტულობა ზეგავლენას ახდენს წარმატებების მიღწევასა და ავღანეთის არმიაში მიმდინარე რეფორმებზე. ავღანეთის არმია ჯერ კიდევ არაა მზად იმისათვის, რომ საბრძოლო მოქმედებები აწარმოოს თანამედროვე არმიებთან. ვერც შეიარაღების რაოდენობა, ვერც საბრძოლო მომზადებისა და სამეთაურო შემადგენლობის პროფესიული დონე, ვერც მომარაგება ვერ უზრუნველყოფს ავღანეთის არმიის ბრძოლისუნარიანობას“.⁶¹⁰

ჯემალ ფაშას მიერ მოსკოვში მიღწეული შედეგების შესახებ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის სხვა წყარო, კერძოდ, ლიპეცკის სახელმწიფო პედაგოგიური

⁶⁰⁸ И. Сталин – Л. Троцкому. 2.11.1921 // Большевицкое руководство. Переписка. 1912—1927. М., 1996. С. 214.

⁶⁰⁹ იქვე.

⁶¹⁰ РЦХИДНИ, ф. 62, оп. 2, д. 28, л. 119. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იური ტიხონოვი თავის ნაშრომში „Политика великих держав в Афганистане и пуштунские племена (1919-1945)“. აქვე აღნიშნავთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტების მონაცემები უფრო სარწმუნოა. დოქტორი ტიხონოვი წერს: „ჯემალ ფაშაც დაჟინებით ითხოვდა მოსკოვისაგან ავღანეთში დიდი რაოდენობით ფულისა და იარაღის გაგზავნას, მაგრამ საბჭოთა მთავრობისათვის შეუძლებელი იყო ასეთი დიდი ხარჯების გაწევა. მოსკოვის დასარწმუნებლად, 1921 წლის ოქტომბერში ჯემალ ფაშა მოსკოვში ჩადის. 18 ოქტომბერს იგი ჩიჩერინს მემორანდუმს უგზავნის, რომლითაც ცდილობს, დაარწმუნოს კრემლი მოთხოვნილი დახმარებების აუცილებლობაში. ჯემალ ფაშა ფულითა და იარაღით დახმარებას ითხოვდა პუშტუნთა ბელადებისათვის და თვლიდა, რომ ეს იქნებოდა „ინდოეთში რევოლუციური მოძრაობის“ მძლავრი მხარდამჭერი ფაქტორი. სტალინმა რეკომენდაცია გასცა პუშტუნ ამბოხებულებს გადაცემოდათ 100 ათასი რუბლი ოქროთი. გარდა ამისა, მან თანხმობა განაცხადა იარაღის მიწოდებაზეც“.⁶¹¹

ჯემალ ფაშასთან დაკავშირებული შემდგომი მოვლენები კი ასე განვითარდა. საკუთარი ამბიციური გეგმების სრულად შესრულების მიზნით ჯემალ ფაშა მოსკოვიდან გერმანიაში ჩადის და იქ აწარმოებს მოლაპარაკებებს ავღანეთისათვის იარაღის შესყიდვის თაობაზე. ამ მოლაპარაკებების აღრესატები და მისი შედეგები ჩვენთვის ცნობილი არ არის. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ გარკვეული ხნის შემდეგ, 1922 წლის მაისში იგი ისევ მოსკოვში ბრუნდება. მოსკოვში ყოფნისას მას მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა დავიდ ჰოპნერთან, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთან თურქესტანში. ეს შეხვედრა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ჰოპნერის მოხსენებითმა ბარათმა საბოლოოდ განსაზღვრა ჯემალ ფაშასა და მთლიანად ექსიტიჰადისტების შემდგომი ბედი. საბჭოთა ისტორიოგრაფიისა და საერთოდ, სპეცი-ალისტთა წრეებისათვის თავად ამ შეხვედრის ფაქტი და შეხვედრის შესახებ არსებული მოხსენებითი ბარათის შინაარსი უკანასკნელ დრომდე მიუწვდომელი იყო. დღის სინათლე მან მხოლოდ უკანასკნელ ხანს, დიპლომატიური და სპეცსამსახურების არქივების გახსნის შემდეგ იხილა.

საიდუმლო შეხვედრა 1922 წლის 28 მაისს, ჯემალ ფაშას მოსკოვის ბინაში შედგა, მისამართზე – მეშჩანსკის ქუჩა №24. შეხვედრა სამ საათს გაგრძელდა, 17⁰⁰ საათიდან 20⁰⁰ საათამდე. ჯემალ ფაშასთან ერთად შეხვედრას ესწრებოდა დოქტორი ნაზიმ ბეი, რომელსაც ცოტა ხანში ჯემალ ფაშას ადიუტანტი იზმეთ ბეიცი შემოუერთდა. საბჭოელების მხრიდან კი შეხვედრაში მონაწილეობდა თავად ჰოპნერი და მისი მეუღლე, „ამხანაგი ვინოგრადოვა,“ – საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების უფროსი ტაშკენტში.

დავიდ იულევიჩ ჰოპნერი.

მოხსენებითი ბარათი საგარეო საქმეთა

სახალხო კომისრის მოადგილეს, ლ. მ. კარახანს.

„ჯემალის განწყობა აშკარად დაცემული იყო. იგრძნობოდა მისი გულგატეხილობაც. მან თქვა, რომ მოსკოვში „ყველა კარი დახურული“ დახვდა...“

მთელი რიგი გარემოებები ამძაფრებენ ჯემალ ფაშას ადრინდელ სურვილს, შეხვედეს მუსტაფა ქემალ ფაშას. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჯემალი ანგორაში

⁶¹¹ Тихонов Юрий Николаевич. Политика великих держав в Афганистане и пуштунские племена (1919-1945). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Отдел Ближнего и Среднего востока Института востоковедения Российской Академии наук. Москва. 2008. <http://referatnote.ru/vneklassnaya-rabota/obrazovanie/politika-velikikh-derzhav-v-afganistane-i-pushtunskie-plemena-1919/>.

აგზავნის იზმეთ ბეის... ჯერ კიდევ ავღანეთიდან მოსკოვისაკენ მომავალ გზაზე, ტაშკენტში ყოფნისას, 1921 წლის 6 ოქტომბერს, ჯემალ ფაშამ ზოგიერთი თავისი გეგმა გამაცნო. სხვათა შორის, იგი თვლიდა, რომ მუსტაფა ქემალთან მოლაპარაკებების დაწყებისათვის ხელსაყრელი მომენტი დამდგარი იყო, რათა იგი ენვერ ფაშასთან შეერიგებინა. მაშინ ჯემალი გარკვეულწილად იმედგაცრუებული იყო ავღანეთის პროექტის გამო, როგორც ანტიბრიტანული ფრონტის მთავარი ფაქტორისა... უკვე მაშინ გახდა ცნობილი, რომ ავღანეთს არ შეუძლია და არც აქვს იმის სურვილი, რომ ინგლისთან აქტიური დაპირისპირების პოლიტიკა აწარმოოს...

ისიც ჩანდა, რომ იგი დაიღალა მოხეტიალე ფაშას როლში ყოფნით და ეს დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. სულ სხვა იქნებოდა, თუ მისი მუშაობა შუა აზიაში დაეყრდნობოდა ანგორის დიდი ეროვნული კრების სანქციებს და არა საბჭოთა რუსეთის „ჭირვეულ“ მფარველობას...

ენვერის ავანტიურამ ცეცხლზე ნავთი დაასხა. ჯემალ ფაშასა და სხვა „ახალგაზრდა თურქთა“ ჩვენდამი დამოკიდებულება მეტად საჩოთიროა. ისინი ენვერის გამოსვლებს, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგებიან. იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი ახლა აქტიურად გამოვლენ ენვერის წინააღმდეგ, ესეც მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებით იქნება ნაკარნახევი.

ენვერის დამარცხება, თუ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს უახლოეს მომავალში, თურქთა ინტერესებშია. თუ ეს მათი მონაწილეობით მოხდება, უფრო მოიპოვებენ ჩვენს ნდობას. გარდა ამისა, ისინი ასეთი გზით ფიქრობენ ჩვენი ეჭვების გაქარწყლებას მათი პანთურანული ინტრიგების შესახებ. მეორე მხრივ, თუ ენვერი შეძლებს კაშვარში, თურქესტანში, ბუხარასა და იმიერკასპიისპირეთში, შემდეგ კი აზერბაიჯანში აჯანყებების ორგანიზებას, მაშინ, თურქული თვალთახედვით, რაოდენ მცირე ხანსაც არ უნდა იარსებოს ამ თურქულმა სახელმწიფომ და რამდენად ეფემერულიც არ უნდა იყოს იგი, თურქეთის ხელში მძლავრი იარაღი იქნება მის რუსულ და ინგლისურ პოლიტიკაში. არაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რომ ეს დიდ ასპარეზს შეუქმნის მრავალრიცხოვან სამხედრო და ადმინისტრაციულ ძალებს, თურქ გენერლებსა და ჩინოვნიკებს... ჯემალის კავშირები, მისი გერმანიის საქმეებში ჩახედულობა, ჩვენთან სიახლოვე და მისი მოღვაწეობა ავღანეთში – ყოველივე ეს ახლა იზმეთ ბეის მიერ წარედგინება ანგორის მთავრობას. და ჯემალიც მათთვის შეიძლება სასურველ კაცად იქცეს...

ჯემალი ახლა გზაჯვარედინზე დგას. თუ ამჯერად მუსტაფა ქემალ ფაშა მას არ უკუაგდებს, უახლოეს მომავალში შეიძლება იგი ვიხილოთ, როგორც ანგორის მთავრობის დავალებების შემსრულებელი. იმასთან მიმართებაში, თუ რა სახეს მიიღებს ქემალ ფაშასა და ფრანგების დაახლოება, გარკვეულად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიციას დაიჭერს ანგორის მთავრობა ენვერ ფაშას ავანტიურასთან დაკავშირებით. შუააზიური პანთურანიზმი ერთნაირად საშიშია როგორც ჩვენთვის, ასევე ინგლისელებისათვის, მაგრამ ეს ამბავი სრულიად არ აწუხებს ფრანგებს, პირიქით, შეიძლება მათთვის სასარგებლოც კი იყოს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისა და ინგლისელებთან დაპირისპირების საქმეში...⁶¹²

მაშ ასე. წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის შინაარსის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯემალ ფაშას ინტერესები ბოლშევიკებისა და მათი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფციის მიმართ უკვე ამოწურული იყო. საკუთარი თავის რეალიზაციის შესაძლებლობას კი იგი ანატოლიური წინააღმ-

⁶¹² Ю.Н. Тихонов. ДЖЕМАЛЬ-ПАША В АФГАНИСТАНЕ И СОВЕТСКОЙ РОССИИ В 1921-1922 ГГ. Новые архивные документы.... Д. Гопнер, Москва, 28 мая 1922 г. ЦА ФСБ. Ф. 1. Оп. 6. Д. 433. Л. 432-440. Машинописная копия. <http://cyberleninka.ru/article/n/dzhemal-pasha-v-afganistane-i-sovetskoy-rossii-v-1921-1922-gg-novye-arhivnye-dokumenty#ixzz3D4mJAG8R>.

დეგობის მონაწილედ და ქემალისტებთან კოოპერაციაში ხედავდა. ცალსახად იკვეთება ის სურათიც, რომ „ისლამის ლოში“ სწორედ ანგორის მთავრობის სამსახურში აპირებდა თავისი შემდგომი პოლიტიკური და სამხედრო კარიერის გაგრძელებას. მას ანატოლიაში გადასვლა და ქემალისტებთან შეერთება ჰქონდა განზრახული. თუ მოახერხებდა, მაშინ ენვერ ფაშასაც შეარიგებდა მუსტაფა ქემალთან. შესაძლებელია მას გერმანელებთან კონსპირაციული ხელშეკრულებაც კი ჰქონდა დადებული იარაღის მოწოდების შესახებ, რომელსაც იგი უკვე ქემალისტებს შესთავაზებდა. ყოველივე ეს კი არაფრით არ ჯდებოდა კრემლის გეგმებში. კრემლისათვის ჯემალ ფაშა უკვე საფრთხეს წარმოადგენდა, რადგან მუსტაფა ქემალთან მიმართებაში კრემლს საკუთარი, კარგად გათვლილი პროექტი ჰქონდა შემუშავებული. მუსტაფა ქემალის პიროვნება და მის მიერ დეკლარირებული ანტიიმპერიალისტური პრინციპები სრულად ჯდებოდა კრემლის მონახაზში. რაც მთავარია, მუსტაფა ქემალი წარმატებით მოქმედებდა და იგი ნამდვილად არ წარმოადგენდა პანისლამისტსა და პანთურანისტს. მოხსენებითი ბარათის შინაარსი იმასაც ადასტურებს, რომ ჯემალ ფაშა ძალიან გულწრფელი იყო საბჭოთა წარმომადგენელთან საუბარში. აქ კი ექსოსმალო გენერალმა და გამოცდილმა პოლიტიკოსმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა. თავისდაუნებურად მან საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი.

ანატოლიისაკენ მიმავალ გზაზე, 1922 წლის 21 ივლისს იგი თბილისში ჩამოდის. მისი დიდი გეგმების რეალიზაციის გზაც სწორედ აქ სრულდება. ჯემალ ფაშა და მისი თანმხლები პირები იმავე დღეს დახოცეს თბილისის ცენტრში, რესპუბლიკის ჩეკას შენობის წინ (Sic!). იმდროინდელი ქართული საბჭოთა პრესა იტყობინებოდა: „21 ივლისს, საღამოს 10 საათზე პეტრე დიდის ქუჩაზე⁶¹³, ერმოლოვისა და ჟუკოვსკის ქუჩების კუთხეში ბოროტგანმზრახველების მიერ მოკლულ იქმნენ ჯემალ ფაშა, ნეუსრეტ-ბეი და ფაშას ადიუტანტი სურსკი-ბეი. ამავე დროს, როგორც სჩანს, შემთხვევით, მოკლულ იქნა ცეცხლის მქრობელთა რაზმის მეორე ნაწილის მორიგე ცეცხლის მქრობელი (გარეგინ მდივანიანი – ა. ჩ.) და დაიჭრა ფეხში უცნობი ქალი“.⁶¹⁴ სხვათა შორის, მკვლელობამდე ორი თვით ადრე ჯემალ ფაშას 50 წელი შეუსრულდა, რაც დიდი პომპეზურობით აღინიშნა მოსკოვში, ცეკასა და ჩეკას „ხელმძღვანელ ამხანაგთა“ წრეში.

აი, აქ კი მივადექით უახლესი ისტორიის კიდევ ერთ პატარა გამოცანას – ვინ და რატომ მოკლა ექსოსმალო გენერალი და მისი თანმხლები პირნი?

იმ წამსვე გავრცელდა ვერსიები, რომ ეს ტერაქტი სომეხი დაშნაკების მიერ იყო ორგანიზებული. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ისაა, რომ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, თბილისის ჩეკას თავიდანვე არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ჯემალ ფაშას მკვლელობა დაშნაკთა მიერ იყო ჩადენილი. ისიც ფაქტია, რომ ჩეკამ 300-ზე მეტი ეჭვმიტანილი დააპატიმრა, თუმცა ვერც ერთ მათგანს ჯემალ ფაშას მკვლელობა ვერ დაუმტკიცეს. ცოტა უცნაურია, რომ იმდროინდელი ჩეკასათვის ცხელ კვალზე ასე რთული აღმოჩნდა მკვლელობის შემკვეთთა და შემსრულებელთა აღმოჩენა, თუნდაც ფორმალურად. ძალიან საეჭვოა, რომ დაშნაკ ტერორისტებს სცოდნოდათ ჯემალ ფაშას თბილისში ჩამოსვლის ამბავი და მათ იმ დღესვე ჩეკას შენობის წინ გაებედათ სროლის

⁶¹³ პეტრე დიდის ქუჩა თბილისში – ერთი წლის შემდეგ, 1923 წელს, ქუჩას სახელი გადაერქვა და მას ტროცკის ქუჩა ეწოდა, შემდეგ – ძერჟინსკის ქუჩა. დღეს ამ ქუჩას ინგოროვეას ქუჩა ჰქვია. ასე რომ, საბჭოურ ეპოქაში არა მხოლოდ „პრილეტარიატის დიდი ბელადის“ ლენინისა და „ყველა ხალხთა მამის“, სტალინის სახელებს უკვდავყოფდნენ ამ ბელადების სიცოცხლეშივე. საბჭოურ სინამდვილეში სხვა მომცრო კალიბრის ბელადებიც არსებობდნენ, რომელთა სახელებსაც ასევე მათ სიცოცხლეშივე უკვდავყოფდნენ.

⁶¹⁴ „ჯემალ ფაშას მოკლა“. გაზეთი „კომუნისტი“. ს.კ.პ. ცენტრალური და თბილისის კომიტეტებისა და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელი არმიისა და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო. 1922 წლის 23 ივლისი, კვირა. №167.

ატეხა. კიდევ უფრო უცნაურია ის ფაქტი, რომ ძალიან მალე, მკვლევლობიდან უკვე ერთი წლის შემდეგ, 1923 წლის 9 აგვისტოს ჯემალ ფაშაზე თავდასხმისა და მისი მკვლევლობის საქმე ისე დაიხურა, რომ ვერც მკვლევლობის შემკვეთნი და ვერც შემსრულებელნი ვერ გამოავლინეს.

ამერიკელი მეცნიერი ჯ. სფეინი (Spain J. W.) თვლის, რომ ჯემალ ფაშას ლიკვიდაცია საბჭოთა სპეცსამსახურებმა გაუკეთეს, იმდენად, რამდენადაც იგი აღარ წარმოადგენდა ბოლშევიკებისათვის რაიმე ღირებულებას.⁶¹⁵ თუმცა საბჭოთა საარქივო დოკუმენტები ამ მოსაზრებას უარყოფენ. და მართლაც, ტიხონოვის აზრით, მოსკოვისათვის საკმაოდ ღირებული იყო ასეთი კალიბრის აგენტის ყოლა ავღანეთში. ამასთანავე, ასეთი დიდი რაოდენობის თანხას „ისლამის ლომს“ ნამდვილად არ გადასცემდნენ.⁶¹⁶

აქ კი ნამდვილად ვერ დავეთანხმებით ტიხონოვს. ზემოთ წარმოდგენილი უტყუარი დოკუმენტის „დავიდ იულევიჩ ჰოპნერის მოხსენებითი ბარათი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს, ლ. მ. კარახანს“,⁶¹⁷ – ЦА ФСБ. Ф. 1. Оп. 6. Д. 433. Л. 432-440. (Центральный Архив Федеральной Службы Безопасности – რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის ცენტრალური არქივი) ყურადღებით შესწავლა საკმაოდ საფუძველს გვაძლევს იმის მტკიცებისათვის, რომ ჯემალ ფაშა და მისი თანმხლები პირები მართლაც ბოლშევიკთა აგენტურამ მოკლა. მტკიცებულებით არგუმენტებზე ზემოთ გვქონდა არსებითი საუბარი. ამკარაა, რომ ჯემალ ფაშას თავისი მისია უკვე ამოწურული ჰქონდა და იგი საბჭოთა ხელისუფლებისათვის არა რაიმე ღირებულებას, არამედ უკვე საფრთხეს წარმოადგენდა. ჯემალ ფაშას ანატოლიაში გადასვლასა და იქ ქემალისტთა წინააღმდეგობის მოძრაობაში მის ჩართვას კი კრემლი არ დაუშვებდა. მით უმეტეს, არ დაუშვებდა იგი ჯემალ ფაშას მედიატორობას მუსტაფა ქემალსა და ენვერ ფაშას ურთიერთობებში. როგორც ჩანს, ის მომენტი, რასაც ჯერ კიდევ სურიცი წინასწარმეტყველებდა ჯემალ ფაშასა და იტიჰადისტებთან მიმართებაში – „В назревший момент без затруднения надо изжить их удаление“, – უკვე დამდგარიყო.

არსებობს ის მოსაზრებაც, რომ ჯემალ ფაშა ბრიტანულმა დაზვერვამ და არა საბჭოურმა ГПУ-მ თუ ВЧК-მ მოკლა. ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება. ვინ ვინ და ბრიტანული მხარე ნამდვილად იყო დაინტერესებული ნომერ პირველი მტრის ლიკვიდაციით. აქ ნამდვილად იყო დიდი მოტივაცია, თუმცა ჩვენთვის ეს ვერსია ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერს. არსებობს მესამე ვერსიაც – დაშნაკური კვალისა და ოპერაცია „ნემეზისის“ შესახებ. სხვათა შორის, „ისლამის ლომის“ მკვლევლობის ეს ვერსია დღეისათვის ყველაზე უფრო მიღებული და ფართოდ ტირაჟირებულია. მართლაც, მოგვიანებით ტერაქტზე პასუხისმგებლობა სომეხმა დაშნაკებმა აიღეს, თავად მკვლევლობა კი ოპერაცია „ნემეზისის“ შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა. ამ ვერსიის მიხედვით, ჯემალ ფაშა სომეხმა ნაციონალისტებმა სტეფანე ძალიკიანმა, ბედროს ტერ პოლოსიანმა და არტაშეს გევორქიანმა მოკლეს.

როგორც ვხედავთ, საერთო ჯამში, საკმაოდ ბუნდოვანი ისტორიაა. აქაც მითები სჭარბობენ რეალობას. ჯემალ ფაშას მკვლევლობა კი, როგორც ჩანს, პოლიტიკური და უახლესი ისტორიის კიდევ ერთ პატარა გამოცანად დარჩება. ასეა თუ ისეა, ნებისმიერ შემთხვევაში ჯემალ ფაშას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. თავისი სამხედრო თუ

⁶¹⁵ Юрий Тихонов. Афганская война Сталина. Битва за Центральную Азию. Эксмо, Яуза; Москва; ISBN 978-5-699-25203-9. 2008. Spain J. W. The Pathan Borderland. Hague, 1963. P. 254.

⁶¹⁶ იქვე.

⁶¹⁷ ЦА ФСБ. Ф. 1. Оп. 6. Д. 433. Л. 432-440. (Центральный Архив Федеральной Службы Безопасности – უშიშროების ფედერალური სამსახურის ცენტრალური არქივი).

პოლიტიკური კარიერის მანძილზე მას უამრავი მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი ოსმალთა იმპერიის არათურქი მოსახლეობის მიმართ და, რაც მთავარია, დაწყებული 1920 წლიდან, ის და მისი იდეური თანამოაზრეები ძალიან სახიფათო პოლიტიკურ თამაშებში იყვნენ ჩაბმულნი... ასე რომ, მოვლენები ლოგიკურად განვითარდა – მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო...

მოგვიანებით ჯემალ ფაშას ცხედარი არზრუმში გადასვენეს...

როგორ შეხვდა კრემლი პრობოლშევიკად ტრანსფორმირებულ, ექსიტიჰადისტ „ამხანაგ ჯემალის“ მკვლელობის ამბავს? რა გადაწყვეტილება მიიღეს ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლშევიკთა პარტიის უმაღლეს ეშელონებში? გამაოგნებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მოკლული ჯემალ ფაშას ოჯახისათვის დახმარების გაწევის საკითხი რკპ(ბ) ცეკას პოლიტიბიუროს სხდომაზეც კი გაიტანეს, რაზედაც უტყუარი საარქივო დოკუმენტები მეტყველებენ:

„რკპ (ბ) ცეკას პოლიტიბიუროს სხდომის ოქმი №37.
1922 წლის 23 ნოემბერი.

მონაწილეობდნენ:

პოლიტიბიუროს წევრები – ამხანაგები ზინოვიევი, კამენევი, კალინინი (კანდიდატი), ლენინი, მოლოტოვი (კანდიდატი), სტალინი, ტროცკი. რკპ ცეკას წევრი ამხ. სოკოლნიკოვი.⁶¹⁸ ცეკას წევრი ამხ. შკირიატოვი.

დღის წესრიგი:

ვ) ჯემალის ოჯახისათვის დახმარების გაწევის შესახებ (ამხ. ჩიჩერინი).

დაადგინეს:

გაეცეს დაღუპული ჯემალის ოჯახს 5 ათასი ოქროთი“.⁶¹⁹ (Sic!)

თავად თბილისში კი გენერალ ჯემალ ფაშასა და მისი „თანამეცხედრების“ გადასვენების ცერემონიალი ხაზგასმული პომპეზურობით ჩატარდა. აჰმედ ჯემალ ფაშას, და ზოგადად, „გაბოლშევიკებული“ ექსიტიჰადისტების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების

⁶¹⁸ გრიგორი იაკობოვიჩ სოკოლნიკოვი (ნამდვილი გვარ-სახელი ვირშ იანკელევიჩ ბრილიანტი) (1888-1939) – ძველი რევოლუციონერი, რსდმპ(ბ) წევრი 1905 წლიდან. საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, რსდმპ(ბ) ცეკას წევრი 1917-1919, 1922-1930 წლებში, რსდმ(პ) ცეკას პოლიტიბიუროს წევრი (1917 წლის ოქტომბერი), ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი, მე-2 და მე-7 მოწვევების წევრი, ცეკას წევრობის კანდიდატი 1930-1936 წლებში. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც გაირიცხა რევოლუციური მოღვაწეობის გამო. 1914 წელს ამთავრებს სორბონის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტს. I მსოფლიო ომის დროს ცხოვრობდა შვეიცარიაში, მუშაობდა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიაში. ეკავა ლენინისეული ინტერნაციონალისტურ-პორაჟენცული პოზიციები. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლენინთან და სხვა პოლიტემიგრანტებთან ერთად ბრუნდება რუსეთში დაღუპული ვაგონებით. 1917 წლის აპრილიდან რსდმპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის წევრი. პარტიის VI ყრილობაზე ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. იყო პარტიის პოლიტიბიუროს წევრი. 1918 წლის მაის-ივნისში – სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. იყო მე-2 და მე-9 არმიების სამხედრო-რევოლუციური საბჭოების წევრი, სამხრეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი. 1919-1920 წლებში – მე-8 არმიის სარდალი. 1920 წლის დასაწყისში ინიშნება თურქფრონტის სარდალად. აქტიურად მონაწილეობდა ბასმაჩური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1926-1928 წლებში საბჭოთა კავშირის ცენტრალური საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. 1928-1929 წლებში სსრკ ნავთობსინდიკატის თავმჯდომარეა. 1929-1932 წლებში საბჭოთა კავშირის სრულყოფილებიანი წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში, 1929 წლიდან – საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. 1935 წელს ინიშნება საბჭოთა კავშირის სატყეო მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ. 1936 წლის 26 ივლისს აპატიმრებენ „პარალელური ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის“ საქმესთან დაკავშირებით. 1937 წლის 30 იანვარს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს ვერხნეურალსკის პოლიტიზოლატორში 1929 წლის 1 მაისს.

⁶¹⁹ Перинчек Мехмет. Армянский вопрос в документах из российских государственных архивов. Москва. Лаборатория Книги. 2011. 256с., ил. РГАСПИ. Ф.17. Оп.3. Д.323. Л.1.

დამოკიდებულების ნათლად წარმოჩენისათვის სრულად მოვიყვანო ამ საკითხთან დაკავშირებულ საგაზეთო სტატიას. გაზეთი „კომუნისტი“, 1922 წლის 28 ივლისი:

„სათანადო ადგილას სდგას საპატიო ყარაული კავკასიის ცალკე არმიისა და საქართველოს წითელი არმიისა ორი სამხედრო ორკესტრითა და წითელი დროშებით... გამუდმებით კუბოსთან სდგას ანგორის მთავრობის წარმომადგენელი ახმელ მუხტარ ბეი (ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი, ამ თანამდებობაზე შეცვალა მან ბექირ სამი კუნდუხი – ა. ჩ.), რომელიც სათანადო განკარგულებებს იძლევა... 11 საათისათვის მოვიდნენ საკავშირო საბჭოს წარმომადგენლები ამხ. მდივანი,⁶²⁰ ელიავა, ამიერკავკასიის რაიკომის მდივანი (ასეა ტექსტში – ა. ჩ.) ამხ. მ. ორახელაშვილი,⁶²¹ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ა. გეგეჭკორი,⁶²² აზერბაიჯანის წარმომადგენელი ნაჯაფოვი,

⁶²⁰ ბუღუ (პოლიკარპე) მდივანი (1877-1937) – ძველი ბოლშევიკი და რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, მოგვიანებით პარტიული ანტისტალინური ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი. სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს 1899 წელს რევოლუციური საქმიანობისათვის. რსდმ(ბ) წევრი 1903 წლიდან. 1905-1907 წლებში ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ებმება სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობაში. 1918 წლის 30 ნოემბრიდან 1919 წლის 13 თებერვლამდე კასპია-კავკასიის ფრონტის მეორე ფორმაციის მე-11 არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი. შემდეგ – მე-10 არმიის პოლიტიკური განყოფილების უფროსი. 1920-1921 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე და რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს წევრი. 1921 წლის 19 თებერვლიდან 1921 წლის მისამდე რსფსრ სრულყოფილებანი წარმომადგენელი ქეძალისტა ანგორის მთავრობაში. 1921 წლის ივლისიდან 1922 წლის თებერვლამდე საქართველოს რეკომის თავმჯდომარე და ამიერკავკასიის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე. 1922 წლის მარტიდან 1922 წლის აპრილამდე საბჭოთა საქართველოს სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარე. 1924 წლიდან ინიშნება საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად საფრანგეთში. ოპოზიციური მოღვაწეობის გამო, 1928 წელს უკან გამოიწვიეს, გაათავისუფლეს ყველა დაკავებული თანამდებობიდან, გარიცხეს პარტიიდან და გადასახლეს ციმბირში 3 წლით. 1931 წელს განაცხადა ოპოზიციური მუშაობის შეწყვეტის შესახებ და მოინანია შეცდომები. 1936 წლამდე ეკავა საბჭოთა საქართველოს სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა. 1936 წელს ისევ აპატიმრებენ „ტროცკისტულ-ჯაშუშური ცენტრის“ მუშაობაში მონაწილეობის ბრალდებით. 1937 წლის 9 ივლისს საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. დახვრეტეს მეორე დღესვე, 1937 წლის 10 ივლისს.

⁶²¹ ივანე (მაძია) ორახელაშვილი (1881-1937) – ცნობილი ქართველი ბოლშევიკი, საბჭოთა და პარტიული მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი, რსდმ(ბ) წევრი 1903 წლიდან, რსდმ(ბ) ცეკას წევრობის კანდიდატი 1923-1926 წლებში, ცეკას წევრი 1926-1934 წლებში, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი 1934-1937 წლებში, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი – მე-6 მოწვევების წევრი. სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში, 1903 წლიდან სწავლას აკრძალეს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომელსაც ასრულებს 1908 წელს. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილეა. I მსოფლიო ომში მსხურობდა სხვადასხვა ნაწილებში სამხედრო ექიმად. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვლადიკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების თემჯდომარე და რსდმ(ბ) კომიტეტის თავმჯდომარე. 1917 წლიდან 1920 წლის მისამდე რსდმ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და კავბიუროს წევრი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ იყო საქართველოს რეკომის თავმჯდომარე, საქართველოს კპ ცეკას მდივანი, სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ამიერკავკასიის სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარე. 1926-1929 წლებში კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი და გაზეთ „Заря Востока“-ს პასუხისმგებელი რედაქტორი. 1930 წელს გაზეთ „Правда“-ს რედკოლეგის წევრი. 1937 წელს გაათავისუფლეს ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობიდან და გარიცხეს პარტიიდან. 1937 წლის აპრილში ასახლებენ ასტრახანში, 26 ივნისს კი ისევ აპატიმრებენ და ხვრეტენ.

⁶²² ალექსი (საშა) გეგეჭკორი (1887-1928) – ძველი პროფესიონალი რევოლუციონერი და ცნობილი ბოლშევიკი, ტერორისტი, საბჭოთა და პარტიული მოღვაწე. 1902 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე ბაქოში, თბილისში, დასავლეთ საქართველოში, ჩელიაბინსკში, დონის როსტოვსა და სხვა ქალაქებში. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. ბოლშევიკური ტერორისტული ჯგუფებისა და რაზმების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ამიერკავკასიაში. რსდმ(ბ) წევრი 1908 წლიდან. 1917 წელს ქუთაისის ბოლშევიკთა ბიუროს შემქმნელი. 1918 წლის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოში მოქმედი ბოლშევიკთა საბრძოლო შტაბის ხელმძღვანელი და ბოლშევიკური აჯანყების ლიდერი. იმავე წელს დუშეთის მაზრის ბოლშევიკური აჯანყების ხელმძღვანელი. 1919 წლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ბოლშევიკური შეიარაღებული რაზმების მეთაურია. 1920 წელს მეტეხის ციხის პატიმარი. 1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე ათავისუფლებენ. საქართველოს გასაბჭოების აქტიური მონაწილე. 1921 წელს ქალაქ თბილისის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს რეკომის წევრია. 1922-1924 წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს კომპარტიის 1-ლი – მე-5 და საკავშირო კომპარტიის მე-11 და მე-15 ყრილობების დელეგატი. სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით თბილისში, 1928 წლის 7 ივნისს.

არმიის სარდალი ამხ. ეგოროვი⁶²³ და წარმომადგენლები საქართველოს, სომხეთის, აფხაზეთისა და თურქესტანის. მოვიდა აგრეთვე რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ამხ. შიფერსი. იყვნენ აგრეთვე წარმომადგენლები გერმანიის, იტალიის, სპარსეთის და სხვა უცხო სახელმწიფოთა საელჩოებისა და კომერციული დაწესებულებების.

სრულ 11 საათზე სექციონური დარბაზიდან გამოასვენეს კუბოები, რომლებიც დაფარული იყო ნოხებითა და გვირგვინებით. გაისმა სამგლოვიარო ჰიმნი და პროცესია დაიძრა პლენარის პროსპექტით ვორონცოვის ხიდისაკენ და ბარიატინსკის ქუჩით გამოვიდა რუსთაველის პროსპექტზე. განოვის ქუჩაზე ანგორის წარმომადგენლობის შენობის წინ პროცესია შეჩერდა რამდენიმე წამით. აქ სათანადო პატივი სცეს განსვენებულთა ხსოვნას – დროშები დაუშვეს ძირს.

აქედან პროცესია ველამინოვის ქუჩით გაემართა ერევნის მოედნისაკენ და ნელ-ნელა წავიდა თათრის ბაზრისაკენ – შაჰ-აბაზის მეჩეთში. მთელი გზის მანძილზე კუბოები მიქონდათ ხელით. სამგლოვიარო მარშის ხმები უერთდებოდა ნამაზთა და სამგლოვიარო სასულიერო გალობას.⁶²⁴ (Sic!)

ტრიუმფირატის მესამე წევრი, ოსმალთა იმპერიის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და დიდი ვეზირი, მეჰმედ თალაათ ფაშა, უფრო ადრე, 1921 წლის 15 მარტს, ბერლინში, თავში ერთი გასროლით მოკლა სომეხმა დაშნაკმა, სოლომონ ტერილიანმა. ეს ტერაქტი კი, ნამდვილად ოპერაცია „ნემეზისის“ ეგვიტით აღსრულდა. ერთი თვის შემდეგ მეჰმედ თალაათ ფაშას 47 წელი უსრულდებოდა... ბერლინის სასამართლომ ტერილიანს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. მხოლოდ 1943 წელს მოხერხდა თალაათ ფაშას ნემეზის გადასვენება სამშობლოში, სადაც იგი დიდი პატივით მიაბარეს კონსტანტინოპოლის მიწას.⁶²⁵

კრემლის მესვეურებს ენვერ ფაშასა და მუსტაფა ქემალთან, უფრო ზოგადად კი, „ახალგაზრდა თურქებთან“ და ქემალისტებთან მიმართებაში არსებული გეგმების გადახედვა მოუწიათ. მუსტაფა ქემალის მიერ ე.წ. „რევოლუციური ბრძოლის“

⁶²³ ალექსანდრ ილიჩ ეგოროვი (1883-1939) – რუსი და საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის კადრის სამხედრო მოსამსახურე, „კოვუნსკეცი“, საბჭოთა კომანდარმი და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პირველი მარშალი. I მსოფლიო ომის, რუსეთის სამოქალაქო ომისა და საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომის აქტიური მონაწილე. 1902-1905 წლებში სწავლობდა ყაზანის ქვეითთა სასწავლებელში. 1905 წელს პოდპორუჩიკის ჩინით სამხედრო მოსამსახურე იწყებს ერივანის მე-13 ლეიბ-გრენადერთა პოლკში. I მსოფლიო ომის მონაწილე. 1916 წლიდან კაპიტნის ჩინით სამსახურს აგრძელებს თბილისში, მსახურობს დიდი მთავრის, მიხაილ ნიკოლაევიჩის თბილისის სამხედრო სასწავლებლის მასწავლებლად. 21 აგვისტოს ინიშნება კავკასიის მე-2 საკავალერიო კორპუსის შტაბში. შემდეგ ბატალიონის მეთაურია, 1917 წლის დასაწყისიდან – პოლკოვნიკი და 132-ე ქვეითი პოლკის მეთაური. თებერვლის რევოლუციის შემდეგ გახდა ესერთა პარტიის წევრი. 1917 წლის დეკემბრიდან წითელი არმიის შემადგენლობაშია. 1918 წლის აგვისტოდან – რუსეთის სამოქალაქო ომში მუშურ-გლეხური წითელი არმიის სხვადასხვა შენაერთების, არმიებისა და ფრონტების სარდალია. საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომში – სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი. 1921 წლის სექტემბრიდან 1922 წლის იანვრამდე დასავლეთის ფრონტის სარდალია, ხოლო 1922 წლის თებერვლიდან 1924 წლის მაისამდე – კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი, სამოქალაქო ომის შემდეგ ინიშნება კიევისა და პეტროგრადის სამხედრო ოლქების სარდალად. 1931-1935 წლებში წითელი არმიის შტაბის უფროსი. 1935 წლის სექტემბრიდან 1937 წლის მაისამდე – წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი. 1935 წელს ენიჭება საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება. 1937 წლის 11 მაისიდან საბჭოთა კავშირის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეა. 1938 წლის იანვარში რკკ(ბ) ცკკას პოლიტიბიუროს დადგენილებით დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალად. იმავე წლის 27 მარტს დააპატიმრეს. 1939 წლის 22 თებერვალს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ჯაშუშობის ბრალდებით, მიესჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. დახვრიტეს მეორე დღესვე, 1939 წლის 23 თებერვალს, წითელი არმიისა და ფლოტის დღეს.

⁶²⁴ „ჯემალ ფაშას მკვლელობის შესახებ – მიხაილოვის საავადმყოფო“. გაზეთი „კომუნისტი“. ს.კ.პ. ცენტრალური და თბილისის კომიტეტებისა და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელი არმიისა და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო. 1922 წლის 28 ივლისი, კვირა. №171.

⁶²⁵ Turkish Daily News. 5 August, 1996.

დეკლარირებისა და ანტანტის სახელმწიფოთა და, განსაკუთრებით, ბერძენთა წინააღმდეგ წარმატებული საბრძოლო მოქმედებების ფონზე, ლენინი საბოლოო არჩევანს მუსტაფა ქემალის სასარგებლოდ აკეთებს. როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი უარს ამბობს ენვერ ფაშასათვის დახმარების გაწევას. ენვერ და მუსტაფა ქემალ ფაშებთან მიმართებაში კრემლა შესაბამისი განაჩენიც გამოიტანა, რაზედაც ნათლად მეტყველებენ საარქივო დოკუმენტები. ანკარის მთავრობაში საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენელი, ბ. მიხაილოვი 1922 წლის 9 იანვარს ჩიჩერინს ატყობინებდა: „გამგზავრების წინ ფრუნზემ მთხოვა შემეჯამებინა ის უმთავრესი პოლიტიკური დასკვნები, რომელთანაც ერთობლივად მივედით ფრუნზე, აბილოვი და მე. ჩვენი პოლიტიკური გათვლები მუსტაფა ქემალთან დაკავშირებით სერიოზული და გრძელვადიანია. საჭიროა მისი ხელისუფლების ღია, მტკიცე მხარდაჭერა... ენვერთან თამაშს კი თავი უნდა დაგანებოთ, ენვერი... მუსტაფა ქემალის პირადი მტერია და მეტი არაფერი... ქემალის ჩვენ კაცად ქცევა შესაძლებელი და საჭიროა, ამიტომ ენვერი უნდა მოვიშოროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი მასთან თამაში მთელს ჩვენს პოლიტიკას დაანგრევს თურქეთთან მიმართებაში. ბათუმის ისტორიამ, მაგალითად, ცუდი როლი ითამაშა, რამაც გარკვეულად ნიადაგიც მოამზადა მათი მხრიდან საფრანგეთთან ხელშეკრულების დადებაზე... მიხაილოვი“.⁶²⁶

თავად ანგორადან დაბრუნებულმა ფრუნზემ კი საბოლოო ვერდიქტი გამოიტანა ქემალისტების სასარგებლოდ. ისევე, როგორც ანატოლიაში გამგზავრების წინ, ასევე ანატოლიიდან დაბრუნებისას, იგი თბილისში შეჩერდა. თავისთავად ცხადია, საბჭოთა საქართველოსა და ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საზეიმო დახვედრა მოუწყო ლეგენდარულ წითელ მეთაურს. ოფიციალური შეხვედრა კი თბილისის საბჭოს პლენუმზე გაიმართა 1922 წლის 19 იანვარს, სადაც ფრუნზემ ქალაქისა და რესპუბლიკის პარტაქტივს თურქეთში თავისი ვოიაჟის შედეგები გააცნო. ბოლოს კი რევოლუციური და ბოლშევიკური პათეტიკით აღსავსე მოწოდებებით დამოდვრა დამსწრე საზოგადოება ქემალისტებთან ერთად მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით ბრძოლის მოწოდებით.

ამხ. ფრუნზეს მოხსენება

(თბილისის საბჭოს პლენუმზე 19 იანვარს)

„ძვირფასო ამხანაგებო! სანამ შევუდგები ჩემ მოხსენებას, თავს ნებას მივცემ, მოგესალმოთ მოკავშირე ძმური რესპუბლიკის – უკრაინის სახელით (მქუხარე ტაში, ყველანი დგებიან).

უკრაინის მუშები და გლეხები უდიდესი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს იმ ბრძოლას, რომელსაც აქ, კავკასიაში და კერძოდ საქართველოში აწარმოებდნენ მშრომელი მასები...

თქვენ შეგიძლიათ გაგიკვირდეთ, რომ მე გამაგზავნეს ოსმალეთში ასეთი მაღალი დიპლომატიური დავალებით, რათა განვფანტო ყოველგვარი ეჭვი, მე განვმარტავ იმ გარემოებებს, რომელნიც თან ახლდნენ ჩემს დანიშვნას.

იყო გაზაფხული, მომენტი, როცა ჩვენი მეგობრული ოსმალეთი განიცდიდა მთელ რიგ დამარცხებებს და ემზადებოდნენ დაეთმოთ თვით ანგორა. დასავლეთ ევროპის პრესა სავსე იყო ცნობებით, რომ არ არსებობსო დიდი ეროვნული კრების მთავრობა, რომ მთელ ანატოლიაში დამყარდა ანტანტის გავლენა...

ჩემის გაგზავნით საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახს უნდოდა ეთქვა ანატოლიის ოსმალეთისათვის, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია მაგრად იდგეს, რომ მას შეუძლია

⁶²⁶ Станислав Тарасов. Большевики в Турции и Закавказье: "Изменил нам Кемаль или нет"? (РГАСПИ. ф. 5. оп. 1. д. 2204. лл. 8-8 об). <http://www.regnum.ru/news/1433780.html>.

ანგორაც დასთმოს, ვინაიდან მის უკან არსებობს დიდი და მეგობრული ზურგი – კავკასია და საბჭოთა რუსეთი, რომელზედაც დაყრდნობით შეუძლია განაგრძოს ბრძოლა იმპერიალიზმთან თავისი ნაციონალური განთავისუფლებისათვის (ტაში)....

პირადად მუსტაფა ქემალი სარგებლობს ფართე პოპულარობით მოსახლეობის ფრიად სხვადასხვა წრეებში. ეს პოპულარობა ემყარება იმ უდიდეს მუშაობას, რომელსაც იგი ასრულებს როგორც არმიის სარდალი და როგორც სახელმწიფოებრივი აპარატის მშენებელი. იგი უბრალოდ ეპყრობა ყველას.

თავისი პოლიტიკური მისწრაფებებით მუსტაფა ქემალი ჩვენი, საბჭოთა კაცია... მისი საკუთარი განცხადებით იგი არ არის კომუნიზმის წინააღმდეგი, მიაჩნია ის იდეალურ წყობილებად, და რომ ოსმალეთში იყოს ისეთივე პირობები, როგორც რუსეთშია, რომ შესაძლებელი იყოს რამეზე დაყრდნობა ოსმალეთში – იგი გაატარებდა მას. ჯერჯერობით კი იგი ცდილობს გაატაროს თავისი ღონისძიებები იმ გვარად, რომ შრომის ძალაუფლება თანდათან განმტკიცდეს. მუსტაფა ქემალი არ ისწრაფვის ერთპიროვნული ხელისუფლებისაკენ. იგი წარჩინებული პირია, მაგრამ არა კანდიდატი სულთანობაზე, არამედ უფრო წინამძღოლია ფართე ხალხური მოძრაობის...

ვათავებ რა მოხსენებას, მე მოგმართავთ თქვენ, თბილისის საბჭოს, რომელიც გამოხატავს მთელი საქართველოს ნებისყოფას, – მოწოდებით აიღოთ თაოსნობა ოსმალეთთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. აქ, ამიერკავკასიაში განსაკუთრებით საჭიროა ამ სამუშაოს შესრულება.

ჩვენ იდეალისტები არა ვართ... ჩვენ მშვენივრად გვესმის რომ ისტორიის მექანიზმების ერთბაშად დაძლევა და მოშორება შეუძლებელია. ამიტომ საბჭოთა საქართველოს მუშებს და გლეხებს უნდა ამცნოს: სამხრეთიდან თავდასხმას არ უნდა მოელოდეთ, ჩვენ ოსმალეთთან ერთად გვყავს საერთო მტერი“. (მხურვალე ტაში)...

დასასრულ ამხ. ელიავა წინადადებას იძლევა მიესალმონ ოსმალეთის ხალხს, რომელიც გმირულად ებრძვის მსოფლიო იმპერიალიზმს.

ყველანი დგებიან და მხურვალე ოვაციებს უმართავენ ანგორის მთავრობის წარმომადგენელს, ბ. მუხტარ ბეის. წამოყენებული რეზოლუცია მიიღეს.

სხდომა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით“.⁶²⁷

გასაგებია, რომ სახელგანთქმული წითელი მეთაურის ასეთი პოლიტიკური ინსინუაციები კრემლსა და ენვერ ფაშას ურთიერთობებში საბოლოო წერტილის დასმას ნიშნავდა... დღესავით ნათელია ისიც, რომ იტიჰადისტები დამარცხდნენ, ხოლო ქემალისტებმა გაიმარჯვეს... ფრუნზეს მიერ წარმოთქმული საზეიმო ფრაზა კი ბედის ირონიად უნდა ჩაითვალოს – „ქემალის უკან მეგობრული კავკასია და საბჭოთა რუსეთი დგას, რომელზე დაყრდნობითაც შეუძლია განაგრძოს ბრძოლა იმპერიალიზმთან თავისი ნაციონალური განთავისუფლებისათვის“...

⁶²⁷ გაზეთი „კომუნისტი“. 1922 წლის 22 იანვარი. №17. სტატია „ანატოლიის ოსმალეთის შესახებ“.



ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი ალექსეი ნიკოლაევიჩ კუროპატკინი (1848-1925). თურქესტანის გენერალ-გუბერნატორი, თურქესტანის სამხედრო ოლქის სარდალი და სემირეჩენსკის კაზაკთა ჯარების მთავარი ატამანი 1916-1917 წლებში.

Карта военных округов Российской Империи. 1913 г.
Map of Military districts of Russian Empire. 1913.



რუსეთის იმპერიის სამხედრო ოლქების რუკა 1913 წლის მონაცემებით



ვიჩესლავ მოლოტოვი
(1890-1986)




მიხაილ ფრუნზე
(1885-1925)



მარცხნიდან მარჯვნივ: ვ. მოლოტოვი. ი. სტალინი, მ. კალინინი, კ. ვოროშილოვი.




თურქფრონტის სარდალი, ფრუნზე, ჯარების დათვალელებისას



ბოლშევიკთა მიერ ალყაშემორტყმული და გადამწვარი ბუხარის აეროფოტოსურათი.
1920 წლის 1 სექტემბერი.



გაი (ჰაიაკ ბეშიკიანი)
(1887-1937)




ბუხარის ალების შემდეგ გამართული მიტინგი.
1920 წლის 2 სექტემბერი



თურქფრონტის სამეთაურო შემაღვენლობა



შაპ რეზა ფეკლევი
(1878-1944)



ვალერიან ვლადიმროვიჩ კუიბიშევი
(1888-1935)



ასფადიარ ხანი



აღმოსავლეთ ბუხარელი ბასმაჩები



ჯუნაიდ ხანის ბასმაჩთა რაზმი



თალაათ ფაშა მეგობრებთან ერთად.
პოლანდია. 1920 წელი



სოლომონ ტერილიანი

TALAAAT PASHA SLAIN IN BERLIN SUBURB

Armenian Student Shoots Former Turkish Grand Vizier, Held Responsible for Massacres.

ASSASSIN UNDER ARREST

Morgenthau Tells of Talaat as "Big Boss" and Blames Him for Atrocities.



გაზეთ New York Times-ის 1921 წლის 16 მარტის ნომერში დაბეჭდილი სტატიის სათაური, სომეხი სტუდენტის, სოლომონ ტერილიანის მიერ მეკმედ თალაათ ფაშას მკვლელობის შესახებ.




ბრიტანეთის ინლოეთი



ავღანეთსა და ინდოეთს შორის პუშტუნებით დასახლებული არე და სასაზღვრო ზონა – ქაშმირი, ვაზირისტანი, ფენჯაბი, ბელუჯისტანი



ზაბიბულა ხანი და მისი ძმა ნასრულა ხანი



მუჰამედ თარზი (1865-1933)




ამანულა ხანი
(1892-1960)



ლორდი ჩელმსფორდი
(1868-1933)




პუშტუნები



ავღანელი მებრძოლები, 1919 წელი



მუჰამედ ნადირ შაჰი (1883-1933)



ავღანური საჩვენებელი ბრიგადის ოფიცრები




ლენილ ბორისოვიჩ კრასინი
(1870-1926)



იაკობ ზაზაროვიჩ სურიცი
(1882-1952)



თბილისის მიხაილის საავადმყოფოს პროზექტურაში
დასვენებული ჯემალ ფაშას ცხედარი



მანაბენდრა როი (1887-1954)




ალექსი (საშა) გეგეჯკორი
(1893-1926)




მამია (ივანე) ორახელაშვილი
(1881-1937)



ალექსანდრ ეგოროვი
(1883-1939)




მერვი (მეწამული), ხივის სახანო (ყვითელი), ბუხარის საამირო (მწვანე)
და კოკანდის სახანო (ვარდისფერი) 1842 წელს




ზივის სახანო და ბუხარის საამირო 1865 წელს



ზივის სახანო და ბუხარის საამირო 1870 წელს



ზივის სახანო და ბუხარის საამირო 1900 წელს



ყაზახეთი და შუა აზია 1873 წელს



თურქესტანი (ცენტრალური აზია) XX საუკუნის დასაწყისში

თავი VI

ბასმაჩთა ლიდერი

– დილის ლოცვის შემდეგ ვტიროდი და ჩვენი ბავშვების ფოტოები დავწვი... აქაური ხალხი ძალიან ჩამორჩენილი და კონსერვატორია. ჩემს წინააღმდეგ უწყვეტი პროპაგანდა მიმდინარეობს. იმისათვის, რომ ამ ფანატიკოსებს ჩემი პოვნის ყოველგვარი საშუალება მოვუსპო, ჩემი ყველა წიგნიც დავწვი...

– წითელი არმია გვიტევს... მათ უკვე დაიკავეს დუშანბე... მინდვრის ყვავილებთან ერთად, რომელსაც ყოველდღიურად გიგზავნიდი, ახლა იმ თელის მოტეხილ ტოტსაც გიგზავნი, რომლის ქვეშაც მეძინა წუხელ. ხის ამ ნაჭერზე შენი სახელი ამოვკვეთე... შენი საყვარელი ენვერი...

ისმაილ ენვერ ფაშა. 1922 წლის 22 ივლისი.

§6.1. თურქმენის ბოლშევიკური ინკვიზიცია

დავუბრუნდეთ ისმაილ ენვერ ფაშასა და მის შუაზიურ ვოიაჟებს. აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი და ჩვენი შემდგომი თემის მთავარი საკითხი უნდა განვიხილოთ. საუბარი ყველასათვის ერთი შეხედვით თითქოს ნაცნობ თემას, კერძოდ, ე.წ. ბასმაჩებსა და ბასმაჩურ მოძრაობას შეეხება. შუა აზიის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი სწორედ ბასმაჩურ მოძრაობას უკავია, რაც არა მოსახლეობის გარკვეული ფენის მორიგ საყოფაცხოვრებო ამბოხს წარმოადგენდა, რის დახატვასაც ათწლეულების განმავლობაში ცდილობდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, არამედ რეგიონის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის აქტიური ნაწილის ბრძოლებისა და საომარი მოქმედებების სერიას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც, საერთო ჯამში, მთელი 15 წელი, 1918 წლიდან 1933 წლამდე მიმდინარეობდა. თუმცა წითელი არმიის მიერ ცალკეული ბასმაჩური რაზმების ლიკვიდაცია გაცილებით გვიან, მხოლოდ 1938 წლისთვის დასრულდა.

სიტყვა „ბასმაჩს“ თურქული ფესვები აქვს. სიტყვასიტყვით იგი „თავდამსხმელს“, „ყაჩაღს“ ნიშნავს. თავდაპირველად თავად ბასმაჩებმა ეს დასახელება არ მიიღეს. ისინი ბრახდებოდნენ და შეურაცხყოფილადაც კი თვლიდნენ თავს, როცა მათ ამ სიტყვით მოიხსენიებდნენ. მაგრამ მოგვიანებით მდგომარეობა შეიცვალა და ისინი ამაყობდნენ კიდევ ამ დასახელებით. „ბასმაჩთა გარკვეულმა ნაწილმა, მისი მრისხანე მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს დასახელება გარკვეულ ტიტულადაც კი მიიღო“, – აღნიშნავს ტაჯიკი ისტორიკოსი საიფულა მულოჯანოვი.⁶²⁸

საბჭოთა ისტორიოგრაფია კი ამ ტერმინებით – „ბასმაჩები“ და „ბასმაჩური მოძრაობა“, ყაჩაღებისა და ბანდიტების შეიარაღებულ აქტივობას აღნიშნავდა, რომელიც თითქოსდა მიწათმფლობელების, ბეგების, მუსლიმანი სასულიერო პირებისა და სხვა „ბურჟუაზიული ელემენტების“ მიერ იყო ინსპირირებული.

საბჭოთა ისტორიოგრაფია დაუღალავად ახდენდა იმ იდეების ტირაჟირებას, რომ თურქესტანელი ბოლშევიკები განუხრელად ატარებდნენ ცხოვრებაში „ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას“, უხსნიდნენ „ადმოსავლელ მშრომელებს“ რევოლუციის არსს, ამავე დროს მოუწოდებდნენ ექსპლუატატორთა წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერისაკენ. დღესავით ნათელია, რომ ბოლშევიკები ყოველმხრივ ცდილობდნენ, დამატებითი საყრდენი მოეპოვებინათ ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც ტრადიციულად აპათიური და აპოლიტიკური იყო. ბოლშევიკები დიდ მუშაობას ატარებდნენ მოსახლეობაში რევოლუციის სიკეთეების პროპაგანდირებისათვის, რითაც მათ დაპირისპირებას ცდილობდნენ ადგილობრივ ფეოდალთა, ამ „კონტრრევოლუციურ ელემენტთა“ წინააღმდეგ. შესაბამისად, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მთავარი კონფლიქტი შუა აზიაში, რუსულ მოსახლეობასა და ადგილობრივ ფეოდალურ-ტომობრივ წარჩინებულებს შორის დაწყებული დაპირისპირება იყო.⁶²⁹

ღიახ, რეალურად, შუა აზიაში აგორებული ბასმაჩური წინააღმდეგობა წარმოადგენდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთის ბატონობისა და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. შუაზიელი ხალხების მთავარ მოთხოვნას საბოლოო ჯამში დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწი-

⁶²⁸ Галим Фасхутдинов. Deutsche Welle. Басмачи в Центральной Азии - бандиты или борцы за свободу? <http://www.dw.de/%D0%B1%D0%B0%D1%81%D0%BC%D0%B0%D1%87%D0%B8-%D0%B2>.

⁶²⁹ Ярослав Бутаков. Революция на Востоке – дело тонкое... Двуглавый орёл на красном знамени и другие парадоксы революции и гражданской войны в Туркестане Столетие. ИНФОРМАЦИОННО - АНАЛИТИЧЕСКОЕ ИЗДАНИЕ ФОНДА ИСТОРИЧЕСКОЙ ПЕРСПЕКТИВЫ. 2010. http://www.stoletie.ru/territoriya_istorii/revolucija_na_vostoke_delo_tonkoje_2010-12-08.htm.

ფოების შექმნა წარმოადგენდა.⁶³⁰ თუმცა, ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბასმაჩური მოძრაობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაგება ისეთი არ უნდა იყოს, როგორც ეს მიღებულია თანამედროვე პოლიტოლოგიასა თუ სოციოლოგიაში. საქმე იმაშია, რომ ერების ცნება, როგორც ასეთი, იმდროინდელი ცენტრალური აზიის ხალხებში უბრალოდ არ არსებობდა. ამ ხალხების ერებად ჩამოყალიბება მხოლოდ საბჭოურ პერიოდში, XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, მაშინ, როდესაც ბოლშევიკთა მიერ ბასმაჩური მოძრაობის ძირითადი კერები უკვე ლიკვიდირებული იყო.

XX საუკუნის 20-იან წლებში წითელგვარდიული რაზმებისა და წითელარმიული შენაერთების მიერ ცენტრალურ აზიაში ჩაღებილი სამხედრო დანაშაულების მასშტაბები სრულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ სათავეშივე გადაიხედოს ბასმაჩური მოძრაობისა და ბოლშევიკური საბჭოების მოქმედებების არსი.

ბასმაჩური მოძრაობის წარმოშობა ფერღანის ოლქს უკავშირდება, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918-1920 წლებში თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (თასსრ) შემადგენლობაში შედიოდა. რუსეთის იმპერიის მიერ შუა აზიის დაპყრობამდე ფერღანის ოლქი კოკანდის სახანოს კუთვნილება იყო, XIX საუკუნის ბოლოდან კი – რუსეთის იმპერიისა. განსხვავებული მდგომარეობა იყო ხივის სახანოსა და ბუხარის საამიროში, რომლებიც ამ დროისათვის ნახევრადამოუკიდებელი სახელმწიფოების სტატუსს ინარჩუნებდნენ. ფერღანის ოლქში აგორებულ ბასმაჩურ მოძრაობაში ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის გარდა, რუსი ეროვნების თეთრგვარდიელებიც ჩაერთნენ, რომლებიც, შექმნილი რეალიებიდან გამომდინარე, ბასმაჩებს თავიანთ ტაქტიკურ მოკავშირეებად განიხილავდნენ.⁶³¹ ამ თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი ფერღანელი რუსი კოლონისტებისაგან შემდგარი ე.წ. „გლეხთა არმიის“ სარდალს, კონსტანტინ მონსტროვს⁶³² ეკავა. მონსტროვის „გლეხთა არმია“ ბასმაჩებთან ერთად გამოდიოდა წითელგვარდიული და წითელარმიული რაზმების წინააღმდეგ.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში თურქესტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის, ფიოდორ კოლესოვის ზემოთ აღწერილი სამხედრო ლაშქრობა კოკანდის ავტონომიაზე განმათავისუფლებელ ლაშქრობადაა მონათლული, რეალობა კი დიამეტრალურად საპირისპირო იყო, რაც ცალსახად დასტურდება უტყუარი საარქივო დოკუმენტებით. აი, როგორ აღწერს კოლესოვის ლაშქრობის ამბავს თურქესტანის ფრონტის სამხედრო რეკოლუციური საბჭოს წევრი, რეინჰოლდ ბერზინი⁶³³ ამ ამბებიდან სულ მცირე ხნის

⁶³⁰ Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499>.

⁶³¹ А. И. Пылев. ОБ ИДЕОЛОГИЧЕСКИХ ТЕЧЕНИЯХ БАСМАЧЕСКОГО ДВИЖЕНИЯ В СРЕДНЕЙ АЗИИ В НАЧАЛЬНЫЙ ПЕРИОД (1918-1920 гг.). Вестник Санкт-Петербургского университета. Серия 2. История. 2003. № 2 (10). С. 29-34. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?tid=10&fid=12&block=100>.

⁶³² კონსტანტინ ივანოვიჩ მონსტროვი (1874-1920) – ფერღანის ველზე მოქმედი რუს კოლონისტთა ე.წ. „გლეხთა არმიის“ სარდალი. დაიბადა სამარის გუბერნიაში. მეფის მთავრობის მიერ მისი ოჯახი მალე ჩასახლებულ იქნა თურქესტანში. მუშაობდა საშუალო დონის ჩინოვნიკად. 1914 წლიდან საკუთრებაში გადაეცა მიწის დიდი ნაკვეთები. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ არჩეულ იქნა რუსი კოლონისტებისაგან შემდგარი ე.წ. „გლეხთა არმიის“ სარდალად. თავდაპირველად არმია თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასა და წითელ არმიასთან. ბოლშევიკთა მიერ გატარებული მიწის რეფორმებისა და უმკაცრესი რეპრესიების შემდეგ, 1919 წლიდან იწყებს ბოლშევიკთა წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას. წარმატებული სამხედრო მოქმედებების შედეგად ფერღანიდან განდევნა წითელი არმიის ნაწილები და დაეუფლა თურქესტანის მნიშვნელოვან ტერიტორიებს, ასევე ქალაქ ჯელალაბადსა და ოშს. 1919 წლის შემოდგომიდან, ბოლშევიკთა მიერ კოლჩაკის დამარცხების შემდეგ, წითელი არმიის გამონათვისუფლებული ძალები გადმოსროლილ იქნა თურქესტანში. უთანასწორო ბრძოლების შედეგად, 1920 წლის დასაწყისისათვის „გლეხთა არმია“ მარცხდება, 23 იანვარს კი, ბოლშევიკებს მონსტროვი ტყვედ აჰყავთ. თანამებრძოლებთან ერთად დახვრიტეს იმავე წლის თებერვალში.

⁶³³ რეინჰოლდ იოსიფოვიჩ ბერზინი (ნამდვილი გვარ-სახელი რეინჰოლდ იაზევის ძე ბერზინში) (1888-1938) – ეროვნებით ლატვიელი საბჭოთა სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რეკოლუციონერი და წითელი მეთაური, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. რსდმპ წევრი 1905 წლიდან. 1914 წლიდან I მსოფლიო ომის ფრონტებზეა. 1916 წელს დაამთავრა პრაპორშკითა სკოლა. ფრონტებზე ეწეოდა აქტიურ

შემდეგ, 1921 წლის 31 ივლისს: „კოკანდის მოვლენები ფაქტიურად უიარალო მუსლიმანი მოსახლეობის (პროლეტარებისა და წვრილი ბურჟუაზიის) წინააღმდეგ განხორციელებულ სასაკლავო წარმოადგენდა. ამ სასაკლავო გამართვამ ხანგრძლივი დროით გამოიწვია მშრომელი მუსლიმანების მოწამვლა ეროვნული მტრობის შხამით. ისინი იძულებულნი გახდნენ, რომ გაქცეოდნენ რუსულ ხელისუფლებას და მიუვალი ადგილებისათვის შეეფარებინათ თავი. აი ასე გაჩნდა ბასმაჩური მოძრაობის პირველი ტალღა, რომლის თხემზეც მოექცნენ ეროვნული გმირები ერგაში, მადამინ ბეგი, თუჩი და სხვები“. შემდეგ კი აგრძელებს: „წითელგვარდიული რაზმების ჩამოყალიბება ძირითადად კრიმინალური ელემენტების დაკომპლექტებით ხორციელდებოდა. ბასმაჩთა წინააღმდეგ განხორციელებული მათი ლაშქრობები სხვას არაფერს წარმოადგენდა თუ არა ძარცვას, ძალადობასა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას. ამ რაზმების მიერ დალაშქრული მთიანი ბილიკები დახოცილთა გვამებით იყო მოფენილი“.⁶³⁴

რუსი ისტორიკოსი, ალექსანდრ ანდრეევი, თავის წიგნში „Восточные ордена: ассасины, ваххабиты, басмачи, дервиши“, წერს, რომ ბასმაჩთა პირველი მასიური შეკრება 1918 წლის იანვარში შედგა კოკანდში, მაშინ, როცა თურქესტანის ავტონომია ჯერ კიდევ არ იყო დამხობილი ბოლშევიკების მიერ. ამ შეხვედრაზე დადგინდა ბასმაჩთა სამეთაურო შემადგენლობის ძირითადი წოდებებიც: ათეულის მეთაურს უნბაში ეწოდა, ასეულისას – იუზბაში, რაზმისას – ყურბაში, სამხედრო რაიონისას – ლაშქარბაში, ხოლო სამხედრო ოლქისას – ამირ ლაშქარბაში. შემუშავდა განმასხვავებელი ნიშნებიც. ასე მაგალითად, უნბაშს მკერდის მარჯვენა მხარეს ორი ერთმანეთში ჩასმული წითელი წრე ჰქონდა მიკერებული, იუზბაშს – წრეში ჩასმული ჯვარი მკერდზე და მარჯვენა იდაყვის ზედა მხარეს ორი ნახევარმთვარე. თუმცა, შემდგომში, როდესაც ბასმაჩურმა მოძრაობამ მასიური ხასიათი მიიღო, ამ განმასხვავებელი ნიშნების ხმარებამ ყოველგვარი აზრი დაკარგა და ისინი ფაქტიურად აღარც გამოიყენებოდა.⁶³⁵

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბასმაჩური მოძრაობის პოლიტიკური წანამდგერები საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერაც აღიარებულია, თუმცა აქ მთავარი რამაა უკუგდებული – ბასმაჩური მოძრაობის ეროვნული ხასიათი. საბჭოური ტერმინი „ბასმაჩი“ ანუ ბანდიტი და ყაჩაღი სულაც არ წარმოადგენდა ამ მოძრაობის მონაწილეთა თვითდასახელებას. ბასმაჩები საკუთარ თავს ყველასათვის კარგად ნაცნობ სიტყვას – „მოჯაჰედებს“ უწოდებდნენ, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ ამ იდეოლოგიისა და მოძრაობის ხასიათზე. ეს ხალხი, რომელიც რეგიონში ზეგავლენის შენარჩუნებისა და თავისი რელიგიის, ტრადიციებისა და ღირებულებების დასაცავად იბრძოდნენ, რომელიც სრულად ეწინააღმდეგებოდა კომუნიზმის მშენებელთა პრინციპებს, ურჯულთა წინააღმდეგ მიმართული წმინდა ომის – „ჯიჰადის“ მონაწილენი იყვნენ. სწორედ ამიტომ ეწოდებოდათ მათ მოჯაჰედები.

ბოლშევიკურ პროპაგანდას. 1917 წელს აირჩიეს მე-40 არმიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, იმავე წელს – მე-2 არმიის სამხედრო რევილუციური კომიტეტის აღმასკომის წევრად. 1917 წლის ბოლოდან 1918 წლის დასაწყისამდე მეთაურობდა ლატვიურ წითელ ნაწილებს, მონაწილეობდა ცენტრალური რადას ლიკვიდაციის ოპერაციაში. 1918 წლის იანვრიდან მე-2 რევილუციური არმიისა და ამავე დროს დასავლეთის ფრონტის სარდალია. 1918 წლის ივნისიდან რსფსრ ციმბირის უმაღლესი სამხედრო ინსპექციის წარმომადგენელი და ურალ-ციმბირის ფრონტის სარდალია. იმავე წლის ნოემბერში ინიშნება მე-3 არმიის სარდალად. 1919-1920 წლებში დასავლეთის, სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და თურქესტანის ფრონტების სამხედრო რევილუციური საბჭოების წევრია, 1924 წლის ივლისიდან – დასავლეთის სამხედრო ოლქის სამხედრო რევილუციური საბჭოს წევრი. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1927-1937 წლებში ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობები საბჭოთა კავშირის სამხედრო მრეწველობისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებში. 1937 წლის 10 დეკემბერს აპატიმრებენ, 1938 წლის 19 მარტს კი საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენის საფუძველზე ხვრეტენ.

⁶³⁴ АВГТРФ (Архив военно-политической истории Российской Федерации), Ф. 56. Б. оп 1, папка 28, д. 177, л. 13.

⁶³⁵ Петр Бологов. Армия патриотов-налетчиков. «31 спорный вопрос» русской истории: басмачество как результат просчетов большевиков. 2014. <http://lenta.ru/articles/2014/02/10/basmatches/>.

თანამედროვე უზბეკეთში ბასმჩური მოძრაობა „დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მოძრაობად“ განიხილება. საბჭოთა ისტორიოგრაფია კი ამ ხანგრძლივ ამბოხს ეკონომიკურ და სოციალურ მიზეზებთან აკავშირებდა. ზოგიერთი ავტორი ბასმჩობის ფესვებს არა კლასობრივ ბრძოლასა და დეხკანების – შუააზიელი გლეხების ეკონომიკურ ექსპლუატაციაში, არამედ სამოქალაქო ომის ეთნიკურ ხასიათსა და საბჭოთა ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებში ხედავდა. ასე მაგალითად, ს. გინზბურგი ჯერ კიდევ 1926 წელს წერდა, რომ „თავდაპირველად ბასმჩობა წარმოადგენდა ფერდანის მოსახლეობის დიდი ნაწილის შეიარაღებულ პროტესტს „საბჭოთა ხელისუფლების“ მიერ განხორციელებული ძარცვების ვაკხანალიაზე, რეკვიზიციებსა და კონფისკაციებზე“.⁶³⁶ რეალობა ის იყო, რომ ბოლშევიკებმა თავისი ნამდვილი სახე სულ მოკლე ხანში, თურქესტანის გასაბჭოების პირველივე თვეებიდან გამოავლინეს. ფაქტია, რომ ბოლშევიკთა მიერ ცენტრალურ აზიაში გატარებულ პოლიტიკას მკვეთრად გამოხატული დანაშაულებრივი ხასიათი ჰქონდა. თურქესტანის ავტონომიის ლიკვიდაციისთანავე, 1918 წლის 28 თებერვალს კომისარიატები სცემენ ცნობილ დეკრეტს №37, რომელსაც „ბამბის დეკრეტსაც“ ეძახდნენ. ამ დეკრეტის თანახმად, თურქესტანში მოყვანილი მთელი ბამბა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოსავალი კონფისკაციას ექვემდებარებოდა და იგი მუშურ-გლეხური მთავრობის საკუთრებად ცხადდებოდა. ამ დეკრეტის არშესრულების შემთხვევაში საქმე მარტივად წყდებოდა – ურჩები იხვრიტებოდნენ.⁶³⁷

ამას გარდა, კომუნისტებმა დახურეს ბაზრები და აკრძალეს თავისუფალი ვაჭრობა. შეიძლება კი იმის გაგება, თუ რამდენად მძიმე იყო ეს გადაწყვეტილებები მუსლიმანთათვის? – აცხადებენ შარიფ შუქუროვი, – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მიხაილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დოცენტი და რუსტამ შარიფოვი, – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ცენტრალური ევრაზიული კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების (CESS – Central-Eurasian Studies Society) წევრი და იქვე სცემენ პასუხს: „კერძო საკუთრების ცნება – ისლამის თეორიის სოციალური ბირთვი, ამ თეორიის საფუძველია. „მორწმუნის საკუთრება – მორწმუნის სისხლია“, „ვინც საკუთარი ქონების დაცვას შესწირავს თავს, იგი წმინდა მოწამეა“ – ეს მაქსიმები წინასწარმეტყველ მუჰამედს ეკუთვნის, რასაც მთავარი და ფუძემდებლური ადგილი უკავია სოციალური სამყაროს მუსლიმანურ გაგებაში.

ამრიგად, მიაყენეს რა დარტყმა ვაჭრობას, რელიგიასა და სოციალურ სამყაროს, ამით ბოლშევიკებმა რუსულ-მუსლიმანური კომპრომისის პრინციპული საფუძველები მოშალეს“.⁶³⁸

დამატებით, წითელარმიელებმა კერძო საკუთრების უმოწყალო ძარცვა-გლეჯა დაიწყეს. ყველაზე საინტერესო ის ფაქტია, რომ წითელი კომისრების ბრძანების შესაბამისად ნაძარცვი ქონება წითელი არმიის საკუთრებად ცხადდებოდა. ყოველივე ამან უკვე 1918 წლის გაზაფხულისთვის არნახული შიმშილი და სიღატაკე გამოიწვია რეგიონში. სახელმწიფო ფასების დადგენასთან ერთად ბამბაზე ფასები სამჯერ დაეცა, სამაგიეროდ, პურის ფასი გაიზარდა. ამის შედეგად რეგიონის მთელი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უაღრესად დაძიმდა, 400 000 დეხკანი-გლეხი პრაქტიკულად უმუშევარი დარჩა. ისინი არაფრისმქონე პროლეტარებად იქცნენ, რომელთა რაოდენობა-

⁶³⁶ Гинзбург С. Басмачество в Фергане // Очерки революционного движения в Средней Азии. Сборник статей. М., 1926. Стр. 134. <http://rudocs.exdat.com/docs/index-182294.html?page=3>.

⁶³⁷ Гражданская война, М. 1924 т. I. Стр. 30.

⁶³⁸ Шариф ШУКУРОВ. Рустам ШУКУРОВ. О ВОЛЕ К КУЛЬТУРЕ. Русская стихия. CA&CC Press. AB. Издательский дом (Швеция). 1998. http://www.ca-ca.org/journal/cac-03-1999/st_25_shukurov.shtml.

მაც ფერლანის დაბლობის ზოგიერთ რაიონში მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 30% შეადგინა.

რუსმა ჯარისკაცმა, რომელსაც დიდი ევროპული ომი (აქ I მსოფლიო ომზეა საუბარი – ა.ჩ.) და თავად რუსეთის სამოქალაქო ომის სასაკლავო ჰქონდა გავლილი, არც შიში იცოდა, რა იყო და არც შეცოლება. რუსები მასიური ამბოხის ჩასაქრობად შეეცადნენ, „გადამწვარი მიწის“ სტრატეგიის შესაბამისი ტოტალური ტერორის ტაქტიკა გამოეყენებინათ. ომის პირველი თვეებიდანვე ბოლშევიკებმა მშვიდობიანი მოსახლეობა დატრიალებული დრამის ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირად და, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, მძევლებად აქცია.⁶³⁹

მძევლების ინსტიტუტი რუსების მიერ განსაკუთრებით ცენტრალური აზიის დაპყრობის პირველ წლებში გამოიყენებოდა, როდესაც ისინი ამბოხებულებთან ომს აგებდნენ. ამით რუსები ცდილობდნენ, როგორც დაებალანსებინათ საკუთარი არმიის სისუსტე. მთვრალი ჯარისკაცები მშვიდობიან მოსახლეობას შურისძიების მიზნით ჟლეტდნენ საკუთარი გამარჯვებების აღსანიშნავად, ან საკუთარი მარცხებისა და განცდილი დანაკარგების გამო. აქ ფსიქოლოგიური ფაქტორიც მოქმედებდა, რამეთუ რუსი ჯარისკაცის ცნობიერებაში მუსლიმანს ძალიან დაბალი სტატუსი ჰქონდა. ამ „არაადამიანებთან“ მიმართებაში ისინი არავითარი მორალური ღირებულებებით არ იყვნენ შებოჭილები, როგორც ამას რუსულ თუ ევროპულ საომარ მოქმედებათა თეატრებზე ქრისტიანებთან მიმართებაში ჰქონდა ადგილი.

ეს მოვლენები სხვა არაფერი იყო, თუ არა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, ის, რასაც დღევანდელი ტერმინოლოგიით გენოციდს უწოდებენ. იგივე მოვლენები განვითარდა რუსული ცარისტული იმპერიის კავკასიაში შემოსვლის დროსაც, XIX საუკუნეში. მაშინ იმპერიამ კავკასიაში სისხლიანი დაპყრობითი ომებით ადგილობრივი მოსახლეობის გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღა, რომლის შედეგადაც კავკასიისა და შავიზღვისპირეთის ზოგიერთი ხალხი საერთოდ განადგურდა, გადარჩენილთა დიდმა ნაწილმა კი ოსმალეთის იმპერიას შეაფარა თავი. ისტორიაში ეს მოვლენები „მუჰაჯირობის“ სახელით შევიდა. ამ ამბების დასახასიათებლად ამჯერად მხოლოდ ერთ ავტორს, ეროვნებით რუს სამხედრო პირს, მკვლევარსა და პუბლიცისტს, რუსეთის არმიის გენერალს, ალექსანდრ კუზმინ-კარავაევს⁶⁴⁰ მოვიშველიებთ. გენერალი კუზმინ-კარავაევი თავისი კვლევითი ხასიათის წიგნში სათაურით „Черноморский округ“, რომელიც 1894 წელს გამოიცა, გულწრფელად აღიარებდა, რომ „ჩვენმა ბრძოლამ დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის წინააღმდეგ მიიღო განსაკუთრებული, ისტორიაში არნახული ხასიათი: მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არა მხოლოდ ქვეყნის დაპყრობისა და მისი მოსახლეობის დამორჩილებისა, არამედ მათგან ტერიტორიების

⁶³⁹ Шариф ШУКУРОВ. Рустам ШУКУРОВ. О ВОЛЕ К КУЛЬТУРЕ. Русская стихия. CA&CC Press. AB. Издательский дом (Швеция). 1998. http://www.ca-c.org/journal/cac-03-1999/st_25_shukurov.shtml.

⁶⁴⁰ ალექსანდრ ნიკოლაევიჩ კუზმინ-კარავაევი (1862-1923) – რუსი მკვლევარი და მეცნიერი, სამხედრო მოღვაწე, პუბლიცისტი. გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. „ვოენსპეცი“. კავკასიის კაზაკთა I-ლი დივიზიის შტაბის უფროსი ადოუტანტი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ობერ-ოფიცერი, შემდეგ – კავკასიის სამხედრო ოლქის კავკასიის საარმიო კორპუსის განსაკუთრებულ დავალებათა შტაბის შტაბ-ოფიცერი. წლების განმავლობაში მსახურობდა სამხედრო დაზვერვაში, ეწეოდა კავკასიის, ამიერკავკასიის, სპარსეთისა და ავღანეთის სტრატეგიულ და მეცნიერულ შესწავლას. 1900 წლიდან მთავარი შტაბის სამხედრო-სამეცნიერო კომიტეტის კანცელარიის უფროსია, შემდეგ – სამხედრო აგენტი ბრიუსელსა და ჰააგაში. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ 21-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაურია. აქვე იღებს გენერალ-მაიორის სამხედრო წოდებას და ინიშნება კავკასიის გრენადერთა დივიზიის ბრიგადის მეთაურად, შემდეგ – კავკასიის მე-2 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. I მსოფლიო ომის დაწყებამდე ღონის კაზაკთა I-ლი დივიზიის მეთაური და გენერალ-ლეიტენანტია. 1914 წლის ნოემბრიდან 1917 წლის იანვრამდე – 76-ე დივიზიის მეთაური. რუსეთის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ემხრობა ბოლშევიკებს. 1918-1920 წლებში წითელი არმიის შეზღვევლობაშია. რუსეთის სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ მიდის ემიგრაციაში, ცხოვრობდა იუგოსლავიაში. გარდაიცვალა 1923 წელს, ლიუბლიანაში.

გაწმენდისა“.⁶⁴¹ „ტერიტორიების გაწმენდის“ რუსულ მეთოდებს კი გენერალი ძველი სამყაროსათვის დამახასიათებელ ველურობის მსგავს ქმედებებს ადარებს. იგი წერს, რომ შავიზღვისპირეთის რუსიფიკაცია ისეთივე მეთოდებით მიმდინარეობდა, რომელიც მონათმფლობელური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი – „როდესაც მთელი ხალხები მონებად მიჰყავდათ, როგორც ეს, მაგალითად, ებრაელების შემთხვევაში იყო“.⁶⁴²

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის რუსული მესიანისტური იდეების გამტარებელი ბოლშევიკები, რომლებიც ამჯერად „რევოლუციური მესიანიზმის“ მანტიით შებურვილები შევიდნენ ცენტრალურ აზიაში, თავის მოქმედებებში არსით არაფრით არ განსხვავდებოდნენ თავიანთი წინამორბედი ცარისტის მოხელეებისაგან. ერთნაირ და მეორენაირ დაპყრობილი ხალხების გენოციდს ეწოდნენ. ცენტრალური აზიის შემთხვევაში ეს უმძიმესი რეპრესიები, პირველ რიგში, საზოგადოების ყველაზე აქტიური, დამოუკიდებელი ნაწილისა და ინტელექტუალების წინააღმდეგ იყო მიმართული. მსგავსი რამ ცენტრალური აზიის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, მონღოლთა ბატონობის დროს ხდებოდა (სხვათა შორის, მონღოლებიც წითელი დროშის ქვეშ მოხდნენ).⁶⁴³ ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ცენტრალურ აზიაში გატარებული „ნაციონალიზაციის“ პროცესი, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი მოსახლეობის ქონების ძალადობრივ კონფისკაციას ნიშნავდა, შესაბამისად, საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ ამ პოლიტიკას მკვეთრად გამოხატული ეთნიკური ხასიათი მიეცა.

ამ ეთნიკური ხასიათის ძარცვებში, რუსების გარდა, ევროპელთა კიდევ ორი ჯგუფი მონაწილეობდა. ერთ ჯგუფს თურქესტანში მცხოვრები სომხები წარმოადგენდნენ, რომლებმაც, I მსოფლიო ომის მსვლელობისას მათზე განხორციელებული სისხლიანი რეპრესიების შემდეგ, ოსმალთა იმპერიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიები დატოვეს და თავი ცენტრალურ აზიას შეაფარეს. გასაგები მიზეზების გამო მათ მკვეთრად გამოხატული ანტიმუსლიმანური განწყობები ჰქონდათ⁶⁴⁴ და დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ მუსლიმანთა წინააღმდეგ განხორციელებულ დარბევებში. დაშნაკური იდეოლოგიის მატარებელ სომეხთა ამ ჯგუფისაგან პირველ ეტაპზე 100-კაციანი გასამხედროებული რაზმი შეიქმნა, რომელიც რეგიონის ევროპული მოსახლეობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამცველებად ითვლებოდნენ „მუსლიმანური ხროვების“ წინააღმდეგ.⁶⁴⁵ ამ რაზმმა მთავარი როლი ითამაშა კოკანდის გასაბჭოების ზემოაღწერილ სისხლიან ამბებში და შემდეგი თორმეტი თვეც შეიარაღებული სომხური რაზმები ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ დაუნდობელი ომის უცვლელ მონაწილეებს წარმოადგენდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით დავაზუსტებთ, რომ სომეხთა დიდმა რაოდენობამ 1918 წლის სექტემბერში „კავკასიის ისლამის არმიის“ მიერ ბაქოს ალების შემდეგ დატოვა ქალაქი. ბრიტანელთა საექსპედაციო კორპუსის სარდალი ბაქოში, გენერალ-მაიორი ლაიონელ ჩარლზ დანსტერვილი⁶⁴⁶ (Lionel Charles Dunsterwill) თავის მემუ-

⁶⁴¹ სცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 53.

⁶⁴² იქვე.

⁶⁴³ Шариф ШУКУРОВ. Рустам ШУКУРОВ. О ВОЛЕ К КУЛЬТУРЕ. Русская стихия. СА&СС Press. АВ. Издательский дом (Швеция). 1998. http://www.ca-c.org/journal/cac-03-1999/st_25_shukurov.shtml.

⁶⁴⁴ Buttino M. Ethnicité et politique dans la guerre civile: a propos du Basmačestvo au Fergana // Cahiers du monde russe. 1997. T. 38. C. 195-222.

⁶⁴⁵ Центральный государственный архив Республики Узбекистан ЦГА РУз. Ф. 17. Оп. 1. Д. 1219. Л. 134. А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁶⁴⁶ ლაიონელ ჩარლზ დანსტერვილი (Lionel Charles Dunsterwill) (1865-1946) – ბრიტანელი სამხედრო მეთაური, გენერალ-მაიორი. თავისუფლად ფლობდა რუსულ და გერმანულ ენებს. სწავლობდა ბრიტანეთის სამხედრო

არში აღნიშნავდა: „15 სექტემბერს როსტომთან და ტერ-პოლოსიანთან (ფრონტის მომარაგების უფროსი) ერთად, ბაგრატიუნმა ქალაქი დატოვა და ენზელიში გაემგზავრა. ბაქოდან პეტროვსკში გაემგზავრა 26 ათასი კაცი. ენზელიში – 9500 (მათგან 8 ათასი ლტოლვილი), კრასნოვოდსკში – 4500 კაცი (მათგან 4 ათასი ლტოლვილი). სულ 40000 ათასი კაცი, აქედან 10 ათასი ჯარისკაცი... სომხების მიერ მიტოვებული ბრიტანული ჯარები, რომელსაც მხოლოდ რუსები ედგნენ მხარში, 16-საათიანი ბრძოლების შემდეგ იძულებულნი გახდნენ, დაეცალათ ბაქო“.⁶⁴⁷ სწორედ კრასნოვოდსკში გადასულ სომეხთა გარკვეულმა ნაწილმა შექმნა ის შეიარაღებული რაზმი, რომელიც შემდგომში დაუნდობელ რეპრესიებს აწყობდა ცენტრალური აზიის მუსლიმანი მოსახლეობის მიმართ.

ევროპელთა კიდევ ერთ დიდ ჯგუფს ტყვედყოფილი გერმანელი და ავსტრია-უნგრელი ჯარისკაცები შეადგენდნენ, რომელთა რეგიონში ყოფნა კიდევ უფრო აღრმავებდა ისედაც რთულ სასურსათო კრიზისს. 1918 წლის 1 მაისს ტაშკენტის მთავრობამ, „მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესთან“ დაკავშირებით, ისინი „გაათავისუფლა“ და რევოლუციური თურქესტანის თავისუფალ მოქალაქეებად გამოაცხადა. სინამდვილეში კრემლმა აქ პატარა ხრიკი გაითამაშა. ამ აქტით საბჭოთა მთავრობამ თავიდან მოიხსნა მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა და ტყვედყოფილები შიმშილით სიკვდილისათვის გაწირა. ბუნებრივია, ამ ვითარებაში გათავისუფლებული ტყვედყოფილებისათვის ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი გზა წითელ გვარდიაში ჩაწერა და ე.წ. „საბჭოთა მეომრად“ გახდომა იყო. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ამ ახლადგამომცხვარი რევოლუციონერი მეომრების აღსანიშნავად ახალი ტერმინიც შექმნა და მათ „მეომარი-ინტერნაციონალისტები“ უწოდა. ეს „მეომარი-ინტერნაციონალისტები“ შემდგომში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ „აბორიგენების“ წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში მიღწეულ დიდ სამხედრო გამარჯვებებში.⁶⁴⁸ სწორედ აქედან იღებს სათავეს ეს იმპერიული ტერმინი, რომლის ქვეშაც კრემლის მიერ მოხერხებულად ინიღბებოდა სხვადასხვა ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული საბჭოური სამხედრო აგრესიები. ასეთ შემთხვევებში უკვე საბჭოთა საოკუპაციო კონტინგენტის ჯარისკაცებს ნათლავდნენ „მეომარ-ინტერნაციონალისტებად“. ეს ტერმინი განსაკუთრებით ფართოდ მოგვიანებით, 80-იანი წლებიდან შემოვიდა ხმარებაში, საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ომის მსვლელობისას.

მანამდე კი, სამოქალაქო ომის რკალის მოხსნის შემდეგ, 1919 წლის ოქტომბერში, თურქომისიის თავმჯდომარე, შალვა ელიავა და კომისიის წევრები: ი. ე. რუბტუაკი, ფ. ი. გოლოშჩეკინა, ვ. ვ. კუბიშევი, გ. ი. ბოკი და მ. ვ. ფრუნზე თურქეს-

სკოლაში რედიარდ კიპლინგთან ერთად. 1883 წელს აბარებს მისაღებ გამოცდებს სანდჰერსტის სამხედრო კოლეჯში. სამხედრო სამსახურს იწყებს 1884 წელს ბრიტანეთის არმიის ქვეით ნაწილში ჯერ მალტაზე, შემდეგ ეგვიპტეში. მოგვიანებით გადაყვანილ იქნა ბრიტანეთის კოლონიურ ინდოეთის არმიაში. მსახურობდა ავღანეთისა და ინდოეთის „სამხრეთ-დასავლეთის სასაზღვრო პროვინციაში“. 1908 წელს იღებს ვიცე-პოლკოვნიკის ჩინს და ინიშნება პენჯაბის მე-20 პოლკის მეთაურად. შემდგომ სამსახურს აგრძელებს ჩინეთში. I მსოფლიო ომის დაწყების წინ მსახურობდა საფრანგეთში ტრანსპორტის ოფიცრის თანამდებობაზე. 1918 წლის დასაწყისიდან ამიერკავკასიაშია. ინიშნება ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების ხელმძღვანელად თბილისში. 1918 წლის ივნისში ენიჭება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება და ინიშნება ბრიტანული საქსპედიციო კორპუსის სარდალად, რომელიც დაკომპლექტდა კანადური, ავსტრალიური და ახალზელანდიური ქვედანაყოფებით. მისი მცირერიცხოვანი კორპუსი, რომელიც სამი ბატალიონის, სავლე არტილერიისა და რამდენიმე ჯავშანმანქანისაგან შედგებოდა მესოპოტამიიდან ბაქოში 1918 წლის აგვისტოსში შევიდა. ექსპედიციის მიზანს ოსმალური და გერმანული შენაერთების ბაქოში და შემდგომ ინდოეთში შეჭრის აღკვეთა წარმოადგენდა. 1918 წლის 16 სექტემბერს „ცენტროკასპიისპირეთის“ ძალებთან ერთად „კავკასიის ისლამის არმიის“ წინააღმდეგ წარმოებული ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ კორპუსი ტოვებს ბაქოს. ბაქოს დამცველები მარცხდებიან და კორპუსის პირადი შემადგენლობა გემებით იქნა გადაყვანილი ირანის პორტ ენზელიში.

⁶⁴⁷ Академик Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал „Армянский вестник“. 1999г. # 1-2.

⁶⁴⁸ Buttino M. Ethnicité et politique dans la guerre civile: a propos du Basmacéstvo au Fergana // Cahiers du monde russe. 1997. T. 38. C. 210-214.

ტანისაკენ დაიძრნენ. პირველები ტაშკენტში შალვა ელიავა და იან რუჰუტაკი ჩავიდნენ 4 ნოემბერს, რომლებსაც რისკულოვის ხელმძღვანელობით გამართულმა ხუთასკაციანმა მიტინგმა მოუწყო დახვედრა.⁶⁴⁹ შექმნილი მძიმე მდგომარეობის გაცნობის შემდეგ თურქომისიამ მოსკოვის მიერ გატარებული პოლიტიკის შერბილებისაკენ აიღო გეზი. აქ ბოლშევიკებმა შუაზიურ პოლიტიკასთან მიმართებაში ტაქტიკური უკანდახევის ხრიკს მიმართეს. ელიავამ განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი არ ითხოვს აღმოსავლეთისაგან სოციალური რევოლუციის დაუყოვნებლივ გატარებას. საკმარისია მივალწიოთ ნაციონალურ გათავისუფლებას.⁶⁵⁰ ბუხარის სახანოს რუს მოსახლეობასთან დეკემბრის თვეში გამართული შეხვედრის დროს კი ელიავამ „ხელმძღვანელ მუშაკებს“ ისიც განუცხადა, რომ 1918 წელს გატარებული „არასწორი პოლიტიკის“ შედეგად მუსლიმანთა მასებმა გადაწყვიტეს, რომ „საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა არაფრით არაა უკეთესი ცარისტულ პოლიტიკასთან შედარებით“.⁶⁵¹

შალვა ელიავას მიერ გამოცხადებული „დათბობის“ პოლიტიკის კონტექსტში, „კოლონიზატორობა“ უკვე მძიმე პოლიტიკურ დანაშაულად განიხილებოდა. შესაბამისად, ძალიან მალე მუსლიმანი კომუნისტებიც ხმამაღლა ალაპარაკდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული მძიმე რეპრესიების შესახებ.⁶⁵²

§6.2. ბასმარური მოძრაობის სათავეებთან

„ბამბის დეკრეტის“ გამოცემამ, თავისუფალი ვაჭრობის აკრძალვამ და ასეთი ბარბაროსული პოლიტიკის გატარებამ 1918-1919 წლებში თურქესტანში მწვავე სასურსათო კრიზისი გამოიწვია. ხელისუფლება ცენტრალურ აზიაში პურს მხოლოდ რუსულ მოსახლეობას აწვდიდა. ცინიზმის გამოხატულების ფორმებმა აქაც უმაღლეს დონეს მიაღწია. ასე მაგალითად, ერთ-ერთი კომუნისტი შიმშილით მომაკვდავი ყაზახების შესახებ ამბობდა: „ყაზახები მარქსიზმის თვალსაზრისით სუსტი ერია და ისინი უნდა გადაშენდნენ. ამიტომაც რევოლუციისათვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ თანხები და საშუალებები არა შიმშილთან საბრძოლველად, არამედ ფრონტისათვის დაიხარჯოს“.⁶⁵³ საბჭოური წყაროების მონაცემებითაც კი, მხოლოდ 1919 წელს 1 114 000 ყაზახი მოკვდა შიმშილით.⁶⁵⁴

ანადგურებდნენ არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ მათ წინაპართა საფლავებს, არქიტექტურულ ძეგლებს, მშობლიურ ენაზე დაწერილ წიგნებსა და მანუსკრიპტებს, მიუხედავად მათი შინაარსისა. შუაზიელთა „მოქცევის“ მიზნით მათ კულტურასთან

⁶⁴⁹ РГАСПИ. Ф. 122. Оп. 1. Д. 29. Л. 14. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁶⁵⁰ Газета „Иштирокиюн“. 1919. 24 декабря. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁶⁵¹ Газета „Иштирокиюн“. 1920. 4 января. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁶⁵² Газета „Иштирокиюн“. 1920. 17, 27 февраля, 3 марта.

⁶⁵³ Мустафа Чокай-оглы. Туркестан под властью Советов. Париж. 1935. - С. 44.

⁶⁵⁴ დასახელებილი ნაშრომი. გვ. 45.

ბრძოლის ეს მეთოდოლოგია კომუნისტების მიერ 1960-იან წლებამდე გამოიყენებოდა, ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ ახალი სეკულარული პოლიტიკის გატარებისას.

ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ცეცხლითა და მახვილით გაიარა მთელს შუა აზიაში. ღვთიური რისხვის ცეცხლი, როგორც ჭირი განკითხვის დღეს, ისე დაატყდა თავს მეგობარსა თუ მტერს, მდიდარსა თუ ღარიბს, დამნაშავესა თუ უდანაშაულოს,⁶⁵⁵ – აღნიშნავს რუსტამ შუქუროვი, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის დოცენტი, ცენტრალური ევრაზიული კვლევების საერთაშორისო ორგანიზაცია CESS-ის (Central-Eurasian Studies Society) წევრი.

შუა აზიაში ბოლშევიკების გამოისობით დაწყებული საერთო ნგრევა და შიმშილი არანაკლები იყო იმ უბედურებაზე, რაც ვოლგისპირეთში დატრიალდა 1920-1921 წლებში. მაგრამ, ვოლგისპირეთისაგან განსხვავებით, აქ არ იყო ორგანიზებული ევაკუაცია ქვეყნის უფრო მშვიდ და უხვ რეგიონებში, არც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარება, – აღნიშნავს ადიფ ხალიდი.⁶⁵⁶

ამგვარად, პოლიტიკურ მიზეზებთან ერთად, ბასმაჩური მოძრაობის აგორებას ეკონომიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმაც შეუწყვეს ხელი. მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ბასმაჩთა რიგები უმუშევარი დეზკანებით ივსებოდა, სასულიერო პირებმა ხალხს შეძვევი შინაარსის ლოზუნგი მიაწოდეს: „დავიცვათ შარიათი!“ ყოველივე ამან მასობრივი სახალხო წინააღმდეგობის წარმოქმნასა და გაძლიერებას შეუწყო ხელი. შეძგომი მოვლენები კი ასე განვითარდა.

მიუხედავად რეგიონში არსებული დიდი რუსული საჯარისო კონტინგენტისა, ცენტრალური აზიის იმ ტერიტორიებზეც კი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების კონტროლქვეშ იყო მოქცეული, ხელისუფლება ფაქტიურად არ არსებობდა. ასეთი მდგომარეობა, განსაკუთრებით, ფერღანის დაბლობსა და სემირეჩიეში იყო, რასაც თვით ბოლშევიკი ლიდერებიც აღიარებდნენ. ასე მაგალითად, 1919 წელს თურქესტანის კომპარტიის III ყრილობაზე გამოსვლისას, ერთ-ერთი დელეგატი, სოროკინი აღნიშნავდა, რომ „ფერღანაში საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ რუსი მოსახლეობით დასახლებულ ქალაქებში არსებობს. მუსლიმანურ სოფლებში კი საბჭოთა ხელისუფლება არ არის“. მეორე გამომსვლელი კი პირდაპირ აცხადებდა, რომ „ჩვენს რიგებში არსებობენ მილიციისა და ჟანდარმერიის ყოფილი ჩინები, ასევე დამნაშავე ელემენტები... ამის შედეგად მრავალ მნიშვნელოვან პოსტს იკავებდნენ ხულიგნები, მექრთამეები და ლოთები, თანამდებობრივი სპეკულანტები, რომლებიც ძარცვავდნენ და ატერორებდნენ მოსახლეობას. ასეთი მოქმედებებით ისინი საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ამრავლებდნენ“.⁶⁵⁷ ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1918 წლის გაზაფხულისათვის ფერღანის დაბლობი გლეხ-დეზკანთა ფართომასშტაბიანი შეიარაღებული გამოსვლების არენად იქცა.⁶⁵⁸

1918 წლის 20 თებერვალს ქალაქ მარგელანის პოლიციის შეფი, მაჰმუდ ამინ ბეგი (მადამინ ბეგი) ბოლშევიკებს განუდგა და სამხედრო ოპერაციები დაიწყო საბჭოელების წინააღმდეგ. იგი გლეხობას ეუბნებოდა, რომ რუსების წინააღმდეგ მიმართული მისი ბრძოლა დეზკანების გადასარჩენად და მათი მიწების დასაცავად მიმდინარე-

⁶⁵⁵ Шукуров Р. Из воспоминаний двух бухарцев // Социум. 11/12. 1992. -С. 42–49.
⁶⁵⁶ А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. Голод в Туркестане в 1917-1920 годах // Человек и политика. 1991. Декабрь. С. 72. См. также о голоде: Туркестан в начале XX века: к истории истоков национальной независимости. Ташкент, 2000. С. 269-284. <http://tudocs.exdat.com/docs/index-182294.html? page=3>.
⁶⁵⁷ Труды 3-го съезда Коммунистической партии Туркестанской республики Российской Советской Федерации, 1-15 июня 1919 года. Ташкент, 1919. С. 73, 104.
⁶⁵⁸ А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

ობდა. სწორედ მაღამინ ბეგი ითვლება თურქესტანში ბასმაჩური მოძრაობის პიონერად. მოკლე დროში მას უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა. ბასმაჩთა რაზმების მეთაურებმა – ყურბაშებმა, თავიანთ სოფლებსა და რაიონებში ხელისუფლება აიღეს ხელში და ამ ტერიტორიების ფაქტობრივ ბატონ-პატრონებად იქცნენ. 1918 წლის ზაფხულისათვის ყურბაშებისა და მათი საბრძოლო რაზმების კონტროლქვეშ უკვე მთელი ფერღანის ველი გადავიდა. საერთო ჯამში, ბასმაჩი მებრძოლების რაოდენობამ 1918 წლის ბოლოსათვის 50 ათასზე მეტი კაცი შეადგინა, რომლებიც 9 სხვადასხვა სიდიდის რაზმში გაერთიანდნენ. მალე მაღამინ ბეგი სათავეში ჩაუდგა მის მიერ შექმნილ ე.წ. „ფერღანის დროებით მთავრობასაც“, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ცნობილი ფერღანელი ყურბაში, ქურუკ ერგაში და თეთრგვარდიული რუსული რაზმის, ე.წ. „გლეხთა არმიის“ სარდალი, კონსტანტინ მონსტროვი.⁶⁵⁹

ბასმაჩებთან ორგანიზებული ბრძოლის დასაწყებად 1918 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკები თურქესტანის ფრონტს, ან მოკლედ, თურქფრონტს აყალიბებენ, რომლის სარდლადაც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ცნობილი რევოლუციონერი, ბიშკეკში დაბადებული და გაზრდილი გარუსებული მოლდოველი, შემდგომში თურქკომისიის წევრი და წითელი მეთაური, მიხაილ ფრუნზე ინიშნება. ფრონტის შემადგენლობაში შეიყვანეს სამი დივიზია, ხოლო ადგილობრივი რუსი მოსახლეობისა და კაზაკების შემადგენლობით – კიდევ ორი წითელი დივიზია. ერთი საინტერესო „დეტალიც“. საბჭოელებმა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, კარგად ისარგებლეს I მსოფლიო ომის ტყვედყოფილი გერმანელი და ავსტრიელი ჯარისკაცების უმძიმესი მდგომარეობით და ისინიც წითელი არმიის შენაერთებში შეიყვანეს. საერთო ჯამში, საბჭოელებმა დაახლოებით 90 ათასი კარგად მომზადებული და გამოცდილი გერმანელი და ავსტრიელი ტყვე ჯარისკაცი შემოიყვანეს აშხაბადის ფრონტზე ბასმაჩების წინააღმდეგ საბრძოლველად.⁶⁶⁰

1920 წლის 28 აგვისტო – 8 სექტემბერი ბუნარის გასაბჭოებისათვის ბრძოლის პერიოდი. 2 სექტემბერს თურქესტანის საბჭოთა რესპუბლიკის მხარდაჭერით წითელი არმიის შენაერთები მიხაილ ფრუნზეს სარდლობით ბუნარაში შედიან. ბუნარის საბჭოურ ოკუპაციას იდეოლოგიურად ბუნარის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, ფ. უ. ხოჯაევის (1896-1938) თავკაცობით. მეტად საინტერესოა საბჭოური ოკუპაციის ის სქემა, რომელიც კრემლის მთავარმა იდეოლოგებმა შეიმუშავეს და რომელსაც შემდგომშიც დიდი წარმატებით იყენებდნენ წითელი კომისრები და მეთაურები. ეს მეთოდისა სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩვენს მიერ ზემოთ, ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში განხილული ივანე მრისხანისდროინდელი რუსული „ცივი ომის“ სტრატეგიის შემადგენელი ელემენტი, ოღონდ უფრო დაჩქარებული და ტექნოლოგიურად და მეთოდოლოგიურადაც უფრო დახვეწილი. ამ სქემაში ერთ-ერთი მთავარი როლი ქვეყანაში მოქმედ ფართო აგენტურულ ქსელის შექმნასა და ე.წ. „მეხუთე კოლონას“, ანუ, ბოლშევიკებისადმი ლოიალურად განწყობილ მოქალაქეებს ენიჭებოდათ. არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეს ორი კომპონენტი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა გასაბჭოების სქემაში. საბჭოელების მიერ შემუშავებული ეს სქემა სხვა ქვეყანაში ჯარების შეყვანამდე ითვალისწინებდა ადგილებზე მოსხლეობის უკმაყოფილებისა და ვითომ სახალხო აჯანყების ინსპირირებას, „მშრომელთა ინტერესების დამცველი“ ე.წ. „რევკომების“ („სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი“) შექმნასა და მის დროებით მთავრობად გამოცხადებას. საბჭოური ოკუპაციის ბოლო ფაზას კი წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთისათვის დახმარების თხოვნით მიმართვა და ქვეყანაში რუსული სამხედრო შენაერთების შემოყვანა, რომელიც

⁶⁵⁹ Петр Бологов. Армия патриотов-налетчиков. «31 спорный вопрос» русской истории: басмачество как результат просчетов большевиков. <http://lenta.ru/articles/2014/02/10/basmatches/>.

⁶⁶⁰ Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499>.

უკვე დასაპყრობი ქვეყნის საზღვრებთან იყო გაშლილი. ოკუპაციის ამ სქემას საბჭოელები წარმატებით იყენებდნენ უკვე შემდეგშიც, ათწლეულების განმავლობაში...⁶⁶¹

ამიერკავკასიაში საბჭოელებმა პირველად ეს სქემა 1920 წლის აპრილის ბოლოს გამოიყენეს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისას. ახლა კი, ხუთი თვის შემდეგ იგივე ბედი ეწია ბუნარის დამოუკიდებელ რესპუბლიკასაც. „რევოლუციური ძმური დახმარებისა და ბუნარის თვითმპყრობლის ღესპოტიის წინააღმდეგ ბრძოლის“ საბაბით იქ წითელი შენაერთები შევიდნენ.

მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „აღმოსავლეთის ქვეყნებში“ „საბჭოთა რევოლუციის“ საკითხებთან მიმართებაში სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი, ლევ ტროცკი უფრო ფრთხილი მოქმედებების მოძხრე იყო და მთავარ აქცენტებს არა სამხედრო ინტერვენციაზე, ანუ საბჭოური ოკუპაციის სქემის ბოლო ფაზის განხორციელებაზე, არამედ მის პირველ ფაზაზე, ანუ საავტოცაიო-საგანმანათლებლო და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებაზე აკეთებდა.

ლენ ტროცკის საიდუმლო წერილი ლენინს და ზინოვიევს.

1920 წლის ივნისი.

„ყველა ინფორმაცია, რაც მოგვდის ზივადან, სპარსეთიდან, ბუნარიდან და ავღანეთიდან, იმ ფაქტს ადასტურებს, რომ საბჭოთა რევოლუცია ამ ქვეყნებში ამ მომენტისათვის დიდ სირთულეებს განიცდის... მანამ, სანამ დასავლეთში სიტუაცია დასტაბილურდება და სანამ ჩვენი ინდუსტრია და ტრანსპორტი განვითარდება, საბჭოთა ექსპანსია აღმოსავლეთში ამტკიცებს, რომ დასავლეთისათვის იგი არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე მის წინააღმდეგ მიმდინარე ომი... დღევანდელი პოტენციური საბჭოთა რევოლუცია აღმოსავლეთში პირველხარისხოვანი ელემენტია ინგლისთან ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი დასკვნები ასეთია:

1. აღმოსავლეთის საკითხებში ჩვენ თავი უნდა მივუძღვნათ პოლიტიკურ და საგანმანათლებლო საქმიანობას... ამავე დროს გამოვიჩინოთ მაქსიმალური სიფრთხილე ჩვენს სამხედრო დახმარებებში;

2. ყველა შესაძლო არხითა და საშუალებით უნდა გავაგრძელოთ მუშაობა იმისათვის, რომ აღმოსავლეთის საკითხებში მივალწიოთ ინგლისის მხრიდან გაგებას“.⁶⁶²

მიუხედავად ამისა, წითელი არმიის მთავარსარდლის, სერგეი კამანევის პოზიციები შეუვალი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, იგივე პოზიციები დაიკავა თურქკომისი-ამაც. უკვე აგვისტოს თვისათვის თურქფრონტის ჯარები საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ მოყვანილნი მათ წინაშე დასმული ამოცანის შესასრულებლად:

საიდუმლო. ოპერატიული.

ბრძანება თურქფრონტის ჯარებს.

ტაშკენტი, 25 აგვისტო, 13 საათი.

№3667.

საუკუნეების განმავლობაში ამირას, ინგლისელი ჩინოვნიკებისა და მდიდრების მიერ ჩაგრული ბუნარელი ხალხი თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ აღსდგა და მალლა

⁶⁶¹ არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. ISBN 978-9941-0-5988-9. თბილისი. 2014. გვ. 84.

⁶⁶² From Jan M. Meijer (org.), The Trotsky Papers, 1917-1922, 2 vols., London, The Hague and Paris: Mouton, 1964, 1971, vol. II, pag. 209.

ასწია თავისუფლების დროშა. ბუნარელი ხალხისათვის რევოლუციური ძმური დახმარების მიზნით ბუნარის თვითმპყრობლის დესპოტიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის...

ვბრძანებ:

1. ბუნარა-სამარყანდის დაჯგუფების ყველა რაზმმა 28 აგვისტოს საღამოსათვის დაასრულოს საბრძოლო მომზადება და 28-29 აგვისტოს დაიწყოს აქტიური მოქმედებები...

თურქფრონტის სარდალი ფრუნზე“.⁶⁶³

შუა აზიაში საბჭოთა ხელისუფლება ორ თვეში დამყარდა და თურქესტანის რევკომის ბაზაზე შექმნილმა სახალხო კომისართა საბჭომ დაუყოვნებლივ დაიწყო საბჭოური „სეკულარიზაციის“ პროცესები. იხურებოდა მეჩეთები, აპატიმრებდნენ სასულიერო პირებს, წვაგდნენ საეკლესიო წიგნებს, გააუქმეს შარიათისა და ადათის სასამართლოები.

ბუნარაში ჩასულმა ენვერმა საკუთარი თვალთ იხილა, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში გათავისუფლება ბოლშევიკურად. მან ისიც კარგად დაინახა, თუ რას წარმოადგენდნენ წითელი მეთაურები, როგორ დესპოტურად იქცეოდნენ კომისრები, როგორ ატარებდნენ კომუნიზმის დანერგვის ექსპერიმენტებს ბოლშევიკი სატრაპები „გათავისუფლებულ რესპუბლიკაში“.

ქალაქი ბუნარა, ამირათა ძველი რეზიდენცია, აგრეთვე თურქესტანის ყველა მთავარი ქალაქი რუსულმა ჯარებმა დაიკავეს. მათი შენახვა უბრალო ხალხის კისერზე გადადიოდა. ამ დროს კი ქვეყნის მთელი სიმდიდრე გრძელი ეშელონებით გაიზიდა მოსკოვში „ამხანაგ ლენინისათვის საჩუქრად“ ან, როგორც „მაღლიერი ბუნარელი ხალხის საჩუქარი კრემლს“. ამ ამბების პარალელურად თურქესტანში შეურიგებელი ბრძოლა გაჩაღდა რუსი „განმათავისუფლებლების“ წინააღმდეგ. ჰასან პაქსოი: „ბოლშევიკები ცენტრალურ რუსეთში მცხოვრებ რუსებს იღებდნენ წითელ არმიამში, რომლებსაც იქ შიმშილით სული ამოსძვრებოდათ, თურქესტანელებისათვის პური რომ არ წაერთმიათ. ამიტომ რუსი ეროვნების ჯარისკაცი-მოხალისე ბევრი იყო. ისინი მედგრად იბრძოდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არმიიდან გაგდება და შიმშილით სიკვდილი ელოდათ... თურქესტანის ეროვნული ძალების მთავარ ამოცანას ბუნარის ნაციონალური არმიის ორგანიზება და თურქესტანის ნაციონალური ფედერაციის შექმნა წარმოადგენდა ხივის, თურქმენეთისა და ყაზახეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით“.⁶⁶⁴

ყოველივე ამან მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც მალე ანტიბოლშევიკური გამოსვლები მოჰყვა შედეგად შეიარაღებული ბასმაჩური მოძრაობის სახით. მალე ბასმაჩურმა მოძრაობამ, რომელსაც ხალხისაგან პატივცემული ლიდერები ჩაუდგნენ სათავეში, მთელი მხარე მოიცვა. ბასმაჩური რაზმების ყველაზე ცნობილი მეთაურები კი გახდნენ ცალხელა იბრაჰიმ ბეგი ბუნარაში, მაღამინ ბეგი ფერღანაში და ჯუნაიდ ხანი თურქმენეთში. როგორც ცნობილი საბჭოთა მოღვაწე-დისიდენტი და ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, მიხაილ გელერი აღნიშნავს, – „ერთადერთ ანტისაბჭოთა ნაციონალურ მოძრაობად, რომელიც არ განადგურებულა [რუსეთის] სამოქალაქო ომის ბოლოს, შუააზიური ბასმაჩური მოძრაობა იყო. ეს მოძრაობა განსაკუთრებით 1920 წლის სექტემბერში გააქტიურდა, წითელი არმიის მიერ ბუნარის დაკავების შემდეგ, როდესაც ახალგაზრდა ბუნარელთა პარტიამ თავისი

⁶⁶³ Алексей Щербakov. Гражданская война – генеральная репетиция демократии. «Мусульмане всех стран, объединяйтесь!» http://www.e-reading.mobi/chapter.php/1001118/163/Scherbakov_Aleksey_-_Grazhdanskaya_voyna_Generalnaya_repeticiya_demokratii.html.

⁶⁶⁴ Paksoy H.B. Basmachi Movement From Within: Account of Zeki Velidi Togan // Nationalities Papers. 1995. Vol. 23. No 2.

ხანმოკლე თანამშრომლობა შეწყვიტა ბოლშევიკებთან და მის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა“.⁶⁶⁵

ამირა საიდ აღიმ ხანი აღმოსავლეთ ბუხარაში (დღევანდელ ტაჯიკეთში) გაიქცა, სადაც ბასმაჩთა დამატებით შეიარაღებულ რაზმებს დაუწყო თავმოყრა. ამ რაზმების წინააღმდეგ საბრძოლველად ბოლშევიკთა მიერ საჯარისო დაჯგუფება შეიქმნა წითელი არმიის ხუთი ბრიგადის რაოდენობით. 1920 წლის დეკემბრის ბოლოს წითელმა შენაერთებმა აღმოსავლეთ ბუხარას შეუტეეს. ბასმაჩურმა რაზმებმა ძნელადმისადგომ მთიან რაიონს მიაშურეს. 1921 წლის თებერვლის ბოლოს კი, წითელი არმიის მეწინავე ქვედანაყოფები ავღანეთის საზღვრებთან გავიდნენ. ამირას დანებება არც უფიქრია, მან ავღანეთს შეაფარა თავი.⁶⁶⁶

§6.3. ისმაილ ენვერ ფაშა – ღაზი თუ შაჰიდი?

თურქესტანში ჩასულმა ენვერ ფაშამ ახალი თამაშები წამოიწყო. მართალია, საბჭოთა რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს, იურენევს, იგი წითელი რაზმების შექმნასა და ბასმაჩების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების გაწევას შეპირდა, თუმცა ეს უკვე ხრიკი იყო, მის მიერ გათამაშებული პატარა ხრიკი. რეალობაში მას უკვე დასრულებული ჰქონდა ის რევოლუციური თამაშები და ფლირტი, რასაც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აწარმოებდა კრემლთან. ბათუმის ისტორიამ და საბჭოელების მიერ მისი ანატოლიაში შესვლის აკრძალვამ კი, საბოლოოდ განსაზღვრა ენვერ ფაშას შემდგომი გზა, მისი მოქმედებების როგორც ხასიათი, ასევე თანმიმდევრობაც. თურქესტანში ჩასულმა „თურქული რევოლუციის“ გმირმა აწონ-დაწონა და შეაფასა რა რეგიონში არსებული პოლიტიკური კლიმატი, ძალთა ბალანსი, დაპირისპირებულ მხარეთა შესაძლებლობები, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ღირებულებები და საკუთარი ადგილი ამ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში, ენვერ ფაშამ ახალი გადაწყვეტილება მიიღო. იგი ძველ და თავისი მსოფლმხედველობის მთავარ ღირებულებას – „თურანსა“ და „დიდი თურანის“ შექმნის იდეას დაუბრუნდა.

ახლა მისი მზერა ისევ იქითკენ იყო მიმართული, საიდანაც თავისი დიდი წინაპრების საბრძოლო ყიჟინა ესმოდა, იქით, სადაც მას დიდი თემურ ლენგის ახალი სახელმწიფო უნდა შეექმნა.

თავისი ნაციონალური მიზნის მისაღწევად აქ ენვერ ფაშა შესაბამის სამოქმედო ინსტრუმენტსაც ირჩევს. ეს ინსტრუმენტი პანისლამიზმია, მისი იდეოლოგიის კიდევ ერთი შემადგენელი ელემენტი. ფაქტია, რომ ანატოლიური ავანტიურების დასრულებისა და ახალ რეალობებთან შეჯახების შემდეგ მის ძველ, სოციალისტურ, რევოლუციურ,

⁶⁶⁵ Геллер М. Я. Союз нерушимый // Советское общество: возникновение, развитие, исторический финал: В 2 т. Т. 1. От вооруженного восстания в Петрограде до второй сверхдержавы мира / Под общ. ред. Ю.Н. Афанасьева. М.: Российск. гос. гуманит. ун-т. 1997. - С. 172-205. <http://you1917-91.narod.ru/geller.html>.

⁶⁶⁶ Ю. Гановский, доктор исторических наук. Энвер паша среди басмачей. Азия и Африка сегодня. №5, 1994. С. 59-61.

ინტერნაციონალისტურ, ისლამინტერნულ და კომინტერნულ ფრაზეოლოგიას უკვე ყავლი ჰქონდა გასული და ენვერ ფაშაც ძველ, მაგრამ არდავიწყებულ ისლამისტურ იდეებს უბრუნდება.

თავდაპირველად, მოსკოვისაგან მწარედ მოტყუებული ბუხარელი ჯადიდები დიდი სიხარულით შეხვდნენ ენვერის გამოჩენას. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ენვერი მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებდა მათ ყოფას. მათი გათვლით, ენვერის რეპუტაცია და მისი ახლანდელი საქმიანობა საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ენვერს მოსკოვისაგან თურქესტანიდან წითელი არმიის გაყვანა და ბუხარის დამოუკიდებლობის აღდგენა მოეთხოვა.

ნათელია, რომ ენვერ ფაშა ქარიზმატული ლიდერი იყო, მუსლიმანური სამყარო მას კარგად იცნობდა და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდა. როგორც მუსტაფა ჩოკაი აღნიშნავს: „ცენტრალური აზიის, ბუხარისა და თურქესტანის სახალხო მასები დიდი იმედით უყურებდნენ ენვერს. ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანებსაც ზურგი არ შეუქცევიათ მისთვის. მე კარგად მესმოდა, თუ რა ტრიალებდა მათ სულსა და გულში, რომლებიც ბოლშევიკური დიქტატურის დამხობის იმედით ცხოვრობდნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ენვერი შეძლებდა მოსკოვის დესპოტიზმისაგან მათ განთავისუფლებას, ისევე როგორც თავის დროზე გაათავისუფლა თურქეთი აბდულ-ჰამიდის დესპოტიზმისაგან. თურქესტანის, ბუხარისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა იმედოვნებდა, რომ ენვერი მათ ბოლშევიკთა თარეშისაგანაც დაიცავდა, ისევე როგორც თავის დროზე დაიცვა ადრიანოპოლისი ბალკანელი სლავებისაგან. ენვერის ყოვლისშემძლეობის ეს გაუცნობიერებელი რწმენა ხალხის გულებში აგრძელებდა ცხოვრებას“.⁶⁶⁷

როგორც მოსალოდნელი იყო, ენვერ ფაშამ გაიზიარა ბუხარელი ხალხის ტკივილი, იგი დამორჩილდა ხალხის მოთხოვნებს და მოსკოვში შემდეგი შინაარსის წერილი გაავრცავა:

„თუ ბუხარა საბჭოთა რუსეთის ეგიდით დამოუკიდებლობას მოიპოვებს, ჩვენ უფრო სწრაფად შევძლებთ ჩვენი მისიის შესრულებას მუსლიმანური აზიის ბრიტანული იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების საქმეში. მივმართავ თხოვნით სახალხო კომისართა საბჭოს, რათა გამოიწვიოს წითელი არმიის შენაერთები, რომლებიც ისე იქცევიან აქ, როგორც დამპყრობლები ოკუპირებულ ქვეყანაში. ისინი პურს ართმევენ მშიერ მუსლიმანებს, რომელთა უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება. გადაუდებლად მიმაჩნია, რომ საბჭოებმა უსწრაფესად დაუდონ ზღვარი რეკვიზიციებსა და ქვეყნის გარეთ სურსათისა და სხვა ფასეულობების გატანას. აღმოსავლეთ ბუხარაში დიდი არეულობებია. ეს შეიძლება რესპუბლიკის სხვა მხარეებზეც გადავიდეს. ადგილობრივი ბუხარელი კომისრები, რომლებიც ადმინისტრაციის სათავეში არიან, წითელი ჯარების მხრიდან ტერორს განიცდიან და არა აქვთ შესაძლებლობა, შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდა ბუხარელ ჯადიდებში იზრდება პროტესტის გრძნობა. საქმის კურსში ვაყენებ საბჭოთა მთავრობას, რომ აღმოსავლეთის ფრონტი სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს. ბუხარელ ხალხს თავისუფალი მოქმედების საშუალება უნდა მივცეთ, რათა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ბედი.“

ბუხარელი ხალხის დავალებით, მე მათი ინტერესების დამცველად ვარ არჩეული საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებების საწარმოებლად და ვთხოვ საბჭოებს, დროზე

⁶⁶⁷ Мустафа Чокай Оғлы. Энвер паша в Советской России и Туркестане («Orient et Occident»). Paris. Перевод с французского языка и публикация принадлежат Бахыт Садыковой. <http://kh-davron.uz/kutubxona/tarix/mustafachokaj-enver-pasha-v-sovetskoj-rossii-i-turkestan.html>.

გაცენ პასუხი ჩემს მოთხოვნებს, დანიშნონ სრულუფლებიანი წარმომადგენლები და დაასახელონ ჩვენი შეხვედრის დრო და ადგილი.

ჩემი მხრიდან, გთავაზობთ, მოლაპარაკებები დაიწყოთ 1921 წლის დეკემბრის ბოლოდან. მოლაპარაკებების ადგილად კი გთავაზობთ ქალაქ ბუხარას⁶⁶⁸.

ჩვენთვის ცნობილი არაა, თუ რა ემოციები გამოიწვია ენვერ ფაშას ამ წერილმა კრემლის ბინადრებზე, მაგრამ ერთი რამ უდავოა – ენვერი მართლაც დიდი პოლიტიკური იდეალისტი გახლდათ და მიუხედავად ყველაფრისა, იგი ისევ გამოუსწორებელ მეოცნებედ რჩებოდა. ისიც უდავოა, რომ ენვერ ფაშას ეს შეთავაზება ლენინისა და სტალინისათვის, რბილად რომ ვთქვათ, დიდი სიურპრიზი იქნებოდა. თვით 1921 წლის ბოლომდე ენვერ ფაშას კიდევ სჯეროდა, რომ ბოლშევიკები მართლაც ინტერნაციონალისტები და ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებლები იყვნენ. მას ისიც სჯეროდა, რომ ადგილებზე დაწყებული განუკითხაობა მხოლოდ ადგილობრივი წითელი მეთაურებისა და კომისრების ნამოქმედარი იყო და არა კრემლის მესვეურთა საერთო პოლიტიკური კურსის რეალიზაცია. ენვერ ფაშას, ამ გამოუსწორებელ იდეალისტს ისიც გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ კრემლი მას ყურს დაუგდებდა და მის მოსაზრებებსაც გაითვალისწინებდა...

თავად შუააზიელ ხალხებში კი ენვერ ფაშას ავტორიტეტი უსაზღვროდ გაიზარდა. ამბობებული ფერდანიდან, საბჭოთა თურქესტანის დედაქალაქ ტაშკენტიდან, სამარყანდიდან მის სახელზე მხურვალე მისალმებები იგზავნებოდა. ისიც ფაქტია, რომ ენვერი კარგი რეპუტაციით სარგებლობდა თურქესტანში არსებულ პოლიტიკურ მიმდინარეობებსა და ფრაქციებს შორისაც. მართლაც, ჯადიდებისათვის იგი თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი, ნაციონალისტი, ანტიმონარქისტი და მოღერნისტი იყო. ბასმაჩებისათვის – ხალიფას სიმე, ღმერთისაგან გამოგზავნილი განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, უმწიკვლო რეპუტაციის პროგრესული პანისლამისტი.⁶⁶⁹ მაგრამ ბოლშევიკებმა ენვერ ფაშა მისი მიმართვის შემდეგ უკვე დიდ პოტენციურ საფრთხედ აღიქვეს. ყველაფერი ნათელი გახდა და თურქესტანის საბჭოთა ხელმძღვანელებმა განგაშის ზარს შემოჰკრეს...

ენვერისათვის კი ყველაფერი ძალიან მალე გაცხადდა, ლამაზი ზღაპარი დასრულდა და იგი მიწაზე დაეშვა. მან გადაწყვეტილება მიიღო, შეერთებოდა ბასმაჩურ მოძრაობას და წინ აღდგომოდა ბოლშევიკებს. მას ხალხის ინტერესები უნდა დაეცვა, აღმოსავლეთ ბუხარაში (დღევანდელ ტაჯიკეთში) გადასულიყო და შეიარაღებული ბრძოლა დაეწყო ბოლშევიკებისა და რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ. ენვერ ფაშა ან გამარჯვებული – ღაზი გახდებოდა, ან სარწმუნოებისათვის თავმწირული მოწამე – შაჰიდი⁶⁷⁰. როგორც იტყვიან – „ან ყველაფერი, ან არაფერი“. აჰმედ-ზაქი ვალიდი ტოგანი:

„ათი დღის შემდეგ (ე.ი. 1921 წლის 12 ოქტომბერს – ა. ჩ.), ენვერისაგან წარმოგზავნილმა სპეციალურმა კურიერმა მისი ზეპირი დანაბარები გადმოძცა: „მივიღე

⁶⁶⁸ Мустафа Чокай Оғлы. Энвер паша в Советской России и Туркестане («Orient et Occident»). Paris. Перевод с французского языка и публикация принадлежат Бахыт Садыковой. <http://kh-davron.uz/kutubxona/tarix/mustafachokaj-enver-pasha-v-sovetskoj-rossii-i-turkestan.html>.

⁶⁶⁹ Fraser, Glanda. „Enver Pasha’s Bid for Turkestan“. Canadian Journal of History. 1988. Pg. 205.

⁶⁷⁰ შაჰიდი – ისლამში ამ ცნებას ორი მნიშვნელობა აქვს. იგი გამოიყენება, როგორც სასამართლოზე გამოსული მოწმის აღსანიშნავად, ასევე იმ მორწმუნეთან მიმართებაში, რომლებიც მოწამებრივი სიკვდილით აღესრულებიან ურჯულოთა წინააღმდეგ ომში. შაჰიდი იბრძვის ღმერთის სახელით და იცავს თავის სარწმუნოებას, საშობლოს, ღირსებასა და ოჯახს. ბოლო პერიოდში ეს ტერმინი ძირითადად სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება. მოკლედ რომ ვთქვათ, ცნება „შაჰიდი“ სარწმუნოებისათვის წამებულს ნიშნავს. სარწმუნოებისთვის მოწამეობა კი, ამა თუ იმ ხარისხით, დამახასიათებელია ყველა მონოთეისტური რელიგიისათვის. როგორც ისლამში, ასევე ქრისტიანულ სამყაროში „სარწმუნოების დაცვისათვის ომში დაღუპულ“ მეომრებს დიდ პატივს მიაგებენ. ამ კონტექსტში ცნება „შაჰიდი“ ანალოგიურია ქრისტიანული „მოწამის“ ცნებას.

გადაწყვეტილება აღმოსავლეთ ბუხარაში გადასვლის შესახებ. მოვიგებთ – „ღაზი“ გაუნდები, წავაგებთ – შაჰიდებად დავრჩებით. თურქმენები ბურდალიკში ნულარ დამელო-ლებიან...“⁶⁷¹

მწვანე ნახევარმთვარე წითელი ვარსკვლავის ორბიტას გასცდა...

გერმანელი მეცნიერი, დოქტორი როლფ ჰოსფელდი აღნიშნავს, რომ თითქოს ენვერმა თავისი იდეები ცენტრალურ აზიაში საკუთარი იმპერიის შექმნის შესახებ ინდოელ კომუნისტს, მანაბენდრა როის გაანდო, რომელმაც ენვერის გამცემლობის ამბავი უმაღლეს ლენინსა და ჩიჩერინს შეატყობინა.⁶⁷² ზედმეტად პროზაულად ჟღერს გერმანელი პროფესორის ეს მოსაზრება. არავითარი რთული, არავითარი ინდოელი კომუნისტებისაგან მიღებული ინფორმაცია და არავითარი აგენტურული ქსელის ორგანიზება არ იყო იმისათვის საჭირო, რომ საბჭოელებისათვის ენვერის იდეოლოგიური ჩანაფიქრი გამხდარიყო ცნობილი. კრემლისათვისაც ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა, თავად ბოლშევიკთა მიერ „მაროკოს, ალჟირის, ტუნისის, ეგვიპტის, არაბეთისა და ინდოეთის რევოლუციური ორგანიზაციების“, „სახალხო საბჭოთა პარტიისა“ და „ისლამინტერნის“ ბელადად შერაცხული ექსოსმალო გენერალი – ენვერ ფაშა „შერისხულთა ბანაკში“ გადავიდა...

აღმოსავლეთ ბუხარაში ენვერ ფაშა თავის 90-კაციან მხედრობასთან ერთად 1921 წლის ნოემბერში ჩავიდა. ამ რაზმში ექვსი თურქი ოფიცერიც ირიცხებოდა. ბასმაჩთა ადგილობრივ ლიდერებს მან განუცხადა, რომ მათთვის დახმარების გაწევა სურდა „ჯადილებისა და რუსების განადგურების საქმეში“. მაგრამ ბასმაჩთა ლიდერები ეჭვითა და უნდობლობით შეხვდნენ ენვერ ფაშას ამ შეთავაზებას. უფრო მეტიც, მათ ისიც კი არ დაიჯერეს, რომ მართლაც ენვერ ფაშასთან ჰქონდათ საქმე, ლეგენდარულ ოსმალო გენერალთან და ოსმალების ყოფილი იმპერიის ფაქტობრივ მმართველთან. ენვერ ფაშა ბასმაჩთა რაზმის მეთაურს, ცალხელა ყურბაშს, იბრაჰიმ ბეგს, ტომით ლოკაელ უზბეკს გადასცეს. ყურბაში იბრაჰიმ ბეგი ამირა საიდ ალიმ ხანის სამსახურში მყოფი წარმატებული მეთაური იყო, ხოლო ამირას ავღანეთში გაქცევის შემდეგ ერთ-ერთი ბასმაჩური რაზმის მეთაურიც გახდა.

თავდაპირველად იბრაჰიმ ბეგიც უნდობლად მოეკიდა ენვერ ფაშას. ისიც კი იფიქრა, რომ მის ბანაკში ამ ახალი ადამიანის გამოჩენა პოლიტიკური სპექტაკლი იყო, ბოლშევიკთა მიერ გათამაშებული პროვოკაცია. სინამდვილეში კი, ბოლშევიკთა აგენტთან, ვილაც თვითმარქვიასთან ჰქონდა საქმე. იბრაჰიმ ბეგს ბევრი აღარც უფიქრია, მისი ბრძანებით ენვერი და მისი ჯგუფი განაიარაღეს და მდგომარეობის გარკვევამდე დააპატიმრეს. იბრაჰიმ ბეგს ორ თვეზე მეტ ხანს ჰყავდა პატიმრობაში ენვერი და მისი ხალხი. ენვერი დარწმუნდა, რომ აქ ჩამოსული ისეთი უცხოელი, როგორც თვითონ იყო, დიდ ილუზიაში იგდებდა თავს იმაზე ფიქრით, რომ რამეს გააწყობდა ამ ხალხთან. იგი ბედს მინებდა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფრის გარკვევისა და გადამოწმების შემდეგ, ბასმაჩებმა ენვერ ფაშა გაათავისუფლეს. მალე კი, იბრაჰიმ ბეგმა მისი წინადადებაც მიიღო.

უნდობლობის მომენტები შემდგომშიც მრავლად იყო ენვერსა და ბასმაჩთა რაზმების მეთაურებს შორის. ამ უნდობლობის არსებობაში, გარდა პირადი წინააღმდეგობისა და კონკურენციისა, უფრო სერიოზული მიზეზებიც არსებობდა. საქმე იმაშია, რომ ფერღანელი ბასმაჩები, ფუნდამენტალისტი სუნიტები, ენვერს „თავის კაცად“ ვერ აღიქვამდნენ. ისინი ექსოსმალო გენერალში ისევ „ახალგაზრდა თურქთა“ იმ პროგერმანელ ლიდერს ხედავდნენ, ვინც სულთნის განუსაზღვრელი ძალაუფლებები

⁶⁷¹ Заки Валиди Тоған. Воспоминания. Борьба народов Туркестана и других восточных мусульман-тюрок за национальное бытие и сохранение культуры. Книга I. Уфа. „Китап“. 1994. Стр. 373.

⁶⁷² „Гитлер воспринимал Энвера-пашу в качестве примера - Интервью с Рольфом Хосфельдом. <http://www.aniv.ru/archive/18/gitler-vosprinimal-envera-pashu-v-kachestve-primera-intervju-s-rolfom-hosfeldom/>.

შეზღუდა, მისი ევროპული განათლება და ქცევის არისტოკრატიული მანერები კი ძალიან აღიზიანებდათ მათ. ბასმაჩთა მეთაურები წმირად იმეორებდნენ ენვერის შესახებ: „იგი ჯადილი-კაფირების⁶⁷³ რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც სასულთნო მოსპეს და კაფირული სახელმწიფო შექმნეს. ისინი ჩვენი ამირას მტრები და ბოლშევიკთა მეგობრები არიან“.

ენვერი, რა თქმა უნდა, გრძნობდა ყოველივე ამას და ყველანაირად ცდილობდა, ბასმაჩთა მეთაურების ნდობა მოეპოვებინა და მათზე გავლენა მოეხდინა. ენვერმა აქვე გაიაზრა, რომ აქ, ადგილობრივ მომთაბარე ბასმაჩებში, თურქული ნაციონალიზმის მაგივრად ისლამი წარმოადგენდა წინააღმდეგობის მთავარ მამოძრავებელ ძალას და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისად შეცვალა თავისი იდეოლოგია და ცხოვრების წესიც. ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭირო იყო, მათ წინაშე იგი სანიშნოდ ისლამის-ტად წარმდგარიყო. მართლაც, 1922 წლის გაზაფხულიდან ენვერ ფაშამ წვერი მოუშვა და გარეგნობა შეიცვალა, ხელიდან არ უშვებდა კრიალოსანს, რეგულარულად ასრულებდა ნამაზებს, ჯიბით დაატარებდა ყურანს. ერთი სიტყვით იდეალურ ისლამისტად იქცა.

ამავე კონტექსტშია საინტერესო ენვერ ფაშას ძმასთან, ნური ფაშა ქილიგილთან დაკავშირებული ერთი პასაჟი, რომელიც დაახლოებით ამავე თემას ეხება. ასე აღწერს 1918 წელს ნური ფაშასთან თავის პირველ შეხვედრას გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი: „დივიზიის გენერალი და გენერალ-ადიუტანტი⁶⁷⁴ ნური ფაშა – ენვერის ძმა – 28-30 წლის კაცი იყო; ის ისეთი ლამაზი არ იყო, როგორც მისი ძმა ენვერი, მაგრამ მაინც კარგი გარეგნობა ჰქონდა. თავაზიანი იყო, მაგრამ მისი ნდობა არ შეიძლებოდა. ძალიან გულუბრყვილოდ მომიყვა, რომ იმიტომ ატარებდა დიდ წვერს, რომ ასაკი მომატებოდა და თავის ერთმორწმუნეებში მეტი ავტორიტეტით ესარგებლა“.⁶⁷⁵ საინტერესო და ყურადსაღები შტრიხია. სადღაც მართალი იყო ნური ფაშა. კავკასიის მუსლიმანთა შორის და საერთოდ მუსლიმანურ სივრცეში ასაკს თავისი აღმატებული დატვირთვა ჰქონდა მაშინაც და აქვს ახლაც. მალე ენვერ ფაშამ შემდეგი შინაარსის მოწოდებაც გაავრცელა ბასმაჩებსა და რეგიონის მშვიდობიან მოსახლეობაში: „მე, ვინც ურჯულოთა დაუძინებელ მტერს წარმოვადგენ, მოგესალმებით თქვენ, ვინც თქვენი სამშობლოსა და რწმენისათვის იბრძვით... მე წმინდა ჯიჰადს ვაცხადებ რუსეთის წინააღმდეგ...“⁶⁷⁶ ამ მოწოდების შემდეგ ენვერ ფაშა მოჯაჰედად იქცა. რას უმზადებდა მას ბედი, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. მაგრამ მას თავისი გზა უკვე საბოლოოდ ჰქონდა არჩეული. ისიც ნათელია, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, მოჯაჰედად ქცეული ეს „მარადიული მეომარი“, ღაზი გახდებოდა იგი თუ შაჰიდად აღესრულებოდა, სარწმუნოების დაცვის ღოზუნგით ბოლომდე იბრძოლებდა საბჭოელების წინააღმდეგ. წილი ნაყარი იყო, რუბიკონი კი – გადალახული...

⁶⁷³ კაფირი, იგივე გაიური – მუსლიმანებისათვის – ურჯულო, კერპთა და ცეცხლთაყვანისმცემელი. ადამიანი, რომელსაც არა სწამს ერთიანი ღმერთის, ალაჰისა და წინასწარმეტყველ მუჰამედის არსებობა, აგრეთვე სიკვდილის შემდეგ მკვდრეთით აღდგომა, დიდი განკითხვის დღე, ჯოჯოხეთი და სამოთხე. შუა საუკუნეებიდან დაწყებული, ოსმალთა იმპერიაში და შემდგომ მთელ თურქულ და ისლამურ სამყაროში სიტყვა „კაფირმა“ მკვეთრად უარყოფითი მნიშვნელობა მიიღო, რადგან ამ სიტყვით მოიხსენიებდნენ და მიმართავდნენ თურქები ყველა არამაჰმადიანს.

⁶⁷⁴ გენერალ-ადიუტანტი წარმოადგენდა ოსმალთა იმპერიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის (მათ შორის, რუსეთის) უმაღლესი რანგის სამხედრო და სამოქალაქო პირების სპეციალურ წოდებას, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ ექსკლუზიური უფლება, სუბორდინაციული დაქვემდებარების ვერტიკალის გვერდის ავლით პირდაპირი კომუნიკაცია დაემყარებინათ უშუალოდ მონარქთან, ამ შემთხვევაში – სულთანთან. ტიტულის განმსაზღვრელი ეს სპეციალური წოდება ენიჭებოდათ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საჯარო მოხელეებს.

⁶⁷⁵ General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. *Meine Mission im Kaukasus*. München. 1943. bd. 21.

⁶⁷⁶ Salahi R. Soniel. *Enevr Pasha and the Bamachi Movement in Central Asia*. *Middle Eastern Studies* 26. 1 (1990). Pg. 55.

საერთო ჯამში, ენვერის გეგმას აღმოსავლეთ ბუხარაში გამაგრება, შემდგომი მოქმედებებისათვის მისი ბაზად გამოყენება, ძალების მოკრება და თავისი ხელისუფლების დასავლეთ ბუხარაზე, ხორეზმზე, თურქესტანის რესპუბლიკაზე – ე.ი. ფაქტობრივად მთელს შუა აზიაზე განვრცობა და იქ ისლამური ტიპის თურქული სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა თავისი ფაქტობრივი მმართველობით.

§6.4. „ისლამის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლი, ხალიფას სიძე და მუჰამედის ნაცვალი“

ყველა არსებული ძალის გაერთიანების მიზნით, ახალგაზრდა ბუხარელი ჯადიდების წინააღმდეგობის მიუხედავად, ენვერმა ჩათვალა, რომ ძლიერი სამხედრო კოალიციის ჩამოსაყალიბებლად ბუხარის ყოფილ ამირასთანაც დაეწყო მოლაპარაკებები ბოლშევიკთა წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების დასაწყებად. აქ კი ენვერმა მძიმე ტაქტიკური შეცდომა დაუშვა. ასეთი ქმედებით მან მოდერნისტი-ჯადიდების ნდობა დაკარგა. ენვერის ამ ნაბიჯმა თანდათან ჩამოაშორა მას პროგრესული ძალები და მონარქისტების სიძაბითა მოაპოვებინა. მალე ეს გაუცხოება აშკარა დაპირიპირებაშიც გადაიზარდა. ამრიგად, ამბოხებულთა ძალები ორ მტრულ ბანაკად გაიყო.

თავის მხრივ, ავღანეთში მყოფმა ბუხარის ამირამაც, საიდ ალიმ ხანმა, ენვერის ამ გეგმებს მხარი დაუჭირა. ურთიერთობების ამ ეტაპზე მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ენვერ ფაშას დახმარებით იგი გამარჯვების მოპოვებაზე, ისევე თავის ქვეყანაში დაბრუნებასა და საკუთარი შეუზღუდავი ხელისუფლების აღდგენაზე ოცნებობდა. შესაბამისად, საიდ ალიმ ხანმა დიდი დახმარებები გაუწია ენვერს მისი გეგმების რეალიზაციის გზაზე. ბასმაჩების მხარდასაჭერად ამირამ ავღანეთში მოხალისე მოჯაჰედების შეკრება, მათი შეიარაღება და ბუხარაში გადაგზავნა დაიწყო. ამავე დროს ამირამ ენვერ ფაშას „ოფიციალური“ სტატუსიც მიანიჭა. იგი ბასმაჩური რაზმებისა და თავისი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, ამირ-ლაშქრად და თავის ნაცვლად, ნაიბ-ამირად დანიშნა.

ფაქტი ისაა, რომ ექსოსმალო გენერალი, ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის ლიდერი, ოსმალთა იმპერიის ყოფილი სამხედრო მინისტრი და იმპერიის ფაქტობრივი პირველი პირი, შემდგომში თითქოსდა პრომარქსისტად და რევოლუციონერად გარდაქმნილი ენვერ ფაშა, ისევე ღიად თურანულ იდეას უბრუნდება და უკვე ისლამის დროშის ქვეშ აცხადებს „წმინდა ომის“ დაწყებას ბოლშევიკთა და ურწმუნოთა წინააღმდეგ. განდიდების მანიით შეპყრობილმა „მარადიულმა მეომარმა“ საკუთარ თავს აქაც არ უღალატა. იგი ამირას მიერ მინიჭებულ ტიტულებს არ სჯერდება და საკუთარ თავს „ისლამის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლისა და ბუხარის ამირას ნაცვლის“ წოდებას ანიჭებს, უფრო მეტიც – პირად ოქროს ბეჭედზე შემდეგ სიტყვებს

ტვიფრავს: „ისლამის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ხალიფას სიძე და მუჰამედის ნაცვალი“.⁶⁷⁷

აი ასე – არც მეტი, არც ნაკლები. ისქანდერ გილიაზოვის ცნობით, ენვერ ფაშას რაზმს სხვადასხვა შეიარაღებული ბასმაჩური ფორმირებებიც შეუერთდნენ და იგი „თურქესტანის ამირად“ გამოაცხადეს.⁶⁷⁸ ფაქტი ისაა, რომ თურქესტანიდან ღვენილობაში მყოფი და ბუხარაში მყოფი „ორი ამირას“ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი შედგა. თუ რამდენად მყარი იქნებოდა და რამდენად პროდუქტიული ეს ალიანსი, ამას მომავალი უჩვენებდა.

ერთი საინტერესო დეტალი. აქაც, „მუჰამედის ნაცვალთან“ მიმართებაში, მითები სჭარბობენ რეალობას. არსებობს რეალური ცნობები იმის შესახებ, რომ ენვერ ფაშას წინაპრები მართლმადიდებელი გაგაუხები იყვნენ და ყირიმის ხანების სამსახურში იმყოფებოდნენ. შემდგომში ერთ-ერთმა მათგანმა ისლამი მიიღო და ბახჩისარაელი წარჩინებულის ქალიშვილზეც დაქორწინდა. რუსეთის მიერ ყირიმის დაპყრობის შემდეგ კი ოჯახითურთ ღუნაიზე გადასახლდა. სწორედ აქედან იწყება ენვერ ფაშას წინაპართა წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური კარიერა ოსმალთა სულთნების კარზე. ასე რომ, ენვერ ფაშას, ცხადია, არავითარი კავშირი არ ჰქონდა მუჰამედ წინასწარმეტყველის შთამომავლებთან. მან ეს ლამაზი ლეგენდა მხოლოდ საკუთარი თავის განსაღიბებლად შეთხზა.⁶⁷⁹

1922 წლის 20 მარტს ენვერ ფაშა წერილს უგზავნის თავის „ძველ მეგობარს“, კარლ რადეკს: „ძვირფასო კარლ, შენ ალბათ გამკიცხავ, მაგრამ გარწმუნებ, რომ სულ ტყუილუბრალოდ. კარგად იცი, რომ თითქმის ერთი წლის განმავლობაში ვცდილობდი ჩვენს აზრზე გადმომეყვანა ყველა ჩვენი ამხანაგი, რომლებმაც ვერ შეძლეს ბოლშევიკური პროპაგანდის გაჩაღება მუსლიმანებს შორის. ჩვენმა ძალისხმევამ, რომ ხალხები კაპიტალისტურ-იმპერიალისტური ჩაგვრისაგან გათავისუფლებულიყვნენ, უშედეგოდ ჩაიარა. კარახანი და ჩიჩერინი ბევრს გვპირდებოდნენ, მაგრამ რეალურად არაფერი არ გაუკეთებიათ. სამწუხაროა, რომ ტროცკისთან ვერ შევძელი კონტაქტების დამყარება...“

როდესაც ბუხარაში ჩამოვედი, კარგად დავინახე, თუ რაში იყო საქმე. ისინი ძველ რუსულ კოლონიებში ძალითა და მოტყუებებით ცდილობენ გაიმაგრონ პოზიციები. რუსეთში მათ მუშები და გლეხთა ნაწილი ემხრობა, აქ კი მხოლოდ ზოგიერთი ავანტიურისტია მათ მხარეს...

თუ ჩვეულ დაპყრობით პოლიტიკას გააგრძელებთ, მაშინ თქვენს წინააღმდეგ მაჰმადიან ხალხებს ავამხედრებ. ჩემი ბოლო სიტყვები კი ასეთია: დაელაპარაკეთ ამხანაგებს – ლენინს, ტროცკის და ა.შ. თუ ისინი მიიღებენ ჩემს შემოთავაზებას, იმ შემთხვევაში მე ყველა საშუალებით გაპირდებით დახმარებას...“⁶⁸⁰

ფაქტობრივად, ეს იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი წაყენებული დაუფარავი ულტიმატუმი და მუქარა. პერსონალური ულტიმატუმი, რომელიც ენვერმა არა რომელიმე პიროვნებას, არამედ სახელმწიფოს წაუყენა. გამოწვევა მიიღეს... ენვერი

⁶⁷⁷ Masayuki Yamauchi – The Green Crescent Under the Red Star: Enver Pasha in Soviet Russia 1919-1922 (Tokyo: Institute for the Study of Language and Cultures of Asia and Africa, 1991). (THAA. Klasör 7, Mustafa Kemal Dosyasi, Fihrist 5).

⁶⁷⁸ Искандер Гилязов. Тюркизм: становление и развитие (характеристика основных этапов). Казанский государственный университет. Институт востоковедения. Факультет татарской филологии и истории. Казань. 2002. Стр. 42.

⁶⁷⁹ Д. И. Вдовиченко. Исторические портреты. ЭНВЕР-ПАША. <https://ru.org/wiki/%D0%AD%D0%BD%D0%B2%D0%B5%D1%80-%D0%BF%D0%B0%D1%88%D0%B0>

⁶⁸⁰ Камолудин Абдуллаев. Историк, член экспертного совета ИА «Фергана.Ру». Смерть „летучего голландца востока“. Институт стратегического анализа и прогноза (ИСАП). РГВА, ф.110, оп.3, д.1102, л.263. <http://easttime.ru/info/turtsiya/smert-letuchego-gollantsa-vostoka>.

სისტემას დაუპირისპირდა და ამით თავისი ფიზიკური თუ იდეოლოგიური აღსასრული დააჩქარა. ისიც ფაქტია, რომ მისმა მასშტაბურმა პროექტებმა ბოლომდე ვერ ჰპოვეს მხარდაჭერა თურქესტანის ვერც კონსერვატიული (ბასმაჩები) და ვერც აჰმედ-ზაქი ვალიდისა და „პროგრესულ-ნაციონალისტური“ ძალების მხრიდან, რომლებიც ბოლშევიზმს ეწინააღმდეგებოდნენ.

მწვანე ნახევარმთვარე სამუდამოდ მოსცილდა წითელი ვარსკვლავის ორბიტას...

ამბოხებულ ფერღანელთა ნაწილმა უარი განაცხადა, ეცნოთ ენვერის ძალაუფლება. ქვეყანაში ენვერის საწინააღმდეგო აგიტაციები დაიწყო. მისი გუშინდელი თაყვანისმცემლები მის მტრებად გადაიქცნენ. აქ საუბარი ძირითადად ჯადიდებს ეხებათ, რომლებიც ენვერს ამირასთან დამყარებული მჭიდრო ურთიერთობების გამო განუდგნენ. მათი ენვერით იმედგაცრუება დიდი იყო, მაგრამ აღმოსავლეთ ბუხარაში, ბალჯუანისა და ღუშანბეს რეგიონებში რამდენიმე ათასმა ამბოხებულმა მაინც დაუჭირა ენვერს მხარი. ფაქტია, რომ 1921 წლის ბოლოდან, მას შემდეგ, რაც ბასმაჩურ მოძრაობაში ენვერ ფაშა ჩაერთო, მოსახლეობაში წინააღმდეგობის მოძრაობის მუხტი კიდევ უფრო გაძლიერდა.

ენვერ ფაშას წინააღმდეგობებით აღსავსე შუააზიური ცხოვრების პერიოდი და მისი პოლიტიკური თუ საბრძოლო აქტივობები შუა აზიაში, მისი ურთიერთგამომრიცხავი მოქმედებები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმდროინდელ ცენტრალურ აზიაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე, ძალთა ბალანსზე, ბუხარის ამირას ბნელ როლზე. ძველი ბუხარელი პროგრესისტებისათვის მათი პოლიტიკური და სოციალური აქტივობის ქვაკუთხედს შემდეგი თეზა წარმოადგენდა: „სანამ ბუხარაში ამირას ავტოკრატიული ხელისუფლება იარსებებს, შუა აზიის თავზე ბნელეთი არ გაიფანტება“. აქ ენვერმა საკუთარ თავს უღალატა. მიუხედავად იმისა, რომ ენვერი განათლებითა და მენტალობით თითქოს ევროპელი იყო და იგი დიდ რეფორმატორად და თურქული ანტისულთანური რევოლუციის ხელმძღვანელადაც ითვლებოდა, მან მაინც დაივიწყა ეს გამოცდილება და ბუხარის ამირას მონარქისტული ხელისუფლების აღდგენა გადაწყვიტა. ამით ენვერი გარკვეულად საკუთარ წარსულს, კრედოსა და ცხოვრებისეულ პრინციპებს დაუპირისპირდა. თუმცა ჩიტი ბრღვენად ღირდა...

ენვერ ფაშას ამირასთან დაახლოების მეორე მიზეზი ბოლშევიკთა მიერ გათამაშებული პატარა პროვოკაცია იყო. იცოდა რა, თუ რა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ენვერი საბჭოელებისათვის, საბჭოთა თურქესტანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, შალვა ელიავას მიერ დეკლარირებული „დათბობის“ ფონზე, მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო ამირა საიდ ალიმ ხანთან და მას ხელისუფლებაში აღდგენას დაპირდა იმ შემთხვევაში, „თუ ამას ბუხარელი ხალხი მოითხოვდა“. ამ მზაკვრულმა მანევრმა იმუშავა. ბუხარელი ხალხის გარკვეული ნაწილი ენვერის წინააღმდეგ განეწყო. ბოლშევიკებმა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლეს. როგორც მუსტაფა ჩოკაი აღნიშნავს: „ამირას პიროვნება ენვერის წინაშე თავისი დიდების შარავანდედით წარსდგა. ენვერმაც გადაწყვიტა, რომ დაესწრო ბოლშევიკებისათვის და ამირას ძალაუფლება გამოეყენებინა“.⁶⁸¹

კრემლმა ძალიან სწრაფად დაივიწყა ექსიტიჰადისტი გენერლის მიერ გავლილი ცხოვრების გზა, მისი წარსული და იდეოლოგიური მეტამორფოზები, ენვერ ფაშას ისლამინტერული მისწრაფებები და პრობოლშევიზმი, მისი „რევოლუციური საქმიანობა“ და იგი უმაღლეს „ანტანტის დამქაშად“, „საერთაშორისო ავანტიურისტად“, „ინგლისის

⁶⁸¹ Мустафа Чокай Оғлы. Энвер паша в Советской России и Туркестане («Orient et Occident»). Paris. Перевод с французского языка и публикация принадлежат Бахыт Садыковой. <http://kh-davron.uz/kutubxona/tarix/mustafachokaj-enver-pasha-v-sovetskoj-rossii-i-turkestan.html>.

აგენტად“, ლაქიად და მოლაღატედ მონათლა. აი, ტიპიური საბჭოური შეფასებების სქემა და ტექსტი – ამ ამბების მონაწილე წითელი მეთაური, შემდგომში – გენერალ-მაიორი, სერგეი ტიმოშკოვი თავის მეშუარულ ნაშრომში – „Как Красная Армия советизировала Туркестан: 85-летию Бухарской революции посвящается“ – წერდა: „უკვე 1921 წლის შემოდგომაზე საბჭოურ შუა აზიაში დაიწყო მასობრივი და, შეიძლება ითქვას, სამოქალაქო ომის პერიოდის საგარეო და საშინაო კონტრრევოლუციის ყველაზე უფრო დიდი შეტევა. ამ შეტევას ცნობილი საერთაშორისო ავანტიურისტი, თურქეთის გენშტაბის ყოფილი უფროსი, ენვერ ფაშა ხელმძღვანელობდა, რომელიც იმ დროისათვის უკვე ინგლისური იმპერიალიზმის აგენტად გადაქცეულიყო. ესმოდა რა, რომ შეიარაღებული ბრძოლით ბევრს ვერაფერს მიაღწევდა, ენვერ ფაშამ მთავარი გათვლა რევოლუციის გამცემთა მრავალრიცხოვან არმიაზე გააკეთა, რომლებიც ჯერ კიდევ ბევრნი იყვნენ ბუხარის სახალხო სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მის მხარეს გადავიდნენ რეაქციონერი სასულიერო პირები, ჯადიდთა ნარჩენები, ასევე რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე უ. ფოლად-ხოჯაევი, რესპუბლიკის მილიციის უფროსი ალი რიზა (ისიც ყოფილი თურქი ოფიცერი), ბაისუნის სამხედრო ნაზირი დანიარი და სხვ.“⁶⁸²

გასაგებია, რომ ბოლშევიკთათვის ენვერ ფაშა უკვე საშიშ იდეურ მოწინააღმდეგესა და მტერს წარმოადგენდა. შექმნილ მდგომარეობაზე კრემლმა შესაბამისი რეაგირება მოახდინა. სტალინმა მეტად საინტერესოდ გაიაზრა ენვერ ფაშასა და აჰმედ-ზაქი ვალიდის ურთიერთობები და ისინი ერთ ჯგუფად წარმოადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ვალიდი მონარქიის წინააღმდეგ და ერთიანი და თავისუფალი თურქესტანის შექმნის იდეით გამოდიოდა, ხოლო ენვერი დიდი თურანის იდეოლოგიით იყო შთაგონებული და ამირასთან იყო კოალიციაში, სტალინმა ისინი მაინც ერთ ბანაკში გააერთიანა და საბჭოური პროპაგანდისტული მანქანაც აამუშავა. 1922 წლის მარტში რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა საიდუმლო ბრძანება „ენვერ ფაშასა და ვალიდოვის ჯგუფის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ“, თავად სტალინმა კი „პრავდაში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით – „Валидовщина“, რასაც ნაციონალისტურად განწყობილ ახალგაზრდობაში აჰმედ-ზაქი ვალიდისადმი არსებული სიმპათიები უნდა მოესპო, საწინააღმდეგო განწყობები უნდა აღედგრა.

მიუხედავად ყველაფრისა, ენვერის პიროვნებამ, მისმა პიროვნულმა ქარიზმამ მაინც გაჭრა. 1922 წლის მაისისათვის ენვერს უკვე 7000 კაცი ჰყავდა საკუთარი დროშის ქვეშ მობილიზებული. საკუთარი ძალები კი სხვადასხვა „მიმართულებების სარდლობებად“ დაჰყო. ასე მაგალითად, აზერბაიჯანელი ეროვნების ვინმე იუსუფ ზია ბეი ენვერის არმიაში „ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის სარდლად“ დაინიშნა. ცნობილი ბრიტანელი მკვლევარის, ბრიტანეთის იმპერიისა და რუსეთისა და ცენტრალური აზიის ისტორიის სპეციალისტის, პიტერ ჰოპკირკის (Peter Hopkirk) შეფასებით, მართალია, ენვერის არმია არ იყო მრავალრიცხოვანი, მაგრამ იგი კარგად იყო გაწვრთნილი და ჯარების მართვაც გერმანული დოქტრინებით ხორციელდებოდა, ხოლო მისი შტაბი კარგად მომზადებული ოფიცრებით იყო დაკომპლექტებული.⁶⁸³

ამ მომენტისათვის ენვერ ფაშასადმი სიმპათიით ავღანეთის ამირა, ამანულა ხანიც განეწყო. ეს არ იყო მხოლოდ მორალური და იდეოლოგიური მხარდაჭერა. თავისი ანტირუსული და ანტიბოლშევიკური პოლიტიკის ხორცშესხმის გზაზე ამანულა ხანმა ქმედითი ნაბიჯების გადადგმაც დაიწყო, რაც ენვერის რაზმის მატერიალური და სამხედრო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა. იარაღისა და

⁶⁸² Генерал-майор С. Тимошков. Как Красная Армия советизировала Туркестан: посвящается 85-летию Бухарской революции. <http://www.centrasia.ru/newsA.php?st=1125613680>.

⁶⁸³ Peter Hopkirk "Setting the East Ablaze", London, 1984. http://military.wikia.com/wiki/Enver_Pasha.

საბრძოლო მასალების გარდა, ამანულა ხანი ენვერ ფაშას ცოცხალი ძალითაც ეხმარებოდა. ფაქტია, რომ ენვერ ფაშას რაზმში ავღანელი ჯარისკაცებიც ირიცხებოდნენ, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ ხერხდება. აქ ძალიან განსხვავებულ რიცხვებთან გვაქვს საქმე. საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავღანეთში, ფიოდორ რასკოლნიკოვი,⁶⁸⁴ რომელმაც ამ პოსტზე ჩვენთვის კარგად ცნობილი იაკობ სურიცი შეცვალა, მაზარი-მარიფის საკონსულოს მონაცემებზე დაყრდნობით იტყობინებოდა „300-ზე მეტი თავგზაბნეული ავღანელის“ ბუხარაში გადასვლის შესახებ. ბუხარის დაჯგუფების სარდლის, წითელი მეთაურის, ნიკოლაი კაკურინის⁶⁸⁵ გადმოცემით, 1922 წლის დასაწყისში ენვერ ფაშას დასახმარებლად ავღანეთიდან ორი რაზმი გაემართა 140 კაცის რაოდენობით, რომლებიც ინგლისური შაშხანებით იყვნენ შეიარაღებულნი.

თავად ავღანეთის მონარქის, ამანულა ხანის პირადი მდივანი, ალი აჰმედი ბუხარაში გაგზავნილ 2 სპილოსა და 200-კაციან ქვედანაყოფზე საუბრობს, რომლებიც შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით იყვნენ შეიარაღებულნი. ამ ქვედანაყოფს ფაზილ აჰმად ხანი მეთაურობდა.⁶⁸⁶ ამ ამბების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი, ბასმაჩთა ერთ-ერთი ლიდერი, სახელგანთქმული იბრაჰიმ ბეგი კი, რომელიც ენვერ ფაშას მხარდა-მხარ იბრძოდა, 300 ავღანელზე საუბრობს.⁶⁸⁷ როგორც ვხედავთ, საკმაოდ

⁶⁸⁴ ფიოდორ ფიოდოროვიჩ რასკოლნიკოვი (1892-1939) – რუსი და საბჭოთა სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მწერალი და ჟურნალისტი. ძველი რევოლუციონერი, რსდმპ წევრი 1910 წლიდან, ბოლშევიკი. 1912-1914 წლებში გაზეთების „Звезда“ და „Правда“ ლიტერატურული თანამშრომელი. I მსოფლიო ომის პერიოდში გარდემარინების კლასების მსმენელი. იბრძოდა ბალტიის ზღვაზე. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კონშტაბლის ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების აქტიური მონაწილე. 1917 წლის ბოლოდან საზღვაო გენერალური შტაბის კომისარი, 1918 წლის გაზაფხულიდან ტროცკის – სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე საზღვაო საკითხებში. 1918 წლის 23 აგვისტოდან ვოლგის სამხედრო ფლოტილიის სარდალი. 1918 წლის შემოდგომიდან რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი. 1919 წლის 10 ივნისიდან ასტრახანი-კასპიის ზღვის ფლოტილიის სარდალია, იმავე წლის ივლისიდან – ვოლგა-კასპიის ზღვის ფლოტილიის სარდალი. 1920 წლის 28 აპრილს მონაწილეობდა ბაქოს ბოლშევიკურ ოკუპაციაში, აგრეთვე ცარიცინის დაცვასა და ენშელის საზღვაო დესანტის ორგანიზებაში. 1920 წლის ივნისიდან 1921 წლის მარტამდე ბალტიის ფლოტის სარდალი. 1921 წლიდან დიპლომატიურ სამუშაოზეა. 1921-1923 წლებში იყო რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავღანეთში, 1923-1930 წლებში – ესტონეთში, 1930-1934 წლებში – დანიაში, 1934-1938 წლებში – ბულგარეთში. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ უკან გამოწვევის მიუხედავად, უარს ამბობს საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე და საცხოვრებლად გადადის პარიზში. იგი ქვეყნის მოალაბატედ და გამყიდველად შერაცხეს. 1939 წლის 17 ივნისს სსრკ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში ნიცაში, 1939 წლის 12 სექტემბერს.

⁶⁸⁵ ნიკოლაი ევგენიევიჩ კაკურინი (1883-1936) – რუსი და საბჭოთა ოფიცერი, სამხედრო მეთაური, „კონსპეცი“, ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი და პედაგოგი. I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. 1914 წლიდან კიევის სამხედრო ოლქის მე-10 საარმიო კორპუსის შტაბის ობერ-ოფიცერი. 1915 წელს მე-5 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტია, შემდეგ – ბაიკალისპირეთის კაზაკთა მე-3 ბრიგადის ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი. 1917 წლიდან პოლკოვნიკი, კავკასიის მე-7 ქვეითი პოლკის მეთაური. 1918 წლიდან უკრაინის სახალხო რესპუბლიკის არმიის შემადგენლობაშია. 1920 წლიდან წითელ არმიასა. რუსეთ-პოლონეთის ომში ტამბოვის მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი, მე-4 არმიის სარდლის მოვალეობის შემსრულებელი, მე-3 არმიის სარდალი და დასავლეთის ფრონტის სარდლის თანაშემწე. 1921 წლიდან ტამბოვის დაჯგუფების ჯარების შტაბის უფროსი, შემდეგ – შერეული საკავალერიო ჯგუფის უფროსი. 1922 წელს ბუხარა-ფერღანის რაიონის ჯარების სარდალი. 1922 წლის ბოლოდან მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის მასწავლებელი, სამხედრო-სამეცნიერო ჯგუფის უფროსი. 1925-1930 წლებში ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის პედაგოგი. სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის საკითხებზე შექმნილი სხვადასხვა სამეცნიერო შრომების ავტორი. რუსეთის სამოქალაქო ომის ისტორიის სამტომეულის გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი და ავტორი. ანტისაბჭოთა მეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრეს 1936 წელს. დახვრიტეს იმავე წლის ივლისში.

⁶⁸⁶ British Library, India Office Collection, L/P&S/10/1285, Ali Ahmad. The Fall of Amanullah. P. 20 back. // B.C. Бойко. Внешнеполитический курс Аманулла-хана в Афганистане в начале 1920-х годов: среднеазиатское направление: <http://new.hist.asu.ru/biblio/vost/12.pdf>.

⁶⁸⁷ Камолудин Абдуллаев. Эмир Аманулла и советская Средняя Азия // Афганистан и безопасность Центральной Азии. Вып. 2/ под ред. А.А. Князева. Бишкек-2005: www.afghanistan.ru/doc/5968.html.

განსხვავებულ-ი ცნობებია. ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ ავღანეთის ამირა რეალურად უჭერდა მხარს „მარადიულ მეომარს“.

საინტერესოა, თუ რა ძალასთან მოუხდა ენვერს დაპირისპირება, როგორი იყო ამ მომენტისათვის ბუხარაში დისლოცირებული ბოლშევიკური წითელი შენაერთების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა და საბრძოლო ძალა...

ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნაზე მუშაობა ბოლშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყეს. 1920 წლის 5 სექტემბერს თურქფრონტმა ბუხარის ნაზირატს (მინისტრთა საბჭოს) 2 პოლკი, ერთი ბატალიონი და ერთი არტლავიზიონი გადასცა. ამ ნაწილების ბაზაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო ნაციონალურ პრინციპზე აგებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები, რაც პირველ ეტაპზე ერთი წითელი ნაციონალური ბრიგადის შექმნას გულისხმობდა. მაგრამ ამ რევოლუციური არმიის ჩამოყალიბების საკითხი პირველივე დღეებში დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. თურქფრონტის შემადგენლობაში მყოფი ნაციონალური ქვედანაყოფი, ე.წ. „1-ლი აღმოსავლური პოლკი“ სულ 300 კაცს ითვლიდა. თავისთავად ცხადია, ასეთი სამხედრო ქვედანაყოფი მოკლებული იყო საბრძოლო ამოცანის შესრულების ყოველგვარ შესაძლებლობას და მას დემონსტრაციული დანიშნულება უფრო ჰქონდა.

უკვე ოქტომბრის თვეში რესპუბლიკის სამხედრო ნაზირმა, აბდულა არიფმა განაცხადა, რომ ახალწვეულების რიცხვი წითელ არმიაში იმდენად მცირე იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა ეროვნული წითელი შენაერთები შექმნა. 30 დეკემბერს ნაზირთა საბჭომ გადაწყვიტა 2000 ახალწვეულის მობილიზაცია, ხოლო 1921 წლის 1 თებერვლისათვის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, შეექმნა სპეციალური ორგანო – „დებურტირობასთან მებრძოლი სპეციალური კომისია“.

საერთო ჯამში, 1921 წლის შუა ხნებისათვის ბუხარის საბჭოთა არმია შემდეგი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი – ერთი ქვეითი ბრიგადა, ორი ქვეითი პოლკი და ერთი საარტილერიო ბატარეა, მაგრამ ამ ნაწილების დასახელებაც პირობითი იყო, რადგან მთელი ნაციონალური შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობა ოდნავ აღემატებოდა 1000 კაცს. გასაგებია, რომ ეს ე.წ. „ბუხარის საბჭოთა არმია“ მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლურ ცნებას წარმოადგენდა და რეალურად ყოველგვარი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებების შესრულების საშუალებას იყო მოკლებული. ამიტომ არაფერი არაა იმაში გასაკვირი, რომ ბუხარაში რუსული წითელი არმიის ძირითადი შენაერთები დარჩნენ. თუ 1921 წლის სექტემბრისათვის მათი რიცხვი დაახლოებით 20 ათასს შეადგენდა, ხოლო წლის ბოლოდან ამ რაოდენობამ სწრაფად დაიწყო ზრდა. 1922 წლის თებერვალ-ივნისში რუსეთის ფედერაციის შიდა სამხედრო ოლქებიდან შემოიყვანეს დამატებით 2 საკავალერიო დივიზია, 2 მსროლელი ბრიგადა, 5 საარტილერიო დივიზიონი, 4 ჯავშანმატარებელი, ჯავშნოსანი მანქანების 3 რაზმი და ერთი საავიაციო ესკადრილია.⁶⁸⁸

ასე რომ, 1922 წლის დასაწყისიდან ბუხარაში თავმოყრილი და დისლოცირებული წითელი შენაერთები საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ. გასაგებია, რომ მათთან დასაპირისპირებლად ენვერ ფაშას დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა.

⁶⁸⁸ Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499>.

§6.5. თემურ ლენგის ახალი სახელმწიფოსაკენ

1921 წლის ბოლოსათვის, ფლობდა რა რეგიონში წითელი არმიის ნაწილების შესახებ ზუსტ ინფორმაციას მათი დისლოკაციის ადგილების, შემადგენლობის, ცოცხალი ძალის რაოდენობისა და შეიარაღების შესახებ ცნობებს, ენვერმა გადაწყვიტა, შეძლებისდაგვარად გაეერთიანებინა ცალკეული ბასმაჩური რაზმები და დაეწყო სამხედრო მოქმედებები წითლების წინააღმდეგ.

პირველი დარტყმა ენვერ ფაშამ დუშანბეს მიყენა 1921 წლის დეკემბრის ბოლოს. მძიმე ბრძოლები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა თითქმის ორი თვის განმავლობაში. საბოლოოდ, 1922 წლის 16 თებერვალს ენვერმა ქალაქი აიღო, ხოლო ქალაქის დარჩენილმა გარნიზონმა, დაახლოებით ექვსასმა წითელარმიელმა პოზიციები დატოვა და ქალაქი დატოვა.

დუშანბეს ალების შემდეგ ავღანეთის სამხედრო მინისტრმა, მუჰამედ ნადირ ხანმა ენვერ ფაშას 500 ავღანელი ჯარისკაცი და იარაღის პარტია გაუგზავნა. ოღნავ მოგვიანებით, ენვერ ფაშას რაზმს კიდევ 300 ავღანელი მებრძოლი შეემატა. დუშანბეს ალების შემდეგ ენვერ ფაშამ შეტევითი მოქმედებები დაიწყო დასავლეთ ბუხარაზე. ენვერის მხარეზე გადავიდნენ ბუხარის სამხედრო ნაზირი, აბდულა არიფი და მისი მოადგილე, ოსმალთა არმიის ყოფილი ოფიცერი, თალაათ ზადე. 1922 წლის მარტის დასაწყისში ენვერ ფაშას ძალებმა ქალაქი ბუხარა ალყაში მოაქციეს.

როგორც უკრაინელი მკვლევარი, დანიელ შევჩენკო აღნიშნავს თავის სადისერტაციო ნაშრომში: „შუა აზიაში ბასმაჩური მოძრაობის მნიშვნელოვან ეტაპს 1921 წლის ბოლო – 1923 წლები წარმოადგენდა. ქრონოლოგიური ჩარჩოს ქვედა ზღვარი საბჭოთა თურქესტანში გამოჩენილი თურქი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწის, ენვერ ფაშას ჩამოსვლასა და მოღვაწეობას უკავშირდება. მან შეძლო ბუხარის რესპუბლიკისა და სამარყანდის ოლქის ტერიტორიებზე აქამდე დაქსაქსული ბასმაჩური რაზმების გაერთიანება და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათი ერთიანი ფრონტით დარაზმვა. დროის მოკლე პერიოდში ბასმაჩური რაზმების რიცხოვნობა რამდენჯერმე გაიზარდა. ბუხარის რესპუბლიკაში რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ცნობით, 1921 წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში მხოლოდ დუშანბეს ალყაში 20 ათასამდე კაცი მონაწილეობდა.“⁶⁸⁹

მოცემულ პერიოდში ბასმაჩური მოძრაობის იდეოლოგიურ ბაზისს წარმოადგენდა შუა აზიის განთავისუფლების ლოზუნგი არა მხოლოდ ბოლშევიკთაგან, არამედ მთლიანად რუსი მოსახლეობისაგან და ისლამური დროშის ქვეშ რეგიონის მთელი მუსლიმანი მოსახლეობის გაერთიანება“.⁶⁸⁹

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ ენვერ ფაშას სამხედრო წარმატებებმა ქვეყანა შეძრა და ანტირუსული განწყობები გააძლიერა. მოსახლეობამ იმედის თვალით დაუწყო ენვერს ყურება. ისიც ფაქტია, რომ იგი უკეთესი სავლელ მეთაური გამოდგა ბასმაჩური რაზმების წინამძღოლის როლში, ვიდრე რეგულარული ჯარების სარდლისა ოსმალთა იმპერიის სამხედრო მინისტრად ყოფნის პერიოდში. მის მიერ პარტიზანული ტაქტიკით წარმოებული ბრძოლების შედეგები გაცილებით უფრო ეფექტური იყო, ვიდრე თუნდაც მისი სარდლობით დაგეგმილი და აღსრულებული I მსოფლიო ომის კავკასიისა და პალესტინის ფრონტების სამხედრო ოპერაციები. ენვერის წარმატებების პროპორციულად

⁶⁸⁹ Кандидат исторических наук Шевченко Данил Викторович. Басмаческое движение. Политические процессы и вооруженная борьба в Средней Азии :1917-1931 гг. Тема диссертации и автореферата по ВАК 07.00.02. Научная библиотека диссертаций и авторефератов. Иркутск. 2006. <http://www.dissercat.com/content/basmacheskoe-dvizhenie-politicheskie-protsessy-i-vooruzhennaya-borba-v-srednei-azii-1917-1931#ixzz3D5RQ2FyR>.

სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მის რაზმში გადმოსულ მოხალისეთა რაოდენობაც, ძირითადად, წითელი არმიის რიგებიდან გამოქცეული დეზერტირი ჯარისკაცების ხარჯზე. იზრდებოდა ენვერის არმიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. სტრატეგიული ინიციატივაც მის ხელში იყო და საამიროს ტერიტორიის დიდ ნაწილსაც უკვე იგი აკონტროლებდა. ენვერ ფაშას წარმატებების პარალელურად იზრდებოდა ანტირუსული და ანტიბოლშევიკური სახალხო უკმაყოფილების მუხტი როგორც საამიროში, ასევე მთელს თურქესტანში.

ენვერ ფაშას წარმატებული ბრძოლის კიდევ ერთ ხელშემწყობ ფაქტორად ითვლებოდა ის, რომ ენვერს მხარი დაუჭირა ეროვნული ერთიანობის იატაკქვეშა ანტისაბჭოთა კომიტეტმა, რომელსაც ტაშკენტის უმაღლესი მუფტი, სადრედინ ხოჯა შარიფხოჯაევი ხელმძღვანელობდა, აგრეთვე გარიფ ქარიმოვა – „ახალგაზრდა ბუხარელების“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

1922 წლის გაზაფხული განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ბოლშევიკთათვის. წითელი არმიის შენაერთების პირადი შემაღვენლობა, რომელიც ძირითადად ეთნიკური რუსებისაგან შედგებოდა, გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. უწყლოდ დარჩენილი, აუტანელ სიციხეში მყოფი, მშიერ-მწყურვალნი და გადაღლილი რუსი ჯარისკაცები თავიანთ ზურგის რაიონებს იყვნენ მოწყვეტილნი, მათი უმეტესობა კი მაღარიითა და დიზენტერიით იტანჯებოდა. ყველაფერ ამას ის ყოვლისმომცველი შიშიც ემატებოდა, რაც მათ ყოფას ახლდა თან – შიში მოწინააღმდეგის მხრიდან მოულოდნელი ჩასაფრებისა და თავდასხმისა. ყოველივე ეს კი დაბლა სცემდა მათ მორალურ მდგრადობასა და საბრძოლო სულისკვეთებას. წითელი არმიის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. 1922 წლის 15 ივნისის „Times“ წერდა: „ამბოხებულთა გამოსვლები, რომელიც ენვერის სახელთან, მის გონებასთან და მისი განსწავლული შტაბის ახალგაზრდა თურქოფიცრებთან არის დაკავშირებული, სულ უფრო და უფრო მეტ ძალებს იკრებს... ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ენვერის ხელმძღვანელობით წინააღმდეგობის მოძრაობა უფრო ორგანიზებული და კოორდინირებული ხდება, ვიდრე ეს უწინ იყო. ბოლშევიკების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმდება...“⁶⁹⁰

ახლა ენვერი ისევ გამარჯვებული იყო, იგი ისევ არმიის სათავეში იდგა და ისევ სცემდა ბრძანებებს. პირად დაცვაშიც 180 რჩეული ავღანელი ჰყავდა დაყენებული და მისი რაზმიც წარმატებულად მოქმედებდა.⁶⁹¹ ამ მომენტისათვის ენვერი უკვე ყოფილი ბუხარის საამიროს თითქმის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდა, რაც დაახლოებით დღევანდელი ტაჯიკეთის ტერიტორიას წარმოადგენდა. იგი დამოუკიდებელი შუაზიური „თურანული“ სახელმწიფოს, თემურ ლენგის ახალი ისლამური სახელმწიფოს მეთაური გახდა – ფაქტია, რომ ენვერის მიერ დიადი იდეის ფრთაშესხმისაკენ გადადგმული მეორე ნაბიჯიც წარმატებული გამოდგა.

„დიდი თურანის“ შექმნისაკენ გადადგმულ პირველ წარმატებულ ნაბიჯად კი აზერბაიჯანსა და ბაქოში 1918 წლის სექტემბერში განვითარებული მოვლენები უნდა მივიჩნიოთ. მაშინ, 1918 წლის ზაფხულში განჯაში შესული ოსმალური არმიის შენაერთებისაგან დაიწყო ერთიანი თურქულ-აზერბაიჯანული, ე.წ. „კავკასიის ისლამის არმიის“ ჩამოყალიბება, რომლის ბირთვისაც ოსმალთა მე-3 არმიის მე-2 კორპუსის მე-5 დივიზია შეადგენდა. არმიას სათავეში ახალგაზრდა ენერგიული სარდალი, ენვერ ფაშას უმცროსი ძმა, ნური ფაშა ჩაუდგა, რომელიც ამისათვის სასწრაფოდ გამოიძახეს ტრიპოლიდან განჯაში. ამრიგად, „კავკასიის ისლამის არმია“ შედგა თურქთა 5000-იანი რეგულარული ჯარისა და 10000-12000 თათარი მოხალისისაგან, ე.წ. „ველური

⁶⁹⁰ Donna O’Kearney. Enver Pasha and the Basmachi Rebellion. An interdisciplinary journal for the study of history, philosophy, religion and classics. Vol. III, Issue I. 2008. Pg. 102. “Times”. Enver Pasha Enigma. 1922, 15 June. Pg. 9.

⁶⁹¹ РЦХИДНИ. ф. 122, оп. 1, д. 268, л. 77-79.

დივიზიის“ შემადგენლობიდან. 1918 წლის 15-16 სექტემბერს „ისლამის არმია“ ბრძოლებით შედის ბაქოში და ამზობს გენერალ ლაიონელ დანსტერვილის ბრიტანული საექსპედიციო კორპუსის მიერ ზურგგამაგრებულ რუსულ-სომხურ ესერულ-დაშნაკურ, ე.წ. „ცენტრალური კასპიისპირეთის დიქტატურას“... მალე „კავკასიის ისლამის არმიის“ ჩრდილო-კავკასიური კორპუსი გენერალ იუსუფ იზეთ ფაშას სარდლობით ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტანშიც შედის, სადაც პროთურქულ მმართველობას ამყარებს.⁶⁹² ამით კავკასიის ოსმალური ოკუპაცია სრულდება...

მაშინ, 1918 წლის ზაფხულში, აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარემ, ფათალი ხან ყოელმა⁶⁹³ განჯის მეჩეთში შეხვედრისას ასეთი სიტყვებით მიმართა ნური ფაშას: „აზერბაიჯანელებმა ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს თავის მიზანს, ასრულდა ყველა თურქის საუკუნო ოცნება, გაერთიანებულიყო დიდი სულთნის დროშის ქვეშ. ახლა კი, თურქეთის არმიას მოუთმენლად ელოდებიან კავკასიის მთიელები, ვოლგისპირეთის თათრები, იმიერკასპიისპირეთის სარტები, ცენტრალური აზიის უზბეკები და ყირგიზები, ხიველები და ბუხარელები“. თავისი გამოვლა კი, მან შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „გაუმარჯოს თურქეთის არმია! გაუმარჯოს ყველა თურქის გაერთიანებას!“ თუმცა, ამიერკავკასიის თათართა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, მამედ ამინ რასულ-ზადე ამ ფაქტს უარყოფს.

მაშინ, 1918 წლის შემოდგომაზე, „კავკასიის ისლამის არმიის“ ბაქოში შესვლის შემდეგ, ენვერ ფაშამ ტაშკენტში თავისი ემისარი იუსუფ ზია ბეგი გაგზავნა, რომლის ამოცანასაც შუა აზიაში პანთურქისტული იდეების პროპაგანდა წარმოადგენდა. ის რამდენჯერმე შეხვდა თურქესტანელ ნაციონალისტებს, რომლებმაც მიიღეს შეთავაზებული პანთურქისტული პროექტი „დიდი თურქული სასულთნოს“ შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაშიც ხუთი შუაზიური სახანო უნდა შესულიყო: ტაშკენტის, ბუხარის, კოკანდის, ხივისა და თურქმენეთის. იტიჰადისტთა მიერ მოაზრებული ეს სახელმწიფო ოსმალთა იმპერიის პროტექტორატის ქვეშ იქნებოდა, რაც „თურქესტანი თურქებისათვის“ ლოზუნგითა და მოსახლეობასთან საერთო ენისა და რელიგიის საფუძველზე განხორციელდებოდა. მაგრამ მაშინ, გასაგები მიზეზების გამო, ამ იდეების რეალიზება ვერ მოხერხდა. I მსოფლიო ომი დასრულდა, ოსმალთა იმპერია დამარცხდა და ენვერ ფაშასათვის ყველაფერი თავდაყირა დაადგა.

ახლა კი, 1922 წლის გაზაფხულისათვის, შუა აზიაში მიმდინარე მოვლენები ენვერის სასარგებლოდ ვითარდებოდა. მოვლენების განვითარების დინამიკაც იმაზე მიუთითებდა, რომ თითქოს „დიდი თურანის“ შექმნას დიდი სირთულეები უკვე აღარ

⁶⁹² არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გამომცემლობა არადანი. ISBN 999928-72-48-9. თბილისი. 2007. გვ. 117.

⁶⁹³ ფათალი ხან ყოელი (1875-1920) – რუსეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, პროფესიით იურისტი, რუსეთის სახელმწიფო დუმის მე-2 მოწვევის დეპუტატი. ამიერკავკასიის კომისარიატის სახალხო განათლების კომისარი, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. დაამთავრა ელიზავეტპოლის (განჯის) გიმნაზია, 1897 წელს – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა იურისტად სოხუმში, ქუთაისში, ზუგდიდში. 1917 წლის 27 მაისიდან 7 დეკემბრამდე აზერბაიჯანის დროებითი ეროვნული საბჭოს წევრი და აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, 1918 წლის ივნისიდან ინიშნება რესპუბლიკის პირველ პრემიერ-მინისტრად და ერთდროულად შინაგან საქმეთა მინისტრად. მთავრობასა და პარლამენტის (მეჯლისის) შემადგენლობასთან ერთად თბილისიდან გადადის განჯაში. 1918 წლის ოქტომბრიდან, „კავკასიის ისლამის არმიის“ ბაქოში შესვლის შემდეგ, აზერბაიჯანის პარლამენტი და მთავრობა გადადის ბაქოში, რომელიც ცხადდება აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქად. 1918-1920 წლებში იყო აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. მე-11 წითელი არმიის აზერბაიჯანში შესვლისა და მისი გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლის მაისიდან ტოვებს აზერბაიჯანს და გადმოდის საცხოვრებლად საქართველოში, თბილისში. 1920 წლის 19 ივნისს ერევნის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) მოკლულ იქნა სომეხი დაშნაკების არამ ერქანიანის და მისაკ გრიგორიანის მიერ. აღნიშნული ტერაქტი აღსრულებულ იქნა ოპერაცია „ნემეზისის“ ეგიდით. დაკრძალულია თბილისის მუსლიმთა სასაფლაოზე.

ელობებოდა წინ და თემურ ლენგის ახალი სახელმწიფოს შექმნაც უახლოესი მომავლის საკითხი იყო.

საერთო ჯამში, 1922 წლის გაზაფხულისათვის აღმოსავლეთ ბუხარელმა ბასმაჩებმა ენვერ ფაშას, დავლათ მინ ბეისა და იბრაჰიმ ბეგის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიღწიეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს აღმოსავლეთ ბუხარის თითქმის ყველა მსხვილი ქალაქი და დასახლებული პუნქტი. მალე ენვერ ფაშამ დასავლეთ ბუხარის ალებისთვისაც დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. დასავლეთ ბუხარაშიც მასობრივი სახალხო აჯანყება დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სამარყანდის ოლქში ბასმაჩური რაზმები იმდენად ძლიერნი და კარგად ორგანიზებულნი იყვნენ, რომ სისტემატურ თავდასხმებს აწყობდნენ საოლქო ცენტრზე. ბუხარელ და სამარყანდელ ბასმაჩებს ამ ეტაპისათვის რამდენიმე სამეთაურო ცენტრი გააჩნდათ, რომელთა მეშვეობითაც ერთობლივი საბრძოლო მოქმედებების კოორდინირება ხდებოდა. მართალია, ცალკეულ ბასმაჩურ რაზმებს შორის გარკვეული უთანხმოებები და დაპირისპირებებიც არსებობდა, მაგალითად, დავლათ მინ ბეისა და იბრაჰიმ ბეგს შორის, მაგრამ საბჭოელების წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი მაინც ენვერ ფაშასთან ერთად გამოდიოდნენ. ჯერჯერობით მაინც...

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი, რომლითაც ბუხარისა და სამარყანდის ბასმაჩური მოძრაობები ხასიათდებოდა, ის იყო, რომ ეს რაზმები ადგილობრივი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ, რადგან ბასმაჩები, როგორც წესი, არ ძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავს მდგომარეობას ყოველთვის და ყველგან არ ჰქონდა ადგილი. ჩვენი ეს დასკვნა განსაკუთრებით, ფერღანის ოლქს შეეხება. ასე მაგალითად, დანიელ შეჩენკო აღნიშნავს, რომ მცდარია დასავლურ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებული ის აზრი, თითქოს ბასმაჩურ მოძრაობას მთელს შუა აზიაში მშვიდობიანი მოსახლეობის საყოველთაო მხარდაჭერა ჰქონდა მოპოვებული. ასეთი მხარდაჭერით მხოლოდ ბუხარის რესპუბლიკისა და სამარყანდის ოლქის საზღვრებში მოქმედი ბასმაჩური რაზმები სარგებლობდნენ. ამის საწინააღმდეგოდ, მაგალითად, ფერღანელ ბასმაჩთა მოძრაობა, რომელიც თავიდან საბჭოელთა მიერ დაწყებული ტერორის საწინააღმდეგო მოძრაობად ჩაისახა, მალე სულ სხვა მიმართულებით განვითარდა. ფერღანელი ბასმაჩების, ზოგადად ბასმაჩური მოძრაობის ამ პიონერთა აქტივობა თანდათან ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯაში გადაიზარდა, რის გამოც უკვე 1922 წლისთვის ისინი სრული გახრწნისა და მორალური დეგრადაციის სტადიაში შევიდნენ.⁶⁹⁴

1922 წლის გაზაფხულისათვის ენვერის პოზიციები იმდენად გაძლიერდა, რომ მაისის თვეში მოსკოვში გაგზავნილ წერილში იგი საკუთარ თავს ბუხარის, ხივისა და თურქესტანის ჯარების უმაღლეს მთავარსარდლად წარმოადგენდა. ენვერ ფაშამ აქაც არ უღალატა საკუთარ თავს და უკვე ღია ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა შუა აზიიდან წითელი არმიის შენაერთების გაყვანა და მისი რაზმების თურქესტანის რეგულარულ ჯარებად ცნობა. შუჰნაზ ილმაზის მიხედვით, ენვერმა შუა აზიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის 14-დღიანი ულტიმატუმის წერილი კრემლს „თავისი მეგობრის“, ნარიმან ნარიმანოვის⁶⁹⁵ ხელით გაუგზავნა.⁶⁹⁶ დასაშვებია, რომ ენვერსა და კრემლს შორის

⁶⁹⁴ Кандидат исторических наук Шевченко Данил Викторович. Басмаческое движение. Политические процессы и вооруженная борьба в Средней Азии :1917-1931 гг. Тема диссертации и автореферата по ВАК 07.00.02. Научная библиотека диссертаций и авторефератов. Иркутск. 2006. <http://www.dissercat.com/content/basmacheskoe-dvizhenie-politicheskie-protsessy-i-vooruzhennaya-borba-v-srednei-azii-1917-1931#ixzz3D5RQ2FyR>.

⁶⁹⁵ ნარიმან ქერბალან ნაჯაფ ოღლი ნარიმანოვი (1870-1925) – თბილისში დაბადებული აზერბაიჯანელი მწერალი, გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ბოლშევიკი, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი 1920-1921 წლებში და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე 1920-1922 წლებში. 1885 წელს დაამთავრა თბილისის მუსლიმთა სკოლა, 1890 წელს – ამიერკავკასიის გორის სამასწავლებლო სემინარია, ხოლო 1902 წელს –

ერთ-ერთ საკომუნიკაციო არხს მართლაც ნარიმან ნარიმანოვი წარმოადგენდა, რომელთანაც ენვერ ფაშას ახლო პირადი ნაცნობობა ჰქონდა. ამისათვის ბაქოში გამართული „აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობის“ გახსენებაც კმარა. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული სხვა მასალებით აღნიშნული ინფორმაცია არ დასტურდება. და ეს არცაა გასაკვირი. დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-იტალიანისტური ურთიერთობებისა და მათი თანმდევი მოვლენების შესახებ არსებული საარქივო მასალებისა და დოკუმენტების დიდი ნაწილი საბჭოთა და რუსული შესაბამისი უწყებების მიერ ისევ გასაიდუმლოებული და კვლევისათვის დახურულია, შესაბამისად, მკითხველთა ფართო წრისათვის იგი ისევ მიუწვდომელია.

იმ დროს მოსკოვში მცხოვრები ინდოელი კომუნისტი, ბარაკატულა, ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა ენვერ ფაშას, როგორც საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკოსს. ბარაკატულა თვლიდა, რომ საბჭოელების მხრიდან ენვერ ფაშასთან ურთიერთობების გაფუჭება არაფრით არ შეიძლებოდა. იგი ამბობდა, რომ ენვერის სახელი „მომაჯადოებლად მოქმედებს მილიონობით აღმოსავლელ ხალხზე“ და თუ მოსკოვი ამ მოღვაწის მტერი გახდებოდა, იგი „საფრთხეში ჩაიგდებდა თავს იმით, რომ დაკარგავდა თავისი პრესტიჟსა და პოპულარობას მთელს მუსლიმანურ სამყაროში“. ბარაკატულა ურჩევდა მოსკოვს, მიეღწია ენვერთან კომპრომისისათვის და მიეცა მისთვის საშუალება, განეხორციელებინა თავისი სანუკვარი ოცნების ასრულება – „ინდოეთის გათავისუფლება ბრიტანული ჩაგვრისაგან“. ამავე დროს, იგი დარწმუნებული იყო, რომ „ისეთი საკითხები, როგორცაა ფერღანა, ბუხარა და თურქესტანიც კი, წვრილმანს წარმოადგენდა ასეთი მასშტაბური და გენიალური პიროვნებისათვის... მას შეუძლია ინდოეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლას ჩაუდგეს სათავეში“, – ამბობდა ბარაკატულა. თავის დასკვნებში იგი იმასაც უსვამდა ხაზს, რომ ანალოგიური მოსაზრებებისა იყო ყველა, „ვინც კარგად იცნობდა ენვერს“.⁶⁹⁷

მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი საბჭოთა პარტიული და სამხედრო ხელმძღვანელიც, ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, თანხმდებოდა ენვერ ფაშას ულტიმატიური ხასიათის პუნქტების მიღებას. თუმცა უმეტესობამ მკაცრად მოითხოვა ენვერ ფაშას მიმართ მტკიცე პოზიციების დაკავება და მის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების გატარება. საერთო ჯამში, დიდი განსჯის შემდეგ, ენვერის წინადადება უარყვეს. ბოლშევიკებმა კი ინტენსიურად დაიწყეს სტრატეგიული მზადება ენვერის არმიისა და საერთოდ, ბასმაჩური მოძრაობის ლიკვიდაციისათვის.

შუჰნაზ ილმაზი წერს, რომ 1922 წლის გაზაფხულზე, ენვერის სამხედრო წარმატებების შემდეგ თითქოს საბჭოელებმა ინიციატივა გამოიჩინეს და ენვერს, თავის

ნოვოროსისისკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1905 წლიდან პოლიტიკაშია, აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიული პარტია „გუშეტის“ წევრი, მონაწილეობს ამიერკავკასიაში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებში. აქტიურად ეწევა სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას. 1908 წელს აპატიმრებენ და სვაშენ მეტეხის ციხეში, შემდეგ 5 წლით ასახლებენ ასტრახანის მხარეში. 1916 წლის დეკემბერში ირჩევენ „სახალხო სახლის“, ბაქოს ბოლშევიკთა ორგანიზაციის ლეგალური ცენტრის მმართველობაში. 1918 წლის მარტში არის ბაქოს რევოლუციური დაცვის კომიტეტის წევრი. 1918 წლის შემოდგომიდან, ბაქოს ოსმალური ოკუპაციის შემდეგ ტოვებს ქალაქს და გადადის მოსკოვში. 1919 წლიდან ლენინის ინიციატივით ინიშნება საგარეო საქმეთა სახალხო კომისიარიატის ახლო აღმოსავლეთის განყოფილების გამგედ. აზერბაიჯანის ბოლშევიკური ოკუპაციის ერთ-ერთი ინიციატორი. 1920 წლის აპრილში ბაქოს ბოლშევიკური ოკუპაციის დროს იყო აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, შემდგომ – აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი და მთავრობის თავმჯდომარე. 1922 წლის 30 დეკემბერს ინიშნება საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. ამავე დროს, 1924 წლიდან საზოგადოებრივ მეცნიერებებში კითხულობს ლექციებს აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში. გარდაიცვალა მოსკოვში, 1925 წლის 19 მარტს, გაურკვეველ ვითარებაში. ოფიციალური ვერსიით გარდაიცვალა გულის უკმარისობის გამო.

⁶⁹⁶ Şuhnaz Yılmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 58.

⁶⁹⁷ В. М. Гиленсен. Сотрудничество красной Москвы с Энвер-пашой и Джемаль-пашой. „Восток“. 1996. №3. Стр. 45-63. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

„ყოფილ ამხანაგს“, ზავის დადება და მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ავტორს არ მოაქვს. პირდაპირ ვიტყვით, ძალიან საეჭვოა, რომ ეს ასე ყოფილიყო, რადგან რუსები, მათ შორის ბოლშევიკები, როგორც წესი, სუსტ მოწინააღმდეგესთან არასდროს არ ახდენდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებების ინიცირებას. ისინი მხოლოდ ულტიმატუმის ან იარაღის ენით ლაპარაკობენ ოპონენტებთან. დასაშვებია, რომ ბოლშევიკებმა მართლაც მოინდომეს ენვერთან ე.წ. „მოლაპარაკებების“ დაწყება, მაგრამ დღესავით ნათელია, რომ ეს ე.წ. „შეთავაზება“ არა მშვიდობის დასამყარებლად იყო ინიცირებული, არამედ ძალების მოკრებისა და მათი შემდგომი გადაჯგუფების მიზნით. ისტორიული რეალობაა, რომ რუსეთთან მიმართებაში მსგავსი პროცესები ყოველთვის ამ სქემით მიმდინარეობდა წარსულშიც და სამწუხაროდ, ასე მიმდინარეობს დღესაც. რუსები, არა აქვს მნიშვნელობა იმას, ბოლშევიკებზეა აქ საუბარი თუ ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მიმდინარეობაზე, დაწყებულ ე.წ. „მოლაპარაკებებს“ შემდგომი აგრესიის ესკალაციის წინაპირობად განიხილავდნენ ყოველთვის. ისინი ზუსტად მაშინ არიან ყველაზე საშიშნი, როცა სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებაზე ალაპარაკდებიან. ასე იყო წარსულშიც, და სამწუხაროდ, ასეა ახლაც. ასეთია ისტორიული რეალობა...

ბუხარაში მიმდინარე ამბები აღმოსავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით, ავღანეთისა და ინდოეთის პრესის მუდმივი ყურადღების ქვეშ მოექცა. მიუხედავად ამისა, ენვერ ფაშას ამ პერიოდის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ცნობები ერთობ მწირი, რეალობისგან შორს მდგარი და ურთიერთგამომრიცხავი იყო. აქაც მითები სჭარბობდნენ რეალობას. ასე მაგალითად, 1922 წლის დასაწყისში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს ენვერი დააპატიმრეს და იგი „ანგორაში იყო დეპორტირებული, რომლის მთავრობის ჩამოგდებაც ჰქონდა მას ჩაფიქრებული“. ოდნავ მოგვიანებით, გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ენვერ ფაშა ბუხარაში იმყოფებოდა, პირიქით, გაჩნდა ცნობები მისი თავბრუდამხვევი წარმატებების შესახებ. 25 მაისს ინდური გაზეთი „ზემინდარი“, პარიზიდან მოწოდებულ ცნობებზე დაყრდნობით იტყობინებოდა, რომ თავისი გამარჯვებების შემდეგ „ენვერმა ხელი მოაწერა ბოლშევიკებთან 25-პუნქტიან ხელშეკრულებას... საბჭოთა მთავრობამ სცნო რუსული თურქესტანის დამოუკიდებლობა... ეს ხელშეკრულება თურქესტანში ომის დასრულებას ნიშნავს. მოცემულ მომენტში ენვერ ფაშა ყოველგვარ ზომებს იღებს, რომ გააუმჯობესოს თურქესტანის სამხედრო და ეკონომიკური მდგომარეობა“.⁶⁹⁸

საერთო ჯამში, თითქმის ცხრა თვის განმავლობაში აწარმოებდა ენვერ ფაშა წარმატებულ საბრძოლო მოქმედებებს წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ აქ, შუა აზიაში, ბასმაჩური რაზმების მეთაურის როლში, იგი ისევ საკუთარ სტიქიაში აღმოჩნდა. ისიც ფაქტია, რომ ენვერ ფაშა არასდროს არ გამოირჩეოდა დიდი სტრატეგოსის სამხედრო თვისებებით რეგულარული საომარი მოქმედებების ჩასატარებლად, რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენდა მის მიერ წარუმატებლად მართული საომარი ოპერაციები ტრიპოლიში და, განსაკუთრებით, კავკასიაში, სადაც ოსმალთა მე-3 არმიამ გამანადგურებელი მარცხი იწვნია რუსეთის კავკასიის არმიისაგან 1914-1915 წლების ზამთარში ჩატარებულ სარიყამიშის ოპერაციაში. მაგრამ ახლა, სადაც მან ძირითადად პარტიზანული ბრძოლის მეთოდები აირჩია ბრძოლის საწარმოებლად, აქ მას ბადალი არ ჰყავდა. ბასმაჩთა მიერ მოწყობილი ჩასაფრებები, მოულოდნელი საკავალერიო რეიდები და სწრაფი იერიშები წითელი არმიის ნაწილებისათვის უმძიმესი შედეგებით მთავრდებოდა.

⁶⁹⁸ В. М. Гиленсен. Сотрудничество красной Москвы с Энвер-пашой и Джемаль-пашой. „Восток“. 1996. №3. Стр. 45-63. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid= 12&tid=10&block=90>.

მიუხედავად იმისა, რომ თურქესტანში მოქმედი 60 ათასი ბასმაჩიდან ენვერი მხოლოდ 20 ათასს ხელმძღვანელობდა, იგი მაინც წარმატებულად მოქმედებდა წითელი არმიის წინააღმდეგ, – აღნიშნავს ცნობილი უზბეკი ისტორიკოსი და აღმოსავლეთ-მცოდნე, სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, თურქესტანისა და ცენტრალური აზიის პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი ბაიმირზა ჰაიატ მაჰმუდმირზა-ოღლი.⁶⁹⁹

და მაინც, როგორც ეს ყოველთვის ხდება, ენვერი ვერ ითვალისწინებდა რეგიონში შექმნილ რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას, იგი ისევ რომანტიკული ავანტიურისზმით შთაგონებულ იმ იდეალისტად რჩებოდა, რომელიც ვარდისფერი სათვალეებით უყურებდა სამყაროს. ზუსტად ამ ეპითეტებით მოიხსენიებდა გაზეთი “The New York Times“ ენვერ ფაშას, როდესაც წერდა, რომ იგი „ერთ-ერთი ყველაზე უფრო რომანტიკული და ავანტიურისტული ფიგურა იყო მთელს ისლამურ სამყაროში“.⁷⁰⁰ ეს მდგომარეობა კი ცალსახად ენვერის საწინააღმდეგოდ მუშაობდა. რეალურ სივრცესა და გარემოში რომატიზმის ადგილი ნამდვილად არ არის, რეალობა გაცილებით უფრო მკაცრია და იგი ყოველგვარ რომანტიზმს უარყოფს. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ აზიაში ბოლშევიკებთან დაპირისპირებულ ერთადერთ რეალურ პოლიტიკურ და სამხედრო ძალას ბასმაჩური მოძრაობა წარმოადგენდა და ცალკეულ ბასმაჩურ რაზმებში თითქოს ამ ბრძოლისათვის საკმარისი მოტივაციაც არსებობდა, აქაც არ იყო ყველაფერი რიგზე. ამ რეალობის დადგომას მთელმა რიგმა სუბიექტურმა და ობიექტურმა მიზეზებმა შეუწყვეს ხელი, რაზეც ქვემოთ გვექნება უფრო არსებითი საუბარი. შედეგი კი, იყო ის, რომ საერთო ჯამში, ენვერ ფაშა და მისი ბრძოლა განწირული აღმოჩნდა...

§6.6. ლეგენდის დასასრული

ბასმაჩთა მიერ მიღწეული გარკვეული ტაქტიკური წარმატებების ფონზე, 1921 წლის ბოლოდან ბოლშევიკებმა თავიანთი მოქმედებების საერთო სტრატეგია შეცვალეს. აქ სამხედრო სტრატეგიებსა და საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკაზე არაა საუბარი. აქ ანტიბასმაჩური მოქმედებების უფრო ფართო სპექტრთან გვაქვს საქმე. შექმნილ მდგომარეობაზე რეაგირების მიზნით, ბოლშევიკთა მიერ აქცენტები გარკვეულ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მომენტებზე გაკეთდა, პირველ რიგში, მშვიდობიან მოსახლეობასთან მიმართებაში. სამხედრო ხელოვნებაში ანბანურ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული შემდეგი თეზა – „ნებისმიერი სახის პარტიზანული მოძრაობის დასუსტებისა და დაქსაქსვისათვის საჭიროა მას ძირითადი საყრდენი ძალის – მოსახლეობის

⁶⁹⁹ Hayit, Baymirza. Basmacılar: Türkistan Milli Mücadele Tarihi. „Diyanet Vakfı Yayınları, Istanbul. 1997.

⁷⁰⁰ The New York Times. Ener Pasha slain by Soviet forces. Turk's War Leader is Left Dead on the Field After Desperate Fight in Bokhara. August 18, 1922.

მხარდაჭერა მოუვსპოთ“. სწორედ ამაში მდგომარეობს მათ ძე-ღუნის „თევზისა და წყლის“ კონცეფცია, რომლის ძირითად არსსაც ცოტა ქვემოთ განვიხილავთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ბასმაჩური მოძრაობის დასუსტებისათვის შემუშავებული კიდევ ერთი სქემა. საბჭოელებმა ბასმაჩური მოძრაობის მორალური გახრწნის კარგად მოფიქრებული გეგმის განხორციელება დაიწყეს. პირველ რიგში, როგორც ზემოთ ვახსენეთ, შალვა ელიავასეული „დათობის“ პოლიტიკის შესაბამისად, შეძცირდა ის მძიმე წნეხი, რასაც უბრალო ხალხი განიცდიდა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. 1921 წლის 2 დეკემბერს გამოიცა დეკრეტი შარიათის კანონებისა და ადათ-წესების აღდგენის შესახებ. ისევ იხსნებოდა მეჩეთები და მედრესეები, აიკრძალა მეჩეთების ქონების ექსპროპრიაცია, დაიშვა კერძო ვაჭრობა, გლეხებს დაურიგდათ სათესლე მასალა, გაიცა უპროცენტო საბანკო კრედიტები. ამავე დროს, დაიწყო ინტენსიური მუშაობა სხვადასხვა ბასმაჩური რაზმების ერთმანეთისაგან გათიშვისა და დაპირისპირებისათვის, თუნდაც ეროვნული ნიშნით. შეინიშნებოდა ტრაიბალიზმის ელემენტების ინსპირირება-წახალისების შემთხვევებიც. ამ მუშაობაში სრულად ჩაერთო საბჭოური იდეოლოგიური მანქანა – არმიის, შინსახკომისა და უშიშროების ორგანოთა სპეცსამსახურები, აგენტურა და დეზინფორმაციული აპარატი. იწვებოდა მეჩეთები და ვრცელდებოდა ხმები, რომ ეს საქმე ყირგიზი ბასმაჩების ნამოქმედარი იყო. იპარავდნენ ყირგიზთა საქონლის ჯოგებს და ავრცელებდნენ ხმებს, რომ ეს უზბეკი ბასმაჩების ჩადენილი იყო.⁷⁰¹

დაახლოებით იმავე სქემით მიმდინარეობდა თავად ბასმაჩური რაზმების მეთაურების, ყურბაშების ერთმანეთთან და სხვა პოლიტიკურ ძალებთან, მაგალითად, ჯადიდებთან დაპირისპირებების პროვოცირებაც.

საერთოდ, ყველა ყურბაშს თავისი სამოქმედო რაიონი ჰქონდა, სადაც იგი მდგომარეობის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს. ამავე დროს, ყველა ყურბაშს ჰქონდა უფლება, თავისი რაზმით შესულიყო მეზობელი ყურბაშის ტერიტორიაზე და გადასულიყო სხვა რაიონში, მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება ტერიტორიის გამგებელ ყურბაშთან შეთანხმებისა და მისი ნებართვის გარეშე ეწარმოებინა ამ რაიონში საბრძოლო მოქმედებები. აქ უკვე გასაგებია, თუ რამდენად მოწყვლად სისტემასთან გვაქვს საქმე. ისიც გასაგებია, თუ რამდენად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა არსებული სიტუაცია ყურბაშებს შორის სხვადასხვა ტიპის დაპირისპირებების ინსპირირებისათვის. ამ საქმეში ბოლშევიკებმა ნამდვილი გამომგონებლობა და ნიჭი გამოავლინეს. საბჭოელები წვაგდნენ სახლებს, იტაცებდნენ ხალხს, კლავდნენ სასულიერო პირებს, ძარცვავდნენ მეჩეთებს და იქ ლენინის პორტრეტებს კიდებდნენ. შემდეგ კი აგენტები ავრცელებდნენ ხმებს იმის შესახებ, რომ ყველაფერი ეს თითქოს რეფორმისტი ჯადიდების ნამოქმედარი იყო. იგივე სქემას მიმართავდნენ საბჭოელები ნაციონალური შუღლის გასაღვივებლადაც.

საერთო ჯამში, მწვავედებოდა როგორც მშვიდობიან მოსახლეობასა და ბასმაჩებს შორის, ასევე სხვადასხვა ბასმაჩურ რაზმებს შორის არსებული დაპირისპირებები, რასაც საომარი მოქმედებების ესკალაცია მოჰყვებოდა შედეგად. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ბოლშევიკები დიდი წარმატებით ახერხებდნენ თვით ბასმაჩური რაზმების შიგნით არსებული უთანხმოებებისა და დაპირისპირებების პროვოცირებასაც. ასეთმა მოქმედებებმა თავისი ნაყოფი გამოიღო. ასე მაგალითად, 1922 წლის გაზაფხულიდან ფერღანელ ბასმაჩთა მეთაურმა, მუიჰდინ ბეგმა, რომელიც ეროვნებით ყირგიზი იყო, თავისი რაზმის დაკომპლექტება მხოლოდ ყირგიზებით დაიწყო, ხოლო მისი მოადგილე, ისრაფილი,

⁷⁰¹ Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond. Ru/view.aspx?id=531499>.

ეროვნებით უზბეკი, უპირატესობას უზბეკებს ანიჭებდა.⁷⁰² ასე რომ ბასმაჩების სუსტი წერტილი, გარდა იმისა, რომ ისინი გავლენისა და ძალაუფლებისათვის ებრძოდნენ ერთმანეთს, აგრეთვე იმ ეთნიკური დაპირისპირების წარმოშობაშიც მდგომარეობდა, რაც თურქმენებსა და უზბეკებს, ყირგიზებსა და უზბეკებს შორის არსებობდა.

კრემლის იდეოლოგიური მანქანა კარგად მუშაობდა და ბოლშევიკებიც თავის მიზანს აღწევდნენ – ბასმაჩთა ერთიანობა არა მარტო ცალკეულ რაზმებს შორის, არამედ თვით რაზმებს შიგნითაც დარღვეული იყო. საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა – მართვის ერთიანობადაკარგული არც ერთი სამხედრო ორგანიზაცია ბრძოლისუნარიანი აღარ არის...

ენვერ ფაშასა და ადგილობრივ ბასმაჩთა რაზმების მეთაურებს შორის ადრე არსებული დაპირისპირებები შემდგომშიც შენარჩუნდა. განსაკუთრებულად დაძაბული მდგომარეობა ენვერ ფაშასა და იბრაჰიმ ბეგს შორის არსებობდა. ამ ფაქტს იმ წერილის შინაარსიც ადასტურებს, რომელიც ამირა საიდ აღიმ ხანმა გაუგზავნა იბრაჰიმ ბეგს 1922 წლის მაისში. ამირა წერს: „ჩვენი რელიგიის სახელით ვალდებული ხართ, სოლიდარულნი იყოთ უმაღლესი მთავარსარდლის, ენვერ ფაშას მიმართ და ყველაფერი მასთან შეთანხმებით გააკეთოთ, რათა მთავარსარდალი თქვენით კმაყოფილი დარჩეს“. ამირა იბრაჰიმ ბეგს შემდეგნაირად მოიხსენიებს – „მოლა იბრაჰიმ ბეი, გისარის მთავარსარდალი“. ანალოგიური შინაარსის წერილები დაეგზავნათ ბასმაჩთა სხვა ლიდერებსაც. თვით ენვერ ფაშას კი ამირა სწერდა: „გთხოვთ, შექმნათ შესაბამისი ორგანიზებულობა და თანხმობა იმ ძალებში, რომლებიც თქვენთან თანამშრომლობენ და ამით გამახაროთ“.⁷⁰³

მიუხედავად მიღწეული დიდი წარმატებებისა, ენვერის ბანაკშიც არ იყო ყველაფერი ბოლომდე რიგზე. საუბარი ბასმაჩური რაზმების ბელადთა ერთიანობისა და სუბორდინაციის საკითხს ეხება. არავინ არ იყო დარწმუნებული მეზობელი რაზმის ერთგულებასა და თავდადებაში. ენვერისა და სხვა პარტიზანული რაზმების მეთაურებისათვის ერთიანობის შენარჩუნება გადაულახავ პრობლემად იქცა. ბოლშევიკთა დეზინფორმაციული აპარატი და აგუნტურული ქსელი კარგად მუშაობდა. არავინ არ იყო იმაში დარწმუნებული, რომ მას მძიმე მომენტში არ გასცემდა მეზობელი ან ქვეშევრდომი. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ზემოთ, ბასმაჩურ მოძრაობაში ჩართვის პირველივე დღიდან ენვერის დაუძინებელ მოშურნედ და მტრად ლოკალურ უზბეკ ბასმაჩთა ჩვენთვის კარგად ცნობილი ლიდერი, ცალხელა იბრაჰიმ ბეგი შეიქმნა. იგი ძალიან ამბიციური პიროვნება იყო, ბასმაჩურ რაზმებს მეთაურობდა სამარყანდსა და ყორშში და თურქესტანის ბასმაჩური მოძრაობის საერთო ლიდერობაზეც აცხადებდა პრეტენზიებს. ენვერსა და იბრაჰიმ ბეგს შორის ჯერ პიროვნული შეუთავსებლობა გაჩნდა, რაც მალე გადაიზარდა პირად ზიზლსა და მტრობაში. იბრაჰიმ ბეგს ყველაზე მეტად ის მდგომარეობა აცოფებდა, რომ ამირა საიდ აღიმ ხანმა ენვერ ფაშა თურქესტანის ეროვნული ძალების უმაღლეს მთავარსარდალად დანიშნა. ამ თანამდებობაზე იგი, პირველ რიგში, საკუთარ თავს მოიაზრებდა, ენვერი კი, გარედან მოსული კაცი იყო.

1922 წლის ივნისში ენვერ ფაშამ ქაბულში მყოფ ბუხარის ამირას, საიდ აღიმ ხანს მისწერა წერილი, სადაც იბრაჰიმ ბეგს მის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზებასა და გამცემლობაში დასდო ბრალი. წერილის ბოლოს კი, მეტად ოპტიმისტურად და კონფიდენციალურად დაამატა: „რუსები მალე ჩვენი მთავარი მტრები აღარ

⁷⁰² Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond. Ru/view.aspx?id=531499>.

⁷⁰³ Ю. Гановский. Доктор исторических наук. Энвер-паша среди басмачей. Азия и Африка сегодня. №5, 1994. С.59-61. <http://voencomuezd.livejournal. com/662145.html>.

იქნებიან!“... მაგრამ ენვერ ფაშა შეცდა, მან ძალიან ნაადრევი დასკვნები გამოიტანა. მისმა უდიდებულესობა ისტორიამ სულ სხვანაირად განსაჯა და მოვლენების შემდგომმა განვითარებამ მალე საწინააღმდეგო აჩვენა. ენვერის ოპტიმისტურ პროგნოზებს გამართლება არ ეწერა...

ზემოჩამოთვლილთან ერთად, ენვერის დიდი პრობლემა იმაშიც მდგომარეობდა, რომ, ყველა ტიტულის მიკერებით, რაც კი შესაძლებელი იყო, მან ბუხარის ექსამირას, საიდ ალიმ ხანს დააღვა მტკივნეულ ადგილზე ფეხი. ზუსტად აღნიშნავს დევიდ ფრომკინი, რომ ენვერი თავის თავზე შეყვარებული თვითკმაყოფილი კაცი იყო, რომელსაც უყვარდა ყოველგვარი უნიფორმები, მედლები და ტიტულები. ოფიციალურ დოკუმენტებზე შტამპის დასაღებად ენვერ ფაშამ ოქროს ბეჭედი დაამზადებინა. მალე კი თავი თურქესტანის ამირადაც გამოაცხადა, რაც ნამდვილად არ უწყობდა ხელს ამირასთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას.⁷⁰⁴

ამირამ დაინახა, რომ სულ მცირე წარმატების მიღწევის შემთხვევაშიც კი ენვერი პირველობის პაღმას არავის აღარ დაუთმოდა. მეგალომანიით შეპყრობილი „ახალგაზრდა თურქთა“ ლიდერი დიდი საქმეების კეთებისათვის იყო მოწოდებული, ეს კი, მოცემულ მომენტში, ნამდვილად არ ადგებოდა ენვერის საქმეს. შექმნილმა რეალობამ ბუხარის ექსამირას ენვერისაგან დისტანცირების პროცესები დააჩქარა. ავღანეთიდან ნელ-ნელა შეწყდა იარაღის, აღჭურვილობის, საბრძოლო მასალებისა და ცოცხალი ძალის მოწოდება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ შეწყდა ენვერ ფაშას იდეოლოგიური მხარდაჭერაც. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ენვერმა ისიც კი სცადა, რომ თუნდაც პრიმიტიულ ფორმებში მაინც აეწყო ვაზნების წარმოების საქმე, მაგრამ ამ ჩანაფიქრიდან არაფერი გამოვიდა. ფაქტია, რომ შესაბამისი ტექნოლოგიებისა და სამრეწველო წარმოების ტექნიკური პირობების დაცვა ვერ ხერხდებოდა. კუსტარულ პირობებში ჩამოსხმულ ვაზნებს, რომლებიც დიდი რაოდენობით ტყვიას შეიცავდა, რამდენიმე გასროლის შემდეგ მწყობრიდან გამოჰყავდა შაშხანები...⁷⁰⁵

მოკლედ, ენვერს თანდათან ძალები ელეოდა, მისი რაზმი დღითიდღე დნებოდა. ბოლშევიკებისა კი პირიქით – თანდათან ძლიერდებოდა. ენვერის მცირე წარმატებებს მალე მძიმე მარცხების სერია მოჰყვა...

ბუხარაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, რესპუბლიკის მთავრობამ დანმარებისათვის თურქესტანის ფრონტის სამხედრო-რეკოლუციურ საბჭოს მიმართა. არსებულ მდგომარეობაზე ქმედითი რეაგირების მიზნით, რსფსრ სამხედრო რეკოლუციური საბჭოს თავმჯდომარისა და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის, ლევ ტროცკის ბრძანებით, 1922 წლის აპრილის დასაწყისში ბუხარის ფრონტი შეიქმნა. ხოლო 1922 წლის 20 აპრილს მთელს შუა აზიაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. ბუხარაში გაიგზავნენ ცნობილი პარტიული და სამხედრო მოღვაწეები: რსფსრ მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალი სერგეი კამენევი და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თურქესტანის ჩეკას თავმჯდომარე, ცნობილი ბოლშევიკი-ტერორისტი იაკობ პეტერსი.⁷⁰⁶

⁷⁰⁴ Fromkin, David (2001). A peace to end all peace: the fall of the Ottoman Empire and the creation of the modern Middle East. New York: H. Holt. pp. 119. ISBN 0-8050-6884-8. <http://books.google.com/books?id=5Vh8r6M8QQMC>.http://military.wikia.com/wiki/Enver_Pasha.

⁷⁰⁵ Şuhnaz Yılmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 59. Glenda Fraser. “Enver Pasha’s Bid for Turkestan, 1920-1922”. Canadian Journal of History. Vol. 22 (1988). Pg. 207.

⁷⁰⁶ იაკობ ხრისტოფოროვიჩ პეტერსი (1886-1938) – ლატვიური წარმომავლობის ცნობილი რუსი პროფესიონალი რეკოლუციონერი, ბოლშევიკი და ტერორისტი, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის БЧК-ის ერთ-ერთი შემქმნელი და ხელმძღვანელი. 1904 წლიდან ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1905-1907 წლების რეკოლუციის პერიოდში ეწეოდა აქტიურ საავიტაციო და ტერორისტულ საქმიანობას. 1909 წლიდან მიდის ემიგრაციაში ჯერ ჰამბურგში, შემდეგ კი გადადის ლონდონში. 1910 წელს პოლიციელის

აპრილის თვეშივე შეიქმნა ბუხარის საჯარისო დაჯგუფება, რომელშიც სხვადასხვა წითელი შენაერთები და ნაწილები შევიდნენ. კერძოდ, წითელი არმიის თურქესტანის 1-ლი და მე-2 ცალკეული საკავალერიო ბრიგადები, თურქესტანის მე-3 მსროლელი დივიზიის ნაწილები, მე-11 საკავალერიო დივიზია და მე-8 საკავალერიო ბრიგადა. ბუხარის დაჯგუფების სარდლად წითელი მეთაური ნიკოლაი კაკურინი დაინიშნა, რომელსაც მანამდე რუსეთ-პოლონეთის ომში მე-3 არმიის სარდლის, ზოლო მოგვიანებით, ბოლშევიკთა დასავლეთის ფრონტის სარდლის, მიხაილ ტუხჩაჩევსკის თანაშემწის თანამდებობები ეკავა. ბოლშევიკებმა დაჯგუფების ძირითად ძალებს სამარყანდის რაიონში მოუყარეს თავი.

სერგეი კამენევი მისთვის ჩვეული სტილით შეუდგა ოპერაციების დაგეგმვას. მეფის არმიაში იგი სანიმუშო ოფიცრად ითვლებოდა და აქაც, წითელი არმიის რიგებში, უმაღლეს სამეთაურო თანამდებობაზე ყოფნისას, ისევე ერთგულად ემსახურებოდა საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც თავის დროზე – მეფისას. კამენევის შესახებ ამბობდნენ, რომ იგი ნამდვილი პროფესიონალი სამხედრო იყო, ვისთვისაც სულერთი იყო, თუ ვის სამსახურში იდგებოდა და ვის წინააღმდეგ იბრძოლებდა – წითლების თუ თეთრების მხარეს, ჩინელების, ზულუსების, პაპუასებისა თუ მარების წინააღმდეგ. საქმეს სკრუპულოზური სიზუსტით ასრულებდა, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისა და მართვის პროცესს კი ისეთივე გულისყურით ეკიდებოდა, როგორც ჭადრაკის თამაშს, რითაც სრულად ახდენდა პოლიტიკური ასპექტიდან საბრძოლო მოქმედებების აბსტრაგირებას. რა თქმა უნდა, როგორც მუშურ-გლეხური წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდალი, თავის გამოსვლებში გვერდს ვერ უვლიდა კომუნისტურ ფრაზეოლოგიას, მაგრამ ეს მომენტი მისთვის ყოველთვის მეორე და მესამეხარისხოვან საკითხს წარმოადგენდა. კამენევი სწორად აფასებდა სიტუაციას და თვლიდა, რომ ბასმაჩთა წინააღმდეგ ომის წარმატებულად დასრულება იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რამდენად მოხერხდებოდა ბასმაჩებისათვის სურსათისა და იარაღის მიწოდების წყაროებისა და არხების ლიკვიდაცია, უკიდურეს შემთხვევაში – ბლოკირება მაინც. სწორედ ამიტომ თვლიდა იგი, რომ უპირველეს ყოვლისა, მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო იყო საზღვარგარეთიდან ბასმაჩთა მომარაგების წყაროების გამოვლენა, იარაღისა და საბრძოლო მასალების მიწოდების მარშრუტების შეზღუდვა და სხვა საშუალებების ლიკვიდაცია. „უმჯობესია, საზღვარგარეთიდან რეიდებისათვის შემოვიდნენ ბანდები, ვიდრე იარაღით დატვირთული საზიდრები!“ – ხშირად იმეორებდა იგი.⁷⁰⁷ აქ კი ნამდვილად არ ცდებოდა წითელი არმიის მთავარსარდალი, იგი ზუსტ და სწორ დასკვნებს აკეთებდა.

მკვლელობის ბრალდებით დააპატიმრა ლონდონის პოლიციამ, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს. 1911 წელს მონაწილეობდა ლატვიელ ანარქისტ-ტერორისტთა და პოლიციელთა შორის მომხდარ სროლებში, რომლის ჩაქრობაც მხოლოდ დიდი ბრიტანეთის იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის უშუალო ჩარევის შემდეგ მოხერხდა. ტერორისტთა ჯგუფი განადგურდა, პეტერსი კი გაასამართლეს, თუმცა აქაც მალევე გაათავისუფლეს. I მსოფლიო ომის დროს იყო საზღვარგარეთული სოციალისტური ჯგუფების კომიტეტის წევრი, რომელსაც გიორგი ჩიჩინი ხელმძღვანელობდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოდის რუსეთში და ეწევა აქტიურ საავიტაციო მუშაობას ჯარის ნაწილებში. იყო მე-12 წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი. 1917 წლის ოქტომბერში პეტროგრადის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი და პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრია. ამზადებდა სამხედრო ნაწილებს ოქტომბრის გადატრიალების ორგანიზებისათვის. საგანგებო კომისიის, ВЧК-ის შექმნის შემდეგ, მისი თავმჯდომარის, ფელიქს ძერჟინსკის მოადგილე და ამ ორგანოს პარტორგანიზაციის პირველი მდივანია. 1920-1922 წლებში რკპ(ბ) თურქესტანის ბიუროს ცენტრალური კომიტეტის წევრი, ВЧК-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქესტანში და ტაშკენტის ЧК-ის უფროსია. 1922 წლის თებერვლიდან ისევ მოსკოვშია, სადაც ГПУ-ს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსად ინიშნება. 1929 წელს ათავისუფლებენ ГПУ-ს კოლეგიის წევრობიდან. 1930-1934 წლებში მოსკოვის სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარეა. დააპატიმრეს 1937 წლის 27 ნოემბერს. დახვრიტეს 1938 წლის 3 მარტს.

⁷⁰⁷ Ядгор Норбутаев. Лихие кавалеристы с маузерами, и другие мифы о басмачах. Международное информационное агентство «Фергана». 2013. <http://www.fergananews.com/articles/7790>.

მაისის დასაწყისში მოსკოვიდან თურქესტანში ბოლშევიკთა დიდ სამხედრო რაზმთან ერთად გამოცდილი ბოლშევიკები, „მშრომელთა ინტერესების დამცველნი“ და „ნაციონალურ საკითხთა სპეციალისტები“, თურქკომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ცენტრალური აზიის „ბატონ-პატრონი“ შალვა ელიავა და კავკასიის „ბატონ-პატრონი“ სერგო ორჯონიკიძე ჩადიან. დიას, კრემლის სრული უფლებამოსილებებით აღჭურვილმა ორმა ქართველმა ანტიბასმაჩური მოძრაობის ხელმძღვანელობის სადავეები გადაიბარეს გამგებლობაში და თავის გუშინდელ თანამოაზრესა და ყოფილ „სტავლენიკს“, ენვერ ფაშას დაუპირისპირდნენ. 1922 წლის 12 მაისს მათ მოიწვიეს თურქესტანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც განიხილეს არსებული სიტუაცია და დასახეს ფერღანაში ბასმაჩური მოძრაობის ლიკვიდაციისათვის გასატარებელი კონკრეტული ნაბიჯები.⁷⁰⁸ განსახორციელებელი „კონკრეტული ნაბიჯების“ ფართო სპექტრში ძირითადი სამიზნეც გამოიკვეთა. ორჯონიკიძე, როგორც ნამდვილი და პრინციპული ბოლშევიკი, ბასმაჩობის დამარცხების წინაპირობად და გამარჯვებისათვის აუცილებელი პირველი რიგის ამოცანად ენვერ ფაშას ლიკვიდაციას თვლიდა საჭიროდ. განაჩენი გამოტანილი იყო და ენვერისათვის საბედისწერო დროის ათვლაც დაიწყო. იმავე დღეს, 12 მაისს, ორჯონიკიძე შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის სტალინს:

„ბუხარაში არსებული მდგომარეობა საყოველთაო აჯანყებად უნდა შევაფასოთ. აქაური საზომებით ეს ამბოხი, რომელსაც ენვერ ფაშა მეთაურობს, ორგანიზებულ ხასიათს იძენს. მდგომარეობის გადასარჩენად აუცილებელია ენვერ ფაშას სასწრაფო ლიკვიდაცია, რისთვისაც უკვე ტარდება შესაბამისი ზომები“.⁷⁰⁹ იმავე დროს, ეფექტური ანტიბასმაჩური ბრძოლის ორგანიზებისათვის ორჯონიკიძე რეგიონში არსებული სოციალური და პოლიტიკური ასპექტების ტრანსფორმირების აუცილებლობასაც უსვამდა ხაზს. თავისი ზემოთ ხსენებული „დათობის“ პოლიტიკის გატარების არგუმენტირებისათვის, უკვე მეორე დღეს, 13 მაისს, ორჯონიკიძე სტალინს წერდა:

„თურქესტანის პატრიარქალურ-ტომობრივი ყოფის დაშლის ძალადობრივი პოლიტიკის მცდელობამ და შარიათთან უსარგებლო ბრძოლამ, სადამსჯელო ოპერაციების ჩატარებამ და რიგმა სხვა მიზეზებმა არსებულ კრიზისამდე მიგვიყვანა... ის მოსაზრება, თითქოს ბასმაჩობა მოსახლეობისაგან მოწყვეტილი მძარცველთა ჯგუფია — არასწორია. ერთ შემთხვევაში ისინი [ბასმაჩები] რელიგიისა და ყოფის დამცველებად გამოდიან, სხვა შემთხვევაში კი, მაგალითად, ფერღანისა და ყირგიზეთის მთიანეთში, ბასმაჩთა მეთაური, ყოფილი კატორღელი მუედინ ბეგი მსხვილ ფეოდალად იქცა... იგი საკუთარ თავს თავისი რაიონის ბატონ-პატრონად თვლის და მოსახლეობასაც საკუთარ ქვეშევრდომებად მიიჩნევს. აუცილებელია, რომ საფუძველშივე გადაიხედოს ჩვენს მიერ თურქესტანში გატარებული პოლიტიკის არსი. უარი უნდა ვთქვათ კომუნისტური ექსპერიმენტების ჩატარებაზე... საქმეში უნდა ჩავრთოთ მუსლიმანი ინტელიგენცია და გვერდზე გადავდოთ მემარცხენე კომუნისტური თამაშები“.⁷¹⁰

1922 წლის 18 მაისს რკპ(ბ) ცეკას პოლიტბიურომ მოისმინა ორჯონიკიძის მოხსენება ფერღანაში არსებული მდგომარეობისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. მიიღეს დადგენილება „თურქესტანულ-ბუხარული საქმეების“ თაობაზე, სადაც ჩამოყალიბებული იყო ბასმაჩების წინააღმდეგ ბრძოლის სრული პროგრამა. დაისახა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაც, რომელიც ხუთ პუნქტად იყო გაწერილი. პოლიტბიუროს ამ დადგენილებაში კვითხულობთ:

⁷⁰⁸ Боевые подвиги частей Красной Армии 1918–1922, стр. 183. http://militera.lib.ru/research/zevelev_ai/app.html.

⁷⁰⁹ РГАСПИ. Ф. 2, оп. 1, д. 23181, л. 2. Павел Густерин. К вопросу о басмачестве. <http://islaminfo.ru/obchestvo/page,1,1628-k-voprosu-o-basmachestve.html>.

⁷¹⁰ РГАСПИ. Ф. 2, оп. 1, д. 23181, л. 6. Павел Густерин. К вопросу о басмачестве. <http://islam-info.ru/obchestvo/page,1,1628-k-voprosu-o-basmachestve.html>.

„საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის მხრიდან კეთილგანწყობის მოსაპოვებლად და დაწყებული სამხედრო ოპერაციის მხარდასაჭერად, დაევალოს რკპ(ბ) ცეკას შუაზიურ ბიუროს, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მონაწილეობით გააჩალოს საყოველთაო პოლიტიკური პროპაგანდა (მიტინგები, უპარტიოთა კონფერენციები) ენვერის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, რისთვისაც:

1. გამოცხადებულ იქნას ენვერი ინგლისის აგენტად და აღმოსავლეთის მტრად;
2. გაიწმინდოს თურქესტანი, ბუხარა და ხივა ანტისაბჭოთა თურქულ-ავღანური ელემენტებისაგან;
3. მშვიდობიანი შრომის სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, გამოცხადდეს ბასმაჩთა სრული ამნისტია;
4. მიწები დაუბრუნდეს მათ პირვანდელ მფლობელებს;
5. ლეგალიზებულ იქნას ადგილობრივი ნაციონალური სასამართლოები“.⁷¹¹

„კონკრეტული ნაბიჯების“ მთავარ შემადგენელ ელემენტს, რა თქმა უნდა, მოსახლეობაში გაძლიერებული სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის გაჩაღება წარმოადგენდა მათში „კლასობრივი თვითშეგნების ამაღლების“ მიზნით. კრემლის პროპაგანდისტულმა მანქანამ აქაც კარგად იმუშავა და ხალხიც კიდევ ერთხელ ენდო ბოლშევიკთა მიერ შეპირებულ „კომუნისმის ნათელ მომავალს“. აშუქებდა რა თურქესტანში მიმდინარე პროცესებს, მაგალითად, ქართული საბჭოთა პრესა ოდნავ მოგვიანებით წერდა:

„ტაშკენტი. 1922 წლის 20 ივლისი. ენვერ ფაშას ავანტიურას, რომელიც ცდილობდა ამირას ხელისუფლების აღდგენას, ერთსულოვნად წინ აღუდგა ბუხარის, ხორეზმისა (ხივის) და თურქესტანის მთელი მშრომელი მოსახლეობა. სამი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გამოშვებულ მოწოდებაში მიმართავენ მშრომელ მასებს, დაუყოვნებლივ მოუღონ ბოლო ამ მოვლენას. ცენტრალური აღმასკომების და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების მოწოდებამ გამოიწვია ბუხარაში და ხივაში აღფრთოვანება, და ყოველივე ზომებით და ძალებით აწარმოებენ შეუბრალებელ ბრძოლას ანტანტის დამქაშის ენვერ ფაშის უმნიშვნელო დარჩენილ ძალებთან, რომელიც არ სარგებლობს პოპულიარობით არა თუ მშვიდობიან მცხოვრებთა, არამედ თვით ჯარებს შორისაც.

ენვერ ფაშას ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად და თითოეულად გადმოდინ ჩვენს მხარეზე. ჩვენი სააგიტაციო აპარატი ხელს უწყობს კლასობრივი შეგნების განვითარებას ენვერის მიერ მოსყიდულ მასებში“.⁷¹²

გაზეთში მოყვანილი ცნობა ბასმაჩთა ზოგიერთი ლიდერის გადაბირებისა და შემორიგების შესახებ გარკვეულწილად შეესაბამება სინამდვილეს. ეს პროცესები არც 1922 წელს დაწყებულა და არც მისით დასრულებულა. ასე მაგალითად, ფერდანელი ბასმაჩების მეთაური და ბასმაჩური მოძრაობის პიონერი, სახელგანთქმული მადამინ ბეგი წითლების მხარეს ჯერ კიდევ 1920 წლის დასაწყისში გადავიდა, მისი რაზმის ნაწილი კი წითელი არმიის შემადგენლობაში შევიდა. უფრო მეტიც, 1920 წლის მარტში გამართულ წითელარმიელთა და ე.წ. „წითელ ბასმაჩთა“ გაერთიანებულ საჩვენებელ აღლუმს მიხაილ ფრუნზე და ყურბაში მადამინ ბეგი ერთად იბარებდნენ. თუმცა საბოლოოდ, მადამინ ბეგის სამხედრო და პოლიტიკური კარიერა ერთობ სავალალოდ

⁷¹¹ РГАСПИ. Ф. 17, оп. 3, д. 293, л. 9. Павел Густерин. К вопросу о басмачестве. <http://islam-info.ru/obchestvo/page,1,1628-k-voprosu-o-basmachestve.html>.

⁷¹² „წითელ რესპუბლიკებში (ბუხარა)“. გაზეთი „კომუნისტი“. ს.კ.პ. ცენტრალური და თბილისის კომიტეტებისა და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელი არმიისა და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო. 1922 წლის 23 ივლისი, კვირა. №167.

დასრულდა. იგი ისევ ბასმაჩებმა მოკლეს სხვა რაზმების მეთაურთა საბჭოელთა მხარეზე გადაბირების მცდელობისას.⁷¹³

ახლა კი, 1922 წლის მაისში წითელმა არმიამ აღმოსავლეთ ბუხარაში კონტრშეტევითი მოქმედებები დაიწყო ენვერ ფაშას წინააღმდეგ. ჯარების გადასროლისა და საბრძოლო გაშლისათვის წითელმა მეთაურებმა მდინარეები აშუ-დარია, პიანჯი და ვახში გამოიყენეს. ღუშანბესათვის გამართულ ბრძოლაში ენვერმა სასტიკი მარცხი განიცადა და იგი იძულებული გახდა, თავის მცირე ძალებთან ერთად დაეტოვებინა ქალაქი. 1922 წლის ზამთრის პერიოდში ენვერ ფაშას მიერ მიღწეული წარმატება ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა, ღუშანბე ისევ ბოლშევიკებმა დაიკავეს.

საბრძოლო მოქმედებების პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობდა ჩეკას მიერ დაგეგმილი „სპეცოპერაციების“ სერია და მოსახლეობაზე ტერორის ოპერაციები. ბოლშევიკთა მიერ წარმოებული წითელი ტერორის მნიშვნელოვან კომპონენტს მძევალთა აყვანის ინსტიტუტი წარმოადგენდა. მოუხელთებელი ბასმაჩების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ბოლშევიკთა მიერ მასიურად ხდებოდა მათი ოჯახის წევრების, ნათესავებისა და ახლობლების მძევლად აყვანა იმ მოთხოვნით, რომ ბასმაჩები დანებდებოდნენ საბჭოელებს. აი, წითელი ტერორის ერთ-ერთი ნიშანდობლივი დოკუმენტი-მოწოდება РГАСПИ – რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივიდან (Российский государственный архив социально-политической истории): „თუ ბანდის მეთაურები 15 დღის განმავლობაში ჩავგვარდებიან და დაყრიან იარაღს, მძევლებს შევიწყალებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მათი ქონების სრული კონფისკაცია. თუ მეთაურები ამის შემდეგაც გააგრძელებენ აქტიურ მოქმედებებს, მაშინ მძევლებს დავხვრეტთ“.⁷¹⁴ აღსანიშნავია, რომ ამ ჯალათურ საქმიანობაში, ანუ, ბასმაჩთა ოჯახის წევრებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის, ქალებისა და ბავშვების დახვრეტებში, ხშირად თავად წითელი მეთაურებიც მონაწილეობდნენ.⁷¹⁵

გადამწყვეტი ბრძოლები 1922 წლის ივნის-ივლისში გაიმართა. 15 ივნისს წითელმა არმიამ მძლავრი დარტყმა მიაყენა ბასმაჩებს ქალაქ ბაისუნის მახლობლად. ენვერ ფაშამ ბალჯუნის მიმართულებით დაიხია უკან, სადაც ისევ მარცხი განიცადა. სწორედ ამ მომენტში მიატოვა იგი იბრაჰიმ ბეგმა და თავისი რაზმი მთებში წაიყვანა. მართალია, იბრაჰიმ ბეგი ენვერ ფაშას განუდგა, მაგრამ ენვერ ფაშამ თავის მხარეს ორი ყურბაში მიიმხრო თავისი რაზმებითურთ – დავლათ მინ ბეი და დანიარ ბეგი. წითელი არმია წინ მიიწევა. ამავე დროს გრძელდებოდა ენვერ ფაშას უკანდახეული რაზმების დევნაც.

მოგვიანებით, ენვერის მოკვლის შემდეგ, მას უპოვეს ავღანეთის სამხედრო მინისტრის, მუჰამედ ნადირ ხანის წერილი, რომელიც ჰანაბადიდან იყო გამოგზავნილი 1922 წლის 9 ივნისს. წერილში ნადირ ხანი ენვერ ფაშას ატყობინებდა, რომ მისი რაზმისათვის მომზადებული იყო სამხედრო სამოსის 1200 კომპლექტი ჯარისკაცებისათვის და 40 – სამეთაურო შემადგენლობისათვის. წერილი შემდეგი ფრაზით მთავრდებოდა: „გთხოვთ შემატყობინოთ თქვენი და რუსების მდგომარეობა. მაშინ მე გავუგზავნი თქვენს წერილს მის უდიდებულესობას (ანუ ამირა ამანულა ხანს – ა. ჩ.) ქაბულში. ნადირი“. ამ წერილზე პასუხი ენვერ ფაშამ ერთი კვირის შემდეგ, 1922 წლის 16 ივნისს გაგზავნა. ენვერ ფაშა წერდა: „ძვირფასო ნადირ! გუშინდელი ბრძოლების

⁷¹³ Петр Бологов. Армия патриотов-налетчиков. «31 спорный вопрос» русской истории: басмачество как результат просчетов большевиков. <http://lenta.ru/articles/2014/02/10/basmatches/>.

⁷¹⁴ Шевченко Д. В. БАСМАЧЕСТВО КАК РЕАКЦИЯ МЕСТНОГО НАСЕЛЕНИЯ НА КРАСНЫЙ ТЕРРОР. Вестник факультета сервиса и рекламы Иркутского государственного университета. - Иркутск, 2005. - № 6. - Стр.149-153. АВВРФ. Ф. 152, оп.4, папка I, д. 1., л. 1. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?tid=10&fid=12&block=100>.

⁷¹⁵ РГАСПИ (Российский государственный архив социально-политической истории). Ф. 62, оп. 2, д. 22, л. 69.

შემდეგ, ჩემს მებრძოლებთან ერთად კარლუკში გადავედი. უკანდახვევის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩემმა მეომრებმა საბრძოლო მასალებისა და ვაზნების მთელი მარაგი გახარჯეს... თუ თქვენ ვერ აღმოგიჩინებთ ჯეროვან დახმარებას, მე გავემართები ჯილიყულისა და ყურგან თეფესაკენ. გთხოვთ გამომიგზავნოთ რუსული ვაზნები.

თქვენი ენვერი“.

ავღანელებისათვის გაგზავნილი ეს თხოვნა პირველი არ იყო. მაგრამ ავღანეთის ხელისუფლება უკვე თავს იკავებდა აღმოეჩინა ენვერისათვის დახმარება. ამანულა ხანმა სიფრთხილე გამოიჩინა. მას აღარ მოსწონდა, რომ ენვერ ფაშას გემას შუა აზიაში ისლამური სახელმწიფოს, თემურ ლენგის ახალი სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა, რომლის სათავეშიც იგი უნდა ჩამდგარიყო. ამანულა ხანმა და ნადირ ხანმა უმჯობესად ჩათვალეს, მთელი თავიანთი ძალისხმევა ფერღანელ ბასმაჩთა ლიდერის, შირა მუჰამედ ყურშირმატისაკენ მიემართათ, რომელსაც ერთგულების ფიცი ჰქონდა დადებული ავღანეთის ამირას წინაშე. გარდა ამისა, ენვერ ფაშას მდგომარეობა იმ მხრივაც დამძიმდა, რომ კრემლი პოლიტიკური კავშირების დამყარებას შეუდგა ავღანეთის ამირასთან, რამაც ბოლშევიკებთან მიმართებაში მისი პოლიტიკური კურსის შერბილება გამოიწვია. ამ ფაქტორის გამოც, ამანულა ხანმა, რომელიც აქამდე ენვერ ფაშას იარაღსა და საბრძოლო მასალებს აწვდიდა, მისი დახმარება შეწყვიტა.

რაც შეეხება ბუხარელ ბასმაჩებს, ისინი მხოლოდ ბუხარელ ამირას, საიდ აღიმ ხანს აღიარებდნენ და უარს ამბობდნენ ავღანეთის ამირასათვის ერთგულების ფიცის დადებაზე. აქედან გამომდინარე, ეხმარებოდა რა ენვერ ფაშას, ამანულა ხანი პირველ რიგში თავის თავს ეხმარებოდა, საკუთარ მიზნებს ემსახურებოდა. კერძოდ, ამანულა ხანი ცდილობდა, ენვერის სახით გავლენა მოეხდინა ბუხარელ ბასმაჩებზე და ისინი საკუთარ დაქვემდებარებაში გადაეყვანა. შესაბამისად, როდესაც ენვერ ფაშას რაზმმა დამარცხებების სერია იწვინა, ავღანეთის მხრიდან მას ფაქტიურად შეუწყდა დახმარებების გაწევა. ხოლო როდესაც წითელმა არმიამ დუშანბეც აიღო, ენვერის რაზმში გაერთიანებული ავღანელი ჯარისკაცები და ოფიცრები უკან, სამშობლოში დაბრუნდნენ. ამ მომენტიდან დაწყებული, ენვერი კარგავს უპირატესობას და სტრატეგიული ინიციატივაც წითელი არმიის ხელში გადადის.

ენვერ ფაშას ამ დიდ მარცხში გადამწყვეტი როლი იბრაჰიმ ბეგისა და ენვერ ფაშას პირადად ურთიერთდამოკიდებულებამაც ითამაშა. ყველაზე კრიტიკულ მომენტში იბრაჰიმ ბეგმა ენვერის დასახმარებლად ჯარები არ გამოიყვანა, რამაც მოცემული შედეგის დადგომა განაპირობა. უფრო მეტიც, ლოკაის ზეგანზე საკუთარი ჯარების გადაჯგუფებისას იბრაჰიმ ბეგმა ენვერ ფაშას ორი მხრიდან მოულოდნელად დაარტყა, რამაც ენვერ ფაშას რაზმის არა მარტო ტაქტიკური მარცხი, არამედ მთლიანად ბასმაჩური მოძრაობის მნიშვნელოვანი დასუსტებაც გამოიწვია.

1922 წლის 25 ივნისს, როცა ენვერის დამარცხება ფაქტიურად გარდაუვალი გახდა, გაზეთებმა ამ ამბების გაშუქებაში კიდევ უფრო დიდი გაურკვევლობა შეიტანეს. ასე მაგალითად, სააგენტო “Associated Press“-ზე დაყრდნობით უცხოური გაზეთები წერდნენ, რომ ენვერი „ახალგაზრდა ბუხარელებს ჩაუდგა სათავეში“, რომლებიც „თავისი ქვეყნის ემანსიპირებას ცდილობენ“... „ენვერმა ავღანეთის დახმარებით დიდ წარმატებებს მიაღწია... რუსები ახდენენ ბუხარის იმ ნაწილის ევაკუაციას, რომელიც მათ უკანასკნელ ხანამდე ეკავათ...“ და საერთოდ, თითქოს რუსეთმა შეწყვიტა სამხედრო ჩარევა და თითქოს „საბრძოლო მოქმედებები იმ ბუხარელებს შორის მიმდინარეობს, რომლებიც ქვეყნის მოდერნიზაციისაკენ მიისწრაფვიან“. ბოლოს გაზეთი იმედს გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ „ენვერ ფაშასა და ახალგაზრდა ბუხარელების ერთობლივი

ძალისხმევით ბუხარის დამოუკიდებელი მუსლიმანური სახელმწიფო შეიქმნებოდა“.⁷¹⁶ როგორც ვხედავთ, “Associated Press“-ის სააგენტო კარდინალურად განსხვავებულ და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებდა.

1922 წლის 5 აგვისტოს კი, საქართველოს კომუნისტთა მთავარი ბეჭდვითი ორგანო, გაზეთი „კომუნისტი“, 31 ივლისით დათარიღებულ მოსკოვიდან გამოგზავნილი რადიოდეპეშის ტექსტს აცნობდა მკითხველს: „აღმოსავლეთ ბუხარაში წითელი ჯარის ნაწილებმა, რომლებიც ებრძვიან ბასმაჩებს, დაიკავეს 1 ივლისს ქალ. ღუშანბე, 17 ივლისს უბრძოლველად აიღეს ქალაქი კულიაბი და 19 ივლისს ცხარე ბრძოლების შემდეგ აიღეს ქალ. ბალჯუანი. ბუხარის საბჭოთა რესპუბლიკის დანარჩენ ტერიტორიაზე თითქმის ყველგან სიწყნარეა. წარმატებით მიმდინარეობს ბასმაჩესტვოს ლიკვიდაცია სამარკანდისა და ფერღანის ოლქებში. ივლისში საბჭოთა მთავრობის მხარეზე ბუხარაში კვლავ გადმოვიდა 250-ზე მეტი ბასმაჩი“.⁷¹⁷

საერთო ჯამში, 1922 წლის ივლისისათვის, თურქეთის პირველი რევოლუციის ლეგენდარულმა გმირმა, ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმფირატის ლიდერმა და ყოფილმა სამხედრო მინისტრმა, იმპერიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილემ (ფორმალურად სულთანი ითვლებოდა ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალად) დამად ენვერ ფაშამ თავის მცირე რაზმთან ერთად უკან დაიხია და პამირის მთებს შეაფარა თავი. მისმა უდიდებულესობა ისტორიამ ისე ინება, რომ ენვერმა თავისი არმიის უდიდესი ნაწილი დაკარგა და იგი აღმოსავლეთ ბუხარის მთებში აღმოჩნდა იზოლირებული მცირერიცხოვანი ფანატიკოს ამბოხებულებთან ერთად. „ისლამის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ხალიფას სიძე და მუჰამედის ნაცვალი“ მარტო დარჩა ამირათა, ყურბაშთა და იდეალისტ-ნოვატორთა მიერ მიტოვებული... ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა – ენვერის ლეგენდა დასრულდა. მასთან ერთად დასრულდა დიდი თემურ ლენგის ახალი სახელმწიფოს შექმნის ლეგენდაც...

§6.7. უკვდავი „მარადიული მემოარი“

1922 წლის ივლისის თვეში ჩატარებული წარუმატებელი ბრძოლების შემდეგ ენვერ ფაშამ გაქცევით უშველა თავს და პამირის მაღალმთიანეთს შეაფარა თავი. აქ მან იურჩინის უღელტეხილის რაიონში შეძლო მცირერიცხოვანი რაზმის ორგანიზება, საიდანაც მუდმივ მოულოდნელ რეიდებს ატარებდა წითელარმიელთა წინააღმდეგ. თავისი მცირერიცხოვნობის მუხედავად, რაზმი საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდა და დიდ პრობლემებს უქმნიდა ბოლშევიკებს. ფაქტია, რომ შუა აზიაში დაფუძნებული საბჭოთა

⁷¹⁶ В. М. Гиленсен. Сотрудничество красной Москвы с Энвер-пашой и Джемаль-пашой. „Восток“. 1996. №3. Стр. 45-63. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

⁷¹⁷ გაზეთი „კომუნისტი“. 1922 წლის 5 აგვისტო, შაბათი. №178.

ხელისუფლებისათვის იგი ისევ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ისიც ცხადი იყო, რომ სანამ ენვერი ცოცხალი იქნებოდა, არც წითელი არმიის მეთაურებს და არც ბოლშევიკთა პოლიტიკურ ხელმძღვანელებს მშვიდი ცხოვრება არ ეწერათ. ამიტომ ამ ეტაპზე ბოლშევიკთა მთავარი პრობლემა ტაჯიკეთის მაღალმთიანეთის ლაბირინთში მომწყვდეული ენვერის რაზმისა და მისი შტაბის ადგილსამყოფლის დადგენა, მისი იქიდან გამოტყუება და ბრძოლაში ჩართვა იყო. რუსებმა შეძლეს ძალების გადაჯგუფება და მასირებულად დაიწყეს მთიან რაიონებზე შეტევა. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, წითელარმიული ნაწილებისა და ქვედანაყოფების ეს მოქმედებები „ბრძოლით დაზვერვის“ ტაქტიკა იყო. ენვერსა და მის არმიას მძიმე დღეები დაუდგა. ლოკალებმა თავიანთი პოზიციები მიატოვეს. მათ სხვებმაც მიბაძეს. ენვერმა ავღანეთიდან ვერც დამატებითი ძალები მიიღო, ვერც იარაღი და ვერც საბრძოლო მასალები.

ენვერმა კარგად იცოდა, რომ საბჭოთა სპეცსამსახურები – არმიის დაზვერვის სამსახური (ГРУ) და საგანგებო კომისია (ВЧК) გამალებით მუშაობდა მისი ადგილსამყოფლის დადგენისა და პიროვნების იდენტიფიცირებისათვის. მტრები მას ადგილობრივ მოსახლეობაშიც ბევრი ჰყავდა. ფაქტი ის იყო, რომ ენვერ ფაშაზე დაწყებული ნადირობის დიდი სეზონი უკვე გახსნილი იყო. სხვის სახელს ამოფარებულმა ენვერმა სრული კონსპირაციისათვის პირადი დოკუმენტები, წიგნები და საკუთარი ოჯახის ფოტოებიც კი გაანადგურა. გაგახსენებთ, რომ 1920-1921 წლებში ენვერ ფაშა ჯერ ალი ბეის, ხოლო შემდეგ ბაგიროვის გვართ ცხოვრობდა ჯერ რუსეთში, შემდეგ კი – გასაბჭოებულ საქართველოში – ბათუმსა და თბილისში. თურქი ისტორიკოსის, ენვერ ფაშას ბიოგრაფის, შევკეტ სურეია აიდემირის მიხედვით, ივლისის დასაწყისში მან შემდეგი შინაარსის სასოწარკვეთილი წერილი მისწერა თავის ცოლს, ემინე ნაჯიე სულთანს ბერლინში: „დილის ლოცვის შემდეგ ვტიროდი და ჩვენი ბავშვების ფოტოები დავწვი... ჩემს წინააღმდეგ უწყვეტი პროპაგანდა მიმდინარეობს. აქაური ხალხი ძალიან ჩამორჩენილი და კონსერვატორია. იმისათვის, რომ ამ ფანატიკოსებს ჩემი პოვნის ყოველგვარი საშუალება მოუუსპო, ჩემი ყველა წიგნიც დავწვი...“⁷¹⁸ 1922 წლის 22 ივლისს იგი უკანასკნელ წერილს სწერს ბერლინში თავის ცოლს: „წითელი არმია გვიტევს, მათ უკვე დაიკავეს დუშანბე. მინდვრის ყვაილებთან ერთად, რომელსაც ყოველდღიურად გიგზავნიდი, ახლა იმ თელის მოტეხილ ტოტსაც გიგზავნი, რომლის ქვეშაც მეძინა წუხელ. ხის ამ ნაჭერზე შენი სახელი ამოკვეთე. შენი საყვარელი ენვერი“.

როგორც ჰენრი მორგენტაუ აღნიშნავს, „მარადიული მეომარი“ – ენვერ ფაშა დროდადრო ძალიან სენტიმენტალურ და პოეტურ პიროვნებად წარმოჩნდებოდა.⁷¹⁹ ენვერ ფაშას პოეტური სულის შესახებ ნამდვილად ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ გამოუსწორებელი რომანტიკოსი და სენტიმენტალური პიროვნება რომ იყო, ეს უდავოა, მიუხედავად იმისა, რომ მას ასობით და ათასობით ადამიანის სისხლში ჰქონდა ხელი გასვრილი. ისიც ფაქტია, რომ „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციისა და იტიპადისტთა პარტიის ლიდერი, ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ექსმინისტრი და ბრიტანელთა წინააღმდეგ მებრძოლი პრობოლშევიკი ისლამისტი, შემდეგ კი თემურ ლენგის ახალი ისლამური სახელმწიფოს მეთაური, გენერალი ისმაილ ენვერ ფაშა მართლაც სახალხო ლიდერი და ქარიზმატული პიროვნება იყო.

დაწყებული 1922 წლის ივლისიდან, ბოლშევიკებმა ენვერ ფაშას ადგილსამყოფლის დასადგენად დიდი სამუშაოები ჩაატარეს. ამ საქმეში მათ მართლაც შესაშური გამომგონებლობა და პროფესიონალიზმი გამოავლინეს. საკითხთან დაკავშირებით კი,

⁷¹⁸ Şevket Süreyya Aydemir. Makedonya'dan Ortaasya'ya Enver paşa 1914-1922. Vol. III, (Istanbul, 1972). Pg. 652.

⁷¹⁹ „Гитлер воспринимал Энвера-пашу в качестве примера~ - Интервью с Рольфом Хосфельдом. <http://www.aniv.ru/archive/18/gitler-vosprinimal-envera-pashu-v-kachestve-primera-intervju-s-rolfom-hosfeldom/>.

მცირე სიცხადის შეტანაა საჭირო. იმ დროში მთელს შუა აზიაში ძალიან გავრცელებული იყვნენ წვრილი მოვაჭრეები, რომლებსაც ყველგან გულითადად ხვდებოდნენ. ცნობილი ამბავია, რომ ვაჭრობა ზოგადად ისლამურ სამყაროში დიდი პატივისცემით სარგებლობს, ხოლო მოვაჭრეებს ყველგან გულლიად ხვდებიან, მათთვის ყველა კარი ღიაა. ამავე დროს, მეწვრილმანედ თავის წარმოჩენა კონსპირაციისა და შენიღბვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა არასასურველი ჩხრეკებისა და დაკითხვების თავიდან ასაცილებლად. სწორედ ეს სქემა გამოიყენა საბჭოთა ჩეკამ თავისი სპეციალური სადაზვერვო ამოცანის შესასრულებლად. მეწვრილმანე მოვაჭრეებად გადაცემულ ჩეკას ორ აგენტს, გევორქ ალაბეგოვს⁷²⁰ და ალექსანდრ ოსიპოვს დავალება მიეცათ, რაღაც არ უნდა დაჯდომოდან, აღმოჩინათ ენვერ ფაშას, მისი შტაბისა და რაზმის ადგილსამყოფელი და დაუყოვნებლივ ეცნობებინათ ამის შესახებ წითელი არმიის შტაბისათვის ტაშკენტში. ალაბეგოვის მეშუარებიდან:

„ენვერ ფაშა მუდმივად იცვლიდა ადგილმდებარეობას, ჯარები კი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისაგან შედგებოდა, წითელი არმიის გამოჩენისთანავე იარაღს მალავდნენ და მშვიდობიან მოსახლეობად გადაიქცეოდნენ. არმიის სარდლობის წინაშე ასეთი ამოცანა დადგა – რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, მოეძებნა ამბოხებულთა ადგილმდებარეობა და გაენადგურებინა ისინი. მთავარი საკითხი კი თავად ენვერ ფაშას ლიკვიდაცია იყო. მაგრამ როგორ? როგორ უნდა მოგვეძებნა იგი აღმოსავლეთ ბუხარის მთებსა და უდაბნოებში, სადაც მთელი მოსახლეობა მის მხარეს იყო და ეზიზღებოდათ რუსები?“⁷²¹

აღარ მოყვებით ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების დეტალურ აღწერასა და ჩეკას აგენტების მიერ ჩატარებული სამუშაოების განხილვას და მოკლედ ვიტყვით, რომ ოპერაციის წევრებმა კარგად იმუშავეს. ჩეკას ამ ორი აგენტის, გევორქ ალაბეგოვისა და ალექსანდრ ოსიპოვის დაუდალავი ძიების შედეგად, რომლებიც თავს წვრილმან მოვაჭრეებად ასალებდნენ, საკმაოდ მოკლე დროში მოხერხდა ენვერ ფაშასა და მისი შტაბის ადგილმდებარეობის დადგენა.

ამ მომენტიდან დაწყებული, ენვერ ფაშას ცხოვრებისა და ბრძოლის ტაჯიკური პერიოდი დიდხანს აღარ გაგრძელებულა – სულ რამდენიმე დღე. 1922 წლის 3 აგვისტოს დილით ენვერმა თავის ოფიცრებსა და თანამებრძოლებს მის მიერ ნანახი სიზმარი მოუყვა და ნალვლიანად, თუმცა სიამაყით განაცხადა, რომ იგი მოწამებრივი სიკვდილით დაასრულებდა სიცოცხლეს და შაჰიდი გახდებოდა... და მართლაც, 1922 წლის 4 აგვისტოს, ჯემალ ფაშას თბილისში მკვლელობიდან სულ რაღაც ორ კვირაში, ენვერ ფაშა წითელი არმიის საკავალერიო ბრიგადის ქვედანაყოფებთან შეტაკებაში დაიღუპა დუშანბესთან ახლოს, სოფელ ბალჯუანთან. ბრიგადას სომეხი ოფიცერი, იაკობ მელქუმოვი (აკოფ მელქუმიანი) მეთაურობდა.⁷²²

ზოგიერთი მონაცემით, სწორედ პირადად მელქუმოვმა მოკლა ენვერ ფაშა.⁷²³ რუსი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი მიხაილ კალიშევსკი კი წერს, რომ მელქუმოვის

⁷²⁰ გევორქ ალაბეგოვი საბჭოთა ჩეკას პირველი აგენტი იყო, რომელიც საზღვარგარეთ გაიქცა და დასავლეთს შეაფარა თავი. მანამდე მას ჩეკაში საზღვარგარეთის განყოფილების აღმოსავლეთის სექტორის უფროსის თანამდებობა ეკავა და ОППУ-ს რეზიდენტი იყო ახლო აღმოსავლეთში. 1930 წელს იგი ღია კრიტიკით გამოვიდა სტალინური რეჟიმის წინააღმდეგ და ბრიტანულ სადაზვერვო სამსახურებს დაუკავშირდა, რის შემდეგაც დასავლეთ ევროპაში გაქცევით უშველა თავს. თუმცა, როგორც იტყვიან, „მოსკოვს გრძელი ხელები აქვს“ და შესაბამისად, იგი მოძებნეს და მოკლეს НКВД-ის აგენტებმა 1937 წელს.

⁷²¹ Георгий Агабеков. ЧК за работой. Предисловие А. В. Шаврова; Комментарии А. В. Шаврова, И. М. Смирновой. ПРИЛОЖЕНИЕ К ЖУРНАЛУ 'ОТЕЧЕСТВЕННЫЕ АРХИВЫ'. ВЫПУСК 1. МОСКВА – 1992. АССОЦИАЦИЯ "КНИГА • ПРОСВЕЩЕНИЕ • МИЛОСЕРДИЕ". http://www.lib.ru/MEMUARY/AGABEKOW/ch_zh_rabotoj.txt.

⁷²² Zaven Der Yeghiayan. My Patriarchal Memories. Translated by Ared Misirliyan. Mayreni Publishing 2002. Operation Nemesis. <http://www.operationnemesis.com/>.

⁷²³ KILLING OF ENVER PASHA. Milwaukee Armenian Community. <http://milwaukeearmenians.com/2014/08/01/>

ბრიგადა მე-4 არმიის შემადგენლობაში შედიოდა, რომელსაც ასევე სომეხი ეროვნების წითელი მეთაური, გასპარ ვოსკანიანი სარდლობდა.⁷²⁴ აქ კალიშევსკი მცირე უზუსტობას უშვებს. წითელი მეთაური, გასპარ კარაპეტის ძე ვოსკანიანი მართლაც სარდლობდა საბჭოთა რუსეთის აღმოსავლეთის ფრონტის მე-4 არმიას, მაგრამ არა 1922 წელს, არამედ 1919 წლის 8 ოქტომბრიდან 1920 წლის 23 აპრილამდე. მან ამ თანამდებობაზე მიხაილ ფრუნზე შეცვალა. 1921-1922 წლებში კი იგი მე-2 სასაზღვრო დივიზიას მეთაურობდა.

ზემოთ მოყვანილი ცნობები ენვერ ფაშას სიკვდილში სომეხთა განსაკუთრებული როლის შესახებ სხვა წყაროებით არ დასტურდება... გასაგებია, რომ აქ გარკვეული პოლიტიკური და ნაციონალური წრეების განდიდებისა და ინტერესთა ლობირებასთან გვაქვს საქმე, რასაც ისევ და ისევ ქაღალდით ნემეზიდას მკრთალ აჩრდილამდე მივყავართ. ჩვენ ამ ვერსიას არ ვიზიარებთ, ზედმეტად პოლიტიზირებულად გვეჩვენება იგი... მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ბოლშევიკებმა ენვერ ფაშას ცხედარი სასწრაფოდ დაასაფლავეს, საფლავის ადგილმდებარეობა გაასაიდუმლოეს და დაივიწყეს.⁷²⁵

ოთხ თვეში ენვერ ფაშას 41 წელი უსრულდებოდა...

როგორც ენვერ ფაშასთან დაკავშირებული ბევრი სხვა რამ, მისი მოკვლის ამბავიც, ისევე როგორც მისი წინააღმდეგობებითა და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრების რთული გზა, ურთიერთგამომრიცხავი ცნობებითაა გაჯერებული. აქაც მითები სჭარბობენ რეალობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი ვერსიით სომხური პუბლიცისტიკა და გარკვეული სამეცნიერო წრეები ენვერ ფაშას მოკვლას მელქუმოვს მიაწერენ და ამ ვერსიას ნემეზიდას აჩრდილს უკავშირებენ, მაგრამ არსებობს განსხვავებული წყაროები, არსებობენ სხვა ავტორები და მათი განსხვავებული მოსაზრებები. ენვერ ფაშას მოკვლის უფრო პროზაულ და ცოტა პათეტიკურ ხაზს მიჰყვება ცნობილი უზბეკი ისტორიკოსი და აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გოგა ხიდოიატოვი თავის ნაშრომში „Гибель Энвер-паша. Ответ таджикским „экспертам“ (страницы истории)“. ენვერ ფაშას დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით ხიდოიატოვი წერს:

„1922 წლის 4 აგვისტოს წითლებმა იმ სოფელზე მიიტანეს იერიში, სადაც ენვერ ფაშას მცირერიცხოვანი რაზმი აფარებდა თავს. ბასმაჩები არ დაიბნენ და თავისი მეთაურების ბრძანებით კონტრიერიში გადვიდნენ. მაგრამ მალე, დარწმუნდნენ რა თავის უიმედო მდგომარეობაში, აღარ მიიღეს ბრძოლა და სწრაფად დაიწყეს უკანდახევა, რაც მალე გაქცევაში გადაიზარდა. ადგილზე მხოლოდ ენვერ ფაშა და მისი მცირერიცხოვანი ამაღა დარჩა. ენვერმა გმირული სიკვდილი აირჩია. იგი ცხენს შეახტა და თავის ადიუტანტთან ერთად ხმაღამოლებულმა მიიტანა იერიში ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ წითელარმიელებზე... მოგვიანებით, როდესაც მოკლულ ბასმაჩთა გვამებს ათვალიერებდნენ, ერთი თავმოკვეთილი გვამი იპოვეს, რომელსაც ბრძოლის ველზე თეთრი ხალათი და მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. თითზე ძვირფასთვლიანი ბეჭედი ეკეთა, ხოლო ჯიბეში რამდენიმე ქალაღი უპოვეს – თურქულ ენაზე შესრულებული ოპერატიული ბრძანებები და ქალის ხელით დაწერილი ბერლინიდან გამოგზავნილი სამი წერილი. წითელარმიელები ამტკიცებდნენ, რომ ეს ენვერ ფაშა იყო. მის ახლოს გადაშლილი ჯიბის ყურანი ეგდო, ოღნავ მოშორებით კი – წვერმოშვებული თავი.

killings-of-enver-pasha/.

⁷²⁴ Михаил Калишевский. Кем был Энвер-паша для мусульманского Востока? К 130-летию со дня рождения. 2011. <http://www.milli-firka.org/content/DBAFJBAF>.

⁷²⁵ The three Pasha's Killer file. Htm. 2003. <http://www.moreorless.net.au/killers/pashas.html>.

ყურანი და მისი ქალაქები საბჭოთა სპეცსამსახურების არქივში იქნა გადაგზავნილი“.⁷²⁶

არსებობს თვითმხილველის მიერ მოთხრობილი კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც ისევ გოგა ხილოიატოვი ავითარებს. ამ მონათხრობის თანახმად, ენვერმა და მისმა ადიუტანტმა შეძლეს წითელარმიელთა რკალის გარღვევა და მეზობელ სოფლამდე მიღწევა. სოფლის თავში კი სამნი იდგნენ, რომელთაგან ერთ-ერთი ენვერისათვის ნაცნობი „მოვაჭრე“ იყო. როდესაც ენვერი წყაროზე დაიხარა წყლის დასაღვებად, ამ ნაცნობმა მოვაჭრემ უმაღლეს ამოიღო ხალათში დამალული ხმალი და ერთი დარტყმით წააცალა ენვერს თავი. ამ ვერსიის თანახმად თითქოს ალაბეგოვს უნდა მოეკლა ენვერ ფაშა, მაგრამ თავად ალაბეგოვი ამ ცნობას არ ადასტურებს და თავის მეშუარეებში განსხვავებულად აღწერს ენვერ ფაშას ადგილსამყოფლის აღმოჩენისა და მისი განადგურების ამბებს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ალაბეგოვი თავის მეწყვილესთან ერთად მოვაჭრის სახით ჩანერგეს ადგილობრივ მოსახლეობაში. მათ მოსყიდვის გზით დაადგინეს ენვერ ფაშას შტაბის დისლოკაციის ადგილი. ამის შესახებ კი წითელარმიელებს შეატყობინეს. ალაბეგოვი ციტირებას უკეთებს ცხენოსანი დივიზიონის მეთაურის პატაკს: „ბასმაჩთა შტაბი, რომელსაც ენვერ ფაშა მეთაურობდა, მთებისაკენ გაიქცა, მაგრამ შემოვლით მანევრზე გაგზავნილ ესკადრონს გადააწყდა. ენვერმა ბრძოლა მიიღო. ბრძოლის შედეგად მოწინააღმდეგის შტაბი განადგურდა. თავის დაღწევა მხოლოდ სამმა ბასმაჩმა შეძლო, ბრძოლის ველზე კი 28 გვამი დარჩა. მათ შორის ამოიცნეს ენვერ ფაშაც, რომელსაც ხმლის დარტყმით ჰქონდა თავი წაცლილი, მის ახლოს კი ყურანი იპოვეს“.⁷²⁷

როგორც ვხედავთ, ალაბეგოვიც ენვერ ფაშას მკვლელობის დაახლოებით იმავე ვერსიას ავითარებს, რაც ხილოიატოვთან იყო წარმოდგენილი, ანუ, წითელარმიელთა ესკადრონთან საკავალერიო შეტაკებაში ენვერის მოკვლისა და მისთვის თავის მოკვეთის ამბავს. თუმცა სხვა ავტორები ოდნავ განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობენ.

თადარიგის გენერალ-ლეიტენანტ ვ. ი. ურანოვის მეშუარეების მიხედვით, რომელიც ასევე ამ ამბების თვითმხილველი იყო, ენვერ ფაშა ორმხრივი სროლისას მოკლეს სოფელ ჩაგანაში ბალჯუანიდან 25 კილომეტრზე⁷²⁸ და არა საკავალერიო შეტაკებაში. უშუალოდ მის მოკვლასთან კი, ალაბეგოვს არავითარი შეხება არ ჰქონია, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მასალებში იყო წარმოდგენილი. ურანოვი ასე აღწერს ენვერ ფაშას მოკვლის ამბავს:

„მე თავიდან ბოლომდე მოწმე ვიყავი თურქეთის სულთნის, ენვერ ფაშას ავანტიურისა, მისი დასაწყისიდან დასასრულამდე. იგი ცდილობდა თავისი ხელმძღვანელობის ქვეშ გაეერთიანებინა ცალკეული ბასმაჩური ბანდები და ისინი „მრისხანე“ ძალად დაეპირისპირებინა წითელი არმიის ნაწილებისათვის. ენვერის ჩანაფიქრს თურქესტანში ახალი მონარქისტული სახელმწიფოს შექმნა და საკუთარი თავის სულთნად გამოცხადება წარმოადგენდა.

მახსენდება ენვერთან ბრძოლის ზოგიერთი მომენტი.

1922 წლის ივლისში ჩვენი მე-5 მსროლელი და მე-2 საკავალერიო პოლკები ენვერს ჩაუდგნენ კვალში, რომელსაც სოფელ კოფრუნში (ტაჯიკეთი) თავდაცვითი პოზიციები ჰქონდა მოწყობილი. ჩვენი კავალერიის სადაზვერვო რაზმმა პირველმა დაინახა სოფლის განაპირა დიდ ბაღში ოქროს ნახევარმთვარიანი მწვანე ღრომა.

⁷²⁶ Г. А. Хидоятов. Гибель Энвер-паши. Ответ таджикским "экспертам" (страницы истории). <http://www.centrasia.ru/newsA.php?st=1234783800>.

⁷²⁷ Георгий Агабеков. ЧК за работой. Глава VI. Убийство Энвер-паши — Приложение к журналу «Отечественные архивы». Выпуск 1. Москва — 1992. Ассоциация «КНИГА • ПРОСВЕЩЕНИЕ • МИЛОСЕРДИЕ», ББК 67.99(2) 116.2 Л63.

⁷²⁸ Уранов В. И. «Победу несли на штыках и клинках» — газета «Ленинец», орган Кирсановского горкома КПСС № 152 (5821), 19.09.1967.

დროშასთან წითელჩაღმიანი გუშაგები იდგნენ. ეს ენვერ ფაშას შტაბი იყო. გვერდით კი მისი რჩეული რაზმი იყო განლაგებული – ენვერის „პირადი გვარდია“. სოფლის გასწვრივ სანგრები იყო ამოთხრილი, რომელიც ბასმაჩებს ჰქონდათ დაკავებული“.⁷²⁹

ურანოვი ყვება ბრძოლის ამბავსაც, საიდანაც ენვერმა შეძლო ცოცხლად თავის დაღწევა. შემდეგ ავტორი აგრძელებს: „ერთი თვის შემდეგ ენვერ ფაშა და მისი რაზმის ნარჩენები სოფელ ჩაგანაში, ქალაქ ბალჯუნთან იქნა აღმოჩენილი (ტაჯიკეთი). მე-16 საკავალერიო პოლკის ესკადრონის ყოჩაღი მეთაური, ივან სავკო თავისი მებრძოლებით ხოხვით მიუახლოვდა ბანაკს და ენვერის რაზმზე მიიტანა იერიში. წამოსწრებულმა სხვა ესკადრონებმა ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს. ორმხრივ სროლაში ენვერი მოკლულ იქნა. მას აღმოუჩინეს წერილები, რომელიც ამ საერთაშორისო ავანტიურისტიკის კავშირებს ადასტურებდა სტამბულთან და ლონდონთან. ასე უსახელოდ დასრულდა თურქი ავანტიურისტიკის სიცოცხლე, რომელსაც „დიდ მხედართმთავრად“ ჰყავდა თავი შერაცხული“.⁷³⁰

გენერალ ურანოვის მემუარებში ბევრი უზუსტობაა გაპარული, ზოგიერთი – არსებითი ხასიათისაც. უპირველეს ყოვლისა, ენვერ ფაშა „თურქეთის სულთან“ არ ყოფილა, როგორც ამას ურანოვი აღნიშნავს, ხოლო ენვერის მოკვლის შემდეგ მემუარებში მოყვანილი ფრაზა – „წერილები, რომელიც ამ საერთაშორისო ავანტიურისტიკის კავშირებს ადასტურებდა სტამბულთან და ლონდონთან“ – აშკარად საბჭოთა პროპაგანდისტული იდეოლოგიის პროდუქტად უნდა მივიჩნიოთ. აქ ყველაფერი გასაგებია. გარკვეულ ღირიულ და სიმბოლიზებულ გადახვევად უნდა მივიჩნიოთ ურანოვისეული პასაჟი – „ოქროს ნახევარმთავარიან მწვანე დროშასთან მდგარი წითელჩაღმიანი გუშაგები“... მაგრამ ეს არაა არსებითი. მთავარი ამ მემუარებში ისაა, რომ ავტორი ენვერ ფაშას რაზმის განადგურებისა და თავად ენვერ ფაშას მოკვლის ამბებს არა ალაბეგოვს ან მელქუმოვს, არამედ, „მე-16 საკავალერიო პოლკის ესკადრონის ყოჩაღი მეთაურის, ივან სავკოს“ მოხერხებულ მოქმედებებს მიაწერს.

როდესაც ჰოსფელდი ენვერ ფაშას მოკვლის ზემოთ მოყვანილი ვერსიებისაგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ენვერ ფაშა ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოკლეს და არა ხმლის დარტყმით. ჰოსფელდი წერს: „სოფელს წითელარმიელთა 300 კაციანი ავანგარდი მიუახლოვდა. მიუხედავად უძემლო მდგომარეობისა, ენვერმა შეტევის ბრძანება გასცა, თავის ცხენს, „დერვიშს“ შეახტა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ წითელარმიელებზე მიიტანა იერიში. იგი სასიკვდილოთ იქნა დაჭრილი“.⁷³¹ ზოგიერთი სხვა წყაროც იმავე ვერსიას იზიარებს – 1922 წლის 4 აგვისტოს ყიშლაყ ობდართან ენვერის მცირე ჯგუფი, დაახლოებით 40 მხედარი, წითელარმიელებს გადაეყარა და მათთან ბრძოლაში ჩაერთო. ძალები არათანაბარი იყო და ენვერ ფაშა ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოკლეს.

ზემოთ მოყვანილი ვერსიებიდან ენვერ ფაშას დაღუპვის კარდინალურად განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს იაროსლავ ბუტაკოვი, რომლის მიხედვითაც ენვერ ფაშა ზურგში გასროლით მოკლა მისმა ერთ-ერთმა თანამებრძოლმა.⁷³²

⁷²⁹ Уранов В. И. «Победу несли на штыках и клинках» — газета «Ленинец», орган Кирсановского горкома КПСС № 152 (5821), 19.09.1967.

⁷³⁰ В. Уранов, генерал-лейтенант в отставке. Октябрь и судьбы людские. "Победу несли на штыках и клинках". 26.09.1967. <http://www.grad-kirsanov.ru/leninetc.php?id=1967.09-10>.

⁷³¹ „Гитлер воспринимал Энвера-пашу в качестве примера“ - Интервью с Рольфом Хосфельдом. <http://www.niv.ru/archive/18/gitler-vosprinimal-envera-pashu-v-kachestve-primera-intervju-s-rolfom-hosfeldom/>.

⁷³² Ярослав Бутаков. Революция на Востоке – дело тонкое... Двуглавый орёл на красном знамени и другие парадоксы революции и гражданской войны в Туркестане. Столетие. ИНФОРМАЦИОННО – АНАЛИТИЧЕСКОЕ ИЗДАНИЕ ФОНДА ИСТОРИЧЕСКОЙ ПЕРСПЕКТИВЫ. 2010. http://www.stoletie.ru/territoriya-istorii/revolucija_na_vostoke_delo_tonkoje_2010-12-08.htm.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ისევე, როგორც ენვერ ფაშას ტაჯიკური ცხოვრებისა და მისი ბასმაჩებთან მოღვაწეობის მთელი პერიოდი, მისი სიკვდილის ამბავიც ბუნდოვანებითა და ილუზიებითაა მოცული. აქაც მითები და რეალობა ერთმანეთშია არეული. ზოგიერთი მონაცემით, იგი 4 აგვისტოს არ მოუკლავთ და მან უფრო დიდხანს იცოცხლა, აგრძელებდა რა დაწყებულ ბრძოლას. ამავე დროს არსებობს ის მონაცემებიც, რომ ენვერის თანამებრძოლმა, ჰაჯი სამიმ სპეციალური შეტყობინება გაუგზავნა აჰმედ-ზაჰი ვალიდისა და თურქესტანის ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტს, რომ ენვერი მოკლული იყო, მაგრამ ეს ცნობა სრულიად საიდუმლოდ უნდა შეენახათ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ხალხისა და ბასმაჩების საბრძოლო სულისკვეთების დაცემა.⁷³³ ენვერის მოკვლის ამბავის დამალვა კი ამ ბრძოლის გაგრძელების შანსს იძლეოდა.

ნამდვილად არ არის ცნობილი, მიხვდნენ თუ არა წითელარმიელები, თუ ვინ მოკლეს შეტაკებისას ბალჯუანთან 4 აგვისტოს. მიუხედავად იმისა, რომ “The New York Times“-ის 1922 წლის 18 აგვისტოს ნომერი უკვე იტყობინებოდა ენვერ ფაშას მოკვლის ამბავს,⁷³⁴ გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ გაზეთ „Правда“-ში ეს ინფორმაცია ოფიციალურად მხოლოდ 11 ოქტომბერს გამოქვეყნდა. ამ საგაზეთო სტატიას ჩვენ ოდნავ ქვემოთ მოვიყვანთ სრულად. მანამდე კი თურქესტანის გაზეთებში ინტენსიურად იბეჭდებოდა ცნობები ენვერის აქტიური მოქმედებების შესახებ. როგორც ჩანს, ბოლშევიკებიც მიხვდნენ, რომ ენვერის ცოცხლად დარჩენის ამბავი მათთვის სასარგებლოც კი შეიძლება ყოფილიყო.

ილმაზის მიხედვით, თურქესტანში გამოძავალი კომუნისტური ჟურნალი „Сирень“ სრულიად წარმოუდგენელ ცნობებს ავრცელებდა ენვერის შესახებ. კერძოდ, გაზეთის 1922 წლის 29 ოქტომბრის ნომერში გამოცხადებული იყო, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოსკოვსა და ენვერს შორის მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქემალისტებთან კი სამხედრო ალიანსიც შეიკრა. სტატიაში ისიც იყო ნათქვამი, თითქოს ენვერ ფაშა იმ მუსლიმანურ შეიარაღებულ შენაერთს მეთაურობდა, რომელიც მუსტაფა ქემალის დაქვემდებარებაში იყო გადასული და ანატოლიაში, ჩანაქის ზონის დაკავებისათვის ბერძნებთან წინააღმდეგ ბრძოლებში ეხმარებოდა მას.⁷³⁵

ენვერ ფაშას შემდგომი მოღვაწეობის შესახებ, ამავე დროს, სხვა განსხვავებული დეზინფორმაციული ვერსიებიც ვრცელდებოდა. ასე მაგალითად, გერმანელმა გენერალმა, ლიმან ფონ სანდერსმა ენვერ ფაშას თურქესტანში აქტიურობის შესახებ სტატია გამოაქვეყნა, რომელიც 1922 წლის 5 აგვისტოს გაზეთ “Le Temps“-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციის საფუძველზე იყო მომზადებული: “Temps“-მა 5 აგვისტოს კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი საინტერესო ტელეგრამის ტექსტი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც მიღწეულია შეთანხმება მოსკოვის მთავრობას, ანგორასა და ენვერ ფაშას შორის, რის საფუძველზეც ენვერ ფაშა დანიშნულია რუსეთისა და თურქეთის ეროვნული ინტერესების საერთო წარმომადგენლად ბუხარაში. თუ ეს ამბავი სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ეს ნიშნავს ბრიტანეთის ანტითურქული აღმოსავლური პოლიტიკის მორიგ ჩავარდნას ახლო აღმოსავლეთში“.⁷³⁶

⁷³³ India Office 1920/73, Statement by Qadir, autumn 1923, quoted in Glenda Fraser, ‘Basmachi-l’ Central Asian Survey, Vol.6, No. 1 (1987), p.61.

⁷³⁴ The New York Times. Enver Pasha slain by Soviet forces. Turk’s War Leader is Left Dead on the Field After Desperate Fight in Bokhara. August 18, 1922.

⁷³⁵ Şuhnaz Yilmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206. India Office Library, IS Meshed, 20 Nov. 1922, quoted in Fraser, ‘Enver Pasha’s Bid for Turkestan, 1920-1922’, p.211.

⁷³⁶ Lord D’Abernon (Berlin), 21 Aug. 1922, No.646, PRO FO 371 8074 (N 7819/6/97) Lord D’Abernon enclosed to his report on the activities of Enver Pasa in Turkestan transmits the summary of a related article by Liman von Sanders in li)ssi.sc(he Zeitung dated 12 Aug. 1922.

ქართული საბჭოთა პრესა კი, ოსმალურ წყაროებზე დაყრდნობით, აგვისტოს შუა რიცხვებში ენვერ ფაშას შესახებ აწმყო დროში საუბრობს და არანაირად არ ეხმაურება ენვერის ბრძოლაში მოკვლის ამბავს. ასე მაგალითად, გაზეთ „კომუნისტის“ 16 აგვისტოს ნომერში ვკითხულობთ: „ოსმალური გაზეთი „ილლერი“, ენება რა ენვერ ფაშას მოღვაწეობას, ამბობს, რომ ენვერი ირგებს სხვადასხვა ცვლილებას: ის არის პანისლამისტი ოსმალეთში, ბოლშევიკი რუსეთში და ანტიბოლშევიკი ბუხარაში. მისთვის არ არსებობს არავითარი განსხვავება ნაციონალიზმისა და ათეიზმის, კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის პრინციპებს შორის“.⁷³⁷

განსხვავებული ვერსიები ვრცელდებოდა ბრიტანული წყაროების მიერ. ამ მონაცემების საფუძველზე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს (British Foreign Office – FO) დოკუმენტების მიხედვით, სექტემბრის თვეში, ენვერის მოკვლიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ, ფერღანაში მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ენვერმა გაქცევით უშველა თავს და სადღაც მიუვალ მთებში იმალებოდა. მათ ისიც სჯეროდათ, რომ ენვერისთვის მცირე დახმარების გაწევის შემთხვევაშიც კი, იგი ისევ შეძლებდა ბოლშევიკთა წინააღმდეგ მთელი თურქესტანის ამბოხებას.⁷³⁸

1922 წლის ნოემბრის ბოლოს, იმავე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სულ სხვა, ზემოთ წარმოდგენილი ვერსიისაგან კარდინალურად განსხვავებული ვერსია გავრცელდა, თითქოს სამინისტრომ მეშხედის სადაზვერვო სამსახურებიდან მიიღო საიდუმლო შეტყობინება ენვერის ხელმძღვანელობით დაწყებული ახალი ამბოხების შესახებ.⁷³⁹ თუმცა, იმავე ბრიტანულ წყაროებში იმავე დროს ჩნდება შეტყობინებებიც ენვერ ფაშას მოკვლის შესახებ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ოქტომბრის ბოლოს ავღანეთის პრესაში ჩნდება ენვერის მკვლელობის თვითმხილველთა სტატიებიც.⁷⁴⁰ ზოგიერთი მონაცემით, ენვერი ტყვიამფრქვევის სამი ტყვიით მოკლეს, მისი სხეული კი თითქოს სრული პატივის მიგებით მიაბარეს მიწას. შუჰნაზ ილმაზიც იძიებდა იმ ვერსიას, რომ ენვერ ფაშა ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოკლეს გაათვრებულ შეტაკებაში.

ენვერ ფაშას დაღუპვის სრულიად განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობენ ტაჯიკური წყაროები. აქ საუბარია არა მხოლოდ ენვერ ფაშას მკვლელობის თარიღის – 4 აგვისტოს ეჭვქვეშ დაყენებაზე, არამედ მისი ცხოვრების ბოლო დღეების სრულიად განსხვავებულ წარმოდგენაზე. აკადემიკოსმა რახიმ მასოვმა, ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის ა. დონიშის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, ყურადღება ყველასაგან მივიწყებულ ერთ ძველ ხელნაწერს მიაქცია, სათაურით „უკანასკნელი ბრძოლა“, რომელიც ტაჯიკ ავტორს, ვინმე „ყურმურადს“ ეკუთვნის. აღნიშნული პუბლიკაცია არა სამეცნიერო, არამედ მხატვრული ხასიათის ნაწარმოებია და თავისი ფორმიტა და სტრუქტურით არცთუ ისე ვრცელ პოემას წარმოადგენს. მას დაშიფრული შარადის ფორმა აქვს, რომელიც 272 სტრიქონისაგან შედგება. მიუხედავად პუბლიკაციის არასამეცნიერო ხასიათისა, პოემა თავისი შინაარსით, გადმოცემის ფორმითა და ჩანაფიქრით მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია.

⁷³⁷ გაზეთი „კომუნისტი“. 1922 წლის 16 აგვისტო, ოთხშაბათი. №187.

⁷³⁸ PRO FO 371/ 8075 (N 10281/6/97).

⁷³⁹ Meshed Intelligence Diary, India Office, 25 Nov. 1922, No.P 4635 (confidential) FO 371/ 8080 (N 10497/173/97). Part of the reason that the news about Enver's death arrived at the Foreign Office so late was the long delays in the transmission of the copies of the Meshed Intelligence Diaries. For example, the cited document transmits copies diaries form periods ending 25 Sept. and 2 Oct.

⁷⁴⁰ North West Frontier Province Intelligence Bureau Diary, India Office, 1 Dec. 1922, No.P 4716 (confidential) PRO FO 371/8080 (N 10675/173/97). This report transmits a copy of diary No.40 for the week ending 19 Oct. 1922. But as can be seen from the dates the British Foreign Office received the news of the death of Enver as late as December. Copies were also sent to Director of Military Intelligence and Air Ministry.

შარადის ავტორი ყურადღებას იქცევს თავისი დაკვირვებულობით, ტოპონიმიკის სიზუსტით, გეოგრაფიულ ობიექტთა დასახელებების, ადგილმდებარეობის წარმოდგენითა და მათი გადმოცემის დეტალიზაციით, რელიეფისა და ლანდშაფტის აღწერილობით, ჯარების რაოდენობის, განლაგებისა და შეიარაღების მონაცემების ზუსტი მოწოდებით, პერსონების დასახელებით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პოემის სანდოობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ აკადემიკოსი მასოვი პოემის ავტორს ამ ამბების არა მხოლოდ თვითმხილველად, არამედ მის უშუალო მონაწილედაც მიიჩნევს.

განვითარებული მოვლენების აღწერის საერთო სტილი მიუთითებს ამ დრამის მონაწილე მთავარ პირებთან ავტორის დამოკიდებულებაზე. ენვერთან და მის ბასმაჩებთან მიმართებაში იგი აშკარად დადებითია, თუმცა ავტორი ახერხებს ამის მოხერხებულად შენიღბვას. აკადემიკოსი მასოვი იმასაც კი უშვებს, რომ „უკანასკნელი ბრძოლის“ ავტორის, „ყურმურადის“ ფსევდონიმის ქვეშ ბასმაჩთა ცნობილი ლიდერი, შირა მუჰამედ ყურშირმატი ინიღბება.

პოემაში საუბარია შემდეგ დეტალებზე: ენვერ ფაშასათვის მკერდზე მიყენებულ ორ ცეცხლნასროლ ჭრილობაზე, დავლათ მინ ბეის ტყვიით გახვრეტილ ფილტვზე, წითელი მეთაურების ეროვნებაზე, ბრძოლის მონაწილე ბასმაჩთა და წითელარმიელთა რაოდენობაზე, მათი საბრძოლო პოზიციების განლაგებაზე, ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების რიცხვზე, ენვერ ფაშას ინგლისური წარმოების კარაბინზე, რომელიც რუსულ ვაზნაზე იყო მორგებული, ენვერ ფაშას წინასწარმეტყველურ სიზმარზე, მომაკვდავი დავლათ მინ ბეის სისხლით გავსებულ ამერიკულ ჩექმებზე, იმ დილით ენვერის რაზმის მიერ დაკლული ცხვრების რაოდენობაზე, ენვერ ფაშასა და დავლათ მინ ბეის საუბრის დეტალებზე და ა.შ.⁷⁴¹

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ამ შარადის ყველა დეტალის წარმოდგენას, ვიტყვიტ მხოლოდ იმას, რომ აღნიშნული მასალის დეტალური შესწავლის საფუძველზე აკადემიკოს მასოვს ენვერ ფაშას უკანასკნელი ბრძოლისა და მისი მოკვლის შესახებ მთელი რიგი საინტერესო და სხვა ავტორებისაგან დიამეტრალურად განსხვავებული დასკვნები გამოაქვს. კერძოდ, იგი თვლის, რომ ენვერ ფაშას არა ხუთი, არამედ ორი ტყვია მოხვდა მკერდში და ყველაზე მთავარი – იგი არა 4, არამედ 8 აგვისტოს გარდაიცვალა. და არა ბრძოლაში მიყენებული ჭრილობებით, არამედ რაზმში ჩანერგილი ჩეკას აგენტის მიერ ზურგში ნასროლი ტყვიით. ამ მხრივ, იგი ბუტაკოვის ზემოთ მოყვანილ ვერსიას იმეორებს. აშკარაა, რომ როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო პრესაში, აგრეთვე სხვადასხვა პუბლიკაციებსა და მემუარულ მასალაში ენვერ ფაშას მკვლელობისა თუ მისი შემდგომი მოღვაწეობის ზემოთ წარმოდგენილი მასალები ნათლად აჩვენებენ იმას, რომ აღწერილი ამბების გაშუქების თანმიმდევრობასა და დინამიკაში სრული ქაოსი სუფევს.

საბჭოთა ცენტრალურმა პრესამ ოფიციალურად მხოლოდ 11 ოქტომბერს გამოაქვეყნა ენვერ ფაშას მოკვლის ამბავი. ამ საგაზეთო სტატიას სრულად წარმოვადგენთ. გაზეთ „Правда“-ს 1922 წლის 11 ოქტომბრის ნომერი, საკმაოდ მყვირალა სათაურით – „ენვერ ფაშა მოკლულია“, წერდა: „უკანასკნელ ხანს გავრცელდა ხმები, რომ ენვერ ფაშა ცოცხალია და იმყოფება გზად ინდოეთში. ჩემს მოვალეობად ვთვლი აღვადგინო ის გარემოებები, სადაც მოკლულ იქნა ენვერ ფაშა, რაც სრულიად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ენვერ ფაშა ცოცხალია.

4 აგვისტოს ქალაქ ბალჯუანიდან 12 ვერსზე წითელი არმიის აღმატებულმა ძალებმა ალყაში მოაქციეს ბასმაჩთა რაზმი, რომლის შემადგენლობაშიც ენვერ ფაშა და

⁷⁴¹ P. M. Masov. Экспертная оценка – КАК ПОГИБ ЭНВЕР-ПАША В ГОРАХ ТАДЖИКИСТАНА. Таджикская версия. Информационно-Аналитический Центр. Лаборатория общественно-политического развития стран ближнего зарубежья. 2008. <http://www.ia-centr.ru/expert/1809/>.

მისი თანაშემწე, ცნობილი ბასმაჩი ბელადი დავლათ მინ ბეიცი იმყოფებოდნენ. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ რაზმი განადგურებულ იქნა. მოკლულთა შორის ნაპოვნი იქნა ტყვიამფრქვევის ხუთი ტყვიით მოკლულის გვამი, რომელიც ჩაცმული იყო ინგლისურ კოსტუმში, ჩექმებსა და თურქულ ქუდში. გვამს ჯიბეში უპოვეს ენვერ ფაშას ორი პირადი ბეჭედი, მისი პირადი მიმოწერა ცოლთან და შვილის წერილი ბერლინიდან, მათ შორის დაშიფრული. ადგილობრივმა მოსახლეობამ ენვერ ფაშას გვამი ამოიცირო. ტყვედ აყვანილმა ბასმაჩებმაც დაადასტურეს, რომ მოკლულის გვამი ენვერ ფაშასი იყო. ის პირებიც დაეთანხმნენ ამ მბავს, ვინც მას იცნობდა.

ამავე დროს მძიმედ იქნა დაჭრილი დავლათ მინ ბეი, რომელიც დაჭრილი ენვერ ფაშას ცეცხლის ზაზიდან გაყვანას და მის გადარჩენას ცდილობდა. მისი გამოკითხვა ვერ მოხერხდა, რადგან იგი გონებაზე მოუსვლელად მოკვდა.

მოცემულ მომენტში აღმოსავლეთ ბუხარის ბასმაჩური მოძრაობა გატეხილი და დეზორგანიზებულია. მხოლოდ ცალკეული ჯგუფები მოქმედებენ საკუთარი რისკის ფასად. ისინი ძირითადად მარცვა-გლეჯით არიან დაკავებულნი. აღარ არსებობს არავითარი საორგანიზაციო ცენტრი, არ იგრძნობა ერთიანი მამოძრავებელი ნების არსებობაც. მოცემულ მომენტში ენვერ ფაშას მეორე თანაშემწე დანეარი ისევ ცდილობს ბასმაჩური მოძრაობის ერთიან ძალად შეკვრას, მაგრამ ამისათვის მას არც შესაბამისი ავტორიტეტი გააჩნია და არც ენვერ ფაშას ტალანტი.

ამრიგად, ენვერ ფაშას სიკვდილის გარემოებები და შემდგომი პერიოდი, ისევე როგორც ეს უკანასკნელი ოფიციალური ცნობები, ამტკიცებენ ენვერ ფაშას უეჭველ სიკვდილს. როგორც ჩანს, ვილაცას აწყობს მისი გადარჩენის ლეგენდის არსებობა.⁷⁴²

სტატიის ავტორებმა ბოლშევიკთა პროპაგანდისტულ ხრიკებს აქაც ვერ აუარეს გვერდი. „ინგლისურ კოსტუმში, ჩექმებსა და თურქულ ქუდში“ გამოწყობილი ენვერ ფაშას გვამის პოვნა აშკარად ქვეცნობიერად მიანიშნებდა მკითხველს ექსოსმალო გენერლის „ბრიტანეთის აგენტად“ თუ „ინგლისელთა ლაქიად“ მოქცევის შესახებ. აქაც ყველაფერი გასაგებია.

„მარადიულ მეომართან“ დაკავშირებული ლეგენდები ლეგენდებად დარჩეს, მაგრამ ბასმაჩურ მოძრაობასთან მიმართებაში იმას კი ვიტყვით, რომ ენვერ ფაშას ლიკვიდაციის შემდეგ, დაწყებული 1922 წლის სექტემბრიდან, ბოლშევიკებმა საბოლოოდ მოახერხეს ბასმაჩთა სხვადასხვა რაზმის ერთმანეთთან დაპირისპირება და ამით შუა აზიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასუსტება. ბოლშევიკთა მიერ წამოწყებული ლიბერალური პოლიტიკის ფონზე, ბასმაჩთა გარკვეულმა ნაწილმა იარაღის ჩაბარებაც კი დაიწყო. მაგრამ აქ საბჭოელებმა უმაღლეს ტავიანთი შემდგომი მოქმედებების ტაქტიკა და ისევ „მკაცრი ხელის“ პოლიტიკის გატარებას დაუბრუნდნენ. საბჭოთა მთავრობამ გამოსცა განაკარგულება, რომლის თანახმადაც დატყვევებული ბასმაჩები და ყურბაშები არა სამხედრო-საველე სასამართლოების წინაშე, არამედ უშუალოდ რევოლუციური ტრიბუნალის წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ. გამონაკლისები უკვე არც იმ ბასმაჩებისათვის კეთდებოდა, რომლებიც ნებით აბარებდნენ იარაღს.⁷⁴³

1923 წლის ზაფხულისათვის თურქმა ოფიცერმა, სელიმ ფაშამ, რომელმაც ენვერ ფაშას სიკვდილის შემდეგ შეცვალა ეს უკანასკნელი ბუხარელი ბასმაჩების მეთაურის როლში, საბჭოთა თურქესტანი დატოვა. ბასმაჩურმა რაზმებმა, რომლებმაც ისევ ვერ გაუძლეს წითელარმიული რაზმების დაწოლას, მაღალმთიან რაიონებს შეაფარეს თავი.

⁷⁴² Газ. „Правда“. 11 Октября. Среда. #229.

⁷⁴³ Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499>.

ამავე 1923 წელს განხორციელდა სამარყანდის ბასმაჩური მოძრაობის მთლიანი ლიკვიდაცია.

ენვერ ფაშას ლიკვიდირებისა და მისგან მომდინარე საფრთხეების აღმოფხვრის შემდეგ საბჭოელები ისევ ცვლიან თავიანთი მოქმედებების ტაქტიკას. 1923 წლის ბოლოს თურქფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი და ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსი, ბორის შაპოშნიკოვი⁷⁴⁴ თავის დირექტივაში წერდა:

„ფრონტის ხელმძღვანელი პარტიული ამხანაგებისათვის ცნობილია, რომ ბასმაჩთა წინააღმდეგ მიმართული ჩვენი ბრძოლა რკპ ცეკას დირექტივებისა და ამხ. ტროცკის განკარგულებების საფუძველზე მიმდინარეობდა, რომელთა არსი დაუნდობელი კურსის გატარებასთან იყო დაკავშირებული – სამხედრო ზეწოლით ბასმაჩური რაზმების განადგურება. არავითარი ნახევარზომების გატარება, არავითარი დათმობები, არავითარი მოლაპარაკებები – ასეთი იყო ჩვენი მთავარი მიმართულება. ეს ტაქტიკა ერთადერთ სწორ მეთოდს წარმოადგენდა გასულ პერიოდში ბასმაჩებთან ბრძოლის საქმეში, რასაც სრულად ადასტურებს პრაქტიკაში მიღწეული შედეგები.

ამჟამად:

1. მისაღები და აუცილებელია, წმინდათ სამხედრო მოქმედებებისა და პოლიტიკური ზომების გატარების გარკვეული კომბინაცია, რომელიც მიმართული იქნება ბასმაჩური მოძრაობის გახრწნის, დასუსტებისა და დაშლისაკენ;
2. ასეთ ზომებს, პირველ რიგში, ახალი სადამსჯელო პოლიტიკის გატარება განეკუთვნება, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ მკვეთრად გავმიჯნოთ იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარება საბრძოლო მოქმედებებში აყვანილი ტყვეების საკითხისაგან. პირველ შემთხვევაში – შეწყალება, მეორე შემთხვევაში – სასამართლო განაჩენი. რა თქმა უნდა, ყველა ბასმაჩთან და ყურბაშთან მიმართებაში ინდივიდუალურად;
3. მძევლების აყვანა, ზოგადად, დაუშვებელია;

⁷⁴⁴ ბორის მიხაილოვიჩ შაპოშნიკოვი (1882-1945) – მეფის არმიის პოლკოვნიკი, საბჭოთა სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, სამხედრო სტრატეგოსი და თეორეტიკოსი, I მსოფლიო ომის, რუსეთის სამოქალაქო ომისა და II მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, საბჭოთა კავშირის მარშალი, „ვოენსპეცი“. 1901-1903 წლებში სწავლობდა მოსკოვის ალექსეის სამხედრო სასწავლებელში. 1903-1907 წლებში მსახურობდა თურქესტანის მსროლელ ბატალიონში, ნახევარასული მეთაურის თანამდებობაზე. 1907-1910 წლებში სწავლობდა გენერალური შტაბის აკადემიაში. მისი დასრულების შემდეგ იღებს შტაბს-კაპიტნის წოდებას. 1912 წელს ინიშნება მე-14 საკავალერიო დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად. I მსოფლიო ომის დაწყებისას იბრძვის დასავლეთის ფრონტზე. 1915 წლის იანვარ-ნოემბერში მე-12 არმიის შტაბის დაზვერვის განყოფილების უფროსი ადიუტანტის თანაშემწეა. შემდეგ ცალკეული შერეული კაზაკთა ბრიგადის შტაბის უფროსი. 1917 წლიდან ინიშნება მეგრული გრენადერთა პოლკის მეთაურად და ენიჭება პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. იმავე წლის ნოემბრიდან სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დელეგატთა ყრილობის გადაწყვეტილებით ინიშნება კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაურად. 1918 წლის 22 მაისიდან წითელი არმიის რიგებშია, მსახურობს სხვადასხვა სამეთაურო და საშტაბო თანამდებობებზე. რუსეთის სამოქალაქო ომის მსვლელობისას ძირითადად საშტაბო სამუშაოზეა. ამუშავებდა ფრონტებისა და არმიებისადმი დაგზავნილ ძირითად დირექტივებს, ბრძანებებსა და განკარგულებებს. რუსეთის სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, 1925-1927 წლებში ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალია, შემდეგ – მოსკოვის ოლქისა. 1928-1931 წლებში მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსია. 1930 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრია. 1932-1935 წლებში მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის უფროსი, სამხედრო კომისარი და პროფესორია. 1937 წლის 10 მაისს ინიშნება წითელი არმიის გენშტაბის უფროსად. 1940 წლის 7 მაისს ენიჭება საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება. 1939 წლის 10 მაისიდან 1941 წლის 9 აპრილამდე საბჭოთა კავშირის თავდაცვის კომიტეტის წევრია. 1941 წლის 29 ივლისს ისევ ინიშნება წითელი არმიის გენშტაბის უფროსად. თანამდებობიდან მოხსნეს გერმანელთა მიერ ყირიმის ფრონტის განადგურების გამო 1942 წლის 11 მაისს. 1942 მაისიდან 1943 ივნისამდე საბჭოთა კავშირის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილეა, შემდეგ ინიშნება გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის უფროსად. გარდაიცვალა 1945 წლის 26 მარტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. მარშალი შაპოშნიკოვი ფორმალურად წარმოადგენს II მსოფლიო ომის მსვლელობისას დაკარგულ ერთადერთ საბჭოთა კავშირის მარშალს. მიუხედავად იმისა, რომ შაპოშნიკოვი მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი იყო, სტალინი მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. მარშალი იგი იმ მცირე ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელსაც სტალინი სახელითა და მამის სახელით მიმართავდა და არა „Товарищ Шапошников“.

4. სიკვდილით დაისაჯონ ბასმაჩთა დახმარების გამწვევი განსაკუთრებით ბოროტად განწყობილები, რომლებიც ამას ნებაყოფლობით აკეთებდნენ და არა შეცდომაში შეყვანილები;
5. გაეწიოთ სამეურნეო დახმარება იმ რაიონების მოსახლეობას, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალებულნი იყვნენ ბასმაჩობით, რაც მათ საშუალებას მისცემს, დროზე დაუბრუნდნენ მშვიდობიან შრომას;
6. ამავე დროს უნდა გაძლიერდეს სამხედრო ზეწოლა;

ასეთი ტაქტიკა, ეჭვს გარეშეა, გააძლიერებს ბასმაჩთა ნარჩენების გახრწნისა და განადგურების პროცესს. საუბარი უნდა მიმდინარეობდეს ამ ზომების საჩქაროდ გატარების შესახებ, რაც უნდა განახორციელონ სამხედრო, სამხედრო-პარტიულმა, სადამსჯელო და სხვა ორგანოებმა. ამავე დროს, არსებობს ცნობები, რომ ყველა ამხანაგს არა აქვს გათავისებულები ამ ზომების გატარების აუცილებლობა, ხოლო ამ ახალი პოლიტიკის შესახებ მიმდინარეობს გარკვეული მითქმა-მოთქმები. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ნებისმიერი ფორმით ამ ახალი ხაზის განსჯის ყველანაირი მცდელობა, ღია იქნება ეს თუ დახურული, და მიჩნეულ იქნას იგი ანტიპარტიულ მოქმედებათ. ამით ჩვენ უზრუნველყოფთ ჩვენი მძლავრი სამხედრო-პარტიული პოლიტიკური აპარატის ერთიანობას.

კომუნისტური მოკითხვით – ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი და ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსი, შაპოშნიკოვი⁷⁴⁵

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბასმაჩური რაზმების საბოლოო დამარცხების მიზეზი საბჭოელთა მიერ გატარებული პოლიტიკის გადახედვა, მათი რაციონალური მონაცვლეობა და სამხედრო მოქმედებათა ტაქტიკებთან სინქრონული ურთიერთქმედება იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლებამ დროზე გაიაზრა, რომ წარმატება მხოლოდ სამხედრო მოქმედებებით არ განისაზღვრებოდა. ამისათვის, პირველ რიგში, მოსახლეობის მხარდაჭერა იყო აუცილებელი. აქედან გამომდინარე, მათ მოქმედებების სწორი სტრატეგია შეიმუშავეს და ადგილობრივ მოსახლეობასთან არსებული კონფლიქტები დაარეგულირეს. ხალხზე ზეწოლის პოლიტიკა შერბილდა და შელამაზდა, ტერორი ისევ შესუსტდა, ისლამური ინსტიტუტები კი თავის ძველ უფლებებში აღსდგა. შედეგი იყო ის, რომ 1924 წლისთვის ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა კრებებმა საბჭოთა ხელისუფლება „ალაჰის მიერ ბოძებულ“ ხელისუფლებად აღიარეს. ასეთი ქმედებებით საბჭოელებმა ბასმაჩურ მოძრაობას გარკვეული იდეოლოგიური საფუძველიც გამოაცალეს, რამაც, საბოლოო ჯამში, ბასმაჩური რაზმების ადგილობრივი მოსახლეობისაგან შევსების წყაროს დახშობა და ბოლოს კი საერთოდ ამ მოძრაობის გაქრობა გამოიწვია.⁷⁴⁶

დაუბრუნდეთ ისევ ენვერ ფაშასა და მისი ამქვეყნიური ტანჯული ცხოვრების გზას. 1996 წელს ისმაილ ენვერ ფაშას საფლავს მიაკვლიეს. „სტამბოლი: ენვერ ფაშას (1881-1922) – „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის ლიდერისა და I მსოფლიო ომის წლებში ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატის წევრის დაკრძალვის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა სტამბოლში კვირას, 5 აგვისტოს. დაკრძალვის სამხედრო ცერემონიალს ესწრებოდნენ ქვეყნის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, მინისტრები, დეპუტატები და თურქეთის გენერალიტეტი. ოსმალთა გენერლისა და ყოფილი სამხედრო მინისტრის ნეშტი, რომელიც ტაჯიკეთიდან იქნა გადმოსვენებული, პარასკევს მიაბარეს

⁷⁴⁵ Письмо Начальника Политуправления Туркфронта от 18 декабря 1923 г. <http://mreadz.com/new/index.php?id=29900&pages=13>.

⁷⁴⁶ Кандидат исторических наук Шевченко, Данил Викторович. Басмаческое движение. Политические процессы и вооруженная борьба в Средней Азии :1917-1931 гг. Тема диссертации и автореферата по ВАК 07.00.02. Научная библиотека диссертаций и авторефератов. Иркутск. 2006. <http://www.dissercat.com/content/basmacheskoe-dvizhenie-politicheskie-protsessy-i-vooruzhennaya-borba-v-srednei-azii-1917-1931#ixzz3D5RQ2FyR>.

მიწას ქავლაიანის რაიონის მემორიალურ მთაზე“, – იტყობინებოდა გაზეთი “New York Times“.⁷⁴⁷ ზუსტად 74 წლის განმორების შემდეგ ამ უკვდავი „მარადიული მეომრის“, თურქეთის რევოლუციისა და ოსმალეთის იმპერიის მმართველი ტრიუმვირატის ლიდერის ნემტი მშობლიურ მიწას დაუბრუნდა. ენვერ ფაშას საფლავი დღეს სტამბოლის იმავე სასაფლაოზეა, სადაც მისი ყოფილი თანამოაზრისა და თანამებრძოლის, ოსმალთა იმპერიის ყოფილი დიდი ვეზირის, მეჰმედ თალათ ფაშას საფლავია. ისინი გვერდიგვერდ არიან დაკრძალულნი, მათ საფლავებს კი ერთნაირი და მოკრძალებული არქიტექტურული ფორმები ამშვენებს.

ასე დასრულდა „დიდი თურქული ტრიუმვირატის“ დაძაბული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა. საერთო ჯამში, ბოლშევიკებთან დაპირისპირებაში მუსტაფა ქემალმა და ქემალისტებმა გაიმარჯვეს, ენვერ ფაშა და ექსიტიჰადისტები კი, დამარცხდნენ. როგორც XX საუკუნის 20-იანი წლების ინგლისელი დიპლომატი, ვიცე-პოლკოვნიკი პერსი ეთერტონი (P. T. Etherton) აღნიშნავდა, „ენვერის დამარცხებასთან ერთად მისი გრანდიოზული გეგმებიც მოუსაველში წავიდნენ“.⁷⁴⁸

როგორი დასკვნებიც არ უნდა გამოიტანონ ისტორიკოსებმა და მკვლევარებმა ბოლშევიკურ-იტტიჰადისტური ურთიერთობებისა და იმ ენიგმას შესახებ, რომელიც კრემლსა და ოსმალთა იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის წევრებს შორის არსებობდა 1920-1922 წლებში, რა ტიპის ანალიზიც არ უნდა ჩატარდეს ბოლშევიკურ-იტტიჰადისტურ ურთიერთობებზე, ფაქტია, რომ 1922 წლის 4 აგვისტოს ყველაფერს წერტილი დაესვა. ამ დღეს გენერალ ისმაილ ენვერ ფაშასა და ექსიტიჰადისტების მიერ 1919 წელს წამოწყებული, ბოლშევიკურ-რევოლუციური სულისკვეთებით უზვად გაჯერებული და მეტად სახიფათო დიდი პოლიტიკური თამაშები დასრულდა. თურქთა ეფემერული სამშობლოს – „დიდი თურანისა“ და დიდი თემურ ლენგის ახალი სახელმწიფოს შექმნა ვერ მოხერხდა.

ენვერ ფაშასა და იტიჰადისტებისაგან განსხვავებით, ლენინმა და ბოლშევიკებმა შეძლეს ეფემერული რუსული „მესამე რომის“ იდეოლოგიის ხორცშესხმა „მესამე ინტერნაციონალში“, მაგრამ ამით ყველაფერი დასრულდა. მათ ვერ შეძლეს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის კონცეფციით შენიღბული და რუსულ მესიანისტურ იდეაზე დაფუძნებული აღმოსავლური ექსპანსიისა და „ავღანურ-ინდური რევოლუციის“ განხორციელება, შესაბამისად – ვერც რუსული იმპერიის განგრცობა შეძლეს „თბილ ზღვებამდე“. კონსტანტინოპოლიც ისევ თურქთა ქალაქად დარჩა. ენვერ და ჯემალ ფაშების გაბედული ჩანაფიქრები კი, მათი რევოლუციური პანისლამიზმის იდეოლოგია და პანთურქიზმისა და ისლამინტერნის იდეებზე დამყარებული დიდი თურანის შექმნის მასშტაბური პროექტი სამუდამოდ დასამარდა...

⁷⁴⁷ Constantinople. The New York Times. August 6. 1996.

⁷⁴⁸ Etherton P. T. In the heart of Asia. Publisher: London: Constable and Company. London, 1925. Pg. 237. <http://www.abebooks.co.uk/Heart-Asia-Etherton-Lieut.-Colonel-P.T.London/54524926 76/bd>.

§6.8. საომარი მოქმედებების სტრატეგია და ზოგადი ტაქტიკური ანალიზი

გასული საუკუნის 10-30-იან წლებში ცენტრალურ აზიაში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესების კვლევით არაერთი მეცნიერი დაინტერესდა, რომლებმაც მეტ-ნაკლები სისრულით შეისწავლეს აღნიშნული საკითხი და შესაბამისი შრომებიც დადეს. მიუხედავად ამისა, იქ მიმდინარე პროცესების ზოგიერთი ასპექტი მაინც არ არის ბოლომდე გამოკვლეული და მათი მეცნიერული შესწავლა არა მარტო ისტორიული, არამედ სამხედრო კუთხითაც მეტად აქტუალურია. ამ თვალსაზრისით, შუააზიელ მეამბოხეთა, ე.წ. ბასმაჩთა მიერ საბჭოელების წინააღმდეგ წარმოებული ომის შესწავლა განსაკუთრებით სწორედ სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. ეს თანაბრად ეხება როგორც ომის ხასიათის კვლევას, ასევე მისი ტაქტიკური მონახაზების შესწავლასა და ანალიზს. საკითხთა სპექტრი კი მართლაც მრავალწახნაგოვანია – დაპირისპირებულ მხარეთა ძალები, მათი შეიარაღება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები, ომის ხასიათი და მისი ცვლილებები, წითელი არმიის შენაერთებისა და ნაწილების, აგრეთვე ბასმაჩური რაზმებისა თუ ჯგუფების მიერ გატარებული სამხედრო სტრატეგიები, საბრძოლო ტაქტიკები და ა.შ.

ზოგადად, ცენტრალურ აზიაში აგორებული წინააღმდეგობის ბასმაჩურ მოძრაობასთან, თავად ბასმაჩებსა და მათ საბრძოლო ტაქტიკებთან დაკავშირებით მრავალი მითი არსებობს, რომელიც სიმართლისაგან ძალიან შორსა დგას. ხშირად საქმის ვითარება სწორედაც რომ კარდინალურად საპირისპიროა. ამიტომ საჭიროა გარკვეული სიცხადე შევიტანოთ ამ საკითხში. მოცემულ საკითხს კი შემდეგი სქემით განვიხილავთ – შეიარაღება, საბრძოლო ტაქტიკები და საომარი სტრატეგიები.

პირველ რიგში ბასმაჩთა შეიარაღების საკითხები განვიხილოთ.

რატომღაც დამკვიდრებულია აზრი, რომ ბასმაჩები „კბილებამდე“ იყვნენ შეიარაღებულნი უახლესი სისტემის იარაღით, აღჭურვილობითა და ტექნიკური საშუალებებით. საუბარი ძირითადად შეეხება გერმანული წარმოების C-96 „მაუზერის“ პისტოლეტს, „მაუზერისვე“ სისტემის 1898 წლის ნიმუშის შაშხანას, ინგლისური წარმოების „ლუისის“ მსუბუქ და „მაქსიმის“ დაზვის ტყვიამფრქვევებს, რუსული წარმოების მოსინის სისტემის 1902 წლის ნიმუშის ე.წ. სამხაზიან შაშხანას, საბრძოლო ვაზნებს და ა.შ. ამ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული სიცხადის შეტანაა საჭირო.

XX საუკუნის დასაწყისის ძალიან პოპულარულ იარაღზე, გერმანული წარმოების 7,63 მმ კალიბრის C-96 Mauser-ის პისტოლეტზე ღირს შეჩერება. საქმე იმაშია, რომ ამ იარაღთან მიმართებაში საყოველთაოდაა გავრცელებული ის აზრი, თითქოს I მსოფლიო ომში, რუსეთის სამოქალაქო ომსა და ბოლშევიკთა მიერ ცენტრალური აზიის ოკუპაციისათვის წარმოებულ ომში დაპირისპირებული მხარეები ძირითადად ამ ტიპის პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულნი, განსაკუთრებით, კავალერია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ასეთი მოსაზრებები მითოლოგიის სფეროდანაა და მას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია.

არ შევჩერდებით „მაუზერის“ პისტოლეტის ბალისტიკური და ტაქტიკურ-ტექნიკური მაჩვენებლების განხილვაზე და მოკლედ ვიტყვით, რომ იმ დროისთვის იგი მართლაც ერთ-ერთ საუკეთესო ცეცხლსასროლ იარაღს წარმოადგენდა. თავისი დანიშნულებით იგი მძიმე საარმიო პისტოლეტების რიგს განეკუთვნებოდა და შექმნილი იყო სპეციალური ტექნიკური ნაწილების პირადი შემადგენლობისათვის ძირითად საბრძოლო იარაღად. ვგულისხმობთ არტილერიას, ავიაციას, ჯავშანტექნიკას, კავშირგაბმულობას, სამთო ქვედანაყოფებს. გასაგებია, რომ შაშხანებითა და კარაბინებით ამ

პერსონალის შეიარაღება აღნიშნული იარაღის ზომების, დანიშნულებისა და ტექნიკურ-ტაქტიკური მონაცემების გამო შეუძლებელი იყო. სწორედ „მაუზერის“ პისტოლეტებით, ამ სრულყოფილი და შორსმსროლელი მცირე ზომის ცეცხლსასროლი იარაღით მოხდა აღნიშნული სახეობისა და გვარეობის ჯარების პირადი შემადგენლობის შეიარაღებაში არსებული შაშხანებისა და კარაბინების ჩანაცვლება.

ამ პისტოლეტების გარკვეული რაოდენობა, 1912 წლის ნიშნის დაახლოებით 20 ათასი ცალი „მაუზერის“ პისტოლეტი, საბჭოელებმა 20-იანი წლების დასაწყისში შეიძინეს გერმანიისაგან (ვაიმარის რესპუბლიკა), რომელიც მორგებული იყო რუსული 7,65 მმ კალიბრის ვაზნას.⁷⁴⁹ ჩვენ ხელთ არა გვაქვს უტყუარი ცნობები ამ გარიგებაში ენვერ ფაშას უშუალო მონაწილეობის შესახებ, მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ამ საქმეში სწორედ მას ელო ლომის წილი გენერალ ჰანს ფონ სექტთან ერთად. ამის შესახებ ნაშრომის შესაბამის თავში გვქონდა უფრო არსებითი საუბარი.

გერმანიისაგან განსხვავებით, რუსეთში ეს იარაღი უმაღლესი სამეთაურო შემადგენლობისათვის იყო განსაზღვრული და მასზე ხელი მხოლოდ წითელი არმიის ელიტას და პოლიტკომისრებს მიუწვდებოდათ. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს პისტოლეტები პირველი ქართული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, პირველ რიგში კი, სახალხო გვარდიის მეთაურებსაც ჰქონდათ. აქაური მოწოდების წყარო გარკვეულია და იგი განსხვავდებოდა საბჭოელთა მოწოდების არხისაგან. 1918 წლის ბოლოდან საქართველოდან გასული გერმანული საოკუპაციო ჯარების კუთვნილი მთელი შეიარაღება და საბრძოლო აღჭურვილობა ქართული შეიარაღებული ძალების საკუთრებაში დარჩა. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ კავალერიასთან ერთად, 1918 წლის ივნისში საქართველოში სწორედ სამხედრო-ტექნიკური ნაწილები და სპეციალური ქვედანაყოფები (ჯავშანმანქანები, კავშირგაბმულობა, ავიაცია, ეგერები, სამთო) შემოვიდნენ, მაშინ გასაგებია, რომ მათი პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი სწორედ „მაუზერებით“ იქნებოდა შეიარაღებული. ამიტომ აქ ყველაფერი ნათელია. რაც შეეხება ბასმაჩებს – არ არის გამორიცხული, რომ „მაუზერის“ პისტოლეტების ერთეული რაოდენობა საბრძოლო ალაფის სახით ბასმაჩებსაც ჩავარდნოდან ხელში, მაგრამ აქვე უნდა დავამატოთ, რომ მისით მხოლოდ ყურბაშები და ზედა ღონის მეთაურები იქნებოდნენ შეიარაღებულნი.

კიდევ ერთი დეტალი – „მაუზერი“ საკმაოდ მგრძობიარეა მასში მოხვედრილი სულ მცირე ჭუჭყისა და მტვრის მიმართ, ასევე საკმაოდ რთულია მისი დაშლა-აწყობა და შემდგომი ექსპლოატაცია, ამიტომ გასაგებია, რომ მისი გამოყენება უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს პირობებში საკმაოდ პრობლემური იყო. ამ დროისათვის კავალერიისტი საუკეთესო იარაღს არა შაშხანა, არამედ სპეციალური მოკლე კარაბინი შეადგენდა, რაც ბასმაჩებს არ გააჩნდათ და მათი „მაუზერით“ ჩანაცვლება მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობით იყო ნაკარნახევი.

ბასმაჩური რაზმების აბსოლუტური უმრავლესობის შეიარაღება ძალიან მწირი იყო და მათ არათუ ტყვიამფრქვევები, არამედ შაშხანებიც კი არ გააჩნდათ, არაა საუბარი კარაბინებზე, რომელიც კავალერიის ძირითად იარაღს წარმოადგენდა. ბასმაჩთა ძირითადი ცეცხლსასროლი იარაღი, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს მკითხველისათვის, ძველებური კაჟიანი ფილთა თოფი, ე.წ. „ყარამულტუკი“ და მცირე რაოდენობით „ნაგანის“ სისტემის რევოლვერები იყო, ისიც მხოლოდ სამეთაურო შემადგენლობისათვის. მოგვიანებით, უკვე 20-იანი წლებიდან მათი შეიარაღება ოდნავ გაუმჯობესდა,

⁷⁴⁹ Ядгор Норбутаев. Лихие кавалеристы с маузерами, и другие мифы о басмачах. Международное информационное агентство «Фергана». 2013. <http://www.fergananews.com/articles/7790>.

ძირითადად, ავლანეთიდან შემოტანილი მცირე რაოდენობის გერმანული „მაუზერისა“ და ინგლისური „სპრინგფილდის“ სისტემის შაშხანებით, აგრეთვე ნაალაფარი რუსული იარაღით, მაგრამ მათი რაოდენობა მაინც ძალიან მცირე იყო. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ სხვადასხვა წარმოებისა და სისტემის იარაღის არსებობა ძალიან ართულებდა მათ ეფექტურ მონმარებას სხვადასხვა ტიპისა და კალიბრის საბრძოლო ვაზნების მწვავე დეფიციტის გამო. თუმცა, ნაშრომში წარმოდგენილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ 1922 წლის გაზაფხულიდან დაწყებული, ენვერ ფაშას რაზმი უკვე კარგად იყო შეიარაღებული სწორედ მოსინის სისტემის სამხაზიანი ნაალაფარი შაშხანებით. ავლანეთის სამხედრო მინისტრის, მუჰამედ ნადირ ხანისადმი გაგზავნილ თავის ერთ-ერთ ბოლო წერილში ენვერ ფაშა სწორედ რუსული წარმოების მოსინის შაშხანის ვაზნების სასწრაფოდ მოწოდებას ითხოვდა ავლანეთიდან როგორც საკუთარი „სპრინგფილდისათვის“, ასევე თავისი რაზმის წევრთა მოსინის შაშხანებისათვის.

კიდევ ერთი დეტალი. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ენვერ ფაშას რაზმის, მისი მებრძოლების რაოდენობის, შეიარაღებისა და საბრძოლო შესაძლებლობების შესახებ ბოლშევიკებს საკმაოდ მწირი და ზოგჯერ მეტად გადაჭარბებული ცნობები გააჩნდათ. წითელი მეთაურები და ბოლშევიკთა პარტიული იერარქიის უმაღლესი პირები იმასაც კი უშვებდნენ, რომ ენვერ ფაშას ავლანეთიდან ტანკებიც კი მიეწოდებოდა. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა სტალინის მიერ 1922 წლის 14 ივლისს თბილისში მყოფი ორჯონიკიძისა და ვოროშილოვისადმი გაგზავნილი სრულიად საიდუმლო შიფროგრამის შინაარსი, რომელშიც სწორედ ამ მითიურ ტანკებზეა საუბარი.

ტელეგრამა შიფრით. HH 5418/C 4549/III

სრულიად საიდუმლო

ტფილისი. რკპ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს.

გაშიფრული გადაეცით ორჯონიკიძეს და ვოროშილოვს.

გუშინ პირველად თვენახევრის შემდეგ ექიმებმა ნება დართეს ილიჩს მონახულებინა მეგობრები (მძიმე) მე ვიყავი ილიჩთან და ვნახე რომ იგი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა (წერტილი) დღეს მისგან უკვე მივიღეთ წერილი დირექტივებით (მძიმე) ექიმების აზრით იგი ერთ თვეში ძველებურად დაუბრუნდება სამუშაოს (წერტილი) პირადად მე ვფიქრობ, რომ თქვენი ჩამოსვლა პლენუმისათვის აუცილებელია, რადგან პლენუმზე ვიხილავთ საკითხს წითელ არმიაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ (მძიმე) თუ ჯანმრთელობა ხელს გიწყობთ, ძალიან სასურველი იქნება თქვენი ჩამოსვლა (წერტილი) ორჯონიკიძის დიდ წერილზე პასუხი გამოგზავნილია შიფროტელეგრამით (მძიმე) ენვერს ვურტყამთ მთელი ძალებით (მძიმე) ენვერის მომხრეებს ზურგში კი ვხვრეტთ (მძიმე) ვეჭვობთ, რომ ავლანურმა ტანკებმა, თუ ისინი არსებობენ ბუნებაში როგორც ასეთი მას რამე უშველონ (წერტილი)

რკპ(ბ) ცეკას მდივანი სტალინი.

HH 5418/C 4549/III

14. 07. 22 წ. 16 სთ. 17 წთ.⁷⁵⁰

ბასმაჩებთან დაკავშირებული კიდევ ერთი მითი მათი საბრძოლო მოქმედებების წესს, ანუ საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკას ეხება. აქაც რატომღაც მიღებულია აზრი, რომ ბასმაჩები კარგი კავალერისტები, კარგი ცხენდაცხენ და ხმალდახმალ მებრძოლები და კარგი მოფარიკავეები იყვნენ. საკითხი კი მართლაც ძალიან საინტერესოა, რასაც უფრო დაწვრილებითი განხილვა ჭირდება.

⁷⁵⁰ Телеграмма Сталина Заккрайкому РКП. <http://ru-history.livejournal.com/3891718.html>.

ამ მორიგი მითის გასაქარწყლებლად ცოტა ღრმად უნდა ჩავიხედოთ საქმის არსში, საკითხი კი, სამხედრო ხელოვნების კუთხით უნდა შევისწავლოთ. ბასმაჩური საბრძოლო რაზმების ფაქტიურად ერთადერთ გვარეობას, თუ შეიძლება ასე ითქვას – ცხენოსანი ჯარი, ანუ კავალერია წარმოადგენდა. მაგრამ აქ ტერმინ „კავალერიის“ ხმარება, მისი მნიშვნელობის სრულფასოვანი გაგებით, არასწორია. რეალურად, ბასმაჩური რაზმები, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ცხენოსან ქვეითებს“ წარმოადგენდნენ. დიას – „ცხენოსან ქვეითებს“. მებრძოლები ცხენებს მხოლოდ გადასადგილებლად, ანუ მარშისათვის იყენებდნენ და არა საბრძოლველად. დანიშნულების ადგილზე მისვლისთანავე ბასმაჩები ჩამოქვეითდებოდნენ და აწყობდნენ ჩასაფრებებს. ასევე, შეტევისა თუ იერიშის ზღუდეზე გასვლისას ქვეითად იწყებდნენ ბრძოლას. ხანმოკლე ცეცხლის შემდეგ კი ისევ ამხედრდებოდნენ ცხენებზე და დაუყოვნებლივ ტოვებდნენ შეტაკების ადგილს. შეტაკების ადგილს და არა საბრძოლო რაიონს.

ისმის კითხვა, რატომ მისდევდნენ ბასმაჩები ბრძოლის, ერთი შეხედვით, ასეთ უცნაურ წესს?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტება, რომ ბასმაჩური რაზმები მხოლოდ პარტიზანული ომისათვის იყვნენ გამოსადეგი და მათ რეგულარული ჯარისათვის დამახასიათებელი საბრძოლო მოქმედებების შესრულება არ შეეძლოთ. მიზეზი უამრავია – მცირერიცხოვნობა, ცუდი შეიარაღება, გაუნათლებლობა, შესაბამისად, ცუდი საბრძოლო მომზადება, საბრძოლო გამოცდილების უქონლობა, ჯარების არარსებული ორგანიზაცია, ანუ, დოქტრინალური დოკუმენტებისა და მითითებების არქონა, ცუდი დისციპლინა, სრულყოფილი სამეთაურო ჯაჭვის არარსებობა, ცუდი ტექნიკური და ლოჯისტიკური აღჭურვილობა, მართვისა და კოორდინაციის არქონა და ა.შ.

რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ არ შეეძლოთ ბასმაჩებს, ეწარმოებინათ საკავალერიო ბრძოლა. ზემოთქმულიდან უკვე ნაწილობრივ გავიცით პასუხი ამ კითხვას. საქმე იმაშია, რომ კავალერია, როგორც სახმელეთო ჯარების ერთ-ერთი გვარეობა, ჯარების ელიტარულ სახეს წარმოადგენდა, სადაც სამსახური, როგორც წესი, რუსული იმპერიის მხოლოდ არისტოკრატიული წარმომავლობის პირებისათვის იყო დაშვებული. კარგი კავალერისტის ცნება არ წარმოადგენდა მხოლოდ კარგ მოჯირითეს. კარგი კავალერისტი, უპირველეს ყოვლისა, ცხენით კარგ მებრძოლს ნიშნავდა. კარგ ჯირითთან ერთად ერთდროულად მას ცხენდაცხენ ბრძოლა, ანუ უნაგირზე მჯდომს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის უნაკლოდ გამოყენება უნდა შეეძლებოდა, რაც მრავალწლიანი მძიმე სწავლის, ვარჯიშისა და წვრთნის შედეგად მიიღწეოდა. უმთავრესი საკითხი კი ცხენოსან მწყობრში ბრძოლაში, ანუ იმაში მდგომარეობდა, რომ კავალერისტს საკავალერიო ქვედანაყოფისა თუ ნაწილის შემადგენლობაში საკავალერიო ბრძოლის ტაქტიკის ცოდნა და საბრძოლო ილეთების სინქრონული, შეთანხმებული შესრულება შეეძლებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი საკითხი იყო კავალერისტის, როგორც მოჯირითის ინდივიდუალური საბრძოლო მომზადების დონე და მეორე, უმთავრესი საკითხი, ქვედანაყოფთან ერთად ტაქტიკური თვალსაზრისით სწორად მართული და წარმოებული ბრძოლა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმულს შუააზიელი ბასმაჩი, ანუ გუშინდელი დეხკანი-გლეხი მოკლებული იყო. ოპონენტი ალბათ დასვაძს კითხვას: კი მაგრამ, შუააზიელები ხომ ცხენთან ასოცირდებიან? ისინი ხომ ფაქტიურად „ცხენზე იბადებოდნენ და ცხენზე კვდებოდნენ“? რატომ არ იყვნენ ისინი კარგი ცხენოსნები და მოჯირითეები? აქ პასუხი დადებითია. დიას, ისინი ძალიან კარგი ცხენოსნები და მოჯირითეები იყვნენ, მაგრამ აქ მთავრდება ყველაფერი. მთავარი საკითხი არა კარგი მოჯირითის, არამედ კარგი ცხენოსანი მებრძოლის გაგებაშია.

XIX საუკუნის ბოლოდან, მაშინ როცა თანდათან შემოდის ხმარებაში თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღი და მით უმეტეს, XX საუკუნიდან ჩნდება კარაბინი (კაკვალერიის ძირითადი ცეცხლსასროლი იარაღი), შუააზიელი ბასმაჩი, ანუ გუშინდელი დეხკანი-გლენი, ყოველნაირად მოკლებული იყო ახალი იარაღისა და სამხედრო ტექნოლოგიების გაცნობას. ამ პერიოდისათვისაც იგი ისევ იმ მომთაბარე არქაული ტიპის მეჯოგე ცხენოსნად რჩებოდა, როგორებიც იყვნენ მისი წინაპრები ატილას, ოლუზ ხანის, ალფ არსლანის, ჯალალ ად დინის, თუნდაც ჩინგიზ ყაენისა თუ თემურ ლენგის დროს. ეს არის და ეს. თუ ზემოთქმულს დავამატებთ იმ ფაქტსაც, რომ მეფის რუსეთის არმიაში მუსლიმან მოსახლეობას და მით უმეტეს, შუააზიელებს არ იწვევდნენ, მაშინ გასაგები ხდება, რომ მათ თეორიული შანსიც კი არ ჰქონდათ, გასცნობოდნენ სამხედრო ცხოვრებასა და მის წესებს, მით უმეტეს, შეესწავლათ და დახელოვნებულიყვნენ სამხედრო საქმეში.

ასე რომ, ბასმაჩთა შეიარაღებაში არსებული ძირითადი იარაღი, ე.წ. „ყარამულ-ტუკი“ ანუ არქაული ტიპის კაჟიანი ფილთა თოფი აბსოლუტურად გამოუსადეგარი იყო არათუ საკაკვალერიო ბრძოლისათვის, არამედ საკაკვალერიო აღჭურვილობაში სატარებლადაც კი. ამ იარაღის საბრძოლო გამოყენება ქვეით საბრძოლო მწყობრშიც ძალიან რთული და ნაკლებად ეფექტურია მისი სწრაფსროლის დაბალი ტემპის, გადატენის სირთულისა და ხანგრძლივობის, ასევე მისი არასაიმედოობის გამო. ერთადერთ ცეცხლსასროლ იარაღს, რომლითაც ამხედრებულ ბასმაჩს შეეძლო მტერთან ბრძოლა, კარაბინი წარმოადგენდა, რაც მათთვის მიუწვდომელი იყო და, რაც მთავარია, ბასმაჩები აბსოლუტურად არ იყვნენ განსწავლულები ამ იარაღის ხმარებასა და ქვედანაყოფის შემადგენლობაში საკაკვალერიო ბრძოლის ტაქტიკაში. იმავე მიზეზებით უნდა აიხსნას ბასმაჩთა მიერ ცივი იარაღით საკაკვალერიო ბრძოლის შეუძლებლობა. ქვედანაყოფის საბრძოლო მწყობრში ცხენდაცხენ ხმლით ბრძოლა მათთვის უცხო და უცნობი ხილი იყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღმატებულ ფორმებში უნდა ვამტკიცოთ, რომ ცხენზე ამხედრებული ბასმაჩი არც კარგი მოფარიკავე იყო, არც კარგი მსროლელი და არც კარგი ხმალდახმალ მებრძოლი. მით უმეტეს, ვერ იბრძოლებდა გლენი-დეხკანი ცხენოსანი ასეულისა თუ ესკადრონის საბრძოლო მწყობრში ქვედანაყოფის სხვა კავალერისტების მხარდამხარ. ასეთ შემთხვევაში მას ნულოვანი შანსები ჰქონდა კარგად გაწვრთნილი და მომზადებული რუსული საკაკვალერიო ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეიძლება ბასმაჩები ინდივიდუალურად მართლაც კარგი მოჯირითე „ჯიგიტები“ იყვნენ, მაგრამ როგორც მებრძოლი-კავალერისტები – მოუმზადებელნი და გაუწვრთნელნი. მოკლედ რომ ვთქვათ, ცხენზე ამხედრებული ბასმაჩი აბსოლუტურად ბრძოლისუუნარო და გამოუსადეგარი იყო. ახლა უკვე გასაგებია, თუ რას წარმოადგენდა ეს ერთი შეხედვით უცნაური ცნება – „ქვეითი კაკვალერია“ და რატომ იყვნენ ბასმაჩები „ქვეითი კაკვალერისტები“.

ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბასმაჩებს ბრძოლის არასწორი ტაქტიკა ჰქონდათ არჩეული და ისინი ღია საკაკვალერიო ბრძოლებს ატარებდნენ წითელი არმიის ნაწილებთან. ისინი საკუთარი, კარგად დამუშავებული ტაქტიკის შესაბამისად იბრძოდნენ. საბრძოლო მოქმედების ეს წესი იმდროინდელი რეალობიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარეობდა. სხვათა შორის, ბრძოლის მსგავსი ტაქტიკით მოქმედებდნენ უკვე ათწლეულების შემდეგ იმავე რუსების წინააღმდეგ ავღანელი მოჯაჰედები, რომლებსაც, შუააზიელი დეხკანი ბასმაჩებისაგან განსხვავებით, საბჭოელები უკვე „დუშმანებს“ ეძახდნენ, თუმცა რეალურად ერთნიც და მეორენიც „ურჯულო“

კომუნისტების წინააღმდეგ წარმოებული „წმინდა ომის“, ანუ, „ჯიჰადის“ მონაწილე მეომრები იყვნენ.

შემდეგი საკითხი, როგორც აღვნიშნეთ, ბასმაჩთა საბრძოლო ტაქტიკაა.

წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლ ბასმაჩთა ბრძოლას პარტიზანული ომის ხასიათი ჰქონდა. პარტიზანული ომი კი, ზოგადად საკმაოდ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლების სერიას წარმოადგენს, სადაც არა მხოლოდ წმინდათ სამხედრო მოქმედებები, არამედ სხვა ფაქტორებიც თამაშობენ მნიშვნელოვან როლს. ამავე დროს, პარტიზანულ ომს თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონები აქვს, რომლის ზუსტად შესრულებისა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა.

პარტიზანული ომი და მისი ტაქტიკა ხშირად დაჰყავთ ბრძოლის ისეთ სახემდე, სადაც დამპყრობელთან შეიარაღებულ დაპირისპირებაში ადგილობრივი მებრძოლები (პარტიზანები) ინიღბებიან სამოქალაქო მოსახლეობის სახით, რათა მტრისათვის შეუძლებელი იყოს მათი იდენტიფიცირება. ეს მომენტი მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა ეს შტრიხი არაა მთლიანობაში პარტიზანული ომის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი. ეს ტაქტიკა გამოიყენებოდა და გამოიყენება ეხლაც, სადაც კი შესაძლებელია მებრძოლების (კომბატანტების) ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის სახით შენიღბვა, რაც მოწინააღმდეგეს არ აძლევს საშუალებას გამოიყენოს მათ წინააღმდეგ დიდი კონვენციური ძალა. საუკუნეების განმავლობაში პარტიზანთა წინააღმდეგ მებრძოლი წარუმატებელი სამხედრო მეთაურები კი, ერთხმად და კრულვით მოიხსენიებდნენ და ეხლაც იხსენიებენ მათ, როგორც – ბარბაროსებს, ველურებს, ყაჩაღებს, დამნაშავეებს, ბანდიტებს, ტერორისტებს.

ხშირად ამბობენ, რომ პარტიზანულ ომს პრიმიტიული ბრძოლების ხასიათი აქვს. ეს სახიფათო განზოგადებაა, რომელიც მხოლოდ ტექნოლოგიური თვალსაზრისითაა სამართლიანი. თუ სურათს მთლიანობაში შევხედავთ, პარადოქსი მაშინვე ცხადი გახდება. ხოლო გარეგნული პრიმიტიულობა გაცილებით უფრო რთულად მოგვეჩვენება, ვიდრე ატომური ან ისეთი ომი, რომელშიც სახმელეთო ჯარებთან ერთად საზღვაო და საჰაერო ძალები მონაწილეობენ, ანუ, როდესაც საერთო-საჯარისო ბრძოლაზეა საუბარი. პარტიზანული ბრძოლა არ არის დამოკიდებული რთული მექანიკური მოწყობილობების კარგ მუშაობაზე, ორგანიზებულ ლოჯისტიკაზე და ელექტრონული სისტემების სიზუსტეზე. პარტიზანული ბრძოლა შესაძლებელია ნებისმიერ რეგიონში, ნებისმიერი კლიმატისა და ამინდის პირობებში, ნებისმიერ რელიეფსა და ლანდშაფტზე, მთაში და ბარში, ტყეში, ჭაობებში, უდაბნოსა და ნახევარუდაბნოში, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. პარტიზანული ომის მთავარი ამოსავალი დებულება კი ისაა, რომ ამ ბრძოლის ძირითადი ელემენტი ადამიანია. ის გაცილებით უფრო რთული ქმნილებაა, ვიდრე მის მიერ შექმნილი რომელიმე მანქანა – იგი დაჯილდოებულია აზროვნების უნარით, აქვს ემოციები, ხასიათი ნებისყოფა... ამიტომ პარტიზანული ბრძოლა ადამიანის როგორც დადებით, ასევე უარყოფით თვისებებს ემყარება. ამგვარი ბრძოლა ყოველთვის ჰუმანური როლია, თუმცა – ადამიანურია. ეს კი იმაზე მეტია, რაც ადამიანების ურთიერთგანადგურების სტრატეგიის შესახებ შეიძლება ითქვას.

რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს საკითხი მარტივად გადასაწყვეტია და ნებისმიერ ვითარებაში და ნებისმიერ მოწინააღმდეგესთანაა შესაძლებელი წარმატებული პარტიზანული ბრძოლა წარმოება. ეს საკითხები სცილდება ჩვენი ნაშრომის თემას, მაგრამ ბასმაჩთა მიერ წითელი არმიის რევულარული ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებაში ზოგიერთ საკითხს უფრო კონკრეტულად განვიხილავთ.

ცნობილი ამერიკელი სამხედრო ისტორიკოსი, უილიამ ვეირი (William Weir) თავის წიგნში “Guerrilla Warfare: Irregular Warfare in the Twentieth Century“ („პარტიზანული ომი: XX საუკუნის არარეგულარული ომები“) პარტიზანული ორგანიზაციების საბრძოლო მოქმედებებში ხუთ ძირითად ელემენტს გამოყოფს. ესენია:

- პატარა, მობილური ძალების ორგანიზება;
- ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა;
- გარემოსა და ადგილმდებარეობის თავისებურებების გამოყენება;
- ღია კონვენციური ბრძოლებისაგან თავის არიდება;
- მოწინააღმდეგის რესურსებზე (ფართო გაგებით) დარტყმების მიყენება;⁷⁵¹

დავამატებდით, რომ წარმატებული პარტიზანული ომის საწარმოებლად პირველ რიგში აუცილებელია პატიზანული ბაზების ორგანიზებისა და მათი რაციონალურად გამოყენების საკითხიც. ამ მხრივ ბასმაჩებს საქმე მოგვარებული ჰქონდათ. ცენტრალური აზიის სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონების მიუვალი მაღალმთიანეთი ბაზების მოწყობისა და მათი გამართულად მუშაობის საშუალებას იძლეოდა, რაც უმეტეს რაზმებს ორგანიზებული ჰქონდათ. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ ცენტრალურ აზიაში აგორებულ ბასმაჩთა წინააღმდეგობის მოძრაობასა და ბაზების უზრუნველყოფას მხარს უჭერდა მეზობელი სახელმწიფოს, ავღანეთის ლიდერი, ამანულა ხანი, ასევე, იმავე ავღანეთში გადახვეწილი ბუხარის ამირა, საიდ ალიმ ხანი. ამ დახმარებას რეგულარული ხასიათი ჰქონდა და იგი როგორც იარაღისა და საბრძოლო მასალების, ისე ცოცხალი ძალის მიწოდებაში გამოიხატებოდა.

ბაზების ორგანიზებასთან ერთად პარტიზანული ომის უმნიშვნელოვანეს ასპექტს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის საკითხი წარმოადგენს. ცნობილი თეზაა, რომ პარტიზანული ომი მხოლოდ მაშინაა წარმატებული, თუ მოსახლეობა პარტიზანების მიმართ კეთილგანწყობილია. აქ უკვე ჩნდება მათს „თევზისა და წყლის“ კონცეფცია. მათ ძე-ღუნი ამბობდა: „ბევრს არ სჯერა, რომ პარტიზანებმა შეიძლება დიდხანს გაძლონ მტრის ზურგში. მიზეზი ის არის, რომ ისინი ვერ აფასებენ იმ დამოკიდებულებას, რაც ხალხსა და ჯარისკაცებს შორის არსებობს. ხალხი შეიძლება წყალს შეადარო, ჯარისკაცი – თევზს. განა შეიძლება იმის თქმა, რომ ისინი ერთად ვერ იარსებებენ? უღისციპლინო დანაყოფები ხალხს მტრად იკიდებენ, მაგრამ ისინი, ისევე როგორც თევზები უწყლოდ, ხალხისაგან განცალკევებით ვერ იარსებებენ.“⁷⁵²

ღიახ, მანამ, სანამ ბასმაჩებს შენარჩუნებული ჰქონდათ მორალური სახე და მოსახლეობისადმი კეთილად იყვნენ განწყობილნი, ისინი მათი მხარდაჭერითა და სიმპათიებით სარგებლობდნენ. შესაბამისად, მოსახლეობა ბასმაჩთა რაზმებისათვის სურსათ-სანოვაგის, თავშესაფრის, სადაზვერვო ინფორმაციისა და, რაც მთავარია, ცოცხალი ძალით უწყვეტად შევსების წყაროს წარმოადგენდა. ხოლო ის ბასმაჩური რაზმები, რომლებიც ყაჩაღობისა და ძარცვა-გლეჯის გზას დაადგნენ და მოსახლეობას დაუპირისპირდნენ, ფაქტიურად განწირულები აღმოჩნდნენ. ასეთი მდგომარეობა, როგორც ნაშრომის შესაბამის თავში იყო აღნიშნული, განსაკუთრებით ფერღანელ ბასმაჩებთან მიმართებაში დადგა.

რაც შეეხება პარტიზანული ომის სტრატეგიისა და ტაქტიკის თეორიას. იგივე მათ ძე-ღუნი დაყრდნობით ზუსტად აღნიშნავს ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი ნიკა ჯანჯღავა, რომ ამბობენითი ბრძოლის სტრატეგიაა „ერთი ათის წინააღმდეგ, ტაქტიკა კი – ათი ერთის წინააღმდეგ!“ მეამბოხეებმა უნდა აიძულონ სამთავრობო ჯარები, გაშალონ თავიანთი ძალები, მუდამ თავდაცვით მდგომარეობაში ამყოფონ ისინი და ამით

⁷⁵¹ Weir, William. Guerrilla Warfare: Irregular Warfare in the Twentieth Century. Stackpole Books, Mechanicsburg, PA. 2008.

⁷⁵² მათ ძე-ღუნი. პარტიზანული ბრძოლა. სამხედრო ბიბლიოთეკა. თბილისი. 2007. გვ. 82.

ჩამოართვან მათ ინიციატივა თავიანთი ძალების კონცენტრაციისა და ფართო შეტევაზე გადასვლისა.⁷⁵³ და იქვე აგრძელებს: „პარტიზანულმა რაზმებმა მაქსიმალურად უნდა აარიდონ თავი სამთავრობო ჯარებთან გადამწყვეტ ბრძოლებში ჩართვას. მათ მოქმედებას „დარტყმებისა და უკანდახვეის“ ტაქტიკა უნდა დაედოს საფუძვლად. პარტიზანული ბრძოლის ამოცანაა მოწინააღმდეგისათვის განუწყვეტელი და დამქანცველი დარტყმების მიყენება მაქსიმალურად დიდ ტერიტორიაზე. პარტიზანულმა რაზმებმა თავდასხმის მიზნებად მოწინააღმდეგის ზურგის ბაზები, კავშირგაბმულობის კვანძები, სატრანსპორტო კოლონები, სარკინიგზო და საგზაო ხიდები, ცალკეული ბლოკ-პოსტები და სამთავრობო ჯარების გარნიზონები უნდა აირჩიონ“.⁷⁵⁴

ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს ცალსახად ვიზიარებთ, თუმცა აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ არა „დარტყმა და უკანდახვეა!“, არამედ „დარტყმა და ბრძოლიდან გასვლა!“, ან, უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, – „დარტყმა და გაქცევა!“ პარტიზანულ ომში არ არსებობს ფრონტისა და ზურგის ცნება, ასევე, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, არ არსებობს პარტიზანთა თავდაცვითი და პასიური ბრძოლის ცნებები, – მხოლოდ შეტევა, მოულოდნელობა, სწრაფი გადაადგილება, ხანმოკლე ბრძოლა, ბრძოლის მაღალი ტემპი და ბრძოლიდან სწრაფად გასვლა – აი ესაა, მარტივად რომ ვთქვათ, პარტიზანული ბრძოლის ძირითადი ელემენტები. საერთო ჯამში, პარტიზანები კი არ იკავებენ ტერიტორიებს, არამედ დომინირებენ მათზე.

აქვე უნდა გამოვყოთ კიდევ ერთი მომენტი – კონკრეტული ტაქტიკური ამოცანის შესრულებისას, როგორც ამას პოლკოვნიკი ჯანჯღავა აღნიშნავს, პარტიზანებს უნდა ჰქონდეთ დიდი რიცხობრივი უპირატესობა ცოცხალ ძალაში, უპირატესობა ასევე ტექნიკური და ტაქტიკური თვალსაზრისით და, რაც მთავარია, დარტყმა უნდა იყოს მოულოდნელი, მძლავრი, სწრაფი და დაუნდობელი. მეამბოხეებმა უნდა ჩამოართვან სამთავრობო ძალებს ინიციატივა საკუთარი ძალების კონცენტრაციისა, განუწყვეტელი და მოულოდნელი დარტყმების მიყენებით მოქანცონ მოწინააღმდეგე და ბრძოლისუუნარო გახადონ იგი. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ავტორი აგრძელებს: „რეგულარული არმიისაგან განსხვავებით, რომელსაც კრიზისის შემთხვევაში ადვილად შეუძლია რეზერვის მობილიზება და თავისი რიცხოვნობის გაზრდა, მეამბოხეებს ამის საშუალება არა აქვთ.“⁷⁵⁵

ბოლომდე ვერ დავეთანხმებით ავტორის იმ მოსაზრებას, რომ რეგულარულ არმიას ადვილად შეუძლია რეზერვის მობილიზება, ხოლო მეამბოხეებს ამის საშუალება არა აქვთ. საქმის არსი შემდეგშია – კარგად ორგანიზებული პარტიზანული რაზმის ცოცხალი ძალით შევსების უწყვეტ წყაროს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, მისდამი დადებითად განწყობილი მოსახლეობა წარმოადგენს. ხოლო მტრულად განწყობილ გარემოში რეგულარული არმიისათვის რეზერვის მობილიზება, მათი სათანადოდ გაწვრთნა და პარტიზანების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა, საკმაოდ რთული ამოცანაა.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მათ ძე-დუნს დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაშრომები, აგრეთვე რუსეთის სამოქალაქო ომის გამოცდილება და, განსაკუთრებით, წითელი არმიის მოქმედებები პარტიზანების წინააღმდეგ. ეჭვგარეშეა, რომ მას განსაკუთრებით საფუძვლიანად ექნებოდა შესწავლილი

⁷⁵³ ნიკა ჯანჯღავა. ამბოხებითი მოძრაობისა და პარტიზანული ომის საფუძვლები (აშშ-ის არმიის შეხვედრები და პრინციპები). http://www.geo-army.ge/images/pdf/biblioteka/georgian_amboboxebiti%20mozraobis%20da%20partizanuli%20omis%20safuzvlebi.pdf.

⁷⁵⁴ იქვე.

⁷⁵⁵ იქვე.

ბასმაჩური მოძრაობის როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო კომპონენტი. არც ისაა გამორიცხული, რომ თავისი პარტიზანული ომის თეორიაში მას სწორედ ბასმაჩების მიერ ცენტრალურ აზიაში ჩატარებული ბრძოლების ტაქტიკური თავისებურებები ჰქონდა გათვალისწინებული.

რაში მდგომარეობდა ბასმაჩთა საბრძოლო ტაქტიკის არსი? რა თავისებურებებით ხასიათდებოდა იგი და რითი განსხვავდებოდა მათი საბრძოლო ტაქტიკა სხვა პარტიზანული ომის მონაწილეთა მოქმედებებისაგან?

უპირველეს ყოვლისა, ის გარემოება უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი პარტიზანული ომის მონაწილისათვის მთავარი ამოსავალი დებულება უნდა იყოს ბრძოლებში უმცირესი დანაკარგების გაღება. ზუსტად ეს უნდა განდევნავდა პარტიზანთათვის მათი წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი ამოსავალი წერტილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად პარტიზანული ბრძოლა, როგორც ასეთი, საერთოდ კარგავს აზრს. აქედან გამომდინარე, პარტიზანები ყოველთვის თვითონ უნდა იყვნენ ბრძოლის დაწყების ინიციატორები და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავიდნენ თავდაცვით ბრძოლებზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, პარტიზანები მუდმივად უნდა ფლობდნენ სტრატეგიულ ინიციატივას. ასე მაგალითად, თუ მოცემულ საკითხს ვიეტნამის ომის კონტექსტში განვიხილავთ, ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამერიკული ქვედანაყოფების მიერ ვიეტნამში წარმოებული ბრძოლების 88% ვიეტნამელი პარტიზანების მიერ იყო ინიცირებული.⁷⁵⁶ ამავე დროს, აუცილებელია, რომ პარტიზანთა რაოდენობა ყოველ მოცემულ მომენტში და მოცემულ ბრძოლაში მეტი იყოს მოწინააღმდეგის რაოდენობასთან შედარებით. აქედან გამომდინარე, ბასმაჩ მზვერავთა მიერ აღმოჩენილ წითელარმიელთა მცირე ჯგუფებზე ბასმაჩები არასდროს არ აწყობდნენ დაუყოვნებლივ თავდასხმას, არამედ ფარულად მიაცილებდნენ მათ იერიშისათვის ხელსაყრელ ადგილამდე, სადაც ამავე დროს ორი მხრიდან წინასწარ ორგანიზდებოდა ჩასაფრება. ასეთი ადგილი, როგორც წესი, ხევები და ხეობები იყო, სადაც წითელარმიელთა ქვედანაყოფებს ბასმაჩები ჯვარედინ და ორმაგ ფლანგურ ცეცხლში აქცევდნენ. გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში, შეზღუდული სამანევრო სივრცის პირობებში, წითელარმიელები ვერ ახერხებდნენ დროულ საბრძოლო გაშლასა და ბასმაჩებისთვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევას.

იმავე ამოცანის შესასრულებლად, ბასმაჩები აგრეთვე ცრუ შეტევებისა და უკან დახვევის ტაქტიკას იყენებდნენ, რისი მეშვეობითაც წითელარმიელების შეტყუებას ახერხებდნენ ჩასაფრებული ბასმაჩების ცეცხლის ზონაში. მათთვის მძიმე სიტუაციებში კი ბასმაჩები სწრაფად გადიოდნენ ბრძოლიდან, იშლებოდნენ მცირე ჯგუფებად და ძნელად მისადგომ მთავორიან ადგილებს აფარებდნენ თავს. ბრძოლის ბოლოს ისე ჩანდა, თითქოს ბანდა ლიკვიდირებული იყო, თუმცა 5-7 დღის შემდეგ ისინი უკვე სხვა რაიონში ჩნდებოდნენ და ისევ ესხმოდნენ თავს ბოლშევიკებს.⁷⁵⁷

ბასმაჩთა ბრძოლები, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, არასდროს არ მიმდინარეობდა მოწინააღმდეგის „უკანასკნელ ჯარისკაცამდე“, ანუ წითელარმიული რაზმების სრულ განადგურებამდე. ცხადია, გარკვეული დროის შემდეგ მოწინააღმდეგე გონზე მოვიდოდა, შეაფასებდა ვითარებასა და საპასუხო ბრძოლას გაუმართავდა ბასმაჩებს. უკეთესი შეიარაღებისა და გაწვრთნილობის გამო, ასეთ შემთხვევაში უპირატესობა უკვე წითელარმიელების მხარეს გადადიოდა. ეს კი არაფრით არ

⁷⁵⁶ North Vietnam's final offensive: Strategic endgame nonpareil. By: Pribbenow, Merle L., Parameters: US Army War College, 00311723, Winter99/2000, Vol. 29, Issue 4.

⁷⁵⁷ Север Александр. Сталин против «выродков Арбата». 10 сталинских ударов по «пятой колонне». http://www.e-reading.link/chapter.php/1004546/24/Sever_Aleksandr_-_Stalin_protiv_vyrodkov_Arbata._10_stalinskih_udarov_po_pyatoy_kolonne.html#n_104.

აწყოდათ ბასმაჩებს. ასეთ შემთხვევაში ცუდად შეიარაღებული ბასმაჩური რაზმების მიერ განცდილი დანაკარგები დიდი იქნებოდა. ეს კი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ზოგადად ძალიან მძიმედ მოქმედებდა პარტიზანებზე. ამის საწინააღმდეგოდ, სულ მცირე წარმატებაც კი ძალიან მაღლა სწევდა საბრძოლო სულისკვეთებას. ბასმაჩებისათვის მთავარი იყო წითელარმიული ქვედანაყოფებისათვის გარკვეული ზარალის მიყენება ცოცხალ ძალაში, მოწინააღმდეგის საბრძოლო სულისკვეთების დაქვეითება და შეძლებისდაგვარად დიდი რაოდენობის ნააღმარაო იარაღის, აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალების ხელში ჩაგდება.

ბასმაჩთა წარმატებული ბრძოლის მთავარი დებულება თუნდაც მცირე, მაგრამ დამაჯერებელი გამარჯვებების მოპოვება იყო, რაც წითელარმიელთა დემორალიზებას ახდენდა. რეზერვში ბასმაჩებს ყოველთვის ჰყავდათ მესამე ჯგუფიც. როდესაც პირველი ორი ჯგუფი საქმეს მორჩებოდა, მესამე მათი ბრძოლიდან გასვლას ფარავდა ცეცხლით. ბრძოლიდან გასვლას და არა – უკან დახევას.

რა თქმა უნდა, ზემოთ თქმული სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ყველა ყურბაში და ბასმაჩური რაზმი ასეთი დახვეწილი ტაქტიკით მოქმედებდა, თუმცა ენვერ ფაშას შემთხვევაში ნამდვილად ასე იქნებოდა. სწორედ ამიტომ იყო ენვერ ფაშას მეთაურობით 1922 წლის ივლისამდე ჩატარებული ბრძოლები წარმატებული. ენვერ ფაშას ჩამოშორების შემდეგაც, წითელი არმია ცენტრალურ აზიაში წლების განმავლობაში ეწეოდა ბასმაჩური რაზმებისა და წინააღმდეგობის კერების ლიკვიდაციას.

ნაშრომის შესაბამის ნაწილში ჩვენ არაერთხელ გაუუსვით ხაზი იმას, რომ საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა გამოდებით ამკვიდრებდა აზრს, თითქოს ბასმაჩური მოძრაობის უკან დიდი ბრიტანეთი და მისი სპეცსამსახურები იდგნენ. ეს მრავალჯერ ტირაჟირებული დეზინფორმაცია ოფიციალური საბჭოური იდეოლოგიისა და პროპაგანდისტული მანქანის მუშაობის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. მსგავსი ტენდენციები ზოგიერთ დღევანდელ რუს ავტორთანაც შეინიშნება. ასე მაგალითად, პაველ გუსტერინი – რუსი ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე და რელიგიათმცოდნე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თავის ნაშრომში „К вопросу о басмачестве“ წერს, რომ „საწყის ეტაპზე ბასმაჩთა გამარჯვებების ერთ-ერთი მიზეზი ბასმაჩური მოძრაობის მხარდაჭერა წარმოადგენდა საზღვარგარეთიდან. თურქმენულ-უზბეკური წინააღმდეგობის მოძრაობის „ბუხარისა და თურქესტანის ბედნიერების კომიტეტის“ შტაბბინა პეშავარში იმდროინდელი ბრიტანული ინდოეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და, ცხადია, ბრიტანელების მიერ კონტროლდებოდა. გაერთიანებული სამეფოს დაზვერვა მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებდა ბასმაჩთა ლიდერებთან და, პირველ რიგში, იბრაჰიმ ბეგთან, რომელიც განთქმული იყო თავისი სისასტიკითა და დაუნდობლობით“.⁷⁵⁸

გუსტერინის მიერ ნახსენები „ბუხარისა და თურქესტანის ბედნიერების კომიტეტისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტია, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა ბასმაჩებთან დაკავშირებული კიდევ ერთი საბჭოური მითია, საბჭოელთა მიერ შეთხზული მითი. რეალურად, ასეთ მოსაზრებებს არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ბრიტანული მხარე ბასმაჩური მოძრაობის არც ერთ ეტაპზე ამბობებულებს არ ეხმარებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ ისინი თავიდანვე გაემიჯნენ მეამბოხეებს. და ამას, თავისი მკვეთრად განსაზღვრული მიზეზები ჰქონდა. ბრიტანელები ძალიან რაციონალურად მიუდგნენ აღნიშნულ საკითხს და ბასმაჩებისათვის დახმარება-არდახმარების გაწვევის შესაძლებლობას მიზანშეწონილობის პრინციპებიდან გამომდინარე განიხილავდნენ. მართლაც, იადგორ

⁷⁵⁸ Павел Густерин. К вопросу о басмачестве. <http://islam-info.ru/obchestvo/page,1,1628-k-voprosu-o-basmachestve.html>.

ნორბუტაევის აზრით, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, დიდი ბრიტანეთისათვის ნათელი იყო, რომ პირველ რიგში, ცენტრალურ აზიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ პარტიზანული რაზმების მეშვეობით უსარგებლო და უშედეგო იყო. აქედან გამომდინარე, უსარგებლო იქნებოდა მისი მხარდაჭერისათვის რაიმე სახის ფინანსური თუ ტექნიკური რესურსების ხარჯვა.⁷⁵⁹

ჩვენს დასკვნებს იზიარებს ცნობილი ტაჯიკი ისტორიკოსი, იელის უნივერსიტეტის პროფესორი, კამოლ აბდულაევიც, რომელსაც ბრიტანელებთან დაკავშირებით განსხვავებული და, ჩვენი აზრით, მეტად ღირებული არგუმენტები მოჰყავს: „ლონდონი თავიდანვე გაემიჯნა ბასმაჩურ მოძრაობას, რამეთუ იგი პანისლამიზმის დროშის ქვეშ მიმდინარეობდა და ამით საფრთხეს უქმნიდა ბრიტანულ პოზიციებს ინდოეთში“, – ეს მეორე. იმავე აზრს ატარებს კიდევ ერთი მკვლევარი – გალიმ ფასხუტდინოვიც. იმდროინდელ დოკუმენტებზე დაყრდნობით, აბდულაევი აღნიშნავს: „ინგლისელებს კარგად ესმოდათ, რომ ინდოეთის მუსლიმანებს შეიძლება ხელში აეტაცათ პანისლამისტური მოძრაობის ეს იდეა, ამიტომ მხარი არ დაუჭირეს ბასმაჩებს. ამით მათ რუსეთის უფლებები აღიარეს ცენტრალურ აზიაში“.⁷⁶⁰

ზემოთ მოყვანილ ავტორთა მოსაზრებებს ჩვენც ერთმნიშვნელოვნად ვიზიარებთ. თუმცა, ყველაზე ძლიერი არგუმენტი საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური წარმომადგენლის, დავიდ იულევიჩ ჰოპნერის კარახანისადმი გაგზავნილი ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში მოყვანილი მოხსენებითი ბარათის შინაარსია. მოსკოვში ჯემალ ფაშასთან შემდგარი უკანასკნელი შეხვედრის შესახებ შედგენილ მოხსენებით ბარათში ჰოპნერი პირდაპირ წერდა: „...შუაზიური პანთურანიზმი ერთნაირად საშიშია როგორც ჩვენთვის, ისე ინგლისელებისათვის“.⁷⁶¹ აქ ბოლშევიკებიც ცალსახად ემხრობიან ზემოთ წარმოდგენილ არგუმენტებს.

დაუბრუნდეთ სამხედრო ხელოვნების საკითხებს და ბასმაჩთა საბრძოლო ტაქტიკას. ზოგადად, ბასმაჩთა ტაქტიკა მცირედ თუ განსხვავდებოდა სხვა მანამდე თუ მას შემდეგ არსებული პარტიზანული ფორმირებების მიერ გატარებული ტაქტიკებისაგან: ძნელადმისადგომ მთიან და უდაბნოს რაიონებში ბაზირება, ჩასაფრებების მოწყობა და საბრძოლო მოქმედებების შეტევითი ტაქტიკა – მოულოდნელი და სწრაფი რეიდების ჩატარება. ხოლო რეიდი, თავის მხრივ, შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც შეტევითი ოპერაცია მტრის პოზიციების სიღრმეში სპეციალური დავალების შესასრულებლად, რომელიც, როგორც ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული დონის სამხედრო მოქმედების ტიპი, ადამიანის მიერ უძველესი დროიდან გამოიყენებოდა.

ზოგადად რეიდის დანიშნულებაა:

- მოწინააღმდეგის დემორალიზაცია, დაბნევა ან გამოფიტვა;
- ტერიტორიის, ადგილმდებარეობის ჩხრეკა ან ძარცვა;
- ქონების მოპოვება ან ტყვეების აყვანა;
- სამხედრო და ეკონომიკური ღირებულების მქონე ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოყვანა;
- სამხედრო ტყვეების გათავისუფლება;
- განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პერსონების ლიკვიდაცია ან ტყვედ აყვანა;
- მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება;

⁷⁵⁹ Ядгор Норбутаев. Лихие кавалеристы с маузерами, и другие мифы о басмачах. Международное информационное агентство «Фергана». 2013. <http://www.fergananews.com/articles/7790>.

⁷⁶⁰ Галим Фасхутдинов, Deutsche Welle. Басмачи - борцы за свободу. Мифы о басмачестве. <http://z001.kz/article/view?id=489>.

⁷⁶¹ Ю.Н. Тихонов. ДЖЕМАЛЬ-ПАША В АФГАНИСТАНЕ И СОВЕТСКОЙ РОССИИ В 1921-1922 ГГ. Новые архивные документы.... Д. Г. Опнер. Москва, 28 мая 1922 г. ЦА ФСБ. Ф. 1. Оп. 6. Д. 433. Л. 432-440. Машинописная копия. <http://cyberleninka.ru/article/n/dzhemal-pasha-v-afganistane-i-sovetskoy-rossii-v-1921-1922-gg-novye-arhivnye-dokumenty#ixzz3D4mJAG8R>.

რეიდის, როგორც სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი სახეობის წარმატებულად აღსრულებისათვის საჭიროა შემდეგი პირობების გათვალისწინება და მათი დაცვა:

- მიზნის გარკვეულობა (რისი მიღწევა გეუსურს);
- სათანადო საშუალებები (განსხვავებული შესრულება და მეთოდოლოგია);
- დაზვერვა (რეიდი ყოველთვის მტრის ზურგში ტარდება, ამიტომ უმნიშვნელოვანესია ზუსტი სადაზვერვო მონაცემების ფლობა);
- გადასხმა (მიახლოების მარშრუტების შემუშავება, სწრაფი და ოპერატიული მიღწევა მიზნამდე ან სამიზნემდე, სანამ მტერი მოასწრებს ძალების თავმოყრასა და რეაგირებას);
- აღსრულება (სწრაფი და უღმობელი);
- გამოსვლის სტრატეგია (ჯგუფებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, თუ როდის, რა გზით და როგორ უნდა გამოვიდნენ უკან);

რომელიმე ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მთლიანად ოპერაციის აღსრულება ან მისი შედეგების ეფექტურობა.

ბოლშევიკებმა ბასმაჩთა საბრძოლო ტაქტიკაზე შესაბამისი რეაგირება მოახდინეს. ამ პროცესებში ლომის წილი მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალზე, სერგეი კამენევზე მოდის, რომელმაც განაზოგადა ბასმაჩთა წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა და მას მეთოდური მითითებების ბროშურაში მოუყარა თავი. თურქესტანის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს მიერ ეს ბროშურა, დასახელებით „Система борьбы с басмачеством (бандитизмом)“ ტაშკენტში გამოიცა 1924 წელს.⁷⁶² კამენევი წერდა:

„ბასმაჩები ეშმაკები არიან, მაგრამ მათზე ეშმაკები ჩვენ უნდა ვიყოთ; ბასმაჩები საზრიანები, შეუპოვრები და მოძრავები არიან, მაგრამ ჩვენ უფრო საზრიანები, შეუპოვრები და მოძრავნი უნდა ვიყოთ. უნდა მოვაწყოთ ჩასაფრებები და გამოვიჩნდეთ იქ, სადაც არ გველოდებიან. ბასმაჩები კარგად იცნობენ ადგილობრივ პირობებს და ეს ჩვენც კარგად უნდა შევისწავლოთ. ისინი ადგილობრივი მოსახლეობის სიმპათიებით სარგებლობენ და ჩვენც უნდა მოვიპოვოთ ხალხის სიმპათიები. წითელი მეთაურები შაბლონურად არ უნდა მიუდგნენ აღნიშნულ საქმეს. მათ გამომგონებლობა, საზრიანობა და ალლო მოეთხოვებათ“.⁷⁶³

კამენევის მიერ ბასმაჩთა წინააღმდეგ შემუშავებული მოქმედებების ზოგადი სქემა კი ასეთი იყო: ბასმაჩური რაიონის ოკუპაცია, სამანევრო ქვედანაყოფებით ბრძოლა, დაბოლოს – ადგილმდებარეობის ჩხრეკა, დარჩენილი ბასმაჩური ბანდების ალყაში მოქცევა და მათი ლიკვიდაცია. კამენევის გადაწყვეტილებით, საჯარისო ნაწილები გამოიყვანეს სასოფლო-სამეურნეო რაიონებიდან და გადაიყვანეს საზღვრების დასაცავად. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა საზღვრებს გარედან შემოსული ბანდების დევნისა და განადგურების ქვედანაყოფები.

დღეს რუსეთის ბევრ სამხედრო სასწავლებელში ფაქტიურად კამენევის მიერ დაწერილი „კონტრაპარტიზანული ბრძოლის თეორიის კურსი“ ისწავლება... 1932 წლიდან დაწყებული, სერგეი კამენევის სამხედრო კარიერამ დადმასვლა დაიწყო. მისი ყაიდის მეთაურებს სტალინი და საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა აღარ სწყალობდა. სერგეი კამენევი 1935 წელს გარდაიცვალა წითელი არმიის I რანგის კომანდარმის რანგში, მაშინ როცა რუსეთის სამოქალაქო ომის დროს მის დაქვემდებარებაში მოქმედ ხუთ სამხედრო მოსამსახურეს (კლიმენტ ვოროშილოვი, მიხაილ ტუხაჩევსკი, სემიონ ბუდიონი, ვასილი ბლიუხერი და ალექსანდრ ეგოროვი) იმ

⁷⁶² http://royallib.com/read/rvs_turkfronta/sbornik_ukazaniy_po_borbe_s_basmachestvom.html#122880.

⁷⁶³ Петр Бологов. Армия патриотов-налетчиков. «31 спорный вопрос» русской истории: басмачество как результат просчетов большевиков. 2014. <http://lenta.ru/articles/2014/02/10/basmatches/>.

წელს პირველად მიენიჭა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხედრო წოდება – „საბჭოთა კავშირის მარშალი“, კამენევი კი დაივიწყეს...

იგი მხოლოდ 1946 წელს გაიხსენეს, უფრო ზუსტად, გაიხსენეს მის მიერ შემუშავებული ანტიბასმაჩური ბრძოლის ტაქტიკა. ეს მაშინ მოხდა, როცა II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დასავლეთ უკრაინასა და კარპატებში ბანდერას ე.წ. „ბანდიტური ბანდები“ გამოჩნდნენ. „ბანდეროვშჩინის“ წინააღმდეგ განხორციელებული ეს ცნობილი ოპერაცია კოლური დასახელებით „ოპერაცია ბ“, სწორედ სერგეი კამენევის მიერ შემუშავებული სქემით განხორციელდა.⁷⁶⁴

თავისი დირექტივების 83-ე, 84-ე და 85-ე პუნქტებში კამენევი მიუთითებდა, რომ „ბასმაჩთა (ბანდიტთა) წინააღმდეგ ბრძოლის საყვარელ მეთოდად დიდხანს ითვლებოდა ალყის ოპერაცია. ამასთანავე ეს ოპერაციები ყოველთვის წარუმატებლად სრულდებოდა. ამგვარად, ამ სახის ოპერაციას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. წარუმატებლობის მიზეზი ის იყო, რომ მოწინააღმდეგე ყოველთვის ახერხებდა რკალის გარღვევას. ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა ხერხდებოდა მოწინააღმდეგის ვიწრო რკალში მოქცევა, ეს უკანასკნელი მაინც აღწევდა თავს ალყას მაშინ, როცა ჩვენი ნაწილები მას თავს ესხმოდნენ გამანადგურებელი დარტყმის მისაყენებლად. ამ ოპერაციების შესწავლამ საშუალება მოგვცა, გამოგვეტანა ის დასკვნები, რომ ალყა მხოლოდ იმ დამხმარე ოპერაციას წარმოადგენდა, რომელიც ერთი კონკრეტული ამოცანის – მოქმედებათა რაიონის შეზღუდვით განისაზღვრებოდა“.⁷⁶⁵ შემდეგ კამენევი აგრძელებს:

„ბასმაჩთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის საფუძველს მფრინავი რაზმები წარმოადგენენ. (აქ სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფებზეა საუბარი – ა. ჩ.) მფრინავი რაზმები ის რაზმებია, რომლებიც მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა იყვნენ ბასმაჩებისთვის (ბანდიტებისთვის) დარტყმის მისაყენებლად. მფრინავი რაზმების ბასმაჩებთან საბრძოლველად გამოყვანა ხდება საბრძოლო უბნის უფროსის ბრძანებით. ბანდის წინააღმდეგ გაგზავნილი მფრინავი რაზმი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიიტანოს იერიში და აწარმოოს საბრძოლო მოქმედებები ბანდასთან მის ლიკვიდაციამდე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავიაციისა და ცხენოსანი რაზმის ურთიერთქმედებას, რადგან მათი მოქმედებები მხოლოდ მაშინ იძლევიან დადებით შედეგებს, როცა უზრუნველყოფილია საიმედო კავშირი ავიაციასა და სახმელეთო ჯარებს შორის (სასურველია რადიოკავშირი).

ავიაციის მოქმედებები არ უნდა იყოს შაბლონური. უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდები და მათი კომბინირებით საშუალება არ უნდა მივცეთ ბანდიტურ ჯგუფებს, რომ შესაბამისი მოქმედებები მიუსადაგონ ჩვენს მეთოდებს. ავიაციის ამოცანებია:

1. ბანდების ძებნა;
2. უახლოესი მფრინავი რაზმებისათვის ინფორმაციის მიწოდება;
3. საბრძოლო მოქმედებების ჩატარება დაბომბვითა და ტყვიამფრქვევის ცეცხლის გახსნით, ამავე დროს თვითმფრინავები უნდა დაეშვან მაქსიმალურად მცირე სიმაღლეებამდე, რათა ბანდებს არ მიეცეთ გონს მოსვლის საშუალება“.⁷⁶⁶

ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ, მიუხედავად ბასმაჩთა და, კერძოდ, ენვერ ფაშას რაზმის აქტივობისა, მიუხედავად მათი კარგად გააზრებული და ტაქტიკურად გამართული პარტიზანული საბრძოლო მოქმედებებისა, ბოლშევიკებმა ძალიან ძალე მონახეს ენვერ ფაშას წარმატებების ჩასახშობად მორგებული შესაბამისი „გასაღები“. ბოლშევიკთა დიდმა რესურსებმა, მათმა დაულალავმა მეცადინეობამ და

⁷⁶⁴ Ядгор Норбутаев. Лихие кавалеристы с маузерами и другие мифы о басмачах. Международное информационное агентство «Фергана». 2013. <http://www.fergananews.com/articles/7790>.

⁷⁶⁵ С. Каменев. Система борьбы с басмачеством (бандитизмом). Составлена в поезде при объезде Туркфронта в мае-июне 1923 г. <http://mreadz.com/new/index.php?id=29900&pages=1>.

⁷⁶⁶ იქვე.

ენვერისათვის არახელსაყრელი სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებამ კი, როგორცაა სხვადასხვა რაზმს შორის კოორდინაციის უქონლობა, ცალკეულ ყურბაშებს შორის არსებული მტრული დამოკიდებულება და, რაც მთავარია, მოსახლეობის მხარდაჭერის დაკარგვა, შესაბამისი შედეგის დადგომა განაპირობა.

დამატებით, ენვერ ფაშას საბოლოო მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როგორც ეს ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში იყო აღნიშნული, ბრძოლების მეორე ეტაპზე ენვერის მიერ არასწორად შერჩეული საბრძოლო ტაქტიკა გახდა. ცალკეული გამარჯვებების მიღწევის შემდეგ, იგი ზედმეტად თავდაჯერებული გახდა და როგორც ჩანს საკუთარ ძალებზეც გადაჭარბებული წარმოდგენა შეექმნა. მან საკუთარი უძლეველობა ირწმუნა. 1922 წლის ზაფხულიდან დაწყებული, ენვერ ფაშამ პარტიზანული ომის მთავარ წესებს გადაუხვია და საომარ მოქმედებათა ხასიათი შეცვალა. იგი რევულარული ომის ტაქტიკაზე გადავიდა. ეს კი დიდი შეცდომა იყო, რასაც შეუქცევადი პროცესების განვითარება მოჰყვა შედეგად. ფაქტი ისაა, რომ კარგად შეიარაღებულ და გაწვრთნილ რუსულ საკავალერიო ნაწილებთან ბრძოლებში, ჯარების მართვა-კონტროლის, კავშირგაბმულობისა და დაზვერვის გამართული სისტემის არსებობისა და ავიაციით საბრძოლო მხარდაჭერის პირობებში, ენვერ ფაშას შანსები ნულთან იყო. უკვე შემდგომ, თვით ბუხარის წითელარმიული დაჯგუფების სარდალი, ნიკოლაი კაკურინი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „მიუხედავად თავისი რაზმის წმინდა პარტიზანული ორგანიზაციისა და შემადგენლობისა, ენვერ ფაშას რაზმის საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკას რევულარული ჯარის მოქმედებების ხასიათი ჰქონდა, რამაც საბოლოო ჯამში დაღუპა კიდევ იგი“.⁷⁶⁷


პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ შესაბამისად დააფასა სერგეი კამენევის ღვაწლი. 1922 წლის ზაფხულში მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალმა ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის წითელი ვარსკვლავის I ხარისხის ორდენი მიიღო ენვერ ფაშას წინააღმდეგ ორგანიზებული წარმატებული ბრძოლისათვის, ხოლო იმავე წლის სექტემბერში, ხორეზმის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის წითელი დროშის ორდენი „ხორეზმის მშრომელი ხალხისათვის თავისუფლებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეული დახმარებისა და ღვაწლისათვის“.⁷⁶⁸ ამავე დროს, კამენევის სამახსოვრო ჯილდოდ სპეციალური სახელობითი იარაღი – წითელი დროშის ორდენით შემკული და ვერცხლის მონოგრამიანი Mauser C-96 გადაეცა. ასეთი იარაღი – წითელი დროშის ორდენით შემკული და ვერცხლის მონოგრამიანი Mauser C-96 სულ ორი ცალი არსებობს. მეორე ასეთივე პისტოლეტი, ასევე რუსეთის სამოქალაქო ომის ლეგენდარულ გმირს, იმ დროისათვის 1-ლი ცხენოსანი არმიის სარდალს, სემიონ ბუდიონის გადაეცა.⁷⁶⁹

საერთო ჯამში, სერგეი კამენევის მიერ გაწეულმა დიდმა შრომამ და ძალისხმევამ თავისი შედეგები გამოიღო. მისი ანტიბასმაჩური ბრძოლის თეორიული დამუშავებები სათანადოდ აღასრულეს იგივე ნიკოლაი კაკურინმა და სხვა წითელმა მეთაურებმა. ეს კი, როგორც დღევანდელი ტაჯიკეთის ტერიტორიაზე მოქმედი ენვერ ფაშას რაზმის, ასევე, საბოლოოდ, 1938 წლისათვის, მთლიანად ცენტრალურ აზიაში აგორებული ბასმაჩური მოძრაობის სრული ლიკვიდაციით დასრულდა.

⁷⁶⁷ В. М. Гиленсен. Сотрудничество красной Москвы с Энвер-пашой и Джемаль-пашой. „Восток“. 1996. №3. Стр. 45-63. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

⁷⁶⁸ Андрей Ганин. Кандидат исторических наук. Кожаный костюм от РВС. Награды для военспецов-генштабистов. Родина 5-2012. http://orenkzazak.narod.ru/Red_banner.pdf.

⁷⁶⁹ Юрий Старшов. „Маузер“: пистолетов комиссар. <http://russian7.ru/2014/07/mauser-pistoletov-kommisaer/>.



1919 წლის სექტემბერ – 1922 წლის აგვისტოს პერიოდში შუა აზიაში მიმდინარე საომარი მოქმედებების სქემა



პირველი თურქესტანელი მილიციონერები



Major General F.C. Danstoville.
1872

ლაიონელ დანსთერვილი
(1865-1946)



შალვა ელიავა და სერგო ორჯონიკიძე



ნიკოლაი კაკურინი
(1883-1936)



ბორის შაპოშნიკოვი
(1882-1945)



სერგეი კამენევი
(1881-1936)

ЦГАКФФД
WWW.PHOTOARCHIVE.SPB.RU



მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამეთაურო შემადგენლობა

სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ-სარდალი ს. ს. კამენევი, რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი ს. ი. გუსევი, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი ა. ი. ეგოროვი, 1-ლი ცხენოსანი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი კ. ე. ვოროშილოვი.


დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საველე შტაბის უფროსი პ. პ. ლებედევი, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროსი ნ. ნ. პეტინი, 1-ლი ცხენოსანი არმიის სარდალი ს. მ. ბუდიონი, სამხედრო-რევოლუციური საბჭოს საველე შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი ბ. მ. შაპოშნიკოვი. 1920 წელი.



ფელიქს ძერჟინსკი და იაკობ პეტერსი



იაკობ მელქუმოვი
(აკოფ მელქუმიანი)



ლოკაელ უზბეკ ბასმაჩთა ლიდერი იბრაჰიმ ბეგი



ფერღანელ ბასმაჩთა ლიდერი შირა მუჰამედ ყურშირმატი



ფიოდორ რასკოლნიკოვი
(1892-1939)

ЛИЧНЫЙ ДЕЛКА
Ген. Секрет., Цикл. Конт. т. Сталина

Корпус 24
С.В. Семенов

А М И А
ШИРОМ

ТИФЛИС ЗАКРАЙНОМ РИД

Расшифрованную вручите Орджоникидзе и Ворошилову.

Вчера первый раз после полуторамесячного перерыва врачи разрешили Ильичу повидать друзей эпт был я у Ильича и нашел что он оправился окончательно тчк Сегодня уже имеем от него письмецо с директивами эпт врачи думают что через месяц он может войти в работу по старому тчк Лично думаю что Ваш приезд ~~к~~ пленуму ~~и~~ необходим между прочим потому что мы ставим на пленуме вопрос об улучшении положения Красной Армии эпт если здоровье позволяет Ваш приезд может быть очень желательным тчк Ответ небольшое письмо Орджоникидзе послан шифротелеграммой эпт Энвера бьем по всем правилам эпт сторонников Энвера в тылу расстреливаем эпт сомневался чтобы афганские танки если они существуют в природе могли помочь Энверу тчк **ИИ 5418/С 4549/Ш**

СЕКРЕТАРЬ ЦКРКИ СТАЛИН

14/УП-22г. в 16ч. 17 мин.

в е р н о: *Л*

Тифлис Закрайном РИД
Орджоникидзе и Ворошилову

Вчера первый раз после полуторамесячного перерыва врачи разрешили Ильичу повидать друзей эпт был я у Ильича и нашел что он оправился окончательно Сегодня уже имеем от него письмецо с директивами эпт врачи думают что через месяц он может войти в работу по старому тчк Лично думаю что Ваш приезд к пленуму необходим между прочим потому что мы ставим на пленуме вопрос об улучшении положения Красной Армии эпт если здоровье позволяет ваш приезд может быть очень желательным тчк Энвера бьем по всем правилам эпт сторонников Энвера в тылу расстреливаем эпт сомневался чтобы афганские танки если они существуют в природе могли помочь Энверу тчк Сталин 5418/С 4549/Ш

письмо Орджоникидзе послано шифротелеграммой Энвера бьем по всем правилам эпт сторонников Энвера в тылу расстреливаем эпт сомневался чтобы афганские танки если они существуют в природе могли помочь Энверу тчк Сталин 5418/С 4549/Ш

14/УП *А. Семенов*

14/УП

სტალინის ტელეგრამა რკპ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს (ორჯონიკიძესა და ვოროშილოვს). ტფილისი, 1922 წლის 14 ივლისი.



საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის ელიტა: ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, ა. მიქოიანი, ს. კიროვი, კ. ვოროშილოვი, მ. კალინინი, ი. სვერდლოვი.



ბასმაჩთა რაზმი



ანტიბասმაჩური ბრძოლების მონაწილე წითელარმიელის
სამკერდე ნიშანი – „რევოლუციის დამცველს“



ბუხარის უკანასკნელი ამირა საიდ ალიმ ხანი (1880-1944)



კონსტანტინ ივანოვიჩ მონსტროვი
(1874-1920)



ფოტო 256. ტურეკიე ოფიცერი აზ ოკრუჟენია ონვერ-პაში:
1. ალი-რისა. 2. ბარტინლი მუხიდინ. 3. პოლკოვნიკ ჰასან.
4. პოლკოვნიკ ჰალილ.

ენვერ ფაშას ამალის თურქი ოფიცრები: ალი რიზა, ბართინლი მუჰიდინი, პოლკოვნიკი ჰასანი და პოლკოვნიკი ჰალილი.

An Uzbek Basmachi detachment
in the Ferghana Valley, 1922.



ფერღანელი ბასმაჩები. 1922 წელი.



ბასმაჩთა რაზმი



ბასმაჩთა სასამართლო



ბასმანთა შეკრება ტაჯიკეთში



ბასმანთა ჯგუფი



ბოლშევიკთა მიერ ბასმაჩთა ლიდერებთან გამართული მოლაპარაკების პროცესი



წითელარმიელთა ჯგუფი თურქესტანში. საინტერესოა, რომ რაზმის მეთაური 20-იანი წლების ლეგენდარული ამერიკული ავტომატური იარაღით Thompson-ით, ან Tommy Gun-ით, ამერიკელ განგსტერთა საყვარელი იარაღითაა შეიარაღებული. მიწოდების გზები უცნობია.



იბრაჰიმ ბეგის დაკავება
წითელარმიელების მიერ



ყირგიზ ბასმაჩთა რაზმი



წითელი დროშის ორდენით შემკული
კამენევისათვის ჯილდოდ გადაცემული
ლეგენდარული Mauser C-96



წითელი დროშის ორდენით შემკული
ბუდიონისათვის ჯილდოდ გადაცემული
ლეგენდარული Mauser C-96



ბასმაჩთა ძირითადი სასროლი იარაღი – კაჟიანი ფილთა თოფი „ყარამულტუკი“



შუაზიელი „ქვეითი კავალერისტი“




ბასმაჩები „ყარამულტუკით“



თალათ ფაშას საფლავი სტამბოლში



ენვერ ფაშას საფლავი სტამბოლში



თემურ ლენგის სახელმწიფო. 1400 წელი



ცენტრალური აზია. 1922 წელი

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევაა, რომელშიც ახალი და უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო, I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი და რუსულ და ოსმალურ პოსტიმპერიალისტურ სივრცეებში განვითარებული მოვლენების გარკვეული ასპექტებია განხილული. მასში რუსული „რევოლუციური მესიანიზმისა“ და ბოლშევიკთა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფციების ფონზე ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა წარმოდგენილი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ოსმალთა იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის წევრებს შორის 1920-1922 წლებში არსებული ღრმად გასაიდუმლოებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები. ნაშრომში მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზაზე დაყრდნობით, სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებისა და საარქივო დოკუმენტაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე განხილულია ის გეოპოლიტიკური ვითარება, რაც I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დამყარდა ოსმალეთისა და რუსეთის პოსტიმპერიალისტურ სივრცეებში. წიგნში რუსულ-ოსმალური ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ურთიერთობების ფონზე წარმოდგენილია ბოლშევიკთა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ეგიდით დაწყებული რუსული ექსპანსიის პროცესები „აღმოსავლეთად“ წოდებულ ისლამურ ქვეყნებში.

მაშინ, 1919-1920 წლებში, მოსკოვს ხშირად ეძახდნენ მრავალრიცხოვანი „აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების“ „მექას“. მაშინ კრემლში ერებისა და სახელმწიფოების მოწყობის სრულიად წარმოუდგენელი გეოპოლიტიკური პროექტები მუშავდებოდა, რომლებიც ეყრდნობოდა არა მარტო სისტემურ და პოლიტიკურ, არამედ იდეოლოგიურ, კონფესიურ და ეთნიკურ მაჩვენებლებს. ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, რომ ეს პროცესები მხოლოდ ისტორიის კუთვნილება არ არის და იმდროინდელი პოლიტიკოსების იდეების მიღებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების ტექნოლოგიები დღესაც აქტუალურია. სულ უკანასკნელ ხანს ყოფილი საბჭოთა იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) განვითარებული მოვლენები ცალსახად მეტყველებენ ამაზე. გასაგებია, რომ აქ კრემლსა და მის იდეოლოგიურ ლიდერებზე, რუსეთის მიერ დაწყებულ სამხედრო-პოლიტიკურ ინტერვენციაზეა საუბარი.

მართალია, XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იანი წლების დასაწყისში კრემლის სამხედრო-პოლიტიკური აქტივობა ერთა თვითგამორკვევის უფლებებითა და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მითით ინიღებოდა, რომელსაც თავისუფლება უნდა მოეტანა მსოფლიოსა და „აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხებისათვის“, მაგრამ ეს წამოწყება რეალურად სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსული მესიანური იდეისა და სამხედრო ექსპანსიის სხვა ჭრილში გადატანის ფარისევლური მცდელობა.

რუსი რევოლუციონერები და პროლეტარი მისიონერები კარგად ინიღებოდნენ ამ პოლიტიკური სატყუარათი და განახლებული რუსული იმპერიის შექმნისაკენ ისწრაფვოდნენ, რომლის სამოქმედო იარაღსაც რუსული იმპერიული და სლავიანოფი-

ლური მესიანიზმის იდეოლოგია წარმოადგენდა. არადა ივანე მრისხანისდროინდელი მოსკოვის მონღოლური სამთავროს არსებობის შემდეგ უკვე ბევრი რამ იყო შეცვლილი. ცარისტული იმპერიისაგან განსხვავებით, ამჯერად ლენინისეული რევოლუციური მესიანიზმის სული უკვე მთელს ევრაზიის კონტინენტს დასტრიალებდა თავს. გლობალური მასშტაბის „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ლენინურ-ტროცკისტულ პროექტში კი მთელი მსოფლიო იყო ჩართული. პროლეტარი მისიონერები ამ პროცესებში მთავარ აქცენტებს ე.წ. „აღმოსავლეთსა“ და ისლამურ სახელმწიფოებზე აკეთებდნენ.

რუსულ და სლავიანოფილურ ე.წ. „მესიანიზმის“ თემასთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნავს ნიკოლაი ბერდიაევი: „ნაციონალიზმი და მესიანიზმი ერთმანეთთან მოდის შეხებაში და ისინი ერთმანეთს შეერევა. ნაციონალიზმი, თავისი დადებითი გაგებით, სულიერი აღმავლობის მომენტში მესიანიზმში გადადის... სლავიანოფილების ნაციონალიზმი შეუმჩნევლად გადადის მესიანიზმში. მაგრამ ნაციონალიზმი და მესიანიზმი თავისი ბუნებით, წარმომავლობითა და ამოცანებით, მკვეთრად დაპირისპირებული ცნებებია. ნაციონალისტურ და მესიანურ სწრაფვათა წინააღმდეგობები ყოველთვის კარგად იგრძნობოდა რუსეთში... იდეაში ნაციონალიზმი პრეტენზიას არ აცხადებს უნივერსალიზმზე, ერთადერთობასა და გამორჩეულობაზე, თუმცა პრაქტიკაში იგი ხშირად შეიძლება მივიდეს სხვა ერების უარყოფასა და განადგურებამდე... მესიანიზმი ვერ იტანს თანაარსებობას, იგი ერთადერთი და ყოვლისმომცველია. მაგრამ მესიანიზმი არასდროს არ უარყოფს და ბიოლოგიურად არ ანადგურებს სხვა ერებს, იგი შველის მათ და თავის დიად იდეას უმორჩილებს“.⁷⁷⁰

დიახ, სწორად შენიშნავს ბერდიაევი, რომ „იდეაში ნაციონალიზმი პრეტენზიას არ აცხადებს უნივერსალიზმზე, ერთადერთობასა და გამორჩეულობაზე, თუმცა პრაქტიკაში ხშირად შეიძლება მივიდეს სხვა ერების უარყოფამდე და განადგურებამდე... მესიანიზმი ვერ იტანს თანაარსებობას, იგი ერთადერთი და ყოვლისმომცველია“. თუმცა აქვე ავტორი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება და აცხადებს: „...მაგრამ მესიანიზმი არასდროს არ უარყოფს და ბიოლოგიურად არ ანადგურებს სხვა ერებს, იგი შველის მათ და თავის დიად იდეას უმორჩილებს“. ზუსტად ასე. ბერდიაევი აქვე არბილებს თავის შეფასებებს და აღიარებს, რომ რუსული ნაციონალური იდეის მთავარი დანიშნულება თურმე სხვა ერების ხსნაში მდგომარეობს და დიდი რუსი ერი სხვა ხალხებს თავის დიად იდეას უმორჩილებს.

სხვა ხალხების დიადი იდეისათვის დამორჩილებისათვის ბოლშევიკმა მისიონერებმა შესაბამისი იდეოლოგია და ინსტრუმენტაც გამოიყენეს. მართალია, რუსული „მესამე რომის“ კონცეფციის ხორცშესხმა არ გამოვიდა და იგი იდეოლოგემად დარჩა, სამაგიეროდ, გამოვიდა პროლეტარული III ინტერნაციონალის შექმნა. სწორედ III ინტერნაციონალის, ანუ „კომინტერნის“ ეგიდით უნდა აღსრულებულიყო ის დიადი ჩანაფიქრი, რომლის სცენარებიც კრემლის ბნელ კაბინეტებში იწერებოდა. მაშინ, 1919-1920 წლებში, როგორც აღვნიშნეთ, კრემლისა და III ინტერნაციონალის ინტერესთა ვექტორი აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული. აღმოსავლეთის ლიდერი სახელმწიფოს როლში ოსმალეთის სასულთნოსა და სახალიფოს მემკვიდრე სახელმწიფოებრივი სუბიექტი მოიაზრებოდა, რომელიც I მსოფლიო ომის შემდეგ დაშლილი იმპერიის

⁷⁷⁰ Николай Бердяев. Судьба России. Проблема национальности. Национализм и мессианизм. 1918. http://krotov.info/library/02_b/berdyaev/1918_15_11.html.

ნანგრევებზე უნდა აღმოცენებულიყო. აქ კი ბოლშევიკთათვის საინტერესო ორი მიმდინარეობა იკვეთებოდა: პირველი – თითქოსდა უკვე პოლიტიკურად გაკოტრებული „ახალგაზრდა თურქთა“ იტიჰადისტი ლიდერები, რომელსაც სათავეში იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის ლიდერი და სამხედრო ექსმინისტრი, გენერალი ისმაილ ენვერ ფაშა ედგა და მეორე – ანატოლიაში ნაციონალისტთა მიერ ახლადდაწყებული წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელსაც ასევე ყოფილი ექსოსმალო გენერალი, მუსტაფა ქემალ ფაშა ხელმძღვანელობდა. პარალელურად, ბოლშევიკთა მიერ გარკვეული გათვლები ავღანეთსა და მის ახალგაზრდა, მაგრამ ამბიციურ ამირაზე, ამანულა ხანზეც კეთდებოდა.

მეტად ნიშანდობლივია ერთი მომენტის ხაზგასმაც. თუ მიმდინარე მოვლენებს ანალიზის ინდექციური მეთოდის კუთხით განვიხილავთ, XX საუკუნის დასაწყისისათვის ოსმალურ და ცარისტულ იმპერიებში არსებული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ შეიძლება დავასკვნათ, რომ „ახალგაზრდა თურქთა“ და ბოლშევიკთა მიერ XX საუკუნის დასაწყისში წარმოებული პოლიტიკა ბევრ რამეში ჰგავდა ერთმანეთს. ორივე ეს პარტია რევოლუციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა და, გარდა წმინდა პოლიტიკური მიზნებისა, რაც მონარქიის გაუქმებას ან მის დასუსტებას ისახავდა მიზნად, სხვა ფარული ამოცანების გადაწყვეტასაც ითვალისწინებდა. საუბარი ორი მსოფლიო რელიგიის, მართლმადიდებლობისა და სუნიზმის საყრდენი ბურჟუების – ოსმალთა იმპერიისა და ცარისტული რუსეთის ნგრევის პროცესებს შეეხება. ოსმალთა იტიჰადისტების შემთხვევაში დრომოჭმულ პანისლამიზმს პანთურანიზმი უნდა ჩანაცვლებოდა, ბოლშევიკების შემთხვევაში კი დრომოჭმულ რუსულ მართლმადიდებლობას – მარქსიზმ-ლენინიზმი.

ამ თვალსაზრისით, 1920-1922 წლებში, ერთი მხრივ, კრემლსა და მეორე მხრივ, ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატის ლიდერებს შორის ღრმად გასაიდუმლოებული კავშირები, ერთი შეხედვით, ისტორიისათვის ამოუცნობ ენიგმას წარმოადგენდა. მაგრამ ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ურთიერთობების ამ ენიგმას, თავისი ახსნაც გააჩნდა. ისმაილ ენვერ ფაშა და იტიჰადისტთა ლიდერები, რომელთა ზეგავლენაც ისლამურ სამყაროზე ჯერ კიდევ განუზომლად დიდი იყო, სწორედ ლენინისა და ბოლშევიკების დახმარებით ფიქრობდნენ პოსტოსმალურ პოლიტიკურ სივრცეში თავიანთი დაკარგული პოზიციების აღდგენას. შესაბამისად, ამ რთულ და მეტად სახიფათო პოლიტიკურ თამაშებში მათ მთელი რიგი ინსინუაციებისა და გამოძგონებლობის დემონსტრირება მოახდინეს. ოსმალთა ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის წევრები მსწრაფლ გარდაიქმნენ რევოლუციონერებად და მშრომელთა ინტერესების მხურვალე დამცველებად. ექსიტიჰადისტებმა აქ წინა პლანზე ენვერ ფაშას ჰიბრიდული იდეოლოგია წამოსწიეს – პრობოლშევიკური და პანთურანული, ოდნავ მოგვიანებით კი – პანისლამისტური.

1920-1921 წლებში ოსმალეთთან მიმართებაში კრემლის მესვეურთა მიერაც ენვერ ფაშა, ეს უკვდავი „მარადიული მეომარი“, რუსული „ცივი ომის“ მთავარ ფიგურად მოიაზრებოდა. როგორც ნაშრომის შესაბამის თავში აღვნიშნეთ, ოფიციალურ რუსულ ისტორიაში მსგავს სუბიექტებს „სტავლენიკებად“ (Ставленник), ხელდასმულებად მოიხსენიებენ, დღევანდელი ტერმინოლოგიით კი – მარიონეტებად. რუსული ტერმინი – Ставленник, რომელიც თარგმანში უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მარიონეტი, უკეთ აღწერს ამ ინდივიდის როლსა და ფუნქციას. ესაა საზოგადოების წარმომად-

გენელი, რომელიც მოსკოვის ხელისუფლების გამოჩენამდე ელოლიავება და აქტიურად ემსახურება რუსულ საქმეს. მას თავი მოსკოვის წარმომადგენლად მიაჩნია იმ ქვეყანაში, რომელშიც რუსეთი საბოლოოდ უნდა გაბატონდეს. ამისათვის „სტავლენიკი“ დასაპყრობი ქვეყნის წარჩინებულ და ცნობილ ოჯახს უნდა წარმოადგენდეს, სასურველია, ქვეყნის მმართველ დინასტიასაც კი. სწორედ ასე.

„სტავლენიკს“ და მარიონეტს შორის ის განსხვავებაა, რომ მარიონეტი, როგორც წესი, არენაზე რუსული ჯარების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ გამოდის, ხოლო „სტავლენიკი“ საკუთარ სამშობლოში იწყებს მოქმედებას მტრის შემოსვლამდე. იგი ცდილობს, ისეთი ანარქია შექმნას ქვეყანაში, რომ რუსული ჯარები თოფის გასროლის გარეშე და მინიმალური დანაკარგებით შევიდნენ იქ და უფრო მეტიც – ქვეყნის მთავრობამ თავად მოითხოვოს ჯარების შეყვანა. თავად „სტავლენიკი“ კი, რომელსაც დამოუკიდებელ პიროვნებად მოაქვს თავი, ვერც კი გრძნობს, რომ იგი მართული ფიგურაა. ფაქტობრივად, იგი რუსი დესპანის ხელმძღვანელობით მოქმედებს. ჯარიც მხოლოდ იქ და მაშინ ჩნდება, სადაც საჭიროა და როცა საჭიროა.⁷⁷¹

ღიას, პოსტოსმალური სახელმწიფოს შექმნის საწყის ეტაპზე, 1920 წლიდან, სწორედ ენვერ ფაშა მზადდებოდა კრემლის მიერ „სტავლენიკად“. ამ როლში სწორედ მას უნდა ეკისრა ჯერ ანატოლიაში და შემდეგ მთელს თურქეთში პრომოსკოვური და პრობოლშევიკური ფონის შექმნა. თუმცა, 1921 წლის ბოლოსათვის ქემალისტთა მიერ ბერძნებთან მიღწეული სამხედრო წარმატებისა და ანატოლიაში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად, კრემლმა ენვერ ფაშა უარყო და უცებ „გამოაცხო“ მომავალი „რევოლუციური“ თურქეთის ახალი „სტავლენიკი“ დარდანელის გმირის, გენერალ მუსტაფა ქემალის სახით.

ენვერ ფაშასთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნავდა თურქესტანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მუსტაფა ჩოკაი:

„ოსმალთა არმიის მთავარსარდლის ბოლშევიკთა ბანაკში გამოჩენას მისი მოწინააღმდეგენი არ გაუკვირვებია. „ენვერისაგან ყველაფერს უნდა ველოდოთ“, – განაცხადეს მათ. ასეთივე რეაქცია იყო მაშინ, როცა მოსკოვთან მჭიდრო ურთიერთობის შემდეგ იგი ცენტრალური აზიის ამბოხებულთა მხარეზე გადავიდა. ზოგიერთების აზრით, ენვერ ფაშას მართლაც სურდა ბოლშევიკების მხარდაჭერით ცენტრალური აზიის მუსლიმანებისათვის დამოუკიდებლობის მოპოვება. სხვების, მათ შორის, ბოლშევიკთა გაზეთ „Правда“-ს ცნობით, ცოტა ხნის წინ მოკლული მისი მეგობარი ჯემალ ფაშა ამტკიცებდა, რომ ენვერის მოქმედებები მისი პატივმოყვარეობითა და პოპულარობის მოპოვების დიდი წყურვილით იყო განპირობებული“. მე აქ გაზეთ „Правда“-დან ამოღებული სიტყვები მოვიტანე, იმიტომ რომ ჯემალ ფაშასთან უკანასკნელი შეხვედრისას ევროპაში, 1922 წლის გაზაფხულზე, მან ზუსტად ამ სიტყვებით დაახასიათა ენვერ ფაშა. მიუკერძოებელი ხალხი კი, რომლებიც ენვერ ფაშას „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის პერიოდიდან იცნობდნენ, მისი ხასიათის წინააღმდეგობრივ თვისებებს უსვამდნენ ხაზს: იგი მართლაც იბრძოდა მუსლიმანი ხალხის თავისუფლებისათვის და პოპულარობის წყურვილში პოულობდა სტიმიულს. იგი იმ ავანტიურაში გადაეშვა, რომელსაც ვერც ერთი უფრო გაწონასწორებული ადამიანი ვერ გაბედავდა.

⁷⁷¹ ივანე ნანუაშვილი. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ. თბილისი. 2012. ISBN 978-9941-15-564-2. გვ. 140.

არ ღირს იმ შეფასებაზე ყურადღების შეჩერება, რასაც ბოლშევიკები აძლევდნენ ენვერ ფაშას. მათთვის ის პატივსაცემ და სასურველ სტუმარს წარმოადგენდა, რომლის დახმარებითაც საუკეთესო პროპაგანდას გასწევდნენ მანამ, სანამ იგი მათ პოლიტიკას ატარებდა. ის იმ დრომას მიჰყვებოდა, რომელსაც ბოლშევიკები იყენებდნენ მუსლიმანი ხალხების თვალში. მას უნდა გაეერთიანებინა ცენტრალურ აზიაში მოქმედი ეროვნული ძალებიც, ჯადიდი-რეფორმატორებიც, ნაციონალ-კომუნისტებიც და ამ უკანასკნელის პლატფორმაზე მდგარი ყაზახი მოდერნისტებიც. გარდა ამისა, ყველა მათგანი საბჭოთა ორბიტაზე მოექცია.

ნაციონალ-კომუნისტების პოლიტიკური პროგრამა ექვს ძირითად პუნქტად იყო წარმოდგენილი:

1. ისლამი უდიდეს კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. იგი „დესაკრალიზებული“ უნდა იყოს, მაგრამ მისი მორალური და სოციალურ-პოლიტიკური ღირებულებები უნდა შენარჩუნდეს;
2. ყველა დონეზე წინ უნდა აღვუდგეთ ევროპული (რუსული) ცივილიზაციის ზეგავლენას ენაზე, კულტურაზე და ა. შ.;
3. მუსლიმანური მიწები უნდა დაეიცვათ რუსული კოლონიზაციისაგან, რუსები და სხვა კომუნისტები კი უნდა განვდევნოთ;
4. მუსლიმანი ხალხები ერთ ერს შეადგენენ, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ. ამ სახელმწიფოთა რაოდენობა მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ: შუა ვოლგისპირეთისა და ურალის სახელმწიფო (იდეალ-ურალი), გაერთიანებული თურქესტანი, გაერთიანებული ჩრდილოეთ კავკასია, აზერბაიჯანული სახელმწიფო. ადრე თუ გვიან ეს სახელმწიფოები გაერთიანდებიან დიად მუსლიმანურ სახელმწიფოდ – თურანის რესპუბლიკად;
5. მუსლიმანებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი კომუნისტური პარტია და არჩეული ცენტრალური კომიტეტიც, პრინციპში, ბოლშევიკთა პროგრამის ძირითადი ხაზის გამტარებელი იქნება, მაგრამ ამავე დროს შეინარჩუნებს მოქმედებების თავისუფლებას კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმეში: სულთან-გალიევის მუსლიმანური პარტია, ტურარ რასკულოვის თურქული პარტია და ა. შ.;
6. კომინტერნმა უნდა დატოვოს ევროპა, მთელი რევოლუციური დინამიზმი კი აღმოსავლეთისაკენ უნდა იყოს მიმართული. თურქესტანი აზიური რევოლუციის ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს. კომუნიზმი აზიაში მუსლიმანი კომუნისტების და არა რუსი კომუნისტების მიერ უნდა იყოს შეტანილი.⁷⁷²

მუსლიმანთა ნაციონალური კომუნიზმის სწორედ ეს ძირითადი პუნქტები დაედო საფუძვლად ყაზახური პარტია „ალაშის“ პოლიტიკურ პროგრამას, მაგრამ მოსკოვის ამ ფუტურისტულ ჩანაფიქრებს ასრულება არ ეწერა. კრემლის მიერ შეკვეთილი და ენვერ ფაშას მიერ გამოყენებული „რეცეპტი“, რომლის მორგებასაც იგი ცდილობდა ცენტრალური აზიისათვის, დაახლოებით იმ სიტუაციას მოგვაგონებს, როდესაც ექიმი პაციენტს კუჭის ტკივილის წამალს აძლევს და თავისი მოქმედების გასამართლებლად ამბობს: „ჯანმრთელი თვალები რომ ჰქონოდა, ალბათ, უარს იტყოდა ამ წამლის დალევაზე“.

⁷⁷² Бахыт Садыкова. МУСТАФА ЧОКАЙ. Научные консультанты: профессор Шанталь Лемерсье-Келькежей (Франция), доктор философских наук, профессор Кенжебаев С. Д. (Казахстан). <http://www.continent.kz/library/mustafachokay/soderjanie.html>.

მაგრამ ენვერ ფაშამ კრემლს იმედები გაუცრუა. იგი თავის ფესვებს დაუბრუნდა. როგორც კი ენვერი ოპოზიციაში გადავიდა, იგი უმაღლეს იქცა „ბრიტანული იმპერიალიზმის დაქირავებულ აგენტად“.⁷⁷³

ღიას, 1920 წლის ზაფხულიდან დაწყებული, მწვანე ნახევარმთვარემ წითელი ვარსკვლავის ორბიტაზე დაიწყო ბრუნვა. მაგრამ ძალიან მალე, უკვე 1921 წლის ბოლოს, კომინტერნის ისლამური ვარიანტის – „ისლამინტერნის“ ბელადად შერაცხული ექსოსმალო გენერალი, სხვა მრავალთა მსგავსად, ბოლშევიკთა მიერ შერისხულთა ბანაკში გაამწყვდეს. კრემლიდან კი მისი მისამართით სულ სხვა ეპითეტები გაისმა: „ბრიტანეთის აგენტი“, „ინგლისელთა ლაქია“, „საერთაშორისო ავანტიურისტი“, „სისხლიანი ფაშა“, „ანტანტის დამქაში“ და ა.შ. უკვე 1923 წელს საბჭოთა ისტორიოგრაფია ასე ახასიათებდა ენვერ ფაშას – „ავანტიურისტი, რომელმაც თურქეთისა და შემდეგ ბუხარის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი ფურცლები ჩაწერა“,⁷⁷⁴ ან: „მოუსვენარი ავანტიურისტი, რომელიც მაშინ, როცა თურქეთის საუკეთესო შვილები თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ბუხარაში ჩავიდა, ისარგებლა იქ არსებული მძიმე მდგომარეობით და თავისი სისხლიანი ხელების ფათური დაიწყო ბუხარის რევოლუციაში“.⁷⁷⁵

ფაქტი ისაა, რომ ბოლშევიკთა მიერ ანატოლიურ პროექტში გაწბილებული ენვერ ფაშა, რომელიც 1921 წლის ბოლოს ცენტრალურ აზიაში ჩადის, ძალიან მალე აღმოსავლეთ ბუხარაში გადადის და ბასმაჩთა ერთ-ერთ რაზმს უდგება სათავეში. ფაქტი ისაა, რომ საბჭოელებმა ცენტრალურ აზიაში მართლაც სისხლიანი კალო გალექეს. ამის შესახებ უტყუარი საარქივო დოკუმენტები მეტყველებენ. ასე მაგალითად, თურქფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი, რეინჰოლდ ბერზინი 1921 წლის 31 ივლისს წერდა: „სამი წლის განმავლობაში წითელგვარდიელებისა და წითელარმიელების მიერ 300 ათასამდე ბასმაჩი იქნა განადგურებული, მაშინ როცა ბასმაჩური რაზმების პირადი შემადგენლობის რაოდენობა არასდროს არ აღემატებოდა 15 ათას კაცს. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მშრომელი დეხკანი გლეხობის და არა ბასმაჩების სისტემატური განადგურების პროცესს“.⁷⁷⁶ ხოლო თავად ბასმაჩთა წინააღმდეგობის მოძრაობა, როგორც ასეთი, ტაჯიკი ისტორიკოსის, იელის უნივერსიტეტის პროფესორის, კამოლ აბდულა-ევის განცხადებით, 1918 წლის თებერვალში წარმოიშვა, მაშინ როცა ბოლშევიკთა მიერ არცნობილი კოკანდის, ანუ თურქესტანის ავტონომია დაემხო.

ეს ტერიტორიული გაერთიანება 1917 წლის ნოემბრის ბოლოს, მუსლიმანთა IV სამხარეო ყრილობის გადაწყვეტილებით შეიქმნა ბოლშევიკთაგან თავისუფალი ტერიტორიების გაერთიანებით ყოფილი კოკანდის სახანოს ადგილას, რომელიც უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ტერიტორიებს მოიცავდა.⁷⁷⁷ მისი ხელმძღვანელები კი მუჰამედჯან ტინიშპაევი და მუსტაფა ჩოკაი იყვნენ.⁷⁷⁸

⁷⁷³ Мустафа Чокай Оғлы. Энвер паша в Советской России и Туркестане. («Orient et Occident»). Paris. Перевод с французского языка и публикация принадлежат Бахыт Садыковой. <http://kh-davron.uz/kutubxona/tarix/mustafachokaj-enver-pasha-v-sovetskoj-rossii-i-turkestance>.

⁷⁷⁴ Соловейчик Л. М. Очерк возникновения и развития современного басмачества в Бухаре. М. 1923. Стр. 281.

⁷⁷⁵ დასახელებული ნაშრომი. გვ. 283.

⁷⁷⁶ АВГТРФ (Архив военно-политической истории Российской Федерации), Ф. 56. Б. оп 1, папка 28, д. 177, л. 13.

⁷⁷⁷ Галим Фасхутдинов, Deutsche Welle. Басмачи - борцы за свободу. Мифы о басмачестве. <http://z001.kz/article/view?id=489>.

⁷⁷⁸ Словари и энциклопедии на Академикe. Кокандская автономия <http://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/298315>.

ამ სახელმწიფომ მხოლოდ სამი თვე იარსება.⁷⁷⁹ ამ საკითხთან დაკავშირებით უკრაინელი მეცნიერი დანიელ შვეჩენკო აღნიშნავს, რომ 1918 წლის თებერვალში კოკანდის, ანუ თურქესტანის ავტონომიის, ხოლო 1920 წელს ბუხარის საამიროსა და ხივის სახანოს ბოლშევიკურმა ოკუპაციამ კიდევ უფრო გაზარდა ადგილობრივ მოსახლეობასა და საბჭოებს შორის არსებული კონფლიქტი.⁷⁸⁰

რუსეთის რევოლუციებისა და სამოქალაქო ომის უმძიმესი წლები, რასაც საშინელი შიმშილი და ეპიდემიები სდევდა თან, დამანგრეველი აღმოჩნდა მთელი ცენტრალური აზიის რეგიონისათვის. აქ მიმდინარე პროცესებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ რეგიონის მოსახლეობის რაოდენობამ მკვეთრად დაიწყო შემცირება.⁷⁸¹ ფაქტი ისაა, რომ რუსული და ბოლშევიკური ოკუპაციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პროცესი მართლაც „პანდორას ყუთად“ იქცა ცენტრალური აზიისათვის. საბჭოთა ხელისუფლება აბსოლუტურად არ ითვალისწინებდა რეგიონისათვის დამახასიათებელ ეთნო-რელიგიურ თავისებურებებს, რომელთა უარყოფამ და ნაციონალური თავმოყვარეობის უკიდურესად შეურაცხყოფამ ძალიან ძალე მოსახლეობა ბოლშევიკი ოკუპანტების წინააღმდეგ განაწყო. გაისმა საყოველთაო მოწოდებები „ჯიჰადის“ – „საღვთო ომის“ დაწყების შესახებ.⁷⁸² ის, რომ ანტიბოლშევიკური და ანტირუსული წინააღმდეგობის მოძრაობა ცენტრალურ აზიაში მრავალპლანიანი იყო, თვით ბოლშევიკებიც აღიარებენ. ასე მაგალითად, 1919 წლის სექტემბერში თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოების საგანგებო ყრილობის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ბოლშევიკთა მოწინააღმდეგეები იყვნენ „მუსლიმანი ავტონომისტები, რომელთა წარმომადგენლადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ ირგაში, ახუნ-ჯანისა და ხალ-ხოჯას მსგავსი ყაჩაღები, მადამინ ბეგის მსგავსი ღია კონტრრევოლუციონერები, აგრეთვე პროვოკაციებს აყოლილი ბნელი და შეუგნებელი ხალხი“.⁷⁸³

ანატოლიისა და ცენტრალური აზიის პარალელურად, კრემლის მიერ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის სხვა პერსპექტიულ მიმართულებებზეც მიმდინარეობდა ნიადაგის მოსინჯვა. აქ პირველ რიგში ავღანეთზეა საუბარი. ლენინისა და მისი თანამოაზრეების მიერ 1919 წლის დასაწყისიდან ავღანეთის „სტაველენიკად“ ავღანეთის ახალგაზრდა ამირა, ამანულა ხანი მზადდებოდა. მასთან მიმართებაშიც იგივე გათვლები გაკეთდა, რაც ენვერ ფაშასთან მიმართებაში. ბოლშევიკებთან ურთიერთობების დამყარების პროცესში თავისი სტრატეგიული მიზნები ამანულა ხანსაც ჰქონდა, რომელიც ქვეყნის სათავეში 1919 წლის დასაწყისში, დაუდგენელი პირების მიერ მამამისის, ამირა ხაბიბულა ხანის მკვლელობის შემდეგ მოვიდა.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ახალგაზრდა ამბიციურმა მონარქმა ავღანეთის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის დაიწყო ბრძოლა და ამის შესახებ შესაბამისი შეტყობინებები გაუგზავნა დაუყოვნებლივ ბრიტანელებსა და ბოლშევიკებს.

⁷⁷⁹ Галим Фасхутдинов, Deutsche Welle. Басмачи - борцы за свободу. Мифы о басмачестве. <http://z001.kz/article/view?id=489>.

⁷⁸⁰ Шевченко Д. В. БАСМАЧЕСТВО КАК РЕАКЦИЯ МЕСТНОГО НАСЕЛЕНИЯ НА КРАСНЫЙ ТЕРРОР. Вестник факультета сервиса и рекламы Иркутского государственного университета. - Иркутск, 2005. - № 6. - С. 149-153. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?tid=10&fid=12&block=100>.

⁷⁸¹ А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

⁷⁸² АВПРФ. Ф. 56. Б, оп. 1, панка 28, д. 175, л. 4.

⁷⁸³ Коканбаев А. Борьба с басмачеством и упрочение Советской власти в Фергане. Ташкент, 1958. С. 44.

იგი მეგობრული დიპლომატიური კავშირების დამყარებას გეგმავდა ბოლშევიკურ რუსეთთან, ხოლო ბრიტანელებთან მიმართებაში – იმპერიის გაგლენის სფეროდან გასვლას. ამავე დროს, თავისი ამბიციური ბუნებიდან გამომდინარე, 1921 წლის დასაწყისისათვის ამანულა ხანი ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ ავღანეთს მძლავრ რეგიონალურ სახელმწიფოდ გადააქცევდა. იგი იმასაც გეგმავდა, რომ მისი ხელმძღვანელობით ავღანეთი აქტიურ საგარეო პოლიტიკას გაატარებდა როგორც ჩრდილოეთით, ბუხარისა და მისი მეზობლების, ასევე სამხრეთით – ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებთან მიმართებაში, რომელიც ავღანეთის პოლიტიკური ელიტის მონათესავე თავისუფლებისმოყვარე პუშტუნი ტომებით იყო დასახლებული.

ამანულა ხანის გეგმების იდეოლოგიურ ბაზისს წარმოადგენდა მის მიერ აღიარებული თეზისი რელიგიური ნიშნით აღმოსავლეთის ხალხების გაერთიანების პროცესის გარდუვალობის შესახებ. კიდევ ერთი „დეტალი“ – I მსოფლიო ომში ოსმალთა იმპერიის მარცხმა, იმპერიის დაშლამ და კონსტანტინოპოლში, როგორც ისლამის იდეოლოგიურ ცენტრში სახალიფოს დასუსტებამ, ქაბულში იმის იმედები ჩასახა, რომ ისლამური ქვეყნების გამაერთიანებელ ცენტრად შესაძლებელია სწორედ ავღანეთი ქცეულიყო. როგორც ჩანს, ამანულა ხანი იმასაც იმედოვნებდა, რომ მის ქვეყანას ჰქონდა შანსი, მეორე სახალიფოდ და მეორე ოსმალეთის იმპერიად მოვლინებოდა ქვეყნიერებას.⁷⁸⁴

ავღანეთის ანტიბრიტანული პოლიტიკური და რელიგიური წრეებისა და ბოლშევიკების თანამშრომლობის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში საბჭოელთა შუაზიური დიპლომატიის დიდ საიდუმლოს წარმოადგენდა. დოკუმენტებისა და საარქივო მასალების უმრავლესობა საბჭოთა სპეცსამსახურების არქივებსა და საცავებში იყო განთავსებული. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობის მიერ აღმოსავლელი ნაციონალისტების მხარდაჭერა რეგულარულად ხვდებოდა მსოფლიო საზოგადოებისა და უცხოელ მკვლევართა ყურადღების ცენტრში. უკანასკნელ წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყებებისა და სპეცსამსახურების ფონდების გახსნამ სამეცნიერო წრეებს საშუალება მისცა, შეესწავლათ ამ საკითხთან დაკავშირებული დახურული თემები და პასუხები გაეცათ აქამდე მრავალი უპასუხო კითხვისათვის. საკითხთა უმრავლესობა, პირველ რიგში, დიდ სახელმწიფოთა მიერ XX საუკუნის დასაწყისში შუა აზიაში გატარებულ პოლიტიკას შეეხება. აქ საუბარი დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა რუსეთზეა, რომლებიც ერთმანეთს ცენტრალურ აზიასა და ინდოეთში დომინანტობისათვის დაუპირისპირდნენ.

თავად ავღანეთთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებისა და მისი გაღრმავების პროცესში კი კრემლს თავისი მკვეთრად განსაზღვრულ მიზნები ამოძრავებდა. ბოლშევიკები იმედოვნებდნენ, რომ აზიაში ბატონობის ეგიდით რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დაწყებულ ახალ „დიდ თამაშში“ საბჭოელთა წაქეზებით ავღანეთი ინგლისის წინააღმდეგ ახალ ომში ჩაებმებოდა და ასეთი სქემით იგი „რევოლუციური ინდოეთის გასაღები“ გახდებოდა. სწორედ აქ, უფრო ზუსტად, ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სასაზღვრო ზოლში პუშტუნთა მიერ დაწყებულ საყოველთაო ანტიბრიტანულ აჯანყებას უნდა ეთამაშა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ტრიგერის როლი აღმოსავლეთში. სწორედ აქ, ავღანეთის სამხრეთ-

⁷⁸⁴ В. М. Гиленсен, доктор юридических наук, профессор. Банды под Зеленым Знаменем. Басмачество в Таджикистане в 20 — начале 30-х гг. и советско-афганские отношения. «Военно-исторический журнал». №4-1999. С.68-78. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

აღმოსავლეთ სასაზღვრო ზოლში უნდა შექმნილიყო ბოლშევიკთა მძლავრი სამხედრო-რევოლუციური ბაზა და საბჭოური პლაცდარმი ინდოეთში დაგეგმილი შემდგომი სამხედრო ინტერვენციისათვის. სწორედ ამ მიზნით იყო მივლინებული ბოლშევიკთა მიერ ქაბულში ჯერ კომინტერნის აგენტურა, შემდეგ კი, 1921 წლის ბოლოდან, „ისლამის ლომად“ წოდებული, ოსმალთა იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის კიდევ ერთი წევრი, სირიის ექსტენერალ-გუბერნატორი და იმპერიის ექსსაზღვაო მინისტრი, გენერალი აჰმედ ჯემალ ფაშა. ჯემალ ფაშას საბჭოური მისიის უპირველეს ამოცანას ავღანეთის ამირასთან დაახლოება, მისი ნდობის მოპოვება, ავღანური არმიის რეორგანიზაცია და მის თანამედროვე არმიად გარდაქმნა წარმოადგენდა.

ჯემალ ფაშას სახით ქაბულში გამოცდილი სამხედრო სპეციალისტის ყოფნას, რომელიც შეძლებდა ავღანეთის არმიის რეორგანიზაციასა და ამით ბრიტანეთის ინდოეთზე გააძლიერებდა დაწოლას, საბჭოელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უფრო რთულ ამოცანას კი ამანულა ხანის პრობოლშევიკურ პოზიციაზე დაყენება და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონტექსტში მისი ჩართვა წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, კრემლში სულაც არ ფიქრობდნენ იმას, რომ ავღანეთის ამირას ადვილად „მოაქცევდნენ“ და იგი დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვებოდა ამ პოლიტიკურ თამაშებში, მაგრამ იმაში კი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ამანულა ხანი ბრიტანელთა წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით საბჭოელთა ფინანსურ, სამხედრო და პოლიტიკურ მხარდაჭერას დიდი სიამოვნებით მიიღებდა, რაც ბრიტანული პოზიციების შესუსტებას გამოიწვევდა ინდოეთში. ეს კი საბჭოელებს ინდოეთისაკენ რევოლუციური სვლის დიდ შანსს გაუჩინდა. სწორედ ამ გათვლებით მოიაზრებოდა ავღანეთი კომუნისტური ინდოეთის „გასაღებად“. ამ „გასაღების“ მორგება კი იტიჰადისტთა ცნობილ ლიდერს, ექსოსმალო გენერალს, აჰმედ ჯემალ ფაშას დაევალა.

რუსი ისტორიკოსი, ლიპეცკის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, იური ტიხონოვი აღნიშნავს: „თუ საბჭოთა ხელისუფლებასთან ჯემალ ფაშას თანამშრომლობის ამბებს შევაჯამებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ადამიანმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა ავღანეთში საბჭოთა პოზიციების განმტკიცებისათვის, ასევე ამ ქვეყანასა და ინდოეთში საბჭოთა სადაზვერვო ქსელის ორგანიზების საქმეში. მის მცდელობებს, გამოეყენებინა საზღვრისპირა რაიონებში მცხოვრები პუშტუნთა ტომები ინგლისის წინააღმდეგ, წარმატების გარკვეული შანსები ჰქონდა. მაგრამ ცენტრალურ აზიასთან დაკავშირებული ყველა მისი ჩანაფიქრის ასრულება მაინც არარეალური იყო, რადგან იმ მომენტისათვის საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო უზარმაზარი თანხების გაღება თვით ინდური რევოლუციისათვისაც კი“.⁷⁸⁵

როგორც აღვნიშნეთ, პარალელურად, ავღანური რევოლუციური ბაზის ორგანიზებისათვის საბჭოელთა მიერ ქაბულში დიპლომატიურ წარმომადგენლობად შენიღბული კომინტერნის აგენტურაც ჩაინერგა, მაგრამ საბჭოელთა მიერ ავღანეთთან დაწყებული ეს პოლიტიკური ფლირტი დიდხანს არ გაგრძელებულა. მთელი რიგი ინსინუაციების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, 1922 წლისთვის ამანულა ხანმა კრემლის რევოლუციური-მილიტარისტული თამაშები დაასრულა. ავღანეთის ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა კომინტერნის რუსულ-ინდური საბჭოთა აგენტურა, რითაც ქაბულის კომინტერნის ცენტრმა თავისი არსებობა შეწყვიტა.⁷⁸⁶

⁷⁸⁵ Юрий Тихонов. Афганская война Сталина. Битва за Центральную Азию. Эксмо, Яуза; Москва; ISBN 978-5-699-25203-9. 2008. Spain J. W. The Pathan Borderland. Hague, 1963. P. 256.

⁷⁸⁶ Тихонов Юрий Николаевич. Политика великих держав в Афганистане и пуштунские племена (1919-1945).

ასე დასრულდა ავღანეთის „თურქული მარში“...

ვეთანხმებით პროფესორ ტიხონოვის შეფასებებს ე.წ. „ინდურ რევოლუციასთან“ დაკავშირებით, სადაც იგი აღნიშნავს, რომ „იმ მომენტისათვის საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო უზარმაზარი თანხების გაღება თვით ინდური რევოლუციისათვისაც კი“. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლშევიკთა ამ ჩანაფიქრის აღსრულებისათვის ხელის შემშლელ მთავარ გარემოებას მხოლოდ ფინანსური ფაქტორი არ წარმოადგენდა. საკითხის არსში საფუძვლიანად გარკვევისათვის საჭიროა უფრო პანორამულად შევხედოთ იმდროინდელ პოსტოსმალურ და პოსტცარისტულ სივრცეებში განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების დინამიკას და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის რუკას“ როგორც დროში, ისე სივრცეში. საქმე იმაშია, რომ ამ მომენტისათვის კრემლის რევოლუციური ინტერესების ვექტორი უკვე სულ სხვა მიმართულებაზე, ანატოლიაზე იყო ორიენტირებული, სადაც „ქემალისტური რევოლუციის“ მხარდასაჭერად საბჭოელთა მიერ არა მხოლოდ ასტრონომიული თანხები, არამედ უდიდესი სამხედრო-ტექნიკური რესურსიც იხარჯებოდა. აქ საუბარი ანატოლიაში აგორებულ წინააღმდეგობის მოძრაობასა და ამ მოძრაობის ქარიზმატულ ლიდერს, გენერალ მუსტაფა ქემალს შეეხება, რომელიც კრემლის მიერ უკვე ახალ „სტავლენიკად“ მზადდებოდა.

მუსტაფა ქემალის მიერ 1920 წლის 26 აპრილს რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე მე-3 პუნქტში ლენინს სწერდა: „იმისათვის, რომ პირველ რიგში განვდევნოთ იმპერიალისტური ძალები, რომლებთაც დაკავებული აქვთ ჩვენი ხალხის მიწა, და მეორეც – რომ გავაძლიეროთ ჩვენი შინაგანი ძალები და გავაგრძელოთ ერთობლივი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ვთხოვთ საბჭოთა მთავრობას პირველადი დახმარების სახით გადმოგვცეს ხუთი მილიონი თურქული ლირა ოქროთი, იარაღი და საბრძოლო მასალები, რომლის რაოდენობაც დადგინდება მოლაპარაკებების პროცესში. გარდა ამისა, ზოგიერთი სამხედრო-ტექნიკური საშუალება და სანიტარული მასალები, ასევე სურსათი ჩვენი ჯარებისათვის, რომლებიც საბჭოელებთან შეთანხმებით იმოქმედებენ აღმოსავლეთში.

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი განსაკუთრებული სალამი და ყველაზე გულწრფელი გრძნობები.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდენტი მუსტაფა ქემალი“.⁷⁸⁷

ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობები უცებ აეწყო. რუსული საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ, რომ უკვე 1920 წლის 5 აგვისტოსათვის, ქემალისტთა საიდუმლო ემისარი, გენერალი ჰალილ ფაშა ქუთი, რომელსაც პირადი შეხვედრები ჰქონდა ლენინთან, მოსკოვიდან 500 კგ ოქროსა და სატელეგრაფო სადგურის გამოგზავნის ამბავს იტყობინებოდა.⁷⁸⁸ იგივე ცნობას ადასტურებს პროფესორი ჰასან ბიულენტი პაქსოვიც, რომელიც მიუთითებს მოსკოვიდან ანკარაში ხის 6 ყუთით 500კგ ოქროს ჩატანის ამბავს.⁷⁸⁹

Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Отдел Ближнего и Среднего востока Института востоковедения Российской Академии наук. Москва. 2008. <http://referatnote.ru/vneklassnaya-rabota/obrazovanie/politika-velikih-derzhav-v-afganistane-i-pushtunskie-plemena-1919/>.

⁷⁸⁷ АВІР. Ф. 04. Он. 39. П. 262. Д. 52987. Л. 1. Копия**.; Ф. 132. Он. 4. П. 104. Д. 40. Л. 13. Копия.

⁷⁸⁸ The Treaties of Peace 1919-1923, Vol. II, Carnegie Endowment for International Peace, New York, 1924.

⁷⁸⁹ H. B. Paksyoy. US and Bolshevik relations with the TBMM government. The first contacts, 1919-1921. The Journal of Sophia Asian studies. No. 12 (1994). Pg. 12.

მალე მოსკოვში ქემალისტთა პირველი ოფიციალური დელეგაცია იგზავნება ბეჰირ სამის კუნდუხის (საგარეო საქმეთა მინისტრი), იუსუფ ქემალ ბეისა (ეკონომიკის მინისტრი) და გენერალური შტაბის სამი ოფიცრის შემადგენლობით. მიმდინარე მოლაპარაკებებზე ქემალისტებმა „მსოფლიოს ყველაზე უფრო მტაცებელი სახელმწიფოს“ – ინგლისისა და „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის საწარმოებლად მოსთხოვეს საბჭოთა რუსეთს, უსასყიდლოდ გადაეცა მათთვის 200000 შაშხანა, 350-400 საარტილერიო დანადგარი, 500 ტყვიამფრქვევი, 200 თვითმფრინავი, 100 სატვირთო ავტომობილი, 40 მსუბუქი ავტომობილი, 5 მილიონი შაშხანის ვაზნა, 75000 საარტილერიო ჭურვი, 100000 კომპლექტი სამხედრო სამოსი და მრავალი სხვა.⁷⁹⁰ ერთობ შთამბეჭდავი რიცხვები და მასშტაბებია, ვერაფერს ვიტყვით...

ბოლშევიკურ-ქემალისტური მოლაპარაკებების პირველ ეტაპზე მიაღწიეს შეთანხმებას, ქემალისტებისათვის გაეგზავნათ 1 მილიონი ფული ოქროთი, 60000 შაშხანა (20000 რუსული წარმოების, 20000 ბრიტანული და 20000 – ფრანგული), თვითოეულ შაშხანაზე 3000 ვაზნით, 112 საშუალო კალიბრისა და 10 მძიმე ქვემეხი.⁷⁹¹

უკვე 1920 წლის ზაფხულში, ჯერ კიდევ ბოლშევიკებსა და ქემალისტებს შორის ოფიციალური, ფორმალური ურთიერთობების დამყარებამდე, ლენინის განკარგულებით მუსტაფა ქემალს წინასწარი ფინანსური და სამხედრო დახმარება გაეწია. ანატოლიაში გაიგზავნა: 6000 შაშხანა, 5 მილიონი ვაზნა, 17600 საარტილერიო ჭურვი, აგრეთვე 1 მილიონი ოქროთი.⁷⁹²

მნიშვნელოვანი იყო წითელი არმიის ქვედანაყოფებსა და ქემალისტურ ჯარებს შორის დამყარებული უშუალო კონტაქტებიც. როგორც ბრიტანული საოკუპაციო ჯარების ინსპექტორი და ბრიტანული დაზვერვის ხელმძღვანელი აღმოსავლეთ ანატოლიაში, პოლკოვნიკი ალფრედ როვლინსონი (Alfred Rawlinson) აღნიშნავდა: „აგვისტოს დასაწყისში პირველი ბოლშევიკური ქვედანაყოფები ჩამოვიდნენ, (იგულისხმება არზრუმი, 1920 წელი – ა. ჩ.) რომლებსაც გაჩირაღდებული ზეიმით შეხვდნენ ქალაქში. თურქმა ოფიცრებმა სამხედრო ფორმებზე თავისი განმასხვავებელი ნიშნების მაგივრად ბოლშევიკურის მიკერება დაიწყეს, და ისინი უმაღლესად დაიქცნენ „ამხანაგებად“. ამ მომენტიდან თურქი ოფიცრების ანაზღაურება რუსული ოქროთი დაიწყო. არზრუმში რუსული ოქროს თუმნიანი უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე ომამდელ ლონდონში ოქროს სოვერენი“.⁷⁹³ ხოლო 1921 წლის 16 მარტს ქემალისტთა მეორე დელეგაციასა და რუსეთის მთავრობას შორის მოსკოვში დადებული „მეგობრობისა და ძმობის“ ხელშეკრულების ძალით რუსეთს თურქეთისათვის საერთო ჯამში უნდა გადაეცა 10 მილიონი მანეთი ოქროთი და დიდძალი იარაღი.⁷⁹⁴

საერთო ჯამში, საბჭოთა რუსეთის მიერ ქემალისტური თურქეთისათვის გაწეულ სამხედრო დახმარებას მხოლოდ 1921 წელს შემდეგი სახე ჰქონდა: 33275 ცალი შაშხანა, 58 მილიონი ვაზნა, 327 ტყვიამფრქვევი, 54 საარტილერიო დანადგარი, 129,5 ათასი საარტილერიო ჭურვი; აგრეთვე 4 მილიონი ოქროთი 1921 წლის

⁷⁹⁰ Кузнецов С. И. Установление советско-турецких отношений. М. Издательство восточной литературы. 1961. Стр.19.

⁷⁹¹ Nersin Ersoy McMeekin... karabekir, Istiklal Harbimiz, p. 739.

⁷⁹² Документы внешней политики СССР. М.: Госполитиздат, 1959, т. III Стр.675.

⁷⁹³ A. Rawlinson, C. M. G., C. B. E., D. S. O. Late Lt.-Col. R. G. A., and commander R. N. V. R. Adventures in the Near East 1928-1922. Jonathan Gape, 30 Bedford Square, London. New and revised edition in 1934. Printed in the Great Britain in the city of Oxford at the Alden Press. Pg. 231. <http://zog.es/Ebooks/Adventures%20in%20the%20Near%20East%20Rawlinson%201923.pdf>.

⁷⁹⁴ Документы внешней политики СССР. М. Госполитиздат. Т II. Стр. 726.

აპრილში, 1,4 მილიონი – მაის-ივნისში, 1,1 მილიონი – ნოემბერში.⁷⁹⁵ 1922 წლის მაისში კი ქემალისტებს კიდევ 3,5 მილიონი რუბლი გადაეცათ.⁷⁹⁶

საბჭოთა რუსეთი მხოლოდ იარაღით, საბრძოლო მასალებითა და ფულით არ ეხმარებოდა ანკარის ქემალისტურ მთავრობას. სულ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ 1922 წელს, ბერძნულ საოკუპაციო ძალებთან ბრძოლების მიმდინარეობის პერიოდში, ანკარის მთავრობას საკომუნიკაციო ოპერაციებისათვის საბჭოთა რუსეთმა შავი ზღვის ფლოტის წყალქვეშა ნავების ერთი დივიზიონიც გადასცა თავისი ეკიპაჟებით.⁷⁹⁷

აი, ასეთი იყო კრემლის მიერ ქემალისტებისათვის გაწეული ფინანსური, სამხედრო და მატერიალურ-ტექნიკური დახმარებების მასშტაბები. ყველაფერთან ერთად თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1920-1921 წლებში ბოლშევიკები ფაქტიურად განუწყვეტელ საბრძოლო მოქმედებებში იყვნენ ჩართულნი დენიკინ-ვრანგელის თეთრგვარდიულ შენაერთებთან, უმძიმეს დაპყრობით ომს აწარმოებდნენ პოლონეთთან, ხოლო პარალელურად ამიერკავკასიაში სომხეთისა და საქართველოს სუვერენული რესპუბლიკების წინააღმდეგ სისხლიანი საოკუპაციო ომები ჰქონდათ გაჩაღებული, მაშინ გასაგებია, რომ „ინდური რევოლუციის“ მოსახდენად მოსკოვს ნამდვილად აღარ გააჩნდა არც შესაბამისი ადამიანური რესურსი და არც შესაბამისი ფინანსური თუ სამხედრო-ტექნიკური საშუალებები. ასე რომ, პროფესორი ტიხონოვი მხოლოდ ნაწილობრივ ასახელებს იმ სიძნელეებს, რაც „ინდურ რევოლუციას“ ელოებოდა წინ. „ინდური რევოლუციის“ ხელისშემშლელ მოვლენათა სპექტრი კი, გაცილებით რთული და მრავალპლანიანი იყო.

დავუბრუნდეთ ისევ ენვერ ფაშასა და მის შუააზიურ გეგმებს. 1921 წლის ბოლოდან, მას შემდეგ, რაც იტიჰადისტი ლიდერები საბოლოოდ გაემიჯნნენ ბოლშევიკებს, ენვერ ფაშამ დამოუკიდებელი თამაშები წამოიწყო. ამ უკვდავმა „მარადიულმა მეომარმა“ ცენტრალურ აზიაში დიდი თემურ ლენგის ახალი სახელმწიფოს შექმნა დაისახა მიზნად. ამ ეტაპზე ექსოსმალ გენერალმა პანთურანიზმის იდეები უკანა პლანზე გადასწია და ძველი, მაგრამ ისევ აქტუალური კონცეფცია – პანისლამიზმი გაიხადა იდეოლოგიურ იარაღად. მანამდე კი „ახალგაზრდა თურქებმა“ ოსმალთა იმპერიაში თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის იდეოლოგიურ კონცეფციად პანთურანიზმი და მასზე მიბმული „პანთურანიზმი“ გაიხადეს, რომლებიც, დაწყებული 1876 წლიდან, შეეცადნენ, იმპერიაში ლიბერალური რეფორმების გატარებით კონსტიტუციური სახელმწიფოებრივი წყობილება შეექმნათ. საბოლოოდ, 1908 წლისათვის „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიამ სწორედ ენვერ ფაშას ლიდერობით შეძლო „წითელი სულთნის“, აბდულ ჰამიდ II-ის ჩამოგდება და სახელმწიფოში გარკვეული პროდასავლური რეფორმების გატარება. ხოლო ბალკანურ ომებში მიღწეული წარმატების შემდეგ, იგი უმაღლესი იქცა განმათავისუფლებლად და სახალხო გმირად. „ახალგაზრდა თურქთა“ ლიდერს ფორტუნა აშკარად უდიმოდა.

თურქეთის ისტორიაში ძნელად მოიძებნებიან ისეთი პიროვნებები, რომელთა აღზვევა და დაცემა ისე სწრაფად მომხდარიყოს, როგორც ეს ისმაილ ენვერ ფაშას

⁷⁹⁵ Документы внешней политики СССР, М.: Госполитиздат, 1959, т. III. Стр. 675.

⁷⁹⁶ იქვე.

⁷⁹⁷ Александр Жевахов КЕМАЛЬ АТАТЮРК. Перевод осуществлен по изданию: Alexander Jevakhoff. Kemal Atatürk. Paris, Tallandier, 1999. http://www.e-reading.bz/chapter.php/1013613/63 /Zhevahov_-_Kemal_Ataturk.html.

შემთხვევაში მოხდა. ყველასათვის უცნობი საიმპერიო სამხედრო სასწავლებლის კურს-დამთავრებული, რომელიც მაშინ მხოლოდ 26 წლისა იყო, 1908 წლის „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის პერიოდში უმაღლესი იქცა „თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირად“. აქედან დაიწყო მეტეორული სისწრაფით ზრდა მისმა კარიერამ კაპიტნიდან დიქტატორამდე. მალე მან ოსმალთა სამეფო სახლის ასულზეც იქორწინა და ამით სულთნის ოჯახს დაუკავშირა თავისი ცხოვრება და სამსახურებრივი კარიერა. ენვერმა სწრაფად მიაღწია იმპერიაში არსებულ ყველა რანგსა და ტიტულს და I მსოფლიო ომის წინ გენერალი და იმპერიის სამხედრო მინისტრიც გახდა.⁷⁹⁸ ტრიუმფირატის მმართველობის პერიოდში კი, 1914-1918 წლებში, გენერალი ისმაილ ენვერ ფაშა ოსმალთა იმპერიის ფაქტობრივ მმართველად იქცა.

„რკინის“ თემური⁷⁹⁹ და ენვერ ფაშა სხვადასხვა დროში ცხოვრობდნენ, მათ ერთმანეთისაგან საუკუნეები აშორებდათ. მიუხედავად ამისა, მათ მაინც ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. საკუთარი კარიერა ორივემ პრაქტიკულად ნულიდან დაიწყო. თემურ ლენგი წვრილი ფეოდალი იყო მავრანაჰრში, ენვერ ფაშა კი – ასევე წვრილი ჩინოვნიკის შვილი სულთნის თურქეთში. ორივე მათგანი სტრატეგიულ მიზნად ერთიანი შუააზიური ისლამური იმპერიის შექმნას ისახავდა, თუმცა თავისი სამხედრო და პოლიტიკური კარიერის საწყის ეტაპზე ენვერ ფაშასა და „ახალგაზრდა თურქთა“ პარტიის მამოძრავებელ მთავარ იდეოლოგიას პანთურქიზმი და პანთურანიზმი წარმოადგენდა. სწორედ ამ იდეოლოგიებზე დაყრდნობით აპირებდა თავდაპირველად ოსმალთა გენერალი შუა აზიაში მითიური სახელმწიფოს – „დიდი თურანის“ შექმნას. „დიდი თურანის“ შექმნის დასახული პროექტის შესახებ I მსოფლიო ომის დასაწყისში, 1914 წლის შემოდგომაზე გააჟღერეს გენერალ ენვერ ფაშამ და იტიჰადისტთა სხვა ლიდერებმა, როდესაც აღმოსავლეთ ანატოლიაში გამლლი ოსმალთა მე-3 არმია რუსეთის კავკასიის არმიის წინააღმდეგ შეტევითი ოპერაციის დასაწყებად ემზადებოდა: „ჩვენი ჩართვა მსოფლიო ომში ადასტურებს ჩვენი ნაციონალური იდეალებისადმი ერთგულებას. ჩვენი ერისა და ხალხის იდეალი მოითხოვს მოსკოვიტი მტრების განადგურებას, რათა ჩვენი იმპერიისათვის მოვიპოვოთ ბუნებრივი საზღვრები, რომელშიც ჩვენი რასის ყველა შტო იქნება ჩართული“, – აცხადებდა მაშინ იმპერიის სამხედრო მინისტრი.⁸⁰⁰

ჩვენთვის უცნობია, თემურ ლენგის მსგავსად ოცნებობდა თუ არა ენვერ ფაშა თავისი სამხედრო და პოლიტიკური კარიერის დასაწყისში უმაღლესი ხელისუფლების მოპოვებაზე, მაგრამ ის ფაქტი, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე იგი ამ მიზნისაკენ დაუღალავად ისწრაფვოდა, უდავოა. ისიც საკითხავია, დიდი თემურის მსგავსად, რომელმაც თემურიდების დინასტიას ჩაუყარა საფუძველი, წარმატების მოპოვების შემთხვევაში გახდებოდა თუ არა ენვერ ფაშა ენვერიდების ახალი დინასტიის ფუძემდებელი, მაგრამ ერთი რამ აქაც უდავოა – იგი სწორედ ამისათვის იყო მოწოდებული.

ორივე მათგანი, თემურ ლენგიცა და ენვერ ფაშაც ერთი და იგივე პიროვნული თვისებებით იყვნენ დაჯილდოებულნი. ორივენი მამაცი, ენერგიული, სასტიკი და ცბიერი მმართველები იყვნენ, რომლებიც თავიანთი მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს არ

⁷⁹⁸ Şuhnaz Yilmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 40.

⁷⁹⁹ თემურ ლენგის სრული სახელი იყო თემურ იბნ თარაღაი ბარლასი (თემურ თარაღაის ძე, ბარლასის ტომიდან) ჩალათაურ და მონღოლურ ენაზე სიტყვა „თემური“ რკინას ნიშნავს.

⁸⁰⁰ Caroline Cox and John Eibner. Ethnic Cleansing in Progress: War in Nagorno Karabakh. The Pincers of Pan Turkism. (Walker, 1980, p. 198). <http://sumgait.info/caroline-cox/ethnic-cleansing-in-progress/pincers-of-panturkism.htm>.

იშურებდნენ. და ბრძოლის იარაღადაც ორივემ საბოლოოდ ერთი და იგივე იდეოლოგია – ისლამი აირჩია. თემურ ლენგმა შეძლო თავისი დიდი იმპერიის შექმნა, ხოლო ენვერ ფაშა, იტიჰადისტებისთვის მიმხრობითა და 1908 წლის რევოლუციაში მონაწილეობით მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ყველასათვის უცნობი კაპიტნიდან გენერლად იქცა და იმპერიის მმართველი ტრიუმვირატის ლიდერიც გახდა. მალე კი ოსმალთა იმპერიის სამხედრო მინისტრად და შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსადაც დაინიშნა. მან ძალიან კარგად „მოაწყო“ თავისი პირადი ცხოვრებაც. იგი სულთნის კარს დაუახლოვდა და 1914 წლის 5 მარტს სულთნების სამეფო სახლის სიძეც გახდა, რითაც გამორჩეულთა ზედწოდება – „დამად“ მიიღო, რაც „სრულიად მუსლიმანთა ხალიფას სიძეს“ ნიშნავდა. ენვერ ფაშამ ცოლად ემინე ნაჯიე სულთანი მოიყვანა, რომელიც პრინც შეჰზადე სულეიმან ეფენდის ქალიშვილი იყო. თავის მხრივ, შეჰზადე სულეიმან ეფენდი სულთან აბდულმეჯიდ I-ის შვილი იყო. ასე რომ, მისი ბიძები იყვნენ შემდგომი სულთნები – მეჰმედ V და მეჰმედ VI, ისევე როგორც ოსმალთა იმპერიის უკანასკნელი ხალიფა, შეიხ-ულ-ისლამი აბდულმეჯიდ II. ენვერ ფაშასა და ემინე ნაჯიე სულთანს სამი შვილი ჰყავდათ – ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი: ქალიშვილები – მაჰფეიქარ ენვერ ჰანიმსულთანი (1917-2000), თურქან ენვერ ჰანიმსულთანი (1919-1989) და ვაჟი – ალი ენვერ ბეიეფენდი (1921-1971).⁸⁰¹

მეტად საინტერესოა ენვერ ფაშას ოჯახის შემდგომი ბედიც. ენვერ ფაშას დალუპვის შემდეგ მისი ცოლ-შვილი ბერლინიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. მაგრამ მალევე, 1923 წლიდან, ოჯახი ოსმალთა დინასტიის მთელ შემადგენლობასთან ერთად მუსტაფა ქემალმა გააძევა ქვეყნიდან. მუსტაფა ქემალის გარდაცვალების შემდეგ კი, 1938 წელს, სამეფო ოჯახს სამშობლოში დაბრუნებისა და ცხოვრების უფლება მიეცა. ენვერის ოჯახი სტამბოლში დასახლდა. ენვერის შვილებმა, მამისადმი პატივისცემის ნიშნად და მისი სახელის უკვდავსაყოფად, გვარად „ენვერი“ აირჩიეს. თურქეთის რესპუბლიკაში გვარები 1934 წელს შემოიღეს მუსტაფა ქემალის განკარგულებით.

მეტად საინტერესოა, რომ ენვერ ფაშას მსგავსად, მისი ვაჟიც, ალი ენვერის ცხოვრებაც მეტად წინააღმდეგობრივად წარიმართა. მამის მსგავსად, მანაც სამხედრო კარიერა აირჩია ცხოვრების გზად. მაგრამ კუროიზია ის, რომ იგი არა თურქეთის არმიის, არამედ დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების, კერძოდ, სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების (RAF – Royal Air Force) ოფიცერი გახდა, (Sic!) სადაც ავიაციის კაპიტნის ჩინსაც მიაღწია. მას ინგლისში გადასვლასა და დიდი ბრიტანეთის სამეფოს მოქალაქეობის მიღებაში რაუფ ორბეი დაეხმარა, რომელიც იმ დროისათვის თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მსახურობდა დიდ ბრიტანეთში. როდესაც რაუფ ორბეიმ ალი ენვერი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, უინსტონ ჩერჩილს წარუდგინა, მან ხუმრობანარევი კილოთი, ასეთი წინადადებით მიმართა ალის: „მამაშენმა ჩემი ცხოვრებისეული და პოლიტიკური კარიერა მთელი 20 წლით უკან დასწია“.

მართლაც, ბედის მწარე ირონია იყო ის ფაქტი, რომ ალი ენვერი, ოსმალთა ყოფილი მმართველი დინასტიის წევრი და იმპერიის სამხედრო მინისტრის ვაჟი, დიდი ბრიტანეთის მოქალაქე გახდა. ღიახ, ამიერიდან ალი ენვერი იმ სახელმწიფოს სამსახურში დგებოდა, რომელთან ბრძოლასაც შეაღია მამამისმა თავისი აქტიური ცხოვრების დიდი ნაწილი. მაგრამ ბედის უფრო დიდი ირონია ის იყო, რომ ალი ენვერ

⁸⁰¹ Enver Pasha and His Times. The son and the daughters of Enver. <http://www.oocities.org/enver1908/>.

ბეიეფენდი II მსოფლიო ომში იღებდა მონაწილეობას, ცხადია, დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში... (Sic!) იგი გერმანელებს, ენვერ ფაშას I მსოფლიო ომისდროინდელ მოკავშირეებსა და მეგობრებს ებრძოდა...

ომის დასრულების შემდეგ ალი ენვერ ბეიეფენდი ავსტრალიაში დასახლდა, სადაც დაქორწინდა კიდევ 1955 წელს. მაგრამ მისი ცხოვრების შემდგომი გზა საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. იგი 1971 წელს, 50 წლის ასაკში დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში. მას ერთადერთი ქალიშვილი დარჩა – არზუ ენვერი.⁸⁰²

ოჯახის მოწყობის მსგავსი დეტალი კოჭლ თემურთანაც შეგვიძლია მოვხაზოთ. მანაც ბრძოლებით გაიკაფა ხელისუფლებისაკენ მიმავალი გზა. წარმატებული შინაომების შედეგად კი, 1362 წელს თემურ ლენგი ვილაიეთის მმართველი გახდა და ცოლად ბალხისა და სამარყანდის მმართველის, ჰუსეინის და შეირთო. ენვერ ფაშას მსგავსად, ეს წარმატებული მეომარიც მონარქის ოჯახის წევრი გახდა. თემურისა და ენვერის მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზებს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე მათგანი ერთსა და იგივე რეგიონში – შუა აზიაში აღესრულნენ.⁸⁰³

„იგი ჩვენი საუკუნის პირველი ბელადი, პირველი ფიურერი იყო“, – აღნიშნავს ენვერ ფაშას შესახებ ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, მოსკოვის სახელმწიფო საოლქო უნივერსიტეტის (МГОУ) იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიქტორ გილენსენი.⁸⁰⁴

ვეთანხმებით ამ დასკვნას და აი, რატომ. ენვერ ფაშა საზოგადოების უბრალო ფენის წარმომადგენელი იყო, რომელმაც უსწრაფესად გაიკეთა სამხედრო კარიერა და მანამდე ყველასათვის უცნობი რიგითი ოფიცერი უმოკლეს დროში იქცა იმპერიის სამხედრო მინისტრად, მმართველი ტრიუმვირატის პოლიტიკურ ხელმძღვანელად და ისლამური სამყაროს ლიდერად. საკუთარი შესაძლებლობების არაადამიანური დაძაბვის ხარჯზე მან მოახერხა, იმპერიის ფაქტობრივი პირველი პირი გამხდარიყო და სულთან-ხალიფას მოქმედებებიც კი საკუთარი ნება-სურვილისათვის დაექვემდებარებინა. ხოლო I მსოფლიო ომის წინ მან შეძლო, უდიდესი ადამიანური რესურსები თავის გარშემო შემოეკრიბა და ერთი მიზნისაკენ დაერაზმა იგი.

გასაგებია, რომ აქ ოპონენტები გამოჩნდებიან და იტყვიან – კი მაგრამ, რაღა უნდა ვთქვათ მაშინ იმ გამორჩეულ „ბელადებზე“, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ჰანიბალი, ატილა, ჩინგიზ ყაენი? ისინიც ხომ დიდი დამპყრობლები და ტირანები იყვნენ? თუნდაც ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი ან სულაც ნაპოლეონი? რატომ არ იყვნენ ისინი „ფიურერები“? ალექსანდრე მაკედონელმა ხომ სპარსეთი და თითქმის ნახევარი აზია დაიპყრო, იულიუს კეისარმა კი ნახევარი ევროპა? ნაპოლეონმაც ხომ ასობით და ათასობით მეომრის მობილიზება შეძლო, მასაც ხომ ეთაყვანებოდნენ, ბრმად სჯეროდათ მისი სიდიადისა და მზად იყვნენ, მისი გულისათვის თავიც დაედოთ? ნაპოლეონი არ იყო, რომ აცხადებდა: „მე მხოლოდ ერთი ვნება, ერთი ქალბატონი მყავს და ეს ქალბატონი საფრანგეთია. მე მძინავს მასთან. მას არასდროს არ გავუწუბილებივარ და უხვად მოუცია ჩემთვის თავისი სისხლი, თავისი სიმდიდრე. და თუ დამჭირდება ხუთასი ათასი კაცი, იგი უყოყმანოდ მომცემს მათაც“.⁸⁰⁵

⁸⁰² Enver Pasha and His Times. The son and the daughters of Enver. <http://www.oocities.org/enver1908/>.

⁸⁰³ В. М. Гиленсен. Сотрудничество красной Москвы с Энвер-пашой и Джемаль-пашой. „Восток“. 1996. №3. Стр. 45-63. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

⁸⁰⁴ იქვე.

⁸⁰⁵ J. Christopher Herold. The Mind of Napoleon. New York, 1955. Pg. 211.

მართალია, ასე იყო. მაგრამ ფიურერის ცნება XX საუკუნის ფენომენია, ტოტალიტარული რეჟიმის შემქმნელი ბელადის სტატუსი. ასე რომ, აქ საკითხი ამოწურულია. ოპონენტებს კი აუცილებლად გაუჩნდებათ კონტრშეკითხვა – მაგრამ XX საუკუნეშიც ხომ იყვნენ ტოტალიტარული რეჟიმის შემქმნელები და დიდი ფიურერები, ისეთები, როგორიც იყვნენ, მაგალითად, ლენინი და სტალინი? დიახ, მართალია. ლენინიც და სტალინიც მართლაც უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ, რომლებმაც XX საუკუნის უმძლავრესი იმპერია შექმნეს მართვის მკაცრად ცენტრალიზებული სისტემითა და უმკაცრესი ტოტალიტარული რეჟიმით.

დიახ, ლენინი დიდი დიქტატორი იყო, სისხლისმსმელი დიქტატორი. ცნობილი საბჭოთა პუბლიცისტის, ფელიქს ჩუევის წიგნში „Сто сорок бесед с МОЛОТОВЫМ: Из дневника Ф. Чуева“, მოლოტოვი ლენინის შესახებ ამბობს: „მკაცრი იყო, ზოგ რამეში – სტალინზე მკაცრიც. წაიკითხეთ მის მიერ ძერჟინსკისადმი გაგზავნილი წერილები. იგი ხშირად მიმართავდა უკიდურეს ზომებს, როცა ეს საჭირო იყო... ადგილებზე ესროლეთ და მორჩა! აი, ასეთი ამბები იყო. ეს კი დიქტატურას, ზედიქტატურას წარმოადგენდა... მტკიცე ხასიათი ჰქონდა. როცა საუბარი რევოლუციას, საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნიზმს ეხებოდა, ქეროში წვდებოდა მათ და ამ საქმეში იგი შეურიგებელი იყო“.⁸⁰⁶

რუსი მეცნიერი, მოსკოვის სახელმწიფო იურიდიული ინსტიტუტის სახელმწიფოს თეორიისა და სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელზონ როზინი თავის ნაშრომში „Ленинская мифология государства“ წერს: „ორი რევოლუციით გამოღვივებულმა ხალხმა 1917 წლის თებერვლის შემდეგ ძლივს იგრძნო თავი თავისუფლად. მაგრამ მალე იგი ლენინის მიერ ორგანიზებული მასობრივი რეპრესიების შედეგად უსახო და უფორმო მასად გადაიქცა, რომლითაც ბოლშევიკები ისე მანიპულირებდნენ, როგორც მოესურვებოდათ. ბოლშევიზმის ტოტალური იდეოლოგიისა და ტოტალური ტერორის პირობებში სახელმწიფოებრივი მასშტაბების მლიქვნელობა და ფარისევლობა გაიფურჩქნა. და ყველაფერი ეს განტოტვილ სახელმწიფოებრივ ქსელად იქცა.

ზუსტად ლენინმა შექმნა მსოფლიო ისტორიაში პირველი ტოტალიტარული სახელმწიფო, ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც დიქტატურისა და ტირანიის ერთ-ერთ ტაძს წარმოადგენდა, რომელსაც სახემეცვლილი ფორმით შემდგომში ჰიტლერიზმის ტოტალიტარული რეჟიმი ბაძავდა. ეს იყო განუყოფელი, სრული ხელისუფლების დამკვიდრების რეჟიმი, ე.წ. „ხალხის მტრების“ წინააღმდეგ მიმართული რეჟიმი. ხოლო თუ როგორ ხდებოდა მაშინ „ხალხის მტრად“ შერაცხვა, კარგადაა ცნობილი. ბოლშევიკები შემდეგ პრინციპს მისდევდნენ: „მტერი თუ არ ნებდება, მას ანადგურებენ“. მაგრამ ამ პრინციპს ლენინმა თავისი დებულებაც დაამატა: „თუ ნებდება – მაინც ანადგურებენ“.⁸⁰⁷

1921 წელს სტალინი წერდა: „კომპარტია – მახვილის მატარებელთა გარკვეული ტიპის ორდენია სახელმწიფოს შიგნით, რომელიც ამ უკანასკნელის ორგანოების მოღვაწეობას ანხორციელებს“.⁸⁰⁸ ბოლოს როზინს ასეთი დასკვნა გამოაქვს: „მასიური

⁸⁰⁶ Чуев Ф. Сто сорок бесед с МОЛОТОВЫМ: Из дневника Ф. Чуева; Послесловие С. Кулешова. – М.: ТЕРРА, 1991. – 623 с.: ил. ISBN 5-85255-042-6. http://grachev62.narod.ru/molotov_140/content.htm.

⁸⁰⁷ Розин Э. Ленинская мифология государства. М.: Юристъ, 1996. С. 236. В. И. Ленин – организатор советского террора. <http://www.liveinternet.ru/tags/%EБ%E5%ED%E8%ED%E1%EA%E8%E5+%E4%EE%EA%F3%EC%E5%ED%F2%FB/>.

⁸⁰⁸ Сталин И. В. Соч. Т. 5. С. 71.

სახელმწიფო ტერორის ორგანიზატორი, რომელმაც უდანაშაულოთა სისხლით წაღეკა რუსეთის ქალაქები, სოფლები და მინდვრები, არა ვინმე სხვა, არამედ ბოლშევიკური პარტიის ბელადი, XX საუკუნის დასაწყისის ამ მახვილის მატარებელთა ორდენის მეთაური, ლენინი იყო. უკანასკნელ დრომდე მისი პიროვნების გათეთრებას ყოველნაირად ცდილობდა ოფიციალური პროპაგანდა. მას მშვიდობისმოყვარის შარავანდელით ამკობდნენ, მისი პიროვნება კი კეთილშობილებისა და გულმოწყალების მარმაშით იყო შებურვილი. ბოლოს და ბოლოს, იმის დროც დადგა, რომ თუნდაც იმ გამოქვეყნებული დოკუმენტების საფუძველზე, რომელსაც ადრე გვერდს უვლიდნენ მკვლევარები, ვაჩვენოთ ამ დაუნდობელი პოლიტიკური მოღვაწის ნამდვილი სახე და გამოვამზეუროთ ის გაუგონარი უღმობლობა, რომელსაც იგი მიმართავდა თავისი მიზნების მისაღწევად...

სტალინი ლენინის იდეებისა და საქმეების კარგი გამგრძელებელი გამოდგა, მაგრამ საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს არქიტექტორი და შემქმნელი არა სტალინი, არამედ ვ. ი. ლენინი იყო⁸⁰⁹, რასაც არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად არ დავეთანხმობთ. დიახ, ვლადიმირ ლენინსაც და იოსებ სტალინსაც, ისევე როგორც ისმაილ ენვერ ფაშას, ასობით და ათასობით უდანაშაულო ადამიანის, თავისი თანამემამულეების სისხლში ჰქონდათ ხელები გასვრილი, რომლებიც თავისი ტირანული მმართველობის მეთოდებს დიადი იდეებითა და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის აუცილებლობით ამართლებდნენ. გაღებული უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლი კი გადარჩენილთა ბედნიერი ცხოვრების საწინდარი უნდა გამხდარიყო.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არც ლენინი და არც სტალინი ფიურერები არ ყოფილან. საბჭოთა იდეოლოგიასა და ისტორიოგრაფიაში ლენინმა საბოლოოდ დაიმკვიდრა „პროლეტარიატისა და მშრომელთა დიდი ბელადის“, ხოლო სტალინმა – „ყველა ხალხთა მამის“ ტიტული. ისინი „ბელადები“ და „მამები“ იყვნენ, მაგრამ არა – ფიურერები. საქმის მთელი არსი თვით სიტყვა „ფიურერის“ გაგებასა და ამ ტერმინის მნიშვნელობის გაცნობიერებაშია.

ფიურერი ისეთი ტიპის ბელადია, რომელიც ცდილობს, ინდუსტრიული და ტექნოლოგიური ეპოქის რთული საზოგადოებრივი ორგანიზმი პირველყოფილ თემად გადააქციოს, რომელიც წევრებიც სისხლითა და გენით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ეს ფენომენი ტრაიბალიზმისგანაც უნდა გავმიჯნოთ. ფიურერიზმი განსხვავდება ტრაიბალიზმისაგან, რადგან ტრაიბალიზმის დროს სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის ნეპოტიზტური მოწყობის მოდელი შორსა დგას ფიურერიზმის მოდელისაგან. ფიურერიზმის შემთხვევაში საინტერესო ფილოსოფიურ ტრიადასთანა გვაქვს საქმე – „ერთი ხალხი, ერთი სახელმწიფო, ერთი ბელადი“. აქ ტომობრივი და რასობრივი ერთიანობის იდეაა მთავარი. ფიურერი ცდილობს, მკვდრეთით აღადგინოს ადამიანური და საზოგადოებრივი ურთიერთობების არქაული ფორმები, სისხლისმიერი და ტომობრივი ერთიანობის ტრადიციები და მისით გადაფაროს თანამედროვე სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები. და მიუხედავად ამისა, ყველაფერთან ერთად, ფიურერი და მისი ძალაუფლება წარმოუდგენელია მძლავრი ინდუსტრიისა და ტექნოლოგიების გარეშე, კომუნიკაციების განტოტვილი ქსელის გარეშე, მძლავრი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ტექნიკური პროგრესის გარეშე.

⁸⁰⁹ Розин Э. Ленинская мифология государства. М.: Юристъ, 1996. С. 236. В.И. Ленин – организатор советского террора. <http://www.liveinternet.ru/tags/%EB%E5%ED%E8%ED%F1%EA%E8%E5+%E4%EE%EA%F3%EC%E5%ED%F2%FB/>.

ფიურერისა და ფიურერიზმის მთავარი განსხვავება ბელადის ინსტიტუტთან შედარებით ისაა, რომ ფიურერის შემთხვევაში საქმე გვაქვს არქაული იდეების მეტად უცნაურ შერწყმასთან თანამედროვე ცივილიზაციის მატერიალისტურ ბაზასთან. ისინი აღმოცენდებიან სივრცისა და დროის იმ წერტილში, სადაც ორი გიგანტური იდეოლოგიური ტალღა ერწყმის ერთმანეთს – ერთის მხრივ, შორეული წარსულიდან წამოსული არქაული იდეოლოგია, და, მეორეს მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიებთან შერწყმული მეტად ბუნდოვანი ფუტურისტული მომავალი.

ამ თვალსაზრისით, იტიჰადისტთა ბელადი, ისმაილ ენვერ ფაშა, XX საუკუნის ფიურერთა შორის მართლაც რიგით პირველი ფიურერი იყო. თურქიზმის იდეოლოგიაზე დაყრდნობითა და ისლამის დროშის ქვეშ გაერთიანებით სწორედ მან მოინდომა ეფემერული „დიდი თურანის“ შექმნა და ტომობრივი პრინციპების დაცვით ყველა თურქულენოვანი და თურქული წარმომავლობის ხალხების ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევა. თურქული რასა და თურქული ეთნოსის ისტორიული საცხოვრისი, ლეგენდარული შუაზიური თურანი და თურანული მოდემის ხალხები ისევ თავის ისტორიულ ფესვებს უნდა დაბრუნებოდნენ, მაგრამ ამჯერად უკვე „დიდი თურანის“ სახით.

გასაგებია, რომ ამ თვალსაზრისით XX საუკუნის ისეთი დიდი ბელადები და ომის პროტაგონისტები, როგორც იყვნენ, მაგალითად, ბენიტო მუსოლინი და ადოლფ ჰიტლერი, სწორედ რომ ფიურერებს წარმოადგენდნენ. ფაშისტთა ბელადი ძველი რომისა და რომაელების დიდების აღდგენაზე ოცნებობდა და ისეთი სახელმწიფოს შექმნას გეგმავდა, სადაც „თანამედროვე რომაელებს“ განსაკუთრებულად პრივილეგირებული სტატუსი ექნებოდათ გარანტირებული. უკვე 1928 წელს მუსოლინი სიამაყით აცხადებდა:

„დღეს უკვე შეგვიძლია, განუცხადოთ მსოფლიოს ერთიანი, ძლიერი იტალიის შექმნის შესახებ... ჩვენ შევქმენით ისეთი იტალიის გაერთიანებული სახელმწიფო, რომელიც არ არსებობდა იტალიის იმპერიის შემდგომ“.⁸¹⁰ ამავე დროს, ფაშისტების დურე ხმელთაშუა ზღვის „შიდა ზღვად“ გადაქცევის გეგმავდა და რეალურად, რომის იმპერიის მსგავსად, მოახერხა კიდევ იმპერიის გარკვეული ექსპანსია აფრიკულ კონტინენტზე. ამ თვალსაზრისით, იგი რომის იმპერიაზე უფრო შორსაც წავიდა აბისინიის ოკუპაციით.

მართალია, თავისი მოკავშირის – ნაცისტური გერმანიის მსგავსად, ფაშისტური იტალია ოფიციალურად არ იყო რასისტული სახელმწიფო, მაგრამ მისი ლიდერი, ბენიტო მუსოლინი მთელი ცხოვრების მანძილზე ხაზს უსვამდა რასის მნიშვნელობას და დროდადრო შემოფოტებით საუბრობდა თეთრი რასის შესაძლო დაკნინების შესახებ. „ჩვენი ოცდაათსაუკუნოვანი ისტორია ნებას გვაძლევს, ზემოდან ვუყუროთ იმ საცოდავ დოქტრინას, რომელსაც ალპებს გადაღმა ღალადებენ უწიგნურების საცოდავი ნაშიერები იმ ხალხთან, მაშინ როცა რომს ჰყავდა იულიუსი, ვირგილიუსი, ავგუსტუსი... მე რასისტები ვერ კიდევ 1921 წელს გავხდი. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ამაში თითქოს ჰიტლერის იმიტირებას ვცდილობ, მაგრამ ეს ასე არაა. საჭიროა, რომ იტალიელებმა პატივი სცენ საკუთარ რასას“, – აცხადებდა იგი.⁸¹¹

⁸¹⁰ Benito Mussolini. The Doctrine of Fascism. (Only Complete Official Text on the Internet). 1932. <http://www.worldfuturefund.org/wffmaster/reading/germany/mussolini.htm>.

⁸¹¹ Вячеслав Прокофьев. Дуче глазами любовницы. В Италии опубликована первая часть дневников Кларетты Петаччи. Рим. 2009. <http://www.rg.ru/2009/11/18/italiya.html>.

მუსოლინი ოფიციალურად რასისტულ თეორიებს უარყოფდა, თუმცა იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიების შემოერთების კონსოლიდაციის პროცესში ეწეოდა სლოვენელი ხალხის დევნასა და ეთნიკურ წმენდას. ჯერ კიდევ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე, 1920 წლის სექტემბერში, ბენიტო მუსოლინი აღნიშნავდა: „ისეთ დაბლა მდგომ და ბარბაროს ხალხთან ურთიერთობისას, როგორც სლავური რასაა, მკაცრი პოლიტიკა უნდა გავატაროთ... არ უნდა შეგვეშინდეს ახალი მსხვერპლის... იტალიის საზღვრები უნდა გადიოდეს ბრენერის უღელტეხილის, მონტენეოსა და დინარიკული ალპების გასწვრივ... ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადო, რომ ადვილად შესაძლებელია, 500 000 ბარბაროსი სლავი მსხვერპლად შევწიროთ 50 000 იტალიელს...“⁸¹²

ნაცისტთა ბელადი, ჰიტლერი, თვით ფიურერიზმის თვალსაზრისითაც კი, უფრო შორს წავიდა. იგი გერმანული ტომების დაკავშირებას ცდილობდა მითიურ არიულ რასასთან და ამ ამოცანის გადასაწყვეტად თავის მზერას აღმოსავლეთს აპყრობდა. თავისი დიდი იდეების რეალიზაციის გზაზე ახალი მისტიფიცირებული რელიგიური ინსტრუმენტის შექმნას ცდილობდა და ერთდროულად უარყო ყოველგვარი მონოთეისტური რელიგია. ფაქტია, რომ თავისი მისტიკური მოძღვრების „ოქროს გასაღებს“ ჰიტლერმა ჰიმალაის მთებსა და ტიბეტში დაუწყო ძებნა. გერმანული ფიურერიზმის ექსპანსიონისტური პოლიტიკის იდეოლოგიად კი ჰიტლერმა არიული რასის პრიმატი დასახა III რაიხში, რითაც „არიულ-გერმანული“ რასის გაბატონებაზე ოცნებობდა მთელ მსოფლიოში. სხვა, მეორეხარისხოვანი რასებისა და ხალხების დიდი ნაწილი უნდა განადგურებულიყო, დარჩენილი მცირე ნაწილი კი გერმანელთა არიულ რასას დამორჩილებოდა. თავის საპროგრამო ნაშრომში „Mein Kampf“ ნაცისტთა ფიურერი წერდა:

„მსოფლიოში ასობით სამაგალითო სახელმწიფოა, მაგრამ საკმარისია დაიხშოს არიული კულტურის სათავე, რომ ყველაზე მოწინავე ერებიც დაემზონ. აქედან დასკვნა – სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის კი არ უნდა ვიღვაწოთ, არამედ რასის ხარისხისათვის. ნაციონალური სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია შეკრიბოს და დაიცვას უძველესი რასობრივი ელემენტები, რომლებიც კაცობრიობის უმაღლესი ჯიშისა და მოღვმის სიამაყეს წარმოადგენენ.

ამრიგად, გერმანული სახელმწიფოს მიზანია, თავის საზღვრებში მოაქციოს ყველა გერმანელი, შეარჩიოს მათგან საუკეთესო რასობრივი ნიშან-თვისებები, დაიცვას ისინი უცხო სისხლის შერევისაგან, რათა დროთა განმავლობაში მათ შესაფერისი, გაბატონებული მდგომარეობა დაიკავონ.⁸¹³

აღოლფ ჰიტლერი და ისმაილ ენვერ ფაშა ერთმანეთს არ იცნობდნენ. I მსოფლიო ომის მსვლელობისას ამ უკანასკნელს სამხედრო და პოლიტიკური ხელისუფლების იერარქიის უმაღლესი საფეხურები ჰქონდა უკვე დაპყრობილი, მაშინ როცა აღოლფ ჰიტლერი გერმანიის არმიის ყველასათვის უცნობ ერთ ფელდფებელს წარმოადგენდა. და მიუხედავად ამისა, „პირველ ფიურერს“ – ენვერ ფაშას, „მეორე ფიურერი“ – ჰიტლერი, დიდად აფასებდა. ჯერ კიდევ გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტთა მოსვლამდე, 1925 წელს, აღოლფ ჰიტლერი საზვასმით

⁸¹² Pirjevec, Jože (2008). "The Strategy of the Occupiers". Resistance, Suffering, Hope: The Slovene Partisan Movement 1941–1945. p. 27. ISBN 978-961-6681-02-5.

⁸¹³ აღოლფ ჰიტლერი. ჩემი ბრძოლა. 1925. http://eliblog.weebly.com/uploads/1/3/3/1/13312007/allshares.geadolf_hitleri-chemi_brdzola.pdf.

გამოყოფდა ენვერ ფაშას ორგანიზატორულ და ლიდერულ თვისებებს. თავის “Mein Kampf“-ში ჰიტლერი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ I მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის მდგომარეობა იმიტომ იყო მძიმე და აუტანელი, რომ „ქვეყნის [გერმანიის] სათავეში ენვერ ფაშა კი არა, არამედ კანცლერი კუნო იდგა“.⁸¹⁴

გარეგნული იერიითა და სამხედრო პეწითაც ძალიან ჰგავდა „პირველი ფიურერი“ მომდევნო ფიურერებს. მუსოლინისა და ჰიტლერის მსგავსად, ენვერიც არ იყო მაღალი ტანის. მხარბეჭიანს წელში გამართული სამხედრო დგომი ჰქონდა და კიტელის ყველა ღილიც მუდამ ბოლომდე შეკრული. ჰიტლერისა და მუსოლინის მსგავსად, ისიც შავვერემანი იყო, მოძრავი და მეტყველი შავი თვალები ჰქონდა, ძალიან ენერგიული მიმოხვრით გამოირჩეოდა და ეპოქის შესაბამის ზემოთ აპრეხილ უღვაშს ატარებდა. გილენსენისა არ იყოს, ენვერ ფაშა „გასული საუკუნის ბაირონისეულ გმირს ჰგავდა“.⁸¹⁵ მუსოლინისა და ჰიტლერის მსგავსად, ისიც ომის პროტაგონისტი და სულით ხორცამდე მილიტარიზებული ფიურერი იყო – „მარადიული მეომარი“.

ერთი რამაც ჰქონდათ ფიურერებს საერთო – სამივე მათგანი ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მართლაც ქარიზმატულ ლიდერებს წარმოადგენდნენ – ეს უდავოა.

აქ უკვე გასაგებია, თუ რატომ არ მივაკუთვნეთ ლენინი და სტალინი ფიურერებს. მართალია, ისინი XX საუკუნეში მოღვაწეობდნენ, მაგრამ ფიურერები არ იყვნენ. ისინი სულ სხვა ყაიდის ბელადები იყვნენ, რომლებიც შორს იდგნენ ტომობრივი, რასისტული და ნაციონალური იდეებისაგან. მათი პოლიტიკური აქტივობის მთავარ მამოძრავებელ ძალას ყველა ქვეყნის პროლეტარათა და „მშრომელთა“ გაერთიანება წარმოადგენდა, მთავარ მიზანს კი – „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ რუსულ მესიანურ იდეაზე დაყრდნობით ძველი სამყაროს ნგრევა და ახალი კომუნისტური სამოთხის აშენება.

ენვერ ფაშასათვის ამიერკავკასია და კავკასიის ნაწილი მხოლოდ ის სასტარტო მოედანი იყო, საიდანაც უნდა განვრცობილიყო „დიდი თურანის“ სამეფო. 1918 წლის სექტემბერში აზერბაიჯანსა და დაღესტანში ოსმალური შენაერთების შეყვანით ის პლაცდარმი იგდეს ხელთ, საიდანაც ასტრახანისა და ყაზახეთის გავლით ოსმალები თავის ისტორიულ საცხოვრისში, ცენტრალურ აზიაში უნდა გადასულიყვნენ და აქედანვე დაეწყოთ აღმოსავლეთის ყველა თურქული მოდგმის ხალხის გაერთიანება. მაგრამ რეალურად ეს ჩანაფიქრი ისეთივე უტოპია აღმოჩნდა, როგორც ლენინისეული კომუნიზმის აღთქმული ქვეყანა ან ჰეტრე დიდის მეფობის შემდგომი პერიოდის რუსული სამყაროს ხილასტური მოლოდინები. სწორად აღნიშნავს მამედ ამინ რასულ-ზადე⁸¹⁶

⁸¹⁴ ადოლფ ჰიტლერი. ჩემი ბრძოლა. 1925. http://leliblog.weebly.com/uploads/1/3/3/1/13312007/allshares.geadolf_hitleri-chemi_brdzola.pdf.

⁸¹⁵ В. М. Гиленсен. Сотрудничество красной Москвы с Энвер-пашой и Джемаль-пашой. „Восток“. 1996. №3. Стр. 45-63. <http://siberia-miniatures.ru/forum/showthread.php?fid=12&tid=10&block=90>.

⁸¹⁶ მამედ ამინ რასულ-ზადე (1884-1955) – აზერბაიჯანელი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი და დრამატურგი, პარტია „მუსავატის“ დამაარსებელი და ლიდერი, აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. დაამთავრა ბაქოს ტექნიკური სასწავლებელი. 1904 წელს დააარსა მუსლიმანთა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცია „გუმეტი“. იყო პარტიული გაზეთების მთავარი რედაქტორი. 1905 წლიდან აქტიურად ერთვება რევოლუციურ მოღვაწეობაში. იყო სტალინის, ნარიმანოვისა და აზიზბეგოვის ახლო მეგობარი და თანამებრძოლი. 1909 წლის ირანის „საკოსტიტუციო რევოლუციის“ აქტიური მონაწილე. რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, 1911 წლიდან გადადის ოსმალეთის იმპერიაში. 1913 წელს ბრუნდება ბაქოში. ტოვებს პარტია „გუმეტს“ და აარსებს ახალ ნაციონალისტური ტიპის პარტია „მუსავატს“, სადაც გაერთიანებული იყო პანთურქისტული, პანისლამისტური და სოციალისტური იდეები. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მონაწილეობს კავკასიის, შემდეგ – სრულიად რუსეთის მუსლიმანთა ყრილობის მუშაობაში. სრულიად რუსეთის

პანთურანიზმისა და თურქული ნაციონალისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მეჰმედ ზია გოკალფის კონცეფციის შესახებ: „ზია გოკალფი თავისი წიგნის, „თურქიზმის საფუძვლები“, რომელიც ანგორაში გამოიცა 1925 წელს, მე-20 გვერდზე წერს: „დღეს შესაძლებელია მხოლოდ ოლუზური თურქმენების (აქ თურქებზეა საუბარი – ა.ჩ.) გაერთიანება. თურქეთის, აზერბაიჯანის, ირანისა და ხორეზმის თურქმენები ოლუზთა ტომებს მიეკუთვნებიან. აი, ამიტომაც, რომ თურქიზმის უახლოესი იდეალი ოლუზთა ან თურქმენთა იდეალი უნდა იყოს“.⁸¹⁷ შემდეგ რასულ-ზადე აგრძელებს: „...ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილ აბზაცს ოლუზური გაერთიანების შესახებ ზია ბეი პანთურანიზმზე მსჯელობით ასრულებს: „პანთურანიზმი – ეს ლენინის კომუნიზმისა და მუჰამედის სამოთხის მსგავსი უტოპიაა. როგორც იდეალი, იგი ღირებულია იმით, რომ მხოლოდ რომანტიკულ აღმაფრენასა და მასების რევოლუციონიზირებას ემსახურება“.⁸¹⁸

ბოლშევიკთა პარტიული და სახელმწიფო ორგანოების სერიოზულ შეცდომას, რამაც უაღრესად გაართულა საერთო მდგომარეობა თურქესტანში, ბოლშევიკთა მიერ სასამართლოების ტრადიციული ინსტიტუტების მოშლა, სათემო მიწების კონფისკაცია, ტრადიციული სკოლების გაუქმება და ა. შ. წარმოადგენდა. შემდგომში, თურქკომისიის წევრი იან რუბუტაკი აღნიშნავდა: „ჩვენ ვფიქრობდით, რომ ასეთი რევოლუციური გადატრიალების შემდეგ საკმარისი იყო, განგვეცხადებინა, რომ მათ ვათავისუფლებდით არა მხოლოდ კაპიტალისტური, არამედ რელიგიური ჩაგვრისგანაც... შედეგად კი მივიღეთ ის, რომ ამ ბრძოლაში მოსახლეობის უპირატესი სიმპათიები სასულიერო პირებისაკენ აღმოჩნდა მიმართული...“ რუბუტაკის აზრით, სწორედ ეს გარემოება შეიქმნა „ბასმაჩობისათვის საკვებისა და დამატებითი ცეცხლის მიძღვრა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აღსდგა“.⁸¹⁹

ენვერ ფაშას მიერ 1921 წლის ბოლოდან ცენტრალურ აზიაში საბჭოელთა წინააღმდეგ დაწყებული შეიარაღებული ბრძოლა პირველ ეტაპზე მეტად ეფექტური გამოდგა. მოჯაჰედთა რაზმის მეთაურის როლში ენვერი უნარიანი ხელმძღვანელი აღმოჩნდა. ამ ბრძოლებში მან დიდ წარმატებებსაც მიაღწია. წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ ბასმაჩთა მიერ გამოყენებული საბრძოლო ტაქტიკა განსხვავდებოდა პარტიზანული ომის წარმოების სტანდარტული მეთოდებისაგან. ბასმაჩები ეფექტურად იყენებდნენ იმ უპირატესობას, რასაც მათ ადგილმდებარეობის ზედმიწევნით კარგი ცოდნა და მისი უნარიანი გამოყენება აძლევდათ. ბასმაჩები თავს არიდებდნენ მრავალრიცხოვან და კარგად შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან პირდაპირ შეტაკებებსა და აქცენტს ძნელად მისადგომ ადგილებში ბაზირებაზე, ჩასაფრებების ორგანიზებასა და

დამფუძნებელი კრების მუსულმანთა ფრაქციის წევრი. ბოლშევიკური გადატრიალებისა და ბოლშევიკთა მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ, 1918 წლის დასაწყისიდან, თბილისშია. ირჩევენ ამიერკავკასიის სეიმის წევრად, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ კი, 1918 წლის ივნისიდან – აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ. აზერბაიჯანის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დააპატიმრა ჩეკამ, მაგრამ გაათავისუფლეს უშუალოდ სტალინის ჩარევით. 1920-1922 წლებში მოსკოვშია, მუშაობს ნაციონალურ საკითხთა სახალხო კომისარიატში. იმავე წელს მიდის ემიგრაციაში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ცხოვრობს ჯერ ფინეთში, შემდეგ – თურქეთსა და პოლონეთში, 1940 წლიდან – რუმინეთში. II მსოფლიო ომის პერიოდში ნაცისტთა ეგიდის ქვეშ ცდილობდა აზერბაიჯანული ლეგიონის შექმნას. გარდაიცვალა 1955 წელს.

⁸¹⁷ Мамедмин Расул-Заде. Пантунризм и проблема Кавказа. Доклад, прочитанный в Париже перед аудиторией, состоящей из представителей кавказской, украинской и туркестанской эмиграции, в марте 1930 года. Источники. №2 (10). 2004. Стр. 17. <http://irs-az.com/pdf/090622152150.pdf>.

⁸¹⁸ იქვე.

⁸¹⁹ Мустафо Базаров. СОВЕТСКАЯ РЕЛИГИОЗНАЯ ПОЛИТИКА В СРЕДНЕЙ АЗИИ. 1918-1930 гг. Ким П., Хасанов М. Басмачество: 1921-1924 гг. Что рассказывают о нем документы, хранящиеся в архивах // Звезда Востока. 1989. N 6. С. 143. <http://poli.vub.ac.be/publi/etni-1/mustafobazarov.htm>.

დასახლებულ პუნქტებში ჩატარებულ სწრაფ საკავალერიო რეიდებზე აკეთებდნენ. ამ დროს რეიდების ამოცანას მატერიალური ქონებისა და იარაღის მოპოვებასთან ერთად საბჭოელებისადმი ლოიალურად განწყობილი პირებისა და წითელი კომისრების ლიკვიდაცია ან მოტაცება წარმოადგენდა.⁸²⁰

მაგრამ ენვერის წარმატებული ბრძოლები დიდხანს არ გაგრძელებულა. ნაციონალური თურანული და ისლამური სახელმწიფოს შექმნის გზაზე, ბასმაჩური მოძრაობის ორგანიზებისა და თავის დაქვემდებარებაში მოქცევის პროცესში, ენვერ ფაშას მიერ დაშვებული სტრატეგიული შეცდომა ცენტრალურ აზიაში იმდროინდელი პოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გაუთვალისწინებლობა იყო. პირველ რიგში, რაც ენვერ ფაშას არ ესმოდა, იყო ის, რომ ბასმაჩები იმ მომთაბარეებს წარმოადგენდნენ, რომლებიც თავისი ტრადიციული ცხოვრების წესის აღდგენისათვის იბრძოდნენ. მათ შემაკავშირებელ ძალას ისლამი წარმოადგენდა და არა ნაციონალიზმი. როგორც ჯადიდებთან, ასევე იტიჰადისტებთან და რეფორმისტებთან, მათ მსოფლმხედველობებთან, ბასმაჩებს ძალიან მცირე რამ თუ აკავშირებდათ. მათი შეხების საერთო წერტილი მხოლოდ და მხოლოდ საბჭოელების განდევნა იყო ოკუპირებული ტერიტორიებიდან და არა თემურ ლენგის ახალი სახელმწიფოს ანდა მითიური სამეფოს – „დიდი თურანის“ შექმნა.

თუ რამდენად დაშორებული იყო ბასმაჩებისა და ჯადიდების პოზიციები ერთმანეთისგან, ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: ბრიტანეთის ინდოეთის ადმინისტრატორი, ჩრდილო-დასავლეთ პროვინციების სასაზღვრო ზოლის გუბერნატორი სერ ოლაფ კირკპატრიკ კაროე (Olaf Kirpatrick Caroe) თავის ნაშრომში “Soviet Empire: The Turks of Central Asia and Stalinism“ („საბჭოთა იმპერია: ცენტრალური აზიის თურქები და სტალინიზმი“) წერს, რომ 1920 წელს ჯემალ ფაშამ შემდეგი შეტყობინება გაუგზავნა ბასმაჩებს: „ჩვენს მიზანს იმ გზების მონახვა წარმოადგენს, რომელიც რუსებს ჩვენს გეგმებს მიაღებინებს, გააძლიერებს ჩვენს ეროვნულ კავშირებს, გამოავიძებს ჩვენს ახალ, ეროვნულ, პოლიტიკურ სულს... თავიდან მოგვაშორებს ამირას სამარცხვინო და შემაწუხებელ მიმდევრებს...“ როდესაც ერთ-ერთი ახალგაზრდა ჯადიდი შეეცადა, აეხსნა ეს იდეები ადგილობრივი ტომის ბელადისათვის, მან საპასუხოდ ჩანთიდან ადამიანის ყურების ასხმა ამოიღო და განაცხადა, რომ ისინი რეფორმატორებს (ჯადიდებს – ა. ჩ.) დააჭრა.⁸²¹

საბოლოოდ, ყველაფერს წერტილი დაესვა – ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატის ყოფილმა წევრებმა თავისი ამქვეყნიური ცოდვილი ცხოვრების წინააღმდეგობრივი გზა ძალიან დრამატულად დაასრულეს. ისტორიამ უღმობელი განაჩენი გამოუტანა მათ – 1921 წლის 15 მარტს დაშნაკმა სოლომონ ტერილიანმა თავში ერთი გასროლით ბერლინში მეჭმედ თალაათ ფაშა მოკლა. გენერალი აჰმედ ჯემალ ფაშა და მისი თანმხლები პირები 1922 წლის 21 ივლისს ძალიან ბუნდოვან ვითარებაში მოკლეს თბილისის ცენტრში, ხოლო ორი კვირის შემდეგ, 4 აგვისტოს, ენვერ ფაშას, ამ უკვდავი „მარადიული მეომრის“ ხანმოკლე და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზაც დასრულდა. დუმანბესთან ახლოს, პამირის მთებში იგი შაჰიდი მეომრის მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქვედანაყოფებთან ბრძოლაში. „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის გმირი და

⁸²⁰ Андрей Асамов. Тактика басмачей. <http://russian7.ru/2014/06/basmachi-vlasteliny-peskov/>.

⁸²¹ Olaf Caroe. Soviet Empire: The Turks of Central Asia and Stalinism. London: Macmillan & Co Ltd. 1954. Pg. 120.

ოსმალთა იმპერიის ფაქტიური მმართველი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იმ რომანტიკოსად და ავანტიურისტად დარჩა, რასაც თავისი სამხედრო და პოლიტიკური ცხოვრების გარიჟრაჟზე წარმოადგენდა, როცა „წითელი სულთნის“, აბდულ ჰამიდ II-ის წინააღმდეგ იწყებდა ბრძოლას.⁸²²

დიდი ყაზახი მოაზროვნე და ეროვნული მოღვაწე, მუსტაფა ჩოკაი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ბოლშევიკები არასდროს, არც ერთი წუთით არ ენდობოდნენ არც ენვერ ფაშასა და არც ჯემალ ფაშას. ნათელი იყო, რომ ადრე თუ გვიან, ისინი ლიკვიდირებულნი იქნებოდნენ ბოლშევიკთა მიერ. და მართლაც, ორივე მათგანი მოსკოვის გამცემლური ხელით დაიღუპა. ენვერი, რომელიც თავისი წინაპრების აკვანს – თურქესტანს იცავდა, გმირულად დაიღუპა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯემალს კი ბოლშევიკმა აგენტებმა მოუღეს ბოლო.⁸²³ როგორც ნაშრომის შესაბამის თავში აღვნიშნეთ, ჩვენც სრულად ვიზიარებთ მუსტაფა ჩოკაის ამ მოსაზრებას. როგორც იტყვიან დიდ პოლიტიკაში მუდმივი მეგობრები არ არსებობენ. ბოლშევიკებთან მიმართებაში კი ეს თეზა ორმაგად მართებულია. დიახ, მოსკოვმა საკმაოდ მალე დაასრულა ექსიტიჰადისტ გენერლებთან დიდი პოლიტიკური თამაშები და მათ შესაბამისი განაჩენიც გამოუტანა. ასეთი იყო ისტორიული რეალობა...

როგორი შეფასებებიც არ უნდა მისცენ ისტორიკოსებმა და მკვლევარებმა ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ურთიერთობებსა და იმ ჩახლართულ ენიგმას, რომელიც კრემლსა და ოსმალთა იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის წევრებს შორის არსებობდა, რა ტიპის ანალიზიც არ უნდა ჩატარდეს მასთან დაკავშირებით, ფაქტია, რომ 1922 წლის 4 აგვისტოს ყველაფერს წერტილი დაესვა. ამ დღეს გენერალ ისმაილ ენვერ ფაშასა და ექსიტიჰადისტების მიერ 1919 წელს წამოწყებული ბოლშევიკურ-რევოლუციური სულისკვეთებით უხვად გაჯერებული და მეტად სახიფათო დიდი პოლიტიკური თამაშები დასრულდა. ენვერ და ჯემალ ფაშების გაბედული ჩანაფიქრები, მათი რევოლუციური პანისლამიზმის იდეოლოგია და ისლამინტერნისა და პანთურქიზმის იდეებზე მიბმული დიდი თურანის შექმნის მასშტაბური პროექტები სამუდამოდ დასამარდა...

სწორად აღნიშნავს უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. ალიმოვა, რომ „როგორც დასავლელი, ასევე რიგი სამამულო მკვლევარებისა ცდილობენ ენვერ ფაშას პიროვნების იდეალიზირება მოახდინონ, რომელსაც სამართლიანობისა და ჩაგრული ხალხების თავისუფლებისათვის მებრძოლი მოხეტიალე რაინდის თვისებებით ამკობენ. ეჭვს გარეშეა, რომ მისი როლი იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში მართლაც დიდი იყო, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას არც ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა გააჩნდა და არც რაიმე რეფორმატორული იდეა. ენვერ ფაშას მეტად ამბიციური მიზნები ამოძრავებდა და თურქესტანის გამოყენებას აპირებდა ამ მიზნების მისაღწევად, თუმცა წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამ ქვეყნის საუკუნოვან

⁸²² Что делал в ЧК бывший правитель Османской империи Энвер Паша. <http://ya-turk.ru/interesnye-fakty/chto-delal-v-chk-byvshii-pravitel-osmanskoi-imperi-yenver-pasha.html>.

⁸²³ Mustapha Chokay About Turkey 20-30-Year's of XX Century. Prof. Dr. Koshim YESMAGAMBETOV. Bilimler Akademisi, - Almaty / Kazakistan. History Studies. International Journal of History. 2013. К убийству Джемал паши // ПГВА. Ф. 461к. Оп.1. Д.416. Л. 133–136; Çokay Oğlu M. Merhum Enver Paşa Hakkında Hatıra Parçaları // Yaş Türkiistan. 1932. N33. S. 5–12. http://www.historystudies.net/Makaleler/358492597_15-Koshim%20Yesmagambetov.pdf.

ტრადიციებსა და მენტალიტეტზე, ამ ქვეყნის გეოგრაფიულ თავისებურებებზე. ენვერ ფაშას კრახი – ეს ხელმოცარული და არშემდგარი პოლიტიკოსის კრახი იყო“.⁸²⁴

ლენინმა და ბოლშევიკებმა ვერ აღასრულეს თავიანთი დიდი სტრატეგიული მიზნები. მართალია, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მითით შენიღბული აღმოსავლური ექსპანსიის სისხლიანი პროცესი კრემლისათვის ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ოკუპაციით დასრულდა, მაგრამ „აღმოსავლეთის“ მთავარმა ქვეყნებმა, პირველ რიგში, ავღანეთმა, თურქეთმა და ინდოეთმა შეძლეს თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. მისმა უდიდებულესობა ისტორიამ ისე განსაჯა, რომ „სტავლენიკად“ შერჩეულმა ვერც ერთმა თურქმა და ავღანელმა ლიდერმა – ვერც ენვერ ფაშამ, ვერც ამანულა ხანმა და ვერც მუსტაფა ქემალმა კრემლის იმედები ვერ „გაამართლეს“.

თურქეთისათვის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით კრიტიკულ სიტუაციაში, მუსტაფა ქემალისა და ქიანში ყარაბეჯირის მყარმა ნაციონალიზმმა, მათმა სწორად გათვლილმა ნაბიჯებმა, უტყუარმა პოლიტიკურმა ალლომ და დეტალურად გააზრებულმა მოქმედებებმა თურქული სახელმწიფოებრიობა გადაარჩინა. წინ გავესწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ 1919-1921 წლებში, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ქემალისტებმა სწორად განჭვრიტეს ერთადერთი რეალური სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე – ბოლშევიკური რუსეთი და მასთან დაახლოების გზით პრაქტიკულად განწირული ქვეყანა გადაარჩინეს. საერთო ჯამში, ქემალისტებმა მთლიანად მიიღეს ბოლშევიკებისაგან მიერ შემოთავაზებული თამაშის წესები, ზუსტად აუწყვეს მას ფეხი და ყოველმხრივ დახვეწილი მოქმედებებით ამ დიდ სამხედრო-პოლიტიკურ თამაშში სუფთად დაამარცხეს ბოლშევიკები.⁸²⁵ თუმცა ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

ფაქტია, რომ ლენინისა და კომინტერნის ერთ-ერთი ბელადის, ტროცკის მიერ შემუშავებული მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის კონცეფციის აღმოსავლური ვარიანტი ჩაიშალა და მწვანე ნახევარმთვარე საბოლოოდ მოწყდა წითელი ვარსკვლავის ორბიტას. ისიც ფაქტია, რომ თურქეთიც და ავღანეთიც საბჭოური ორბიტიდან გავიდნენ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ.

შემდეგ იყო ლენინურ-სტალინური საბჭოთა იმპერია და 70-წლიანი მმართველობის ტოტალიტარული რეჟიმი. მოგვიანებით, უკვე 80-იან წლებში, საბჭოელებმა კიდევ ერთხელ გაითამაშეს ავღანეთში „თურქული მარში“... თუმცა ესეც სხვა ისტორიაა და მისი შედეგებიც ცნობილია – ამ ომმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლენინურ-სტალინური იდეოლოგიით შედუღებული ბოლშევიკური იმპერიის დანგრევაში. რა თქმა უნდა, რუსეთის საბჭოური იმპერიის დაშლის სხვა მიზეზებიც არსებობდა. როგორც ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი, პროფესორი ივორ კვესელავა აღნიშნავს, „რუსეთის ცდუნება ყოველთვის იყო „მზის“ როლში ყოფნა, რომლის გარშემოც მუდმივად უნდა ეტრიალათ პატარა პლანეტა-სახელმწიფოებს. რუსული სახელმწიფო იდეოლოგიის პარადიგმულობა ცალკე სამყაროა, განსაკუთრებული სტრატეგიით – დასავლეთთან აღმოსავლეთის წინააღმდეგ და აღმოსავლეთთან დასავლეთის წინააღმდეგ, მით უმეტეს, მის სივრცეში სხვადასხვა ცივილიზაციური

⁸²⁴ Д. А. Алимова. ГЕРОЙ ИЛИ АВАНТЮРИСТ? Информационно-аналитический центр – Экспертная оценка – Как погиб Энвер? Узбекская версия. По материалам совещания директоров институтов истории стран СНГ. 2008. <http://www.ia-centr.ru/expert/1808/>.

⁸²⁵ არჩილ ჩაჩხიანი. თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობები 1917-1921 წლებში და საქართველოს საკითხი. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია. აკადემიის შრომები. თბილისი. 2011. გვ. 178.

ქრისტიანული, მაჰმადიანური და სხვა კუთვნილებებია მოქცეული. რუსეთში მუდმივად ფიქრობდნენ, რომ დასავლური ღირებულებები საფრთხის შემცველია რუსული ეროვნული თვითმყოფადობისათვის და ის საფრთხეს უქმნის მის კულტურულ-სარწმუნოებრივ სახეს. რუსეთის პოლიტიკური კლასი ყოველთვის ცდილობდა, მოდერნიზება-ვესტერნიზაციის პროცესი დაეკავშირებინა ავტორიტარულ მმართველობასთან და მათი სინთეზის გზით მოეხდინა რუსული მოდელის წარმოჩენა (კულტურა, კანონები და სხვა), რომელიც გააძლიერებდა მის იდენტურობას და შესაბამისად განსაზღვრავდა საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებსაც.⁸²⁶

თავის დროზე, 1912 წელს, რუსეთის ევრაზიული მოძრაობის მამა, ევგენი ტრუბეცკოი, უკვე კითხვის ნიშნებს სვამდა რუსეთის განსაკუთრებულობისა და რუსი ერის „მესიანური“ დანიშნულების შესახებ. იგი წერდა: „ჩვენ ძალიან დიდხანს გვარწმუნებდნენ, რომ რუსი კაცი – ეს უბრალო ადამიანი კი არ არის რასისა და ერის დამახასიათებელი ნიშნებით, არამედ იგი „ყოვლადადამიანია“ (Всецеловек – а. ჩ.), რომელიც თავის თავში მოიცავს ყველა ნაციონალობის ნიშნებს. ეს კი უცილობლად მიგვიყვანს საკუთარი ნაციონალური ფიზიონომიის დაკარგვამდე. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ რუსეთში მთელი მსოფლიო დაგვენანა და იმაზეც ავლაპარაკდით, რომ მასში არავითარი ადვილობრივი არ არის. იგი არც დასავლეთია და არც აღმოსავლეთი, არამედ – „დასავლეთ-აღმოსავლეთი“. ჩვენ დაჟინებით შთაგვაგონებდნენ, რომ რუსეთი ან „მესიანერია“, ან „არაფერი“, რომ სამყაროსეული და რუსული – ერთი და იგივეა. როდესაც ეს გაბელული ოცნებები იმსხვრევა, ჩვენ განსაკუთრებული იმედგაცრუება გვეუფლება. ჩვენი ეროვნული ხასიათისათვის ჩვეული მაქსიმალიზმი გვაიძულებს, ყველა ცხოვრებისეულ საკითხში დავაყენოთ დილემა – „ან ყველაფერი, ან არაფერი“. აი, ამიტომაც, რომ განსაკუთრებული განდიდებიდან ადვილად ვვარდებით განსაკუთრებულ იმედგაცრუებაში. რუსეთი ან ღვთისმატარებელი ან უსუსური ერია, შეიძლება არც ერთია და არც მეორე, არამედ უაზრო მექანიკური კონგლომერატია, თიხის ფეხებზე მდგარი კოლოსი, რომელიც მალე ჩამოიშლება“.⁸²⁷ ყოველივე ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს....

მანამდე კი რუსი მეცნიერები, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლები, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორები, ლიდია ნოვიკოვა და ირინა სიზემსკაია, უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1995 წელს, რუსული მესიანისტური იდეისა და მისი უკუგდების შესახებ წერდნენ: „საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 70 წლის განმავლობაში იდეა ტრანსფორმირდა და ამკარად კლასობრივი მიმართულება მიიღო, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში სხვა ხალხებთან მიმართებაში [რუსები] „უფროსი ძმის“ როლში იყვნენ, ხოლო სურვილებში „მთელი პლანეტის წინ“ უნდა მდგარიყვნენ. [საბჭოთა] კავშირის დაშლამ ერთის მხრივ ნაციონალისტური განწყობების პროვოცირება გამოიწვია, ხოლო მეორეს მხრივ, მესიანისტური იდეა ჩვენი საზოგადოების თვითგადარჩენის გლობალურ პრობლემასთან დააკავშირა. ძველი „იმპერიული“ მოდელი

